ცოდნა-გამოცდილების შექმნისათვის. საქართველო, ბუნებრივია, ჩართულია ამ პროცესებში. 2005 წელს იგი შეუერთდა ბოლონიის პროცესს, და, შესაბამისად, საქართველოს განათლების სისტემაში, ეტაპობრივად ხორციელდება და იწერება ყველა ის სიახლე, რომელსაც ამ სფეროში მოიაზრებს ბოლონიის პროცესი. საქართველოში რადიკალურად შეიცვალა განათლების სისტემის მართვისა და ფუნქციონირების სტილი; შეიქმნა ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების კანონები, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა სასწავლო დაწესებულებათა დეცენტრალიზაცია, შეიცვალა საშუალო და უმაღლესი სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტრუქტურა და მართვის ფორმები, შეიქმნა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმები და პროგრამები, და, რაც მთავარია, კონცეპტუალურად შეიცვალა სწავლება/სწავლის პროცესი, კერძოდ, დამკვიდრდა მოსწავლეზე და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კონცეფცია. განათლების სისტემაში არსებული რგოლებიდან, ჩვენი საკვლევი თემა ეხება საშუალო სკოლას, კერძოდ, მასწავლებლის შერჩევის მეთოდებსა და ხერხებს საშუალო სკოლაში. ვერც ერთი სახელმწიფო და ვერანაირი პროგრამა ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს, თუ არ ეყობა შესაბამისი კადრი, მასწავლებელი, რომელსაც გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მომავალი თაობის აღზრდის მნიშვნელობა ქვეყნის კეთილდღეობისათვის და რომელმაც უნდა წაიყვანოს სწავლება/სწავლის პროცესი. მასწავლებელი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხს, მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას. იგი უდიდეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოსწავლეთა განათლებაზე, არამედ მათი პიროვნების ფორმირებაზე. ცნობილი ქართველი მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, ლუარსაბ ბოცვაძე ასე განმარტავს მასწავლებლის როლს; „სწავლების საქმეში სკოლის სულის ჩამდგმელი და მწარმოებელი მასწავლებელია, რადგანაც სკოლის ბედ-იღბალი ყოველთვის მასწავლებელზე ჰკიდია. კარგი სკოლა და მომზადებული მასწავლებელი ისეთივე საჭიროა, როგორც ჰაერი. მასწავლებელი სული და გულია მთელი სკოლისა და თუ ეს სული სადი არ არის და გულიც ჭიანია, სკოლაც დაავადებული და სუსტი იქნება.“ (ბოცვაძე, 1917). ნათელია, რომ სკოლას, რომელსაც ჰყავს კომპეტენტური, კვალიფიციური პედაგოგები, მეტი შანსი აქვს მისცეს მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება, ჩამოუყალიბოს მათ ის უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომელიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნითაა გათვალისწინებული და იყოს კონკურენტუნარიანი არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში.

განათლების სფეროში მოღვაწე მეცნიერები და მკვლევარები არაერთხელ დაინტერესდნენ და შეეცადნენ გამოერკვიათ, თუ რა გავლენა აქვს მასწავლებელს მოსწავლეთა განათლების ხარისხზე და ზოგადად, რა ფაქტორები ახდენენ გავლენას მოსწავლეთა განვითარებაზე, მათ აკადემიურ მოსწრებაზე. ამერიკასა და ევროპაში არაერთი კვლევა ჩატარდა ამ კუთხით. კვლევები ცხადყოფენ, რომ მასწავლებლის კვალიფიციურობა სტუდენტთა მიღწევების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. (Stronge, 2007; Darling-Hammond, 1997) ამიტომ სასწავლებლის ხელმძღვანელის სერიოზულ საზრუნავს სკოლაში კვალიფიციური მასწავლებლების მიზიდვა წარმოადგენს. სიტუაციიდან გამომდინარე, ბუნებრივია, დგება საკითხი კვალიფიციური პედაგოგის შერჩევის მეთოდებისა და საშუალებების შესახებ, რაც ჩვენი საკვლევი თემის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნათელია, თუ რაოდენ **აქტუალურია** კვალიფიციური პედაგოგების შერჩევის პროცესთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი და გარკვეული რეკომენდაციების ჩამოყალიბება. მით უფრო, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ასეთი კვლევა არ ჩატარებულა. **კვლევის მიზანს წარმოადგენს** საშუალო სკოლებში პედაგოგების შერჩევის მექანიზმებისა და მეთოდების შესწავლა, ამ პროცესთან დაკავშირებული პრობლემების დადგენა, რეკომენდაციების შემუშავება. ჩვენი **კვლევის ჰიპოთეზის** თანახმად, საქართველოს სკოლებს არ გააჩნიათ პედაგოგების შერჩევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებული სისტემა, სახელმწიფოს მიერ მოწოდებული კონკრეტული ინსტრუქციები და რეკომენდაციები, პროცესი სუბიექტურ კონცეფციებსა და გადაწყვეტილებებს ექვემდებარება. **კვლევის მეთოდებად** გამოვიყენეთ მეორადი ინფორმაცია, თვისებრივი და რაოდენობითი კვლევა - კითხვარი. **კვლევის სამიზნე ჯგუფს** შეადგენდნენ საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლის ხელმძღვანელის უპირველესი საზრუნავი კვალიფიციური პედაგოგების შერჩევა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა უნდა იყოს. ამისათვის კი აუცილებელია სკოლის დირექტორს მკაფიოდ ჰქონდეს განსაზღვრული მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები, ანუ, რას გულისხმობს კვალიფიციური პედაგოგი და რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს მას. ამის გარეშე პედაგოგთა შერჩევის მექანიზმებსა და პროფესიულ განვითარებაზე საუბარი არასწორი და არაეფექტური იქნება. ტერმინი კვალიფიკაცია მოიცავს იმ ცოდნას, უნარებსა და შესაძლებლობებს და ამასთანავე, სათანადო აკადემიურ ხარისხს, რომელიც საჭიროა გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად. (www.thefreedictionary.com) მასწავლებლის კვალიფიციურობა გულისხმობს სათანადო აკადემიურ ხარისხს, პროფესიულ ცოდნასა და პედაგოგიური საქმიანობისათვის

საჭირო პროფესიულ უნარებს. მასწავლებლის კვალიფიციურობას, მის ხარისხს სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად განმარტავს. რთულია ცალსახად განსაზღვროთ თუ რას ნიშნავს ეფექტური და მაღალკვალიფიციური მასწავლებელი. სკოლის დირექტორებმა ამ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, რომელიც „განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, მასწავლებლის პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს.“ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008) ამასთანავე, მასწავლებლის შერჩევის პროცესში, დირექტორი უნდა ხელმძღვანელობდეს დასაქმების პოლიტიკის ისეთი ძირითადი პროცედურებით, როგორცაა, სამუშაოს ანალიზი (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა); პერსონალის მოზიდვა; შერჩევის მეთოდების განსაზღვრა; შესარჩევი კომისიის შედგენა; შესარჩევი კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაცნობა; გასაუბრების შემთხვევაში 1. გასაუბრების სათანადო სახის წინასწარი შერჩევა, 2. გასაუბრების სქემისა და სტრუქტურის ჩამოყალიბება, 3. კითხვების წინასწარი ფორმულირება; კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის შეკრება და დამუშავება; კანდიდატთა ფაქტობრივ თვისებათა შედარება დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან; კანდიდატთა სამუშაოზე აყვანა და ხელშეკრულების გაფორმება. (სკოლის მართვის სახელმძღვანელო, 2007; პაიჭაძე, ჩოხელი, ფარესაშვილი, 2011) **შერჩევაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ადამიანის ფსიქოლოგიური და პროფესიონალური თვისებების განსაზღვრის პროცესი. მისი მიზანია დაადგინოს კონკრეტულ თანამდებობაზე ადამიანთა შესაფერისობა, ვარგისიანობა და მოახდინოს კონკურენტთა ერთობლიობიდან საუკეთესოს შერჩევა. (პაიჭაძე, ჩოხელი, ფარესაშვილი, 2011)**

ახალი კადრების შერჩევის პროცესს სკოლაში დირექტორი უწევს ორგანიზებას. დირექტორმა უნდა განახორციელოს ყველა ის ეტაპი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, თუმცა, საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს შერჩევის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში, მისცეს გარკვეული რჩევები ან რეკომენდაციები დირექტორს და კონტროლი გაუწიოს მის საქმიანობას აღნიშნულ სფეროში. (კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2007)

სუბიექტურობის გამორიცხვის მიზნით, სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პედაგოგების პროფესიული მახასიათებლების ჩამონათვალი და შეფასების კრიტერიუმები. შერჩევის პროცესი შეიძლება მოიცავდეს ისეთ ეტაპებს, როგორცაა: აპლიკაციის შევსება, CV ან რეზიუმეს წარმოდგენა, რეკომენდაციის შემოწმება, პორტფოლიოს გაცნობა, სხვადასხვა ტიპის ინტერვიუ, საჩვენებელი გაკვეთილი, სხვადასხვა ტიპის ტესტი, გასაუბრება და სხვა. შერჩევის თითოეული მეთოდი შეიძლება იყოს მეტად წარმატებული, თუ დირექტორი სწორად შეარჩევს მას დადგენილი კრიტერიუმების შესაფასებლად. ამასთანავე, კომპლექსურობა და მეთოდთა მრავალფეროვნება საშუალებას მისცემს დირექტორს მრავალმხრივად შეაფასოს კანდიდატი. შესაძლოა კანდიდატმა დაბალი შედეგები აჩვენოს შერჩევის რომელიმე ეტაპზე, მაგრამ საკმაოდ წარმატებით გადალახოს სხვა ეტაპი. თუმცა, შერჩევის რა მეთოდებიც არ უნდა გამოვიყენოთ, საგულისხმოა პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინება დაგვეხმარება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში და რომლებიც უფრო ეფექტურს გახდის შერჩევის პროცესს. კერძოდ, **განუწყვეტლობა, ობიექტურობა, კომპლექსურობა, კომპეტენტურობა, გამჭვირვალობა, ორიენტაცია ადამიანის ძლიერ და არა სუსტ მხარეებზე, სკოლის ორგანიზაციულ კულტურასთან შესაბამისობა.** (პაიჭაძე, ჩოხელი, ფარესაშვილი, 2011) ლიტერატურის მიმოხილვისას ნათელი გახდა, რომ მკვლევართა უმრავლესობა გამოყოფს პედაგოგთა შერჩევის მსგავს და ხშირ შემთხვევაში ერთნაირ ეტაპებს. სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების განხილვის საფუძველზე დავადგინეთ, რომ პერსონალის **შერჩევის პირველ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია აპლიკანტთა დოკუმენტაციის საფუძველზე გაცნობა და შეფასება.** თანამედროვე პრაქტიკაში პერსონალის შერჩევის პირველ ეტაპზე მეტად აქტიურად გამოიყენება CV და რეზიუმე, აპლიკანტის მიერ სამოტივაციო წერილის წარდგენა, მასწავლებლის პორტფოლიოს გაცნობა. (Theel, 2002)

პერსონალის შერჩევის მეთოდიკაზე მსჯელობისას, მკვლევარები ერთ-ერთ **ეფექტურ მეთოდად ტესტირებას მიიჩნევენ.** არსებობს ტესტირების სხვადასხვა სახე: ტესტები გონებრივ შესაძლებლობებზე, პროფესიული ცოდნის ტესტები, ზოგადი უნარების ტესტები, პიროვნების საკვლევი ტესტები, სოციალური უნარების საკვლევი ტესტები, იმიტაციური ტესტები, კომპლექსური ტესტები. (პაიჭაძე, ჩოხელი, ფარესაშვილი, 2011; ბერიძე, 2009) პედაგოგთა შერჩევის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია **გასაუბრების (ინტერვიუს) მეთოდი,** რომელიც პერსონალის შერჩევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდია. არსებობს გასაუბრების სხვადასხვა ტიპი და განსხვავებული ფორმატები, კერძოდ, **ერთი ერთზე წარმართული ინტერვიუ, პანელი და ჯგუფური ინტერვიუ, ტრადიციული ინტერვიუ, ბიჰევიორისტული, იგივე ქცევითი ინტერვიუ, სიტუაციური ინტერვიუ, სერიული ინტერვიუ, სტრესული ინტერვიუ.** (http://www.eduers.com/resume/Types_of_Interviews.htm)

პედაგოგების შერჩევასთან დაკავშირებით არსებული მასალის მოძიებისა და თეორიული საკითხების დამუშავების შემდეგ, შევიმუშავეთ კითხვარი, რომლის საშუალებითაც უნდა დაგვედინა, თუ როგორ აწარმოებენ დირექტორები პედაგოგის შერჩევას. კითხვარი მოიცავს ღია და დახურულ შეკითხვებს. რაოდენობრივი კვლევის პროცესში გამოვკითხეთ 20 სკოლის დირექტორი, მათგან თბილისის 8, საგარეჯოს 8 და ლანჩხუთის 4 სკოლა. აღნიშნული სკოლებიდან 5 კერძო დანარჩენი კი საჯარო.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, ზოგადი დასკვნის სახით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, სკოლებს შორის შეიქმნა კონკურენტული გარემო, „ბრენდირების“ სისტემაში ვარსკვლავთა რაოდენობას განსაზღვრავს კვალიფიციურ პედაგოგთა არსებობა და საერთოდ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კომპეტენტური მასწავლებელი დიდად განსაზღვრავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონეს და შესაბამისად, სკოლის იმიჯს, **გამოკითხულ სკოლათა უმრავლესობაში არ იგრძნობა მზაობა და დიდი მონდომება კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვასა და შერჩევასთან დაკავშირებით.** სკოლების დიდ ნაწილს არ აქვს პედაგოგთა შერჩევის პროცესის ჩამოყალიბებული და კარგად ორგანიზებული სისტემა. **სკოლის დირექტორთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ მათ ჰყავთ საკმაო რაოდენობის პედაგოგები და სულაც არ აქვთ ახალი კადრების შერჩევის საჭიროება.** შესაბამისად, მათთვის სრულიად უმნიშვნელოა კადრების მოზიდვის სხვადასხვა საშუალებებზე ზრუნვა და არც შერჩევის პროცესის დაგეგმვა მიაჩნიათ მნიშვნელოვნად. ჩვენდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ გამოცდილი დირექტორები უფრო ზერელედ უყურებენ შერჩევის პროცესს და არ იჩენენ დიდ ინტერესს ამ საკითხთან დაკავშირებით. ხოლო შედარებით ახლად დანიშნული დირექტორების მხრიდან უფრო მეტად იგრძნობოდა მზაობა შერჩევის პროცესის გარკვეული მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებით. დირექტორების გამოკითხვისას გაირკვა, რომ ყველა სკოლის დირექტორს აქვს გარკვეული მოთხოვნები შესარჩევ პედაგოგებთან მიმართებაში, მაგრამ ეს მოთხოვნები სპონტანურად მოფიქრებული და ზოგადია, არ არის გაწერილი. მიუხედავად ახალი კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულებებისა, დირექტორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ პედაგოგთა მისაღებად არაა საკმარისი მხოლოდ უმაღლესი განათლება ან სერტიფიცირება, პედაგოგთა შერჩევა აუცილებლად სკოლის მიერ უნდა ხდებოდეს. ყველა გამოკითხული დირექტორი აღნიშნავს, რომ კადრების შერჩევის პირველ ეტაპზე ისინი ითხოვენ აპლიკანტის დოკუმენტაციის წარმოდგენას. გამოკითხულთა მხოლოდ 10% ითხოვს, ასევე, მასწავლებლის პორტფოლიოს, თუ მასწავლებელს გააჩნია ეს დოკუმენტი. გამოკითხულ სკოლათა 10% მოითხოვს სამოტივაციო წერილს, რადგან თვლიან, რომ მოტივაცია მასწავლებლის ეფექტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, მხოლოდ 10% მიმართავს ტესტირებას. გამოკითხულთა 30% კი აცხადებს, რომ შერჩევისას მოითხოვს მასწავლებლობის მსურველის მიერ ერთი კონკრეტული გაკვეთილის გეგმის წარმოდგენასა და გაკვეთილის ჩატარებას, რომელსაც ესწრება დირექტორი ან სპეციალური კომისია. თუმცა, არც ერთ ამ სკოლათაგანს არ აქვს წერილობითი ნუსხა იმ კრიტერიუმებისა, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს შეფასება და რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულ დირექტორთა 100%, დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, კადრების შერჩევას ახდენს მათთან გასაუბრების მიხედვით. ამასთან, გასაუბრება ატარებს სპონტანურ ხასიათს და არ არის წინასწარ მომზადებული არსებული თეორიული მეთოდის შესაბამისად.

დასკვნა

1. კვალიფიციური კადრების შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სამუშაოს ანალიზი (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა), კვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევის მეთოდთა განსაზღვრა, კანდიდატების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მათი მონაცემების შედარება საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, საუკეთესო კანდიდატის არჩევა და ხელშეკრულების გაფორმება.
2. საქართველოში არ არსებობს სკოლაში პედაგოგთა შერჩევის პროცესის სახელმწიფოს მიერ მოწოდებული კონკრეტული ინსტრუქციები და რეკომენდაციები.
3. სკოლის დირექტორთა დიდი ნაწილი არ ზრუნავს კვალიფიკაციური პედაგოგების მოზიდვასა და შერჩევაზე.
4. დირექტორებს არ აქვთ მასწავლებელთა მიმართ სათანადოდ განსაზღვრული და წერილობით ჩამოყალიბებული კონკრეტული მოთხოვნები.

5. სკოლებს არ გააჩნიათ შერჩევის პროცესის ჩამოყალიბებული სისტემა, არ იცნობენ შერჩევის მეთოდებს, პროცესს აწარმოებენ დაუფეგმავად, არასტრუქტურირებულად, სუბიექტური გადაწყვეტილებების საფუძველზე.
6. სკოლის დირექტორებს არ აქვთ სათანადო კომპეტენცია კვალიფიციური კადრების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები:

1. სახელმწიფოს მხრიდან პედაგოგთა შერჩევის საკითხებზე ყურადღების გამახვილება დიდად შეუწყობს ხელს სკოლაში განათლების ხარისხის ამაღლებას.
2. სახელმწიფოს მიერ პედაგოგებისა და პედაგოგობის მსურველთა დაინტერესება სოფლის სკოლებში მუშაობით მნიშვნელოვნად გაზრდის კვალიფიციურ პედაგოგთა მოზიდვასა და შერჩევას სოფლის სკოლებში, რაც განაპირობებს განათლების მაღალ ხარისხს რეგიონებში.
3. აუცილებელია სკოლის დირექტორებისათვის კადრების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება და გარკვეული ბრიშურების შექმნა.
4. მიზანშეწონილია კადრების შერჩევა კომპლექსურად, პედაგოგთა სხვადასხვა მახასიათებლის ერთობლიობის მიხედვით და ზრუნვა მათი სუსტი მხარეების განვითარებაზე.
5. თანამშრომლობა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის სასარგებლო იქნება, როგორც უმაღლესი სასწავლებლებისათვის (მისი სტუდენტები თეორიული ცოდნის შემენასთან ერთად, მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას), ასევე, სკოლებისათვის, რომელთაც საშუალება ექნებათ შეარჩიონ კომპეტენტური, პერსპექტიული კადრები.

ლიტერატურა:

1. ბოცვაძე ლ., შინაური მიმოხილვა, ჟურნ. „განათლება“, 1917წ., #6-7, გვ.360.
1. Strong J. H., Qualities of Effective Teachers, 2nd edition, Alexandria, Association for Supervision and Curriculum Development, 2007, p.25-83
2. Darling-Hammond L., The right to learn. San Francisco, Jossey-Bass publishers, 1997, p.40-91
3. www.thefreedictionary.com
4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2008, გვ.1
5. სკოლის მართვის სახელმძღვანელო, თავისუფლების ინსტიტუტი, 2007, გვ.107-144
6. პაიჭაძე ნ. ჩოხელი ე. ფარესაშვილი ნ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი, გამომცემლობა „სიტყვა“, 2011, გვ.33-95.
7. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, თბილისი, 2007.
8. Ronald K. Theel., Teacher Selection And Interview Portfolios, Principals' Perspectives. Dissertation, USA, 2002, p.21-57.
9. ბერიძე რ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009, გვ.39-83.
10. http://www.eduers.com/resume/Types_of_Interviews.htm

TEACHER SELECTION PROBLEMS AT SCHOOL

Ketevan Chkuaseli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor

Mariam Gilashvili, Master of Education Sciences

SUMMARY

A number of worldwide researches confirm, that a teacher has a great influence over student academic results and education quality. The orientation towards quality education and highly qualified teachers is one of the main aspects of the education reform in our country. Accordingly, analysis of teachers selection issues at school is very **actual** topic. **The aim of our research** is to identify teachers selection tools and methods, the problems connected to this issue and to make the recommendations. **The object of the research** is the methodology of teachers selection at public and private schools.

Research hypothesis: There is not an organised system of teachers selection process and methodology at Georgian schools. There are not concrete instructions from the state, so the process depends on subjective decisions.

Research methodology: Secondary information, qualitative and quantitative researches-questionnaire. **The novelty of the research:** The existing methods and forms of teachers selection are not investigated in Georgian educational world.

The results of the research confirmed the research hypothesis. The qualitative and quantitative researches have made it clear that Georgian schools do not have an organized system of teachers selection process. We have analysed the findings of our research and made some recommendations. Suppose, that these recommendations will be useful for teachers selection process.

სასწავლო საქმიანი თამაშების მეთოდი როგორც სტუდენტთა ეფექტური სწავლების საშუალება

თამაზ კარანაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის
მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: tamaz.karanadze@tsu.ge

სასწავლო თამაშები სულ უფრო მყარად მკვიდრდება და აქტუალური ხდება მომავალ სპეციალისტთა მომზადებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში. მათი შერწყმა თეორიულ ცოდნასთან საუკეთესო საშუალებაა ისეთი სიტუაციების შესაქმნელად, რომლებიც მაქსიმალურადაა მიახლოებული სინამდვილესთან, პრაქტიკასთან. ასეთი შინაარსის თამაშები აძლევენ სტიმულს ახალგაზრდებს გამოავლინონ აზროვნების აქტივობა, შემოქმედებითობა და დამოუკიდებლობა.

საყურადღებოა, რომ უმაღლეს სკოლაში ცოდნის მიწოდების ლექციური ფორმის გამოყენებისას სტუდენტი ინფორმაციის 20%-ზე მეტს ვერ ითვისებს, საქმიანი თამაშების გამოყენებისას კი ეს მაჩვენებელი 90%-ს აღწევს (Булгакова-Топоркова М.В. и др., 2002). ამასთან, იგი თითქმის ნახევრად ამცირებს კონკრეტული დისციპლინის ათვისებისათვის საჭირო დროს. ამგვარ ეფექტურობას განაპირობებს ის, რომ საქმიან თამაშებს ყოველთვის თან ახლავს გარკვეული დამაბულობა, კონფლიქტური სიტუაციები, რაც მის მონაწილეებს აიძულებს გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღონ, ამოირჩიონ სტრატეგია და ტაქტიკა, რაც აჩენს სტიმულირებისათვის აუცილებელ ემოციებს, იწვევს ინტელექტუალური რეზერვების მობილიზებას, ქმნის მოსწავლეთა ურთიერთშეჯიბრის პირობებს (Селевко Г.К.,1998). ჯანსაღი კონკურენცია კი, როგორც ცნობილია, წარმატების მიღწევის უპირველესი საშუალებაა. საინტერესოა, რომ საქმიანი თამაშების გამოყენებით არა მარტო კონკრეტული პროფესიული უნარ-ჩვევები ყალიბდება, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი ზნეობრივი თვისებებიც, როგორებიცაა შრომისმოყვარეობა, პრინციპიალურობა, კოლეგიალურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, პუნქტუალობა, ნებისყოფის სიმტკიცე და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის მთელი შინაარსი მიმართულია მომავალ სპეციალისტთა მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებისაკენ. დღეს, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, პიროვნება, რიგითი მუშა იქნება ის თუ ხელმძღვანელი, აღჭურვილი უნდა იყოს უნარ-ჩვევებით, რომელთა დახმარებითაც შეეძლება დამოუკიდებლად მიიღოს საჭირო გადაწყვეტილებები, იმოქმედოს ოპერატიულად, ერკვეოდეს თანამედროვე რთულ ელექტრონულ ტექნიკაში, შემოქმედებითად გაიაზროს და გაანალიზოს საქმიანობის შედეგები. ამიტომ ეთმობა თანამედროვე უმაღლეს სკოლაში დიდი ყურადღება სწავლების აქტიურ მეთოდთა ერთ-ერთ სახეობას – საქმიან თამაშებს (Платов В.Я.,1991).

სწავლების ხსენებული მეთოდი უდავოდ სარგებლობს მრავალი უპირატესობით, მაგრამ სწორედ ეს უპირატესობანი აქცევს მას ძალზე შრომატევად პროცესად, მოითხოვს ხანგრძლივ მომზადებას, მათ მაღალ კვალიფიკაციას, ვინც ხელმძღვანელობს და წარმართავს ასეთ თამაშებს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ დიალოგური ურთიერთობისაგან განსხვავებით, რაც სწავლების ტრადიციული მეთოდებისთვისაა დამახასიათებელი, საქმიან თამაშებში მასწავლებლის ფუნქცია ძირითადად ორგანიზაციული საკითხებით შემოიფარგლება, რაც პირველ რიგში გულისხმობს: საწყისი სიტუაციის გაცნობას, მონაწილეებისათვის როლების განაწილებას, სასწავლო დროის განსაზღვრას, მეცადინეობის მატერიალურ უზრუნველყოფას, კონკრეტული თამაშისათვის აუცილებელი წესების გაცნობას და სხვ. თამაშის პროცესში იგი საერთო კოლექტიური საქმიანობის მონაწილეა. ამასთან იგი სისტემატურად უნდა

ამოწმებდეს არიან თუ არა თამაშის მონაწილენი სრული ყურადღებით, რა დოზით არიან თამაშში ჩართულები, მოქმედებენ თუ არა ისინი ერთობლივად და პატივისცემით ეპყრობიან თუ არა თანაგუნდელთა საქმიანობას, მათ გამონათქვამებს, ახერხებენ თუ არა თვითგამოხატვას და რა სახით შეაქვთ პრობლემის გადაწყვეტაში პირადი ხედვა, პირადი მიღწევები,

განხილული მეთოდის გამოყენებისას სტუდენტები იძენენ ახალ უნარ-ჩვევებს კოლექტიური შემეცნებითი საქმიანობით. რა თქმა უნდა, მისაღები შედეგების სიზუსტის დადგენა წინასწარ შეუძლებელია, მაგრამ მათი სანდოობა თვით თამაშის პროცესში ვლინდება მონაწილეთა მიერ, რაც ხელს უწყობს თვითრეგულირებადი სასწავლო პროცესის აღმოცენებას.

აღსანიშნავია, რომ სწავლების სათამაშო მეთოდი ასახავს იმ თანამედროვე ფსიქოლოგიურ თეორიას, რომლის მიხედვითაც არკვევს სწავლების პროცესს და რომლის საფუძველშიც მოიაზრება მოსწავლეთა მოქმედიანობა. საქმიანი თამაშებისას თვით სტუდენტები მოიპოვებენ იმ ინფორმაციას, რომლებიც აუცილებელია სათამაშო სიტუაციების გასავითარებლად, ხდებიან კონკრეტული როლების შემსრულებლები და სწრაფად რეაგირებენ ამხანაგების მიერ დაშვებულ შეცდომებზე. თვითმართვა ეფექტურად ერწყმის თვითგანვითარებას.

ფაქტია – ყოველი ადამიანის ნებისმიერ საქმიანობას საფუძვლად უდევს მოტივი. სათამაშო მეთოდის გამოყენებისას სტუდენტს უჩნდება შემეცნების შესაბამისი მოტივაცია, ამიტომ სათამაშო მეთოდის მიზანი გაცილებით ფართოა, ჩვეულებრივ პრაქტიკულ მეცადინეობასთან შედარებით. ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებასთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მეთოდის საშუალებით ხდება რიგი ზნეობრივი თვისებების დაუფლება, და რაც მთავარია, სტუდენტები სწავლობენ კოლექტივში მოქმედებას, უყალიბდებთ პროფესიონალური ინტერესები.

საქმიანი თამაშებისას ძალზე კარგი პირობები იქმნება სასწავლო პროცესში სტუდენტის ემოციონალურად ჩართვის კუთხით, ზოგადი განწყობა თამაშის მიმართ, ძალდაუტანებელი ურთიერთობები, საშუალება გამოიჩინოს თავი, იყოს ორიგინალური, ჩანდეს კოლექტივში, დიდწილად ზრდის ემოციონალური ფაქტორის როლს, რის დახმარებითაც ადვილად ხდება ადრემპეინილი ცოდნის აღდგენა, განსაკუთრებული დამაბვის გარეშე მიმდინარეობს ახალი მასალის გათავისება (Мудрик А.В.,2005).

თამაშისას პროფესიონალური ამოცანების გადაწყვეტა საშუალებას იძლევა გაჩნდეს და გადაიჭრას სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები, გაჩაღდეს კამათი, დისკუსიები, რისი გაკეთებაც ჩვეულებრივი ტრადიციული მეცადინეობისას თითქმის შეუძლებელია. სწორედ პრობლემურობაა საქმიანი თამაშების როგორც მეთოდის უპირველესი ღირსება.

განხილული მეთოდის რეალიზებისას აუცილებელია სტუდენტი კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს მისთვის გამოყოფილი როლის შესრულებას; შეეძლოს კოლექტივის წევრებთან ურთიერთმოქმედება, ობიექტურად აფასებდეს საკუთარ თუ ამხანაგურ შესაძლებლობებს, ზუსტად ხედავდეს საკუთარ ადგილს ჯგუფური მუშაობისას, ღირსეულად ისმენდეს და აანალიზებდეს მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს, ანგარიშს უწევდეს უმრავლესობის მოსაზრებებს.

სათამაშო ტექნოლოგიების მეთოდთა რეალიზების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების როლისა და მათი გამოყენების თავისებურებების ცოდნა (Трайнев В.А.,1991). ცნობილია, რომ რაც არ უნდა მაღალ დონეზე იდგეს სათამაშო მოდელის ხარისხი, ხელმძღვანელის პროფესიული მომზადება, თამაშის მონაწილეთა ინტერესი, ძნელია სასურველია ეფექტის მიღწევა, თუ ამ პროცესში აღმოცენებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები თამაშისას რჩებიან სტიქიურ და უმართავ ძალად. ისინი მხოლოდ საჭირო კალაპოტში მოქცეულნი ხდებიან შემეცნებითი მოქმედიანობის მძლავრ კატალიზატორად და ამ დროს თავისი კონსტრუქციით სუსტი თამაშიც კი, მაღალშედეგიანობით გამოირჩევა. ამიტომ თითოეული პედაგოგის უპირველესი მოვალეობაა, ერკვეოდეს, რა განაპირობებს სოციალურ-ფსიქოლოგიური ეფექტის წარმოშობას და როგორ შეიძლება მისი სპეციფიკის გამოყენება საქმიანი თამაშების მომზადებისა და ჩატარების პროცესში.

საქმიანი თამაშების სპეციფიკურ თავისებურებად და უდავო უპირატესობად მისი ჯგუფური ხასიათი ითვლება. ცნობილია, რომ სწავლების ტრადიციული ფორმები და მეთოდები უმადლეს სკოლაში არ მოითხოვენ სასწავლო ჯგუფის ყველა მონაწილის ურთიერთმოქმედებას. ტრადიციული ფორმების ინდივიდუალური ხასიათი, ჯგუფის თითოეული წევრის წარმატებული სწავლა, ძალზე სუსტად, ან საერთოდ არაა დამოკიდებული ჯგუფის საერთო წარმატებასთან. სწავლების მიზნებს ჯგუფის ცალკეული წევრი ინდივიდუალურად აღწევს. ინდივიდუალურად იყენებენ საკუთარ საშუალებებსა და ხერხებს მასალის დაუფლებისათვის. ამ სიტუაციისათვის უცხოა ჯგუფში ერთობლივი მოქმედება, თითოეული წევრის მიერ საკუთარი წვლილის შეტანა წარმატების მისაღწევად. ყოველივე ზემოთქმული

საგრძობლად აფერხებს სწავლების პროცესის მართვაში სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების ჩართვას.

სასწავლო საქმიანი თამაშების, როგორც მეთოდის გამოყენება, გულისხმობს მოთამაშეთა ინტენსიურ ურთიერთმოქმედებას, მთელი ჯგუფის ერთი მიზნით შეკვრას. ამ მომენტში ნათლად ჩანს, რომ მიზნის მიღწევა მხოლოდ მთელი ჯგუფის ძალისხმევითაა შესაძლებელი. შედეგად ჩნდება პრინციპიალური შესაძლებლობა ეფექტურად იქნას გამოყენებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სწავლების პროცესის ინტერფერენცია და მთლიანად საქმიანი თამაშების სწორად რეალიზაცია.

საქმიანი თამაშების პროცესში წარმოიქმნება სპეციფიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, რომელთა ძალითაც მაღლდება სწავლების პოტენციალი. ამ სიტუაციაში ყველა გასაგებად უნდა იცნობდეს თამაშით საქმიანობის განსაკუთრებულ თვისებებს, კერძოდ,

1. თამაშის პირობითობას – რაც იმას ნიშნავს, რომ თამაშის მონაწილეები ნათლად აცნობიერებენ პირობით რეალობაში მათ საქმიანობას, რეალობას, რომელსაც გააჩნია გარკვეული კანონები;
2. თამაშისას მოხსნილია მოქმედების თავისუფლების ისეთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა, როგორიცაა მატერიალური და ნაწილობრივ მორალური პასუხისმგებლობა დაშვებული შეცდომების გამო. არ არსებობს შიში იმისა, რომ საკუთარი მოქმედებით პრაქტიკულ ზიანს აყენებ პარტნიორებს. თამაშის თითოეულ მონაწილეს გააჩნია ობიექტური შესაძლებლობა მიმართოს სასურველ ექსპერიმენტს, ეძებოს მიზნის მიღწევის ალტერნატიული ვარიანტი. შეიძლება დავასკვნათ, რომ თამაშში არა მარტო სუბიექტურ ბარიერებს არღვევს, კერძოდ, შიშს დაშვებული შეცდომისათვის პასუხი აგოს, არამედ პირიქით, სტიმულს იძლევა, უბიძგებს პიროვნებას მიიღოს დამოუკიდებელი ორიგინალური გადაწყვეტილებები.
3. სასწავლო თამაშს არ გააჩნია ერთმნიშვნელოვნად წინასწარ ცნობილი შედეგი, ე.ი. მას ახასიათებს ერთგვარი განუსაზღვრელობა, გაურკვეველობა. თამაშის მონაწილეებს მიზნის მისაღწევად თითქმის არ აქვთ მზა ალგორითმები. ისინი თვითონ უნდა აღმოაჩინონ, რაც აუცილებელია მოტივაციის წარმოსაქმნელად. ეს უკანასკნელი კი აქტიურობის, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების, ჯანსაღი კონკურენციის წინაპირობაა.
4. თამაშს გააჩნია ე.წ. სივრცით-დროითი თავისებურებები. ფაქტია, თამაშის პროცესში დრო და სივრცე გარკვეულწილად ვიწროვდება, რაც მას უფრო დინამიურსა და მოვლენებით მრავალფეროვანს ხდის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური სასწავლო საქმიანი თამაში გარკვეული დიალოგია, მაგრამ ისეთი დიალოგი, სადაც სიტყვები კი არ არის ყველაფრის გასაღები, არამედ იმ პროფესიული სფეროს შინაარსის მატარებელი მოქმედება, რომელიც რეალობის ამსახველია (Кавтарадзе Д.Н., 1991). მოთამაშის თითოეული ნაბიჯი თავისებური რეპლიკაა მოქმედების დიალოგში. სწორედ საქმიანი თამაშის დიალოგიზმია მისი პედაგოგიური პოტენციალის არსებითი კომპონენტი. ასეთი დიალოგის გზით თამაშის მონაწილენი პასიური პოზიციის მატარებლები კი არ არიან, არამედ იქცევიან მასწავლებლის, ხელმძღვანელის თანასწორ სუბიექტებად, ანუ ხდებიან სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილენი, ამასთან აქტიურდება შემეცნებითი ძალები და ვითარდება დამოუკიდებლად და შემოქმედებითად ცოდნის დაუფლების უნარები.

საინტერესოა, რომ საქმიანი თამაში, განსხვავებით სწავლების ტრადიციული მეთოდებისა, თავისავე კონსტრუქციაში ავითარებს იმ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია სწავლების პროცესში თამაშის მონაწილეთა პიროვნული ჩართვისათვის. ამ პროცესში სასწავლო ამოცანების გადასაჭრელად წინა პლანზე იწვევს ქცევის ისეთი მოტივები, რომლებიც ჩვეულებრივ არ მონაწილეობენ სწავლების პროცესში, ან ზოგჯერ ხელსაც კი უშლიან მის ეფექტურად წარმართვას. იგულისხმება ქცევის ისეთი მოტივები, რომლებიც თავს იჩენენ ჯგუფური მუშაობისას, კერძოდ, მისწრაფება ლიდერობისაკენ, აუტსაიდერის სახელის ჩამოშორება, კოლექტივის ინტერესების უპირატესობა და ა.შ.

ამრიგად, სასწავლო საქმიანი თამაშები ისეთ კომპლექსურ ამოცანებს წყვეტენ, როგორებიცაა ახალი ცოდნის დაუფლება, განვლილის განმტკიცება, შემოქმედებითი უნარების გამომუშავება, რიგი ზნეობრივი თვისებების შექმნა-სრულყოფა. თამაშების სტრუქტურაში იკვეთება ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპები, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებდა ადამიანის მოქმედიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფენომენი – თამაში. ეს ეტაპები ზოგადად შემდეგია: მიზანდასახულობა, დაგეგმვა, მიზანთა რეალიზაცია და შედეგთა ანალიზი, რომელთა დახმარებითაც პიროვნება, როგორც სუბიექტი, მთლიანად ახდენს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას, საქმიანი თამაშების მოტივაცია უზრუნველყოფს მონაწილის თამაშში ნებაყოფლობით ჩართულობას, თავისუფალ არჩევანს, შეჯიბრებითობის ელემენტების გააქტიურებას, თვითგამოხატვას, თვითდამკვიდრებასა და თვითრეალიზაციას.

ლიტერატურა:

1. Селевко Г.К. Современные образовательные технологии, М. 1998 [57-59]

2. Булгакова-Топоркова М.В, и др., Педагогические технологии, Ростов-на дону, 2002 [17-22]
3. Мудрик А.В. Социальная Педагогика, М. 2005 [87-97]
4. Кавтарадзе Д.Н. Обучение и игра, Мю 1991[38-45]
5. Платов В.Я. Деловые игры, М. 1991 [27-32]
6. Трайнев В.А. Проблемы развития игрового обучения в педагогическом вузе, М. 1991[65-67]

TEACHING PLAYS METHOD AS STUDENTS OPPORTUNITY OF EFFECTIVE TRAINING

Tamaz Karanadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

ABSTRACT

Teaching play is the best opportunity for students to use the theoretical knowledge into practical, to approach to real situation as close as possible, to encourage the motivation and thinking independently and creatively.

Using the teaching plays helps to establish not only concrete professional skills, but also moral characteristics, such as hard work, principle code, collegiality, responsibility, punctuality and etc.

Organizing teaching plays in high level will help students to learn how to make independent and operative useful decisions, how to choose the right strategy and tactic of solving a problem, how adjust healthy competition, how to believe in own potency.

სწავლების პროცესის ჰიგიენის ზოგიერთი ასპექტი და მასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი

ეფემია ხარაძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: Ephemias.kharadze@tsu.ge

ნინო ჩახუნაშვილი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: nino.chakhunashvili@tsu.ge

საგანმანათლებლო პროცესის მოდერნიზაცია განუხრელადაა დაკავშირებული განათლების ხარისხის ამაღლებასთან, ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა ფსიქოლოგიური კომფორტის უზრუნველყოფასთან. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მთლიანად, აგრეთვე მისი შემადგენელი ნაწილები ისე უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ მან უზრუნველყოს ოპტიმალურად შესაძლებელი საგანმანათლებლო შედეგების მიღება მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების თვალსაზრისით, მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (E. H. Назарова и др., 2008). ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი დაგეგმვით, სასკოლო ჰიგიენის ძირითადი დებულებებზე დაყრდნობით, კერძოდ კი, გონებრივი მუშაობისა და მოქმედების ჰარმონიული შეთანხმებით მოზარდთა დატვირთვის ნორმების საკითხებთან (И. В. Приходько и др., 2010). ძირითად ჰიგიენური მოთხოვნებს წარმოადგენს ოპტიმალური სასკოლო გარემოსა და სასწავლო პროცესის რაციონალური აგების უზრუნველყოფა ისე, რომ მოსწავლეთა შრომისუნარიანობა იზრდებოდეს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნას მაღალ დონეზე. სწავლების პროცესის ეფექტურობა უპირატესად დამოკიდებულია იმაზე, თუ პედაგოგიური ზემოქმედების ფორმები, მეთოდები, საშუალებები და სასწავლო პროცესის პირობები რამდენადაა შესაბამისობაში მოზარდთა ანატომიურ, ფსიქოლოგიურ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ, ასაკობრივ თავისებურებებთან. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ სადღეისოდ აქტუალურ ისეთ საკითხებზე, როგორცაა გამოცდების ჩაბარებისა და სახელმძღვანელოთა ჰიგიენის პრობლემები უმაღლეს სკოლაში. არანაკლებ

პრობლემატურია აღნიშნული საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დონეზეც, რაც ჩვენი სამომავლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ის ჰიგიენური მოთხოვნები, რაც წაყენება სტუდენტებისათვის გამიზნულ სახელმძღვანელოებსა და სემესტრული გამოცდების დაგეგმვისა და ჩატარების პროცედურებს.

ჩვენს მიერ, პედაგოგიკის ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად, ჩატარებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თსუ) და საპატრიარქოს ანდრეა პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში (სანქუ). ეს ორი უნივერსიტეტი შერჩეულ იქნა იმ მოსაზრებით, რომ ერთმანეთისათვის შეგვედარებინა ორი სხვადასხვა სწავლების სისტემის უმაღლეს სასწავლებელში არსებული პრობლემატიკა ჰიგიენური ნორმების დაცვასთან მიმართებაში. ამ მიზნით შევადგინეთ სტუდენტებისათვის განკუთვნილი კითხვარი, რომელიც შედგებოდა ღია და დახურული კითხვებისაგან. ფოკუს-ჯგუფს წარმოადგენდნენ ორივე უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტისა და კურსის სტუდენტები. დამატებითი მახასიათებლები (მაგ. აკადემიური მოსწრება) შერჩევაზე გავლენას არ ახდენდა. საპატრიარქოს უნივერსიტეტში გამოიკითხა 40 სტუდენტი, ხოლო თსუ-ში - 70.

პედაგოგიური პროცესის მსვლელობისას არაერთხელ მოგვისმენია სტუდენტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები სემესტრული გამოცდების ორგანიზების თაობაზე, რამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული პრობლემატიკით. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სემესტრულ გამოცდებს შორის მცირე შუალედებია (თსუ - გამოკითხულთა 72%, სანქუ - 52%); ამასთან, ღია კითხვებზე პასუხის გაცემისას სტუდენტებმა (47%) აღნიშნეს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც საგამოცდო დღეებს შორის საერთოდ არ არის შუალედები, ან უარეს შემთხვევაში, სტუდენტებს ერთი დღის განმავლობაში ორი გამოცდის ჩაბარება უხდებათ და გამოცდიდან გამოცდამდე ინტერვალი 2-3 საათს შეადგენს. ჰიგიენური ნორმებით, აუცილებელია სტუდენტებს გამოცდიდან გამოცდამდე 3-4 დღე მაინც ჰქონდეთ, რაც უზრუნველყოფს შემდგომი გამოცდისათვის დამზვიდებით მზადებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში საჭიროა ისინი საკმაოდ დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე, ეწეოდნენ აქტიურ დასვენებას, საკვები მენიუ მდიდარი იყოს ვიტამინიზირებული, კალორიული საკვებით, რადგანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი ჯერ კიდევ ჰაბუკობის ასაკის მოზარდები არიან, მათი ნერვული სისტემის ტერმინალური ჩამოყალიბება დასრულებული არ არის. არასახარბიელო სურათია ბაკალავრიატის საფეხურის გამოცდებზე შექმნილი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ წერით გამოცდებს ესწრებიან ე.წ. დამკვირვებლები. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცალსახად დაადასტურა მათი ხშირად უხეში, ცინიკური, არასამართლიანი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი, რაც იწვევს დამატებით გაღიზიანებას, საგამოცდო ეიფორიის გაძლიერებას და გავლენას ახდენს არამართო გამოცდის ჩაბარების ხარისხსა და შედეგზე, არამედ აისახება მოზარდის ნერვული სისტემის მდგომარეობაზეც. გამოცდები უნდა მიმდინარეობდეს მშვიდ, კეთილმოსურნე, მეგობრულ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ ორივე უნივერსიტეტში პრობლემას ქმნის საგამოცდო ბილეთებში ისეთი საკითხების შეტანა, რომლებიც ლექციაზე არ მოუსმენიათ (თსუ - 58%, სანქუ - 75%). უდავოა, რომ სასწავლო პროგრამებისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა ცვალებადია. არის შემთხვევები, როდესაც დისციპლინებს, რომლებიც ორი სემესტრის განმავლობაში იკითხებოდა თსუ-ში, ახლა მხოლოდ ერთი სემესტრი აქვს დათმობილი და, შესაბამისად, ლექტორი იძულებულია უფრო შეკუმშული სახით, არასიღრმისეულად გააცნოს სტუდენტებს სილაბუსით გათვალისწინებული თემები. მიუხედავად ამისა, მიუღებლად მიგვაჩნია საგამოცდო ბილეთებში იმ საკითხების შეტანა, რაზეც საუბარი არ ყოფილა ლექციაზე ან არ განხილულა ჯგუფური მუშაობის მსვლელობისას. მითუმეტეს რთულია, როდესაც ისედაც მცირე საგამოცდო შუალედების პერიოდში მათ უწევთ უცნობი და ახალი მასალის დაუფლება. ეს, რა თქმა უნდა, ცუდად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე და ასახავს პოვნებს, პირველ რიგში, ნერვულ სისტემაზე, რაც შესაძლებელია გადაიზარდოს ორგანულ ჩივილებში (გულის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის, მხედველობის ან ორგანიზმის ჰუმორული რეგულაციის დარღვევის ფორმით). გამოცდები ძალზე საყურადღებო აქტია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. იგი შესაძლებლობას იძლევა გამოვარკვიოთ სტუდენტთა ცოდნის დონე, წარმოდგენას გვიქმნის მათ მიერ იმ ცოდნის ათვისებაზე, რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული დისციპლინის სილაბუსით. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ გამოცდების პერიოდსა და მათთვის მზადების პროცესში სტუდენტები ენერგიის მნიშვნელოვან რაოდენობას კარგავენ, რაც იწვევს მათი ნერვული სისტემის, განსაკუთრებით, თავის ტვინის ქერქის დაძაბვას (აგზნებას ან შინაგან შეკავებას). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როცა გამოცდები ტარდება სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნათა დაცვით, არათუ არ ვნებს ჯანმრთელობას, არამედ,

პირიქით, გამოაწრობს და განამტკიცებს ნერვულ სისტემას, ავითარებს ისეთ ფსიქიკურ ფუნქციებს, როგორცაა ნებისყოფა, მეხსიერება, აზროვნება. ცხადია, ჰიგიენურ მოთხოვნათა დაუცველობის, გამოცდების არასწორად დაგეგმვისა და ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელია შედეგები სავალალო აღმოჩნდეს მოზარდთათვის არამარტო მიღებული შეფასებების თვალსაზრისით, არამედ, რაც გაცილებით მნიშვნელოვანია, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისითაც (გადაღლა, გადაქანცვა, ასტენიური ნევროზი) (E. H. Назарова и др., 2008).

შუალედური თუ სემესტრული გამოცდებისათვის მზადება მიმდინარეობს როგორც სალექციო მასალის, ასევე სილაბუსში მითითებული ლიტერატურის საშუალებით. ჩვენი კვლევის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა იმ პრობლემების გამოვლენა, რაც უმაღლეს სკოლაში სასწავლო სახელმძღვანელოებთან არის დაკავშირებული.

განათლების შინაარსის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო სახელმძღვანელო. იგი უნდა ასახავდეს როგორც უახლეს მიღწევებს, ასევე შედგენილი იყოს სწავლების დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებით, გამართული იყოს პედაგოგიურად და მეთოდოლოგიურად და შესაბამისობაში მოდიოდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტთან „სახელმძღვანელოს შინაარსი ფაქტიურად ამ საგანში ცოდნის, განათლების კონკრეტულ შინაარსს გამოხატავს და არსებითად პასუხობს დიდაქტიკის ერთ-ერთ კითხვაზე „რა ვასწავლოთ““ (დ. ლორთქიფანიძე, 1983). უმაღლესი სკოლის სწავლების სპეციფიკას სტუდენტებისათვის მათი დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს და ამ შემთხვევაში, სწორედ სახელმძღვანელოს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ახალგაზრდები კონკრეტულ ცოდნას ვერ მიიღებენ, თუ ხელი არ მიუწვდებათ სასწავლო ლიტერატურაზე. გარდა ამისა, იგი საშუალებას აძლევს სტუდენტს გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები: მას შემდეგ, რაც ლექტორისაგან მოისმინა ლექციაზე და ჩაწვდა მასალის დედააზრს, დამოუკიდებლად, სახლში, სახელმძღვანელოს საშუალებით პრაქტიკული სავარჯიშოების ამოხსნით შეძლებს საფუძვლიანად შეითვისოს კონკრეტული ცოდნა, მოემზადოს ჯგუფური მუშაობისათვის, ან შუალედური თუ დასკვნითი გამოცდებისათვის.

წიგნი შემეცნების უნარის განვითარების, სწავლის მოტივაციის გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს და, ამდენად, სტუდენტების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს ხარისხიანი, ჰიგიენური ნორმების დაცვით შედგენილი სახელმძღვანელოებით. ისინი გამართული უნდა იყოს შინაარსობრივად, მეთოდურად, ტექნიკური კუთხით და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მეცნიერების განვითარების უახლესი მიღწევების გადმოცემა ლოგიკური თანმიმდევრობით; წარმოადგენილი იყოს თეორიულ დებულებათა შესაბამისი პრაქტიკული მაგალითები; საკითხები დალაგებული უნდა იყოს მიზნო-შედეგობრივი კავშირის მიხედვით: ცალკეული თავები და პარაგრაფები ლოგიკურ ერთიანობაში უნდა იყოს ერთმანეთთან; დაწერილი უნდა იყოს სალიტერატურო ენით; უნდა დაეხმაროს სტუდენტს ადექვატურად და სწრაფად აღიქვას სასწავლო ინფორმაცია, აძლიერებდეს მასში კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს (ა. ასათიანი 2008). მკითხველის ყურადღებას წიგნის მიმართ განაპირობებს ისიც, თუ ვიზუალურად როგორ გამოიყურება, რამდენად მაღალ დონეზეა იგი გაფორმებული (გარეკანი, ილუსტრაციები, დიაგრამები, რუკები) და შესაბამისად, სასწავლო სახელმძღვანელოებისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნები გულისხმობს: მკითხველის მაქსიმალური პროდუქტიულობის უზრუნველყოფას მხედველობის ორგანოს ხანგრძლივი მუშაობისას, ამასთან ისე, რომ თვალი რაც შეიძლება ნაკლებად დაიძაბოს და გადაიღალოს; ასოებისა და სხვა ნიშნების სიდიდე უნდა იყოს ისეთი, რომ მათი ძირითადი დეტალები ჩანდეს თვალთახედვის ერთგრადუსიანი კუთხით (შრიფტის ზომა 10-12); ასოები და გამოსახულებანი მკაფიოდ უნდა ჩანდეს გარემომცველ ფონზე (ქაღალდის სითეთრის მაჩვენებელი – 74-88%), არ უნდა საჭიროებდეს სამეცადინო ადგილის მეტისმეტ განათებას ან თვალის მიახლოებას წიგნთან (მაქსიმალური მანძილი 35-40სმ) (И. В. Приходько и др., 2010). მსოფლიო დეკლარაციაში „განათლება ყველას“ ნათქვამია: „განათლების ხარისხის გაუმჯობესება დაფუძნებულია იმაზე, თუ რამდენად რელევანტურია და უმაღლესია ხარისხი წიგნებისა, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სტუდენტისათვის“.

ხშირ შემთხვევაში სტუდენტები გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან სასწავლო სახელმძღვანელოებთან სილაბუსით გათვალისწინებულ ლიტერატურასთან მიმართებაში. ჩვენი ხელმძღვანელობით პედაგოგიკის სტუდენტებთან ერთად ჩატარებული კვლევისათვის ჩამოვყალიბეთ ჰიპოთეზა: უმაღლესი სკოლისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები ძნელად ხელმისაწვდომია, არ მოიპოვება ეგზემპლარების სათანადო რაოდენობა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში, სილაბუსში ჭარბადაა მითითებული უცხოენოვანი სახელმძღვანელოები, მათი ქართულად თარგმნის ხარისხი, ხშირ შემთხვევაში, როგორც შინაარსობრივად, ასევე ჰიგიენური მიდგომით ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. კვლევამ დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა. აღმოჩნდა, რომ სახელმძღვანელოების პრობლემა საერთოა თსუ-

ის და სანქუ-ის უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის. კერძოდ, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები ჯერ კიდევ ვერ არის უზრუნველყოფილი უახლესი ფუნდამენტური სამეცნიერო და სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელოთა საკმარისი რაოდენობის ეგზემპლარებით. კითხვაზე, მოიპოვება თუ არა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ლექტორის მითითებული ყველა სახელმძღვანელო, თსუ-ის სტუდენტთა 55,7%-მა და სანქუ-ის სტუდენტთა 75%-მა უარყოფითად უპასუხა. სტუდენტებმა დახურული კითხვების დასმისას დაადასტურეს, რომ მშობლიურ ენაზე ნათარგმნი ან ქართველი მეცნიერების ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოების დეფიციტი შეიმჩნევა (თსუ – 71%, სანქუ – 67%). შესაბამისად, ჭარბად გვხვდება უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც, როგორც მოპოვების, ასევე გამოყენების თვალსაზრისით პრობლემატურია სტუდენტებისათვის (ასე თვლის თსუ-ის სტუდენტთა 94,2%, ხოლო საპატრიარქოს უნივერსიტეტის სტუდენტების 80%). სახელმძღვანელოების დეფიციტის გამო სტუდენტებს ხშირად უხდებათ წიგნების ასლის გადაღება, რომელიც ხშირად უხარისხოა, ზოგჯერ ნაწერი არც კი იკითხება და, რა თქმა უნდა, ვნებს ახალგაზრდის მხედველობას. უნივერსიტეტებში განსაკუთრებით მოსაგვარებელია უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმნისა და გამოცემის პრობლემა. ნათარგმნი ლიტერატურა, უმეტესად, მდარე ხარისხისაა, ტექნიკური გამართულობის მხრივაც ვერ აკმაყოფილებს ჰიგიენურ მოთხოვნებს, რაც საბოლოო ჯამში, სტუდენტის მიერ ცოდნის მიღების პროცესისათვის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში გამოტანილი პრობლემები დაძლევადა. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული თსუ-ის საგამოცდო ცენტრი, რომელიც უფლებამოსილია და ვალდებულია თსუ-ში შუალედური და სემესტრული წერითი გამოცდების ჩატარების ორგანიზების პროცედურებზე. სწორედ მას ევალება წერითი გამოცდების ჩატარების განრიგის შემუშავება და დადგენა (საგამოცდო ცენტრის დებულება თავი II, მუხლი 3); ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სტუდენტების მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ამოქმედდა სერვისი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკიდან იმ სახელმძღვანელოთა გამოთხოვას სტუდენტებისათვის, რომელიც არსებულ ბიბლიოთეკას არ მოეპოვება; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-მა თავის თავზე აიღო იმ უცხოური სახელმძღვანელოების თარგმნა, რომელთა შესყიდვაც ხელმისაწვდომია. ლექტორატი თვითონაც აქტიურად არის ჩაბმული სასწავლო სილაბუსით გათვალისწინებული უცხოური ლიტერატურის მშობლიურ ენაზე თარგმნისა და ლექციების ელექტრონული ვერსიების მომზადებაში.

მიუხედავად ჩამოთვლილი პოზიტიური ნაბიჯებისა, ნაშრომში გამოტანილი პრობლემები მოითხოვს ჯეროვან ყურადღებას, რეალური ქმედებების განხორციელებას, ვინაიდან 18-22 წლის ახალგაზრდის ტვინის მორფოლოგიური სიმწიფე და ქმედითუნარიანობა ქმნის პირობებს მისი ფსიქიკური ფუნქციების სწორად ფორმირებისათვის, შემეცნებითი აქტივობის განვითარებისათვის. სწორად ორგანიზებული, სასკოლო ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით წარმართული სწავლების პროცესი კი განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს სტუდენტთა სისტემატური სწავლა-განათლებისათვის მზაობის, შესაბამისად, ფიზიკურად ჯანმრთელი და პროფესიულ ცოდნას დაუფლებული სპეციალისტების აღზრდისათვის.

ლიტერატურა:

1. ავთანდილ ასათიანი, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები და თანამედროვე საგანმანათლებლო სტრატეგია, თბილისი, საგამომცემლო სახლი (ტექნიკური უნივერსიტეტი), 2008. [გვ. 165-172];
2. დ.ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983, [გვ. 129];
3. Е.Н. Назарова, Ю.Д. Жилов, Возрастная анатомия и физиология, Москва, Издательский центр «Академия» 2008, [გვ. 229–231], [გვ. 226–227];
4. И.В. Приходько, Е.Л. Чертищева, В.А. Лебедь, Н.В. Барыкина, Гигиена детей и подростков, Ростов-на-Дону, «Феникс», 2010, [გვ. 124–135];
5. საგამოცდო ცენტრის დებულება, <http://www.tsu.edu.ge/ge/departments/examcentr/about/lkbqbeqwf0x96abqp>

SOME ASPECTS AND PROBLEM ANALYSES OF THE TEACHING PROCESS HYGIENE

Ephemia Kharadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant-Professor

Nino Chakhunashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant-Professor

RESUME

The Hygiene of teaching process is one of the most important part of school. The spectrum of its research is pretty wide-ranging. At the present, we will pay attention on essential issues such as passing exams and problems of hygiene of books in high school. This study presents those hygiene requirements to the students, which covers planning the teaching process and organizing exams and its procedures.

Exams are very considerable process in the University life. We have to take to the consideration that in the process of the study and also during the period of exams students are losing their energy, which makes them more nervous (for instance: exhaustion, tiredness, asthenia nervousness).

As a result of our research with the students of Pedagogical Institute, we insist that there is a little time in between semester exams. Very often, there is no time in between exam days and even worse, when a student should pass two exams in a day, where the interval in between exams are two-three hours.

The preparation for the middle or semester exams occurs by the material and literature of the Syllabus. The next level of our research offered to declare the problems existed at the Universities regarding the books. We found out that there are many foreign literature in the Syllabus. These shows the deficit of the translations to the Georgian language as well as the deficit of the material published by Georgian authors.

საუნივერსიტეტო სწავლებაში პროგრამის „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“ გამოყენების პოზიტიური შედეგები

ნინო ლომთათიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის დოქტორი

ნარგიზ ალასანია, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი

დღეს ბევრს საუბრობენ საუნივერსიტეტო განათლების გარდაქმნისა და განვითარების აუცილებლობაზე. პროგრამის „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“ ამოქმედება განაპირობა საუნივერსიტეტო სწავლებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანის მცდელობამ.

უპირველესად, კრიტიკული აზროვნება ესაა დამოუკიდებელი აზროვნება. როცა სალექციო კურსი კრიტიკული აზროვნების პრინციპზეა აგებული, სტუდენტები დამოუკიდებლად ახორციელებენ საკუთარი იდეის შეფასების, მრწამსის ფორმულირებას. შესაბამისად, აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალური ხასიათისაა. სტუდენტს საკმარისი თავისუფლება უნდა ჰქონდეს, რათა იფიქროს და დამოუკიდებლად გადაჭრას სხვადასხვა სირთულის პრობლემა. ამრიგად, კრიტიკული აზროვნების პირველი და უმთავრესი მახასიათებელი დამოუკიდებლობაა.

მეორე – ინფორმაცია, კრიტიკული აზროვნების ათვისების სათავეა და არა საბოლოო წერტილი. ცოდნა აღძრავს მოტივაციას, რომლის გარეშე კრიტიკულად აზროვნება შეუძლებელია. ერთი ფასეული აზრის ჩამოყალიბება ზღვა ინფორმაციის გადამუშავებას მოითხოვს.

მესამე – კრიტიკული აზროვნება იწყება იმ საკითხთა დასმით და პრობლემათა განხილვით, რომელიც გადაჭრას მოითხოვს. შემეცნებითი პროცესი ყოველ ეტაპზე იმით ხასიათდება, რომ შემეცნებელი პრობლემის გადაჭრისათვის, მისივე ინტერესიდან გამომდინარე ეძებს პასუხს.

მეოთხე – კრიტიკული აზროვნება მუდამ ისწრაფვის დამაჯერებელი არგუმენტაციისაკენ.

ყოველი არგუმენტაცია სამ ძირითად ელემენტს შეიცავს. არგუმენტაციის მთავარი შინაარსია მტკიცება, რომელიც მთელი რიგი საბუთებითაა გამყარებული. თავის მხრივ, ყოველი საბუთი ემყარება მტკიცებულებას. საბუთს და მტკიცებულებას ეყრდნობა კიდევ ერთი ელემენტი – საფუძველი.

მეხუთე – კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა. როცა ვკამათობთ, ვკითხულობთ, ვიხილავთ, უარყოფთ, ვეწინააღმდეგებით და ვცვლით აზრებს, ვაზუსტებთ ჩვენს პოზიციას. (თემფელი, 2001)

ამდენად, თუ ლექციას წარმართავთ კრიტიკული აზროვნების მიმართულებით, ამ შემთხვევაში მეცადინეობაზე ვიყენებთ წყვილებში თუ ჯგუფური მუშაობის ფორმებს, დებატებს, დისკუსიის ან სხვადასხვა სახის წერილობით პუბლიკაციებს.

პროგრამა „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“ (კწკა) სწავლების მეთოდების ფართო არჩევანს გთავაზობს. იგი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაუზიარონ ერთმანეთს საუნივერსიტეტო პრობლემები და დასახონ მათი გადაჭრის გზები, ეფექტურად დაგეგმონ და შეაფასონ სასწავლო-კვლევითი პროცესი.

აღნიშნული პროგრამა ასევე მრავალმხრივ დახმარებას უწევს უმაღლეს სასწავლებლებს, კერძოდ საგანმანათლებლო – კვლევით გარემოში შექმნან და დანერგონ ისეთი სამეცნიერო-პედაგოგიური პრინციპები, რომელიც ხელს შეუწყობს: უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რენოვაციული პროცესების გაცნობას, უმაღლესი სკოლის განვითარებაში პედაგოგიური და აკადემიური კადრების ჩართვას, აქტიურ კვლევასა და სწავლება/სწავლას,

წერისა და კითხვის პროცესის დახვეწასა და მიზანმიმართულ გამოყენებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, შეფასების ალტერნატიული მოდულებისა და მეთოდების დანერგვას, პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარებას, სწავლება/სწავლისა და კვლევის მოტივაციის გაზრდას, არგუმენტირებული მსჯელობისა და დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, პროფესიული უნარების განვითარებას.

განათლება, რომელიც თავის თავში მოიცავს სწავლის ჩვევების დაუფლებას, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე არ ძველდება. უმეტესად იგი ამზადებს სტუდენტობას, სამყაროსთან ხანგრძლივი ინტელექტუალური ურთიერთობისათვის რათა არ შეაჩეროს თავისი გონებრივი ზრდა-განვითარება.

ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე სწავლება/სწავლის აქტიური ფორმების გამოყენების დროს მაღალია სტუდენტთა დაინტერესება. კერძოდ, სწავლების ეფექტურობას განაპირობებს: ნათლად გამოკვეთილი მოლოდინები, წერითი დავალებები, ინტერაქტული საკითხები, ერთობლივი სწავლება/სწავლა და მუშაობა, სასწავლო კურსის დაკავშირება გარემო სამყაროსთან, რეალურ ცხოვრებასთან.

სტუდენტთა ინტელექტუალურ განვითარებას ხელს უწყობს სამი ძირითადი პირობის დაცვა:

1. სტუდენტი ისეთ სიტუაციაში მოექცეს, სადაც საჭიროა საკუთარი მოსაზრებების შემუშავება და ბოლომდე დაცვა;

2. გაიზიარონ სხვა სტუდენტების მოსაზრება, რომელიც მათი შეხედულებისაგან განსხვავდება;

3. შევთავაზოთ სტუდენტებს წერითი ფორმით გადმოსცენ, თუ როგორ იცვლება მათი აზროვნება; (მიმინოშვილი, 2005)

ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა კონცეპტუალური საბაზო მოდელი, რომლის ფარგლებში რეკომენდებულია სამოდულო ლექციების ჩატარება. აქტიური სწავლება/სწავლის საბაზო მოდელი მოიცავს სამ სტადიას: 1. გამოწვევა; 2. შინაარსის რეალიზება; 3. რეფლექსია.

1. გამოწვევის სტადიის სტრატეგიები წამოჭრის განსახილველ თემას და სტუდენტს ეხმარება, ჩაუფიქრდეს და დასვას მასთან დაკავშირებული შეკითხვები. ამ სტადიაზე სასწავლო მოქმედება ეფუძნება პედაგოგიური კვლევის შედეგებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ უკეთ ვიმეცნებთ მაშინ, როცა მოცემულ თემასთან დაკავშირებულ ცოდნას ვიხსენებთ, ვსვამთ კითხვებს და ვსახავთ საკუთარ სასწავლო მიზნებს.

სრულიად მართებულია მეცადინეობის დაწყება იმ კითხვებით, რომელიც კავშირს ამყარებს იმასთან, რაც სტუდენტმა უკვე იცის და რაც უნდა ისწავლოს მიმდინარე პროცესში. კითხვები ეფექტურ შედეგს იძლევა წყვილებში მუშაობის დროს. სტუდენტებს ვყოფთ წყვილებად და ვთავაზობთ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრება. ამ დროს ყველა სტუდენტი აქტიურია, მათ სტიმული აქვთ დაფიქრდნენ და ერთად განიხილონ მასალა.

შეიძლება გამოვიყენოთ კლასტერები (აბლაბუდა) – ანუ სემანტიკური ბადეები, რომლებიც ეხმარება სტუდენტებს იდეებს შორის კავშირის დამყარებაში. შუა დაფაზე წრიულად ვწერთ თემას, წრის ირგვლივ საფეხურებად ვწერთ ქვეთემებს. სტუდენტებს მოეთხოვებათ მოიგონონ მათთვის ცნობილი ცნებები და ფაქტები ყოველ ქვეთემასთან დაკავშირებით.

„გონებრივი იერიშის“ – ხერხის ალტერნატივის სახით ცალკეულ სტუდენტს შეიძლება შევთავაზოთ თავისუფალი წერა. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ დროის ფარგლებში ისინი წერენ ყველაფერს, რაც მოცემული თემის ირგვლივ მოუვათ თავში.

2. „შინაარსის რეალიზების სტრატეგიები“ – ლექციის მეორე სტადიაა, როდესაც სტუდენტები ეცნობიან და ეუფლებიან უცნობ მასალას, მაგრამ არა პასიურად, არამედ მუშაობის პროცესში, კითხვებზე

პასუხის მიხედვით. „შინაარსის რეალიზება“ ისეთ ცნებებს მოიცავს, როგორცაა: „გაგება“, „აგება“, „ძიება“ და ა.შ. ამ სტადიაზე გამოყენებული მეთოდები კი ცალსახად აქტიურია.

ჩვენი კვლევით დადასტურდა, რომ სტუდენტები მასალის შინაარს უკეთ წვდებიან, როცა კითხვები ისმება მასალის გაცნობამდე და არა შემდეგ. სტუდენტთა ყურადღება მნიშვნელოვნად სუსტდება ლექციის დაწყებიდან 20 წუთის შემდეგ. ეს ადასტურებს აქტიური ლექციის გამოყენების სარგებლიანობას. აქტიური ლექცია იწყება გამოწვევის სტადიის მოქმედებით და გამიზნულია იქითკენ, რომ სტუდენტებს გაუჩნდეთ კითხვები და საკუთარი მიზნები გამოკვეთონ.

აქტიურ ლექციას ვყოფთ 15–20 წუთიან მონაკვეთებად, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფა ხერხების გარკვეული წრით – დაფიქრდით, დაიყავით წყვილებად ან ჯგუფებად და ერთმანეთს გაუზიარეთ აზრები. ლექციის კულმინაცია პიკს აღწევს მაშინ, როდესაც იწყება კითხვებზე პასუხის გაცემა ან მოლოდინის დასკვნით ნაწილთან. აქტიური ლექციის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი რაოდენობის ჯგუფთან და სტიმულს აძლევს აქტიური სწავლება/სწავლის ისეთ ტიპობრივ კონტექსტსაც კი, რომლის დროსაც აუდიტორია, ჩვეულებრივ პასიური რჩება.

ვიცი/ მინდა ვიცოდე/ გავიგე – არის სტრატეგია, რომლის დროსაც თავდაპირველად სტუდენტებს ეძლევათ საშუალება განახორციელონ გონებრივი იერიში და განსაზღვრონ, თუ რა იციან თემის ირგვლივ. შემდეგ ლექტორის დახმარებით ისინი ეძებენ ინფორმაციას და არკვევენ თუ კიდევ რისი ცოდნა უნდათ თემის გარშემო. გამოკვლევის ჩატარების შემდეგ სტუდენტებს ვთხოვთ შეადგინონ სია, რა გაიგეს თემის შესახებ და ამ გზით მიღებული ინფორმაცია წარმოადგინონ ცხრილის სახით.

კითხვა/შეჯამება წყვილებში – არის სტრატეგია, როცა სტუდენტები იყოფიან წყვილებად და ეცნობიან ტექსტს. ტექსტის ნაწილებს კითხულობენ მორიგეობით და შემდეგ ერთი აჯამებს თუ რაზე არის საუბარი ტექსტში, მეორე ტექსტის ირგვლივ სვამს საკვლევ კითხვებს, რომელზედაც პასუხის გაცემას ორივე ცდილობს. ამის შემდეგ იცვლიან როლებს და კითხულობენ ტექსტის შემდეგ ნაწილს.

ორმხრივ ჩანაწერთა დღიურის გამოყენება სასარგებლოა მაშინ, როდესაც სტუდენტები კითხულობენ საკმაოდ ვრცელ ტექსტს. თაბახის ფურცელს ვყოფთ ვერტიკალური ხაზით შუაზე, მარცხენა სვეტში სტუდენტები აღნიშნავენ, ტექსტის რომელმა ნაწილმა მიიპყრო მათი განსაკუთრებული ყურადღება. მარჯვენა სვეტში კომენტარებს უკეთებენ იმ ფრაზებს, რომლებიც მათ ჩაწერენ მარცხენა სვეტში.

კითხვის მეთოდი „მოზაიკა“ – ამ დროს სტუდენტებს ეძლევათ დავალება წაიკითხონ მთლიანი ტექსტი. ვურიგებთ მათ მოცემულ მასალაზე შედგენილ სასწავლო კითხვებს და ამის შემდეგ სტუდენტებს ვყოფთ საექსპერტო ჯგუფებად, სადაც ისინი მუშაობენ ერთად და იძენენ გამოცდილებას კითხვების ცალკეულ კომპონენტში. შემდეგ ამ საკითხებს იხილავენ თავიანთ საექსპერტო ჯგუფთან ერთად, რათა იპოვონ პასუხები აღნიშნულ კითხვებზე. ამის შემდეგ უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ ჯგუფებს და მასალის თავიანთ ნაწილს ასწავლიან მათ.

ტექსტის მარკირება, ანუ ნიშანთა სისტემით ტექსტის წაკითხვა – ამ შემთხვევაში სტუდენტები ჩვეულებრივ, გონებრივი იერიშით ინდივიდუალურად ან წყვილებში იწყებენ იმის გარკვევას თუ რა იციან თემის შესახებ და კითხვის პროცესში აკეთებენ აღნიშვნებს სხვადასხვა ნიშნებით. კერძოდ, აღნიშნავენ ტექსტში ადგილს, რომელიც ამტკიცებს ან უარყოფს მათ ვარაუდს, სადაც მოცემულია მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მოუთითებენ ადგილს, რომლის შესახებაც მეტის გაგება სურთ.

3. რეფლექსიის სტადიის სტრატეგიები. რეფლექსიას ანუ გააზრებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ვიზიარებთ ახალ იდეას და ვაძარებთ ყოფილ წარმოდგენას, ვიყენებთ, ვაძლევთ

ინტერპრეტაციას, განვიხილავთ და შემდგომ მოქმედებაში ვეყრდნობით.

ერთობლივი ძიების მეთოდი – გულისხმობს, როცა სტუდენტები კითხულობენ შინაარსობრივად მდიდარ ტექსტს, რომელიც მოითხოვს დაფიქრებას. ლექტორი განხილვის დაწყების წინ აყალიბებს 4–5 საინტერპრეტაციო კითხვას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამ კრიტერიუმს: 1. კითხვა უნდა ეხებოდეს საინტერესო პრობლემას;

2. უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ტექსტს;

3. კითხვა ღია და არაერთგვაროვანია და მასზე პასუხის გაცემა შესაძლებელი უნდა იყოს ორი გზით.

კითხვას ვწერთ დაფაზე და სტუდენტებს ვაძლევთ დროს პასუხის დასაწერად. შემდეგ სტუდენტებს ვთავაზობთ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი იდეები. სტუდენტების იდეებს პერიოდულად ვაჯამებთ და ვაყალიბებთ.

ჯვარედინი დისკუსია არის განსჯის მექანიზმი. ამ დროს მსჯელობას წარმართავენ თავად სტუდენტები. ამ მიზნით დაფაზე ვწერთ ორმაგ შეკითხვას, რომელზეც შეიძლება პასუხი იყოს დადებითი

ან უარყოფითი. სტუდენტები იყოფიან წყვილებად და ადგენენ საკუთარ სადისკუსიო ცხრილს. 6–7 წუთის განმავლობაში წყვილებად დაყოფილი სტუდენტები განიხილავენ საკითხს.

სასწავლო დისკუსია – როგორც ერთობლივი სწავლების მეთოდი გამოიყენება მრავალი ინტერპრეტაციის მქონე პრობლემის გამოსაკვლევად. ამ სტრატეგიის უპირატესობა ისაა, რომ დისკუსიაში ჩართულია უკლებლივ ყველა სტუდენტი.

სტუდენტებს ვუსახავთ პრობლემას და ვაძლევთ „ბინალურ“ (ორმაგ) კითხვას, რომელიც გულისხმობს პასუხებს: თანახმა ვარ/არა ვარ თანახმა, სწორია/არასწორია, დიახ/არა. სტუდენტები იყოფიან ოთხ კაციან ჯგუფებად, ხოლო ჯგუფებში წყვილებად. ყოველმა წყვილმა დასმულ პრობლემაზე საპირისპირო თვალსაზრისი უნდა დაიცვას. 5 წუთის შემდეგ წყვილები იშლებიან, ეძებენ სხვა წყვილის წევრებს, რომლებიც მსგავს თვალსაზრისს იცავენ. ახალი წყვილები უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს, განიხილავენ არგუმენტებს და უბრუნდებიან თავდაპირველ პარტნიორებს, რათა აცნობონ თუ რა გაიგეს. ყოველივე ამის შემდეგ წყვილები ამოირჩევენ ყველაზე ძლიერ არგუმენტს იმ წყვილის წინააღმდეგ, რომელიც დასაწყისში შედიოდა მათ ოთხეულში. 10 წუთიანი დებატების შემდეგ ვაძლევთ ნებას სტუდენტებს, მოიტანონ იმ თვალსაზრისის სასარგებლო დასაბუთება, რომელსაც იზიარებენ.

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგად ცხადია, რომ პროგრამის „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“ საუნევერსიტეტო სწავლებაში დანერგვა პოზიტიურ შედეგს იძლევა, რადგან სტუდენტებს უყალიბდებათ პროფესიული უნარები, დამოუკიდებელი ანუ კრიტიკული აზროვნების უნარი, დისციპლინარული პრობლემების/საკითხების გადაჭრის ჩვევები. უმაღლეს სასწავლებელში იზრდება სასწავლო პროცესის ეფექტურობა. როცა სალექციო კურსი აგებულია კრიტიკული აზროვნების პრინციპზე, ყოველი სტუდენტი დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარი იდეის, შეფასების და მრწამსის ფორმულირებას. აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალური ხასიათისაა. სტუდენტს უნდა ჰქონდეს საკმარისი თავისუფლება, რათა იფიქროს და დამოუკიდებლად გადაჭრას სხვადასხვა სირთულის საკითხები.

ლიტერატურა:

1. სტრატეგიები სხვადასხვა საგანში. ჩარლზ თემფელი. ნიუ იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტი. 2001 წ.
2. წიგნიერი. ზვიად მიმინოშვილი. ასოციაცია სკოლა–ოჯახი–საზოგადოება. თბ., 2005 წ.

POSITIVE RESULTS OF USING PROGRAM “READING AND WRITING FOR CRITICAL THINKING” IN STUDYING PROCESS OF THE UNIVERSITY

Nino Lomtadze, Shota Rustaveli State University, Dr.– Biology

Nargiz Alasania, Shota Rustaveli State University, Dr.– Agriculture

SUMMARY

Nowadays there are a lot of opinions about the importance of changing and developing education in the universities. The reason of starting the program “Reading and Writing for Critical Thinking” was a desire to cause positive changes in the learning process.

The program “Reading and Writing for Critical Thinking” offers us a big choice of teaching methods. It gives the students and teachers the opportunity to think of the problems and the solutions to them. Also to plan and evaluate studying and teaching process effectively.

We recommend leading the model class which consists of three levels: 1. To provoke. 2. Realizing the content. 3. Reflection.

In conclusion, introduction of the program “Reading and Writing for Critical Thinking” in the studying process will give us a positive result as the students will get professional and critical thinking skills. It will as well solve the problem of absence. The effectiveness of the studying process at the universities will grow. When the studying course is built on critical thinking, each student expresses his/her opinion and evaluation independently. Thinking can be called critical, only when it’s individual. A student should have enough freedom to think and overcome different kinds of obstacles independently.

PSYCHOLOGICAL AND PEDAGOGICAL ASPECTS OF CREATIVE EDUCATION

Lia Menteshashvili, Tbilisi Teaching University, Full Professor

Tamar Jangulashvili, Tbilisi Teaching University, Assistant-Professor

E-mail: t.jangulashvili@gmail.com

The understanding of “Creativity” in Pedagogy and Psychology is translated as “Creativity” or “Creativeness” and is considered as possibility of reflection of individual’s quality to create new understanding and form new habits e.g. possibility to creativity.

Creativity is a common possibility to creativeness characterizing personality in general revealed in different field of activity considered as relatively independent factor of cleverness.

The present definition considers the creativity as a psychological condition, as a condition of thinking of a specific person in contrast to creativity as a style of activity.

At the modern stage the development of Pedagogy and Psychology, the definition of understanding of “creativity” and representation about the system of structural components of creativity can’t be considered as completely settled.

Creativity – It is an activity or a result of an activity of an individual possessing certain novelty, importance and usefulness.

Subjective creativity – It is an activity or a result of an activity of an individual possessing novelty, importance and usefulness only for her/him, as a subject or restricted number of people (e.g. subjective novelty, importance and usefulness).

Objective creativity - It is an activity or a result of an activity of an individual, novelty, importance and usefulness having broad recognition. Criteria of objective creativity may serve as an official attachment with a subject, her/his copyright on the mentioned work.

More widespread expressions about creativity:

- 1) Outcome from creative achievement: Creativity – it is an activity of an individual creating new original values;
- 2) Outcome from the activity in general: Creativity – it is a realization of an initial possibility of an individual to self-expression and self-actualization.

Creative education is defined by us as a creation of creative personality according to the existed in the mentioned historical period of a creative culture.

Development of creative education is defined as social-political, economical and cultural conditions of a society. At the end of XX century there was a transition over post-industrialized society. Elicitation of intellectual-informational technologies, development of computer facilities reflecting real and unreal activities, wide distribution of innovative psycho-pedagogical technologies lead to serious change of culture, confirmation of new human civilization. Creative education becomes a crucial factor of productive interaction of an individual in reality. Instead of general and professional education complete, multilevel, continuous, personal-oriented creative education will be introduced. Thus the following will take place:

- 1) Each level of education will be revealed in the organic part of systems of continuous creative education in order to form integrated, cumulative educational institution combining successive levels of general and professional education (For instance, school-college-university).
- 2) In education innovative intellectual-informational technologies are widely introduced. Their usage will completely change traditional cognitive-oriented education. Computing and technology of education is completely expanding creative intellectual activity of students.
- 3) Transition from strictly regulated organization of education to variable, unitized modular, active teaching will be fulfilled providing high level educational-creative independence of students, their possibility to self-realization and self-education.
- 4) Interaction of a teacher and a student will be changed gradually acquiring nature of creative cooperation due to which teacher and student will become equal subjects of the creative educational process.
- 5) Transition from continuity of all level of education to integrated, integrative, creative education will be fulfilled assuming joint responsibility of the teacher and student for its process and result, the possibility of the student to creative self-determination in the field of decision-making under constantly changing social, cultural, educational and professional conditions.

These tendencies characterize the condition of a creative education in developed countries and define principals of its reform in the XXI century:

- 1) Development of creative personality of the student as a system-formed factor of designing the education, organization, contents and technologies of teaching.
- 2) Declaration of the goals of education is becoming creative thinking and possibility of the student as qualities of personality capable to self-determination, self-education, self-regulation and self-actualization.
- 3) Differentiation of contents and organization of the process of the education in consideration with individual-psychological features of students, their demands in creative self-realization.

- 4) Continuity of the levels of education (general and professional) with orientation to creative education.
- 5) Determination of developed creative personality of teaching factors of interdisciplinary integrations of contents and technologies of education.
- 6) Relevance of levels of creative education to social culture through personal-oriented contents and technologies of education.

Creative education as an open system can be defined in three measurements:

- **Social Scale:** Education in the world, country, region and state, private, public and other forms of education as well.
- **Educational Level:** Pre-school, school, professional (Primary, Secondary, Higher), Postgraduate (Graduate, Doctorate) education, increasing of qualification and training for a new qualification, additional education for people of third ages.
- **Profile of Education:** General, special (humanitarian, technical, natural sciences, medical etc).

These measurements are presented in relevant institutions: International organizations, Ministries, Educational departments, High schools, Colleges, Lyceums, Gymnasiums, schools, kinder gardens.

Creative education as a process is carried out during all conscious thinking of a person changing through objectives, contents and technologies of education.

Creative education is carried out in teaching and learning, forming a unity. **Creative education** - deliberate, consecutive transfer of methodology of creative activity and creative experience to another person under special organized conditions of educational institutions. It is realized in psycho-pedagogical activity of the teacher of creative education.

Possibility of the student to develop methodologies of creative activity and given creative experience is called creative learning capability and a result of the process of creative teaching – creative teaching.

Creative learning – This is a deliberate mastering of students transferred to them methodologies and experiences of creative activities, formation on this basis the own creative experience: knowledge, skills and abilities, habits, abilities of solving educational and professional-creative tasks.

The presented definition of creative education uncovers multi-aspect of this phenomenon. Results of creative teaching is a change in consciousness, acquisition of creative skills and habits in the form of experience of realization of various kinds of creative activities and behavior and development of creative thinking, possibilities and qualities of creative individuality.

Results of creative education are creative knowledge of a person, e.g. level of readiness to professional-creative activity expressed in the processes and results of its realization.

High-grade creative education acquired during the process of multi level and continuous creative education creating conditions for realization of a person as a creative individuality giving it social-professional mobility and putting a basis of competitiveness in the constantly changing condition in life.

In the present period there are four paradigms of creative education in the theory and practice: cognitive, active, personal and creative-oriented. (**Paradigm** – this is a combination of theological and methodological precondition defined by specific research embodied in the scientific practice in the present period.) Let's review their possibilities.

Cognitive paradigm in education is reviewed in the analogy of the knowledge and the educational process is carried out as a research activity. Thus personal aspects of teaching imply the formation of cognitive abilities in students.

Education paradigm oriented on the activity focused on the formation of knowledge, skills and abilities in students, as well as on the means of generalization of cognitive and practical activities providing social, labor and other forms of practical activity. The usage of the paradigm of this kind is very effective during the learning of the professional and special disciplines, in the process of industrial teaching and practice.

Paradigm focused on the personality aims at the development of students' personality da is based on the following principals:

1. Educational technologies on its all staged correlated with the regularities of formation of personality.
2. The content of education is defined by the level of development of social, informational, industrial technologies and future professional activities.
3. The effectiveness of educational process is defined by the organization of the space of educational environment.

Creative paradigm of education first of all aims at the development of essence of spirituality and activity. Thus major tasks can be: 1) Active mastering of students with humanistic methodologies of creative transformation of the world and harmony of relations with the system "Human – Weather – Society"; 2) Maintenance and development of the creative potential of an individual. Only innovative creative education may be coped with for these tasks which should be surely reckoned as the education of the XXI century and the basic principles of these are:

1. Preparation for creativity;
2. Transition from the projecting of techno spheres' elements to the projecting of activity with the broad sense of this concept;
3. The formation of outlook based on the multi criteria of solutions, on the responsibilities for own activities;
4. The development of "binocular" of poly chromaticity and intellectual activity.

The innovative components of paradigms of the reviewed education are basic competence, basic components and basic qualification and their realization requires new content of common and professional education focused on them

and accordingly new state education standards. At the same time the development of this social-psychological and professional-pedagogical education requires new technologies and teaching tools, upbringing and development and organizing new educational-professional space.

LITERATURE:

1. Kiknadze T., Conversations about Upbringing, Tb., 1999. (p.25-30);
2. Nargizashvili M., Practical Psychology, Tb., 2010. (p.10-15);
3. Зимняя И., Педагогическая Психология, М., 2000. (с. 120-130);
4. Beridze A., Foundations of Upbringing, Batumi, 2009. (p.15-45);
5. Зиновкина М., Креативное инженерное образование. Теория и инновационные креативные педагогические технологии. М., 2003. (с. 65-85).

SUMMARY

Creative education as a process which is changing with its content, teaching goals and technologies continues during all conscious life of a person.

Creative education is carried out with learning and teaching as a result of deliberate and successive transition of creative activity and creative experience under specially organized conditions in educational institutions.

The result of creative education is the readiness of an individual for professional-creative activity.

Nowadays, there are four paradigms in the theories and practice of creative education: cognitive, active, personal and creative-oriented.

Cognitive paradigm in education is reviewed in the analogy of the knowledge and the educational process is carried out as a research activity. Thus personal aspects of teaching imply the formation of cognitive abilities in students.

Education paradigm oriented on the activity - focused on the formation of knowledge, skills and abilities in students, as well as on the means of generalization of cognitive and practical activities providing social, labor and other forms of practical activity.

Paradigm focused on the personality aims at the development of students' personality and is based on the following principals:

1. Educational technologies on its all staged correlated with the regularities of formation of personality.
2. The content of education is defined by the level of development of social, informational, industrial technologies and future professional activities.
3. The effectiveness of educational process is defined by the organization of the space of educational environment.

Creative paradigm of education first of all aims at the development of essence of spirituality and activity.

The innovative components of paradigms of the reviewed education are basic competence, basic components and basic qualification and their realization requires new content of common and professional education focused on them and accordingly new state education standards.

ინკლუზიური განათლება და თანამედროვე საზოგადოება

ლელა თავდგირიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სრული პროფესორი
E-mail: ltavdgiridze@rambler.ru

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დედამიწის მოსახლეობის თითქმის მეთავე ნაწილს შეადგენენ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2005 წლისთვის მათი რიცხვი 231 280 პირს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ისინი უმეტეს ქვეყნებში იმყოფებიან უმცირესობაში - მათი უფლებები და ინტერესები დღემდე იგნორირებულია უმრავლესობის მხრიდან. ასეთი დამოკიდებულება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ არის მრავალსაუკუნოვანი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების განვითარების შედეგი, რომელიც ემყარება სოციალურ, რელიგიურ და ეკონომიკურ ფაქტორებს. ეს ადამიანები არ ჯდება საზოგადოების მიერ აღიარებულ „სტანდარტებში“. წლების მანძილზე ტერმინი „ინვალიდი“ არა მარტო ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შეზღუდვაზე მიუთითებდა, არამედ ხაზს უსვამდა მის „უსარგებლობას“ და უფრო აღრმავებდა საზოგადოებისაგან იზოლაციას.

ტერმინები, რომელთაც ყოველდღიურ საუბარში ვიყენებთ, გამოხატავენ არა მარტო ჩვენს დამოკიდებულებას ადამიანისა და მოვლენების მიმართ, არამედ ნათლად ასახავენ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებსაც. ხშირად ჩვენგან „განსხვავებულ“ ადამიანებს ვანიჭებთ რა „არაორიენტის“, ხელოვნურად ვუქმნით ბარიერებს. თ. პაჭკორიას რედაქტორობით გამოცემულ წიგნში „ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება“ დასახელებულია ტერმინები, რომლებიც დამკვიდრებულია თანამედროვე საზოგადოებაში და რომელიც არ უნდა გამოვიყენოთ შშმ პირთა შესახებ საუბრისას. მათ ნაცვლად სასურველია გამოვიყენოთ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები; ადამიანი, რომელსაც განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება. ნორმალური, ჯანმრთელი პირის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან შედარებისას უმჯობესია გამოვიყენოთ გამოთქმა – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი; პიროვნება, ბავშვი, რომელიც ეტლით გადაადგილდება; თანდაყოლილი შეზღუდვა; გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პიროვნება (ბავშვი); ფსიქიკური პრობლემების მქონე პირი, სულიერი ან ემოციური დარღვევების მქონე პირი; მხედველობის შეზღუდვის მქონე, უსინათლო; სმენის შეზღუდვის მქონე, საგნისა და მეტყველების დარღვევის მქონე პირი ბავშვი) (1, 53).

2000 წლიდან საქართველო ჩაება საერთაშორისო პროგრამაში ”განათლება ყველასათვის”, რომელიც ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპს, რომ ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს სწავლის შესაძლებლობა სხვა ბავშვებთან ერთად. ინკლუზიური განათლება არის საშუალება იმისათვის, რომ შშმ ბავშვები ჩართულები იყვნენ განათლების სისტემაში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და მოზრდილებს არა მხოლოდ განათლების უფლება აქვთ, არამედ აქვთ უფლება იყვნენ საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი. ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს სკოლის ყველა ასაკის ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა ან სირთულეებისა სწავლის პროცესში. ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს ხარისხიანი განათლება საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. ინკლუზიური განათლება მოითხოვს სკოლის დაუღალავ შრომას, რათა გააძლიეროს და განავითაროს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და მოამზადოს იგი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლის პროცესში. ეს კი მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს, სტრატეგიებს და მეთოდებს. სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებულობის მიმდებლობა გააჩნია და შესწევს უნარი შესაბამისი განათლება მისცეს ყველა მოსწავლეს. ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისაგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს. ზოგადი განათლების (2004 წლის 18 ოქტომბერი) ეროვნული მიზნების შესაბამისად დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები, სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით თანამედროვე სკოლის მასწავლებელი უნდა იცნობდეს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებდეს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

მიუხედავად ამისა, სასკოლო განათლების სფეროში ინკლუზიური განათლების არსისა და ფილოსოფიის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენაა. თანამედროვე სკოლა, მასწავლებელი არ არის მზად ინკლუზიური სწავლების ეფექტური განხორციელებისათვის. ეს იმიტომ, რომ მასწავლებლის მოსამზადებელ პროგრამები აქამდე არ ითვალისწინებდა ინკლუზიური განათლების მიდგომების სწავლებას, ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი და პრაქტიკულად გამოცდილი ინკლუზიური განათლების მოდელები. აუცილებელია სსსმ და შშმ მშობელთა პედაგოგიზაცია. მწირია მშობელთან სპეციალისტებისა და მასწავლებლების ერთობლივი მუშაობის გამოცდილება. განათლების მუშაკებისათვის გაურკვეველია ნორმალური განვითარების და უნარშეზღუდულობის ცნებები, სსსმ და შშმ ბავშვის განვითარების თავისებურებები. იმიტომ ინკლუზიური განათლების პრინციპების სკოლაში დანერგვას სერიოზული და საფუძვლიანი მომზადება სჭირდება. სასკოლო გარემო, სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, ტექნიკური პერსონალი, ჯანმრთელი ბავშვები, სსსმ ბავშვები, შშმ ბავშვების მშობლები, სკოლის დამხმარე სპეციალისტები – ყველანი საჭიროებენ ინკლუზიური განათლების პრინციპების, მიდგომების შესწავლას, გაცნობიერებას და თითოეული მათგანის აქტიურ ჩართვას ინკლუზიური განათლების პროცესში. ინკლუზია და მონაწილეობა მნიშვნელოვანია ადამიანური ღირსების, ადამიანთა უფლებებით სარგებლობისა და დაცვისათვის. მრავალ ქვეყანაში

არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სსსმ ბავშვების და ახალგაზრდების ინტეგრაცია კარგად მიიღწევა ინკლუზიურ სკოლებში. ამ გზითაა შესაძლებელი სსსმ პირებმა მიაღწიონ საგანმანათლებლო პროგრესს და სოციალურ ინტეგრაციას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის 2004 წლიდან ინკლუზიური განათლება გახდა პრიორიტეტი. ამოქმედდა შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია, კანონი შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. 2005 წლის - ეროვნულ სასწავლო გეგმაში აისახა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მნიშვნელობა ხარისხიანი განათლების მიღების პროცესში. ბოლო ათწლეულში საზოგადოებრივ მენტალიტეტში მომხდარი ცვლილებების ფონზე მიუღებელი აღმოჩნდა მიდგომა სხვადასხვა საგნის, საკითხის მიმართ, მათ შორის „ინვალიდობისადმი“. უპირველესად, თავად შშმ პირების გააქტიურებამ განაპირობა ახალ სახელმწიფოებრივი ხედვისა და პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. დაიწყეს კონკრეტული პროგრამების შემუშავება-განხორციელება, აქტიურად ჩაერთვნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების მუშაობაში საკუთარი უფლებების დასაცავად. 1995 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკა შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარ პირობების უზრუნველყოფის საკითხებში.

კანონები გვკარნახობენ წესებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ პოზიტიური განწყობის შექმნა. ცხოვრებამ აჩვენა, რომ ბარიერი, რომლის გადალახვაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უწევთ, არის საზოგადოების დამოკიდებულება. ეს იმიტომ, რომ სამწუხაროდ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად აღიქვას ისინი სრულყოფილ და სრულუფლებიან წევრებად, ჯერ კიდევ მოქმედებს გაუცხოების და „სიბრაალის“ ფაქტორი. ხშირად გაისმის სიტყვები: „საბრალო“, „საწყალი“, „უბედური“, რაც არა მარტო არაეთიკური, არამედ დამამცირებელიც კი არის.

2005 წლიდან - ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარებით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ დაიწყო პირველი სახელმწიფო პროექტი: ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს 10 რეგიონში. პროექტის მიზანია განათლების მისაწვდომობა ყველა ადამიანისათვის. 2009 წლიდან ხორციელდება პროექტი „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში“. 2010 წლის პროექტის ფარგლებში აპრილიდან ოქტომბრამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები ინკლუზიური განათლების სასწავლო პროგრამების განახლების შესახებ. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობასღებულობდა ქუთაისის, ბათუმის, თელავის, გორის, ახალციხის განათლების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, ლექტორ-მასწავლებლები, ფაკულტეტის დეკანები, შშმ მქონე ბავშვების მშობლები, მასწავლებლები. სამუშაო შეხვედრებზე შემუშავებულ იქნა საგნის „ინკლუზიური განათლება“ სილაბუსი, დაწყებითი განათლების პედაგოგთა პრაქტიკის ორგანიზების საკითხები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დაწყებითი განათლების პედაგოგთა მისაღწევი კომპეტენციები, სკოლის, ოჯახის, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობა. მასწავლებელი, რომელსაც შეხება აქვს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან, უნდა იცნობდეს და იცოდეს. ინკლუზიური განათლების პრინციპებს და საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცდილებას. შეეძლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტების აღწერა (გეგმის სტრუქტურა. შეაფასოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და განსაზღვროს სასწავლო მიზანი და მიზნის მიღწევის გზები; დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები ყველა მოსწავლისათვის თანასწორი და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; შეძლოს ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა პირებთან სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, ამ პროცესში საკუთარი როლის კრიტიკული შეფასება და ანალიზი. ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა საზაფხულო სკოლა „ინკლუზიური განათლება და სასკოლო პრაქტიკა“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასეთი შეხვედრების მიზანია საზოგადოებამ დაინახოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ძლიერი მხარეები, მოახდინოს მათი ადრეული ასაკიდან ინტეგრაცია საზოგადოებაში, გაქრეს გაუცხოება. შექმნას ხელსაყრელი პირობები შშმ პირთა სრულფასოვანი ცხოვრებისა და საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში მათი მონაწილეობისათვის.

ახალი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი სკოლას, მასწავლებელს, საზოგადოებას და მასმედიას აკისრია. სკოლა, პრესა და ტელევიზია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მნიშვნელოვანი იარაღია. სტატიებსა და სიუჟეტებში, სკოლაში თუ მასობრივი თავშეყრის ადგილებში ყურადღება გავამახვილოთ მათ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე და არა

შშმ პირთა ფიზიკურ და მორალურ დაუცველობაზე, შექმნათ ახალი, ჯანსაღი აზრი შშმ პირთა პრობლემებისადმი. ეს გამოიწვევს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ნგრევას.

ლიტერატურა:

1. თ. პაჭკორიას რედაქტორობით, ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება, თბილისი, 2008
2. კანონი ზოგადი განათლების შესახებ

INCLUSIVE EDUCATION AND MODERN SOCIETY
Lela Tavdgiridze, Shota Rustaveli State University, Full Professor
RESUME

Populations with disabilities are almost a tenth part of the earths. Their rights and interests in many countries are still ignored. There have been created not one legislative document. Modern School, the teacher is not ready for effective implementation of inclusive education. Teacher preparation programs so far have not included inclusive educational approaches for teaching, in fact, Georgia has not yet been established the practical experiences of inclusive education models. Parents with special disabilities need to be trained to become teachers. Working experience with parents from teachers and specialists are to low. Education of workers is not clearly defined the issues of normal development and disabilities, special educational need and person with disabilities, developing features. Therefore, the principles of inclusive education in the school system need serious and fundamental preparation. The main role toward the establishment of a school is assumed with school, teacher, public and media. In shaping public opinion an important tool is given for

School, newspapers and television. In Articles and reportages in the school or public places we must draw attention to their intellectual and physical capacities, we must make new healthy idea to the people with such problem this will cause destroying stereotypes of disabled people in the society.

ღირებულებების ცნება პედაგოგიურ მეცნიერებებში

ფიქრია ვარდოსანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებების დოქტორანტი
E-mail: v.piqria@yahoo.com

თანამედროვე კაცობრიობა კულტურული ღირებულებების დაცემის პირობებში ცხოვრობს. ყოველ საუკუნეს აქვს თავისი ღირებულებები, თავისი ფასეულობები, ეპოქების ცვალებადობასთან ერთად ხდება ღირებულებათა გადაფასება. ჩნდება კითხვა: რა არის ცხოვრებაში და ზოგადად, სამყაროში ყველაზე ღირებული? და, საერთოდ, რა არის ღირებულება? ღირებულების მატარებელი პიროვნებაა, პიროვნებასთან კავშირის გარეშე ღირებულება უძლურია. ზოგადად, ღირებულებების ონტოლოგიურ სტატუსს ადგენს ფილოსოფიის ერთ-ერთი დარგი – აქსიოლოგია, რომელიც ცხადყოფს ღირებულებების კავშირს ღირებულ ობიექტებთან. ცნობილი განმარტების მიხედვით, „ღირებულებას არ მოემბნება გვარი, ამიტომ მის დასახასიათებლად აქსიოლოგია მიმართავს აღწერას“. არსებობს ღირებულებების ფილოსოფიური, სოციოლოგიური და პედაგოგიური განმარტებები, შესაბამისად, არსებობს ფილოსოფიური, სოციოლოგიური და პედაგოგიური ღირებულებები.

ჩვენი დროის დიდი ფილოსოფოსი თ. ბუაჩიძე წერს: „ფილოსოფიის რაობის გასაღებს ადამიანის რაობის გარკვევა იძლევა“. ფილოსოფია არის კვლევა-ძიება უნივერსუმისა, ადამიანის რაობისა და ურთიერთმიმართებისა. სამყაროსადმი თეორიული მიმართების გვერდით არსებობს სამყაროს შეფასებითი მიმართება, რომელსაც სამყაროს ღირებულება აინტერესებს. ადამიანი არა მარტო არკვევს თუ რა არის და როგორია უნივერსუმი და მისგან მოუცილებელი ყოფიერება, არამედ ცხადყოფს, თუ რა ღირებულებების მქონეა იგი. ადამიანი არის საგნის შემფასებელი. ან იწონებს მას, ან იწუნებს. სამყაროს თავდაპირველი გაგება გულისხმობს გარკვეულ წარმოდგენას სიკეთესა და ბოროტებაზე, ამ ღირებულებათა შესაბამისად ყალიბდება ხალხის ზნე-ჩვეულებები, მორალური ნორმები, რომლებიც

შეიცავენ მითითებებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. ღირებულებას ხშირად აიგივებენ „კარგთან, „მოსაწონთან“, „სასარგებლოსთან“. ღირებულება ადამიანს ეძლევა როგორც მისწრაფების ან მოთხოვნილების საგანი. ეს რაიმეს ღირებულად ყოფნისათვის აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი, იმისათვის, რომ რაიმე ღირებულების რანგში ავიდეს, სუბიექტმა იგი უნდა განიცადოს. *ის, რასაც ადამიანი არ განიცდის, მისთვის არც ფასობს, არ წარმოადგენს ღირებულებას.* ღირებულებებთან მიმართებაში ადამიანი ღირებულებათა ერთ ნაწილს იყენებს სხვა, უფრო მაღალ ღირებულებათა მისაღწევად, ანუ არსებობენ შეფარდებითი (რელატიური) და უპირობო (აბსოლუტური) ღირებულებები.

ღირებულებების ობიექტურობა–სუბიექტურობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: „ხომ არ არის ღირებულება ფსიქიკური ფენომენი? ანუ, ღირებულება ის, რაც მე მომწონს, რაც მე მსურს, რაც მე სიამოვნებას მანიჭებს?“. ღირებულების ღირებულება მიმართულია ადამიანისადმი. ის მოითხოვს და არა გვაძიულებს, განხორციელებას. აქ იკვეთება ადამიანის დანიშნულების არსი, ღირებულება გვიტოვებს არჩევანის თავისუფლებას. **ადამიანის დანიშნულებაა მისდიოს ღირებულებით განსაზღვრულ ჯერარსის ხმას: ამაღლდეს ვიტალობაზე, იცხოვროს მაღალი ღირებულების განხორციელება–დაცვისათვის, სამყაროში ლოგოსის, გონიერების დამკვიდრებისათვის.**

გარეგნულად ღირებულება გვევლინება როგორც საგნის, ან მოვლენის თვისება, ბუნებისაგან მინიჭებული, არა როგორც თავისთავად ობიექტის სტრუქტურული წარმონაქმნი, არამედ როგორც საზოგადოებრივ სფეროში ჩართული და განსაზღვრული სოციალური ურთიერთობით განპირობებული. ადამიანთან, ანუ სუბიექტთან მიმართებაში, ღირებულება ემსახურება ამ უკანასკნელის ინტერესებს, ხოლო მისი ცნობიერებისათვის ასრულებს ყოველდღიური ორიენტირის როლს სოციალურ სინამდვილეში, ანუ გარემომცველი საგნებისა და მოვლენებისადმი პრაქტიკულ დამოკიდებულებაში. მაგ. ჭიქა, რომელიც სასმელის მიღების ინსტრუმენტია, ამ სასარგებლო თვისებას ამჟღავნებს როგორც მოხმარებით ღირებულებას მატერიალურ სიკეთეს. როგორც შრომის პროდუქტი და სავაჭრო გაცვლის საგანი, იგი უკვე ეკონომიკურ ღირებულების გამომხატველია, თუ ხსენებული ჭიქა ხელოვნების ნიმუშია, იგი რა თქმა უნდა, იძენს ესთეტიკურ ღირებულებასაც. ჭიქის ყველა ჩამოთვლილი თვისება მის სხვადასხვა ფუნქციაზე მიუთითებს ადამიანის სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში და გვევლინება საგნობრივ ნიშნებად, განსაზღვრულ საზოგადოებრივი დამოკიდებულებების სიმბოლოებად.

გარდა ფილოსოფიური განმარტებებისა არსებობს სოციოლოგების განმარტებები ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა. სოციოლოგია ინდივიდის მოქმედებას განიხილავს როგორც ემპირიულ ფენომენს, მნიშვნელობას აძლევს მხოლოდ მოქმედების ემპირიული ბუნებისა და კანონზომიერების კვლევას, ფილოსოფიური საფუძვლების გარეშე. დღეისათვის, მრავალ პრობლემათა შორის წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის აქტივობის საკითხი (ძალაუფლების იდეალი): *თანამედროვე სამყაროში ადამიანები უნდა იყვნენ აქტიურნი, რათა გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს მართვის პროცესზე.* სოციალური აქტივობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ სოციალური მოთხოვნილებები: საზოგადოებრივი ნორმები და ღირებულებები. ადამიანის მიერ სამყაროს სულიერი ათვისების, სინამდვილისადმი დამოკიდებულების ფორმებია: თეორიულ–შემცნებითი (უმაღლესი ფორმა მეცნიერება), ღირებულებით–პრაქტიკული (უმაღლესი ფორმა ზნეობა) და მხატვრულ–შემოქმედებითი (უმაღლესი ფორმა ხელოვნება).

ცნობილი ისტორიკოსი და სოციოლოგი მაქს ვებერი (ისევ როგორც სოციოლოგი ჰენრიხ რიკერტი) ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ აქტს: ღირებულებისადმი მიკუთვნებას და შეფასებას. *ღირებულებებისადმი მიკუთვნება* ჩვენ ინდივიდუალურ შთაბეჭდილებას გარდაქმნის ობიექტურ და საყოველთაო მნიშვნელობის მსჯელობად, ხოლო მეორე არ სცდება სუბიექტურობის ფარგლებს. ვებერი ღირებულებებსა და მათ იერარქიას განიხილავდა, როგორც რაღაც ზეისტორიულს. იგი ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის განწყობას, როგორც ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტერესის მიმართულებას, (ამით ღირებულებები ზეისტორიული სფეროდან გადაიტანება ისტორიაში). ვებერი გამოყოფს სოციალური მოქმედების 4 სახეს: 1. მიზანრაციონალურს (გარეგანი სამყაროს საგნების, სხვა ადამიანთა მოქმედების იმედის მეშვეობით, რაციონალურობის კრიტერიუმია წარმატება), 2. ღირებულებით–რაციონალურს (თვითღირებულებების შეგნებული რწმენის მეშვეობით და დამოუკიდებლად სწრაფვა წარმატებისაკენ), 3. აფექტურს (ემოციონალური ქმედება) და 4. ტრადიციულს (ჩვეულების მეშვეობით ქმედება). ვებერი ამბობდა: „წმინდად ღირებულებით–რაციონალურად მოქმედებს ის, ვინც არ ითვალისწინებს, ანგარიშს არ უწევს მოსალოდნელ შედეგებს და მოქმედებს თავისი რწმენის, თავისი შეხედულებების მიხედვით. ამა თუ იმ მოქმედების შემთხვევაში მიზანს წარმოადგენს თვითონ იგი და არა რაღაც სხვა (შედეგი, წარმატება, რეზულტატი).“

სოციოლოგი ტ. პარსონსი გამოყოფს სიტუაციის შემადგენელ ობიექტთა ორ კლასს: სოციალურ ობიექტებს და არასოციალურ ობიექტებს, რომლებიც თავის მხრივ კიდევ იყოფა ფიზიკურ და

კულტურულ ობიექტებად. არასოციალური მოიცავს ყველა ობიექტს, რომელიც არ წარმოადგენს აქტორს. კულტურული ობიექტები (არასოციალური ობიექტები) მოიცავენ ტრადიციებს, ჩვევებს, ადათებს, კანონებს, ნორმატიულ წესებს და სხვ. პარსონსის აზრით, ღირებულებითი ორიენტაცია არის ორიენტაცია კულტურულ ობიექტებზე. *პარსონსი ღირებულებას განსაზღვრავს, როგორც კულტურის სისტემის ელემენტს, რომელიც წარმოადგენს კრიტერიუმს / სტანდარტს მოქმედების არსებულ ალტერნატივებს შორის არჩევანის გასაკეთებლად.* პარსონსი გამოყოფს ღირებულებითი ორიენტაციის სამ ფორმას: შემეცნებითს, შეფასებითს, მორალურს. ასევე გამოყოფს სოციალური მოქმედების სამ სისტემას: პიროვნულ, სოციალურ და კულტურულს. პიროვნული და სოციალური წარმოადგენენ მოტოვირებული მოქმედებების ორგანიზაციის ხერხებს. სოციოლოგი ე. გიდენსი იზიარებს პარსონსის აზრს ღირებულებების ბუნების შესახებ: *ღირებულებების წყარო კულტურული გამოცდილებაა, ღირებულება კულტურულ-ისტორიული პროცესის პროდუქტია.*

და პედაგოგიური ღირებულებები. *თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერების წამყვანი ტენდენცია და მსოფლმხედველობრივი მიზანია, მთლიანად „დაიბრუნოს“ პიროვნება.* ღირებულებითი (აქსიოლოგიური) ფენომენი პედაგოგიკისათვის პრაქტიკულ-შემეცნებითი მექანიზმია. პედაგოგიური აქსიოლოგიის საფუძველში დევს ადამიანის აღზრდა-განათლების, სოციალური განვითარების არსი. ცნება – პედაგოგიური ღირებულებები განსჯის საგნად 20-ე საუკუნიდან იქცა. *პედაგოგიური ღირებულებები პედაგოგიური მოღვაწეობის ის სასიცოცხლო კომპონენტებია, რომლებიც პიროვნებას ეხმარებიან არა მარტო სოციალური და პროფესიონალური აქტიურობის სწორ ორიენტაციაში, არამედ საკუთარი, სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.* პედაგოგიური ღირებულებების კლასიფიკაცია ასეთი სახისაა: 1. ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების მიერ საკუთარი როლის დამკვიდრებასთან სოციალურ და პროფესიულ გარემოში (პედაგოგის შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, პედაგოგიური მოღვაწეობის, პროფესიის აღიარება და პატივისცემა და სხვ.); 2. ღირებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ პიროვნების მოთხოვნილებებს გარემომცხოვრებულ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად (ურთიერთობა კოლეგებთან, მოსწავლეებთან, საკუთარი სულიერი ღირებულებების კრიტიკული ხედვა და ანალიზი); 3. ღირებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ ინდივიდის თვითრეალიზაციის პროცესს; 4. ღირებულებები, რომლებიც პიროვნებას ეხმარებიან პრაგმატული ხასიათის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში (გარანტირებული სახელმწიფო/არასახელმწიფო სამსახურის მიღება, შრომის ანაზღაურება, თანამდებობრივი აღმასვლის შესაძლებლობა).

პედაგოგიური ღირებულებათა აქსიოლოგიური მოდელი ასეთია: ღირებულება–მიზანი განსაზღვრავს ღირებულება–საშუალებას, ღირებულება–ურთიერთობა დამოკიდებულია ღირებულება–მიზანზე და ღირებულება–თვისებაზე და ა.შ. ეს მოდელი განსაზღვრავს იმ ღირებულებათა შერჩევას თავისუფლებას, რაც ისტორიულად შეუმუშავებია ამა თუ იმ ერს, რაც ხელს უწყობს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში ახლადწარმოქმნილი ღირებულების გათავისებას. სწორედ ახალი ღირებულებების ეფექტურად და მიზანმიმართულად შერჩევას, მათი პედაგოგიურ მოღვაწეობაში დამკვიდრების ხარისხით იზომება პედაგოგის აქსიოლოგიური კულტურა. აქსიოლოგიური მიდგომა ორგანულად ახასიათებს ჰუმანისტურ პედაგოგიკას, რამდენადაც ადამიანი მასში განიხილება, როგორც ბუნებისა და საზოგადოების უმაღლესი ფასეულობა. სწორედ ამიტომაცაა აქსიოლოგია განათლების ფილოსოფიის საფუძველი, და შესაბამისად, თანამედროვე პრაქტიკული მეთოდოლოგიის საფუძველი. პედაგოგიურ აქსიოლოგიას საფუძვლად უდევს ადამიანის აღზრდა-განათლება. პედაგოგიური აქსიოლოგია დამოკიდებულია საზოგადოებაში იმ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ საგანმანათლებლო პრაქტიკაზე და პედაგოგიკის მეცნიერებაზე. „პედაგოგიური ღირებულებები წარმოადგენენ იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც ახდენენ პედაგოგიური საქმიანობის რეგლამენტირებას და გამოდის როგორც შემეცნებით–ქმედითი სისტემა, ასრულებს მოკავშირის როლს განათლების შესახებ საზოგადოებაში არსებულ მსოფლმხედველობასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შორის“. *იმისათვის, რომ ადამიანი შედგეს პიროვნებად, მისი სწავლების პროცესი განუწყვეტლივ უნდა იყოს დამოკიდებული უნარების განვითარებასთან, მომავალ თაობებში ისეთი ხარისხის მორალის ფორმირებასთან, რომ ადამიანს თვითონვე შეეძლოს გააკეთოს ზუსტი მორალური დასკვნები.*

ამრიგად, ღირებულება არის არა ის, რაც ცალკეული ადამიანის წყობილებითაა განსაზღვრული, არამედ ის, რაც სიცოცხლეს აძლევს წმინდა ადამიანურს ადამიანში.

ლიტერატურა:

1. დევის ბეჭვაია, აქსიოლოგია, თბ., 2007
2. გერონტი შუმანაშვილი, ზნეობრივი ღირებულებების სპეციფიკა, თბ., 1980

3. გერონტი შუმანაშვილი, გამოყენებითი ეთიკის საფუძვლები, თბ., 2004
4. აკაკი ყულიჯანიშვილი, კულტურის თეორია, თბ., 2009
5. კარლ იასპერსი, უნივერსიტეტის იდეა, თბ., 2004
6. Н. З. Чавчавадзе, Культура и Ценности, Тб. 1984
7. Шварцман, К. А. Философия и Воспитание, М. 1989
8. Алма матер, 12, Вестник высшей школы, М. 1991
9. Слатенин, В. Общая Педагогика, М. 2003
10. <http://socium.ge/index>

NOTION OF VALUES IN PEDAGOGICAL SCIENCES

Pikria Vardosanidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD Student of Education Sciences

RESUME

The human being is considered as the highest value, as the aim of common development. Only the half-vital facts and events connected to the social progress are in relation to the values.

Generally, the ontological status of values is determined by one of the branches of philosophy – axiology, which manifests the connection of values with valued objects. According to the well-known definition, “Value has no kin; therefore, for its characterization axiology turns to description”.

As the great philosopher of our times T. Buachidze said, “Finding of human’s essence gives the key to the essence of philosophy”. Philosophy is a research and search of the universe, human’s essence and interrelation. Beside the theoretical attitude towards the world there is a valuating attitude towards the world, which is interested in the world’s value. The human not only finds out what the universe is and what kind it and its inseparable being is, but makes evident what kinds of values it has. Human is the appraiser of subject: it likes or dislikes it.

There are important questions that emphasize human as the highest value: what is human’s destination, what is his purpose in life?

Human’s conscience addresses the world of values. It is impossible to judge oneself without consciousness of values.

Human’s specificity is precisely that that he and only he can forget himself and come to values by means of knowledge.

There emerges the question with regards to the objectivity and subjectivity of values: “Isn’t a value a psychic phenomenon? I.e., is it valuable what I like and what I wish and what pleases me”?

The human’s designation is to follow the voice of pre-essence defined by value: to elevate upon vitality, to live for implementing and meeting the high value and for establishing the logos and mentality in the world.

CONSTITUTIONAL ARRANGEMENTS ON THE ENVIRONMENTAL EDUCATION IN TURKEY

Elif ÇOLAKOĞLU, Ataturk University, Asist. Prof. Dr. Department of Public Administration, Faculty of Economics and Administrative Sciences
E-mail: elifcolakoglu@yahoo.com

ABSTRACT

The lifelong education process should be under constitutional guarantee; the main purpose of environmental education raises the awareness of individuals and societies and ensures the active participation of them in this issue. This is consistent with the fundamental aim of the right to environment. In this constitutional framework, the environmental education given at the different levels can create an environmental awareness in this direction, as a necessity of the rights and duties of all the individuals and society. This right is given in the national constitutions and is to gain the importance in terms of viability and safety of environmental education. In this study that examines the relationship between the right to environment and environmental education as an individual and social right, this education has applied in Turkey since the 1970s, is discussed.

Keywords: Turkey, Environmental Education, Constitution, the Right to Environment.

Introduction: Environmental Education in Turkey

An effective environmental policy preventing environmental pollution and eliminating the environmental problems all over the world, particularly in Turkey, the U.S.A., Canada and the E.U. member states, has tried to be continued. However, this education in Turkey is not at the desired level and has been explained by authorities from time to time. The needed information is not produced sufficiently as a result of the failure of the better analyses of the cultural and social characteristics of the target group and the undeveloped presentation techniques as is required, are listed as the factors of this education to drag. Therefore, the community awareness and sensitivity towards the environment and its problems is largely at the level of the emotional rush, and this has not turned into a “right” and “consciousness”¹ as stipulated the article 56 of the 1982 Constitution². Until now, the deep-rooted and permanent solutions in this area has not been achieved, because of the training programs undertaken and practiced as specific plans and programs do not have a unity, even if different institutions and organizations achieved success in part with some activities in line with their own knowledge and skills³.

Environmental education is implemented in this system because of the general education which is given at the formal and informal levels. The formal education ongoing from pre-school period to the university is striving hard to bring it up to the desired level. An adequate environmental education, especially the pre-school period being shown as the most productive period, cannot be applied. However, the basic strategy must instill the love of nature and animals and must give to them the positive behavior which contains the basic level of environmental information. Pre-school and kindergarten instructors, as a priority, must be educated on environmental issues⁴.

Environmental education is given as a lesson and a unity in other lessons at primary schools and secondary schools. It also is given as some lessons at departments of Environmental Engineering, at departments of primary school teaching of some the faculties of Education, at the faculties of Agriculture and Forestry as the lessons of ecology, land and flora-fauna, at the departments of Biology, at the faculties of the Medical department as the issues on environment and health cover the public health, at the faculties of Political Science and Economics and Administrative Sciences as the lessons related to environmental politics within Urbanization and Environmental Sciences. Additionally, the universities have established the environment research centers, both to work on environmental issues, and to act as an advisory board for public authorities⁵. But the desired results cannot be achieved in practice and this leads to ignoring the environment and the interdisciplinary nature of environmental problems⁶.

The Arrangements of the Right to Environment within the framework of Constitutional Discussions and the Environmental Education

A constitutional arrangement related to the right to environment ensures not only the practice of environmental education, but also creates awareness in this direction by installing the various tasks to individuals on the protection, conservation, rehabilitation and development of environment. Environmental education should be seriously considered and utilized for the development of contemporary environmental consciousness and sensitivity. It aims to educate individuals who are sensitive to the environment which enables them to live in a healthy and ecologically-balanced environment. Therefore, the rights to environment regulation in the 1982 Constitution gains importance to reach the determined goal of environmental education.

Environment as a human right is held under the right to health until the 1970s. In other words, there is no provision directly related to the environment in the 1961 Constitution. However, the Article 49 assigns the State with “the responsibility of ensuring physical and mental health of all people within their life”. But the right to environment regulated in Article 56 of the 1982 Constitution under the heading of “Health Services and Protection of Environment”, is mentioned in the “Social and Economic Rights and Duties” part of the section “Fundamental Rights and Duties” in the Constitution. Article 56 stipulates that “Everyone has the right to live in the healthy and balanced environment. It is the State’s and citizen’s duty to improve environment, protect environmental health and prevent environmental pollution.” Individuals and the State in accordance with the principle of social state⁷, as an active subject, are both considered as the beneficiary of the right to environment, and are obliged in realization of this right⁸. While the object of this right is “to live in a healthy and ecologically-balanced environment”, its obligation is “to improve environment, to protect environmental health and to prevent environmental pollution.” The regulation in this Article with all its

¹ T.C. Çevre ve Orman Bakanlığı, **Türkiye Çevre Durum Raporu** (Prepared by Çevresel Etki Değerlendirmesi & Planlama Genel Müdürlüğü, Çevre Envanteri Dairesi Başkanlığı), Ankara, 2007, p. 533.

² Turkish Constitution of 1982 has provided environment right through its article 56, according to which: “Everyone has the right to live in a healthy and balanced environment. It is the duty of the State and citizens to protect the environment”.

³ Türkiye Bilimler Akademisi, *Türkiye İçin Sürdürülebilir Kalkınma Öncelikleri: Dünya Sürdürülebilir Kalkınma Zirvesi İçin TÜBA'nın Görüşü* (edit by İlhan Tekeli), Ankara, 2002, p. 34.

⁴ T.C. Çevre ve Orman Bakanlığı, *et al.*, s. 537.

⁵ İlhami Kiziroğlu, “Education and Reserach on Environmental Awareness in Turkey”, *Clean-Soil, Air, Water*, Vol: 35, Issue: 6, 2007, p. 534.

⁶ Türkiye Bilimler Akademisi, *et al.*, 33-34.

⁷ Ankara Üniversitesi Siyasal Bilgiler Fakültesi, *Gerekçeli Anayasa Önerisi*, SBF Basın ve Yayın Yüksek Okulu Basımevi, Ankara, 1982, p. 71.

⁸ Ruşen Keleş; Birol Ertan, *Çevre Hukukuna Giriş*, İmge Kitabevi Yayınları, Ankara, 2002, p. 88-91.

elements of the right to environment is to make a normative property and is to recognize a subjective public right⁹ to the individuals. Although the Article 56 has not any decision on the elements of liability and sanctions, the article of 3 and 28 the Environmental Law No. 2872 has provision on them liability. The Polluter Pays Principle in the Article 3 and the Principle of Strict Liability in the Article 28 are included¹⁰. According to the Article 3 which underlined the protection of the environment is the duty of an individual, the polluter who can provide a fact that has taken all necessary preventions can escape from penalty. However, this evidence only covers the expenses to prevent and to limit pollution. But the behavior polluting and causing harm to the environment is not within the scope of evidence. There is a possibility to get rid of the penalty by taking certain measurements; the objection on this issue is to prove the necessary measure against pollution is being taken. Otherwise, the polluter must compensate the cost that may arise from the damage, and again, if and when the presence of appropriate reasons is visible and acceptable, causality can be saved. But the last provision of the Environment Law No. 5491 dated 04/26/2006 amending the Commercial Code is removed from that Article. According to the article 28, polluters and those who damage to environment, are responsible for the damage arising from contamination or deterioration without fault clause. The period of prescription to this article with the 2006 amendment was added. Accordingly, because of the statute of limitations; individual who caused the pollution, environmental damages and losses is no longer liable to compensate and suffer 5 years from the date to face the decision claims for the concluded prescription.

On the other hand, the individual as a subject has the right to inform, the right to participate and the right to appeal, as well as the right to environment. These rights also are considered as a tool to help realizing the right to environment. It must be revealed individuals are entitled to these three rights gaining importance on realization of the right to environment through a high-quality environmental education. The right to petition is one of those stipulates in the Article 74 of 1982 Constitution. Individuals have the right to petition for the competent authorities and Turkish Grand National Assembly (TBMM). Also, there are the Article 36 to the freedom of justice demanding and the Article 125 to the right to appeal to the administrative tribunals, in addition to this right. These rights, as well as the right to environment as an individual and social right, shortly, form a sound basis for the people's right to know and to access information.

Conclusion

The individuals, who are seen as being responsible for environmental problems, must comprehend about their own obligations. This is possible through a life-long, effective and comprehensive education. Environmental education as an individual and social requirement is a human right and should be evaluated within the scope of this right. The constitutionally protected right to environment is an important part of the educational process and reflects the understanding of environmental education. The essential legal arrangements must absolutely enforce the success of environmental education. The political will has clearly a large effect. But then, the other mechanisms ensuring the efficiency of decision-making process of individuals should be developed. Legal remedies such as the access to information and right to petition, and the right of organization for individuals must be recognized. Participation is necessary to overcome environmental problems in order to access the purpose of awareness in line with a lifelong education process. But all of these arrangements should be made into an integral whole. Also, the purpose, content and management of an environmental education should be taken in this context and be revealed clearly.

REFERENCES:

- Ankara Üniversitesi Siyasal Bilgiler Fakültesi, *Gereççeli Anayasa Önerisi*, SBF Basın ve Yayın Yüksek Okulu Basımevi, Ankara, 1982.
- Kaboğlu, İbrahim, *Çevre Hakkı*, İmge Kitabevi Yayınları, Ankara, 1996.
- Keleş, Ruşen; Birol Ertan, *Çevre Hukukuna Giriş*, İmge Kitabevi Yayınları, Ankara, 2002.
- Kızıroğlu, İlhami, "Education and Reserach on Environmental Awareness in Turkey", *Clean-Soil, Air, Water*, Vol: 35, Issue: 6, 2007.
- Özdek, E. Yasemin, *İnsan Hakkı Olarak Çevre Hakkı*, TODAİE, Ankara, 1993.
- T.C. Çevre ve Orman Bakanlığı, *Türkiye Çevre Durum Raporu* (Hazırl. Çevresel Etki Değerlendirmesi Ve Planlama Genel Müdürlüğü, Çevre Envanteri Dairesi Başkanlığı), Ankara, 2007.
- Türkiye Bilimler Akademisi, *Türkiye İçin Sürdürülebilir Kalkınma Öncelikleri: Dünya Sürdürülebilir Kalkınma Zirvesi İçin TÜBA'nın Görüşü* (Edit. İlhan Tekeli), Ankara, 2002.

⁹ E. Yasemin Özdek, *İnsan Hakkı Olarak Çevre Hakkı*, TODAİE, Ankara, 1993, p. 126-127.

¹⁰ İbrahim Kaboğlu, *Çevre Hakkı*, İmge Kitabevi Yayınları, Ankara, 1996, p. 78-80.

ეკონომიკური განათლების კვადაკვალ საქართველოში

რუიზან მექვაბიძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი
E-mail: gsu@grt.ge

2005 წლიდან საქართველოს ჩართვამ ბოლონის საგანმანათლებლო პროცესებში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ფორმირებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში [რ. მექვაბიძე, 2009]. გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ძირითადად შეცვალა ეკონომიკური მიმართულების სპეციალისტის მომზადების პროცესი, რადგან სწორედ ეკონომიკურმა განათლებამ განიცადა ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და ძვრა. ამ პროცესს კიდევ დაემატა:

- სწრაფად მზარდი საინფორმაციო ტექნოლოგიები და მათი გამოყენების აუცილებლობა განათლებაში;
- ეკონომიკური მოდელების აგებისა და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფები და მათი შემდგომი განვითარება: STATA, SPSS, EcoView და სხვა;
- პასუხისმგებლობის გაზრდა საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამების დახვეწის თვალსაზრისით;
- მასწავლებლის მზარდი გადამზადების აუცილებლობა.

საბაზრო ეკონომიკა, რომელიც კონკურენტუნარიან გარემოს აყალიბებს, სისტემატურ კვლევას ითხოვს. ეს კვლევა და მისი დიზაინი აერთიანებს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, ეყრდნობა სტატისტიკის მეთოდებს და მისი გამოყენებითი მიმართულებები აისახება ეკონომეტრიკაში, რასაც დაემატება ოპტიმიზაციის მეთოდები. იმისათვის, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილება მივიღოთ კვლევის შედეგების მიხედვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მიზნშეწონილია სასწავლო დისციპლინების: მათემატიკა, ალბათობის თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში, შემდეგ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და მოდელები, ოპტიმიზაციის მეთოდები.

საქართველოს უნივერსიტეტებში ეკონომიკური განათლების პროგრამების დიზაინისას შეტანილი ცვლილებები, რომელიც იმ დისციპლინების სწავლებას მოიცავს, როგორცაა: ეკონომეტრიკა, ოპტიმიზაციის მეთოდები (მათ შორის თამაშთა თეორია) მნიშვნელოვან დატვირთვას იძენენ არა მარტო საბაკალავრო პროგრამების დონეზე, არამედ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დიზაინის შემთხვევებშიც. სწორედ კვლევის უნარ-ჩვევების შექმნა და შემდეგში მათი დახვეწა მნიშვნელოვანია მაგისტრანტისთვის, რომელსაც ელის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და ნაკლებ მოსალოდნელია, მან თავი გაართვას მას კვლევის უნარ-ჩვევების შექმნის გარეშე. გარდა ამისა, მაგისტრანტის მიერ კვლევის უნარ-ჩვევების ათვისება და გამოყენება უკვე არის საფუძველი, რომ მან შეიძლება შემდეგ საფეხურზე (სადოქტორო პროგრამაზე) გადასვლაზე იფიქროს. დღეს მსოფლიო საგანმანათლებლო გარემო ნამდვილადაა დაინტერესებული მოიზიდოს წარმატებული სტუდენტები სამაგისტრო თუ სადოქტორო სასწავლო პროგრამებზე. ამაზე მეტყველებს ის უამრავი გრანტები, სტიპენდიები და კვლევითი სამუშაოები, რომლებიც წარმატებული სტუდენტებისთვისაა შეთავაზებული მსოფლიოს უნივერსიტეტების მიერ, მაგრამ კვლევისათვის მოუმზადებელი კონტიგენტისათვის დაფინანსების ეს წყაროები მიუწვდომელია. სწორედ ეს ფაქტორი ერთ-ერთი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ განვითარებადი ქვეყნების (როგორცაა საქართველო) საგანმანათლებლო სისტემამ და უმაღლესმა სასწავლებლებმა დახვეწონ სასწავლო პროგრამები ამ მიმართულებით.

ყურადღება მინდა გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ ეკონომიკურ განათლებაში კურიკულუმის დიზაინის სრულყოფა, რომლის ტრანსფორმაცია 90-იანი წლებიდან დაიწყო და უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა 2005 წლიდან, როდესაც საქართველო ბოლონის საგანმანათლებლო პროცესებში ჩაერთო, ისევ მოდიფიკაციას განიცდის და ეს ნორმალურიცაა, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სასწავლო პროგრამის გასაუმჯობესებლად და არა პირიქით. სპეციალისტის ფორმირება არ უნდა კნინდებოდეს სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციით. მაგალითისათვის უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს უმრავლესი უნივერსიტეტისათვის და, მათ შორის გორის სასწავლო უნივერსიტეტისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი:

- საბაკალავრო სწავლების დონეზე ისწავლება მათემატიკა, მათემატიკური სტატისტიკა და ალბათობა, და სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში (უკეთეს შემთხვევაში);

- კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით ბაკალავრი უნდა ეზიაროს კვლევის არსს, მის ბუნებას და საბაკალავრო ნაშრომში, ალბათ, უნდა ასახოს „კვლევის გამოყენების ბუნება“, მაგრამ თუ მას არ ექნება ამ „ბუნების“ ინსტრუმენტი, ბუნებრივია მიზანი მიუღწეველი იქნება და მის მიერ ნასწავლი დისციპლინები (მათემატიკა, მათემატიკური სტატისტიკა, სტატისტიკა) - გამოუყენებელი და დავიწყებული.

სამაგისტრო სწავლების დონეზე კიდევ უარესი სიტუაციაა. კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით მაგისტრი კვლევის პრინციპს უნდა ფლობდეს, რადგან მან სამაგისტრო თეზისი, რომელიც კვლევის შედეგს წარმოადგენს, მაგისტრმა ხარისხის დაცვისათვის უნდა წარადგინოს და ეს ნაშრომი უნდა დაიცვას. ლოგიკას მოკლებულია ის აზრი, რომ მაგისტრი ამას გააკეთებს, თუ მის სასწავლო პროგრამაში არ იყო კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი.

წლების განმავლობაში, ზემოთ აღნიშნული დისციპლინების დატოვება სასწავლო პროგრამებს მიღმა არ უნდა ნიშნავდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების წინსვლის ხელის შეწყობას და მომავალი, კონკურენტუნარიანი თაობის მომზადებას კიდევ უფრო მომთხოვნი საბაზრო ეკონომიკისათვის. ეს არის პრობლემა, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტების უმრავლესობას ეხება და უგულებელყოფილია, ნამდვილად იწვევს გაუგებრობას. რატომ? რითია გაპირობებული და ხომ არ გვიანდება ეკონომიკური საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგება საქართველოში?

პრობლემა და მისი მოგვარების მცდელობა.

ჯერ კიდევ ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის შემდეგ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ამჟამად გორის სასწავლო უნივერსიტეტის დონეებზე მრავალჯერ იყო მცდელობა ოფიციალური ახსნა-განმარტებებისა, საგანმანათლებლო პროექტების დამუშავების საფუძველზე კვლევის მეთოდებისა და კვლევის მეთოდების დიზაინის, ეკონომეტრიკის/კვლევის მეთოდების ჩართვა სასწავლო პროგრამებში, მაგრამ უშედეგოდ. სწორედ ამიტომ, ავტორის მიზანი 1997 –2010 წლებში, ფაქტობრივად, ამ ბაზის სრულყოფა იყო. ეს ბაზა, თითქმის სრულყოფილი, დღეისათვის ასე გამოიყურება:

- ეკონომეტრიკის სასწავლო ცენტრი;
- ეკონომეტრიკის სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასი;
- ეკონომეტრიკის სალექციო კურსი;
- ეკონომეტრიკა პრაქტიკაში (დამხმარე სახელმძღვანელო პრაქტიკული მეცადინეობისათვის);
- პროგრამული უზრუნველყოფა (STATA 5.0, STATA 9.0, STATA 11.0 განახლებული 2010 წლის საგრანტო პროექტის ჩარჩოებში [S. Tsotniashvili,2010])

ქრონოლოგიის დაცვით, გორის სასწავლო უნივერსიტეტში პრობლემის მოგვარების ასეთი შედეგი გვაქვს:

1997-2010 წ.წ.

#	თარიღი, პროექტის #	პროექტის დასახელება	პროექტის შედეგი	ფინანსური მხარდამჭერი
1	10/10/98-18/10/98 HESP [რ. მექვაბიძე, 1997]	სამგზავრო გრანტი. მიმღები ორგანიზაცია: მოსკოვის ახალი ეკონომიკური სკოლა	სასწავლო პროგრამის მომზადება: კონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელური; ეკონომეტრიკა	უმაღლესი განათლების დახმარების პროგრამა
2	1997-1998 C97 – 1036 [რ. მექვაბიძე, 1998]	ლექციების კურსის მომზადება ეკონომეტრიკაში; უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის გამდიდრება თანამედროვე ეკ. ლიტერატურით	1.მომზადდა ლექციების კურსი ეკონომეტრიკაში I; 2. გამდიდრდა უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი თანამედ. ეკ. ლიტ-ით	ევრაზიის ფონდი
3	OSGF/HESP/06/98 [რ.მექვაბიძე, 1998]	ეკონომეტრიკის სწავლების თანამედროვე მეთოდების კვლევა და ანალიზი	მომზადდა დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო	ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“; უმ. განათლების დახმარების პროგრამა

4	8/2/2001- 5/06/01 OSGF/ HESP/06/00 [რ. მექვაბიძე, 2000]	ეკონომეტრიკის სალექციო კურსი II -ის მომზადება	მომზადდა ეკონომეტრიკის სალექციო კურსი	ფონდი „ღია საზოგადოება- საქართველო“; უმ. განათლების დახმარების პროგრამა
5	TEMPUS- Contract N CD_JEP-21058- 2000–2002 [TEMPUS, 2000]	ფინანსებისა და საბანკო საქმის სწავლების რეფორმებისათვის	მეთოდური სასწავლო მასალების მომზადება ფინანსებსა, საბანკო საქმესა და ეკონომეტრიკაში	ევროკომისია
6	05/01/2009- 05/01/2011 HESP/ISSET [პროექტი, 2009]	ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების ხელოვნება	პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება	ღია საზოგადოების ინსტიტუტი
7	1/12/2010– 1/04/2011 [S. Tsozniashvili, 2010]	დისტანციური სწავლების ცენტრის შექმნა ელექტრონული სასწავლო კურსებით	მომზადდება 5 სასწავლო კურსები და მათ შორის: „კვლევის მეთოდები ბიზნესსა და ეკონომიკაში“ (შესავალი კურსი); „კვლევის მეთოდები ბიზნესსა და ეკონომიკაში“ (პრაქტიკული კურსი);	აშშ–ს საელჩო საქართველოში

ეს ჩამონათვალი ნამდვილად არის კვლევის მეთოდების და კვლევის დიზაინის სწავლებისათვის მაქსიმუმი არამარტო საქართველოს ეკონომიკური სასწავლო გარემოსათვის. ეს გარემო გორის უნივერსიტეტისათვის გაუგებარი აღმოჩნდა 1997–2010 წლების განმავლობაში. შესაძლებელია, ეს სიტუაცია გამოწვეული იყო ორი ფაქტორით:

- ეკონომიკის სპეციალობის მასწავლებლებისათვის ეკონომეტრიკა გაუგებარ დისციპლინად დარჩა, რადგან იმ პერიოდში, როდესაც ისინი სპეციალობას იღებდნენ, ეკონომეტრიკა ეკონომიკურ ფაკულტეტებზე არ ისწავლებოდა;
- ეკონომიკის სპეციალობის მასწავლებლებმა ვერ გაითავისეს კვლევის მეთოდებისა და კვლევის დიზაინის არსი და მათი დანიშნულება საბაზრო ეკონომიკის პირობებში (შეიძლება ისევ პირველი ფაქტორის არსებობის გამო).

კიდევ უფრო საინტერესო მდგომარეობაშია თამაშთა თეორია, რომელიც სტრატეგიების გამოთვლებს აფორმირებს და ეკონომეტრიკასთან ერთად, ეკონომიკური გადაწყვეტილებების ხელოვნებაში წამყვან როლს თამაშობს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გორის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტის მესვეურების მოსაზრებები კვლევის მეთოდების სწავლების შესახებ წლების განმავლობაში: „სხვა უნივერსიტეტებს არ აქვთ“ (ძირითადად, მხედველობაში ივანე ჯავახიშვილის თბილისი სახ. უნივერსიტეტი (თსუ) აქვთ მხედველობაში, თუმცა თსუ–ს ეკონომეტრიკა მაინც აქვს და არა მარტო, თსუ–ს). 2011 წლის 19 მაისის #31 გადაწყვეტილებით, გორის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართლის ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება: „ბიზნესის მართვისა და ფინანსების სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტდენტებს შესაძლებლობა ექნებათ სასწავლო კურსი „ეკონომეტრიკა“ შეისწავლონ არჩევითი სასწავლო კურსის სახით“. ამ „გადაწყვეტილებისათვის“ ფაკულტეტს 10 წელზე მეტი დასჭირდა და გაცნობიერებულია თუ არა ამ დისციპლინის არსი, მკითხველისათვის მიმინდვია!

ეკონომეტრიკის სწავლებასთან მიმართებაში ეს საკითხი საკმაოდ ვრცელადაა განხილული 2007–2010წ.წ. ([რ. მექვაბიძე, 2009], [R. Mekvabidze, P. Mekvabidze, 2007], [რ. მექვაბიძე, 2008])

რა ხდება დღეს საქართველოს საზღვრებს გარეთ უნივერსიტეტებში და რამდენად თავსებადია მათი სასწავლო პროგრამა საქართველოს უნივერსიტეტების პროგრამასთან?

ბიზნესის ადმინისტრირების 2 წლიანი სამაგისტრო კურსი პირველივე სემესტრში ფინანსები I -ის სწავლება მოიცავს [რ. მექვაბიძე, 2009]:

- კორპორაციული ფინანსების პრინციპებისა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების საფუძვლებს;

- თანამედროვე ფინანსური ბაზრებისა და ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციებს;
- ანალიზის სტანდარტული ტექნიკას, ფულადი ნაკადების შეფასებასა და რისკის ანალიზს.

სწორედ მესამე ნაწილი – ანალიზის სტანდარტული ტექნიკა ფულადი ნაკადების შეფასება და რისკის ანალიზია დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასთან, რადგან თეორიული საფუძველი საბაკალავრო დონეზე სტუდენტს მიღებული აქვს (უნდა ჰქონდეს მიღებული), ბუნებრივია კითხვა: რა საშუალებებით შეიძლება ფულადი ნაკადების შეფასება და რისკის ანალიზი პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე?

მეორე წელს, გრძელდება რა ფინანსების (**ფინანსები II**) სწავლება, ის ფოკუსირებულია მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებაზე [12]. მასალა დაყოფილია 4 ბლოკად და საინტერესოა, რომ ამ ბლოკებისათვის ფინანსური ანალიზის ინსტრუმენტების ცოდნაა გათვალისწინებული, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფასწარმოქმნის მოდელები, რასაც წარმატებით განიხილავს ფინანსური ბაზრების ეკონომეტრიკა. ბუნებრივია, რომ მისი საფუძველები საბაკალავრო დონეზე უკვე ათვისებულია სტუდენტის მიერ. მაგრამ, როგორც სტუდენტები ამბობენ, „ჩვენ ჰარვარდი არ ვართ“.

ასევე, ფინანსების სპეციალობაზე აუცილებელია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების სწავლებისათვის:

1. რისკების შეფასება და ფინანსური კრიტერიუმების ანალიზი მყარი საბიუჯეტო გადაწყვეტილების მისაღებად;
2. ძირითადი აქტივების ფასწარმოქმნის მოდელის გამოყენება;
3. გადაწყვეტილებების მიღების ხელოვნების დახვეწა.

საინტერესოა ის სპეციალური თემებიც, რომლებიც გათვლილია წონასწორობის პრინციპზე, დაფუძნებულია სტრატეგიის რაციონალურობაზე და მათზე პასუხისმგებელია **თამაშთა თეორიის გამოყენების პოტენციალი** [13].

<http://www.gametheory.net/lectures/lectures.pl?Level=MBA&highlight=MBA>

ლიტერატურა:

- [1] რუიზან მექვაბიძე. „საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ საქართველოში: ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების სწავლება ეკონომიკურ განათლებაში“. გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2009
- [2] S. Tsofniasvili, Creation of Distance Learning Centre at GU, U.S. EMBASSY IN TBILISI, GEORGIA, Democracy Outreach/Alumni Grants Program, 2010
- [3] Ruizan Mekvabidze. The program on Econometrics. Travel, Host University: Moscow New Economic School 10/10/98-18/10/98, Project Financed by HESP
- [4] Ruizan Mekvabidze Analysis of the Literature on Econometrics, Enhance the Library of Gori State University with Modern Economic Literature, 1997-1998, C97 – 1036, Project Financed by Eurasia Foundation
- [5] რუიზან მექვაბიძე . ეკონომეტრიკის სწავლების თანამედროვე მეთოდების კვლევა და ანალიზი, OSGF/HESP/06/98
- [6] რუიზან მექვაბიძე. ეკონომეტრიკის სალექციო კურსის მომზადება, II. 8/2/2001- 5/06/01, OSGF/HESP/06/00
- [7] ფინანსებისა და საბანკო საქმის სწავლების რეფორმებისათვის. TEMPUS- Contract N CD_JEP-21058-2000–2002
- [8] The Art of Economic Decision Making, 05/01/2009-05/01/2011, Participant of the project financed by HESP/ISET
- [9] R. Mekvabidze, P. Mekvabidze. Curricula, Syllabi Design and Teaching Method for the Module of “Quantitative Economic Methods and Models”, International Black Sea University 4th International Silk Road Symposia “New Trends in Higher Education, 4-6 May, 2007, Tbilisi
- [10] რუიზან მექვაბიძე. საქართველოში ეკონომიკური განათლების რეფორმების კვალდაკვალ: თანამედროვე კურიკულუმების დიზაინის ტრანსფორმაციის სრულყოფისათვის., ვორკშოფი დაფინანსებული აშშ–ს საელჩოს მიერ „ეკონომიკური და პროფესიული განათლების დასახმარებლად“, გორის უნივერსიტეტი, 2008
- [11] რუიზან მექვაბიძე, საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ საქართველოში: ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების სწავლება ეკონომიკურ განათლებაში, გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენცია, 2009
- [12] <http://www.hbs.edu/mba/academics/term1.html>
- [13] <http://www.hbs.edu/mba/academics/term2.html>
- [14] <http://ibs.edu.ge/Icerik.aspx?ID=188&Page1=122&Page2=Faculties%20and%20Schools>

[15] http://gtu.edu.ge/Faculties/HTF/magistratura/INTERN_EKONOMIKA_gagma.pdf

[16] http://gtu.edu.ge/Faculties/HTF/magistratura/AUDITI_gagma.pdf

[17] <http://www.sbs.ox.ac.uk/degrees/mba/Pages/outline.aspx>

FOLLOWING OF ECONOMIC EDUCATION: GEORGIA CASE

Ruizan Mekvabidze, Gori Teaching University, Dr.

RESUME

In this article is considered the problem that takes place in the teaching programs of Georgian Universities. Particularly, there is considered inconsistency of this program with the preparing a competitive specialists of economic profiles. The reason of this problem is connected with the ignoring that disciplines as are: research methods in business and economics, econometrics, game theory. There is considered the possibility the suggestion of the programs design, especially:

- to analyze the European and USA universities study programs;
- to choose the real sequence of teaching disciplines;
- to prepare a concrete syllabi for the concrete specialty according to the aim of the competitive market demand.

ისტორიულ წყაროთა ანალიზისა და განსხვავებული ინტერპრეტაციის სწავლებისათვის

მანანა მიჩიტაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ქართული საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი პრიორიტეტია უზრუნველყოს თითოეული ახალგაზრდა ისეთი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომელიც დაეხმარება მას სწორი არჩევანის გაკეთებაში, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, პრობლემის გადაჭრაში და მუდმივად ცვალებად დემოკრატიულ გარემოსთან ადაპტაციაში, პიროვნების სრულყოფილი განვითარებისა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის მიღწევაში. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზანი არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შეძენა, არამედ ზოგადი და სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებაა, რაც პროფესიული კომპეტენციის ერთ-ერთ მარკერებად რჩება. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით შექმნილი ისტორიის სახელმძღვანელოები დაფუძნებულია ისტორიულ წყაროებზე. მასწავლებელი სწორედ ის ძალაა, რომელსაც უნარი შესწევს, წყაროებზე მუშაობის ინოვაციური მიდგომებით მოსწავლეებს განუვითაროს ის პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია თანამედროვე მსოფლიოში არსებული გამოწვევების წარმატებით დასაძლევად, შეძლონ ამოუწურავი ინფორმაციიდან სანდო ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, რომელიც ხშირად წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი ხასიათისაა. უმთავრესი აქცენტი უნდა გაკეთდეს წყაროების ანალიზზე და განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე. მხოლოდ ასეთი მიდგომა ეხმარება მოსწავლეს ისტორიული მოვლენის გააზრებასა და მისადმი საკუთარი დამოკიდებულების, სათანადო დასკვნების ჩამოყალიბებაში. წყაროების ანალიზისა და განსხვავებული ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების დაუფლებით ისტორიის გაკვეთილი ყოველთვის იქნება შემოქმედებითი სიახლეებით დატვირთული, აქტიური, სახალისო და მოსწავლეზე ორიენტირებული. მასწავლებლის პროფესია კი პრესტიჟული, მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი.

მიუხედავად ისტორიკოსების და განათლების რეფორმატორთა აზრთა სხვადასხვაობისა, დღეს აღარ კამათობენ ისტორიულ წყაროების მნიშვნელობაზე. ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს მიმდევრები ამტკიცებდნენ, კლასში ისტორიული წყაროების შეტანა იმ მიზნით, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად გაანალიზონ, არ იყო გამართლებული და მოსწავლეთათვის ადვილი. მისი მიმდევრები დღესაც ამტკიცებენ, რომ მოზარდის უნარი პირველადი წყაროების დამოუკიდებელი ინტერპრეტირებისა, ძალიან შეზღუდულია. მათი აზრით, ისტორიული ეპოქის წარდგენა მხოლოდ ანალიზის საფუძველზეა დამოკიდებული. ისტორიული წყაროს სიღრმისეული ანალიზი კი ისტორიული წყაროს ყოველმხრივი შესწავლის საფუძველია. ვერ გავიზიარებთ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის

მოსაზრებასაც, თითქოს პირველადი წყაროების ანალიზისადმი პრიორიტეტის მინიჭება მეორადი წყაროების მნიშვნელობის დამცირებას იწვევდეს. სწორედ მეორადი წყაროები, ისტორიკოსთა განსხვავებული ინტერპრეტაციები, არგუმენტირებულ საფუძველს უქმნის და აძლევს მოტივაციას მოსწავლეებს საკუთარ პოზიციასზე მსჯელობისა.

განსხვავებული ინტერპრეტაციაზე კ. პიტერ ფრიცზე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს ”გააზრების სტრატეგიაა”, რომელშიც საკუთარი ხედვის გარდა სხვების ხედვასაც ვითვალისწინებთ... ანა-ლო ბიერის აზრით ეს ნიშნავს შეგემლოს და გასურდეს სიტუაცია სხვადასხვა თვალთახედვით განიხილოთ.” [სტრადლინგი, 2003:14]

განსხვავებული ინტერპრეტაციები 1990 წლებამდე იშვიათად თუ გამოიყენებოდა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში, თუმცა პროფესორმა ბოდო ფონ ბორიესმა დაადგინა, რომ ჯერ კიდევ 1970-იან წლებში აღნიშნულ კონცეფციას განიხილავდნენ და აქტიურად ავრცელებდნენ გერმანელი ისტორიკოსები, მათ შორის ბორიესიც, თუმცა არ უარყოფდნენ ქრონოლოგიისა და ისტორიული ცოდნის მნიშვნელობას. ეს ახალი მიდგომა საშუალებას აძლევდა მოსწავლეებს ისტორიულად ეაზროვნად. შედეგად უფრო მეტი აქცენტი კეთდებოდა, თუ როგორ მოეხდინათ სხვადასხვა პირველადი და მეორადი წყაროდან მიღებული ფაქტის ანალიზი, ინტერპრეტაცია და სინთეზი. ხედავ - ეს არის თვალსაზრისი რომელიც შემოიფარგლება იმ პირთა პოზიციით, რომელიც მას გამოხატავს. ისტორიის გაკვეთილებზე განსხვავებულ ხედვას სწავლობენ პირველადი და მეორადი წყაროების კომბინაციით მუშაობისას, სადაც პირველ რიგში გასათვალისწინებელია რამდენად ახლოს იყო მოცემული წყარო შესწავლილ მოვლენებთან, რომელშიც შედის: მოვლენების მონაწილე; თვითმხილველი; ჟურნალისტი; ფოტორეპორტიორი; ტელევიზიის რეპორტიორი, ოფიციალური პირი, რომელმაც მტკიცებულებები მოიპოვა სხვადასხვა წყაროდან; რა დროში მოხდა ისტორიულ წყაროში დაკვირვებების შედეგების დაფიქსირება და სხვ.

სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ისტორიის აღქმა არაერთგაროვანია. მე-10 კლასის ისტორიის საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებული შედეგებით და ინდიკატორებით - მოსწავლემ უნდა გაანალიზოს და შეაფასოს ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის /პიროვნების/ განსხვავებული ინტერპრეტაციები. [ესგ. 2009-2010:192]

გონებრივი იერიშის მეთოდით ვაცნობთ შესასწავლი წყაროს გამოვლენის ისტორიას, ჩვენამდე მოღწეული ტექსტის მდგომარეობას, წყაროს წარმოშობას. ინფორმაცია შეიძლება დიალოგის ფორმითაც მიეწოდოს. ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი და პასუხობდეს შემდგომ სამოქმედო გეგმას, რომ მოვლენებთან სიახლოვე, როგორც დროში ისე სივრცეში არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ უფრო საიმედოდ აისახა მომხდარი მოვლენა. თვით სანდო თვითმხილველთა შეფასებები შეიძლება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდეს. უდავოა, კარგად ინფორმირებულ თვითმხილველს, რაც არ უნდა კარგი პოზიცია ეკავოს დაკვირვებისათვის, შეუძლია დაინახოს მხოლოდ მცირე ნაწილი ისტორიული მოვლენისა. სხვადასხვა პოზიციებზე მყოფ თვითმხილველთა მონათხრობზე დაყრდნობით კი შესაძლებელია უფრო სრული სურათის მიღება. კარგი იქნებოდა გაგვეზიარებინა სტრადლინგის მოსაზრება - ახალი და უახლესი ისტორიის წყაროების სწავლებისას დაგვემკვიდრებინა ტერმინი ”დაკვირვებისათვის კარგი პოზიცია”. სწორედ იგი გულისხმობს, თუ როგორ შეიძლებოდა ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ხედავ შეზღუდული იყოს იმ პირის მოსაზრებით, რომელსაც ვეყრდნობით. შეზღუდვები ფიზიკური და პოლიტიკური საფუძველით აიხსნება და დროსა და სივრცეს უკავშირდება. ხაზგასმით უნდა დაფიქსირდეს, რომ ისტორიული თვითმხილველები არა უბრალოდ აღწერენ რასაც ხედავენ, არამედ ნანახის ინტერპრეტაციასაც ახდენენ, გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ მას, რაც აისახება მათი პირადი მოსაზრებების, წინასწარ ჩამოყალიბებული იდეების, რწმენის, სტერეოტიპისა და მოლოდინის ჩარჩოებში. შუა საუკუნეების ისტორიკოსების მსგავსად, მათაც გააჩნიათ თავიანთი წინასწარ ჩამოყალიბებული მრწამსი და მოსაზრება, პოლიტიკური დაკვეთა, რაც მათ ტენდენციურობას არ გამორიცხავს.

ამრიგად, მასწავლებელმა უნდა განუმარტოს მოსწავლეს, რომ წყაროს ავტორმა, რომელიც ცდილობს მოვლენების პოლიტიკური ხედავ შემოგვთავაზოს, შესაძლებელია განსხვავებულად წარმოგვიდგინოს მომხდარი და ყურადღებას ამახვილებდეს სხვადასხვა ფაქტორსა და გარემოებაზე, უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდეს გარკვეულ შედეგებსა და მოვლენებს. წყაროების ანალიზის, განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასკვნებისათვის უნდა გაკეთდეს აქცენტები შემდეგ გარემოებებზე:

1. წყაროებში ისტორიულ მოვლენებზე დაკვირვება სხვადასხვა პოზიციიდან: რა გაიგონეს, ნახეს და იგრძნეს თვითმხილველმა ავტორებმა, რამდენად სანდოა თითოეული წყარო. ამის დადგენა, ნაწილობრივ, შეგვიძლია წყაროებში წარმოდგენილი ფაქტების შედარების და ჯვარედინი შედარების

გზით. ასევე თითოეული წყაროს შესახებ: სად იყვნენ ისინი მოვლენის ეპიცენტრში? როგორ მიიღეს ინფორმაცია? რა როლს ასრულებდნენ?. გასათვალისწინებელია პირობები, რის გამოც შეიძლება შეზღუდული იყოს ის, რაც ინფორმაციის წყარომ დაინახა, გაიგონა ან იგრძნო. შეზღუდვა შეიძლება იყოს ფიზიკური, ტექნიკური ან თვითდაწესებული.

2. წყაროებში ისტორიული მოვლენები შეგვიძლია სხვადასხვა თვალსაზრისით განვიხილოთ. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ რა მოტივი უდევს საფუძვლად თითოეულ თვალსაზრისს, ვის ეკუთვნის მოცემული ხედავ-სხვადასხვა წყაროს ავტორს თუ წყაროებში მოხსენიებულ პირს ან პირებს. საერთოდ, არსებობს აღნიშნული პროცესის სამი შემადგენელი ელემენტი. პირველი, გულისხმობს მცდელობას – გავიგოთ გამოხატული მოსაზრების ლოგიკა. რატომ ფიქრობს ასე მოსაზრების ავტორი? რა საფუძველს ემყარება მოსაზრება? მოსაზრების ავტორს რატომ მიაჩნია სარწმუნოდ ინფორმაციის გარკვეული ნაწილი და არა მთლიანად ინფორმაცია? რა არჩევანი ჰქონდა მას? არსებული შესაძლებლობებიდან რატომ აირჩია მან მოქმედების მოცემული, კონკრეტული კურსი და ა.შ. მეორე, მოიცავს ტექსტის ენას მცდარი ანალოგიებისა და სტერეოტიპების გამოყენებას. იგივე გამოიყენება სხვა წყაროებისთვის, როგორც არის ზეპირი ჩვენება, ფოტოსურათები, ფილმები, პლაკატები, ვიდეომასალა. მესამე, ყოველი წყაროს შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, რაც საშუალებას გვაძლევს, უფრო სრულყოფილად გავიგოთ მოსაზრების ავტორის "წარმომავლობა", მისი ისტორია, კავშირები, სანდოობა და ტენდენციურობა.

3. წყაროებში ისტორიული მოვლენები უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ისტორიული შეფასებისა და განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებით. ამ შემთხვევაში აღინიშნება მსგავსებები და განსხვავებები, თხრობის სტრუქტურა, კონსესუსი და უთანხმოების ინტერპრეტაცია, მინიშნებები ძირითადი საკითხებზე.

ამგვარი აქცენტებით მოსწავლეებს დავებმარებით ისწავლონ წყაროთა ანალიზი და განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველთა ძიება, ნებისმიერი წყაროსადმი ანალიზური კითხვების დასმა, კონტექსტური ბარათების გამოყენება და სიმულაციურ დავალებათა წარმატებით გადაწყვეტა. მნიშვნელობა არა აქვს რა ტიპის წყარო იქნება ეს: წერილობითი, ვიზუალური თუ აუდიო-ვიზუალური, თუ რამოდენიმე ტიპის წყარო ერთდროულად. ყველაზე მარტივი გზა სხვადასხვა სახის წყაროს ანალიზისა რომელიც გაუადვილებთ მოსწავლეებს ანალიტიკურ მუშაობას შემდეგია:

აღწერა: /რომელშიც იგულისხმება/რა სახის წყაროა მოცემული? ვინ არის წყაროს ავტორი? მედასეობა, პოლიტიკური თუ რელიგიური ორიენტაცია, სოციალური სტატუსი, რა სახით იყო ჩართული ასახულ მოვლენებში (მონაწილე, თვითმხილველი, რეპორტიორი, კომენტატორი, ოფიციალური პირი, და ა.შ.)

როდის შეიქმნა წყარო, მოვლენიდან რამდენი ხნის შემდეგ? წყაროში მითითებულია თუ არა ვისზე იყო იგი გათვლილი? მითითებულია თუ არა რა იყო მისი მიზანი? რას გვეუბნება იგი ამა თუ იმ კონკრეტული ისტორიული მოვლენის შესახებ? პიროვნების შესახებ?

ინტერპრეტაცია: თუ არ ვიცით წყაროს ავტორი, შეგვიძლია თუ არა მის შესახებ დასკვნა გავაკეთოთ თვითონ წყაროს მიხედვით (მოვლენაში მისი მონაწილეობის დონე, სიახლოვე აღწერილ მოვლენებთან, მოსაზრება, კონტაქტები, როლი და ა.შ.) არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო წყაროს ავტორმა ინფორმაცია? არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება იმის შესახებ, თუ რამდენად სანდოა ინფორმაცია? შეგვიძლია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ დადასტურებული ფაქტები, ექსპერტის მოსაზრება და პირადი მოსაზრება? შეგვიძლია თუ არა დავადგინოთ წყაროში გამოხატული ხედვის მოდელი (გარკვეული პოზიციის მხარდაჭერა, ცრურწმენა სხვა პოზიციის წინააღმდეგ და ა. შ.)? გვთავაზობს თუ არა რაიმე დასკვნას წყაროს ავტორი? წყაროებს საფუძველს უმყარებს თუ არა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი ან მოსაზრება? რომელი წყარო არსებობს განსხვავებული ხედვით? რა ვიცით მეორად და სხვა ტიპის წყაროების შესახებ?

კავშირი მანამდე არსებულ ცოდნასთან: წყაროში წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს თუ ეწინააღმდეგება სხვა მნიშვნელოვან წყაროებში არსებულ ინფორმაციას. მტკიცებულებებში დასადგენია გამოტოვებულია თუ არა სახელები, თარიღები ან სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები, რომელიც მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარებოდა.

შემდგომი ინფორმაციის წყაროების დადგენა: – სად არის შესაძლებელი მოცემულ წყაროში წარმოდგენილი ინფორმაციის ან მისი ავტორის ინტერპრეტაციის შემოწმება? რომელი სახის წყაროებშია შესაძლებელი? და სხვ.

აღნიშნული თეორიული წყაროთმცოდნეობითი საკითხების გათვალისწინებით განსხვავდება გაკვეთილები მიზნებისა და აქტივობების მიხედვით. მაგ. გაკვეთილები, რომელთა მიზანია:

1. წყაროებზე მუშაობის უნარის განვითარება; კონკრეტულად წყაროს ავტორის/ავტორების შესახებ ინფორმაციის დადგენა და მისი კრიტიკულად შეფასება.

გაკვეთილის მსვლელობისას: მოსწავლეებს ურიგდებათ წყაროები ან პროექტორით ეცნობიან ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრისა და ჟამთააღმწერლის განსხვავებული დახასიათების კონტექსტს. ჯგუფებს ეძლევათ 15 წუთი დავალების შესასრულებლად:

1. ადარებენ წყაროთა ავტორებს რამოდენიმე ასპექტით:

ა) წყაროების მიხედვით ადგენენ და ასაბუთებენ, თუ როდის ცხოვრობდნენ მათი ავტორები ერთ ეპოქაში თუ სხვადასხვა ეპოქებში; ისტორიკოსის პირადი ურთიერთობა მეფესთან, ეპოქის ფასეულობანი და მენტალიტეტი, სოციალური სტატუსი, და სხვ. ბ) წყაროების მიხედვით ადგენენ და ასაბუთებენ წყაროს სანდოობას, წყაროს შექმნის მიზანს, მედასეობას, პოლიტიკურ და რელიგიურ ორიენტაციას, თუ საზოგადოების რა ნაწილის მიმართ იყვნენ სიმპათიით გამსჭვალულნი ავტორები და ა.შ. გ) წყაროების მიხედვით არგუმენტირებულად მსჯელობენ რომელი ავტორია უფრო ობიექტური. დ) წყაროთა შედარება -შეპირისპირებით წარადგენენ ეპოქას,

2. გაკვეთილის მიზანი: ერთსა და იმავე წყაროს, განსხვავებული ინტერპრეტაციები და საკუთარ პოზიციასზე არგუმენტირებული მსჯელობა.

XI კლასში - "გეორგიევსკის ტრაქტატის" სწავლებისას მოსწავლეები ეცნობიან ტრაქტატის მუხლებს, ადგენენ რომელი მუხლებია საქართველოსა და რუსეთის ინტერესების გამომხატველი, შემდეგ იყოფიან ჯგუფებად და ეცნობიან პირველად და მეორად /ქართულ და უცხოურ/წყაროებს, ადგენენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, მსჯელობენ სამეფო კარის პრორუსულ და პროდასავლურ ორიენტაციაზე, აკეთებენ არჩევანს ერეკლე მეფის ადგილზე რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ და არგუმენტირებულად მსჯელობენ საკუთარ პოზიციასზე. გამოაქვთ დასკვნები, აფასებენ ტრაქტატის მნიშვნელობას, იძიებენ დამატებით წყაროებს და არკვევენ რამდენად კმაყოფილი ჩანს მეფე ტრაქტატის შედეგებით, წინასწარ შეეძლო თუ არა განესაზღვრა ტრაქტატის მოსალოდნელი შედეგები. ავლებენ პარალელს "სათხოვარი პუნქტების" ტექსტთან. წერენ ესეს ტრაქტატის დადების ცერემონიალის შესახებ. მუშაობენ ცხრილზე-ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთვალდებულებები გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით,

3. გაკვეთილის მიზანი: ერთსა და იმავე ისტორიულ მოვლენაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების გაგება.

XII კლასში - გაკვეთილის "პირველი რესპუბლიკის დასასრული" მსვლელობისას, ინტერესისა და შინაგანი მოტივაციის ამაღლების მიზნით, მოსწავლეებს უნდა წარედგინოს პრეზენტაცია. შემდეგ ჯუფები მუშაობენ პირველადი და მეორადი წყაროების შედარებაზე, ჯვარედინ /საბჭოურ, ემიგრანტულ, ევროპულ და ამერიკულ/ წყაროთა შედარებაზე, ინტერნეტში იძიებენ დამატებით ინფორმაციას, აუდიო და ვიდეო მასალას ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საომარ გეგმებსა და მოქმედებებზე; ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებაზე საქართველოსადმი; აფასებენ იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებას; აკეთებენ დასკვნებს ერთა ლიგაში გაწევრიანების, ევროპისა და ამერიკის აქტიური მხარდაჭერის შემთხვევაში როგორი იქნებოდა საქართველოს მომავალი; მსჯელობენ ჟორდანის მთავრობის შეცდომებზე, დედაქალაქის დაცვის გეგმაზე, კრიტიკულად აფასებენ ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებას და მთავრობის ემიგრაციაში წასვლას, იმართება კონსტრუქციული კამათი საკუთარი პოზიციის დასაცავად, ავლებენ პარალელებს აგვისტოს ომთან, წერენ არგუმენტირებულ ესეს: "25 თებერვლის სისხლიანი ქრონიკა". "ლევლის ქართველი ემიგრანტები" და სხვა.

პირველადი და მეორადი წყაროებზე მუშაობისას ჯგუფებს ეძლევათ დავალება იმსჯელონ რამდენად ავლენენ წყაროები ძირითად თვისებებს რეპრეზენტატულობას, [ალასანია, 1988:118] დროში და სივრცეში ორიენტაციას. ვთხოვთ პრეზენტაციისას წყაროების მიხედვით ეპოქის წარდგენას, დროში და სივრცეში ორიენტაციას შესაბამისი ისტორიული კონტექსტის გამოყენებით.

წყაროებზე მუშაობა მოიცავს განსხვავებულ აქტივობებს, რომელიც ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას და ხელს შეუწყობს მოსწავლის შემოქმედებითი აქტივობის ზრდას, წარმატებას. ყოველი აქტივობა უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და შეესაბამებოდეს შესასწავლი წყაროს კონკრეტულ ხასიათს, სადაც საჭიროა არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება, მსგავსებისა და განსხვავების ახსნა, ალტერნატიულიდან ორიგინალური გზის მიგნება, შედარება-შეპირისპირება, კანონზომიერების აღმოჩენა, ალტერნატიული გზების ძიებით ისტორიული პროცესების შეცვლის პერსპექტივები, შემოქმედებითი მიდგომა, სწორი დასკვნების გამოტანა და სხვა.

ამრიგად, წყაროებზე მუშაობის ჩვენეული ხედვა მიდის ოპტიმალურ დასკვნამდე, რომ ისტორიის მასწავლებელთა შემოქმედებითი უნარის ამაღლებით, პროფესიონალიზმით, პედაგოგთა ინოვაციური გამოცდილების ურთიერთგაზიარებით შევძლებთ ვუპასუხოთ თანამედროვე სკოლის ახალ გამოწვევებს და ინიციატივებს.

ლიტერატურა:

1. სტრადლინგი რ., ისტორიის სწავლება სხვადასხვაგვარი ხედვის გამოყენებით, ლონდონი, 2003
2. <http://itf2010.web.officelive.com/curriculum.aspx> ეროვნული სასწავლო გეგმა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ., 2009-2010
3. ალასანია გ., კიკნაძე რ., წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები, თბ., 1988

FOR TEACHING THE ANALYSIS AND VARIED INTERPRETATION OF THE HISTORICAL SOURCES

Manana Michitashvili, Gori Teaching University, Full Professor

ABSTRACT

One of the priorities of Georgian education is to provide each student with the proper knowledge and skills which shall assist him/her in making a choice.

The paper considers in details the ways of teaching the analysis and varied interpretation of the historical sources.

The paper highlights importance of the analysis and varied interpretation of the historical sources. It also states that the innovative approaches to work on the historical sources develop in students the professional skills which are important to have in the modern life in order to meet the challenges successfully. Having the mentioned skills, students will be able to get and process trustful information from unlimited information.

იგავის სწავლების დიდაქტიკურ-მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლების გაგებისათვის

შოთა ქურდაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

იგავი, ანუ იგავთმეტყველება უძველეს ქართულსა და ევროპულ წყაროებში დასტურდება. იმ დროიდან ადამიანებისათვის დროის შესაბამისი ცოდნა იგავთმეტყველების ორგვარი ასპექტით - მისი შინაარსის პირდაპირი გაგებითა და ალეგორიულად, გადატანითი გაგებით - მხატვრული განსახოვნებით უცდიათ.

პირველ საყურადღებო ცნობებს იგავთმეტყველების გაორებული ცოდნის შესახებ ბიბლიაში ვხვდებით. ახალი აღთქმის მე-13 თავში მთესველის იგავის სწავლებისას იესოს ეახლნენ მოწაფეები და ჰკითხეს: „უბრალო ხალხს რატომ ელაპარაკებით იგავებით, ანუ რატომ ასწავლით იგავებს? მან უთხრა: „იმიტომ რომ თქვენ მოცემული გაქვთ იცოდეთ ცათა საუფლოს საიდუმლოებანი, მათ (ე.ი. უბრალო ხალხს) კი არა აქვთ ეს მოცემული. (ხაზგასმა ჩემია შ.ქ.) (1, 10,11)

იესუ აქვე, დამატებით, მოწაფეებს განუმარტავს: „იგავით იმიტომ ველაპარაკები მათ, რომ ისინი უყურებენ და ვერ ხედავენ, უსმენენ და არ ესმით და ვერ ხვდებიან”. (13,13). ბოლოს, იმავე თავის მე-15 მუხლში, უბრალო ხალხის შემეცნებით შეზღუდულებზე მსჯელობს: „ვინაიდან გაუქვავდა ამ ხალხს გული, ყურით მძიმედ ესმით და დახუჭეს თვალები, რომ თვალთ არ დაინახონ”.

მერე განასხვავებს თავის მოძღვრებას წინასწარმეტყველთა სიტყვისაგან: ეს სხვაობა კი, როგორც, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს, ის იყო, რომ მართალია, წინასწარმეტყველნიც თესდნენ, მაგრამ არა თავის თესლს, არამედ ღმრთისას. იგი კი ღმერთი იყო და საკუთარ თესლს თესდა, რამეთუ ღმრთეებრივი მადლით კი არ იყო განგრძობილი, არამედ იყო სიბრძნე ღმრთისა”. (3, გვ.110)

იგავის შინაარსის ახსნა-განმარტებაში გამოიყენება ალეგორიული ანუ გადატანითი ხერხი. მაგალითად „გზაში” უზრუნველი და ზანტი ადამიანები იგულისხმება, „კლდოვანში” ისინი იგულისხმებიან, რომელნიც სიტყვას კი ისმენენ, მაგრამ თავიანთი სისუსტის გამო ვერ უმკლავდებიან რა ცდუნებასა და მწუხარებას, საკუთარი გადარჩენის საქმეს ღალატობენ. „ამომავალ მზეში ცდუნებანი მოიარე რადგანაც ადამიანებს ცდუნებანი წარმოაჩენენ და მსგავსად მზისა, დაფარულს ცხადყოფენ”. (იქვე ხაზგასმა ჩემია შ.ქ.)

ნეტარი თეოფილაქტეს განმარტებებში ჩვენს ყურადღებას იქცევს ცნებების, „საქმე“ და „მოაზრება“ ორივე ცნება მოცემულ კონტექსტში გულისხმობს იგავისა თუ რაიმე ცოდნის სწავლების პროცესში ადამიანთა გარკვეულ აქტიურ დამოკიდებულებას რაიმე შესასწავლი ცოდნისადმი. „საქმე არს მოქმედება რისამე“ (საზა), ილია აბულაძე აკონკრეტებს საზას განმარტებას: „კეთილისა საქმე, ქველისა საქმე, ქუეყანისა საქმე, ძვრის საქმე, ჴელთ-საქმე. (5, გვ. 308)

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „მოვიდა მე კაცისა... მისი სიბრძნე საქმეებითაა გამართლებული“ (12,19 ხაზგასმა ჩემია შ.ქ.) აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ სასარგებლო საქმის გამკეთებელ ადამიანს თვალი, ყური, გული უნდა ჰქონდეს გამახვილებული. სხვა გვარად ის სასარგებლო ცოდნას ვერ შეიძენს. (მათ.13, 15).

ძველი აზროვნებით გული გონებას, გონებრივ შემეცნებას ნიშნავდა: „...გული კაცისა, გონებით ზრახვა-გონებით ლაპარაკი, გულის თქმა. გონებით ნდომა, გულის-ყური მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა“. (4, ტ I, გვ. 174) მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, იესო ხალხს იგავებით იმიტომ ასწავლიდა, რომ მათ იგავის გარშე მოსმენილით არ შეეძლო სასურველი ცოდნის შეძენა და პრაქტიკულად გამოყენება.

ცნება „მოაზრება“-„მოაზრე“ სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს ამ შემთხვევაშიც. ვფიქრობთ, ყურადღება მახვილდება მსწავლელის სასწავლო ცოდნის აქტიურად, ცნობიერად შეძენაზე...

აღნიშნულ ცნებებთან ერთად იგავებით რაიმე ცოდნის შესასწავლად აქტიურად უზრუნველთ საიგავო შინაარსის ერთმთლიანობაში საკომპოზიციო სასიუჟეტო ჩარჩო ქარგის შესამუშავებლადაც. ამ საკითხთან დაკავშირებით პირველ მარტივ საწყისებს (საიგავო ამბავთა, ცოდნათა და სხვა) ჩვენ ვხვდებით ახალ აღთქმაში. მხედველობაში გვაქვს მთესველის იგავი.

ჩვენი დაკვირვებით ამ სასწავლო მასალებში მსმენელებსა თუ მკითხველებს საჭირო ცოდნა მიეწოდებათ თხრობის შემდეგი საკომპოზიციო საკითხის გათვალისწინებით:

I მკითხველის ცოდნის საექსპოზიციო საფეხური.

- ა) იესოს სახლიდან გამოსვლა და ზღვის პირას დაჯდომა.
- ბ) იესოსთან სასწავლებლად დიდძალი ხალხის შეგროვება.
- გ) იესომ თვალსაჩინო სწავლებისთვის ნავში ჩაჯდომა ირჩია.
- დ) ხალხი იესოს მოძღვრება ზღვის ნაპირიდან ისმენს.

II ცოდნის გადაცემის იმპულსურ-ინტენციონალური მომენტები:

- ა) თესვის დაწყება,
- ბ) ზოგი სათესლე მარცვლის გზის პირას დავარდნა.
- გ) ფრინველთა მოფრენა.
- დ) გზაზე დავარდნილი თესლის აკენკვა...

სულ ერთმთლიანობაში თესვის სააზროვნო-სამოდღვრო მსმენელთა გადასაცემი თხრობაში საექსპოზიციო და იმპულსურ-ინტენციონალური მომენტების საფუძველზე ჩნდება კითხვა: ამგვარი თესვით აღმოცენდება თუ არა თესლი?

თხრობის ეს საფეხური შეიძლება მივიჩნიოთ კვანძად.

სამოდღვრო თხრობის დანარჩენი ოთხი საფეხურიდან ორ საფეხურზე კვლავ გრძელდება ალეგორიულად თესვის ცოდნის სწავლება. მეხუთე საფეხურზე მსმენელები გებულობენ, რომ ზოგი თესლი პოხიერ ნიადაგზე დავარდა და ნაყოფი გამოიღო; მეოთხე მომენტი ამბავის სწავლების თვალსაზრისით შეიძლება, ჩავთვალოთ თხრობის კულმინაციად, აქვე ივარაუდება კვანძის გახსნაც, რითაც ვგებულობთ თესვის დიფერენცირებულ შედეგს: პოხიერ მიწაზე დათესილი მარცვალი აღმოცენებულა და მთესველთაგან ნაყოფი ზოგს ასი, ზოგს სამოცი და ზოგს ოცდაათი რგებია.

მთესველის სამოდღვრო სწავლება მთავრდება იმპერატიული წინადადებით: „ვისაც ყურნი აქვს ისმინოს“ (მათ,19,9). ანუ, ვინც გაიგო, შეიგნო ჩემი სწავლება, პრაქტიკულად ამგვარად იმოქმედოს...

პირობითად დაახლოებით ასე გვესახება ახალ ბიბლიაში უბრალო ხალხის მაცხოვრისეული სამოდღვრის ალეგორიულად საკომპოზიციო განსახოვნება...

ცხადია, ცოდნის გადაცემის, ეს ფორმა მარტივია, მისი სავარაუდო პროცესუალური მომენტებიც რამდენადმე დასახვეწია, მაგრამ მასში მაინც იკვეთება მოძღვრის გარკვეული მცდელობა საჭირო ცოდნის უბრალო მსმენელთათვის შედარებით გაადვილებულად სწავლებისა...

ცოდნის გადაცემის ეს ფორმა ორგანიზაციული და შინაარსობრივი თვალსაზრისით მიგვაჩნია იგავთმეტყველების რელიგიურ-აბსტრაქტული სწავლების მარტივ პრაქტიკულ გამოცდილებად.

იგავთმეტყველების სწავლების შინაარსისა და ორგანიზაციის მეცნიერულ სწავლებას საფუძველი ეყრება გვიან ფეოდალურ ეპოქასა და კაპიტალისტური განვითარების პირობებში, რომლის ფუძემდებლებიც არიან იან-ამოს კომენსკი და ევროპელი სხვა განმანათლებელი ფილოსოფოსები...

ამ თვალსაზრისით სანიმუშოა XVII საუკუნის დიდი ცეხი პედაგოგო კლასიკოსის იან-ამოს კომენსკის დამსახურება: იგი, პირველ რიგში, ითვალისწინებს იგავთმეტყველების მაცხოვრისეულ გამოცდილებას, საჭიროდ თვლის ამ პრაქტიკული ცოდნის საბაზისო მონაცემების გათვალისწინებასთან ერთად ვიხელმძღვანელოთ „იმ ყოველდღიური და ყველასათვის ცნობილი მოვლენებიდან, რომლებიც ხდება ბუნებასა და ხელოვნებაში (სკოლის გარეშე) და რომელიც კეთილ შედეგს იძლევა“. (ხაზგასმა ჩემია შ.ქ.) (3, 129)

გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ცნობილ ლექციებში „ესთეტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, წერს: „ნამდვილი ეზოპური იგავი, რომელიც ცოცხალი ან უსიცოცხლო ბუნების ისეთი მდგომარეობაა, მომხდარის გამოსახვაა ცხოველთა სამყაროდან და ა.შ. რომელიც თვითნებურად კი არ არის გამოგონილი, არამედ თავისი ნამდვილი არსებობის, მათი ყოფაცხოვრების მიხედვით არის წარმოშობილი... მთავარი აქ ის არის, რომ იგი ისე არ უნდა იყოს შეთხზული, რომ ბუნების ამგვარის მოვლენათა ნამდვილი არსებობის წესს და ხასიათს არ ეწინააღმდეგებოდეს“. (7. გვ.444)

ჰეგელის მოძღვრებაში ჩვენ საკვლევ საკითხთან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტიც რომ იგავმა) მსმენელისა თუ მკითხველის „ცნობიერების წინაშე უნდა წარმოაჩინოს არა თავისი თავი, როგორც ესა თუ ის კონკრეტული ნივთი, არამედ მხოლოდ ამ ნივთის თუ მოვლენის მნიშვნელობის ზოგადი თავისებურება“. (იქვე, გვ.353, ხაზგასმა ჩემია შ.ქ.)

ილია ჭავჭავაძე თვლის, რომ „იგავი, არაკვი, ზღაპარი, იმისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუოდ და საზნეო ჭემმარტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწვთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. თუ ორბელიანისებური ზღაპარი, არაკვი, ამას არ სჩადის, განზრახვად, საგნად სწორედ ეს უნდა ჰქონდეს“. (ხაზგასმა ჩემია შ.ქ.) (6, 65)

ამგვარი იგავის არაკისა თუ ზღაპრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია აკაკი წერეთლის „დამურა“, რომელიც 1880 წელსაა დაწერილი. ამ ლექსში ალეგორიულ ჩარჩო ქსოვილში აკაკისებური სათხრობი ამბავის პოეტურობითა და აზრობრივი ლაკონურობით დახატულია თავუნას ყალბი ოცნების სრული კრახი.

ამრიგად, იგავის სწავლებისას მისი შინაარსის განსახოვნების ცნებაში შესაძლებელია ვეძიოთ მასში გაორებულად წარმოსახული შინაარსის, როგორც პირდაპირი საგნობრივი, მცენარეული, ფრინველ-ცხოველური მოცემულობანი. ისე ამ მოცემულობის ალეგორიული გაგების დიდაქტიკური და მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობაც.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. (მათ, 10,11). 1991 წ.
2. ბულგარელი ნეტარი თეოფილაქტე. მათეს სახარების განმარტება, (გვ.110) 2005 წ.
3. კომენსკი იან-ამოს, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, (ტ. I. გვ.129). 1949წ.
4. ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული, (ტ. I გვ.174) 1966 წ.
5. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი. (გვ.308) 2008 წ.
6. ჭავჭავაძე ილია, (ტ. 3, გვ. 65) 1986 წ.
7. ჰეგელის „ესთეტიკა“, (ტ. I. გვ. 444) 1996 წ.

DIDACTIC AND FEATURED-AESTHETIC ISSUES OF LEARNING AND TRAINING OF FABLE-TELLING

Shota Kurdadze, Gori Teaching University, Full Professor
RESUME

References about learning and training of fable-telling are found in the ancient Georgian and European written and printed sources.

Several significant practical experience of learning and training of fable-telling are described in these references:

- a) Religion-abstract didactic-featured-aesthetic experience of fable-telling.
- b) Allegorical-didactic experience of common people with fable-telling.
- c) Religion-scientific experience of learning and training of fable-telling (Jan Amos Komensky, Hegel, Iliia Chavchavadze and etc)
- d) Understanding-mastering of fable-telling knowledge with simple topic-composition material...

In a word the simple practical experience of learning and training of fable-telling is expressed as with its straight subjective meaning understanding as also its metaphorically meaning – with consideration of different level of featured-aesthetic data.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების შესახებ

შორენა ვაშაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

დავით კეკელიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღეისათვის საქართველოში აქტიურად იწარმოება სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლების აქტიურობას. ყველა პედაგოგისათვის კარგად ცნობილია, რომ სწავლის შინაარსზე არანაკლებ მნიშვნელოვანია – როგორ, რა ხერხებით, რის მეშვეობით შეგვიძლია შევასწავლოთ სტუდენტს ახალი მასალა, ანუ რომელი და როგორი მეთოდები უნდა გამოვიყენოთ ამისათვის. განვითარებულ ქვეყნებში უახლესი ტექნოლოგიების განვითარება, ყველა დარგში მათი დანერგვა და ცოდნის ახალი სფეროების გაჩენა, კონკურენციის ზრდასთან ერთად, მოითხოვს პროფესიონალიზმის განუწყვეტელ სრულყოფას და ამაღლებას. ამის მიღწევა კი შეუძლებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. (1,2,3,) ინფორმაციის მოპოვება XXI საუკუნის საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად მოგვევლინა. ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები (ICT), ხალხის ერთმანეთთან დაკავშირებასთან ერთად, განაპირობებს საზოგადოების განვითარების პროცესს. მართალია, ჩვენ ვფლობთ დიდ ცოდნას და ტრადიციული სწავლების დიდ გამოცდილებას, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ICT-ით სწავლების მეთოდების გამოყენებაში. ინტერნეტ ტექნოლოგიების ათვისება და ყველა სფეროში დანერგვა სწავლი პროცესისა და ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრების კანონზომიერი პროცესია. (4,5,6,) ამიტომაც ამის მიღწევისათვის ერთადერთ რეალურ გზად გვესახება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ინტერნეტ ტექნოლოგიების ფართო დანერგვა. თემა აქტუალურია, რადგან სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების გარეშე სტუდენტთა აღზრდა. მათი ცოდნის გაღრმავება შეუძლებელია. თემის მიზანია, წარმოვაჩინოთ პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლების ჩვენეული გამოცდილება..

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – სასწავლო მეთოდი, რომელიც პრობლემას ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს. (1,5,6,7,) ბოლო 25 წლის განმავლობაში წარმატებით გამოიყენება სწავლებისადმი განსხვავებული მიდგომა, ე.წ. (PBL) – პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ძირითადი სალექციო კურსის პარალელურად ტარდება გარკვეული პრობლემისადმი მიძღვნილი ინტერდისციპლინარული სემინარები, რაც იდეალურ პირობებს ქმნის სტუდენტების ერთობლივი მუშაობისათვის და უფრო მეტად უწყობს ხელს ფართო თვალსაწიერის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. მაგ.: ლექციაზე ლექტორი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ან პრეზენტაციის შექმნის, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ. მეცნიერთა აზრით, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს მაღალი ინტელექტუალური ჩვევების განვითარებას: მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, კრიტიკული შეფასებასა და ანალიზს, გადაწყვეტილების მიღებას, პრობლემის გადაჭრას, ახდენს მუდმივი (მთელი ცხოვრების მანძილზე) სწავლის უნარის გამომუშავების სტიმულირებას, ხელს უწყობს ცოდნის გააქტიურებას, ინტეგრაციას, რეტენციასა და ტრანსფერს., პიროვნებათაშორისი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ჩვევების ათვისებას: მოსმენას, საუბარს, კამათს, გუნდური მუშაობას, ლიდერობას ამ დროს სტუდენტს საშუალება ეძლევა “შეეჩხოს” ცხოვრებისეულ სიტუაციებს, ისეთს, როგორსაც პროფესიული საქმიანობის დროს შეხვდება და მიიღოს გააზრებული გადაწყვეტილებები და შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ პრობლემა პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული უნდა იყოს. პრობლემა უნდა იყოს საკმაოდ ღრმა და სპეციფიკური. სტუდენტებმა მისი გადაწყვეტის პროცესში საკმარის ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ. პრობლემის გადაწყვეტა არ უნდა ხერხდებოდეს მასზე მარტივი პასუხის გაცემით. ჩვენ პრაქტიკაში ფართოდ ვიყენებთ სწავლების ამ მეთოდს. სტუდენტთან

შეთანხმებით ვარჩევთ პრობლემას და მასზე დამოუკიდებლად მუშაობს სტუდენტი, ღრმად და საფუძვლიანად სწავლობს აღნიშნულ საკითხს და შემდგომ პრეზენტაციის სახით წარუდგენს მასწავლებელსა და თანატოლებს. პრობლემის შესწავლის დროს ყურადღებას ვამახვილებთ, პრობლემასთან დაკავშირებით, სტუდენტის მიერ მოძიებულ სიახლეებზე, საკითხის განხილვის აკადემიურობასა და ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნაზე. პრეზენტაციის წინ, თეორიული სემინარების შემდეგ. მცირე ჯგუფებად გაერთიანებულ სტუდენტებს ეძლევათ საშუალება დამოუკიდებლად გადაჭრან პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ამოცანები. ამ დროს იცვლება მასწავლებლისა და სტუდენტის ტრადიციული როლები: მასწავლებელი არ „ასწავლის“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ის სტუდენტებს მუშაობის მიმართულებას აძლევს, იწვევს დისკუსიების „პროვოცირებას“, ეხმარება ხელსაწყოების გამოყენებაში, მუშაობის პროცესში აქტიურად არ ერევა და ძირითადად მეთვალყურის როლშია. PBL ქმნის ისეთ გარემოს, სადაც სწავლება უფრო დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობს, ვიდრე სალექციო სისტემის დროს. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების დროს მასწავლებელი შინაგანად მოტივირებული, „ცოდნისმოყვარე“ და კომპეტენტურია, იძლევა ხშირ, კონსტრუქციულ და საჭირო უკუგებას. სახავს რეალისტურ ამოცანებს, მაღალი „ნიშნულების“ პრობლემები. სწავლების დროს მისაღწევია ცოდნის სხვადასხვა დონე.

ცოდნის სხვადასხვა დონეებია: მე მესმის, მაგრამ დამავიწყდება. მე ვხედავ და დავიმახსოვრებ. მე ვაკეთებ და აღვიქვამ.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების დროს გამორიცხულია მასწავლებლის მიერ მასალის პასიური მიწოდება, აქცენტირებულია თვითონ აქტიური სწავლის პროცესი და არა ფაქტობრივი ინფორმაციის დაზეპირება. ჯგუფებად მუშაობა ხელს უწყობს სტუდენტებში კოლეგიალობისა და პატივისცემის გრძობის ჩამოყალიბებას; სტუდენტი სწავლობს პასუხისმგებლობას ჯგუფის სხვა წევრების მიმართ. PBL ხელს უწყობს პრობლემების გადაჭრისთვის აუცილებელი მოქნილი სტრატეგიების განვითარებას, აჩვენებს სტუდენტებს ანალიზს და დამოუკიდებელ აზროვნებას, ლიტერატურის მოძიების უნარ-ჩვევების დახვეწას, პრობლემის მოძიების, მისი იდენტიფიკაციის, გადაჭრისა და პრევენციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. სტუდენტს პრეზენტაციის დროს საშუალება ეძლევა პასუხი გასცეს თანატოლთა და მასწავლებლის დასმულ შეკითხვებს, დაიცვას საკუთარი მოსაზრება.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება წარმოუდგენელია დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება /დარგობრივი უნარების განვითარების გარეშე: თეორიული თუ ექსპერიმენტული კვლევითი პროექტის სხვადასხვა კომპონენტის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და განხორციელების გარეშე. - კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და ხელმძღვანელობით, რეკომენდაციებით მათი გადაჭრის გზების ძიების; ფსიქოლოგიური პრინციპების გამოყენებით სხვადასხვა საკითხებთან (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართებაში; ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას უნარ-ჩვევების განვითარებით. საინტერესოდ გვეჩვენება პრეზენტაციის შეფასების ჩვენეული მეთოდი. ამ დროს სტუდენტის შეფასება ხდება როგორც მასწავლებლის, ისე მისი თანატოლებისაგან შექმნილი ჟიურის მიერ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. ჩვენი აზრით, სტუდენტთა შეფასების პროცესში ჩართვა საკმაოდ დიდი ინტერესს იწვევს თვით სტუდენტთა შორის. ისინი საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობის გრძობით ეკიდებიან თანატოლთა შეფასებას და საკმაოდ კორექტულნი და მკაცრიც კი არიან. ვფიქრობთ, ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტებს ურთიერთშეფასებისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს განვუვითარებთ.

განსახილველ პრობლემას ირჩევს სტუდენტი და აგრეთვე სტუდენტთა ჯგუფიც. მნიშვნელოვანია; სასწავლო აუდიტორიის სივრცის მომზადება და გამოყენება; მონაწილეთა ჯგუფური დიფერენციაცია; წესების დაცვა, რომლებიც არეგულირებენ შემეცნებითი თანამშრომლობის ფორმებს; კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის საშუალებების გამოყენება; ანალიზისა და თვითანალიზის ჩვევების განვითარება; ერთმანეთის თანადგომა ერთობლივ მუშაობაში; მიკროჯგუფის თითოეული წევრი იმსახურებს, რომ მას მოუსმინონ; ერთობლივი საქმიანობის მიზანი მდგომარეობს არა შეჯიბრებაში, არა ერთი რაიმე თვალსაზრისის „გამარჯვებაში“, არამედ პრობლემებთან დაკავშირებული შეხედულებების გაცნობით. უკეთესი გადაწყვეტილების პოვნის შესაძლებლობაში. ამ დროს სტუდენტებს შორის ფორმირდება პროდუქტიული მიდგომა ინფორმაციის დასაუფლებლად, ქრება შიში „არასწორი“ ვარაუდის გამოთქმისა (რადგანაც ჯგუფური განხილვის ეტაპზე ეს პოზიცია შეიძლება კორექტირებული იქნას, ხოლო საერთო გადაწყვეტილებების პრეზენტაციის დროს მთელი ჯგუფი ინაწილებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებაზე), სწავლებისას დიდ მნიშვნელობას იძენს

კითხვების დასმის უნარი. ეს არის არა მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მიღება განხილვის საგანზე, არამედ ასევე, ემოციური შერწყმა სხვების მუშაობასთან. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი როგორ აკონტროლებს კითხვებისა და პასუხების ინტონაციასა და შინაარსს. კომუნიკაციის განვითარებისკენ მიმართული მუდმივი ყურადღება მონაწილეებს უქმნის განწყობას ჰქონდეთ ტოლერანტული და ღირსეული დამოკიდებულება სხვა სუბიექტების (ინდივიდუალური და ჯგუფური) აზრებისა და შეხედულებებისადმი. ნაშრომში „მოსწავლეთა ორგანიზაციული საქმიანობის ფსიქოლოგია“ (1980) ლ. უმანსკი აღნიშნავდა: „ერთობლივ მუშაობაში დაშვებული შეცდომების გარჩევის მთავარი პრინციპია: გაირჩეს არა არსობრივი შეცდომა, არამედ ურთიერთქმედებათა მიმდინარეობა“. ჩვენი აზრით, უნდა შეფასდეს ჯგუფის საერთო სამუშაო და არავითარ შემთხვევაში არ მიეცეს ცალ-ცალკე შეფასება ჯგუფში მომუშავე სტუდენტებს. პრეზენტაციას აქვს როგორც ვიზუალური, ასევე ინტელექტუალური დატვირთვა, ასეთი მასტიმულირებელი თვალსაჩინოება იწვევს დადებით ემოციებს, რაც თავისთავად აისახება შედეგზე - დიდია მოსწავლეა აქტივობანი, რაც ხელს უწყობს სააზროვნო, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ვფიქრობთ, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი დიდად წაადგება მომავალი თაობების აღზრდას, რამეთუ ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედი. თანამედროვე განათლების რეფორმა ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, სადაც მას მიეცემა სტიმული დამოუკიდებლად მოიპოვოს ინფორმაცია, გადაჭრას პრობლემები კვლევისა და ექსპერიმენტის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებას, ამისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტი) და ის შესაბამისი სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას და ამასთან ეხმარება მასწავლებელს შექმნას საინტერესო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს მიეცემა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა კი სწავლის მოტივაციის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია.

REFERENCES:

1. Amador, J.A., Miles, L., & Peters, C.B. *The Practice of Problem-Based Learning: A Guide to Implementing PBL in the College Classroom*. San Francisco: Jossey Bass. 2006.
2. Armstrong E: A hybrid model of problem-based learning. In: Boud D and Feletti G (editors): *The challenge of problem-based learning*, 137-149. London, Kogan Page, 1991
3. Barr RD and Tagg J: From teaching to learning - a new paradigm for undergraduate education. *Change*, Nov/Dec.1995:13-25
4. Barrows, H. S. (1996). Problem-based learning in medicine and beyond: A brief overview. In Wilkerson, L, & Gijsselaers, W.H. (eds.). *New directions for teaching and learning*, vol. 68. *Bringing problem-based learning to higher education: Theory and practice*, pp. 3-13. San Francisco: Jossey-Bass.
5. Boud, D., & Feletti, G.I. (eds.). *The Challenge of Problem-Based Learning*, 2nd Ed. London: Kogan Page Ltd., 1997.
6. Boyer Commission on Educating Undergraduates in the Research University for the Carnegie Foundation for the Advancement of Teaching. (1998). *Reinventing Undergraduate Education: A Blueprint for America's Research Universities*. URL:
7. Duch, B.J., Groh, S.E., & Allen, D.E. (eds.). *The Power of Problem-Based Learning*, Sterling, VA: Stylus, 2001.
8. Sweller, J. (1988). "Cognitive load during problem solving: Effects on learning". *Cognitive Science* **12** (2): 257–285. [doi.org:10.1016/0364-0213\(88\)90023-7](https://doi.org/10.1016/0364-0213(88)90023-7).
9. Sweller, J. (2006). "The worked example effect and human cognition". *Learning and Instruction* **16** (2): 165–169. [doi.org:10.1016/j.learninstruc.2006.02.005](https://doi.org/10.1016/j.learninstruc.2006.02.005).
10. Wingspread Conference. (1994). *Quality Assurance in Undergraduate Education: What the Public Expects*. Denver, CO: Education Commission of the States.

ABOUT PROBLEM-ORIENTED LEARNING

ShorenaVashadze, Shota Rustaveli. State University, Associate Professor

David Kekenadze, Shota Rustaveli State University

RESUME

Problem-based learning (PBL) is a student-centered pedagogy in which students learn about a subject in the context of complex, multifaceted, and realistic problems. Working in groups, students identify what they already know, what they need to know, and how and where to access new information that may lead to resolution of the problem. The role of the instructor is that of facilitator of learning who provides appropriate scaffolding of that

process by (for example) , asking probing questions, providing appropriate resources, and leading class discussions, as well as designing student assessments. Characteristics of PBL are: Learning is driven by challenging, open-ended, ill-defined and ill-structured problems. Students generally work in collaborative groups. Teachers take on the role as "facilitators" of learning.

In PBL, students are encouraged to take responsibility for their group and organize and direct the learning process with support from a tutor or instructor. Advocates of PBL claim it can be used to enhance content knowledge while simultaneously fostering the development of communication, problem-solving, and self-directed learning skills. PBL may position students in a simulated real world working and professional context which involves policy, process, and ethical problems that will need to be understood and resolved to some outcome. By working through a combination of learning strategies to discover the nature of a problem, understanding the constraints and options to its resolution, defining the input variables, and understanding the viewpoints involved, students learn to negotiate the complex sociological nature of the problem and how competing resolutions may inform decision-making. Problem-oriented studies play a significant role in developing high intellectual manners and in critical analysis. It also helps with making decision and problem solving. It encourages further learning ardor, integration, social relations and partnership. It teaches a culture of listening, team work and leadership. Students are given the opportunity to practice everyday situations that they will come across in their profession, to know how far they can go. According to scientists the problem should be very specific and it mustn't be solved just by giving a simple answer. In problem-oriented studies teachers are motivated and competent and give realistic tasks. In learning process there are different levels that can be achieved.

These different levels are: I understand but I will forget see and I can remember do and I perceive

Types of research methods potency are: series of cases of method increasing potency; case-control; profiling, grouping; Experimental; randomizing; partially blind, randomizing; totally blind; randomizing; totally blind, crossed. Problem-oriented teaching is impossible without developing professional skills, without independent planning and realization of different components of theoretical or experimental research. It is essential to identify the problems in research process, to seek the ways of solution, to use psychological principles in relationship with different subjects (personal, social and organizational), to plan the research of the standards of psychological ethics and to create data base.

ოჯახის როლი ბავშვის ზნეობრივ აღზრდაში ილია ჭავჭავაძის შეხედულებით

ციური ბაქრაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

აღზრდის პრაქტიკაზე დაკვირვებიდან ცნობილია, რომ ოჯახს, მშობლებს, გარემოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში.

ყოველი „ძველი თაობა“ ცდილობდა უკეთესი შემცვლელი თაობის აღზრდას იმის გათვალისწინებით, რომ „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ , ამ თვალსაზრისს იცავდნენ XIX საუკ. მეორე ნახევრის ქართველი განმანათლებლები, მათ შორის დიდი ილია ჭავჭავაძე, რომელიც არა მარტო არსებული ცხოვრების კრიტიკით კმაყოფილდებოდა, არამედ მთელ თავის ცოდნა-გამოცდილებას ხალხის ბედნიერი მომავლის დამკვიდრებას ახმარებდა, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“ (ჭავჭავაძე, 1948, 529).

ილია ჭავჭავაძეს ოჯახში ბავშვის გონებისა და გულის „გახსნის“ მთავარ იარაღად დედა ენა მიაჩნდა, რადგანაც იგი სოციალური კონტაქტების მთავარ როლს ასრულებს საზოგადოებასა და ოჯახის წევრთა ურთიერთობაში. იგი აზროვნებისა და მეტყველების პროცესს ურთიერთკავშირში განიხილავდა, რომლის მთლიან განვითარებას ოჯახისა და სკოლის ერთ-ერთ მთავარ პედაგოგიურ ამოცანად სახავდა. ქართულ ფეოდალურ ოჯახებში ერთგვარ „წესად“ იყო შემოღებული „ევროპული აღზრდა“ . ილია მსოფლიო პედაგოგიკის კლასიკოსთა ნააზრევზე დაფუძნებით აღზრდისა და სწავლების დიდაქტიკური წესების ამგვარ დარღვევას შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდა. „ბავშვმა ჯერ თავისი ენა კარგად უნდა შეისწავლოს, მერე სხვისას შეუდგესო“ (ჭავჭავაძე, 1948, 534). მისი შეხედულებით ოჯახის მდგომარეობა აღმავალი გზით ვითარდება, როცა „მისი ბურჯი“ – დედაკაცი საკმაოდ განათლებულია და შეუძლია სასარგებლო შვილები აღუზარდოს ქვეყანას, ამიტომ მან თავისი მოღვაწეობის პირველსავე ეტაპზე დააყენა საკითხი ქალთა ემანსიპაციის, მისი განათლების, დონის ამაღლებისა და პედაგოგიური განსწავლულობის შესახებ. ილია ჭავჭავაძეს დედ-მამის განათლებულობა, მათი პედაგოგიური

განსწავლულობა და აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილების შეთვისება ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიაჩნდა ოჯახში წესიერი შვილების აღზრდისათვის.

ილიას ნაწარმოებთა მიხედვით მტკიცდება, რომ ქონებრივად მდიდარი, განცხრომითი ცხოვრებით მოყირაქებულ ოჯახებში უპირატესად ეგოისტი, ზნეობრივად მახინჯი ახალგაზრდები იზრდებიან. ამის ცხოვრებისეული მაგალითი მწერალმა დათიკოს ტიპში გაგვიმჟღერა, რომლის ამორალური სახე უპირატესად საზოგადოებრივი გარემოს, ოჯახისა და მშობლების გავლენით ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ წერდა ილია: „ვინ იცის ჩვენო მკითხველო რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და სხვა – რიგ შინაურ გაზრდაში“ (ჭავჭავაძე, 1948, 556).

ჭეშმარიტი ქართველი ქალი, თავის უმთავრესს დანიშნულებად თვლიდა არა განმეულობის დაგროვებას და ფულის მოხვეჭას, არამედ შვილის წესიერად მოვლა-პატრონობას, მათ გაზრდა-ჩამოყალიბებას შრომისმოყვარე, პატიოსან, ხალხისა და სამშობლოს ერთგულ ადამიანებად. ძირითადად ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ოთარაანთ ქვრივისა და მისი ვაჟის – გიორგის ხასიათის თვისებები ერთმანეთის იდენტურია. ოთარაანთ ქვრივი თავის შვილს არა მორალური სენტენციებითა და დაპირებებით „ჰკვებავდა“, არამედ პირადი ყოფაქცევის საუკეთესო ნიმუშებით ზრდიდა. ასეთივე თვისებებით ხასიათდებოდა გიორგის მამაც, – თევდორე. ზემოთ თქმულიდან დასტურდება, რომ მშრომელი ოჯახის ილიასეულ იდეალს წარმოადგენდა შრომისმოყვარე, გამრჯე, პატიოსანი, კაცური კაცის აღზრდა. ილიამ ალბათ ამ აზრის ნათელსაყოფად მოიშველია ხალხის ნათქვამი: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხეო“.

ქვეყნის მომავლის შენებაში ილია განსაკუთრებულ იმედს ახალგაზრდობაზე ამყარებდა. „ის ურჩევნია ქვეყანას, რომ შვილი ჯობდეს მამასო“, მან იცოდა, რომ ამის გარეშე პროგრესი და გამარჯვება არ არსებობს. ბევრი ოჯახის შვილის ზნეობრივი სიმახინჯისა და ინტელექტუალური დეგრადირების მიზეზს ცხოვრების სოციალურ სიდუხჭირეში, განათლების საქმის უსისტემობასა, ოჯახის კულტურულ ჩამორჩენილობასა და ოსტატთა უმრავლესობის პედაგოგიურ უმეცრებაში ხედავდა. მწერალი სამართლიანად წუხდა იმის გამო, რომ ქალთა განათლების საქმე საქართველოში ტრადიციულად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, იგი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა ისეთი სასწავლებლების დაარსებას, რომლებიც ერს აღზრდიდნენ ქართველ დედებს, პატიოსნებით, ღირსებით, გამარჯვებით, ოჯახისა და სამშობლოსადმი ერთგულებით გამორჩეულ ადამიანებს.

ადამიანის მაღალზნეობრივ ჩამოყალიბებაში ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდის შრომაში მონაწილეობას. უშრომელად განცდილი სიამოვნება დროებითია, წარმავალია, რაც საბოლოოდ უბედურებით, ცრემლითა და უსიამოვნებით მთავრდება. ლუარსაბ თათქარიძისა და „კნენის“ დარეჯანის მთელი ცხოვრება მუქთახორობის, სწავლა-განათლების აბუჩად აგდების, შრომის სიძულვილის, სიზანტის, ზნეობრივი დაცემის, სულიერი და ხორციელი გადაგვარების თვალსაჩინო მაგალითია, რაც დიდი კლასიკოსის „კაცია ადამიანში“ საქვეყნოდ არის დაგმობილი (ჯიბლაძე, 1984, გვ. 170).

ლუარსაბისა და დარეჯანის მსგავსნი უშვილძიროდ გადასულნი, საზოგადოების რუდიმენტნი არიან, რომლებიც დიდი ილიას გამოთქმით „არც თავისი სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანას და არც თავიანთი სიკვდილით აკლებენ“ (ჭავჭავაძე, 1938, 36). ლუარსაბის, დარეჯანის, დათიკოსა და სხვათა ცხოვრების მაგალითებიდანაც დასტურდება, რომ პიროვნება, მოზარდი, ახალგაზრდა იმ საზოგადოების ღვიძლი შვილია, რომლის „აკვანშიც“ ის იზრდება. სკოლა, საზოგადოება და ოჯახი უდიდეს როლს ასრულებენ ბავშვის პიროვნების სოციალურ ფორმირებაში.

დიდმა მწერალმა ისიც გვიჩვენა, რომ მშობლების ეგოისტურმა, გადაგვარებულმა მორალმა, სიმდიდრით თავბრუდახვეულმა ოჯახმა, დედის უზნეობამ, მამინაცვლის უსულგულობამ ორი ჭაბუკი მძა ავაზაკად აქცია და სახრჩობელამდე მიიყვანა.

ილია ჭავჭავაძე საოჯახო და სასკოლო აღზრდის სისტემაში თვალსაჩინო მნიშვნელობას ანიჭებდა მშობელთა და მასწავლებელთა ზრუნვას მოზარდის ინიციატივის, თვითმოქმედებისა და აქტივობის განვითარებისათვის. ილია ჭავჭავაძეს სძაგდა ეგოიზმი, პირადული ინტერესების გაფეტიშება, საზოგადოებრივი საქმისადმი გულგრილობა, საკუთარი კეთილდღეობის წინა პლანზე დაყენება. ტრადიციული „მოდურების“ დევიზი: „თუ მე არ ვიქნები ქვა ქვაზეც ნუ იქნებაო“. ბავშვისთვის გარკვეული ცოდნა-ჩვევების მიცემასთან ერთად იგი მთავარ ყურადღებას უთმობდა მათში ზნე-ხასიათის ჩამოყალიბებას, რადგან საუკეთესო ზნეობრივი თვისებები – მეგობრობა, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, სამართლიანობა, შრომის მოყვარეობა ახლადდაბადებულს მემკვიდრეობით კი არ დაყვება, არამედ აღზრდის გზით, ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების გავლენით შეიძინება. მისი ყურადღება უმთავრესად მიქცეული იყო ოჯახისა და სკოლის კავშირის გაღრმავებისა და განმტკიცებისაკენ, მათი ზნეობრივი გაჯანსაღებისა და აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერებისაკენ.

ილია უთანაგრძნობს და თავგამოდებით იცავს უსამართლოდ დასჯილ ბავშვებს, უგვარტომო და უპატრონოებს, რომელთაც ყოველივე პატივი და ღირსება, ადამიანური ურთიერთობა თვალის ახელისთანავე აქვს წართმეული, რომელიც „... უნათესავოა, უსახელოა, უგვაროა, უხარისხოა, არც მამეულის ქონებაზე მიუწვდება ხელი, არც დედეულისაზე და ყოველფერში უმწეო და უნუგეშოა“ (ჭავჭავაძე, 1938, 379). მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს მშობლიური სახლ-კარის, ეზო-ყურის, გარემოსა და ოჯახური წრის გავლენის როლს ბავშვთა ზნეობრივ-პატრიოტულ აღზრდაში.

ერთ-ერთ თავის ეტიუდში მარტოდ დარჩენილ, მიწურ ქოხში დაბრუნებულ, მშვირ-მწყურვალ, ოხლად მიტოვებულ ყმაწვილს, რომელსაც განათლება მიუღია, მშობლიური ქოხი და მიწა-წყალი მაინც ვერ დაუთმია, მწერალი მეგობართან საუბარში ათქმევინებს: „... შენ არ იცი, ეს მიწური ჩემთვის რა განძია. ეს ერთადერთი ქონება მამიჩემისაგან დარჩენილი და გინდ დამცინე, სხვაგან სამოთხეს მირჩევნია. სად არ ვიყავი, მაგრამ გულმა მაინც აქეთ წამომიღო ... აქ ჩემი სიღარიბე არაფრად მიმაჩნია და ვინ იცის, სიმდიდრე მომცემს თუ არა ამ სიამოვნებას“ (ჭავჭავაძე, 1938, 453).

ბავშვის გულში პატარაობიდანვე იდგამს ფესვებს დედ-მამის, მშობლიური მიწის, სახლ-კარის, და-ძმის, ტოლ-მეგობრების და დედასამშობლოს მგზნებარე სიყვარული, გამრჯე, კეთილ ადამიანთა მიმართ პატივისცემის გრძნობა, რაც ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს მოზარდებში იდეალებისა და ფაქიზი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებისთვის.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეალია ბავშვებსა და მოზარდებში მამულიშვილობის, თავისი მშობლიური ხალხისა და მიწა-წყლის მგზნებარე სიყვარულის ჩანერგვა-გაღვივება, ხალხის ინტერესებისათვის თავდადების სულისკვეთების აღზრდა-განვითარება.

მწერალმა კარგად იცის, რომ ერთი და იმავე მოზარდიდან შეიძლება მორალურად სრულქმნილი ადამიანი ჩამოყალიბდეს და ზნეობრივად მახინჯიც. ღირსეული მოქალაქეც და „ოთხფეხა მხეციც“.

პატრიოტიზმის დეფინიციაში იგი ემყარება პედაგოგიკის სახელოვან კორიფეებს: ჰენრიხ პესტალოცის, ადოლფ დისტერვეგის, კონსტანტინე უშინსკისა და სხვათა შეხედულებებს.

მოზარდი თაობის პატრიოტული აღზრდის საფუძვლად მწერალს მიაჩნდა პედაგოგიური პროცესის დამყარება ხალხურობის პრინციპზე, რაც მშობლიური ბუნებისადმი ერთგულებით, მშობელი ხალხის გმირული ისტორიის საფუძვლიანი ცოდნით, დედაენის შთაგონებული სიყვარულით, საკუთარი ხალხისადმი თავდადების გრძნობით და თავის ერისადმი ურყევი ერთგულებით რეალიზირდება.

ილია ჭავჭავაძის ლაიტმოტივია თავისი ხალხის, მამულისა და ქვეყნისათვის თავდადებული მებრძოლი შვილების აღზრდა, რაც ქართველი დედის პირველ მოვალეობას წარმოადგენდა. ამიტომაც ლექსში „ნანა“ პოეტის სიტყვებით დედა თავის პატარას შთააგონებს:

„აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვიდი მამულს მსხვერპლად“ ...

ქართველი დედები და ღირსეული მამები იმას კი არ ფიქრობდნენ, რათა რაიმე „მაქინაციებით“ მტერთან ბრძოლაში წასვლისაგან „დაეფარათ“ თავიანთი შვილები, არამედ, იმაზედ, რომ შვილებს სასახელოდ, საამაყოდ თავგანწირულად ებრძოლათ მამულის გადასარჩენად, თავისი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის:

„ღმერთს მარტო ერთს ვთხოვ,
მკვდარი დედა ძემ ასახელოს“ (ჭავჭავაძე, 1984, 37).

ასეთი იყო შვილის მიმართ ქართველი დედის ანდერძი, მისი ყველაზე დიდი ნატვრა და სანუკვარი იდეალი, რომელსაც შვილი ვაჟკაცურად ასრულებდა – და მართლაც, ბევრი ქართველი ვაჟკაცი ღირსეულად ასრულებდა ქართველი დედების ილიასეულ მოწოდებას.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნული ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ილია ჭავჭავაძის ჭეშმარიტი პედაგოგიური კონცეფციის განსაკუთრებულ მეცნიერულ მნიშვნელობას ბავშვის ზნეობრივად ჩამოყალიბების შესახებ.

ლიტერატურა:

1. ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ. 19084
2. მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, 1939
3. ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1938
4. გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ. 1984

THE ROLE OF FAMILY IN MORAL EDUCATION OF CHILD'S IN ILIA CHAVCHAVADZE'S OPINION

Tsiuri Bakradze, Gori Teaching University, Associate Professor

SUMMERY

Ilia Chavchavadze, Pater Patriae (Father of the Fatherland) of Georgia as Georgians revere him, considered that in the family the main tool to open child's mind and heart was mother tongue, because it plays the leading part of social contact in society and relationship among the family members. He thought that there was deeply interconnection between the processes of speech and thinking; as Ilia Chavchavadze considered the one of the most important pedagogical issue of the family and school was that completely develop all of these processes.

Ilia Chavchavadze's pedagogical ideal was educated child and moral citizen who was brought up by the family. Just "Otarant Kvrivi" (Otarant Widow) and his wife's hard work, personal example of justice, strong will and highly moral features determined George's character.

The great writer also showed us, that two adult brothers became robbers and stood in front of the gallows because of selfish, degraded moral of parents, dizzy wealth of family, mother's immorality and heartlessness of stepfather.

The famous, humanist figure appealed to government and society for defending the rights of orphans and homeless children and care for them.

Ilia chavchavadze thought that to bring up child as an honest, generous, nature and soul reach, moral person was the momentous thing for family and school, because he knew well that best human characters like as friendship, patriotism, justice, diligence, kindness are that characters which take a person from school, family and society.

კლასის მართვის ფაქტორების ანალიზი ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნასთან მიმართებაში

ეკატერინე გიგაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail:ekagigashvili@gmail.com

სწრაფცვალებად სამყაროში მყოფი მოსწავლე ვითარდება – იძენს ცოდნას, იცვლის ქცევას. მასწავლებელმა ამ ცვლილებებს უნდა მიუხადადოს კლასის მართვის ტექნიკა. მოსწავლის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად მიმდინარეობს ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესი: მოსწავლის სოციალიზაცია და ინდივიდუალიზაცია. განათლების სფეროში, კონკრეტულად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ბოლო პერიოდში არსებული სტატისტიკის მიხედვით, გამოიკვეთა კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები. ბუნებრივია, ამ პრობლემებს ობიექტური მიზეზები აქვს და სათანადო შესწავლას საჭიროებს. კვლევები მოწმობს, რომ მოსწავლის წარმატება მასწავლებლის ეფექტურობაზეა დამოკიდებული. მასწავლებელმა უნდა მოახდინოს სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) ადაპტაცია მოსწავლის ასაკობრივი მოთხოვნილებების, შესაძლებლობების და ზოგადად, კლასის ატმოსფეროს გათვალისწინებით. ეფექტურ მასწავლებელს შეუძლია სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა და გამოყენება, სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე და კლასის მართვის ეფექტური მეთოდების შერჩევა და გამოყენება.

მიგვაჩნია, რომ განხილვას საჭიროებს კლასის მართვასთან დაკავშირებული იმ საკითხების შესწავლა, რომელიც დაკავშირებულია ეფექტურ სასწავლო გარემოსთან. სწავლების პროცესის, კლასის მართვის მთავარი ასპექტი არის დისციპლინა, უფრო კონკრეტულად, იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთაც იყენებს კლასის მართვისას მასწავლებელი სკოლაში, მოსწავლეთა პრობლემური ქცევის მინიმუმამდე დასაყვანად. პროფ. დიმიტრი უზნაძის განმარტებით – „*ნამდვილი დისციპლინა შეგნებული ხასიათისაა. დისციპლინას მხოლოდ მაშინ ექნება მაქსიმუმი აღმზრდელობითი მნიშვნელობისა, როდესაც ბავშვები თვითონ იმსჯელებენ იმის შესახებ თუ როგორ უნდა იქცეოდნენ და თვითონვე ცდილობენ თავისი შეგნებული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.*“ (დ. უზნაძე, 2005). დისციპლინის საკითხი ყველა ეპოქაში ერთნაირად აქტუალური იყო, თუმცა, განსხვავებულ ეპოქებში დისციპლინა განსხვავებულ ნორმებს მოიცავდა და დამოკიდებული იყო კლასის

მართვის სტილზე. ეს თემა ყოველთვის იქცევა მეცნიერთა ყურადღებას. მიიჩნევენ, რომ არსებობს კლასის მართვის სხვადასხვა მოდელები.

მართვის ავტორიტარული სტილის (სკინერი, კანტერი), დროს მასწავლებლის მიდგომა სასწავლო პროცესის მიმართ ბიჭვიორისტულია. მოსწავლეთა მოტივაცია ძირითადად გარეგანია და დამოკიდებულია ჯილდოებზე, შექებაზე, ნიშნებზე და დასჯის შიშზე. სწავლების მეთოდები ორიენტირებულია მთლიანად კლასზე და არა ინდივიდებზე. გაკვეთილზე დროის დანაწილება ყოველთვის ერთნაირია და მკაცრად განსაზღვრულია ინსტრუქციით. საკლასო ოთახის სივრცე დაუნაწევრებელია; კლასში მერხების განლაგება ერთფეროვანია, მასწავლებლისათვის და მოსწავლეთათვის განსაზღვრულია ტერიტორია. მოსწავლეები სხედან დაფისა და მასწავლებლის პირდაპირ რიგებად განლაგებულ მერხებთან. ქცევის წესებს ადგენს სკოლის ადმინისტრაცია, ხოლო კლასში მასწავლებელი საერთო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, რომელსაც ემორჩილებოდა ყველა. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეთა არასასურველი ქცევის არა პრევენციას, არამედ არასასურველი ქცევის კორექციას; ამ დროს ხდება: ნეგატიური ქცევების აღმოფხვრა, პოზიტიურის განმტკიცება.

მართვის დემოკრატიული სტილის (იაკობ კუნინი, რუდოლფ დრეიკერსი), დროს სწავლებაში წარმატების მიღწევა გარკვეულწილად დამოკიდებულია სწორ საკლასო მენეჯმენტზე. სასკოლო გარემოში მიმდინარე ყველა ურთიერთობა დაფუძნებულია მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობაზე. კლასი მასწავლებელთან ერთად მუშაობს, ადგენს ქცევის წესებს და იღებს გადაწყვეტილებას ამ წესების რეალური განხორციელებისათვის. საკლასო ოთახში არსებული მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის და მათი გამოყენება შესაძლებელია დამოუკიდებლად. საკლასო ოთახში სივრცე დანაწევრებულია; გამოყოფილია ფუნქციური ზონები /საპრეზენტაციო, ბიბლიოთეკა, ტექნიკური და ა.შ./ ავეჯის განლაგება, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ ინდივიდუალურად ან ჯგუფებში. მოსწავლეებში სასურველი ქცევის ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ სწორი არჩევანის გაკეთებით და არა დასჯით. კლასის მართვის დემოკრატიული სტილის დროს უპირატესობა ენიჭება მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობას, რათა მოხდეს არასასურველი ქცევის პრევენცია და არა კორექცია. მასწავლებელი ხშირად მიმართავს შექებას. აკეთებს პოზიტიურ კომენტარს იმის შესახებ თუ რას აკეთებენ კარგად მოსწავლეები. შექება სტიმულის მიმცემია მოსწავლეებისათვის. კლასის მართვა ორ ამოცანას ემსახურება: ის მიმართულია არა მხოლოდ მოწესრიგებული გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაზე, არამედ ყველა მოსწავლის ჩართვაზე სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს მოსწავლეთა სოციალურ და პიროვნულ ზრდას. კარგად მოწესრიგებულ სასწავლო გარემოს გააჩნია თავისი მახასიათებლები და უზრუნველყოფილია, როცა მოსწავლეები ჩართული არიან დავალებების შესრულებაში, მათ იციან თუ რას მოელიან მათგან და არიან წარმატებულები, ძალიან მცირე დრო რჩება არასტრუქტურირებული ან ხელისშემშლელი აქტივობებისათვის კლასში, საკლასო ოთახის კლიმატი მუშაობაზე ორიენტირებული, სასიამოვნო და კომფორტული.


ტრადიციულ სკოლაში, მართვის ავტორიტარული სტილის არსებობის ფონზე, ქცევის წესების შეთავაზება ხდება დირექტიულად, ადმინისტრაციის მიერ და ამ წესების შემუშავებისას მოსწავლეთა მონაწილეობა და ჩართულობა მინიმუმამდეა დაყვანილი. წარმატებაზე ორიენტირებული სკოლის შემთხვევაში, მართვის დემოკრატიული სტილი განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო წესების შემუშავების პროცესში და ზოგადად მათ წარმატებას. შედარებისას თვალნათელია სხვაობა, როგორ განსაზღვრავს მართვის სტილი მოსწავლეთა ჩართულობას. მოსწავლე თავად ღებულობს წესების შემუშავების პროცედურაში მონაწილეობას, შესაბამისად, პასუხისმგებელია სასწავლო პროცესზე და ორიენტირებულია მიღწევებზე, ხოლო ავტორიტარული სკოლის შემთხვევაში ის არ ღებულობს მონაწილეობას წესების შემუშავებაში და გულგრილია სასწავლო გარემოს, საკუთარი მიღწევების მიმართ.

კლასის მართვასთან დაკავშირებით უამრავი კვლევაა ჩატარებული მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც ადასტურებენ, რომ კლასის მართვა არის ეფექტური სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი. მაგალითისთვის ტეხასის შტატში ჩატარებული კვლევების მეტაანალიზის შედეგების მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლოთ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს კლასის მართვასა და ეფექტურ სასწავლო გარემოს შორის. აღნიშნული კვლევა ტეხასის შტატში, ქალაქ ოსტინში მდებარე მასწავლებელთა განათლების კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარდა. აღნიშნული კვლევა ოთხი ეტაპისგან შედგება და კვლევების დასრულების შედეგად რაოდენობრივი შედეგების შერწყმას და ანალიზს მოიცავს. პირველ კვლევაში მონაწილეობდა დაწყებითი სკოლის 27 მასწავლებელი, ხოლო მეორე კვლევაში მონაწილეობდა საბაზო და საშუალო განათლების 51

მასწავლებელი. პირველი და მეორე კვლევის შედეგების იდენტიფიცირების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა იმ ტიპის მასწავლებლის ზოგადი მახასიათებლების დადგენა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და მის წარმატებაზე და იმ ტიპის მასწავლებლის ზოგადი მახასიათებლების დადგენა, რომლის მოსწავლეებიც ორიენტირებული არიან გაკვეთილზე წესრიგის დარღვევისკენ. კვლევის პირველი ეტაპის შემდეგ მასწავლებელთა ჯგუფისთვის ჩატარდა პროფესიული ტრენინგი კლასის მართვის საკითხებში.

შემდგომ ეტაპზე, მესამე კვლევის ფარგლებში მოხდა დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა ჯგუფის შესწავლა, ხოლო მეოთხე კვლევა განხორციელდა საბაზო და საშუალო მასწავლებლების პრაქტიკის შესწავლის მიზნით. ტრენინგის შემდეგ, მესამე და მეოთხე კვლევის შედეგად სრულიად ნათლად გამოიკვეთა, რომ კლასის მართვის მიმართულებით მოხდა მასწავლებელთა უნარების გაუმჯობესება, რამაც საკვლევ ჯგუფში წარმატებული მოსწავლეების რაოდენობრივი ზრდა გამოიწვია. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ემერის, ევერტონის, სენფორდის, ქლემენტასის და მარტინის ნაშრომში (Evertson, C.M., Emmer, E.T, pp2-31. 1982,)

კლასის მართვის საკითხებისადმი ინტერესს სწორედ ზემოთხსენებულმა კვლევამ და ნაშრომებმა ჩაუყარეს საფუძველი, მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ კლასის ეფექტური მართვა ოთხი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული (სქემა 1).



ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნის მნიშვნელოვანი წინაპირობა - ქცევის წესების შემუშავება და პროცედურები. ქცევის წესი წარმოადგენს ზოგად მოლოდინს ან ქცევის სტანდარტს; ქცევის პროცედურა კი დეტალური განმარტებაა იმისა, თუ როგორ განვახორციელოთ ესა თუ ის ქმედება. ქცევის წესების შემუშავება საკმაოდ რთულია, გასათვალისწინებელია, რომ ამ წესებმა უნდა დაარეგულიროს მოსწავლეთა მოქმედებები გარკვეული დროის განმავლობაში. ამიტომ ლოგიკურია, რომ მათ შემუშავებაში მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

პროცედურები აკონკრეტებს რა როგორ უნდა გაკეთდეს. პროცედურების ერთობლიობა აყალიბებს გაკვეთილის სტრუქტურას. მისი განხორციელება სისტემატური, ყოველდღიური უნდა გახდეს ანუ მოსწავლე მას ჩვევის დონეზე უნდა ასრულებდეს. სწავლის დაწყებიდან პირველი ორი კვირის მანძილზე პედაგოგმა დიდი დრო უნდა დაუთმოს წესების შესაბამის პროცედურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი და იმავე საორგანიზაციო საკითხებზე შენიშვნების მიცემა მათ მთელი წლის განმავლობაში შეიძლება მოუხდეთ რასაც საბოლოო ჯამში დიდი დრო მიაქვს და ქმნის პრობლემებს.

საკლასო წესები და პროცედურები ძალზე მნიშვნელოვანი და განსხვავებულია სხვადასხვა კლასში. წესები და პროცედურები იყოფა კატეგორიებად, როგორებიცაა: ქცევასთან დაკავშირებული მოლოდინი, საგაკვეთილო დღის ან სასწავლო პერიოდის დასაწყისი და დასასრული, გაკვეთილის შეწყვეტა, მასალა და მოწყობილობები, ჯგუფური მუშაობა და ტრადიციული სწავლება, რომელსაც მთლიანად მასწავლებელი უძღვება. რომელი კატეგორიის წესსა და პროცედურასაც არ უნდა ეხებოდეს საქმე, მათი შემუშავების პროცესში მოსწავლეების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები: დღეისათვის, სკოლების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა დისციპლინის ნაკლებობაა. დისციპლინის საკითხი სკოლის დონეზე განიხილება, ყველაზე მწვავე პრობლემები კი კლასის დონეზე იჩენს ხოლმე თავს. კვლევებით დადასტურებული შემამოფოთებელი ტენდენცია შემდეგში მდგომარეობს: მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ ისინი, როგორც წესი, არ არიან მზად, გაუმკლავდნენ დისციპლინის დარღვევებს. მასწავლებლები, ასევე, აღიარებენ, რომ დისციპლინის დარღვევა ძალიან უარყოფით ზეგავლენას ახდენს სწავლისა და სწავლების პროცესზე, რომ საკლასო დროის მხოლოდ ნახევარი ეთმობა სწავლებას, მეორე ნახევარი კი თითქმის მთლიანად დისციპლინის დარღვევის შემთხვევებზე იხარჯება. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების გატარება მხოლოდ მასწავლებლის

პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს. ეფექტური დისციპლინა კლასისა და, ზოგადად, სკოლის ეფექტური მართვის შედეგია. განვიხილავთ იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც, დისციპლინის გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალურმა მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს. უფრო კონკრეტულად, იმ მეთოდებს აღვწერთ, რომლებიც მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ მაშინ, როდესაც მოსწავლეები არ იცავენ დადგენილ წესებსა და პროცედურებს.

ასე რომ, დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების გატარება მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევების კლებასთან ასოცირდება. ამას გარდა, საგულისხმოა მშობლების დამოკიდებულება; მონაცემები ადასტურებს, რომ მშობლებს კონკრეტული მოლოდინები აქვთ სკოლის მიმართ – ისინი მიიჩნევენ, რომ სკოლამ უნდა იზრუნოს მათი შვილის ქცევის რეგულირებაზე. მაგალითად, საბაზო სკოლის მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვა ადასტურებს, რომ მშობელთა დიდი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს სკოლას, რომელიც დისციპლინის დაცვას სამართლიანი, მკაცრი, თუმცა არა დაუნდობელი, მეთოდებით უზრუნველყოფს.

დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებებით დარღვევებზე რეაგირება და სანიმუშო საქციელის წახალისება უნდა დაბალანსდეს. გამოიყოფა დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართულ ღონისძიებათა ხუთი კატეგორია: მასწავლებლის რეაქცია, ნივთიერი წახალისება, დაუყოვნებელი სახდელი, ჯგუფური მიღწევები, მშობლების რეაგირება მოსწავლის ქცევაზე. რომელი კატეგორიაც არ უნდა იყოს შერჩეული, აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს, თუ სად გადის საზღვარი დისციპლინის დარღვევასა და კარგ ქცევას შორის. ასევე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აწარმოოს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევების ეფექტური აღრიცხვა.

მასწავლებლის ურთიერთობები მოსწავლეებთან: ბევრი მიიჩნევს, რომ მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობა კლასის მართვის ყველა ასპექტს უდევს საფუძვლად. თუ მასწავლებელს კარგი ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან, ისინი უფრო ადვილად ასრულებენ მასწავლებლის მიერ შემოტანილ წესებსა და პროცედურებს. ასევე, მათთვის უფრო მისაღები ხდება მასწავლებლის მხრიდან რეაგირება დისციპლინის დარღვევის შემთხვევებზე. როგორც წესი, იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არ არის კარგი ურთიერთობა, მოსწავლეები ეწინააღმდეგებიან წესებსა და პროცედურებს, აპროტესტებენ მასწავლებლის რეაგირებას დისციპლინის დარღვევაზე. ეს ყოველივე სპეციალური კვლევების შედეგებით დადასტურების გარეშეც ადვილად მისახვედრია. მკვლევარები დიდი ხანია მუშაობენ მასწავლებლის იმ მახასიათებლების დადგენაზე, რომელიც მას მოსწავლეებისათვის უფრო მისაღებს ხდის და, შესაბამისად, მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობების დამყარებაში უწყობს ხელს. მასწავლებლები უნდა იყვნენ ეფექტური სწავლების პროცესში. ამავდროულად, მათ უნდა ახასიათებდეთ: მეგობრულობა, დახმარებისთვის მზაობა, მოსწავლესთან დაახლოების უნარი. მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოსწავლისადმი თანაგრძნობის გამოძახება, მისი მოსმენა და მოსწავლის სამყაროს წვდომა. კარგი მასწავლებელი არასოდესაა გაურკვეველ მდგომარეობაში, როცა საქმე მოსწავლეებთან კომუნიკაციას ეხება, ის არ არის ბუზღუნა, მოღუშული, უკმაყოფილო, აგრესიული, სარკასტული ან ადვილად გაღიზიანებადი. მასწავლებელს უნდა შეეძლოს სტანდარტების დამკვიდრება, კონტროლის შენარჩუნება და, ამავდროულად, უნდა ქმნიდეს გარემოს, სადაც მოსწავლე გრძნობს პასუხისმგებლობებსა და თავისუფლებას. მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობის შესახებ ჩატარებული კვლევები სხვადასხვა ტიპის მოსწავლის განსხვავებული საჭიროებების დაკმაყოფილებასაც ეხება. საჯარო სკოლების მასწავლებლებს ყველა ტიპის მოსწავლესთან უხდებათ მუშაობა ყოველდღიურად. იმისათვის, რომ მასწავლებელმა კარგი ურთიერთობა დაამყაროს მოსწავლეებთან, აუცილებელია, მოახდინოს საკუთარი დომინანტური როლის დემონსტრირება, აჩვენოს მოსწავლეებს, რომ აკონტროლებს კლასში შექმნილ სიტუაციას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან თანამშრომლობა; მასწავლებელმა უნდა აგრძნობინოს მოსწავლეებს, რომ აღეგებს მათი ინდივიდუალური და საერთო პრობლემები. მასწავლებელს უჩვეულო ძალისხმევა სჭირდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობის პროცესში, მაგრამ მათთან წარმატებული კომუნიკაციის შემთხვევაში, უფრო ადვილად უზრუნველყოფს კლასის ეფექტურ მართვას. საკლასო ოთახში არა ერთი მოსწავლე შედის, რომელსაც უამრავი ცხოვრებისეული პრობლემა აწუხებს.

მენტალური მზაობა ძალიან ახლოსაა ყურადღებიანობის ცნებასთან, როგორც მას ფსიქოლოგები უწოდებენ. ყურადღება არამარტო დიმიტრი უზნამის, არამედ ჩვენი თანამედროვე მეცნიერის თ. გაგომიდის კვლევის საგანსაც წარმოადგენს. სამყაროსთან ავტომატურ, არაცნობიერ ინტერაქციას მკვლევარი ა. ლენგერი უყურადღებობის სახელით მოიხსენიებს. ეს არის იმ მენტალური მზაობის ანტიტეზა, რომელიც მასწავლებლებს კლასის ეფექტური მართვისათვის უნდა გააჩნდეთ. კონკრეტულად, მენტალური მზაობა, რომელიც აუცილებელია კლასის ეფექტური მართვისათვის, მასწავლებლისაგან

მოითხოვს ყურადღებას „გონებრივი სიფხიზლისა“ და „ემოციური ბალანსის“ უნარის განვითარებისათვის.

კლასის ეფექტური მართვის მეოთხე ასპექტი, მენტალური მზაობა, მოიცავს ორ მახასიათებელს: გონებრივი სიფხიზლე და ემოციური ბალანსი. გონებრივი სიფხიზლე გულისხმობს მოსწავლეთა ქცევასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემების იდენტიფიკაციასა და მათზე სწრაფ რეაგირებას. ემოციური ბალანსი კი არის მასწავლებლის უნარი, დაამყაროს მოსწავლეებთან საქმიანი, თანამშრომლობითი ურთიერთობა. ემოციური ბალანსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა მასწავლებელი მოსწავლის მიმართ დისციპლინურ ზომებს ატარებს.

დასასრულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასის მართვასთან დაკავშირებული ასპექტების შესწავლა დამატებით მოითხოვს განათლების სფეროში მოღვაწე არა მხოლოდ უცხოელი მეცნიერ-მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევების შესწავლას, არამედ კვლევების ჩატარება საჭიროა ეროვნულ სამეცნიერო დონეზე, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მონაპოვარის გათვალისწინებით, რადგან თუ მასწავლებელს შეუძლია კლასის ეფექტურად მართვა, სწავლა და სწავლება წარმატებით მიმდინარეობს.

ლიტერატურა:

1. კლასის მართვა. რობერტ ჯ. მარზანო, 2009 წ
2. საწავლო და პროფესიული გარემო, მასწ. პროფ. განვითარების ცენტრი, თბილისი, 2008 წ
3. «Вопросы психологии». Москва, 2000 г.
4. «Социальная психология». В.Г.Крысько. Москва, 2001 г.
5. Evertson, C.M., Emmer, E.T (1982). Preventive classroom management. In D. Duke (Ed.) Helping teachers manage classrooms (pp2-31). Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development

ANALYSING OF CLASS-RULING FACTORS TO THE RELATION OF MAKING AN AFFECTIVE EDUCATIONAL ENVIRONMENT

Ekaterine Gigashvili, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

According to the statistic data carrying out lately, there are many problems in the educational sphere in general education connecting to the class-ruling. Naturally these problems have their objective reasons and they have to be learnt. According to the researches student's progress depends on teacher's effectiveness. An effective teacher can choose and use the teaching methods correctly, adjust the curriculum on the students in case of their need and choose and use the methods of class-ruling correctly. Four factors of class-ruling are considered in the work. Affective educational environment is conditioned by these four factors.

საქართველოში ბიზნეს-განათლების სრულყოფის საკითხისათვის

ოლღა ფაჩულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: olipach@mail.ru

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე თანდათან იზრდება ბიზნეს-განათლების მნიშვნელობა. AACSB-International-ის მონაცემებით, დღეს მსოფლიოში ფუნქციონირებს 7500 ბიზნეს-სკოლა. მათი რიცხვი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება განვითარებად ქვეყნებში. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ბიზნეს-განათლების ბაზარი უკვე საუკუნეზე მეტია არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესებით, ნორმებითა და სხვადასხვა ინსტიტუტით. მაგალითად, აშშ-ში ყოველწლიურად 100000 ადამიანი იღებს MBA-ს დიპლომს, დიდ ბრიტანეთში - 60000, ჩინეთში - 20000.

საქართველოში მრავალი ახალგაზრდა დაინტერესებული ბიზნესის შესწავლით. მათ სურთ გააანალიზონ ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენები და პროცესები, განსაზღვრონ განვითარების პერსპექტივები, შეიარაღდნენ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით. მისასალმებელია, რომ ფორმალურ დიპლომთან შედარებით, პრიორიტეტულად მიიჩნევა ახალი ცოდნისა და კომპეტენციების შექმნა უწყვეტი განათლების რეჟიმში, იზრდება მოთხოვნა მოკლე ხანგრძლივობისა და ამავე დროს, უფრო კონცენტრირებულ პროგრამებზე, გაჩნდა სპეციალიზირებული პროგრამები, შეინიშნება უცხოელი

სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი ზრდა. ბიზნეს-განათლება მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ იგი სულ 20 წელია არსებობს. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი. მიზანშეწონილია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკული გამოცდილების გაანალიზება და განზოგადება და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი დასკვნების გაკეთება. საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმა უნდა დაეფუძნოს ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. უმაღლესი განათლების სპეციალისტების მომზადება უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელის ჩამოყალიბების ამოცანებს (შუბლაძე, შენგელია, 2010). მიზანშეწონილია, ბიზნესის სწავლება წარიმართოს უცხოელი და ქართველი მეცნიერების კვლევებზე დაყრდნობით. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტი, როგორცაა სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფა. სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა მაშინაა სარგებლის მომტანი, როდესაც იგი გამოყენებული იქნება უშუალოდ სამუშაო ადგილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იკარგება ყოველგვარი ფასეულობა, რასაც იძლევა სწავლების პროცესი. მიზანშეწონილია ამ უკანასკნელის მჭიდრო კავშირი პრაქტიკასთან.

თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებთან შესაბამისობა გულისხმობს მეტისმეტად მოქნილი ტექნიკური მეთოდებით სწავლებას, რაც, პირველ რიგში, დაკავშირებულია ქსელურ პარადიგმასთან. ინტერნეტი არის მრავალფეროვანი მასალის წვდომის უნივერსალური გარემო. მისი საშუალებით შესაძლებელია სწავლება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას, რაც სტუდენტს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ არ მოწყდეს სამუშაო ადგილს. ამასთან ერთად, დისტანციური სწავლების პროგრამები ხელსაყრელია ფინანსური თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ონლაინ-სწავლება წარმოადგენს საზღვარგარეთის ქვეყნების უამრავი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითად პრიორიტეტს. გაერთიანებულ სამეფოში დისტანციური სწავლების ყველაზე მსხვილი პროვაიდერია ღია უნივერსიტეტი (Open University, OU). აქ მუშაობს 7000-მდე პროფესორი, რომლებიც სისტემატურად ატარებენ სემინარებს პირდაპირ ეთერში ინტერნეტის საშუალებით და ასწორებენ ონლაინ-დავალებებს. სწავლება ქსელის გამოყენებით წარმატებით მიმდინარეობს ისეთ წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, როგორცაა: Birkbeck College, University of London, Portsmouth University, Bournemouth University და სხვა. ლონდონის უნივერსიტეტი Cayt bank (London South Bank University) ბიზნესის ფაკულტეტიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით აგზავნის პროფესორებს, რათა წაუკითხონ ლექციები სხვადასხვა რეგიონში დასაქმებულ სტუდენტებს. ეს მეტად ხელსაყრელია ახალგაზრდებისათვის, რადგან მათ შესაძლებლობა ეძლევათ, მიიღონ განათლება ზემოდასახელებულ უნივერსიტეტში, რაც ადრე მათთვის ხელმიუწვდომელი იყო ფინანსური თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფუნქციონირებს BRITISH COUNCIL – ბრიტანეთის წამყვანი ორგანიზაცია საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების სფეროში. სტუდენტებს, რომლებსაც საზღვარგარეთ სწავლის საშუალება არა აქვთ მატერიალური ხელმოკლეობის, ოჯახური პირობებისა თუ დროის სიმცირის გამო, შესაძლებლობა ეძლევათ, გადაიხადონ ნაკლები და განათლება მიიღონ ისე, რომ არ მოწყდნენ სამსახურს და ზიანი არ მიაყენონ თავიანთ კარიერას, ისწავლონ მათთვის სასურველი რეჟიმით, ხოლო გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ ახლოს მდებარე საგამოცდო ცენტრში. სწავლება მიმდინარეობს ვიდეო-კონფერენციების, ონლაინ-ფორუმებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. BRITISH COUNCIL მსოფლიოს 109 ქვეყნის 216 ქალაქში. ცენტრალური ოფისები განლაგებულია ლონდონსა და მანჩესტერში, ასევე, აღნიშნულ ორგანიზაციას გააჩნია ოფისები ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში და უელსში. ბრიტანეთის საბჭოს საქართველოს ცენტრი თბილისში მდებარეობს.

The paper studies three basic methods of school management which are as follow: joint, individual and group classes. The joint classes are traditional for the Georgian school. However, the individual and group classes are not less important. The later types of classes have their advantages. Therefore, in order to create effective teaching environment it is desirable to keep a balance among the mentioned methods. This approach will insure avoidance of dominancy of only one method (like usage of class work only) and neglecting others.

„აკადემიური წერის“ სავარჯიშოთა შერჩევის პრინციპი

მზია ზანგალაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ზოგადიდაქტიურსა და თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემებს განეკუთვნება სწავლების პრინციპების შერჩევა; „აკადემიური წერის“ სავარჯიშოთა შერჩევის პრინციპებისადმი წაყენებული მოთხოვნები სპეციფიკურია და მრავალფეროვანი თავისი ბუნებიდან გამომდინარე. იგი მოიცავს ქართული ენის ცოდნას, წერის ხელოვნების დაუფლებას, ენობრივ შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას...

გადმოსაცემი და გადმოცემული აზრის („სათქმელისა“ და „თქმულის“) ურთიერთმიმართებას თავისი პარამეტრები აქვს, რომლებიც ლინგვისტურთან ერთად განსაზღვრულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით (ვისთვის ვწერთ, რაზე ვწერთ, რა სიტუაციაში). „აკადემიური წერის“ მთავარი მოთხოვნა არა მარტო სწორად, არამედ ზუსტად, ლოგიკურად და გამომსახველად წერაა.

„აკადემიური წერა“ ორგანულადაა დაკავშირებული მეტყველების კულტურასთან, სტილისტიკასთან – ფუნქციური სტილისტიკის ნაირსახეობასთან: სასაუბრო, ოფიციალურ-საქმიანი, მეცნიერული, პუბლიცისტური, მხატვრული.

ტექსტის შერჩევის ძირითადი პრინციპები:

ა) ენობრივ საშუალებათა მიზანმიმართული გამოყენებით განისაზღვრება ტექსტი, როგორც ფუნქციურ-მეტყველებითი მოქმედიანობის ფენომენი.

ენათმეცნიერებაში გვთავაზობენ კონტექსტის სამ სახეობას: მიკროტექსტი, მაკროტექსტი და ტექსტი. მიკროტექსტი მოიცავს ერთ წინადადებას; მაკროტექსტი შედგება აბზაცებისგან; ერთი აბზაცისა ან აბზაცებისგან ვიღებთ ტექსტს.

ტექსტი გაანალიზდება როგორც ლინგვისტურად, ისე სტილისტურად. მეცნიერები გამოყოფენ დისციპლინებს – ტექსტის ლინგვისტიკასა და ტექსტის სტილისტიკას. მათ ბევრი აქვთ საერთო, სტილისტური ანალიზი ლინგვისტური ანალიზის ერთ-ერთი სახეობაა. ლინგვისტური ანალიზისას ტექსტს შევხედავთ როგორც სტრუქტურულ-სემანტიკურ მთლიანობას, რომელსაც ენობრივი მახასიათებლები აქვს, ხოლო სტილისტური ანალიზისას წამოიწვევს ფუნქციურ-სტილისტური მახასიათებლები როგორც გამოხატვის საშუალება. საბოლოოდ აქ იკვეთება ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართება – მეტყველება, როგორც ენის რეალიზაციის საშუალება.

ბ) სტრუქტურულ-სემანტიკური პრინციპი აუცილებელია მხატვრულ ტექსტებზე მუშაობისას; იგი ხელს უწყობს ენობრივი თავისებურებების გამოვლენას, ავლენს მწერლის ენობრივ სიღრმისეულ შრეებში წვდომას და გვაგრძობინებს პოეტური ხატის ხიზლს.

ენის შინაგანი მექანიზმის გათვალისწინებაა საჭირო, რათა: 1) გამოვიყენოთ იგი შემოქმედებითად, 2) მხატვრულ ტექსტს შევხედოთ, როგორც ენობრივ ფენომენს.

მეტყველების მრავალფეროვნების აღქმა რომ შეძლო ენობრივ შესაძლებლობებს უნდა ფლობდე, რადგან „ენის პოტენცია“ ერთბაშად არასდროს რეალიზდება. იგი აკუმულირებულია ენებში და მისი მხოლოდ თანდათანობითი („გამოზოგვითი“) გამოხატვა ხდება. ენა სწორედ ასეთი მოხმარების შედეგად იძენს მოქნილობას, „უცდეთელობას“ უნარს, სათანადო სიზუსტეს თავის სიღრმისეულ შესაძლებლობათა გამოყენებისას (ჯორბენაძე, 1989).

გ) ტექსტში გაანალიზდება ცალკეული სიტყვა, შესიტყვება, წინადადება, აბზაცი, აბზაცთა შეერთების საშუალებები – ყოველივე ეს ტექსტის მთლიანობის აღქმას მოემსახურება.

ლექტორის დასმულ კითხვებს აქვს ემოციური, სტილისტური დატვირთვა განსაკუთრებით მაშინ, როცა კითხვას სვამს და თვითონვე პასუხობს – ამით თავის აზრს უფრო დამაჯერებელს, ლოგიკურს ხდის. სტუდენტებიც ეჩვევიან თავიანთი აზრის დასაბუთებას, დამოუკიდებელ აზროვნებას, მიებას.

კითხვები, რომლებიც სააზროვნოა, განსჯითი, კვლევითი, სტუდენტებს ააქტიურებს, რასაც ხელს შეუწყობს შემეცნების სამფაზიანი მოდელის გამოყენება: I. პროვოცირება, გამოწვევა, „გონებრივი იერიში“; II. სიღრმისეული წვდომა; III. გააზრება (რეფლექცია). ტექსტის დამუშავების ასეთი მეთოდებით გზას ვუხსნით სტუდენტებს, ითანამშრომლონ ჩვენთან, ერთად განვსაჯოთ, გამოვთქვათ ვარაუდები, დავასაბუთოთ, გამოვიტანოთ დასკვნები.

დ) ტექსტში გაანალიზდება ძირითადი აზრის, სათქმელის გამკვეთრების საშუალებები. პოეზიაში (და რა მარტო პოეზიაში) სიტყვის ესთეტიკის ძალმოსილებაზე ბევრი მეცნიერი ამხვილებს ყურადღებას. „ესთეტიკური სიტყვები განფენილია ტექსტში და აზრს აძლიერებს, გამომსახველობას ანიჭებს მას. მწერალი აახლებს სიტყვის ენერგიას, დამუხტავს მას თადარიგიანად – ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ,

თუ გაქვს ენობრივი ალღო, უნარი, შეიგრძნო სიტყვის ძალა და სიტყვათა ჯგუფში ჩასვა სიტყვა, როგორც გამორჩეული ერთი მარცვლი და მკითხველს დაანახო, სწორედ ამ სიტყვით გამოხატა შემოქმედმა თავისი აზრი. იმის ახსნას, რაც მწერლისეული ტექსტის სიღრმეებშია მოცემული, უწოდებენ „სტილის სპექტრულ ანალიზს.“

ასეთი დამოკიდებულება ტექსტისადმი ბიძგს გვაძლევს, არა მხოლოდ მხატვრული, არამედ ყველა სახის ტექსტში, ჩვენს ნაწერში გამოვყოთ დომინანტი სიტყვა ან შესიტყვება და გავხადოთ იგი ტექსტის ორგანულ ნაწილად.

ე) ტექსტი გაანალიზდება აზრის თანამიმდევრობისა და ლოგიკურობის თვალთახედვით. გასათვალისწინებელია ლინგვისტური პირობები: 1) მეტყველების სიზუსტის მისაღწევად შესაბამისობა სიტყვის გამოყენებასა და მის მნიშვნელობას შორის. თუ ეს არ არის, მეტყველება არ იქნება ზუსტი და არც ლოგიკური; 2) სტრუქტურული – რაც გულისხმობს მეტყველების სტრუქტურის ორგანიზებას აზრობრივი თვალთახედვით. მეტყველების ლოგიკურობის გასაანალიზებლად მდიდარ მასალას გვაძლევს ქართული ენის სინტაქსი. მეტყველების ლოგიკურობაზე საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ბ.ნ. გოდიოვინი.

ვ) დამოუკიდებლად შესასრულებელ სავარჯიშოში სტუდენტმა უნდა შეძლოს ცოდნის გადატანა „ახალ სააზროვნო სიტუაციაში.“ „ახლის აღმოჩენის“ განცდას იწვევს ადრე შესრულებული სავარჯიშოებისგან ოდნავ განსხვავებული ვარიანტების მისადაგება სათქმელისათვის (Головин, 1980)

„აკადემიური წერით“ გათვალისწინებულ მრავალფეროვან საკითხებს – რეცენზია, ესე, ნარკვევი... – მოემსახურება ზემოდასახელებული პრინციპით შედგენილი სავარჯიშოთა სისტემა.

ლიტერატურა:

1. ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989. გვ.186.
2. Б. Н. Головин, Основы культуры речи, М., 1980. Ст. 144-145.

THE PRINCIPLES OF EXERCISES OF “ACADEMIC WRITING” Mzia Zangaladze Gori Teaching University, Full Professor RESUME

There are presented the basic principles of exercises of “Academic Writing” in this work: to give illustrations of language-styles of the text; to acknowledge the structural-semantic peculiarities; to understand the main idea of the text and the connection of its components; to present logical aspects and the succession of the main idea.

თანამედროვე მიდგომები სპორტის განვითარებაში

ალექსანდრე იაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

სპორტის განვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომლის უპირველესი დანიშნულებაა ერის გაჯანსაღება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და საქართველოს სპორტსმენების ღირსეული გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზობებში (საქართველოს კანონი "სპორტის შესახებ", 1996 წ.).

ამ მიმართებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მთელი სისტემის ახლებურად გააზრება და დარგის ეფექტურად მართვის თანამედროვე მოდელების ჩამოყალიბება.

ითვალისწინებს რა სპორტის მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში, სახელმწიფო ზრუნავს და ხელს უწყობს სპორტის განვითარებას.

სწორედ ამ მიზნით იქნა შემუშავებული 2002 წელს საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია, რომლის ძირითადი ამოცანებია: (საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია (2003-2015 წლებში))

- ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სამეცადინოდ საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად მათი მატერიალური კეთილდღეობისა, თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა;
- მიზნობრივი პროგრამების, კანონების, სამართლებრივი და ნორმატიული აქტების რეალიზაცია, რომლებიც მიმართულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებისაკენ;
- მასობრივი სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება;
- მაღალი რანგის სპორტსმენების მომზადების სისტემის შემდგომი სრულყოფა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მისი შემდგომი განვითარება;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეცნიერული უზრუნველყოფა;
- გამაჯანსაღებელი და სპორტული მედიცინის შემდგომი განვითარება;
- სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების განვითარება;
- მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისა და განსაკუთრებით ინვალიდებისათვის მინიმალური შეღავათების დაწესება;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდა.

სპორტის განვითარების წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების პრობლემასთან, რადგან მისი აღმავლობა წარმოუდგენელია მატერიალური დოვლათის შემქმნელი მთავარი მამომრავებელი ძალის - ადამიანის გაჯანსაღებაზე ზრუნვის გარეშე.

საქართველოში სპორტის განვითარების ყველა მიმართულებაზე ხორციელდება სახელმწიფო დაფინანსება წინასწარი დამუშავებული პერსპექტიული გეგმის საფუძველზე (თ. პაიჭაძე, სპორტის ეკონომიკა (მოკლე კურსი), თბილისი, 2008). ეს გეგმა შედგენილია როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე მისი შემადგენელი ტერიტორიული დანაყოფების მიხედვით, რომელთა შეჯერების შემდეგ მისთვის საჭირო ფულადი სახსრების გათვალისწინებით ყალიბდება სპორტის განვითარების ერთიანი სახელმწიფო გეგმა.

სპორტის დაგეგმვის დახმარებით ხდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა როგორებიცაა:

- მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდისათვის ქვეყანაში სპორტის განვითარების საერთო და მათ შორის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;
- სპორტისათვის საჭირო მმართველობითი აპარატის რაოდენობის განსაზღვრა;
- სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის განსაზღვრა;
- მასობრივი და პროფესიონალური სპორტისათვის კონკრეტულ მაჩვენებელთა სისტემის ჩამოყალიბება და კონტროლი მის შესრულებაზე;
- სპორტისათვის საჭირო კადრების განსაზღვრა;
- სპორტის ყველა მიმართულებით განვითარების უზრუნველყოფა;
- ყველა დაგეგმილ ღონისძიებათა უზრუნველყოფა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სათანადო დაფინანსებით.

ყველა ჩამოთვლილი მიმართულებები წარმოადგენს იმ მაჩვენებელს, რომელთა გათვალისწინებით, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტებში ხდება სათანადო ფინანსური რესურსების მობილიზება, ამის შემდეგ დაგეგმილი სახსრები, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში სპორტის განვითარებისათვის, განიხილება პარლამენტის სხდომებზე და დამტკიცების შემდეგ ღებულობს კანონის სახეს და ყველა სუბიექტის მიერ აუცილებლად შესასრულებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ პერსპექტიული დაგეგმვისა და მიზნობრივი პროგრამების შედგენის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში სპორტის სფეროში დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე საქმიანობის წარმართვა. სწორედ ამიტომ იყო წლების მანძილზე სპორტული დარბაზები არამიზნობრივად რომ გამოიყენებოდა, ან მათი ნაწილი დაკეტილი იყო. სპორტის მრავალი სახეობა დაუფინანსებელი იყო, სპორტსმენებზე თვეობით არ გაიცემოდა ხელფასები, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონებიც, რომლებიც ვერ ღებულობდნენ დახმარებას.

ამ ვითარების გამოსასწორებლად, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 2005 წელი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების წლად გამოცხადდა. შემუშავებულ იქნა „სპორტის ინფრასტრუქტურის აღდგენისა და რეაბილიტაციის პერსპექტიული პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში დაიწყო 200 კომბინირებული მოედნის, მინი-ფეხბურთის 10 ხელოვნურსაფარიანი მოედნის, 22 კომპლექსური ნაგებობის და ძალოსნური დარბაზების აღდგენა-მშენებლობა.

დაიწყო განხორციელება ვეტერან სპორტსმენთა სახელმწიფო დახმარების მიზნობრივმა პროგრამამ. შესაბამისი დახმარება ხორციელდება წამყვან და პერსპექტიულ სპორტსმენებზე.

ჩვენ ქვეყანაში სპორტის მიზნობრივ განვითარებაზე ზრუნვის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია ის ფაქტი, რომ 2011 წელს პარლამენტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული იქნა საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულ ღონისძიებათა კომპლექსი ძალიან მნიშვნელოვან და სასიკეთო ძვრებს გამოიწვევს ქვეყნის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებაში, იგი ხელს შეუწყობს ნიჭიერ მომავალ სპორტსმენთა გამოვლენას, მოზარდი თაობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და გონებრივ განვითარებას.

ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს უნივერსიტეტების სტუდენტი-ახალგაზრდობის სპორტში ჩაბმის ეროვნულ სტრატეგიაზე და სამოქმედო პროგრამის შემოღებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარებისათვის აქტიურად მოქმედებს მიზნობრივი პროგრამები, სადაც გათვალისწინებულია: ოლიმპიურ ჩემპიონთა სტიპენდიები, ვეტერან სპორტსმენთა სოციალური დახმარება, მასობრივი სპორტის მხარდაჭერა „ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერა“, ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერა „რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერა“.

ყოველწლიურად იზრდება სპორტის დაფინანსების სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები, რომლის დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა:

2003 წელს სპორტის სახელმწიფო ბიუჯეტი იყო 3,158,5 მლნ ლარი

2004 წელს - 6,866,2 მლნ ლარი

2005 წელს - 6,915,1 მლნ ლარი

2006 წელს - 5,757,6 მლნ ლარი

2007 წელს - 8,752,6 მლნ ლარი

2008 წელს - 15,787,2 მლნ ლარი

2009 წელს - 15,422,1 მლნ ლარი

2010 წელს - 42,042 მლნ ლარი

2011 წელს სექტემბრის თვემდე დახარჯული არის - 35,000 მლნ ლარი, რომელიც წლის ბოლომდე გაიზრდება რამდენიმე მილიონით.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში სპორტის ეროვნულ განვითარებაზე სახელმწიფოს ზრუნვა ხელს შეუწყობს მთელი ერის კონსოლიდაციას, მისი გაჯანსაღების დონისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, თბილისი, 1996.
2. საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია (2003-2015 წლები), თბილისი, 2002.
3. თ. პაიჭაძე, სპორტის ეკონომიკა (მოკლე კურსი), თბილისი, 2008.

MODERN APPROACHES IN SPORTS DEVELOPMENT

Alexsander Iashvili, Gori Teaching University, Full Professor
RESUME

The goals and objectives of sport development in Georgia is discussed in the work “Development of Sport is a Component Part of Social-economic Policy of the Country” which follows from the Georgian legislation about sport and from the conception of physical education and the sport development in Georgia in 2003-2015. The statistical data (from 2003 till 20011) of financial support from the state for the development of different sport directions are also discussed in the work.

The perspectives of sport development in Georgia are clearly shown in the work, which aims to strengthen the whole population’s health and to appear suitably in the international competitions.

According to the goals of sport development the special attention is given to the implementation of main objectives.

The final part of the work refers to the positive moments of financial growth support of fulfillment of sports development goals and objectives in Georgia. And according to the author this is one of the important factors for the sports development in the country.

„აღზრდის“ ცნების ოპტიმალური განსაზღვრება და კვლევის წყაროები

აკაკი ტოლიაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

პრაქტიკოს პედაგოგთა ფართო საზოგადოების და ორთოდოქს პედაგოგ-მკვლევართათვის მთელს მსოფლიოში სადაო არ იყო და არ არის, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის შესახებ, ე. ი. პედაგოგიკის კვლევის საგანია აღზრდა, მისი არსი, მისი კანონზომიერებანი.

სახელწოდება „პედაგოგი“, „პედაგოგიკა“ პირდაპირ უკავშირდება „ბავშვს“ („პაილო“ – ბავშვი და „აგოგე“ – მიმყავს, ვუძღვები) კლასიკური პერიოდის საბერძნეთში, როცა ჩამოყალიბდა ათენური აღზრდის სისტემა და გაჩნდა სიტყვა-ტერმინი „პედაგოგი“, ეს ტერმინი „ბავშვის ხელით ტარების“ მნიშვნელობით კი არ იხმარებოდა, როგორც ეს ე. ნ. მედინსკიმ და გ. ე. ჟურაკოვსკიმ დაამკვიდრეს პედაგოგიკურ ლიტერატურაში, „აღზრდელის“, „აღზრდის“ მნიშვნელობით; „პაიდეია“, „პაიდების“ ნიშნავს აღზრდას, „პაიდეიო“ – ვზრდი. ცალკე განსხვავებული სიტყვა-ტერმინი „აღზრდა“ კლასიკურ ბერძნულში არ ჩანს.

სანამ პედაგოგიკა თეორიად, მეცნიერებად ჩამოყალიბდებოდა, ცხადია, მას წინ უსწრებდა აღზრდის ხანგრძლივი პრაქტიკა. ყველაზე სრული სახით, ყველა თავისი ძირითადი კომპონენტით, აღზრდა ათენის სააღმზრდელო სისტემაში ჩამოყალიბდა, სადაც აღზრდის პრაქტიკა აღსაზრდელის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების იდეას ეფუძნებოდა და მოიცავდა აღზრდის შემადგენელ ოთხივე ძირითად კომპონენტს: გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიურ და ფიზიკურ განვითარებას. იგი გამოიხატებოდა ანტიკური ეპოქის ლეგენდარული პოეტი ქალის – საფოს (VII-VI სს. ძვ. წ.) მიერ შემოტანილი ტერმინით: „კალოკაგათია“.

დღეს სრული სახით აღზრდის როგორც პედაგოგიკის საკვლევი დეფინაცია ასე წარმოგვიდგება: აღზრდა არის მიზანმიმართული, თანმიმდევრული, გეგმაზომიერი და სისტემური ზეგავლენა ბავშვის გონებრივ, მორალურ, ესთეტიკურ და ფიზიკურ განვითარებაზე, რომლის შედეგი ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებაა, უწ. ყოვლისა მოცემული ქვეყნის ბრძენი მოქალაქეა. ამ პროცესში წამყვანია პედაგოგი და პედაგოგიკაც ის მეცნიერებაა, რომლითაც პედაგოგი უნდა შემოქმედებითად ხელმძღვანელობდეს აღზრდის პროცესში, ეს მეცნიერება განსაზღვრავს პედაგოგის პროფესის სპეციფიკასაც.

პედაგოგიკა და მისი საკვლევი საგანი – აღზრდა, მამსადაამე, მოიცავს სკოლამდელ და სასკოლო ასაკს, როცა მოზარდი საბოლოოდ ეთხოვება თავის ბავშვობას და დგება ე. წ. „სიმწიფის ატესტატის“ მიღების ჟამი, როცა ახალგაზრდა გადის დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე, იგი თავისუფლდება პედაგოგის მეურვეობისგან, უკვე როგორც სრულუფლებიანი მოქალაქე კანონის წინაშე პირადადაა ვალდებული თავისი მოქმედებისათვის, პედაგოგსაც ეხსნება საშუალო სკოლადამთავრებულთა მიმართ პედაგოგიური მოვალეობა. ამდენად, შემთხვევითი როდია, რომ აზრდის მეცნიერებას საბოლოოდ დაუმკვიდრდა სახელწოდება „პედაგოგიკა“, რომელიც პირდაპირ ბავშვთანაა დაკავშირებული.

დღეს საყოველთაოადაა აღიარებული და დამკვიდრებულია აზრი, რომ აღზრდა თავისი ისტორიის სათავეს იღებს ადამიანთა საზოგადოების წარმოშობიდან. დამწერლობის შემოღებამდე იგი მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ პრეისტორიულ პერიოდს.

რას წარმოადგენდა აღზრდის პრაქტიკა კაცობრიობის პრეისტორიაში, ამ კითხვაზე ოპტიმალური პასუხი იმავე წყაროებში უნდა ვეძიოთ, რომელი წყაროებითაც სარგებლობენ კაცობრიობის პრეისტორიის მკვლევარები დღეს.

მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც უფრო თანამედროვე მიღწევებს ეფუძნება, პრეისტორიის წყაროებში ასახელებენ და ამ თვალსაზრისით განიხილავენ პირველ ყოვლისა ენას. აღიარებულად თვლიან, რომ ენა „სოციალური ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ასევე ენა ადამიანური ქცევის წარმართვის საშუალებაცაა (ვთქვათ, ზნეობრივი შთაგონებით, დარწმუნებით, ახსნით, წახალისებით და ა.შ.)... მართალია, მეცნიერება ნამარხ ენებს არ იცნობს და ამდენად ჩვენი უძველესი ნამარხი წინაპრების, ვთქვათ, ზნეობრივ შეგნებაზე პირდაპირი ენობრივი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, მაგრამ მეცნიერება ფლობს უძველესი ადამიანის ენის რეკონსტრუქციის საკმაოდ სანდო საშუალებებს - ესაა იმ პირველყოფილ ხალხთა ენების შესწავლა, რომელი ხალხებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ ჩვენს პლანეტაზე და ამ ენათა პალეოლოგიური ანალიზი“.

პირველყოფილ ადამიანთა ენები მრავალ სანდო ცნობას გვაწვდიან ზნეობრივ ცნებათა და ჩვეულებათა წარმოშობაზე, გონებრივ-ესთეტიკური განვითარების დონეზე... “მოცემულ მიმართებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტასმანიელთა ენა, ენა იმ ხალხისა, რომლის შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი ცხოვრობდნენ ძველი ქვის ხანაში. ზოგიერთ გარემოებათა გამო, ეს ხალხი თავის კულტურულ განვითარებაში ჩამორჩა ევროპის ხალხებს დაახლოებით 40 ათასი წლით.

...ეთნოგრაფებმა, მისიონერებმა და ლიტერატორებმა მოასწრეს (სანამ კოლონიზატორები ტასმანიელებს გაანადგურებდნენ) და შეადგინეს ტასმანიელთა ცოცხალი ენის ლექსიკონები ამ ხალხის ტომობრივი სახესხვაობათა გათვალისწინებით. და თუმცა ეს ლექსიკონები არ არიან სრულნი, მაინც წარმოადგენენ ძვირფას წყაროს პრეისტორიის და, მაშასადამე, მაშინდელი აღზრდის პრაქტიკის შესწავლისათვის. ენის სიმდიდრე, როგორც იაკობ გოგებაშვილი გვასწავლის, აღზრდაში გონებრივ განვითარების დიდ შესაძლებლობას იძლევა. ტასმანიელთა ენა ამ მხრივ ძალზე ღარიბია. “თუ თანამედროვე ევროპის ხალხთა ლექსიკონები შეიცავენ დაახლოებით 80 ათასზე მეტ სიტყვას, ტასმანიელთა ლექსიკონი სულ რამდენიმე ასეული სიტყვით შემოიფარგლება”...

მომდევნო წყაროა “არქეოლოგია; საერთოდ, ეს ყველაზე ღრმა ისტორიული წყაროა. დღეს ჩვენ გვაქვს არქეოლოგიური ინფორმაცია ადამიანზე, რომელიც ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობდა დაახლოებით ორი მილიონი წლის წინათ. ლაპარაკია ოლდვანის ადამიანზე. ასევე არქეოლოგიური აღმოჩენები ეთიოპიაში და სხვაგან გვიდასტურებენ, რომ ადამიანთა ასაკი 4,5 მილიონამდე წლამდე თარიღებითაა განსაზღვრული. ამასვე ადასტურებენ არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში. არქეოლოგიით დღეს გაცილებით ფართო და ღრმა მნიშვნელობის ცნობებს ვიღებთ, ვიდრე ეს ადრე ხერხდებოდა.

კვლევის მომდევნო წყაროა “პალეონტოლოგია, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას უძველესი და ძველი ადამიანების ფსიქიკური წყობის ზოგიერთ ნიშანზე, ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე და ზნეობრივ მიდრეკილებებზე, ეყრდნობა რა ადამიანის ფიზიკური ევოლუციის მონაცემებს... თუმცა პალეონტოლოგიური წყაროები ფრაგმენტალურია, მიუხედავად ამისა, ისინი გვამძლევენ შესაძლებლობას ავხსნათ უძველესი ცხოვრების ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა”...

რაც შეეხება “გეოლოგიას, პალეოზოოლოგიას და პალეობოტანიკას” ისინი გვაწვდიან ინფორმაციას ადამიანთა არსებობისათვის მაშინდელი ბუნებრივი პირობების შესახებ, რომელთა ცოდნის გარეშე “შეუძლებელია უძველეს ადამიანთა სულიერი სამყაროს ადექვატური რეკონსტრუქცია. ფაქტობრივად, ამავე თვალსაზრისს იზიარებენ პრეისტორიის სხვა მკვლევარებიც, რომელთა შრომებში ვკითხულობთ, რომ პალეოზომინიდის შემეცნების უნარის, მის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებით მრავალ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობებს (ფაქტებს) გვაწვდის “ანთროპოლოგია, არქეოლოგია, მატერიალური კულტურის ისტორია, ბიოლოგია, ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, ზეპირსიტყვიერება, ბავშვის ფსიქოლოგია, ზოოფსიქოლოგია”.

კვლევის უახლესი, მრავალმხრივ გაუმჯობესებული და სრულყოფილი მეთოდებით მოპოვებული, აღნიშნულ წყაროებში თავმოყრილი და გაანალიზებულია კაცობრიობის პრეისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო უამრავი ფაქტობრივი მასალა, რომელთა გათვალისწინებით პირველად შეიქმნა და ძირითადად გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გამოქვეყნდა გამოკვლევები, რომლებიც გვამძლევენ შესაძლებლობას მივიღოთ შედარებით სანდო წარმოდგენა აღზრდის პრაქტიკის წარმოშობასა და განვითარებაზე პრეისტორიის ხანგრძლივ პერიოდში.

ლიტერატურა:

1. პედაგოგიკა, თბ., 1994
2. ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1974
3. პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1998
4. რ. ბალანჩივაძე, ვ. ასათიანი, პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 1997
5. ა. ტოლიაშვილი, პედაგოგიური მეცნიერება საქართველოში 60 წლის მანძილზე – 1935-95 წწ., 1997

OPTIMAL DEFINITION AND RESOURCES OF INVESTIGATION OF WORD “EDUCATION”

Akaki Toliashvili, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

It was not and it is not an arguable item for a wide society of practitioner educators and orthodox educator-investigators in the whole world that pedagogy is a science about education the object of investigation of pedagogy is education, its gist, its regularities.

The words “pedagogy” and “pedagogue” are directly connected with the word of child in old Greece (“paído” – a child, “agoge” to lead, to take in hands), when the educational system was derived in Athena and the word “pedagogue” appeared. But it was not used with the meaning of “taking or leading a child” as it was established in pedagogical literature by E. N. Medinsky and G. E. Jharovsky. The words “paideia”, “paideisis” mean to bring up children, the verb “paideo” – I bring up a child, I raise a child. We can’t find any other word for this meaning in classic Greek.

Before “pedagogy” was derived as a theory or as a science it was led by a long period of practice of schooling a child. This science with all its main components and the most perfect sites was developed in Athen’s schooling system where it was based on the idea of educating a child comprehensively and harmonically. It contained all the four components of education: mental, moral, esthetic and physical development. ALL this was given with the word “kalogatia” which belonged to a Greek poetess Sapho of antique era.

Nowadays the full definition of the word “education” is represented as an aimed, comprehensive, planned and systematic influence on a child’s mental, moral, esthetic and physical development. The result of this action is a comprehensively and harmonically educated person, who first of all is a clever and educated resident of a given country. The leader of this process is a pedagogue, and the pedagogy is a science which should be used by teachers in this process. This science defines the specification of pedagogue’s profession.

Pedagogue and the object of its investigation – education contains pre-schooling and schooling age. When teenagers become adults and they are given school-leaving certificates when young men and women start to live independently, they are free from their teachers’ monitory. They become independent citizens of their countries and they are responsible for their deeds and the teachers also are not under obligation to school graduates. So, that’s why the word pedagogy is opposite connected with children.

ტერმინების სტრუქტურა და მათი სწავლების მეთოდიკა

ზურაბ ჩხიკვაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

E-mail: zura_gsu@yahoo.com

ტერმინებს შორის, ნებისმიერი ლექსიკურ ერთეულებთან მსგავსად, გამოიყოფა ძირეული და ნაწარმოები სიტყვები. სამეცნიერო ტექსტის ანალიზისას წინა პლანზე გამოდის ნაწარმოები ტერმინები. მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ-ახალი დარგების სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით სამეცნიერო თხრობის სტილში სიტყვათწარმოების პროცესი განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს. სამეცნიერო-ტექნიკურ ენაში ახალი სიტყვების 88% იწარმოება აფიქსალური ხერხითა (პრეფიქსებასა ან სუფიქსების საშუალებით) და თხზვის და სიტყვათაშეკრების გზით. გარდა ამისა, აქტიურად გამოიყენება კონვერსია (სიტყვის გადასვლა მეტყველების სხვა ნაწილში ფორმის უცვლელად) და აბრევიატურა (სიტყვების შემოკლება). მათი სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლათინური ენიდან შემორჩენილ აბრევიატურებს, მაგ.: cf – compare, i.e. – that is, etc. – and so on.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძირეული და მათგან ნაწარმოები ტერმინების სწავლება მთელი “ბუდეებით”, (იმ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თუ სათანადო დერივაციული მოდელი ცნობილია სტუდენტებისთვის). ახალი აფიქსალური მოდელის შეთავაზებისას კი ტერმინების დაჯგუფება შეიძლება მოხდეს აფიქსის (და არა ძირის) საფუძველზე.

შემავალი სიტყვების რაოდენობის მიხედვით ტერმინები იყოფა ერთსიტყვიან და ფრაზულ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებად. ფრაზულ ტერმინებს ო.კ.ბანკოვა (1988 წ) ყოფს თავისუფალ შესიტყვებებად, რომელთა მნიშვნელობაც მასში შემავალ ელემენტთა მნიშვნელობების ჯამს წარმოადგენს (მაგ., secondary winding – მეორადი დახვევა), და ფრაზეოლოგიური ხასიათის მყარ ტერმინოლოგიურ კომპლექსებად, კომპონენტების მნიშვნელობის ნაწილობრივი (მაგ., pancake coil – ბრტყელი კოჭა) ან სრული შეცვლით (monkey chatter – სხვა რადიოსადგურებით გამოწვეული “შუილი”). მსგავსი კომპლექსები ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის გადაკვეთაზე არიან. ხატოვანი (უფრო ხშირად მეტაფორაზე დაყრდნობილი) ტერმინების განსხვავება სხვა ტიპის ტერმინებისაგან განაპირობებს მათ სპეციალურ გამოკვლევას ფუნქციურ-სემანტიკურ ასპექტში.

ტერმინოსისტემებში ჩვეულებრივი, ერთსიტყვიანი ტერმინების გვერდით ფრაზული ტერმინოლოგიური წარმონაქმნების არსებობა განპირობებულია სამეცნიერო-ტექნიკური ცნებების ონტოლოგიური ბუნების სირთულით. ცნებითი ნიშან-თვისებები ერთობლიობა, სისტემური კავშირები,

რთული ტექნიკური ობიექტებისა და მოვლენების ბუნება ხშირად ვერ აისახება მარტივ, ერთსიტყვიან ტერმინში.

ინგლისურ ენაში ორსიტყვიანი ტერმინოლოგიური შესიტყვებები იქმნება ძირითადად ატრიბუტული სინტაგმის მოდელით, რადგან ეს მოდელი ყველაზე მოხერხებული და ეკონომიურია გვარობრივ-სახეობითი ურთიერთობების გამოსახატავად.

(ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით), ნ.ს. შარაფუტდინოვა (1999) გამოყოფს ასეთი შესიტყვებების შემდეგ ძირითად ტიპებს:

- 1) ნაწილი – მთელი: საათის ისარი;
- 2) მასალა – საგანი: ლითონის დეტალი;
- 3) ფორმა – საგანი: თ-ს მსგავსი საგანი;
- 4) ფუნქცია: ნავთობგადამამუშავებელი სადგური;
- 5) ლოკალური: სტრატოსფერული თვითმფრინავი;
- 6) კვალიტატური (თვისობრივი): თხელი ფრთა;
- 7) კვანტიტატური (რაოდენობრივი): სამდიუმისანი მილი;
- 8) ტემპორალური (დროითი): ღამის ბომბდამშენი;
- 9) პროპრიეტული (კუთვნილებითი: გამომგონებლის ან ფირმის სახელი): იაკ-18; ტუ-154;

ინგლისური ენისთვის დამახასიათებელია ისეთი რთული სახელადი შესიტყვებები, რომელთა კომპონენტებიც საზოგადო ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელებია. ასეთი მოდელი არ არის დამახასიათებელი მრავალი სხვა ენისთვის (მათ შორის, ქართული ენისთვის), რის გამოც სირთულეები იქმნება სტრუქტურულად ამ ტიპის ტერმინების გაგება-თარგმნისას. მათ გასაშიფრად სტუდენტებს უნდა გავაცნოთ შესაძლო პარაფრაზი:

- a travel book → a book about travel,
- a telephone book → a book with telephone numbers,
- a copper wire → a wire made of copper,
- a piano wire → a wire used in pianos.

ლ. ტრიმბლი (1992) გვთავაზობს, სტუდენტებს ვასწავლოთ, ზოგადი ენის ნომინაციური მწკრივების გაშიფრვის შემდეგი წესები:

1. გაშიფრვისას არსებითი სახელების უკუ-მიმდევრობა: a magazine advertisement → an advertisement in a magazine;
2. არსებითი სახელი მხოლოდითი ფორმიდან გადადის მრავლობითში: a bookshelf → a shelf for books;
3. გერუნდივი + არსებითი სახელი ხშირად საგნის დანიშნულებას აღნიშნავს: a road-building program → a program for building roads;
4. გაშიფრვისას ხშირად განმარტებითი ქვეწყობილი წინადადება გამოიყენება: a shoe store → a store in which shoes are sold.
5. ზოგჯერ მარტივი უკუფორმირება რთული ან შეუძლებელია: a department store → a store containing different departments for selling different types of merchandise.

მისივე მითითებით, ინგლისური ტექნიკური ენისთვის დამახასიათებელი ატრიბუტული შესიტყვებების გაშიფრვისას ხშირად მიმართავენ

1. წინდებულებს “ of, for, in, on, with;”
2. წინდებულიან ფრაზებსა და ფრაზების ჯაჭვს: a differential time domain equation → the time domain of a differential equation; momentum transfer experiments → experiments on the transfer of momentum;
3. განმარტებით ქვეწყობილ წინადადებებს: automatic controller action → action of controller which is automatic.

ზოგჯერ თითქოსდა ერთი და იგივე მოდელი განსხვავებულ გაშიფრვას მოითხოვს:

- a metal shaft = a shaft made of metal
- a metal string = a string made of metal, but
- a metal cutter = an instrument for cutting metal.

რაც უფრო რთულია შესიტყვების სტრუქტურა, მით მეტი შანსია მისი არასწორი აღქმის. მაგალითად, long term surveillance test planning – refers to plans for educational tests which are subject to surveillance over a long period of time. ამიტომ ლ. ტრიმბლი (1992) სამართლიანად გვირჩევს, მინიმალურად მოვთხოვოთ სტუდენტებს მრავალი კომპონენტებიანი შესიტყვების გაშიფრვა, რომლისთვისაც მათ არა მარტო უცხოური ენის, არამედ შესაბამისი საგნის მასწავლებლის დახმარებაც შეიძლება დასჭირდეთ. უფრო სასარგებლოა ორი და სამსიტყვიერი ტერმინების გაშიფრვაზე მუშაობა.

მეთოდურად მიზანშეწონილია, ყველა ტერმინოლოგიურ შესიტყვებას მოვეპყროთ როგორც ფრაზეოლოგიურ ერთეულს, რადგანაც ისინი პასუხობენ ყველა შესაბამის მოთხოვნას: სინტაქსურ, მორფოლოგიურ და სემანტიკურ მთლიანობას, მზა ფორმით გამეორებად გამოყენებასა და შეზღუდული შესიტყვების უნარს.

იმ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს, რომელთაც მათში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობის შეცვლა ახასიათებს, ლინგვისტები არაერთგვაროვნად აფასებენ. ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი შესიტყვებები ეფუძნება ხატოვნებას (მეტაფორას), რაც სპეციალურ ენისათვის არ არის დამახასიათებელი. მაგრამ ამ შემთხვევაში მეტაფორის ფუნქცია განსხვავდება მისივე ფუნქციისაგან ენაში. მისი დანიშნულება ევრისტულია და ახალი მოვლენისთვის ახალი სახელის შექმნაში მდგომარეობს.

ფრაზულ ტერმინებში ხშირად ხდება ატრიბუტული (მსაზღვრელი) კომპონენტის მნიშვნელობის მეტაფორიზაცია. ძირითადად, ეს ხდება მაშინ, როდესაც სიტყვის პირველადი მნიშვნელობის ცნებითი შინაარსი რამდენიმე მინიმალური აზრობრივი ელემენტისაგან ანუ სემისაგან შედგება. მეტაფორიზაცია ეფუძნება ექსტრალინგვისტური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა შორის ასოციაციურ კავშირებს. მაგალითად: ფრაზულ ტერმინში pancake coil (“ბრტყელი კოჭა”) ხდება სიტყვის pancake (“ბლინი”) მნიშვნელობის მეტაფორული გადააზრება, რის შედეგადაც მის სემანტიკაში ნეიტრალდება კერძის აღმნიშვნელი არქისემა (მთავარი სემა), სამაგიეროდ წინა პლანზე გადმოდის ამ სიტყვის სემანტიკის მეორადი სემები, რომლებიც ბლინის მრგვალ და ბრტყელ ფორმაზე მიუთითებენ. მეტაფორიზებული ატრიბუტული კომპონენტის ჩართვა ტერმინში გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ ტერმინი მაქსიმალურად ადეკვატურად უნდა ასახავდეს ტექნიკური საგნის არსს. აქედან გამომდინარე, ხშირად რეფერენტული საგნის თავისებურებები მოითხოვს დამატებითი ისეთი მსაზღვრელი ლექსიკური ერთეულის გამოყენებას, რომლის პირველადი მნიშვნელობაც ასოციაციურ კავშირებზე დაფუძნებული აღქმის შედეგად იცვლება, რასაც თან სდევს მის იერარქიულ სემურ შედგენილობაში მაორგანიზებული არქისემის ჩანაცვლება მნიშვნელობით მეორე დონის სემით, რომლებიც, ტერმინის მნიშვნელობის დენოტაციური ასპექტის შემადგენელ აზრობრივ ელემენტებად გვევლინებიან.

ენობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ინგლისურენოვანი მეტაფორიზებული ფრაზული ტერმინოლოგიის შექმნაში, უმეტეს წილად, მონაწილეობენ არსებითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ საყოფაცხოვრებო ნივთებს (pan in pan coating შეზეთვა), ტანსაცმელს (sleeve - სახელო), მცენარეებს ((nut - ქანჩი); ზოონიმები ((squirrel away - მომარაგება, რადგან ციყვებისთვის დამახასიათებელია ზამთრის მარაგის გაკეთება); სომატიზმები (ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი სახელები: knee - მუხლა, head - თავაკი, shoulder - მკლავი). ეს ინგლისური ლექსიკის ყველაზე სტაბილური ფენაა.

მნიშვნელობის შეცვლას ანუ მეტაფორიზაციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ განიცდის მსაზღვრელი ელემენტი, რომელიც საზღვრულით ე.ი. ტერმინით აღნიშნული ცნების სახეობაზე მიუთითებს; ხოლო თავად ტერმინი კი გვარობრივ ტექნიკურ ცნებას აღნიშნავს, რის გამოც იგი ყოველთვის პირველადი მნიშვნელობით გამოიყენება.

მნიშვნელობის ახლებურად გააზრება ძირითადად ხდება ყველაზე დამახასიათებელი პარამეტრების გამოყოფის საფუძველზე: ფორმისა და გარეგნობის ((pencil beam - წაწვეტებული სხივი), ფუნქციონირების თავისებურების ((donkey engine- პატარა სტაციონარული ძრავა) მხრივ საზღვრული სიტყვა ანუ ატრიბუტული სინტაგმის აზრობრივი ბირთვი, შეიძლება იყოს ზოგადმეცნიერული ან ვიწროდარგობრივი ტერმინი.

კონცეპტუალური მოდელები – ეს ფორმალიზებული ფუნქციურ-სემანტიკური ველები ანუ ლექსიკურ-გრამატიკული ქსელებია (ვ. გუმბოლდტი, ლ. ვ. შჩერბა). სხვადასხვა ენების ტერმინოლოგიების შედარება-შესწავლისათვის მოდელირებას დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში იმიტომ, რომ კონკრეტული ტერმინოლოგიური ერთეულებიდან მათ მოდელებზე გადასვლა აბსტრაქტიზების უფრო მაღალ დონეზე ასვლის საშუალებას გვაძლევს. ამავდროულად შესაძლებელი ხდება, სხვადასხვა ენის ტერმინოლოგიური ლექსიკური ერთეულების შეპირისპირების გზით დადგენილი იქნას მათი სტრუქტურული ტიპების უნივერსალური (საერთო) და უნიკალური (განსხვავებული) მოდელები.

ლიტერატურა:

1. ნ. დოლონაძე. უცხოური ენების სასწავლო-მეთოდური კომპლექსის შედგენისა და გამოყენების პრობლემა მოზრდილთა სწავლებაში (ინგლისური ენის მასალაზე) თბილისი, 1998 წ.
2. ნ. კიკნაძე. ქართულ ტექნიკურ ტერმინთა ლინგვისტური პარამეტრები. – „უცხო ენები სკოლაში“, 1980, # I გვ. 3-8
3. ნ. გუნია, ნ. დოლონაძე. მ. ზორანიანი, დ. ცხაკაია, ნაწარმოები სიტყვა სამეცნიერო თხრობის სტილში

4. Шарафутдинова Н.С. Формирование отраслевой терминологии на базе логико-семантической категории сустанциональности. Автореферат дисс. на соискание уч.ст. канд.фил.н. Ульяновск. 1999. 20 с.
5. Банкова О.К. Образность как основа формирования терминологических значений во фразеологии. – в сб. Фразеологическая номинация в статике и динамике. Научные труды МГПИИЯ им. М.Тореза. М. 1988. Вып. 311, с. 76-84.
6. Trimble L. English for science and technology. A discourse approach. Cambridge University Press. 1992. 180 p.p.
7. Devel M. Business terminology of the European Union: Glossary as a tool to prevent interference in translation. – ESP/BESIG Russia, June 2001, #14. p.p. 25-26.
8. Success in Business. Upper-Intermediate Business English. M. Rogava, M. Tevzaia, N. Bestaeva. Tbilisi. Diogene Publishers. Tbilisi. 2002.

THE STRUCTURE OF TERMS AND THEIR TEACHING METHODOLOGY

Zurab Chkhikvadze, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

Any language represents a certain number of terms within it which are divided into basic and derived words according their structure. In the article “The Structure of Terms and Their Teaching Methodology” a great deal of attention is directed to derived terms, derivation methods such as : affixation, composition, blending, conversion, abbreviation and so on.

As for the terms complex nominative equivalents, the components of which are nouns in general case, are characteristic for the English language. This model is not common for many other languages (even for Georgian). That’s why there are structural difficulties to understand and translate this type of terms. They need a variety of possible paraphrases to decode them.

საინფორმაციო ტექნოლოგიები განათლებაში

Information Technologies in Education

ინოვაციური ტექნოლოგიები განათლებაში

თინათინ მშვიდლობაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: tinikomshvidobadze@gmail.com

თანამედროვე განათლების ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია ელექტრონული სწავლების ეფექტური მართვა. “ელექტრონული სწავლების” ცნება (electronic learning, e-learning) გაჩნდა XX საუკუნის 90-იან წლებში, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. სწორედ დისტანციური სწავლების მოთხოვნამ განაპირობა ელექტრონული სწავლების ინტენსიური განვითარება.

ტერმინი „ელექტრონული სწავლება“ (E-learning) მოიცავს ფორმალურ და არაფორმალურ სწავლებას, სასწავლო მეცადინეობებს და ღონისძიებებს, რომლებიც წარმართება ინფორმაციის მართვის სისტემებისა და ელექტრონული საშუალებების (ინტერნეტი, ინტრანეტი, ექსტრანეტი, CD-ROM, ვიდეოჩანაწერები, ტელევიზია და ა.შ.) გამოყენებით. ელექტრონული სწავლება ფარავს ისეთი პროცესების ფართო სპექტრს, როგორებიცაა ქსელური, ვირტუალური აუდიტორიები, ციფრული

ერთობლივი სამუშაოები. ელექტრონული სწავლება უზრუნველყოფს კონტენტის მიწოდებას ელექტრომატარებლების საშუალებით და იყენებს მხოლოდ დისტანციურ ტექნოლოგიებს.

ტერმინი "დისტანციური სწავლება" კი უფრო მრავლისმომცველია და უკეთესად ასახავს საინფორმაციო-საკომუნიკაციო დისტანციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მეთოდოლოგიისთვის დამახასიათებელი ფაქტორების მთელ კომპლექსს. იგი არის "პროცესი, რომელიც ქმნის და ხელმისაწვდომს ხდის სწავლას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებული არიან."

ელექტრონული სწავლების პირველი ეტაპი გაიგივებული იყო დისტანციური სწავლების ტექნიკურად "გაუმჯობესებულ" ფორმასთან და ელექტრონული სწავლება განიხილებოდა, როგორც დისტანციური სწავლების ტექნოლოგიური მხარდაჭერა (მულტიმედიური სწავლების საშუალებები).

ელექტრონული სწავლების შემდეგი ეტაპი განპირობებული იყო კორპორატიული სწავლების მხარედი მოთხოვნით, რომელიც დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან, კერძოდ, კომპანიებისა და კორპორაციების თანამშრომელთა სწავლებასთან უშუალოდ სამუშაო ადგილებზე. ამ ეტაპზე იქმნებოდა არა მხოლოდ ახალი მრავალრიცხოვანი სასწავლო მასალები და ელექტრონული საგანმანათლებლო კურსები, არამედ მუშავდებოდა სხვადასხვაგვარი ელექტრონული სწავლების მართვის მოდელები.

ელექტრონული სწავლების განვითარების მესამე ეტაპი დაკავშირებულია პროგრამული სისტემების შემუშავებასა და ელექტრონული სწავლების ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტასთან. ამგვარ სისტემებს მიეკუთვნება: სასწავლო-მეთოდური მასალების მართვის სისტემები, ტესტირების სისტემები, სასწავლო მასალების მიწოდების სისტემები, სწავლების შედეგების ანალიზის სისტემები, ცოდნის მართვის სისტემები, სწავლების მართვის სისტემები (learning management systems) და ა.შ. (Т. Черноморова, 2009).

დიდია ელექტრონული სწავლების საერთაშორისო საკანონმდებლო მხარდაჭერა.

ევროსაბჭომ 2000 წელს ლისაბონის შეხვედრაზე მიიღო *„ელექტრონული სწავლების განვითარების სტრატეგია 2000–2010 წლებისთვის“*. ლისაბონის სტრატეგია ელექტრონულ სწავლებას აღიარებს როგორც ინსტრუმენტს ცოდნაზე დაფუძნებული დინამიური, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მშენებლობისა და სიცოცხლის ბოლომდე სწავლების სივრცის შექმნისათვის. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულების რეალიზაციის მიზნით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლებაში გამოყენების მიზნით 2006 წელს მიღებულ იქნა *„სიცოცხლის ბოლომდე სწავლების პროგრამა 2007–2013 წლებისთვის“* (lifelong learning programme), რომელიც მოიცავს განათლების სფეროში მოქმედ ყველა პროგრამას და, პირველ რიგში, ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებულ პროგრამებს [2].

2001 წლის 13 ივლისს ევროსაბჭომ გამოაქვეყნა *„რეზოლუცია ელექტრონული სწავლების შესახებ“*, რომელიც მოუწოდებს საბჭოს წევრ-ქვეყნებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციის გაძლიერებისკენ განათლების სისტემაში. რეზოლუცია ასახავს ინოვაციური საგანმანათლებლო პროექტების, ახალი ტექნოლოგიების პედაგოგიური ასპექტების, ევროპული საგანმანათლებლო მულტიმედიური სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეების, კულტურული და სამეცნიერო ცენტრების, როგორც სწავლების ახალი საშუალებების სტრატეგიული კვლევების ჩატარების აუცილებლობას.

ამ მხრივ საგულისხმოა საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითები. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში განათლების რეფორმა ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების დანერგვის მიმართებით აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. ამ ამოცანის მნიშვნელობა, ყველაზე ადრე აშშ-ში იქნა აღიარებული. აქ ელექტრონული სწავლება ოფიციალური სტანდარტების დაცვის პირობით დღემდე სახელმწიფოს დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. მხოლოდ სტუდენტების სტიპენდიაზე სახელმწიფო ყოველწლიურად 5 მილიარდ დოლარს ხარჯავს.

მდიდარი გამოცდილების დაგროვების შემდეგ, აშშ-ში მიღებულია განათლების სისტემის განვითარების ახალი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სწავლების გადატანას საკლასო ოთახებიდან და ბიბლიოთეკებიდან ინტერნეტით სწავლებაზე ელექტრონული ბიბლიოთეკების გამოყენებით.

საფრანგეთში, ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ეროვნული პროექტები: „ნოუთბუქი ყველა სტუდენტისთვის“, „ელექტრონული კონტენტის შექმნა“, „თანმზღები ინტერნეტი“.

ზოგიერთი მონაცემით, საფრანგეთი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებით პირველ ადგილს იკავებს ევროპაში. ეს შედეგი მნიშვნელოვანწილად გამოიწვია ელექტრონული სწავლების განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობამ. 2008 წლის 25 მაის საფრანგეთის განათლების სამინისტრო გამოვიდა მოხსენებით – „უნივერსიტეტები უნდა გადავიდნენ ელექტრონულ ერაში“. სახელმწიფომ გამოყო დაფინანსება ელექტრონული სწავლების პროგრამისთვის „კურსების 100% ციფრული ფორმით 100%

მოსწავლეთათვის“. პროგრამა ითვალისწინებდა ლექციების ტრადიციული კურსების გადაყვანას ელექტრონულ რეჟიმში.

დიდ ბრიტანეთს მსოფლიოში მე-8 ადგილი უჭირავს საინფორმაციო საზოგადოების მომზადების მიხედვით. ევროპაში ის პირველ ადგილზეა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მასწავლებელთა ხელმისაწვდომობის მიხედვით. ასეთი მასწავლებლები შეადგენენ მასწავლებელთა მთელი კონტიგენტის 60%-ს. შემდეგი გადადგმული ნაბიჯი იყო ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა „ელექტრონული პედაგოგიის“ (e-pedagogy) განვითარებას 2008–2014 წლებში.

უმაღლეს განათლებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ელექტრონული სწავლების დანერგვის საუკეთესო მაგალითად ექსპერტები წარმოგვიდგინენ ავტორიტეტულ, ტრადიციულ **ბარსელონის უნივერსიტეტს**. უნივერსიტეტის სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს განსაზღვრავს სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების დაგეგმვა და გამოყენება. სტრატეგიის მთავარი მიზნებია: სწავლების ახალი მეთოდების გამოყენება, სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის დამოკიდებულებების ხელშეწყობა, ცოდნის გავრცელების და კონტენტის გამოყენების სტიმულირება, აგრეთვე, სტუდენტთა სწავლების პროცესის შეფასების სისტემის დახვეწა [3].

ბარსელონის უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის ორწლიანი პროექტის – **„ელექტრონული სწავლების განვითარების სამოქმედო გეგმა“** განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა **დახმარების სამსახური** ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებში ელექტრონული სწავლების დანერგვის და ათვისების ხელშეწყობის, პროცესში წამოჭრილი სირთულეების გადალახვისთვის დახმარების გაწევის მიზნით.

ელექტრონული სწავლების მეთოდის სფეროში აკადემიური პერსონალის მომზადების საერთო გეგმის კონტექსტში 2004 წელს ბარსელონის უნივერსიტეტთან არსებულმა **სამეცნიერო განათლების ინსტიტუტმა** (პასუხისმგებელი პროფესიულ განვითარებაზე) შემოიღო სასწავლო კურსები ისეთ თემებზე, როგორებიცაა ინდივიდუალური ქსელური (on-line) კონსულტაციები, ელექტრონული დოსიეების შექმნა და განახლება, ტესტირება ქსელური ინსტრუმენტების დახმარებით. მოგვიანებით, მიღებულ იქნა სპეციალური გეგმა მასწავლებელთა მომზადების შესახებ, რომელშიც შეტანილ იქნა ცნობები ელექტრონული სწავლების შესაძლებლობის შესახებ ბოლონის პროცესთან დაკავშირებული ტესტირების ევროპულ სისტემაზე მუშაობის დროს.

2011 წელს **საქართველოს** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო კანონი, საქართველოში ელექტრონული სწავლების შესახებ.

დღეისათვის საქართველოს რამოდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს დისტანციური სწავლების კურსები. მაგალითად, საწყის ეტაპზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების რესურსების გამოყენება შესაძლებელია კომბინირებულად ტრადიციული ფორმით ორგანიზებულ სწავლებასთან ერთად. ელექტრონული სწავლების სამსახური პედაგოგებს ეხმარება ელექტრონული კურსების მომზადებასა და მის განთავსებაში ელექტრონულ პორტალზე. ამის განხორციელების საშუალებას იძლევა MOODLE (კურსების მართვის სისტემა) და მასში ჩანერგილი სხვადასხვა რესურსები: ტესტი, გაკვეთილი, დავალება, ფორუმი, გამოკითხვა, ლექსიკონი, რვეული, Flash, Video, Audio სხვა მასალები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრში ფუნქციონირებს “CISCO”-ს რეგიონული აკადემია, სადაც დანერგილია ელექტრონული და დისტანციური სწავლების სისტემა MOODLE. საქართველოს განათლების სისტემაში პირველად, სწორედ ამ ცენტრში განხორციელდა აბიტურიენტების მიღება რეალური დროის (online) რეჟიმში ელექტრონული ტესტირების საშუალებით. www.moodle.ge სერვერზე თავმოყრილი სასწავლო და სატესტო მასალები ხელმისაწვდომია ყველა სასწავლებლის სტუდენტებისათვის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში უნდა მოხდეს ელექტრონული სწავლების ფართოდ დანერგვა და შესაძლებლობების გაძლიერება. ახალი ინტერაქტიული ტექნოლოგიების საშუალებით სტუდენტებს შეეძლება უფრო აქტიური მონაწილეობის მიღება სასწავლო პროცესში, ასევე შეექმნება შესაძლებლობა მიიღონ გაცილებით მეტი ინფორმაცია და აიმაღლონ ცოდნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, დისტანციური ქსელური სწავლებისათვის ადაპტიური და ინტელექტუალური სისტემების გამოყენება. ადაპტიური ჰიპერმედის სისტემები იყენებს მომხმარებლის მოდელების სხვადასხვა სახეებს, მისთვის შინაარსისა და ჰიპერმედია გვერდების ბმულების შეწყობისათვის. განასხვავებენ ორ მთავარ ტექნოლოგიას ადაპტიურ ჰიპერმედიაში: ადაპტიურ წარმოდგენას და ადაპტიურ უზრუნველყოფას ნავიგაციაში [4].

✓ ადაპტიური წარმოდგენის ტექნოლოგიის მიზანია - ჰიპერმედია გვერდის შეწყობა

მომხმარებლის მიზნებთან, ცოდნასთან, ასევე მომხმარებლის მოდელში შენახულ სხვა ინფორმაციასთან. ადაპტიური წარმოდგენის სისტემაში გვერდები არა სტატიკური არამედ, ადაპტიურად გენერირებადი. ადაპტიური წარმოდგენა დასრულებული სახით რეალიზებულია მხოლოდ ორ: PT და AHA ქსელურ სისტემებში.

✓ ნავიგაციაში ადაპტიური უზრუნველყოფის ტექნოლოგიის მიზანია სტუდენტისათვის ხელის შეწყობა ჰიპერსივრცეში ორიენტაციასა და ნავიგაციაში ხილვადი ბმულების გამოვლენის ცვლილების მეშვეობით. ადაპტიური უზრუნველყოფა ნავიგაციაში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ჰიპერმედის ათვის სწავლების კურსის თანმიმდევრობის ტექნოლოგიის განზოგადოება. მათ ერთი მიზანი აკავშირებს - დაეხმარონ სტუდენტს სასწავლო მასალაში „ოპტიმალური გზის“ ძიებაში. ამავდროულად, მას შეუძლია მომხმარებელს ამკარად და ფარულად გაუძღვეს WWW-ში, სადაც ჰიპერმედია მოწყობილობის ძირითად ნიმუშს წარმოადგენს. ამ ტექნოლოგიის საუკეთესო მაგალითებია Inter Book და ELM-ART.

ამგვარად, ელექტრონული სწავლების განვითარების პროცესში შეიმჩნევა საერთო ტენდენცია – სასწავლო მასალების ყოველდღიური განახლება ინტერნეტის და e-learning-ის სტანდარტების საშუალებით. ევროპაში რეალიზებული სტრატეგიის – „ელექტრონული ბოლონიის“ ფარგლებში – შექმნილია ვირტუალური საგანმანათლებლო სივრცე ევროპელი და სხვა ქვეყნის სტუდენტების სწავლების უზრუნველყოფის მიზნით.

ლიტერატურა:

1. Т. Черноморова, Интернет-технологии и высшее образование (переход от традиционного обучения к виртуальному), 2009 г.
2. <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:GvuqMdcvdU8J:www.regnum.ru/news/1346506.html+%D1%8D%D0%BB%D0%B5%D0%BA%D1%82%D1%80%D0%BE%D0%BD%D0%BE%D0%B5+%D0%BE%D0%B1%D1%83%D1%87%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5+%2B%D0%B7%D0%B0%D0%BA%D0%BE%D0%BD&cd=1&hl=en&ct=clnk&source=www.google.com>
3. <http://www.e-learning.by/Article/problemEduRus/ELearning.html>
4. <http://ifets.ieee.org> Веб-технология педагогического взаимодействия.

TECHNOLOGY INNOVATIONS IN EDUCATION

Tinatin Mshvidobadze, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

The article discusses intensive development of electronic learning. The conception of electronic learning was created in the 90s of XX century, together with the development of informational and communicative technologies. The great demand of remote learning conducted the intensive development of electronic learning. The first level of electronic learning was identified with technically “improved” form of remote learning and electronic learning was considered as a technological support of remote learning (multimedia learning).

The next level of electronic learning was conducted by increasing demand on corporative learning, which was connected with important financial expenses, which meant teaching the staff of companies and corporations directly at the working place. Not only numerous learning materials and electronic educational courses were created on this level, but were also worked up various electronic learning management models.

The third level of electronic learning is connected with elaboration of programs systems and with complex decision of tasks of electronic learning. These systems are: learning-methodical management systems, testing systems, learning management systems and ant.

It is given electronic learning international legislative supporting and are shown the examples of the foreign countries.

The networked teaching is the reinforced object of researches and analysis. Such interest is provoked by the characters of networked teaching that are greatly different from the traditional methods and are in compliance with the modern demands. By the modern demands, we mean the basic demands that are development. Besides the technical and technological teaching differences, there is the very big difference between the organizational and methodic processes. For example, the auditoria’s independence and plat formal independence, which means that the networked teaching program, what is at one place, can be used by thousands of students all over the world, of course if they have an access of the internet. The main aim of report is to develop the advanced networked instructive enclosures that will be offer us intellectuality.

გაკვეთილის ორგანიზება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით

თამარ მაკასარაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: tmakasarashvili@gmail.com

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი სახელმწიფოს და საზოგადოების ნებისმიერ სფეროში. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში მისი აქტიური ინტეგრირება ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული. ამ ამოცანის წარმატებულად გადაჭრას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სტრატეგიული მიმართულებების თვალსაზრისით, როგორცაა დემოკრატიული თავისუფალი და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებების დაცვა, სიღარიბესთან და კორუფციასთან, ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლა.

სახელმწიფოსათვის და საზოგადოებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს რომ საგანმანათლებლო სისტემამ არა მხოლოდ ტექნიკური უნარ-ჩვევები შესძინოს მოსწავლეს, არამედ შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად (www.tpdc.ge). გარდა იმისა, რომ ისტ-ის გამოყენება ხელს უწყობს და უფრო ეფექტიანს ხდის სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში მისაღწევი შედეგებისაკენ სვლას, იგი ხელს უწყობს თვით ისტ-თან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებასაც. ეს კი მნიშვნელოვანია თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებელი ციფრული წიგნიერების განსავითარებლად. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ციფრული წიგნიერება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნიერება, ტრადიციული გაგებით.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს სწავლისას მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას. გარდა იმისა, რომ ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და დინამიური სასწავლო მასალის შექმნა და გამოყენება, სასწავლო შინაარსი შესაძლებელია გავხადოთ ინტერაქტიული. ამის შედეგად მოსწავლე არის არა ინფორმაციის პასიური მიმღები, არამედ მას შეუძლია თვითონ მოახდინოს სასწავლო მასალის შინაარსის მოდიფიცირება და შექმნაც კი, რა თქმა უნდა, სასწავლო გეგმის მიხედვით. ეს ყოველივე კი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესისადმი თანამედროვე კონსტრუქტივისტურ მიდგომასთან, რომელიც ითვალისწინებს ცოდნის მიგნებასა და გამოყენებას თვით მოსწავლის მიერ (პ. პაპავა და სხვ., 2009).

როგორც ვხედავთ, სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება თანამედროვე სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიზნის მიღწევა მრავალი ბარიერის გადალახვას მოითხოვს. საქართველოს სასკოლო სისტემაში ძირითად ბარიერებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი:

- ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესში;
- მასწავლებლები არ ფლობენ ისტ-ის სასწავლო პროცესში გამოყენების სტრატეგიებს;
- მწირია ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომი ქართულენოვანი სასწავლო რესურსები.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის მიზანია, მოსწავლეებს მისცეს ცოდნა, განუვითაროს უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. თანამედროვე მიდგომების მიხედვით, სასწავლო პროცესის წარმართვა შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებებით შეიძლება დავახასიათოთ:

- მოსწავლეზე ორიენტირება. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება არის მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და სწავლის სტილზე. ის განსხვავდება მასწავლებელზე ფოკუსირებული მიდგომისაგან, სადაც მასწავლებელს პროცესის აქტიური წარმართველის, ხოლო მოსწავლეს პასიური მიმღების როლი აქვს. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დროს მოსწავლე აქტიურია სწავლის პროცესში, მასწავლებელი კი გეზის, მიმართულების მიმცემი ხდება;
- სწავლის მოტივაციის გაღვივება და მუდმივი სტიმულირება, მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით;

- ცოდნის გარდა, უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებზე ორიენტირება. სასწავლო ერთეულები ორიენტირებულია არა მხოლოდ ინფორმაციული ცოდნის დაგროვებაზე, არამედ პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე;
- მრავალფეროვანი სასწავლო საშუალებებისა და რესურსების გამოყენება. პედაგოგი იყენებს არა მხოლოდ დაფასა და ნაბეჭდ რესურსებს, არამედ ელექტრონულ რესურსებს, მათ შორის ისტ-ს;
- თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება. სასწავლო პროცესი გამდიდრებულია იმგვარი აქტივობებით, რომლებიც მოითხოვს ურთიერთობასა და ერთობლივ მუშაობას წყვილებსა და მცირე ჯგუფებში. სასწავლო პროცესი მოიცავს ინფორმაციის მუდმივ გაცვლა-გამოცვლას მასწავლებელსა და მოსწავლეს, ასევე თვით მოსწავლეებს შორის;
- აქტიური სწავლა-სწავლება. სწავლის პროცესში მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, იყენებენ ინფორმაციის ელექტრონულ და სხვა სახის წყაროებს, დამოუკიდებლად გამოაქვთ დასკვნები; მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს, რათა მათ თავად დაგეგმონ საქმიანობა, რომლის განხორციელების შედეგადაც შექმნიან გარკვეულ ნაშრომს;
- კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება. ყალიბდება მრავალი აზრი, ხდება მათი განხილვა, დასაბუთება და შეჯერების გზით გადაწყვეტილების მიღება;
- ავთენტური სწავლა. თემატიკა, მასალა, სასწავლო პროცესი და გარემო დაკავშირებულია მოსწავლეების ცხოვრებასთან, მათ უშუალო გარემოცვაში მიმდინარე მოვლენებთან, რეალურ საჭიროებებთან. ამოცანები იმ პრობლემის ანალოგიურია, რომელსაც ზრდასრულები, პროფესიონალები აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში და კვლევის სფეროში (პ. პაპავა და სხვ., 2009).

კომპიუტერიზაცია და ინტერნეტ-სივრცეში ჩართვა დიდ დახმარებას უწევს სკოლას ძირითადი საგანმანათლებლო ამოცანების რეალიზების გზაზე. ისტ-ის გამოყენება ეფექტურად არის შესაძლებელი ისეთ საქმიანობებში, როგორცაა: გაკვეთილებისა და თემატური ერთეულების წარმართვა, ისტ-ის გამოყენება გაკვეთლის დაგეგმვის, მომზადების, ჩატარებისა და შეფასების ფაზებში; ინდივიდუალური ან ჯგუფური სამუშაოების წარმართვა სხვადასხვა ტექნიკური საშუალებისა და პროგრამის გამოყენებით; თანამშრომლობითი სასწავლო პროექტების წარმართვა, კვლევის ფაზაში სხვადასხვა წყაროს, მათ შორის ელექტრონული რესურსების მოძიება, გაანალიზება, შექმნა და წარდგენა კლასის, სკოლის ან გლობალური საზოგადოების წინაშე, დაგეგმვა, განხორციელება და შედეგების გამოქვეყნება ელექტრონული ფორმატით; საქმიანობის დინამიკისა და მიღწევების შეფასება, თვითშეფასება როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების მიერ, რუბრიკების შედგენა-შეფასება, ელექტრონული პორტფოლიოების წარმოება, დიაგრამების აგება და სხვ. (<http://www.science.org>).

ამრიგად, საინფორმაციო ტექნოლოგიები არა მხოლოდ შესწავლის საგანია, არამედ გამოყენებულია, როგორც ინსტრუმენტი პედაგოგიური ამოცანების შესასრულებლად. თუმცა თვით ამ ინსტრუმენტის შესწავლასაც გარკვეული ძალისხმევა, დრო და პრაქტიკა სჭირდება.

გაკვეთილი სწავლა-სწავლებისათვის განკუთვნილი დროის სტრუქტურირებული პერიოდია. გაკვეთილის სხვადასხვა ფორმატი არსებობს, კერძოდ: ერთი მასწავლებელი და ბევრი მოსწავლე; კერძო მეცადინეობა: ერთი მასწავლებელი და ერთი მოსწავლე; მეცადინეობა მასწავლებლის გარეშე, სახელმძღვანელოებისა და მულტიმედიის გამოყენებით; ვიდეო-კონფერენცია, რომელიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა სივრცეში, ოთახში განთავსებულ მოსწავლეებსა და მასწავლებელს, ერთობლივად წარმართონ სასწავლო პროცესი (პ. პაპავა და სხვ., 2009).

ქართული სკოლისთვის ტიპურია პირველი ფორმატი, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ისტ-ის გამოყენება კლასში, სადაც განთავსებულია ერთი კომპიუტერი, ან კლასში, სადაც რამდენიმე კომპიუტერია. ორივე შემთხვევაში, წარმატებულად შეიძლება ისტ-ის გამოყენება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს: კონკრეტულად რისი გაკეთება მოეთხოვებათ მოსწავლეებს; რა როლი უნდა შეასრულოს თავად მასწავლებელმა ამ პროცესში; რა ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები და გამოცდილება აქვთ მოსწავლეებს; როგორ იქნება გამოყენებული სასწავლო რესურსები, მათ შორის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

გაკვეთილის ორგანიზების ძირითადი საფეხურებია: გაკვეთილის დაგეგმვა, გაკვეთილის მომზადება, გაკვეთილის წარმართვა და შეფასება. თითოეულ საფეხურზე აქტუალურია ისტ – ის საშუალებების ეფექტური გამოყენება.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა რთული და მნიშვნელოვანი საქმეა. განსაკუთრებით მაშინ, როცა სკოლა მოსწავლეთა აქტიურ სწავლაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე, შემოქმედებითობასა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზეა ორიენტირებული. გაკვეთილი ერთგვარი პროექტია, რომელსაც

გააჩნია სამიზნე ჯგუფი, მოსწავლეების სახით, სასწავლო მიზანი, მისაღწევი შედეგები, ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები, შინაარსობრივი და ტექნიკური რესურსები, განსაზღვრული დრო და ა. შ. დაგეგმვა გაკვეთილის ყველა ამ ელემენტს შორის რაციონალური კავშირის დამყარებას და ერთიან სტრუქტურაში მოქცევას გულისხმობს.

გაკვეთილის მომზადების ეტაპზე ხორციელდება იმ თვალსაჩინოებებისა და სხვა სასწავლო მასალების მომზადება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობასა და წარმატებული შედეგების მიღწევას. მასწავლებელს, შესაძლოა, ისეთი რესურსების მომზადება მოუხდეს, როგორცაა: საპრეზენტაციო ფაილი ტექსტებითა და სურათებით; დიაგრამები; აუდიო ან ვიდეოფაილები; ნაბეჭდი მასალები: ტექსტები, ფოტოები, ილუსტრაციები და სხვ.; შეფასებისთვის საჭირო მასალები: ტესტები, კითხვარები, რუბრიკები და სხვ.; სხვა სახის რესურსი, რომლის მომზადებისთვისაც საჭიროა ისტ-ის გამოყენება.

გაკვეთილის წარმართვის პროცესში, თუ დაგეგმილია ერთი გაკვეთილი, ან გაკვეთილების ერთობლიობა, მასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს იმ გეგმით, რომელიც მან მოამზადა; ასევე, იმ მასალებით, რომლებიც მოიძია ან შექმნა მომზადების ეტაპზე. რასაკვირველია, პროცესი შეიძლება განსხვავდებოდეს დაგეგმილისაგან.

გაკვეთილის ჩატარების შემდეგ, სასურველია, გაკეთდეს გაკვეთილის შეფასება, რაც განსხვავდება მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისაგან. გაკვეთილის შეფასების მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად მიაღწია საგაკვეთილო პროცესმა თავდაპირველად დასახულ მიზნებს, ეხმარება მასწავლებელს ჩატარებული გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში, ასევე მომდევნო გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვაში, გარკვევაში, თუ რამდენად ეფექტურად იყო გამოყენებული ისტ-ი მოსწავლეების მიერ.

თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილის დაგეგმვისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა მოსწავლის მიერ კომპიუტერზე დავალების შესრულების პროცესი არამიზნობრივ თამაშში არ გადაიზარდოს, ავთენტურ სწავლაზე ფოკუსირების ნაცვლად. ტექნოლოგიებით გამდიდრებული აქტივობა იმ იდეებსა და ცნებებს უნდა ეყრდნობოდეს, რომელთა შესწავლასაც ითვალისწინებს გეგმა.

ისტ ცოდნის შეძენის, ორგანიზების, შეფასების არაჩვეულებრივი ინსტრუმენტია. ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილის დასაგეგმად, მნიშვნელოვანია, შეირჩეს კომპიუტერული პროგრამა (საოფისე, მულტიმედია და ა.შ.), რომელიც ხელს შეუწყობს (და არ შეაფერხებს) სწავლებას საკლასო ოთახში. გასათვალისწინებელია, ხელმისაწვდომია თუ არა კომპიუტერული პროგრამა მოსწავლეებისათვის, რათა მათ შეძლონ ფაქტების მოგროვება, ინფორმაციის წყაროს შეფასება და ორგანიზება, ცოდნის გამოყენება.

აუცილებელია ისტ დაკავშირება გაკვეთილთან, განსაზღვრა, რა როლს ითამაშებს ტექნოლოგიები გაკვეთილზე: მაგ. ახალი თემის გასაცნობად ციფრული ლიტერატურის გამოყენება სჯობს, თუ ცნების რუკის? კონკრეტული თემის ირგვლივ ინფორმაციას ჯგუფებში მოიძიებენ მოსწავლეები, ელექტრონული ენციკლოპედიის გამოყენებით, თუ სიმულაციები სჯობს, საგნობრივი ჯგუფის მიხედვით? მოსწავლეები დავალების შესასრულებლად ტექსტურ რედაქტორს გამოიყენებენ თუ საპრეზენტაციო პროგრამას? ახალი მასალის ასახსნელად, საპრეზენტაციო პროგრამა გამოიყენება? და სხვ.

საჭიროა წინასწარ განისაზღვროს რა სასწავლო მასალები და რესურსებია საჭირო გაკვეთილის ჩასატარებლად, რა ტექნოლოგიური რესურსია ხელმისაწვდომი გაკვეთილის განსახორციელებლად, რა აღჭურვილობაა საჭირო დამატებით, დრო საკმარისია მთელი კლასისთვის პროექტის, დავალების დასასრულებლად კომპიუტერთან თუ არა, არის სკოლაში სპეციალისტი, ვისაც დახმარება შეუძლია ტექნოლოგიებთან მუშაობისას თუ არა, საჭიროა თუ არა „ინსტრუქციის“ შედგენა მოსწავლეებისთვის, თუ როგორ გამოიყენონ კომპიუტერული პროგრამა.

დამატებით საჭიროა გაირკვეს როგორ დაჯგუფდებიან მოსწავლეები დავალების შესასრულებლად კომპიუტერთან, საჭირო ხომ არ არის რამე ტექნოლოგიური უნარ-ჩვევის შეძენა მასწავლებლისათვის და მოსწავლეებისთვის აქტივობის განხორციელებამდე, მწყობრშია თუ არა კომპიუტერული ტექნიკა.

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული სიმულაციები, სიმულაციის ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის დანიშნულებაცაა რეალური მოვლენების იმიტაცია კომპიუტერის საშუალებით. იგი ხელს უწყობს მომხმარებელს, აღიქვას და შეისწავლოს მოვლენა რეალურ ვითარებაში დაკვირვების გარეშე. მეტიც, სიმულაციის გამოყენებით დაკვირვების პროცესი, შესაძლებელია, იმდენჯერ გამეორდეს, რამდენჯერაც საჭიროა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში, რომლებშიც რეალური ექსპერიმენტის ჩატარება და მისი მრავალჯერადი გამეორება რთული და ზოგჯერ შეუძლებელიც კია, მაგალითად: ეკონომიკაში, სოციალურ მეცნიერებებში, ბიოლოგიაში და ა. შ. თვით

ისეთ საგნებშიც კი, როგორცაა ფიზიკა ან ქიმია, ამგვარი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, თვალსაჩინოებების სახით, თავიდან აგვაცილებს ძვირადღირებული მოწყობილობებისა და მასალის შეძენას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ პროგრამულ უზრუნველყოფას მხოლოდ დამხმარე დანიშნულება აქვს და იგი მთლიანად ვერ შეცვლის რეალურ ექსპერიმენტს და რეალურ მოვლენაზე დაკვირვებას.

განათლება ყოველთვის იყო საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ამდენად, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები, მათ შორის ტექნოლოგიური, ზემოქმედებს მასზე, ისევე როგორც თავის მხრივ განათლება ზემოქმედებს საზოგადოების ყველა ასპექტზე.

ისტ გამოყენება ძირეულად ცვლის სასწავლო პროცესს, ერთიან შემეცნებით პროცესში აერთიანებს სწავლების ელემენტებს, გამოკვლევის ელემენტებს, ტექნიკურ საშუალებებსა და ინფორმაციის ანალიზის პროცესს. იცვლება მასწავლებლის ფუნქციებიც. მასწავლებლისაგან მოითხოვება სასწავლო პროცესის ოპტიმალური მართვის უზრუნველყოფა, ისტ, როგორც უნივერსალური სწავლების საშუალების მუშაობის ყველა შესაძლო ფუნქციის ცალსახად წარმოდგენა (Гершунский Б. С., 2005).

ისტ ეფექტურად გამოყენება მოითხოვს აზროვნების გარკვეული სტილის ჩამოყალიბებას, სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ფართო ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობას იძენს სკოლებში მოსწავლეების ინტელექტისა და შესაძლებლობების ფორმირებისას.

აღნიშნული პრინციპების დაცვით სასწავლო პროცესის ორგანიზაცია მოითხოვს პედაგოგების, ფსიქოლოგების, პროგრამისტებისა და დიზაინერების შეთანხმებულ მუშაობას, (www.ganatileba.org). მნიშვნელოვანია მოქნილი პოზიციის გამონახვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ ტექნოლოგიური პროგრესი, საგანმანათლებლო გარემოს გამდიდრებისათვის, რათა აღიზარდოს თაობა, რომელიც თავის მხრივ განავითარებს საზოგადოებას.

ლიტერატურა:

1. www.tpdg.ge
2. პ. პაპავა და სხვ. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, თბ., 2009
3. <http://www.science.org/Documents/koncefcia/koncefcia.pdf>
(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვარი № 2 დადგენილების დანართი (საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კონცეფცია 2000 – 2015 წლებში))
4. Гершунский Б. С. Компьютеризация в сфере образования: Проблемы и перспективы. М., 2005
5. <http://conference.ge>
6. <http://education.ge>
7. www.ganatileba.org

USING INFORMATIVE-COMMUNICATIVE TECHNOLOGIES IN EDUCATIONAL PROCESS

Tamar Makasarashvili, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

Using informative - communicative technologies in educational process is fundamentally changing the structure of the cognitive process of combining the elements of teaching, research methodology elements, technical information, tools and analysis methods. Changing the functions of a teacher as well. Teacher-training process is required to ensure optimal management of information - communication technologies as a universal medium of instruction in all the possible options are definitely.

Using the computer effectively demands to form the special style of thinking and to make special skills. This fact has a wide general educational meaning in formation of intellect and possibilities of pupils.

During the using informative technologies we must choose: the method of mastering, the level of pupil's skills in different subjects, the level of motivation and we must fore see the individual and psycho-physiological originalities of each pupil.

Defending all this principles, organizing the educational process demands the coordinated work of teachers, psychologists, programists and designers.

ICT IN TEACHERS' TRAINING AS A DIMENSION OF LIFE-LONG LEARNING

Penelope Frantzi, University of Patras
E-mail: frap@upatras.gr

Maria Vlasidou, Open University of Patras (E.A.P.)
E-mail: vlasidou@yahoo.gr

SUMMARY

Today many teachers are learning computer application software. As a tool, the computer is used by teachers and students to aid and facilitate their work, such as with word processors, presentation or databases management. Students must become computer-literate to take advantage of the best ways to use computers. Undoubtedly, teachers need to be more digital competent employees with intermediate digital knowledge and skills, so their current knowledge on digital competences must be updated.

The Greek Ministry of Education and the Pedagogical Institute have undertaken this role, to train and evaluate Greek teachers concerning the application of these New Technologies in elementary and high schools and also their trainers. These trainers will be responsible for the training program and support the application and usage of the new knowledge and skills in school reality.

Under these circumstances, it is crucial the development of current programs of study, pedagogical material and research, the planning, organization and evaluation of these two different types of training, the efficient application of new skills and knowledge in a real classroom and their certification, the existence of an essential supportive framework and the combination of Theory and Practice.

Main article

The dynamic presentation of Technology of Information and Communication in everyday life has definitely influenced both school activities and teachers' choices and decisions. Continuous developments in education technologies and ICT are accompanied by diversity of methods and applications in education. The process starting with computer-assisted learning is now in a different dimension via increasing internet possibilities. Another important factor in this issue is that learner-centred approach has been accepted widely and become widespread. Transition from portfolio to e-portfolio is one of the current examples to be given about changing process in education technology (Tosun et al, 2010).

Greece, as a member of European Union, participates in the development of e-learning, which has made suggestions for alteration and improvement in the educational field. Consequently, there has been a framework of collaboration and agreement on these issues among the European Nations (Kontakidis, 2001).

Students are expected to develop new skills, attitudes and knowledge and face different school circumstances to meet social expectations and needs that are in a continuous growth. Since computers are used in education we have problems how to adapt the changing reality. Students are often more computer literate than teachers (Krašna, 2010). Thus, the update and improvement of training, as well as the application and use of ICT are necessary. ICT can play a major role in the "New School" that places students at the center of teaching/learning process and aims at their active participation. Teachers should take into serious consideration their students' unique personality and respect their weaknesses and strengths, promote lifelong learning and encourage creativity, spontaneity and innovation (<http://b-epipedo2.cti.gr/project-m/about-project-bepipedo-m.html>). The most important factor for success is the teacher, so he/she needs the appropriate skills and knowledge to face the new challenges and take advantage of the profits that New Technologies can offer. Then, the teacher will be able to achieve educational goals effectively.

The majority of elementary schools have acquired the appropriate software system throughout the last decade. However, this is not enough. It is such a complicated process that cannot be based only on the relevant structure, workshops, network and computer application software. All these are efficient as long as the teachers accept and use them in the classroom in agreement with their students. Of course, this fact presupposes their active participation and interest in New Technologies (Kontakidis, 2001). As a result, the Greek Ministry of Education considers Teacher Training valuable both for professional and personal reasons.

The current society could be characterized as a "Society of Knowledge" and the need for Education has become more obvious than ever before. The individuals have been transformed into lifelong training that has to be adapted and function in new educational settings. Apart from the formal educational institutions, there are informal ones and different types of training. These are not obligatory most of the times, but they can be incorporated into the notions of Adult Education and Lifelong Learning (Fokiali et al, 2005).

Teacher Training is important, as all teachers should be aware of the latest developments in their field. Therefore, the training should focus both on their personal and professional needs and expectations (Karantzis et al, 2009). Their professional career includes personal experiences and well-planned educational activities: a) specialized scientific knowledge and skills efficiently-applied in school reality b) personal comprehension and interpretation of school circumstances and c) ability to intervene distinctively to satisfy educational, developmental, social, political and moral

expectations that Education has set (Matsaggouras, 2005). The educational activities that have planned should meet teachers' needs that are not stable and clear, but vary and change in a short period of time (Matsaggouras, 2005).

The training of teachers, who work in elementary schools, is supported by Regional Training Centers, educational seminars and conferences that School Counselors, Universities and other bodies organize. The policy of elementary-school teachers' education and training is the primary Governmental concern (Koydoyna, 2009). The Greek Ministry of Education, the Faculty of Evaluation and Training of the Educational Institute collaborate with 28,100 teachers of Greek elementary and high schools as far as the application and usage of the Technology of Information and Communication is concerned (<http://b-epipedo2.cti.gr/project-m/about-project-m.html>).

More specifically, there are two different types of training that are directly-related: a) the training of 27,500 teachers on the basic principles of ICT and the development of skills to take advantage of the computer software (their training takes places in Local Centers all over Greece) and b) the training of 600 trainers that are responsible for the proper combination of theory and practice.

According to the aforementioned, Practice is not an easy case. It presupposes the development of current programs of study, pedagogical material and research, the planning, organization and evaluation of the previous types of training, the efficient application of new skills and knowledge in the classroom and their certification, the support and motivation of the trainees, the existence and excellent function of a supportive framework to detect and evaluate the Practice. The aims are:

- The preparation of teachers to meet the expectations that exist in the "Society of Knowledge and Information" concerning the application and use of the Technology of Information and Communication in real classes.
- The organization of educational programs all over Greece that will address to teachers and have escalating difficulty and added value, as it is indicatively shown below:
 - Use of networked computer services and digital educational materials.
 - Effective use of educational software in the educational process on various subjects.
 - Development of new attitudes towards learning, as it is obvious at the beginning of this article.
 - Application of the knowledge and skills that are gained throughout the training, in the classroom.

An innovative program designed by the Greek Ministry of Education is called "Major Program of Training" and aims at the improvement of Education (www.epimorfosi.edu.gr). It is connected with the general planning for the teachers' training and offers them the opportunity to be informed about the developments in this field, fulfill social and professional demands and satisfy students' needs taking into account the current educational system. In this framework, projects for Good Teaching Practices were uploaded on internet after official notice. These may have been used or be used in the schools where they are working today. This effort concerns the members of school community, especially the teacher trainees. They should:

1. Contribute to the shape of the content of training and the training material.
2. Participate in the emergence of modern teaching methods that are designed to widen students' horizons and develop their skills (creativity, critical thinking, cooperation, ability to communicate e.t.c.)
3. Form a community sharing the Good Teaching Practices that will continue to function after the Training Program.

Bibliographic References

Fokiali Persa, Koyroytsidoy Maria, Lefas Evaggelos, 2005, In Bagakis George "Teacher training and development", p.131.

Karantzis Ioannis, Frantzi Penelope, Aikaterini Frantzi, 2009, Proceedings of the Congress "Education and Training of teacher", University of Crete, Rethymno, p.44.

Kontakidis Giannis, 2001, Proceedings of the Congress "Computer science in the education , Technics, Practices, Teacher's Training", Aegean University, Rhodes, pp.80-81.

Koydoyna Mary, 2009, Proceedings of the Congress "Education and Training of teacher", University of Crete, Rethymno, p.51.

Krašna Marjan, Bratina Tomaž, 2010, International Conference on New Horizons in education 2010", Cyprus, p.217.

Matsaggouras Ilias, 2005, In Bagakis George "Teacher training and development", p.79.

Tosun Nilgun, Baris Fatih, 2010, International Conference on New Horizons in education 2010", Cyprus, p.289.

Internet References

<http://b-epipedo2.cti.gr/project-m/about-project-m.html>

<http://digitalschool.minedu.gov.gr/manuals/sxoleio.php>

www.epimorfosi.edu.gr

THE ROLE OF TEACHER WHILE USING VIDEO-MATERIALS IN LANGUAGE CLASSES

Manana Garibashvili, Iakob Gogebashvili Telavi State University, PhD, Professor

Ketevan Shashviashvili, Iakob Gogebashvili Telavi State University, Doctorate Student

Introduction

English language is an international language. It has gained great importance all over the world and is taught in almost all the countries. Every year more and more people try to learn English in order to meet the needs of today's world - the global world which poses many challenges for the countries in all fields of human activities. The educational system isn't an exception. In most cases the teaching provided doesn't meet the new demands created by globalization. Educational systems need to be improved and developed to meet the challenges of the global world. For the future development of the country it is crucial to prepare individuals for the competitive global world. In such cases the use of new technologies in teaching is very important. Many developed countries already use these technologies in their educational system very effectively. The new technologies like computers, projectors, video and etc. are being introduced in Georgian educational system as well.

In this article we would like to discuss the use of video-materials and the role of teachers in the process of English language instruction. The use of video-materials is no longer a novelty in many European countries but it is still a new teaching medium for Georgian schools and teachers. While adapting educational system to the demands of the today's world, redefining the role of teachers is very important. In order to train competitive individuals for the changing job market teachers should review their teaching methods and improve their knowledge of the new technologies.

Background of the study

Language learning has a long history in many counties as well as in Georgia. Looking through the language teaching practice of the past centuries, we see that teachers used variety of methods and approaches to improve their language classes. The contribution of J.A. Komensky to modern methodology of teaching is enormous. According to Vasadze (vasaZe, 1988) J.A. Komensky a Czech teacher and educator is considered to be the founding father of the idea that the principle of illustrations is "the gold rule of teaching" and teachers should use visual aids and include as many senses in a teaching-learning process as possible. J.A. Komensky was the first one in the history of pedagogy, who created the textbooks based on the principle of illustration. The works of Komensky influenced generations of teachers and a great Georgian teacher Iakob Gogebashvili was not an exception. He used the ideas of J.A Komensky and other famous educators to implement new ideas and enrich Georgian pedagogical science. Like Komensky Gogebashvili created the first illustrated textbooks in Georgia.

Over the years works of these teachers contributed a lot in the improvement of the already existing methodology of teaching.

From all the methods and approaches existing in foreign language teaching the Grammar-Translation method used to be the dominant method in Georgian educational system during the soviet period and it is still widely used today. The main reason of using the Grammar-Translation method in the past was the lack of interaction with the world outside the soviet boarders. There was no contact with the target language culture and native speakers and therefore there was no need to use communicative approach in English language instruction. Now when Georgia has close contacts with the outside world and countries which have English as a second language the problem of teaching communicative skills to language learners needs to be solved.

The Grammar-Translation method gained its popularity in the 19th and early 20th centuries. It received its name because of the importance it gives to teaching correct grammar and translation (Tsitsishvili, R., Nijaradze, N., Darchia, M., Tevzadze, M., & Tkavashvili, E., 2006). The knowledge of grammar structures and the ability to translate words and phrases was considered to be the key factors in using the language for communication. Educationists of that period believed that language learners could acquire target language culture by reading texts and literature which contained cultural elements of target language. If we look through the textbooks and English teaching materials of that time, we'll find that there are texts containing fragments from the history of Great Britain or texts that show several cultural or social aspects of English language. However the learner's knowledge of correct grammar, vocabulary or cultural elements wasn't used for communicative purposes in class. So it turned out that even though the language learners had a good knowledge of target language grammar and vocabulary they still couldn't communicate properly if needed. The only interaction that took place in class was between the teacher and learners. Learners had no interaction with each other. The teacher was the authority in class. She was in charge of everything that went on in class: she did most of the talking, directed all the activities and learners were just passive listeners. The Grammar-Translation method is connected with teacher-fronted classes where the teacher is in full-control of everything.

The Audio-Lingual method was also one of the dominant method in foreign language teaching. The Audio-Lingual method was based on the behaviorist learning theory that learning a language is the process of habit formation and that the habits are best formed by the repetition of correct examples of words, phrases and grammar patterns. The Audio-Lingual method supporters claimed that this method could promote communication in target language because learners were taught everyday expressions which are useful for real-life interactions. Very often as Tsitsishvili, Nijaradze,

Darchia, Tevzadze & Tkavashvili (2006) mention "...memorization of dialogues do not guarantee that the learners will become successful communicators in English because they usually find it hard to transfer the learnt patterns to real-life communication" (p. 54). The Audio-Lingual as well as the Grammar-Translation method couldn't provide authentic speech and interaction and this is why these methods couldn't promote the formation of communicative competence. We can meet the use of technology in Audio-Lingual classes. Teachers use tape recorders actively but students just have to listen to the dialogues on the tape and then repeat each line until it becomes automatic. The acting out of dialogues contain no signs of authenticity. Besides this the Audio-Lingual method doesn't take into account the different learning styles of language learners. The use of tape-recorder cannot meet the needs of all learners. We all know that some individuals learn better by ears, some by eyes and others by doing things themselves. In the case of audio-tapes it seems that only auditory learners can benefit and the needs of visual and kinesthetic learners are ignored.

It turned out that the old teaching methods couldn't achieve the final goal of learning a foreign language - proper communication and fluency. The methodology of teaching foreign languages was facing the problem of developing communicative competence in language learners. This is why the communicative approach was designed. It was developed as a result of dissatisfaction with the Audio-lingual and Grammar-Translation methods. The main aim of the communicative language teaching is to develop language learners' communicative competence. The knowledge of separate words and phrases and grammar isn't enough to enable language learners to speak. According to Hymes (1971) knowing a language means more than just the knowledge of grammatical, lexical and phonological rules. In order to use the language effectively learners have to develop communicative competence - the ability to use the language appropriately in a given social context. The communicative approach changes the role of a teacher. She is no more the authority transmitting knowledge to students but a facilitator who assists them to achieve their goal of language learning.

As we can see according to the communicative language theory language learning takes place through genuine communication. But many language teachers mention that the problem is to determine how to create real communications in class. One of the outcomes of this problem can be the use of authentic materials in class like video-materials. No one can imagine the process of English language teaching and learning without the use of new technologies in the 21st century. Video-materials are very rich resources for presenting real life communications and cultural elements in classroom setting. Video-materials can also help in developing different kinds of communicative activities in class.

Here we tried to take a brief look at several methods and approaches used in foreign language teaching and learning process. It will not be correct to say that the old teaching methods are bad and teachers mustn't use them in their practice. All the methods have their advantages and disadvantages. For example the Grammar-Translation method can help language learners acquire accurate knowledge of grammar and we cannot ignore the importance of teaching correct grammar for academic purposes. As Tsitsishvili, Nijaradze, Darchia, Tevzadze & Tkavashvili (2006) mention "...the Grammar-Translation Method provides learners with the knowledge of grammar, and that their communicative skills can be built on this solid foundation" (p. 48). So if we use these methods in combination with the communicative approach and take the advantage of technologies it will greatly enhance foreign language teaching and learning process.

The role of teacher in foreign language instruction

During a lesson the role of a teacher changes many times. She has to adjust different functions while conducting a lesson. According to Richards (2001) the roles of teachers are determined by the approaches that teachers use and relates teacher roles to the following issues: " a) the types of functions teachers are expected to fulfill; b) the degree of control that the teacher has over how learning takes place; c) the degree to which the teacher is responsible for determining the content of what is taught; and d) the interaction patterns that develop between teachers and learners" (p. 28).

If we look through several major language teaching methods we'll see that teacher's roles are varied:

- According to the Grammar-Translation Method the teacher is the authority who is in complete control of the class. The teacher does most of the talking during the lesson and students are passive listeners.
- According to the Audio-Lingual method teacher directs and controls everything in class. Larsen-Freeman (1986) compares the teacher in the Audio-Lingual classroom an orchestra leader who conducts and directs the musicians.
- As the supporters of the Direct Method suggest although the teacher directs the activities in the classroom, she acts like an assistant and works like a partner with learners.
- According to Suggestopedia the teacher is the authority as in the Grammar-Translation method.
- The role of a teacher according to the Total physical Response Method is very important. She is the director of students' behavior.
- According to the communicative approach the teacher is a facilitator but she can adopt many other roles like manager, assistant, advisor and etc.

According to Harmer (2001) there are at least eight roles of teachers:

Teacher controller;

Organizer;

Assessor;

Prompter;

Participant;

Resource;
Tutor;
Observer.

Today in the age of new technologies almost all fields of human activities are influenced with these technologies. Of course the educational system is not an exception. The use of video-materials and new technologies in general pose the problem of defining the teacher status. It's very important to define the role of teachers in technology enhanced foreign language teaching. Some people think that the use of new technologies in teaching and learning process can substitute teachers. Technologies change the traditional role of a teacher but cannot replace them. The use of technologies require good technology skills from teachers, otherwise they cannot implement and use these equipment properly and effectively for teaching foreign languages. One of the main reasons that Georgian teachers rarely and in most cases never use video-materials in English language classes is the fact that teachers don't have appropriate technology skills.

Teachers still play very important role in video enhanced foreign language teaching. Shalaway (1998) mentions that the use of technologies cannot substitute teachers, they still have the leading role in foreign language teaching. What is more, besides traditional pedagogical functions teachers acquire some additional roles like the role of a technician.

It is also very important to mention that video isn't a method as some teachers call it. Videos are additional teaching materials and aids. According to Katchen (1991) Video is one more medium like books and audiotapes which can enhance language teaching and learning process.

Observation

This observation aimed to reveal the role of a teacher in English language classes and in particular in video enhanced language learning. The observation took place at Telavi State University. Two groups of first-year students from the faculty of Humanities enrolled in the observation. The number of students in each group was 15. So 30 students took part in the observation. The same teacher taught both groups. The level of language proficiency was absolutely equal in both groups to ensure validity of results. One group was a control group where the teacher used traditional methods without the use of video-materials.

The second group was experimental where the teacher actively used video-materials in English language instruction. The language learners showed great interest in video enhanced English language classes and this helped to increase the level of motivation in learners.

The main aim of our observation was to determine what kind of roles or functions the teachers adopted during video enhanced English language instruction. The observation showed the following: Besides the traditional roles, the teacher in the experimental group had to adopt some non-pedagogical functions like the role of a technician. The use of video technology or a computer and projector required good technology skills from the teacher and our teacher had to prepare beforehand for the lessons. Before the classes she had to ensure that the technology was in a good condition and ready to use. Besides this the role of a teacher as a psychologist has also increased. While using video-materials in class language learners have to overcome several psychological barriers. This is why our teacher needed more effort to create safe and secure environment in class and ensure that language learners felt calm and comfortable during the lessons.

To sum up the observation showed that the use of video-materials in English language teaching require more skills from language teachers. Besides the traditional roles the teachers have to adopt some non-pedagogical functions as well, while using video technology in classroom setting.

Conclusion

Through this article we intended to show that the use of video-materials in foreign language teaching has very important role and especially in the age of globalization, when it is so important to prepare our learners for the competitive world. In such cases we should take the advantage of all the resources that are available to us. As our observation showed during video enhanced language classes teachers have to adopt some non-pedagogical roles in addition to the already existing traditional roles. Teachers in Georgian educational system have to be trained in order to use technologies otherwise they will never manage to take the advantage of using video-materials or any other resources to improve their language classes.

References:

1. vasaZe, n. (1988). pedagogikis istoria. Tbilisi: ganaTleba
2. Harmer, J. (2001). The practice of English language teaching (3rd ed.). Longman.
3. Hymes, D.H. (1971). On communicative competence. Philadelphia: University of Pennsylvania Press.
4. Katchen, J.E. (1991). Paper presented at an Annual Institute of Language in Education International Conference on maintaining and achieving Quality in language teaching and learning. Hong Kong.
5. Larsen-Freeman, D. (1986). Techniques and principles in language teaching. Oxford: Oxford University Press.
6. Richards, J.C., & Rogers, T.S. (2001). Approaches and Methods in language teaching (2nd ed.). New York: Cambridge University Press.
7. Shalaway, L. (1998). Learning to teach. New York: Scholastic Professional Books.
8. Tsitsishvili, R., Nijaradze, N., Darchia, M., Tevzadze, M., & Tkavashvili, E. (2006). Becoming an English teacher: theory and practice of teaching English in Georgia.

Key Words: Video, language teaching, emotions, language learners, authentic materials.

RESUME

Today, in the age of new information technologies computers and video have entered our classes. While adapting educational system to the demands of today's world, redefining the role of teachers is very important. This article discusses different kinds of roles that teachers have to adopt in traditional classes as well as in technology enhanced language classrooms. We'll also present the analysis of our study which showed that besides traditional pedagogical roles English language teachers have to adopt some non-pedagogical roles as well. Materials analyzed will help foreign language teachers and educators to better understand their role in technology enhanced foreign language instruction.

საიმედოობა და უსაფრთხოება ცოდნის გამოვლენისა და შეფასების სისტემებში

ლექსო მელაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მაგისტრანტი, საქართველოს შემოსავლების სამსახური
E-mail: lexo_90@mail.ru

ნებისმიერი პროგრამული სისტემის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმებია საიმედოობა და უსაფრთხოება. საიმედოობის ქვეშ იგულისხმება სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება განსხვავებული სიტუაციებისას. ნებისმიერი პროგრამული სისტემა სამრეწველო ტირაჟირებამდე მრავალნაირ ტესტირებას გადის, ხორციელდება აღმოჩენილი შეცდომების ანალიზი და გასწორება. შეცდომები ძირითადად ორი სახისაა, პირველი - პროგრამის დაწერისას პროგრამისტის მიერ დამზებული სინტაქსური, სემანტიკური შეცდომები და ტექნიკურ დავალებში არსებული მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა; მეორე - პროგრამასთან მუშაობისას გაუთვალისწინებელი ე.წ. არასაშტატო სიტუაციების წარმოქმნა, მესამე - მომხმარებლის ობიექტურად განპირობებული სიტუაციების გათვალისწინება. პროგრამული პროდუქტის დახვეწა პერმანენტული პროცესია, მოითხოვს წარმოქმნილი სიტუაციების ანალიზს, განზოგადებას, დამლევის გზებისა და საშუალებების ძიებას. მაგალითად, ჩვენს მიერ შემუშავებული და დანერგილი ცოდნის გამოვლენისა და შეფასების ელექტრონული სისტემის "კიბერგამოცდა" რეალურ პირობებში პირველი გამოცდა 18 თვის წინ განხორციელდა და შემდეგ სხვადასხვა საგნებში მრავალჯერ ჩატარდა გამოცდები. გამოცდების ჩატარების შემდეგ ხორციელდებოდა გამოცდის მიმდინარეობის დროს სტუდენტების მიერ არაკორექტული ქმედებებით შექმნილი სიტუაციების ანალიზი და პროგრამული პაკეტის კორექტირება. ამავე დროს წარმოებდა პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის სურვილების გათვალისწინება. სისტემის რეალურ პირობებში გამოცდისა და კორექტირებების შედეგად მიღწეულ იქნა პროგრამული პაკეტის საიმედო ფუნქციონირება ავარიულ სიტუაციებშიც.

ქსელში მუშაობისას პროგრამული პაკეტის საიმედოობაზე მოქმედებს ქსელის ტექნიკური მდგომარეობა და დაცულობა. თუ ლოკალური ქსელი კაბელებითაა რეალიზებული, მაშინ გარედან შეღწევა და ქსელის მუშაობის პარამეტრების დარღვევა ფაქტობრივად ნულის ტოლია. რადიომოდემების გამოყენებისას აუცილებელია გამოცდების მიმდინარეობისას ქსელის ლოკალიზაცია და პაროლის დადება. ეს საკითხები ტექნიკურად ადვილად მოსაგვარებელია. ჩვენი ყურადღების ცენტრში პროგრამული სისტემის უსაფრთხოების პრობლემაა.


როგორც ცნობილია შესაძლებელია ნებისმიერ პროგრამულ სისტემის, თუნდაც ოპერაციული სისტემის პაროლის გაგება - სისტემის გატეხვა. აქ მთავარია ჰაკერის მიერ პროგრამაზე დადებული პაროლის გასაღების მოძებნაზე დახარჯული დრო და გასაღების მოძებნის სირთულე. პროგრამული პროდუქტების შემუშავებლები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მახე დაუფონ ჰაკერს. განვიხილოთ ცოდნის გამოვლენისა და შეფასების პროგრამაში "კიბერგამოცდა" უსაფრთხოების რეალიზებული სისტემა.

"კიბერგამოცდა" სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ელექტრონული სისტემის ერთ-ერთი ფუნქციონალური ბლოკია. პროგრამები დაწერილია დაპროგრამების ენაზე VBA Access-ის გარემოში, მუშაობს ავტონომიურად და ქსელში. ქსელში მუშაობისას რეალიზებულია კლიენტ-სერვერული ტექნოლოგია, სადაც Access კლიენტია, ხოლო MSSQL კი - სერვერი.

”კიბერგამოცდა“- სთან უშუალო კონტაქტი სტუდენტს აქვს. იგი დაინტერესებულია მონაცემების ბაზაში ტესტებისა და ამოცანების ნახვით (შემდგომში მათ შეკითხვებს ვუწოდებთ). ასეთივე დაინტერესება მერკანტული მოსაზრებებით შეიძლება სტუდენტის გარდა სხვა პირებსაც გააჩნდეთ: სისტემის ადმინისტრატორი, ოპერატორი და სხვა. ჩვენი მიზანია მონაცემების გაჟონვის ალბათობის მინიმუმამდე დაყვანა და გაჟონვის ობიექტის მარტივად იდენტიფიცირება. ”კიბერგამოცდა“- ში ტესტების, ამოცანების მონაცემების ბაზაში ჩაწერა ავტორის მიერ ხორციელდება, ამიტომ ”კიბერგამოცდა“-ში არსებული დაცვის რეალიზებული მექანიზმის არსებობისას ტესტების გავრცელების წყარო ავტორი შეიძლება იყოს.

თუ სისტემა გამოიყენება ავტონომიურ რეჟიმში მუშაობისათვის, მაშინ მონაცემების ბაზა პროგრამული პაკეტის განუყოფელი ნაწილია. დაინტერესებულ პირს (ჰაკერს) შეუძლია გადაწეროს სისტემა და შეეცადოს მის გაშვებას სხვა კომპიუტერზე. მოახდინოს გამოცდის იმიტაცია და ნახოს კითხვები.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად ჩვენს მიერ შექმნილი ალგორითმით სისტემის დაინსტალირების დროს ავტომატურად ინახება Windows-ის უნიკალური ნომერი (იდენტიფიკატორს). იგი უცვლელია ოპერაციული სისტემის შეცვლამდე. ”კიბერგამოცდა“-ის გაშვებისას მოწმდება ინსტალაციისას დაფიქსირებული ნომრის შესაბამისობა მანქანაში დაყენებულ ოპერაციული სისტემის ნომერთან. შესაბამისობისას გამოდის შეტყობინება მზადყოფნის შესახებ/სურ.1/, წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა იწყებს თვითგანადგურებას: იშლება პროგრამული მოდულები და მონაცემების ბაზა/სურ.2/.




სურ.1. შეტყობინება სისტემის მზადყოფნის შესახებ



სურ.2. შეტყობინება პროგრამულ სისტემასა და მონაცემების ბაზაში არასანქცირებული შეღწევის შესახებ

ჰაკერს შეუძლია გახსნას სისტემური კოდი სპეციალური პროგრამების საშუალებით, მაგალითად Disassembler-ით. ამ პრობლემის თავიდან აცილება რთულია რადგან Disassembler- ს ორობითი კოდის ამოღება შეუძლია და მისი დაყვანა ასემბლერის დაპროგრამირების ენაზე. ცნობილია ასეთი მეთოდით პროგრამის მუშაობის ლოგიკის გაგება ძალიან რთულია. ასევე შესაძლებელია Access-ის გატეხვა, პროგრამული კოდის ნახვა და მასში ცვლილებების შეტანა. არსებობს ასეთი პრობლემის თავიდან აცილების რამდენიმე მიდგომა: პირველი, ეს არის პროგრამულ კოდს დავადოთ პაროლი (პაროლის გატეხვაც შესაძლებელია) და მეორე, უფრო მოსახერხებელი გზა - დავიყვანოთ კოდი .ACCDE ფორმატში ანუ ორობით კოდში.

Access-ში ორგანიზებულ მონაცემთა ბაზებთან წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი პროგრამული პროდუქტიდან თუნდაც Excel-იდან. Excel-იდან შესაძლებელია დავათვალიეროთ მონაცემთა ბაზების ცხრილები. ამის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ბაზებზე პაროლის დადება. თუ ბაზები რეალიზებულია MSSQL-ზე მაშინ პაროლის გატეხვა რთულია, რადგან SQL-ში ბაზის დაცვის ძლიერი მექანიზმია რეალიზებული. მასში შესაძლებელია Log-ის შექმნა პაროლის დადება და Roll-იბის (უფლებების) გაწერა. ამით შეგვიძლია ავკრძალოთ გარკვეულ ცხრილებთან კავშირი და ინფორმაციის ინტერნეტის ქსელიდან დათვალიერება. მაგრამ თუ ბაზები რეალიზებულია Access-ში Log-ების გაწერა არ შეგვიძლია და მხოლოდ პაროლის დადების უფლება გაგვაჩნია. პაროლი კი საკმაოდ მარტივად ტყდება, მაგალითად პროგრამით Passware /სურ.3/



სურ.3. პაროლის გატეხვა პროგრამით Passware

MSSQL-ში პაროლის გატეხვა ძალიან რთულია, მაგრამ შესაძლებელია. ბაზის ადმინისტრატორმა შეიძლება ნახოს კითხვები და გაავრცელოს. ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო მეთოდია ტექსტის დაშიფვრა და ბაზაში დაშიფრული ტექსტის შენახვა. ტექსტის შიფრაცია გარკვეული ალგორითმით ხორციელდება. ალგორითმის შემადგენელი ნაწილია გასაღები. სისტემა ალგორითმის მიხედვით გასაღების გათვალისწინებით შიფრავს კითხვებს და შემდგომ იმავე ალგორითმითა და გასაღებით ახორციელებს დეშიფრაციას.

არსებობს შიფრაცია-დეშიფრაციის მრავალი ალგორითმი. მათგან ყველაზე გავრცელებული და საიმედოა RSA და დიფი-ჰელმანის ალგორითმი. 1977 წელს რ. რივესტმა, ა. შამირმა და ლ. ედლმენმა დაამუშავეს შიფრაციისა და ნამდვილობის (აუტენტიფიკაციის) ახალი მეთოდი. RSA დაპატენტებულია შეერთებულ შტატებში, ლიცენზირებულია სხვა ქვეყნებში და წარმოადგენს ფაქტიურ (დე ფაქტო) სტანდარტს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მეთოდის არსი შემდეგია:

დავუშვათ, რომ X სუბიექტი საიდუმლოდ ირჩევს ძალიან დიდ p და q მარტივ რიცხვებს, გამოთვლის $N = pq$ ნამრავლს და N რიცხვს აცხადებს (N რიცხვი ღიაა), მაგრამ p და q რიცხვებს ინახავს საიდუმლოდ (p და q დასაიდუმლოებულია). გამოთვლის ეილერის ფუნქციას:

$$\varphi(N) = (p - 1)(q - 1) \text{ და } \varphi(N) \text{ რიცხვს დასაიდუმლოებს.}$$

შემდეგ 2-დან $(\varphi(N) - 1)$ - მდე ინტერვალში შეირჩევს e რიცხვს (როგორც შემთხვევით რიცხვს), რომელსაც აცხადებს (e რიცხვი ღიაა); გამოსახულების ანალოგიურად,

$$ed \equiv 1 \pmod{\varphi(N)} \quad (1.1)$$

შედარებიდან გამოთვლის d რიცხვს (თუ $(e, \varphi(N)) \neq 1$, მაშინ შეირჩევს e რიცხვის სხვა მნიშვნელობას) და მას საიდუმლოდ ინახავს (d გასაღები დასაიდუმლოებულია). d რიცხვის მისაღებად (1.1) გამოსახულების ეკვივალენტურია

$$ed \equiv 1 \pmod{k\phi(N)} \quad (1.2)$$

სადაც k მთელი რიცხვია, ე.ი. $ed = k\phi(N) + 1$.

ამის შემდეგ Y სუბიექტს შეუძლია M შეტყობინება გადაუზღავნოს X სუბიექტს დაშიფრული სახით:

$$M^e \equiv C \pmod{N}$$


C შიფროტექსტს გამოიფრავს მხოლოდ X სუბიექტი, რადგან d გასაღებს Z მხარე ვერ გამოთვლის. Z მხარე d რიცხვის მნიშვნელობა, რომ გამოთვალოს უნდა გადაწყვიტოს ერთ-ერთი ამოცანა: ან გამოთვალოს $\phi(N)$ ფუნქციის მნიშვნელობა ან იპოვოს N რიცხვის ერთ-ერთი მარტივი მამრავლი, რაც დროის რეალურ მასშტაბში თანამედროვე კომპიუტერული სიმძლავრეებითაც კი - შეუძლებელია.

მაგალითი : დავუშვათ, რომ $p = 3, q = 5, M = 3$ მაშინ $N = pq = 15; \phi(N) = (p - 1)(q - 1) = 8$


(1.1) თანაფარდობიდან : $ed = \phi(N) + 1 = 9$ ანუ $e = 3, d = 3$.

მხარე გამოიფრავს მას: $M = C^d \equiv 12^3 \equiv 3 \pmod{15}$.

”კიბერგამოცდა“- ში ტექსტის შიფრაცია, დეშიფრაცია ანალოგიურად ხდება. შეკითხვები დაშიფრული ინახება ბაზაში/სურ.4/. მისი დეშიფრაცია ხორციელდება გამოცდის პროცესში/სურ.5/.



სურ.4. ბაზაში შენახული დაშიფრული კითხვები



სურ.5. გამოცდის პროცესი - განხორციელებულია შეკითხვის დეშიფრაცია

ამრიგად ცოდნის გამოვლენისა და შეფასების კომპიუტერულ სისტემებში გამოყენებულ უნდა იქნეს საიმედოობისა და უსაფრთხოების დაცვის კომბინირებული მეთოდები: იდენტიფიკაცია, პაროლები, ბაზის დაშიფრვა კრიფტოგრაფიის მეთოდებითა და ალგორითმებით.

ლიტერატურა:

Т. Мунджишвили, Л. Меладзе, Система электронного планирования и управления учебным процессом. Труды XII Международной научно-практической конференции молодых ученых, студентов и аспирантов. Санкт-Петербург. Издательство СЗТУ, 2011. 7 стр.

KNOWLEDGE REVEAL AND ASSESSMENT ELECTRONIC SYSTEMS RELIABILITY AND SAFETY

Lekso Meladze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Master student, Georgia Revenue Service
RESUME

It is considered reliability and safety of the computer systems. Particular attention is directed to the security problem. It is important to any system, including knowledge reveal and assessment electronic systems. It is given analysis of the methods and means of the security with its positive and negative sides. Specific system, "Cybertest" - is an example showing that safety should be ensured reliability and safety of combined methods, such as identification, the use of passwords, data encryption cryptography methods and algorithm.

ცოდნის გამოვლენისა და შეფასების ელექტრონული სისტემა - „კიბერგამოცდა“

თეა მუნჯიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
E-mail: tmunjishvili@gmail.com

ლექსო მელაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მაგისტრანტი, საქართველოს შემოსავლების სამსახური
E-mail: lexo_90@mail.ru

პედაგოგიურ პრაქტიკაში კითხვა-პასუხის რეჟიმში ცოდნის გამოვლენა და შეფასება უძველესი დროიდანაა ცნობილი. მოსწავლის წინაშე დასმული ნებისმიერი დავალების ფორმირება გაცემული პასუხების მიხედვით მასწავლებლის მიერ დინამიურ რეჟიმში უკუკავშირის გათვალისწინებით ალბათურად ხორციელდება. დავალება შეიძლება იყოს მტკიცებულება, ამოცანის ამოხსნა და სხვა. შედეგების წარმოდგენის ფორმაც მრავალფეროვანია: ტექსტური, ციფრული, გრაფიკული, აუდიო, ვიდეო ან მათი კომბინაცია.

პერსონალურმა კომპიუტერმა ხელმისაწვდომი გახადა ისეთი პროგრამული პაკეტების შექმნა, სადაც შესაძლებელია ამოცანის დასმა, შედეგების ანალიზი და პასუხის შეფასება. როგორც უმრავლეს შემთხვევაში, აქაც დასაწყისში (სამწუხაროდ ამჟამადაც) შეიქმნა ილუზია, რომ კომპიუტერული პროგრამული სისტემებით შეიძლება შეცვლილ იქნეს პედაგოგის მიერ მოსწავლესთან უშუალო კონტაქტში ცოდნის ათვისების, გამოვლენისა და შეფასების პროცედურები. უკანასკნელ 10 წელიწადში შექმნილი და პრაქტიკაში გამოყენებული კომპიუტერული პროგრამების ავტორები - ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები, დაბეჯითებით აცხადებენ, რომ ეს პრობლემის გადაწყვეტის პანაცეა და სასწავლო პროცესის სრულყოფის ერთადერთი გზაა და მხოლოდ ასეთი სისტემებით შესაძლებელია მომზადებულ იქნეს სპეციალისტი ლოგიკური აზროვნებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევებით. ცხადია, ასეთი მტკიცებულება მცდარია, მიუღებელი და საზიანოა.


ჩვენი ყურადღების ცენტრში ცოდნის გამოვლენისა და შეფასების პრობლემატიკაა. პედაგოგის სტუდენტთან უშუალო ურთიერთობისას იქმნება კომუნიკაბელური, ემოციურად თავსებადი ატმოსფერო, სადაც პედაგოგი მიზანდასახული, დინამიურად ცვლადი კითხვებითა და მსჯელობებით ხელს უწყობს სტუდენტის ინტელექტუალური პროცესების აქტივიზაციასა და იდეების გენერირებას. თუ პედაგოგი ფლობს ინტელექტუალური პროცესების მართვის მეთოდებს, როგორცაა: სინექტიკის, ტვინების შტურმის, ფსიქოვერსტიკული პროგრამირების და სხვა, შედეგი უფრო მაღალია. ბუნებრივია ისმის კითხვა - რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი კომპიუტერული სისტემებით ცოდნის გამოვლენა და შეფასება?

კომპიუტერული სისტემებით ცოდნის გამოვლენა და შეფასება ერთერთ მდგენელად შეიძლება იქნეს განხილული. ნებისმიერი კომპიუტერული სისტემის საფუძველია პროგრამირებული სწავლების მეთოდით ფორმირებული ასათვისებელი მასალისა და მისი ამსახველი ამოცანების, სავარჯიშოების სიმრავლე. საკითხების სიმრავლე დეტერმინირებულია. ტრენინგისა და შეფასებისას ხორციელდება საკითხთა სიმრავლიდან გარკვეული საკითხის ალბათურად ამორჩევა. ტრადიციულ და კომპიუტერული პროგრამებით ცოდნის გამოვლენისა და შეფასების მეთოდებს შორის თანაფარდობა საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს 1:1, 2:1, 1:2, 1:0. მაგალითად, თუ შუალედური შეფასების საერთო ქულაა 60, მაშინ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე 20 ქულა განისაზღვრება პედაგოგის მიერ ტრადიციული მეთოდებით (რეფერატის, საკურსოს დაცვა, აქტივობა და სხვა), ხოლო 40 ქულა - კომპიუტერული სისტემით ან პირიქით.

ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებით შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ ზოგადი რეკომენდაციები:

1. თანაფარდობა 1:2 უნდა განხორციელდეს ისეთ საგნებში, სადაც სიმძიმის ცენტრი ისეთი ცოდნის ათვისებაა, რომელიც გამოიხატება ამოცანების, მაგალითების, გეგმების შედგენისა და ამოხსნის უნარით. ასეთი საგნების მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ: მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, ფინანსური აღრიცხვა, ფინანსური ანალიზი, ეკონომიკური ანალიზი, ბუღალტრული აღრიცხვა და სხვა;
2. თანაფარდობა 2:1 საგნებში, სადაც ცოდნის შეფასების კრიტერიუმია ლოგიკური მსჯელობის ჩვენება და დასკვნის გაკეთება. როგორცაა საგნები: ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვა;
3. თანაფარდობა 1:0 ისეთი საგნებისთვისაა, რომლებიც კომპიუტერული სისტემები ან დაპროგრამება, როგორცაა: დაპროგრამების ენები, მონაცემთა ბაზების დაპროგრამება, ელექტრონული ბუღალტერია, პროექტების მართვა ან სხვა ანალოგიური სისტემები;

ნებისმიერი პრობლემური საკითხი წარმოდგენილ უნდა იქნეს თეორიული და პრაქტიკული სავარჯიშოების ერთობლიობად და ცოდნის შეფასებაც თეორიული ცოდნისა და მისი საფუძველზე სავარჯიშოების ამოხსნის უნარით უნდა განხორციელდეს. თეორიის ათვისებისა და შეფასების საფუძველი ტესტებია. როგორც ცნობილია, ამჟამად ტესტის ქვეშ იგულისხმება დასმულ კითხვაზე N სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის ამორჩევა. პრაქტიკაში გავრცელებულია თანაფარდობა სწორ და არასწორ პასუხებს შორის 1:2 ან 1:3, ე.ი. 3 სამი ან 4 პასუხიდან ამორჩეულ უნდა იქნეს ერთი სწორი პასუხი. ასეთი ტესტებისას იზრდება გააზრების გარეშე სტუდენტის მიერ სწორი პასუხის გაცემის ალბათობა. ტესტირების პროცესი რთულდება, თუ N სავარაუდო პასუხებიდან ამორჩეულ უნდა იქნეს 2 ან 3 სწორი პასუხი და თანაფარდობა სწორ და არასწორ პასუხებს შორის საშუალოდ 1:3-აა. ტესტებს სადაც მოცემულია სავარაუდო პასუხების სიმრავლე და შერჩეულ უნდა იქნეს სწორი პასუხები **დახურული** ტიპის ტესტებს ვუწოდებთ. დახურული ტიპის ტესტი შემდეგი სტრუქტურით უნდა იქნეს გაფორმებული /სურ. 1./



სურ. 1. დახურული ტიპის ტესტის სტრუქტურა

ღია ტიპის ტესტი ისეთი ტესტია, სადაც სტუდენტს მოეთხოვება პასუხების დაწერა და არა ამორჩევა. აქ ამოცანაზე პასუხების რაოდენობა ფაქტობრივად შეზღუდული არ არის. პასუხები შეიძლება იყოს რიცხვი, სიტყვა, წინადადება ან მათი კომბინაცია. ასეთი ამოცანის ტიპური მაგალითია შემდეგი:

ამოცანა

კრედიტით შეძენილია 52000 ლარის საქონელი ფასდათმობით. დავალიანება 30 დღეში უნდა დაიფაროს. დავალიანების 10 დღეში დაფარავისას ფასდათმობა 5%-ია. ოპერაცია აისახება წმინდა თანხის მეთოდით. საწარმო იყენებს მარაგის აღრიცხვის უწყვეტ მეთოდს. მყიდველმა არ ისარგებლა

ფასდათმობით.

დავალება:

1. განსაზღვრეთ შეძენილი საქონლის თვითღირებულება;
2. განსაზღვრეთ შეთავაზებული ფასდათმობით მისაღები არასაოპერაციო შემოსავალი;
3. ასახეთ რთული ბუღალტრული მუხლით კრედიტორული დავალიანების წარმოქმნა;
4. ასახეთ რთული ბუღალტრული მუხლით კრედიტორული დავალიანების დაფარვა.

ამოხსნა

52000

2600

დებეტი 1610 52000 კ 8190 2600 კრედიტი 3110 49400

d 3110 49400 დებ 8190 2600 kr 1210 52000

ამოცანის პირველი ორი პასუხი რიცხვია, ხოლო მესამე და მეოთხე პასუხები წამოადგენენ რიცხვებისა და სიტყვების კონექტაციას. აქ ზოგი რიცხვი ანგარიშის ნომერია, ხოლო ზოგი კი - სამეურნეო ოპერაციის ამსახველი. პასუხებში გამოყენებულია სიტყვების - დებეტი, კრედიტი - მცდარი ვარიანტები და მათი დაწერის განსხვავებული ალფაბიტი (ლათინური, ქართული).

უცხო ენაში ტესტირების გავრცელებული ფორმაა - დავალება წარმოდგენილი ტექსტის სახით. წინადადებებში გამოტოვებულია სიტყვები, რომლებიც სტუდენტმა უნდა ჩაწეროს. ასეთ ამოცანებში პასუხების რაოდენობა რამოდენიმე ათეულია. ამოცანის (ღია ტესტის) სტრუქტურა შემდეგია/სურ. 2/



სურ. 2. ამოცანის (ღია ტესტის) სტრუქტურა

კომპიუტერულ სისტემას უნდა შეეძლოს პასუხებში გამოყენებული სიტყვების ნებისმიერ ბრუნებასა და უღლებაში, მათი მცდარი ვარიანტების ამოცნობა, წინადადების სინტაქსური და სემანტიკური ანალიზი.

ბუნებრივია, ორივე სახის ტესტები თემების მიხედვით უნდა იყოს დაჯგუფებული და თემაზე გამოყოფილი ტესტებიდან წინასწარ მითითებული რაოდენობის ამორჩევა მიერ ალბათურად უნდა ხორციელდებოდეს. აქ მნიშვნელოვანია ღია და დახურული ტესტების რაოდენობათა თანაფარდობა. სასურველია, რომ ღია ტესტების რაოდენობა დახურულის ტოლი ან მაქსიმუმ ორჯერ მეტი იყოს. ამავე დროს მნიშვნელოვანია ღია და დახურული ტესტების შეფასების ქულათა შორის სხვაობაც. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიზანშეწონილია დახურულ ტესტზე სწორი პასუხისათვის მისანიჭებელი ქულა საშუალოდ 4-ჯერ ნაკლები იყოს ღიასთან შედარებით. მნიშვნელოვანია ტესტების შინაარსობრივი მხარე. ისინი რთულნი და გავლილი მასალის რელევანტურნი უნდა იყვნენ. ტესტების შინაარსისადმი ზედაპირული მიდგომა გამოცდებისა და სასწავლო პროცესის დისკრედიტაციაა. ორივე სახის ტესტი რამოდენიმე სირთულის უნდა იყოს ფორმირებული. ტრენინგის რეჟიმში სირთულის ერთი დონიდან მეორეზე გადასვლა გარკვეული კრიტერიუმით უნდა ხორციელდებოდეს.

ჩვენს მიერ შემუშავებული და სამრეწველო ექსპლოატაციაშია ცოდნის გამოვლენისა და შეფასების კომპიუტერული პროგრამა - **კიბერგამოცდა**. იგი ჩვენს მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის კომპიუტერული სისტემის ერთერთი შემადგენელი ნაწილია.

”კიბერგამოცდით” გამოცდების მომზადება და ჩატარება შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან შედგება:

1. ამოცანების (ტესტების) მონაცემების ბაზის ფორმირება და ლექსიკონის ორგანიზაცია;
2. ტრენინგის, შუალედური და ფინალური გამოცდის დავალების ფორმირება;
3. სისტემის ფუნქციონირება: ტრენინგი, შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა;
4. გამოცდის მიმდინარეობის ამსახველი ოქმის, საგამოცდო უწყისებისა და სხვა სტატისტიკური ინფორმაციის დაბეჭდვა.

სისტემა მრავალენოვანია. მოცემულ ვერსიაში მრავალენოვანი ვარიანტი - ქართული, ინგლისური, გერმანული, რუსული, რეალიზებულია გამოცდების ფუნქციონალური ბლოკისთვის. ამოცანების ბაზის ფორმირება ლექტორის მიერ ხორციელდება.

თუ ამოცანა დახურული ტიპის ტესტია, მაშინ ამოცანის ტექსტის გარდა ფანჯარაში ჩანს დილაკები სავარაუდო პასუხებით, რომელთაგან სტუდენტმა უნდა ამოარჩიოს სწორი პასუხი(ები). პასუხის სწორად გაცემისას სტუდენტს ემატება ქულა, არასწორად გაცემისას ფანჯარაში გამოდის შეტყობინება პასუხის მცდარობის შესახებ და იწერება სწორი პასუხი. თუ ამოცანაზე ერთზე მეტი სწორი პასუხია გასაცემი, მაშინ ყოველი პასუხის გაცემის შემდეგ გამოდის შეტყობინება დარჩენილი გასაცემი პასუხების რაოდენობის შესახებ.

ღია ტესტის ტიპის ამოცანაში გამოიტანება იმდენი ველი, რამდენი პასუხიცაა გასაცემი. ველები დანუმრულია დასმული კითხვების ნუმერაციის მიხედვით. აუცილებელია სტუდენტმა პასუხი ჩაწეროს შეკითხვის ნომრის პასუხის შესაბამის ველში. ყველა პასუხის დაწერის შემდეგ პასუხების დასაფიქსირებლად ხორციელდება შესაბამის დილაკზე დაწკაპუნება. სისტემა აანალიზებს ჩაწერილი პასუხების სისწორეს და პასუხის დაფიქსირებამდე გამოაქვს გამაფრთხილებელი შეტყობინები. შეტყობინებების მიხედვით სისტემა ითხოვს დაზუსტებას ან სურს თუ არა სტუდენტს ჩაწეროს გაუცემებელი პასუხები ან სხვა. სწორად გაცემისას სტუდენტს ემატება ქულა, არასწორად გაცემისას კი - არა და გამოიტანება პასუხის სწორი ვარიანტი. დილაკზე <შემდეგი> დაწკაპუნებით ხდება შემდეგ ამოცანაზე გადასვლა. შეიძლება გამოტოვებულ იქნეს ამოცანები. სისტემა მათზე დაბრუნდება.

თუ ამოცანა ილუსტრირებულია გრაფიკით ან ვიდეოთი, მაშინ ფანჯრის მარჯვენა მხარეს გამოვა შესაბამისი სურათი ან ვიდეო. მასზე დაწკაპუნებით გამოსახულება დიდება ან უბრუნდება პირვანდელ ზომებს.

გამოცდის დამთავრება ხდება: სტუდენტის ინიციატივით ან ყველა ამოცანაზე პასუხის გაცემისას ან დროის ლიმიტის ამოწურვისას. ყველა შემთხვევაში გამოდის დეტალიზებული ინფორმაცია გამოცდის ჩაბარების შესახებ: სტუდენტის მიერ მიღებული ქულა, სწორად, ნაწილობრივად სწორად, არასწორად გაცემული, გამოტოვებული ამოცანების რაოდენობა, გამოცდის დამთავრების მიზეზი. გამოცდის შედეგების განთავსება ხორციელდება RIA ტექნოლოგიით რეალიზებულ საიტზე.

სისტემის ტექნიკური საფუძველი: ლოკალური გამოთვლითი ქსელი, ინტერნეტი, სტანდარტული კონფიგურაციის კომპიუტერები, ხოლო საერთოსისტემური პროგრამული უზრუნველყოფა: WINDOWS XP და შემდგომი მოდიფიკაციები, OFFICE 2007/2010, SQL Server 2005 ან SQL Server 2008, WINDOWS Server 2008.

სისტემა დანერგულია თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში "გორგასალი", თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

ლიტერატურა:

Т. Мунджишвили, Л. Меладзе, Система электронного планирования и управления учебным процессом. Труды XII Международной научно-практической конференции молодых ученых, студентов и аспирантов. Санкт-Петербург. Издательство СЗТУ, 2011. 7 стр.

KNOWLEDGE REVEAL AND ASSESSMENT ELECTRONIC SYSTEM "CYBER TEST"

Tea Munjishvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

Lekso Meladze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Master student, Georgia Revenue

Service

RESUME

The work deals with the analysis of the shown program systems with its positive and negative sides. It is shown the area of their utilization. There is formed the electrical system of showing and appreciating the knowledge. It is the electrical system "Cyber Test". It is the part of the educational process how to plan and organize it. The system foresees the trainings of intermediate and final tests in the several subjects and languages at the same time. The principle of the informational system is the base of the open and closed tests. The subject tests represent the themes which are foreseen by the syllabus. To sign in the tests illegally is blocked by the special encryption algorithm of the tests. During the tests is being executing to put tests into probability, in the open type tests there are answers of the words in different case and conjugation, to guess their false variants. Syntactical and semantic analysis of the sentences.

MATTER FIELDS IN THE STANDING WAVE BRANEWORLD

Pavle Midodashvili, Ilia State University, Associate Professor

E-mail: pmidodashvili@yahoo.com

Levan Midodashvili, Gori Teaching University, Full Professor

Merab Gogberashvili, Andronikashvili Institute of Physics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

The scenario where our world is associated with a brane embedded in a higher dimensional space-time with non-factorizable geometry [1,2] has attracted a lot of interest with the aim of solving several open questions in modern physics. Most of these models were realized as time independent field configurations. However, there have appeared several braneworld models that assumed time-dependent metrics and fields [3]. Here we consider the braneworld scenario with non-stationary metric coefficients recently proposed in [4]. The braneworld is generated by 5D standing gravitational waves coupled to a phantom-like scalar field in the bulk. A key requirement for realizing the braneworld idea is that the various bulk fields be localized on the brane. For reasons of economy and avoidance of charge universality obstruction [5] one would like to have a universal gravitational trapping mechanism for all fields. However, there are difficulties to realize such mechanism with exponentially warped space-times. In the existing (1+4)-dimensional models spin 0 and spin 2 fields can be localized on the brane with the decreasing warp factor [2], spin 1/2 field can be localized with the increasing factor [6], and spin 1 fields are not localized at all [7]. For the case of (1+5)-dimensions it was found that spin 0, spin 1 and spin 2 fields are localized on the brane with the decreasing warp factor and spin 1/2 fields again are localized with the increasing factor [8]. There exist also 6D models with non-exponential warp factors that provide gravitational localization of all kind of bulk fields on the brane [9], however, these models require introduction of unnatural sources.

As it was mentioned in [4] standing wave braneworld model can provide universal gravitational trapping of zero modes of all kind of fields in case of rapid oscillations of standing gravitational waves in the bulk. To understand the idea we want to remind that standing electromagnetic waves, so called optical lattices, can provide trapping of various particles by scattering and dipole forces [10]. In [11] localization was demonstrated through quadruple forces as well. It is known that the motion of test particles in the field of a gravitational wave is similar to the motion of charged particles in the field of an electromagnetic wave [12]. Thus standing gravitational waves could also provide confinement of matter via quadruple forces. As a classical example let us consider the equations of motion of the system of spinless particles in the quadruple approximation [13],

$$\frac{Dp^\mu}{ds} = F_{quad}^\mu = -\frac{1}{6} J^{\alpha\beta\gamma\delta} D^\mu R_{\alpha\beta\gamma\delta} , \tag{1.1}$$

where p^μ is the total momentum of the matter field and $J^{\alpha\beta\gamma\delta}$ is the quadruple moment of the stress-energy tensor for the matter field. The oscillating metric due to gravitational waves should induce a quadruple moment in the matter fields. If the induced quadruple moment is out of phase with the gravitational wave the system energy increases in comparison with the resonant case and the fields/particles will feel a quadruple force, F_{quad}^μ , which ejects them out of the high curvature region, i.e. it would localize them at the nodes.

Earlier in the paper [14] we had shown that standing gravitational waves induced by the brane in the bulk really can localize scalar and tensor field zero modes on the brane even for the case of exponentially increasing warp factor. Here we present investigation of vector field localization problem and explicitly show that the standing wave braneworld metric provides pure gravitational localization of vector field zero modes on the brane.

The metric of the model [4] in the case of increasing warp factor has the form:

$$ds^2 = e^{2a|r|} \left[dt^2 - e^{u(t,r)} (dx^2 + dy^2) - e^{-2u(t,r)} dz^2 \right] - dr^2 . \tag{1.2}$$

Here $a = \sqrt{\Lambda/6} > 0$ (Λ is 5D cosmological constant) and

$$u(t, r) = B \sin(\omega t) e^{-2a|r|} Y_2 \left(\frac{\omega}{a} e^{-a|r|} \right), \quad (1.3)$$

where B is a constant, ω denotes the oscillation frequency of the standing wave, and Y_2 is second order Bessel function of the second kind. The solution(1.2)describes the positive tension brane at $r=0$, which undergoes anisotropic oscillations and sends waves into the 'sea' of phantom-like scalar field in the bulk.

The r -dependent factor of the metric function (1.3) has finite number of zeros along the extra coordinate axis, which form the nodes of the standing wave. These nodes can be considered as 4D space-time 'islands', where the matter particles can be bound [4]. One of nodes of the standing wave must be located at the position of the brane. This can be achieved by imposing the condition:

$$Y_2 \left(\frac{\omega}{a} \right) = 0, \quad (1.4)$$

which fixes the ratio of the standing wave frequency ω to the curvature scale a .

For simplicity in this paper we investigate only the $U(1)$ vector field, the generalization to the case of non-Abelian gauge fields is straightforward. The action of vector field is:

$$S_{Vector} = -\frac{1}{4} \int d^5x \sqrt{g} g^{MN} g^{PR} F_{MP} F_{NR}, \quad (1.5)$$

where capital Latin indexes refer to 5D space-time, $F_{MP} = \partial_M A_P - \partial_P A_M$ is the 5D vector field tensor, and $g = e^{8a|r|}$ is the determinant of the metric (1.2). The action(1.5)gives the system of five equations:

$$\frac{1}{\sqrt{g}} \partial_M \left(\sqrt{g} g^{MN} g^{PR} F_{NR} \right) = 0. \quad (1.6)$$

Let us seek for the solution to the system(1.6)in the form:

$$\begin{aligned} A_t(x^C) &= \rho(r) a_t(x^\nu), \quad A_x(x^C) = e^{u(t,r)} \rho(r) a_x(x^\nu), \\ A_y(x^C) &= e^{u(t,r)} \rho(r) a_y(x^\nu), \quad A_z(x^C) = e^{-2u(t,r)} \rho(r) a_z(x^\nu), \quad A_z(x^C) = 0. \end{aligned} \quad (1.7)$$

where $u(t, r)$ is the oscillatory metric function (1.3), $a_\mu(x^\nu)$ denote the components of 4D vector potential (Greek letters are used for 4D indices) and scalar factor $\rho(r)$ depends only on the extra coordinate r . The last expression in(1.7) is in fact the 5D gauge condition.

We require existence of flat 4D vector waves localized on the brane,

$$a_\mu(x^\nu) \propto \varepsilon_\mu e^{i(Et + p_x x + p_y y + p_z z)}, \quad (1.8)$$

where E, p_x, p_y, p_z are components of energy-momentum along the brane. Solutions of this kind exist only on the brane, where $u = 0$, and in the case when ω is much larger than frequencies associated with the energies of the particles on the brane, i.e. $\omega \gg E$. For such high frequencies of bulk standing waves we can perform time averaging of oscillatory functions in(1.6). Taking into account the equalities for time averages [14]

$$\langle u \rangle = \langle u' \rangle = \left\langle \frac{\partial u}{\partial t} \right\rangle = \left\langle \frac{\partial u}{\partial t} e^{-u} \right\rangle = 0, \quad (1.9)$$

where the prime denotes the derivative with respect to the extra coordinate r , time averaging of the fifth equation of the system (1.6),

$$\partial_\alpha (g^{\alpha\beta} A'_\beta) = 0, \quad (1.10)$$

gives the Lorenz-like gauge condition

$$g^{\alpha\beta} \partial_\alpha A_\beta = \eta^{\alpha\beta} \partial_\alpha a_\beta = 0, \quad (1.11)$$

where $\eta^{\alpha\beta}$ denotes the metric of 4D Minkowski space-time. The equation (1.11) together with the last expression of (1.7) can be considered as the full set of imposed gauge conditions.

Using the condition(1.11), time averages of remaining four equations of the system (1.6) reduce to:

$$\rho g^{\alpha\beta} \partial_\alpha \partial_\beta a_\mu + e^{-2a|r|} \left(e^{2a|r|} \rho' \right)' a_\mu = 0. \quad (1.12)$$

In the case of the zero mode (1.8) the system (1.12) gives the single equation for $\rho(r)$:

$$(e^{2a|r|} \rho')' - F(r) \rho = 0, \quad (1.13)$$

where

$$F(r) = (\langle e^{-u} \rangle - 1)(p_x^2 + p_y^2) + (\langle e^{2u} \rangle - 1)p_z^2. \quad (1.14)$$

Using time averages of exponential metric functions calculated in [14] and making the change

$$\rho(r) = e^{-a|r|} \psi(r), \quad (1.15)$$

we put the equation (1.13) into the form of a non-relativistic quantum mechanical problem:

$$\psi''(r) - U(r)\psi(r) = 0, \quad (1.16)$$

where the potential $U(r) = 2a\delta(r) + a^2 + e^{-2a|r|} F(r)$ is continuous function.

FIG. 1 shows behaviour of $U(r)$ for the first zero of the Bessel function Y_2 , i.e.

when $\frac{\omega}{a} \approx 3.38$.

To determine general behaviour of extra dimension factor of the vector field zero modes, $\rho(r)$, we explore the equation (1.16) in the two limiting regions: far from and close to the brane. Far from the brane for the extra factor of the wave function (1.15) we obtain:

$$\rho(r) \Big|_{r \rightarrow \pm\infty} \propto e^{-2a|r|}. \quad (1.17)$$

In the second limiting region $r \rightarrow \pm 0$, i.e. close to the brane, the scalar factor will

behave as:

$$\rho(r) \Big|_{r \rightarrow \pm 0} = \frac{D\sqrt{\pi}c^{1/4}}{\Gamma\left(\frac{3}{4} + \frac{a^2}{4c}\right)} \left[1 + \frac{c^2 r^4}{12} - \frac{ac^2 |r|^5}{30} + O(r^6) \right]. \quad (1.18)$$

So the extra factor $\rho(r)$ of the vector field zero mode wave function has maximum at $r=0$, falls off from the brane and turns into the asymptotic form (1.17) at the infinity. For this zero mode solution the integrals over r of extra dimension factors in the action (1.5) are convergent. This fact means that 4D vector fields are localized on the brane, since the integration of 5D action (1.5) over r will give the effective 4D action. To conclude, we have explicitly shown the existence of normalizable zero modes of gauge bosons on the brane in the 5D standing wave braneworld model with increasing warp factor.

Acknowledgments: The research of Pavle Midodashvili and Merab Gogberashvili was supported by the grant of Georgian National Science Foundation #GNSF/ST09_798_4-100.

References

1. N. Arkani-Hamed, S. Dimopoulos and G. Dvali. The Hierarchy Problem and New Dimensions at a Millimeter. - Phys. Lett., B 429 (1998) 263; arXiv: hep-ph/9803315.
2. a) M. Gogberashvili. Hierarchy problem in the shell-Universe model. - Int. J. Mod. Phys., D 11 (2002) 1635; arXiv: hep-ph/9812296.
b) L. Randall and R. Sundrum. A Large Mass Hierarchy from a Small Extra Dimension. - Phys. Rev. Lett., 83 (1999) 3370; arXiv: hep-ph/990522.
3. M. Gutperle and A. Strominger. Spacelike Branes. - JHEP, 0204 (2002) 018; arXiv: hep-th/0202210.
4. M. Gogberashvili and D. Singleton. Anti-de-Sitter Island-Universes from 5D Standing Waves. - Mod. Phys. Lett., A 25 (2010) 2131; arXiv: 0904.2828 [hep-th].
5. S.L. Dubovsky, V.A. Rubakov and P.G. Tinyakov. Is the electric charge conserved in brane world? - JHEP, 0008 (2000) 041; arXiv: hep-ph/0007179.
6. B. Bajc and G. Gabadadze. Localization of Matter and Cosmological Constant on a Brane in Anti de Sitter Space. - Phys. Lett., B 474 (2000) 282; arXiv: hep-th/9912232.
7. A. Pomarol. Gauge bosons in a five-dimensional theory with localized gravity. - Phys. Lett., B 486 (2000) 153; arXiv: hep-ph/9911294.
8. I. Oda. Bosonic Fields in the String-like Defect Model. - Phys. Rev., D 62 (2000) 126009; arXiv: hep-th/0008012.
9. M. Gogberashvili, P. Midodashvili and D. Singleton. Fermion Generations from "Apple-Shaped" Extra Dimensions. - JHEP, 0708 (2007) 033; arXiv: 0706.0676 [hep-th].
10. W.D. Phillips. Laser cooling and trapping of neutral atoms. - Rev. Mod. Phys., 70 (1998) 721.
11. N. Moiseyev, M. Sindelka and L.S. Cederbaum. Trapping of cold atoms in optical lattices by the quadrupole force. - Phys. Lett., A 362 (2007) 215.

12. D. Baskaran and L.P. Grishchuk. Components of the gravitational force in the field of a gravitational wave. - Class. Quant. Grav., 21 (2004) 4041; arXiv: gr-qc/0309058.
13. W.G. Dixon. Dynamics of extended bodies in General Relativity. I. Momentum and angular momentum. - Proc. R. Soc. London, A 314 (1970) 499.
14. M. Gogberashvili, P. Midodashvili and L. Midodashvili. Localization of scalar and tensor fields in the standing wave braneworld with increasing warp factor. - Phys. Lett., B 702 (2011) 276.

ABSTRACT

We present the problem of localization of gauge fields within the 5D standing wave braneworld model and show that in the case of increasing warp factor there exist normalizable vector field zero modes on the brane.

GIF ანიმაციის რეალიზაციის მოდელი

ბიძინა მიდოდაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: bidmid@hotmail.com

პავლე მიდოდაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: midodashvili@hotmail.com

ლევან მიდოდაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: levmid@hotmail.com

ნიკოლოზ მიდოდაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, საგამოცდო ცენტრის
სპეციალისტი
E-mail: nikamid@yahoo.com

რასტრული გამოსახულების ფორმატიდან, რომლის მხარდაჭერაც გააჩნია GDI+ კლასს, მხოლოდ GIF (Graphic Interchange Format) და TIFF (Tag Image File Format) ფორმატები იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთ ფაილში იქნეს შენახული რამდენიმე განსხვავებული სურათი (კადრი), აგრეთვე ინფორმაცია ამ სურათების წარმოსახვის წესის შესახებ (1). თუ ზემოაღნიშნული სურათები ასახავს გარკვეული სიუჟეტის დროში მცირედ წანაცვლებულ მომენტებს, მათი წარმოსახვით იქმნება ანიმაციის ეფექტი, რასაც GIF ანიმაციას უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ GDI+ კლასს არ გააჩნია ანიმაციური GIF გამოსახულების შექმნის მხარდაჭერა. მიუხედავად ამისა, რიგი ავტორების მიერ შემუშავებულია .NET დამუშავების გარემოში GIF ანიმაციის შექმნის სხვადასხვა მექანიზმები (2,3).

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ერთი კონკრეტული მოდელი, რომლის საშუალებითაც Microsoft.NET დამუშავების გარემოში შესაძლებელია GIF ფორმატის ისეთი მრავალსურათიანი ფაილების შექმნა, რომელთა წარმოსახვისას მიიღება ანიმაციური GIF გამოსახულება.

ამ მოდელში GIF ფორმატის ფაილის სტრუქტურა წარმოდგენილია მონაცემთა შემდეგი დამოუკიდებელი ბლოკების სახით:

1. **ლოგიკური ეკრანის დესკრიპტორი:** მისი საშუალებით აღიწერება კომპიუტერის რეალური ეკრანის ის არე, რომელზეც ხორციელდება მოცემული GIF გამოსახულების ყველა სურათის (კადრის) წარმოსახვა. დესკრიპტორში მიეთითება ეკრანის აღნიშნული არის ზომები (სიმაღლე და სიგანე) და მდებარეობა ეკრანზე, აგრეთვე ფონის ფერის ნომერი და ინფორმაცია ფერთა გლობალური პალიტრის არსებობის ან არ არსებობის შესახებ, ასევე ამ პალიტრის ზომა მისი არსებობის შემთხვევაში. აქვე მითითებულია გამოსახულების ფერთა გარჩევადობა - ბიტების რაოდენობა სამი ძირითადი ფერიდან თითოეულზე, რომელიც წარმოდგენილ მექანიზმში 7-ის ტოლია. გარდა ამისა, ლოგიკური ეკრანის დესკრიპტორში მიეთითება, არის თუ არა დახარისხებული ფერთა პალიტრა ფერების მნიშვნელობის მიხედვით. ფერთა მნიშვნელობა განისაზღვრება გამოსახულებაში ამ ფერების მიერ დაკავებული ფართების თანაფარდობით. წარმოდგენილ მოდელში ფერთა გლობალური პალიტრა დახარისხებული არ არის.
2. **ფერთა გლობალური პალიტრა:** იმის გამო, რომ გამოსახულება GIF ფორმატში შესაძლებელია შეიცავდეს არაუმეტეს 8 ბიტისა ერთ პიქსელზე, ასეთ გამოსახულებებში გამოყენებული ფერების

მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება 256-ს ($2^8=256$) (4). ეს ფერები განისაზღვრება გლობალური პალიტრით, რომელიც იწყება უშუალოდ ლოგიკური ეკრანის დესკრიპტორის შემდეგ და შედგება ე.წ. ტრიადებისაგან, რომლებიც, თავის მხრივ შედგება სამი ძირითადი ფერის (წითელი, მწვანე, ლურჯი) შესაბამისი ბაიტებისაგან. გლობალური პალიტრა მოქმედებს ყველა იმ სურათზე, რომელსაც არ გააჩნია თავისი საკუთარი ფერთა ლოკალური პალიტრა.

- 3. გამოსახულების დესკრიპტორი:** იგი განთავსებულია გრაფიკული ბლოკის წინ და უზრუნველყოფს სურათის წარმოსახვას. მასში მითითებულია სურათის ზომები (სიგანე და სიმაღლე) და მისი მდებარეობა ლოგიკურ ეკრანზე, აგრეთვე ინფორმაცია ფერთა ლოკალური პალიტრის არსებობის ან არ არსებობის შესახებ და მისი არსებობის შემთხვევაში - ლოკალური პალიტრის ზომა. გარდა ამისა, გამოსახულების დესკრიპტორში მეითითება, არის თუ არა დახარისხებული ფერთა ლოკალური პალიტრა ფერების მნიშვნელობის მიხედვით. წარმოდგენილ მექანიზმში ფერთა ლოკალური პალიტრა დახარისხებული არ არის. გამოსახულების დესკრიპტორსა და გრაფიკულ ბლოკს შორის შესაძლოა განთავსდეს მხოლოდ ფერთა ლოკალური პალიტრა.
- 4. ფერთა ლოკალური პალიტრა:** იგი განთავსებულია გამოსახულების დესკრიპტორის შემდეგ და მოქმედებს მხოლოდ უშუალოდ მის მომდევნო გრაფიკულ ბლოკზე.
- 5. გრაფიკული ბლოკი:** იგი წარმოდგენს LZW (Lempel-Ziv-Welch) ალგორითმზე დაფუძნებული კომპრესიის მეთოდით შეკუმშულ სურათს და შედგება 255 ბაიტისანი ქვებლოკებისაგან. სურათების რაოდენობა ფაილში ისევე, როგორც თითოეული სურათის ზომა, არ არის შემოსაზღვრული. ანიმაციის ეფექტის შესქმნელად ფაილში განთავსებული უნდა იყოს ერთზე მეტი სურათი. ასეთ შემთხვევაში გამოსახულების წარმოსახვისას, მაგალითად ინტერნეტ ბრაუზერის საშუალებით, მიიღება GIF ანიმაცია.

მონაცემთა ზემოაღნიშნული ბლოკების გარდა, GIF ფორმატის ფაილის სტრუქტურა წარმოდგენილ მოდელში მოიცავს რიგ გაფართოებებს:

- 1. გრაფიკის მართვის გაფართოება,** რომელიც შემოტანილია GIF89a ვერსიისათვის და რომლის მოქმედებაც ვრცელდება უშუალოდ მის მომდევნო გრაფიკულ ბლოკზე (სურათზე). მისი საშუალებით განისაზღვრება შემდეგი პარამეტრები:
 - ეკრანზე ერთი სურათის (კადრის) წარმოსახვის დრო, რომელმაც შესაძლოა მიიღოს 1/100 წამიდან 665 წამამდე მნიშვნელობები;
 - გამჭვირვალე ფერის ნომერი, რომელიც წარმოადგენს ფერთა ლოკალური პალიტრის ერთერთი ფერის ნომერს;
 - სურათის შეცვლის ხერხის ჩამონათვალის მნიშვნელობა, რომელიც წარმოდგენილ მოდელში 1-ის ტოლია. ასეთ შემთხვევაში სურათის ცვლილება ხორციელდება მომდევნო სურათის ზედდებით არსებულ სურათზე.
- 2. Netscape დანართის გაფართოება,** რომელიც განთავსებულია ფერთა გლობალური პალიტრის შემდეგ და განსაზღვრავს ანიმაციის ციკლების რაოდენობას. წარმოდგენილ მოდელში მისი მნიშვნელობაა 0, რაც შეესაბამება ანიმაციის უწყვეტად გაგრძელებას.

წარმოდგენილ მოდელში GIF ფორმატის ფაილის ზემოაღნიშნულ სტრუქტურულ ბლოკებსა და გაფართოებებში სათანადო მონაცემების განთავსება ხორციელდება ავტორთა მიერ შემუშავებული Animatori ბიბლიოთეკის Encoder კლასიდან რეალიზებული ობიექტის Encode, AddNextFrame, StopEncoding და SetDelayTime მეთოდების საშუალებით. Encode მეთოდი პარამეტრის სახით იღებს String-ის ტიპის სიდიდეს, რომლითაც განისაზღვრება შესაქმნელი GIF ფორმატის ფაილის სრული სახელწოდება (ანუ ფაილის მისამართი მყარ დისკზე .GIF გაფართოების მითითებით). AddNextFrame მეთოდი პარამეტრის სახით იღებს მასივში განთავსებულ სურათს და ახორციელებს ფაილში მის დამატებას. თუმცა სურათის დამატება, რეალურად, არ ხორციელდება მომდევნო სურათის მიღებამდე, იმ მიზნით, რომ გრაფიკის მართვის გაფართოებაში ჩაიწეროს ეკრანზე ერთი სურათის წარმოსახვის დრო. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ განისაზღვრება SetDelayTime მეთოდის Integer ტიპის პარამეტრით და მისი სიდიდე წამებში მოიცემა აღნიშნული პარამეტრის 1000-ზე გაყოფით. StopEncoding მეთოდით ხდება ბუფერის გათავისუფლება მონაცემებისაგან და ყველა სურათის გადატანა მყარ დისკზე შექმნილ GIF ფორმატის ფაილში.

ლიტერატურა:

1. GDI+: графика нового поколения. Часть 2. Работа с растрами и графическими файлами. Виталий Брусенцев, <http://www.rsdn.ru/article/gdi/gdiplus2mag.xml>;
2. NGif, Animated GIF Encoder for .NET. <http://www.codeproject.com/KB/GDI-plus/NGif.aspx>;

3. HOWTO: create an animated GIF using .Net (C#). Rick van den Bosch, <http://bloggingabout.net/blogs/rick/archive/2005/05/10/3830.aspx>;
4. GDI+ GIF files are saved using the 8-bpp format, <http://support.microsoft.com/default.aspx?scid=kb;en-us;Q318343>.

ON ONE MODEL OF REALIZATION OF GIF ANIMATION

Bidzina Midodashvili, Gori Teaching University, Full Professor

Pavle Midodashvili, Ilia State University, Associate Professor

Levan Midodashvili, Gori Teaching University, Full Professor

Nikoloz Midodashvili, Gori Teaching University, Specialist of the Examination Centre

ABSTRACT

In this work we offer one concrete model for producing in Microsoft .NET developer environment multiframe GIF files, which display results in GIF animation.

ლოკალური ალგორითმების პარალელური რეალიზაცია

იბრაიმ დიდმანიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: ibraimd@mail.ru

ზურაბ მეგრელიშვილი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

გრიგოლ კახიანი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

დიდარი დიდმანიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ცნება პარალელური დამუშავება (გამოთვლა) არ არის ახალი. აპარატურული საშუალებების შემუშავებლები მუშაობდნენ პარალელიზმის პრობლემებზე ჯერ კიდევ ფონ ნეიმანის დროს. მართლაც ფონ ნეიმანური ტიპის მანქანების ადრეულ პროექტებში განიხილებოდა პარალელური მუშაობის სხვადასხვა თვისებები.

ერთპროცესიანი ეგმ-ის მუშაობა ხასიათდება ცალკეული ბრძანებების მიმდევრობით შესრულებით. ყოველი ბრძანება შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი ოპერაცია უნდა შესრულდეს ოპერაციების მოცემული სიმრავლიდან, ასევე შეიცავს ინფორმაციას, თუ მეხსიერების რომელი უჯრედიდან უნდა იქნას აღებული ოპერაციის არგუმენტები და რომელ უჯრედში უნდა იქნას მოთავსებული შედეგი.

პროცესორის არქიტექტურაში და ფუნქციონირების პროცესის ორგანიზაციაში ძვეს ცალკეული ბრძანებების თანმიმდევრულად შესრულების პრინციპი. ამიტომ ასეთ ეგმ-ებს უწოდებენ მიმდევრობითს.

ეგმ-ის სწრაფქმედება დღემდე ვითარდებოდა ძირითადად მისი ლოგიკური ელემენტების ხარჯზე, მაგრამ სიჩქარის შემდგომი გაზრდა ამ გზით გახდა შემოსაზღვრული.

ამ სიტუაციიდან გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას გამოთვლითი სისტემა პრინციპულად სხვა არქიტექტურით, ვიდრე კლასიკური ერთპროცესორიანი ეგმ.

როგორც არ უნდა იყოს მოწყობილი პარალელური გამოთვლითი სისტემები, ყველა მათგანს აქვს ერთი განსაკუთრებული თვისება. კერძოდ, დროის ყველა მომენტში ინფორმაციის გადამუშავება შეიძლება განხორციელდეს ბევრ ფუნქციონალურ მოწყობილობაზე ერთდროულად, თანაც ყოველ მოწყობილობაზე მოცემულ მომენტში ინფორმაცია გადამუშავდება სხვებისაგან დამოუკიდებლად. ეს იმას ნიშნავს: იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ალგორითმის რეალიზება პარალელურ სისტემაზე იგი უნდა წარმოვადგინოთ ოპერაციების მიმდევრობითი ჯგუფის სახით. ერთი ჯგუფის ყველა ოპერაცია უნდა იყოს დამოუკიდებელი და ქონდეთ შესაძლებლობა შესრულებული იქნას ერთდროულად არსებული ფუნქციონალური მოწყობილობების სისტემაში.

ვთქვათ ალგორითმის ოპერაციები დაყოფილია ჯგუფებად, რომლებიც დალაგებული არიან ისე, რომ ნებისმიერი ჯგუფის ყოველი ოპერაცია დამოკიდებულია ან ალგორითმის საწყის მონაცემებზე, ან წინა შესრულებული ოპერაციის შედეგებზე. ალგორითმების ასეთი სახით წარმოდგენას ეწოდება ალგორითმის პარალელური ფორმით წარმოდგენა.

ლოკალური ალგორითმი ეს ისეთი ალგორითმია, რომელშიც ყოველ ნაბიჯზე გამოთვლის შედეგი განისაზღვრება ინფორმაციით, რომელიც მიღებულია მოცემული ელემენტის მხოლოდ უშუალო ლოკალური გარემოდან, ე.ი. ერთ ალგორითმში, ცალკეულ ადგილებში ხდება ერთდროულად გამოთვლები სხვა ადგილებში მიღებული შედეგების დამოუკიდებლად.

გრაფში ნებისმიერი წვეროს ლოკალურ გარემოში იგულისხმება ის სიმრავლე, რომელიც შედგება თვით ამ წვეროსაგან და მისი ყველა მოსაზღვრე წვეროებისაგან.

ე.ი. ლოკალურ ალგორითმებში გრაფის ყველა წვეროს შეუძლია ისარგებლოს ინფორმაციით, რომელიც მიღებულია მხოლოდ მისი მოსაზღვრე წვეროებისაგან.

ლოკალური ალგორითმების შესწავლა პირველად დაიწყო ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში ი.ი. ჟურავლიოვის მიერ.

პარალელური გამოთვლა ეს ისეთი გამოთვლაა, როდესაც სისტემის სხვადასხვა ადგილას ხდება ინფორმაციის დამუშავება და ერთი სახის ინფორმაციის დამუშავება ხელს არ უშლის მეორე სახის ინფორმაციის დამუშავებას სისტემის სხვა ნაწილში.

ყველანაირი ალგორითმი არ ექვემდებარება პარალელურ გამოთვლებს. სწორედ პარალელურ გამოთვლებს ექვემდებარება ლოკალური ალგორითმი.

ე.ი. თუ გვინდა რაიმე ამოცანის პარალელური რეალიზება, საჭიროა ჯერ შევიშუშავოთ მისი ლოკალური ალგორითმი.

რადგან პარალელური გამოთვლების დროს ხდება ინფორმაციის დამუშავება ერთდროულად სისტემის სხვადასხვა ადგილას, საჭირო ხდება ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთს შორის. სწორედ პარალელური გამოთვლების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მოცემულ ელემენტსა და მის ლოკალურ გარემოს შორის ინფორმაციის გაცვლა.

იმისათვის, რომ ცხადად და საკმაოდ მკაცრად აღწეროთ ლოკალური ალგორითმები, შემოტანილია ლოკალური ალგორითმების ნახევრადფორმალიზებული ენა LOKALG.

LOKALG ნახევრადფორმალიზებულ ენაში გამოიყენება კარგად ცნობილი მათემატიკისა და პროგრამირების ენის ტრადიციული კონსტრუქციები ბუნებრივ ენასთან შეხამებით.

ენა LOKALG განსაზღვრულია ალგორითმების ნახევრადფორმალიზებული აღწერისათვის; იგი არ ითვლება პროგრამირების ენად, ხოლო ლოკალური ალგორითმები აღწერილი ამ ენაზე, არ არის პროგრამა ეგმ-სათვის, მაგრამ LOKALG ენაზე აღწერილი ალგორითმები ადვილად შეგვიძლია გადავიყვანოთ პროგრამირების რომელიმე ენაზე.

ლოკალურ გამოთვლებში ნებადართულია მხოლოდ ლოკალური ოპერატორების გამოყენება.

არსებობს ლოკალური ოპერატორების ორი სახე - სინქრონული და ასინქრონული.

სინქრონული ლოკალური ოპერატორების მოქმედება განისაზღვრება როგორც ერთდროულად გამოთვლა ფუნქციისა, რომელიც მიწერილია მმართველი სივრცის რაღაც წერტილთა სიმადლეზე. წერტილთა ამ სიმრავლეს ეწოდება ლოკალური ოპერატორების მოქმედების არე. ვთვლით, რომ ყველა ფუნქცია, რომელიც მიწერილია ლოკალური ოპერატორის მოქმედების არის წერტილებზე, გამოითვლება პირობითი დროის ერთი ტაქტის განმავლობაში.

ასინქრონულ შემთხვევაში, ლოკალური ოპერატორის მოქმედების არის წერტილებს მიწერილი აქვთ ალგორითმული მოდული, რომელთაც აქვთ განვითარების საკუთარი დრო და ფუნქციონირებენ სხვა წერტილების მოდულებისაგან დამოუკიდებლად. ოპერატორი ითვლება შესრულებულად, თუ მოხდა ყველა იმ ალგორითმის გაჩერება, რომლებისგანაც შედგება ოპერატორი.

LOKALG ენაზე ჩაწერის დროს ასინქრონულ ოპერატორებს თავის სათაურში აქვთ ასინქრონულობის მაჩვენებელი. თუ ასეთი მაჩვენებელი არ აქვს, მაშინ ნიშნავს, რომ არის სინქრონული ვარიანტი. თუ პროგრამას აქვს ასინქრონულობის მაჩვენებელი, მაშინ იგულისხმება, რომ ყველა ოპერატორი, რომლებისგანაც შედგება პროგრამა, ასინქრონულია და ამ შემთხვევაში მათ შეიძლება არ მივუწეროთ ასინქრონულობის მაჩვენებელი.

ლოკალური ალგორითმი წარმოადგენს ლოკალური ოპერატორების თანმიმდევრობას.

ლოკალურ ალგორითმში, ლოკალური ოპერატორების გარდა, ბაზური ოპერაციის სახით გამოთვლების მიმდინარეობის მართვისათვის დასაშვებია ლოკალური პირობის გამოყენება.

ლოკალური პირობა (ლოკალური პრედიკატი) - ეს არის ლოკალური ოპერატორი, რომლის მოქმედების არე არის ერთი კონკრეტული წერტილი და რომელიც ღებულობს მნიშვნელობას ვექტორში ან ვმცდარი.

გრაფი ძალიან მოხერხებული აღმოჩნდა ლოკალური ალგორითმების პარალელური რეალიზაციისათვის.

ლიტერატურა:

1. Бандман О.Л. Асинхронная интерпретация параллельных микропрограмм. Новосибирск 1991.
2. Вальковский . В.А. Лекции по параллельному программированию. Новосибирск 1992.
3. Прангишвили И.В., Виленкин С.Я., Медведев И.Л., Параллельные вычислительные системы с общим управлением. М., энергоатомиздат 1993.

PARALLEL REALIZATION OF LOCAL ALGORITHMS

Ibraim Didmanidze, Shota Ruastaveli State University, Full Professor
Zurab Megrelishvili, Shota Ruastaveli State University, Full Professor
Grigol Kakhiani, Shota Ruastaveli State University, Assistant Professor
Didari Didmanidze, Shota Ruastaveli State University, Ph.D student

RESUME

For parallel realization of local algorithm, the graphs appeared the most suitable. The local algorithm is the sequence of local operators. There are two types of local algorithms: synchronous and asynchronous.

The article considers the principles of synchronous and asynchronous variants for parallel realization of local algorithms.

САМООРГАНИЗАЦИЯ В ДИСКРЕТНЫХ МАРКОВСКИХ СИСТЕМАХ

Валентин Мдзинаришвили, Доктор Горийского учебного Университета

1. Ветвящийся процесс.

Теория ветвящихся процессов началась с процесса Гальтона-Ватсона [1]. Этот процесс можно сформулировать так: если каждый мужской представитель имеет в семье X сыновей, где случайная величина X имеет распределение с производящей функцией $F(s)$ и эта же ситуация имеет место в последующих поколениях, то какова вероятность того, что фамилия вырождается. Задачу Гальтона-Ватсона невозможно иллюстрировать в общем случае т.е. для распределения случайной величины X с производящей функцией $F(s)$ произвольного вида. Поэтому результаты будем излагать в терминах конкретного распределения, а именно, геометрического распределения.

Среднее количество индивидуумов в роду равно $N = \sum_{n=0}^{\infty} s_n n$. Общее их количество можно вычислить как сумму одного (первого) индивидуума и общего количества индивидуумов во всех родах потомков первого поколения. Поскольку каждый потомок подобен первому индивидууму, то среднее количество индивидуумов в их родах должно равняться N . Это означает, что число рожденных индивидуумов первого поколения равно k . Поэтому общее среднее количество индивидуумов (не считая родоначальника) равно kN . Значит, если N конечно, то

$$N = 1 + \sum p_k kN = 1 + MN, \quad (1)$$

где p_k - вероятность рождения в семье k мальчиков, а M представляет среднее значение количества индивидуумов данной фамилии

$$M = (1-a) \sum_{k=0}^{\infty} ka^k = \frac{a}{1-a}. \quad (2)$$

Параметр $a(0 < a < 1)$ является основным показателем плотности вероятности геометрического распределения

$$p_k = (1-a)a^k, \quad k = 0, 1, 2, \dots \quad (3)$$

Из (1) вытекает, что

$$N = \frac{1}{1-M} \quad (4)$$

Выражение (4) показывает, что N конечно, если $M < 1$. Из выражения (2) следует, что путем изменения параметра a можно менять вероятность выражения (вымирания) того или иного рода известной фамилии. Представим параметр a в виде произведения некоторого варьируемого (изменяемого) коэффициента K и неизменяемого (постоянного) известного параметра a_0 т.е. $a = Ka_0$. Тогда среднее количество индивидуумов будет равно

$$M = \frac{Ka_0}{1-Ka_0}. \quad (5)$$

Функциональная блок-схема соответствующая выражению (5) (Рис. 1) является циклической т.е. обладает самоорганизованностью.




Рис. 1




Рис. 2

Среднее количество индивидуумов в роду N также обладает самоорганизованным свойством, поскольку согласно Рис. 2, является циклическим процессом. Если известной фамилии не угрожает вырождение, то вероятность вырождения d должна находиться в пределах: $0 < d < 0,5$ т.е.

$0 < d = \frac{1}{M} < 0,5$. Поэтому, с учетом выражения (5) для фамилии, которым не угрожает вымирание, будем иметь неравенство

$$\frac{1}{a_0} > K > \frac{2}{3a_0}. \quad (6)$$

Таким образом, если параметр геометрического распределения $a = Ka_0$ определить из условия (6), то вероятность выражения фамилии будет находиться в пределах $0 < d < 0,5$. Это означает, что данной фамилии не угрожает исчезновение.

2. Процесс рождения (размножения).

Дифференциальное уравнение для производящей функции $F(s, t)$ процесса рождения имеет вид [2]:

$$\frac{\partial F}{\partial t} = \lambda F(F-1), \quad (7)$$

где, λ - постоянным положительный параметр.

Решение уравнения (7) имеет вид

$$F(s, t) = \frac{1}{1 + e^{-\lambda(t_0-t)}}. \quad (8)$$

Поскольку нам необходимо найти решение уравнения (7) при начальном условии $t = 0$ для которого $F(s, t) = s$, то будем иметь $s = \frac{1}{1 + e^{-\lambda t_0}}$.

Из этого выражения можно определить t_0 : $t_0 = \ln \left| \frac{s}{1-s} \right|^{\frac{1}{\lambda}}$.

Поэтому скорость движения производящей функции будет

$$\frac{\partial F(s, t)}{\partial t} = \frac{1}{4} \lambda \operatorname{sech}^2 \left[\frac{1}{2} \lambda (t_0 - t) \right]. \quad (9)$$

Правая часть выражения (9) является солитоном. Для производящей функции $F(s, t)$ имеют место следующие соотношения

$$F = \int_{t_0}^t dF(s, t) = -\frac{1}{2} t h \left[\frac{1}{2} \lambda (t_0 - t) \right]; \quad (10)$$

$$\left(\operatorname{sech} h \left[\frac{1}{2} \lambda (t_0 - t) \right] \right)' = -\lambda \operatorname{sech} h \left[\frac{1}{2} \lambda (t_0 - t) \right] F(s, t). \quad (11)$$

Система дифференциальных уравнений, соответствующая соотношениям (10) и (11) имеет вид

$$\begin{cases} \frac{\partial F(s, t)}{\partial t} = \frac{1}{4} \lambda \operatorname{sech}^2 \left[\frac{1}{2} \lambda (t_0 - t) \right], \\ \frac{\partial \operatorname{sech} h \left(\left[\frac{1}{2} \lambda (t_0 - t) \right] \right)}{\partial t} = -\lambda \operatorname{sech} h \left[\frac{1}{2} \lambda (t_0 - t) \right] F(s, t). \end{cases} \quad (12)$$

Система дифференциальных уравнений указывает на циклический характер процесса рождения. Поскольку наличие цикличности является прямым свидетельством существования самоорганизации, то для процесса рождения самоорганизация существует на уровне производящей функции.

3. Процесс рождения и смерти.

Дифференциальное уравнение для производящей функции $F(s, t)$ процесса рождения и смерти имеет вид [2]:

$$\frac{\partial F}{\partial t} = \lambda F^2 - (\lambda + \mu) F + \mu. \quad (13)$$

где λ и μ - постоянные положительные параметры.

Уравнение (13) при начальном условии $F(s, t) = s$ имеет решение

$$F(s, t) = F_1 + \frac{F_1 + F_2}{\left[(F_0 + F_2) / (F_0 + F_1) \right] e^{2\beta t} - 1}, \quad (14)$$

где $F_0 = F(s, 0) = s$, $\beta \sqrt{\left(\frac{\lambda + \mu}{2} \right)^2 - \lambda \mu}$, $F_1 = -\frac{1}{\lambda} \left(\beta - \frac{\lambda + \mu}{2} \right)$, $F_2 = -\frac{1}{\lambda} \left(\beta + \frac{\lambda + \mu}{2} \right)$.

Выражение (14) может быть записано в виде

$$F(s, t) = -\frac{\frac{1}{2} B}{\sqrt{C} e^{\beta t} \left[\frac{1}{2} \left(\sqrt{C} e^{\beta t} + \frac{1}{\sqrt{C}} e^{-\beta t} \right) \right]}. \quad (15)$$

$$\beta = \frac{\mu - \lambda}{2}. \quad (16)$$

В (15) приняты обозначения: $B = F_1 + F_2 = -\frac{2\beta}{\lambda}$, $C = \frac{F_0 + F_2}{F_0 - F_1} = \frac{s + F_2}{s - F_1}$.

Из (16) следует, что при $\lambda > \mu$, $\beta < 0$, а при $\lambda < \mu$, $\beta > 0$. При $\lambda + \mu$, $\beta + 0$. Скорость движения производящей функции находим согласно (15):

$$\frac{\partial F(s, t)}{\partial t} = \Lambda(s) e^{-2\beta t} \lambda \operatorname{sech}^2(\beta t - \varphi^*(s)), \quad (17)$$

где $\Lambda(s) = \frac{B\beta}{4\sqrt{C}}$, $\varphi^*(s) = \ln \left| \frac{1}{C} \right|^{\frac{1}{2}} = \ln \left| \frac{s - F_1}{s + F_2} \right|^{\frac{1}{2}}$.

Выражение (17) показывает, что скорость движения производящей функции имеет вид солитона с амплитудой угасающей во времени, если $\beta > 0$ и возрастающей, если $\beta < 0$. Присутствие солитона свидетельствует о цикличности процесса рождения и смерти, и, следовательно о самоорганизации этого процесса.

4. Процесс Уо (Waugh), зависящий от времени (возраста) [2].

Уо (Waugh) предложил рассмотреть обобщенный процесс, в котором вероятности трансформации q_n является функциями времени т.е. $q_n = q_n(t)$. Для этого случая производящая функция вероятностей трансформации принимает вид $h(s, t) = \sum_{n=0}^{\infty} q_n(t) s^n$.

Дифференциальное уравнение для производящей функции процесса τ_0 имеет вид

$$\frac{\partial F(s, t)}{\partial t} = \lambda \gamma F^2(s, t) - \{ \alpha + \lambda [1 - (\beta - \gamma)] \} F(s, t) + \lambda (1 - \beta) + \alpha (s - 1) e^{-\lambda t}, \quad (18)$$


где λ , γ , α , β - постоянные положительные параметры.

Выражение (18) является неоднородным параметрическим уравнением Риккати; оно не имеет решения в квадратурах. Целью настоящего доклада не является получение приближенного решения, α является показ того, что уравнение (18) обладает свойством самоорганизации. Неоднородному уравнению Риккати (18) соответствует виртуальная система взаимосвязанных дифференциальных уравнений [3]:

$$\begin{cases} u_t(s, t) + \frac{1}{2} \{ \alpha + \lambda [1 - (\beta - \gamma)] \} u(s, t) = \lambda \gamma v(s, t), \\ v_t(s, t) - \frac{1}{2} \{ \alpha + \lambda [1 - (\beta - \gamma)] \} v(s, t) = - [\lambda (1 - \beta) + \alpha (s - 1) e^{-\lambda t}] u(s, t). \end{cases} \quad (19)$$

Существование системы (19) свидетельствует о наличии самоорганизации в процессе Уо (Waugh),

Если ввести обозначения: $\xi_1 \equiv \frac{1}{2} \{ \alpha + \lambda [1 - (\beta - \gamma)] \} \equiv \xi_2$, $\zeta \equiv \lambda \gamma$ и $\zeta_2 \equiv \lambda (1 - \beta) + \alpha (s - 1) e^{-\lambda t}$, то система уравнений (19) может быть представлена в виде следующей функциональной блок-схемы



Эта функциональная блок-схема показывает, что для производящих функции $u(s, t)$ и $v(s, t)$ виртуальной системы (19) существует самоорганизация процесса Уо (Waugh).

ЛИТЕРАТУРА:

1. Кемени Дж., Снелл Дж., Кибернетическое моделирование. М.: Советская радио, 1972.
2. Баруча-Рид А.Т. Элементы теории марковских процессов и их приложения. М.: Наука, 1969.
3. Лэм Дж.-мл. Введение в теорию солитонов. - М.: Мир, 1983.

SELF-ORGANIZATION IN DISCRETE MARKOV SYSTEMS

Valentin Mdzinarishvili, Gori Teaching University, Doctor

SUMMARY

There are considered the following discrete Markov Systems:

Branching processes, process of Birth, process of Birth and death, process of Waugh. For there are shown that these processes have a Self-organization character. There is have got the differential equation of: birth process, birth and death process relative of generating function as a solution and process Waugh. There given the solution closed system with positive feedback circuit. For the process there is shown that there exists virtual system corresponding to generating function which reduce to the process of Self-organization.

ON A GENERALIZATION OF THE MINKOWSKI FUNCTIONAL

Soso Tsotniashvili, Gori Teaching University, Full Professor

E-mail: stsotniashvili@gmail.com

Duglas Ugulava, Georgian Technical University, Niko Muskhelishvili Institute of Computational Mathematics, Associate Professor

E-mail: duglasugu@yahoo.com

David Zarnadze, Georgian Technical University, Niko Muskhelishvili Institute of Computational Mathematics

E-mail: zarnadzedavid@yahoo.com

Let E be a linear space and $\{V_n\}$ be a decreasing sequence of absolutely convex subsets of the space E , i.e. $V_1 \supset V_2 \supset \dots \supset V_n \supset \dots$. Consider following sets of E

$$K_r = r V_n, \text{ where } r \in I_n = \begin{cases} [1, \infty[, & \text{when } n=1, \\ [2^{-n+1}, 2^{-n+2}[, & \text{when } n>1. \end{cases} \quad (1)$$

Consider the functional $\mu_{\{V_n\}}(f)$ defined on E as

$$\mu_{\{V_n\}}(f) = \inf\{r > 0; f \in K_r\}. \quad (2)$$

If $V_1 = V_2 = \dots = V_n = \dots = F$, then $K_r = rF$ and $\mu_{\{V_n\}}(f)$ defined by (1) and (2) coincides to the Minkowski functional μ_F of F . Let us reduce the following properties if the functional (2):

It is clear that $\mu_{\{V_n\}}(f) \geq 0, f \in E$.

Proposition 1. If $f_1, f_2 \in E$, then $\mu_{\{V_n\}}(f_1 + f_2) \leq \mu_{\{V_n\}}(f_1) + \mu_{\{V_n\}}(f_2)$.

Proof. For the proof of this fact we note at first that $K_r + K_s \subset K_{r+s}$. Consider the following three special cases:

a) $r \in [2^{-n}, 2^{-n+1}[$ and $s \in [2^{-m}, 2^{-m+1}[$, where $1 \leq n \leq m$. Then $r+s \in [2^{-n} + 2^{-m}, 2^{-n+1} + 2^{-m+1}[\subset [2^{-n}, 2^{-n+1}[\cup [2^{-n+1}, 2^{-n+2}[$. If $r+s \in [2^{-n}, 2^{-n+1}[$, then $K_r + K_s = r V_{n+1} + s V_{m+1} \subset r V_{n+1} + s V_{n+1} = (r+s)V_{n+1} = K_{r+s}$. If $r+s \in [2^{-n+1}, 2^{-n+2}[$, then $K_r + K_s = r V_{n+1} + s V_{m+1} \subset (r+s)V_n = K_{r+s}$.

b) Let $r \in [1, \infty[$ and $s \in [2^{-m}, 2^{-m+1}[$ ($n \in \mathbb{N}$), then $r+s \in [1, \infty[$ and we have $K_r + K_s = rV_1 + sV_{m+1} \subset (r+s)V_1 = K_{r+s}$.

c) If $r, s \in [1, \infty[$, then it is easy that $K_r + K_s \subset K_{r+s}$.

Let now we have $\mu_{\{V_n\}}(f_1) = r$ and $\mu_{\{V_n\}}(f_2) = s$, then for sufficiently small $\varepsilon > 0$ we will have $f_1 \in K_{r+\varepsilon/2}$ and $f_2 \in K_{s+\varepsilon/2}$. It follows from here that $f_1 + f_2 \in K_{r+\varepsilon/2} + K_{s+\varepsilon/2} \subset K_{r+s+\varepsilon}$, i.e. $\mu_{\{V_n\}}(f_1 + f_2) \leq r+s+\varepsilon$ for sufficiently small $\varepsilon > 0$ and consequently $\mu_{\{V_n\}}(f_1 + f_2) \leq r+s = \mu_{\{V_n\}}(f_1) + \mu_{\{V_n\}}(f_2)$.

Proposition 2. If $\bigcap_{r>0} K_r \neq \emptyset$, then $\text{Ker} \mu_{\{V_n\}} = \{f \in E; \mu_{\{V_n\}}(f) = 0\} \neq \emptyset$ and $\mu_{\{V_n\}}(f-g) = d(f,g)$ is a translation invariant submetric on E . If $\bigcap_{r>0} K_r = \emptyset$, then $\text{Ker} \mu_{\{V_n\}} = \emptyset$ and $\mu_{\{V_n\}}(f-g) = d(f,g)$ is a metric d on E .

Proof. Really, if $x_0 \in \bigcap_{r>0} K_r$ and $x_0 \neq 0$, then $\mu_{\{V_n\}}(x) = 0$. In the below we will often replace arbitrary translations invariant metric d by quasinorm $|\cdot|$, i.e. we will replace $d(x,y)$ by $|x-y|$

Denote the Minkowski functional of K_r by $q_r(\cdot)$. It is clear that if $r \in I_n$ then $q_r(\cdot) = r^{-1} \|\cdot\|_n$, where $\|\cdot\|_n$ is the Minkowski functional for V_n .

Proposition 3. The following inclusions are hold $\{x \in F_1; \|x\|_n < r\} \subset K_r \subset \{x \in E; \mu_{\{V_n\}}(x) \leq r\} \subset \{x \in E; \|x\|_n \leq r\}$.

Proof. The first inclusion follows from the definition of the Minkowski functional. Let now $x \in K_r$, then by definition it is clear that $\mu_{\{V_n\}}(x) = \inf\{r > 0; x \in K_r\} \leq r$. If $\mu_{\{V_n\}}(x) \leq r$, then $x \in K_{r+\varepsilon}$ for all $\varepsilon > 0$, i.e. $x \in (r+\varepsilon)V_n$, when $r \in I_n$. From this follows that $\|x\|_n \leq r + \varepsilon$, for arbitrary $\varepsilon > 0$, i.e. $\|x\|_n \leq r$.

From this follows that Minkowski functional of the set $\{x \in E; \mu_{\{V_n\}}(x) \leq r\}$ coincides with the Minkowski functional of the set K_r , i.e. $q_r(\cdot)$.

Decompose E as $E = \text{Ker}\mu_{\{V_n\}} + \text{Ker}\mu_{\{V_n\}}^\perp$, where $\text{Ker}\mu_{\{V_n\}}^\perp$ is algebraic complement linear subspace of $\text{Ker}\mu_{\{V_n\}}$ in E . Then $f = f_1 + f_2$, for any $f \in E$, where $f_1 \in \text{Ker}\mu_{\{V_n\}}$ and $f_2 \in \text{Ker}\mu_{\{V_n\}}^\perp$. As we have note above in this case d is submetric on E and $d(f,g) = d(f_2, g_2) = \mu_{\{V_n\}}(f_2 - g_2) = \mu_{\{V_n\}}(f - g)$ for $f, g \in E$. Since $\mu_{\{V_n\}}(f_2) = 0$ implies that $f_2 \in \text{Ker}\mu_{\{V_n\}}$, $f_2 = 0$ then the functional $\mu_{\{V_n\}}(f_2 - g_2) = d(f_2, g_2)$ becomes a metric on $\text{Ker}\mu_{\{V_n\}}^\perp$.

In the sequel we will assume that E is a locally convex space (lcs) with a decreasing sequence of absolutely convex closed neighborhoods of zero such that $\bigcap_{n \in \mathbb{N}} V_n = 0$, i.e. $\bigcap_{r>0} K_r = 0$. In this case $\mu_{\{V_n\}}(f-g) = d(f,g) = |x-y|$ is a metric on E . In particular, such sequence of absolutely convex neighborhoods exists if E is metrizable lcs. In this case the space (E, d) is linear metric lcs in which linear operations are continuous. Existing of such metric on strict (LF)-space is proved in [1]. The generalization of this results for strict inductive limits of lcs, on which there exists metrics, is proved by S.Dierolf and K.Floret [2].

If E is a lcs and $\{V_n\}$ is decreasing sequence of absolutely convex closed neighbourhoods of zero, then $\mu_{\{V_n\}}$ is continuous. If moreover, $\{V_n\}$ is local basis of neighbourhoods of zero for some topology and $\bigcap V_n = 0$, then $\mu_{\{V_n\}}(f-g) = d(f,g)$ is continuous metric on E that generates the topology defined by a sequence of $\{V_n\}$. This functional $\mu_{\{V_n\}}(\cdot)$ is quasiconvex, i.e. the sets $\{x; \mu_{\{V_n\}}(x) \leq r\}$ are absolutely convex and coincides with K_r . If V_n are neighborhoods of zero, then topologically boundary $\{x \in E; q_r(x) = 1\}$ of the set K_r coincides with the metrically boundary $\{x \in E; \mu_{\{V_n\}}(x) = r\}$ for $r \in \text{int}I_n$ and they are different for $r = 2^{-n+1}$ ($n \in \mathbb{N}$) [3].

If E is a lcs and $\{V_n\}$ is decreasing local basis of neighbourhoods of zero, then $\mu_{\{V_n\}}(x-y) = d(x,y) = |x-y|$, where

$$d(x,y) = \begin{cases} \|x-y\|_1, & \text{when } \|x-y\|_1 \geq 1, \\ 2^{-n+1}, & \text{when } \|x-y\|_n \leq 2^{-n+1} \text{ and } \|x-y\|_{n+1} \geq 2^{-n+1} \text{ (} n \in \mathbb{N} \text{),} \\ \|x-y\|_{n+1}, & \text{when } 2^{-n} \leq \|x-y\|_n \leq 2^{-n+1} \text{ (} n \in \mathbb{N} \text{),} \\ 0, & \text{when } x-y=0, \end{cases} \quad (3)$$

The representation (3) of the functional (2) was received in [3] and [4]. We have used the definition of generalized Minkowski functional for definition and characterization of generalized spline [5]: In the Frechet space E with the local basis of neighbourhoods of zero $\{V_n\}$ generalized spline exists for any nonadaptive information of finite cardinality iff the subspace $\text{Ker}I$ is proximal in E with respect to the functional $\mu_{\{V_n\}}(\cdot)$.

REFERENCES:

1. Zarnadze D.N. On representation of strict (LF)-spaces. Proc. of Niko Muskhelishvili Inst. of Computing Math. 1980. 20:1, 38-53.
2. Floret K. and Dierolf S, Uber die Fortsetzbarkeit stetigen Normen. Arch. Math. 1980, v.35, 149-154.
3. Zarnadze D.N. Remark about a theorem on metrization of a linear topological space, Mat. Zametki 37 (1985), 763-773. English transl. in Math.Notes 37 (1985).
4. Zarnadze D.N. A generalization of the method of least squares for operator equations in some Frechet spaces. Izv. Akad. Nauk Russia. Ser.Mat. 59 (1995). 59-72; English transl. in Russian Acad. Sci Izv. Math. 59:5 (1995), 935-948.

5. Zarnadze D.N. and Ugulava D.K. On the notion of generalized spline for a sequence of problem element sets. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, v.4, N1, 2010,12-16.

ABSTRACT

The work deals with the definition and representation of the Minkowski functional for a decreasing sequence of absolutely convex subsets.

ТЕНЗОР НЕЙЕНХЕЙСА ДЛЯ ПРОСТРАНСТВА $Lm(Vn)$

Гоча Тодуа, Грузинский технический университет, Ассоциированный профессор
E-mail: gochatodua@yahoo.com

Рассмотрим векторное расслоенное пространство $Lm(Vn)$ локальные координаты точки которого преобразуются следующим образом:

$$\begin{aligned} \bar{x}^i = \bar{x}^i(x^k); \quad \bar{y}^\alpha = A_\beta^\alpha(x)y^\beta; \quad \left\| \frac{\partial \bar{x}^i}{\partial x^k} \right\| \neq 0; \quad \|A_\beta^\alpha\| \neq 0; \\ i, j, k = 1, \dots, n; \quad \alpha, \beta, \gamma = 1, \dots, m. \end{aligned} \quad (1)$$

Определение. Пространство $Lm(Vn)$ на котором определено тензорное поле T_B^A , удовлетворяющее условиям

$$T_C^A T_B^C = \lambda \delta_B^A; \quad A, B, C = 1, \dots, n + m, \quad (2)$$

будем называть расслоенным пространством с тензорной структурой. Если $\lambda = 0$, то тензорную структуру будем называть почти дуальной структурой, если $\lambda = -1$ – почти комплексной структурой, если $\lambda = 1$ – почти двойной структурой.

В работе (Тодуа. 2006) мы доказали, что существуют две двухпараметрические семейства внутренних тензорных структур (a, b, c – произвольные параметры):

$$\left\| \begin{array}{cc} a\delta_j^i & 0 \\ c\xi^\alpha \eta_j - 2a\Gamma_j^\alpha & -a\delta_\beta^\alpha \end{array} \right\|, \quad (3)$$

$$\left\| \begin{array}{cc} a\delta_j^i + b\xi^i \eta_\alpha \Gamma_j^\alpha & b\xi^i \eta_\alpha \\ -2a\Gamma_j^\alpha - b\xi^k \eta_\beta \Gamma_j^\beta \Gamma_k^\alpha & -a\delta_\beta^\alpha - b\xi^i \eta_\beta \Gamma_i^\alpha \end{array} \right\|. \quad (4)$$

Если тензорное поле T_B^A определено уравнениями

$$\nabla T_B^A = \nabla_C T_B^A \omega^C, \quad (5)$$

то, продолжая эти уравнения, получим:

$$\nabla(\nabla_C T_B^A) - T_D^A \omega_{CB}^D + T_B^D \omega_{DC}^A = \nabla_D \nabla_C T_B^A \omega^D, \quad (6)$$

где $\nabla_{[D} \nabla_{C]} T_B^A = 0$.

Свертывая уравнения (6) с T_E^C , получим:

$$\nabla(T_E^C \nabla_C T_B^A) - T_E^C T_D^A \omega_{CB}^D + T_E^C T_B^D \omega_{DC}^A = 0.$$

Отсюда следует, что

$$\nabla(T_B^C \nabla_C T_E^A) - T_D^A T_B^C \omega_{CE}^D + T_E^D T_B^C \omega_{DC}^A = 0,$$

и, составляя разность, получим:

$$\nabla(T_E^C \nabla_C T_B^A - T_B^C \nabla_C T_E^A) - T_E^C T_D^A \omega_{CB}^D + T_D^A T_B^C \omega_{CE}^D = 0.$$

Свертывая уравнения (6) с T_A^E , получим (после замены индексов):

$$\nabla(T_C^A \nabla_E T_B^C) - T_D^C T_C^A \omega_{EB}^D + T_B^D T_C^A \omega_{DE}^C = 0,$$

$$\nabla(T_C^A \nabla_B T_E^C) - T_D^C T_C^A \omega_{EB}^D + T_E^D T_C^A \omega_{DB}^C = 0.$$

Из последних двух равенств следует, что

$$\nabla(T_E^C \nabla_C T_B^A - T_B^C \nabla_C T_E^A - T_C^A \nabla_E T_B^C + T_C^A \nabla_B T_E^C) = 0,$$

и мы получим, что величины

$$N_{EB}^A = T_E^C \nabla_C T_B^A - T_B^C \nabla_C T_E^A - T_C^A \nabla_E T_B^C + T_C^A \nabla_B T_E^C \quad (7)$$

образуют тензор. Этот тензор называется тензором Нейенхейса.

Рассмотрим тензор Нейенхейса N_{BC}^A внутренней тензорной структуры, определенной формулой (3).

Так как правая часть уравнения (5) имеет вид

$$\nabla_K T_B^A \omega^K + \nabla_\alpha T_B^A \tilde{\theta}^\alpha,$$

то согласно равенствам

$$\begin{aligned} T_j^i &= a\delta_j^i; & T_\alpha^i &= 0; & T_j^\alpha &= c\xi^\alpha \eta_j - 2a\Gamma_j^\alpha; \\ T_\beta^\alpha &= -a\delta_\beta^\alpha; & \nabla_k T_j^i &= 0; & \nabla_\alpha T_j^i &= 0; & \nabla_k T_\alpha^i &= 0; \\ \nabla_\beta T_\alpha^i &= 0; & \nabla_k T_\beta^\alpha &= 0; & \nabla_\gamma T_\beta^\alpha &= 0; \\ \nabla_k T_k^\alpha &= c\nabla_k(\xi^\alpha \eta_i) - 2a\nabla_k \Gamma_i^\alpha; \\ \nabla_\beta T_i^\alpha &= c\nabla_\beta(\xi^\alpha \eta_i) - 2a\nabla_\beta \Gamma_i^\alpha, \end{aligned}$$

получим

$$\begin{aligned} N_{jk}^i &= N_{ja}^i = N_{aj}^i = N_{\alpha\beta}^i = N_{\beta\alpha}^i = N_{i\beta}^\alpha = N_{i\beta}^\alpha = N_{\beta\gamma}^\alpha = 0, \\ N_{ij}^\alpha &= 4a^2 R_{ij}^\alpha + 2ac(D_j(\xi^\alpha(\xi^\alpha \eta_i) - D_i(\xi^\alpha \eta_j)) + c^2 \xi^\gamma \eta_j \nabla_\gamma(\xi^\alpha \eta_i) - c^2 \xi^\gamma \eta_i \nabla_\gamma(\xi^\alpha \eta_j)). \end{aligned}$$

Отсюда следуют теоремы.

ТЕОРЕМА 1. Если на базе V_n пространства $Lm(Vn)$ даны дуальные тензорные структуры и структуры почти произведения, определенные формулой (3), то эти структуры интегрируемы тогда и только тогда, когда линейная связность Γ_i^α плоская $R_{ij}^\alpha = 0$ и векторное поле ξ^α и ковекторное поле η_i ковариантно постоянные.

ТЕОРЕМА 2. Если на пространстве $Lm(Vn)$ даны дуальные тензорные структуры и структуры почти произведения, определенные формулой (3), то эти структуры интегрируемы тогда и только тогда, когда линейная связность Γ_i^α плоская $R_{ij}^\alpha = 0$ и векторное поле ξ^α и ковекторное поле η_i ковариантно постоянные.

Рассмотрим тензор Нейенхейса N_{BC}^A для тензорной структуры определенной формулой (4).

В этой случае получаем, что

$$\begin{aligned} N_{jk}^i &= 4ab\xi^i \eta_\alpha R_{jk}^\alpha + b^2 \xi^p \eta_\beta \Gamma_j^\beta \Gamma_k^\gamma D_p(\xi^i \eta_\gamma) - b^2 \xi^p \eta_\beta \Gamma_j^\gamma \Gamma_k^\beta D_p(\xi^i \eta_\gamma) + \\ &+ b^2 \xi^i \eta_\alpha \xi^p \eta_\beta \Gamma_j^\beta R_{pk}^\alpha - b^2 \xi^i \eta_\beta \xi^p \eta_\alpha \Gamma_k^\beta R_{pj}^\alpha; \\ N_{ja}^i &= b^2 \xi^p \eta_\alpha \xi^i \eta_\gamma R_{pj}^\gamma + b^2 \xi^p \eta_\beta \Gamma_j^\beta D_p(\xi^i \eta_\alpha) - b^2 \xi^p \eta_\alpha \Gamma_j^\beta D_p(\xi^i \eta_\beta); \\ N_{\alpha\beta}^i &= b^2 \xi^p \eta_\alpha D_p(\xi^i \eta_\beta) - b^2 \xi^p \eta_\beta D_p(\xi^i \eta_\alpha); \\ N_{\beta\gamma}^\alpha &= b^2 \xi^p \eta_\gamma \Gamma_i^\alpha D_p(\xi^i \eta_\beta) - b^2 \xi^p \eta_\beta \Gamma_i^\alpha D_p(\xi^i \eta_\gamma) + 2ab\Gamma_p^\alpha \nabla_\beta(\xi^p \eta_\gamma) - 2ab\Gamma_p^\alpha \nabla_\gamma(\xi^p \eta_\beta), \\ N_{\beta i}^\alpha &= 4ab\xi^p \eta_\beta R_{pi}^\alpha + b^2 \xi^p \eta_\beta \xi^k \eta_\gamma \Gamma_k^\alpha R_{pi}^\gamma + b^2 \xi^p \eta_\gamma \Gamma_i^\gamma \Gamma_k^\alpha D_p(\xi^k \eta_\beta) - \\ &- b^2 \xi^p \eta_\beta \Gamma_i^\gamma \Gamma_k^\alpha D_p(\xi^k \eta_\gamma) + 2ab\Gamma_p^\alpha \Gamma_i^\delta \nabla_\beta(\xi^p \eta_\delta) - 2ab\Gamma_p^\alpha \Gamma_i^\delta \nabla_\delta(\xi^p \eta_\beta), \\ N_{ij}^\alpha &= 4a^2 R_{ij}^\alpha - 2ab\Gamma_p^\alpha \Gamma_i^\gamma R_{j\gamma}^p + 2ab\Gamma_p^\alpha \Gamma_j^\gamma R_{i\gamma}^p + b^2 \xi^p \eta_\gamma (\Gamma_j^\delta \Gamma_i^\gamma - \Gamma_i^\delta \Gamma_j^\gamma) R_{pk}^\alpha + \\ &+ b^2 \xi^p \eta_\gamma (\Gamma_i^\gamma \Gamma_j^\delta - \Gamma_j^\gamma \Gamma_i^\delta) D_p(\xi^k \eta_\delta) + b^2 \xi^p \eta_\gamma \xi^k \eta_\delta \Gamma_k^\alpha (\Gamma_i^\gamma R_{pj}^\delta - \Gamma_j^\gamma R_{pi}^\delta). \end{aligned}$$

Отсюда следуют теоремы.

ТЕОРЕМА 3. Если на базе V_n пространства $Lm(Vn)$ даны дуальные тензорные структуры ($\lambda = 0$) и структуры почти произведения ($\lambda = 1$), определенные формулой (4), то эти структуры интегрируемы тогда и только тогда, когда линейная связность Γ_i^α плоская $R_{ij}^\alpha = 0$ и векторное поле ξ^i и ковекторное поле n_α ковариантно постоянные.

ТЕОРЕМА 4. Если на пространстве $Lm(Vn)$ даны дуальные тензорные структуры ($\lambda = 0$) и структуры почти произведения ($\lambda = 1$), определенные формулой (4), то эти структуры интегрируемы тогда и только тогда, когда линейная связность Γ_i^α плоская $R_{ij}^\alpha = 0$ и векторное поле ξ^i и ковекторное поле n_α ковариантно постоянные.

ТЕОРЕМА 5. Если на базе V_n пространства $Lm(Vn)$ даны дуальные тензорные структуры и структуры почти произведения, определенные формулой (4), то эти структуры не вполне интегрируемы, но подобъекты

$\{N_{\alpha\beta}^i\}$; $\{N_{\alpha\beta}^i, N_{\beta\gamma}^\alpha\}$ ტენზორა ნეიენჰეისა ბრახაუნთა ვა ნული, კოდა ვექტორთა პოლე $\xi^i(x)$ დი კოვექტორთა პოლე $\eta_\alpha(x)$ კოვარიანთა პოსთაიანთა.

ТЕОРЕМА 6. Если на пространстве $Lm(Vn)$ даны дуальные тензорные структуры и структуры почти произведения, определенные формулой (4), то эти структуры не вполне интегрируемы, но подобъекты $\{N_{\alpha\beta}^i\}$; $\{N_{\alpha\beta}^i, N_{\beta\gamma}^\alpha\}$ тензора Нейенхайса обращаются в нуль, когда векторное поле $\xi^i(x, y)$ и ковекторное поле $\eta_\alpha(x, y)$ ковариантно постоянные.

ТЕОРЕМА 7. Если на пространстве $Lm(Vn)$ дана дуальные тензорные структуры и структуры почти произведения, определенные формулой (4), то эти структуры не вполне интегрируемы, но подобъекты $\{N_{\alpha\beta}^i\}$, $\{N_{j\alpha}^i, N_{\alpha\beta}^i\}$, $\{N_{ik}^i, N_{j\alpha}^i, N_{\alpha\beta}^i\}$, $\{N_{\alpha\beta}^i, N_{ij}^\alpha, N_{jk}^i, N_{aj}^i, N_{\beta\gamma}^\alpha, N_{\beta i}^\alpha\}$ тензора Нейенхайса обращаются в нуль, когда линейная связность Γ_i^α плоская $R_{ij}^\alpha = 0$, векторное поле $\xi^i(x, y)$ и ковекторное поле $\eta_\alpha(x, y)$ ковариантные постоянные (равна нулю ковариантная производная первого рода).

ЛИТЕРАТУРА:

1. G. Todua. On Internal Tensor Structures of the Tangent Bundle of Space $Lm(Vn)$ with a Triplet Connection. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, v. 173, N1, 2006, 22-25.

NIJENHUIS TENSOR FOR $Lm(Vn)$ VECTOR SPACE Gocha Todua, Georgian Technical University, Associate Professor RESUME

In the present paper we construct the Nijenhuis tensor for $Lm(Vn)$ vector space and prove number of theorems on completely integrability of some tensor structures of $Lm(Vn)$ vector space using constructed tensor.

ტოპოლოგიურ სივრცეთა სიმპლიციალური ეკვივალენტურობა

მალხაზ მუმლაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ვთქვით, X რაიმე სიმრავლეა $P_1(X)$ მისი ქვესიმრავლეების რაიმე ოჯახი. ეს ოჯახი, როგორც წინააღმდეგობა განსაზღვრავს ერთადერთ ტოპოლოგიურ სტრუქტურას X სიმრავლეში. ვთქვით $NP_1(X)$ წარმოადგენს $P_1(X)$ ოჯახის ნერვს. ვთქვით ახლა, $P_2(X)$ ქვესიმრავლეთა ისეთი მთელი ოჯახია X სიმრავლეში, რომლის ნერვი $NP_2(X)$ იზომორფულია $NP_1(X)$ ნერვის. ქვესიმრავლეთა $P_2(X)$ ოჯახიც X სიმრავლეში განსაზღვრავს ერთადერთ ტოპოლოგიურ τ_2 სტრუქტურას. რა მიმართებაში იქნებიან ერთმანეთთან τ_1 და τ_2 ტოპოლოგიური სტრუქტურები? ადვილი მისახვედრია, რომ ისინი შეიძლება არ იყვნენ ჰომეომორფულნი.

ვუწოდოთ X სიმრავლეზე ქვესიმრავლეთა $P_1(X)$ და $P_2(X)$ ოჯახებით განსაზღვრულ (X, τ_1) და (X, τ_2) ტოპოლოგიურ სივრცეებს სიმპლიციალურად ეკვივალენტური სივრცეები, თუ არსებობს იზომორფიზმი

$$\varphi : NP_1(X) \rightarrow NP_2(X).$$

ვუწოდოთ (X, τ_1) და (X, τ_2) ტოპოლოგიურ სივრცეებზე განსაზღვრულ მოდულთა წინაკონებს:

$$\Gamma_1 = ((X, \tau_1), \{\Gamma_1(U)\}_{U \subset T_1(X)}), \quad \Gamma_2 = ((X, \tau_2), \{\Gamma_2(U)\}_{U \subset T_2(X)})$$

და კო-წინაკონებს:

$$\Gamma_C^1 = ((X, \tau_1), \{\Gamma_C^1(U)\}_{U \subset T_1(X)}), \quad \Gamma_C^2 = ((X, \tau_2), \{\Gamma_C^2(U)\}_{U \subset T_2(X)})$$

სიმპლიციალურად ეკვივალენტური, თუ

$$\Gamma_1(U) = \Gamma_2(\varphi(U)), U \in P_1(X) \text{ და } \Gamma_C^1(U) = \Gamma_C^2(\varphi(U)), U \in P_1(X),$$

შესაბამისად.

თეორემა: სიმპლიციალურად ეკვივალენტურ ტოპოლოგიურ სტრუქტურებს X სიმრავლეზე გააჩნიათ იზომორფული ჰომოლოგიის და კოჰომოლოგიის ჯგუფები კოეფიციენტებით მოდულთა სიმპლიციალურად ეკვივალენტურ კო-წინაკონებში და წინაკონებში, შესაბამისად.

დამტკიცება: ვთქვათ $\{U_\alpha\}$ და $\{V_\beta\}$ წარმოადგენენ (X, τ_1) და (X, τ_2) სივრცეების ყველა ღია დაფარვათა მიმართულ ოჯახებს. განვიხილოთ $\{U_\alpha\}$ ოჯახის რომელიმე ელემენტი $U_{\alpha'}$. ამ დაფარვაში შემავალი ღია სიმრავლე შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე:

$$U_{\alpha'} = \bigcup_{\theta_{\alpha'}} \bigcap_{k=1}^{n_{\theta_{\alpha'}}} \Omega_k^{\theta_{\alpha'}}; \Omega_k^{\theta_{\alpha'}} \in P_1(X).$$

თუ $\varphi: NP_1(X) \rightarrow NP_2(X)$ იზომორფიზმია, მაშინ

$$V_{\alpha'} = \bigcup_{\theta_{\alpha'}} \bigcap_{k=1}^{n_{\theta_{\alpha'}}} \varphi(\Omega_k^{\theta_{\alpha'}})$$

სიმრავლე ცხადია, ღიაა (X, τ_2) სივრცეში.

განვიხილოთ $\bigcup_i V_{\alpha'}$ სიმრავლე, ვთქვათ არსებობს ისეთი წერტილი x სივრცეში, რომელიც არ ეკუთვნის $\bigcup_i V_{\alpha'}$ სიმრავლეს. x წერტილი ცხადია ეკუთვნის რომელიმე $\Xi \in P_2(X)$ სიმრავლეს.

განვიხილოთ $\varphi^{-1}(\Xi)$ სიმრავლე, ეს სიმრავლე ექვესიმრავლეა რომელიმე $U_{\alpha''} \in U_{\alpha'}$ ღია სიმრავლეში.

$$\varphi^{-1}(\Xi) = \bigcup_{\theta_{\alpha''}} \bigcap_{k=1}^{n_{\theta_{\alpha''}}} \varphi^{-1}(\Xi) \cap \Omega_k^{\theta_{\alpha''}}; \Omega_k^{\theta_{\alpha''}} \in P_1(X).$$

აქედან გამომდინარე, $\Xi = \bigcup_{\theta_{\alpha''}} \bigcap_{k=1}^{n_{\theta_{\alpha''}}} \Xi \cap \varphi(\Omega_k^{\theta_{\alpha''}})$.

ეს კი ნიშნავს, რომ $\bigcup_i V_{\alpha''}$ დაფარვაა (X, τ_2) სივრცისათვის და იგი ემთხვევა $\{V_\beta\}$ ოჯახის რომელიმე $V_{\beta'}$ ელემენტს.

მაშასადამე, $\varphi*: \{U_\alpha\} \rightarrow \{V_\beta\}$ ასახვა, განსაზღვრული ფორმულით: $\varphi*(U_{\alpha'}) = V_{\beta'}$, ინექციაა. რადგან φ იზომორფიზმია, ამიტომ $\varphi*$ სიურექციაც არის, მართლაც, $\{V_\beta\}$ ოჯახის ნებისმიერი

$$V_{\beta'} = \bigcup_{\delta_{\beta'}} \bigcap_{k=1}^{n_{\delta_{\beta'}}} \varphi^{-1}(\Xi_k^{\delta_{\beta'}}); \Xi_k^{\delta_{\beta'}} \in P_2(X)$$

ღია სიმრავლისთვის

$$U_{\beta'} = \bigcup_{\delta_{\beta'}} \bigcap_{k=1}^{n_{\delta_{\beta'}}} \varphi^{-1}(\Xi_k^{\delta_{\beta'}}); \Xi_k^{\delta_{\beta'}} \in P_2(X)$$

სიმრავლე ეკუთვნის რომელიმე $U_{\alpha'}$ დაფარვას და ამგვარად $U_{\alpha'} = \varphi^{-1}(V_{\beta'})$. საბოლოოდ გვაქვს, რომ $\varphi*: \{U_\alpha\} \rightarrow \{V_\beta\}$ ბიექციაა.

ადვილია იმის დანახვაც, რომ $U_{\alpha'}$, $V_{\beta'}$ დაფარვათა ნერვები: $N(U_{\alpha'}), N(V_{\beta'})$ იზომორფულია.

თუ $U_{\alpha'}, U_{\alpha''} \in \{U_\alpha\}$ და $U_{\alpha'}$ დაფარვა ჩაწერილია $U_{\alpha''}$ დაფარვაში, მაშინ $\varphi*(U_{\alpha'})$ დაფარვა ჩაწერილია $\varphi*(U_{\alpha''})$ დაფარვაში.

ვთქვათ, $\Gamma_C = ((X, \tau_1), \{\Gamma_C(U)\}_{U \subset T_1(X)})$ და $\Gamma = ((X, \tau_1), \{\Gamma(U)\}_{U \subset T_1(X)})$, სადაც $T_1(X)$ ღია სიმრავლეთა ოჯახია (X, τ_1) სივრცეში, რაიმე R რგოლს ზემოთ მოდულთა კო-წინაკონა და წინაკონა, შესაბამისად.

განვიხილოთ შესაბამისი ჯაჭვური და კოჯაჭვური კომპლექსები კოეფიციენტებით Γ_C , Γ კოწინაკონაში და წინაკონაში:

$$C_k(U_\alpha, \Gamma_C) = \prod_{i_0 i_1 \dots i_k} \Gamma_C(U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}}),$$

$$\partial_k : C_k(U_\alpha, \Gamma_C) \rightarrow C_{k-1}(U_\alpha, \Gamma_C),$$

$$(\partial_k(f))_{i_0 i_1 \dots i_{k-1}} = \sum_j \sum_{s=0}^k (-1)^s r_{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_{k-1}}}}^{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_{s-1}}} \cap U_{\alpha_j} \cap U_{\alpha_{i_s}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_{k-1}}}} (f_{i_0 i_1 \dots i_{s-1} j i_s \dots i_{k-1}}),$$

$$C^k(U_\alpha, \Gamma) = \prod_{i_0 i_1 \dots i_k} \Gamma(U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}}),$$

$$\delta^k : C^k(U_\alpha, \Gamma) \rightarrow C^{k+1}(U_\alpha, \Gamma),$$

$$\delta^k(f)_{i_0 i_1 \dots i_{k+1}} = \sum_{s=0}^{k+1} (-1)^s \rho_{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_{k+1}}}}^{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_{s-1}}} \cap \hat{U}_{\alpha_s} \cap U_{\alpha_{i_{s+1}}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_{k+1}}}} (f_{i_0 i_1 \dots \hat{i}_s \dots i_{k+1}}),$$

სადაც $r_W^U : \Gamma_C(U) \rightarrow \Gamma_C(W)$, $\rho_W^U : \Gamma(W) \rightarrow \Gamma(U)$, როდესაც $U \subset W$;

$f_{i_0 i_1 \dots i_k} \in \Gamma_C(U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}})$ ან $f_{i_0 i_1 \dots i_k} \in \Gamma(U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}})$;

$U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_{s-1}}} \cap U_{\alpha_j} \cap U_{\alpha_{i_s}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}} \neq \emptyset$.

ვთქვათ, $\{U_\alpha\}$ წარმოადგენს (X, τ_1) სივრცის ყველა ღია დაფარვათა ერთობლიობას. ვთქვათ, $U_{\alpha'}$ დაფარვა ჩაწერილია $U_{\alpha''}$ დაფარვაში.

თუ $U_{\alpha'} \subset U_{\alpha''}$, მაშინ დავაფიქსიროთ ასახვა: $\theta : U_{\alpha'} \rightarrow U_{\alpha''}$, $\theta(U_{\alpha_i}) = U_{\alpha''_i}$. ამ ასახვით განისაზღვრება ჯაჭვური

$$\theta_C : C_k(U_{\alpha'}, \Gamma_C) \rightarrow C_k(U_{\alpha''}, \Gamma_C)$$

და კოჯაჭვური

$$\theta^C : C^k(U_{\alpha''}, \Gamma) \rightarrow C^k(U_{\alpha'}, \Gamma)$$

ასახვები შემდეგნაირად:

$$\theta_C(f)_{i_0 i_1 \dots i_k} = \sum_{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}}} r_{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}}}^{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}}} (f_{i_0 i_1 \dots i_k}),$$

$$\theta^C(f)_{i_0 i_1 \dots i_k} = \rho_{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}}}^{U_{\alpha_{i_0}} \cap U_{\alpha_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha_{i_k}}} (f_{i_0 i_1 \dots i_k}),$$

სადაც

$$U_{\alpha_{i_0}} \in \theta^{-1}(U_{\alpha''_{i_0}}), U_{\alpha_{i_1}} \in \theta^{-1}(U_{\alpha''_{i_1}}) \dots U_{\alpha_{i_k}} \in \theta^{-1}(U_{\alpha''_{i_k}})$$

და

$$U_{\alpha''_{i_0}} \cap U_{\alpha''_{i_1}} \cap \dots \cap U_{\alpha''_{i_k}} \neq \emptyset.$$

ამგვარად, ადვილი მისახვედრია, რომ საქმე გვაქვს ჯაჭვურ კომპლექსთა პროექციულ და კოჯაჭვურ კომპლექსთა ინდუქციურ სისტემებთან.

ახლა განვიხილოთ ისეთი კო-წინაკონა და წინაკონა (X, τ_2) სივრცეზე, რომლებსათვისაც სრულდება შემდეგი პირობა: თუ $V \in T_2(X)$ და

$$V = \bigcup_{\theta} \bigcap_{k=1}^{n_\theta} \varphi(\Omega_k^\theta); \Omega_k^\theta \in P_1(X),$$

მაშინ $\Gamma_C(V) = \Gamma_C(U)$, $\Gamma(V) = \Gamma(U)$, შესაბამისად, სადაც $U \in T_1(X)$ და

$$U = \bigcup_{\theta} \bigcap_{k=1}^{n_\theta} \Omega_k^\theta; \Omega_k^\theta \in P_1(X).$$

ცხადია, ამ კო-წინაკონისთვის და წინაკონისთვის გვექნება შესაბამისი ჯაჭვურ კომპლექსთა პროექციული და კოჯაჭვურ კომპლექსთა იუნდუქციური სისტემები:

$$C_k(V_\alpha, \Gamma_C), C^k(V_\alpha, \Gamma).$$

ცხადია, აგრეთვე, რომ ეს პროექციული და ინდუქციური სისტემები იზომორფულნი იქნებიან

$$C_k(U_\alpha, \Gamma_C); C^k(U_\alpha, \Gamma)$$

პროექციული და ინდუქციური სისტემებისა, შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, (X, τ_1) და (X, τ_2) ტოპოლოგიური სივრცეების ჰომოლოგიის ჯგუფები კოეფიციენტებით შესაბამის კო-წინაკონებში და კოჰომოლოგიის ჯგუფები კოეფიციენტებით შესაბამის წინაკონებში იქნებიან იზომორფულნი. თეორემა დამტკიცდა.

ლიტერატურა:

1. Р. Энгелькинг Общая топология. М., 1986.
2. Р.Годман Алгебраическая топология и теория пучков.М., „Мир“,1961.
3. Э. Спеньер Алгебраическая топология. М., „Мир“, 1971.

SIMPLICIAL EQUIVALENCE OF TOPOLOGICAL STRUCTURES

Malkhaz Mumladze, Gori Teaching University, Full Professor

SUMMERY

The paper deals with the notion of simplicial equivalence of topological structures. Here is proved, that homological and co-homological groups of simplicial equivalence topological structures with coefficients in module's co-presheaves and presheaves are accordingly isomorphic.

ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

Natural Sciences

გენმოდულიზირებულ კულტურათა თავისებურებანი და მათი გავრცელების პერსპექტივები საქართველოში

ცოტნე სამადაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
E-mail: samadashvili@yahoo.co.uk

ხათუნა დობორჯგინიძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
E-mail: khatunad@yahoo.com

თინათინ ეპიტაშვილი, დოქტორანტი
E-mail: n_epitashvili@yahoo.com

უკანასკნელ ათწლეულში არც ერთ მეცნიერულ მიმართულებას არ გამოუწვევია, ისეთი მძაფრი დისკუსიები, როგორც სოფლის მეურნეობაში და კვების მრეწველობაში გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შემუშავებასა და გამოყენებას. დიდი ხანია, გენმოდულიზირებული პროდუქტის უსაფრთხოების საკითხი არა მარტო მეცნიერებს, არამედ ყოველ მომხმარებელს აწუხებს. გენეტიკურად შეცვლილი საკვები კი მაღაზიის თაროებს სწრაფად ავსებს და “მივირთვით თუ არა კონკრეტული პროდუქტი”- თითოეულისათვის დამოუკიდებლად გადასაწყვეტია.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გენური ინჟინერია მეცნიერული შემეცნების უბრალო ინსტრუმენტი გახლდათ და მხოლოდ ფანტაზიორებს შეეძლოთ, ეოცნებათ იმ დროზე, როცა ადამიანი სასოფლო-სამეურნეო მცენარეებსა და ცხოველებს გენეტიკურ დონეზე მიზანმიმართულად შეცვლიდა. ლაბორატორიულ ობიექტებზე ჩატარებული კვლევებით საკმარისი ცოდნა დაგროვდა იმის შესახებ, თუ როგორ არის ორგანიზმული და როგორ ფუნქციონირებს მემკვიდრეობითი ინფორმაცია არა მარტო მიკრობებში, არამედ უფრო რთულ მცენარეულ და ცხოველურ უჯრედებში. ამ ცოდნამ კი შესაძლებელი

გახადა, მემკვიდრეობითი პროგრამის ცვლილებების ექსპერიმენტი ჩატარებულიყო. კაცობრიობის ისტორიაში გენური ინჟინერიის ერა დაიწყო.

გენმოდულიცირებული ორგანიზმები, ანუ როგორც მათ გენეტიკოსები უწოდებენ, ტრანსგენური ორგანიზმები - ეს არის მცენარეები, ცხოველები და ბაქტერიები, რომელთა მემკვიდრეობითი ინფორმაცია, სხვა ორგანიზმების ცალკეული გენების ან გენების ჯგუფის შეყვანის გზით, ხელოვნურადაა შეცვლილი. დედამიწის ყოველი ცოცხალი არსება გენეტიკური ინფორმაციის ჩასაწერად ერთსა და იმავე მატარებელსა (დნმ ან რნმ) და ერთსა და იმავე კოდს იყენებს, რომლებიც ადამიანიდან - ბაქტერიებზე, ბაქტერიებიდან - მცენარეებზე გენების გადატანის საშუალებას იძლევა. ეს კი ტრანსგენური ორგანიზმებისათვის რომელიმე სასარგებლო ფუნქციის მქონე, მისთვის უჩვეულო ცილის სინთეზის უნარის გადაცემას განაპირობებს. ასეთი ცილებით პროდუქტმა შესაძლოა, სამკურნალო თვისებები შეიძინოს, გაუმჯობესდეს მისი გემო და სხვ. ყველა ახალი გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე მეცნიერული მიმართულების მსგავსად, გენმოდულიცირებული პროდუქტების შექმნასაც მრავალი მომხრე ჰყავს. მათი ვარაუდით, ეს გზა კაცობრიობის შიშშილით სიკვდილისგან, ავადმყოფობისგან და ეკოლოგიური კატასტროფებისგან გადაარჩენს. თუმცა არსებობს ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც გენმოდულიცირებული პროდუქტის სრულ აკრძალვას მოითხოვს. მათ მიაჩნიათ, რომ გენებზე მანიპულირება საშიშია და საბოლოო შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია. გენმოდულიცირებული პროდუქტების მოწინააღმდეგეთა ეჭვი შესაძლებელია საფუძველსმოკლებული არ არის, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტრანსგენური ორგანიზმების შექმნის მსგავსი მასშტაბებისა და პოტენციალის მქონე არც ერთი მეცნიერული მიღწევა, რაც არ უნდა სარისკოდ გვეჩვენოს, შეუმჩნეველი არ რჩება და ლაბორატორიაში მისი ჩაკეტვა შეუძლებელია. გვინდა თუ არა, გენური ინჟინერიის შედეგები ჩვენს ცხოვრებაში უკვე შემოვიდა, ჩვენ კი მხოლოდ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მწარე გამოცდილების მქონე კაცობრიობა სიტუაციის გაკონტროლებას შეძლებს.

გენეტიკური ინჟინერიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო საჭიროების გენმოდულიცირებული ორგანიზმების შექმნა. ტრადიციულ აგრარულ და მეცხოველეობის შემსწავლელ მეცნიერებებს - სელექციას, რომელიც სხვადასხვა სახეობის მცენარეებისა და ცხოველების შეჯვარებას ეყრდნობა, შეუძლია, ორგანიზმის უკვე არსებული თვისებები იმ გზით გააძლიეროს, რომლის განხორციელებაც ბუნებრივ პირობებში სრულად შესაძლებელია. გენური ინჟინერიის მეთოდებით კი ისეთი ახალი ორგანიზმები (გენმოდულიცირებული) იქმნება, რომელთა წარმოშობა ბუნებრივ პირობებში ნაკლებ სარწმუნო ან შეუძლებელია (გ. კვესიტაძე, ე. კვესიტაძე, 1999).

საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობაში კომერციული გამოყენების ეტაპებს მხოლოდ გენმოდულიცირებულმა მცენარეებმა მიაღწია. მცენარეთა მემკვიდრეობის აპარატში სხვა ორგანიზმების კუთვნილი ან ხელოვნურად კონსტრუირებული გენების შეყვანის საშუალებით მიღებულია კულტურები, რომლებიც:

- გამძლეა ვირუსების და სასოფლო-სამეურნეო მავნებლებისადმი;
- ხასიათდებიან მაღალმოსავლიანობით;
- არამოდულიცირებულთან შედარებით უფრო ამტანია;
- ადვილად გადამუშავდება;
- უფრო დიდხანს ინახება;
- ნაკლებად მოითხოვს სასუქებისა და პესტიციდებისადმი;
- გამდიდრებულია ამა თუ იმ ნუტრიენტებით;
- აქვს უკეთესი გემო და სხვ.

პირველი საცდელი ტრანსგენური მცენარეები 1983 წელს, კელნის (გერმანია) მცენარეთმცოდნეობის ინსტიტუტში მიიღეს. ცხრა წლის შემდეგ ჩინეთში შეიქმნა ტრანსგენური თამბაქო, რომელსაც მავნებელი მწერები ვერ აზიანებდა. 1994 წელს კი გასაყიდად გამოვიდა ოფიციალურად ნებადართული, პირველი გენმოდულიცირებული პომიდორი, რომელიც ტრანსპორტაბელურია და დიდხანს ინახებოდა. დღეისათვის მსოფლიოში 50-მდე სახეობის მცენარეა გენეტიკურად შეცვლილი, ათასამდე ხაზია მიღებული, რომელთაგან ასზე მეტი დანერგულია წარმოებაში, დანარჩენი კი უსაფრთხოების მიზნით გადის მინდვრის გამოცდას და ტესტირებას სხვადასხვა სტადიაზე (Clark D., Pazdemik N., 2008).

1996 წლიდან გენმოდულიცირებული ორგანიზმების ნათესებით დაკავებული ფართობი 1.7-3ა-დან 90 მილ. 3ა-მდე გაიზარდა, აქედან 55% აშშ-ზე მოდის.

ბიოინჟინერიის სიამაყედ ითვლება ე.წ. “ოქროს ბრინჯი”, რომელიც გასული საუკუნის 90- იან წლებში შვეიცარიელმა მეცნიერებმა შექმნეს. ბრინჯის მარცვლებმა გენეტიკური მოდიფიკაციის შედეგად ოქროსფერი შეიძინა. ბრინჯის ქრომოსომებში გადატანილი გენების ერთი ბეტა-კაროტინის სინთეზს

ახორციელებს, მერე კი მარცვალში რკინის შემცველობას ზრდის. ოქროსფერი ბრინჯის შექმნის მიზანიც ეს იყო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობის კვების რაციონში გაუმჯობესებულიყო რკინადეფიციტური ანემია და A ვიტამინის ნაკლებობა, რომელსაც განიცდის მოსახლეობა. “ოქროს ბრინჯი”-მა უსაფრთხოების ყველა ტესტი გაიარა და კულტივირებულია აზიის ქვეყნების ფერმერებისათვის (ა. ბაკურაძე, ე. კვესიტაძე, დ. ლაღანიძე, 2009).

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო გაძლიერდა მუშაობა ტრანსგენური მცენარეების მისაღებად. სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს მრავალ სასოფლო სამეურნეო კულტურაზე სხვადასხვა მიმართულებით. გენმოდირიცირებული მცენარეები მიღებულია: ხორბალში, სიმინდში, ბრინჯში, ქერში, სოიოში, მზესუმზირაში, რაფსში, პომიდორში, კარტოფილში, კომბოსტოში, სტაფილოში, ხახვში, კიტრში, შაქრის ჭარხალში, მარწყვში, ნიახურში, ვაშლში, კაკალში, იონჯაში, სელში, ბამბაში, ალვის ხეში და ნამძვში. განსაკუთრებით დიდ ფართობს იკავებს სოია, ბამბა, ბრინჯი, იონჯა, კარტოფილი, ალვის ხე.

ტრანსგენური მცენარეები მიღებულია: სიმინდის და სოიას მავნებლებისა და ჰერბიციდებისადმი გამძლე ფორმები, ბოსტნეულის და ხილის (პომიდორი, კარტოფილი, ვაშლი) ხანგრძლივი შენახვის უნარიანი ფორმები, ხილის ფიტოპათოგენური დაავადებების მიმართ გამძლე ფორმები. ბაქტერიებისა და ვირუსების გამოყენებით მიღებულია პესტიციდები, ჰერბიციდები, ფუნგიციდები, რომელთა გამოყენება გაცილებით უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ქიმიური პრეპარატების. მიღებულია ტრანსგენური მცენარეები, რომლებიც ხასიათდებიან გაძლიერებული ფიტორემედიაციით (ალვის ხე), ფიტოჰიდრაულიკით (ალვის ხე, ევკალიპტი) და სხვ (Smith J., 1997).

გენმოდირიცირებულ მცენარეთა თანამედროვე მიღწევები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მომავალში ამ მიმართულებით მუშაობა საჭირო და აუცილებელია და მრავალ სიკეთეს მოუტანს კაცობრიობას.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით გენმოდირიცირებულ ორგანიზმებიდან მიღებული საკვების უსაფრთხო გამოყენებაზე ყველა კვლევა ხანმოკლეა და მისი ნეგატიური ზემოქმედება შესაძლოა ხანგრძლივი დროის შემდეგ გამოვლინდეს. გენმოდირიცირებული ორგანიზმების მიმართ წაყენებულ სამედიცინო პრეტენზიებს შორის მნიშვნელოვანია ალერგიული რეაქციების შესაძლო განვითარება და ადამიანის ორგანიზმში მოზინადრე მიკროორგანიზმების მიერ ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობის შექმნა. კვების ტრადიციულ პროდუქტებში გენეტიკური მოდიფიკაციის შედეგად ახალი ალერგიების გაჩენა ნამდვილად შესაძლებელია, თუმცა ალერგიულ დაავადებებთან დაკავშირებული სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეიცვლება თუ ძველად არსებულ არამოდირიცირებულ კაკალს, რძეს, თევზს ან კვერცხს გამოვიყენებთ. პირიქით ზოგიერთი გენმოდირიცირებული ორგანიზმის გამოყენება საშუალებას იძლევა მკვეთრად შემცირდეს სასოფლო სამეურნეო კულტურებში ქიმიური საშუალებების მოხმარება, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

გენმოდირიცირებულ ორგანიზმთა და საკვების გამოყენებაზე მოწინააღმდეგეთა უმრავლესობას გენეტიკასთან და მოლეკულურ ბიოლოგიასთან ფაქტობრივად შეხება არ აქვთ. ამიტომ გენმოდირიცირებული პროდუქტების მიღების მისამართით წამოყენებული ბრალდებები ძირითადად ემოციის შედეგია, რაც სრულად გასაგებს ხდის ყველა სახის სიახლის მიმართ არსებულ უნდობლობას და არამეცნიერულად დასაბუთებულ არგუმენტებს. უფრო ხშირად გენმოდირიცირებული პროდუქტის მოყვანა ბევრი ქვეყნისათვის პოლიტიკური იარაღია და საკუთარი ხალხის ზრუნვაში ვლინდება. მეცნიერ გენეტიკოს- ბიოტექნოლოგიის სფეროს სპეციალისტთა დიდი ნაწილის აზრით, დღეისათვის გენმოდირიცირებული პროდუქტები სერიოზულ საფრთხეს არ ქმნის, თუმცა სიფრთხილე საჭიროა.

ბიომეცნიერება ყოველდღიურად მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს წარმატებისაკენ, ახალი აღმოჩენები ძირფესვიანად ცვლის მტკიცებულებებს, რომელიც ადრე შეუცვლელ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა. ამიტომ მკვლევარები გენმოდირიცირებული პროდუქტების უსაფრთხოების შესახებ დაუფიქრებელი განცხადებების გაკეთებისაგან თავს იკავებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ახალი მცენარის შექმნისათვის, ნებისმიერ შემთხვევაში, სრულიად განსხვავებული მეთოდები და გენები გამოიყენება. ერთი გენმოდირიცირებული ორგანიზმის გამოყენების დასაბუთებული უსაფრთხოება ან სხვა, ანალოგიური გზით შექმნილი ორგანიზმის გამოყენებისას არსებული რისკი არ შეიძლება, ნებისმიერ ტრანსგენურ პროდუქტზე გავცელდეს. ამიტომ განზოგადებებსა და ყოველ ახალ პროდუქტზე ექსპერიმენტების ჩატარებას თავი უნდა დავანებოთ.

სამწუხაროა, რომ საქართველოში ფართო მასშტაბიანი მუშაობა გენმოდირიცირებული მცენარეების მისაღებად არ მიმდინარეობს, თუმცა საქართველოს პირობებში მრავალი კულტურული მცენარე ავლენს ტრანსგენურ თვისებებს, რომლის წარმოშობის მიზეზია კლიმატური პირობები და სასუქებისა და შხამქიმიკატების გადიდებული ნორმები, რასაც ხშირად ფერმერები და კერძო მეურნეები არასწორად იყენებენ. ეს კი იწვევს მცენარეებში ბუნებრივ გადაგვარებას. ყოველივე ამის თავიდან

ასაცილებლად საჭიროა ტრანსგენურ მცენარეების მისაღებად შეიქმნას სახელმწიფო პროგრამა. ასევე აუცილებელია სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებაში შეიქმნას მკვეთრად განსაზღვრული საკანონმდებლო ბაზა.

ლიტერატურა:

1. გ. კვესიტაძე, ე. კვესიტაძე – ბიოტექნოლოგია. თბ. 1999. გვ. 170-177.
2. Clark D., Pazdemik N. – Biotechnology. Academic press, 2008. pp. 60-75.
3. ა. ბაკურაძე, ე. კვესიტაძე, დ. ღალანძიძე – თანამედროვე ბიოტექნოლოგიის შესავალი. თბ. 2009. გვ. 220-230.
4. Smith J. – Biotechnology. Cambridge University Press. 1997. pp. 27-35.

FEATURES OF GENETICALLY MODIFIED CULTURES AND THEIR PERSPECTIVES OF DISTRIBUTION IN GEORGIA

Tsotne Samadashvili, Georgian Agrarian University, Full Professor
Khatuna Doborjginidze, Georgian Agrarian University, Assistant Professor
Tinatin Epitashvili, PhD Student

RESUME

For last decades any scientific direction did not cause such sharp discussions, as development and use of genetically modified organisms in the agriculture and the food-processing industry. For a long time, the safety issue genetically modified products disturbs not only scientists, but also each consumer. Achievements of biotechnology, genetics; features and perspectives of genetically modified cultures are discussed in this paper.

ნიადაგის ეროზიული პროცესების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე

მაია აზმაიფარაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: maiaazmaiparashvili@gmail.com

„... ვფიქრობ, ჩვენ ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც. ამიტომაც, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური ქართული სასოფლო სამეურნეო ჯიშები (არა მარტო ყურძნის და ხორბლის, არამედ ლობიოს, კარტოფილის, საერთოდ ბოსტნეულის, ხილის და საქონლის), თვითუღმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს საქმე რეალობად იქცეს. ამით ჩვენ ჩვენს სიმდიდრესაც შევინარჩუნებთ და მომავალი თაობების ჯანმრთელობასაც დავიცავთ. აღნიშნულის შესახებ მე ადრე ვწერდი, მაგრამ დღეს ეს უკვე აუცილებლობად იქცა. მითუმეტეს, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც აქეთკენ გვიბიძგებს, რადგან მისგან გამოწვეული დეფიციტი, პირველ რიგში, ალბათ, კვების პროდუქტებს შეეხება. როდემდე გაგრძელდება ამდენი პრობლემები? - ბუნებრივია, ყველას გულში ეს კითხვა ტრიალებს...“ (უწმინდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლედან, 2009.01.06.)

ნიადაგის ეროზიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიოს წინაშე მდგარ ეკოლოგიურ პრობლემათა შორის. ასიათასობით წელი დაჭირდება ბუნებას, რომ დედამიწის ზედაპირზე ნაყოფიერი ნიადაგი, მარჩენალი მიწა, კაცობრიობის ერთ-ერთი უპირველესი სიმდიდრე შექმნილიყო. მისი დაცვა, გაფრთხილება და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მიუხედავად მოსავლიანობის საგრძნობი მატებისა მსოფლიოში, რაც ძირითადად განპირობებულია ჰერბიციდების, სასუქების, აგროტექნიკის, და მალალმოსავლიანი ჯიშების გამოყენებით, მელიორაციის დანერგვით, მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს უშუალოდ ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას. რისი უმთავრესი მიზეზიც სწორედ ნიადაგის ეროზიაა. უკვე მრავალი საუკუნეა რაც კაცობრიობა ნიადაგის ეროზიის შედეგად მნიშვნელოვან ზარალს განიცდის. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადაუდებელ პრობლემად იქცა. ნიადაგის

ეროზიული პროცესების განვითარების კანონზომიერებების შესწავლას, მისგან ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების შემუშავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის.

ნიადაგების ეროზია ბუნებრივი ფაქტორებისა და ადამიანის საქმიანობის რთული ურთიერთმოქმედების შედეგია. ეროზია და ნიადაგშემქმნელი პროცესები ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მიმდინარეობს. ეროზია ამცირებს ნიადაგის ფენის სისქეს, მის ნაყოფიერებას. ნიადაგწარმოქმნელი პროცესი კი, პირიქით, ნიადაგის ფენას ქმნის. სამწუხაროდ, ამ პროცესების ინტენსიურობა მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ეს განსხვავება ადამიანისათვის არახელსაყრელია. თუ ბუნება 100-150 წელიწადს უნდება 1 სმ სისქის ნიადაგის ფენის შექმნას, ერთი თავსხმა წვიმა საკმარისია ნიადაგის ფენის გადარეცხვისათვის. ეროზიის შედეგად ჩამორეცხილი ნიადაგის დიდი რაოდენობა საკვებ ნივთიერებებს კარგავს, რადგან საკვები ნივთიერებების მაქსიმალურ კონცენტრაციას ადგილი აქვს სწორედ ნიადაგის ზედა ფენაში, რომელიც ირეცხება ეროზიის შედეგად.

ერთი საუკუნის განმავლობაში ეროზიის შედეგად მთელი მსოფლიოს სახნავ-სათესი მიწებიდან გამოითიშა 25%. ეს განიცადა განსაკუთრებით აშშ-მ, სადაც ამჟამად ტერიტორიის 48 % განიცდის აქტიურ ეროზიას.

ეროზიასთან ბრძოლის მეცნიერების ფუძემდებელი ჰ. ბენეტი წერდა: „ამ ახალი ქვეყნის თეთრკანიანმა მფლობელებმა, თავიანთი „ველური სივრცეების დაპყრობაში“ და „დასავლეთის დამორჩილებაში“ დაამყარეს ნგრევისა და გაჩანაგების თავზარდამცემი რეკორდი, ნიადაგის გადარეცხვა ზედაპირული ნაკადით, ხრამებით დაისერა მანამდე მდიდარი მიწები“. ამის შედეგად ქვეყნის დასავლეთით წარმოიშვა ე. წ. „ამერიკის დიდი მტვრიანი ქვაბი“, სადაც შავ ქარბუქებს ნიადაგი გადააქვთ უტყეო ფართობებიდან მტვრის სახით ოკეანეში. (ვორონცოვი, ხარიტონოვა, 1985 წ.)

ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება. ეს გამოწვეულია ორი მიზეზით: ბიოსფეროში ნიადაგების განსაკუთრებული მნიშვნელობით და ნიადაგური საფარის კრიტიკული მდგომარეობით. ნიადაგი არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი საშუალებაა, არამედ ხმელეთის ეკოსისტემების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, დედამიწაზე ენერჯის მძლავრი აკუმულატორი, ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს შემადგენლობის რეგულატორი და საიმედო ბარიერია გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების მიგრაციის გზაზე. ამასთან ბიოსფეროს ეს შეუცვლელი კომპონენტი განიცდის მნიშვნელოვან დეგრადაციას. (ურუმადე, 2001 წ.).

ეროზია ბუნებრივი პროცესია, მას შეიძლება ყველგან ჰქონდეს ადგილი, სადაც წვეთური წყლის ნაკადის შესაძლებლობაა და სადაც აგრეთვე სათანადო სიძლიერის ქარები მოქმედებენ. ასეთი ბუნებრივი ხელშემწყობი პროცესებით გაპირობებულ ეროზიას ნორმალური ეწოდება. ხოლო ეროზიას, რომლის გამოხატულებაც ადამიანის შეუფერებელი მოქმედებით გაძლიერებულ, ინტენსიურ ხასიათს ატარებს - აჩქარებული ეროზია. ნიადაგის ეროზია მრავალგვარია, იგი დამოკიდებულია გამომწვევ ფაქტორებზე, მოქმედების ინტენსივობაზე, დარღვევით-დაშლითი მოქმედების ხარისხზე და სხვა.

ნიადაგების ეროზიის პროცესი რაოდენობრივად ხასიათდება ჩამორეცხვის ინტენსივობით, რომელიც გამოიხატება ტ/წ წელიწადში ან დაკარგული ნიადაგის სიმძლავრით დროის ერთეულში (სმ/წელ). ნიადაგების დანაკარგების ინტენსივობის შესაფასებლად შემუშავებულია (ცხრ.1) სპეციალური კლასიფიკაცია.

ნიადაგის ეროზიის ინტენსივობის შეფასების სკალა.

ცხრ.1

ნიადაგის დანაკარგი წელიწადში, ტ/ჰა	ეროზიის შეფასება
<0,5	უმნიშვნელო
0,5-1	სუსტი
1-0,5	საშუალო
5-10	ძლიერი
>10	უძლიერესი

საქართველო მიეკუთვნება მსოფლიოს იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ეროზირებულ პროცესებს მეტად ფართო გავრცელება და საშიში ხასიათი აქვთ. საქართველოს მთაგორიან რაიონებში იშვიათად შევხვდებით ფერდობებს, რომელიც არ იყოს ეროზირებული და ხევებით დასერილი. შეიმჩნევა ინტენსიური მეწყერული და ღვარცოფული მოვლენები. აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი კლიმატის პირობებში, მცენარეებით დაუფარავ ფერდობებზე წყლისმიერი ეროზიის პროცესი უფრო ინტენსიურად

მიმდინარეობს, ვიდრე სხვა რეგიონებში, რასაც განაპირობებს აქ გავრცელებული ნიადაგების სუსტი მდგრადობა ეროზიისადმი.

ნიადაგის ეროზიული პროცესების განვითარება, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთის რეგიონში, გავრცელებულ ყავისფერ ნიადაგებზე. ნიადაგ-ეროზიული კვლევა ჩატარდა როგორც ღია ადგილას, ასევე მარცვლოვანი კულტურებით დაკავებულ ფართობებზე.

ვიზუალური შეფასების მიხედვით უმნიშვნელოდ ეროზირებულ ნიადაგებზე ნიადაგის გამკვრივება და ქერქის წარმოშობა არ ფიქსირდება. გამორეცხვით ღარები ყოველ 80-100 მ-ში გვხვდება. მცირე წვეთური ეროზია და ქერქის წარმოშობა გვხვდება ერთეულ ადგილებში. წყვეტილი ღარები ყოველ 20-50 მეტრშია. საშუალოდ ეროზირებულ ნიადაგებზე გვხვდება წვეთური ეროზიით გამორეცხილი საფუძველი და გაშიშვლებული ფესვები, რომელზეც შესამჩნევია ნიადაგის ზედაპირის დონის ანაბეჭდი. დაბინძურების პრობლემის საშიშროება. ფერდობის ქვედა წელზე შეერთებული და მუდმივი ჩამონადენების ქსელი ყოველ 5-10 მ-ში ან ხრამების წარმოშობა ყოველ 50-100მ-ში. ძლიერ ეროზირებულ ნიადაგზე ღარების მუდმივი ქსელი ყოველ 2-5 მ-ში ან ხრამები ყოველ 2 მ-ში. ობიექტთან მისვლა გართულებულია. აღდგენილი მცენარეული საფარი სუსტია და საჭიროებს ხელახალი აღდგენითი ზომების მიღებას.

ეროზიული მოვლენების გამოხატულება დიდად არის დამოკიდებული თვით ნიადაგის თვისებებზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის სტრუქტურას. მტკიცე სტრუქტურის ნიადაგებს ეროზიისადმი დიდი წინააღმდეგობის თვისება აქვთ, ვინაიდან ასეთ ნიადაგს შეუძლია წყალი კარგად გაატაროს, რის შედეგადაც ატმოსფერული ნალექები ნიადაგში ჩაიჭონება და თხიერი ჩამონადენი თავიდან იქნება აცილებული. იმ ნიადაგებს კი, რომლებსაც, პირიქით, სუსტი სიმტკიცის სტრუქტურა ახასიათებთ, ეროზიისადმი დიდი დამყოლობის თვისება აქვთ. ასეთ ნიადაგს დაქვეითებული ფილტრაციის თვისება ახასიათებს და ატმოსფერული ნალექების დიდი ნაწილი ფერდობის დაქანების მიმართულებით მიედინება - იძლევა თხიერ ჩამონადენს.

ეროზიის მიმართ შესწავლილი ნიადაგის მდგრადობის ხარისხი განვსაზღვრეთ მისი სტრუქტურის მიხედვით. კერძოდ წყალგამძლე აგრეგატების რაოდენობრივი მაჩვენებლებით. დადგინდა, რომ რაც უფრო მეტია ნიადაგის ზედა ფენებში 0,25 მმ მეტი ზომის წყალგამძლე აგრეგატები და მათ შორის დიდი შეჭიდულობის ძალა, მით მეტია ეროზიის მიმართ ნიადაგის მდგრადობა. (ცხრ.2)

სხვადასხვა ხარისხით ჩამორეცხილი ყავისფერი ნიადაგის აგრეგატების წყალგამძლეობა (ა. ტულინის მეთოდით)

ცხრ.2

ნიადაგის ჩარეცხვის ხარისხი	სიღრმე სმ-ით	აგრეგატები მმ				>0,25
		> 3	3-1	1-0,25	<0,25	
ჩამორეცხავი	0-10	19,6	31,0	27,4	21,2	77,3
	20-30	21,4	32,5	92,6	16,8	80,2
	50-60	18,5	24,1	30,6	25,7	62,2
სუსტად ჩამორეცხილი	0-10	15,3	21,6	31,2	28,3	69,5
	20-30	17,8	26,5	29,2	22,3	75,5
საშუალოდ ჩამორეცხილი	0-10	8,4	16,6	25,4	41,1	53,2
	20-30	7,9	16,2	24,1	55,8	48,1
ძლიერ ჩამორეცხილი	0-10	3,0	10,2	21,9	64,5	31,5
	20-30	6,4	13,1	17,3	68,5	30,9

სტრუქტურული აგრეგატების სიმტკიცე და მათი ურთიერთშეჭიდულობის ძალა დამოკიდებულია ნიადაგში ჰუმუსის, ლექის ფრაქციისა და შთანთქმის კომპლექსში კალციუმისა და მაგნიუმის შემცველობაზე.

ორ და სამვალენტური კათიონების მამდარი კოლოიდური კომპლექსის მქონე ნიადაგების ეროზიისადმი გამძლეობის უნარი ბევრად დიდია, ვიდრე ფუძეებით არამამდრი და აგრეთვე ბიცობიანი ნიადაგებისა. ნიადაგები, რომლებიც მდიდარია ერთ-ნახევარი ჟანგის ჰიდრატებით, ეროზიისადმი უფრო

გამძლეა, ვიდრე ამ ჟანგეულებით ღარიბი ნიადაგები, რომელთა ჰუმუსი ჰუმინის მჟავას მეტი რაოდენობით შეიცავს, ეროზიისადმი ნაკლები დამყოლობით არიან და, პირიქით, ნიადაგებს, რომელთა ჰუმუსი ფულვომჟავებით არის მდიდარი, ეროზიისადმი მაღალი დამყოლობის თვისება ახასიათებთ.

ნიადაგის ეროზიული პროცესები უარყოფით გავლენას ახდენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობაზე. კვლევის მონაცემებით ეროზირებული ნიადაგები არაეროზირებულ ნიადაგებთან შედარებით, ხასიათდება ნაყოფიერების დაბალი მაჩვენებლებით, რაც აპიობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სუსტ ზრდა-განვითარებას და დაბალ მოსავლიანობას.

დადგენილია, რომ ეროზიით დაზიანებულ ნიადაგებზე მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობა საშუალოდ 25-70% -ით ნაკლებია. ეროზირებული ნიადაგიდან მიღებულ მარცვალში მცირეა წებოვანა, სახამებელი და ხარისხის სხვა განმსაზღვრელი ნივთიერებები. ამრიგად ეს ნიადაგები არა მარტო მოსავლიანობის სიდიდით განსხვავდება არაეროზირებული ნიადაგებისაგან, არამედ მიღებული პროდუქციის ხარისხითაც. (მაჭავარიანი, 1987 წ.)

ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზით (ცხრილი 3) ირკვევა, რომ ჩამორეცხვავ და სუსტად ჩამორეცხილ ნიადაგებს შორის მცენარის ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობის მხრივ მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის; რაც შეეხება საშუალო და ძლიერ ჩამორეცხილ ნიადაგებს, აქ ხორბლის ნათესი ხასიათდება სუსტი ზრდა-განვითარებით და ჩამორეცხვავ ნიადაგებთან შედარებით ხორბლის მოსავალი შესაბამისად 22-48% -ით ნაკლებია.

ნიადაგის ჩარეცხილობის ხარისხის გავლენა მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობაზე

ცხრ.3

ნიადაგი	ფერდობის დაქანება გრადუსებით	კულტურა	ნიადაგის ჩამორეცხვის ხარისხი	ღეროთა რაოდენობა კვ. მეტრზე	მცენარეთა საშ. სიმაღლე სმ-ით	თავთავის სიგრძე სმ-ით	მარცვლის რაოდენობა თავთავში	1000 მარცვლის წონა გრ-ით	მოსავალი ც/ჰა-ზე
აღმოსავლეთ საქართველო მდელის ყავისფერი	0-2	ხორბალი	ჩამორეცხვა ვი	450	99	8,5	30	30,2	33,5
	3-5		სუსტად	432	98	8,2	28	32,6	30,3
	9-10		საშუალოდ	421	96	8,0	21	25,6	24,3
	11-12		ძლიერად	310	60	6,6	13	20,3	17,5

ნიადაგის ეროზიის ფაქტორების მნიშვნელოვანი სივრცობრივი და დროითი ცვალებადობის გამო, ეროზიის პროგნოზირებას აქვს ალბათობის ხასიათი. ნიადაგების ეროზიის სუსტი პროგნოზი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც ცნობილია ამ მოვლენასთან დაკავშირებული პროცესების წარმოშობის და განვითარების კანონზომიერებანი. ერთის მხრივ, ეს არის ეროზიული ამინდის ფორმირების კანონზომიერებანი, ხოლო, მეორეს მხრივ, ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო მდგრადობის ცვლილების კანონზომიერებანი. ნათელია, რომ ნიადაგის ეროზიის პროგნოზირება უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე ამინდის პროგნოზირება.

ამჟამად ყველაზე პროგრესულ მეთოდად ითვლება გრძელვადიანი პროგნოზირება მოდელირების საფუძველზე.

წყლისმიერი ეროზიის პროგნოზირებისათვის გამოიყენება აშშ-ში დამუშავებული ე.წ.

„ნიადაგების დანაკარგის უნივერსალური განტოლება“ $Q=0,224 R K L S C P$,
 სადაც Q - ნიადაგის დანაკარგი ეროზიისაგან კგ/მ³ წელიწადში; R - წვიმის ეროზიულობის უნარის კომპლექსური დახასიათება; K - ნიადაგის ეროზიულობის თვისებების განმსაზღვრელი, მისი თვისებების კომპლექსური დახასიათება; LS- ტოპოგრაფიული ფაქტორების კომპლექსური დახასიათება; C - ნიადაგის ჩამორეცხვავ მიწათმოქმედების სისტემების გავლენის კომპლექსური დახასიათება; P - სხვადასხვა ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტურობის კომპლექსური დახასიათება.

ნიადაგის ქარისმიერი ეროზიის პროგნოზირებისათვის ყველაზე მიღებულია ე.წ. „ქარისმიერი ეროზიის განტოლება“ რომლის მეშვეობით შესაძლებელია რიგი ფაქტორების გათვალისწინებით ნიადაგის დანაკარგის პროგნოზირება $Q=f(E,I,K,C,L,V)$, სადაც

Q - ქარისმიერი ეროზიისაგან ფართობის ერთეულიდან ნიადაგის შესაძლებელი დანაკარგი წელიწადში;
 E - ნიადაგის დეფლირება, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგის კომპოზიციონობასა და ნიადაგის ქერქზე;

I - დაქანება; K - კვალის ხორკლიანობის კოეფიციენტი; C- ქარის საშუალო სიჩქარე;
L - ქარის მიმართულებით მინდვრის დაუცველი ნაწილის სიგრძე; V- მცენარეული საფარის და ნაწვერალის ნარჩენების ნიადაგდაცვითი ექვივალენტი. (ურუშაძე, ხომასურიძე, 2010)

ამრიგად, ეროზია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე არასასურველ მოვლენას, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემომცველი ბუნების ეკოლოგიურ სტაბილურობას. ეროზიის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, სადაც მთებს უკავია ტერიტორიის დაახლოებით 53,0%, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 1/3-ზე მეტი განიცდის ეროზიას. მცირემიწიანი საქართველო ამ და სხვა საშიშარი გეოლოგიური პროცესების მიხედვით მსოფლიოს ერთ-ერთ საინტერესო და რთულ რეგიონს წარმოადგენს.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში დამუშავებულია მიწების ეროზიისაგან დამცავი ღონისძიებების სისტემა, რომლის გამოყენებაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შევამციროთ ეროზიული პროცესები თ გამოწვეული ნიადაგის დანაკარგები. ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის, მთავორიანი ტერიტორიის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების ერთ-ერთი ერთ-ერთ პერსპექტიულ და საქართველოსათვის მიზანმიმართულ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს მიწათმოქმედების ლანდშაფტურ-ადაპტური სისტემა.

ლანდშაფტის ცნების ქვეშ იგულისხმება ის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი, რომლის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია რელიეფი, კლიმატი, წყალი მცენარეული და ცხოველთა სამყარო. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, ბუნებრივი ლანდშაფტები გარდაიქმნება აგროლანდშაფტებად.

ბუნებრივი ლანდშაფტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ათვისების ერთ-ერთი შედეგია ლანდშაფტის სივრცითი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სხვადასხვა ფართის და კონფიგურაციის ფორმირება, ტერიტორიის დანაწევრება მნიშვნელოვნად ამცირებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების კოეფიციენტს და შესაბამისად დამუშავებული ფართობის სიდიდეს.

ლანდშაფტური მიწათმოქმედების დროს საჭიროა ყველა ნაკვეთისთვის შემუშავდეს მისი მდგომარეობის შენარჩუნების ან „გაუმჯობესების“ დიფერენცირებული პროგრამა, დაფუძნებული მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზებზე. მიწათმოქმედების ლანდშაფტურ -ადაპტური სისტემიდან გამომდინარე ნიადაგდამცავი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ლანდშაფტის არა რომელიმე, ცალკე აღებული ელემენტისათვის, არამედ ისინი ოპტიმალურ ზემოქმედებას უნდა ახდენდნენ ლანდშაფტის ყველა კომპონენტზე. მთავარია ლანდშაფტის არა ერთი რომელიმე ელემენტის, არამედ მთელი გარემომცველი ბუნების დაცვა დეგრადაციისაგან.

ლიტერატურა:

1. ვორონცოვი ა.ი., ხარიტონოვა ნ. ზ., ბუნების დაცვა, „განათლება“, თბილისი, 1985. გვ. 210.
2. ურუშაძე თ., აგროეკოლოგია, თბილისი, 2001. გვ. 106.
3. მაჭავარიანი ვ., ნიადაგის ეროზია და დაცვის ღონისძიებები, მეცნიერება, თბილისი, 1987. გვ. 60.
4. ურუშაძე თ. ხომასურიძე დ., პრაქტიკუმი აგროეკოლოგიაში, „მწიგნობარი“, თბილისი, 2010. გვ. 93-94.
5. ქაჯაია გ., ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბილისი, 1999. გვ. 103-104.

SOIL EROSION IMPACT AGRICULTURE – CROPS ON YIELD

Maia Azmaiparashvili, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

Soil erosion faced by the worlds environmental problems occupy a special place among. Take hundreds of thousands of years in nature, the earth surface, the soil is fertile, the land of bread-winner, one of humanity – one of the first to create wealth. Many centuries that mankind suffer from soil erosion cause significant damage. Protection from soil erosion worldwide problem has become urgent. Georgia belongs to the worlds countries, where erosive processes have become more wide-spread and dangerous.

Georgia belong to the worlds countries, where erosive processes have become more widespread and dangerous. Erosion events depends largely on the nature of the soil.

Erosion is one of the most undesirable event that poses a there to the ecological stability of the surrounding landscape. Erosion problem is particularly acute in Georgia, where approximately 53% of the territory is occupied by mountains, all kinds of agriculture – more than 1/3-lands suffering from erosion. Little land in Georgia and other geological processes, according to one of the world – interesting and complicated regions.

საქართველოს ფლორის სამკურნალო მცენარეული რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების შესახებ

ნანი გვარიშვილი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი
E-mail: n.gvarishvili@mail.ru

საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის სიმდიდრე და მრავალფეროვნება მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას ფართოდ გამოიყენონ მცენარეული რესურსები. საქართველოს ფლორა მდიდარია სამკურნალო მცენარეებით, რომელთა გამოყენება თაობათა მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას ემყარება. სამკურნალო პრეპარატთა არსენალში მიუხედავად მაღალეფექტურ სინთეზურ საშუალებათა სიუხვისა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებებს. მათი გამოყენების მასშტაბები განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება. მათში წარმოდგენილია მთელი სპექტრი ფარმაცოლოგიურად ისეთი აქტიური ნივთიერებებისა, როგორცაა: ეთერზეთები, ნახშირწყლები, გლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ცილები, ალკალოიდები, ვიტამინები და სხვა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ქიმიური სტრუქტურით, არამედ თვისობრივი შემცველობითაც და აქედან გამომდინარე, მათი ზეგავლენის ხასიათიც სხვადასხვაგვარია ცოცხალ ორგანიზმზე.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების უზარმაზარი მარაგი, რომელთაგან სამედიცინო მნიშვნელობის მქონე მცენარეთა 700-მდე სახეობა გამოიყენება ქართულ ტრადიციულ მედიცინაში, ხოლო 200-მდე თანამედროვე მედიცინაში (ვარშანიძე, 2009), მაგრამ ისინი „ამოუწურავი“ არაა და შეუძლებელია მათი უსასრულოდ ათვისება, თუ არ იქნება მოგვარებული მათი აღრიცხვა, დაცვა და შესაბამისად სწორი ექსპლუატაცია. რიგ რაიონებში, სადაც ხდება სამკურნალო მცენარეების ნედლეულის დამზადება, სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების, ჭაობების დაშრობის, მშენებლობებისა და ადამიანის სხვა სამეურნეო საქმიანობის წარმოების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სამკურნალო მცენარეების მრავალი ძვირფასი სახეობების რაყები. ამავე დროს, არა მარტო ჩვენ, არამედ შემდგომ თაობებსაც უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა, რომ ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რასაც ბუნება იძლევა. ჩვენი აზრით, დადგა იმის აუცილებლობა, რომ სამეურნეო გამოყენების რაიონებიდან გამოიყოს ფართობები, რომლებშიც აუცილებელია ბუნებრივ პირობებში მცენარეთა სახეობების ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა, მათი რაციონალურად გამოყენებისა და კულტივირების მიზნით. აქედან გამომდინარე, ყველა კვლევებს, რომლებიც ტარდება სამკურნალო მცენარეების შესწავლის მიზნით, იმავდროულად უნდა მოჰყვას მეცნიერულ დონეზე შემუშავებული და დასაბუთებული რეკომენდაციები ბუნებრივი რაყების მაქსიმალურად შენარჩუნებისა და შენახვისათვის.

სამკურნალო მცენარეები, წარმოადგენენ მცენარეული სამყაროს ორგანულ ნაწილს და ექვემდებარებიან იმ სახელმწიფო ღონისძიებებს, რომლებიც ტარდება ბუნების დაცვის მიზნით. საზოგადოებრივი აზრიც მათი დაცვის პრობლემას თანდათან საერთო ეკოლოგიური პრობლემის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებს.

ერთის მხრივ, საქართველოს მრავალი სამკურნალო მცენარე წითელ წიგნშია შეტანილი და მრავალი გადაშენების პირსაა, ხოლო მეორეს მხრივ, არასწორი მოპოვების შედეგად, ყველა მცენარისათვის დიდია ბუნებრივი ბალანსის დარღვევის ალბათობა. ბუნებაში სამკურნალო მცენარეთა მოპოვებას დიდი სიფრთხილე სჭირდება. „დამამზადებლების“ დიდი ნაწილი არ იცნობს ეკოლოგიურ მოთხოვნებს და ხშირად მორალურადაც მოუმზადებელია იმისათვის, რომ სათუთად მოეპყროს ბუნებას.

სამკურნალო მცენარეების ბუნებრივი რაყების შენარჩუნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი სწორი ექსპლუატაცია (საექსპლუატაციო ფართობების მონაცვლეობა, რომელიც უზრუნველყოფს რაყების ბუნებრივ აღდგენას, ნედლეულის დამზადებას იმ პერიოდში, როდესაც მათში მაქსიმალურადაა დაგროვილი ფარმაცოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მცენარეების კომპლექსურ გამოყენებას და ა.შ.).

სამკურნალო მცენარეების რესურსების დაცვის საკითხები წარმოადგენს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ერთ-ერთ ძირითად პრობლემატურ საკითხს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში. სამკურნალო მცენარეების რესურსების დაცვა მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი ხერხების ძიებას, რომლებიც რაციონალური ექსპლუატაციის პირობებში უზრუნველყოფენ მათ დაცვასა და განახლებას. ნებისმიერი სახეობის ექსპლუატაცია უნდა ხორციელდებოდეს მეცნიერულად დასაბუთებული რეჟიმის საფუძველზე,

იმავედროულად შესაბამისი ღონისძიებების გატარებით მცენარეთა დაცვისა და ბუნებრივი განახლების უზრუნველყოფის მიზნით. რეკომენდირებული რეჟიმების დაცვის პირობებში შესაძლებელი ხდება ველური სამკურნალო მცენარეების უმეტესი სახეობების ხანგრძლივი ვადით ექსპლუატაცია (ხიდაშელი, 1985).

ბუნებისდაცვითი ღონისძიებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სამკურნალო მცენარეებში ვიგულისხმობთ ყველა მცენარე, რომელიც ოფიციალურ მედიცინაში გამოიყენება ამჟამად და გამოიყენებოდა თვალმისაწვდომ წარსულში. აღნიშნული საშუალებას იძლევა შემცირდეს წნეხი როგორც ახალ, ასევე ხანგრძლივად ექსპლუატირებულ სახეობებზე.

სახეობების დაცვის ერთ-ერთ სპეციალიზირებულ ფორმას წარმოადგენს გაქრობის საფრთხის წინაშე მდგომი სამკურნალო მცენარეების კულტივირება. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უნიკალური ეკოსისტემა ფლორის მრავალფეროვნებას განაპირობებს და მნიშვნელოვან სახეობათა, მათ შორის სამკურნალო მცენარეთა კულტივირების შესაძლებლობებს იძლევა. ეს მიმართულება ისტორიულად ტრადიციული, დღეისათვის პრიორიტეტული დარგი ხდება. კულტივირებულ სამკურნალო მცენარეებს რეალურად შეუძლიათ თავისუფალი ბაზრიდან გააძევიონ ბუნებაში მოპოვებული სამკურნალო მცენარეები და ამით დათრგუნონ სამკურნალო მცენარეთა ბუნებაში მოპოვების ძირითადი ეკონომიკური სტიმული. ასევე სახეობების დაცვის სპეციალიზირებულ ფორმას წარმოადგენს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის კომპლექსური გამოყენება. შეთავსებადი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება, ერთი და იგივე ნედლეულიდან რამდენიმე სამკურნალო საშუალების დამზადების ტექნოლოგიური სქემების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის მეტ გამოსავალს ნაკლები მოცულობის ნედლეულიდან.

სამკურნალო მცენარეების დაცვის სისტემის უკიდურეს ზომას წარმოადგენს მათი შეტანა წითელ წიგნში, ვინაიდან მცენარეები, რომლებიც შეყვანილია წითელ წიგნში, პრაქტიკულად არ ექვემდებარებიან დამზადებას.

საქართველოში სამკურნალო მცენარეების სანედლეულო ბაზას წარმოადგენს ნედლეულის ფონდი, რომელიც დამზადებულია ველური მცენარეებისაგან და ნედლეულის ფონდი, რომელიც შეგროვებულია კულტივირებული სამკურნალო მცენარეებისაგან. დღეისათვის სამკურნალო მცენარეების ნედლეულის ფართო ასორტიმენტის დაახლოებით ნახევრის (მოცულობის მხრივ) დამზადება ხდება ბუნებაში. ველური სამკურნალო მცენარეების როლი ჩვენს ქვეყანაში ძალზედ დიდია, ვინაიდან ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი ტერიტორიები, რომლებიც უჭირავს ბუნებრივ მცენარეულობას. მცენარეული და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ასევე მათ დაცვას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ადამიანის კეთილდღეობისათვის

საქართველოში ჯერ-ჯერობით არასაკმარისი ყურადღება ეთმობა რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემებს. სამკურნალო მცენარეებს, წარმოადგენს რა იგი მცენარეული სამყაროს შემადგენელ ნაწილს, ესაჭიროება რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო ღონისძიებები, ვინაიდან იგი ბოლო წლებში განიცდის ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას. კერძოდ, ადამიანების მიერ განხორციელებულმა ისეთმა სამეურნეო საქმიანობებმა, როგორებიცაა ფართობების სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ათვისება, მსხვილი სამრეწველო და საბინაო მშენებლობები, მიწების მელიორაცია და ირიგაცია, ხე-ტყის სამრეწველო მასშტაბებში დამზადება და ა.შ. გამოიწვია ველური სამკურნალო მცენარეების მარაგების მკვეთრი შემცირება (დათეშიძე, 2000). ბუნებრივ პირობებში ველური სამკურნალო მცენარეების შენარჩუნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნედლეულის დამზადების მოცულობების სწორი დაგეგმვა, რისთვისაც აუცილებლად მიგვაჩნია შესაბამისი მონაცემების არსებობა, რომელთა მიღებაც შესაძლებელია რესურსების ამდწერი ექსპედიციების მეშვეობით. დამზადების მოცულობების დაგეგმვისათვის აუცილებელია როგორც სამკურნალო მცენარეების გამოვლენილი მარაგების მოცულობების ცოდნა, ასევე დამზადების შემდეგ მათი აღდგენის ვადების განსაზღვრაც. ამა თუ იმ სახეობის რაყების აღდგენის ვადები დამოკიდებულია ფიტოცენოზზე. ინტენსიური ექსპლუატაციის დროს პოპულაციის დეგრადაცია იწყება მათი ზომების შემცირებით, მიუხედავად იმისა, რომ შენარჩუნებულია მათი რაოდენობა და ასაკობრივი სტრუქტურა. შემდგომ მკვეთრად მცირდება მათი რაოდენობა და იცვლება ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობა. თითქმის ყველა სამკურნალო მცენარეს ახასიათებს დაბალი რეგენერაციული თვისებები. მათი მიწისზედა ნაწილის აღდგენას ესაჭიროება დაახლოებით 3-8 წელი, ხოლო ფესვებისა და ფესურების განახლებას 15-30 წელი. აღნიშნული იწვევს იმის აუცილებლობას, რომ, ჯერ ერთი სამკურნალო მცენარეების მარაგს მოვეპყროთ

სათუთად და მეორე, მცენარის მიწის ზედა ნაწილის ნედლეულად გამოყენების დროს არ დავაზიანოთ ფესვები.

ველური სამკურნალო მცენარეების რესურსების შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა შექმნილიყო შესაბამისი რესპუბლიკური ან ადგილობრივი მნიშვნელობის ნაკრძალები, ბოტანიკური, ლანდშაფტური, ეკოლოგიური ან სხვა სახის ადკვეთილები, რაც ჯერ-ჯერობით ჩვენს ქვეყანაში არ არის. სამკურნალო მცენარეების დაცვის ყველაზე ტიპიურ ფორმას წარმოადგენენ ადკვეთილები, რომლებიც ნაკრძალებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ იქ იცავენ ბუნების ცალკეულ ობიექტებს. ადკვეთილის ტერიტორიაზე შესაძლებელია დადგინდეს სამკურნალო მცენარეების ნედლეულის დამზადების გარკვეული რეჟიმი მისი რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების პირობების გათვალისწინებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამამზადებელი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარდეს სამკურნალო მცენარეების რესურსების კომპლექსური გამოკვლევა და მის საფუძველზე შემუშავდეს სამკურნალო მცენარეების რესურსების გამოყენებისა და დაცვის სისტემა. სამკურნალო მცენარეების რესურსების კომპლექსურ გამოკვლევა თავის მხრივ უნდა მოიცავდეს სახეობის რესურსული მახასიათებლების ყოველმხრივ შესწავლას, კერძოდ:

- საექსპლუატაციო მარაგის განსაზღვრა და მათი კარტოგრაფირება;
- დამზადების შემდეგ სამკურნალო მცენარეების მარაგის აღდგენის ვადების შესწავლა;
- ნედლეულის დამზადების ოპტიმალური ვადების დადგენის მიზნით სამკურნალო მცენარეებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დაგროვების დინამიკის შესწავლა;
- ბუნებაში მოზარდ სამკურნალო მცენარეთა რაყების ტაქსაცია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობის ნედლეულის დამზადების რაიონების განსაზღვრისათვის;
- არასაკმარისი ბუნებრივი სანედლეულო ბაზის ან დამზადების დიდი შრომატევადობის გამო სახეობის გადატანა კულტურაში;
- მცენარის ყველა ორგანოების კომპლექსური გამოყენება ნედლეულის სახით.

ლიტერატურა:

1. ნ. ვარშანიძე, ნ. ალასანია. აჭარის სამკურნალო მცენარეთა ბიომრავალფეროვნება. საერთაშორისო კონფერენციის „აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ბიოლოგიური მრავალფეროვნება“ მასალები. ბათუმი, 2009. გვ. 37–38.
2. შ. ხიდაშელი, ვ. პაპუნძე. საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები. ბათუმი. 1985. გვ. 124.
3. ლ. დათეშიძე. სამკურნალო მცენარეთა წარმოების ეკოლოგიური პრობლემები. "საქართველოში სამედიცინო მცენარეთა წარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხები". თბ. "მეცნიერება", 2000. გვ. 73.

ABOUT PROTECTION OF MEDICAL PLANT RESOURCES OF GEORGIA'S FLORA AND ITS RATIONALLY UTILIZATION

Nani Gvarishvili, Shota Rustaveli State University, Assistant Professor

REZUME

The variety and richness of Georgia's flora gives possibility to population to use the plant resources widely. Georgia's flora is rich with its medical plants, the utilization of which is based on rich practical experience. The medical plants that are the part of medical universe, needs some measurements for its rationally utilization to be held by the state. For the purpose of utilization of the medical plant resources and for the purpose of insurance the protection systems, it is advisable to carry on the complex research of the medical plant resources and to master its recursive characteristics.

აბიოტური ფაქტორების გავლენისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ეფექტურობის საკითხები აგრარულ სექტორში

რეზო ჯაბნიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი, ს.მ.
მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი ჯაბნიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს.მ. აკადემიური
დოქტორი

ნანა ჯაბნიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს.მ. აკადემიური დოქტორი

სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი ბუნებრივი რესურსებია მიწა, წყალი და ტყე, რომლებიც მიუხედავად მნიშვნელობითი არაერთგვაროვნებისა მთლიანად განსაზღვრავენ ამ დარგში მიღებული პროდუქციის მოცულობას. ძირითადი მაინც მიწაა და შესაბამისად ჩვენს მიერ დასმული საკითხის შესწავლა-განხილვაც ამ რესურსით უნდა დაიწყო. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მიწის დაცვისა და რაციონალური მიწათსარგებლობის დამკვიდრებაში ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის არსებული პრაქტიკა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. მიწების გამოყენების ეფექტურობის ძირითად მაჩვენებლად ფართობის ერთეულიდან მიღებული მოსავლიანობა და შემოსავალი გამოიყენება. ეს მაჩვენებლები დამოკიდებულია წარმოების სტრუქტურაზე, კულტურებისა და დარგების სწრაფად შერჩევაზე და სხვა ფაქტორებზე, რომლებიც ნიადაგის ხარისხთან არ არიან დაკავშირებული. ამას ემატება ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენების თავისებურებანიც.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანობას ძირითადად მოსავლიანობითა და მთლიანი პროდუქციის მოცულობით განსაზღვრავენ. ეს მეთოდი საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირებისა და რაციონალური, მაღალეფექტური მიწათსარგებლობის სტიმულირებისა და სხვა საკითხების ოპტიმალურად გადასაჭრელ ეკონომიკური ბერკეტების შემუშავება-გამოყენების საშუალებას არ იძლევა. მსოფლიო მოწინავე ქვეყნებში ამ მიმართულებით კომპლექსური სისტემებია შემუშავებული ისეთი ურთულესი საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა: 1) მიწის რესურსებზე ეროვნული მეურნეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება სოფლის მეურნეობის პრიორიტეტის გათვალისწინებით, ანუ მაღალნაყოფიერი ნიადაგების მხოლოდ ამ დარგში გამოყენებით; 2) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებაში მაქსიმალური ფართობების ჩართვა და მათი ნაყოფიერების განუხრელი ამაღლება; 3) მიწის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და მომავალი თაობებისათვის გაუმჯობესებულ მდგომარეობაში გადაცემაზე საერთო ეროვნული ზრუნვა. (1. რ. ჯაბნიძე, ვ. გოგუაძე, 2003)

ბუნებრივი რესურსების დაცვის ღონისძიებებს, ისევე როგორც წარმოების სფეროს, უნდა ჰქონდეს ეკონომიკური ზარალის აღკვეთის მოცულობა და დამატებით გაწეული ხარჯები მის აღსადგენათ. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ წარმოების განვითარებასთან ერთად აუცილებლად გაიზრდება ხარჯები ბუნებრივი რესურსების დაცვასა და აღდგენაზე. ამიტომ მათი ეფექტურობის ამაღლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ამჟამად, წარმოების განვითარება უმეტესად უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა იმდენად დამატებითი რესურსების მოზიდვის, არამედ უკვე არსებული საშუალებების უფრო ეფექტიანი გამოყენების გზით ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესურსების მოზიდვის შესაძლებლობანი ამჟამად ძალზე შეზღუდულია და ისინი გამოყენებულ უნდა იქნეს თვისობრივად ახალ საფუძველზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ინტენსიფიკაციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მეტად საინტერესოა ამ სფეროში გერმანიის გამოცდილება, რომლის დანერგვაც მიწების მაღალი ეფექტით გამოყენებას უზრუნველყოფს. კერძოდ, მიწათმოსარგებლეს, რომელიც სახნავად ბუჩქნარს აითვისებს, სახელმწიფო ჰექტარზე 10 ათას მარკას აძლევს, სათიბ-სადოვრად ათვისებისათვის 6 ათას მარკას, ხოლო გატყეებისათვის 4 ათას მარკას. ამ თანხების კომპენსირება ხდება მაღალნაყოფიერი მიწების მფლობელთა გადასახადის გაზრდით, რომლებიც მოგების მაღალი ნორმით იღებენ. გარდა ამისა მწირი მიწების მფლობელთ ყოველ ჰექტარზე ეძლევა 200-300 მარკა კომპენსაციის სახით და მაღალი მოგების შემთხვევაშიც კი მათი გადასახადი 5-ჯერ ნაკლებია ნაყოფიერ ფართობებზე ამავე მოცულობის მოგებასთან შედარებით. (2. გ. ბაბუნაშვილი 2005)

სამწუხაროდ ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ მიდგომა, როდესაც მიწების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მეთოდიც კი არ იყო სრულყოფილად დამუშავებული, ხოლო დაზიანებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებრივად ამოღებაზე სიმბოლური ჯარიმა იყო, რომელიც ვერავითარ ფუნქციას ვერ ასრულებდა. უფრო მეტიც, პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასები ყოფილ სსრკ უზარმაზარ ტერიტორიაზე ზონალური პრინციპით იყო დადგენილი და არ ხდებოდა მიწის ხარისხის ფაქტორის გათვალისწინება.

ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრა მოითხოვს მიწათმოსარგებლეთა მატერიალური დაინტერესების სწორი და ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. ეკონომიკურმა მექანიზმმა უნდა მოიცვას მიწის ფასის, მიწაზე საფინანსო ოპერაციებისა და გადასახადის პოლიტიკის გატარების მუდმივმოქმედი კომპლექსური ღონისძიებები. ისინი უნდა აიძულებდნენ მიწით მოსარგებლეს იზრუნოს მაღალი ეფექტის მისაღებად, ხოლო სახელმწიფო ორგანოებს საშუალებას აძლევდნენ გაატარონ იურიდიული და ეკონომიკური სანქციები კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ, ეკონომიკური ზარალის ასანაზღაურებლად. ეკონომიკურ ზარალად უნდა მივიჩნიოთ ღირებულებითი ერთეულებით გაანგარიშებული განახლებადი თუ არაგანახლებადი რესურსების დანაკარგები.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონალურ თავისებურებებს, უნდა აღინიშნოს, რომ მთიან ზონაში, ძირითადად, მეცხოველეობაა განვითარებული. იმ ადგილებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით უზრუნველყოფა შედარებით მაღალია. მეცხოველეობასთან ერთად განვითარებულია მეხილეობა და მეთამბაქოეობა (ხულოს, ქედის, შუახევის რაიონებში). თუმცა სხვა მთიან რაიონებშიც არის ბაღების ინტენსიური გაფართოების შესაძლებლობა ფერდობების ტერასების საშუალებით ათვისების ხარჯზე. მრავალწლიანი ხილის ნარგავებისათვის სახნავისა და დაბლობი და ვაკე ტერიტორიის გამოყენების პროცესი პროგრესული არ არის. ბაღებისა და ვენახების გაშენებას ვაკე სახნავში მაინც მივყავართ მიწათმოქმედებაში ფუნქციონირებადი მიწების შემცირებამდე. მოლდავეთის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხილის ბაღები წარმატებით შეიძლება მოშენდეს ფერდობებზე ან საგანგებოდ აგებულ ტერასებზე (3. ნ. თურმანიძე 2009)

საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი ტერიტორიების ჩვეულებრივი შეფასების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი დანაწევრებისა და ზოლმონაცვლეობის ხარისხს, მაგრამ მთიანი რაიონების პირობებში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მათი ზედაპირის დახრილობას. რელიეფის სახნავად ვარგისიანობის შეფასება, დახრილობაზე დამოკიდებულებაში. დადგენილია, რომ ვაკე და სუსტალღოვანი რელიეფის მიწა სახნავად გამოყენებისათვის ძალიან ხელსაყრელია: 3⁰-მდე დახრილობის დამრევი ფერდობი ხელსაყრელია, ფერდობი 3⁰-დან 6⁰-მდე დახრილობით საკმაოდ ხელსაყრელია; ფერდობების 6⁰-დან 8⁰-მდე დახრილობისას მიწები ძნელად ასათვისებელია; 8⁰-ზე მეტი დახრილობის ფერდობები ხვნისათვის გამოუსადეგარია აგროტექნიკის ჩვეულებრივ საშუალებათა გამოყენების დროს. სამწუხაროდ, დიდი დახრილობის მიწების გამოყენებისათვის ვარგისიანობის ზუსტი შეფასება არ არსებობს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების ხასიათი არანაკლებ არის დამოკიდებული ბუნებრივი გარემოს სხვა კომპონენტებზეც. რომლებიც აგრეთვე მოითხოვს ღრმა მეცნიერულ ანალიზს. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ჰაერი, წყლები, ნიადაგები, მცენარეული საფარი. მთიან რაიონებში მკვეთრად გამოკვეთილი რელიეფით სასოფლო-სამეურნეო კომპლექსების განლაგებისა და სასოფლო განსახლების ფორმირების მრავალი ადგილობრივი საკითხის გადაწყვეტისდათვის აუცილებელია გეომორფოლოგიური ელემენტებისა და კომპლექსური დახასიათების უფრო დეტალური შესწავლა. ტერიტორიის ვარგისიანობასთან დამოკიდებულებაში განისაზღვრება ეკონომიკური განვითარების საერთო მოცულობა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა დაგეგმარებით სამუშაოსა და შემდგომ მშენებლობაზე.

ეკონომიკურ ზარალს წარმოადგენს საზოგადოების შემოსავლების შემცირება ბუნებრივი რესურსების გაუარესებით, მათზე დაბინძურების მავნე ზემოქმედების გამო.

მაგალითად, სოფლის მეურნეობაში შემოსავლები ეცემა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირებით, მიწის გამოფიტვით, ეროზიით, საძოვრების გაუარესებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირებით და ა. შ. სატყეო მეურნეობაში შემოსავალი ეცემა ადვილადხელმისაწვდომი ტყეების გაჩეხვისას და დამზადებული ხე-ტყის მასალის გასატანად უფრო ნაკლებმოხერხებულ ტყეებზე გადასვლისას. მცირდება მიწის წიაღიდან მიღებული შემოსავლები უფრო ღირებული საბადოების დამუშავების შემდეგ ან მათი გამოფიტვით, მოპოვებული

ნედლეულის არაკომპლექსური გამოყენებით, მვირფასი კომპონენტების ნარჩენებში გადაყრით, ისეთ საბადოებზე გადასვლით, რომლებიც ნაკლებმდიდარია ან უფრო ღრმად და შორს მდებარეობს.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მელიორაციის განვითარებას, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს: არახელსაყრელი წყლის რეჟიმის, ფიზიკური და ქიმიური თვისებების მქონე მიწის ნაკვეთებზე ღონისძიებათა კომპლექსის გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ბუნებრივი პირობების შეცვლა-გაუმჯობესებას.

ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლა მიწათმოქმედების მაღალი კულტურის ერთ-ერთი წამყვანი ნაწილია. მისი წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების დასაბუთების ეკონომიკური მეთოდების შემუშავება. საპროექტო სამუშაოების პრაქტიკაში, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება, როგორც წესი, “სოფლის მეურნეობის კაპიტალდაზიანებათა ეფექტიანობის განსაზღვრის ტიპობრივი მეთოდიკის” საფუძველზე ხდება, სადაც გამოყენებულია მხოლოდ საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები: მოსავლიანობის ამღლება, წმინდა მოგების მატება, კაპიტალდაზიანებათა უკუგების ვადები და ა. შ.

ანალოგიურად უნდა განისაზღვროს დანარჩენი ბუნებრივი რესურსების, ტყისა და წყლის დაცვა-გამოყენების მატერიალური სტიმულირების ეკონომიკური ბერკეტები. მეთოდოლოგიური მიდგომა აქ რადიკალურად განსხვავებული არ იქნება, მხოლოდ საჭიროა მათი თავისებურებების გათვალისწინება. ტყის რესურსების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მათი ფართობი, ტყეთდგომა, სიხშირე და ჯიშები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება მატერიალური სტიმულირების ფორმა და მოცულობა.

ცალკე განხილვის საგანია გამოუყენებელი (დაზიანებული) მიწების გატყეების საკითხი. აქ გერმანული მიდგომა უნდა იქნას დანერგილი და ყოველი ჰექტარის გატყეებაზე სახელმწიფომ მიწათმოსარგებლეს გადაუხადოს მხარეში გავრცელებული ტყის ჯიშის ღირებულების საფუძველზე დაწესებული თანხა, 5 ათას ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ბუნებრივი რესურსების გამოყენების სტიმულირებასთან ერთად უნდა მკაცრად განისაზღვროს მათი დაზიანებისა და უყარათოდ გამოყენებისათვის შესაბამისი ეკონომიკური სანქციები. მიწების დაზიანების შემთხვევაში თანხა უნდა განისაზღვროს მისი ხარისხისა და ფასის მიხედვით. ტყის რესურსების დაზიანებისათვის მერქნის გამოსავლიანობის ღირებულებით, ხოლო წყლისათვის გაანგარიშება უნდა მოხდეს ყველა კონკრეტული შემთხვევით მიყენებული ზარალის გათვალისწინებით. ზარალის საკომპენსაციო სახსრები უნდა დაჯდეს მხარის სპეცნგარიშზე და გამოყენებული იქნას მიზნობრივად იმავე სახის რესურსის აღდგენა-გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს აგრარულ სექტორში ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების ძირითად მიმართულებათა ფორმულირება და მათი პრაქტიკული რეალიზაცია.

ლიტერატურა:

1. რ. ჯაბნიძე, ვ. გოგუაძე – სასოფლო სამეურნეო ეკოლოგია. ბათუმი, 2003.
2. გ. ბაბუნაშვილი – ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობა. ჟურნ. “სოციალური ეკონომიკა” №6. თბილისი, 2005 წ.
3. ნ. თურმანიძე – ბუნების დაცვა და ნიადაგის გამოყენება მიწათმოქმედთა უმთავრესი საზრუნავია. ჟურნ. “მოამბე” №6. თბილისი, 2009 წ.

ABIOTURE FACTORS INFLUENSE AND NATURAL RESOURCES EFFECTIVE QUESTION OF PROTECTION IN AGRICULTURAL SECTOR

Rezo Jabnidze, Shota Rustaveli State University, Full Professor
Giorgi Jabnidze, Shota Rustaveli State University, Academic Doctor
Nana Jabnidze, Shota Rustaveli State University, Academic Doctor

RESUME

The present operational system on preservation and use of ground, water and forest resources are studied and the new approach is suggested together with the area of land, ground ploughing and its afforestation, on the basis of use of coefficient on an index method. On the basic of the German experience, at development, usage, and preservation of land and other kinds of resources, it is recommended the perfecting measures on systems of material stimulation and responsibility before taxing authority.

On the ekologies of long researches, carrying out at Georgian aerogeodezy enterprises, are considered the principal factors, having an influense on forming agricultural landshapes of the mountainous regions; peculiarities of mountaionous relief and climate, the development of health-resort economy and road-transport.

The factors are submitted (shown) by fertility of soil; by irrigation systems, by wood resources, by labour forces both level of their proficiency and material stimulation. On a degree of effect of each member the calculation of productivity of a natural potential descends, on a system of parameters where basic are the income and profile.

ინტროდუცირებული სტევიას ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება, ზრდა-განვითარების თავისებურებანი და გამრავლების საკითხების შესწავლა აჭარის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან კავშირში

**ნანა ჯაბნიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების
კვლევითი ინსტიტუტი, ასისტენტი**

საქართველოს აგროსამრეწველო სექტორის მყარი სახედილო ბაზის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ადგილობრივი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებისადმი მისადაგებული ტრადიციული და არატრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოვლენა და გავრცელება, მათი ჩანაცვლება უმეტესწილად ამორტიზირებული, არარენტაბელურ პლანტაციებში, რომლებზეც დღეისათვის გაშენებულია ჩაი, ციტრუსოვნები და სხვა კულტურები.

ამ მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან რენტაბელურ და პერსპექტიულ კულტურად უნდა ჩაითვალოს სტევია (*Stevia rebaudiana Bertoni*), რომელიც საქართველოსათვის არატრადიციულია. მისი ინტროდუცირება ძირითადად მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მოხდა და დღეისათვის ფართოდ ინერგება მოსახლეობაში. პირველი მცენარეები შემოტანილი იქნა ქ. სოხუმში, ანასეულში და დაბა ჩაქვში ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზე. (1. შ. გოლიაძე 1991)

სტევიას სამშობლო სამხრეთ ამერიკაა (არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, პარაგვაი). სტევიას ეს სახეობა პირველად 1899 წელს აღწერა ბოტანიკოსმა ბერტონიმ. სტევია მიეკუთვნება რთულყვავილოვანთა ოჯახს. მისი მრავალი სინონიმითაა ცნობილი. ამერიკელ ინდიელთა ცნობილი ტომის გუარანას ენაზე მათი თარგმანით დაახლოებით ჟღერს როგორც “თაფლოვანი ბალახი”. (2. ა. კალანდია, მ. ვანიძე, 1969)

დღეისათვის ცნობილი სტევიას 200-მდე სახეობიდან მხოლოდ *Stevia rebaudiana Bertoni* გამოირჩევა ინტენსიურად ტკბილი გემოს მქონე ნაერთებით. ამ ნაერთებით მე-20 საუკუნის 30-იან წლებიდან დაინტერესდნენ. სამშობლოში და ჩვენშიც მცენარე 120 სმ აღწევს. ღეროს დიამეტრი 10 მმ-მდეა. პირველი რიგის განტოტვაში 25-30 დუყია. ღეროზე ფოთლები წყვილადაა განთავსებული.

ჩვენში მცენარე ინტროდუცირდა, როგორც მრავალწლოვანი ბალახი, ზამთარში ხმობადი და გაზაფხულზე განახლებადი სახით. ზამთრის პირობების მიხედვით მცენარის 70%-მდე კვლავ აღმოცენდება. ფოთლები წაგრძელებული ელიფსოიდური ფორმისაა. ზრდასრული ფოთლის სიგრძე 4-6 სმ-ია, ხოლო სიგანე 1,5-2 სმ. სტევია ჯვარედინად დამტვერიანებადი მცენარეა. ყვავილობის დროს ის იმტვერება მწერების საშუალებით. სტევია ძირითადად ყვავილობს სექტემბერში, რომელიც შეკრულია კალათაში 5 ყვავილედით თითოეულში. კალათები განლაგებულია რთულ თანაყვავილედად. ნაყოფი წვრილთესლაა. არ იხსნება, ერთ თესლიანია, მკვრივ მაგრამ არა სქელი ნაჭუჭგარემოთი, რომელიც სცილდება თესლს. ჩვენს პირობებში მცენარეზე ბუნებრივად დამწიფებული თესლები ძალზედ წვრილია. სტევიას ერთ-ერთი ბიოლოგიური თავისებურება ისაა, რომ ის არ იძლევა აღმოცენების უნარის მქონე თესლს, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს მის მასიურ გამრავლებას, რითაც გარკვეულ სირთულეებს უქმნის სელექციონერებს მცენარის ჯიშობრივი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მას ამრავლებენ ბუჩქების დაყოფით, გადაწვევით და ნაზი ყლორტების დაფესვიანებით, ეს გარემოება ნაწილობრივ აფერხებს მის მასობრივად გამრავლებას, რამდენადაც ერთ ჰექტარზე საჭიროა 40-50 ათასი ძირი ნერგი და მისი გამრავლება საწარმოო მიზნით, შეიძლება ვეგეტატიურად, სათბურებში ნაზი მწვანე კალმების დაფესვიანებით ან სპეციალურ ლაბორატორიებში ქსოვილის კულტურის მეთოდით.

დადგენილია, რომ მცენარიდან კალმების აღების დროს აუცილებლად გულდასმით უნდა გამოირჩეს მაღალხარისხოვანი კალმები-ყლორტები, ეს იმისათვის რომ, მივიღოთ კარგად განვითარებული სიცოცხლისუნარიანი მცენარეები. წუნდებას ექვემდებარება ინფიცირებული მასალა, განუვითარებელი ფესვთა სისტემის მქონე მცენარეები, დაზიანებული ან შემხმარი ღეროებით და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღეროზე განლაგებული ფოთლების ილლიურ კვირტებს, რომელთაგანაც ზრდის დასრულების პროცესში ვითარდება მცენარის ვეგეტატიური ორგანოები და ყალიბდება მისი ჰაბიტუსი. კალმების დამზადება უმჯობესია დილის საათებში, როცა მცენარის უჯრედები შეიცავენ წყლის დიდ მარაგს.

სტევიის რაციონალური განოყიერების სისტემის დადგენისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მცენარის საკვები ელემენტებისადმი მოთხოვნილების შესწავლა, ნიადაგსა და მცენარეში საკვები ელემენტების შემცველობის დაზუსტება, რის საფუძველზეც მოხდება მინერალური სასუქებისა და სხვადასხვა სუბსტრატის ოპტიმალური კონცენტრაციების განსაზღვრა.

ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევითი სამუშაოები სტევიას კალმების გახარებისათვის სუბსტრატის შესარჩევად. კალმები დასაფესვიანებლად მოთავსებულ იქნა სხვადასხვა სუბსტრატით შევსებულ პოლიეთილენის ყუთებში. თითოეულ ყუთში დაკალმებულ იქნა 200-200 კალამი, განმეორება სამჯერადი. ყუთები გადახურული იქნა უქსოვადი მასალით, პერიოდულად ხდებოდა შესხურება წყლით. ცდის სქემა და კალმების დაფესვიანების შედეგები მოცემულია ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, ხანგრძლივად განოყიერებული ჩაის პლანტაციიდან აღებული წითელმიწა ნიადაგი არ წარმოადგენს ხელშემწყობ სუბსტრატს სტევიას კალმების დაფესვიანებისათვის – დაფესვიანდა კალმების ნახევარი. ნიადაგის ჭარბი მჟავიანობის განეიტრალებით, დოლომიტის შეტანით იზრდება დაფესვიანების პროცენტი.

წითელმიწა ნიადაგის შერევით მდინარის ლამთან, შეფარდებით 1:1, დაფესვიანების პროცენტი კიდევ უფრო გაიზარდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაც მეტია ნარევი მდინარის ლამის წილი, მით მეტია დაფესვიანებული კალმების რაოდენობა. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სუბსტრატად მდინარის ლამისა და გადამწვარი ნაკელის შეფარდებით 1:1, გამოყენებით მიღებულ იქნა.

სტევიას კალმების დაფესვიანება სხვადასხვა სუბსტრატზე და კვების არის გავლენა ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარებაზე

№	ვარიანტი	კალამი (ცალი)	დაფესვ (ცალი)	%	ფესვ სიგრ სმ	ფესვ მასა გრ
1	ხანგრძლივად განოყიერებული (NPK) წითელმიწა ნიადაგი	200	111	55,5	17	1.7
2	ხანგრძლივად განოყიერებული (NPK) წითელმიწა ნიადაგი + მდინარის ლამი 1:1	200	145	72,5	18	1.8
3	ხანგრძლივად განოყიერებული (NPK) წითელმიწა ნიადაგი + მდინარის ლამი 2:1	200	155	77,5	20	1.9
4	ხანგრძლივად განოყიერებული (NPK) წითელმიწა ნიადაგი + მდინარის ლამი 1:2	200	159	79,5	21	2.1
5	ხანგრძლივად განოყიერებული (NPK) წითელმიწა ნიადაგი + მდინარის ლამი + ტორფი 1 : 2 : 1	200	165	83,1	23	2.3
6	მდინარის ლამი + გადამწვარი ნაკელი 1 : 1	200	192	96,1	25	2.4

სტევიას კალმების მაღალი გახარების პროცენტი, ე. ი. დაფესვიანებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სუბსტრატის ფიზიკურ-მექანიკურ შედგენილობას. დაფესვიანების ხანგრძლივობა განისაზღვრება 15-20 დღით, ამ დროს ნერგების სიმაღლემ 20 სმ-ს მიაღწია.

ფესვთა სისტემის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სხვადასხვა სუბსტრატის გამოყენებასთან ერთად იცვლება მცენარეთა ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგება, კარგი შედეგია მიღებული, სადაც სუბსტრატად გამოყენებული გვქონდა მდინარის ლამი+გადამწვარი ნაკელი 1:1-ზე, სადაც ფესვების სიგრძემ მიაღწია 25 სმ, შემდეგ მოდის ხანგრძლივად განოყიერებული (NPK) წითელმიწა ნიადაგი+მდინარის ლამი+ტორფი 1 : 2 : 1, სადაც ფესვის სიგრძე 23 სმ. განვითარდა. ამ პირობებში ფესვები უფრო ძლიერი ზრდით ხასიათდებიან და შესაბამისად ფესვთა სისტემაც კარგად აქვთ განვითარებული.

ფესვების მასა ასევე მაღალია სუბსტრატად მდინარის ლამი+გადამწვარი ნაკელი 1:1-ზე გამოყენების შემთხვევაში, სადაც ფესვების საერთო წონამ ჰაერმშრალ მდგომარეობაში შეადგინა 2,4 გრ.

სტევიას წარმოებაში ათვისებისა და საწარმოო პლანტაციების ფართობების ზრდასთან ერთად, კვლევითი სამუშაოები წარიმართა სასუქების გამოყენების, მოსავლიანობისა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიების შესასწავლად. ძირითადი იყო საწარმოო პლანტაციების გასაშენებლად ინტენსიური-აგროტექნიკის შემუშავება, რომელიც საფუძველი იქნებოდა მაღალი მოსავლის მისაღებად.

ჩვენი კვლევის მეთოდიკიდან გამომდინარე ვსწავლობდით სტევიას მიწისზედა მასის (ფოთლის) ტექნიკურ მახასიათებლებს და სტევიას სხვადასხვა ასაკის მცენარეთა აღწერას, ნედლი მასის წონას, მშრალი ფოთლების გამოსავლიანობას და მისგან მიღებული პროდუქტების თვითღირებულებას. ცდების შედეგებით დადგინდა, რომ მოსავლის აღების პერიოდში მცენარიდან მიიღება ჰექტარზე 185-190 კგ მიწისზედა მასა, რომლის 60-70% ფოთლის მასაა, დარჩენილი 30-40 გ-ზე მეტი მშრალი მასა. სტევიას ფოთლების სხვადასხვა ნაწილში ტენის შემცველობა 65-70 პროცენტია. ამიტომაც მოსავლის აღების ოპტიმალურ დროდ მცენარის დაკვირვების პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს, რომლის შემდეგ მცენარეზე კვლავ ვითარდება ფოთლები, რომლებიც მთელი მოსავლის 20-30 პროცენტს შეადგენს და მასში ტკბილი ნაერთების შემცველობა თავდაპირველად შედარებით 82 პროცენტს არ აღემატება.

სტევიას მოსავლის აღების მეთოდი, როდესაც კრეფენ ნაზ დუყებს, არაა გამართლებული, რადგანაც ამით, მართალია ნაწილობრივ იზრდება მოსავლის რაოდენობა, მაგრამ მცირდება ტკბილი, დიტერპენური ნაერთების საერთო რაოდენობა, რაც უარყოფითად მოქმედებს მიძებული პროდუქტის ხარისხზე, გამოსავლიანობაზე და საბოლოო ჯამში წარმოებული პროდუქტის თვითღირებულებაზე და კონკურენტუნარიანობაზე. ორი წლის განმავლობაში ისწავლებოდა სტევიას ორწლიანი, სამწლიანი და ოთხწლიანი მცენარეები, მათი სხვადასხვა ნაწილის აღწერის მონაცემები, ასევე ფოთლებისა და ღეროების შეფარდებითი განსაზღვრა ასაკის პირობებში და მწვანე მასის გამოსავლიანობის შესახებ. ცდები გვიჩვენებს, რომ ორწლიანი მცენარეებიდან მიღებული მთლიანი ნედლი მასის წონა სამ და ოთხწლიან მცენარეების წონაზე მეტია, მაგრამ ორწლიან მცენარეებში ფოთლების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ღეროების, რაც შესაბამისად შეადგენს 173,1 გრ, 132,5 გრ.

სტევიას სამ-ოთხწლიანი მცენარის მოსავლიანობის შედეგებიდან ჩანს, რომ ფოთლებისა და ღეროების რაოდენობა ნაკლებია. ახალი ყლორტების ზრდა ნელა მიმდინარეობს და მათგან მაღალხარისხოვანი პროდუქტის მიღება შეუძლებელია. რაც უფრო ასაკოვანია მცენარე, მით უფრო ფოთლების რაოდენობა მცირდება, რაც იწვევს ღეროების წილის გადიდებას, გახევებას, რომელიც უარესებს ნედლეულის ხარისხს. სტევიას მცენარის აღების ოპტიმალურ ვადად შეიძლება ჩაითვალოს სექტემბრის თვის მეორე ნახევარი. ამ დროს მცენარის სიმაღლე აღწევს 130-140 სმ-ს, ხოლო ჩამოცვენილი ფოთლების წილი მთლიან მოსავალში უმნიშვნელოა. ღეროს გახევება ამ დროისათვის მკვეთრად არის გამოხატული.

ჩვენ შევისწავლეთ სტევიას მწვანე მასის მოსავლიანობა, ერთწლიან, ორწლიან და სამწლიან მცენარეებზე. მწვანე მასის აღება-კრეფა ჩატარდა 4-ჯერ სხვადასხვა თვეებში, ცდაში იყო 4-4 ბუჩქი. როგორც დავადგინეთ, მწვანე მასის მოსავალი საკმაოდ მაღალია და ჰექტარზე გაანგარიშებით ის 1,5-2 ტონა მშრალ ფოთლს შეადგენს.

სტევიათი დაინტერესება და მათი მზარდი პოპულარობა დაკავშირებულია ინტენსიურად ტკბილი გემოს მქონე ნაერთებთან. ეს ნაერთები წარმოადგენენ დიტერპენულ გლიკოზიდებს. სტევიას ფოთოლში აღმოჩენილია სტევიოზიდი, რებაუდიოზიდეები, დულკოზიდეები და სხვა. ამ

ნაერთების აგლიკონი სტევიოლია, ნახშირწყლოვანი ნაწილი ძირითადად წარმოდგენილია გლუკოზით. მათი სიტკბოს კოეფიციენტი 200-400-ჯერ მეტია ვიდრე საქაროზასი. ამასთან, ისინი პრაქტიკულად არაკალორიულები არიან.

მსოფლიო პრაქტიკაში სტევია გამოიყენება უშუალოდ ფოთლის, ექსტრაქტის, კონცენტრატის, მშრალი ექსტრაქტის და ტკბილი დიტერპენული გლიკოზიდების სახით. სტევია დღეისათვის მოჰყავთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: ბრაზილია, პარაგვაი, ჩინეთი, ინდოეთი, ვიეტნამი, იაპონია, კანადა, აშშ და სხვა. განსაკუთრებით საინტერესო კვლევებია ჩატარებული იაპონიასა და კანადაში. სტევას მოსავალი ფოთოლია, რომლის აღება სასურველია მოხდეს მაშინ, როდესაც მასში ტკბილი დიტერპენული ნაერთების შემცველობა მიაღწევს მაქსიმალურს. ჩვენს პირობებში ეს მაჩვენებელი 9-დან 10%-მდეა. სტევას მიწისზედა ნაწილის აღება ხდება ნებისმიერი მჭრელი ხელსაწყო-მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს მის მოჭრას ნიადაგიდან 10 სმ სიმაღლეზე მცენარის დაუზიანებლად. მოსავლის აღების ასეთი წესი უზრუნველყოფს ახალი დუყების მაქსიმალური რაოდენობის ამოყრას და მცენარეზე რჩება ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელი ფოთლების რაოდენობა. (3. ნ. ჯაბნიძე, რ. ჯაბნიძე, 2010).

მცენარეზე და მისგან მიღებულ პროდუქტებზე მზარდი ინტერესის და პროდუქტების მაღალი ფასების გათვალისწინებით, სტევია სოფლის მეურნეობისათვის საინტერესო და პერსპექტიულ მცენარედ უნდა ჩაითვალოს. დავასკვნათ, რომ სტევას მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებები დამოკიდებულია პასირებული მასალის გადარგვის ვადებზე და ამასთან უპირატესობა ენიჭება ადრე გაზაფხულზე გადარგვას. სტევას მცენარისაგან მაღალხარისხოვანი მოსავალი რომ მივიღოთ, საჭიროა ის განვიხილოთ როგორც მთლიანი ორგანიზმი. მისი მიწისზედა და მიწისქვეშა ორგანოები მკვეთრად განსხვავდებიან მორფოლოგიურად და ბიოლოგიურად, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ ურთიერთთან ერთიან კორელაციაში იმყოფებიან. მცენარეს, რომელსაც კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა აქვს და პირიქით.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული ცდები და დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ სტევას კულტურა, მისი მოყვანა და მწვანე მასის მაღალი მოსავლის მიღება დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში სავსებით შესაძლებელია, ეკონომიკურადაც სასარგებლოა და მომავალში პერსპექტიულ კულტურად გვესახება, ამიტომაც მიზანშეწონილად ვთვლით მის ფართო საწარმოო მაშტაბით დანერგვას; აუცილებლად მიგვაჩნია, მოეწყოს სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან სპეციალური სანერგე-სადედე პლანტაციები, რომ დაინტერესებულ პირებს და ფერმერებს მაღალხარისხოვანი, ელიტური სარგავი მასალის შექმნა შეეძლოთ თავიანთი მეურნეობის უზრუნველსაყოფად.

ლიტერატურა:

1. გოლიაძე შ. – აქტინიდიას ზოგადი ბიოლოგიური დახასიათება. „სუბტროპიკული კულტურები“ № 1-2 1991 წ. გვ. – 76 –81.
2. კალანდია ა., ვანიძე მ. – ორფოთოლა ტკბილის (სტევიის) დიტერპენური ნაერთები /საქართველოს ს/მ მეც. აკადემია. სამეცნიერო კონფერენცია. თბ. 1969.
3. ჯაბნიძე ნ. ჯაბნიძე რ. – სტევას კულტურის პერსპექტიულობის აგრობიოლოგიური და ეკონომიკური ასპექტები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მომხე“. №27. თბ. 2010. გვ. 281-286.

INFLUENCE OF DIFFERENT PROPORTION OF MINERAL FERTILIZERS ON STEVIA PRODUCTIVITY IN VEGETATIVEARIAL CONDITIONS

Nana Jabnidze, Shota Rustaveli State University, Biodiversity Research Institute, Assistant

SUMMARY

Influence of NPK proportion on stevia productivity, on content of feeding elements in plant and soil is studied in vegetative trail conditions.

The rooting of springs normally proceeded in the conditions of maintenance of temperature and humidity. On the slice of stalk it was formed the small roots for 7-8 days, and for 15-18 day they are already ready for relocation on a constant place. By this time at saplings are already developed 3-6 steams of leaves, height of 15-20 cm and have well developed 8-12 roots in length of 5-8 cm;

-It is established by our experiment, that for cultivation of Stevia in wide industrial scale the rooting method of the gentle springs in the hothouses, the hotbeds, an open ground on a substratum from a mix of sand with river silt and

virgin land in the ratio 1:1 at which as a result of rooting of saplings it is received 76-90 percent of standard saplings and it is necessary 40-50 thousand pieces of saplings for recalculation on the hectare;

Using of mineral fertilizers raised the level of soil fertility. Content of mobile phosphorus and calcium has increased. Tendency of humus and nitrogen rising is mentioned. Content of total nitrogen in Stevia leaves fluctuates within the limits of 1,38%-2,5%. while its content in stems and roots decreases to a certain extent.

The biological singularities are investigated and the modes of cultivation of Stevia (two-years, sweet) are established. Is established perspectivity of vegetation duplication and systematic gathering Gentle shoots. The productivity on 1 hectar makes 8-12 tons of a crube mass.

მაკროელემენტების შემცველობა კენკროვან მცენარეებში (შიდა ქართლში)

ნელი გოგინაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: ne-gogin@posta.ge

ესმა წკრიალაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, პედაგოგი
E-mail: tskriala@posta.ge

ქეთევან გოგინაშვილი, სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, პედაგოგი
E-mail: ketiGoginashvili@gmail.com

ყველა ორგანიზმში გვხვდება მენდელეევის პერიოდული სისტემის ელემენტთა უმეტესობა. მათგან როგორც წესი, ცოცხალ ორგანიზმებში წარმოდგენილია C, H, N, S, O, P, K, Na, Ca, Mg, Mn, Zn, Fe, Cu, Co, I და სხვა.

ქიმიური ელემენტების შესწავლა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო. დადგენილი იქნა, რომ დედამიწის ქერქში მიმდინარე გეოქიმიური პროცესები და ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური შედგენილობის ევოლუცია ერთი მთლიანი პროცესია და თავის ასახვას პოულობს ცოცხალი ორგანიზმების ქიმიურ შედგენილობაში.

მინერალურ ნივთიერებებზე ორგანიზმის მოთხოვნილება საკმაოდ დიდია და რაოდენობრივად იცვლება ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. ადამიანისათვის მინერალურ ნივთიერებათა დღიური საშუალო ნორმაა: ფოსფორი - 1,5-2,0 გ, კალიუმი - 2-3 გ, კალციუმი - 0,6-0,8 გ, ნატრიუმი - 4-6 გ, რკინა - 0,008-0,10 გ, ქლორი - 6-8 გ (ალექსიძე, 2005).

რაოდენობრივი შემცველობის და მათზე ყოველდღიური მოთხოვნილების მიხედვით მინერალური ელემენტები დაყოფილია: 1. მაკროელემენტებად - Na, K, Ca, Mg, P, Cl, S, Fe, Al და სხვა. ისინი მცენარეში გვხვდება მეასედ პროცენტებში, 10^{-4} -დან 10^{-2} %-მდე და სადღეღამისო დოზა ადამიანისათვის გრამის ფარგლებში; 2. მიკროელემენტებად - Co, Ni, I, F, Cu, Mn, Zn, Mo, Br, B, Sr, Li და სხვა. ისინი მცენარეში მოიპოვებიან მეათასედ პროცენტებში 10^{-3} -დან 10^{-5} %-მდე. ჩვენი მოთხოვნილება ამ ელემენტებზე შეადგენს მილი და მიკროგრამებს; 3. ულტრამიკროელემენტებად - Au, As, Hg, Ag, Ra და სხვა, რომლებიც მცენარეში გვხვდება 10^{-6} -დან 10^{-12} %-ის ფარგლებში (ერისთავი, 2005).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მინერალურ ნივთიერებათა მაკრო-, მიკრო- და ულტრამიკროელემენტებად დაყოფა პირობითია, რადგან თუ ზოგიერთი მიკროელემენტის რაოდენობრივ შემცველობას კონკრეტულ ქსოვილზე გადავიანგარიშებთ, ის შეიძლება მაკროელემენტების ჯგუფში აღმოჩნდეს და პირიქით (ალექსიძე, 2005).

საკვებ და სამკურნალო მცენარეებში მინერალური ნივთიერებები მოიპოვება არაორგანული შენაერთების ან ორგანულ მჟავათა და ფუძეთა მარილების სახით ცხიმებთან, ცილებთან კომპლექს-ნაერთებში. მაგალითად, მეტალების შენაერთები ნუკლეინის მჟავებთან, ფლავონოიდებთან; მაგნიუმი შედის ქლოროფილის შემადგენლობაში, მონაწილეობს 300-მდე ბიოქიმიურ რეაქციაში; ფოსფორი - ცილების, ლიპიდების, ნახშირწყლების, ნუკლეინის მჟავების შემადგენლობაში; კალციუმის იონები მონაწილეობენ ძვლოვანი ქსოვილის ფორმირებაში, ის D ვიტამინთან ერთად ანტირაქიტული ფაქტორია; ნატრიუმისა და კალიუმის იონები დიდი რაოდენობითაა მცენარეულ და ცხოველურ ქსოვილებში; რკინა შედის სისხლის გემოგლობინის შემადგენლობაში და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოში ფართოდ გავრცელებულ კენკროვან მცენარეებში ზოგიერთი მაკროელემენტის შემცველობის დადგენა.

კვლევის ობიექტია კენკროვანი მცენარეები (ცხრილი 1), რომლებიც სხვა მცენარეებთან ერთად ნებადართულია მედიცინაში გამოსაყენებლად.

საკვლევ მცენარეთა სინჯები (ნაყოფები), ჩვენს მიერ, შერგოვილი იქნა შიდა ქართლის რეგიონში (ხაშურის რაიონის სოფლების: ქვიშხეთის, სატივეს; ქარელის რაიონის - აგარის, ქვენატკოცის; კასპის რაიონის - სამთავისის, იგოეთის, ხანდაკის, დოესის; გორის რაიონის - შავშვების, კარალეთის, ერგნეთის, მეჯვრისხევის, მერეთის, ქვეშის, ვარიანის, ატენის ბიოცენოზებში) 2006 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ნედლეულის აღების კალენდარული ვადების მიხედვით. ანალიზური სამუშაოები მაკროელემენტების შემცველობაზე (K, Ca, Mg, Na, P, Fe) ჩატარდა ი. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტსა და ამავე ინსტიტუტის გორის საცდელ სადგურში საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით (ონიანი, მარგველაშვილი, 1985).

მოგვეყვას ექსპერიმენტის შედეგების საშუალო მონაცემები (ცხრილი 1), რომლის მიხედვით შესასწავლი მცენარეები მათი ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მკვეთრად განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ თითოეული მაკროელემენტისადმი. კერძოდ, ყველაზე მაღალი ოდენობით კონცენტრირდება კალიუმი, რომელიც საკვლევ მცენარეების საშუალო მონაცემებით 24 მგ/გ აღწევს; მას თითქმის 2,5-ჯერ ჩამორჩება კალციუმის რაოდენობა - 9,3 მგ/გ, რაც შეეხება მაგნიუმს, ნატრიუმს, ფოსფორსა და რკინას, მათი შემცველობა საკმაოდ მცირეა კალციუმთან და, მითუმეტეს, ფოსფორთან შედარებით (საშუალოდ შეადგენს, მგ/გ: Mg - 3,4; Na - 1,6; P - 1,20; Fe - 0,080). თანაფარდობა შესწავლილ ელემენტებს - K, Ca, Mg, Na, P, Fe-ს შორის დაახლოებით შეადგენს: 300 : 115 : 40 : 20 : 15 : 1.

ცხრილი 1

მაკროელემენტების დაგროვება კენკროვან მცენარეთა ნაყოფებში, მგ/გ

№	მცენარე	K	Ca	Mg	Na	P	Fe
1	ასკილი - <i>Rosa canina</i> L.	17,10	9,40	2,70	1,03	1,00	0,080
2	შავი კუნელი - <i>Crataegus pentagina</i> Waldst et Kit.	18,82	11,30	3,92	1,50	1,10	0,092
3	წითელი კუნელი - <i>Crataegus sanguinea</i> pall.	11,55	5,25	2,83	1,83	1,00	0,065
4	მარწყვი - <i>Fragaria vesca</i> L.	21,90	6,47	4,51	1,55	1,05	0,060
5	მაყვალა - <i>Rubus</i> Sp. <i>diversa</i> .	22,70	3,03	5,32	1,47	1,17	0,044
6	მოცივი - <i>Vaccinium myrtillus</i> L.	9,32	5,54	2,47	2,53	1,45	0,060
7	შავი მოცხარი - <i>Ribes nigrum</i> L.	43,70	18,20	4,26	1,22	1,14	0,203
8	წითელი მოცხარი - <i>Ribes vulgare</i> Lam.	37,10	17,00	2,13	1,13	1,28	0,157
9	ჟოლო - <i>Rubus idaeus</i> L.	33,40	7,63	2,40	1,97	1,53	0,052
	$M \pm m =$	23,95± 2,10	9,31± 1,76	3,39± 0,36	1,58± 0,17	1,19± 0,07	0,090± 0,027

ასევე მნიშვნელოვანი სხვაობაა თითოეული ელემენტის დაგროვებაში მცენარეთა სახეობებთან დაკავშირებით. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მაქსიმალურ და მინიმალურ კონცენტრაციას შორის - თითქმის ექვსჯერადი - გამოძღვანდა კალციუმის შემთხვევაში, ყველაზე მცირე - ფოსფორისათვის - ერთნახევარჯერადი.

ჩვენი კვლევის შედეგებით, შესწავლილი მცენარეები კონცენტრირებას ახდენენ ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ისეთი ელემენტებისა, როგორცაა კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, რკინა და სხვა. კალიუმის და კალციუმის დაგროვების ყველაზე მაღალი უნარით გამოირჩევა შავი მოცხარი (*Ribes nigrum* L.), შესაბამისად 43,70±2,10 და 18,20±1,76 მგ/გ, მაგნიუმის - მაყვალა (*Rubus* Sp. *diversa*) - 5,32±0,36 მგ/გ, ნატრიუმის - მოცივი (*Vaccinium myrtillus* L.) - 2,53±0,17 მგ/გ, ფოსფორის - ჟოლო (*Rubus idaeus* L.) - 1,53±0,07 მგ/გ, ხოლო რკინის - შავი მოცხარი (*Ribes nigrum* L.) - 0,203±0,027 მგ/გ. ამასთან გამოკვლეული მცენარეების უმეტესობა აგროვებს თითო ელემენტს, იშვიათად ორ ან სამ ელემენტს, თუმცა მათ შორის გამოირჩევა ზოგიერთი, მაგალითად შავი მოცხარი (*Ribes nigrum* L.) და წითელი მოცხარი (*Ribes vulgare* Lam.), რომლებიც აგროვებენ ოთხ-ოთხ ელემენტს, შესაბამისად K, Ca, Mg, Fe და K, Ca, P, Fe. რამდენადაც ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილება მინერალურ ელემენტებზე ძირითადად საკვებით (მათ შორის მცენარეული) და წყლით კმაყოფილდება, გასაგებია მცენარეების, განსაკუთრებით კონცენტრატორი მცენარეების მნიშვნელობა ამ ელემენტთა დარღვეული წონასწორობის აღდგენისათვის.

ამრიგად, სამკურნალო მცენარეებში ამა თუ იმ ელემენტის კონცენტრირებაზე მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს მათი სამკურნალო თვისებების გამოვლენას, რაც თავის მხრივ რამდენადმე უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:

1. ნ. ალექსიძე. ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები (მესამე გამოცემა). თბილისი, თსუ, 2005.
2. ლ. ერისთავი. ფარმაკოგნოზია. (სამკურნალო მცენარეები). თბილისი, საქართველოს მაცნე, 2005.
3. ო. ონიანი, გ. მარგველაშვილი. მცენარის ქიმიური ანალიზი. თბილისი, განათლება, 1985.

COMPOSITION OF MACRO ELEMENTS IN SEVERAL PLANTS (SHIDA KARTLI)

Nelly Goginashvili, Gori Teaching University, Full Professor

Esma Tskrialashvili, Gori Teaching University, Lecturer

Ketevan Goginashvili, Sukhishvili Teaching University, Lecturer

RESUME

Composition of Macro elements (K, Ca, Mg, Na, P, Fe) in the berries, that are widely spread in Shida Kartli, were studied (*Rosa canina* L., *Crataegus pentagyna* Waldst et Kit, *Crataegus sanguinea* pall, *Fragaria vesca* L., *Rubus* Sp. *diversa*, *Vaccinium myrtillus* L., *Ribes nigrum* L., *Ribes vulgare* Lam, *Rubus idaeus* L.). It turned out that their majority makes the concentration of one element, seldom – two or three elements, though there are some kinds of plants among them, that makes the concentration of four elements (*Ribes nigrum* L. and *Ribes vulgare* Lam.). To our opinion, this must be considered as a restoration of the injured balance of mineral elements in the human's body.

რადიონუკლიდების დაგროვება მცენარეებში შიდა ქართლის პირობებში

ნელი გოგინაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

E-mail: ne-gogin@posta.ge

ქეთევან გოგინაშვილი, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, პედაგოგი

E-mail: ketiGoginashvili@gmail.com

მაიონიზებული რადიონუკლიდები, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ატმოსფეროში, წყალში, ნიადაგში, ადვილად ხვდება მცენარეებსა და ცხოველებში როგორც საკვებთან ერთად, ისე უშუალოდ შთანთქმის გზით. რადიაციული დაზიანება აღმოჩენილია ნუკლეინის მჟავებში, ცილებში აღინიშნება წყალბადს, ნახშირბადსა და აზოტს შორის ბმების გაწყვეტა, ლიპიდებში ხდება რადიაციულ-ქიმიური გარდაქმნები და მათი ძლიერ აქტიური ზეჟანგური რადიკალების წარმოქმნა. ასეთ პირობებში საგრძნობლად ქვეითდება ნივთიერებათა ცვლა, დნმ და რნმ სინთეზი.

ჩატარებული კვლევებით (ზ. ბაკი, პ. ალექსანდრი, 1963; ა. კუზინი, ნ. შაპირო, 1964) შთანთქმული ენერჯის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი არის ბიოლოგიურად აქტიური. ზოგ შემთხვევაში საკმარისია იონიზაციის ერთი აქტივ კი, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში საჭიროა რადიაციის გარკვეული ზღვრული დოზით მოქმედება, რათა ეფექტი გამოემჟღავნდეს.

რადიოიზოტოპებისა და მაიონიზებული გამოსხივების მოქმედება მცენარეებზე განიხილება ორი მიმართულებით: პირველი მოიცავს მცირე დოზით რადიოიზოტოპებისა და მაიონიზებული გამოსხივების დადებით მოქმედებას მცენარეების ზრდა-განვითარებაზე, ხოლო მეორე დაკავშირებულია მცენარეთა ორგანიზმის დაზიანება-განადგურებასთან (ო. მდივნიშვილი, ჯ. თავართქილაძე, 1977; ჯ. კოგლი, 1986).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ბუნებრივი რადიოაქტიური ელემენტების მცირე დოზა საჭიროა როგორც მცენარეების ისე ცხოველებისათვის. ა.მ. კუზინის (1990) მონაცემებით მცენარე, რომელიც ურანს ძლიერ მცირე რაოდენობით შეიცავს, მაღალ მოსავალს იძლევა. ო. მდივნიშვილის და ჯ. თავართქილაძის (1977) მიხედვით მცენარეში მცირე დოზით შეყვანილმა რადიოიზოტოპებმა გაამდიერა ნივთიერებათა ცვლა და გაზარდა მცენარეთა პროდუქტიულობა, ხოლო ნიადაგში, სადაც შეტანილი იყო სტრონციუმ-90 და ცეზიუმ-137 უმნიშვნელო დოზით, რადიუმის მცირე დოზით დამატებამ უარყოფითად იმოქმედა

მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე. გარდა ამისა, ამ მცენარეების გამოყენება საკვებად შესაძლებელია საზიანო აღმოჩნდეს ადამიანისა და ცხოველებისათვის.

მცენარეთა ნაწილი (ზ. ბაკი, პ. ალექსანდრი, 1963; ა. კუზინი, ნ. შაპირო, 1964; ნ. დუბლინა, 2000; ნ. პოპიაშვილი და სხვ., 2005) მიუთითებენ რენტგენის სხივების უარყოფით მოქმედებაზე სუნთქვის პროცესზე, ფოტოსინთეზზე, მინერალურ კვებაზე, მცენარეში აზოტისა და ნახშირწყლების ცვლაზე. მათი აზრით, ამ დროს რადიომგრძობიარე მცენარეთა ორგანოში მიმდინარეობს უჯრედების დაშლის პროცესი.

ზოგიერთი მკვლევარის (ო. მდივნიშვილი, ჯ. თავართქილაძე, 1977; ნ. რუსიტაშვილი, ნ. გოგინაშვილი, 2000; ზ. ჩანქსელიანი, 2010) აზრით, ბუნებრივი რადიაქტიური ელემენტების მცირე დოზა ბიოლოგიურად საჭიროა როგორც მცენარეების, ისე ცხოველებისათვის.

მცენარის მიერ რადიაქტიურ ნივთიერებათა შთანთქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იონების კონცენტრაციას საკვებ არეში, არეს რეაქციას (P^H), ნიადაგის ტიპს და სხვა.

რადიაციის გავლენა ბიოლოგიურ ობიექტებზე, მათ შორის მცენარეზე და საერთოდ, გარემოს ეკოლოგიურ სიტუაციაზე, საქართველოში შესწავლილია რამდენიმე მკვლევარის მიერ (ნ. გოგინაშვილი, 1998; ქ. ბიბილური და სხვ., 2000; ე. გახოკიძე და სხვ., 2005; ნ. პოპიაშვილი და სხვ., 2005; ქ. გოგინაშვილი, ზ. ჩანქსელიანი, 2009; ზ. ჩანქსელიანი, 2010), მაგრამ შიდა ქართლის პირობებში ეს საკითხი ნაკლებადაა გამოვლენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რადიონუკლიდების შემცველობის შესწავლა ბიოლოგიურ ობიექტებში, მათ შორის მცენარეებში, ფრიად აქტუალურია.

კვლევისათვის შევარჩიეთ რადიაქტიური კალიუმი (^{40}K) და ცეზიუმი (^{137}Cs), რადგან კალიუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და მცენარეთა სახეობების უმეტესობა დიდ მოთხოვნილებას აყენებს მასზე. რაც შეეხება ცეზიუმ-137-ს, ის არის ხელოვნური იზოტოპი, რომელიც ბიოსფეროში გაჩნდა 1945 წლის შემდეგ (ხიროსიმასა და ნაგასაკუმი ატომური ბომბის აფეთქების შედეგად) და გარკვეული როლი შეასრულა გამა-რადიაციული ფონის ამაღლებაში.

კვლევის ობიექტია შიდა ქართლის ბიოცენოზებში ფართოდ გავრცელებული ზოგიერთი ოჯახის (Rosaceae, Compositae, Labitae) მცენარეები (ცხრილი 1), რომლებიც ნებადართულია მედიცინაში გამოსაყენებლად.

საკვლევ მცენარეთა ნიმუშები, კერძოდ, ფიტოთერაპიაში გამოსაყენებელი ორგანოები, ნედლეულის აღების კალენდარული ვადების მიხედვით შეგროვილი იქნა 2006 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შიდა ქართლის რეგიონში (ხაშურის რაიონის სოფლების: ქვიშხეთის, სატივეს; ქარელის რაიონის - აგარის, ქვენატკოცის; კასპის რაიონის - სამთავისის, იგოეთის, ხანდაკის, დოესის; გორის რაიონის - შავშვების, კარალეთის, ერგნეთის, მეჯვრისხევის, მერეთის, ქვეშის, ვარიანის, ატენის ბიოცენოზებში). პარალელურად აღებული იქნა ნიადაგის ნიმუშები. ყველა ნიმუშში განისაზღვრა ^{40}K და ^{137}Cs -ის შემცველობა მრავალარხიან სპექტრომეტრულ ანალიზატორზე აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტში.

ცხრილი 1

რადიონუკლიდების შემცველობა სხვადასხვა სახეობის მცენარეში, შიდა ქართლში

№	მცენარე	ორგანო	რადიონუკლიდების აქტივობა, ბკ/კგ	
			^{40}K	^{137}Cs
1	ასკილი - <i>Rosa canina</i> L.	ნაყოფი	1035	5,9
2	ბადის პიტნა - <i>Mentha piperita</i> L.	ფოთოლი	802	4,3
3	ვირისტერფა - <i>Tussilago farfara</i> L.	ფესვი	737	4,1
4	თავსისხლა - <i>Sanguisorba officinalis</i> L.	ბალახი	965	4,7
5	თავშავა - <i>Origanum vulgare</i> L.	ბალახი	904	4,7
6	მწარე აბზინდა - <i>Artemisia absinthium</i> L.	ბალახი	516	3,6
7	ფარსმანდუკი - <i>Achillea mellifolium</i> L.	ბალახი	843	5,0
8	ჩვეულებრივი ბეგქონდარა - <i>Thymus vulgare</i> L.	ბალახი	770	3,1
9	წითელი კუნელი - <i>Crataegus monigina</i> yac	ნაყოფი	1187	5,0
$M \pm m =$			862±64,08	4,5±0,74

როგორც მიღებული შედეგების საშუალო მონაცემებით (ცხრილი 1) ირკვევა, საკვლევ მცენარეები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან რადიაქტიური ელემენტების შემცველობით. ეს

განსხვავება უფრო ნათლად ჩანს ^{40}K -ის დაგროვებისას, სადაც ექსტრემალურ მაჩვენებლებს შორის სხვაობა ორჯერადაც მეტია და საშუალოდ $M \pm m = 862 \pm 64,08$ ბკ/კგ შეადგენს. რაც შეეხება ^{137}Cs -ს, მისი კონცენტრაციის ვარირება მცენარეთა სახეობების მიხედვით თითქმის ორჯერადაც - $M \pm m = 4,5 \pm 0,74$ ბკ/კგ.

ცეზიუმ-137-ის შედარებით დაბალი შემცველობა მცენარეებში შეიძლება იმით აიხსნას, რომ შიდა ქართლის ნიადაგები საკმაო რაოდენობით შეიცავს კალციუმის კათიონებს. ეს უკანასკნელი კი კონკურენციას უწევს მცენარის მიერ ცეზიუმის შეთვისებას.

რადიაქტიური ელემენტების შემცველობის მხრივ საკვლევი მცენარეები შეიძლება დავაწყოთ შემდეგი კლებადი რიგით (ბკ/კგ):

^{40}K შემცველი:

წითელი კუნელი ----> ასკილი ----> თავსისხლა ----> თავშავა ----> ფარსმანდუკი ---->
 ბალის პიტნა ----> ჩვეულებრივი ბეგქონდარა ----> ვირისტერფა ----> მწარე აბზინდა.

^{137}Cs შემცველი:

ასკილი ----> წითელი კუნელი ----> თავსისხლა ----> თავშავა ----> ფარსმანდუკი ---->
 ბალის პიტნა ----> ვირისტერფა ----> მწარე აბზინდა ----> ჩვეულებრივი ბეგქონდარა.

კვლევიითი მუშაობის მეთოდით გათვალისწინებული იყო აგრეთვე კალიუმ-40 და ცეზიუმ-137-ის შემცველობის დადგენა ნიადაგში, რადგან ნივთიერებათა და ენერჯის ცვლის ურთულესი პროცესები დედამიწის ქერქსა, ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს შორის, აგრეთვე დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ცოცხალ არსებას შორის, ადამიანის ჩათვლით, ძირითადად ნიადაგით ხორციელდება.

როგორც ანალიზების შედეგების საშუალო მონაცემებიდან (ცხრილი 2) ჩანს, რადიონუკლიდების შემცველობა შიდა ქართლის ნიადაგში საგრძნობლად გასხვავებულია. კერძოდ, კალიუმ-40-ის შემცველობა საკმაოდ მაღალია და 867-1285 ბკ/კგ ფარგლებში ვარირებს. ეს ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს ნიადაგწარმომქმნელ დედაქანებში და შესაბამისად, ნიადაგში საერთო კალიუმის მაღალ შემცველობასთან. მითუმეტეს, ^{40}K ოდენობა საერთო შემცველობის 0,0119 ატ% (ა. კუზინი, ნ. შაპირო, 1964).

^{40}K -ის შემცველობაში ექსტრემალურ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 1,5-ჯერადაც შეადგენს, ^{137}Cs -ის კი, თითქმის ორჯერადაც, ხოლო საშუალო მაჩვენებელი ($M \pm m$) ელემენტების მიხედვით შეადგენს, შესაბამისად 1024±56,03 და 14±0,85 ბკ/კგ. ეს ალბათ განპირობებულია ნიადაგწარმომქმნელ ქანებში საკვლევი ელემენტების ურთიერთგანსხვავებული შემცველობით.

მცენარესა და ნიადაგში რადიონუკლიდების შემცველობის საფუძველზე ჩვენს მიერ გამოთვლილი იქნა ამ ელემენტთა დაგროვების კოეფიციენტი (ბდკ). მონაცემებით ირკვევა, რომ ^{40}K ბიოლოგიური დაგროვების კოეფიციენტი, უმეტეს მცენარეთა შემთხვევაში 1-ს უახლოვდება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საკვლევი მცენარეები ფიზიოლოგიური თუ ბიოლოგიური პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის დიდ მოთხოვნილებას აყენებენ კალიუმზე, მითუმეტეს, რომ ეს ელემენტი მონაწილეობას იღებს მცენარეში მიმდინარე 40-მდე ბიოქიმიურ რეაქციაში.

ცხრილი 2

რადიონუკლიდების შემცველობა შიდა ქართლის მდელის ყავისფერ ნიადაგში

№	ნიადაგი (საკვლევი მცენარეების ქვეშ)	რადიონუკლიდების აქტივობა, ბკ/კგ	
		^{40}K	^{137}Cs
1	ასკილი - <i>Rosa canina</i> L.	1125	16
2	ბალის პიტნა - <i>Mentha piperita</i> L.	930	13
3	ვირისტერფა - <i>Tussilago farfara</i> L.	910	12
4	თავსისხლა - <i>Sanguisorba officinalis</i> L.	1023	15
5	თავშავა - <i>Origanum vulgare</i> L.	984	14
6	მწარე აბზინდა - <i>Artemisia absinthium</i> L.	867	10
7	ფარსმანდუკი - <i>Achillea mellifolium</i> L.	1090	13
8	ჩვეულებრივი ბეგქონდარა - <i>Thymus vulgare</i> L.	1004	14
9	წითელი კუნელი - <i>Crataegus monogyna</i> yac	1285	18
	$M \pm m =$	1024±56,03	14±0,85

რაც შეეხება ^{137}Cs , მისი დაგროვების კოეფიციენტი თითქმის 3-ჯერ ნაკლებია ^{40}K -ის მაჩვენებელთან შედარებით და 0,26-0,35-ის ფარგლებში ცვალებადობს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საკვლევი რეგიონის ბიოცენოზები რადიაქტიური ცეზიუმის მაღალი შემცველობით არ გამოირჩევა. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ^{90}Sr და ^{137}Cs შემთხვევაში, რადგან ისინი ხელოვნური

რადიოაქტიურ ელემენტებს შორის ხანგრძლივი სიცოცხლის უნარით გამოირჩევიან (შესაბამისად 33 და 34 წელი) და უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენენ სიცოცხლისათვის.

ამრიგად, მცენარეში რადიოაქტიურ ელემენტთა შემცველობის და მათი ბიოლოგიური დაგროვების კოეფიციენტის საფუძველზე, რამდენადმე სიფრთხილით, შეიძლება გამოვავლინოთ კონცენტრატორი მცენარეები, კერძოდ, კალიუმ-40-ის - წითელი კუნელი, ასკილი, თავსისხლა, თავშავა; ცეზიუმ-137-ის - ასკილი, წითელი კუნელი, ფარსმანდუკი.

ლიტერატურა:

4. ბიბილური ე., ჩანქსელიანი ზ., მაჭარაშვილი გ. მესხეთ-ჯავახეთის სავარგულების რადიონუკლიდებით შესაძლო დაბინძურების პირობებში სარეაბილიტაციო ღონისძიებების საკითხისათვის. რადიაციული გამოკვლევები, ტ. IX, 2000.
5. გახოვიძე ე., ჩანქსელიანი ზ., ეპიტოვი ე., მიქელაძე მ. მცხეთის რაიონის ძირითადი ავტომაგისტრატების მიმდებარე ტერიტორიების რადიოეკოლოგიური დახასიათება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 13, 2005.
6. გოგინაშვილი ნ. სტრონციუმისა და ცეზიუმის შემცველობა მცენარეში შიდა ქართლის პირობებში: წიგნი: სოფლის მეურნეობის ტექნიკური და ეკონომიკური პრობლემები. პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის გორის ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი. გორი, 1998.
7. გოგინაშვილი ე., ჩანქსელიანი ზ. გარემოს გამა-რადიაციული ფონი და მცენარეთა საერთო რადიოაქტივობა შიდა ქართლის რეგიონში. საქართველოს ქიმიური ჟურნალი, №4, 2009.
8. მდივნიშვილი ო., თავართქილაძე ჯ. რადიოაქტივობა და სოფლის მეურნეობა. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1977.
9. პოპიაშვილი ნ., ივანიშვილი ნ., გოგებაშვილი მ. გამა-რადიაციის გავლენა სამკურნალო მცენარეული ქსოვილების ამინომჟავურ შედგენილობაზე. რადიოეკოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები. ტომი I, თბილისი, 2005.
10. რუსიტაშვილი ნ., გოგინაშვილი ნ. გამა-დასხივებისა და ქიმიური მუტაგენების მოქმედებით მიღებული ლობიოს ფორმების აღწერა. ი. ლომოურის სახელობის საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები. თბილისი, 2000.
11. ჩანქსელიანი ზ. რადიოეკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2010.
12. Бак З., Александер П. Основы радиобиологии. Изд. иностранной литературы. М., 1963.
13. Влияние ионизирующих излучения на наследственность. Под ред. Н.П. Дублина, М., Наука, 2000.
14. Когл Дж. Биологические эффекты радиации. М., Энергоатомиздат, 1986.
15. Кузин А.М. Природный радиоактивный фон и его значение в возникновении, эволюции и существования биосферы (Сб. Вопросы теоретический и прикладной радиобиологии). М., 1990.
16. Основы радиационной биологии. Под редакцией чл. кор. АН СССР А.М. Кузина и д-ра биол. науки Н.И. Шапиро. М., Наука, 1964.

ACCUMULATION OF RADIO NUCLIDES IN THE PLANTS IN THE CONDITIONS OF SHIDA KARTLI

Nelly Goginashvili, Gori Teaching University, Full Professor
Ketevan Goginashvili, Sukhishvili Teaching University, Lecturer
RESUME

According to the research results the studied plants (*Rosa canina* L., *Mentha piperita* L., *Tussilago farfara* L., *Sanguisorba officinalis* L., *Origanum vulgare* L., *Artemisia absinthium* L., *Achillea mellifolium* L., *Thymus vulgare* L., *Crataegus monigina* yac) essentially differ from each other by the contents of the radioactive elements (^{40}K , ^{137}Cs). This difference is vividly seen by the accumulation of ^{40}K . On the basis of the quantity of radioactive elements in the plants and the coefficient of their biological accumulation, it is possible to reveal, though carefully, the plants – concentrators, particularly, ^{40}K – *Crataegus monigina* yac, *Rosa canina* L., *Sanguisorba officinalis* L., *Origanum vulgare* L.; ^{137}Cs – *Rosa canina* L., *Crataegus monigina* yac, *Achillea mellifolium* L.

საქართველოს ენერგოსაფრთხობებს ზოგიერთი საკითხი (მზის ენერჯის გამოყენების მაგალითზე)

ზურაბ ტიელიძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ნებისმიერი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ენერგოსაფრთხობის უზრუნველყოფამ ხელი უნდა შეუწყოს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას ანუ მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.

საზოგადოების ენერგოაღჭურვილობა, მისი სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის საფუძველი, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მზარდი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია. XXI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ენერგეტიკის ახალი დარგი ე. წ. “ენერგოდამზოგველი” ენერგეტიკა, რომლის მიზანია განაპირობოს უკვე საკმაოდ დაზიანებული ბიოსფეროს შენარჩუნება და ამისათვის იგი ეძებს ახალ – ენერჯის ალტერნატიულ–არატრადიციულ წყაროებს (წყლის, მზის, ქარის, ზღვის–ოკეანის ტალღების, გეოთერმულ, ბიომასის და სხვ.) რომლებიც არ მიაყენებენ ზიანს გარემოს, იქნებან იაფი, ეფექტური და გამოსაყენებლნი განუსაზღვრელი დროის მანძილზე ანუ ამოუწურავნი განსხვავებით ტრადიციული ენერგეტიკული რესურსებისა (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, ატომური ნედლეული, ტორფი, შება და ა. შ.). არატრადიციული კვლავწარმოებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას განსაზღვრავს წარმოებული ენერჯის ღირებულება ტრადიციულთან შედარებით, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერჯის ლოკალურ მომხმარებელს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ენერჯის განახლებადი წყაროების ანუ ბუნებაში მუდმივად არსებული ან პერიოდულად შევსებადი ენერჯის ნაკადებზე დაფუძნებული ენერჯის წყაროების გამოყენებაზე გადასვლის აუცილებლობა გამოწვეულია რამოდენიმე მიზეზით. კერძოდ:

1. **ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების ამოწურვალობა** (განგარიშებულია, რომ კაცობრიობას ქვანახშირის არსებული მარაგი ეყოფა დაახლოებით 270 წელს, ურანისა – 100 წელს, ნავთობისა და ბუნებრივი აირისა კი დაახლოებით 50 წელს);

2. **ტრადიციული რესურსების, როგორც ძვირფასი ქიმიური ნედლეულის დაზოგვის აუცილებლობა.** მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ კაცობრიობა ნამდვილად ჩადის უპატიებელ ცოდვას მომავალი თაობების წინაშე, როდესაც იგი, ტექნოლოგიური უძღურების გამო, ასე უმოწყალოდ ანადგურებს უზარმაზარ ძვირფას ქიმიურ სანედლეულო ბაზას – ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და სხვათა სახით, გამოიყენებს და მოიხსენიებს რა მათ ეგრეთ წოდებულ საწვავ რესურსებად.

3. **გლობალური დათბობის (“სათბურის ეფექტის”) თავიდან აცილება.** ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენება – მათი წვა ხელს უწყობს ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის (ეს მაჩვენებელი დედამიწაზე +15%–ის ტოლია) ზრდას. 1860 წლიდან დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურამ გრადუსის 2/3–ით მოიმატა, რაც გამოწვეულია ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების (წვის) შედეგად, როდესაც ადგილი აქვს ატმოსფეროში ე. წ. “სათბურის გაზების” ნახშირორჟანგის (CO₂), მეთანის (CH₄), აზოტის ოქსიდის (N₂O) და სხვა აირების გამოყოფასა და დაგროვებას. ამ პროცესის შედეგად კი დედამიწის საშუალო ტემპერატურა +15%–ზე ზემოთ ადის, რასაც მეცნიერები “გამლიერებული სათბურის ეფექტს” – გლობალურ დათბობას უწოდებენ. სწორედ ეს მოვლენა იწვევს კლიმატის არასასურველ ცვლილებას, რასაც ხშირად შედეგად მოსდევს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში დღეისათვის აგრერიგად მომძლავრებული უარყოფითი კლიმატურ–ატმოსფერული მოვლენები.

4. **მოსახლეობის – ენერჯის მომხმარებლის რაოდენობის ზრდა.** ეს მოვლენა XX საუკუნეში დაწყებული და XXI საუკუნეში განგრძობად ხასიათს ატარებს და ე. წ. ”დემოგრაფიული აფეთქების” სახელწოდებითაა ცნობილი. პროცესი გრძელდება და დემოგრაფთა პროგნოზით, ამ საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 10–12 მილიარდს მიაღწევს, რაც მათი ენერჯით მომარაგებისათვის ალტერნატიული რესურსების გამოვლენისა და გამოყენების აუცილებლობას წარმოშობს.

ენერჯის განახლებადი–ალტერნატიული წყაროებიდან დიდი მნიშვნელობა გააჩნია **მზის ენერჯიას**. იგი ყველაზე გრანდიოზული, იაფი და ადამიანის მიერ ყველაზე ნაკლებად გამოყენებული ენერჯიაა ალტერნატიული ენერჯის წყაროებიდან. ამავე დროს ამოუწურავია, არ

საჭიროებს მოპოვებასა და ტრანსპორტირებას. არის უწყონო, უხმაურო და უვნებელი; მისი უტილიზაცია არ წარმოქმნის პირდაპირ ნარჩენებს – არ აბინძურებს გარემოს და არ არღვევს პლანეტის თბურწონასწორობას. მეცნიერთა გამოკვლევებით მზის ენერჯის წყაროა თერმობირთვული რეაქციები, რომლებიც მიმდინარეობს მზის გულში, სადაც ჯერ წარმოიქმნება მძიმე წყალბადი შემდეგ კი – ჰელიუმი. როგორც მეცნიერთა გამოკვლევები უჩვენებენ დედამიწამდე მოღწეული ამ ენერჯის ოდენობა ეტოლება 170 მილიონი ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ ენერჯიას.



ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. 400 წელს ძველმა ბერძნებმა შეძლეს მზის სხივისა და წყლით სავსე მინის საშუალებით ცეცხლის მოპოვება. ორი საუკუნით გვიან კი ბერძნებმა და ჩინელებთან ერთდროულად გამოიგონეს სფერული სარკე მზის სხივების ფოკუსირებისათვის.

მზის ენერჯის ელექტროენერჯიად გარდამქმნელი მოწყობილობა პირველად შექმნეს ამერიკის შერთებულ შტატებში 1953 წელს. მზის ენერჯის აქტიური გამოყენება კი დაიწყო XXI საუკუნიდან, როდესაც გერმანიაში დაიწყო სახელმწიფო პროგრამის განხორციელება სახელწოდებით “1000მ მზის სახურავი”. მას მოყვა პროგრამები იაპონიაში – “70 000 მზის სახურავი” და “1 000 000 მზის სახურავი” – აშშ-სა და ევროკავშირში.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს მზის ეფექტური და ხანგრძლივი გამოსხივების მაღალ დონეს. ქვეყნის უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250–დან 280 დღემდე მერყეობს, რაც წელიწადში დღის ხანგრძლივობის მიხედვით შეადგენს 1900–2200 საათს. მთელ ტერიტორიაზე კი მზის წლიური ჯამური რადიაცია შეადგენს 1250–1800 კვტ. საათს კვ. მეტრზე და მზის საშუალო რადიაცია ამავე ფართობზე ტოლია 4,2 კვტ. საათისა დღეში. მზის ენერჯის სრული პოტენციალი საქართველოში შეფასებულია 108 კვტ–ით, რაც წლიურად 34 ათასი ტონა პირობით სათბობის ეკვივალენტურია. გაანგარიშებულია ასევე, რომ წელიწადში საქართველოში ყოველ კვ. მეტრზე 1300 კვტ. საათი მზის ენერჯია ხვდება, რაც დაახლოებით 120 ლიტრ დიზელის საწვავს ან 130 კუბ. მეტრ ბუნებრივ აირს უტოლდება.

ბოლო ხანებში მსოფლიოს მასშტაბით მზის ენერჯის გამოყენების ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. გაანგარიშებულია, რომ მზიდან ყოველ წამში დედამიწაზე გამოსხივებული ენერჯის (რაც შეადგენს 170 მლრდ ჯოულს წამში და რომლის მხოლოდ 1/3 აღწევს დედამიწის ზედაპირს, დანარჩენი შთაინთქმება ან აირეკლება ატმოსფეროს მიერ) მხოლოდ 0,0125% დააკმაყოფილებდა დღევანდელი მსოფლიოს მოთხოვნილებას ელექტროენერჯიაზე, მაგრამ ამ ენერჯის გამოყენება ფართო მასშტაბებით დღესდღეობით გამწვანებულია, რადგან მზის ენერჯის სიმკვრივე იმდენად მცირეა, რომ 1 კვ მეტრი ფართობიდან შეიძლება მხოლოდ 160 ვტ სიმძლავრის ელექტროენერჯის მიღება, რაც ეკონომიურად ძალზედ არაეფექტურია. მსოფლიო პრაქტიკაში დღეისათვის არსებობს მზის ენერჯის გამოყენების **პასიური და აქტიური სისტემები**. პირველ შემთხვევაში მზის ენერჯია გამოიყენება ყოველგვარი რთული ტექნიკური დანადგარების გარეშე (მაგალითად, მეტი სითბოს მიღებისათვის, როგორც წესი, სამხრეთისაკენ მიმართულია საცხოვრებელი სახლების ფანჯრები, მცენარეთა სათბურები, წყლის გამათბობელი ბაკები და ა. შ.). მეორე შემთხვევაში კი – ადამიანი ქმნის სპეციალურ რთულ მოწყობილობას, რომლის საშუალებითაც იგი მზის ენერჯიას გარდაქმნის თბურ ან პირდაპირ ელექტროენერჯიად (ნახევრადგამტარული მზის ფოტოელექტროგარდამქმნელებიანი სისტემა).


მზის ინსოლაციის რაოდენობით (1 კვ. მეტრ ფართობზე მზის ენერჯის მაჩვენებელი) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ეკვატორზეა და შეადგენს წელიწადში 2500 კვტ სთ/კვ მეტრზე.

საქართველოში იგივე მაჩვენებელი 1250–1800 კვტ სთ–ის ფარგლებში მერყეობს და ინსოლაციის საშუალო დღიური მაჩვენებელი შეადგენს 4,2 კვტ სთ/კვ.მეტრზე. ინსოლაციის საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი არსებობს კავკასიონის საშუალო და მაღალმთიანეთში, ხოლო საშუალოზე დაბალი–ამიერკავკასიის მთათაშუეთსა და კიდევ უფრო დაბალი კი –კოლხეთის დაბლობზე. საქართველოში დღეისათვის მზის ფოტოელექტროსისტემებს იყენებენ კავშირგაბმულობის სამინისტროს, საქტრანსგაზმრეწვის, საგზაო დეპარტამენტისა და განსაკუთრებით კი რკინიგზის დეპარტამენტის ობიექტებზე, სადაც იგი გამოიყენება ოპტიკურ ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის სისტემების კვებისათვის. მზის მიკროელექტროსადგურები დამონტაჟებულია ძირითადად საქართველოს მონასტრებსა და კავკასიონის მაღალმთიანეთის ოჯახებში (ხევსურეთი, ფშავი, გუდაური, ახმეტა, თუშეთი).

საქართველოში მზის ენერჯიაზე მომუშავე ელემენტი აქვს გამოყენებული მობილურ ოპერატორ ბილანს საბაზო სადგურის ასამუშაველად მცხეთა-მთიანეთის რაიონში თბილისი-გუდაურის ავტომაგისტრალის ახლოს. საქართველოში დღემდე, ძირითადად სანატორიუმებსა და აგარაკებზე, დამონტაჟებულია 200 000 ცხელი წყლის გამაცხელებელი კოლექტორი. მზის სადგურების საერთო რაოდენობა საქართველოში დღეისათვის 150 ერთეულს ეტოლება, რომელთაგან ყველაზე მძლავრი 1,5 კილოვატია. მათი გამოყენება შეიძლება როგორც ელექტროენერჯის გამომუშავებისა, ასევე ცხელი წყლის მიღებისათვის.

მზის ენერჯის გამოყენება საქართველოში ძირითადად მაღალმთიან ადგილებში ხდება. 20–მდე დანადგარი დამონტაჟებულია მონასტრებში, 25 ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორში, 50–მდე კი – კერძო სექტორში. საქართველოში მზის ენერჯიაზე მომუშავე სადგურების საერთო სიმძლავრე 30 კილოვატამდეა.

გამოთვლილია, რომ საქართველოში მაისიდან ოქტომბრამდე შესაძლებელია წყლის გასაცხელებლად საჭირო ენერჯის თითქმის 100%–მდე უზრუნველყოფა; მარტში, აპრილსა და ოქტომბერში მზემ შეიძლება მოგვცეს საჭირო სითბოს რაოდენობის 50%, ხოლო ნოემბრიდან თებერვლამდე კი–20–30% (იხ. დიაგრამა).



მართალია საზოგადოების მიერ ენერჯის არატრადიციული (განახლებადი) წყაროების გამოყენება დაკავშირებულია ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან, უმთავრესად კი მათ მაღალ თვითღირებულებასთან და ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნის აუცილებლობასთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პერსპექტივაში აღნიშნული რესურსების გამოყენება მაინც მიგვაჩნია საქართველოს გარემოს მდგრადი განვითარებისა და ენერგოუსაფრთხოების ერთ–ერთ ძირითად საფუძვლად.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია. მ. ალფენიძისა და ვ. ხარაძის რედაქტორობით. თბ. 1999.
2. ნ. პეპანაშვილი და სხვ. გარემო და მდგრადი განვითარება. თბ. 2007.
3. მზის ენერჯის გამოყენება თვითნაკეთი მოწყობილობების საშუალებით. ბროშურა გამოცემული “ენერგოუსაფრთხოების ცენტრი საქართველო”-ს მიერ.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 6. თბ. 1997.

ინტერნეტ ვებ გვერდები:
<http://www.google.ge>
<http://msisenergia.blogspot.com>
<http://janmrteoba.wordress.com/2010/01/11>
<http://www.ghn.ge/news-17507.html>
<http://www.forum.rustavi2.com>

SOME ISSUES OF THE GEORGIAN ENERGETIC SAFETY (BASED ON THE EXAMPLE OF THE SOLAR ENERGY)

Zurab Tielidze, Gori Teaching University, Full Professor
RESUME

The article deals with discussion of the potential and condition of using one of the important alternative-reproductive sources of energy-the solar energy in Georgia.

In the article the author presents the role of the solar energy in the maintenance of the future energetic safety and sustainable development of the country.

ეკონომიკა, ბიზნესი, ეკონომეტრიკა

Economics, Business, Econometrics

THE PROBLEMS OF FISCAL AND MONETARY POLICY COORDINATION IN GEORGIAN ECONOMY

Besik Bolkvadze, Shota Rustaveli State University, Associated Professor
E-mail: besbol@rambler.ru

Transition of Georgian economy to market relationships is quite a complicated and continuous process, closely related to both, establishing and setting in motion the market mechanisms and using them efficiently. In a country with transitional economy, many social- economic problems make it essential to look for the most flexible and efficient ways of solving them. At the stage of transition to market economy it is of vital importance, on the one hand, to support establishing and functioning of market institutions and mechanisms and, on the other hand, to implement economic activities to the economically reasonable extent of the state regulation through applying such significant trends of the state economic policy as fiscal and monetary policies.

For the normal and efficient performance of the economy, budget-and-tax or money-and- credit mechanisms separately are unable to solve basic macroeconomic problems. Consequently, the necessity for coordination between one another as well as meeting the requirements of the economy in transition is regarded to be inevitable. In order to manage efficient state regulation of economy it is of utmost importance to accurately coordinate fiscal and monetary policies and make use of budget-and-tax or money-and-credit mechanisms in a balanced and synchronic way. Fiscal and monetary policy coordination is a process comprising several aspects and a multiple of factors, requiring systematic approach towards it that will enable setting objective and auspicious conditions for the efficient functioning of the economy.

As it is commonly known, there are two models of inter-correlation between fiscal and monetary policies: 1. when money-and-credit policy is incapable of independently acting as a factor to reaching economic stability; thus in line with fiscal policy and other economic directions of the government it may undertake the role of a facilitator [Hansen E., p.228]. 2. Unlike what has been mentioned, budget-and-tax policy follows the development of money-and-

credit policy and functioning of relevant mechanisms and regulators [Moiseev S. R., pp.210-211], especially during the transitional economy and in cases of strong macroeconomic instability.

There are a number of factors hindering optimum coordination between the trends of fiscal and monetary policies within the economy of Georgia. The following can be pointed out: 1. Absence of positive experience in macroeconomic administration due to peculiarities of transitional economy; 2. No essential social conditions to ensure achievement of successful anti-inflation outcomes, and absence of prerequisite in regard to unemployment leveling since the country does not have any developed infrastructure for labor market, that accordingly reduces the possibility of long-term prospects of anti-inflation outcomes; 3. Nowadays, the interrelation between banking system and real sector of the economy is rather weak. This is caused by the fact that unlike fiscal policy, the interests and responsibilities of following a monetary one does not incorporate in itself overlooking of the requirements set by the sector of the economy; 4. With the economy of high dollarization, money-and-credit and budget-and-tax systems of the country rely on mixed systems of cash flow; therefore due to low quality of trust of economic entities to national currency the acting range of activities within the financial-economic policy is decreased; 5. In most cases, the principal directions of the state budget and money-and-credit policy are drafted independently from each other. Since these are conceptual basis of fiscal and monetary policies, such kind of approach make it difficult for the coordination mechanism to function.

Fiscal and monetary policy coordination has to be understood not only as in-step activities of budget-and-tax and money-and-credit systems. The efficiency of coordinating mechanisms is directly proportionally related to synchronization of appropriate activities. From the viewpoint of coordination-synchronization of fiscal-monetary policies the following basic directions can be pointed out: a) Consecutiveness of budget-and-tax and money-and-credit policy goals in the process of implementation of financial-economic policy; b) An agreement stipulating finding the non-inflation ways of financing the budget in cases of its deficit and specifying the need of rational usage of the excess budgetary revenues in case of its surplus; c) Coordination in the process of cash flow management; d) Having a flexible mechanism of joint control and monitoring over the inflow and outflow of the capital.

Fiscal and monetary policy coordination is rather complex and multi-aspect process during the transition period of Georgian economy state regulation. In order to ensure its efficient implementation, it is reasonable to grade the following aspects: 1. Macroeconomic aspect; 2. Foreign economic aspect; 3. Legal aspect; 4. Institutional aspect.

Macroeconomic aspect of coordination is of crucial importance as fiscal and monetary policies refer to macro-economy generally. Hence their close interconnection significantly affects increase rate of real GDP, price and employment level, intensiveness of structural transformation of economy, etc. An important factor which has endangered the rate of sustainable growth of economy in the country for the past several years is inflation regardless the relatively low level of monetization. Moreover, any positive economic event – direct investments, privatization or increasing of tax collection into budget, is connected with a sharp increase of money stock and imposes risk over stability of prices. Despite the attempt of the National Bank to apply mechanism of controlling inflation through sterilization of excessive money, the mentioned above will have negative impact upon the rise of interest rates that consequently is an unfavorable factor for the economic growth. Since the main objective of money-and-credit policy is stability of prices, it is important that it be implemented pragmatically and changes of real sectors of the economy, general fiscal situation and influence of received capital on exchange rate and macroeconomic equilibrium be taken into consideration.

Looking at the problem from the point of view of fiscal-monetary coordination enables us to distinguish one basic obstacle that is faced through carrying out the economic policy. In particular, according to Banking Legislation of the country, the National Bank has to take the responsibility over the high level of inflation. However, the causes of this process can lie not only within the National Bank but also other independent factors including fiscal determinants. It may eventually become a basis of argument between the Ministry of Finances and the National Bank, therefore affecting the efficiency of financial-economic policy. The very situation should serve as a signal for fiscal and monetary policy makers to adequately use efficient mechanisms and act in a synchronized way in line with time and economic situation; thus ensuring reasonable capacity of money stock that will facilitate high and increasing rates of business activities in economy. We believe this can only be achieved through optimum distribution of responsibilities over inflation within the financial-economic policy makers only.

Foreign economic aspect should be understood as non-uniform impact of fiscal and monetary policies on the equilibrium of the balance of payments of the country. It implies the condition where the trade balance of Georgia has been characterized with high rates of deficit for the last few years (import exceeds export 4 times), that, together with other factors, is stipulated, on the one hand, by the high boundary leaning of customers to import relevantly with increasing rates of growth of the on-budget expenditures and, on the other hand, with the present currency rate policy steady tendencies of strengthening of the national currency in relation to stable currency. Particularly, revaluation of the national currency to stabilize it had rather creeping nature, e.g. GEL was strengthened by 23.8 % in relation to USD in 2002-2008 that was determined by various factors. Some of these factors can be distinguished as following: 1. Growing inflow of direct foreign investments into the country; 2. Privatization process undertaken through foreigners' participation; 3. Money transfer from the citizens of Georgia living abroad; 4. Legalization of economy and strengthening of economic discipline in comparison with the past years [Papava V., pp.5-14]. During the analytical period, major factor affecting currency rate was increasing rate of the foreign investments. In order to avoid over-strengthening of GEL (to neutralize negative impact on export) the National Bank procured permanently foreign

currency that supported inflation background in the country to some extent; i.e. it graded currency fluctuation and stimulated inflationary pressure. During operation of such mechanism, the necessity of fiscal-monetary coordination should be obvious to particularly grade inflationary pressure to reduce unproductive expenditures covered under budget via synchronized activities of the National bank and the Ministry of Finances. To avoid currency and inflation fluctuation and have efficient fiscal-monetary coordination in the similar macroeconomic scenario, the following should be clarified: a) the size of the expected foreign investment flows i.e. accurate prognosis is important; b) the unproductive expenditures which will not be financed by the budget for some period of time. Such currency-budgetary synchronization in the similar situations reduces currency and price fluctuation that is of much significance both for macroeconomic stability and provision of behavior and operation sustainability of microeconomic entities.

Legal aspect of interconnection between fiscal and monetary policies envisages the development of legislative basis and taking efficient measures in this regard. Specifically, at present the money-and-credit and currency policy trends developed by the National Bank are used for drafting the budget as conceptual basis for the monetary policy. However, we consider it important that the process of drafting the state budget, followed by discussion or approval has to precede the process of forming trends of money-and-credit policies and not vice versa.

In order to create an efficient controlling mechanism we consider it important that a chamber of fiscal and monetary policy coordination needs to be established, which will coordinate ongoing activities and events in the fields of monetary and fiscal policies, monitor evaluation of processes and at regular intervals (monthly, quarterly) make forecast of fiscal and monetary parameters and tendencies of their influence over the sustainability of economic growth so that its functioning does not affect the quality of independence of the National Bank.

Thus, in order to develop and improve coordination mechanism between budget-and-tax and money-and-credit policies in a country with transitional economy, we consider it reasonable to: 1. Keep consecutiveness between the objectives of budget-and-tax and money-and-credit policies; 2. Reach an agreement of financing the budget in case of deficit from non-inflation ways, and using excessive budgetary revenues rationally in case of surplus; 3. Have an efficient fiscal-monetary program developed between the National Bank and the Ministry of Finances to define what amount of money need to be released from the cash flow in some definite period of time; 4. Launch a flexible mechanism for joint control and monitoring over capital raise in order to improve coordination; 5. Make a process of the state budget drafting and discussing-approving (as one of the most important procedures form the budgetary cycle) precede a process of formation of money-and- credit policy trends; 6. Establish a coordination chamber between fiscal and monetary policy makers, which will somehow coordinate the events and activities ongoing in the fiscal and monetary fields and evaluate the development of processes.

LITERATURE

1. Arye L. Hillman. 2003. Public Finance and Public Policy: Responsibilities and Limitations of Government. Cambridge University Press.
2. Blanchard O. The Economic Future of Europe. <http://www.nber.org/papers/w10310>.
3. Hansen E. 2006. Money Theory and Financial Policy. Translated from English. "Delo" (In Russian).
4. Moiseev S. R. 2005. Money-and-Credit Policy: Theory and Practice. "Economist" (In Russian).
5. Papava V. 2007. What is the cause for simultaneous strengthening of GEL and inflation? "Audit, accounting, finances," №10 (in Georgian).

RESUME

The work deals with the discussion of the problems of fiscal and monetary policy coordination in Georgian economy. For the normal and efficient performance of the economy, budget-and-tax or money-and-credit mechanisms is closely related to both, establishing and setting in motion the market mechanisms and using them efficiently. The main tendencies of finance and monetary systems are analyzed and the model of fiscal-monetary coordination is presented, as one of the inevitable conditions of the sustainable development of the country economy.

ღვინის მარკეტინგი, მისი პრობლემები და პერსპექტივები

დავით ბიძინაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: davitbidz@gmail.com

ღვინის ბიზნესი, მოგეხსენებათ, უამრავ საუკუნეს ითვლის. ღვინო ერთ-ერთი უძველესი პროდუქტია, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის საგნად იქცა. ათასწლეულების განმავლობაში იმ კრიტერიუმების რაოდენობა, რომლის მიხედვითაც ღვინის სიკარგე ფასდებოდა, საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. უმთავრესი ამ საქმეში მომხმარებლის გემოვნების ცოდნა გახლდათ. რომელიღაც ერში შეიძლებოდა მშრალი ღვინოები ყოფილიყო პოპულარული და მიღებული, სხვაში - ტკბილი. გემრიელი ღვინო, მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის სწორი გამოყენება. სულ ესაა, რაც საჭირო იყო წარმატებული ღვინის ბიზნესისთვის. (www.bec.ge)

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2009 წლიდან 2010 წლის სექტემბრის ჩათვლით ღვინის ექსპორტის სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. გაყიდვების საერთო მაჩვენებელი 40%-ით გაიზარდა და 10,1 მილიონ ბოთლს მიაღწია. ქართველ მეღვინეთათვის გასაღების მთავარი საგარეო ბაზარი კვლავ უკრაინაა - მასზე მოდის მთლიანი ექსპორტის 52%, შემდეგ კი მოდის ყაზახეთი და ბელორუსია. სამინისტროში განაცხადეს, რომ დღეს მთავარი აქცენტი ქართული ღვინოს თურქულ ბაზარზე გასატანად კეთდება. 2011 წლისთვის თურქეთში დაახლოებით 1 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი იგეგმება. (www.maf.ge)

ღვინის გაყიდვაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას: ხარისხი, დამზადების ადგილი, სარეკლამო კამპანია, გემო. არ შეიძლება იმის თქმა, რომ რომელიმე მათგანი ნაკლებ მნიშვნელოვანია სხვებზე და, პირიქით. ყველა ღვინოს თავისი მომხმარებელი ჰყავს, თუმცა ერთი და იმავე ხარისხის პროდუქტს ერთსა და იმავე საფასო კატეგორიაში დღეს ერთდროულად შესაძლოა რამდენიმე ათეული კომპანია გთავაზობდეს. თუ მყიდველი ღვინის მცოდნე და სისტემატური მომხმარებელი არაა, მაღაზიაში შესვლის შემდეგ უპირატესად ორ კომპონენტზე გაამახვილებს ყურადღებას. ფასს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა არ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ ის რამდენიმე სხვადასხვა ღვინოსთვის საერთოა. მართალია, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს ძვირ ღვინოებს, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ მაღალ ფასთან ერთად ხარისხიც ასეთივე იქნება. ეს საკმაოდ გავრცელებული მითია და ზოგიერთ შემთხვევაში რეალობასთან შესაძლოა არც იყოს ახლოს. რაც შეეხება ხარისხსა და გემოს, ბუნებრივია, პროდუქტის შექმნამდე ეს ინფორმაცია უცნობი რჩება. ამიტომ ის ორი კომპონენტი, რომელიც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე შეიძინოს კონკრეტული პროდუქტი, არის მის მიღმა არსებული სარეკლამო კამპანია და გარეგანი შეფუთვა. (www.comersant.ge)

სარეკლამო კამპანია საკმაოდ ფართო ცნებაა და თავისთავში უამრავ ინსტრუმენტს მოიცავს. როგორ გამოიყენებენ მათ საქმის მცოდნე პიარის სპეციალისტი და მარკეტოლოგი, ეს კონკრეტულ ღვინოზე, კომპანიის ფინანსურ შესაძლებლობებსა და სხვა უამრავ გარემოებაზეა დამოკიდებული. ყველაზე აქტიურად ამ საქმეში მაინც სატელევიზიო სარეკლამო რგოლებსა და ბანერებს იყენებენ. ეს, ასე ვთქვათ, ტრადიციული და ნაცადი ხერხია, გახადო პროდუქტი ცნობადი და პოპულარული, სანამ მომხმარებელს მისი გასინჯვის საშუალება ექნება. ეს მეთოდი ბოლო საფეხურია ძალიან რთული და საპასუხისმგებლო მუშაობის პროცესში. ბოლო იმიტომ, რომ სანამ რაიმეს რეკლამირებას მოახდენდე, აუცილებელია რამდენიმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინება.

პირველი რამ, რაც კომერციულად წარმატებული ღვინოს შესაქმნელადაა საჭირო, მისი იდენტიფიკაციაა. ინფორმაცია, რომელიც ღვინოს, მის თვისებებს, წარმოების ადგილს და ზოგადად ნაწარმის დადებით მხარეებს მოიცავს, ზედმიწევნით დეტალურ შესწავლას საჭიროებს. მის ანალიზზე უნდა აიგოს გაყიდვების სტრატეგია, ეს დეტალები კი უშუალოდ უნდა აისახოს ბრენდის სახელზე, ეტიკეტზე, შეფუთვაზე და ზოგადად, მთლიან სარეკლამო კამპანიაზე. საუბარია ისეთ მარტივ რამეებზე, როგორცია იმის ცოდნა, თუ ვინ არის პოტენციური მყიდველი და, უბრალოდ, რას წარმოადგენს ბრენდი, რომლის ე.წ. პრომოუშენის გაკეთებას აპირებთ. მაგალითისათვის, თუ მყიდველი დაინტერესებულია ხარისხიანი ყურძნისაგან დაწურული ღვინით, თქვენი ვენახები კი ძალიან კარგი ადგილმდებარეობით და ჯანსაღი გარემოთი გამოირჩევა, მაშინ Bontera იარლიყზე ზუსტად გათვლილი, სწორი ინფორმაციის მატარებელი სახელია. თუ ამას სარეკლამო კამპანიაში დაურთავთ გზავნილს იმის შესახებ, რომ ბონტერა

- ეს არის ღვინო, რომელიც ბუნებრივ გარემოში გაზრდილი ორგანული პროდუქტით მზადდება, ის აუცილებლად იპოვის თავის მყიდველს.

ამიტომ სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე, მთავარი ამოცანაა განისაზღვროს, თუ რას ეუბნება სახელი მომხმარებელს, რა უნდა იყოს ის მთავარი გზავნილი, რომელიც გაყიდის პროდუქტს და როგორი დიზაინი შეესაბამება იმიჯს, რომელიც ღვინისთვის იქმნება. ამისთვის პროფესიონალი მარკეტოლოგებისა და დიზაინერების მომსახურებაა საჭირო, რაც საკმაოდ შთამბეჭდავ თანხებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამაზე ეკონომიის გაკეთება ნამდვილად არ ღირს. ეს ის ინვესტიციაა, რომელიც შემდგომში აუცილებლად დიდ მოგებას მოიტანს.

TI Beverage Group-ის დამაარსებელმა და პრეზიდენტმა, მაიკლ მეჩეტმა, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების შედეგად კარგად იხეირა. მას არ დაუწყია უნიკალური ღვინოების შექმნა და ახალი ჯიშების გამოყვანაზე ზრუნვა. მან უბრალოდ დაამზადა საშუალო ხარისხის ღვინო და სწორად გათვალა, ვინ შეიძლება ყოფილიყო მისი მომხმარებელი. მას სჭირდებოდა სახელი, რომელიც დახლებს შორის არ დაიკარგებოდა და ყურადღებას მიიქცევდა და ღვინოს „Vampire“ დაარქვა. ის საკმაოდ პოპულარული ღვინო გახდა ახალგაზრდებში, რომლებიც ზოგადად ღვინის არც ისე აქტიური მომხმარებლები და მცოდნეები არიან. „როცა ახალგაზრდები მაღაზიაში ღვინის საყიდლად შედიან, მათ უბრალოდ დალევა უნდათ. ისინი უყურებენ ღვინის თაროებს, ხედავენ „ვამპირს,“ რომელიც მათში მღელვარე ასოციაციებს იწვევს. ისინი ვერ ერკვევიან ღვინის სახეობებში და ამიტომ იღებენ „ვამპირს“. ასე ჩნდებიან ახალი კლიენტები. აღსანიშნავია, რომ ეს ღვინო ჰელოუინის დამეს ძალიან პოპულარული ხდება ხოლმე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სახელი საკმაოდ ვიწრო კატეგორიასა და დღესასწაულებზეა გათვლილი, ასეთი ჩარჩოებს კი უარყოფით მხარეებიც აქვს და ზოგადად, შესაძლოა არც ისე წარმატებული გამოდგეს მარკეტინგული თვალსაზრისით.

არანაკლებ მნიშვნელობა აქვს იარლიყსაც. საერთოდ მომგებიანად ითვლება, სადა, უპრეტენზიო იარლიყი, რომელზეც ოდნავ ძველი სტილის კალიგრაფიით იქნება წარწერა. მთლიანობაში ეს სიძველის და დახვეწილობის ასოციაციას ქმნის, თუმცა ასეთი დიზაინი იმდენად პოპულარულია, რომ თითქმის ყველა ღვინის ბოთლზე წააწყდებით, რის გამოც ეს უპირატესობად ვერ ჩაითვლება. სულ სხვა საქმეა ფრანგული ღვინოების Chateau Mouton-Rothschild-ის dizaini. ის აერთიანებს სიძველის, კრეატიულობის და კარგი გემოვნების ასპექტებს, რაც გარდა იმისა, რომ ლამაზია, პოზიტიურად მოქმედებს მყიდველის არჩევანზე. პრინციპი მარტივია: ყოველ წელს Chateau Mouton-rothschild ირჩევს რომელიმე მხატვრის შემოქმედებას და ილუსტრაცია იარლიყზე გადააქვს. ამ არისტოკრატიული სასმელის იარლიყზე უკვე მოხვდა ისეთი მხატვრების ილუსტრაციები, როგორიცაა, სალვადორ დალი, ენდი უორჰოლი, პაბლო პიკასო, ხუან მირო...

მხოლოდ კარგი გემოვნება არ არის ერთადერთი იარაღი, რომელმაც შესაძლოა ღვინოს პოპულარობა მოუტანოს. ზოგიერთ შემთხვევაში ცუდ გემოვნებას უფრო დიდი შემოსავალი მოაქვს. ამას ადასტურებს ღვინის Cycels Gladiator შემთხვევა, რომლის იარლიყზე დახატულმა ქალის შიშველმა გამოსახულებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მწარმოებელი კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღიძრა, რამაც მათ ვებსაიტზე მნახველებისა და შედეგად გაყიდვების რაოდენობის ზრდა განაპირობა. სწორედ ამ მიზეზით, ღვინის მწარმოებლები სულ უფრო ხშირად არქმევენ თავიანთ პროდუქტს ისეთ სახელებს, როგორიცაა, მაგალითად, Royal Bitch ან Fat Bastard.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ღვინის პაკეტებში ჩამოსხმა მიღებული და თანაც, პრაქტიკული (არ არსებობს დამტვრევის საშიშროება) გახდა, მომხმარებლის თვალისთვის კვლავ ბოთლია სასიამოვნოდ აღსაქმელი, შესაბამისად, ეს უკანასკნელი უფრო გაყიდვადია. მნიშვნელობა აქვს თავსახურსაც. ბოლო წლებში მეღვინეებმა სულ უფრო აქტიურად დაიწყეს ხრახნიანი თავსახურების გამოყენება. როგორც უკანასკნელმა კვლევებმა დაადასტურა, მყიდველი მაინც კორპის საცობიან ღვინოებს ანიჭებს უპირატესობას. 100 ყველაზე გაყიდვადი ბრენდიდან, 72 სწორედ კორპის საცობს იყენებს. ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, ამ ასი კომპანიიდან მათი რაოდენობა, ვინც კორპის საცობის გამოყენება დაიწყო, 7,5 %-ით გაიზარდა. ამ პერიოდში მათი გაყიდვების რაოდენობამ 10,2% მოიმატა, იმ კომპანიების კი, რომლებიც ალტერნატიულ საცობებს იყენებენ, მხოლოდ 3,2%-ით. სწორედ ამიტომ, საწარმოები უფრო ხშირად კორპის საცობს მიმართავენ, -ნათქვამია ასოციაცია Cork Quality Council-ის მოხსენებაში. აღსანიშნავია, რომ მეტალის და პლასტმასის საცობები 10-24-ჯერ მეტ სათბურ გაზს წარმოქმნის, მათი წარმოება კი ხუთჯერ მეტ ენერჯის მოითხოვს. ამ ფონზე გასაგები ხდება იოლად გადამუშავებადი და ნატურალური კორპის საცობების პოპულარობა.

აქვე მინდა გიამბოთ ღვინის მარკეტინგის ახალ მიდგომაზე, რაც სამხრეთ აფრიკის პატარა წარმოებამ, Stormhoek-მა შეიმუშავა. მას შეჰქონდა ღვინოები ბრიტანულ ბაზარზე, რომელიც იმდენად მრავალფეროვანი და დიდია, რომ ყველაზე აღიარებული პროდუქტებიც კი, უბრალოდ, იკარგებიან.

კომპანიამ მიზნად დაისახა თავისი ღვინო სოციალურ ურთიერთქმედებასთან, საუბარსა და კარგი კამპანიის გაგებასთან დაკავშირებინა. ამისთვის მან ერთი ადამიანის დახმარებით ბრიტანელი ბლოგერებისთვის აქცია მოაწყო. ბლოგერმა MacLeod-მა თავის ბლოგზე დაწერა, რომ ნებისმიერ ბრიტანელ ბლოგერს, რომელიც დაინტერესებული იყო გაესინჯა Stormhoek-ის ღვინო, უბრალოდ უნდა მიეწერა მისთვის და ერთ ბოთლს მიიღებდა. ამ აქციას ასამდე ბლოგერი გამოეხმაურა. შედეგად მათ მიიღეს ბოთლი ღვინო, რომელზეც მათი ბლოგის URL იყო მითითებული. მათ, რა თქმა უნდა, სპეციალურად არავინ სთხოვდა, რომ თავიანთ ბლოგებზე ეს ფაქტი გაეშუქებინათ. ასე აქცია უფრო ბუნებრივი გამოვიდა, საბოლოოდ კი კომპანიამ თავად შექმნა ბლოგი, სადაც განათავსა მრავალფეროვანი ინფორმაცია მის ღვინოებსა და მათი დამზადების ტექნოლოგიაზე.

ამ აქციამ Stormhoek-ს ძალიან დიდი წარმატება მოუტანა. დიდი ბრიტანეთის მაღაზიებში, სულ ერთი წლის შემდეგ, მათი ღვინოების გაყიდვების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. პროდუქტი გახდა ძალიან პოპულარული, ვინაიდან ტექნორატის მონაცემებით, ბლოგებზე კომპანიის სახელი 2100-ჯერ იქნა მოხსენიებული. ყველაზე მთავარი კი აქ ისაა, რომ კომპანიამ შეცვალა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ღვინის მარკეტინგის განხორციელება. მან შეცვალა წარმოდგენა, რომ ღვინის დაკავშირება აუცილებლად უნდა ხდებოდეს კლასიკურ მუსიკასა და ვენახის პეიზაჟთან და ამის სანაცვლოდ ის სოციალური ურთიერთობით მიღებულ სიამოვნებასთან გააიგივა. ამასთან, მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა სოციალური მედია, როგორც ინსტრუმენტი ბაზარზე დასამკვიდრებლად.

რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი მეთოდები ინოვაციურია და ეფექტური, რაც მათ გამოყენებას სასურველს ხდის ღვინის ბიზნესში. თუმცა ისინი განსაკუთრებით კარგად მუშაობს მანამ, სანამ მომხმარებელი პროდუქტის გემოს გაეცნობა. ამიტომ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებასთან ერთად, მთავარი პრიორიტეტი მაინც ღვინის ხარისხი და გემოა, რადგან ეტიკეტი და რეკლამა, ყველაზე წარმატებულიც კი, თავის ძალას მანამდე ინარჩუნებს, სანამ სასმელი ბოთლიდან მყიდველის ჭიქაში აღმოჩნდება.

ლიტერატურა:

1. www.bec.ge
2. www.maf.ge
3. www.comersant.ge

WINE MARKETING, ITS PROBLEMS AND PROSPECTS

David Bidzinashvili, Gori Teaching University, Full Professor

REZUME

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტექნიკური პროგრესი. ტურიზმი დრუბელივით ისრუტავს სიახლეებს და საზოგადოებაც მოითხოვს ტურისტული სერვისისაგან მომსახურების თანამედროვე ფორმებს. ელექტრონული ტექნიკის არნახული წარმატებების შედეგად დაინერგა ტურიზმში მომსახურების ახალი ფორმა – ელექტრონული ექსკურსიები. დასავლეთში უკვე დიდი წარმატებით ატარებენ ელექტრონულ ექსკურსიებს მუზეუმებსა და ისტორიულ ქალაქებში. საყოველთაოდ გავრცელებულია საქალაქო ელექტრონული ექსკურსიის შემდეგი ფორმები:

1. აუდიო საქალაქო ექსკურსიები;
2. აუდიო-ვიზუალური საქალაქო ექსკურსიები;
3. ვირტუალური საქალაქო ექსკურსიები ინტერნეტით.

აუდიო ექსკურსიები პირველად გამოიყენეს მუზეუმებისა და გამოფენების დამთვალეებლებმა. იგივე პრინციპით ფუნქციონირებს საქალაქო აუდიო ექსკურსიები. საყოველთაოდ მიღებულია ტერმინი აუდიო-გაიდი – Audio-Guide, რომლის პირველი სიტყვა აუდიო – ლათინურია და ნიშნავს – “მე ვუსმენ”, ხოლო მეორე ინგლისური სიტყვა „გაიდი“ ქართულ შესატყვისში გიდს აღნიშნავს. აუდიო-გაიდი ფართოდ გამოიყენება მუზეუმებში და ის იძლევა საშუალებას ერთიდაიგივე ტექსტის სხვადასხვა ენაზე თარგმნით მოემსახუროს უცხოელ ტურისტებს, რაც უდაოდ მათ კმაყოფილებას იწვევს. ტურისტული საინფორმაციო ცენტრები და სააგენტოები ყოდიან და ავრცელებენ აუდიო-გიდების ჩანაწერებს. აუდიო-გიდების უპირატესობა მის ინფორმაციულობაშია, ხოლო ნაკლი მდგომარეობს წინასწარ შედგენილი მარშრუტის შეუცვლელობაში. ტურისტმა ექსკურსია აუცილებლად უნდა დაიწყოს მოცემულ ადგილას და გაყვეს სპეციალურად შედგენილ მარშრუტს, რომელსაც ვერ გადაუხვევს და ვერ შეცვლის. მობილურმა ოპერატორებმა ტურისტულ ცენტრებში დიდი ხანია დანერგეს ე.წ. „Points of Interests“ (POI), რომელიც იძლევა ინფორმაციებს ცალკეულ ობიექტებზე, რითაც მომხმარებელს ეძლევა არჩევანის მეტი თავისუფლება ღირსშესანიშნაობების არჩევაში.

საქალაქო აუდიო-ვიზუალური ექსკურსიების უპირატესობა აშკარაა იმით, რომ ტურისტს ინფორმაციის მოსმენასთან ერთად შეუძლია გამოსახულების ეკრანზე ნახვა და დათვალეობა. ტურისტს შეუძლია მუდმივად ადევნოს თვალი ინფორმაციისა და ობიექტის თანხვედრას და გადაამოწმოს ინფორმაცია დისპლეიზე ასახული გამოსახულების მიხედვით. ტურისტს შეუძლია გამოიძახოს ნებისმიერი ღირსშესანიშნაობა, რომელიც დატანილია საქალაქო ექსკურსიის ნუსხაში, გადაამოწმოს მისი თანხვედრა სავარაუდო ობიექტთან და მიიღოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მას აინტერესებს. აუდიო-ვიზუალური ექსკურსიების უპირატესობა მდგომარეობს იმ შესაძლებლობების გამოყენებაში, რომელიც საშუალებას აძლევს ტურისტს დაინახოს ნებისმიერი ის გამოსახულება, რომელიც ღირსშესანიშნაობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო მისთვის მოცემულ მომენტში მიუწვდომელია. მაგალითად, ინტერიერი, სადაც შესვლა აკრძალულია, შენობის ადრინდელი სახე, ან ომის, ხანძრის, ან სხვა მოვლენების ამსახველი მდგომარეობა. განსაკუთრებით გაუმჯობესდა საქალაქო ელექტრონული ექსკურსიების ხარისხი მას შემდეგ, რაც მომსახურებაში შევიდა სანავიგაციო სისტემები. GPI-ნავიგაციის ჩართვა საექსკურსიო მომსახურებაში აუმჯობესებს და აიოლებს ტურისტების ორიენტაციას ქალაქის ტერიტორიაზე. ნავიგატორი უჩვენებს მარშრუტს, მანძილს და შესაბამისად ტურისტს შეუძლია დაგეგმოს საკუთარი ექსკურსია დროისა და მანძილის გათვალისწინებით.

უკეთესი და ხარისხიანი მულტიმედიური ვიზუალიზაციის მიზნით გაერთიანებულ იქნა ხმა, ტექსტი და ვიდეო გამოსახულება, რათა ხელსაწყო მომხმარებლისთვის უფრო ეფექტური ყოფილიყო. თანამგზავრიდან მიღებული გამოსახულება და ციფრული რუკები დაედო საფუძვლად კარტოგრაფიულ ილუსტრაციებს, რაც იყო ინოვაციური წარმოდგენა გარემოსა და სივრცის კონტექსტში ტურისტისათვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად. მობილური ხელსაწყოები ასრულებენ მომხმარებლის დაკვეთას და იძლევიან ტურისტისთვის საჭირო ინფორმაციას ადგილმდებარეობის დადგენისა და გარემოში ორიენტაციის მიზნით.

- ცალკეული გამოსახულებების და რუკის ინტეგრაცია, მათ შორის დიალოგის სისტემის სანავიგაციო ინსტრუმენტების ჩართვა მომხმარებლის ორიენტაციის გასაადვილებლად;

- მულტიმედიური ობიექტების (სურათები, ხმა, ტექსტი და ვიდეოგამოსახულება) ინტეგრაცია კომპლექსური გეო-ინფორმაციის მისაღებად, მაგ., ტური, სასტუმრო, ღირსშესანიშნაობა და ა.შ.

- ინდივიდუალური მონაცემების განსაზღვრა და მართვა, მაგ., დამატებითი ინფორმაციის მიწოდების განსაზღვრა ახალი მოგზაურისათვის, რომლის ინტერესის სფეროა ქვეითად მოგზაურობა. მისთვის ქვეითი ტურების შექმნა.

- სასარგებლო ფუნქციებისა და ინფორმაციის აუცილებლად არსებობა, მაგ., პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავშესაფრის ადვილად პოვნა, შტორმის შესახებ გაფრთხილება და სხვ.; კოორდინატების დადგენა GPS-ის მეშვეობით, საგანგებო შეკითხვების ფუნქციების არსებობა;

- საინფორმაციო მომსახურება, რომელიც მოგზაურს უიოლებს ტურის დაგეგმვას: სასტუმროები, მომსახურების ობიექტები, რესტორნები, ინფორმაცია ამინდის შესახებ და სხვ. [1 Alexander Almer, 2005]

დიდი ბრიტანეთის სტრატკლავის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი მარკ დანლოპი ხელმძღვანელობდა პროექტ Taaneb-ს, რომლის მიზანი იყო საქალაქო ელექტრონული გიდის

ჩამოყალიბება. ეს შესაძლებელი გახდა პერსონალური ციფრული მდივნის PDA-ს მეშვეობით. მისი კონცეფცია ეფუძნება საინფორმაციო სისტემის სამ ძირითად ტექნოლოგიას:

- რუკის დინამიური ინტერფეისის შექმნა;
- ინფორმაციის შინაარსის დინამიურობა;
- დაინტერესებულ პირთა თანამეგობრობის ჩამოყალიბება და მომხმარებელთა ფორუმი;

2005 წელს ქალაქ გლაზგოში EMAC-ის მესამე კონფერენციაზე განხილულ იქნა ელექტრონული გიდის გამოყენების შედეგები. კვლევა მიზნად ისახავდა ტურისტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მოზაურობისას აღმოცენებულ მათ შეკითხვებს, რომელზეც პასუხი ელექტრონულმა გიდმა გაცილებით უკეთესად და მოხერხებულად უნდა გასცეს ვიდრე ნაბეჭდმა გზამკვლევა. ზოგიერთი გზამკვლევი სპეციალურად იქნა კომპიუტერზე დამუშავებული და მომხმარებლისთვის palmtop/PDA-ს ფორმატით მიწოდებული (Brown and Chalmers, 2003). შედეგი ფრიად წარმატებული აღმოჩნდა, რადგან შეიქმნა ახალი ტიპის ელექტრონული გიდი, ბევრად მოხერხებული ვიდრე მისი ნაბეჭდი ანალოგი.

საქალაქო გიდის აღნიშნულ პროექტში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ შექმნილიყო ისეთი ინტიუტიური ინტერფეისი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ექსპურსიის ჩატარების მეთოდოლოგია, ტურისტთა მოთხოვნები და საინფორმაციო წყაროებით ადვილად სარგებლობის მობილური სისტემა. [2 Mark D Dunlop, 2004.]

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ფრანს ტელეკომმა (France Télécom), რომელმაც, მაქსიმალურად გამოიყენა რა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინსტრუმენტები და აღმოჩენები შემლო ტურისტული სამყაროსათვის შეეთავაზებინა სხვადასხვა ტიპის მოზაურობისათვის გამოსაყენებელი ელექტრონული გიდი. ამ მიზნის მისაღწევად ერთი იდეის გარშემო გაერთიანდნენ: *Mémoire de Voyage, Mobiguide, Connect One, Pilot Expo* და *Portail Tourisme*. მათმა ერთობლივმა გამომგონებლობამ უნარმა და გამოცდილებამ შექმნა ახალი სამოგზაურო პროდუქტი – ჯიბის კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, რომლის მსგავსი არ ყოფილა სამომხმარებლო ბაზარზე. [3 E-Tourisme: The new travel companions, 2003]

იტალიელმა მეცნიერებმა ლუკა ფორესტმა, ანდრეა ბოლონეზიმ და ფედერიკა ჯილიმ GPS-WiFi-ის მეშვეობით შექმნეს ელექტრონული გიდი არიანა, რომელიც გახდა ტურისტებისთვის მულტიმედიაური წარმატებული გიდი. არიანა – PDA არის ტურისტის ცნობარი და ემსახურება ქალაქის დათვალიერების მსურველ უცხოელ ტურისტებს. არიანას კონცეფციაა – წარმოაჩინოს ქალაქები, როგორც მუზეუმი ღია ცის ქვეშ და მიაწოდოს მათ შესახებ ტურისტებს კვლიეციური ინფორმაცია. ამასთანავე არიანას უპირველესი მიზანია, რომ ფასი იყოს ხელმისაწვდომი, ხოლო ინფორმაცია საიმედო. პლატფორმა არიანას მიზანს წარმოადგენს აგრეთვე დაამკვიდროს ინფორმაციის გაყიდვების სიცოცხლისუნარიანი საწარმო, რომელიც დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნებს და შესაბამისად ექნება მყარი შემოსავალი.

არიანას ახალი პლატფორმის მიღება შესაძლებელია GPS-ის და WiFi-ის მეშვეობით. პლატფორმა ტურისტების ინდივიდუალურ მოზაურობას უფრო კომფორტულს და საიმედოს ხდის. ტურისტები ელექტრონული გიდის მეშვეობით სწრაფად ერკვევიან უცნობ გარემოში, სწორად აღიქვამენ უცხო ადგილმდებარეობას. [4 Luca Foresti, 2007]

ელექტრონული ექსპურსიებს იყენებენ არა მხოლოდ ტურისტული ორგანიზაციები და მუზეუმები, არამედ ბიზნეს ცენტრები და ქალაქის მუნიციპალიტეტები. ამის შესანიშნავი მაგალითია ოტავა. კანადის დედაქალაქის ცნობილმა უბანმა დასავლეთ ველინგტონმა, რომელიც განთქმულია თავისი სავაჭრო კვარტლებით და ბიზნეს-ცენტრით. აქ მომხმარებელს 2011 წლის 10 თებერვლიდან სთავაზობენ ახალ მობილურ დამატებას, რომელიც მათ ურჩევს, თუ როგორ გაატარონ თავისუფალი დრო. პროგრამა სთავაზობს მომხმარებელს გალერეების, მაღაზიების, მომსახურების სრულ ჩამონათვალს საკუთარი კომენტარებით, უზრუნველყოფს მათ რუკაზე ჩვენებას, იძლევა ბევრ სასარგებლო რჩევას და სასურველი ობიექტების შესახებ საკონტაქტო ინფორმაციას. პროექტი დააფინანსა ოტავის მუნიციპალიტეტმა და ოტავის ბიზნეს-გაერთიანებამ და მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ ვებ-გვერდიდან: www.apps4ottawa.ca. [5 Diane Sawchuk, 2011]

გრაცის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში მეცნიერებმა დაამუშავეს 2003 წლის კამერიან ჯიბის კომპიუტერზე სამგანზომილებიანი გამოსახულების ჩვენების სისტემა. ეს იაფი, ადვილად მოსახმარი და უნიკალური პლატფორმა აძლევს მუზეუმის სხვადასხვაენოვან დამთვალიერებელს დამოუკიდებლად მუზეუმის ნახვის შესაძლებლობას. არცთუისე ძვირადღირებული ჯიბის კომპიუტერი - PDA გამოყენებულ იქნა მუზეუმში, როგორც დამთვალიერებლის მიერ დიალოგის მეშვეობით ელექტრონულ გიდად გამოყენების საშუალება. ამ იდეის განხორციელებას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა და ამისთვის

ბევრი განსხვავებული მიზეზიც არსებობდა. ფიქრობდნენ, რომ იაფიანი PDA ვერ გადაწყვეტდა რთულ ტექნიკურ ამოცანებს. [6 Dieter Schmalstieg, 2005]

როგორც ელექტრონული ექსპურსიების ზემოაღნიშნული მიმოხილვა გვიჩვენებს, ყველაზე დიდი მიღწევები ელექტრონულ ექსპურსიებში მოპოვებული აქვს ელექტრონულ საქალაქო ექსპურსიებს. განვიხილოთ საქალაქო ელექტრონული ექსპურსიები ტექნიკური საშუალებების მიხედვით გერმანელი ოპერატორების მაგალითზე:

1. ელექტრონული ექსპურსიები მობილური ტელეფონით და სპეციალიზირებული ოპერატორები

საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ელექტრონულ ექსპურსიებს სხვადასხვა საშუალებებით ახორციელებენ. ერთერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება ელექტრონული ექსპურსიების ჩატარებისა არის მობილური ტელეფონი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ითვლება ბოლო დროის ყველაზე პოპულარულ აღმოჩენად. მობილური კავშირის დანერგვამ მთლიანად შეცვალა სამყარო და ადამიანებს შორის სატელეფონო კავშირის დამყარების სისტემა. მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჩართულია მობილურ კავშირში და შესაბამისად სარგებლობს მობილური ტელეფონით. ამდენად ადამიანთა უმრავლესობას გააჩნია მობილური ტელეფონით სარგებლობის უნარ-ჩვევები და მისთვის ტურისტული მიზნებით მობილური ტელეფონის გამოყენება ფრიად აიოლებს არჩევანის გაკეთებას, თუ ტექნიკური საშუალებით უნდა ისარგებლოს მოგზაურმა ტურისტული ინფორმაციის მისაღებად. ნებისმიერ ტურისტს ისედაც მიაქვს სამოგზაუროდ მობილური ტელეფონი და თუ მას მოგზაურობისას იგი ინფორმაციის წყაროდ და ექსპურსიის გზამკვლევის საშუალებად გამოიყენებს, ეს უკვე საუკეთესო გადაწყვეტილებაა არჩევანის მისაღებად.

ელექტრონული საქალაქო ექსპურსიების მიმწოდებელი “tomis GmbH & Co” 2006 წლიდან მუშაობს ტურისტულ ბაზარზე და მომხმარებელს აწვდის ექსპურსიებს – მობილურ საინფორმაციო სერვისს მობილური ტელეფონების მეშვეობით. იგი ამუშავებს ინფორმაციას ადგილმდებარეობის მიხედვით, ხოლო მისი ძირითადი პროდუქცია მობილური ტელეფონის აუდიო-გზამკვლევა, რომელსაც გააჩნია მკვეთრად ჩამოყალიბებული მახასიათებლები. მაგ.: იგი არ იყენებს მუსიკას, ან მუსიკალურ გაფორმებას, მისი ინფორმაცია ღირსშესანიშნაობის შესახებ არ გრძელდება სამ წუთზე მეტს, იგი იძლევა ძალიან კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც ადვილად აღსაქმელი და უტყუარია. [7 www.tomis.mbi]

მეორე ოპერატორი, რომელიც ასევე წარმატებით ახორციელებს ელექტრონულ ექსპურსიებს მობილური ტელეფონის მეშვეობით, არის - Casa Digital, რომელიც საკუთარ ინფორმაციას ავრცელებს მობილური ტელეფონის, iPhone-ს, Smartphone-ს, mp3-Player-ის მეშვეობით. Casa Digital-ის ე.წ. „Handytour“ არის კარგად აწყობილი სისტემა. ძეგლთა დაცვის კომიტეტთან შეთანხმებით ცალკეული ღირსშესანიშნაობის აღწერას თან ახლავს იმ ოპერატორების ტელეფონის ნომრები, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მობილური ტელეფონის მეშვეობით. შესაძლებელია ინფორმაციის წუთობრივად შექმნა, ან მთელი დღის განმავლობაში 10 ევროდ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება. ასეთი მომსახურება წარმატებით სარგებლობს ყველა დიდ ქალაქში და ცნობილ კულტურულ ცენტრებში. [8 www.casa-digital.de]

2. ელექტრონული ექსპურსიები PDA-ს მეშვეობით და სპეციალიზირებული ოპერატორები

ელექტრონული ექსპურსიებისათვის განსაკუთრებული ტექნიკური საშუალებაა პერსონალური ციფრული თანაშემწე – *Personal Digital Assistant (PDA)*, რომელსაც ასევე ელექტრონულ მდივანს, ან ჯიბის პერსონალურ კომპიუტერსაც – (Pocket PC) უწოდებენ. მისი უპირატესობებია: პატარა ზომა (იგი თავისუფლად ეტევა პიჯაკის ჯიბეში, ან ქალის ჩანთაში); მობილურ ტელეფონზე გაცილებით დიდი და სენსორული ეკრანი, რომელიც აადვილებს მოხმარებას და შესაბამისად მომსახურების ხარისხს; ეს აპარატი ასრულებს ორგანიზერის, ანუ მდივნის ფუნქციას; მას აქვს საკმაოდ დიდი მეხსიერება და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა (მაგ., ჩატვირთული პროგრამები, კომპაქტდისკის მომსახურება); მას, როგორც ელექტრონულ გიდს გააჩნია არა მხოლოდ მომხმარებლის ენა და აუდიო მონაცემები, არამედ გამოსახულების მაღალეფექტიანად მიღების საშუალებები. თუმცა ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში მისი გაქირავება თითქმის არ ხდება, რადგან იგი ძვირადღირებული ტექნიკაა, ამიტომ მისი დიდი რაოდენობით შექმნა არ არის ადვილი, შესაბამისად გაქირავება დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან ტექნიკის დაკარგვის და გამოყენების სირთულის გამო. დღევანდელი მონაცემებით ამ ტიპის აპარატებს შორის ყველაზე პოპულარულია „iPod“ Apple-საგან. იგი ნამდვილი ლიდერია ელექტრონულ ექსპურსიებშიც. თანაბრად ძლიერია სამუზეუმო და საქალაქო ექსპურსიებშიც.

სპეციალიზირებული ტურისტული ფირმა iGuide ქმნის, ავითარებს, ყიდის აკუსტიკურ და ვიზუალურ ელექტრონულ გზამკვლევებს მუზეუმების, გამოფენების და ქალაქებისათვის, აგრეთვე ტურიზმის ინდუსტრიისა და საინფორმაციო ცენტრებისათვის. ფირმის მასალა ორიენტირებულია MP3 და PDA-ს მომხმარებლებისათვის. ფირმას საშუალება აქვს დამატებით მიაწოდოს მომხმარებელს პროდუქტების ციფრული მომსახურება კომპაქტდისკებზე და ინტერნეტიდან ჩამოსატვირთავად.

ფირმის მიერ დაცულია ტექსტების შემდგენელთა საავტორო უფლებები. ფირმის ოთხი თანამშრომელი მუშაობს ტექსტების შინაარსზე და ქმნის საექსკურსიო მასალას. შინაარსობრივად გამართული და შემოწმებული მასალა გადაეცემა ჩამწერ ჯგუფს, სადაც მეტყველების მაღალი კულტურის მქონე სპეციალისტები სხვადასხვა ენებზე აუდიო დისკებზე წერენ საექსკურსიო მასალას. თავდაპირველი მასალის შედგენა ხდება გერმანულ ენაზე, ხოლო შემდეგ მას საჭიროებისამებრ თარგმნიან ინგლისურ, ან სხვა ენებზე. მაღალი ხარისხის მისაღწევად ჩაწერა ხდება სპეციალურ ჩამწერ სტუდიაში. [9 www.de.iguide.de]

ნამდვილი ლიდერი საქალაქო ელექტრონული ექსკურსიების მომზადებისა და გაყიდვების საქმეში არის სპეციალიზირებული კომპანია: itour, რომელიც ევროპის 66 ისტორიულ ქალაქში აწყობს ელექტრონულ საქალაქო ექსკურსიებს.

მომხმარებელს შეუძლია itour-ის ელექტრონული გიდი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში, ან სასტუმროში აიღოს და საკუთარ მინიკომპიუტერში ჩატვირთოს და დამოუკიდებლად შეუდგეს ქალაქის დათვალიერებას. ტექნიკურად მისი გამოყენება ბავშვსაც კი შეუძლია, იმდენად მარტივია იგი გამოსაყენებლად. [10 www.hearwego.de]

3. ელექტრონული ექსკურსიები MP3/Discam-ის მეშვეობით და სპეციალიზირებული ოპერატორები

გამომცემლობა Megaeins-ს გააჩნია აუდიო წიგნები, აუდიო თამაშები და აუდიო საექსკურსიო ფირმა [HEAR WE GO](http://www.hearwego.de), რომელიც ტურისტებს სთავაზობს აუდიოტურებს MP3 Player-ისა და Discam-ის მეშვეობით. ფირმას გააჩნია აუდიოექსკურსიები მთელი ევროპის მასშტაბით. [HEAR WE GO](http://www.hearwego.de)-მ სპეციალურად შეიმუშავა “სტუმრის ვირტუალური სახელმძღვანელო”. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ეს გამოგონება მუზეუმებში, სადაც დამთვალიერებლები ჩაწერილი ინფორმაციის მიხედვით ადვილად გადაადგილდებიან საგამოფენო სივრცეში და მარტივად პოულობენ ექსპონატებს. მეორე ნაბიჯი აუდიოექსკურსიების განვითარებისა [HEAR WE GO](http://www.hearwego.de)-თვის იყო საქალაქო ექსკურსიების მომზადება და ჩატარება: ბერლინი, ჰამბურგი, ბონი, მიუნხენი – უკვე სარგებლობენ ამ ფირმის მომსახურებით. საინფორმაციო ცენტრებში ტურისტებს შეუძლიათ შეიძინონ კომპაქტდისკები Discam-ისთვის მათთვის საინტერესო ქალაქის დასათვალიერებლად. ერთი კომპაქტდისკის ღირებულებაა 14,80 ევრო, რაც სრულიად მისაღები ფასია ტურისტებისათვის. პოპულარულია ექსკურსიები ღია ცის ქვეშ ე.წ. „Live on location“, რომელიც ფირმა Audiowalk-მა მოამზადა სპეციალურად Discam-თვის. [11 www.hearwego.de]

ამრიგად, ტურისტული ინდუსტრია მომხმარებელს დიდი წარმატებით სთავაზობს მომსახურების ინოვაციურ ფორმას – ელექტრონულ ექსკურსიებს, რომელიც XXI საუკუნის პირმოა და აუცილებელია, რომ ტექნიკის სიახლეების საერთო ფერხულში საქართველოც ჩაებას. ამ მიმართებით აღსანიშნავია მხოლოდ რამდენიმე ვიზუალური ექსკურსია ინტერნეტით და არასამთავრობო ორგანიზაცია – ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრის საქმიანობა, რომელსაც ვებ-გვერდზე გააჩნია ინტერაქტიული რუკა, რაც მნიშვნელოვნად უადვილებს ტურისტს საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობას და ტურის ინდივიდუალურად დაგეგმვას. [12 www.travelgis.ge]

საქართველოს ტურისტულმა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით დაკავებულმა ფირმებმა უპრიანია დროულად დაიწყონ მუშაობა ახალი ფორმის მომსახურების დასაწერად.

ლიტერატურა:

1. Alexander Almer, Patrick Morris Luley, Thomas Schnabel, Alexander K Nischelwitzer: A Mobile Solution for Location Based Tourism Information in Rural Areas. 2005. (www.ifitt.org/admin/public/uploads/almerfinal.pdf);
2. Mark D Dunlop, Piotr Ptasiński, Alison Morrison, Stephen McCallum, Chris Risbey, Fraser Stewart: Design and development of Taeneb City Guide - From Paper Maps and Guidebooks to Electronic Guides. 2004. (www.citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download);
3. E-Tourisme: The new travel companions. France Télécom R&D. 2003. (www.technology, France Télécom is helping to develop various travel and discovery);
4. Luca Foresti, Andrea Bolognesi, and Federica Gilli: Arianna: a GPS-WiFi enabled multimedia guide for tourists visiting art cities. 2007. (www.mobileguide06.di.unito.it/pdf);
5. Diane Sawchuk. Wellington app provides electronic tour guide. 2011. (www.attibo.com);

6. Dieter Schmalstieg, Daniel Wagner. A HANDHELD AUGMENTED REALITY MUSEUM GUIDE. IADIS International Conference Mobile Learning 2005;
7. www.tomis.mbi
8. www.casa-digital.de
9. www.de.iguide.de
10. www.itour.de
11. www.hearwego.de
12. www.travelgis.ge

DEVELOPMENT OF ELECTRONIC EXCURSIONS IN THE MODERN TOURISM

Niko Kvaratskhelia, Tbilisi Tourism Academy, Professor

RESUME

Technical progress considerably influences development of the tourism industry. The tourism industry flexibly reacts to process and introduces new forms of services. Community demands contemporary service forms from touristic service. The new form of tourism service was implemented due to successful electronic technology. The most popular and widespread forms of electronic excursions are: 1. Audio city excursions; 2. Audio-visual and 3. Virtual city excursions through Internet. Electronic excursions are successfully arranged in museums and historical cities in western countries. Scientists occupied in Information Technologies (IT) contribute into development of electronic excursions. The article deals with their projects: Taeneb, Ariana, France Télécom and Wellington approximation of Ottawa municipality.

The author discusses city electronic excursions according to technical means on the example of German operators: 1. Electronic excursions by a mobile phone and their operators: “tomis GmbH & Co” and Casa Digital; 2. Electronic excursions by means of PDA and specialized operators: iguide; itour. 3. Electronic excursions by means of MP3/Discam and their specialized operators: Megaeins; Audiowalk; [HEAR WE GO](#). In this respect only some virtual excursions are worth mentioning in Georgia with Internet, tourists can use websites and an interactive map of NGO “Geoinformation” which helps travellers to plan individual tours in Georgia.

FOR DEVELOPING OF DECISION MAKING IN BUSINESS AND ECONOMICS

Ruizan Mekvabidze, Gori Teaching University, Acad. Dr.

E-mail: gsu@grt.ge

Donald Ridley, University of East London, Principal Lecturer in Organisational Psychology

E-mail: d.ridley@uel.ac.uk

Abstract

Present research is based on finding out different mood regulation strategies. The essence of management is making decisions. As there are different managerial styles, there are different decision making styles, too. Decision making involves uncertainty and risk, qualitative and quantitative analyses and decision making practice follow the some questions, problems, responsibilities for decisions and developing action plans. Decision makers have to improve the chances asking the right questions by probing objectives, goals, interests, risks and aspirations and to consider very carefully the consequences of each alternative. In this paper are considered the practice actions :

- oriented decision makers tend to focus on solutions without considering whether they are working on the right problem;
- working out of the main parts of decision making curricula in practice for business and economics.

Keywords: management, decision making, qualitative and quantitative analyses, business, economics, conceptual competencies, risk, knowledge, strategy, curricula of decision making

Introduction

What is Decision-making technology in practice?

Explain your decision to those involved and affected, and follow up to ensure proper and effective implementation. Some decisions are a simple matter of whether to make a change or not, such as moving, taking a new job, or buying something, selling something, replacing something, etc. Other decisions involve number of options, and are concerned more with how to do something, involving a number of choices, to identify and develop options for decision-making and problem-solving. Kurt Lewin (1890-1947) (<http://www.muskingum.edu/~psych/psycweb/history/lewin.htm>).

"The creation of an empirically verifiable theory, Lewin knew the essence of science; research, therefore, had to be guided by the need to develop an integrated concept of the processes of group life" [2](Marrow, 1969, p.183).

Good decision-making requires a mixture of skills: creative development and identification of options, clarity of judgment, firmness of decision, and effective implementation.

Problem solving and decision-making are important skills for business and life. Problem-solving often involves decision-making, and decision-making is especially important for management and leadership. There are processes and techniques to improve decision-making and the quality of decisions. Decision-making is more natural to certain personalities, so these people should focus more on improving the quality of their decisions. People that are less natural decision-makers are often able to make quality assessments, but then need to be more decisive in acting upon the assessments made. Problem-solving and decision-making are closely linked, and each requires creativity in identifying and developing options, for which the brainstorming technique is particularly useful. Also the free SWOT analysis template and examples, and PEST analysis template, which help decision-making and problem-solving. SWOT analysis helps assess the strength of a company, a business proposition or idea; PEST analysis helps to assess the potential and suitability of a market. Good decision-making requires a mixture of skills: creative development and identification of options, clarity of judgment, firmness of decision, and effective implementation. For group problem-solving and decision-making, or when a consensus is required, workshops help, within which it is possible incorporate these tools and process as appropriate. There are some useful methods for effective decision-making and problem-solving: First a simple step-by-step process for effective decision-making and problem-solving.

The various authors [3](**Will Allen and the others, 2003**), [4](János Fülöp, 2004) consider the various steps in decision-making process. We want to consider the practical usage of DM which must include the next complex of the steps for the final decision in general:

1. Define and clarify the issue;
2. Determine requirements;
3. Establish goals;
4. Identify alternatives;
5. Define criteria;
6. Select a decision making tool;
7. Gather all the facts and understand their causes;
8. Evaluate alternatives against criteria;
9. Think about or brainstorm possible options and solutions;
10. Validate solutions against problem statement;
11. Consider and compare each option using **decision making methods**
12. Select the best option.

The context of decision-making is the dynamics of the Knowledge Economy and the Network Society. The subject mediates analytical and conceptual competencies to interpret the dynamics and to perform plausible decision-making management. Typical topics are: values studies; decision theory; organizational theory; risk and risk management; strategy conceptualization, mapping and modeling; decision analysis organizational sense-making; scenario design. On the other hand it is not a merely theoretical and philosophical programme either. Thinking in itself has no value. Thinking ought to lead to action. The programme, therefore, leads students to develop the skills required to apply advanced analysis, constructive planning and strategy formulation [3](Dr Will Allen and the others, 2003)

The organic understanding of decision-making emerged in the 1980's and was reinforced in the 1990's in conjunction with two significant developments. The first one was the emergence of Knowledge Management, signaling the advent of the era of the knowledge economy. The second was the revolution brought about by popularized computing via the PC, the internet, the web, and mobile technologies and then - information systems. The fact is that in a knowledge intensive context decision-crafting is integral to and distributed over all dimensions of the organization or society [5] [/http://lasa.epfl.ch/~noris/Huber.pdf](http://lasa.epfl.ch/~noris/Huber.pdf)

The dimension is quite different but totally fundamental. No matter how many tools are employed in decision-making processes, the outcomes are never decided by the tools. All decisions flow from interpretations made on the basis of fundamental premises, most of whom are never articulated. In fact most people will be hard pressed to formulate their own premises. Yet they are real and play decisive roles. This is what we call 'values'. Computing tools of practitioners must be able to give an answer within seconds or minutes. Popular methods like dynamic programming, Monte Carlo and projected successive over-relaxation (PSOR) techniques [6] (M. D. Koulisianis' and T. S. Papatheodorou, 2003) are rather slow. For more than one underlying security the only method is Monte Carlo and the problem becomes itself a challenge in scientific computing [7](Research Experience for Undergraduates Successive Over Relaxation <http://math.fullerton.edu/mathews/n2003/SORmethodBib.html>).

. For European options linear algorithms exist. But for the American exercise style an optimization problem must be solved on top of the Black-Scholes partial differential equation (PDE) cast in the form of a linear complementary problem (LCP). Compared to European options this is a complication of algorithmic nature. A fast solution of LCP is therefore critical for the whole PDE solver and the complexity of the overall pricing. The general pivoting algorithms are too slow. Fortunately the discrimination leads to special class of Z-matrices. Other discrimination schemes lead to different types of matrices for which there exist often a corresponding algorithm .

Economic utility based method aims to help decision makers identify and prioritize the trade-offs between the business outcomes of a security decision, and as a result extracts a form of utility relevant for a decision maker and/or their organization. The decision maker is guided through multiple steps where he/she has to prioritise the outcomes, select appropriate measures that can be used as proxies for the outcomes, and finally express the targets for these measures and the preferences in meeting them. Results are the based system modeling and simulation and on the selected measures and business outcomes.

Problem Statement

Education is the main priority and precondition of economical, political, cultural development and of forming of civil society of the country. The most important factor of Georgia economic development is the appropriate using of the intellect recourses for the management and decision making in the political, social and economical processes and public organization sphere, also. First of all, it is in touch with the social areas, as: political science, public administration. In fact, the improving of the capacity in these areas is the basis of normal regulation of the country development. In this case, the educational process effective management, the development that courses and curricula which have more importance for the research, analysis and estimation of current situation in the region are the basis of practical results can be made by decision and re-evaluated the situation that have happened.

Consider in mind that Gori is the center of the conflicts and political processes that are happening around us, Gori Teaching University has to take on the main role in formation of civil society in the region, by preparing and delivering the need teaching courses for social, political, and economic research and analysis. All these activities will help the development for involving students, academics, IDPs in the country life and decision-making process.

Gori Teaching University presents an active actor in the region and its obligation is a supporting of the reduce of the problems in formation of civil society of the region.

On the other side, the analysis of the curricula of the universities in Georgia have shown that in their study plans is absent the module or the discipline on decision making which increases student's skills of thinking and logical decision-making . The first anxiety in this direction was made by us in 2007 [8](R. Mekvabidze,P. Mekvabidze 2007). It is fact that Georgian Universities and Gori University/ Gori Teaching University study plans were modified year by year but in these plans are absent the such motivations as are:

- a/ The teaching methodology should reflect the Qualification Framework in Theoretical and practical aspects;
- b/ The study plan of social sciences should include the completed module of decision making that is the need tool of the development of the strategic plans and forecasting of social policy activities. In addition, it is the need tool for practical skills required to develop creative solutions to solve unpredictable problems in a specialized field of work or study.

On the basis above **th main goals of the paper are:**

- Discussing on social research and social research design and included the study material in the style of question-answers with brief overview for the developing of decision making thinking.
- Developing a curricula that encourages the acquisition of knowledge, skills and competences in decision making in practice

Objectives:

a/ Developing an the module "Decision making policy Technology in practice for social policy analysis" with the complex of the need disciplines;

b/ Developing MA students' decision making research skills;

c/Developing MA students' skills for using of program software in decision making research and analysis.

Problem solving

The study does not set out to test pre-existing theory, for example through the use of hypothesis or experiments and will rely instead upon qualitative data, with rich, open interviews with many different organizational actors and at all organizational levels to discover and understand the individual and shared sense of meaning regarding the intervention. The study is also interested in the factors that affect the different interpretations gathered from informants, but the emphasis here is on understanding the individual and shared meaning rather than on explaining underlying mechanisms, or identifying causal effects This study is inductive, rather than deductive and theory building, rather than theory testing [9] (Sharon Drew Morgan,2009), [10](Gibbons M, &the others, 1994), [11] Jana Hančlová,CSc. Study Programme, 2008).

The curricula will focus on representations of optimizing individuals in a wide variety of "choice settings." The models can be used to analyze decision making in any setting in which individuals have reasonably clear goals (objective

functions) and confront reasonably clear constraints. The course will be as an introduction course and provides various approaches to research and focuses attendees with how to develop research questions. The primary focus of the course must be on using the scientific methods to conduct research and data analyses.

The purpose of this course is to introduce the students to research questions that are necessary for the next step "model building" that can be used to analyze decision making in any setting in which individuals have reasonably clear goals.

The objectives of this curricula consider to integrate at an elementary (part I) and intermediate level (part II) and an advanced level (part III) the research methods in empirical social research using program software. In the analysis of social problems, there often exists much prior information about the unknown parameters.

The research methods have four major using: describing social reality; testing hypotheses about theory; forecasting future social activity and decision making

Decision Making for using by students as a practical guide, it must be constrained as a module on the discuss on economic policy research and social policy research design and included the study material in the style of question-answer for the developing of decision making thinking. Understanding what people are thinking and feeling, as well as how they communicate, verbally and non-verbally are considered important and given the subjective nature of this paradigm, it is associated with qualitative and quantitative approaches to data gathering and data processing.

The module will be provided various approaches to research and focuses attendees with how to develop research questions, how to use the scientific methods to conduct research and data analyses for decision making and introduce the students to research questions that are necessary for the next step "model building" that can be used to analyze decision making in any setting in which individuals have reasonably clear goals.

The module has to integrate the research methods in empirical social research on three levels: An elementary level (part I), an intermediate level (part II) and an advanced level (part III) using program software for the analysis of social problems. The research methods have four major using: describing social reality, testing hypotheses, forecasting future social activity and decision making.

The module have to include three parts:

- a/ syllabi of the disciplines connected with the decision making module constraining;
- b/ practical guides for using in practice of these disciplines studying results in practice
- c/ practical guide for using of programme software for the solving of the tasks.

REFERENCES:

- [1] <http://www.muskingum.edu/~psych/psycweb/history/lewin.htm>.
- [2]. Marrow, Alfred J. The practical theorist: The life and work of Kurt Lewin. HM251 .M286 PUB ID: 101-433-241 (Last edited on 2002/02/27 US/Mountain) New York 1969 .
- [3] Dr Will Allen; Rosemary Du Plessis; Margaret Kilvington; Bevan Tipene-Matua; Dr Ann Winstanley. Working Paper produced by the Cross Case Study Learning Group For the Ministry of Research, Science and Technology, Involving the public in science and technology decision-making A review of national and international initiatives. September 2003
- [4] János Fülöp. Introduction to Decision Making Methods. Laboratory of Operations Research and Decision Systems, Computer and Automation Institute, Hungarian Academy of Sciences
- [5] <http://lasa.epfl.ch/~noris/Huber.pdf>
- [6] M. D. Koulisianis and T. S. Papatheodorou. Computer Engineering and Informatics Department, University of Patras, Patras, Greece. Available online 28 January 2003.
- [7] Research Experience for Undergraduates Successive Over Relaxation. <http://math.fullerton.edu/mathews/n2003/SORmethodBib.html>
- [8] R. Mekvabidze, P. Mekvabidze 2007 at the 4th International Conference of the International Black Sea University
- [9] Sharon Drew Morgen. Dirty Little Secrets: Why buyers can't buy and sellers can't sell and what you can do about it. 15 Oct 2009
- [10] Gibbons M, Limoges C, Nowotny S, Schwartzman S, Scott P, Trow M. The new production of knowledge. London: SAGE, 1994,
- [11] Jana Hančlová, CSc. Study Programme - Quantitative Methods in Economics. Managerial and Decision Making Methods in Economics

გლობალიზაცია და ოფშორული ბანკები

ციური დურული, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: Tsiuri_duruli@yahoo.com tsiotsio@gmail.com

ნინო ლიპარტელიანი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: nliparteliani69@gmail.com liparteliani69@rambler.ru

გლობალიზაციის პროცესი ეკონომიკურ-სამართლებრივი სექტორის ტირაჟირების მექანიზმია ახალ, გლობალიზებულ გეოგინანსურ და გეოეკონომიკური ურთიერთობების ჩარჩოებში. გლობალიზაციამ საზოგადოების, ეკონომიკის, სახელმწიფოს და მართლწესრიგის ტრადიციული მოდელი არჩევანის წინაშე დააყენა. მან ან უნდა დააგროვოს მსოფლიო სისტემის რეალური მრავალფეროვნება და მისცეს პოსტინდუსტრიალიზაციას ახალი იმპულსი, ან უნდა მოახდინოს ახალ კონცეპტუალურ ეკონომიკურ სამართლებრივ სექტორზე (მოდელზე) ტრანსფორმაცია, რომლის საფუძველია: სახელმწიფოსა და პიროვნების საერთო და კერძო ინტერესების ახალი სიმბიოზი, სახელმწიფოს ახალი როლი ზენაციონალურ სტრუქტურებთან ურთიერთობაში, კვლავწარმოებით გარემოში აქტიური, არასისტემური ფაქტორების მოთავსება, რომელიც გულისხმობს კვლავწარმოებით პროცესებში ეთნიკურ-ნაციონალური ფაქტორების ამოქმედებას, კანონმდებლობის ეკოლოგიზაციას, სახელმწიფო შემოსავლების როლის გაძლიერებას ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფაში, საგადასახადო დაბეგვრის, კულტურის, ჯანდაცვის, განათლების სიმბიოზს. (ამბროსი გრიშვილი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია, 2005 წ.)

ოფშორული საბანკო ცენტრების აღმოცენება იყო გასული საუკუნის 60-იანი წლების მთავარი მოულოდნელობა, მაშინ, როცა მკვეთრად გაიზარდა ევროსავალუტო ბაზრის მასშტაბები და მოცულობა. ბევრი პატარა ქვეყანა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოფშორული საბანკო ცენტრების შექმნით, რომლებიც ფლობენ რიგ უპირატესობებს უცხოური ბანკების მოსაზიდად, შეძლებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდას. ამავე დროს გაირკვა, რომ ლიცენზიების გაცემით, ბანკების ხარჯებითა და სხვა გადასახდელების ხარჯზე მიღებული შემოსავლებისა და სახსრების დაგროვებით ამ ქვეყნებს შეეძლოთ აქმაღლებინათ ცხოვრების დონე.

ოფშორული საბანკო ცენტრების რაოდენობის ზრდას ევროსავალუტო გარიგებებისათვის ხელი შეუწყო ამ ცენტრების რიგმა თვისებებმა. ჯერ ერთი, აქ ფინანსური სახსრების მოდინება და გადინება საერთოდ არ რეგულირდება. მეორეც, ფინანსურ გარიგებებს ჰქონდა წმინდა საერთაშორისო საფუძველი და საერთოდ არ ეხებოდნენ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ ან ფინანსურ პოლიტიკას. მესამეც, ეს ცენტრები ამ ქვეყნებს სთავაზობდნენ კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მაღალეფექტურ ადგილობრივ და საერთაშორისო საშუალებებს. მეოთხეც, ოფშორულ ცენტრებს ჰქონდათ მაღალგანვითარებული ქვეყნების ფინანსურ მეურნეობასთან და მათ ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა, მეხუთეც, ეს ცენტრები მუშაობდნენ შიდაპოლიტიკური სტაბილურობის პირობებში და უზრუნველყოფდნენ გარიგებათა საიდუმლოების დაცვას, მეექვსეც, ისინი მხარს უჭერდნენ პოლიტიკურ სტაბილურობას და ჰქონდათ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ცენტრალური ბანკები. უპირატესობათა რიცხვს განეკუთვნება ასევე ის ფაქტიც, რომ ოფშორულ საბანკო ცენტრებში ძირითადი ანდა ალტერნატიული ენა არის ინგლისური, ამ ცენტრების ადგილმდებარეობა გეოგრაფიული თვალსაზრისით მოხერხებული იყო მსოფლიოს სხვა ბაზრებისათვის და ბოლოს, ამ ცენტრებს ჰყავდათ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა.

არსებობს ოფშორული საფინანსო ბაზრების სამი ძირითადი ტიპი:

პირველთ აქვთ სპეციალური, ფორმალურად დამყარებული შეთანხმება ისეთ ავტორიტეტულ ფინანსურ ცენტრებთან, როგორცაა ტოკიო, ნიუ-იორკი და სინგაპური. ეს ბაზრები უზრუნველყოფენ კლიენტებს საერთაშორისო საბანკო მომსახურებით, რაც ოფშორულ ცენტრების დამახასიათებელი თავისებურებაა.

ოფშორული ბაზრების მეორე ტიპი, ეს არის ე.წ. ლონდონის ტიპი. ლონდონში, ჰონკონგში და სხვა ადგილებში ფინანსური გარიგებები თავისუფალია შეზღუდვებისაგან, იმისდა მიუხედავად, ხორციელდება ისინი ბაზრის რეზიდენტი ან არარეზიდენტი მონაწილეობის მიერ. ამ ადგილებში ოფშორული ბაზარი ეს არის უბრალოდ ოფშორული გარიგებები არარეზიდენტებს შორის, რადგანაც აქ შიდა და საერთაშორისო გარიგებები გაერთიანებულია.

ოფშორული ბაზრების მესამე ტიპია ე.წ. „საგადასახადო თავშესაფარი“. მათ ხშირად „საგადასახადო ოაზისებსაც“ უწოდებენ. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ბაგამის და კაიმანის კუნძულების საბანკო ბაზრები. ამ ბაზრებზე არარეზიდენტების მიერ განხორციელებული საფინანსო გარიგებები საერთოდ არ იბეგრება გადასახადებით.

ოფშორული საბანკო ცენტრები მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული საუკუნის 60-იან 80-იან წლებში ევროსავალუტო ბაზრის ზრდის ხარჯზე. ამ პროცესს ხელი შეუწყო ასევე რიგ ქვეყნებში ოფშორული საბანკო ერთეულების გახსნით მიღებულმა უპირატესობებმა და ზოგიერთი ქვეყნების მისწრაფებამ მიეზიდათ ოფშორული საბანკო ბიზნესი ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით. 60-იან წლებში ასეთი ოფშორული საბანკო ბაზრები აღმოცენდა სინგაპურში და ბაგამის კუნძულებზე. ამას მოჰყვა ანალოგიური პროცესების განვითარება უკვე 70-იან წლებში მანილას, ბახრეინსა და ნორმანდიის კუნძულებზე. მოგვიანებით, 80-იან წლებში, ოფშორული ბანკები აღმოცენდა ნიუ-იორკში, ტოკიოსა და ტაივანზე.

ლონდონი ითვლება მთავარ საერთაშორისო საფინანსო ცენტრად კარგად განვითარებული ფულადი, სავალუტო და გრძელვადიანი სასესხო კაპიტალთა ბაზრებით. ევროპის ევროვალუტის ოფშორული ბაზარი არის ყველაზე მსხვილი საფინანსო ცენტრი მსოფლიოში. ლონდონს აქვს ოფშორული საბანკო ცენტრის ყველა ნიშანი, მათ შორის სავალუტო ბაზრის მოქმედება, რომელიც აწვდის ფინანსურ სახსრებს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებს და ასრულებს შუამავლის როლს საერთაშორისო სესხების განხორციელების საქმეში. ლონდონის, როგორც ოფშორული ბაზრის სტატუსის გამყარებას ხელი შეუწყო ინგლისის ბანკის პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო ლონდონის საერთაშორისო როლის განმტკიცებისაკენ. მისმა ლიბერალურმა საერთაშორისო საბანკო პოლიტიკამ უცხოური ბანკებისა და საერთაშორისო მენაბრეებს ყურადღება მიიქცია, რაზედაც მეტყველებს აქტივების მოცულობა უცხოური ვალუტის სახით ინგლისის საბანკო სისტემაში. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს მთელი საბანკო აქტივების 54 % და სტერლინგის აქტივების 46 % ლონდონზე მოდიოდა. უცხოური ბანკები თავიანთი სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს ინახავენ ლონდონში უცხოურ ვალუტაში. იაპონური და ამერიკული ბანკებისათვის ეს წილები შესაბამისად შეადგენს 82 და 76%-ს. ეს უცხოური ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ოფშორულ ბაზრებზე დაფინანსებისა და დაკრედიტების საქმეში.

ინგლისის საბანკო სექტორის მთელი სახსრების 40 % არის უცხოური სესხები, რაც ყველა სტანდარტების მიხედვით მაღალი მაჩვენებელია. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იაპონური ბანკები. მათგან მიღებული სესხების ხვედრითი წილი შეადგენდა მთელი ბრიტანული აქტივების 40 %-ს. შედარებისათვის, სესხების მოცულობა რომელიც მიღებულია აშშ-ს ბანკებიდან, შეადგენდა იაპონიის ბანკებიდან მიღებული სესხების 1/3-ს. („ბიზნეს-ნიუსი“ - ყოველთვიური ჟურნალი საქმიანი ადამიანებისათვის #3, 2010)

ლუქსემბურგი თავისი ევროპული მეზობლებისაგან განსხვავდება მოსახლეობის რიცხოვნობით, იგი მცირე სახელმწიფოა. მიუხედავად ამისა იგი მსოფლიო საფინანსო არენაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. არის რა ერთ-ერთი მთავარი ოფშორული საბანკო ცენტრი, ამავდროულად ითვლება ევროკავშირის ერთ-ერთ დამაარსებლად. არის ევროობლიგაციების საკლირინგო სისტემის (CEDEL)-ის და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EJB)-ის ხელმძღვანელი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია წარმოება, ლუქსემბურგმა დაიწყო საფინანსო სფეროს განვითარება. უჭირავს რა მოხერხებული განლაგება (გეოგრაფიული სივრცე) საფრანგეთს, გერმანიასა და ბელგიას შორის და ფლობს განვითარებულ კომუნიკაციებს, მოსახლეობა ლაპარაკობს სხვადასხვა ენაზე, ლუქსემბურგმა მიიზიდა უცხოური ბანკების დიდი ნაწილი, საინვესტიციო ფონდები და კომპანიები. („ბიზნეს-ნიუსი“-ყოველთვიური ჟურნალი საქმიანი ადამიანებისათვის #4, 2010)

საფრანგეთი და შვეიცარია არიან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საბანკო ცენტრები ევროპაში. XXI ს. დასაწყისში საფრანგეთის ხვედრითი წილი საერთაშორისო დაკრედიტებაში შეადგენდა 6,6 %-ს და შვეიცარიისა კი – 6,3 %-ს. პარიზში განლაგებულია ფრანგული და უცხოური ბანკების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც თავიანთი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენილი აქვთ უცხოურ ვალუტაში და აქტიურად ახორციელებენ არარეზიდენტების დაკრედიტებას. საფრანგეთში არ არის ხელსაყრელი საგადასახადო გარემო უცხოური ბანკებისათვის.

შვეიცარია არის წამყვანი საერთაშორისო საბანკო ცენტრი ლიბერალური სავალუტო და საგადასახადო რეგულირებით. მისი ობლიგაციების ბაზარი არის ყველაზე მსხვილი მსოფლიოში (მეორე და მესამე ადგილზე არიან აშშ და იაპონია). აქციებისა და ოქროს შვეიცარული ბაზრები ასევე აქტიურები არიან. შვეიცარიის კაპიტალის ბაზარი არის ევროვალუტის მენაბრეებისათვის

მომგებიანი ალტერნატივა. შედარებით მნიშვნელოვანი საერთაშორისო საბანკო ოპერაცია შვეიცარიაში არის ნდობის ანგარიშები, რომლებიც დაცულია კანონით ანაზღაურების ანონიმურობის თვალსაზრისით ნომერირებული საბანკო ანგარიშების გამოყენების მეშვეობით. შვეიცარიის საერთაშორისო საბანკო სტატუსს ძირითადად ქმნის კომერციული ბანკების ე.წ. „დიდი სამეული“: შვეიცარიის საბანკო კორპორაცია, შვეიცარიის საკრედიტო ბანკი და შვეიცარიის საბანკო კავშირი, რომელიც წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო ფულადი სახსრების მოდინებისა და განთავსების, ბალანსის მართვის საქმეში. ამ პირობებში საერთაშორისო საპორტფელო ინვესტიციების მმართველებს ადვილად შეუძლიათ სახსრების ინვესტირება კაპიტალის ბაზარზე ანდა ევროვალუტის ბაზარზე მოახდინონ თავიანთი ლიკვიდური სახსრების დეპონირება. („ბიზნეს-ნიუსი“ - ყოველთვიური ჟურნალი საქმიანი ადამიანებისათვის #5, 2010)

ტოკიოს საფინანსო ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო საფინანსო მეურნეობაში. იაპონიის როლი მსოფლიო საფინანსო სისტემაში გაიზარდა 1970 წლიდან, როცა იენის კურსის სტაბილურობა ამაღლდა, სწრაფად იზრდებოდა ექსპორტი და უცხოური სავალუტო შემოსავლები, ძლიერი იყო კონკურენცია იაპონიის ბანკებს შორის, რათა დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები მსოფლიო საფინანსო სფეროში და ადგილი ჰქონოდა იაპონიის საფინანსო ბაზრის გაფართოვებას. XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში იაპონია წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო საბანკო სფეროში მისი მაღალ დონეზე განვითარებული ეკონომიკის, საგადასახდელი ბალანსის აქტიური სალდოს დიდი მოცულობის, საერთაშორისო საბანკო აქტივებს უზარმაზარი სიდიდითა და თავისი ბანკების მთელს მსოფლიოში გავრცელების მეშვეობით.

იაპონია ევროსავალუტო ბაზრის წევრია 1960 წლიდან. ამ პერიოდში მან აიღო მნიშვნელოვანი სესხები ევროვალუტაში შიდა ეკონომიკის დასაფინანსებლად და ასევე გარეეკონომიკური საქმიანობისათვის. იაპონური იენის ინტერნაციონალიზაციამ გასული საუკუნის 80-იან წლებში გააძლიერა იაპონიის როლი საერთაშორისო საფინანსო სფეროში. 90-იანი წლების ბოლოს იაპონური იენის ხვედრითი წილი საერთაშორისო დაკრედიტებაში შეადგენდა 14 %-ს და სიდიდით ჩამორჩებოდა მხოლოდ აშშ-ს დოლარს (45 %) და გერმანულ მარკას. (15 %). იაპონიის ოფშორული ბაზარი შეიქმნა 1986 წლის დეკემბერში. მისი მიზანი იყო იენის ინტერნაციონალიზაციის სტიმულირება, იაპონური საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ნიუ-იორკის საერთაშორისო საბანკო ზონების სისტემის მსგავსად, საშედავათო რეჟიმებით.

ოფშორული საფინანსო ცენტრების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნიუ-იორკის საერთაშორისო საბანკო ზონის სისტემას შეღავათიანი რეჟიმებით (JBF). ნიუ-იორკის საერთაშორისო საბანკო ზონის სისტემა ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ეს მოხდა იმის საპასუხოდ, რომ შემოდებული იქნა ამერიკული ბანკების საგარეო დაკრედიტების შეზღუდვა კაპიტალების მოძრაობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. ნიუ-იორკის ოფშორული ბანკების სისტემა ეს არის ოფშორული საბანკო ერთეულის აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშების ერთობლიობა. ფედერალური სარეზერვო სისტემა JBF-ის წინააღმდეგ გამოვიდა, ვინაიდან, მისი აზრით, იგი ხელს შეუშლიდა ქვეყანაში შიდა ფულადი პოლიტიკის გატარებას. (არსებობდა ფულადი სახსრების კაპიტალის წრებრუნვიდან გადინების საფრთხე ქვეყნის შიდა და ოფშორულ ბაზრებს შორის).

ლიტერატურა:

1. Offshoring: understanding the emerging global labor market. Diana Farrell, McKinsey Global Institute. Harvard Business Press, 2007 - Business & Economics
2. Offshoring of Business Processes by Banks from Switzerland. Alexander Beutler. GRIN Verlag, 2009 - Business & Economics
3. Offshoring in the global economy: microeconomic structure and macroeconomic implications. MIT Press, 2010 - Business & Economics.
4. Offshoring of American jobs: what response from U.S. economic policy? Jagdish N. Bhagwati, Alan S. Blinder, Benjamin M. Friedman. MIT Press, 2009 - Business & Economics
5. ამბროსი გრიშკაშვილი, „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია“ (დამხმარე სახელმძღვანელო) გვ.68, თბილისი, 2005;
6. „ბიზნეს-ნიუსი“- ყოველთვიური ჟურნალი საქმიანი ადამიანებისათვის, #3, #4, #5, 2010;
7. ყოველთვიური ჟურნალი „ბიზნესი“ - ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, #1, #2, #3 2009;
8. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, # 12, 2010;

ინტერნეტრესურსები:

www.nplg.gov.ge www.netgazeti.ge www.banksandfinance.ge www.open.ge

GLOBALIZATION AND OFFSHORING BANKS
Tsiuri Duruli, Gori Teaching University, Full Professor
Nino Liparteliani, Gori Teaching University, Full Professor
SUMMARY

Days when offshore countries issued bank licenses as crazy are long over. Check some easy options how to form deposit taking entities, offer investing services, FOREX, trading with metals, etc. (Swedish credit union, Panama offshore company with financial license, Swedish Trust Companies, New Zealand Financial Company, Offshore brokerage companies, Switzerland Trust Companies) Sweden trust companies. The Trust Company can manage any type of asset held in Trust for any number of clients (individuals or legal entities) resident anywhere in the world. Panamanian Financial Off-shore Company. A new offshore financial entity has been introduced to the market. It is designed for corporations registered in Panama which wish to obtain licenses to provide such services as payment processing, credit cards management, metals trading, leasing, factoring etc. BVI Close-End Off-shore Hedge Funds. A closed ended fund is unregulated and not covered by the Mutual Funds Act in BVI and are often used as Hedge Funds, Private Equity Investment Companies etc. Global Branded Debit Cards Solutions. We specialize in delivering reloadable debit card merchant programs customized for any type of business. Type of cards supported: Maestro, VISA, VISA electron, MasterCard. New Zealand Finance Company.

საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე

ლეილა მამულაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: lmamulashvili@gmail.com

ნინო ლიპარტელიანი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: liparteliani69@rambler.ru nliparteliani69@gmail.com

ადამიანს აქვს ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება – ჩაუწერიათ ამერიკის „დამფუძნებელ მამებს“ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში. ბედნიერებისკენ სწრაფვისათვის, პირველ რიგში, საჭიროა იცხოვრო, ხოლო, რომ იცხოვრო – ჯანმრთელი უნდა იყო. რაც უნდა პარადოქსულად ჩანდეს, ბედნიერებისკენ სწრაფვისთვის აუცილებელი ჯანმრთელობა მსოფლიოში ძვირადღირებული სიამოვნებაა. აფთიაქებში მედიკამენტები ძვირია და ფასების კლების ტენდენციაც ნაკლებად ჩანს. ქართულ სააფთიაქო ბაზარს თუ გადავხედავთ, აშკარად გამოიკვეთება შემდეგი სურათი: მას 3 გიგანტი ჰყავს „ავერსის“, „პე-ეს-პე“-ს და „ჯი-პი-სი“-ს სახით. „ავერს“-ს მთელი საქართველოს მასშტაბით 202 აფთიაქი (102 თბილისში, 100 რეგიონებში), 1 კლინიკა და 1 სამშობიარო სახლი აქვს. „პე-ეს-პე“-ს მფლობელობაშია 148 აფთიაქი (85 - თბილისში, 63 - რეგიონებში), ხოლო კომპანია „GPC“ 45 აფთიაქით (27 თბილისში, 18 რეგიონებში) შემოიფარგლება. არის კიდევ ერთი ნიუანსი; „ავერსის“ და „პე-ეს-პე“-ს ცენტრალური ოფისები (აღმამენებლის გამზირზე), ისევე როგორც აფთიაქები, ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ. სადაც იხსნება ერთი, გვერდზე იხსნება მეორეც და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, წამლებზე ფასებიც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თითქმის თანაბარია. რასაც ვერ ვიტყვით მესამე - GPC-ს აფთიაქებზე. აღნიშნულ ქსელში წამლები შედარებით ძვირია. ხოლო მედიკამენტებზე ფასდაკლებები იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ მომხმარებელი 20 ლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტებს შეიძენს.

2007 წელს გაუქმდა წამლების ეროვნული სააგენტო, რომელსაც თავის მხრივ ფარმაცევტული ბაზრის კონტროლი და რეგულაცია ევალებოდა. სააგენტოს გარკვეული ფუნქციები სხვა და სხვა სამედიცინო უწყებებზე განაწილდა. იმის გარკვევა, თუ როგორ კონტროლდება ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში, დღეს მეტ-ნაკლებად გართულებულია. ყოველივეს მედიკამენტების სწრაფი და პერმანენტული გაძვირება მოყვა. „ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის“ ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ქართული ფარმაცევტული კომპანიების მიერ პრეპარატებზე ფასნამატი 160, 250 და ზოგიერთ შემთხვევაში 700% შეადგენს. მაგალითისათვის: დუოვიტი დრაჟე (პოლიგოვიტამინი. მწარმოებელი KRKA სლოვენია) ფასნამატი- 244.4%. ციპრონოლი 500მგ (ანტიბიოტიკი. მწარმოებელი KRKA სლოვენია) ფასნამატი - 162%. პიკოვიტი, სიროფი 150 მლ (საბავშვი პოლივიტამინი. მწარმოებელი KRKA სლოვენია)

ფასნამატი - 199%. ვალოკორდინი, 50 მლ ფლაკონი (მწარმოებელი გერმანია) ფასნამატი - 208%. სოფრადექსი, 5 მლ წვეთები (მწარმოებელი ინდოეთი) ფასნამატი - 357%. პეო, 1გრ ფლაკონი, (ანტიბიოტიკი) შემოტანილია დაფასოებული ფლაკონები. "პე-ეს-პე"-ს ჯგუფის მწარმოებელმა GMP-იმ მხოლოდ შეფუთვა-მარკირება დაასრულა. შესაბამისად მიიღო მწარმოებლის სტატუსი და დაარიცხა 735%. სალბენი, 15 მგ, კრემი (მწარმოებელი ავერსი რაციონალი) შემოტანილია. ადგილზე დასრულდა მისი მარკირება. ფასნამატი - 894%. იმავე დასკვნაში ვკითხულობთ: "მთავარი კონკურენტები (პსპ და ავერსი) არ შედიან ერთმანეთთან ფასების ომში. მით უფრო ბაზრის სხვა პატარა სუბიექტები (GPC...) უპირობოდ აღიარებენ პსპ-ს და ავერსს ფასების ლიდერებად. თავად ეს კომპანიებიც, მაგ; პსპ თავს №1-ად და "ლიდერად" მოიხსენიებს, "ავერსი" კი "ლიდერთა შორის ლიდერად". ორივე კომპანია შეთანხმებულად, გამიზნულად და თანმიმდევრულად ისწრაფვის ბაზარზე ცნობილი ამერიკული და ევროპული ბრენდების (ზოგიერთი საპატენტო უფლებებით დაცული პროდუქციისაც კი) გამკვირებით, ხელმიუწვდომლობის იმიჯის შექმნით, მათი საბაზრო ადგილების (ბიოექვივალენტურობის დაუდასტურებლად) საკუთარი პროდუქციით ჩანაცვლებისაკენ."

2009 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევიდა "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" კანონში, რომლის ძირითადი მიზანი იყო ფარმაცევტული პრეპარატების შემოტანისა და გასაღების პროცედურის გამარტივება, რასაც ხელი უნდა შეეწყო ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისათვის. ამან საშუალება მისცა მცირე კომპანიებს, არ ყოფილიყვნენ ისეთ მსხვილ იმპორტიორებზე დამოკიდებულნი, რომლებსაც ექსკლუზიური ურთიერთობა ჰქონდათ მწარმოებლებთან. პარალელური იმპორტის დაშვებით, მსგავსი ექსკლუზივების არმქონე კომპანიებს საშუალება მიეცათ, მომწოდებლის გარეშე, პარალელურ რეჟიმში, განეხორციელებინათ მედიკამენტების იმპორტი. (კანონი, 2009 წ. (1)).

წერილი კომპანიები მომწოდებლებთან გასვლას, ქართული ფარმაცომპანიების მიერ მოპოვებული ექსკლუზიური უფლებების გამო, ვერ ახერხებდნენ და ამასთან დომინანტი კომპანიების მიერ შემოტანილი პროდუქციის გაყიდვის საშუალებაც არ ეძლეოდათ. ამის ნათელი მაგალითია, „ფარმადეპოს“ სააფთიაქო ქსელი, რომელსაც ქართული ფარმაცომპანიების მიერ იმპორტირებული მედიკამენტების გაყიდვის საშუალება არ ეძლევა.

დაშვებული პარალელური იმპორტის რეჟიმი დადებითი გამოდგა მცირე კომპანიებისთვის წამალზე ფასის დამოუკიდებლად, სხვა კომპანიებთან შეუთანხმებლად დაწესების თვალსაზრისით, რის საფუძველზეც ბაზარზე შემოსულმა ახალმა მოთამაშემ - „ფარმადეპო“-მ წამლების ფასი კიდევ უფრო გააიაფა. თუმცა, მეორე მხრივ, ზოგიერთს მიაჩნია, რომ აღნიშნულმა კანონმა, ბაზარზე ფალსიფიცირებული მედიკამენტის მოხვედრის შანსი უფრო მეტად გაზარდა.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ფარმაცევტული ბაზრის კვლევის შედეგებში მითითებულია ის საფრთხეები, რომელსაც აღნიშნული ცვლილება შეიცავს: „ახალი ცვლილებების თანახმად, ნებისმიერ იურიდიულ პირს შეუძლია ახალი პრეპარატის რეგისტრაცია მწარმოებელთან შეთანხმების გარეშე“. ეს ყოველად დაუშვებელია რამდენიმე მიზეზის გამო:

ა) თუ პრეპარატის მომწოდებელს არ ექნება მწარმოებლის თანხმობა ახალი პრეპარატის რეგისტრაციაზე, მაშინ ეს მწარმოებელი არ იქნება პრეპარატის ხარისხზე პასუხისმგებელი.

ბ) თუ ფარმაცევტულმა კომპანიამ რაიმე მიზეზის გამო "უკან გამოიძახა" ჯანმრთელობისთვის საშიში რომელიმე პრეპარატი ან პრეპარატის კონკრეტული პარტია, ეს გამოძახება საქართველოს არ შეეხება, რადგან მწარმოებელს არ ევოლინება, რომ პრეპარატი საქართველოში შემოვიდა,“ - წერია დასკვნაში. (კვლევის შედეგები. 2010 წ. (2))

ფასების ვარდნის ტენდენცია, 2009 წლიდან, ფარმაცევტულ ბაზარზე ახალი სააფთიაქო ქსელის- „ფარმადეპო“-ს გამოჩენის შემდეგ დაიწყო, რომელიც თავიდან სუპერმარკეტებში "სუპერფარმი"-ს სახელწოდებით და საავადმყოფოებში - „ეი-ბი-სი“-აფთიაქის სახელწოდებით არსებობდა. ბოლო 2 წელია, ის „ფარმადეპოს“ სახელითაა ცნობილი.

ფარმაცევტულ ბაზარზე ფასთა ომი დღესაც გრძელდება. უკვე რამდენიმე თვეა, „ავერსი“, „PSP“ და „GPC“ ფასდაკლებებში ერთმანეთს ეჯიბრება. ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“-ს ტელევიზიით გასული რეკლამა გვამცნობს, რომ მას კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებამ ფასდაკლების საშუალება მისცა.

პარალელური იმპორტის რეჟიმმა, მხოლოდ მცირე კომპანიებს მისცა მომწოდებლის გვერდის ავლით მედიკამენტების იმპორტის, და შესაბამისად, მსხვილი იმპორტიორების დამოუკიდებლად ფასების დაწესების საშუალება, რაც მსხვილი კომპანიებისთვის ფასების დაწევის მიზეზად ვერანაირად ვერ ჩაითვლება.(თაკო მათეიშვილი, 2010, (3))

ფარმაცევტული კომპანიების მიერ, ერთი და იმავე მომწოდებლისგან, სხვადასხვა გზებით შემოტანილი მედიკამენტების ფასებს შორის მკვეთრი სხვაობა სახეზეა. მაგალითად: ოქსიბრალი (მწარმოებელი: გლაქსოსმიტკლაინი, ეგვიპტე; 30მგ 20 კაფსულა) „ავერსსა“ და ჰსპ-ში ღირს 20,70 ლარი, ხოლო „ფარმადეპოში“ -13,60 ლარი. ფარმადეპოს აღნიშნული პრეპარატი შემოაქვს სომხეთიდან პარალელური იმპორტის რეჟიმში, რაც ნიშნავს, რომ კომპანია მასში იხდის დამატებითი ღირებულების გადასახადს (დღგ), რომელიც სომხეთში მედიკამენტების იმპორტზეა დაწესებული. ჩვენთან წამლის იმპორტზე აღნიშნული გადასახადი მოხსნილია, ანუ ქართველი მსხვილი იმპორტიორები აღნიშნული გადასახადისგან გათავისუფლებულნი არიან, თუმცა, მათ ქსელში წამალი მაინც ძვირია. შეგვიძლია მეორე მაგალითის მოყვანაც: პრეპარატი ალბუმინი (მწარმოებელი: ბაქსტერი, ავსტრია; 20% საინფუზიო ხსნარი 100მლ; 1 ფლაკონი) „ავერსის“ აფთიაქებში ღირს 210 ლარი, ხოლო 140 ლარი ღირს იმ 20 აფთიაქში, რომლებიც კონკურენტებს „ფარმადეპოს“ გვერდით აქვთ გახსნილი. „ფარმადეპო“-ში კი, იგივე პრეპარატის ფასი 139 ლარია.

ამასთან, ჩვენს მიერ მოკვლეული ინფორმაციებით, სატელევიზიო სარეკლამო რგოლებით გამოცხადებული ფასდაკლებები, ამ სამი დომინანტი კომპანიის მხოლოდ ნაწილში ვრცელდება. მაგალითად, „ავერსი“-ს, ჰსპ-ს და ჯი-პი-სი-ს ქსელებში პრეპარატი კლოპიდონი (მწარმოებელი: ავერსი-რაციონალი, საქართველო; 75მგ. 10 აბი) ზოგ აფთიაქში 29, ხოლო ზოგში 47 ლარი ღირს; ანალოგიურად კორსიზი (მწარმოებელი: ავერსი-რაციონალი, საქართველო; 100 აბი) 0,80 ან 1,05 ლარი ღირს; ენოზიტ H -5,48 ან 6,85 ლარი ღირს.

ფასდაკლებები, ძირითადად, „ფარმადეპო“-ს გვერდზე, კონკურენტების მიერ გახსნილ „ფარმაცენტრი“-ს აფთიაქებში ვრცელდება, ხოლო იმ რეგიონებში, სადაც ჯერ „ფარმადეპო“ არ შესულა, ფასები უწინდებურად მაღალია. მსხვილი კომპანიების მიერ, მხოლოდ „ფარმადეპო“-ს გვერდზე გახსნილ რამდენიმე აფთიაქში გამოცხადებული 20-30-50 %-იანი ფასდაკლებები, 100-დან 1000%-იანი ფასნამატების გათვალისწინებით, ამკარად მიზეზულია, რაც კომპანიებს კვლავ უზარმაზარ მოგებას უტოვებს, ხოლო მომხმარებლისთვის აღნიშნული დიდი ვერაფერი შეღავათია. ალაგ-ალაგ გაიფეხებული მედიკამენტები, კომპანიების მხრიდან ფასების დაწვეის მცდელობად და მომხმარებელზე ზრუნვის გამოხატულებად ვერანაირად ვერ ჩაითვლება, რადგან ქსელის სხვა აფთიაქებში ფასები მუდმივად მაღალია. (ბანკები და ფინანსები. 2011, (4)). „ინფორმაციის ნაკლებობა არ გვადლევს საშუალებას ვიმსჯელოთ, რეალურად რამდენად არის „გაბერილი“ წამლის ფასები. არადა, „გაბერილი“ რომ არის, ნათელია. მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების აფთიაქები იქ, სადაც ახლოს კონკურენტები საქმიანობენ, მათთან მიახლოებულ ან უფრო დაბალ ფასადაც ყოფიან წამლებს. სადაც კონკურენტების აფთიაქები არ არის, მაქსიმალურად მაღალ ფასებს აწესებენ. სამაგიეროდ, დაბალ ფასებს დიდი ზედმეტობით აკომპენსირებენ მაღალი ფასებით იმ ადგილებში, სადაც მათ აფთიაქებს კონკურენტი საერთოდ არ ჰყავთ ან კონკურენციის გავლენა მინიმუმზეულია“, - აცხადებს სადაზღვევო ასოციაციის ხელმძღვანელი, დევი ხეჩინაშვილი. მისივე თქმით, ერთი და იმავე კომპანიის სააფთიაქო ქსელში ერთსა და იმავე წამლებზე ფასებს შორის დიდი სხვაობა (ერთი წამლის ერთგან - 29 ლარად, მეორეგან კი 47 ლარად გაყიდვა) ნათლად ადასტურებს, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე ფასწარმოქმნის საკითხი აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა და ფარმაცევტული კომპანიების ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებას ემყარება. „ამ მხრივ, ნაკლებად სავარაუდოა ვითარების გამოსწორება, თუ ბაზარზე კონკურენციამ არ იმატა და ფარმაცევტული სექტორი გამჭვირვალე არ გახდა“, - აცხადებს ის.

თანამედროვე ეტაპზე წამლის ძირითადმა იმპორტიორმა კომპანიებმა - ავერსმა და ჰე-ეს-პემ - 500 დასახელების მედიკამენტი 25-40%-ით გააიაფეს. მართალია, დღეს დარეგისტრირებული 5000 წამლიდან 500-ზე ფასების კლებას მომხმარებლისთვის დიდი ეფექტი არ მოუტანია, მაგრამ, მეორეს მხრივ, ბაზარზე ახალი მოთამაშეებიც გამოჩნდნენ. ყოველივე ეს ექსპერტებს საშუალებას აძლევს ივარაუდონ, რომ ფასების კლების ტენდენცია ისევ გაგრძელდება და ყველა ტიპის წამალს მოიცავს.

ლიტერატურა:

1. კანონი "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", თბ., 2009 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 11
2. „ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაცია“, ქართული ფარმაცევტული ბაზრის კვლევის შედეგები, თბ., 1 მარტი 2010 წ., გვ.7
3. თაკო მათეიშვილი, ახალგაზრდა ფინანსისტებმა ფარმაცევტული ბაზრის კვლევა დაიწყეს, „ბანკები და ფინანსები“, 2010 წ. 31 მარტი-14 აპრილი, #11
4. ქართული ფარმაცევტული კომპანიები ევროპულ ფასებს გვირდებიან. ბანკები და ფინანსები. 2011. #12

ინტერნეტრესურსები:
www. globalunigroup.ge
www. lemill.net
www. holmes.ge

THE PHARMACEUTICAL MARKET PROBLEMS IN GEORGIA AT THE MODERN STAGE

Leila Mamulashvili, Gori Teaching University, Associate Professor

Nino Liparteliani, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

The analysis of the Georgian pharmaceutical market revealed problems which should be solved for the social wellbeing of the population. Medicines are expensive and there is no tendency of decreasing prices. The analysis of the Georgian chemistry market showed that: there are three giant chemistries “Aversi”, “PSP”, and “GPC”. Allowing small companies to import medicine by ignoring the provider caused low prices. The difference between the prices of the medicines provided in different ways by the pharmaceutical companies is clear.

Together with the Georgian pharmaceutical market problems, the work deals with its influence on the economy of the country and corresponding statistical data.

РОЛЬ УПРАВЛЕНИЯ ЗНАНИЯМИ В СОВРЕМЕННОЙ ЭКОНОМИКЕ

Гиули Гигუაშვილი, Ассоциированный профессор Горийского учебного Университета

E-mail: giuligi1@rambler.ru

В современном обществе основой богатства становятся знания. Именно они во многом определяют конкурентоспособность организаций, стран и регионов, выступают ключевым ресурсом развития. Экономика знаний стала главной характеристикой всех социально и экономически лидирующих стран. Возник новый, компьютерный технологический способ производства. Рабочая сила превратилась из преимущественно промышленной в информационную рабочую силу. Знание становится четвертым фактором производства, и его значимость становится приоритетнее, чем ресурсы, капитал, труд. Новая экономика - экономика знаний, где на профессии с преобладанием интеллектуального труда приходится основной прирост занятости: 85% - в США, 89% - в Великобритании, 90% - в Японии. [1]

Существенным становится процесс не только создания новых знаний, но и их передачи, тиражирования, трансформации и использования. В новых условиях начинают по новому действовать компании, государственные и общественные учреждения и организации, т. е. все участники процесса создания, трансформации и использования знаний.

Управление, Менеджмент знаниями (англ.- knowledge management) - систематические процессы, благодаря которым знания, необходимые для успеха организации, создаются, сохраняются, распределяются и применяются.[2] Это методология, направленная на повышение уровня конкурентоспособности и защищенности компании за счет использования полного набора инструментов защиты, управления и экономики нематериальных активов компании. [3] Цель менеджмента знаний — сохранение, воспроизводство, наращивание, организация использования знаний.

Современное средство общения Интернет позволяет приобщиться к знаниям всего современного человечества. Многие исследователи по-разному называют новую стадию развития общества. Известный американский философ Э. Тоффлер, например, называет ее эрой информации. Это эра знаний, она становится ключевым ресурсом развития, и глобальная конкуренция, основанная на создании наукоемких продуктов и услуг, возрастает. База знаний — это самый важный актив современной организации.[4] Ларри Прусак / Larry Prusak / - основатель Institute for Knowledge Management (IKM) - консорциума организаций, мирового лидера в исследованиях и развитии практик управления знаниями считает, «управлять знаниями невозможно, можно управлять лишь той средой, в которой создаются и используются знания».

То, что мы сегодня называем «Управлением знаниями», появилось на свет лет пятнадцать назад как новое направление в менеджменте. Поначалу КМ никак не было связано с информационными технологиями. Первоначальной целью было создание руководств и методик для оптимального использования

интеллектуального потенциала работников компаний. Знания были признаны экономической категорией, и спустя короткое время появились информационные технологии для работы с ними.

Стратегия роста, основанная на знаниях, не ограничивается инвестициями в человеческий капитал с целью повышения образования. Она нацелена на обеспечение открытости для инноваций и знаний в более широком смысле, и предусматривает инвестиции в элементы постоянного капитала, которые содержат знания, а также инвестиции в людей и институты, направленные на увеличение способности аккумулировать и использовать знания.

Патриарх современного менеджмента Питер Друкер /Peter Drucker/ в статье «Эпоха социальных трансформаций», выделяет два главных специфических свойства работника знаний. Первое заключается в том, что работник знаний от всех остальных участников трудового процесса отличается тем, что сам, причем безраздельно, владеет своими собственными «средствами производства»: неразрывно принадлежащими ему интеллектом, памятью, знаниями, инициативой, личным опытом, которое обычно называют «скрытым». Это создает владельцам предприятий немалые сложности. Они немало озабочены тем, как и каким образом отчуждать эти скрытые знания и превращать их в «явные», зафиксированные и перенесенные на те или иные типы носителей. Кроме того, возникает сложность с тем, что, уходя из компании, работник уносит с собой свои неотчужденные знания. Значит, следует еще привязывать работника к своему предприятию, чтобы избежать утечки мозгов, превращая, например, его в совладельца. Сделать скрытое знание явным - социальная функция КМ. Вторая особенность работника знаний, по мнению Друкера, заключается в том, что он, вне зависимости от квалификации, является винтиком некоторого производственного процесса, может эффективно работать только в составе коллектива. Работник знаний — вовсе не какой-то ученый-одиночка, уникальный творец или управляющий, это обычный соучастник общего корпоративного дела, продуктом которого являются знания. Отсюда следует очевидная необходимость в создании технологического обеспечения данной категории работников, подобного станкам и инструментам индустриальных работников. Эту функцию КМ можно назвать технологической. [5]

Интересные работы в области «интеллектуального капитала» принадлежат Томасу Стюарту, первоначально опубликованные в виде цикла статей в журнале Forbes, а затем переизданные отдельной книгой. Подход Стюарта и его единомышленников к КМ основывается на констатации того факта, что капитал практически любого современного предприятия в основном нематериален. В биржевой стоимости высокотехнологических компаний до 95% выпадает именно на эту виртуальную часть. Сегодня лишь только в добывающей промышленности и в тяжелом машиностроении стоимость основных фондов можно сравнить с величиной интеллектуального капитала. [6]

Знания проходят этапы трансформации: создание, хранение, передача, использование. *Создание* — это поиск, обобщение, фиксация, развитие, осмысливание, представление в новом виде знаний. *Сохранение* — это преобразование, кодировка, накопление и представление знаний на информационном носителе, внесение в информационные базы. *Передача знаний* — это процесс переноса знаний между информационными базами, техническими средствами, людьми. Реализуется передача знаний в виде технической операции, обучения персонала. Использование знаний предполагает их вовлечение в процесс выработки решений, дальнейшее наращивание.

Можно выделить две группы решений по обслуживанию базы знаний:

- стационарные решения;
- динамические решения.

Стационарные решения связаны с сохранением, наращиванием и обновлением базы знаний. Динамические решения ориентированы на управление потоками знаний. Здесь можно выделить навязывание знаний персоналу под конкретную ситуацию, возникающую у управленческого или инженерного работника; разведку знаний и их обработку для поддержки будущих решений;

Из организационных мероприятий, поддерживающих систему управления знаниями организации, выделяются:

- активизация внимания персонала к объекту знания;
- создание специфических программных средств;
- инвентаризация архивов знаний организации;
- создание банка экспертов — уникальных носителей знаний;
- построение электронных сетей внутри организации;
- обеспечение связи с общемировыми сетями и базами знаний;
- организация системы обучения персонала с целью обмена, наращивания и сохранения знаний;
- организация системы интеграционных работ в ходе текущей деятельности, как инструмента обучения, обмена и наращивания знаний.


Информационные технологии начинают играть ведущую роль в современном обществе, уровень развития которого в значительной мере определяется степенью использования средств обработки информации (компьютеров, вычислительной техники, ксероксов, телефонов, программного обеспечения), плотностью потока изобретений новых продуктов и новых технологий с помощью компьютерных программ.

Интеграция менеджмента знаний и технологий позволяет обнаружить определенные закономерности в развитии информационных технологий. Современные сферы применения компьютеров можно разделить на три уровня: *computation* — выполнение вычислений; *communication* — поддержка сети и всего, что с ней связано;

cognition — зарождающийся уровень, ориентированный на поддержку мыслительной, интеллектуальной деятельности. Область действия этого уровня — знания. В зародыше все эти уровни существовали давно, но для полноценного развития они должны были быть востребованы. Социальный же заказ на них появился совсем недавно. Кроме этого, необходима соответствующая аппаратная и программная база, сложившаяся лишь в последние годы.

В число основных технологий, поддерживающих КМ, входят:

- добыча данных и текстов (Data mining, Text Mining) — распознавание образов, выделение значимых закономерностей из данных, находящихся в хранилищах или входных или выходных потоках. Эти методы основываются на статистическом моделировании, нейронных сетях, генетических алгоритмах и др.;
- системы управления документооборотом (Document management) — хранение, архивирование, индексирование, разметка и публикация документов;
- средства для организации совместной работы (Collaboration) — сети intranet, технологии групповой работы, синхронные и асинхронные конференции; корпоративные порталы знаний;
- средства, поддерживающие принятие решений (Decision support) — экспертные системы, системы, поддерживающие дискуссионные группы и т.д.



Решения по управлению знаниями могут принимать несколько форм в зависимости от деловых проблем, которые они призваны решать. Сообщества практиков представляют собой онлайн-форум для обмена знаниями в случаях, когда иной вид сотрудничества затруднен в силу особенностей корпоративной культуры, структуры, географии или информационных систем.

Эффективные решения по управлению знаниями не только предоставляют доступ к информации через интернет, но и систематически накапливают знания и структурируют их таким образом, чтобы люди получали нужные данные в нужный момент и не отвлекались на информацию, которая приходит не вовремя, на устаревшие данные и на знания, которые им не нужны.

Эффективная система управления знаниями должна поддерживать естественные способы информационного обмена. Обмен знаниями является обязательным элементом КМ, потому что если знания остаются у своих владельцев (сотрудников), то мы никак не сможем управлять ими (сохранять, структурировать, кастомизировать и проводить другие операции, которые позволят использовать их эффективно для блага компании). Обмениваться своими знаниями члены сообщества (сотрудники компании) могут разными способами: традиционно (используя e-mail, директории, базы данных или файловые шкафы отделов), устно (на собраниях, во время обучающих программ, в специально созданных сообществах, за обедом и в «курилке», при общении с наставником, во время корпоративных мероприятий и т. д.), а также с активным использованием корпоративных технологических решений (баз данных, директорий, интранета компании и т. д.). [7]

Конечно, во многих случаях технологические решения (инструменты) играют важную роль для практического обеспечения КМ. При этом многие традиционно забывают, что роль организационных инструментов ничуть не меньше. «КМ — это организация управленческих действий на основе всех информационных ресурсов компании» (Дж. Каффри, Лотус Девелопмент). [8]

Сотрудникам каждый день приходится искать ответы на вопросы «Где? Кто? Как?» вместо того, чтобы ответить на них один раз. Как говорится, «либо вы управляете вашим днем, либо ваш день будет управлять вами» (Джим Рон). [9]

Многие считают, что в процессах КМ должны принимать участие только наиболее компетентные сотрудники (эксперты) компании и КМ-профессионалы. Мы думаем, что: каждый может принять правильное решение, располагая достаточной информацией. хороший руководитель способен принять решение, располагая недостаточной информацией, идеальный руководитель может принять решение, не зная абсолютно ничего.

Задача создания системы управления знаниями настолько масштабна, что попытка решить ее «за один присест» может оказаться неподъемной для компании. Иногда продуктивнее начать двигаться маленькими практическими шагами, наделив полномочиями наиболее воодушевившихся идей сотрудников, чем пытаться изначально выстроить всю систему на бумаге, стремясь учесть все возможные факторы, а затем, еще и взявшись комплексно внедрять этого гиганта. (Консультант консалтинговой компании ITeam Алена Симонова) [10]

«Совершенство складывается из мелочей», — сказал когда-то Микеланджело. Приспособьте КМ к вашим каждодневным потребностям, и рабочий процесс станет совершеннее! [11]

Главное, чтобы знания работали на нас, потому что, как сказал Питер Друкер, «сейчас только тот является менеджером, кто заставляет знания работать». [12]

ЛИТЕРАТУРА:

1. В. В. Глухов, С. Б. Коробко, Т. В. Маринина., Экономика знаний, СПб.: Питер, 2003. с.84
2. <http://www.trainings.ru/library/dictionary/knowledge/>
3. Chris Collison, Geoff Parcell Learning to Fly: Practical Knowledge Management from Leading and Learning Organizations. 2005., 332 с.
4. Тоффлер Э., Тоффлер Х., Революционное богатство, М., 2008 с.149
5. The Atlantic Monthly; November, 1994; P. Drucker, The Age of Social Transformation; Vo. 274, No. 5; pp. 53-80
6. Thomas A. Stewart, Intellectual Capital, Nicholas Brealey Publishing; 1998.
7. http://www.iteam.ru/publications/human/section_55/article_3094/
8. <http://www.mainjob.ru/publications/?print=5896>
9. <http://www.aphorismos.ru/management/>
10. http://www.iteam.ru/publications/human/section_55/
11. <http://voxfree.narod.ru/aphorism/art.html>
12. Друкер П. Задачи менеджмента в 21 веке. М.: Изд. дом «Вильямс», 2004. с 11.

THE ROLE OF KNOWLEDGE MANAGEMENT IN TODAY'S ECONOMY

Giuli Giguashvili, Gori Teaching University, Associate professor

RESUME

In today's economy, knowledge management becomes a crucial factor for socio-economic development. The article deals with features of modern economies, analyzes the nature of intellectual capital, the main strategy for efficient generation and use of knowledge.

Information technologies are beginning to play a leading role in modern society. Effective knowledge management system should support the natural ways of information exchange. With the growing importance of knowledge management - the life force of any business - enterprise managers need to know how to develop and implement, on this basis the most appropriate strategy to gain tangible benefits.

ტურისტული ბიზნესის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

მარინა მეტრეველი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის წამყვანი სპეციალისტი
E-mail: marinametreveli@yahoo.co.uk

XX საუკუნის II ნახევარში ტურიზმის მასშტაბების საგრძნობლად ზრდასა და, განსაკუთრებით, საერთაშორისო მასობრივი ტურიზმის პოპულარობის გამო კაცობრიობა სულ უფრო მეტად დაფიქრდა მსოფლიოში შექმნილ სავალალო ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელშიც ტურიზმმა საკუთარი „წვლილი“ უკვე შეიტანა. ამიტომ ტურიზმის განვითარების პროცესში აუცილებელია არამხოლოდ ეკონომიკური სარგებლის, არამედ მისი ეკოლოგიური და სოციალური შედეგების გაანგარიშებაც, რადგან დარგის განვითარების პროცესი მისი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინების გარეშე არასრულყოფილი იქნებოდა.

ტურიზმის განვითარების ეკოლოგიური შედეგები გლობალური მასშტაბით უნდა იქნეს განხილული. აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეკოლოგიური მიდგომები ტურიზმის დაგეგმვასა და მართვაში ლოკალური, დანიშნულების პუნქტის დონეზე არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. პირიქით, ტურიზმის განვითარების ფორმები, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივ დონეზე უნდა იყოს გააზრებული. თუმცა, ტურიზმი თავისი ბუნებით გლობალური მოვლენაა და მისი დაგეგმვის პროცესში ეკოლოგიურად მისაღები მიდგომები გლობალურად უნდა განხორციელდეს. [Matheson A., 1982]

დღეს მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს და თავისი კვალი არ დაუმჩნევია. ამიტომ, ადამიანის ზემოქმედების შედეგად ფიზიკური გარემოს

შეცვლა არ არის ახალი ამბავი. მთავარია, რამდენად სერიოზულია ამგვარი ზემოქმედება და რამდენად არასასურველი შედეგები შეიძლება გამოიღოს მან.

მსოფლიოს ეკოლოგიური პრობლემებიდან და კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე მეცნიერები ვარაუდობენ გლობალურ დათბობას. გლობალური დათბობა დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენისა და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესია. ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე ბოლო 100 წლის განმავლობაში 0.18° C-ით გაიზარდა. [www.unwto.org/sustainable/doc/climate2008.pdf]

ზემოაღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით, საზოგადოების გამოფხიზლება მხოლოდ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, როდესაც გამოიკვეთა პლანეტის დეგრადაციის სიმპტომები და აშკარა გახდა ეკოლოგიური კრიზისის პირველი ნიშნები. ბუნებრივი რესურსებისადმი, როგორც უფასო საჩუქრისადმი~ მიდგომამ სათანადო შედეგი გამოიღო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყოველწლიურად კლიმატური ცვლილებები ტურიზმის განვითარებასა და მართვაზეც აისახება. [Richard Sharpley, 2004]

ტურიზმის განვითარება ხშირად იწვევს რესურსების განუკითხავ ხარჯვასა და საბოლოო განადგურებას. ასეთი ვითარება, დანიშნულების პუნქტებში, მნახველთა სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობისა და ტურიზმის უკონტროლო, დაუგეგმავი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ფორმების განვითარების ერთობლივი ზემოქმედების შედეგია. შესაძლებელია, ტურიზმი არა მხოლოდ მსხვერპლად იქცეს, არამედ თავად იყოს გარემოს დაბინძურებისა და კლიმატური ცვლილებების მიზეზი.

გარემოზე ტურიზმის ეკოლოგიური ზემოქმედების ფაქტორებს წარმოადგენს:

- ტურიზმის განვითარების მასშტაბი და ზრდის ტემპი;
- გარემოს არამდგრადი და სენსიტიური (მგრძობიარე) ხასიათი;
- ტურიზმის განვითარების ადგილობრივ გარემოსთან შერწყმის მიზნობრიობა;
- ტურიზმის განვითარების პოლიტიკური კონტექსტი;
- ტურიზმის განვითარების სტიმულის სახეები და მნიშვნელობა, რომელსაც ეროვნული და რეგიონული მთავრობები დარგს ანიჭებენ;
- ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული დამოკიდებულება გარემოსადმი;
- დანიშნულების პუნქტში მიზიდული ტურისტების ტიპები და მათი ქცევითი მახასიათებლები;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომლობა ტურისტის ეკოლოგიური განათლებისადმი;
- ტურისტების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ დანიშნულების პუნქტით;
- გარემოს ფიზიკური მდგრადობა ტურისტული აქტივობების სხვადასხვა სახეებისადმი.

ზემოაღნიშნული ფაქტორების არსებობა არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ტურიზმი ახდენს ფიზიკურ გარემოზე უარყოფით გავლენას. სხვადასხვა დარგებს შორის, რომელთა განვითარებას შეუძლია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა არის ენერგეტიკაც.

დღეს თანამედროვე ენერგეტიკის ინტენსიური განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკის დონის ამაღლება – ადამიანის სრულფასოვანი ცხოვრების უზრუნველყოფა. თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია ენერგეტიკული გიგანტების – ჰიდროკვანძების, ზემდაღალი სიმძლავრის თბო და ატომური კომპლექსების მუშაობის მავნე ზეგავლენა ატმოსფეროზე.

ზოგადად, ენერგომწარმოებლები ძლიერ აბინძურებენ გარემოს ეკოსისტემებს და ბიოსფეროს. ენერგოზეგავლენა გარემოზე მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გადამუშავებიდან წარმოების ნარჩენების უტილიზაციამდე.

პლანეტაზე შექმნილი სიტუაცია ზოგადსისტემური მსოფლიო ეკოლოგიური კრიზისის ხასიათს იღებს. კაცობრიობას პლანეტისა და საკუთარი თავის გადასარჩენად ერთადერთი გამოსავალი რჩება – მეურნეობის თვისობრივად ახალ, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე გადასვლა.

ტურიზმში მდგრადი განვითარება და ინოვაციური პროცესები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული – ტურიზმში ინოვაციური პროექტების შემუშავება და განხორციელება ხელს უწყობს დარგის მდგრად განვითარებას, რადგან სწორედ ინოვაციებს შემოაქვთ ახალი იდეები, მომსახურება და პროდუქტი ტურისტულ ბაზარზე. ინოვაციები ტურიზმში უნდა განიხილებოდეს როგორც პერმანენტული, გლობალური და დინამიური პროცესი. ისინი არა მარტო გულისხმობენ ახალი მარკეტინგული სტრატეგიისადმი შეგუებითობას, რომლის გამოყენება იწვევს ტურიზმის დარგის სახეცვლილებას, არამედ თავად გარემო, რომელშიც ვითარდება ტურიზმის დარგი, ხელს უწყობს ახალი, ნოვატორული მომსახურების, პროდუქტისა და პროცესების შექმნას. ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა უფრო მოქნილად და სეგმენტირებულად გავუწიოთ ორგანიზება ტურისტის თავისუფალი დროის გატარებას; შევცვალოთ სტანდარტული მიწოდება

ტურისტის მოთხოვნის მიხედვით; ვაწარმოთ ტურისტული პროდუქტი გარემოს დამზოგავი ტექნოლოგიებით. ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის მეშვეობით დღეს მოგზაურობა სწრაფი, უსაფრთხო, გაცილებით საიმედოა, ვიდრე წარსულში, ხოლო პირადი შემოსავლების ზრდისა და დროის გამოთავისუფლების წყალობით უფრო და უფრო მეტი ადამიანი ერთვება ტურიზმში, რომელთათვისაც ეკოლოგიურად სუფთა გარემო და პროდუქტი მოგზაურობის უპირველესი მოტივაციაა.

ბოლო წლების ტენდენციები, რომლებიც განაპირობებენ ტურიზმის დარგის წინსვლას, დასტურია იმისა, რომ ტურიზმის შემდგომი განვითარება განხორციელდება ინოვაციების ფართოდ დანერგვის გზით. ტურიზმში, გარემოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შემადგენელი ნაწილებია: არატრადიციული ენერჯის წყაროები და ეკოტურიზმში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.

ეკოლოგიური ტურიზმი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს შედარებით წყნარი ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მათ შორის, დაცული ტერიტორიებისას. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტების მიხედვით, ეკოტურიზმი არის ბუნებრივი და კულტურული რესურსების (მათ შორის, ბიომრავალფეროვნების) კონსერვაციის მექანიზმი და რეგიონების ეკონომიკის მდგრადი განვითარების საშუალება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უეჭველია, რომ დაცული ტერიტორიების უმრავლესობა საჭიროებს დახმარებას მენეჯმენტის გაუმჯობესებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით.

ეკოტურიზმის “ეკოლოგიურობის” მთავარი კრიტერიუმია ბუნებისადმი მიყენებული ზარალის მინიმიზაცია. იგი მიიღწევა ტურისტული პროდუქტის ყველა კომპონენტში ეკოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვითა და ენერჯის განახლებადი რესურსების გამოყენებით.

ენერჯის განახლებადი რესურსები ენერჯის ის წყაროებია, რომელთაც რამდენიმე ათასი წლის მანძილზე კაცობრიობის დღევანდელ მოთხოვნასთან შედარებით ენერგეტიკის საჭიროების მეტი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლია. ისინი ენერჯის განუსაზღვრელად ხანგრძლივმოქმედ წყაროებს წარმოადგენენ, მაგალითად, მზის და ქარის ენერჯია, კონტორლირებადი თერმოობირთვული სინთეზი, ბიომასა, დედამიწის გეოთერმული ენერჯია. განახლებადი ენერჯია აღიარებულია, როგორც სათბურის აირების შემცირების და გლობალური კლიმატის სტაბილიზაციის საშუალება.

ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებულია მზის ენერჯის კონცენტრატორი და მზის ბატარეა (გალიუმის არსენიდის საფუძველზე) მიწისზედა და კოსმოსური გამოყენებისათვის. მზის ბატარეის მახასიათებლების გაუმჯობესება დაკავშირებულია სრულიად ახალი ტიპის მზის ენერჯის კონცენტრატორის და გალიუმის არსენიდიანი ტექნოლოგიის ფოტოელექტროგარდამქმნელის გამოყენებაზე.

აღნიშნული ტექნოლოგიით დამზადებული მზის ბატარეას აქვს მნიშვნელოვნად მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი (24%), ვიდრე დღეს არსებულ საუკეთესო სილიციუმის ფოტოელექტროგარდამქმნელებს. მზის ენერჯის სისტემის გამოყენების დანერგვა შესაძლებელია სასტუმროებსა და რესტორნებში, ასევე ტურისტული პროდუქტისა და პროდუქციის მწარმოებელ სხვა საწარმოებში, მაგალითად, მზის ბატარეებზე მუშაობს: სამილე ტომრები, ქურთუკები, მობილური ტელეფონები, ელექტრონული ველოსიპედები (იყენებენ ეკოტურისტულ ზონებში ტურისტთა გადასადგილებლად). ასევე ტურისტებს შეუძლიათ მოგზაურობის დროს თან ატარონ სხვადასხვა სახის ელექტროაკუმულატორები, რომლებიც საჭიროა კარვის თორმეტვოლტიანი ელექტრონათურის გასანათებლად, LCD-ტელევიზორის, DVD-ფლეერის, მობილური და თანამგზავრული ტელეფონების, ავტომობილის მაცივრის ასამუშავებლად. ჩეხეთის მთავრობამ თუმეთის ეროვნულ პარკში გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით დაამონტაჟა მზის ბატარეები.

დღეისათვის მრავალი სახის ტექნოლოგია, მეთოდი და მასალაა შექმნილი ტურისტულ ზონებში ეკომშენებლობებისთვის. მავნე საამშენებლო მასალების გამოყენება ტურისტულ ზონებში დაუშვებელია, ამიტომ საჭიროა ალტერნატიული მასალების გამოყენება, მაგალითად, ნამჯა, აგური, კრამიტი და სხვ.

ნამჯის ე.წ. “ენერგოდამზოგავი” სახლების მშენებლობა პირველად, 1872 წელს, დაიწყო აშშ-ში. ასეთი სახლების მშენებლობის უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში:

- მასალების ხელმისაწვდომობა;
- მცირე მასის გამო სახლები არ საჭიროებენ ფუნდამენტს და საამშენებლო-მექანიკური ტექნიკის გამოყენებას;
- არ ატარებს ხმაურს;
- სითბოს კარგი შემკავებელია;

- სეისმოლოგიურად მდგრადია;
- სახლების გათბობა შესაძლებელია მზის ენერჯით.

აღნიშნული ტექნოლოგიით სახლების მშენებლობა საქართველოს რეგიონებისთვის ინოვაციური, ხოლო ქვეყანაში მოგზაური ტურისტებისათვის ეკოლოგიურად უსაფრთხოა. გარემოსდაცვითი პოლიტიკა, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე აუცილებელი ინსტრუმენტია ეკონომიკური, სოციალური და გარემოს ინტერესების დასაბალანსებლად ისე, რომ მოხდეს მთლიანი სარგებლის მაქსიმიზაცია და კონფლიქტების და შეუსაბამობების მინიმიზაცია. სულ უფრო და უფრო მეტად ხდება იმის გაცნობიერება, რომ გარემოს განვითარება და სოციალური საკითხები ურთიერთდამოკიდებულია და რომ ჯანმრთელი გარემო აუცილებელი წინაპირობაა სოციალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური განვითარებისათვის. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრაცია მრავალი ქვეყნისათვის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა მმართველობის სფეროში. იგი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გარემოს შენარჩუნებისათვის, არამედ მდგრადი ეკონომიკური ზრდის და ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში. [საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა (2011-2015)]

საქართველოს სენსიტიური გარემო საჭიროებს ინოვაციური ეკოლოგიური პროექტების შემუშავებისა და განხორციელების გააქტიურებას რაც, მთლიანად ქვეყანაში და განსაკუთრებით, მის რეგიონებში ტურიზმის განვითარების მყარ საფუძველს შექმნის.

ლიტერატურა და მასალები:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა (2011-2015) პროექტი
2. Richard Sharpley, "The Tourism Business _ an Introduction", Alden Group, Oxford, London, 2004
3. Matheson A., Walls G., Tourism: Economic, Physical and Social Impacts, New York, 1982
4. <http://www.dpa.gov.ge/>
5. http://www.gdrc.org/uem/eco-tour/Davos-Declaration_2007.pdf
6. <http://www.kyotoprotocol.com/>
7. <http://www.unwto.org/sustainable/doc/climate2008.pdf>

THE PERSPECTIVES TO INTRODUCE THE INNOVATION TECHNOLOGIES OF THE TOURIST BUSINESS IN GEORGIA

Marina Metreveli, Doctor of Economics, Professor, Leading Specialist Economic Sector and Economy Policy Committee Parliament of Georgia

RESUME

The development of tourism often leads to unwise resource expenditure and ultimate exhaustion. Such state of affairs is the result of the joint impact of the ever-increasing number of visitors to the destinations and uncontrolled and unplanned development of the forms of tourism oriented exclusively on profit. The presence of the above-mentioned factors does not mean that it is only tourism having a negative impact on the physical environment. Among different branches able to negatively influence the natural environment there is power engineering, too.

At present, no progression of the country economy or ensuring people's comfortable lives seems possible without an intense development of the branch of power engineering. On the other hand, the adverse impact of the exploitation of such power giants, as hydrosystems and high-power thermal and nuclear complexes is universally known.

The environmental policy at the country and international levels is an essential tool to balance the economic, social and environmental interests to maximize the gross profit and minimize conflicts and discrepancies. The integration of the environmental policy in the field of management is one of the most major challenges in many countries. The sensitive environment of Georgia needs development and implementation of innovation projects, what will lay a firm foundation to the tourism development all over the country and in its regions.

ხარჯების ბიუჯეტირებისა და კონტროლის საკითხები

ნანული ძიმციშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: ndzimtseishvili@yahoo.com

გივი ბაქრაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორანტი

E-mail: varqartveli@yahoo.com

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანია იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელია. კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის ეფექტური მართვა სულ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული მისი ცალკეული ქვედანაყოფების და სამსახურების ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

ამჟამად, რამდენიმე ქართულ კომპანიას თუ აქვს ბუღალტრული აღრიცხვა იმგვარად ორგანიზებული, რომ მისი ინფორმაცია გამოყენებადი იყოს ოპერატიული მართვისა და ანალიზისათვის.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რთული საწარმოო სტრუქტურის მქონე კომპანიები რეალურად საჭიროებენ ხარჯების ბიუჯეტირებას და კონტროლის მექანიზმებს, ოპერატიულ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მათ მიიღონ დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილება დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების ოპტიმიზაციისათვის. სამწუხაროდ, კომპანიის განვითარებისა და ორგანიზაციის სრულყოფის მიმართულებით, ზედა დონის მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად ემყარება არა სათანადო გათვლებს, არამედ ატარებს ინტუიციურ ხასიათს.

ბოლო წლებში ნათელი გახდა ის გარემოება, რომ ბუღალტრული აღრიცხვა აქტიურად მონაწილეობს მმართველობითი პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში. ბუღალტრმა შეიტავს პროგნოზირება, დაგეგმვა, გადაწყვეტილებათა მიღება, მმართველობითი სამსახურების ინფორმაციების კონტროლი, ანუ მას გაუჩნდა დამატებითი ფუნქციები მართვისა და სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების სფეროში.

ბიუჯეტირება (ხარჯთაღრიცხვა) წარმოადგენს მომავალი კონკრეტული პერიოდისათვის ფინანსურად და რაოდენობრივად გამოსახულ გეგმას მთლიანად საწარმოს, ან მისი ქვედანაყოფების მიხედვით.

დაგეგმვა – გადაწყვეტილებების მიღების პროცესის განსაკუთრებული ტიპია, რომელიც ეხება არა ცალკეულ მოვლენას, არამედ მოიცავს კომპანიის მთლიან საქმიანობას. დაგეგმვის პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია კონტროლის პროცესთან.

დაგეგმვასა და კონტროლს საფუძვლად უდევს გასული პერიოდის ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია.

განასხვავებენ მიმდინარე (მოკლევადიან) დაგეგმვას (ხარჯთაღრიცხვა, ბიუჯეტების შემუშავება) – ერთ წლამდე ხანგრძლივობით და პერსპექტიულს (ერთ წელზე მეტი ხნით). ჩვეულებრივ პერსპექტიული გეგმები მუშავდება 3-5 წელზე გათვლით.

საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის განხილვისას საუბარი იქნება მოკლევადიან (სახარჯთაღრიცხვო) ბიუჯეტირებაზე.

ხარჯთაღრიცხვა (ან ბიუჯეტი) წარმოადგენს მომავალში შესასრულებელ საქმიანობაზე შექმნილ ფინანსურ დოკუმენტს, ანუ ეს არის მომავალი ფინანსური ოპერაციების პროგნოზი.

ბიუჯეტი წარმოადგენს მოქმედებათა გეგმას, რომელიც პროექტების ან საქმიანობის სახეობების მიხედვით განზოგადებულია რაოდენობრივ გამოსახულებაში. მისი შედგენის შედეგად ცხადი ხდება, რა მოგებას მიიღებს კომპანია ამა თუ იმ გეგმის დამტკიცებით. ბიუჯეტის შედგენას კომპანიისათვის აქვს შემდეგი უპირატესობა:

1. როგორც სტრატეგიული, ასევე მიმდინარე დაგეგმვა სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობის კონტროლის საშუალებას იძლევა. გეგმის არსებობის გარეშე მმართველი მხოლოდ რეაგირებს მოვლენებზე, ნაცვლად იმისა რომ აკონტროლოს იგი.

2. ბიუჯეტი, წარმოადგენს რა მმართველობითი კონტროლის ნაწილს, ქმნის საფუძვლებს როგორც მთლიანად კომპანიის, ასევე მისი ქვედანაყოფების საქმიანობის შედეგების შეფასებისათვის. ბიუჯეტის არ არსებობის შემთხვევაში, მიმდინარე მაჩვენებლების შედარება წინა (საბაზისო)

მაჩვენებლებთან ყოველთვის არ იძლევა სწორი დასკვნის გაკეთების საშუალებას. მაგალითად: თუ წინა პერიოდის მაჩვენებლები ასახავდა საქმიანობის დაბალმწარმოებლობას, ამ მაჩვენებლების გაუმჯობესება ნიშნავს, რომ საწარმომ დაიწყო უკეთესად მუშაობა, მაგრამ თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურავს.

3. ბიუჯეტი იძლევა კომპანიის სხვადასხვა ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაციის საშუალებას და მენეჯერს საშუალებას აძლევს თავისი საქმიანობა წარმართოს მთლიანად კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით.

4. ბიუჯეტი პასუხისმგებლობის ცენტრებისა და მათი ხელმძღვანელების მიერ გეგმების შესრულების შეფასების საფუძველია: მენეჯერების მუშაობა ფასდება ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მიხედვით; ფაქტიურად, მიღწეული შედეგების შედარება ბიუჯეტთან გვიჩვენებს იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, დანახარჯთა ცენტრებს, რომელთაც მეტი ყურადღება და მოქმედება სჭირდებათ.

5. ბიუჯეტის საშუალებით ხორციელდება გადახრების ანალიზი და ამ გადახრების მიზეზების კვლევა.

კომპანიის მიერ ბიუჯეტის შედგენის პროცესი წარმოადგენს საბიუჯეტო ციკლს, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- დაგეგმვა, პასუხისმგებლობის ყველა ცენტრის ხელმძღვანელის, მთელი საწარმოს საქმიანობის და აგრეთვე მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მონაწილეობით;
 - დაგეგმვისას გამოსაყენებელ მაჩვენებელთა განსაზღვრა.
 - გეგმების კორექტირება, შეთავაზებული შესწორებების გათვალისწინებით.
- საერთაშორისო პრაქტიკა განასხვავებს ბიუჯეტების შემდეგ სახეებს: გენერალური და კერძო; მოქნილი და სტატიკური.

ბიუჯეტს, რომელიც მოიცავს საწარმოს მთლიან საქმიანობას, ეწოდება გენერალური. მისი მიზანია – გააერთიანოს და შეაჯამოს კერძო ბიუჯეტად წოდებული საწარმოს სხვადასხვა ქვედანაყოფის ხარჯთაღრიცხვები და გეგმები.

გენერალური ბიუჯეტის შედგენის შედეგად იქმნება:

- პროგნოზირებული ბალანსი;
- მოგება ზარალის გეგმა;
- ფულადი ნაკადის მოძრაობის პროგნოზი.

ნებისმიერი კომპანიის გენერალური ბიუჯეტი შედგება ორი ნაწილისაგან: საოპერაციო და ფინანსური ბიუჯეტებისაგან. ორივე ბიუჯეტი შეიცავს ბიუჯეტის მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ, ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთგანმაპირობებელ ნაწილებს.

საოპერაციო ბიუჯეტი – მოიცავს მოგება ზარალის გეგმას, რომელიც დეტალიზებულია შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეულ მუხლებად;

საოპერაციო ბიუჯეტის დაგეგმვისას პირველი ნაბიჯია გაყიდვების ბიუჯეტის შედგენა, რომელიც განისაზღვრება არა მარტო საწარმოო შესაძლებლობებით, არამედ ბაზარზე გასაღების შესაძლებლობებით. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორების გავლენა:

- კონკურენტების საქმიანობა;
- მომწოდებლებისა და მყიდველების სტაბილურობა;
- რეკლამის შედეგობრიობა;
- მოთხოვნის სეზონური და სხვა რყევები;
- ფასწარმოქმნის პოლიტიკა.

გაყიდვების მოცულობის დაგეგმვისას უნდა იქნეს გამოყენებული: სტატისტიკური პროგნოზირება მათემატიკური მეთოდების გამოყენებით, გაყიდვების განყოფილების სპეციალისტების ექსპერტული შეფასებები და ა.შ.

გაყიდვების ბიუჯეტიდან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს საწარმოო ბიუჯეტი, რომლის საფუძველზეც დგება მასალის შესყიდვის ბიუჯეტი, შრომითი დანახარჯების ბიუჯეტი და საერთო საწარმოო ხარჯების ბიუჯეტი. შემდეგ დგება ხარჯების ბიუჯეტი მარკეტინგის მიხედვით და კომერციული ხარჯების ბიუჯეტი.

საოპერაციო ბიუჯეტის შედგენის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მოგება-ზარალის გეგმის შემუშავება.

ფინანსური ბიუჯეტი – მოიცავს კაპიტალდაბანდების ბიუჯეტებს, ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმას და პროგნოზირებად ბალანსს.

ფინანსური ანგარიშგებისაგან განსხვავებით, რომლის ფორმატი ბასს-ით განსაზღვრულია, ბიუჯეტის ფორმა არ არის მკაცრად რეგლამენტირებული. მისი სტრუქტურა დამოკიდებულია დაგეგმვის ობიექტზე, კომპანიის მოცულობაზე და ბიუჯეტის შემმუშავებელთა კვალიფიკაციაზე.

ბიუჯეტში შემავალი ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად ზუსტი – მისი მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო.

ჩვენ ვთვლით, რომ ტიპიური სტრუქტურის მიუხედავად, გენერალური ბიუჯეტის ელემენტების ჩამონათვალი უნდა იყოს განსხვავებული (განსაკუთრებით მისი საოპერაციო ნაწილი) კომპანიის საქმიანობის ტიპზე დამოკიდებულების შესაბამისად.

ფინანსური ბიუჯეტის შედგენა მოიცავს:

ფულადი ნაკადის ბიუჯეტის შემუშავება. ამ ბიუჯეტის შედგენის დროს უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან ინფორმაციის გაანალიზება ფულადი ნაკადის რეალური შემოდინებისა და გადინების მიხედვით. ასეთი ანალიზი გვთავაზობს კრედიტორული დავალიანების დაფარვის პირობებს, აგრეთვე დებიტორებთან მუშაობის წესს.

ამრიგად, ფულადი ნაკადის შემოდინების ბიუჯეტის შედგენისათვის აუცილებელია გაყიდვების ბიუჯეტის დეტალიზაცია თვეების მიხედვით.

საწარმოს პროგნოზირებადი ბალანსის შემუშავება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს პროგნოზირებადი ბალანსი დგება პერიოდის დასაწყისისათვის არსებული ბალანსის საფუძველზე, ბალანსის თითოეული მუხლის მიხედვით შემოთავაზებული ცვლილების გათვალისწინებით. ბალანსის მუხლებში ცვლილებების განსაზღვრისათვის უნდა ვისარგებლოთ ინფორმაციით, რომელიც მოცემულია მოგება-ზარალის გეგმაში და ფულადი ნაკადის მოძრაობის ბიუჯეტში.

საწარმოს საქმიანობის კონტროლი და ანალიზი. ბიუჯეტის ფუნქცია, როგორც საწარმოს საქმიანობის კონტროლისა და შეფასების ფუნქცია მთავრდება მაშინ, როცა პროგნოზირებადი მაჩვენებლები ხდება ფაქტიური. ამრიგად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აუცილებელია შედგეს ანგარიში, რომელშიც შედარებული იქნება პროგნოზირებადი და ფაქტიური მაჩვენებლები.

საწარმოს საქმიანობის საანალიზო მაჩვენებლებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მოგება. ნებისმიერი მმართველისათვის ძირითად კითხვას წარმოადგენს - როგორია ფაქტიური მოგების გეგმიურიდან გადახრის მიზეზები? მასზე ამომწურავი პასუხის გაცემა შესაძლებელია მოგების ფაქტორული ანალიზით. ჩვენი აზრით, იგი უნდა ვაწარმოოთ ოთხ დონეზე – ნულოვანი, პირველი, მეორე, მესამე, სადაც ანალიზის ყოველი მომდევნო დონე აკონკრეტებს წინა დონის მონაცემებს.

მოგების ანალიზის ნულოვან დონეზე ხდება ფაქტიურად მიღწეული შედეგების შედარება სტატისტიკური ბიუჯეტების მონაცემებთან, რომელიც გათვლილია ორგანიზაციის საქმიანი აქტივობის კონკრეტულ დონეზე. ამრიგად, სტატისტიკურ ბიუჯეტში ფინანსური შედეგი იგეგმება მხოლოდ რეალიზაციის განსაზღვრული გეგმიური დონიდან გამომდინარე.

პირველი დონე. პირველ დონეზე შესრულებული ანალიზი იყენებს მოქნილი ბიუჯეტის მონაცემებს, რომელიც შემუშავებულია საქმიანი აქტივობის არა კონკრეტული დონისათვის, არამედ მისი განსაზღვრული დიაპაზონისათვის, ანუ მასში გათვალისწინებულია რეალიზაციის მოცულობის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი. ყოველი მათგანისათვის განსაზღვრულია ხარჯების შესაბამისი თანხა. ამგვარად, მოქნილი ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯების ცვლილებას რეალიზაციის დონის ცვლილების შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს დინამიურ ბაზას მიღწეული შედეგების გეგმიურ მაჩვენებლებთან შესადარებლად.

მოქნილი ბიუჯეტის შედგენას საფუძვლად უდევს ხარჯების დაყოფა მუდმივ და ცვლად ხარჯებად. თუ სტატისტიკურ ბიუჯეტში ხარჯები იგეგმება, მოქნილ ბიუჯეტში ისინი გადაიანგარიშება. იდეალურ შემთხვევაში უკანასკნელის შედგენა ხდება ხარჯების თითოეულ სახეზე რეალიზაციის მოცულობის ცვლილების გავლენის ანალიზის შემდეგ.

მეორე დონე. ანალიზის ამ დონეზე ხდება რესურსებზე ფასების გაანგარიშება. შესრულებული გაანგარიშებების შედეგები გვიჩვენებს, თუ როგორ იმოქმედა მოგებაზე რესურსების შესყიდვის ფაქტიური ფასების გადახრამ ნორმატიულიდან (ბიუჯეტში გათვალისწინებულიდან). ფასის ცვლილებით გამოწვეული გადახრა არის სხვაობა რესურსების შეძენის ფაქტიურ და ნორმატიურ ფასებს შორის გამრავლებული რეალიზებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ფაქტიურ მოცულობაზე.

მოგების ფაქტორულ ანალიზში ფასის ცვლილებით გამოწვეული გადახრა გამოიყოფა ცალკე ჯგუფად, რამდენადაც ეს ფაქტორი მწარმოებლურობასთან შედარებით ნაკლებად არის

დამოკიდებული მმართველობით გადაწყვეტილებებზე. საბაზრო ეკონომიკაში ფასები მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდებით.

პრაქტიკაში, ფაქტური მაჩვენებლების ბიუჯეტურიდან გადახრების ანალიზის ჩატარებისას, გამოიყენება ეფექტიანობის და მწარმოებლურობის ცნება. ეფექტიანობა არის დასახული მიზნის მიღწევის ხარისხი. მწარმოებლურობა – დასახული მიზნების მიღწევისათვის რესურსების გამოყენების ხარისხი.

მოგების ანალიზის მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლების ფაქტორით გამოწვეული გადახრები მოწმობენ საწარმოს საქმიანობის ეფექტურობაზე; ხარჯების ფაქტორის გავლენასთან დაკავშირებით გამოწვეული გადახრები – მის მწარმოებლურობაზე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების რეგულირების შესახებ“- თბ. 1999
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ბასს) და ინტერპრეტაციების ჩათვლით. თბილისი, 2009.
3. ნ. ძიმციშვილი, გ. ბაქრაძე და სხვ. - მმართველობითი აღრიცხვა, თბილისი, 2009.
4. პ. მიქაძე. მმართველობითი აღრიცხვა. თბილისი 2000.
5. საქმიანობის შედეგების მართვა. წიგნი F5. ACCA, 2010.
6. Хонгрэн Ч.Т., Форстер Док. Бухгалтерский учет: управленческий аспект. М.: Финансы и статистика, 1995.

MANUFACTURING COSTS, BUDGETING AND CONTROL ISSUES

Nanuli Dzimtseishvili, Sokhumi State University, Associate Professor

Givi Bakradze, Sokhumi State University, PhD Student

SUMMARY

2. <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=362> „პლასტიკური ბარათების შესახებ“;
3. <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=204> „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა“;
4. <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache> “IBAN საქართველოში”;
5. www.tbcbank.ge/ge/corporate/banking/ „ბანკი - კლიენტი“.

E-COMMERCE BANKING SERVICES

Tea Khorguashvili, Gori Teaching University, Associate Professor

Nino Gharibashvili, Gori Teaching University, Teacher

RESUME

As for electronic commerce with a broad sense, they imply different kinds of Internet businesses - including consumers (out of sites, services, and provider services). In the narrow sense of the term e-commerce means selling or buying goods and services over the Internet banking. According to the Western economists the banking institutions are expected revolutionary changes in the nearest future. Telecommunications and the development of personal computers will give great opportunity to millions of people to work at home. It will make approximately 4 million free places and there will be no need the appropriate number of administrative buildings and service facilities.

It should be noted that all banking products time by time invaded the Georgian banking sector and a set of Georgian commercial banks. As we can see the Georgian banking system is developing dynamically. It follows the news implemented from the World Bank and tries to bring it and make adaptable to Georgian reality and then to offer its customers.

სამშენებლო ბიზნესის გადასახადებით რეგულირებას რადიკალური გარდაქმნა სჭირდება

რუსუდანი პაპასკირი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი

E-mail: rusiko-p@mail.ru

ბიზნესის რეგულირების საკითხში მეცნიერები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი ამტკიცებენ, რომ ბიზნესში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ეს აუცილებელია. რადგან ჩვენც ამ აზრის ვართ. მოვიყვანო ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებულებებს:

ედრიხ ბევი: „ბაზარი არ არის ხსნა. იგი ვერ გადაჭრის ყველა პრობლემას. პირიქით - საფრთხეს უქმნის ჩვენს არსებობას“ (ნ. ლომიძე, 2011).

სამუელსონი და ნორდჰაუსი: „ორივე მხარე - ბაზარი და სახელმწიფო არსებითია. ცდა იმისა, რომ ეკონომიკის მართვა განხორციელდეს რომელიმე მათგანის იგნორირებით, ჰგავს იმის მცდელობას, რომ ტაში დავუკრათ ცალი ხელით“.

ნ. ჭითანავა: „საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების შეთანაწყობის ოპტიმალურ გარემოს მივიჩნევთ სოციალურად ორიენტირებული ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების უმთავრეს ფაქტორად“ (ნ. ჭითანავა, 1996).

გ. ყუფუნია: „სახელმწიფო და კერძო ინტერესს შორის რაციონალური, ოპტიმალური ურთიერთშეწონასწორებული თანაფარდობა მიგვაჩნია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად“ (გ. ყუფუნია, 1996).

ლ. ქოქიაური: „სახელმწიფო ეკონომიკიდან კი არ უნდა წავიდეს, არამედ სახალხო მეურნეობის რეგულირების ფორმები უნდა შეიცვალოს ეკონომიკურ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით“ (ლ. ქოქიაური, 2004).

ურთიერთგანსხვავებული აზრი აქვთ პრაქტიკოსებსაც:

ალექსანდრე ჯაფარიძე (საქართველოს უძრავი ქონების ასოციაციის პრეზიდენტი): „რაც შეეხება სამშენებლო ბიზნესის რეგულირებას, ვფიქრობ, საქართველოში ყველა მაკონტროლებელი ორგანო ბიზნესისათვის ხელისშემშლელია“ (ა. ჯაფარიძე, 2009).

თორნიკე აბულაძე (სამშენებლო კომპანია „არსის“ აღმასრულებელი დირექტორი): „როცა ქალაქში ხუთი ავტომობილი მოძრაობს, ქუჩებზე შუქნიშნების საჭიროება არ არსებობს, მაგრამ თუკი მანქანა 300 ათასია, შუქნიშანიც საჭიროა და რეგულირების სხვა საშუალებებიც“ (თ. აბულაძე, 2009).

ჩვენ ვეთანხმებით საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო კომპანია „არსის“ აღმასრულებელ დირექტორს - თორნიკე აბულაძეს და მიგვაჩნია, სამშენებლო ბიზნესს რომ ჰქონოდა სახელმწიფოს მხრიდან სათანადო რეგულირება (არა კონტროლი, რეგულირება), ევროპიდან წამოსული ფინანსური კრიზისი ისე მტკივნეულად არ დაატყდებოდა მას თავზე.

ამჟამად სამშენებლო ბიზნესის ფინანსური რეგულირება საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან ხდება გადასახადებით, კრედიტებით, სახელმწიფო სუბსიდიებით და კრედიტებზე თავდებობით. მათ შორის ძირითადია გადასახადები. სამშენებლო ორგანიზაციები იხდიან ყველა სახის გადასახადს (გარდა აქციზისა), თუ აკმაყოფილებენ გადასახადის გადამხდელის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა 4-5-ჯერ შეიცვალა. სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი საგადასახადო კანონები უფრო ლიბერალური იყო და ასტიმულირებდა ბიზნესის განვითარებას. მაგალითად, 1992 წელს ამოქმედებული კანონის მიხედვით, მცირე საწარმო მუშაობის პირველ წელს თავისუფლდებოდა გადასახადისაგან, ხოლო მეორე წელს იხდიდა გადასახადის 50%-ს, მუშაობის პირველ წელს გადასახადისაგან 50%-ით თავისუფლდება საშუალო და მსხვილი საწარმოებიც.

1995 წლის 5 აპრილის დადგენილებით ყველა საწარმოს რეგისტრაციის მომენტიდან მომდევნო ორი წლის განმავლობაში მოგების გადასახადი უმცირდებოდა 50%-ით.

2005 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსმა ეს შეღავათები გააუქმა - ყველა იურიდიულ პირს დაუწესა მოგების 20% გადასახადი, ფიზიკურ პირებს კი - 12% (2 წლით შეღავათი მიეცათ მხოლოდ სასოფლო სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და სამემოსავლო გადასახადისაგან გაანთავისუფლა ის მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრულ ერთ-ერთ საქმიანობას - ტანსაცმლის რემონტი, ცოცხების და ჯაგრისების წარმოება და სხვ.).

მიმდინარე წელს მიღებული საგადასახადო კოდექსით, ახლადგახსნილ საწარმოებს დაბეგვრის არავითარი შეღავათები არა აქვთ. სანაცვლოდ, ბიზნესს საქართველოს მთავრობამ შესთავაზა დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი, კერძოდ, მიკრო საწარმოს სტატუსი მიანიჭა 30.000 ლარამდე შემოსავლის ბრუნვის მქონე ფიზიკურ პირს და იგი გაანთავისუფლა გადასახადისაგან, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსი მიანიჭა 100.000 ლარამდე ერთობლივი შემოსავლის მეწარმე ფიზიკურ პირს და ისინი დაბეგრა ბრუნვის 5%-ით. წინა კოდექსთან შედარებით ეს ცვლილება ახალ კოდექსში გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ თვით ამ სტატუსის მოპოვება არის ბიზნესმენებისთვის ძნელი. ძნელია იმიტომ, რომ იგი არ ეძლევა ნებისმიერი საქმიანობით დაკავებულ ფიზიკურ და მეწარმე ფიზიკურ პირს და არც მათი ნებისმიერი შემოსავალი არ შეიტანება სტატუსის მოსაპოვებელ ბრუნვის პარამეტრში. საქმიანობის და შემოსავლების ეს ჩამონათვალი კოდექსში არ არის მოცემული. იგი ბიზნესმენმა ცალკე ნორმატიულ აქტში უნდა მოძებნოს. თანაც ამ ჩამონათვალს პრეზიდენტი ამტკიცებს. რა გარანტია აქვს ბიზნესმენს, რომ დღეს მიღებულ შეღავათს მომავალ წელს არ დაკარგავს?

რომც ჩავთვალოთ, რომ ახალი საგადასახადო კოდექსით შემოღებული დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები საქართველოს მთავრობის მხრიდან ბიზნესის სტიმულირების კარგი საშუალებაა, იგი ერთნაირად სასარგებლო ეკონომიკის ყველა სექტორისთვის მაინც არ არის. მაგალითად, სამშენებლო ბიზნესში მხოლოდ 20 ინდივიდუალური მეწარმე გვყავს, რომელთაც შეიძლება მიეცეთ მცირე მეწარმის სტატუსი და შედეგად - 5%-იანი დაბეგვრა. ეს შეღავათი რომ ყველა მცირე საწარმოზე გავრცელებულიყო,

რომელთა რიცხვი ძველი პარამეტრებით 185-ია, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვან იმპულსს მისცემდა მშენებლობის განვითარებას.

ახალი საგადასახადო კოდექსით, გარდა მიკრო და მცირე სტატუსის მქონე საწარმოებისა, ყველა დანარჩენი საწარმოები მოგების 15%-იანი განაკვეთით იბეგრებიან. ასეთ დროს საზღვარგარეთ კომპანიების მოგება იბეგრება პროგრესული განაკვეთებით, ანუ პატარას, სუსტს - ნაკლები გადასახადი, დიდს, ძლიერს - მეტი. მაგალითად, აშშ-ში მოგების გადასახადი 15%-დან 34%-მდე მერყეობს, გერმანიაში 19%-დან 5%-მდე, ინგლისში - 33%-დან 52%-მდე და ა. შ. (Князева И., 1997).

მივიღეთ რა ეს მხედველობაში და დავეყრდენით რა საქართველოში მეწარმეთა საგადასახადო ტვირთის შესახებ გამოკითხვის შედეგებს (ა. საკანდელიძე, 2010), ჩვენ შევიძუშავეთ ბიზნესის, მ. შ. სამშენებლო ბიზნესის საწარმოთა სიდიდის (მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი) განმსაზღვრელი პარამეტრები და მოგების (შემოსავლის) გადასახადით მათი დაბეგვრის რეჟიმები (იხ. ცხრილი):

საწარმოთა ტიპი	ბრუნვის პარამეტრი წელიწადში (ლარი)	საშუალო წლიური ბრუნვა (ლარი)	მოგების საშუალო ნორმა (%)	მოგება წელიწადში (ლარი)	მოგების გადასახადის განაკვეთი (%)	მოგების გადასახადელი ბიუჯეტში	სამშენებლო სექტორის მიერ ბიუჯეტში მოგების გადასახადის რეკომენდებული მოცულობა	
							საწარმოთა რიცხვი	მოგების გადასახადი, ლარი
მიკრო	50000-მდე	30000	15	4500	—	—	20	-
მცირე	50000-დან 300000	200000	15	3000	3	900	165	165·900=148500
საშუალო	300000-დან 1000000-მდე	750000	15	112500	7	7875	317	317·7875=2496375
მსხვილი	1000000-ზე მეტი	3000000	15	450000	15	67500	469	469·67500=31657500
სულ								34.302.375

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ჩვენი კონცეფციის გატარებით საქართველოს ბიუჯეტი წელიწადში მშენებლობის სექტორიდან მიიღებს 34,3 მლნ ლარს ანუ 1,6 ლარით მეტს, ვიდრე მიიღო 2009 წელს. ასე მოხდება სხვა დარგებშიც

ასე რომ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული დაბეგვრის რეჟიმის - „დიდს, ძლიერს - დიდი, მცირეს, სუსტს - ცოტა“ - გატარებით ბიზნესიც განვითარდება და არც ბიუჯეტი დაზარალდება.

ლიტერატურა:

1. ნ. ლომიძე, გლობალიზაცია: დადებითი თუ უარყოფითი მოვლენა? ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, იანვარი, 2011, გვ. 60.
2. სმედსის შრომების კრებული - „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“, ტ. I, 1996, გვ. 28.
3. ლ. ქოქიაური, სახელმწიფო ეკონომიკიდან არ უნდა წავიდეს, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, #6, 2004, გვ. 56.
4. უძრავმა ქონებამ გაძვირება დაიწყო, გაზეთი „ეკოპალიტრა“, 7-13 თებერვალი, 2009, გვ. 22.
5. Князева В. Налоговые системы зарубежных стран, М., ИНИТИ, 1995, с. 5.

BUILDING BUSINESS NEEDS RADICAL RECONSTRUCTION OF TAXING REGULATION

Rusudan Papaskiri, Sokhumi State University, Doctor of Technical Sciences

RESUME

In Rusudan Papaskiri’s article “Building business needs radical reconstruction of taxing regulation” there is set forward and discussed the issue of state intervention in market economy conditions. There are provided speculations of different foreign and Georgian scientists: Edrich Beck, Samuelson, Chitanava, Kupunia, and Kokiauri about that “the market is not salvation” and the state must intervene in the state economy at the proper time and proper place (Business sphere is meant). In order to prove this, there are provided the viewpoints of builder-businessmen too.

In the article the special attention is paid to the question of building business regulation by the taxing lever. In it there are discussed Georgia's tax legislations from declaration of Georgia's independence up to today, and the conclusion is made that its earlier versions were more stimulating to business. They exempted small enterprises from taxes by 100% in the first year, by 50% - in the second year, and on all the other newly opened enterprises they imposed the taxes by 50%, etc. The tax code of 2005 annulled all these privileges. This caused great protest from enterprisers. The tax code of 2011 did not restore these privileges, but introduced micro- and small business status and their taxing privileges. Micro-business is exempted from taxes, and small business is taxed by 5% of turnover. Micro-status is given to a natural person with the income up to 30.000 GEL, and the status small - to a natural person-enterpriser with the income up to 100.000 GEL.

In the article there is mentioned that these taxing privileges in the building sector will be given to individual enterprisers, number of which is rather insignificant (20), therefore, these privileges will give nothing important to the field.

In the article the author proposes parameters of building enterprises division by their sizes and recommended tax rates: micro - exemption from taxes, small - 3%, middle sized company - 7% and large - 15%. This proposal is based on progressive regime of taxing, common in foreign countries: "to the large and strong - more, and to the small and weak - less" and the Georgian enterprisers' interviews about the heavy load of taxes.

In case of application of this taxing method, in the work is calculated the supposed capacity of profit tax to the budget. It significantly exceeds payments under the acting legislation.

ელექტრონული კომერციის განვითარების ტენდენციების შესახებ საქართველოში

ციური ნოზაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: tsiurinozadze@gmail.com

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებასთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების გარემო. ინტერნეტ-ტექნოლოგიების საშუალებით მომხმარებლების ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი ხდება ელექტრონული მომსახურების სხვადასხვა სერვისები, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას იძლევა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ბიზნესში ელექტრონული კომერციის სახით.

ელექტრონული კომერცია საბანკო სერვისია, რომლის საშუალებითაც მომსახურება და პროდუქტი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობით, ხოლო ანგარიშსწორება შესაძლებელია - ელექტრონული საგადასახადო სისტემების საშუალებით. ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობისაგან განსხვავებით ელექტრონულ კომერციას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები (www.navigator.ge), რომლებიც საშუალებას იძლევა: გაყიდვით მომსახურება და პროდუქცია ინტერნეტის საშუალებით; გაზარდოთ გაყიდვების მოცულობა საქართველოს რეგიონებში; გააფართოოთ გაყიდვების არეალი მსოფლიოს მასშტაბით; შეამციროთ მაღაზიის ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა.

თანამედროვე კომერციას ტრადიციული ვაჭრობისაგან განსხვავებს ისიც, რომ იგი არ არის უბრალოდ საქონელბრუნვა მწარმოებლების ან მომხმარებლების მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ არის მთელი რიგი ღონისძიებების უწყვეტი კომპლექსი, რომელიც სრულდება კომერციული პროცესის ყველა ეტაპზე. ეს ეტაპებია:

- საქონელსა და მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნილების კვლევა - *მარკეტინგი*
- საქონლისა და მომსახურების თვისებების მართვა - *საწარმოო მენეჯმენტი*
- საქონლისა და მომსახურების თვისებების შესახებ ბაზრის ინფორმირება - *რეკლამა*
- ბაზრის მომზადება საქონლისა და მომსახურების თვისებების გამოსაყენებლად - *პროპაგანდა*
- შეკვეთების მიღება, დამუშავება და შესრულება - *ვაჭრობის მენეჯმენტი*
- საქონლის ნაკადისა და სასაწყობო მარაგის ოპტიმიზაცია - *ლოგისტიკა*
- კლიენტებთან და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება - *ფინანსური მენეჯმენტი*
- საგარანტიო მომსახურება - *თანხლება*

"იდეალურ" შემთხვევაში ელექტრონული კომერცია საშუალებას იძლევა სრულად გამოირიცხოს ადამიანი - არა მარტო მომხმარებელი, არამედ მყიდველიც კომერციული ციკლიდან. ურთიერთობის სისტემა *გამყიდველი-მყიდველი* იცვლება ავტომატურად ფუნქციონირებადი სისტემით *სერვერი-კლიენტი* - წარმოდგენილი მხოლოდ აპარატული და პროგრამული საშუალებებით

(Информатика для юристов и экономистов, Учебник для вузов, Под редакцией С.В. Симоновича, Санкт-Петербург 2001).

ელექტრონული კომერციის მიმართულებაში შემუშავებულია ელექტრონული სავაჭრო სისტემის სამი ძირითადი სახეობა:

✓ *ინტერნეტ-ვიტრინა* - მას არა აქვს სავაჭრო ფუნქცია, იგი ასრულებს მხოლოდ სარეკლამო ფუნქციას. იგი არის ვებ-საიტის ლოგიკური გაფართოება, რომელზეც განთავსებულია საქონლის ან მომსახურების შესახებ ყველა ინფორმაცია. ასეთ ელექტრონულ მაღაზიაში ყიდვის განსახორციელებლად მომხმარებელი გადის ვაჭრობის ჩვეულებრივ ციკლს.

✓ *ელექტრონული მაღაზია* - ეს არის გამოყენებითი სისტემა, რომელიც აგებულია ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი წარმოადგენს ინტერნეტ-ვიტრინისა და ელექტრონული სავაჭრო სისტემის ერთობლიობას. ეს სისტემა ახორციელებს დაკვეთებს, გადახდის კონტროლს და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას.

✓ *სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა* - ხასიათდება კომერციული ციკლის ავტომატიზაციის მაღალი ხარისხით, ვიდრე ჩვეულებრივი ელექტრონული მაღაზია. სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა მაღალი ხარისხითაა ინტეგრირებული კორპორაციულ საინფორმაციო სისტემასთან, რომლის შემუშავება მოითხოვს დიდ დანახარჯებს, მაგრამ ამასთან შესაძლებელია გაყიდვების მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა.

დღესდღეობით, ელექტრონული კომერცია ბიზნესის ის მიმართულებაა, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ბრენდები საკმაოდ შედეგიანად იყენებენ პროდუქციის გაყიდვების გასაზრდელად. ბრენდებს გააჩნიათ ვებ-გვერდი სადაც მომხმარებელს საკუთარი პროდუქციის კატალოგს სთავაზობს, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ბრენდებზე.

საქართველოში ელექტრონული კომერციის დაბალი დონეა, რაც განპირობებულია მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით: მის პოპულარიზაციას და განვითარებას არასათანადო ყურადღება ეთმობა სამთავრობო სტრუქტურების და ბიზნესის მხრიდან; არ არსებობს ონლაინ კლიენტებისათვის კომფორტული ქართული საგადახდელო სისტემა; ქართული საგადახდელო სისტემების მიმართ ნდობის დაბალი მაჩვენებელი და სხვა, თუმცა ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად ბოლო პერიოდში წელი ტემპით, მაგრამ მაინც იდგმება ქმედითი ნაბიჯები (www.navigator.ge, გიორგი კობრიძე, „ელექტრონული კომერციის განვითარების ზოგიერთი საკითხები“, „ინტერნეტი და საზოგადოება“ მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი 2009).


გარდა ამ მიზეზებისა უნდა ავღნიშნოთ ის გარემოებაც, რომ საქართველოში ფართო საზოგადოება, განსაკუთრებით რეგიონებში, ნაკლებად ფლობს ინფორმაციას ელექტრონული კომერციის შესახებ, მისი პოპულარიზაციისათვის არ ტარდება შესაბამისი საინფორმაციო კამპანია, დაბალია ცხოვრების დონე, არ არსებობს ქართულენოვანი ლიტერატურა, უმაღლეს სასწავლებლებში - მათ შორის გორის სასწავლო უნივერსიტეტშიც სპეციალისტებს უმეტესწილად ამზადებენ ვაჭრობის წარმოების ტრადიციული ფორმის მიხედვით.

ელექტრონული კომერციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ ქ. გორში ჩატარდა 50 ოჯახის გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები ასეთია: 34 ოჯახი არ ფლობს ინფორმაციას, ხოლო 16 ოჯახს აქვს ინფორმაცია ელექტრონული მაღაზიების შესახებ.

გამოკითხულებიდან 12 ოჯახს აქვს კომპიუტერი, აქედან 10 სარგებლობს ინტერნეტით. 8 ოჯახი ინტერნეტს მხოლოდ ინფორმაციის მისაღებად, ხოლო 2 ოჯახი იშვიათად, მაგრამ მაინც ყიდულობს ინტერნეტით დაბალი ფასის პროდუქციას. დასმული კითხვები და შედეგები რაოდენობრივად წარმოდგენილია ცხრილში.

დასმული კითხვები	რაოდენობა	%
მაქვს კომპიუტერი	12	24
მაქვს ინტერნეტი	10	20
ელ. კომერციაზე ინფორმაცია არა მაქვს	34	68
მსმენია	16	36
მხოლოდ ვათვალიერებ	8	16
მიყიდა	2	4

50 გამოკითხული ოჯახიდან ელექტრონული კომერციის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს 34 ოჯახი, ხოლო 16 ოჯახს სმენია მის შესახებ. გამოკითხვის შედეგები პროცენტულ გამოსახულებებში წარმოდგენილია დიაგრამაზე.



როგორც დიაგრამიდან ჩანს რეგიონის მოსახლეობისათვის ნაკლებადაა ცნობილი ის, რომ ინტერნეტის განვითარებასთან ერთად უამრავი ინტერნეტ მაღაზია გაჩნდა, რომლებიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთის ქვეყნებში. საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ინტერნეტ მაღაზიით სარგებლობას უდიდესი უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით. ჯერ ერთი - სახლიდან გაუსვლელად შეუძლია შეიძინოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც დროის გარკვეულ მონაკვეთში ადგილზე მიუტანენ და მეორე, თვითონაც შეუძლია გააკეთოს ფული სახლიდან გაუსვლელად თუკი ისარგებლებს ელექტრონული კომერციის მომსახურებით.

საქართველოშიც თანდათანობით იკიდებს ფეხს ელექტრონული მაღაზიებით ვაჭრობა და ბევრს საუბრობენ ელექტრონული კომერციის სისტემების განვითარებაზე (www.forum.ge). ასეთი სისტემების პოპულარიზაცია პირდაპირ კავშირშია კომპიუტერიზაციასა და ინტერნეტიზაციასთან. ინტერნეტ-გამოცემის Navigator.ge ცნობებით დღეისათვის საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობამ 1 მილიონს გადააჭარბა, რაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის მისამედია, თანაც ეს ის ნაწილია, რომლებსაც აქვთ კომპიუტერი, იხდის ინტერნეტის გადასახადს და შესაბამისად აქვს გარკვეული შემოსავალი. ინტერნეტ-მომხმარებლებში ელექტრონული ვაჭრობის პოპულარიზაციისა და შესაბამისად გაყიდვების გასაზრდელად შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარდეს, როგორც ქართული ბრენდების, ისე ბიზნესისა და სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან.


გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ქართული საინფორმაციო საიტების, ინტერნეტ-მაღაზიების მფლობელების და ინტერნეტ-ტექნოლოგიების დამმუშავებელ ჯგუფებს შორის კოორდინირებული მოქმედება მომხმარებლისათვის ინფორმაციის გასაგებად და მარტივად მიწოდების კოორდინაციის მიზნით, ანუ უნდა შემუშავდეს ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის მიწოდების ეფექტური სტრატეგია. ასეთი სტრატეგიის არ არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მაგალითად საინფორმაციო საიტზე e-info.ge, (54 ქართული ე.მაღაზია) bestpay.ge, (38 ქართული ე.მაღაზია) bagtheweb.com (53 ქართული ე.მაღაზია) ქართულ მაღაზიებზე განსხვავებული ინფორმაციაა წარმოდგენილი. ამასთან ძალზე ცოტაა სრულყოფილი მაღაზიების რიცხვი.

ელექტრონული კომერციის ხელშეწყობის მიზნით ბანკი „ქართუ“ ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც დაინერგა ელექტრონული კომერციის სისტემა. ამ სისტემისა და საერთაშორისო საგადახდელო სისტემის Visa და MasterCard ბარათების მეშვეობით დაინტერესებულ ქართულ და უცხოურ კომპანიებს უკვე შეუძლიათ საკუთარი პროდუქცია და მომსახურება გაყიდონ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ბანკი „ქართუ“-ს მხარდაჭერით შეიქმნა ქართული ელექტრონული მაღაზიების კატალოგი, რომელიც განთავსებულია საინფორმაციო საიტზე **bestpay.ge**. ამჟამად ბანკთან 200-მდე მაღაზია თანამშრომლობს.


bestpay.ge მყიდველისათვის არის საწყისი გვერდი ონლაინ ვაჭრობისათვის. აქ წარმოდგენილია ყველა იმ ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ინტერნეტით მომსახურებასა თუ პროდუქტის შექმნას სთავაზობს თავის მომხმარებელს. გაიგებთ ყველაფერს თქვენთვის საინტერესო მაღაზიების, მათი პროდუქციის, ფასდაკლებების, ახალი კოლექციებისა და სხვა სიახლეების შესახებ. შეძლებთ გადაიხადოთ სხვადასხვა მომსახურების გადასახადები.

დიაგრამაზე წარმოდგენილია BestPay.ge საინფორმაციო კატალოგით წარმოდგენილი ქართული ინტერნეტ მაღაზიები კატეგორიების მიხედვით, მომსახურების სერვისები და მათთან დაკავშირებული ობიექტების რაოდენობა.

ყვავილები	3
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	5
სამკაულეები	3
წიგნები	2
ფარმაცევტული ნაწარმი	1
საკვები პროდუქტები	1
გადამზიდი კომპანიები	2
მომსახურება	5
ინტერნეტ ტელეკომუნიკაცია	8
ქველმოქმედება	7
საინფორმაციო	1
სასარგებლო ინფორმაცია	1



ინტერნეტში არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდება ელექტრონული კომერცია. www.bestpay.ge და bagtheweb.com საიტების მონაცემებით 77 ქართული ინტერნეტ მაღაზიაა. ამ მონაცემების მიხედვით მაღაზიათა უმრავლესობა ტექნიკითა და სერვისებით ვაჭრობს. დიაგრამაზე ნაჩვენებია ქართულ ინტერნეტ ბაზარზე პროდუქციის მიხედვით ინტერნეტ-მაღაზიების ხვედრითი წილის მიახლოებითი სურათი.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ელექტრონული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი ავტო და კომპიუტერული ტექნიკით ვაჭრობას უკავია. თითქმის თავისუფალია საკვები პროდუქტებით ვაჭრობის ბაზარი. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ძირითადად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, ამ მიმართულებით ინტერნეტ ვაჭრობის ბიზნესის განვითარება შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე მეტად პერსპექტიულია.

ინტერნეტ-მაღაზიებით ვაჭრობა თუმცა იზრდება, მაგრამ არა იმ მასშტაბებით როგორც საზღვარგარეთ ან ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, (მაგ. ბელორუსიაში 2500 ელ. მაღაზია) ამასთან გადამზიდი კომპანიების ინფორმაციის მიხედვით ქართველი მომხმარებელი უპირატესობას უფრო მეტად უცხოურ ინტერნეტ-მაღაზიებს ანიჭებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ნაკლებ პოპულარულია ელექტრონული კომერცია და მისი პოპულარიზაციისათვის საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება, კერძოდ: საინფორმაციო კამპანიის გააქტიურება, უშუალო კონტაქტი პოტენციურ მომხმარებლებთან და არა ინტერნეტ ინფორმაცია, რომელშიც ნავიგაცია დამწყებთათვის რთული და ფაქტობრივად ნაკლებ ეფექტურია; ელექტრონული კომერციის ტექნოლოგიების და ელ. მაღაზიის შექმნის პრაქტიკული სწავლება; ტრენინგებისა და ფორუმების მოწყობა რეგიონებში; ქართულენოვანი ლიტერატურის გამოცემა; უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალისტებისათვის ელექტრონული კომერციის თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად სახელმწიფოს მიერ ქმედითი ღონისძიებების გატარება.

ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები:

1. <http://www.navigator.ge>
2. Информатика для юристов и экономистов, Учебник для вузов, Под редакцией С.В. Симоновича, Санкт-Петербург, 2001
3. გიორგი კობხრიძე, „ელექტრონული კომერციის განვითარების ზოგიერთი საკითხები“, „ინტერნეტი და საზოგადოება“ მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი 2009).
4. <http://www.bestpay.ge>
5. <http://www.cartubanki.ge>
6. <http://www.businesscafe.wordpress.com>
7. <http://www.e-info.ge>

ABOUT THE TENDENCES OF ELECTRONIC COMMERCE DEVELOPMENT IN GEORGIA

Tsiuri Nozadze, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

The article deals with the purposes and tasks of electronic commerce, forms of electronic trade, and also advantages of electronic trade and problem of his development in Georgia. Here is given the analysis of the goods submitted by the Georgian electronic shops and is shown rather free places.

On the basis of the data received after the research, a part of the population living in Gori is revealed, that almost 68 % do not own the information on electronic trade. Only 2 % uses service of electronic. For increasing the knowledge about the advantages of electronic trade some activities are offered. Including trainings and forums, edition of the literature in the Georgian language, teaching the students at universities of the appropriate faculties of discipline "Information Technologies of Electronic Commerce ", etc.

ცოდნა, როგორც საქონელი და მისი როლი განათლების რეფორმაში

ლეილა მამულაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: lmamulashvili@gmail.com

იზოლდა გაბადაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: izogabadadze@rambler.ru

ინეზა წერეთელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: inezatsereteli@posta.ge

XX საუკუნის დასასრულს კაცობრიობა შევიდა ცივილიზაციის ახალ - პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, რომელმაც სიმდიდრის მთავარ ძალად ცოდნა წარმოაჩინა.

ინოვაციაზე ანუ ცოდნაზე დამყარებულმა ეკონომიკამ შეცვალა საზოგადოების ევოლუციის მატერიალური განვითარების პარადიგმა და ორიენტირებული გახდა საზოგადოებრივ კულტურაზე, ადამიანის მეტა-ცნობიერებაზე. ამასთან განვითარდა ინფორმაციული ტექნოლოგიები, რამაც განაპირობა „ინფორმაციული საზოგადოების“ შექმნა და შესაბამისად „მეტასაზოგადოების“ ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეპოქაში გაცვლით ურთიერთობათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი

დაიკავა ცოდნამ, როგორც საქონელმა. იგი იქცა წარმოების მთავარ რესურსად და საზოგადოებრივი პროგრესის მთავარ ფაქტორად. იგი ანთროპოცენტრულ სამყაროში სოციალური ენერჯის პირველად წყაროს წარმოადგენს. მისი მწარმოებელი დარგებია: მეცნიერება, განათლება, ხელოვნება, კულტურა, რელიგია და სხვა. თუმცა იგი სხვა საქონლისაგან განსხვავებით გვიან ჩაერთო გაცვლით ურთიერთობათა სისტემაში, რამეთუ იგი გვიან იქცა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის სპეციფიკურ საქმიანობად. დღეისათვის კამათს არ იწვევს, რომ იგი შეიძლება გაიყიდოს საქონლის სახით, ამასთან, განუხრელად იზრდება მისი მნიშვნელობა და როლი საქონელბრუნვაში. ცოდნის, როგორც აკადემიკოსი ლეო ჩიქავა აღნიშნავს, საქონლის სპეციფიკურობა შემდეგში გამოიხატება [2]:

1. მეცნიერული ცოდნის საფუძველი ადამიანის ინტელექტია, ანუ მისი ნიჭი, ჭკუა, გონება, აზროვნებისა და შემეცნების უნარი, დაგროვილი ცოდნის მარაგი და ა. შ. ახალი ცოდნის წყარო საზოგადოებაში მანამდე დაგროვილი ცოდნის მარაგია. იგი დროა, რომელსაც ვერ შეაჩერებ და ვერც შემოატრიალებ.
2. შეძენილი ცოდნით სარგებლობის უფლებას მოიპოვებს მყიდველი, მაგრამ ასეთ უფლებას არც გამყიდველი კარგავს. მას წინანდებურად შეუძლია მის მიერ გაყიდული ცოდნით სარგებლობა. მისი კვლავწარმოება ხელახალი შექმნით კი არ ხდება, არამედ გავრცელებით. ამ დროს თვითზრდის განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც როგორც რესურსს მხოლოდ ცოდნას ახასიათებს. ცოდნის თეზაურუსს ახასიათებს თვისება, რომ ცოდნის წარმოების ტემპს წინ უსწრებს მისი მარაგის დაგროვების ტემპი: $t_{ცწ} < t_{ცმ}$ აღნიშნული ტემპების განსხვავების ინდექსი

$$I_{ცტ} = \frac{t_{ცდ} - t_{ცწ}}{t_{ცდ}}$$

ამ ფორმულას ცოდნის, ინფორმაციული რესურსების დაგროვების კანონი ეწოდება. [3]. ამის დასტურია ილია ჭავჭავაძის სიბრძნე ცოდნასთან დაკავშირებით.

3. ცოდნა, მოხმარების პროცესში არა მარტო არ კარგავს თავის სამომხმარებლო თვისებებს, არამედ პირიქით მდიდრდება. ცოდნის მულტიპლიკაციურობის თვისება წარმოშობს ახალ ცოდნას უწყვეტად თაობიდან თაობაში.
4. ცოდნის, როგორც სპეციფიკური საქონლის წარმოება და მოხმარება დროსა და სივრცეში ემთხვევა ერთმანეთს. ყიდვა-გაყიდვას ექვემდებარება არა იდეის (ცოდნის) ავტორი, არამედ თვით იდეა (ცოდნა).
5. მინიმალური ხარჯების საფუძველზე ცოდნა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში შეიძლება იქნეს ექსპორტირებული, თანაც განმეორებით. თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში სწრაფად მიმდინარეობს ცოდნის ინტერნაციონალიზაცია.
6. ცოდნას ის თავისებურება ახასიათებს, რომ რაც არ უნდა გაიტანო ქვეყანას არაფერი დააკლდება, მთავარია ამ ცოდნის მატარებელი ადამიანი არ წავიდეს ამ ქვეყნიდან. ასე გამოხატავდა „ტვინის გადინების“ მანკიერებას ილია ჭავჭავაძე. [1]
7. ცოდნა საყოველთაო, გლობალური ხასიათისაა, ყველაზე უფრო მასობრივი მოხმარების საქონელია, მაგრამ ამის გამო მისი მარაგი არ მცირდება.
8. ცოდნას, როგორც არამატერიალურ დოვლათს შეძენისა და მოხმარების საზღვრები და ნორმები არ გააჩნია. რაც უფრო მეტს ფლობს ადამიანი, მით უფრო მდიდარია იგი.
9. ცოდნას მომხმარებელი იყენებს არა ზუსტად იმ სახით, როგორც ჰქონდა მას რეალიზაციის მომენტში, არამედ საკუთარ ცოდნასთან, ნიჭთან, შეხამებული სახით, ამიტომ მისი გამოყენების ეფექტი, მომხმარებლის ინდივიდუალური კრეატიული განსხვავებულობის გამო, ყოველთვის ერთნაირი არ არის.
10. იგი ამოუწურავი, თვითმზარდი რესურსია.
11. ცოდნის სპეციფიკაა ის, რომ შეუძლებელია მისი ვინმესთვის მემკვიდრეობით გადაცემა, გაჩუქება, არენდით გაცემა და ა. შ.
12. მეცნიერული ცოდნა რთული შრომის პროდუქტია და მეტ ღირებულებას შეიცავს.
13. ახალი მეცნიერული იდეის შემოქმედს ადვილად ვერ უწევენ კონკურენციას, ამიტომ იგი ბაზარზე მონოპოლურად მაღალ ფასად რეალიზებადი საქონელია. ამასთან ცოდნა ხასიათდება სწრაფი მორალური ცვეთადობით, რაც განპირობებულია თანამედროვე პირობებში განათლებისა და მეცნიერების სწრაფი ტემპით განვითარებით.

დღეისათვის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მეცნიერული ინფორმაციის მორალური ცვეთის საშუალო ვადა შეადგენს: ფუნდამენტურ მეცნიერებაში - დაახლოებით 30-35 წელს, ხოლო გამოყენებით კვლევებში - 5 წელს. [2].

რაც შეეხება ფიზიკურ ცვეთას, მას არ ახასიათებს, რამეთუ ცოდნა არამატერიალურია და თავის მატერიალურ მატარებლებთან ერთად არსებობს.

14. მნიშვნელოვანია ცოდნის ისეთი ნიშან-თვისება, როგორცაა სიმბიოტიკურობა – უნარი შეუერთდეს სოციალური ენერჯის სხვა წყაროებს – ადამიანის და ბუნების ძალებს. ეს კი განაპირობებს მისი პოტენციალის უსაზღვრო ზრდის რეზერვს.

15. აღსანიშნავია ცოდნის დეტონაციური უნარი, რაც მდგომარეობს, ერთი ფაქტორის მიერ სხვა ფაქტორთა მოქმედების გამოწვევით სოციალური ენერჯის ზრდაში.

ამრიგად, დღეისათვის საზოგადოების ხელში თავმოყრილი მეცნიერული და პრაქტიკული ცოდნის თეზაურუსი დიდია, თუმცა ჯერ კიდევ ადამიანთა შემეცნებითი დონე და ჭეშმარიტებათა მარაგი შორსაა მათზე არსებულ მოთხოვნილებებისაგან, რაც დასტურდება კაცობრიობის წინაშე ამჟამინდელი მრავალი გადაუწყვეტელი პრობლემებით. ამიტომ ცოდნის თეზაურუსის შევსება და ჭეშმარიტებათა ფლობა კაცობრიობის სამომავლო ამოცანათა გადაწყვეტის პირობაა და მასზე იქნება დამოკიდებული კაცობრიობის პროგრესი პერსპექტივაში. მიზანშეწონილია ახალ თვისებრივ სიმაღლეზე უნდა იქნეს აყვანილი განათლების, მეცნიერების და სულიერი წარმოების -უმადლესი სკოლის განვითარება. გაძლიერდეს კავშირი ცხოვრებასთან. ქვეყანამ ორიენტაცია უნდა გააკეთოს მოწინავე ცოდნასა და გამოცდილებაზე დემოკრატიის, თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობის პირობებში. თანამედროვე ანთროპოცენტრულ სამყაროში ყურადღება საზოგადოების ყველა რგოლში უნდა დაეთმოს სოციალური ენერჯის ადამიანისმიერი რესურსების მოქმედებას, რითაც ყველა სხვა წყაროც იქნება მოქმედებაში მოყვანილი. ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი არა რესურსების რაოდენობის გადიდებით, არამედ მათი გამოყენების გაუმჯობესებით მივაღწიოთ სოციალური ენერჯის ზრდას. მიმდინარე რეფორმის საფუძველზე მიღწეულმა პროგრესმა მნიშვნელოვნად განაპირობა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან დაახლოება, მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებიდან სტუდენტზე ორიენტირებულ განათლებაზე გადასვლა, საერთაშორისო თანამშრომლობა სტუდენტებსა და ინსტიტუტებს შორის, თავის მხრივ ზრდის უმაღლესი განათლების და კვლევის ხარისხს და ხელს უწყობს ევროპული განზომილებების დამკვიდრებას. უმაღლესმა სკოლამ უნდა მისცეს კვლევებსა და ინოვაციაზე დაფუძნებული თანამედროვე ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებს დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობისათვის, პიროვნული განვითარებისათვის, მომავალი კარიერისათვის. უმაღლესმა სკოლამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებაში ცოდნის, უნარების და კომპეტენციების დონის ამაღლებაში. რაც თავის მხრივ გახდება პიროვნული განვითარების, მდგრად, დემოკრატიულ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველი.

ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, პავლე ინგოროყვას შესავალი წერილი, თბილისი, 1957, გვ. 536.
2. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი, 2006, გვ. 98.
3. მალაშვილი გ., მეტაეკონომიკა, ეკონომიკის ფილოსოფია, თბილისი, 1995, გვ. 105
4. გაბადაძე ი., ლომინაშვილი შ., გელხვიძე ე., ეკონომიკური თეორიის საკითხები, ქუთაისი: საქართველო, 1999, გვ. 320
5. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. www.laws.codexserver.com
6. Нижегородцев Р.М. информационная экономика. Книга 2. Управление беспорядком. Экономические основы производства и обращения информации.-Москва:костррома.2002.-с.9.

KNOWLEDGE AS THE GOODS AND ITS ROLE IN EDUCATION REFORM

Leila Mamulashvil, Gori Teaching University, Associate Professor

Izolda Gabadadze, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Ineza Tsereteli, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

RESUME

In the end of 20th century the mankind was included into an epoch where the knowledge represents the basic force of well-being of people. The economy, based on an innovation or knowledge has changed a paradigm of material development of public evolution and became focused on public culture, on meta-consciousness of the person. An information technology that has caused creation of "an information society" and accordingly "meta-technology" formation developed at the same time.

In the article the knowledge is presented as the special specific goods, and distinctive signs distinguishing it from any products of work are listed. The value of accumulation of stocks of knowledge and an originality of its reproduction are explained. A considerable role of the higher education for increasing the level of knowledge, ability and the society competences are shown.

THE ROLE OF BUSINESS INCUBATOR IN SME SECTOR DEVELOPMENT

Tatiana Papiashvili, International Black Sea University, Prof. Dr.
E-mail: t.papiashvili@ibsu.edu.ge

Introduction

The role of small and medium enterprises (SMEs) in Georgian economy has been repeatedly acknowledged at the highest political level (Georgia: Country, 2011; p.7) because SME sector has an important role in creating and functioning of market economy in the country. Despite, Georgia still needs to take further significant measures to release the full potential of SMEs. At the heart of the policy is the conviction that achieving the best possible framework conditions for SMEs depends on society's recognition and support of entrepreneurship. In such a situation international experience has a special meaning. In particular, the European Charter for Small Enterprises that covers ten policy dimensions, and education and training for entrepreneurs is considered as one of the priorities (Communication from, 2008; p.4-5). One way to provide such business education and trainings for SMEs' owners and managers is business incubator.

For Caucasian countries in transition (Armenia, Azerbaijan and Georgia) weakness of education and training system for entrepreneurship is a common problem. In Georgia low efficiency and weakness of information-consulting services including business incubators services in combination with lack of business experience and efficiency of SME support institutions, result in total weakness of SME sector development (Small and medium, 2006; p.33).

The article focuses on international experience of functioning of business incubators as an important contributor to the SME sector development.

Business incubator: concept and role

The world statistics reveals that not more than 20% of all new-appeared companies survive in market zone notwithstanding that 80% of them have productive and progressive ideas. So the appeared decision is quite logical - to assist small businesses during their start-up as the most complicated step when the founders of the companies do not have enough experience and opportunities for overcoming both administrative and financial problems. This support for new ventures to grow and to survive during their early years may be effectively provided by business incubator (BI).¹⁸ In other words, incubators are designed to address market failure as an incubation program's main goal is to produce successful graduates — businesses that are financially viable and free-standing when they leave the incubator (usually in two or three years).

Typically "the role of business incubators is to provide a supportive environment, where new entrepreneurs receive training and assistance in business management and marketing, various other business services, and access to seed capital" (Policy Measures, 2009; p.170). Thus, business incubators focus on attracting a combination of pure start-up companies and firms at an early stage of development. They typically involve incubators acting as a link between centers of R&D excellence and business, commercializing R&D, helping to develop the supply chains for industrial clusters, promoting SME competitiveness, and in some cases, a more specialized role, e.g. addressing social inclusion by helping disadvantaged communities to engage in entrepreneurial activity or promoting other territorially focused priorities (Benchmarking, 2002; p. 39-40). Critical to the definition of the role of incubators is the provision of management guidance, technical assistance and consulting tailored to young growing companies. It has also been suggested that incubators may enhance the entrepreneurial culture of an area and act as a magnet for highly skilled individuals looking to benefit from the services provided by the incubator (What Is Business, n/d).

Generalizing, incubators add value to their tenants in four areas: diagnosing business needs, selecting and monitoring their tenants, providing access to business networks and providing access to capital.

¹⁸ Business incubation first emerged in the US. The Batavia Industrial Center, commonly known as the first U.S. business incubator, opened in Batavia, N.Y., in 1959. But the concept of providing business assistance services to early-stage companies in shared facilities did not catch on with many communities until at least the late 1970s.

In more recent years, communities around the world have embraced the business incubation concept. In Columbus, Ohio; Birmingham, Ala.; Troy, N.Y.; Atlanta; San Jose, Calif.; Philadelphia; Canberra, Australia; Shanghai, China; Coventry, England; and in many other places, model incubation programs have become deeply respected institutions. Recognizing the need for information sharing within this new growth industry, business incubation leaders formed the National Business Incubation Association (NBIA) in 1985 to provide training and tools for assisting start-up and fledgling firms and to serve as a clearinghouse for information on incubator management and development issues. The association's membership has grown from approximately 40 members in its first year to approximately 1600 in 2006 (For more detail, see: http://www.nbia.org/resource_library/history/index.php).

Types and functions

To differentiate one type of incubator from another the particular criteria should be chosen. In the past, incubator models have tended to be classified according to the nature of inputs (public, private, etc) and processes (type of incubator space, range of services, etc). Better method of classification is to differentiate between the services provided by incubators as reflected in the activities of their tenant companies. This can be done either in terms of a standard definition of business activities (different types of manufacturing, services, etc) or, at a higher level, in terms of the technology-intensity of activities or, in particular, the technology/knowledge intensity of these activities. Such approach makes sense given the fact that different types of incubators are increasingly offering very similar 'core' services.

As it was mentioned above, business incubator is a facility designed to produce the most favorable conditions for a successful start-up of small businesses. To achieve this goal BI provides selected entrepreneurs two types of services: facilities and business services. In particular, first of all, typical BI usually provides its tenant companies with office space on a reduced rent rates. Moreover, incubator services include management guidance, consulting in the spheres of jurisprudence, marketing, and accounting, the provision of assistance in research and development of innovation products, product introduction, trade creation on local and world markets, access to investment are organized as well. This complex of services significantly increases the likelihood that a company will be able to survive in market. During the incubating period entrepreneurs mostly concentrate on the development of their innovation ideas. Meanwhile the numerous business incubators' staff, consultants and experts assist their residents to solve all other problems concerning the realization of innovating ideas into life.

Among all functions, the provision of physical space is considered as central to the incubator model. The research suggests that European incubators typically have around 5,800 square meters of space for tenants, sufficient to accommodate some 18 firms at any one time in a variety of units (Benchmarking, 2002; p.84). Smaller incubator space is likely to make it more difficult to generate economies of scale.

The 'core' (in-house) services provided by typical incubator can be summarized as followings:

- pre-incubation (support services to would-be entrepreneurs, e.g. helping them to develop a business plan, training and advice on forming a company, offering desk space and other basic support such as computer and telephone, providing advice and assistance with company registration procedures, etc);
- entrepreneur training (usually part of courses provided by business schools/universities);
- business support services (business planning, advice on accessing capital and help with raising bank finance, grants, venture capital, marketing, identification of suitable business partners and general strategic advice, other types of business support services, such as specialist legal services, accounting and market research tend to be provided by specialist external providers with whom incubator management have established relationships);
- financing start ups and expansions. Incubators can have an important role in bridging the financing gap between the SME market and the financial community. Venture capitalists have historically tended to shy away from the early-stage venture market. Therefore, incubators often play a positive role in redressing market failure by demonstrating that through a managed approach to enterprise creation risks can be minimized and returns maximized.

Another group of business incubators concentrates on selecting and assisting entrepreneurs who have special technological or innovative schemes. This group of incubators provides a basis for technology transfer and their functions are different from the "typical" ones. Some, for example, provide access to centers of excellence (e.g. university laboratory) whilst others have their own specialist resources. On a larger scale, there are examples of incubators that are involved in a wider regional strategy including the development of a cluster or group of companies supporting a technologically based organization.

One of the rationales for the new-economy incubator model is diversification. By investing simultaneously in a portfolio of early start-ups, the incubator lowers the overall investment risk.

The notion of providing entrepreneurs with a 'one-stop' system of enterprise support is central to the business incubator concept. But this does not mean that all business incubators' facilities and services are provided on an in-house basis: many incubators ensure access for their clients to a complete range of enterprise support through a combination of using staff to provide services, encouraging tenant companies to network amongst themselves, and using external providers. There is also a difference between countries in which incubators offer a comprehensive range of services in-house or externally. In Italy, for example, there appears to be particular emphasis on external networking, while in France incubator services are mainly provided in-house (Worldwide models; n/d).

In most Western incubators, governments subsidize incubators, and assure rotation of tenants and financial sustainability. Israel illustrates the example of the country which has produced a program of business-incubating that includes special mechanism of financing: the company can get a low interest loan and is obliged to pay back only after a successful start in a free market. In other words, innovators are concentrated mostly on their product development by means of investment outsourcing (Small business assistance, n/d).

Similar to Israel, Russian government has generated a program for small business in innovations. Federal and local budgets equally take part in financing business incubators. Contest committee selects the most promising projects, which are placed into the incubators¹⁹.

The earliest incubation programs focused on a variety of technology companies or on a combination of light industrial, technology, and service firms – today are referred to as mixed-use incubators. However, in more recent years, new incubators have emerged targeting industries such as food processing, medical technologies, space and ceramics technologies, arts and crafts, and software development. Incubator sponsors have also targeted programs to support the needs of women and minorities, environmental endeavors and telecommunications²⁰.

Legal status and financing

Incubators are typically promoted by a wide range of organizations from public and private sectors including local authorities, universities, companies, and financial institutions. As international statistics reveals, key partners involved in setting up business incubators are national authorities and public agencies (25.3%) while companies, banks and other private sector organizations together with universities and other R&D organizations cover 37.2% (Benchmarking, 2002; p.34). Public authorities have an important catalytic and leadership function, and provide crucial pump-priming investment during the development phase of incubators.

Legal status of most of business incubators is private company (37.6%) and about each fourth is public one. A typical incubator has around 18 tenants at any one time (Ibid; p.35, 39). It should be stressed specially that number and quality of tenants is a key factor influencing the successful performance of incubators. An analysis of best practice suggests that incubators should not be treated as standalone operations but rather integrated into a network of key stakeholders, agencies and schemes that work together to promote innovation, competitiveness, technology transfer and other key public policy objectives.

One of the critical 'driver' of success of incubators is the way in which business incubators are financed and the extent to which they are able to generate sufficient revenue to help cover start-up and operating costs. As the survey suggests most business incubators operate on a not-for-profit basis, in particular, 77% of European incubators although a significant proportion (just over one-fifth) is essentially commercial operations (Benchmarking, 2002; p.41, 84). The highest proportion of cost relating to staff (41%) followed by client services (24%), maintenance of buildings and equipment (22%), and other costs such as utilities (13%) (Ibid, p.44).

Most incubators depend heavily on public financing to help cover their start-up costs and often a high proportion of their operating costs, too. Long-term public support may be given if, for example, it can be demonstrated that investment in a business incubator's operations is a more cost-effective way of creating jobs than alternative policy instruments. Beside public subsidies that constitute a very important source of revenue, high proportion of revenue (39.5%) is generated from rentals and other service charges (a further 11% comes from other services) (Ibid, p.44).

Brief evaluation of incubator impact

The performance of business incubators should be judged primarily in terms of the results achieved, i.e. the impact they have on businesses, wider economic development, and other national priorities. Traditionally there are two time frames – the long-run and the short-run period. The short-term effects are obvious: decrease of the small business failure rates. With the support of business-incubators the percentage of succeeded organizations can be raised from 20% up to 60-80% (World experience, n/d).

From society point of view, it is more important to judge incubator performance in terms of the long-term aggregate impacts achieved such as

- overcoming of market failures;
- wealth creation effect through generating jobs and incomes inside and outside;
- improvement quality of jobs;
- favorable impact on local/regional labor markets;
- promotion of regional development;
- raising of investment in R&D.

The benefits of a well-managed incubator for different stakeholders can be summarized in followings²¹:

➤ **For tenants:** it enhances the chances of success, raises credibility, helps improve skills, creates synergy among client-firms, facilitates access to mentors, information and seed capital.

➤ **For research institutes and universities:** business incubators help strengthen interactions between university-research-industry, promote research commercialization, and give opportunities for faculty/graduate students to better utilize their capabilities.

➤ **For local business:** business incubators can develop opportunities for acquiring innovations, supply chain management and spin-offs, and help them meet their social responsibilities.

¹⁹ <http://nibi.nnov.ru/en/about/function>

²⁰ www.nbia.org

²¹ http://www.bii.ge/?action=page&p_id=35&lang=eng

➤ **For local community:** BI creates self-esteem and an entrepreneurial culture, together with local incomes as a majority of graduating businesses stay within the area.

➤ **For international community:** it generates opportunities of trade and technology transfer between client companies and their host incubators, a better understanding of business culture, and facilitated exchanges of experience through associations and alliances.

Business incubation idea in Georgia

In Georgia business incubator practice has its own history. Business Incubation Initiative Georgia team started research from 2002, with the aim to develop model of incubator for Georgia. According to the survey of 2004, most Georgian businessmen thought that business incubation idea was utopia (SME Business Development, p.54). Soon they have changed their opinion and now business incubator raises interest and sympathy (at least a nominal!) of all categories of Georgian businesses (Elizbarashvili, Samadashvili, Burchuladze, n/d; p.2).

ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოებისა და მოხმარების დასახასიათებლად საქსტატის მიერ 1995 წლიდან ყოველწლიურად დგება სასურსათო ბალანსები, რომლებშიც აისახება არსებული რესურსები და მათი გამოყენება. ბალანსები მოიცავს: ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ხორცის (მათ შორის: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის და ფრინველის ხორცის), რძისა და რძის პროდუქტების და კვერცხის ბალანსებს. ბალანსებში აისახება ასევე კონკრეტული პროდუქციის მოხმარება ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით.

რესურსები იყოფა ორ ნაწილად – ადგილობრივად წარმოებული და იმპორტირებული, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ: 1. თანაფარდობა რესურსებში ადგილობრივად წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის; 2. ქვეყნის მიერ საკუთარი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონე.

ჩვენი გამოთვლებით, 2009 წელს ადგილობრივად წარმოებული სიმინდის მოცულობა იმპორტირებულს აღემატება 9-ჯერ, კარტოფილი – 12-ჯერ, ბოსტნეული – 2,9-ჯერ, ყურძენი – 150-ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი – 2,1-ჯერ, ცხვრისა და თხის ხორცი – 41-ჯერ, რძე და რძის პროდუქტები – 10,8-ჯერ, კვერცხი – 39,2-ჯერ. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოცემული თანაფარდობა ხორბლის მიხედვით შეადგენს – 8,6%, ყველა სახის ხორცის მიხედვით – 87,7%, ღორის ხორცის მიხედვით – 59,9%, ფრინველის ხორცის მიხედვით – 31,7%. 2008 წლიდან შაქარი საქართველოში საერთოდ არ იწარმოება.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მთავარი ისაა, ადგილობრივი წარმოება რამდენი პროცენტით უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას, რაც ხასიათდება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტით და გამოითვლება ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის მოცულობის შეფარდებით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებასთან (იხ. ცხრილი). [ხმალაძე მ. 2011]

ცხრილი

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები საქართველოში სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის სახეების მიხედვით

პროდუქცია	1995	2000	2005	2008	2009
ხორბალი	8	10	21	12	8
სიმინდი	100	100	97	97	92
კარტოფილი	114	102	101	86	93
ბოსტნეული	101	100	95	76	76
მცენარეული ცხიმები	6	3	25	19 ¹
შაქარი	0	27	40	0	0
ყურძენი	109	111	133	117	118
ხორცი (ყველანაირი)	83	84	76	48	47
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი	96,5	96	87	68	76
ღორის ხორცი	94,9	96	84	47	37
ცხვრისა და თხის ხორცი	100	100	99	101	98
ფრინველის ხორცი	33	45	46	26	24
რძე და რძის პროდუქტები	68	64	74	94	92
კვერცხი	51	55	71	95	101

კონკრეტულად, 2009 წელს, ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, 8% ნიშნავს, რომ ამ წელს საქართველოში წარმოებული 54 ათასი ტონა ხორბალი 8%-ით აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას, დანარჩენი 92% კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე. როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ქვეყნის თვითუზრუნველყოფის დონე ყველა სახის პროდუქციის მიხედვით მცირდება რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხისა და ყურძნის გარდა. ამასთან ერთად, თუ 1995-2000 წლებში საქართველო სრული 100%-ით იყო უზრუნველყოფილი ხუთი დასახელების პროდუქტით: სიმინდით, კარტოფილით, ყურძნით, ბოსტნეულით, ცხვრისა და თხის ხორცით, 2005-2009 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 2-დე შემცირდა. 2005 წელს ეს პროდუქტებია – კარტოფილი და ყურძენი; 2008 წელს – ყურძენი, ცხვრისა და თხის ხორცი; 2009 წელს – ყურძენი და კვერცხი. [სტ. წელიწად. 2009]

აღნიშნული ნეგატიური ტენდენციები ცხადყოფენ, რომ საქართველოში არ ტარდება სოფლის მეურნეობის მასტიმულირებელი პოლიტიკა, რაც საშიშროებას უქმნის ქვეყნის სასურსათო და საერთოდ ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ლიტერატურა:

1. მარინე ჩავლეიშვილი. საქართველოს აგრარული სფეროს განვითარების პირობები და პრიორიტეტები. ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", იანვარ-თებერვალი, 2009. გვ. 21
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული თბ., 2009. გვ.48
3. მერაბ ხმალაძე. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. გამომცემლობა "მერიდიანი". თბ., 2011. გვ.232
4. სტატისტიკური წელიწადეული, თბ., 2009. გვ.77

¹ 2009 წელს მცენარეული ცხიმების ბალანსი არ გამოქვეყნებულა.

AGRICULTURAL PRODUCTION FOR THE PROVISION OF GEORGIA

Merab Khmaladze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Economic Sciences, Professor
Nana Akhalaia, Gori Teaching University, Associate Professor

ABSTRACT

About 13% of gross domestic product are agricultural products. Historical Statistics since 1913 shows that the development of agriculture has reached its maximum in 1985-1990. After that it decreases. In the last decade the area of wheat crops reduced twice; also the data of poultry and cattle-breeding reduced.

In accordance with this trend has negatively affected local production of the country. In particular: wheat - 12%, meat - 47%, (in 2000 - 84%), sugar - 0%. Country fully ensured only with grapes. In 2000, it was fully secured: by grapes, corn, potatoes, vegetables, by pork, lamb and goat meat.
Provision of local products will be the country's food security and its economic independence.

მცირე და საშუალო ბიზნესის ინფორმაციული ბაზის სრულყოფის საკითხები საქართველოში

ნინო აბესაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

Email: ninka_abesadze@yahoo.com ninkaabesadze@mail.ru

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ბიზნეს-სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესება წარმოადგენს. მართალია, საწარმოთა გამოკვლევას საქსტატი ყოველკვარტალურად ახორციელებს, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულყოფილი სახით ეს გამოკვლევა მხოლოდ ერთხელ, 2008 წელს ჩატარდა ევროკავშირის პროგრამა TACIS-ის დაფინანსებით. აქედან გამომდინარე, ოფიციალური სტატისტიკა, ჯერ-ჯერობით, სრულად ვერ ახორციელებს მცირე და მიკრო ბიზნესის კვლევებს, რაც შედეგების პოპულარიზაციის საფუძველზე ბიზნესმენს ჩამოუყალიბებდა საქმიანობის სწორი ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავების, მისი ბიზნესის განვითარების ხელისშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორთა გამოვლენის და სხვ. უნარს. ფაქტია, რომ დღეს, საქართველოში, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები რეალურად მოკლებულნი არიან მარკეტინგულ კვლევების ჩატარებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე სწორი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც დიდი ბიზნესისათვის შედარებით ადვილად მისაღწევია. დღეს ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევები ხორციელდება შერჩევითი მეთოდით. მსხვილი საწარმოები გამოიკითხება სრული მოცვით, ხოლო საშუალო და მცირე ზომის საწარმოები – შერჩევით.

ზომის მიხედვით საწარმოების კლასიფიკაცია მოიცავს: მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს. (მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ. 2009) მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე.

ბიზნეს-სტატისტიკის გამოკვლევისას გამოსაკვლევ საწარმოთა შერჩევა ხორციელდება საქსტატიში არსებული მოქმედ საწარმოთა ბაზიდან.

აღნიშნული ბაზის ფორმირება თავდაპირველად განხორციელდა 2005 წელს, იმდროინდელი საგადასახადო სამსახურის რაიონულ დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად, მისი სრული აქტუალიზაცია კი განხორციელდა 2009 წელს. ის მოიცავს ყველა მსხვილ საწარმოს და მეტ-

ნაკლებად ყველა საშუალო ზომის საწარმოებს, მაგრამ მცირე საწარმოების რეალური რაოდენობისაგან გარკვეულწილად განსხვავდება, რაც მის ხარვეზებზე მიგვანიშნებს.

იხ. ცხრილი №1

მოქმედ საწარმოთა რაოდენობა ზომის მიხედვით
(2010 წლის 1 ივლისის მდგომარეობით)³²

	რაოდენობა	%
სულ	39078	100,0
მსხვილი	1902	4,9
საშუალო	3698	9,5
მცირე	33478	85,6

აღნიშნული ბაზა (39078 საწარმო) არ მოიცავს NACE-ის კლასიფიკატორის მიხედვით ყველა საქმიანობის სექტორებს (ნ. აბესაძე, თბ., 2011)

იგი მოიცავს მხოლოდ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოებს:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- სააქციო საზოგადოება;
- კოოპერატივი;
- კომანდიტური საზოგადოება
- ინდივიდუალური მეწარმე.

ბიზნეს-სტატისტიკის სფეროში კვლევისას, გამოსაკვლევ საწარმოთა შერჩევა ხორციელდება საქსტატში არსებული მოქმედ საწარმოთა ბაზიდან.

ზომის მიხედვით 2010 წლის II კვარტლის მონაცემებით, საწარმოთა დაჯგუფება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი 1.

ბიზნეს-სექტორის ბრუნვის, პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმების მაჩვენებლები, საწარმოთა ზომის მიხედვით

(2010 წლის II კვარტლის გამოკვლევის შედეგები) *

	ბრუნვა		პროდუქციის გამოშვება		დასაქმებულთა რაოდენობა	
	მილიარდი ლარი	%	მილიარდი ლარი	%	მილიარდი ლარი	%
სულ	5,74		2,97	100,00	371,4	100,00
მსხვილი ბიზნესი	4,78	83,28	2,42	81,48	217,9	58,67
სასუალო ბიზნესი	0,49	8,54	0,28	9,43	73,1	19,68
მცირე ბიზნესი	0,47	8,19	0,27	9,09	80,4	21,65

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის 83,28 % მსხვილ ბიზნესზე მოდის, ხოლო საშუალო და მცირე ზომის საწარმოებზე შესაბამისად 8,54% და 8,19% ნაწილდება.

რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შეიცვლება ბრუნვის მოცულობის სტრუქტურა საწარმოთა ზომების მიხედვით, თუ შეიცვლება საშუალო და მცირე ზომის საწარმოთა რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაში.

აღსანიშნავია, რომ საქსტატში არსებული გენერალური ერთობლიობა მოიცავს საშუალო და მცირე საწარმოთა უფრო ნაკლებ რაოდენობას, ვიდრე ეს რეალობაში შეიძლება არსებობდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამან მაინცდამაინც დიდი სხვაობა არ უნდა მოგვცეს პროცენტული წილების გაანგარიშებისას. (ნ. აბესაძე, თბ., 2011)

³² ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემების საფუძველზე. www.geostat.ge

* შენიშვნა: ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყანაში ბიზნეს (საწარმოთა) სტატისტიკის გამოკვლევები და, აქედან გამომდინარე, შერჩევის სამუშაოები ეფუძნება ადმინისტრაციულ წყაროებს, რასაც საქართველოში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზები წარმოადგენს. თუმცა, მისი გამოყენება სტატისტიკის მიზნებისათვის ჯერ-ჯერობით გარკვეულწილად გამოუსადეგარი ხდება, რადგან გადასახადის გადამხდელთა ბაზაში ჩართულია ისეთი სუბიექტები, რომლებიც სტატისტიკის გამოკვლევის ობიექტს არ წარმოადგენენ (მაგალითად: ფიზიკური პირები, სუბიექტები, რომლებიც მხოლოდ ქონების გადასახადს იხდიან, სუბიექტები, რომლებმაც გადაიხადეს გარკვეული გადასახადები ერთჯერადი ოპერაციისათვის). ეს კი ხელოვნურად იწვევს ბაზის გაზრდას. ამასთან ბაზაში ზოგჯერ არ არის დაფიქსირებული საწარმოთა ფაქტიური მისამართი, ხშირ შემთხვევაში სწორად არ არის მითითებული ტელეფონის ნომერი, რაც აუცილებელია ინტერვიურების განხორციელებისათვის.

არასრულად, ან, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არაა მითითებული ეკონომიკური საქმიანობის სახე. აღნიშნულ ბაზაში არ არის გამორიცხული აგრეთვე სხვადასხვა სახის ტექნიკური შეცდომებიც, რაც აფერხებს მის გამოყენებას სტატისტიკური მიზნებისათვის. გარდა ამისა, გარკვეული განსხვავებებია საქსტატისა და შემოსავლების სამსახურის მეთოდოლოგიაში, რომელიც ეხება მოქმედი საწარმოს განსაზღვრას.

საქსტატისთვის საწარმო მოქმედად ითვლება, თუ იგი ფუნქციონირებდა საანგარიშო პერიოდში, ე. ი. მიიღო გარკვეული შემოსავალი და/ან გაწია გარკვეული ხარჯები. შეიძლება საწარმო არ ფუნქციონირებდა საანგარიშო პერიოდში, მაგრამ გადაიხადა ქონების გადასახადი. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული საწარმო შემოსავლების სამსახურისთვის მოქმედად ითვლება, საქსტატისთვის კი არა.

სამწუხაროდ, ვერ ხერხდება მონაცემთა ბაზების შედარება საწარმოთა ზომების მიხედვით, ვინაიდან ამისთვის აუცილებელია ცალკეულ საწარმოზე ბრუნვისა და დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციის ფლობა, რაც არ მიიღება შემოსავლების სამსახურიდან გარკვეული მიზეზების გამო.

თუმცა საქსტატში არსებული მოქმედ სუბიექტთა ბაზაში არსებული საშუალო და განსაკუთრებით მცირე ზომის საწარმოთა რაოდენობა განსხვავდება მათი რეალური რაოდენობისაგან.

აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად აუცილებელია ეკონომიკური აღწერის ჩატარება, რომელიც ქვეყანაში საერთოდ არ ჩატარებულა. თანაც აუცილებელია მისი ჩატარება პერიოდულობით (მაგ.: 5 წელიწადში ერთხელ), ხოლო აღწერათა შორის პერიოდებში მოხდება ბაზის აქტუალიზაცია როგორც ბიზნეს რეგისტრის ხაზით, ასევე საწარმოთა კვარტალური და წლიური პერიოდულობის გამოკვლევებით. ამასთან უნდა განხორციელდეს რეგისტრირებულ საწარმოთა ეტაპობრივი აქტუალიზაცია სხვადასხვა დარგების მიხედვით.

შემოსავლების სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზებზე საქსტატის სრული ხელმისაწვდომობა და ამ უწყებების შეთანხმებული თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქსტატის მხრიდან ეკონომიკური სუბიექტების რეგისტრაციას, სტატისტიკურ აღრიცხვიანობას და აქედან გამომდინარე სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხს.

ლიტერატურა:

1. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ.2009, გვ.47-75;
2. N. Abesadze-Bewertung der Businessbedingungen in Georgien. ქ. „ახალი ეკონომისტი“ თბ. 2011
3. ნ. აბესაძე - ბიზნეს-სტატისტიკის თანამედროვე საპროგნოზო მოდელები, თბ., 2011; გვ.29-32;
4. www.fms.gov.ge
5. www.geostat.ge

IMPROVING THE INFORMATION BASE OF SMALL AND MEDIUM BUSINESS IN GEORGIA

Nino Abesadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Academic Doctor of Economics,
Associate Professor

RESUME

The work deals with the question and information base for the improvement of small and medium business in Georgia. The small and medium business enterprises in Georgia are in fact deprived of the holding and the results obtained on the basis of a proper marketing research management decision-making ability, which is a great business to be achieved relatively easily. Large enterprises are fully studied, and small and medium-sized enterprises - selectively.

It should be noted that in many countries, business (SME) statistics, studies, and therefore the selection of works is based on administrative sources and data is represented by the Georgia Revenue Department in the Ministry of Finance. However, its use for statistical purposes somehow becomes useless, because the taxpayers in the database are not the objects of statistics.

In the work is proved the necessity of holding periodical economic research, which is generally not carried out. It also deals with inevitability of actualization of the base. Classification of enterprises according to their sizes are given, and the question of gradual Actualization of the registered enterprises is presented.

მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვა მარკეტინგული კვლევის საფუძველზე

დევი შონია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ირმა დიხამინჯია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

არსებობს გამოთქმა: „ის, რისი გათვალისწინებაც შეუძლებელია, ვერ იმართება,“ ან ხშირად მოგვისმენია ჩვენი გამოცდილი უფროსებისაგან შემდეგი დარიგება: „სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამ, უნდა გაითვალისწინო ის, თუ რა შეიძლება ყველაზე საშიში და ცუდი მოჰყვეს ამ ნაბიჯს, რადგანაც კარგი ისედაც არ აგცდება“. ეს გამოთქმები იმდენად ნათელი და რეალურია, რომ, გარკვეულწილად, გაკვირვებასაც კი იწვევს ის, თუ ვის მოუვიდა ასეთი რამ აზრად.

რა თქმა უნდა, ეს გამოთქმები სრულიად ვერ ასახავენ ჭეშმარიტებას ბიზნესთან მიმართებაში, რადგანაც ძალიან ბევრი ეფექტურად მომუშავე მენეჯერი, თავის პრაქტიკაში მხოლოდ საკუთარი ინტუიციით ხელმძღვანელობს და ბიზნესში აღწევს საუკეთესო შედეგებსაც, ვიდრე მისი ის კოლეგები, რომლებიც ბოლომდე არ არიან დარწმუნებულები საკუთარ ქმედებებში იმის გამო, რომ არ გააჩნიათ საკმარისი მონაცემები თავიანთ საქმიანობაზე.

სწორედ ასეთი მიდგომით და აქედან გამომდინარე, შევეცდებით მოცემულ სტატიაში განვიხილოთ კლიენტებთან ურთიერთობების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომლის დროსაც „მომხმარებლებთან მჭიდრო ურთიერთობების მხარდაჭერა“ და ასეთი ურთიერთობების ფორმირება კომპანიის თანამშრომლებში, შეიძლება ითქვას, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მეთოდი იყოს, ვიდრე მენეჯმენტის ის სხვა მეთოდები, რომლებიც სხვადასხვა გათვლებს ემყარება.

გათვლებით ხელმძღვანელობა რომ აუცილებელია, ეს დავის საგანს ნამდვილად არ წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ისეთ ბიზნესში, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის რთულ სახეებთან, ან ისეთ კომპანიებში, რომლებისთვისაც არ არის მარტივი ინფორმაციის მოპოვება მათ მიმართ კლიენტების დამოკიდებულებაზე.

თანამედროვე ბიზნესის მთავარი თავისებურება ეს არის, პირველ რიგში, ორიენტაციაში კლიენტზე, მის მოლოდინებზე, გადაწყვეტილებებისა და უპირატესობების წინასწარ განჭვრეტაზე. სპეციალისტების აზრით, დღეს მსოფლიოში უკვე არ არსებობს გაყიდვადი კეთილდღეობისა და მომსახურების დეფიციტი. არსებობს კეთილდღეობის მომხმარებლების, მყიდველების დეფიციტი. თანამედროვე ბიზნესიც განიცდის სწორედ მომხმარებლების, მყიდველების დეფიციტს. კომპანიები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ მომხმარებლების ფულზე. მომხმარებელი კი, რომელიც დაიღალა საქონლისა და სარეკლამო ლოზუნგების მრავალფეროვნებით, უკვე ძველებურად არ რეაგირებს მასობრივ სარეკლამო კამპანიებზე. ფირმები გასაღების გააქტიურებისათვის, საქონლის ნაცვლად - საქონელ-ბრენდის, საქონლის მოხმარებისაგან უტილიტარული სარგებლის ნაცვლად - ბრენდ-ნივთის დაუფლებით მინიჭებული სიამოვნების გაყიდვას იწყებენ. თანამედროვე მომხმარებელი მოითხოვს მეტ ყურადღებას მისი პერსონისადმი. ის ღიზიანდება „ცივი“ მიღებით, უყურადღებოებით, რიგში დგომით და ა. შ. ამიტომაც ის მიესალმება და იმახსოვრებს მისი საჭიროებებისადმი ნებისმიერ ყურადღებას. ის კომპანია, რომელიც ყოველი მისი მომხმარებლისადმი ავლენს დიდ ყურადღებას, ხდება საყვარელი და პატივცემული მისი მომხმარებლებისაგან. მომხმარებელი მიმართავს მის მომსახურებას ისევ და ისევ, რითაც ზრდის კომპანიის გაყიდვების მოცულობას, მის მიერ პროდუქტის წინსვლაზე

ზედმეტი ხარჯების გარეშე. სტატისტიკის მიხედვით, დაკმაყოფილებული კლიენტი წარმატებულ ყიდვაზე უამბობს მის ხუთ ნაცნობს, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით მიმართავენ იმავე ფირმას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღევანდელ კონკურენტულ და ტექნოლოგიურად რთულ პირობებში, არცერთი ფირმისათვის არ არის უმნიშვნელო დაადგინოს ის, თუ მომხმარებლებს რამდენად აწყობთ მათთან ურთიერთობების დამყარება. ამისათვის კი მიზანშეწონილია ფირმამ თავისთვის განისაზღვროს კვლევის ის მასშტაბები, რომელთა მიზანიც უნდა იყოს დადგენა იმისა, თუ როგორ აღიქვამენ ფირმის მომხმარებლები ურთიერთობებს ამავე ფირმასთან და ასევე ის, თუ რას გრძნობენ ისინი ამ მიმართულებით. ანუ ფირმამ ის უნდა დაადგინოს, თუ რანაირად აღიქვამენ და განსაზღვრავენ მომხმარებლები მასთან ურთიერთობებს როგორც მთლიანად, ასევე ყოველ განსაზღვრულ ეტაპზე, როდესაც მათი აზრით, ისინი ურთიერთქმედებენ ფირმასთან.

როგორც წესი, მომხმარებლებთან ურთიერთობების დასრულების შემდეგ, შედარებით მარტივია მიღებული შედეგების შეფასება, ანუ მას ეგ. წ. „ჭეშმარიტების“ მომენტს უწოდებენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად სიტუაცია შემდეგნაირად ყალიბდება: მომხმარებლებთან უშუალო ურთიერთობებს ყოველთვის წინ უსწრებს მოსალოდნელი კონტაქტებისა და მათი თანმიმდევრული გააზრების პერიოდი. ფირმასთან მომხმარებლების ურთიერთობების ფორმირება ხორციელდება ძალიან რთულად, გრძელვადიან პერიოდში და შეიძლება იცვლებოდეს კიდევაც სხვადასხვა კონტაქტების, ან მათი განხორციელების მცდელობის ფონზე. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ მსგავსი სიტუაციების ძალიან ბევრი მაგალითი:

- მომხმარებელი რეკავს უფასო სატელეფონო ხაზით, რომელიც შეიძლება იყოს დაკავებული;
- მომხმარებელი ცდილობს შეხვედრაზე შეთანხმების მიღწევას ბანკის ან სხვა რომელიმე ფირმის მენეჯერთან;
- სავაჭრო აგენტისადმი ყოველგვარი მიმართვის გარეშე, კლიენტი ათვალიერებს ავტოსალონში გამოყვანილ ავტომობილებს;
- მომხმარებელი შედის ტანსაცმლის მაღაზიაში, მაგრამ არაფერს არ ყიდულობს.

ეს მაგალითები გვიჩვენებს და გვიტყვიან კიდევაც იმას, რომ მომხმარებლებთან გარიგებებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვანაირი ხასიათი: გარიგებები ყიდვა-გაყიდვაზე, მომსახურებაზე, გადახდის ფორმაზე, ინფორმაციის მოპოვებაზე და ა. შ. მიუხედავად გარიგების ხასიათისა, ბაზრის კვლევისას, პირველ რიგში, აუცილებელია იმის დადგენა, თუ როგორ აღიქვამენ მომხმარებლები ურთიერთობებს კომპანიასთან და ამ ურთიერთქმედებებში როგორ აფასებენ ისინი ცალკეულ ეპიზოდებს.

თანამედროვე ფირმამ ნებისმიერ ვარიანტში, რაოდენობრივად და ხარისხობრივად აუცილებლად უნდა შეაფასოს მომხმარებლების აღქმა, მისი ხარისხი, როგორც სრულიად ფირმის საქმიანობის თვალსაზრისით, ასევე „წინა ხაზის“ პერსონალის (რომელიც მომხმარებლებთან მოცემული საკითხის უფრო სრულად წარმოდგენისათვის მუშაობს) მუშაობის თვალსაზრისითაც.

რაც უფრო მსხვილია ფირმა, მით უფრო რთულია მისი ხელმძღვანელობისათვის მომხმარებლების მოთხოვნილებებისა და მათ მიერ ამ კომპანიასთან ურთიერთობების აღქმის სრულყოფილი შეფასება და გათვითცნობიერება.

ამ მიმართულებით ნებისმიერ თანამედროვე ფირმაში რეგულარული კვლევების ჩატარება და კლიენტებთან მუშაობის შედეგების რაოდენობრივი ანალიზის განხორციელება, მოწმობდეს იქნებ იმას, რომ ფირმის ხელმძღვანელობა საკუთარ მისწრაფებებში არ შემოიფარგლება მხოლოდ დეკლარაციებით, ან სხვა რაიმე მაჩვენებლებით.

თუ ფირმის ხელმძღვანელობას სურს ის, რომ ურთიერთობების მენეჯმენტთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში ჩადოს განსაზღვრული ობიექტური მონაცემები, მან უნდა გაითვითცნობიეროს ის, რომ მომხმარებლებთან ურთიერთქმედებები არ მარტივი, არამედ რთული პროცესია. ფირმის ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გაამახვილოს ტრანსაქციებზე, მომხმარებლებზე და მთლიანად საკუთარ ურთიერთობებზე მათთან ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ურთიერთობების ხანგრძლივობა, მომხმარებლებთან ურთიერთქმედებებში არსებული გამოცდილება, კომპანიისადმი დამოკიდებულებაში მომხმარებლის მოსაზრება. ე. ი. ფირმის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა:

- რა გარემოებებში ექმნებათ ფირმის მომხმარებლებს დადებითი ემოციები მისდამი;
- როგორი სიტუაციები შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, მაშინ, როდესაც მომხმარებლები ურთიერთქმედებენ ფირმის მხოლოდ განსაზღვრულ თანამშრომლებთან;

- ბრენდინგი, პროდუქციის ასორტიმენტი და მომხმარებლის ლოიალურობა რანაირად ახდენს ზემოქმედებას უკანასკნელზე, ანუ მომხმარებლის ფირმისადმი, მასთან ურთიერთობის შეფასებაზე;
- რამდენად ნელა იცვლება მომხმარებლების ურთიერთობები ფირმისადმი ურთიერთქმედებაში, ანუ საუბარია მომხმარებლებში ფირმისადმი ლოიალურობის ფორმირებაზე;
- გათვალისწინებულია თუ არა ფირმის მხრიდან სხვადასხვა პარადოქსალური გარემოება. მაგალითად ის, რომ ნებისმიერი ცვლილებისას ურთიერთობების მართვა ლოიალურ მომხმარებლებთან შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე რთული იმ გარემოების გამო, რომ უკანასკნელს გააჩნია უფრო მეტი მოლოდინები ურთიერთობებისაგან, ვიდრე ახალ მომხმარებლებს;
- გრძობენ თუ არა მომხმარებლები გარკვეულ დამოკიდებულებას ფირმისადმი, თუ მათ სურთ რომ იმყოფებოდნენ ფირმის მკაცრი კონტროლის ქვეშ;
- როგორი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ასეთ გარემოებას მომხმარებლების მხრიდან კომპანიის შეფასებებზე.

რა შესაძლებლობები გააჩნია მარკეტინგს ამ საკითხების შესწავლაში და რა როლი შეიძლება ითამაშოს მან მომხმარებლებთან ურთიერთობების მენეჯმენტში?

პასუხი მარტივია, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი როლი თავისი მრავალფეროვანი შესაძლებლობებით. ამ მიმართულებით მარკეტინგის ყველა შესაძლო ტექნოლოგიების, რომლებიც წარმოადგენენ სტანდარტული მარკეტინგული კვლევების შემადგენელ ნაწილს, აქვე განხილვა შეუძლებელია. მთავარია ვიცოდეთ ის, თუ რამდენად არის, ან არ არის მიზანშეწონილი შედარებით ხშირად გამოყენებადი ამა თუ იმ ტექნოლოგიის გამოყენება. ეს ტექნოლოგიებია:

1. კაბინეტური კვლევები.
2. ხარისხობრივი კვლევები მომხმარებელთა ჯგუფებს შორის.
3. რაოდენობრივი მარკეტინგული კვლევები.
4. ანკეტირება ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
5. ანკეტირება ტელეფონით.
6. საკვლევი კომპანიების პროდუქტების შექმნა ინკოგნიტოდ.
7. კონკურენტების საქმიანობის ანალიზი.
8. შიდა აუდიტი.
9. მუშაობა მომხმარებელთა ჯგუფებთან.
10. უკუკავშირების დამყარება კლიენტებთან.
11. კომპანიის პერსონალის კლიენტებთან მუშაობისადმი დამოკიდებულების შესწავლა.

თითოეულ მეთოდს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია აღნიშნული საკითხისადმი კონკრეტული სიტუაციიდან, ფირმის მამტაბებიდან, საკვლევი საკითხისა და კონკურენტის ხასიათიდან, კვლევის მამტაბებიდან, ფირმის ფინანსური შესაძლებლობებიდან, მიზნობრივი სეგმენტის (სეგმენტების) თავისებურებებიდან და ა. შ. გამომდინარე. მაგალითად, თუ განვიხილავთ რაოდენობრივ მარკეტინგული კვლევის მეთოდს, ეს მეთოდი: შედარებით ეკონომიური მეთოდია ვიდრე ინდივიდუალური ანკეტირება, გამორიცხავს ნეგატიურ ზეგავლენას რესპოდენტზე, რესპოდენტს აქვს დრო იმისათვის რომ გაიაზროს პასუხები კითხვებზე, უზრუნველყოფილი ხდება გამოკითხვის ანონიმურობა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ მეთოდს გააჩნია რიგი ნაკლოვანებებიც: მიღებული პასუხები უნდა იქნას განხილული როგორც საბოლოო ინფორმაცია, რესპოდენტი ამა თუ იმ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ათვალისწინებს ყველა კითხვას, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ანკეტის ბლანკები ყველა იმ ადამიანის ხელში მოხვდება, რომლებიც საჭიროა ფირმისათვის, ყველა როდი მოისურვებს ანკეტის შევსებას. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ სხვა მეთოდთან მიმართებაშიც, ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანია მარკეტინგული ტექნოლოგიებიდან ამა თუ იმ მეთოდის სწორად შერჩევა და მისი უპირატესობების გამოყენება.

ამა თუ იმ ზემოთხსენებული მეთოდით მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს კომბინირებული მომხმარებლებთან ურთიერთქმედებების სხვადასხვა სახეებთან. გარდა ამისა, მხარდაჭერილი უნდა იქნას პერსონალთან უკუკავშირის, რამდენადაც მნიშვნელოვანია წარმოდგენის ქონა იმაზე, თუ როგორ ვითარდება ურთიერთობები კომპანიასა და მომხმარებლებს შორის და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ კომპანიის თანამშრომლების მოქმედებები უზრუნველყოფდეს ამ ურთიერთობების გაუმჯობესებას.

მარკეტინგის ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული ინფორმაცია მოითხოვს შესაბამის ანალიზსა და იმ დასკვნების გამოტანას, რომლებიც იმოქმედებენ კომპანიის პრაქტიკულ საქმიანობაზე და მის რეალიზაციაზე.

როგორც ნებისმიერი მარკეტინგული კვლევისას, ამ შემთხვევაშიც ფირმამ უნდა გამოიხატოს დრო და შესაბამისი საშუალება ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზისათვის და იმ დასკვნების გაკეთებისათვის, რომლებიც ზეგავლენას მოახდენენ ფირმის პოლიტიკაზე და მის პრაქტიკულ რეალიზაციაზე. შეძლების მიხედვით მიზანშეწონილია ამ საქმიანობაში ფირმის მთლიანი პერსონალის მონაწილეობა. მსხვილ კომპანიებში ამ მიმართულებით მუშაობისას, იქმნება ანალიტიკოსთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან თანამშრომლები ადგილობრივი მოსახლეობიდან. მათი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეაჯერონ მათ მიერ მოპოვებული მონაცემები კომპანიის სხვა საბჭოების მიერ მოპოვებულ მონაცემებთან და გააკეთონ შესაბამისი დასკვნების ფორმულირება.

ხშირად მომხმარებლებთან ურთიერთობების კვლევის შედეგების შეფასება არაერთგვაროვანია. მაგალითად, კომპანიის იმ მომხმარებლებმა, რომლებსაც აწყობთ ამ კომპანიასთან ურთიერთობა, არ არის აუცილებელი, რომ გააკეთონ განმეორებითი შეკვეთები (შესყიდვები) ამ კომპანიასთან. უნდა ვიცოდეთ, რომ მომხმარებლებთან ურთიერთობების კვლევისას განიხილება მხოლოდ ერთი ეს საკითხი და არ ხდება ისეთი მთავარი კრიტერიუმის, როგორცაა მაგალითად პროდუქციის ხარისხი, გათვალისწინება. ამიტომაც კვლევები უნდა მოიცავდეს მხოლოდ კლიენტების მიერ კომპანიისადმი დამოკიდებულების ხასიათის ანალიზს და მათი, როგორც მყიდველების ქცევის ანალიზს. მხოლოდ ასეთი მიდგომით არის მიზანშეწონილი მათთან ურთიერთობის შესაბამისი სტანდარტების დადგენა.

ურთიერთობების მენეჯმენტში სტანდარტების ფორმირება უნდა ხორციელდებოდეს ფირმის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფელი კრიტერიუმების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე კომპანიის კონკურენტ ფირმებთან ურთიერთობაც უნდა ექვემდებარებოდეს ობიექტურ შეფასებას. მთავარია იმის განხილვა, თუ რომელ კომპანიებს განიხილავენ ფირმის მომხმარებლები როგორც თავიანთ კონკურენტებს და რა პოზიციებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია თანამედროვე ფირმებში განსაზღვრული სტანდარტებით განხორციელდეს ხელმძღვანელობა. მიზანშეწონილი არ არის შეუსრულებადი სტანდარტების გამოყენება, რომც ეფუძნებოდეს ისინი გარკვეული კვლევის შედეგებს. ასეთ ქმედებებს შეუძლიათ ნეგატიურად იმოქმედონ პერსონალის მოტივაციაზე. ამავდროულად, მნიშვნელოვანია არსებული სტანდარტების მუდმივ ამაღლებაც, იმ ღონისძიებების შესაბამისად, რომლებიც უკავშირდება კომპანიის საქმიანობის სრულყოფას.

ამრიგად, თუ კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ კომპანია სერიოზულად ჩამორჩება მის კონკურენტებს ამ მიმართულებით, მაშინ მიზანშეწონილია და აუცილებელია მუშაობის ეტაპობრივი გაუმჯობესება, რაც შესაძლებელი გახდება ურთიერთობების სფეროში კვლევების ჩატარებითა და მთავარ ასპექტებზე ყურადღების ფოკუსირებით. კომპანიაში მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინების კულტურის ფორმირება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი პერსონალი ყველა დონეზე იქნება ჩართული სწავლის, კლიენტების მოთხოვნების ინტერპრეტაციისა და ამ მოთხოვნილებებით გარდაქმნის პროცესში.

ზოგიერთი მენეჯერის აზრით, საერთოდ არ ღირს ამ მიმართულებით რაიმენაირი კვლევების ჩატარება, რაც ძირშივე მცდარია. აქ მთავარი არა მარტო კვლევების ჩატარებაა, არამედ ის, თუ როგორ გამოვიყენებთ ასეთი კვლევების შედეგებს საქმიანობაში. კვლევები ამ მიმართულებით უნდა ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფირმის მიზანი მომხმარებლების მართვაა და მათთან ურთიერთობების სრულყოფილებაა. ეს ყველაფერი თავის მხრივ კომპანიის რენტაბელობაზეც არის დამოკიდებული. კომპანიამ პირველ რიგში ყურადღება საკუთარი კონკურენტუნარიანობის შეფასებაზე უნდა გაამახვილოს.

ადეკვატურად, წინააღმდეგობაში შეიძლება მოდიოდეს კვლევის შედეგებთან ისეთი ღონისძიებები, როგორცაა ბიუჯეტის მენეჯმენტი, ზედმეტი სამუშაო დროის გამოყენება, პერსონალის მუშაობის რეორგანიზაცია (კლიენტებთან ურთიერთობების კულტურის ფორმირება), მომგებიანობისა და ლოიალურობის ფორმირების პროგრამების შემუშავება, ასევე ავტომატიზირებული და ნახევრად ავტომატიზირებული სისტემების შემოღება, უკვე არსებული სტრატეგიების გამოყენების გადახედვა. ამრიგად, თუ კომპანია არ არის მზად იმისათვის, რომ სრულყოფილად ამოქმედოს მომხმარებლებთან ურთიერთობების შეფასების კრიტერიუმები, არც არის მიზანშეწონილი ასეთი პროგრამების რეალიზაციით დაკავდეს.

იმის შემდგომ, რაც კომპანია ჩატარებს შესაბამის კვლევებს და მიიღებს წარმოდგენას მომხმარებლებზე, ფირმის მენეჯმენტი მზად იქნება კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნების, მათში ლოიალურობის ფორმირების ასევე მეტად რთული პროცესისათვის. მომხმარებლის ლოიალურობა, ეს პირველ რიგში არის მისი ნდობა ფირმისადმი, რომელსაც ის იძენს სწორედ ზემოთხსენებული ურთიერთობების სრულყოფის შედეგად. მომხმარებელთა ლოიალურობა, ეს არის ფირმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მომხმარებელთა დაკმაყოფილების დონეს.

დაკმაყოფილებული მომხმარებლები დადებით ზეგავლენას ახდენს ფირმის რენტაბელობაზე, ხოლო დაუკმაყოფილებელი მომხმარებლები კი - ნეგატიურს.

ფირმისადმი მომხმარებლების ლოიალურობაში იგულისხმება ის, რომ მომხმარებელი ავლენს ლოიალურ განწყობას ან ლოიალურ ქცევას ამ ფირმისადმი იმ სრულყოფილი ურთიერთობების შედეგად, რომელსაც აწარმოებს ფირმის მენეჯმენტი მასთან.

ლიტერატურა:

1. Попов В. М. Менеджмент и маркетинг бизнеса в международных компаниях. М. 2001г.
2. Котлер ф. маркетинг-менеджмент. 9-е международное издание. Пер. с английского. М. 2000г.
3. Котлер ф. 300 ключевых вопросов маркетинга. Отвечает ф. котлер. Пер. с английского. М. 2008г.
4. Котлер Ф. Маркетинг по Котлеру. Пер. с английского. М. 2005 г.
5. Ламбен Жан-Жак. Менеджмент, ориентированный на рынок. (стратегический и операционный маркетинг). Пер. с английского. Питер. 2005г.
6. Дойль П. Маркетинг, ориентированный на стоимость. Пер. с английского. М. 2004г.
7. Эванс Дж. Берман Б. Маркетинг. Пер. с английского. М. Сирин. 2000г.
8. Чарьессон Г. Торговая марка, как создать имя, которое принесет миллионы. Пер. с английского. СПб. Пер. с английского. Питер. 1999г.
9. Measuring and Leveraging your Brand. By David Haigh. Brand Finance ple (www. Brand finance. Com). 2000.
10. PA Consulting Group. How effectively does marketing drive business success? 2002

CUSTOMER RELATIONSHIP MANAGEMENT ON THE BASIS OF MARKETING

Devi Shonia, Doctor of Economics, Associate Professor of Sokhumi State University and Georgian international Relations University

Irma Dikhaminjia, Doctor of Economics, Associate Professor of Sokhumi State University

RESUME

Activity regarding to management of customer relationship is one of the priority in modern business. Main feature of modern business is its orientation to the customer, first of all, to guess customer's expectations, predicting decisions and priorities in advance.

In the competitive and technologically complicated conditions it is not insignificant to any firm to specify how profitable it is for the customer to establish relations with them. For this purpose, It is reasonable for the company to define the size of research, the aim of which should be to state how the customers perceive their relations to the same company and, what they feel in this direction as well.

If the company management wants to put defined objective information, being received in connection to the management relationships, it should realize that interactions to customers are not easy, but rather complicated process, as relations with the customers is preceded by the period of expected contacts and their consequent perception from their side.

Due to its ability, marketing has got crucial role in studying this problem. The main thing is to know how significant is or is not, purposeful usage of comparatively frequently used marketing technology in this direction, because each method of marketing owns its priorities and defects from the point of view of specific situation, company's scale, research issue and nature of competition, financial abilities of company, features of target segment (segments) and etc.

Information received from performed researches demands corresponding analyze and making such conclusions, which will make influence on company's policy and on its practical realization in this direction.

After the company performs appropriate researches and receives some idea about customer, the management of the company will be ready to promote rather complex process of attracting and retaining customers and creating loyalty among them.

სოციალური მეცნიერებები

Social Sciences

საქართველო „მომავლის შოკის“ პირისპირ?!

ხათუნა ამაგლობელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: khatu.amag@gmail.com

ადამიანი რომ აქტიური, მოქმედი არსებაა, უდავო ფაქტია. ადამიანს რომ ჭკრეტის მოთხოვნილება აქვს, ესეც ნათელია; ის რომ ადაპტაციის დიდი პოტენციალის მფლობელი უნდა იყოს, კაცობრიობის პრაქტიკული გამოცდილებით დასტურდება. თუმცა, ზემოთქმული არ არის იმის გარანტია, რომ თანამედროვე ადამიანმა გულდამშვიდებით და ფილოსოფიური სიდიხჯით ისაუბროს მომავალზე და თუ რატომ, ამაზე პასუხის გაცემას სტატიაში (ფორმატის გათვალისწინებით) შევეცდებით.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, კომუნისტური იდეალებისაგან გათავისუფლებულმა ადამიანმა უცებ აღმოაჩინა, რომ სამყარო, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში საკუთარი ცხოვრების, საკუთარი ყოფის ფონად აღიქვამდა, უკვალოდ გაქრა და რომ ახალ რეალობას სრულიად დაუცველი და მოუმზადებელი ხვდება; რომ ის, რასაც შეეჩვია, სხვანაირი (შეიძლება ითქვას – მტრულიც კი) გახდა მის მიმართ. თანაც, ყველაზე შოკის მომგვრელი იყო ის ფაქტი, რომ ეს ცვლილებები რეკორდულად მცირე დროში განხორციელდა. ასე, მაგალითად, თუ რაღაც ერთი წლის წინ კონკრეტული დღესასწაული (მაგ: ცხრა მაისი) დიდ და ნათელ დღესასწაულად ითვლებოდა და მასთან განსაკუთრებული ემოციები იყო დაკავშირებული, დღეს ეს განცდა გაქრა, დაიკარგა. ან თუნდაც, როდესაც დილაადრიან მარკეტში შესული (რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ჩვეულებრივად – მაღაზია ერქვა) უცბად აღმოვაჩინეთ, რომ ფასები საოცრად გაიზარდა. ან, როცა ვრთავთ ტელევიზორს და ვხვდებით, რომ შემეცნებითი გადაცემების ძალიან დაბალი რეიტინგის გამო, უნდა დაგვკმაყოფილდეთ მხოლოდ გასართობი პროექტების ყურებით³³; როცა უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ე. წ. „შშრალ“ ხიდზე წიგნების გაყიდვით ირჩენს თავს და ა.შ. ცვლილებათა სისწრაფე თუ თავდაპირველად ახნევს მოუმზადებელ ადამიანს, გარკვეული ხნის შემდეგ, მისი დაბნეულობა დეპრესიაში შეიძლება გადაიზარდოს. მისთვის ჩვეული სივრცის დაკარგვით ადამიანი იძულებული ხდება უარი თქვას ცხოვრების იმ წესზე და მასთან ერთად ფასეულობათა იმ სისტემაზე, რომლითაც აქამდე ცხოვრობდა. წარსული უკვალოდ გაქრა, მომავალი კი ერთობ ბუნდოვანია. ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა – შიში მომავლის წინაშე; მომავლის, რომელიც მას მუდმივ ცვლილებებს „პირდება“. ცვლილებების მიმართ ადამიანი ყოველთვის, ყველა ეპოქაში მგრძნობიარე იყო. განა შუა საუკუნეების ადამიანის მიერ – ომი, შიმშილი, ეპიდემიები – არ აღიქმებოდა როგორც ქვეყნიერების დასასრული? ან თუნდაც განა მეცხრამეტე საუკუნის ადამიანს არ ქონდა შიში მომავლის? რა თქმა უნდა, ასეა. თუმცა მიუხედავად ამისა, სამყარო მაინც მყარი იყო (ყოველ შემთხვევაში, ამის განცდა არსებობდა).

თუ მომავლის მიმართ შიშით ჩვენ სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ განვიმსჯვალეთ (იმდენად რამდენადაც, მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე იყო იმის განცდა, რომ ცხოვრება სტაბილურია და მომავალიც ასეთივე იქნება), ეს პრობლემა დასავლეთში აქტუალური განხილვის საგანი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა და ამის მაგალითია ელვინ ტოფლერის ტრილოგიის პირველი წიგნი: „მომავლის შოკი“ („Future Shock“). ამერიკელი სოციოლოგი წერს: „ტერმინი „მომავლის შოკი“ გამოიყენება იმ დამანგრეველი სტრესისა და დეზორიენტაციის აღსაწერად, რომლის წინაშეც დგება ადამიანი ძალიან დიდი ცვლილებების დროს, მით უფრო, თუ ეს ცვლილებები დროის მცირე მონაკვეთში ხორციელდება“* (*Элвин Тофлер., 2002). ამდენად, სოციოლოგის აზრით, ინფორმაციულ–

³³ მახსენდება ნანა ზარდიაშვილის სტატია: „რეიტინგის დიქტატურა“. იხ. სტატიების კრებული: „ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები“. სერია: „ევროპული ძიებანი“; თბ., 2007

ტექნოლოგიური განვითარების თავბრუდამხვევმა ტემპმა „ადამიანი შოკში ჩააგდო“. რა ნიშნები აქვს ფუტურმოვს? ის ხასიათდება რეალობის შეგრძნების, ცხოვრებისეული ორიენტირების დაკარგვით, რომელსაც იწვევს შიში მოახლოებული მომავლის მიმართ. მეოცე საუკუნის დასაწყისში მილიონობით ჯანმრთელი ფსიქიკისა და გონების ადამიანი უცხად მომავალის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა. და ეს იმიტომ, რომ სწორედ მეოცე საუკუნეში ძალზე თვალსაჩინო გახდა ის განმაცვიფრებელი გარდაქმნები და ცვლილებები, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში განხორციელდა. ამის მიზეზი კი ტექნოლოგიური ცივილიზაციაა, რომლის შექმნითაც ადამიანმა შეცვალა საკუთარი ცხოვრების რიტმი და მდინარეობა. ის იძულებულია შეეგუოს ცოდნის, მეცნიერების, ტექნიკისა და სხვადასხვა სახის ინფორმაციის სულ უფრო მზარდ გავლენას. და სწორედ ამ დროს აღმოაჩენს, რომ მისი ყოფიერების ექსისტენციალური განსაცდელი ფსიქოლოგიური რესურსების ამოწურვაშია. რა არის ამის მიზეზი? ტექნოლოგიური ცივილიზაცია სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს მოდერნიზაციას ახდენს, მოდერნიზება კი მუდმივ გარდაქმნას, მუდმივ სიახლეებს და მუდმივ ცვლილებებს გულისხმობს. ე. ტოფლერის აზრით, საქმე სწორედ რომ ტექნოლოგიებშია, რადგან ცხოვრების ტემპი, რომელსაც თავზე ტექნოლოგიური ცივილიზაცია გვახვევს, სოციალურ და კულტურულ ყოფას ცვლის. სოციალური და კულტურული მეტამორფოზების მასშტაბი ძალზე დიდია. შეუცნობადი შიში, მასობრივი ნევროზები, ქმედებები, რომლებიც არ ექვემდებარება გონივრულ ახსნას, ძალადობის აულაგმავი აქტები, ფასეულობების მუდმივი ცვლილება – ყველაფერი ეს ამ მეტამორფოზის შედეგებია.

ალბათ ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ როგორ იქნება ადამიანი დეზორიენტირებული ქაოსისა და ღირებულებათა იერარქიის მუდმივი ცვლილებების პირობებში. და თუ ასეთ წარმოსახულ სამყაროში არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებას, არამედ სხვადასხვა ასაკის, აღმსარებლობის, სქესის, ინტელექტუალური შესაძლებლობის და ა.შ. ადამიანთა საზოგადოებას მოვიაზრებთ, ადგილი ექნება არა უბრალოდ ფუტურმოვს, არამედ იმას, რასაც ალბათ ჯერ სახელი არა აქვს.

ტექნოლოგიური ცივილიზაციის შედეგებზე ადამიანის ცხოვრების წესის დამოკიდებულება განსაკუთრებით საგრძნობი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული ადამიანისათვის ცვლილებების სისწრაფეს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა და ხშირად ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცვლილებების მიმართულება, რადგან ხშირად ცვლილებები იმდენად სწრაფმავალია, რომ მას ადამიანთა უმრავლესობა აბსოლუტურად მოუზადებელი ხვდება. მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო: ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება კოოპერატიული სახლის მშენებლობისთვის ფულს აგროვებდა, აღმოაჩენს, რომ ეს თანხა მხოლოდ რამოდენიმე კვადრატული მეტრის ოთახის შესაძენად თუ ეყოფა. ადამიანი, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრება გარკვეულ თანხას „უზრუნველი სიბერისათვის“ გადადებდა, უცებ აღმოაჩენს, რომ ეს თანხა „გაკუპონდა“ (უკეთეს შემთხვევაში) ან რომ ბანკირი გაიქცა (უარეს შემთხვევაში)*. ათეისტი აკადემიკოსი უცებ გულმხურვალე მორწმუნედ მოგვევლინება (ათეისტი – თეისტად). ან თუნდაც, როცა ფეხმძიმე ქალი უცებ აღმოაჩენს, რომ სახელმწიფო მას არ აძლევს უფასოდ მშობიარობისათვის ეგ. წ. „ვაუჩერს“ და მან (თუნდაც სოციალურად დაუცველმა) თავად უნდა შეძლოს თანხის მოძიება და ა.შ.

საქმე მხოლოდ იმაში კი არაა, რომ ცვლილებების სფერო გაფართოვდა (ის უფრო მასშტაბური გახდა), არამედ იმაში, რომ ცვლილებების ტემპი შეიცვალა. ის საოცრად სწრაფი გახდა. ცვლილებების სისწრაფე თანამედროვე ადამიანისაგან მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ცხოვრების სრულიად სხვაგვარ „შეგრძნებას“ მოითხოვს, რადგან მისი ცხოვრების რიტმი თუ ტემპი, შესაძლებლობები თუ მოტივაცია, სრულიად განსხვავებულია. ეს სხვაგვარობა სულ უფრო ზრდის უფსკრულს მათ შორის. ცხოვრების ის მშვიდი, უფრო მეტიც, ნელი მდინარეობა, რომლითაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა. „დროთა კავშირი“ დაირღვა. თანამედროვე ადამიანმა უარი თქვა ადრინდელი აზროვნების ფორმებსა თუ გრძნობებზე, ადრინდელ მოტივაციებსა თუ შეგუების მეთოდებზე. სწორედ ეს აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ადამიანის ადაპტაციის უნარს – შეძლებს ის თავის გადარჩენას ახალ სივრცეში? შეძლებს ახალ იმპერატივებთან შეგუებას?

ცვლილებათა ტემპის ზრდა დამლუპველ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე, იწვევს შინაგანი წონასწორობის დარღვევას, ცვლის მისი ცხოვრების წესს. ცვლილებების დაჩქარება ამცირებს ცხოვრებისეული სიტუაციების ხანგრძლივობას, რითაც დამლუპველ გავლენას ახდენს მისი წარმოსახვის სიძლიერეზე. ე. ტოფლერის ღრმა რწმენით, მომავლის შოკი არის არა პოტენციური საფრთხე, არამედ რეალური ავადმყოფობა, რომლითაც ადამიანთა სულ უფრო მზარდი რაოდენობაა დაავადებული. იმისათვის, რომ ადამიანმა წარმატებულად გაართვას თავი სწრაფმავალ ცვლილებებს, მან უნდა გააცნობიეროს ის როლი, რომელსაც **მომავალი აწმყოში ასრულებს** და ამის საფუძველზე გარდაქმნას

* ეს სიტუაციები ჩვენი ყოფის არც თუ ისე შორეული წარსულიდან ყველასათვის ნაცნობია.

თავისი ფსიქიკა, ანუ მოახდინოს ადაპტირება მომავლისადმი აწმყოში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ადამიანი ფუტუროშოკის დაძლევის. ამერიკელი სოციოლოგის ღრმა რწმენით, თუ ადამიანები უწინ წარსულს (და წარსულის გამოცდილებას) აწმყოს უკეთესად გააზრებისათვის სწავლობდნენ, ახლა საჭიროა დროის სარკის შემოტრიალება, რადგან მხოლოდ მომავლის მკაფიოდ გააზრება და გაცნობიერება დაეხმარება ადამიანს აწმყოს გაგებაში. პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემების გაცნობიერება სულ უფრო რთულდება მომავლის როგორც ინტელექტუალური იარაღის გამოყენების გარეშე. ეს არის მომავლის შოკის დაძლევის ერთადერთი რეალური გზა.

ახლა კი დავუბრუნდეთ იმას, საიდანაც დავიწყეთ. რამდენად მომზადებული ხვდება ქართული სივრცე ტექნოლოგიური ცივილიზაციის გამოწვევებს? როგორია მისი მგრძობელობა მომავლის მიმართ? 21-ე საუკუნის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ ერთგვარი ფუტუროშოკის ეფექტი გამოიწვია: საზოგადოება ახალი გამოწვევების, პერსპექტივებისა და ცვლილებების წინაშე დადგა. კომუნისტური იდეოლოგიის სივრცეში გაზრდილი არაერთი თაობა შოკის მომგვრელი რეალობის პირისპირ აღმოჩნდა: წარსულის, ძველი საზოგადოებრივი ინსტიტუტების სრული უარყოფით ახალი – მომავლის საზოგადოების ფორმირების ურთულეს გზას დაადგა; ახალი საზოგადოების, რომელიც ცოდნაზე, ინტელექტსა და განათლებაზე დაფუძნებული საზოგადოება იქნება. ბუნებრივია, რომ გარდაქმნები და ცვლილებები ძალიან მტკივნეული და შოკის მომგვრელია. გამოსავალი ერთია: (როგორც პოსტმოდერნიზმის წარმომადგენლები ამბობენ) შევხედოთ სინამდვილეს თვალში. ის ტკივილი, რომელსაც რევოლუციური გარდაქმნების ფონზე განიცდის საზოგადოება, ასატანი, გასაძლებელი და დასაძლევია მხოლოდ მაშინ გახდება, თუ საზოგადოების თითოეული წევრი სოციალურ სივრცეში მიმდინარე სწრაფმავალ ცვლილებებს გაიაზრებს როგორც კანონზომიერ პროცესს და როგორც საზოგადოების ევოლუციური განვითარების შეუქცევად პროცესს. ქვეყანაში არსებული სოციალური სინამდვილის გარდასაქმნელად მიმდინარე რეფორმები ნეგატიურად კი არ უნდა აღვიქვათ, არამედ პოზიტიურად.* უნდა დავინახოთ, რომ ახალი ორიენტირები იძლევა სრულიად ახალ შესაძლებლობებს პერსონალური – ინდივიდუალური განვითარებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც პიროვნულ და ვერც საზოგადოებრივ დონეზე რებერფინგი (ხელახლა დაბადება) ვერ განხორციელდება და ვერც ფუტუროშოკს ავიცილებთ თავიდან.

ყოველივე ზემოთთქმული სრულებითაც არ ნიშნავს საკუთარ, ტრადიციულ ღირებულებებზე უარის თქმას. აზიის ძალიან ბევრი ქვეყანა – იაპონია, ჩინეთი, სინგაპური, კორეა – მოდერნისტული, ტექნოლოგიური ცივილიზაციის ქვეყნებს წარმოადგენენ. თუმცა, მათი კულტურული თავისთავადობა კი არ დაკარგულა, არამედ პირიქით, მათ შეინარჩუნეს თავიანთი იდენტობები და თვითმყოფადობა.

ზემოთ დასახელებული ქვეყნები მაგალითი უნდა გახდეს საქართველოსთვის. ჩვენ დღესვე თვალი უნდა გავუსწოროთ მომავალს და გავისიგრძეგანოთ ახალი მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფუტუროშოკი გარდაუვალია. ბუნებრივია, საქართველო მსოფლიოს ნაწილია. თანამედროვე სამყარო დაკავშირებულია ერთმანეთთან არა მხოლოდ ერთიანი ვალუტით, ეკონომიკით თუ პოლიტიკით, არამედ ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურებითაც. ვთვლით, რომ ქართული – ეროვნული კულტურის ინტეგრაცია ერთიან საკაცობრიო კულტურულ სივრცეში არის მისი შენახვის, შენარჩუნებისა და დაცვის, მომავლის შოკის თავიდან აცილების გარანტი.

ლიტერატურა:

1. Элвин Тоффлер. Шок будущего., М. 2002; стр: 16.
2. Кастельс Мануэль. Информационная эпоха: экономика, общество культура. М. 2000
3. Иноземцев В., Основные направления современного общества, Москва, 1999 г.
4. ინტერნეტ მასალები., www.elitarium.ru

* თუნდაც განათლების სისტემაში მიმდინარე გარდაქმნები ემსახურება სწორედ „ძველი“ განათლების ბარიერის დაძლევის. წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთთან კულტურული ინტეგრაცია შეუძლებელი იქნება.

GEORGIA AGAINST “FUTURE SHOCK”?!

Khatuna Amaglobeli, Sokhumi State University, Associate Professor

RESUME

In the twentieth century extremely astonishing transformations and changes taking place in all the spheres of social life, became very obvious. The reason is technological civilization, by which the human has changed the rhythm and flow of life. The human has to cope with the growing influence of knowledge, science, technique and different kinds of information. And here comes the discovery that existential threat to life lies in the exhaustion of psychological resources. What is the reason of this? Technological civilization is modernizing every sphere of social life, and modernization implies constant transformation, constant innovations and constant changes. And this is due to technology, because the rhythm of life, which is imposed on us by technological civilization, changes social and cultural life. In order for the human to successfully cope with rapid changes, he has to realize the role of **the future in the present** and on its basis transform the psychology, i.e. adapt to the future in the present. Only in this case will the human be able to overcome the future shock.

How prepared is the Georgian space for the challenges of the technological civilization? How sensitive is it towards the future? At the beginning of the 21-st century the “Rose Revolution” that took place in our country caused a sort of future shock effect: the society had to face new challenges, prospects and changes. The generations that grew up in the space of Soviet ideology had to face the shocking reality: by completely ignoring the old social institutions of the past, they took the intricate path of establishing the new society of the future; a new society, based on knowledge, intellect and education. Naturally, the transformations and changes are very painful and will be shocking. there is only one outcome: (as Post Modernists put it) Let us look the reality in the eye. The pain, which is experienced by the society due to revolutionary transformations, will be possible to withstand, endure and overcome only if every member of the society takes the rapid changes happening in the social space as a natural and inevitable process of the society’s evolutional development. In order to transform the social reality of the country, the on-going reforms should not be perceived negatively, but positively. We have to see, that new directions provide completely new opportunities for personal – individual development. Otherwise, rebirthing will fail to take place on personal as well as on social level, neither we will manage to avoid the future shock.

ჯონ მირშაიმერის ნეორეალიზმის თეორიული კონცეფციები

მერი გაბედავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი

E-mail: merigabedava@gmail.com

ნეორეალიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში დომინანტურ პარადიგმას წარმოადგენს. ნეორეალისტებს ღრმად სწამთ, რომ ანარქიის პირობებში, როცა არ არსებობს ერთიანი უზენაესი ხელისუფლება, სამართლებრივი და მორალური ნორმები, შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ფაქტორების ურთიერთმიმართების რეგულირება, დამანგრეველი ომების თავიდან აცილება. მათი აზრით, არ არსებობს ისეთი საერთაშორისო წესრიგის დამყარების იმედები, რომელიც დაეფუძნებოდა სამართლებრივ ნორმებს, კოლექტიურ უსაფრთხოებასა და ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციების გადამწყვეტ როლს. ნეორეალიზმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებასა და უსაფრთხოებას. ნეორეალისტები თვლიან, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოებით არავინაა დაინტერესებული თვით სახელმწიფოს გარდა (მისი პოლიტიკური ხელისუფლების სახით), რომლის ძლიერების განმტკიცება, სხვა ქვეყნებზე ზეგავლენის მოხდენა ნაციონალური ინტერესების ძირითად ელემენტს წარმოადგენს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნეორეალისტები საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას გადამწყვეტ მნიშვნელობას სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტებისა და ომების შესწავლას ანიჭებენ.

ნეორეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი ჯონ მირშაიმერი (John J. Mearsheimer). მას დიდი პოპულარობა მოუტანა უკანსაკნელ წლებში გამოქვეყნებულმა შრომებმა, რომლებიც ბეტსელერებად იქცნენ (Mearsheimer, 2011; Mearsheimer, Walt, 2007; Mearsheimer, 2001). აღნიშნული შრომებით ჯონ მირშაიმერმა ახალი კონცეფციებით გაამდიდრა

საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალიზმის თეორია, გაანალიზა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პროცესები.

ნაშრომში „დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის ტრაგედია“ ჯონ მირშიამერმა თავდასხმითი რეალიზმის კონცეფცია ჩამოაყალიბა. თავდასხმითი რეალიზმი წარმოადგენს სტრუქტურულ თეორიას, რომლის თანახმად, ზესახელმწიფოების კონკურენცია უსაფრთხოების გასაზრდელად განპირობებულია საერთაშორისო სისტემის იერარქიულობით. მეცნიერი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები არ არიან კმაყოფილნი მათ ხელთ არსებული ძალაუფლებით და უსაფრთხოების განსამტკიცებლად ჰეგემონისათვის იბრძვიან. ვინაიდან რთულია სახელმწიფოებმა წინასწარ განსაზღვრონ მომავალში რა დონის ძალაუფლება იქნება საჭირო, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაა ჰეგემონობის მოპოვება დღეს. ჯონ მირშიამერის აზრით, მხოლოდ დეზინფორმირებულ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას სისტემაში ჰეგემონობის მოპოვების შესაძლებლობაზე (Mearsheimer, 2001: 35). მსოფლიოში არ არსებობს სტატუს-კვო ძალაუფლებაზე. ზესახელმწიფო, რომელსაც აქვს გამოკვეთილი ძალაუფლება სხვა კონკურენტებთან შედარებით, უფრო მტკიცე და შეუპოვარია თავის ქმედებებში, რადგანაც მას აქვს ამის კეთების არა მარტო სურვილი, არამედ შესაძლებლობებიც. ჯონ მირშიამერი თვლის, რომ სახელმწიფოები უნდა ელტვოდნენ არა მსოფლიო, არამედ რეგიონალურ ჰეგემონობას და არ დაუშვან სხვა სახელმწიფოს გაბატონება თავიანთ რეგიონში. კონკურენციაზე აგებულ საერთაშორისო სისტემაში გადარჩენა სახელმწიფოთა მთავარი მიზანია. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის საფუძველს, ჯონ მირშიამერის აზრით, ძლიერი სახელმწიფოები წარმოადგენენ, რომლებიც მუდმივად ზრდიან თავიანთ უსაფრთხოებას. ყოველი დიდი სახელმწიფოს საბოლოო მიზანი მსოფლიოში ძალაუფლების მაქსიმალურად განმტკიცება და სისტემაში ბატონობის მოპოვებაა.

ჯონ მირშიამერი გამოყოფს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის სამ ძირითად მახასიათებელს:

1. საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორები არიან სახელმწიფოები, რომლებიც მოქმედებენ ანარქიულად;
2. ყველა დიდ სახელმწიფოს აქვს თავდასხმითი სამხედრო შესაძლებლობები, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ძალუბთ ერთმანეთისთვის ზიანის მიყენება;
3. არცერთმა სახელმწიფომ არ იცის მეორე სახელმწიფოს ნამდვილი ზრახვები, განსაკუთრებით, მისი სამომავლო გეგმები.

სახელმწიფოები აცნობიერებენ, რომ ანარქიულ სისტემაში გადარჩენისათვის საჭიროა შენს მოწინააღმდეგეზე უფრო ძლიერი იყო (Mearsheimer, 2006: 160).

ჯონ მირშიამერის თეორიაში დიდი ადგილი ეთმობა ძალთა ბალანსის კონცეფციას. მისი აზრით, ძალის პოლიტიკა გადამწყვეტია თანამედროვე მსოფლიოში. შეუძლებელია რომელიმე ქვეყანამ მოიპოვოს მსოფლიო ჰეგემონობა, რადგან ძალიან რთულია უზრუნველყო შენი ძალა მსოფლიო მასშტაბით და, ამასთან, განსაზღვრო შენგან მოშორებით მდებარე დიდი სახელმწიფოების შესაძლებლობები. საუკეთესო შედეგია, როცა სახელმწიფოს შეუძლია იყოს რეგიონალური ჰეგემონი და იბატონოს ერთ საკუთარ გეოგრაფიულ სივრცეში. რეგიონალურ ჰეგემონ სახელმწიფოს განსხვავებული მიზნები აქვს: ის ცდილობს სხვა გეოგრაფიულ არეალში არ დაუშვას დიდი სახელმწიფოების გაბატონება, ანუ არ სურს ყავდეს თანასწორი კონკურენტი. სტრატეგიული რეგიონები უნდა გადანაწილდეს რამდენიმე სახელმწიფოს შორის, რადგანაც ისინი დაკავებულნი იქნებიან ერთმანეთთან დაპირისპირებით და ვერ შეძლებენ მთავარ მეტოქეზე ფოკუსირებას. „ჩემი თეორია ამბობს, რომ იდეალური მდგომარეობაა, როდესაც ზესახელმწიფო არის რეგიონალური ჰეგემონი“, - ამბობს ჯონ მირშიამერი (Mearsheimer, 2006: 161).

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში სუვერენული სახელმწიფოების როლი ოდნავადაც არ შემცირებულა, პირიქით, ხალხები, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფო, მაგალითად, პალესტინელები, ქურთები და ჩეჩნები, მისი შექმნისათვის იბრძვიან. აქედან გამომდინარე, არსებულ მსოფლიო წესრიგში ცვლილებები ნაკლებ მოსალოდნელია. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯონ მირშიამერი სამ პრინციპულ პოზიციას გამოყოფს:

1. სახელმწიფოები კვლავ რჩებიან საერთაშორისო სისტემის მთავარ აქტორებად, ხოლო ადამიანები ღრმად ლოიალურები არიან თავიანთი სახელმწიფოს მიმართ. მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოს, არის ნაციონალიზმი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ იდეოლოგიურ ძალას მთელ პლანეტაზე. ბევრ ხალხს სურს ჰქონდეს თავისი სახელმწიფო, რადგანაც ისინი დაინტერესებულნი არიან ადამიანური უსაფრთხოებით, აცნობიერებენ რა, რომ ხალხი, რომელსაც არ აქვს საკუთარი სახელმწიფო, ნაკლებად დაცულია სხვების ძალადობისაგან.

2. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ათასობით ბირთვული იარაღია, ხოლო ბირთვული სახელმწიფოების რიცხვი ბოლო წლებში იზრდება. ბირთვული ომი წარმოუდგენელია, მაგრამ არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ის არ მოხდება. სახელმწიფოები დღემდე ზრუნავენ თავიანთი უსაფრთხოებისათვის და ანგარიშს უწევენ სამხედრო ძალას.

3. სამხედრო საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სახელმწიფოები ებრძვიან ერთმანეთს და არსებობს საფრთხე, რომ შეიძლება კონფლიქტის ესკალაცია მოხდეს ბირთვულ დონეზე. ამას ემატება ტერორისტების მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე (Mearsheime, 2005).

ჯონ მირშაიმერის აზრით, მთავარი მიზეზი, რის გამოც სახელმწიფოები ესწრაფიან ბირთვული იარაღის წარმოებას, არის შეკავების ფაქტორი. ძნელად დასაჯერებელია, რომ რომელიმე სახელმწიფომ შეუტოოს ისეთ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ბირთვული იარაღით აღჭურვილი არმია. იმ ქვეყნებს, რომლებიც მოწინააღმდეგეთა მხრიდან მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან, საკმარისი მიზეზი აქვთ ჰქონდეთ ბირთვული იარაღი.

ჯონ მირშაიმერის ნაშრომებში მკაცრად არის გაკრიტიკებული აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია. მისი აზრით, ქვეყანა, რომელიც წლების მანძილზე ჩართულია საომარ ოპერაციებში, ვალდებულია მუდმივად იზრუნოს ნაციონალური უსაფრთხოების გაზრდაზე, რაც, თავის მხრივ, აფერხებს სამოქალაქო თავისუფლებას და შეუძლებელს ხდის ლიდერთა პასუხისმგებლობას მათ ქვეყნებზე. ასეთ სახელმწიფოში ყალიბდება მართვის უხეში პოლიტიკური წესები, რომელიც სასტიკ დიქტატურასთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ პლანეტის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა, მეცნიერის აზრით, ის არ არის მსოფლიო ჰეგემონი - აშშ დომინირებს მსოფლიოს დასავლეთ ნახევარსფეროში.

ჯონ მირშაიმერი წარუმატებლად მიიჩნევს ცივი ომის შემდგომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკას, რადგანაც მან ვერ გადაწყვიტა სამი უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრობლემა: ირანის მიერ ურანის გამდიდრების საკითხის შეჩერება, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის წარმოების პრევენცია და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოწესრიგება (Mearsheimer, 2011: 17). ჯონ მირშაიმერი მკაცრად აკრიტიკებს აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკას ერაყთან, ირანთან და სირიასთან მიმართებაში. ამ სახელმწიფოების და ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების აშშ-თან დაპირისპირების მიზეზებს მეცნიერი აშშ-ის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში ეძებს. არაბული სახელმწიფოების ანტიამერიკული პოლიტიკის გენერატორად მიიჩნევს ვაშინგტონის მხარდაჭერას ისრაელის დამოკიდებულებისადმი პალესტინელთა მიმართ, აშშ-ის ჯარების ყოფნას საუდის არაბეთში 1991 წლიდან სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, მხარდაჭერას ისეთი რეპრესიული რეჟიმისადმი როგორც იყო ეგვიპტის ხელისუფლება; აშშ-ის მიერ ბაღდადის წინააღმდეგ განხორციელებულ სანქციებს სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ, რომელსაც 500 ათასი ერაყელი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა, აშშ-ის ინტერვენციას და ერაყის ოკუპაციას (Mearsheimer, 2011 : 24). ჯონ მირშაიმერისთვის მიუღებელია აშშ-ის მსოფლიო ბატონობის სტრატეგია. მისი აზრით, გლობალურ ბატონობას აქვს ორი ფართო მიზანი: 1. შეინარჩუნოს აშშ-ის პირველობა, რაც იმას ნიშნავს რომ აშშ წარმოადგენს საერთაშორისო სისტემის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს; 2. დემოკრატიის გავრცელება მთელ მსოფლიოში, რომლის შედეგად სამყარო გახდება ამერიკის მსგავსი.

მეცნიერის აზრით, ასეთი დიდი სტრატეგია იმპერიული სულიკვეთებისაა. ამერიკის პრობლემების მიზეზები იმაშია, რომ მან მისდია ცივი ომის შემდგომი დიდი სტრატეგიის პრინციპებს. აშშ-ს სჭირდება ახალი დიდი სტრატეგია. ჯონ მირშაიმერი არ იზიარებს ნეოიზოლაციონიზმისა თუ შერჩევითი ჩართულობის სტრატეგიის პრინციპებს (*Selective engagement*). შერჩევითი ჩართულობის სტრატეგიის თანახმად, რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად, აშშ-ს ევროპაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიასა და სპარსეთის ყურეში განთავსებული უნდა ჰყავდეს თავისი სამხედრო ძალები. აშშ-ის ყოფნა ამ ტერიტორიებზე მნიშვნელოვანია ბირთვული იარაღის გავრცელების შეზღუდვის თვალსაზრისით, თუმცა ის ამბიციური სტრატეგიაა და ქვეყნისაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს (Mearsheimer, 2011: 18). ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჯონ მირშაიმერის აზრით, ოფშორული დაბალანსების სტრატეგია ბევრად უკეთესი პოლიტიკაა, ვიდრე გლობალური ბატონობა ან შერჩევითი ჩართულობა. ოფშორული დაბალანსება აშშ-ის დიდი სტრატეგიის სხვა მიდგომას წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, მსოფლიოში არსებობს სამი რეგიონი, რომლებიც სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამერიკისთვის - ევროპა, ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია და სპარსეთის ყურე. აშშ-ს აქვს პრინციპული მიზანი არ დაუშვას ამ არეალში არც ერთი სხვა ქვეყნის ბატონობა, ისევე როგორც დასავლეთ ნახევარსფეროში. ჯონ მირშაიმერი თვლის, რომ ოფშორული დაბალანსების სტრატეგიას აშშ ჯერ კიდევ 1930-იან წლებსა და 1980-1988წწ. ირან-ერაყის ომის დროს მიმართავდა. XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც აშშ დიდ ბრიტანეთს ლენდ-ლოზით დაეხმარა, ვაშინგტონმა ოფშორული დაბალანსების პოლიტიკას მიმართა, რადგანაც მას არ სურდა ევროპის

კონფლიქტში ჩართვა. აშშ მხარს უჭერდა დამარცხებულ ერაყს ირან-ერაყის ომში, რათა არ დაეშვა რეგიონალური ჰეგემონის წარმოქმნა ირანის სახით, რომელიც საბოლოოდ დაუპირისპირდებოდა აშშ-ის გავლენას რეგიონში. ჯომ მირშაიმერი ოფშორულ დაბალანსებას აიგივებს იზოლაციონიზმის სტრატეგიასთან, როდესაც არ არსებობს მკაცრი ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობებში.

ჯონ მირშაიმერი თვლის, რომ ოფშორული დაბალანსების სტრატეგიას სხვა სტრატეგიებთან შედარებით ორი მთავარი უპირატესობა გააჩნია. ის მოითხოვს შეიარაღებული ძალების გამოყენებას მხოლოდ მსოფლიოს სამ რეგიონში და ისიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ოფშორული ბალანსის შედეგად აშშ ნაკლებად დაემუქრება სხვა ქვეყნებს, ამდენად, ნაკლები იქნება ამ უკანასკნელთა სწრაფვა ატომური იარაღის შესაძენად აშშ-ის თავდასხმისაგან თავდაცვის მიზნით (Mearsheimer, 2011: 30-31). ოფშორული დაბალანსება არის ამერიკის პირველობის შენარჩუნების რეალური გზა. როდესაც პოტენციური ჰეგემონი აშშ-ის ინტერესების რეგიონში შეიჭრება, თეთრი სახლი უნდა დაეყრდნოს ადგილობრივ სამხედრო ძალებს და ბრძოლაში მხოლოდ მაშინ ჩაებას, როცა დარწმუნდება, რომ საქმე მის გარეშე ვერ მოგვარდება. პოტენციური ჰეგემონის შეჩერების შემდეგ, აშშ-ის შეიარაღებული ძალები „ჰორიზონტს გაღმა“ უნდა დაბრუნდნენ. ოფშორული დაბალანსების სტრატეგია არ ნიშნავს, რომ აშშ-მა უნდა მოახდინოს დანარჩენი მსოფლიოს იგნორირება, მაგრამ ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის, ევროპისა და სპარსეთის ყურის მიღმა მისი აქტივობა უნდა იყოს უფრო დაბალი და ორიენტირებული დიპლომატიურ და ეკონომიკურ მიმართულებაზე და არა იარაღზე. ასევე, აშშ-მა უნდა შეწყვიტოს დემოკრატიის გავრცელებაზე ზრუნვა მთელ მსოფლიოში და, საზოგადოდ, იმოქმედოს ისე, როგორი უფლებაც და პასუხისმგებლობაც აქვს ჩაერიოს სხვა ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში (Mearsheimer, 2011: 32-33). ჯონ მირშაიმერის აზრით, ოფშორული ბალანსის პოლიტიკა არის საუკეთესო დიდი სტრატეგია ტერორიზმის პრობლემების მოსაგვარებლად, ვინაიდან აშშ-ის შეიარაღებული ძალების განთავსება არაბეთსა და ისლამურ სამყაროში არის მის წინააღმდეგ ტერორისტული შეტევის ძირითადი მიზეზი.

ამრიგად, ჯონ მირშაიმერის ნეორეალისტურ თეორიაში მნიშვნელოვან ფაქტორებად რჩება ნაციონალური უსაფრთხოება, ბირთვული შეკავება და ძალთა ბალანსის პოლიტიკა. რუსეთ-საქართველოს ომმა, უკანასკნელ წლებში მსოფლიოში მიმდინარე ლოკალურმა კონფლიქტებმა საერთაშორისო ურთიერთობების დისკურსში კიდევ უფრო განამტკიცა ნეორეალისტური პარადიგმის პოზიციები, რის გამოც ის ჰეგემონურ თეორიად ჩამოყალიბდა.

ლიტერატურა:

1. Mearsheimer, 2011- Mearsheimer, John. Why Leaders Lie: The Truth about Lying in International Politics. New York: Oxford University Press, 2011.
2. Mearsheimer, Walt, 2007 - Mearsheimer, John, Walt, Stephen. The Israel Lobby and U.S. Foreign Policy. New York: Farrar, Straus and Giroux, 2007.
3. Mearsheimer, 2006 - Mearsheimer, 2001- Mearsheimer, John. The Tragedy of Great Power Politics. New York: Norton, 2001.
4. Mearsheimer, 2006 - Mearsheimer , John. China's Unpeaceful Rise, *Current History*; April 2006; 105, 690; Research Library, p. 160.
5. Mearsheimer, 2005 - Mearsheimer, John. E.H. Carr vs. Idealism: The Battle Rages On. *International Relations*, 2005 SAGE Publications . London, Thousand Oaks, CA and New Delhi, Vol 19 (2), p. 148-149.
6. Mearsheimer, 2011 - Mearsheimer, John. Imperial by Design, *The National Interest*, No. 11,1 Editor Justine A. Rosenthal (January/February 2011), p. 17.

THEORETICAL CONCEPTIONS OF NEOREALISM BY JOHN MEARSHEIMER

Meri Gabedava, Sokhumi State University, Professor under contract

SUMMARY

One of the famous representatives of international relations theory of neorealism is John J. Mearsheimer, who enriched the neorealism theory with new conceptions, analyzed current processes in the system of international relations. According to John Mearsheimer, the international system has three defining characteristics. First, the main actors are states that operate in anarchy. Second, all great powers have some offensive military capability, which means that they have the wherewithal to hurt each other. Third, no state can know the intentions of other states with certainty, especially their future intentions.

John Mearsheimer strictly criticizes foreign policy of the U.S.A., which has also been unable to solve three major foreign-policy problems: the issue of suspending uranium enrichment by Iran, prevent North Korea from acquiring nuclear weapons and settlement of Israel-Palestinian conflict.

The scientist argues, that U.S.A. Middle-East policies have generated the most anti-Americanism. Global hegemonic strategy is unacceptable for John Mearsheimer and he deems, that the U.S.A. should return to the grand

strategy of offshore balancing. In general terms, the United States should concentrate on making sure that no state dominates Northeast Asia, Europe or the Persian Gulf, and that it remains the world's only regional hegemony. This is the best way to ensure American primacy.

Thus, the essential factors in the John Mearsheimer neorealist theory remain the policy of national security, nuclear retention and balance of powers.

მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი თანამედროვე ეპოქაში

მანანა გაგოშიძე, ფილოსოფიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

E-mail: mananagagoshidze@yahoo.com

ცოდნისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ადამიანის აზროვნებისათვის ყოველთვის აქტუალურ თემას წარმოადგენდა. ღირებულია ადამიანისათვის, როგორც რელიგიური, ასევე მეცნიერული ფასეულობები და ამ გზებით მოპოვებული ჭეშმარიტება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეცნიერებაზე და ცოდნაზე მეტად ადამიანისათვის აღმატებული ღირებულება ყოველთვის რწმენას გააჩნდა და ახლაც გააჩნია თანამედროვე ეპოქაში, მიუხედავად დღეს მეცნიერებაში დაგროვილი უზარმაზარი ცოდნისა და გამოცდილებისა. ბუნებრივია, ყოველივე ამას თავისი ამხსნელი მიზეზები გააჩნია.

დღეს თანამედროვე გამოწვევებზე პასუხის გაცემის ყველაზე უნივერსალური საშუალება მეცნიერებას გააჩნია, მით უმეტეს, სციენტშიზმის ეპოქაში, როდესაც ადამიანები მეცნიერებას ყოვლისშემძლედ თვლიან; მაგრამ უსაზღვრო ნდობის მიუხედავად აღმოჩნდა, რომ მეცნიერებას ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეუძლია. თანაც, განსაკუთრებით, ისეთ კითხვებზე, რომლებიც ადამიანისათვის ყველაზე მწვავე და საჭირობოტოა. ესაა ადამიანის ყოფიერების, მისი არსებობის საზრისის, სამყაროში მისი ადგილისა და ზებუნებრივი ძალებისადმი დამოკიდებულების საკითხი. ადამიანის “ტრაგედია” მეცნიერულად ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლობა და არარსებობაა. ადამიანის წინაშე დაგროვილი პრობლემების გადაჭრა მეცნიერებამ საბოლოოდ ვერ შეძლო. ამ ვითარების საინტერესო ანალიზს გვაწვდის ა. ჯორჯამე: ჯორჯამე იცნობს სიცოცხლის პროცესის ახსნის ყველა მეცნიერულ თეორიას, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს არ იძლევა დამშვიდების საფუძველს, რადგან არის პრობლემათა წრე, რომელსაც მეცნიერება ვერ უპასუხებს და რომლებიც ადამიანის წინაშე ყოველთვის დგას, როგორც პრობლემური. “ვინმემ რომ გვკითხოვს, აგვიხსენით, საიდან გაჩნდით, როგორ გაჩნდით ამ წუთისოფელში - არ შეიძლება არ იცოდეთ ეს, რადგან თუ არ იცით, არც ის გეცოდინებათ, სად მიდიხართ სიკვდილის შემდეგ და თუ არც ეს იცით, რა აზრი უნდა ჰქონდეს თქვენ წუთიერ სიცოცხლეს, მომწყვდეულს ორი შავბნელი უფსკრულის ზღვარზე. რა აზრი უნდა ჰქონდეს თქვენ იდეალებს და მისწრაფებას, თუ ყოველივე ქარწყლდება, ისპობა, ქრება. ვინმემ რომ გვკითხოვს ეს, იძულებული ვართ მხრების აწევით ავიცდინოთ თავიდან ეს საკითხი” [1]

კიდევ უფრო პრობლემატურია ადამიანი, როგორც ყოფიერება; არსება, რომელსაც აქვს ცნობიერება, შეუძლია გაიაზროს თავისი ყოფიერების ზღვარი და, ამავე დროს, უძლურია გადალახოს ის. ადამიანი, როგორც ერთადერთი ცნობიერი არსება, სიკვდილის გამოცანის წინაშე დგას. ჯორჯამე აკრიტიკებს ბიოლოგებს, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ თვითცნობიერების მიერ დაყენებულ პრობლემებს და ეს მიაჩნია იმის დასტურად, რომ მეცნიერება უძლურია ადამიანის ყოფიერებასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას გასცეს პასუხი. როდესაც გადავდივართ ჩვენი ყოფიერების განმსაზღვრელ კითხვაზე, ადამიანის ყოფიერების დანიშნულებისა და საზრისის საკითხზე, უნდა შეიცვალოს არა მარტო მეცნიერების მიერ დაყენებული პრობლემები, არამედ მეთოდიც.

ამ უკიდევანო სამყაროში უძლურების განცდა ადამიანს აიძულებს ყოფიერებასთან დაკავშირებული გზები ეძებოს; ამიტომაც ამ მიებას ადამიანი ღმერთის აღიარებამდე და რწმენამდე მიჰყავს.

რელიგია, რწმენა, მკვლევართა აზრით, მეცნიერებისაგან განსხვავებით, ადამიანთა ცნობიერებას უფრო მეტად იზიდავს და ავსებს. მეცნიერება საკითხის დასმით და პრობლემათა გაშუქებით რთული და

მწიკად მისაწვდომია მათთვის. რელიგია, რწმენა ადამიანთა გულებს სიკეთით და სიყვარულით ავსებს. მეცნიერების მიღწევების გამოყენება ხშირ შემთხვევაში უიმედობისა და შიშის წყაროა, თუ უფრო მეტის არა. დღევანდელ სამყაროს კატასტროფის შიში მსჭვალავს. მეცნიერების ზოგიერთმა მიღწევებმა იმ მდგომარეობამდეც კი მიიყვანა საზოგადოება, რომ თვით მეცნიერებიც ვერ ხედავენ გამოსავალს. ვ.პარეტოს თქმით, “მე არაფერი საშუალება არა მაქვს იმისათვის, რომ მოვარჩინო დაავადება, რომელშიც მთელი საზოგადოება ჩავარდა, ამიტომ ვიმყოფები იმ ექიმის მდგომარეობაში, რომელიც პაციენტის სასიკვდილო დაავადებას აცნობიერებს და არ იცის, როგორ გადაარჩინოს იგი” [2] ასეთ გაურკვეველობაში ჩავარდნილი საზოგადოება ბუნებრივია იმედსა და ხსნას რელიგიასა და რწმენაში ხედავს. ცდილობს ღვთის დაპირება მოარგოს თანამედროვე სამყაროს, რათა შეინარჩუნოს საკუთარი თავისა და ყოფიერების გადარჩენის იმედი.

ყველაზე დიდი ტრაგედია, ბედისწერად რომ აჰყვა კაცობრიობას უკანასკნელ ასწლეულში, სულიერი ცხოვრებისა და ზნეობრივი ღირებულებების გაუფასურება-დეგრადაციაა. თავისებურ კანონზომიერებად იქცა გარემოება, რომ მეცნიერულ-ტექნიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს თან ახლავს სულიერი ცხოვრების რეგრესი. წერილში “მეცხრამეტე საუკუნე” ი. ჭავჭავაძე წერს: “რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტე საუკუნეს ერთად არ უნახავს... პროგრესი კაცობრიობისა სხვა არაფერი არ არის რა, გარდა იმისა, რომ დღიდან დღემდე განზე გადგმული იქნას საზღვარი შეუძლებლისა – მართლაც, რომ საკვირველება ამ მხრივ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლი - რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენს მამა-პაპათა, დღეს შესაძლებელი გახდა – მაგრამ საკითხავი აი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა?- არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ ჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება შორს არის”. [3] მაშინდელი გლობალური პროცესების ილიასეული ანალიზის გათვალისწინება დღესაც ანგარიშგასაწევია, ვინაიდან გასულმა საუკუნემაც მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, მაგრამ “სულიერი და ზნეობრივი აღმატებულობის” ამოცანა კვლავაც გადაუჭრელი დარჩა. ი. ჭავჭავაძე წერს: “მეცნიერება ბევრ სხვას კიდევ ძლევამოსილებით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესსა და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეისა ამას იქით”. [3]

ხშირად ისმება კითხვა: რა არის ადამიანის ამქვეყნად არსებობის მიზანი? რა შეხედულებებსაც უნდა გავეცნოთ ამ საკითხთან დაკავშირებით, მართლმადიდებელი რელიგიის პასუხზე უფრო სწორსა და გამართულს ვერ შევხვდებით. კატეხიზმომში ვკითხულობთ: “თავად სახედ და ხატად შექმნა ღმერთმა ადამიანი და ამ არსების უპირველესი დანიშნულებაა თანდათანობით უფრო და უფრო სრულყოფილი გახდეს და დაემსგავსოს შემქმნელს თავისას, რომლის მსგავსადაც იგი შეიქმნა”. ადამიანის არსებობის უმთავრესი მიზანი მისი სულიერი, პიროვნული სრულყოფაა. ადამიანს ობიექტური სამყაროს შემეცნება თავისი ადგილის გასარკვევად სჭირდება და სწორედ აქ მქადავდება მისი, როგორც პრაქტიკული არსების ცნების შინაარსი. სწორედ აქვე, სამყაროს თეორიულ გააზრებასთან ერთად იბადება მეცნიერებაც.

საინტერესო მოსაზრებებს ვკითხულობთ იონა ხელაშვილის რელიგიურ შეხედულებებში რწმენისა და ცოდნის საკითხებთან დაკავშირებით. ადამიანის გონებას ხელაშვილის აზრით, არ ძალუძს ღმერთის შემეცნება, რადგან განსაზღვრული და დაბოლოებული განუსაზღვრელსა და დაუბოლოებელს ვერ შეიმეცნებს. ღმერთის მიწვდომის ერთადერთი გზა არის რწმენა. ღმერთის მიმართ ცოდნის ადგილს რწმენა იჭერს.

ი. ხელაშვილი იცნობს კლარკისა და ლაიბნიცის ცდას მათემატიკური და მეტაფიზიკური გზით დაასაბუთონ ღმერთის არსებობა. თვითონ ხელაშვილს ზედმეტად მიაჩნია ღმერთის არსებობის მტკიცება მათემატიკისა და მეტაფიზიკის გზით, როგორც ამას ლაიბნიცი აკეთებს. გონებას არ შეუძლია საერთოდ ღმერთის არსებობა-არარსებობის დამტკიცება. ღმერთი არსებობს, მის არსებობას ამტკიცებს ქვეყნის არსებობის ფაქტი და სამყაროს კანონზომიერება და არა გონების სიბრძნე. ნიუტონიც ხომ ღმერთის არსებობის აღიარებამდე სამყაროს კანონზომიერებაზე დაკვირვების შედეგად მივიდა - ამბობდა იგი. [4]

გ.ქიქოძის აზრით ღმერთი და ადამიანი კავშირშია, “კაცს ღმერთთან მისცა ორნი უმთავრესნი ნიჭნი, რომელნი მას დაამსგავსებენ თითქმის ღვთაებას; ე.ი. პირველად ჭკუა ან გონება და მეორედ ნება, ანუ თავისუფლება” [5] ღვთის ბოძებული ეს ორი უნარი ადამიანის სპეციფიკურობას ქმნის; როდესაც გ. ქიქოძე განიხილავს ადამიანის ძირითად დანიშნულებას – სრულყოფილებისკენ მისწრაფებას, რაც სიკეთის კეთებას, სამართლიანობასა და სწორი გზით სიარულს გულისხმობს, მხოლოდ რწმენას მიიჩნევს იგი ყველაფერი ამის წარმატებით გადაწყვეტის გარანტიად. ყოველგვარი საქმის წარმატებით გასრულების საფუძველს. გ. ქიქოძის აზრით, ნამდვილი რწმენა წარმოადგენს: “გარნა სარწმუნოებისა ვიტყვი არა უქმსა და მკვდარსა, არამედ ცხოველსა... სარწმუნოებისა, რომელი მარადის მოქმედებს და მუშაობს კაცის გულში, რომელი კაცს არ მოასვენებს... აღვიძებს, ანათლებს, ასწავლის და ელაპარაკება. [5] გ.ქიქოძეს რწმენის მიხედვით ცხოვრება ადამიანის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად მიაჩნია.

ყველა ეპოქისა და ცივილიზაციის ხასიათს საბოლოოდ ღმერთისადმი, საერთოდ ყოფიერების საფუძვლისადმი ადამიანის დამოკიდებულება განსაზღვრავს. ადამიანი ხომ ყოფიერების გაგების მიხედვით ყოფნაა.

ადამიანის ცოდნაც და რწმენაც ყოფიერების საერთო ძირიდან არის აღმოცენებული და მისი ღრმა მეტაფიზიკური პრობლემების მოგვარების მოთხოვნილებიდან წარმოსდგება. როგორც ერთი გზით, ისე მეორე გზით კარგად არის დანახული, რომ ადამიანის ყოფნა სამყაროში მეტაფიზიკურად მოუწყობელ-მოუგვარებელია, უსასრულობაში თავის თავის ანაბარად არის მიტოვებული. შეიძლება ასეც ითქვას: ადამიანი მეტაფიზიკურად ობოლია და მიუსაფარი. “მელთა ხვრელი უჩანს და ფრინველთა ცისათა საყოფელი, - ამბობს მათე მახარომელი,- ხოლო ძესა კაცისასა არა აქვუს, სადა თავი მიიდრიკოს”. ამიტომაც ეძებს ადამიანი თავის მშობელს რელიგიაში. რელიგია უზენაესი რეალობის არსებობის რწმენას და მასთან მუდმივი კავშირის გრძნობას ემყარება.

როგორც სჩანს, ნ. კვარაცხელიას აზრით, გონების შესაძლებლობაში ადამიანის იმედგაცრუებამ მძლავრი იმპულსი მისცა მას რელიგიური გრძნობისა და ზებუნებრივი რეალობისადმი რწმენითი დამოკიდებულების აღმოცენებაში.[6] რელიგია სამყაროსაგან სრულიად განსხვავებული ანტიზუნებრივი წესრიგისა და ზებუნებრივ-სასწაულებრივი რეალობის რწმენას ემყარება. სასწაულის დაშვება და მისდამი რწმენა რელიგიის არსთა არსია. კანტმა ამაოდ სცადა სასწაულის ცნების განდევნა რელიგიიდან და მისი მხოლოდ გონების საზღვრებში დაფუძნება. სასწაულის ცნების უკუგდება და ამასთანავე რელიგიური რწმენის შენარჩუნება არსებითად წინააღმდეგობრივი წამოწყება გახლდათ. რელიგიის სფეროდან სასწაულის განდევნით კანტმა ფაქტობრივად რელიგია უარყო. როგორც ცნობილია, კანტი მორალის ავტონომიურობას იცავდა და რელიგიური რწმენის მასზე დაფუძნებას ცდილობდა. სასწაულის აღიარება და მისი გონების საზღვრებში დაფუძნება სასწაულის საიდუმლოების იდეას ზედმეტს ხდის. კითხვა იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება სიტყვა “სასწაულში” ბუნებრივია ის დაწვრილებით ანალიზს მოითხოვს და პირველ რიგში “ზებუნებრივის” შინაარსში გარკვევას და ეს უკანასკნელი არის “სასწაულის” გასაღები. უეჭველია, რომ “ზებუნებრივი” “ბუნებიდან” არის მიღებული. ბუნების ცნება სრულიად არ არის თავისთავად ცხადი და ერთმნიშვნელოვანი; იგი შეიძლება სხვადასხვანაირად გავიგოთ და ასეც გაიგებოდა კულტურის ისტორიაში. გააჩნია, თუ ვინ წარმოთქვამდა ამ სიტყვას – ფილოსოფოსი, მეცნიერი თუ რომანტიკოსი. საბუნებისმეტყველო-მეცნიერული კვლევის განვითარების შესაბამისად ხდება ბუნების ცნების შინაარსის გადარიბება-დაკნინება. ბოლოს და ბოლოს ბუნება, ბუნებისმეცნიერული კვლევის ობიექტი სქემებად და ფორმულებად იქცევა. თითქოს იგი უკვე აღარ შეიცავს იდუმალსა და სასწაულს. ბუნებრივისა და ზებუნებრივის ამ დაპირისპირებას აზრი აქვს მხოლოდ იმ პირობით, თუ “ბუნებაში” ვიგულისხმებთ იმას, რაც მეცნიერებამ იცის მის შესახებ. სხვა შემთხვევაში აღნიშნული ანტითეზა ყოველგვარ აზრს კარგავს, ვინაიდან არავინ უწყის, თუ რა სასწაულებრივ საიდუმლოს ინახავს ბუნება თავის წიაღში. იგი თავად შეიძლება აღმოჩნდეს ზებუნებრივ-სასწაულებრივი. სწორედ ამ აზრით ამბობს ქრისტიანული თეოლოგიის უდიდესი ავტორიტეტი ნეტარი ავგუსტინე: “სასწაული და ზებუნებრივი ეწინააღმდეგება არა ბუნების კანონს, არამედ იმას, რაც ჩვენ ვიცით ამ კანონების შესახებ”, [7] და მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ბუნება თავის თავში ზებუნებრივია.

როგორადაც არ უნდა გავიგოთ “ბუნების” ცნება, ერთი რამ უეჭველია: რელიგია არის შეუძლებლის შესაძლებლობის რწმენა და როგორც ასეთი იგი ზებუნებრივისა და სასწაულის აღიარებას ემყარება. სასწაული კი ისეთი ზებუნებრივია, რომელიც ეწინააღმდეგება გონების, რაციოს წესებსა და კანონებს. იგი არის საიდუმლო, რომლის წინაშე რწმენით დუმილი გვმართებს. კირკვეორის აზრით, ბიბლიური აბრაამი სწორედ იმიტომ არის “რწმენის რაინდი” რომ იგი ღმერთს სწირავს თავის შვილს არა რაიმეს გულისათვის, არამედ მხოლოდ რწმენისათვის. აბრაამის მოქმედება გონებისათვის გაუგებარი პარადოქსია, საიდუმლოებაა, მაგრამ მხოლოდ მას ესმის ამ საიდუმლოსი, რწმენა არ არის დაკავშირებული გარანტიასთან. გარანტიას მხოლოდ გონება, მონაგარიშე განსჯა და მისი პროდუქტი - მეცნიერება იძლევა.

მეცნიერება უარყოფს სასწაულს, რადგან ნებისმიერ სასწაულში არის ის, რასაც ლოგიკით და მიწიერი კანონებით ვერ ახსნი. მორწმუნეთათვის კი ცხოვრება ღვთისა და სამყაროში მისი სასწაულების აღიარების გარეშე წარმოუდგენელია. მშვენივრად თქვა გოეთემ: “როგორც უნდა მოინდომოს ადამიანმა, ბუნება და მასში მიმდინარე პროცესები გონებაზე უნაბოლოოდ არ იყოფა, ანუ ყველგან და ყველაფერში რჩება ადგილი ირაციონალურისათვის, რწმენისათვის.”

ჩვენის აზრით, რწმენა მეცნიერებას არ გამორიცხავს. საგულისხმოა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის შეხედულება მეცნიერების შესახებ: “მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია. იგი ადამიანის, როგორც ღვთის ხატების მიღწევაა. ოღონდაც ყოველნაირად ვეცადოთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ამ მეტად რთულ დროს სწორი

მიმართულება და გამოყენება მიეცეთ ადამიანის გონების ნაყოფს, უნდა ვეცადოთ, რომ მეცნიერულმა წინსვლამ ხელი არ შეუშალოს პიროვნების სულიერ განვითარებას”.[8]

რწმენა, კერძოდ, მეცნიერის რწმენა გამბედაობას წარმოშობს. მეცნიერის რწმენა ხანგრძლივ დაკვირვებებზე, დაპირისპირებაზე, ზუსტ ცოდნაზე დაფუძნებული რწმენაა.

დღესდღეისობით ნებისმიერი დოგმატი ნათელი რწმენისა თანამედროვე მეცნიერებებისა და ჯანსაღი აზროვნების ნოყიერ ნიადაგს ეფუძნება ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც. თანამედროვე რელიგიური ცნობიერება და პრაქტიკა ყოველდღიური მომხმარებელია მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების. სხვანაირად, ვფიქრობთ თანამედროვე ადამიანის ნდობის შენარჩუნება ძალზედ გართულდებოდა.

ლიტერატურა:

1. ჯორჯამე ა. თხზ. ტ. 111. თბილისი, 1928
2. Семченко А.Т. Современный апокалипсис, Москва. 1989.
3. ჭავჭავაძე ი. თხზ. ტ5, თბილისი, 1978
4. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. 111 ტ. ბათუმი, 2008
5. ეპისკოპოსი გაბრიელი. ქადაგებანი, ტ.1, თბილისი, 1989
6. კვარაცხელია ნ. ადამიანი და მსოფლმხედველობა, სოხუმი, 2001
7. ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი, ლათინურად თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბილისი, 1995
8. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესისა და უნეტარესის ილია 11-ის სიტყვა წარმოთქმული საერთაშორისო კონფერენციაზე “მეცნიერება და რელიგია”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 23 მაისი, 2005 წელი.

ISSUE OF RELATIONSHIP BETWEEN SCIENCE AND RELIGION IN MODERN EPOCH

Manana Gagoshidze, Sokhumi State University, Doctor of Philosophy, Director of the New Scientific-Research Institute of Psychological and Sociological Technologies

RESUME

The issue of inter-dependence of science and religion, faith and knowledge is not new. However, the topic has preserved relevance in all times and epochs.

Our aim is to acknowledge that religion and science do not rule out each other – on the contrary, they coincide and fill one another. Both science and religion require faith in God on the path of the pursuit of truth.

Faith determines the life and existence of a person. Faith has the significance of a deeper layer of a person. Faith grants freedom and through it God has not chained a man to eternal existence.

Moreover, a significant basis for faith is the natural and spiritual environment of a person. The existence of belief is partially determined by the necessity of response to those challenges which a person encounters. The science has most universal means of answering such questions. It is even more truthful today, in modern epoch, when people consider science as omnipotent and think that the latter can respond to any challenge. Despite such limitless trust, the science does not seem to be completely ready to address all the necessary issues connected with human existence.

Despite all the vast pool of knowledge accumulated in science, the human today, in modern global era feels lonely and weak. In this case faith turns out to be the field where a person can feel happier and more perfect.

საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში და კონფლიქტების თანამედროვე პარალელები

მადონა გოგიტიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ქობულეთის რესურსცენტრი, ქობულეთის რესურსცენტრის უფროსი
E-mail: Madona_gogitidze@mail.ru

მახლობელი აღმოსავლეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია მსოფლიოში თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და პოლიტიკურ-ეკონომიკური მოსაზრებებითაც. თანამედროვე პერიოდში ამ რეგიონისადმი ინტერესი სულ უფრო ღვივდება, ვინაიდან საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიკაში ახლო აღმოსავლეთი განიხილება, როგორც კონფლიქტების ერთ-ერთი ცხელი კერა. საერთოდ, მსოფლიოს თითქმის არც ერთი პრობლემა არ მოგვარებულა მახლობელ აღმოსავლეთთან რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული.

თანამედროვე პერიოდში ახლო აღმოსავლეთს რევოლუციური ტალღა აფრიკის კონტინენტიდან მიუახლოვდა. რევოლუციები ტუნისსა და ეგვიპტეში ხელისუფლების ცვლილებით დასრულდა, საპროტესტო აქციები იმართება ალჟირში, ანტისამთავრობო გამოსვლებია სირიაში, იემენში, კატარში და რეგიონის სხვა სახელმწიფოებში.

შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მიზეზები და წინაპირობები საუკუნის წინარე პერიოდის გამოძახილია. თანამედროვე პერიოდის ყველა არაბული სახელმწიფო არაბთა სახალიფოს მემკვიდრეებად ითვლება. სახელმწიფოს საფუძველს რელიგიურ-კულტურული ერთიანობა წარმოადგენდა. მართალია, დროთა განმავლობაში იცვლებოდა ცხოვრების პირობები, თუმცა ტრადიციები უცვლელი რჩებოდა (Бусов, 2005). სახალიფოს დაშლის შემდეგ არაბები ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. დამოუკიდებლობა არაბულმა ქვეყნებმა გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოიპოვეს და ამ პერიოდიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკაში.

მიუხედავად საერთო წარსულისა და ერთიანი ცივილიზაციისა, არაბთა ერთიანობა არასოდეს იყო მყარი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების გაღრმავებისა სწორედ ეს იყო (Гурко-Кряжин, 1925).

არაბულ ქვეყნებში დაწყებული მღელვარებებით, რა თქმა უნდა, შემფოთებული იყვნენ ახლო აღმოსავლეთის მეზობელი სახელმწიფოები. თუმცა ისინი თვლიდნენ, რომ მოსახლეობა არ ემხრობოდა პროდასავლურ რეჟიმს და ამით ერთგვარ „იმუნიტეტსაც“ ფლობდნენ.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოდერნიზაციის პროცესებმა განსაკუთრებით მწვავე და შესამჩნევი სახე მიიღეს XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. რევოლუციური ცვლილებები ნიშნავდა ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დასავლურ პრინციპებზე გადასვლას. დასავლური ცივილიზაციებისკენ მუდმივმა სწრაფვამ მუსლიმურ ქვეყნების უმრავლესობაში მძაფრი რეაქცია გამოიწვია. მართალია, ისლამი არანაირ ეკონომიკურ პრინციპებს არ ითვალისწინებდა, ისევე როგორც არ არსებობდა ქრისტიანული, ბუდისტური ან კონფუციუსის ეკონომიკა, მაგრამ რელიგიურ მსოფლმხედველობას დიდი გავლენა ჰქონდა ეკონომიკის განვითარებაზეც.

შექმნილი მდგომარეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული არაერთგვაროვანი ეთნო-კონფესიური ვითარებაა (გაჩეჩილაძე, 2003).

აღმოსავლეთის ქვეყნები ოპეკის ძირითადი სახელმწიფოებია, რომლებიც მსოფლიო ენერგეტიკულ ფასებს განსაზღვრავენ. თანამედროვე პერიოდში საინტერესოა არა მხოლოდ ნავთობის ექსპორტი და მისი ფასები, არამედ ალტერნატიული ენერგორესურსებიც. აღმოსავლეთის ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკაზე უზარმაზარი მანიპულაციის საშუალება გააჩნიათ (Новейшая история, 2001). ისინი ბლოკავენ ახალი ენერგორესურსების ექსპორტს მსოფლიოში. შესაბამისად მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა კონტროლიდან გამოვიდნენ და უკვე საკმაო საფრთხეს წარმოადგენდნენ მსოფლიოს ეკონომიკისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი ენერგო ტექნოლოგიების განვითარებაზე განცხადება ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც გააკეთა, მან თქვა, რომ ამერიკა უახლოეს წლებში საგრძნობლად შეამცირებს ნავთობის მოხმარებას, რაც ფასებს ნავთობზე 20 დოლარამდე დაწევს და ეს მოხდება ახალი ენერგო წყაროების და პროექტების დანერგვის ხარჯზე.

ასე რომ, სახეზე გვაქვს ახლო აღმოსავლეთში ძველი გეოპოლიტიკური პარადიგმის რღვევა და ახლის ჩამოყალიბება.

კარდინალურად ცვალებად საერთაშორისო ურთიერთობებში თანდათან განისაზღვრება მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა როლი. XXI საუკუნის დასაწყისისთვის ტრანსფორმაცია განიცადა ეროვნულ შესაძლებლობათა გაზომვის სისტემამაც.

ორპოლუსიანი სამყარო, რომელიც 1945 წლიდან 1991 წლამდე, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე არსებობდა, ქმნიდა ყველა ცივილიზაციის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების პირობებს. შესაბამისად ერთპოლუსიანმა სამყარომ პირიქით, მათი შენარჩუნების საფრთხეც გააჩინა (მენტეშაშვილი, 2004).

ავღანეთსა და ერაყში აშშ-ის სამხედრო წარმატების სისწრაფემ საფუძვლიანად შეცვალა არსებული მსოფლიო წესრიგი. ამ სახელმწიფოთა მსგავსად შესაძლო საფრთხის მქონე სახელმწიფოებად მიიჩნეოდა სირია და საუდის არაბეთი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ აშშ ყოველმხრივ უწყობს ხელს ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებაში პროდასავლური პოლიტიკური მოღვაწეების მოსვლას.

უნდა ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ძვრები სავსებით კანონზომიერია. არაბული სამყარო ჩამორჩება მსოფლიოს საერთო სოციალურ-ეკონომიკურ ტენდეციებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა არაბული სახელმწიფო საკუთარ ეკონომიკურ მოდელს იყენებს, საერთო სიტუაცია აქ მაინც უცვლელად რთული რჩება (მენტეშაშვილი, 2005). რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ერთი და იგივე ადამიანების მმართველობა ქმნის პირამიდას, რომლის სათავეში ამ ადამიანის უახლოესი ნათესავები არიან, მათ შემდეგ მოდიან შორეული ნათესავები და აშ. მაგალითად კადაფის რვა ვაჟიდან თითოეულს თავისი ასეთი პირამიდა აქვს შექმნილი.

ჟურნალისტ რობინ რაიტის აზრით, რომელიც ახლო აღმოსავლეთს 1973 წლიდან აშუქებს, დიდია ალბათობა იმისა, რომ არაბული სამყაროს მოსახლეობას შესაძლოა დემოკრატიისა და თავისუფლების იმედი მალე გაუცრუვდეს, ვინაიდან „რეგიონში არც ერთ მთავრობას არ შესწევს უნარი, ხალხის მოლოდინი გაამართლოს. ეს ეხება როგორც ეკონომიკურ მდგომარეობას, ისე პოლიტიკურ ვითარებასაც.“ რევოლუციის შემდგომი ემოციების დაცხრომისას სავარაუდოდ წარმოქმნილი საჯარო უკმაყოფილება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

საინტერესოა დასავლეთის დამოკიდებულება რეგიონში მიმდინარე მოვლენებისადმი, დასავლეთის ქვეყნების ერთი ნაწილი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და არ ერევა კრიზისში, მეორე ნაწილი კი დადებით დამოკიდებულებას აფიქსირებს რევოლუციონერების მიმართ. ერთიანობაში დასავლური დემოკრატიული სამყარო „შავ ლაქად“ აღიქვამს ამ ქაოსურ პროცესებს. სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ და მისი მმართველობის შემდეგ ქვეყანაში ისლამური ფაქტორის გაძლიერებამ დასავლეთის წისქვილზე უფრო დაასხა წყალი, ვიდრე ისლამისტების, რადგანაც ამან ქვეყანაში არეულობა და ქაოსი გამოიწვია.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კონიუნქტურა რეგიონში არ არის დამოკიდებული მუსლიმთა რიცხვის ზრდასა თუ კლებაზე. მიზეზები სულ სხვა დეტალებშია, რომლებიც ხან ზედაპირზე ტიპტივებს და ხან სიღრმეშია დამალული.

ეგვიპტურ-ტუნისური რევოლუციების ტექნოლოგიები და სპეციფიკა ბევრ ისეთ ნიშან-თვისებას ამჟღავნებს, რომელიც „რევოლუციის ექსპორტი“ დამფრთხალი ქვეყნებისათვის შესაძლოა ნაცნობიც კი იყოს (Васильев, 1998). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ დასაწყისში კონტროლირებადი სიტუაცია, შესაძლოა დასავლეთისათვის მოულოდნელად უკონტროლოდ იქცეს და განსხვავებული სახე მიიღოს. მაგალითისთვის შეგვიძლია დემოკრატიული ეგვიპტური მირაჟიდან უკვე კაიროს ქუჩებში დატრიალებული მოვლენები დავასახელოთ.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ტუნისი და ეგვიპტე არასოდეს ითვლებოდნენ ექსტრემისტულ ქვეყნებად, პირიქით, ორივე ქვეყანა, განსაკუთრებით კი ეგვიპტე, ყოველთვის მკვეთრ სადამსჯელო ღონისძიებებს ატარებდა მის ტერიტორიაზე მოქმედი „ალ-ქაიდას“ წევრების მიმართ. ამ ბრძოლაში კი მას მხარს უჭერდა არა მხოლოდ დასავლეთი, არამედ ირანიც. თუმცა დღეს სიტუაცია უკვე ამ მხრივაც შეიცვალა.

ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობით შემფოთებულია ისრაელიც. ეგვიპტესთან გაფორმებული სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ ისრაელს საკმაოდ სტაბილური ურთიერთობა ჰქონდა ამ ქვეყანასთან, თუმცა მუბარაქის მმართველობის დასრულებიდან უცნობია რა ბედი ელის ამ ურთიერთობას. ახლო აღმოსავლეთისთვის კი არა მხოლოდ ეგვიპტეში, ასევე იორდანიაშიც რადიკალი ისლამისტების გააქტიურება ძალიან სახიფათო შეიძლება გახდეს. მითუმეტეს, რომ ისრაელზე რევანშს სამშობლოზე თავდასხმის საპასუხოდ ლიბანური „ჰესბოლაც“ ამზადებს.

ასე რომ, „დენტის კასრზე“ მყოფი რეგიონი კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში რჩება, ვინაიდან პოლიტიკური ვითარება შესაძლოა კიდევ უფრო დაიძაბოს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, საპროტესტო აქციებზე დაგვმილი პროცესები აღარ გამწვავდეს და რევოლუციების საბოლოო შედეგებიც რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდეს.

რთული ეთნოპოლიტიკური მდგომარეობით გამოირჩევა რეგიონის ერთ-ერთი ქვეყანა – სირია. პრეზიდენტი ბაშარ ასადი პოპულარულია ხალხში, მას არ აქვს დასავლეთის მარიონეტის სახელი, თუმცა საშინაო პოლიტიკაში არ გამოირჩევა არაბული რეჟიმისაგან. სირიის ეკონომიკაში ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი ირანია. სირიით ასეთივე დაინტერესებაა სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების შიიტების მხრიდანაც. ქვეყნის მოწყობა არქაულია და ოპოზიციისთვისაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის. მმართველ და ფაქტიურად ერთადერთ რეალურ პარტიას „ბაასი“ წარმოადგენს, რომელიც სოციალიზმის აშენებისკენ ისწრაფვის. თუმცა ეს უფრო წარსულის მცდელობა იყო და იგი XXI საუკუნეს აღარ მიეკუთვნება. სირია ირანთან და რუსეთთან თანამშრომლობის მიუხედავად მეცნიერების, ტექნოლოგიების და განათლების კუთხით კვლავ ჩამორჩენილ ქვეყნად რჩება. ქვეყანას აქვს არაბული და ისლამური სამყაროსთვის შეუსაბამო სეკულარული მოდელი, რომელიც სოციალიზმის აშენებას აცხადებს მიზნად. ამგვარად, ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაში ისლამის ფაქტორი იგნორირებულია. ასე რომ, მხოლოდ კორუფციასთან ბრძოლა და რეჟიმის ერთგვარი ლიბერალიზაცია ვერ წყვეტს ყველა ამოცანას. თუ ქვეყანას სურს არ გახდეს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა სამიზნე, მათ უნდა მოძებნონ საერთო ენა “მუსლიმ ძმებთან.”

ერაყში მოსახლეობის უმრავლესობას არაბი შიიტები შეადგენენ, ამერიკელების ყოფნა ჯერ-ჯერობით აწონასწორებს ირანის გავლენას, მაგრამ მათი გასვლის შემთხვევაში ირანი მეტ შესაძლებლობებს მიიღებს მეზობელ ქვეყანაში საკუთარი პოზიციების გასამტკიცებლად. ირანი ემზადება რკინიგზის ხაზის აღსადგენად ერაყამდე და თუ ეს მოხდა, იგი მიიღებს საშუალებას გადაისროლოს იარაღი და სამხედრო სპეციალისტები ლიბანში სირიისა და ერაყის გავლით. ერაყი ნავთობის რეზერვებთან ერთად გაზის საბადოებსაც ფლობს და მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა გარანტირებულია, თუ კი მთავრობა შესძლებს რეალურად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები.

ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ნაკლებშემოსავლიანი და ბუნებრივი რესურსების მხრივ ღარიბი ქვეყანა იორდანიაა. აქ მოსახლეობის უმეტესობას პალესტინელი ლტოლვილები შეადგენენ. იორდანის 35 მილიონთა სახელმწიფოს სრული აღიარება და გაეროში მიღება 1955 წლის დეკემბერში მოხდა (გაჩეილაძე, 2003). საპროტესტო გამოსვლები იორდანიაშიც შეინიშნება, თუმცა არა მასობრივი ხასიათის. მაგრამ სიტუაციის შეცვლა ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს, მაშინ სავარაუდოდ მეფე აბდულა II მოუწევს რიგი დათმობების გაკეთება.

რაც შეეხება სპარსეთის ყურის ქვეყნებს (საუდის არაბეთი, იემენი, ბაჰრეინი), ისინი რეგიონისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ბაჰრეინში აშშ საზღვაო ძალების სამეთვალყურეო პუნქტია განლაგებული. მართალია, სუნიტური დინასტია მმართველია, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობას კვლავ შიიტები შეადგენენ. ბაჰრეინის შიიტები არაბული რევოლუციების დაწყების შემდეგ მკვეთრად გააქტიურდნენ. ისინი მრავალათასიან მშვიდობიან დემონსტრაციებს და მჯდომარე აქციებს მართავენ. შიიტმა დეპუტატებმა შეაჩერეს თავისი წევრობა პარლამენტის ქვედა პალატაში. დემონსტრანტებსა და სამეფო საპოლიციო-სამხედრო ძალებს შორის დაიწყო შეტაკებები, დაშავდა მრავალი ადამიანი. ნათელი გახდა, რომ სუნიტური დინასტია ვერ ამყარებს კონტროლს სიტუაციაზე. ბაჰრეინმა დახმარებისთვის საუდის არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებს მიმართა. საუდის არაბეთმა მართლაც აღმოუჩინა დახმარება ბაჰრეინს რამდენიმე ათასი სამხედროს სახით. საუდელი ჯარისკაცები მთელი სისასტიკით ებრძვიან შიიტ დემონსტრანტებს.

ბაჰრეინისგან განსხვავებით, იემენში გაცილებით რთული ვითარებაა. აქ ძლიერია პოლიტიკურ-გეოგრაფიული დაყოფა: ჩრდილოეთში მოქმედებენ შიიტი აჯანყებულები, ხოლო სამხრეთ რაიონებში – სამხრეთელი სეპარატისტები. იემენის საქმეებში საუდელელები ღიად არ ერევიან, თუმცა თუ პრეზიდენტი სალეჰის (ამჟამინდელი პრეზიდენტი სალეჰი წარმოადგენს პროამერიკულ და პროსაუდურ ფიგურას, რომელიც წარმოშობით შიიტი ზაიდიტებიდანაა) რეჟიმი დაეცა, შიიტურ ძალებს ჩრდილოეთში მიეცემათ საშუალება უფრო გააქტიურდნენ, რაც საუდის არაბეთს აიძულებს ძალები გადაისროლოს იემენის საზღვრისაკენ. ასე რომ, უახლოეს წლებში ნახევარკუნძულზე დამაბულობა სავარაუდოდ კვლავ გაგრძელდება.

ლიტერატურა:

1. Бузов В. И., Новейшая история стран Азии и Африки, Ростов-на-Дону, 2005, С. 138.
2. Гурко-Кряжин В. А. Ближний Восток и державы. М., 1925. С. 126.
3. გაჩეილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა, თბ., 2003, გვ. 338.
4. Новейшая история стран Азии и Африки, XX век, ч.3, М., 2001, С. 214
5. მენტეშაშვილი ზ., გლობალური ცივილიზაციური პრობლემები და უშიშროების საკითხი XXI საუკუნეში, საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, თბ., 2004, გვ. 172.
6. მენტეშაშვილი ალ., XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები, თბ., 2005, გვ. 56.
7. Васильев Л. С. История Востока, Ч. 2. М., 1998, С.138.

INTERNATIONAL POLITICAL SITUATION IN NEAR EAST AND MODERN PARALLELS OF CONFLICTS

Madona Gogitidze, Territorial Organ of the Ministry of Education Culture and Sport of the Autonomous Republic of Adjara, Kobuleti Resource Centre

SUMMARY

Near East is one of the important regions in the world with its geographical location and political-economical consideration. In contemporary period the interest to this country is rising for its international, relationship and diplomacy. That's why it is considered to be one of the hot places of conflicts. In general none of the conflicts were settled connected with Near East.

In contemporary period revolutionary wave reached to Near East from African continent. Revolutions in Egypt and Tunis were finished by changes of the government Demonstrations of protest are held in Algeria, anti-governmental protests are in the regions of Syria, Yemen, Catarrh and some other parts of this region.

In Near and Far East countries the process of modernization was changed from the second period of the 20th century. Revolutionary changes meant that economy and social life were moved to Western principles. These countries, mentioned above began to strive for Western civilization and this was the reason of rapid reaction of the government.

It's clear, that Islam didn't for-see none of the economical principles, as there weren't Christian, Buddhist economy, but religious ideology had great influence on economical development.

One of the main factors of the situation in Near East countries are ethic-confessiv condition. It's interesting to know what is the attitude of Western Countries to these regions. Some parts of these countries have neutral position, as for others positive dependence to the revolutionary movement. But western democratic World perceives that the situation in Near East countries is lake "Black Spot" for other countries. After overthrowing of Sadam Hussenn's regime in the country Islam factor began to strengthen. This caused some problems to western countries, but not to the islamists.

To sum up political situation is not connected to the growth or lack of the Muslims. The reasons are in other details that are either on the surface or hidden in the depth.

The tension supposedly will still continue on Arabian peninsula in the nearest years.

НОВЫЕ ТЕНДЕНЦИИ В МЕЖДУНАРОДНЫХ СВЯЗЯХ БЕРДЯНСКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

Игорь Лыман, Бердянский государственный педагогический университет, Доктор исторических наук, Профессор, Директор Центра международных отношений
E-mail: Lyman@ukr.net

Виктория Константинова, Бердянский государственный педагогический университет, доц. каф. истории Украины
E-mail: VNKonst@ukr.net

Процессы глобализации, интеграции, наблюдаемые сегодня, требуют от каждого высшего учебного заведения, которое стремится идти по пути динамического развития, углубления связей с иностранными и международными организациями, восприятие лучшего мирового опыта. И Бердянский государственный педагогический университет уверенно шагает по этому пути.

Международные связи БГПУ постепенно приобретают все больше признаков целенаправленности, комплексности и системности.

В сфере международных связей в последние годы БГПУ делает акцент на следующих направлениях:

1. Налаживание новых партнерских связей с высшими учебными заведениями, научными учреждениями и организациями других стран.
2. Углубление сотрудничества с иностранными учебными заведениями, с которыми ранее были заключены договоры о сотрудничестве.
3. Участие в международных научно-исследовательских, образовательных и культурных программах.
4. Активизация студенческих международных обменов.

5. Организация и проведение на базе БГПУ международных научных и научно-практических конференций, семинаров, круглых столов, участие преподавателей университета в подобных мероприятиях в других вузах, в том числе и за границей.

6. Публикация научных работ преподавателей и студентов БГПУ в зарубежных изданиях.

7. Грантовая деятельность.

8. Преподавание в БГПУ иностранных специалистов и направление преподавателей БГПУ на стажировку за границу.

В рамках реализации первого и второго направлений были заключены договоры и налажено тесное сотрудничество с Тракийским университетом (Болгария), Университетом Фридриха-Александра (Германия), Великотырновским университетом им. Святых Кирилла и Мефодия (Болгария), Юго-Западным университетом «Неофит Рильский» (Болгария), Пловдивским лингвистическим университетом (Болгария), Вармия-Мазурским университетом (Польша), Калужским государственным педагогическим университетом им. К.Э. Циолковского (Россия), Шяуляйским университетом (Литва), Московским техническим университетом им. Баумана (Россия), Ярославским государственным педагогическим университетом им. К.Д. Ушинского (Россия), Брянским государственным университетом им. И.Г. Петровского (Россия), Техническим университетом Варна (Болгария), Невинномысским государственным гуманитарно-техническим институтом (Россия), Таганрогским государственным педагогическим институтом (Россия), Педагогическим институтом Южного федерального университета (Россия), Физическим институтом им. П.М. Лебедева РАН (Россия), Open License Society (Бельгия), Жешувским университетом (Польша), Корпусом Мира (США) Московским государственным университетом технологий и управления (Россия), Ассоциацией «Дружба и танец» (Франция), Академией развития сознания (Россия), Минским институтом управления (Беларусь), Техническим университетом Габрово (Болгария), Университетом Пуэбло (Мексика), Университетом Фатих (Турция), Университетом Мичиган-Флинт (США), Магнитогорским государственным университетом (Россия), Российской академией естественных наук (Россия), Горийским университетом (Грузия), Уральским государственным техническим университетом им. Первого Президента России Б.Н. Ельцина (Россия), Московским государственным университетом имени М.В. Ломоносова (Россия), Нижегородским государственным университетом им. М.И. Лобачевского (Россия), Ярославским государственным университетом им. П.Г. Демидова (Россия), Воронежским государственным архитектурно-строительным университетом (Россия), Университетом для иностранцев «Данте Алигьери» (Италия) Новосибирским государственным педагогическим университетом (Россия), Государственным образовательным учреждением высшего профессионального образования «Тверской государственный университет» (Россия). Здесь мы приводим названия наших партнеров по хронологии подписания с ними договоров о сотрудничестве. Причем если в течение 2001 – 2006 годов было заключено 13 договоров, в 2007, 2008, 2010 годах их подписывалось по 6, а в 2009 году – 9.

И это не считая нескольких десятков договоров, заключенных институтами, факультетами и кафедрами БГПУ с соответствующими структурными подразделениями иностранных вузов.

Примером реализации прямых договоров является сотрудничество кафедры компьютерных систем и сетей (КСС) с научно-исследовательским институтом Open License Society (OLS), расположенном в городе Лювен, Бельгия. Первый научный проект «Визуальный язык для моделирования систем», разработанный заведующим кафедрой КСС доцентом В.И. Межуевым и директором OLS Эрихом Верхалстом, был подан на рассмотрение европейской комиссии в рамках FP6 еще в 2004 году. В декабре 2005 года кафедрой КСС был заключен договор о долгосрочном научном сотрудничестве с OLS. Совместно с OLS кафедрой КСС был осуществлен ряд научных мероприятий с участием ведущих ученых Украины и мира. В частности, отметим международный семинар «Formal modeling for embedded software engineering», проведенный на базе Melexis Microelectronics (Киев, 9-12 октября 2006), международную школу-семинар по системной инженерии, которая состоялась 10-14 сентября 2007 года в г. Бердянске на базе БГПУ и многие другие мероприятия. Доброй традицией стали научные консультации, которые осуществляют ведущие бельгийские ученые в рамках научного сотрудничества.

Участие БГПУ в международных научно-исследовательских, образовательных и культурных программах осуществляется, в частности, благодаря членству в Ассоциации университетов Карпатского региона, в которую входят высшие учебные заведения Украины, Словакии, Польши, Венгрии, Румынии и Сербии. Впрочем, этим соответствующее направление далеко не ограничивается. Среди многочисленных программ упомянем лишь программу REPFAR (профилактика и предупреждение ВИЧ-СПИД средствами образования в соответствии с Национальной программой обеспечения профилактики ВИЧ-инфекции), реализуемого совместно с Международным Альянсом по борьбе с ВИЧ-СПИД (США).

Ежегодно растет количество представителей университета, которые направляются в зарубежные учебные и научные учреждения. Если в 2006 году было совершено 62 визита в 8 стран мира, то в 2007 г. соответствующие показатели составляли 82 и 15, 2008 – 218 и 21, 2009 – 221 и 25. Крайне важно, что растет удельный вес тех визитов, которые были осуществлены по прямым договорам, заключенным БГПУ.

Между прочим, уже стало доброй традицией каждый год летом проводить языковую практику студентов в США, Болгарии, Польше. В частности, поскольку в БГПУ ведется подготовка по специальности «Английский (немецкий) язык и литература и болгарский язык и литература», прошлым летом несколько очередных групп студентов были направлены в Болгарию на языковую стажировку в техническом университете города Габрово. Департамент по языковому обучению иностранцев при Габровском техническом университете при поддержке

Министерства образования Болгарии обеспечил выполнение учебной программы, которая дала возможность не только пообщаться с носителями языка, углубить свои коммуникативные умения и навыки, но и глубже изучить болгарскую культуру и традиции.

Поскольку с 2005 года на базе Бердянского государственного педагогического университета осуществляется подготовка учителей по специализации «Польский язык и литература», во время летних каникул студенты и преподаватели Института филологии с целью совершенствования языкового и профессионального уровней проходят стажировку в вузах Польши.

В рамках партнерских отношений с каждым годом растет количество визитов иностранцев в университет. В 2010 году БГПУ с официальным визитом посетили 100 специалистов и студентов из 17 стран. Для сравнения: в 2006 году эти показатели составляли соответственно 28 и 5, 2007 – 74 и 9, 2008 – 92 и 9, 2009 – 95 и 23.

Неотъемлемой составляющей международного сотрудничества является проведение на базе БГПУ международных конференций, семинаров и круглых столов. Только Институт филологии БГПУ за последнее время организовал такие международные форумы как “Творческие подходы и методы в преподавании иностранных языков”, “Маринистика в художественной литературе”, “Типология знаков в социальном, межэтническом, психологическом и кросскультурном измерениях”, “Язык – литература – культура в контексте национальных взаимосвязей”.

Со своей стороны, преподаватели и студенты БГПУ активно участвуют в подобных научных форумах зарубежом.

БГПУ все активнее выступает соорганизатором международных конференций зарубежом. В частности, уже несколько лет бердянское высшее учебное заведение имеет честь быть в списке организаторов ежегодной международной конференции «Новые тенденции в образовании: исследование и развитие», которая проходит на базе Горийского университета.

Одним из важных аспектов международных отношений БГПУ является публикация научных работ преподавателей и студентов университета в зарубежных изданиях. Благодаря заключенным международным договорам ширится практика издания сборников под грифами БГПУ и его зарубежных партнеров. В частности, увидели свет два выпуска сборника научных трудов ученых университета Фридриха-Александра и Бердянского государственного педагогического университета «Немецко-украинские педагогические студии» («Deutsch-Ukrainische Pädagogische Studien») (Баханов, 2005; Баханов, 2010).

С каждым годом увеличивается количество международных грантов, полученных как отдельными преподавателями и студентами, так и структурными подразделениями университета. В частности, недавно событием для БГПУ стало получение гранта на создание учебной радиостанции благодаря победе в конкурсе проектов, который проводился Фондом содействия демократии Отдела прессы, образования и культуры Посольства США в Украине. БГПУ получил возможность закупить техническое оснащение лаборатории радиожурналистики для повышения качества обучения студентов-журналистов.

Среди других грантов обратим внимание на 10 дотаций, полученных студентами БГПУ из фонда имени Екатерины Ковшевич. Этот фонд был основан в США в 1999 году. Он ориентирован на молодых людей, нуждающихся в помощи для достижения своих целей, то есть Фонд предоставляет стипендии отличникам учебы в Украине и в других частях Восточной Европы, Азии и Южной Америки.

Мы стремимся, чтобы студенты БГПУ имели возможность слушать лекции ведущих зарубежных специалистов. Поэтому в последние годы в аудиториях университета работал целый ряд преподавателей из США, Мексики, Германии, Бельгии, Болгарии, России и других стран.

С целью систематизации и популяризации информации о международной деятельности университета в целом, его структурных подразделений, отдельных преподавателей и студентов в 2007 году была начата публикация ежегодного бюллетеня «Международная деятельность Бердянского государственного педагогического университета». Уже увидели свет четыре его выпуска. Мы стремимся донести до каждого важность, перспективность и престижность участия в различных формах международного сотрудничества. В бюллетени включаются, кроме текстов документов, регламентирующих соответствующую сферу деятельности университета, данные об основных достижениях коллектива университета по приоритетным направлениям международных связей; эссе о наиболее важных проектах, реализованных преподавателями и студентами; показатели рейтинга результатов работы по международному сотрудничеству за год; непосредственно соответствующие рейтинги преподавателей, кафедр и научно-исследовательских институтов.

Именно введение соответствующих рейтингов считаем одним из действенных механизмов активизации включения каждого преподавателя университета в международную деятельность. Важно, чтобы шкала была составлена по предложениям структурных подразделений университета и утверждена специально созданной комиссией в составе заместителей директоров институтов и деканов факультетов БГПУ. Поэтому в рейтинге, в частности, предусматривается начисление определенного количества баллов за выполнение индивидуального международного гранта; участие в выполнении международного коллективного гранта; патент на изобретение международного уровня; подписание договора о сотрудничестве с вузом или научным учреждением другой страны (или их структурными подразделениями); приглашение иностранного специалиста для работы или стажировки в БГПУ; прием иностранных преподавателей, научных работников и студентов; организацию и проведение международной конференции; участие в международной конференции на территории Украины; поездку за границу (для участия в конференции; для обучения; для стажировки; для преподавания); публикацию

монографии или учебника за рубежом; публикацию монографии совместно с ученым другой страны; публикацию статьи в зарубежном научном издании; руководство студенческой международной деятельностью; организацию поездки студентов БГПУ за границу; получение сертификата TOEFL, GMAT, IELTS, TOEIC, GRE, ILEC, ICFE, FCE, CAE, BEC, KET, PET, KDS, ZD, ZMP, ZOP о владении иностранным языком; участие в редакционной коллегии иностранных изданий; участие в программном комитете международной конференции; членство в международной ассоциации и т.д. Учитывая широту спектра международного сотрудничества, специально оговаривается, что не предусмотренные пунктами рейтинга виды международной деятельности оцениваются комиссией отдельно.

У БГПУ достаточно амбициозные планы по развешиванию международных контактов. Лишь недавно ректор университета, профессор В.А. Зарва вернулась из Мальтийского университета, с руководством которого ведутся переговоры о тесном сотрудничестве. Фактически одновременно с этим директор Института инженерно-педагогических технологий БГПУ доцент В.Г. Хоменко в польском городе Ломже подписал договор с местной Высшей школой агробизнеса, предусматривающий возможность получения нашими студентами второго высшего образования в Польше по направлению компьютерных технологий. Имеется целый ряд других перспективных начинаний. И есть все основания надеяться, что они будут реализованы.

ЛИТЕРАТУРА:

1. Українсько-німецькі педагогічні студії. Збірник наукових праць учених університету Фрідріха-Александра (Ерланген-Нюрнберг) та Бердянського державного педагогічного університету / За ред. К.О. Баханова. – Бердянськ: БДПУ, 2005. – 329 с.
2. Німецько-українські педагогічні студії: збірник наукових праць учених університету Фрідріха-Александра (Ерланген-Нюрнберг) та Бердянського державного педагогічного університету (Бердянськ, Україна) / за ред. К.О. Баханова. – Донецьк: Юго-Восток, 2010. –179 с.

NEW TRENDS IN INTERNATIONAL RELATIONS OF BERDYANSK STATE PEDAGOGICAL UNIVERSITY

Igor Lyman, Berdyansk State Pedagogical University, Doctor of Historical Sciences, Professor, Director of the Center for International Relations

Viktoria Konstantinova, Berdyansk State Pedagogical University, Assistant Professor of the Department of History of Ukraine

SUMMARY

This article is devoted to the latest trends in international activities of Berdyansk State Pedagogical University, which since 2009 has been a partner of Gori Teaching University. The attention is paid to such aspects of activity as establishing of the new partnerships with universities, research institutions and organizations of other countries; strengthening of the cooperation with foreign educational institutions, which the agreements of cooperation were previously signed with; participation in the international research, educational and cultural programs; activation of international students' exchanges; organization on the basis of BSPU international scientific and practical conferences, seminars, round tables; participation of the teachers of university in similar actions in other universities, including universities in foreign countries; publication of teachers' and students' scientific works in foreign editions; grant activities; teaching in BSPU of foreign experts and sending of teachers of BSPU for training abroad. In particular, there is a list of universities and research institutions of the USA, Mexico, Germany, France, Italy, Belgium, Poland, Bulgaria, Turkey, Lithuania, Georgia, Russia, Belarus, with which BSPU has signed agreements and develops cooperation. The special attention is focused on the experience of composing of the indicators of rating of the international activity of departments and scientists of BSPU. Besides, the experience of publication of the annual newsletter "International activities of Berdyansk State Pedagogical University" is described.

მცირედი სჯა ვიკტორ ნოზაძის ნაშრომზე „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“

კლარა ელჩიბეგაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: nliparteliani69@gmail.com

ვიკტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს, როგორც შუა საუკუნეთა უძლიერეს და უდიადეს კულტურის გასაცვიფრებელ მემკვიდრეობად, სადაც თითო სხარტული მხატვრული თქმა კულტურის მთელ დარგებზე მიუთითებს და ამ დარგთა შესწავლას მოითხოვს. „ვეფხისტყაოსანი“ მუსიკაა, ისეთი ძლიერი და წარმტაცი, რომ ხშირად მკითხველს ლექსის აზრზე შეიძლება ყურადღება მოუდუნდეს, რომელიც მისგან დიდ ცოდნას მოითხოვს.

პირველყოფილი კულტურის ხანაში ადამიანი არჩევდა: თეთრ, შავ, ყვითელ, მწვანე, წითელ, ლურჯ და წაბლისფერ ფერებს. სწორედ ეს ფერები აისახებოდა ცისარტყელაში, რომელიც ცისა და ხმელეთის შემაერთებელ ხიდად ითვლებოდა.

ებრაელთა სარწმუნოებაში ღმერთი თეთრი და ნათელია, ასევე ქრისტიანობაშიც და მაჰმადიანობაშიც ღმერთი ნათელია, თეთრი და ბრწყინვალე. ფერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ინდოეთში, ბუდუზმში, მაზდეანიზმში, ზოროასტრიზმში და მითრაიზმში. ვარსკვლთთაყვანების სარწმუნოებაში, რომელიც სულიერ კუთვნილებას ბაბილონურ-ქალდეურ კულტურიდან იღებს ფერთა სიმბოლიკას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა:

კრონოს (ზუალ)-შავი; ზევეს (მუშთარ)-თეთრი; არეს (მარხ)-წითელი; აფროდიტე (ასპიროს)-ჭრელი; ჰერმეს (ოტარიდ)-მწვანე; მზე (შამს)-ოქროსფერი; მთვარე (ყამარ)-ვერცხლისფერი;

ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ ძველ სემიტურ და არიულ ხალხთა შორის სოციალური განსხვავება სამოსელის ფერთა სხვაობით გამოიხატებოდა. ფერთა სიმბოლიკას დიდ ყურადღებას აქცევდნენ კლასობრივსა და წოდებრივ ცხოვრებაში. ფერთა სიმბოლიკა გამჭოლად გასდევს ძველი დროისა და შუა საუკუნეების კულტურას, როგორც მხატვრობაში, ასევე სიყვარულში და ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ძალიან მდიდარია „ვეფხისტყაოსნის“ ფერები. იგი მოითხოვს ფერთა კულტურაში გაწრთვანას, რათა გასაგები გახდეს „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება.

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, გეოგრაფისა და ისტორიკოსის, ვახუშტის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. ამ ნაშრომის ერთ აბზაცში „სავარდისათვის“ - ვახუშტი წერს: „სავარდეთა ყვავილნი მრავალი: ვარდნი წითელი, ყვითელი და თეთრი, მიხაკი, სუმბული, ნარგიზი, ზამბახი, ყაყაონი მრავალგვარნი, და კვალად სხვანიცა მრავალნი ყვავილნი სხვა სხვა გვარნი და ფერნი. ხოლო ველთა: ია, ყოჩივარდა, ნეგო, მიხაკი, შროშანა და მრავალნი, ვიდრე ასფერამდე და ასგავრთამდე.“ ხოლო მეორე აბზაცში „ხილთათვის“ ვახუშტი აღწერს სხვა ფერებს: „ხოლო ხილნი წალკოტა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთის-ხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტყედი, ქლიავი მრავალგვარი, ლეღვი, მბალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ნესვი, მელსაპეპონი, პუმპულა, კიტრი...“ (ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ 1941).

სულხან საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში „სიტყვის კონა“ სიტყვას „ფერი“ ასე განმარტავს: „ფერი თეთრი, წითელი, შავი და მისათანა.“ (სულხან საბა ორბელიანი ქართული ლექსიკონი-სიტყვის კონა).

ვიკტორ ნოზაძე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვას „ფერი“ რამოდენიმე მნიშვნელობა აქვს. ასეთია მისი სქემა:

1. „ლინგვისტური-ფერი: წითლობა, სიწითლე, წითელი;“
2. „ფილოსოფიური-ფერი: არსი;“
3. „ფიზიოლოგიური-ფერი:ჯანმრთელობა;“
4. „ესთეტიური-ფერი: სილამაზე, თვითსილამაზე;“
5. „სოციალური-ფერი: წოდების აღმნიშვნელი, კადრება;“
6. „მხატვრული-ფერი: ფერადობა, ბიზინი;“
7. „ფერი:სხვადასხვაობა;“
8. „ფერი: მსგავსობა;“

სქემის მესამე პუნქტის ანალიზისათვის წიგნის ავტორი „ვეფხისტყაოსნიდან“ იშველიებს ავთანდილის მონათხრობს ტარიელთან პირველად შეხვედრის შემდეგ, ტარიელი არისო „ფერ-

ნამკრთალი,“ „ფერ-ნაკლული“-ო. ეს სიტყვა „ფერი“ იხმარება სხვადასხვა გამოთქმით: „ფერი ჰკრთა“, „ფერსა აკლებს“, „ფერ-შეცვლილი“, „ფერ-მიხდილი“, . . . რაღაც საღს, ჯანმრთელს, დადებითს, ლამაზს, მშვენიერს ძალა აკლდება.“ (ვიკტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“. 2004). აქვე ავტორი განიხილავს თავის სქემის პირველ პუნქტსაც: „ფერი“ ქართულად მარტო ფერადს კი არ ნიშნავს, არამედ კონკრეტულად წითელ ფერადაც იგულისხმება... ამგვარად „ვეფხისტყაოსნის“ „ფერი“ ნიშნავს- წითელი, სიწითლე, წითლობა. „ვარდმან ფერი განანათლა“...

ვიკტორ ნოზაძე მიიჩნევს, რომ სიტვა „ფერი“ გამოხატავს არსს, არსებას საგნისა და მოვლენისა. იგი ამ საკითხზე იმოწმებს ფილოსოფოსებს პითაგორასა და პითაგორიანელებს, რომელთაც ფერი საგნის კუთვნილებად მიაჩნდათ და მის არსად თვლიდნენ. მისივე აზრით, ამ გვარადვე ფიქრობდნენ სტოელებიც და და არაბულ ფილოსოფიაშიც-ნაზუამ და ჰიშამი. იგი თვისი არგუმენტის დასასაბუთებლად იმოწმებს, რომ ქართულ ენაში სწორედ ამგვარი მნიშვნელობისაა „ფერი“, „არაფერი“, „ყველაფერი“, „სხვაფერი“. ამგვარად აქ იგულისხმება არსება, თვით საგანი ან მოვლენა. ვიკტორ ნოზაძე „ვეფხისტყაოსანში“ იმოწმებს ტარიელის შესახებ; „ხმა შაქრის ფერად გაუხდა, ვარდსა ხშირ-ხშირად პობილსა“. . . ტარიელის ხმა გახდა შაქრის ფერი. . . შაქრის არსი, „გემო“, არის სიტკობა, ამიტომ ტარიელის ხმა გახდა ტკბილი. (ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ 2004).

ალექსეი ლოსევი „აღმოსავლურ რენესანსში“ საუბრობს აკადემიკოს შ. ნუცუბიძის შეხედულებებზე რუსთაველისა და აღმოსავლური რენესანსის შესახებ. მისი აზრით, აღმოსავლური რენესანსის სხვა მცოდნეთაგან განსხვავებით შალვა ნუცუბიძე იძლევა, საერთოდ, აღმოსავლური და დასავლური რენესანსის ერთობ ფართო სურათს. ამ სულიერ მოძრაობას თავს უყრის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის „არეოპაგეტიკის“ ორგვლივ, რომლის ნამდვილი ავტორი შ. ნუცუბიძის გამოკვლევების მიხედვით არის ნეოპლატონიკოს პროკლეს უშუალო მოწაფე, სირიის გაზაში ქართული კულტურული სკოლის მეთაური და პალესტინის მაიუმის ეპისკოპოსი, ქართველი მოაზროვნე, პეტრე იბერი. შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, ამავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი ე. ჰონიგმანი. სხვა სიტყვებით აღმოსავლურ-დასავლური რენესანსის საფუძველს წარმოადგენს შემდგომ გადამუშავებული ანტიკური ნეოპლატონიზმი. ამ ფაქტს უმაღვე შეაქვს სიცხადე და გარკვეულობა რენესანსის ყველა პრობლემაში. თუმცა, ის არც უდავოა და არც კრიტიკის გარეშე არ დარჩენილა, მიუხედავად ამისა ჩვენ შ.ნუცუბიძესთან ერთად „არეოპაგეტიკის“ ავტორად პეტრე იბერის ჩათვლას სავსებით შესაძლებლად ვთვლით. (ალ. ლოსევი „აღმოსავლური რენესანსი“ 2005).

შ. ნუცუბიძემ ენერგიულად და ხელთარსებული ფაქტებით დაასაბუთა აღმოსავლეთის გავლენა დასავლეთზე. დასავლეთში ბერძნების მისვლის გარეშე არ წარმოიქმნებოდა ფლორენციის განთქმული აკადემია, რომელიც გახდა ახალი ეპოქის აღორძინების დასაწყისი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „არეოპაგეტიკას“ არ ჰქონდა მნიშვნელობა ოფიციალური ეკლესიისათვის. „არეოპაგეტიკის“ შემადგენლობაში შედიან არა მხოლოდ „საღმრთოთა სახელთათვის“ და „მისტიკური ღვთისმეტყველების შესახებ“ ტრაქტატები, არამედ წმინდა საეკლესიო-ღვთისმეტყველური ტრაქტატები- „საეკლესიო იერარქიის შესახებ“ და „ზეციური იერარქიის შესახებ“. ტრაქტატში „ზეციური იერარქიის შესახებ“, დადგენილია ანგელოზთა ცხრა ხარისხი, რომლებიც შესულია ანგელოზთა შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრების საფუძველებში.

ალ.ლოსევი თავისი მოსაზრებების გასამყარებლად იშველიებს შუა საუკუნეების ღვთისმეტყველების კარგი მცოდნის ი. კლეიტგენის აზრს, რომ ვერცერთი თეოლოგი ვერ გაბედავდა წინ აღდგომოდა წმ. დიონისეს რომელიმე პუნქტში. (ალ. ლოსევი „აღმოსავლური რენესანსი“ 2005).

დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც XI საუკუნეში მოღვაწეობდა, იყო არა მხოლოდ უღრმესი ნეოპლატონიკოსი, არამედ მართლმადიდებელი ბერიც და მონასტრის წინამძღვრიც. ასევე XII საუკუნის ქართული რენესანსის მეთაურმა - რუსთაველმაც მიიღო ბერ-მონაზვნობა და გარდაიცვალა პალესტინაში.

ძალზე საინტერესოა ვიკტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველების“ ფერთა სიმბოლოზში, ფერთა ფერადობის სიმდიდრე, რომელიც გვიჩვენებს XII საუკუნეში ქართული საზოგადოების მაღალ კულტურას. ფერთა ცნობისა და შეგრძნების საკითხებში „ვეფხისტყაოსანში“ მკითხველის წინ იშლება ფერთა სახელმწიფოებრივი სიმბოლოზში, პოლიტიკურ-სოციალური, ეროვნულ-ესთეტიკური სიმბოლიკა.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები ფერთა თეთრ-წითელ-შავნი არიან. ეს ფერები მაღალ წოდებას, როგორც ავტორი აღნიშნავს, არისტოკრატის ახასიათებს, ხოლო საზოგადოების შუა ფენის წარმომადგენლები, ვაჭართა წოდება, შავგვრემანები არიან. მდაბიოთა ფენა წარმოდგენილია შავი ფერთა (მონა -ზანგი).

„ვეფხისტყაოსანში“ ფერთა სიმბოლიკა ნახმარია სილამაზის აღსაწერადაც. აქ წარმოდგენილი სამოსელის ფერთა სიმბოლიკა წოდებით სხვაობასაც აღნიშნავს: მგლოვიარე ტარიელს შავი აცვია, ასმათი

ნესტანის გადაკარგვის გამო შავ სამოსელს ატარებს, შავია ტარიელის ცხენიც და ეს ფერი მის სულიერ მდგომარეობას შეესაბამება. თეთრი ფერის სიმბოლიკით გადმოცემულია სილამაზე და ბრწყინვალეობა: წითელი ფერი ხელისუფლების ფერია, მეფური ქონების და სიმდიდრის აღმნიშვნელი, ძოწის ფერი ასევე სამეფო ფერია, რომელიც გამოხატავს ძლიერებას, დიდებას და სილამაზეს. ყვითელი ფერი რამდენიმე იერისაა. ნარინჯისფერი დიდებასა და არისტოკრატიკაზე მიუთითებს. ახლადჩანერგილი სიყვარული, იმედი და მარადიულობა მწვანე ფერითაა წარმოდგენილი. თეთრ-მოწეულით ლხინია ასახული. შავ-თეთრი კარგი მოგონებაა გარდასულ ჭირთა შესახებ, შავ-წითელი ომის და სიკვდილის მინიშნებაა, წითელ-ყვითელი გამოსახავს უზენაესობას, ლურჯ-მწვანე გლოვის, ერთგულებისა და იმედის დასურათებაა.

“ვეფხისტყაოსნის“ დროში აღმოსავლეთი იყო ორიენტირი ვაჭრობისა და ქსოვილთა დამზადების საქმეში. ევროპა მხოლოდ მყიდველია ამ საქონლისა. დღეს თანამედროვე მკითხველი იმ ქსოვილების სახელებსაც კი ვერ იხსენებს, “ვეფხისტყაოსნის“ შექმნის საუკუნეში და შემდგომ რომ იცვამდნენ ქართველები. ამ ისტორიულ ეპოქაში ძვირფას ქსოვილებს აწარმოებდა ჩინეთი, ინდოეთი და სპარსეთი, ამიტომ ძვირფას ქსოვილთა სახელებიც აქედანაა შემოსული. ვითარცა თვალნი პატიოსანნი ქსოვილებიც აღმოსავლეთ და შუა აზიიდან მოდიოდა, თავისი სახელებიც თან მოჰქონდა. მაშინდელი ქართველობა შუა და წინა აზიის ეკონომიკურ და კულტურულ წრეებში ტრიალებდა.

ვიკტორ ნოზაძის აზრით, პურპურის (მოწეულის) ისტორია გვასწავლის, რომ ამ ფერით გარემოცულობა ყოველთვის დარბაისლური და ბრწყინვალე იყო. იგი არის ფერი ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ყვითელი და ნარინჯისფერი-სინათლესთან უახლოესი ფერია იაგუნდისა. იგი არისტოკრატიული ფერია. სწორედ ამ ფერ სამოსს ატარებდნენ ჩინეთის იმპერატორნი და ბუდისტთა და ლამაისტთა რელიგიის მსახურნი.

სიტყვა “ლაჟვარდი“ სპარსულია და ცის ლურჯ ფერს ნიშნავს. ვიკტორ ნოზაძის აზრით იგი სახის ფერს ედრება და მის მწუხარებას გამოხატავს. სიტყვა “ძოწი“ გამოყენებულია წითელი სამოსელის საჩვენებლად. მოწეულის ანუ პორფირის კეთება ფინიკიელებმა შემოიღეს, რომელიც ლოფორთქინისაგან მიღებული წვენი იღებებოდა ძოწისფრად. ეგვიპტეში, ბაბილონში, ებრაელთა ქვეყნებში, ასრიაში, საბერძნეთში, რომში სწორედ ამ ფერით იმოსებოდნენ მღვდელთმთავარნი, მეფენი და დიდებულნი. ალექსანდრიაში შემოუღიათ სხვადასხვა ფერით ერთი ქსოვილის შეღებვა - „პოლიმიტა“, ეს მრეწველობა მოგვიანებით ბიზანტიასაც განუვითარებია. ამ ეპოქაში მეფენი და დიდებულნი სიასამურისა და თახვის ბეწვისაგან გაწყობილი მოსახსნამებით დადიოდნენ: თინათინს მოსხმული აქვს ყარყუმნი, თეთრ-ბეწვიანნი მეფეთა სამოსელი. აქ თეთრი წარმოგვიდგება, როგორც სიწმინდის, სამართლის და სიბრძნის გამომხატველი ფერი.

ვიკტორ ნოზაძის აზრით, შუა საუკუნეების ქართული და ევროპული გემოვნება მსგავსია და იგი წარმოიქმნა ფერთა ელინური და ისლამური კულტურების შერწყმის შედეგად. თუმცა, მკვლევარი ხაზს უსვამს ქართული კულტურის თავისთავადობას, რომელმაც უზადო ნიჭით და შინაგანი უნარით გაიკაფა გზა აღმოსავლურ და დასავლურ ნათესაურ კულტურებში და შექმნა სრულიად ახალი თავისთავად დიდი ნათება-„ვეფხისტყაოსნის“ სახით, რამაც ქართულ რენესანსს დაუდო საფუძველი.

ალ.ლოსევი დაასკვნის, რომ ქართული რენესანსის მკვლევარები გამოდიოდნენ ნეოპლატონური და არეოპაგიტული რენესანსის წამომწყებად ევროპაში. ამ მკვლევარებმა დაამტკიცეს ის უდაო პრიორიტეტი, რომ მათ რენესანსის დაწყებაში რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას. კამათი ამის წინააღმდეგ ლოსევს შეუძლებლად მიაჩნია, არეოპაგიტული ნეოპლატონიზმის დაყვანა წარმართობამდე, ამიტომაც, რომ ქართული რენესანსის ფერები, ასე უხვად განფენილი „ვეფხისტყაოსანში“ და ასე ღრმად ნაკვლევი ვიკტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველებაში“, საუკუნეებით წინ უსწრებდა ევროპული რენესანსის ფერებს და შემდგომ, ამ უკანასკნელის განვითარებისას ასაზრდოებდა კიდევ მას, როგორც მისი მეზობელი ქვეყნის რენესანსის კულტურის მქონეს.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ თსუ გამომცემლობა, გვ. 63, თბ., 1941
2. სულხან საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი-სიტყვის კონა, გვ 76.1685-1716 წწ
3. ვიკტორ ნოზაზე, „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, ტომი-1, გვ. 43-51, თბილისი, 2004.
4. ალ.ლოსევი, „აღმოსავლური რენესანსი“ (თარგმანი), გვ 14. სს გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 2005
5. ფილოსოფიის ისტორია, თსუ გამომცემლობა. ავტორთა კრებული, 1962
6. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., სახელგამი, 1951
7. წმ. დიონიდე არეოპაგელი - ციური იერარქიის შესახებ. გამომცემლობა „გერმისი“, 2006

**VICTOR NOZADZE SLIGHTEST IDEA OF THE BOOK –
“VEPKHISTKAOSANIS PERTAMETKVELEBA“
Klara Elchibegashvili, Gori Teaching University, Full Professor
SUMMARY**

Victor Nozadze in “Vepkhistaosani” talks about the symbolic of colours. The colours in “Vepkhistaosani” are very interesting. It requires a deep study. The author noting that in “Vepkhistaosani” the word “colour” has several importance. For example: Linguistic colour-Red; Philosophical colour-The essence; Physiological colour-Health; Colour Aesthetics-Beauty; Social colour-The title; Feature colour-many other colours. Victor Nozadze considers, that the word “colour” expresses the essence. He recalls the philosophers –Pifagora and his followers.

Shota Rustaveli (1172–1216) was a Georgian poet of the 12th century, and one of the greatest contributors to Georgian secular literature. He is the author of "The Knight in the Panther's Skin" (*Vepkhistaosani*), the Georgian national epic poem. In the poem, Rustaveli talks about Medieval humanistic ideals: chivalry, feelings of love, friendship, courtly love, courage and fortitude. The heroes of the poem are brave, philanthropic, and generous. The heroes of the poem are not restricted to Georgian nationality. The regions of Persia, China, and India all figure in the poem. The poem is approximately 6500 lines and shows a strong Persian influence.

საქართველო აღმოსავლურ მედიაში

მაკა დოლიძე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
E-mail: Dolidze_maka@yahoo.com

თანამედროვე საზოგადოებაში საინფორმაციო ფაქტორებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კონფლიქტების მიმდინარეობის პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციული ომის წარმოება. თუ რა მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულ ომს, ეს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა დაგვანახა. საინტერესოა, როგორ გამოეხმაურა ამ ფაქტს აღმოსავლეთის ქვეყნების საინფორმაციო საშუალებები, რა რეზონანსი ჰქონდა ამ ომს აღმოსავლურ მედიაში და რამდენად სამართლიანად და ობიექტურად შუქდებოდა. პუბლიცისტთა ერთი ნაწილი აცხადებდა, მედია ამ კონფლიქტისადმი ინდიფერენტული იყო. ხოლო მეორე ნაწილი აღნიშნავდა, მიუხედავად იმისა, რომ პეკინის ოლიმპიადამ დაჩრდილა ომის დასაწყისი, რუსულ-ქართული ომი 2008 წლის აგვისტოს ბოლოს უდიდეს მოვლენად იქცა მანამდე, სანამ ავანსცენაზე გლობალური ფინანსური კრიზისი არ გამოვიდა.

XXI საუკუნეში დატრიალდა ისეთი მოვლენები, რომელიც გასულ საუკუნეებს უფრო შეეფერებოდა, – წერდა „თურქიმ დილი ნიუსი“, – რუსეთი კიდევ ერთხელ შეეცადა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია საქართველო, თუმცა კავკასიელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შედეგადაც მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი რუსი ოკუპანტების ხელში აღმოჩნდა. [1] „თურქიმ დილი ნიუსი“-ის მსგავსად ეგვიპტის „დილი ნიუსი“-ის ერთ-ერთი კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ XXI საუკუნეში მიუღებელი იყო რუსეთი თავს დასხმოდა თავის სუვერენულ და დამოუკიდებელ მეზობელს, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული დემოკრატიული ხელისუფლება მართავდა და თავისი სიტყვების სისწორეში იმორწმებდა აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს.[10]

საინტერესოა, როგორია ექსპერტებისა და პუბლიცისტების თვალთახედვა საქართველოს მიმართ. ჩვენს მიერ განხილული პუბლიკაციების მიხედვით შეიძლება აღვნიშნოთ, პუბლიცისტები და ექსპერტები საინფორმაციო საშუალებებში გამოთქვამდნენ რა თავიანთ მოსაზრებებს საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ აცხადებდნენ, რომ დიდად არ არიან აღფრთოვანებულები საქართველოსა და ამერიკის უკანასკნელი წლების ურთიერთობებით. მათი აზრით ამერიკა ომისა და მშვიდობის საკითხებს საკუთარი ინტერესების მქონე ჯგუფების კონფლიქტების ჭრილში განიხილავს, რასაც ქვეყნისთვის არასახარბიელო შედეგი მოაქვს. პუბლიკაციებში ხაზი აქვს გასმული თურქი დიპლომატების მოსაზრებებს, რომ 2008 წლის ომი ნეგატიურად აისახა მოსკოვის პოლიტიკაზე კავკასიაში.

ამ აზრზე იყო თურქეთის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი. თურქული მედიისთვის გაურკვეველი იყო, თუ ვინ დაიწყო ომი, ვინ იყო მტყუან-მართალი. მათ მიაჩნდათ, რომ ამ კონფლიქტის განმავლობაში დაღვრილი სისხლი რადიკალური ნაციონალისტების, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების, მყვლეფავი ოლიგარქების კისერზე იყო. ამ სისხლში თავისუფალი მსოფლიოს იმ ლიდერებს ჰქონდათ ხელები მოთხვრილი, რომელთათვისაც მხოლოდ გაზი და ნავთობი ფასობს და არა პრინციპი. ჯერჯერობით გარკვეული არ არის, რომელმა მხარემ დაიწყო ეს საბრძოლო ოპერაცია – აცხადებდნენ საინფორმაციო საშუალებები – ამისათვის აუცილებელია შეიქმნას საერთაშორისო საგამომიებო ჯგუფი, რომელიც ყველაფერს გამოიკვლევს ობიექტურად და დადებს შესაბამის დასკვნას.

სირიულ „ალ არაბიასაც“ საერთაშორისო ორგანიზაციების მოვალეობად მიაჩნდა მტყუან-მართალის გარკვევა. ჩვენ კი უნდა ვთქვათ ის, რომ დაზარალდა უამრავი მშვიდობიანი მოსახლე ორივე მხარეს – ვკითხულობთ გაზეთში. [2]

პუბლიცისტები საუბრობდნენ რა რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, აცხადებდნენ, რომ ეს იყო პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, რაზეც საქართველო წამოეგო. უცხოურ მედიას მიაჩნდა, საქართველოს ასეთი შეცდომა არ უნდა დაეშვა, ომში არ უნდა ჩაეთრიათ.

საინტერესო შეფასება ახლავდა ინტერნეტ გამოცემა „არაბ პრესის“ ცნობას რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. პუბლიცისტების უმრავლესობა თვლიდა, რომ ამ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი უნდა გაკეთებულყო. [3] მოვლენების ასეთი განვითარება ევროპული ქვეყნებისათვის მოულოდნელი იყო, – აღნიშნავდა იგი – ვერავინ წარმოიდგენდა, ქართველები და რუსები ომს თუ დაიწყებდნენ. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული პრობლემების დიპლომატიური გზებით მოგვარების საშუალებები. ამავე აზრზე იყო მრავალი უცხოური მედია. მათ მიაჩნდათ, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება ნამდვილად შეიძლებოდა და ამაში როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ.

ეს კონფლიქტი უყურადღებოდ არც თურქულ გაზეთ „ჯუმჰურიეთს“ დაუტოვებია. გაზეთში მრავალი სტატია თუ წერილი დაიბეჭდა ომის თემაზე. ერთ-ერთ სტატიაში ნათქვამია, რომ ნამდვილად შეიძლებოდა ამ კონფლიქტის თავიდან აცილება, მაგრამ როგორც ჩანს მხარეებს ეს არ უნდოდათ. [4] გაზეთები ეძებდნენ იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია კონფლიქტი, რასაც ომი მოჰყვა. თითოეულ პუბლიკაციაში ხაზგასმულია ხელისუფლების დანაშაული, მათი უნიათობა, არავითარი მცდელობა ომის თავიდან ასაცილებლად.

თუმცა სხვა მოსაზრებას ავრცელებდა არაბული ქვეყნების მედია. მათი უმრავლესობა რუსების მხარეზე იყო. ისინი საქართველოს ადანაშაულებდნენ ერაყში ჯარის შეყვანის გამო. ეგვიპტის „დეილი ნიუსი“ [10] წერდა, რომ რუსეთის ჯარები მას შემდეგ შევიდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რაც საქართველომ სცადა 1990-იან წლებში გამოყოფილი ეს რეგიონი კვლავ დაემორჩილებინა. როდესაც პუბლიცისტი ამ რეგიონის გამოყოფის შესახებ საუბრობდა კარგი იქნებოდა აღნიშნა, თუ რატომ და რა მიზეზით გამოეყო საქართველოს ეს რეგიონი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამის მიზეზი მხოლოდ ქართული მხარე იყო. ქართველებსა და ოსებს შორის მოხდა უთანხმოება და რუსეთს, როგორც მესამე მხარეს, ამ კონფლიქტში არავითარი წვლილი არ მიუძღვით. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსი პოლიტიკოსებისა და პუბლიცისტების მსგავსად უცხოური მედიაც ოსეთს ძველთაძველი გეოგრაფიული სახელწოდებით სამაჩაბლოთი კი არ მოიხსენიებდა, არამედ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან შემოღებული ტერმინით „სამხრეთ ოსეთი“. იგივე შეიძლება ვთქვათ ინტერნეტ გამოცემა „არაბ პრესის“ შესახებ, რომელიც თვლიდა, რომ ქართველებმა დაიწყეს საარტილერიო ცეცხლით სამხრეთ ოსეთის უმთავრესი ქალაქის, ცხინვალის დაბომბვა, რასაც რუსებმა რეგიონში დიდი ჯარების შეყვანით უპასუხეს. [5]

გაზეთი „კომერსანტი“ ეთანხმებოდა ლიბანის ლიდერის მუამარ კადაფის ვაჟის სეიფულ ისლამ კადაფის აზრს და ბეჭდავდა მასთან დიალოგს, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ არაბული ქვეყნები რუსეთის მხარეს დადგნენ. არაბები საქართველოზე იმის გამო არიან გაბრაზებული, რომ თავისი ჯარები ერაყში გაგზავნა. მას მიაჩნდა, რომ ახლა არა მარტო აშშ, არამედ რუსეთიც ზესახელმწიფოა, ახლა მსოფლიო დაბალანსებულია. [6]

რა ზესახელმწიფოზე შეიძლება საუბარი, როდესაც შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდციმ დაგმო რუსეთის ქმედება საქართველოში კონფლიქტის დროს და ის მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ნაცისტური გერმანიის მოქმედებას შეადარა. ეს ფაქტი გააჟღერა შვედეთის გაზეთმა „სვენსკა დაგბლადეტმა“ და განაცხადა, რომ შვედეთი გულგრილი არ იყო საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და ამის გამო რუსები მას ბოიკოტს უცხადებდნენ. [7]

მოგვიანებით როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების პრესაში გვხვდება პუბლიკაციები, სადაც პარალელურად გავლენიანი საქართველოსა და ერაყს შორის. პუბლიცისტები აცხადებდნენ ერაყი და საქართველო, სადაც დემოკრატიულად არჩეული მთავრობებია, მოქცეულნი არიან მსოფლიოს ორ ყველაზე ავტორიტარულ რეჟიმს – რუსეთსა და ირანს შორის. ერაყი, საქართველო და კოლუმბია ახალი ტიპის საერთაშორისო კონფლიქტების ბრძოლის ველებად გადაიქცა. პუბლიცისტებს აინტერესებთ ეს დამთხვევა თუ არა? მაგრამ ამ კითხვაზე საერთო პასუხი არა აქვთ. მათი მოსაზრებები განსხვავებულია. რაც მთავარია ერთ რამეში თანხმდებიან. და ამაში მათ სრულიად ვეთანხმებით. ეს კონფლიქტები გეოპოლიტიკურ მომავალს ჩამოაყალიბებს. ის აშშ-სა და დასავლეთს, ფორმირების პროცესში მყოფ ნავთობის დიქტატურათა ღერძს აჯახებს, რომლებიც შეთანხმებულად აფერხებენ სამყაროს ლიბერალიზაციას და გლობალიზაციას.

აღმოსავლეთის ქვეყნების მედია ცდილობდა ობიექტურად გაეშუქებინა ყველაფერი, რაც საქართველოში ხდებოდა. თუმცა მათ არ სურდათ რუსეთის ზედმეტად გაღიზიანება. მართალია გამოთქვამდნენ პროტესტს რუსული იმპერიის წინააღმდეგ, ამავე დროს ცდილობდნენ არ დაერღვიათ შიდა ბალანსი. მაგრამ მიუხედავად ამისა უცხოური მედია აღნიშნავდა, რომ რუსეთმა ზედმეტი ძალა გამოიყენა, გააკეთა ის, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო. თურქულ გაზეთ „ჰურიეთში“ ვკითხულობთ, რუსეთმა ჯარი შეიყვანა არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს სხვა ტერიტორიაზეც, ისეთშიც კი, რომელიც საკმაოდ დაშორებულია კონფლიქტური რეგიონიდან. რუსული ავიაცია ბომბავდა საქართველოს ლამის მთელ ტერიტორიას, რაც უდავოდ ძალის გადამეტებად უნდა შეფასდეს. [8]

მედიაში არაერთხელ გაიჟღერა ინფორმაციამ იმის შესახებ, თუ როგორ აიცილებდნენ თავიდან ყველაფერ ამას, რუსეთი რომ არ გადასულიყო სამხრეთ ოსეთის კონფლიქტური რეგიონიდან მეზობელ რაიონებში. ამკარად აღარ იყო საჭირო კონფლიქტური რეგიონიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული პუნქტების თვითმფრინავიდან დაბომბვა. ეს უკვე ნამდვილად ძალის გადამეტება იყო – აცხადებდა ინტერნეტ გამოცემა „არაბ პრესი“. [9] „არაბ პრესი“-ის მიერ გაჟღერებული ეს ინფორმაცია მეტად საყურადღებოა. ომის დაწყებისას იგი თუ აცხადებდა, ქართველებმა დაიწყეს საარტილერიო ცეცხლით ცხინვალის დაბომბვა, რასაც რუსებმა რეგიონში დიდი ჯარის შეყვანით უპასუხეს, რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის ქმედებას ძალის გადამეტებად აფასებდა. იმოწმებდა რა საქართველოს მხარის განცხადებას ეგვიპტის „დეილი ნიუსი“ წერდა, რუსებმა დაბომბეს გორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, გაანადგურეს სენაკის სამხედრო ბაზა, შევიდნენ ფოთში, დაიკავეს ზემო კოდორის ტერიტორია და თბილისს ემუქრებოდნენ. [10] ამავე სტატიის ვკითხულობთ, რუსეთის პრეზიდენტმა ბრძანება გასცა შეეწყვიტათ თავდასხმა საქართველოზე, რადგან აგრესორი უკვე დაისაჯა. როგორც ვხედავთ სტატიის პუბლიცისტი ობიექტურად აშუქებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მაგრამ რატომღაც იგი ყველაფერ ამას თავისი სიტყვებით არ წერს. ხან ჯორჯ ბუშს და ხან საქართველოს მხარეს იმოწმებს. შეიძლება ამის მიზეზი ის არის, რომ ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა მისცეს, შეიძლება არ სურს რუსები მეტისმეტად გაღიზიანოს და უმჯობესად მიიჩნევს ჯორჯ ბუშს და ქართული მხარე ალაპარაკოს და თვითონ შედარებით ნაკლებად გამოჩნდეს.

„ვინ იცის ხვალ რა მოხდება?“ – კითხულობს საქართველოს ელჩი ეგვიპტეში გიორგი ჯანჯღავა. მასთან საუბარი გამოქვეყნდა ეგვიპტის „დეილი ნიუსში“. ინტერვიუ მეტად საინტერესოა. ინტერვიუერი შეეცადა, საქართველოში მიმდინარე მოვლენებისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ შეექმნა, ინტერვიუებულად საქართველოს ელჩი მიეწვია, რომელიც აღწერს კონფლიქტის განვითარების მიზეზებს და დასძენს, საქართველო აღარ აპირებს რუსეთის დამორჩილებას და მას ამაში მსოფლიოს მხარდაჭერა სჭირდება. კითხვა ზოგადად არის დასმული. მასში კონკრეტული აზრი არ არის განვითარებული, რადგანაც მასზე პასუხს ვერც ელჩი და ვერც საზოგადოება ვერ გასცემს. ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ მსოფლიოს მხარდაჭერის იმედის შედეგად შეიძლება გაიცეს, რადგანაც საქართველოს მომავალი, როგორც ჩანს, მათზეა დამოკიდებული. [10]

როგორც ვხედავთ, საქართველოში მიმდინარე მოვლენები ფართო განხილვის საგანი გახდა. უცხოურ მედიას თავის დროზე ასე რომ დაეჭირა მხარი საქართველოსთვის ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, 2008 წლის ომსაც ავიცილებდით და ეს ტერიტორიები უკონტროლოდ არ იქნებოდა.

ლიტერატურა:

1. “Turkish Daily News”, 10 August 2008;
2. “Al Arabia”, 21 August 2008;
3. “Arab Press”, 17 August 2008;

4. "Jumhuriet", 18 August 2008;
5. "Arab Press", 11 August 2008;
6. "Коммерсантъ", 12 Август 2008;
7. "Svenska degbladet", 15 August 2008;
8. "Huriet", 19 August 2008;
9. "Arab Press", 18 August 2008;
10. "Daily News", 12 August 2008;
11. "Daily News", 15 August 2008;

GEORGIA IN EASTERN MEDIA

Maka Dolidze, Geotgian university of David Agmashenebeli, Assosiate Professor
RESUME

In the work represented by us conflict situations in Georgia is shown. At the beginning the conflict proceeded between Georgians and Ossets, soon it crossed the frontier of Ossetia and turned into Georgian-Russian war. It was estimated by experts of different countries as Russian-Georgian war. It is interested how the East Countries media commented Russian-Georgian war, what was its version and how it estimated created situation. The evaluation of the August war by the East media is especially important for society. To find out what kind of attention pays Media to Georgian- Russian war we tried to discuss publications.

We can be concluded that:

1. Media tried to highlight the events taking place in Georgia objectively, though they did not want to irritate Russia;
2. Media protested agains the Russian politics, they still tried to maintain a certain Balance;
3. Media considered that radical nationalists, irresponsible politicians and oligarchs were responsible for the death of innocent people during the conflict;
4. Most part of media of Arabian countries supported Russia. They considered that namely Georgians started bombing Tskhinvali and as a response, military forces of Russia invated the region.

ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის თავისებურებანი საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში

მაკა სალხინაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: makasal@rambler.ru ketinutsa@yahoo.com

ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა საზღვარგარეთის ქვეყნებში თავისებურებებით ხასიათდება. წინამდებარე თემაში განხილული იქნება ლიცენზიების და ნებართვების გაცემის წესები საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში.

ჩინეთი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა პოზიტიური სამართლის ქვეყნების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს განეკუთვნება კანონმდებლობის მხრივ. კანონი „ადმინისტრაციული ლიცენზირების შესახებ“ მიღებულია 2003 წლის 27 აგვისტოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის მიერ. ამ კანონის მიღების მიზანი იყო დაემკვიდრებინა ლიცენზირების სისტემა მოქმედ კანონმდებლობაში, დაეცვა მოქალაქეთა ინტერესები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, საზოგადოებრივი წესრიგი და დაენერგა ეფექტური პრაქტიკა ადმინისტრაციული ლეგიტიმური ღონისძიებების გასატარებლად. ამ კანონის თანახმად, ტერმინი „ლიცენზია“ ნიშნავს რაიმე სახის მოქმედებას, რაც კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არის ნებადართული და მიმართულია ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოთხოვნის საფუძველზე პირადი ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ, იმისდა მიხედვით, თუ რას ითვალისწინებს მათი მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა.

ლიცენზირებად საქმიანობას მიეკუთვნება საქმიანობა, რომელიც კავშირშია:

- სახელმწიფო უსაფრთხოებასთან, საზოგადოებრივ წესრიგთან;

- ეკონომიკურ კონტროლთან, ეკოლოგიურ საკითხებთან, გარემოს დაცვასთან;
- ბუნებრივ რესურსებთან, საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებთან;
- პროფესიულ და სავაჭრო საქმიანობასთან;
- საწარმოების და ორგანიზაციების შექმნასთან;
- და კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან.

ლიცენზირებად საქმიანობას არ განეკუთვნება საკითხები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე წყდება, ასევე საკითხები, რომლებიც ეფექტურად წყდება სავაჭრო-ეკონომიკური კანონმდებლობით.

ლიცენზიის გამცემ ორგანოებში მოიაზრება ამისათვის უფლებამოსილი ორგანოები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილება, ვალდებულნი არიან გასცენ ლიცენზია საკუთარი სახელით და სრული პასუხისმგებლობით. ამ კანონის თანახმად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დასაშვებია ლიცენზია გასცეს ერთდროულად ორმა ან რამდენიმე ორგანომაც ერთდროულად. ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა ორგანოები ცალკე-ცალკე განიხილავენ საკითხებს ლიცენზიის გაცემის თაობაზე და მერე ერთად შეიკრიბებიან და გამოთქვამენ მოსაზრებებს, მერე შეჯერდებიან და ისე გასცემენ ლიცენზიას (ლიცენზიას კი კონკრეტულად ის ორგანო გასცემს, რომელიც ყველაზე მეტი კომპეტენციის მქონეა ამ სფეროში).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ლიცენზიის მამიებელია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგენს განცხადებას მისთვის ლიცენზიის მინიჭების მოთხოვნით. ლიცენზიის მოთხოვნაზე განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნას პირადად, ფაქსის, ტელეგრაფის, ფოსტის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ლიცენზიის მამიებლის განცხადებას კანონთან შესაბამისობაში ამოწმებს ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, იწონებს ან ცვლილებები შეაქვს და თუ ხარვეზია, მაშინ უთითებს ლიცენზიის მამიებელს შეავსოს ხარვეზი დადგენილ ვადაში. თუ უარს ეუბნება ლიცენზიის გაცემაზე ადმინისტრაციული ორგანო, მაშინ წერილობით ახსნა-განმარტებაში უთითებს, რატომ არ დაკმაყოფილდა ლიცენზიის განცხადება. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება აკმაყოფილებს სალიცენზიო პირობებს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო შეადგენს წერილობით დასკვნას ლიცენზიის გაცემის თაობაზე. არის შემთხვევები, როდესაც ლიცენზიას გასცემს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, მაშინ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება გადაამოწმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ლიცენზიის გაცემაზე ნებართვის სისწორე და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შეადგინოს წერილობითი მოსაზრება, რომლის მითითებების მიხედვითაც უნდა იმოქმედოს ქვემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. იმ შემთხვევაში თუ ყველა დოკუმენტი სწორია, მაშინ ლიცენზია გაიცემა შემდეგნაირად:

- გაიცემა საკვალიფიკაციო (კვალიფიკაციის მიმნიჭებელი) სერთიფიკატი;
- გაიცემა დოკუმენტი ლიცენზიის გაცემის თაობაზე, რომელსაც დაერთვება ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებები;
- ლიცენზიის გაცემის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- კანონით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საბუთები.

ჩამოთვლილ დოკუმენტებს უნდა დაესვას ბეჭედი და ხელი უნდა მოაწეროს უფლებამოსილმა პირმა. აღნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საჯაროა და იგი საჯაროდ ცხადდება გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 20 დღის ვადაში, თუ საკითხი რთულია ეს ვადა შეიძლება კიდევ გაიზარდოს 10 დღით, რის თაობაზეც წერილობითი ახსნა-განმარტება უნდა წარედგინოს ლიცენზიის მამიებელს.

ეხლა მოკლედ განვიხილოთ ადმინისტრაციული წარმოების თავისებურებანი:

- ლიცენზიის მამიებლის მიერ განცხადების წარდგენიდან 7 დღის ვადაში აცნობოს მას წარმოების გამართვის ადგილი და დრო და საჯაროდ გამოაცხადოს ამის შესახებ შესაბამისი ოქმით.
- განცხადება განიხილება საჯაროდ ღია სხდომაზე;
- არ უნდა არსებობდეს ლიცენზიის მამიებელსა და ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის პირადი ან ქონებრივი ინტერესი;
- წარმოების მსვლელობის ლიცენზიის მამიებლის განცხადების განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა წარმოადგინოს მოსაზრებები, მტკიცებულებები იმის თაობაზე უნდა გაიცეს თუ არა ლიცენზია, ასევე განიხილოს და შეაჯეროს მხარეთა მოსაზრებები;
- გადაწყვეტილება ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ მას შემდეგ უნდა გამოიტანოს, როდესაც არ დარჩება პასუხგაუცემელი კითხვები;
- თუ ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს კანონით დადგენილ ვადაში, მაშინ განცხადება ლიცენზიის მიღების თაობაზე დაკმაყოფილებულად ჩაითვლება.

რაც შეეხება ხარჯების საკითხს: ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება უსასყიდლოა. ლიცენზიის მამიებელი გამონაკლის შემთხვევებში ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მოსაკრებელი.

კონტროლს სალიცენზიო საქმიანობაზე ახორციელებს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ქმნის სპეციალურ აღმასრულებელ დეპარტამენტს. ამ ორგანოს კომპეტენციაში შედის ქვედგომი ადმინისტრაციული ორგანოს გაკონტროლება და ლიცენზიატის საქმიანობის შემოწმება. თუ რაიმე დარღვევას ექნება ადგილი, დაუყოვნებლივ მოხდება ლიცენზიის შეჩერება და საჭიროების შემთხვევაში ლიცენზიის გაუქმება. რაც შეეხება სალიცენზიო საქმიანობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, იგი სხვადასხვაგვარია. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს აღმასრულებელი დეპარტამენტი გამოსცემს აქტს, რომლის მიხედვითაც:

- სალიცენზიო საქმიანობის მსუბუქი დარღვევისათვის მის განმახორციელებელ თანამდებობის პირს ჩამოერთმევა წერილობითი ახსნა-განმარტება;
- ნაკლებად მძიმე გადაცდომისათვის თანამდებობის პირს დროებით სალიცენზიო საქმიანობის განხორციელების უფლება შეუჩერდება;
- მძიმე გადაცდომის ჩადენისათვის დადგება თანამდებობის პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ზოგჯერ შეიძლება დადგეს მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის 27 აგვისტოს კანონი „ადმინისტრაციული ლიცენზირების შესახებ“ მიღებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის მიერ 2008 წლის მდგომარეობით ისე მოქმედებდა, რომ არცერთი ცვლილება არ იყო მასში შესული.

ახლა განვიხილოთ როგორ ხდება საფრანგეთში დაგეგმარების ნებართვის გაცემა. საფრანგეთში დაგეგმარების წესები კოდიფიცირებულია დოკუმენტში „Code de L'urbanisme“ და ეს ძირითადად მშენებლობას უკავშირდება. CDU ეს არ არის მშენებლობის ნებართვა, მაგრამ ეს არის საფუძველი მშენებლობისათვის. მას შემდეგ, რაც მოქალაქე განცხადებას შეიტანს მერიაში, მერია პირს მიაწოდებს სერთიფიკატს განცხადების შეტანიდან 2 თვის ვადაში. ეს დოკუმენტი უფასოდ გაცივება და მოქმედებს 1 წლის განმავლობაში.

მშენებლობის ნებართვა ყოველთვის არ არის საჭირო, მაგალითად:

- თუ პირი აშენებს ოთახს, რომლის ზედაპირული ფართობია 2მ² და ჭერის სიმაღლეა 1,5 მ-ზე ნაკლები;
- თუ პირი აშენებს კედელს, რომლის სიმაღლე არ აღემატება 2 მ-ს;
- პირი, რომელიც ქმნის ხელოვნების ნიმუშს, მაგ, ქანდაკებას და მისი სიმაღლე 12 მ-ზე ნაკლებია, მოცულობა კი ნაკლებია 40 მ³.

რაც შეეხება დაგეგმარების ნებართვას, იგი საჭიროა შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მშენებლობისათვის, რომელიც აღემატება 20 მ²;
- ნებისმიერი სამუშაოსათვის უკვე არსებულ კონსტრუქციაზე, რომელიც ცვლის შენობის ფუნქციას, მოცულობას და ფასადს;

• ნებისმიერი სამუშაოსათვის, რომელიც ტარდება ისტორიულ შენობებზე.

დაგეგმარების ნებართვაც ხელმისაწვდომია მერიაში და მისი მიღებისათვის საჭირო პერიოდია 2 წელი, მოქმედების ვადაც 2 წელია.

არსებობს მშენებლობის ნებართვის 3 სახე:

- ზოგადი მიზნის მშენებლობის ნებართვა;
- მშენებლობის ნებართვა სახლის აშენების ან მოდიფიცირებისათვის;
- მშენებლობის ნებართვა მცირე ცვლილებებისათვის არსებულ მშენებლობის ნებართვაზე.

ამ სამი სახიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ნებართვის მესამე სახეა, ვინაიდან ხშირია უკვე აშენებული შენობების გადაკეთება.

დაგეგმარების ნებართვის გაცემა იმ ქალაქის მერიის უფლებაა, სადაც მიმდინარეობს მშენებლობა ან განახლება ე.ი. მოქმედებს ტერიტორიული პრინციპი. მშენებლობის დაწყების წინ მესაკუთრის უფლებები უნდა შემოწმდეს შესაბამისობაშია თუ არა დაგეგმილ პროექტთან. თუ არ არის შესაბამისობაში, მაშინ გაცივება უარყოფითი დასკვნა.

კანონმდებლობა უშვებს დაგეგმარების ნებართვის გაგრძელებას. კერძოდ, თუ პირს აქვს დაგეგმარების ნებართვა და ვადაში ვერ ჩაეტია, მაშინ განცხადებით მიმართავს შესაბამის სამსახურს და გაუგრძელებენ 12 თვით. თუ პირს, ვინც შეიტანა განცხადება დაგეგმარების ნებართვის გაგრძელების შესახებ 2 თვის ვადაში არაფერი შეატყობინეს, მაშინ ნებართვა ავტომატურად გაგრძელებულად ითვლება.

რუსეთში ლიცენზირება სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტადაა მიჩნეული. ძირითადი ნორმატიული აქტი, რომელიც რუსეთის ფედერაციაში არეგულირებს ლიცენზირების საკითხებს არის

ფედერალური კანონი „საქმიანობის ცალკეული სახეობების ლიცენზიის შესახებ“, რომელიც მიღებულია 2001 წლის 8 აგვისტოს. ამ კანონთან ერთად რუსეთში იყენებენ რუსეთის ფედერაციის მთავრობის 1999 წლის 24 დეკემბრის დადგენილებას „სხვადასხვა სახის საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“. სალიცენზიო საქმიანობის სხვადასხვა სახეობები რეგულირდება სპეციალური დებულებით, რომელიც დამტკიცებულია მთავრობის მიერ ან სპეციალური კანონებით.

რუსეთში ლიცენზია არის უფლება აწარმოოს ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობა და შეასრულო სალიცენზიო მოთხოვნები და პირობები. სალიცენზიო საქმიანობის იმ სახეობას, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ პირობებს შეიძლება დაემატოს დამატებითი მოთხოვნებიც კონკრეტული სახეობისდა მიხედვით. ლიცენზიის სხვა პირზე გადაცემა აკრძალულია კანონით. იურიდიული პირის რეორგანიზაციის დროს იურიდიული პირი ვალდებულია 15 დღის ვადაში აცნობოს შესაბამის ორგანოს. ლიცენზიის გადაფორმება იგივე წესით ხდება, როგორც წესითაც გაიცემა ლიცენზია. ლიცენზიის დაკარგვის შემთხვევაში ლიცენზიატი იღებს დროებით ნებართვას სალიცენზიო ადმინისტრაციული ორგანოებიდან. რუსეთში ლიცენზია გაიცემა გარკვეული ვადით, თუმცა შეიძლება ზოგჯერ უვადოდაც გაიცეს. ვადის გაგრძელების თაობაზე ლიცენზიატმა განცხადებით უნდა მიმართოს ლიცენზიის გამცემს, თუ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაშინ შეიძლება უარიც ეთქვას ვადის გაგრძელებაზე. რუსეთში ლიცენზიებს გასცემენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები. ლიცენზიის შეჩერება შეიძლება დროებით არაუმეტეს 6 თვისა. ლიცენზიის შეჩერებას ან გაუქმებას წყვეტს სასამართლო, თუმცა ლიცენზიის გამცემ ორგანოს შეუძლია გააუქმოს ლიცენზია სასამართლოს გარეშეც იმ შემთხვევაში თუ ლიცენზიის მიღებიდან 3 თვის განმავლობაში არ გადაიხდა სახელმწიფო მოსაკრებელი.

იმისათვის, რომ გაცემულ იქნას ლიცენზია, ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება, რომელშიც აღნიშნული იქნება იურიდიული პირის მისამართი, სახელწოდება, ბანკის დასახელება, ანგარიშის ნომერი, სახელი, გვარი, მამის სახელი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ინდ. მეწარმის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

- იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა და მისი ასლი. ინდ. მეწარმისათვის საჭიროა მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი, ასევე ცნობა საგადასახადოდან, საკასო აპარატის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სან-ეპიდემოლოგიური სამსახურის დასკვნა, ლიცენზირების ობიექტის დახასიათება, ობიექტის სახეობა, სპეციალიზაცია და დაკავებული ფართი;

- ლიცენზიის გამცემი ორგანო ლიცენზიის მაძიებლისაგან იღებს გარკვეულ თანხას, რაც არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური ხელფასის სამმაგ ოდენობას, ეს თანხა ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

და ბოლოს საქართველოში განსხვავებული წესებია ლიცენზიების და ნებართვების გაცემის წესთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს 2005 წლის კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, რომელიც მუდმივ ცვლილებებს განიცდის და მიუხედავად ამისა მაინც დახვეწას საჭიროებს.

ზემოთგანხილული ქვეყნებიდან საქართველოსათვის მისაღები ჩვენი აზრით არცერთი ქვეყანაა, თუმცა ვფიქრობთ შესაძლებელია საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ დაიხვეწოს და ცვლილებები იქნეს შეტანილი.

ლიტერატურა:

1. მ. სალხინაშვილი, ც. ჩქარეული, სახელმწიფო შესყიდვების, ლიცენზიების და ნებართვების სამართალი, 2009 წ.
2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის თავისებურებანი სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის, ჟურნალი მართლმსაჯულება, 2009, #1
3. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, 2005 წ.
4. „შენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილება;
5. ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ივლისის #8-43 გადაწყვეტილება.
6. www.Allbest.com
7. www.lehmanlaw.com
8. Construction/Renovation Process In France (Regulations, Insuarances, Permissions), 2008.
9. Административное право зарубежных стран, под ред. Козырина М. 2003.

LICENSING AND PERMITTING REGULATIONS APPLICABLE IN A NUMBER OF FOREIGN COUNTRIES

Maka Salkhinashvili, Gori Teaching University, Full Professor
RESUME

The present work examines the licensing and permitting regulations applicable in a number of countries abroad including China, Russia and France. The licensing and permitting regulations differ in these three countries. Special focus is made on a construction permit, since at present the issue of permitting in this area of activity is of particularly high interest. Georgia also has its own permitting procedure related to construction. By 2008, the Law of Republic of China on Administrative Licensing had been in effect without a single amendment since its adoption by the National Congress of the People's Republic of China on 27 August 2003. In France, the regulations related to construction development are codified in the document titled 'Code de L'urbanisme'. In the Russian Federation, licensing is a legal institute within the jurisdiction of the civil law. The principal normative act governing the licensing activities is the federal law "on Licensing of Certain Types of Activities" adopted on 8 August 2001. The Decree of the Government of the Russian Federation "on Licensing of Various Activities" enacted on 24 December 1999 also applies in addition to the referenced law. Different types of activities that are subject to licensing are regulated by the special resolutions enacted by virtue of the Government decrees or special laws. In Georgia, there is a Law on Licensing and Permitting adopted in 2005, which needs to be further refined.

ინოვაცია, როგორც საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლის გარდაუვალი პირობა

ეკა თადუმაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

მერაბ ვანიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკური სისტემების განვითარებამ ტრანსფორმირება განიცადა, რაც ინფორმაციულ საზოგადოების ჩამოყალიბებამ განაპირობა. ინფორმაციულ საზოგადოების განვითარება შეუძლებელია საინფორმაციო ბაზრის ფორმირების გარეშე, რომელზე დაფუძნებითაც შესაძლებელია ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში ინოვაციების დანერგვა. ვიდრე ინოვაციური პროცესის არსსა და მექანიზმს შევისწავლიდეთ, უნდა განვსაზღვროთ თუ რას გულისხმობს ტერმინი - ინოვაცია.

ინოვაციას სხვადასხვაგვარად განმარტავენ: *პირველი შეხედულების* თანახმად, ინოვაცია არის იდეა ან პროდუქტი, რომელიც მომხმარებლის მიერ აღიქმება სიახლედ. თუმცა, ეს არის სუბიექტური განმარტება, ვინაიდან ეყრდნობა ცალკეული ადამიანების აზროვნებას. მეორე შემთხვევაში ინოვაციას მომხმარებლისაგან განსხვავებული კრიტერიუმებით განსაზღვრავენ და თვლიან, რომ იდეები ან პროდუქტები ხარისხობრივად განსხვავდება აქამდე არსებული პროდუქტებისაგან. თუმცა, არც ეს განსაზღვრება სრულყოფილი, ვინაიდან ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ რითი განისაზღვრება და იზომება ცვლილებების ხარისხობრივი მახასიათებლები.

ინოვაციის კლასიფიკაციის ერთ-ერთი სისტემა დაფუძნებულია სოციალური ჯგუფების ქცევებზე. ეს სისტემა შემოგვთავაზა ტ. რობერტსონმა და ფართოდ გამოიყენება მარკეტინგში. ამ კლასიფიკაციის თანახმად, ინოვაცია იყოფა უწყვეტად, დინამიურ უწყვეტად და წყვეტილად (4).

უწყვეტი ინოვაცია - ეს არის არსებული პროდუქტების მოდიფიკაცია და არა ახალი საქონელი. ამ სისტემის ამუშავების დროს ინგრევა ძველი ეკონომიკური სუბიექტების ქცევა.

დინამიური უწყვეტი ინოვაცია - ეს არის ახალი საქონლის შექმნა ან უკვე არსებული პროდუქტის ვარიაცია, რომელშიც არ იცვლება არსებული სქემები მარკეტინგული კუთხით.

წყვეტილი ინოვაციები - განსაზღვრავს აბსოლუტურად ახალი საქონლის შექმნას, რომელიც მთლიანად ცვლის მომხმარებლის ქცევას ბაზარზე.

აქედან გამომდინარე, ხარისხობრივად ახალი მომსახურება შესაძლოა ზემოქანოთვლილი კლასიფიკაციიდან რომელიმეს მიეკუთვნებოდეს.

ახლა მივმართოთ შუმპეტერს, რომელმაც ყველაზე ღრმად შეისწავლა ინოვაციის თემა. იგი ინოვაციას განსაზღვრავს, როგორც საგანთა წარმოების ისტორიული და გარდაუვალი ცვლილებების პროცესს (6) და გამოყოფს ხუთ განსხვავებულ კომბინაციას ამ კუთხით:

1. მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტის წარმოება ან მომსახურება, რომელზეც მწარმოებელია ორიენტირებული;
2. ახალი წარმოების მეთოდის დანერგვა მრეწველობაში ან ვაჭრობაში;
3. პროდუქციისთვის ახალი ბაზრის მოპოვება ან შექმნა;
4. ნედლეულის ახალი წყაროს მოპოვება;
5. ახალი წარმოების ორგანიზება.

ამავდროულად შუმპეტერი აფართოებს ინოვაციის განსაზღვრებას, იმ ფაქტის აღიარებით, რომ ინოვაცია შესაძლოა არა მხოლოდ წარმოებისა და მართვის სფეროში, არამედ გაცვლისა და გავრცელების სფეროშიც დაინერგოს.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ინოვაციად ხშირად ახალ კონკრეტულ პროდუქტსაც მიიჩნევენ, რომელშიც ახალი მეცნიერული ინფორმაციაა თავმოყრილი.

ინოვაციაზე ამ შეხედულებას ამყარებს ფორმულა, რომლის მიხედვით ინოვაცია ეს არის იდეების ტრანსფორმაცია, როგორც საბაზრო პროდუქტი ან მომსახურება, როგორც ახალი ან გაუმჯობესებული საწარმოო პროცესი. ამგვარად, ინოვაციის ობიექტი არის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შედეგები (5).

ინოვაციური მომსახურების ობიექტი არის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შედეგად მიღებული სამეცნიერო ინფორმაცია, ან ორიგინალური პროდუქტი, რომელშიც განხორციელებულია ეს ინფორმაცია თავის წარმოების ყველა ეტაპზე. იგი უკვე ჩამყვებულია ექსპლუატაციაში, მაგრამ არ არის მასობრივი გამოყენების საგანი. ეს განსაზღვრება გვაძლევს საფუძველს, რომ ესა თუ ის კვლევის შედეგი სიახლედ მივიჩნიოთ.

ინოვაციისა და ინფრასტრუქტურის შერწყმას მივყავართ ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებისკენ, შესაბამისად, ცხოვრების დონის ამაღლებისკენ. გარეგნულად ცხოვრების დონის ამაღლება გამოიყურება, როგორც ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების შედეგი (7).

ტრადიციულად ინოვაციას აღიქვამენ, როგორც ტალღისებურ ცვლილებას, მაგრამ უკანასკნელი 200 წლის მანძილზე, მხოლოდ ოთხი ასეთი ინოვაციური ტალღა იყო, რომელმაც ზეგავლენა იქონია საზოგადოებასა და ეკონომიკაზე.

პირველი ინოვაციური ტალღა: მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან მე-19 საუკუნის 40-იანი წლები. ამ პერიოდში ინგლისში სამრეწველო რევოლუცია მოხდა, რასაც ორთქლის ენერჯის გამოყენება დაედო საფუძველად;

მეორე ინოვაციური ტალღა: მე-19 საუკუნის 50-90-იანი წლები. ეს პერიოდი არის რკინის განვითარების ეპოქა;

მესამე ინოვაციური ტალღა: მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც ელექტროენერჯია და ავტომანქანების გამოყენება დაიწყო;

მეოთხე ინოვაციური ტალღა: ეს არის თანამედროვე ატომური ენერჯეტიკის გამოყენებისა და ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ეპოქა. მეოთხე ტალღის პრინციპული მნიშვნელობაა სისწრაფე. ამ ინოვაციურმა ტალღამ თვით განვითარება ძალიან სწრაფად მოახერხა.

თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სიმრავლემ, თუნდაც არასრულყოფილმა ტექნოლოგიამ, ავტომატურად დააჩქარა ინოვაციური ციკლი. ეს საშუალებას იძლევა, უდიდესი რაოდენობისა და სიდიდის ინფორმაცია მცირე დროში გადამუშავდეს ახალი მომსახურებისა და საქონლის შესაქმნელად.

ერთი ინოვაცია და ტექნოლოგია წარმოქმნის სხვა, უფრო მასიურ, ახალ ინოვაციას და ტექნოლოგიებს, თუ შენარჩუნდება ეს კონკურენცია და ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ამ განვითარებას. მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებები აღარ იქნება მკაცრად დამოკიდებული ერთ ტექნოლოგიურ სისტემაზე და პროცესი გახდება უწყვეტი და უსაზღვრო.

მაგრამ არსებობს შანსი, რომ ეს პროცესი შეჩერდეს, რადგან მონოპოლისტური კონკურენცია ბადებს დროებით მონოპოლიას, რომელიც ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ძლიერია და მას აფერხებს. თუ ეს მონოპოლია მუდმივი გახდება და საშუალებას მისცემს მონოპოლისტებს მუდმივი მოგება მოუტანოს, იგი აღარ განვითარდება. ანუ ინოვაცია არ დაინერგება, გაქრება საინფორმაციო საზოგადოების ყველაზე გლობალური საფუძველი.

შემეცნებით-ინოვაციური ციკლის ფუნქციონირება ინფორმაციული კაპიტალის დაბანდების ხარჯზე ხდება (7). ფუნქციონირების პროცესში კაპიტალი აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, რისთვისაც გამოიყენებს სხვადასხვა რესურსებს. საქონლისა და მომსახურების წარმოება თუ აკმაყოფილებს გადახდისუნარიან მომხმარებელს და მისი რეალიზება ხდება სასაქონლო ბაზარზე, მაშინ მას მოაქვს მფლობელისთვის მოგება. რაც უფრო დიდია მოგება, მით უფრო ეფექტურია კაპიტალის ფუნქციონირება. თუმცა ეს არ არის კაპიტალის ფუნქციონირების სრული განსაზღვრება. ბაზარი

მუდმივად ცვალებადია, ძნელად პროგნოზირებადი, ამიტომ თუ კაპიტალს მოგება მოაქვს, კონკრეტულ დროს, შესაძლოა, მომავალში არამომგებიანი გახდეს.

კაპიტალი ეფექტურია თუ მისი მომგებიანობა მყარია და ვრცელდება მომავალზე. იმისთვის, რომ კაპიტალმა მოგება დიდი ხნით შეინარჩუნოს, მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტირება ისევ კაპიტალში უნდა მოხდეს. ინვესტიციის დიდი ნაწილი ხმარდება ინოვაციის ფინანსირებას, რომელიც კაპიტალის ფუნქციონირების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ამ პროცესში მთავარია მომხმარებელს სურვილი ქონდეს, რომ პროდუქციაში გადაიხადოს თანხა. კაპიტალმა უნდა დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომხმარებლის გემოვნების და დაკმაყოფილების მეთოდები და ხერხები ცვალებადია.

ამგვარად, შემეცნებითი ინოვაციური წარმოების ციკლი არის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც შემდგომში ხდება განვითარებული ინფორმაციული ბაზარი. აქედან გამომდინარე, ინოვაცია არის ეკონომიკური განვითარების მთავარი საფუძველი.

კვლევის შედეგად შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ ინოვაციური პროცესის განვითარების რამდენიმე პრინციპული თავისებურება და ტენდენცია:

- ❖ ცალკეული კვლევები და ნაშრომები არ არის ინოვაციის ერთადერთი წყარო. ბაზრის შესწავლა, კონკურენტებისა და პარტნიორების გამოცდილება და ა.შ. ხშირად ინოვაციური ინფორმაციის წყარო ხდება;
- ❖ ინოვაცია არ არის ეკონომიკის სამეცნიერო სექტორის პრეროგატიული გამონაკლისი. ინოვაციური აქტივობა მნიშვნელოვანია და ხორციელდება მრეწველობის ყველა დარგში, მომსახურების სფეროში და ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში;
- ❖ კონკურენტუნარიანობის სტიმულირება ბაზარზე უზრუნველყოფს ინოვაციების ზრდას;
- ❖ ინოვაციური პროცესები გადაიქცევიან გლობალურებად;
- ❖ ინფორმაციულ კაპიტალს ფლობს ყველა კორპორაცია, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სფეროში მოღვაწეობს იგი;
- ❖ ინფორმაციული კაპიტალი არსებობს არა მარტო კორპორატიულ დონეზე, არამედ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დონეებზეც.

ინოვაციების გამოჩენას და მათ წარმატებით დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული საზოგადოების განვითარებისთვის, ვინაიდან ეკონომიკაში იბადება ახალი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები, ხოლო თვითონ ბაზარი არის ინოვაციის წყარო. შესაბამისად, არ შეიძლება ახალი საზოგადოება განვიხილოთ ინფორმაციული ბაზრის, პროდუქტებისა და მომსახურების გარეშე.

ლიტერატურა:

1. Белл Д. Социальные рамки информационного общества. Новая технологическая волна на Западе.- М. Прогресс 1986.-С.330-342.
2. Береговой В.А. Инновации на финансовых рынках в условиях глобализации экономики / Инновации/-2005-№2.
3. Габитов А.Ф. Институты национальной инновационной системы / Ииповации/-2005-№1.
4. Горин Е.А. Информационные технологии и инновационное развитие промышленности./ Инновации/-2005-№3.
5. Иванова Н.И. Наука в национальных инновационных системах/ Инновации/-2005-№3.
6. Мижинский М.Ю. Меры государственно-правового стимулирования инноваций: правовой опыт Европейского Союза/ Инновации/-2005-№3.
7. Черняковский В.А. Социальные инвестиции в человеческий капитал как основа эффективного развития экономики современного государет-ва/Инновации/-2005-№2.
8. Knight F. Risk, Uncertainty and profit preface to the Keisure, London, London School Economics and Political Science. 1993.
9. Raymond McLeod, Jr. Management Information Systems: A study of computer-based informational systems. - Washington.: Simon & Shuster Custom Publishing, 1998.-655 p.

INNOVATION AS AN INEVITABLE PRECONDITION FOR TRANSFORMATION INTO THE INFORMATION SOCIETY

Eka Tadumadze, Georgian Technical University, Doctoral candidate
Merab Vanishvili, Georgian Technical University, Associate Professor

RESUME

The presented work deals with the analyzes of innovation as an inevitable precondition for evolution into the information society. Innovation is a transformation of knowledge into welfare. The innovation classification system is based on behaviors of social groups and classifies innovations as continuous, dynamically continuous and discontinuous innovations.

It should be noted that specific new products are also frequently regarded as innovations if they accumulate new scientific information. Innovation is therefore transformation of ideas as a market product or service, or a new improved production process, or new methods of social service. The object of innovation is results of scientific research activities.

Combination of innovation and infrastructure speeds up the rates of economic growth and thus increases the standard of life. Traditionally, innovation is considered as a wavelike change. Research shows that there have been only four innovative waves in the recent 200 years that have seriously influenced the society and economy.

If we summarize the research of this chapter, we can conclude, that cognitive innovative producing cycle is the main motivative power of economics, which in future will become developed informational market. According to this, innovation is the main base of economical development.

The introduction of the innovations has the greatest importance for development the informational society, because in economics appears new marketable economical interrelations, but itself market is source of innovation. Correspondingly, new society cannot consider without informational market, products and service.

Innovative activity is realized in all branches of industry, in sphere of service, in developing of state economics or in structures of state. The competitiveness contributes development of innovative ideas. The innovative processes become more global.

ტრადიციისადმი დამოკიდებულება - ეპოქის მოთხოვნა

ლელა თოგოშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ადამიანური მოღვაწეობა და მისი შედეგი - ნივთი თუ სულიერი შემოქმედების ნაწარმოები - კულტურად მაშინ გადაიქცევა, როდესაც მათ საზოგადოება აღიარებს და მისი კუთვნილება გახდება. კულტურის მოვლენათა გავრცელება, თაობიდან თაობისათვის გადაცემა ტრადიციად აქცევს მათ. სიტყვა "ტრადიცია" ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს "გადაცემას". (ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1983). ქართული წეს-ჩვეულებების მეცნიერულად შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს მე-18-19 სს. ქართველმა მეცნიერებმა: ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონებმა, პლატონ იოსელიანმა, დიმიტრი ბაქრაძემ, მოსე ჯანაშვილმა, თედო ჟორდანიამ, ალექსანდრე ხახანაშვილმა და სხვ. თავის პუბლიცისტურ წერილებში ზნე-ჩვეულებებს კრიტიკული თვალსაზრისით მიმოიხილავენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. (ბ. რაზმაძე, 2009). ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს თავისი ტრადიციები ახასიათებს. დროთა განმავლობაში ყველა მათგანში დგება კულტურული ტრადიციისა და სიახლის ურთიერთობის საკითხი. კულტურის ცვალებადობასთან ერთად იცვლება ადამიანიც. (თ. ბუაჩიძე, 2003.). ტრადიციების აღიარებით ადამიანი იზიარებს იმ საზოგადოების, იმ ხალხის კულტურას, რომლის ნაწილსაც ის შეადგენს. ტრადიციებს მაშინ ეკიდებიან განურჩევლად, როცა ადამიანებში ბატონდება სარგებლიანობისა და გამორჩენის სულისკვეთება და როცა ცხოვრების შეფასების მთავარი საზომი კომფორტი ხდება. ეს კარგად არის ნაჩვენები ვ. რასპუტინის მოთხოვნაში "მატიორასთან დამშვიდობება". დიდ მშენებლობასთან დაკავშირებით უნდა დაიტოვოს კუნძული და იქ მცხოვრებნი სხვაგან უნდა გადაასახლონ; ამ ვითარებისადმი ადამიანები სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას იჩენენ: ისინი, ვინც მხოლოდ კომფორტზე ფიქრობს, დაუფიქრებლად გამოთქვამენ სიხარულს, ხოლო ვისაც არ დაუკარგავს ბუნებისადმი გრძნობა და მამა-პაპისადმი პატივისცემა, მათთვის ეს პროცესი მტკივნეულია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ერის ცხოვრებასთან ერთად ტრადიციებიც არ

შეიძლება არ იცვლებოდეს. გავიხსენოთ იაკობ ცურტაველის "შუმანიკის წამებაში" აღწერილი ვახშამი და დედოფლის სიტყვები: "ოდეს ყოფილ არს აქამოდ, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?" (იაკობ ცურტაველი, "შუმანიკის წამება"). მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი წესებით "მამათა და დედათ" "პურის ერთად ჭამა" სულაც არ ეკრძალებათ. კულტურა ტრადიციების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ტრადიციების ბრმა მორჩილება ისტორიის დაფასება კი არ არის, არამედ მისი უგულვებლყოფა. ტრადიციები რომ არ შეცვლილიყო, საზოგადოების განვითარება შეწყდებოდა. (ა. მენაბდე, 1977). ადამიანის დამოკიდებულება ტრადიციისადმი, კულტურის მოვლენისადმი უნდა იყოს ღირებულებით - შეფასებითი. ადამიანმა უნდა გამოხატოს თავისი სუბიექტური დამოკიდებულება და მოვლენას მისცეს შეფასება. (შ. ნადირაშვილი, 1975). ძველ ღირებულებათა ახლით შეცვლის ან მათი გადაფასების პროცესი, თუნდაც მას რადიკალური ხასიათი ჰქონდეს, სავსებით ბუნებრივი და ნორმალური მოვლენაა საზოგადოების განვითარებაში. თანამედროვე ეტაპზე საქართველო დგას დემოკრატიისა და საზაზრო ეკონომიკის გზაზე. მას თან მოაქვს ახალი იდეალები და ღირებულებები. სწორედ თანამედროვე ეპოქამ წარმოქმნა სამოქალაქო საზოგადოება. თანამედროვე ეპოქაში ევროპასთან ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტურ არჩევანს წარმოადგენს. ეს პროცესი კი უკავშირდება გარკვეული ცვლილებების გატარების აუცილებლობას. (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - საქართველოს მთავრობის განკარგულება #84, 2004 წ. 18 ოქტ., თბ.) ეთნოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ ხალხებს, რომლებიც ისტორიულად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და სხვადასხვა ეთნიკურ და ლინგვისტურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, მეურნეობასა და კულტურაში მსგავსი მოვლენები უვითარდებთ (ა. სონდულაშვილი, 2003.). ცნობილია, რომ ტრადიციებისადმი განსაკუთრებული ერთგულება ახასიათებდა აღმოსავლურ კულტურებს (ჩინეთს, იაპონიას)...და ეს მათ განვითარებას აფერხებდა (თუმცა არც ტრადიციებისადმი პატივისცემის დადებითი მნიშვნელობის უგულვებლყოფა შეიძლება). ტრადიცია ჩვევად გადაიქცევა და ის კარგავს თავის ნამდვილ შინაარსს და მისგან მხოლოდ გარეგნული, საზრისს მოკლებული რიტუალი რჩება. ტრადიციისადმი ამგვარი ერთგულება სიტყვისა და საქმის დაშორებას და ამით ზნეობის დაცემას უწყობს ხელს. "ადამიანები, - ამბობდა მონტენი, - სინდისს საროსკიპოებში ისტუმრებენ, მაგრამ გარეგნულად წესიერებას იცავენ..." დღევანდელ საზოგადოებაში ფართოდება კონტაქტები ადამიანებს შორის, თუმცა კონტაქტების სიხშირე ყოველთვის არ მოასწავებს ადამიანთა შორის პიროვნული ურთიერთობის გაღრმავებას. ჰენრი თორო, რომლის შემოქმედების ერთ - ერთი მთავარი მოტივი ადამიანთა შორის ნამდვილად ადამიანური ურთიერთობის დამყარებაზე ზრუნვა იყო, წერდა: "ჩვენ ძალზე ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ისე, რომ ვერ ვასწრებთ ერთმანეთისთვის ახალი ღირებულებების შექმნას... ნამდვილად მნიშვნელოვანი და გულითადი ურთიერთობისათვის ასეთი სიხშირე საჭირო არ არის...". ციცერონი ამბობდა: "მათ სხვებთან საუბარი ისწავლეს, მაგრამ საკუთარ თავს ვერ ესაუბრებია". ჰენრი თორო ამბობდა: "მე სასარგებლოდ ვთვლი დროის უდიდესი ნაწილი მარტოობაში გავატარო, საუკეთესო საზოგადოებაც კი ჩქარა მდლის და სერიოზული ფიქრისაგან მწყვეტს. მიყვარს მარტოდ დარჩენა. არავისთან არ არის ისე სასიამოვნო ურთიერთობა, როგორც სიმარტოვესთან". "ჩვენ მთელი მკერდით მხოლოდ მაშინ ვსუნთქავთ, - წერდა ანტუან დე სენტ - ევზიუპერი, - როდესაც ჩვენ ძმებთან ვართ დაკავშირებული და საერთო მიზანი გვაქვს; და ჩვენ ვიცით გამოცდილებიდან: სიყვარული იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ვუყუროთ, სიყვარული ერთი მიმართულებით ცქერას ნიშნავს." ტრადიციების სრულქმნის მთავარი და გადამწყვეტი საშუალებაა ადამიანთა კულტურის ამაღლება (ლ. ბარათაშვილი, 1977). თავისი ტრადიციები და რიტუალები აქვს ადამიანის სიკვდილის გამო გლოვას და გარდაცვლილის ხსოვნის აღნიშვნას. "აბა, გადახედეთ ადამიანის განვითარების გრძელ გზას, - წერდა დიმიტრი უზნაძე, ან კიდევ კულტურის აღმავალ საფეხურებს, - ყველაფერი ეს ბრძოლამ წარმოშვა, ბრძოლამ არსებობის შენარჩუნებისათვის, ანუ ბრძოლამ სიკვდილთან. სიკვდილი ამიტომ, როგორც იდეა, უდიდესი ბოროტება კი არა, უდიდესი სიკეთეა". (დ. უზნაძე, 1964.). ტრადიციების საფუძველი ადამიანური ურთიერთობის მოთხოვნილებაა. იაპონიაში ასეთი ჩვეულებაც ყოფილა - თავისი უბედურების შესახებ იაპონელი სხვას ღიმილით ატყობინებს, რათა შეამსუბუქოს თავისი ნათქვამით გამოწვეული მძიმე შთაბეჭდილება. ტრადიცია ჩვენს წარმოდგენაში სიძველესთან არის დაკავშირებული. ამიტომ გამოთქმა "ახალი ტრადიცია" უჩვეულოდ ჟღერს. მაგრამ შეიძლება ახალი ტრადიციების შექმნაზეც ვილაპარაკოთ, ამისათვის საჭიროა ტრადიციის აზრი ხალხისათვის გასაგები იყოს. არ შეიძლება ტრადიციის გამართლება სიძველით, მაგრამ სიძველე არც მისი უარყოფის საფუძველად გამოდგება. "ტრადიციის უარყოფაც ტრადიციაა", - ამბობდა ა. ბლოკი. (ო. ჯიოვეი, 1985.). ტრადიციისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს შერჩევითი. მიხეილ კეკელია თავის ნაშრომში "ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის" წერს: "ჩვეულებები და ტრადიციები ჯავშანს წარმოადგენს ეროვნული ორგანიზმისათვის; არაფერი ისე არ აღვივებს ეროვნული სიამაყის გრძნობას, როგორც ეროვნული ჩვეულებები და ტრადიციები. ისინი სტაბილიზატორის როლს ასრულებენ ეროვნულსა და მოდას შორის..." მაგრამ საზოგადოება, რომელიც ბრმად მისდევს წარსულს, ერთხელ შექმნილ

კულტურულ ტრადიციებზეა მიჯაჭვული, ერთ წერტილზე გასაყინად არის განწირული. კულტურის წარსული მთლიანად ვარდისფერი არასდროს არის. ცხოვრება ხშირად აყენებს ადამიანს არჩევანის წინაშე, როდესაც მან თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ ინტერესს მიანიჭოს უპირატესობა. კულტურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა განავითაროს ადამიანის უნარები, მისი გონება და გრძნობები, რაც მას საშუალებას მისცემს განსაზღვროს თავისი ნამდვილი ინტერესები და მოვალეობები და მათ შესატყვისად მოიქცეს.

ლიტერატურა:

- 1) ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოსკოვი, 1983., გვ.690.
- 2) ბ. რაზმაძე, შევინარჩუნოთ ჯანსაღი ქართული ტრადიციები, თბილისი, 2009., გვ.5.
- 3) თ. ბუაჩიძე, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბილისი, 2003., გვ.50.
- 4) იაკობ ცურტაველი, " შუშანიკის წამება".
- 5) ა. მენაბდე, პროტექციონიზმი და მასთან ბრძოლა, თბილისი, 1977., გვ.25.
- 6) შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1975., გვ.303.
- 7) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - საქართველოს მთავრობის განკარგულება # 84, 2004 წ. 18 ოქტ., თბილისი.
- 8) ა. სონღულაშვილი, კაზაკები საქართველოში, თბილისი, 2003., გვ.84.
- 9) ლ. ბარათაშვილი, "მზითვის წიგნი" , თბილისი, 1977., გვ.57.
- 10) დ. უზნაძე, ფილოსოფიური შრომები, თბილისი, 1964. გვ.240.
- 11) ო. ჯიოვი, კულტურა და ადამიანის ცხოვრება, თბილისი, 1985., გვ.58.

ATTITUDE TOWARDS TRADITION – EPOCH REQUIREMENT

Lela Togoshvili, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

Tradition is a part of nation's culture. There is no culture without a tradition. Traditions reflect people's world outline. If the traditions did not change, society would stop the development. People's attitude towards traditions should be estimating and then admiring.

Georgia is at the crossroad of democracy and market economy, that brings new ideals and values. The new epoch created civil society. We consider tradition as a connection to the antiquity, that's why a new phrase "New Tradition" sound unusual. But we should think about creating new tradition too. The essence of tradition should be clear for people, because a formal approach will hinder the correct establishment of a tradition. Tradition is a significant part of culture, but a tradition shouldn't be estimated according to its antiquity and on the contrary, antiquity shouldn't be a reason of disapproval a tradition.

One of the main functions of culture is to develop people's skills, thinking and feelings in order to determine real interests, duties and act accordingly.

ქონებრივი დანაშაული ქართულ ფეოდალურ სამართალში

შალვა ვანიშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას, როგორც სამეცნიერო-სასწავლო მეცნიერებას, საფუძველი ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა. ამ ქართველოლოგიურ-იურიდიული მეცნიერებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ივ. ჯავახიშვილმა, ჩვენამდე მოღწეული საკანონმდებლო და ნარატიული წყაროების ანალიზის საფუძველზე, პირველმა ჩამოაყალიბა და შეისწავლა ქართული ფეოდალური სამართლის სისტემა და მისი დარგები (სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი და სხვ.), დაადგინა ქართული იურიდიული ტერმინოლოგია, განსაზღვრა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები და ა.შ. შედარებითი სამართალმცოდნეობის მიხედვით შუა საუკუნეების ქართული იურიდიული მეცნიერების პრობლემების შესწავლისას ივ. ჯავახიშვილის მიერ მიღებული

შედეგებისა და აგრეთვე, მის მიერ განსაზღვრული კვლევის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინება საქართველოს ისტორიისა და ქართველოლოგიურ-იურიდიული მეცნიერების მრავალი სადავო საკითხის გარკვევის შესაძლებლობას გვაძლევს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომები სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, რომელსაც, როგორც მეცნიერებას, მან მისცა დასაბამი. მის მიერ დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა იურიდიული ფაკულტეტი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი და ტრადიციული სამართლებრივი მეცნიერების მიხედვით ნაყოფიერ პედაგოგიურ და კვლევის მუშაობას ეწეოდა, გამოაქვეყნა ქართული სამართლის ისტორიის სამი ტომი.

ფეოდალურ საქართველოში საკუთრების დაცვა ხდებოდა როგორც კერძო სამართლის, ასევე სისხლის სამართლის წესით. ფეოდალურ სამართალში სამოქალაქო და სისხლის სამართლის დელიქტებს შორის არ გვხვდება მკვეთრი ზღვარი. სისხლის სამართალი უფრო რადიკალურად მოქმედებს საკუთრების დაცვის საქმეში.

გლეხობა, რომელიც კარგავს მიწის ნაკვეთს, ღარიბდება და ღატაკდება, ადვილად მიდის ქურდობაზე, ყაჩაღობაზე და სხვა ქონებრივ დანაშაულზე. საპასუხოდ – სახელმწიფო აძლიერებს რეპრესიებს. მაგრამ სისხლის სამართლის ისტორია მოწმობს, რომ რეპრესიებით დანაშაული არ აღმოიფხვრება და თუ ამ თვალსაზრისით რაიმე დადებითი ეფექტი მიიღწევა, იგი ხანმოკლეა. ფრანგი მოაზროვნის, ვოლტერის, აზრით თაღლითობა, ქურდობა, ჩვეულებრივ არის ღარიბთა დანაშაული. კანონებს კი ქმნის მთავრობა, რომელიც მდიდრებისაგან შედგება, ამიტომ მთავრობამ, ე.ი. მდიდრებმა, უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მოსპონ სიღატაკე და არა იმისათვის, რომ ღატაკი, რომელმაც ქურდობა ჩაიდინა, ჯალათს ჩაუგდონ ხელში. დასჯილთა სისხლი იღვრება, ხოლო ქურდობა და სხვა ქონებრივი დანაშაული რჩება. ამიტომ საკუთრების დაცვის ამოცანა რეპრესიების გზით არ შეიძლება იქნეს გადაწყვეტილი არა თუ საბოლოოდ, არამედ ხანგრძლივი დროითაც კი.

მეთაუ-მეთერთმეტე საუკუნეების ქართული სამართლის ძირითადი წყარო არის ექვთიმე მთაწმინდელის შრომები.

ექვთიმე მთაწმინდელი არის ათონის ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი და საქართველოს კულტურული წარსულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა. მან წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც. ამ გამორჩეულმა საზოგადო და კულტურის მოღვაწემ, შესანიშნავმა იურისტმა, შეიმუშავა საერთო მოძღვრება დანაშაულის შესახებ იმ ეპოქაში, როდესაც მთელ დასავლეთ ევროპაში გვხვდება ცალკეული სახის სამართალდარღვევების კაზუსტური და აღწერილობითი დახასიათება. დადგენილებები დანაშაულზე და მის ცალკეულ სახეზე მოცემულია ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ორი საეკლესიო ძეგლის ექვთიმესეულ თარგმანში, „იოანე მმარხველის ნომოკანონში“ და „წესი და განგება და სჯულის კანონი მეექვსისა კრებისა“.

როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“ - ექვთიმეს თარგმანი იმდენად აღმატებოდა ბასილი კესარიელისა და იოანე მმარხველის პარაგრაფებს, როგორც შინაარსის სიღრმით, ისევე თავისი ინტერპრეტაციის ზოგადი ხასიათით, რომ იგი გადაიქცა ზოგად მოძღვრებად დანაშაულის შესახებ.

ქურდობა – ქონებრივი დანაშაულის ყველაზე მეტად გავრცელებული ერთ-ერთი სახე, იმდენად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რომ პირი, რომელმაც ეს დანაშაული ჩაიდინა, არ შეიძლებოდა შემდგომში მღვდლად ყოფილიყო კურთხეული, ხოლო, თუ ქურდი უკვე იყო მღვდელი, იგი კარგავდა ამ წოდებას.

ამრიგად, ეს დანაშაული გათანაბრებულია ისეთ მძიმე ცოდვებთან, რომლებიც მონანიებითაც კი არ გამოისყიდებოდა.

განზრახ მკვლევლობასთან მიმართებაში მთაწმინდელს მეტად ორიგინალური, მეცნიერული მოსაზრებანი აქვს გამოთქმული. ექვთიმე მთაწმინდელი მიუთითებს განზრახ მკვლევლობის სუბიექტურ მხარეზე – განზრახვას და მოქმედების მოტივს – ანგარებას, სხვისი ქონების მითვისებას. ამასთან საინტერესოა, რომ ყურადღება გამახვილებულია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფაზე, ხოლო მოქმედების მოტივი – სხვისი ქონების მითვისება, ვერ გადაწონის ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას.

ექვთიმე მთაწმინდელის ეს მოსაზრება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ ანგარებით ჩადენილი დანაშაულის სახეებზე; სხვისი ქონების მითვისებასა და ადამიანის გატაცებაზე მისი ტყვედ გაყიდვის მიზნით.

ამრიგად, ეს ორი, ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებული დანაშაული ერთიანდება ერთი ნიშნით – ანგარებით და მოქმედების ხასიათით – ძალადობით.

ამავე დროს, ექვთიმე მთაწმინდელს კარგად ესმის ამ ორი დანაშაულის სხვაობა, რაც ჩანს მის მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიაში „ავაზაკის“, ვინც სხვის ქონებას იტაცებს ძალადობის გამოყენებით, და „მბრძოლთანი“ - ისინი ვინც, რომლებიც ადამიანებს იტაცებენ გასაყიდად, ანგარების მიზნით. ქონებრივ დანაშაულზე საინტერესო მასალებს ვხვდებით ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში, რომლის ფრაგმენტები შემონახულია ჩვენს დრომდე ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში და შედგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს XI საუკუნისა. კანონმდებელი გამოყოფს ეკლესიის გამარცვას. აქ მძიმე დანაშაულის რამდენიმე სახეა განხილული.

გარდა ამისა, ბაგრატ კურაპალატის სამართალში ლაპარაკია „მკუდარის გამარცვაზე“ და ცხენების ჯოგების გატაცებაზე.

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სისხლის სამართლის ძეგლები ჩვენამდე შემონახული არ არის, მაგრამ თამარ მეფის ისტორიკოს, ბასილთან, არის ცნობა, რომელსაც ხშირად იყენებენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბასილის შრომის ის ადგილი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ თამარის დროს სიკვდილით დასჯა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, როცა საქმე ეხებოდა ძველ კანონს მეკობრე-ყაჩაღთა მიმართ – ხეზე ჩამოხრჩობას. ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თამარის დროს სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან ისტორიკოსის ცნობა რუსთაველის ეპოქას ეხება, მაგრამ ერთი რამ კი უდავოა: თამარის დროს სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო, თუ თამარის პირადი სიკეთისა და სულგრძელობის გამო არ გამოიყენებოდა, ქონებრივი დანაშაული მაინც სიკვდილით ისჯებოდა.

გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდებამი, რომელიც როგორც ცნობილია, შედგენილია საქართველოს მთიანი რაიონებისათვის, ასევე გვხვდება ქონებრივი დანაშაულის სხვადასხვა სახეები. ეს არის პირუტყვის გატაცება, ქურდობა.

ბექა და აღბუღას სამართლის წიგნები, რომლებიც გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდების მსგავსად, პარიტიკულარულ ხასიათს ატარებენ, შედგენილია საქართველოს დაწინაურებულ კუთხისათვის და, ბუნებრივია უფრო დახვეწილია და სრულყოფილი, აქ ლაპარაკია ყაჩაღობაზე, რომელსაც თან ახლავს ძალადობა ან მკვლელობა ცხენების გატაცებაზე კანონმდებელი ყურადღებას აქცევს დანაშაულის ჩადენის ადგილს მხედველობაში მიიღება ის, თუ რა მანძილიდან მოხდა თავდასხმა დაზარალებულის საცხოვრებელი ადგილიდან და სხვ.

გათვალისწინებულია აგრეთვე საფლავის გამარცვა, ეს მუხლი საკმაოდ რთულადაა წარმოდგენილი. იგი სხვადასხვა საკითხებსაც მოიცავს, ჩვენ აქ მხოლოდ ამ დანაშაულის სახის მითითებით შემოვიფარგლებით. ქურდობისათვის დაწესებულ სხვადასხვა სასჯელებთან ერთად ბექა-აღბუღას სამართალში მითითებულია ადრე არსებული სასჯელის ძირითადი სახეც – ნაქურდალის ორმაგი ღირებულების გადახდა. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, რომელიც შედგენილია ადრე არსებული საკანონმდებლო ძეგლებისა და ქართული იურიდიული აზრის მიღწევათა გარიგებით, სამართლის სხვადასხვა ინტერესებისა და კერძოდ, ქონებრივი დანაშაულის შესწავლის ძირითადი წყაროა. ქონებრივ დანაშაულს აქ მთელი თავი აქვს მიძღვნილი, „აწ ვიწყით კარი ქურდობისა და სამართალი მისი“.

კანონმდებელი მიუთითებს, რომ ქურდობა მრავალი სახისაა და ცდილობს მის სისტემატიზაციას ვახტანგს ჩამოთვლილი აქვს ქურდობის კვალიფიციური სახეები:

1. მამაკაცის იარაღის ან ქალის სამკაულის მოპარვა იმ სახლიდან, სადაც ამ ნივთების პატრონები იმყოფებიან.

2. ლაშქრობაში მებრძოლისათვის ცხენის, იარაღისა და სხვა მისთანას მოპარვა.

3. ქალის ტანზე არსებული სამკაულის, იარაღისა და სხვათა შეჭრა-შეხსნა.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი სახის ქურდობა ვახტანგის სამართლის მიხედვით ისჯება ნაქურდალის შვიდმაგის გადახდით და ნახევარი სისხლის ფასით. ქურდობის სხვა სახეები ისჯება ნაქურდალის ღირებულების შვიდმაგის გადახდევინებით. საყურადღებოა, რომ მხედველობაში მიიღება დაზარალებულის წოდება: თუ დაზარალებული მაღალი ფენის წარმომადგენელია, იგი ამ შვიდმაგ ღირებულებას სრულად მიიღებს, ხოლო თუ გლეხია, ის მიიღებს მხოლოდ ნაქურდალის ორმაგ ღირებულებას, დანარჩენი კი ხაზინაში გადადის. ხელმწიფის სალაროს გატეხვა იმდენად მძიმე დანაშაულად ითვლება, რომ სასჯელის ღონისძიება განსაზღვრული არ არის და მისი განსაზღვრა ხელმწიფისა და კათოლიკოსის ნებაზეა დამოკიდებული. კანონმდებელი ჩერდება აგრეთვე ყაჩაღობასა და ძარცვაზე, სხვისი ქონების განზრახ დაზიანებაზე, ნათესებისა და ნარგავების გაფუჭებაზე და სხვ.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა სამართლის რამდენიმე თავისებური და საინტერესო ძეგლი. ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით, პირველყოფილისა, უნდა შევჩერდეთ ლევან და

ვახტანგ (ასლამაზ) ბატონიშვილების მიერ შედგენილ ძეგლებზე, რომელიც განკუთვნილია ყოფილი არაგვის საერისთავოსათვის. ეს საერისთავო ირაკლი II ჩამოართვა არაგვის ერისთავს და თავის უფროს ვაჟიშვილს ლევანს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, ბატონიშვილს ვახტანგს გადასცა. ბატონიშვილი ვახტანგი შესავალში განმარტავს, რომ სამართლის წიგნი შედგენილი იყო მისი ძმის, ლევანის, მიერ, ხოლო მან, ვახტანგმა, ეს კანონები აღადგინა და დაუმატა თავისი საკუთარი დადგენილებები.

ძეგლი პარტიკულარულ ხასიათს ატარებს და განკუთვნილია ხსენებული საერისთავოსათვის. ძეგლის ექვსი მუხლი ეკუთვნის ლევან ბატონიშვილს, ხოლო დანარჩენი თერთმეტი – ბატონიშვილს ვახტანგს. ძეგლი იცნობს ქურდობასა და ყაჩაღობას. ეს დანაშაულები იმდენად მძიმედ ითვლება, რომ მათ წინააღმდეგ არასათანადო აქტიურობით ბრძოლა თვით არაგვის საერისთავოს მმართველის, ბატონიშვილის, სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებასთან არის გათანაბრებული.

ამავე პერიოდს განეკუთვნება დავით ბატონიშვილის, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-12-ის, უფროსი ვაჟიშვილის კანონ-პროექტი, რომელსაც მან „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“ უწოდა. ავტორი ანსხვავებს პირველად, მეორედ და მესამედ ჩადენილ ქურდობას, რისთვისაც დადგენილია, შესაბამისი, გაორკეცებული სასჯელი. შემდეგ ჩადენილი ქურდობისათვის კი ხელის მოკვეთა და წოდების ჩამორთმევა იყო დაწესებული. ასოთმოკვეთისა და კომპოზიციის გამოყენების საჭიროებას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ საქართველოში არ იყო გადასახლების ადგილი საკუთრების დაცვის დროს სახელმწიფო მიმართავს, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლებრივ ღონისძიებას თავისი სიძლიერის ამ საფუძველთა საფუძვლის დაცვის დროს.

შუა საუკუნეების საქართველოს სამართლის ძეგლებისათვის ცნობილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სახეები.

განსხვავებულია ამ დანაშაულის მარტივი და კვალიფიციური სახეები. კვალიფიციურ სახეს, მაგალითად, ქურდობისას მიეკუთვნება განმეორებით ჩადენილი ქურდობა – პირთა ჯგუფის მიერ დაზარალებულის სახლში, ეკლესიაში, განმეორებით გაქურდვა და სხვა.

ქონებრივი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარი იყო. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ძლიერების პერიოდში საქართველოს სახელმწიფო დანაშაულის რიცხვის შესამცირებლად, რეპრესიების გაძლიერებასთან ერთად, მიმართავდა ლატაკათავის სახელმწიფო ხაზინიდან დახმარების გაღებას.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტომი VI, „ქართული სამართლის ისტორია“ (წიგნი პირველი), თბ., 1982, გვ. 70-118;
2. კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 65-81;
3. ვ. აბაშმაძე, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ფეოდალური ქართული სამართლის მიხედვით. „ლექციები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში“, 1993, გვ. 7-43;
4. ნ. კორძაია-სამადაშვილი, ქონებრივი დანაშაული ქართულ ფეოდალურ სამარ-თაღში, „ლექციები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში“, 1993, გვ. 97-105;
5. ვ. მეტრეველი, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება ადრე ფეოდალიზმის ხანაში. „ლექციები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში“, თბ., 1993, გვ. 61-97;
6. გ. ინწვირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ. 67-80;
7. გ. ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, გვ. 112-122; 236-242.

PROPERTY CRIME IN GEORGIAN FEUDAL LAW

Shalva Vanishvili, Gori Teaching University, Academic Doctor

ABSTRACT

Property was protected by both, Private and Criminal laws In Feudal Georgia. In Feudal Law, there was no sharp edge between civil and criminal offences.

Theft was one of the most common offences of property crime. It was considered so serious offence that the person committing this crime could not have been sanctified in priest in future.

A Criminal was strictly punished for Property crime in the age of feudalism.

პირთა შეცვლა ვალდებულებებში

ივანე ბალახაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი

სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება – ეს არის სამოქალაქო ურთიერთობა, რომლის ძალითაც ერთი პირი ვალდებულია სხვა პირის სასარგებლოდ შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება, როგორცაა: გადასცეს საკუთრების უფლება, შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება, გადაიხადოს ფული და სხვ. ან თავი შეიკავოს განსაზღვრული მოქმედების შესრულებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს, მოსთხოვოს მოვალეს შეასრულოს ეს ვალდებულება.

ვალდებულების ცნება რომის სამართლიდან მოდის. რომელი იურისტები ვალდებულებას განმარტავდნენ, როგორც სამართლებრივ საფუძველს, რომლის ძალითაც პირი ვალდებული იყო შეესრულებინა რაიმე მოქმედება ან თავი შეეკავებინა მისი შესრულებისაგან³⁴.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ვალდებულების ცნებას არ იცნობს. ასეთია მაგალითად, ინგლისი, თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული რომ ასეთი ტიპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემები არ დგას ან არ რეგულირდება, არა უბრალოდ ეს განიხილება როგორც ხელშეკრულებიდან ან დელიქტებიდან წარმოშობილი ურთიერთობები და რა თქმა უნდა მსგავსია ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობებისა³⁵.

განსხვავებული მდგომარეობაა გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში, რომლის თანახმადაც, ვალდებულების ძალით კრედიტორს შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.

იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობა უფრო გვიან წარმოიშვა ვიდრე სანივთო სამართლებრივი ურთიერთობა. სანივთო სამართლებრივი ურთიერთობების დროს სახეზე გვაქვს პირის ნივთთან ურთიერთობა, ხოლო ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობისას - პირის პირთან. გასათვალისწინებელია, რომ სანივთო სამართლებრივი ურთიერთობების დროს თავს იჩენს ურთიერთობები პირთა შორის, მაგრამ ეს ურთიერთობები მხოლოდ ნივთზე უფლების ქონის შედეგია. ისევე როგორც შესაძლებელია ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობა კრედიტორისათვის რაიმე ნივთის გადაცემას ისახავდეს მიზნად, მაგრამ ასეთი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ვალდებულების შესრულების შედეგი.

ვალდებულების შინაარსი მოიცავს მისი მონაწილეების უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას. წარმოუდგენელია ვალდებულების მონაწილეთა უფლებები დამოუკიდებლად არსებობდეს მოვალეობისაგან, ან პირიქით, ვალდებულების მონაწილის მოვალეობა - უფლებისაგან.

იურიდიულ ლიტერატურაში შევხვდებით ვალდებულების კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნით, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული დაყოფა მისი წარმოშობის საფუძველებს უკავშირდება. ამ მხრივ ვალდებულებები იყოფა სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებად. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შინაარსი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებით და კანონით, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულებისა კი - კანონით, ან კანონითა და ვალდებულების ერთი მხარის ნებით.

სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან ვალდებულების წარმოშობა ყველაზე გავრცელებულია პრაქტიკაში. ხელშეკრულების დასადებად ორი ან მეტი პირის ნების შეთანხმებაა საჭირო. თუმცა ხელშეკრულება არა ყოველგვარ შეთანხმებას გულისხმობს, არამედ ისეთს, რომელიც მისი მონაწილეებისათვის იწვევს განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

ხელშეკრულება კერძო პირთა ნებისმიერი შეთანხმებაა, რომლითაც მხარეებს წარმოეშობათ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. სწორედ ხელშეკრულებაში ჩანს ყველაზე ნათლად კერძო სამართლის ბუნება, ანუ ის, რომ ურთიერთობის მონაწილენი თვითონვე აწესრიგებენ ურთიერთობებს ერთმანეთთან. როდესაც ხელშეკრულებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს ლაპარაკი იყოს, მხოლოდ რაიმე წერილობით დოკუმენტზე, რომელიც ბეჭდებით არის დადასტურებული. არამედ შესაძლებელია ხელშეკრულება მარტივი ხასიათისაც იყოს. ადამიანთა

³⁴ გიორგი ნადარეიშვილი. რომის სამოქალაქო სამართალი. თბ. „ბონა კაუზა“, 2001, გვ. 103, 104 და სხვ.

³⁵ იხ. ზურაბ ძლიერიშვილი. ვალდებულების შესრულება. თბ. „მერიდიანი“, 2006 გვ. 6

ყოველდღიურ ცხოვრებაში იდება უამრავი წვრილმანი ხელშეკრულებები, როგორცაა: ნასყიდობის წვრილმან ნივთებზე, ფულის სესხება, თხოვება და ა.შ. ასევე იდება რთულ და დიდ ფინანსებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, მაგალითად: ლიზინგი, ფრენშიაზინგი, ნასყიდობა, საბანკო გარანტია, გადაზიდვები და ა.შ.

ყოველი შეთანხმება არ წარმოადგენს ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებაა, მაგალითად, ხელშეკრულებად არ ჩაითვლება ე.წ. ჯენტლმენური ან მეგობრული შეთანხმება.

ჯენტლმენურია შეთანხმება, როცა მხარეები თანხმდებიან განსაზღვრული მოქმედების შესრულებაზე, მაგრამ მას სამართლებრივად სავალდებულო ხასიათს არ ანიჭებენ. მეგობრულია შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც მხარეები ასრულებენ განსაზღვრულ მოქმედებებს არა სამართლებრივი შეზღუდვის ძალით, არამედ მეგობრობის, კოლეგიალობის, მეზობლობის, ურთიერთპატივისცემის გრძნობებიდან გამომდინარე. მეგობრული ურთიერთობები უნდა გაიმიჯნოს უსასყიდლო სახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან (თხოვება, უპროცენტო სესხი, უსასყიდლო მიბარება და ა.შ.) რომლებიც შესაძლოა ზემოქამოთვლილი გრძნობები ფიგურირებდეს, მაგრამ მხოლოდ მოტივაციის სახით.

სწორედ იმის გამო, რომ ყოველი შეთანხმება არ უნდა მივიჩნიოთ ხელშეკრულებად, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლადაც მხოლოდ ისეთ შეთანხმებები უნდა ჩაითვალოს, რომლებიც ხელშეკრულებას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების და სხვ. ხელშეკრულებები უნდა მივიჩნიოთ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად, ხოლო ჯენტლმენური და მეგობრული ხელშეკრულებები არ წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს³⁶.

რაც შეეხება ვალდებულების წარმოშობის არასახელშეკრულებო საფუძველს, ასეთად მიჩნეულია: ზიანის მიყენება, უსაფუძვლო გამდიდრება და სხვ. ანუ ისეთი შემთხვევები, როცა ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ კანონით ან კანონით და ვალდებულების ერთი მხარის ნებით.

ვალდებულების თავდაპირველი მხარეები შეიძლება შეიცვალოს სხვა პირებით. კრედიტორის შეცვლას ეწოდება მოთხოვნის დათმობა, ანუ ცესია, ხოლო ვალდებული პირის შეცვლას - ვალის გადაკისრება. ცესია ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის იყო ცნობილი. მოთხოვნის დათმობა ჩვეულებრივ ხდებოდა მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომლითაც ძველი კრედიტორის ადგილს იჭერდა მესამე პირი, რომელიც თავისი მოთხოვნის უფლებას გადასცემდა, ეწოდებოდა ცენდენტი, ხოლო იმ პირს, რომელიც ღებულობდა მოთხოვნის უფლებას - ცესიონერი³⁷.

ცესია თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში განიმარტება როგორც ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თავდაპირველი კრედიტორი (ცენდენტი) თავის მოთხოვნის უფლებას გადასცემს ახალ კრედიტორს (ცესიონერს).

მოთხოვნის დათმობისას, მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, მაგრამ მას უნდა ეცნობოს ამის შესახებ. თუკი მოთხოვნის უფლების მფლობელი ისე დაუთმობს მოთხოვნის უფლებას სხვას, რომ ამის შესახებ არ აცნობებს მოვალეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ვალდებულება შეასრულოს მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელის წინაშე. ეს შესრულება მოვალეს ჩათვლება ჯეროვან შესრულებად, რითაც იგი განთავისუფლდება ახალი კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობისაგან.

მოთხოვნის დათმობა არ დაიშვება თუკი კრედიტორის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოვალისათვის. თუ მოვალეს პატივსადები მიზეზები აქვს, მაშინ შესაძლებელია შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ.

მოთხოვნის დათმობა მხოლოდ კრედიტორის შეცვლას გულისხმობს. არანაირ ცვლილებას მხარეთა უფლება-მოვალეობის მხრივ ადგილი არა აქვს.

უფლების დათმობა უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული ფორმით. კანონით განსაზღვრულია, რომ უფლების დათმობა უნდა მოხდეს იმ ფორმით, რა ფორმაც (წერილობითი თუ სახელმწიფო რეგისტრაცია) გათვალისწინებულია კანონის მიერ შესაბამისი შემთხვევისათვის.

ცენდენტი პასუხს არ აგებს მოვალის გადახდისუნარიანობისათვის, იგი პასუხს აგებს მხოლოდ მოთხოვნის არსებობისა და მისი ნამდვილობის შესახებ ცესიის განხორციელების მომენტისათვის.

ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ცესიის საფუძვლად ყოველთვის გამოდის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელშიც ცენდენტი გამოდის გამყიდველის სახით, ხოლო ცესიონერი კი მყიდველის სახით. ე.ი. ფრანგული სამართლის მიხედვით მოთხოვნის დათმობა სასყიდლიანია, თუმცა

³⁶ კონდარ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი, 2000

³⁷ ზურაბ ძლიერიშვილი. ვალდებულების შესრულება. თბ. „მერიდიანი“, 2006

გამონაკლისის სახით დაშვებულია ჩუქების საფუძველზე ცესიის უსასყიდლოდ განხორციელების შესაძლებლობაც³⁸.

კრედიტორის მიერ მოვალისათვის ოფიციალური შეტყობინება მოთხოვნის შესახებ არ არის აუცილებელი, თუკი მოვალემ დამადასტურებელი აქტით თავიდანვე განაცხადა თანხმობა მოთხოვნის დათმობის შესახებ. ეს დამადასტურებელი აქტი უმთავრესი მტკიცებულებაა მოვალისათვის ახალი კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების შეტყობინების შესახებ. მოვალის უარი თანხმობის მიცემაზე არ იწვევს ცესიის ხელშეკრულების ბათილობას.

გერმანიის სამოქალაქო სამართალი, ფრანგულისაგან განსხვავებით არ ადგენს ცესიის სამართლებრივ საფუძველს, ამიტომაც მხარეებს სრული უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ ეს საკითხი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო სჯულდება ერთ თავში აწესრიგებს ნასყიდობის ხელშეკრულებასთან და უფლებათა გაყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 398-ე პარაგრაფის თანახმად, ცესიონერს ცენდენტის მოთხოვნის უფლება გადაეცემა ან ხელშეკრულების დადებისთანავე, ანდა სავალო დოკუმენტის გადაცემის მომენტიდან. მოთხოვნის დათმობისათვის მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, მაგრამ მოვალისათვის ცესია ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც მას აცნობებენ მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობის შესახებ³⁹.

ცესიონერს მოთხოვნა გადაეცემა ყველა აქცესორული უზრუნველყოფის საშუალებებთან ერთად (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა და ა. შ.). მოთხოვნის დათმობამ არ უნდა გააუარესოს მოვალის მდგომარეობა. მოვალეს უფლება აქვს ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი (ხანდაზმულობის ვადის გაშვება, მოვალის პასუხისმგებლობის საფუძველების არარსებობა და სხვ.), რაც მას ჰქონდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ.

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი ცესიას აღიარებს იმ სახით, როგორც მიღებულია კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით დადგენილია, რომ გამყიდველის ან მყიდველის ყველა უფლებების დათმობა დაიშვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დათმობა იწვევს მეორე მხარის ვალდებულებების არსებით შეცვლას ანდა რისკის მნიშვნელოვნად გაზრდას.

ინგლისურ სამართალში ცესია მოიცავს ყველა იმ სამართლებრივ აქტს, რომელიც საფუძველად უდევს სახელშეკრულებო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების უფლებამონაცვლეობას (გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლეობის გარდა), მათ შორის ვალის გადაკისრება და უძრავ ქონებაზე არსებული სანივთო უფლებები. ინგლისური სამართლის მიხედვით ცესია არის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი მოქმედება, რომლითაც იგი იცვლება სხვა გარეშე პირით ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის გარეშე ანდა მისი თანხმობის მიუხედავად⁴⁰.

მოთხოვნის მფლობელის მიმართ ვალდებულების შესრულება შეიძლება მოვალის ნაცვლად იკისროს მესამე პირმა, ე.ი. თავდაპირველი მოვალის ადგილი შეიძლება დაიკავოს მესამე პირმა. ასეთ შემთხვევას ეწოდება ვალის გადაკისრება. ვალის გადაკისრება შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის შეთანხმებით და მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით.

მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის შეთანხმება თავდაპირველი მოვალისათვის სავალდებულო არ არის. მას შეუძლია არ დაეთანხმოს ასეთ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი.

თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდნენ მესამე პირი და მოვალე, მაშინ გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე. ვალის გადაკისრება არ მოხდება თუ კრედიტორი ამის წინააღმდეგია.

ახალ მოვალეზე ვალი მთელი მოცულობით გადადის, მაგრამ ამავე დროს ახალ მოვალეს უფლება აქვს მოთხოვნის მფლობელს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რომლის წაყენებაც თავდაპირველ მოვალეს შეეძლო.

კანონი ახალ მოვალეს არ აძლევს იმ მოთხოვნების გაქვითვის უფლებას, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა. თუ თავდაპირველ მოვალეს შეეძლო გაექვითა მოთხოვნები, მაგრამ ვალის გადაკისრებამდე ამ უფლებით არ უსარგებლია, ახალ მოვალეს ამ მოთხოვნათა გაქვითვის უფლება არა

³⁸ მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება (შედარებით - სამართლებრივი კვლევა). ზურაბ ჭეჭელაშვილი. თბილისი - 2004.

³⁹ ვალდებულებითი სამართალი. ზურაბ ახვლედიანი. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი - 1999.

⁴⁰ კონდარ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი, 2000

აქვს. მოთხოვნათა გაქვითვის საკითხი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ახალ მოვალეს გაუჩნდა ასეთი უფლება მოთხოვნის მფლობელთან.

ვალის გადაკისრებისთანავე შეწყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი უარს იტყვის ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ვალის გადაკისრებისას მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებები (პირგასამტეხლო, ზე და სხვ.) ძალას ინარჩუნებენ. ამასთან, ვალის გადაკისრება თავდებობისა და გირავნობის შეწყვეტას გამოიწვევს მაშინ, თუ თავდები ან დამგირავებელი თანახმა არ არის პასუხი აგოს ახალი მოვალისათვის.

მოთხოვნის დათმობა შესაძლებელია განხორციელდეს არა მხოლოდ მოთხოვნის მფლობელის მიერ მოთხოვნის მესამე პირისათვის დათმობით, არამედ ასევე კანონის ძალით, სასამართლოს ან კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მაგ.: კანონით დადგენილია, რომ თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა. ასევე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევებზეც, როცა მოთხოვნის უფლება გადადის უფლაბამონაცვლეებზე. მაგალითად, მამკვიდრებლის მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეებზე.

ფრანგული სამართლისათვის ვალის გადაკისრების ინსტიტუტი ცნობილი არ არის, რადგან იგი ვალდებულებას განიხილავს, როგორც კრედიტორისა და მოვალის პირად კავშირს. მოვალის შეცვლა შეიძლება განხორციელდეს დელეგაციის გზით. მოვალეს ხანდახან შეუძლია საკუთარი თავის მაგივრად სხვა პირი წარადგინოს და მას დააკისროს პასუხისმგებლობა, ან შესაძლოა კრედიტორმა წარადგინოს თავის მაგიერ სხვა პირი და მას მისცეს მოთხოვნის ან ვალის მიღების უფლება. დელეგაცია ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის იყო ცნობილი.

ორმხრივი მოვალეობების დროს ადგილი აქვს როგორც ვალის გადაკისრებას, ისე მოთხოვნის უფლების დათმობას.

ლიტერატურა:

1. გიორგი ნადარეიშვილი. რომის სამოქალაქო სამართალი. თბ. „ბონა კაუზა“, 2001, გვ. 103, 104 და სხვ.
2. ზურაბ ძლიერიშვილი. ვალდებულების შესრულება. თბ. „მერიდიანი“, 2006 გვ. 6
3. კონდარ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი, 2000
4. მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება (შედარებით-სამართლებრივი კვლევა). ზურაბ ჭეჭელაშვილი. თბილისი - 2004.
5. ვალდებულებითი სამართალი. ზურაბ ახვლედიანი. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი - 1999.
6. კონდარ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი, 2000

RESPONSIBLE PERSONS' CHANGES INTO DUTIES

Ivane Balakhashvili, Gori Teaching University, Senior Teacher

RESUME

The content of duties includes totality of participants' rights and obligations. Participants cannot be without rights of duties and on the contrary, the obligation of the duty cannot be without rights.

The first persons of the duties can be changed by other persons. The change of a creditor is called a concession of duties, and the change of a responsible person is called imposing a debt. Also the first debtor can be changed by the third person. It can be done in two ways: by the agreement between the third person and a creditor and by the agreement between the third person and debtor.

ЭТИЧЕСКИЕ ИДЕАЛЫ РУССКИХ ЯЗЫЧНИКОВ XX-XXI ВВ.

Роман Шиженский, Нижегородский государственный педагогический университет, к.и.н., доцент
E-mail: heit@inbox.ru

Ярким феноменом религиозной и социально-политической жизни современной России является возрождаемое славянское язычество. За сорокалетний период существования отечественного варианта indigenous religions прозелиты русской альтернативной религиозности предприняли активные шаги по выработке собственной празднично-обрядовой практики, внутриобщинной иерархической лестнице, хронологии и т.д. В целом адепты нативизма определились и с отношением к «внешнему миру» - органам государственной власти, официальным конфессиям, научному и журналистскому сообществу. Учитывая диаспоральность и, как следствие, наличие черт закрытости русского язычества, определённый интерес вызывает исследование именно внутренних установок - нравственных идеалов, составляющих основу данного мировоззренческого конструкта.

В данной связи наиболее интересным видится рассмотрение принципов языческой «природолюбивой этики», сформулированных одним из лидеров оппозиционной языческой идеологии XX-XXI веков Доброславом (А.А. Добровольским).

Важнейшей категорией славянского язычества, по мнению васеневского отшельника, является нравственное начало, оттеняющее столь популярную идею сверхъестественного [Велеслав, 2010]. Для большей ясности и конкретизации Добровольский вводит специальный термин – «ПРАВЕДНЫЙ НРАВСТВЕННЫЙ ЗАКОН», под которым подразумевается служба добру: «Высочайший доступный нам Идеал есть, в сущности, не что иное, как беззаветное служение Добру. Творящий Добро получает как бы в награду осмысленность и радость бытия. Так ИСПОЛНЯЕТСЯ НРАВСТВЕННЫЙ ЗАКОН ПРИРОДЫ» [Доброслав, Промыслы Природы и неразумный homo sapiens]. Историю возникновения «закона» Добровольский «помещает» во всячески превозносимый им «Золотой Век человечества» - эпоху первобытнообщинного строя. Находит языческий мистик и прообраз главного вселенского регулятора – нравственные заповеди (закон джунглей) мира животных: «Нравственно то, что служит процветанию Рода; безнравственно то, что губительно для него» [Доброслав, 2004]. Закономерным развитием приведённого посыла выступают тезисы о естественном, природном, «безрелигиозном» происхождении нравственного и о первоначальном слиянии нравственности и культуры в бесклассовом обществе. В деле доказательства «дочеловеческого» происхождения нравственных категорий (справедливости, альтруизма) Доброслав прибегает не столько к собственному опыту, сколько ссылается на доказательную базу просветителей прошлого, работу представителя французского утопического коммунизма XVIII века аббата Морелли «Code de la nature» (Кодекс природы, или Истинный дух её законов) и книгу теоретика анархизма, историка XIX-XX веков князя П.А. Кропоткина «Взаимная помощь как фактор эволюции».

Что же лежит в основе «нравственного закона», с точки зрения языческого идеолога двух последних веков? Основываясь уже на собственном чувственном опыте, Доброслав заявляет: «Подлинная нравственность – это соболезнование и посильная помощь бесправным существам. Именно это и приносит ощущение собственной значимости. Для этого не требуется ни особенного таланта, ни исключительного интеллекта. Человек становится всё более чутким и отзывчивым. ОН СТАНОВИТСЯ ДОБРЕЕ» [Доброслав, 2005]. Итак, в основе «праведного закона» вятского язычника находится идея сострадания ко всему живому и «кодекс» служения добру.

В связи с идеализацией нравственного начала, заложенного в природе, весьма интересна точка зрения Алексея Александровича и на проблему «зла» в естественной среде. По мнению отшельника, в природе не существует умышленного нравственного зла. Пролитие крови – закономерный и естественный процесс, «частная составляющая ВЫСШЕЙ ЦЕЛЕСООБРАЗНОСТИ» [Доброслав, 2004]. Соответственно, умышленное надругательство над отдельными представителями флоры и фауны, природой в целом, как единым биокомплексом, Добровольский ставит в вину своим злейшим врагам – монотеизму и материалистическому нигилизму. Отсюда ещё один вывод мыслителя, согласно которому уровень нравственности человека, в первую очередь, определяется именно отношением его к природному: «ведь человек относится к ближнему [человеку] часто (сознательно или бессознательно) так, как ему выгодно, а к животному всегда так, КАКОВ ОН ЕСТЬ В ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТИ» [Доброслав, 2004].

Рассуждая об «идеальном устройстве идеальных обществ» прошлого, Добровольский затрагивает ещё одну проблему нравственного порядка, а именно – проблему законодательного оформления власти. Исходя из тезиса об изначальном отсутствии законов как юридических и, более того, моральных категорий, языческий прозелит ставит на их место нравственные принципы, трактуемые им как обычаи и традиции. Последние, в отличие от насильственно насаживаемого сверху законодательства, совпадали с общественной моралью и мнением. Присовокупив к общему (общинная мораль и мнение) частное – совесть и нравственный закон, «живущий в сердце» конкретного индивида, А.А. Добровольский приходит к выводу о нецелесообразности, ненужности уголовных кодексов, силовых ведомств и т.д. в обществах, достигших высоких нравственных

уровней. [Доброслав, Цыплёнки тоже хотят жить!]. Этот «анархический тезис», вышедший из-под пера Доброслава, имеет параллели в раннехристианской литературе, конкретнее – в посланиях апостола Павла. Павел, как известно, разрушая диктат строгих иудейских законов, опирался на понятие «вера» - своеобразную христианскую «панацею», одинаково спасающую и иудея, и язычника. Данная мысль получила широкое развитие в последующие века. Говоря о русской философии, ярким примером главенства веры над законом является произведение «О законе и благодати» митрополита Иллариона. В основу языческой «антизаконодательной идеи» легла своеобразная трактовка термина «совесть» Доброславом. Приписывая происхождение данного нравственного понятия природе, языческий идеолог отводит совести роль сдерживающего фактора, не позволяющего человеку стать жестоким (неумолимым). Жизнь в ладу со своей совестью, как отмечает кировский нативист, освобождает носителя «вещного инстинкта справедливости» [Доброслав, 2007] от веры в чудеса и спасение, награды в этой жизни и после неё. Единственным «призом» для человека становится удовлетворение от нежелания причинить боль живому существу. Природное происхождение рассматриваемой дефиниции используется Добровольским в качестве одного из доказательств осмысленности Вселенной. Кроме того, совесть является неотъемлемой частью языческой духовности, подчеркнём, формирующейся внутри человека [Доброслав, 2005]. Само понятие жизни по совести, по зову сердца (согласно внутренним установкам), а не по закону, проявление своеобразной природной потребности человека в уважении и любви к окружающим.

Под прямое влияние «нравственного закона любви», согласно концепции Доброслава, попадает и отдельная человеческая особь, её посмертное существование. Считая понятие «личность» величиной интеримарной, непостоянной, идеолог от язычества заявляет, что пережить личность – «личину» - маску могут только «сверхличностные побуждения, направленные на исполнение нравственного закона». Только «морально подкованный» индивид, нацеленный на общее благо, способен, сохраняя свою уникальность, прикоснуться к миру сверхчувственного и даже «перешагнуть смерть». Ярким примером развития идеи превалирования общего над частным, обретения общего этического блага, служит следующая мысль васеневского отшельника: «Первейшая побудительная причина развития НРАВСТВЕННОГО поведения – стремление выжить вместе, а не погибнуть поодиночке. Выжить, чтобы исполнить заповедь Природы – продолжить свой род. Ибо инстинкт сохранения рода гораздо более древний и могущественный, нежели инстинкт личного самосохранения» [Доброслав, Промыслы Природы и неразумный хомо сапиенс].

Обобщая всё вышесказанное, следует отметить, что Доброслав разработал оригинальную этическую теорию. Нравственное – «закон любви», «экологическая этика», «праведный закон природы», в трактовках Доброслава выступает одним из важнейших мирообразующих естественных категорий, с присущей ей изначальностью в безрелигиозном и даже бесчеловеческом мире. В основе данного концепта, понятия всеобщего «Добра» лежат идеи сострадания, сопереживания и милосердия. Господство экологической этики относится к временам «Золотого Века» - первобытно-общинному строю в трактовке автора. Кроме того, синкретизм мировоззренческого базиса А.А. Добровольского характерен вводом в раскрываемую им этическую тематику проблемы индивида-общества-государства. Эти понятия, в трактовке кировского язычника, приобретают черты открытого антиэтатизма, сочетающегося с элементами эгалитарного общественного устройства.

Примечания:

1. Принципиально иного подхода применительно к категории «нравственного» придерживается волхв общины «Родолубие» Велеслав. В противовес точке зрения Доброслава об исключительной важности моральных законов в языческом мировоззрении Велеслав пишет: «Язычество как таковое – ни морально, ни аморально. Оно – внеморально. Мораль может использоваться как инструмент при построении каких-либо общественных систем в наш Железный век, но она никогда не станет для Язычника самоцелью. И уж конечно, не моралью обусловлена Истинная Духовность человека», - влх. Велеслав. Двенадцать вопросов о Язычестве/Основы Родноверия. Обрядник. Кологод. СПб.: Ведическое Наследие, 2010. С.314.
2. Доброслав, Промыслы Природы и неразумный хомо сапиенс. Харьков: Сфера, б.г. С.33.
3. Доброслав. Светославие (очерки языческого мироощущения). Киров: ВЯТКА, 2004. С.72.
4. Доброслав. Сказания о цветах. Б.м.: Хлынов, 2005. С.5.
5. Доброслав. Светославие (очерки языческого мироощущения). Киров: ВЯТКА, 2004. С.64.
6. Доброслав. Светославие (очерки языческого мироощущения). Киров: ВЯТКА, 2004. С.77.
7. Доброслав, Цыплёнки тоже хотят жить! Б.м., б.г. С.103. В качестве научного подтверждения своего вывода об идеальном устройстве института права во времена «Золотого века» человечества, Добровольский ссылается на работу Л. Г. Моргана «Древнее общество, или Исследование линий человеческого прогресса от дикости через варварство к цивилизации» и заметки о малых народах исследователей А.В. Олсуфьева, А.Ф. Миддендорфа, миссионера о. Иннокентия о. др.
8. Доброслав. Об идолах и Идеалах. Б.м.: Новая Земля, 2007. С.40.
9. Во внутренний, индивидуальный перечень категорий, необходимых для обретения человеком языческой духовности, по мнению Доброслава, входят: голос совести, моральный императив, нравственный закон сердца. Доброслав. Сказания о цветах. Б.м.: Хлынов, 2005. С.36.
10. Доброслав, Промыслы Природы и неразумный хомо сапиенс. Харьков: Сфера, б.г. С.30.

ТОЛЕРАНТНОСТЬ КАК ПРЕДПОСЫЛКА ЭФФЕКТИВНЫХ СОЦИАЛЬНЫХ ИЗМЕНЕНИЙ

Лусик Гукасян, Гюмрийский государственный педагогический институт имени М.Налбандяна (ГГПИ), кандидат педагогических наук
E-mail: swec_gspi@yahoo.com, lusik.ghukasyan@yahoo.com

Ашот Акопян, лектор (ГГПИ)
E-mail: n_khachikyan@mail.ru

Ельвира Заргарян, аспирант, лектор (ГГПИ)
E-mail: zargaryanelvir@yahoo.com

Summary

The article theoretically analyzes the issue of tolerance in the system of social changes and considers it as a precondition for productive social changes.

Depriving social intolerance from the uniqueness of an individual, a parallel is drawn between the biological regularities (creation of suite group peculiar only to itself, transplantation refusal reaction, and tissue incompatibility) and explain the issue of an individual's uniqueness and being incompatible. At the same time the manifestation of intolerance and aggression is presented.

From one hand it retrains the overwhelming critical position to reject, neglect other's position and gives an opportunity to seek and find reason of other's unacceptable, deniable views, ideas, beliefs and deeds dictating to justify them based on one's uniqueness and freedom in his/her personal space. From other hand the manifestation of tolerance gives birth to an individual's self-criticism and self-examination.

Tolerance is a condition for an individual's physical and psychological welfare, as it gives a chance to neutralize the negative impacts of an environment, moreover they can get positive revalue. It provides with an opportunity to orientate in social space and serves as a basement for an individual's social maturity.

Tolerance abolishes the field of stress's effect and creates protective layer for a person allowing him/her to face and forgive the reality. Tolerance is earnest of psychological welfare and spiritual prosperity as well. General motivation of tolerance organizes caring, respectful treatment for other's environment, supports in development of high personal values, such as: gracious, condescension, pliability, general optimism.

Keywords: tolerance, social changes, biological individuality,

Основой социальной эволюции являются социальные изменения, которые включают структурные преобразования в обществе, в системах, также в сфере распределения власти.

Жизнедеятельность личности всегда разворачивается на плоскости прямого или косвенного общения с людьми, их взаимоотношений, взаимовлияний, взаимных действий. Одним из важнейших факторов продуктивности деятельности является эффективное общение в системе личность – социальная среда. Общение с содержанием предполагающим высокий уровень социального приспособления оградит отношения от конфликтов, излишней эмоциональной напряженности. Непродуктивное общение приводит к аварийному ходу деятельности, срывает мотивационную стратегию, целенаправленность деятельности, вынуждая прежде направлять усилия на устранение возникших конфликтов. Основной причиной неблагоприятных конфликтных отношений является своеобразность общающихся сторон, сумма качеств образующих индивидуальность как исключительность, единичность личности. И в действительности личностное бытие неповторимо, исключительно, уникально. Но не всегда исключительность каждого приемлема, понятна, скорее она неприемлема другой стороной, что обязательно приводит к напряжением и конфликтам, отрицательным эмоциональным проявлениям в отношениях (возбужденность, недовольства, взаимные упреки, обиды). Не секрет, что взгляды и мысли, убеждения, представления о том или ином явлении, поступки и действия, поведение другого, коими насыщена социальная среда, напрягают отношения, нарушают нормальный ход жизнедеятельности. Фактически социальная среда есть сильный стрессор и здесь подвержены опасности душевное и физическое здоровье личности. Причина в том, что, являясь уникальными мы часто не разрешаем, отказываем, не приемлем, не терпим индивидуальность, уникальность, исключительность другого и предпринимая опасное, заранее обреченное вмешательство с целью изменения другого или среду по нашим представлениям.

Социальная интолерантность является производной от неповторимости личности. Попробуем провести параллели с биологическими закономерностями, так как исключительность личности, индивидуальность и социальная интолерантность имеют свои биологические основы, и с этой точки зрения дадим сравнительную оценку их соотношения.

Источником человеческой индивидуальности являются половой процесс и наследственные изменения. Любое конкретное осуществление полового процесса является “творчеством”, в том смысле, что создается новая особь только ей присущим набором генов. Вот это и является основой человеческой исключительности, где и зашифрована индивидуальность, уникальность единичность человека. “Биологическая исключительность” предполагает биологическую нетерпимость, ярким примером которой является отторжение трансплантата [Jack Wilson, 1999]. Реципиент не принимает, не приемлет, отторгает донорский орган или биологическую ткань. Причиной является тканевая несовместимость – генетически чужое вещество, чужой белок. В этом сравнении мы отвергаем, “отталкиваем”, “пренебрегаем” не только чужой белок, чужой орган, но и чужие мысли, убеждения, взгляды, поведение.

Социальная нетерпимость настолько же ригидная, как и биологическая. Человек противопоставляет себя микро- и макро- среде. Являясь исключительным, он не может принять чужую исключительность. Супруги не могут примириться с особенностями друг друга, друг не приемлет недостатки друга, руководитель – подчиненного или наоборот, сослуживцы – друг – друга; своим своеобразием сталкиваются родители и дети и т. д. А почему? Потому что на основе нашей биологической особенности мы ментально строим идеальную модель окружающего нас мира и живем в ней. То есть каждый действует в своем особенном феноменологическом поле, и может быть несовместимым с другим. Отсюда и берет начало нетерпимость, которая при иллюзорной оценке действительности наводит человека на агрессивное ее преобразование. Агрессия здесь производное от нетерпимости, а нетерпимость как мощный стрессор портит жизнь именно нетерпящему.

Реальность, в которую входит также феноменальная исключительность другого, необходимо только принять, так как не мы являемся ее творцами. От нас требуется лишь активно приспособиться к окружающим вещам, явлением, их порядку, другим людям и агрессивно не вторгаться в их жизнь с целью преобразования. Активность не должна предполагать агрессивное вторжение; а в первую очередь терпимость, благорассудность, умение обозреть и оценить исключительное “я” другого. С другой стороны умение правильно оценить собственное, познать исключительную целостность собственного “я” и исходя из этого, осознать ответственность, признавать возможность собственных ошибок, сознавая, что мы все не совершенны. Каждый из нас такой же стрессор для другого, как и другой для нас. Часто человек не замечает свои ошибки и недостатки, а когда среда указывает на них, притворяется глухим и слепым или возмущается “понимая”, будто угрожают его собственной исключительной целостности.

Среда для человека является хорошим учителем и воспитателем, и если он не будет сопротивляться, а наоборот будет послушным и прилежным учеником, то обязательно чему нибудь научится. Со средой не нужно сталкиваться, агрессивно сопротивляться его воздействию, а нужно проявлять терпение, обдумывать, правильно оценить, взвесить и решить возникшие проблемы.

Необходимо быть открытыми для восприятия нового в широком смысле слова стараясь познать новое на уровне объективного понимания а не довольствоваться только “классификацией”, сравнивая с нашими уже сложившимися феноменами, с проверенными и утвержденными категориями. Как пишет Маслоу: “...простая классификация с отнесением к уже существующим рубрикам в корне отличается от реального, конкретного восприятия с полным сосредоточением внимания на многосторонности уникального явления. Только такое познание может привести к наслаждению переживанием” [А. Маслоу, 2003]. Но человек часто довольствуется лишь стереотипным восприятием и не желает предпринимать усилия для познания нового (в конкретном случае исключительной сущности другого), определить соответствующий ход мыслей, чтобы обозреть, оценить и познать новое в соответствующей концепции. От этого и затяжные напряжения в отношениях, постоянные конфликты, отсутствие взаимопонимания. Важным условием для решения проблем и эффективного общения является толерантность по отношению к другому и к среде: истинная толерантность которая существенно должна отличаться от толерантности продиктованной этикетом. К истинной толерантности можно достичь путем осознания исключительности собственного “я”, начертанием границ формулы “я есть я”, разединением “я” от реальности так чтобы было дозволено свободное проявление чужого “я”.

То есть терпимость дает начало тому благоприятному отношению к другому, на основе которого строится уважение. “Толерантность” должна укрощать установку предворительного неприятия, разрушительной критики позиции другого, чтобы допустить поиск и обнаружение причин неприемлемых, отвергаемых взглядов, мыслей, убеждений и поступков другого [Gair Afdal, 2006]. Более того, терпимость ведет к их пониманию, по возможности к их опровержению, принимая во внимание неповторимость другого, его свободу в собственном личностном пространстве. С другой стороны, терпимость способствует самокритике и самоанализу. При соответствующих установках для личности создается широкое пространство для самопознания, открываются возможности саморазвития и самореализации. Толерантность является условием физического и духовного здоровья, так как дает возможность нейтрализовать негативное воздействие окружающей среды, более того с проявлением терпимости они могут быть пересмотрены с позитивной точки зрения. Толерантность дает возможность определиться в социальной среде и является основой социальной зрелости. Социальная зрелость приобретенное качество, которое включает в себя социальные знания, социальный опыт, социальную ответственность и обеспечивает эффективную социализацию личности. Толерантность исключает воздействие стрессоров и создает защитный слой для личности, позволяя принять и простить действительность. Терпимость является залогом психического комфорта и становление духовности.

“Общая мотивация терпимости создает заботливое и уважительное отношение к другому, к среде”, способствует формированию высших ценностей: доброты, снисходительности, доброжелательности, общего оптимизма [UNESCO, 1995].

Логика задачи которую мы рассмотрели выше диктовала рассмотрение толерантности в положительном ракурсе(в основном в рамках межличностных отношений), что конечно узко для многосторонней, целостной и объективной оценки этого явления.

ЛИТЕРАТУРА:

“Мотивация и личность”, А. Маслоу, 2003, 3-е издание, изд. “Питер”, Москва, стр.255

“Biological Individuality. The Identity and Persistence of Living Entities”, Jack Wilson 1999, Cambridge Studies in Philosophy and Biology, Published by Press Syndicate of the University of Cambridge, p. 82.

“Tolerance and Curriculum”, Gair Afdal, 2006, Religious Diversity and Education in Europe, volume 2, Waxmann Verlage GmbH, p. 310.

“Declaration of Principles on Tolerance”, the Member States of UNESCO, 16 November 1995.

საგაზეთო სათაური - სამეტყველო აქტი

მარიკა შერაზადიშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

E-mail: Marika51marika@gmail.com

ჟურნალისტი არის კომუნიკაციური ლიდერი, რომელსაც შეუძლია, საუკეთესო ფორმით გადმოსცეს ინფორმაცია და მიიტანოს ადრესატამდე. იგი ენობრივი საშუალებებით ახორციელებს თავის „ძალაუფლებას“ მკითხველზე, მოქმედებს რა არა მარტო ტექსტის, არამედ მიკროტექსტის - საგაზეთო სათაურის მეშვეობით.

კავშირი ჟურნალისტსა და პოტენციურ მკითხველს შორის შეესაბამება კომუნიკაციის ცნობილ ლინგვისტურ მოდელს: ადრესანტი - შეტყობინება - კოდი - ადრესატი.

სათაურის პოზიცია (ადგილი) სათაურად შერჩეულ გამონათქვამს გარკვეულ სამეტყველო ქმედებად აქცევს. ამ სამეტყველო ქმედების ადრესანტი არის ჟურნალისტი, რომელიც განსაზღვრულ საკომუნიკაციო მიზანს ისახავს - მიიპყროს მკითხველის ყურადღება თავისი პუბლიკაციით, დაეხმაროს მას, ინფორმაციის უწყვეტ ნაკადში აირჩიოს სწორედ ის, როგორც საინტერესო და სასარგებლო.

საგაზეთო სათაურთა პრაგმატულობა ვლინდება ინფორმაციის მიმღებისადმი პირდაპირ ან ირიბ მიმართვაში, რაც გამონათქვამის სემანტიკაში პოულობს გამოხატულებას. საგაზეთო სათაურის შერჩევა რთული პროცესია. მას გარკვეული ეტაპები უძღვის წინ: პრესუპოზიცია, ინტენცია, განსაზღვრული მოდელის არჩევა, რომელსაც ლექსიკურად გამართავს სათაურის ავტორი, ცდილობს რა მკითხველის ყურადღების ფოკუსირებას განსახილველ საკითხზე, ე.ი. ახდენს გარკვეულ აქტუალიზაციას. ენობრივი ქმედების აღნიშნულ პროცესში შეინიშნება გამონათქვამის ნომინატიურ და პრაგმატულ მხარეთა ურთიერთშეღწევისა და ურთიერთგადაბმის მძლავრი ტენდენცია. გამონათქვამის, რომელიც, წინადადებისაგან განსხვავებით, კომუნიკაციური და პრაგმატული სახის ნიშან-თვისებებითაა აღჭურვილი (ლომოვი, 1994).

გამონათქვამი, რომელიც საგაზეთო სათაურის პოზიციითაა წარმოდგენილი, სამეტყველო სოციალური ქმედების ნორმატიული ერთეულის სტატუსს იძენს და გადაიქცევა სამეტყველო აქტად, რომელსაც ახორციელებს ავტორი განსაზღვრული ადრესატის, კონკრეტული კომუნიკაციური პირობებისა და საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით. გამონათქვამი სათაურის პოზიციაში - ეს არის სამეტყველო აქტი, პოტენციური მკითხველისათვის გაგზავნილი შეტყობინება, მასობრივი კომუნიკაციის ჯაჭვის რგოლი, რომლის მიზანია მკითხველთან ურთიერთობის დამყარება.

საგაზეთო სათაურით ჟურნალისტი გარკვეული ფაქტისა თუ მოვლენის შესახებ გვამცნობს. იგი ან ადასტურებს კონკრეტულ ფაქტს, ან გადმოგვცემს საკუთარ (ან რედაქციის) შეხედულებას მის შესახებ. ხშირად სათაურში მოცემულია მხოლოდ საინფორმაციო სამეტყველო აქტი - კონსტანტივი, რომელიც გამოიყენება არა იმდენად შეტყობინების გადასაცემად, რამდენადაც გადასაცემი ინფორმაციის ფორმულირებისათვის. ასეთი სამეტყველო აქტების მიზანია ავტორისა და მკითხველის საინფორმაციო ფონდის გაფართოება, მასობრივი კომუნიკაციის მონაწილეების მხედველობის არეში ახალი

ინფორმაციის შემოტანა. კონსტანტივის თვისება ისაა, რომ ის მკითხველს აძლევს სრულ წარმოდგენას თანმხლები ტექსტის შესახებ და, როგორც წესი, მიზნად ისახავს მხოლოდ ერთს - ამცნოს მკითხველს ახალი ამბავი.

კონსტანტივებს ახასიათებს ნეიტრალურობა ინფორმაციის მიწოდებისას:

1. ქაიროში დემონსტრანტებმა ისრაელის საელჩო შტურმით აიღეს;
2. ბათუმში გაიმართება „მართონი სიცოცხლის გადასარჩენად“;
3. კადაფის პრემიერი მემბოხეების მხარეს გადავიდა.

ასეთი სახის სასათაურო სამეტყველო აქტს უტყუარი ცოდნის აქტი შეიძლება ვუწოდოთ. შემდეგი სამეტყველო აქტი, რომელიც საგაზეთო სათაურის პოზიციაში გვხვდება, იქმნება მაშინ, როდესაც ჟურნალისტი სათაურში თავის აზრს აფიქსირებს:

1. სტურუა ქართულ თეატრს არ დააკლდება;
2. ტურიზმში სიყალბეს ვერ გააპარებ;
3. რიანას სახლში ცხოვრება შეუძლებელია;
4. მრავალპარტია - ბუნებრივი მკურნალი;
5. „დონ კიხოტი“ - ყველა ხალხისა და ყველა დროის საუკეთესო წიგნი.

ასეთ სამეტყველო აქტებს შეიძლება დამოკიდებულების აქტი ვუწოდოთ.

თანამედროვე საგაზეთო სათაურთა სემანტიკა მრავალფეროვანია. უნდა აღინიშნოს, რომ საგაზეთო სათაურით გადმოცემული სამეტყველო აქტები განსხვავდება ზეპირი მეტყველების დროს გამოყენებული სამეტყველო აქტებისაგან. როდესაც ჟურნალისტი თავის სტატიაში მესამე პირების, ორგანიზაციების ან სტრუქტურების ქმედებების, მათი გეგმების, დაპირებების შესახებ გვამცნობს, ამას ზოგჯერ მკითხველი იგებს, როგორც დაპირებას:

1. საბოლოოდ არავინ დარჩება საცხოვრებლის გარეშე;
2. საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს;
3. თუ ჩემ გვერდით იქნები...

გაფრთხილებას:

1. წელს ახალ წესებს თქვენც უნდა დაემორჩილოთ!
2. საქართველო სახიფათო ყოფილა;
3. საქართველოში ინფორმაციის დაცვის სისტემა მოშლილია;
4. მზის სხივები -კანის სიმსივნეების 90%-ის მიზეზი;
5. ახალი საფრთხე როკის გვირაბიდან;

პროგნოზს:

1. თხილის მოსავალს წელს ბედმა გაუღიმა;

მუქარას:

1. ეს იქნება შურისძიება ყველა ორგულსა და მოღალატეზე;
2. ვინც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს განიკითხავს, თავზე აგიზგიზებულ ნაკვერჩხლებს დაიყრის;

პრობლემის გადაჭრას:

1. ოთხსულიანმა ოჯახმა, თურმე, თვის განმავლობაში 266 ლარი უნდა იკმაროს;
2. რუსეთის გაწევრება საქართველოსათვის სასარგებლო ყოფილა.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ სათაურთა გრაფიკულ დანიშნულებას, რითაც ხშირად ნაკარნახევია მათი თვით სტრუქტურა (ელიფსი, ორწერტილი, მრავალწერტილი...). საგაზეთო სათაური მხედველობით აღქმასაც ითვალისწინებს, იგი თვალისთვისაცაა განკუთვნილი, რადგან მან მკითხველს მეგზურობა უნდა გაუწიოს გაზეთის ფურცლებზე, რათა მისთვის საყურადღებო მასალა არ გამორჩეს, ხოლო ნაკლებმნიშვნელოვანზე დრო არ დაკარგოს. შრიფტის ზომის, ფორმისა და შეფერილობის გარდა გარკვეულ როლს თამაშობს სათაურის სიგრძეც, რაც დამოკიდებულია ისეთი მისწრაფების განხორციელებაზე, როგორცაა - მაქსიმალურად შეკუმშულად და თვალში საცემად გადმოიცეს პუბლიცისტური მასალის ძირითადი შინაარსი. ყველაზე ხშირად გვხვდება ორსიტყვიანი სათაურები, შემდეგ - 3,4, 1,5,6,7 სიტყვით გამოხატული საგაზეთო სათაურები (კვარაცხელია, 1990).

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგაზეთო სათაურის პოზიცია (ადგილი) სათაურად შერჩეულ გამონათქვამს გარკვეულ სამეტყველო ქმედებად აქცევს. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ საგაზეთო სათაურთა ავტორებმა, რადგან ისინი უშუალო ინტერაქტიურ ურთიერთობაში შედიან მკითხველთან, იწვევენ რა მის ამა თუ იმ რეაქციას. მკითხველი კი ყოველთვის არ ითვალისწინებს, რომ ჟურნალისტი ინფორმაციის გადამცემია და არა მისი წყარო.

ლიტერატურა:

1. კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990;
2. Ломов А.М. Типология русского предложения, Воронеж. 1994.

NEWSPAPER HEADLINE AS A SPEECH ACT
Marika Sherazadishvili, Gori Teaching University, Full Professor
RESUME

Connection between journalist and potential reader corresponds with the known linguistic model of communication: addressee – notification – code – addressee. The position (place) of the headline makes the expression selected for headline as a certain speech action. Pragmatism of newspaper headlines is expressed in direct or indirect appeal for recipient of information, which finds expression in semantic of expression. Selection of the newspaper headline is a difficult process. Some steps are before such as: presupposition, intension, selection of a certain model, which will be corrected lexically by the author of headline, as tries focusing attention of reader on under-consideration question, so it makes special actualization.

The speech acts transmitted by a newspaper headline differs from the speech acts used in oral. When a journalist informs us about the actions, plans and promises of the third person, organizations or government in his/her article, sometimes the reader understands it as a promise, warning, forecast, threatening, solving the problem.

This should be considered by newspaper headline authors, as they have a direct interactive relationship with readers, causing this or that reaction. The reader does not consider that the journalist is a transmitter of the information and not its source.

ქართულ-ოსურ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა ზოგიერთი საგულისხმო მომენტის შესახებ

ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: aleqsandre.m@gmail.com

ჯერ კიდევ დიდი ილია ბრძანებდა ოსთა შესახებ: „დისციპლინა ოსისათვის უჩვეულო ამბავია, ამიტომ იგი უფრო მარტო თარეშობს და ძნელად თუ ამხანაგად გაიხდის ვისმე, და თუ გაიხდის იმისთანას, რომელიც ძალიან გამოცდილი ჰყავს ერთგულებაში და ამასთან იმისთანა დანაშაული ჩაუდენია, რომ მთავრობას შემჩნეული ჰყავს და მთავრობისგან დევნილია. გაცემა და ღალატი ამხანაგისა ოსს ძალიან ეადვილება, თუ მოხერხებული კაცი შეუჩინეს, პატიობა აღუთქვეს, ან ფულით დაახარბეს თუნდ ესეც არ იყოს ადვილად იცის ამხანაგთან ჩხუბის ატეხა დავლა და ნამარცვის გაყოფაში, ჩხუბს წყენა მოსდევს და ზოგჯერ წყენას გაცემა და ღალატი...“ **(ჭავჭავაძე, 1956)**

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაზე საუბრისას ოსურ ლიტერატურასა და კულტურაზე საუბარი ერთგვარად ნაადრევია. ამის მიზეზი ისაა, რომ XIX საუკუნის დამდეგს ოსი მოსახლეობა ჯერ კიდევ შიდა ქართლის მთიან ზონაში მკვიდრობს და მხოლოდ იმავე ასწლეულის მეორე ნახევარში იწყება მათი თანდათანობით ჩამოსახლება ბარის სოფლებში 1900-წლის „Кавказский Календарь“-ის მიხედვით ამ დროს ცხინვალში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები, ოსები და ებრაელები **(ქართველი, 1991)**.

ახალი საუკუნის პირველი ათწლეულებიდან მოყოლებული იწყება ინტენსიური დამკვიდრება ოსი ეროვნების მოსახლეობისა ცხინვალსა და მის შემოგარენში. მიუხედავად წარმოდგენილი სურათისა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ჯერ-ჯერობით არ არსებობს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, ჩვეულებრივ საუბრებსა თუ ოფიციალურ დოკუმენტებში ოსი ეროვნების მოსახლეობით დასახლებულ შიდა ქართლის ისტორიულ ტერიტორიას რატომღაც დაუმკვიდრდა სახელწოდება - „სამხრეთ ოსეთი“. ბუნებრივია, საქართველოს შემადგენლობაში შეიძლება არსებობდეს ოსი ეროვნების ადამიანებით დასახლებული ტერიტორია, მაგრამ ქვეყნის ამ ნაწილის ოსეთად მოხსენება სავსებით არაკანონზომიერად მიგვაჩნია.

„საქართველოში ჩასახლებული ოსები საუკუნეების მანძილზე საერთო ქართული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ემორჩილებოდნენ საქართველოში მოქმედ კანონს, საქართველოს ლხინი თუ გასაჭირი, მათი ლხინი და გასაჭირიც იყო. ყოფით საკითხებზე ყველა დროისა და ხალხისათვის დამახასიათებელ ცალკეულ უთანხმოებებს (უნდა ვიგულისხმოთ, ვერც ოსები და ქართველები ასცდებოდნენ), იშვიათად თუ მიუღიათ ეროვნული შეფერილობა...

ოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე ზიარებოდნენ მდიდარ ქართულ კულტურას, განუწყვეტლივ ეზრუნათ მშობლიური ენის, კულტურის განვითარებისათვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, არსად დედამიწის ზურგზე ოსებს მსგავსი შესაძლებლობანი სხვათაგან არ ჰქონიათ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის საერთო განვითარებაში”. (თოიძე, 1991)

ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ შემოხიზნულთა ცხოვრების პროგრესულ განვითარებაში. ზრუნავდნენ ოსების სარწმუნოების და მშობლიური ენის შენარჩუნებაზე, სასოფლო სკოლების გახსნაზე, ოსური ანბანის შემოღება-განახლებაზე, საეკლესიო ლოცვების და საერო ლიტერატურის თარგმნაზე, სკოლებში ოსური ენის და ოსურ ენაზე სწავლებაზე და ა. შ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფრო ადრეც არ ჰქონდა ადგილი ქართველთა კეთილისმყოფელ გავლენას და თანაგრძნობას ოსებისადმი. ისეთ მცირერიცხოვან ერებს, როგორებიც ოსები იყვნენ, უფრო ადვილად აყენებდა რუსეთი გადაგვარების გზაზე, მაგრამ ოსთა ცხოვრებაში ქართველთა სასიკეთო ჩარევით აცილებული იქნა თავიდან ეს უეჭველი საფრთხე (გაჩეჩილაძე, 1996).

ქართულ-ოსური მეგობრული ურთიერთობის ჯაჭვი საკმაოდ შეილახა 1918-1920 წლების ტრაგიკული მოვლენების პერიოდში, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი კაცი უმიზეზოდ, პირველი არასოდეს გამოსულა ბრძოლის ველზე და განსაკუთრებით, მეგობარი ოსი ერის მჩაგვრელისა და მოძალადის როლში.

საბედნიეროდ, ოს ხალხს ყოველთვის ჰყავდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ყოველმხრივ უფრო ხილდებოდნენ ორ ხალხს შორის არსებულ თანამეგობრობას.

„ჩვენ დავსახლდით ქართველ დემოკრატიასთან ახლოს, ბევრ ადგილებში განსხვავებასაც ვეღარ ამჩნევს კაცი, ბევრ სოფლებში სანახევროდ ოსებია დასახლებული ...ოსების გალობა გაიგო ქართველმა გლეხმაც. მან გაიგო, რომ ოსებს შიათ, მან არ დაუწყო კითხვა ვინ ხარ, საიდან ჩამოფრენილხარ, რა ენაზე გალობ, და დღემდის ძმურად იცხოვრეს. არცერთხელ არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, შენ ჩემი მტერი ხარ, მე მშინ, შენ მამდარი ხარ, მე ქართველი ვარ, შენ ოსი ხარ, მე ნასწავლი ვარ, შენ უსწავლელი.

შარშან ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 5 ივნისს სოფელ ჯავაში გ. ნ. ჯიოევმა გაუბედავად, გაუგებრად აღძრა ოსების ცალკე გამოყოფის, დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ უარი უთხრა. იგივე ჯიოევმა შარშან ვლადიკავკაზში ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 17 ივნისს აღძრა ოსების გამოყოფის და დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ არც მაშინ მიიღო...

ქართველი დემოკრატია არასოდეს არ უზღუდავდა უფლებებს ოსის დემოკრატიას. ქართველ დემოკრატიათა არასოდეს არ დაუტანებია ძალა ოსის დემოკრატიათათვის სამშობლო ენაზე ხელი აეღო... მე ვფიქრობ, ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავ-კარგისა, ანდა განგებ სურთ, შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დაღუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა”, (საბანაძე, 1996) – წერდა გაზეთ „ერთობაში” (1918) ოსი ეროვნების მოქალაქე ა. ფარნიევი.

XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულის მოვლენებს საბჭოთა პერიოდში ტენდენციურად, მხოლოდ კლასობრივი პოზიციებიდან განიხილავდნენ, სინამდვილეში კი მაშინდელმა ანტიქართულმა აქციებმა ოსი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხრიდან, ტრაგედიამდე მიიყვანა ორივე ერი.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ოსთა ზნე-ჩვეულებების, რელიგიის, ენის და რაც მთავარია, კულტურის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი (თოგოშვილი, 1977). დიდი გზა განვლო მას შემდეგ ოსმა კაცმა, საკუთარი კულტურის განვითარებას და წინსვლას კი მაინც, ქართულ მიწაზე დასახლებით ჩაეყარა საფუძველი.

„რამდენადაც ჩრდილოეთის ანუ მთის იქით ოსეთი მისდევდა რუსობას, იმდენად მთის აქეთ სამხრეთ ოსეთი მოსდევს ქართველობას ესახელებათ თავი იმათ, ვინც ქართული ლაპარაკი იცის და უფრო ქართული წერა-კითხვა” (კარბელაშვილი, 1990), მიუთითებდა სოფრომ მგალობლიშვილი, რომელმაც 1884 წელს იმოგზაურა სამაჩაბლოში და თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში” რამდენიმე გაგრძელებით („დროება“, 1884).

ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, საუკუნეების მანძილზე ქართველი და ოსი ხალხები ისე დაახლოვდნენ, რომ ერთმანეთისათვის არ უღალატიათ, ერთად იბრძოდნენ საერთო მტერების წინააღმდეგ (ჭიჭინაძე, 1990) ... ასე ხდებოდა ასწლეულების მიღმა. კეთილად მიიღო ქართველობამ მეზობელი, გასაჭირში

ჩავარდნილი ხალხი. ასე გრძელდებოდა ვიდრე სტუმრები წელს მოიმაგრებდნენ. მართალია, ჯერ კიდევ მაჩაბლების წინააღმდეგ, მანამდეც გამოუხატავთ უკმაყოფილება უმადურ ხიზნებს მთიანეთის ზოგიერთ ოსურ დასახლებაში (ჭიჭინაძე, 1990). თუმცა სტუმრების მხრიდან ეს ჯერ სუსტი გამომწეურება გახლდათ იმ მზაკვრული ჩანაფიქრისა, რასაც თანდათანობით, არცთუ შორეულ მომავალში აეხადა ფარდა. ასე გრძელდებოდა, ვიდრე საქართველო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის რუბიკონს მიაღებოდა...

XIX საუკუნეში ქართველთა კეთილისმყოფელ როლს ოსი პროგრესულად მოაზროვნეებიც არ მალავდნენ. არდონელი კორესპონდენტი გაზეთ „თერგში“ წერდა: „მაუგის ოლქის სოფლებში ყველგან წარმატებით მიდის სკოლების საქმე, სოფ. არდონში კი ჯერ შენობაც არა აქვთ წესიერი, თუმცა ამ სოფლის შეძლებული მცხოვრებლები ოსეთის არც ერთ სოფელს არ ჩამოუვარდებიანო. არც მეფის მთავრობა და არც კორესპონდენტი თავს არ იწუხებდა საკითხის მოგვარებაზე, რომ ოსურ სკოლაში ოსურად ესწავლებინათ ბავშვებისათვის. მათთვის სრულიად არი იყო შემამფოთებელი და საგანგაშო ის ფაქტი (პირიქით, ყველაფერი მათთვის სასურველი გზით მიემართებოდა) რომ ოსეთი გარუსების გზას ადგა და ეროვნული სახის დაკარგვის საშიშროების წინაშე იდგა, საქართველოში კი განგაში იყო ატეხილი, არიქა ოსებს ვუშველოთ, ეროვნულობა შევეუნარჩუნოთ! ამისათვის ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და ახლაც ვცდილობთ, ხოლო თუ ეს ვერ შევძელით, ჩვენი ბრალი არ იქნება, რაც ჩვენში ხდება, ალბათ ცხოვრების კანონზომიერი მოქმედების შედეგიაო (გაჩეჩილაძე, 1996).

ახალ საუკუნეში (XX) პირველი გასაჭირი იგემა თუ არა ქართულმა რესპუბლიკამ, მაშინვე მასპინძლებს მტრების მიერ წაქეზებული ხიზნებისათვის პირველი გაფრთხილების მიცემა დასჭირდათ: „ამიტომ უფრო გვწყინს ეს ბოროტება, ამ გარემოებას ჩვენ ვსთვლით დიდს ცოდვად და ოსების მთელის ისტორიული ღირსების შეგინებად, ეს ბოროტება ოსებისგან ნაქნარია საქართველოს მტრების ჩაგონებით, რომელთაც ქართული რესპუბლიკური მთავრობის სისხლი სწყურიათ და რესპუბლიკის დამხოვას ელტვიან... ოსებს არ ეკადრებათ ქართველების მტრობა და შეძულება, ამას იგინი სასტიკად უნდა ერიდებოდნენ, რადგან ქართველთა შეგინება იქნება მათი მამა-პაპათა საფლავების შეგინება” (მამისთვალისძე, 1999).

საქართველოს იძულებით გასაბჭოების შემდგომ 1922 წელს ხელოვნურად შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამ პერიოდში კი საქართველოს ტერიტორიაზე ოსი ეროვნების მოსახლეობა ძირითადად ჯავის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილშია თავმოყრილი. რაოდენ პაროდოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ცხინვალში სულ რამდენიმე ერთეული ოსი მოხინაძრე სახლობს.

..1927 წლის აჯანყებით კარგად ისარგებლეს ოსებმა (იგულისხმება სეპარატისტული ზრახვებით მოქმედი ნაწილი ოსი ხალხისა – ა. მ.) და ბევრ ქართველს მოუღეს ბოლო (სხვათა შორის, მაშინ დახვრიტეს ოსებმა ივანე მაჩაბლის ვაჟიშვილიც). მამისეული ბაღ-ვენახი აგვიჩეხეს და სხვა ცხინვალელ მკვიდრთა მსგავსად გვაიძულეს, დაგვეტოვებინა ჩვენი სახლ-კარი.”

სწორედ მსგავს ვითარებაში ხდება ამ დროისათვის ოსთა ჩამოსახლება ცხინვალის ტერიტორიაზე და საკმაოდ სწრაფად ქართველობა იქცა აღნიშნულ ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობად.

სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ის რეაქცია, რომ ქართველობა აღსდგა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ჩადენილი გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ; ცხინვალის რეგიონში თითქმის ყველა სოფელში ტარდებოდა შეკრებები, რომელთა გადაწყვეტილებანიც აბსოლუტურად იდენტურია, ყველა ერთად გამოხდა საქართველოს სახელმწიფოში სხვა ერისათვის სახელმწიფოებრიობის შექმნის აქტს (ჯაფარიძე, 1990).

დასახელებული მაგალითები, რომლებიც წინა პლანზე სწევენ ქართულ-ოსური ურთიერთობის ჩრდილოვან მხარეს, არც პირველი აღმოჩნდა და არც უკანასკნელი. სამწუხაროდ გასული საუკუნის დამლევადან გარკვეულწილად კვლავ განმეორებას იწყებს 20-იანი წლების ისტორია.

ამრიგად, ცხინვალის რეგიონში მკვიდრი ხალხების აზროვნების თავისებურებათა მიუხედავად, პერიოდულად გამომკრთალი უამრავი ყოფითი პრობლემისა, მიგვაჩნია, რომ XX საუკუნის დამდეგიდან რეგიონის ქართულ-ოსური ლიტერატურულ-კულტურული თანაცხოვრება პროგრესის გზით მიემართება. გარდა ზოგიერთი ჩრდილოვანი მომენტისა, ქართველი და ოსი ხალხების პროგრესული ძალები ყოველთვის პოულობდნენ სად შინაგან ძალას, რომლის კულტურული განვითარების, ურთიერთპატივისცემის, კალაპოტში მოქცეული ტემპები მიექანებოდა ახალი ცივილიზებული, მშვიდობის, ნდობის და თვითგანვითარების მძლავრი დინებით ხვალინდელი დღისაკენ.

ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 205
2. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 13.

3. ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, „მაცნეს“ ისტორიის სერია, თბ., 1991, გვ. 8;
4. მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა (1857-1905 წწ. ქართული პრესის მასალების მიხედვით), თბ., 1996, გვ. 4
5. ვ. საბანაძე, ცხინვალი და ცხინვალელები, გორი 1996, გვ. 13-14
6. გ. თოგოშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბილისი, 1977, გვ. 30-44
7. ა. კარბელაშვილი, მწერლის მოგზაურობა, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №175
8. იხ. გაზ. „დროება“, 1884, № 166, № 217; № 218, № 219
9. ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში (და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ), თბ., 1990, გვ. 12
10. მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996, გვ. 26
11. ე. მამისთვალისძე, გორის ისტორია (ნაწ. 2), თბ., 1999
12. ე. ჯაფარიძე, შიდა ქართლის ტრაგედია 20-30-იან წლებში, „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №11

ABOUT SOME SIGNIFICANT MOMENTS OF THE GEORGIAN-OSSETIAN LITERARY-CULTURAL RELATIONS

**Aleksandre Mgebrishvili, Gori Teaching University, Full Professor
RESUME**

The article deals with one of the actual and problematic issues concerning the Georgian-Ossetian literal and cultural relations in contemporary Georgia. These relations have rather long roots and no one has ever doubted in its genuineness, it has appeared problematic for the last twenty years.

For several centuries the Ossets have had an ability to share the Georgian rich culture, save their own native language, and maintain and develop the national identity.

The Georgian-Ossetian relations first cracked up in 1918-1920 when the Ossets, encouraged by some outside powers, started to claim on the Georgian lands. Despite this deplorable fact, a Georgian man has never come first against his close neighbor in the provoked conflict.

Fortunately, among the Ossets there have always been some progressive thinkers who has protected and respected the age-long traditions between the two nations.

ეფექტური შესავალი სიტყვის ელემენტები ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

**იოსებ გაბარაევი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტი
E-mail: s.gabaraevi@gmail.com**

„მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზე დაყენებული.“

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეეძლო ჭეშმარიტად სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება ქვეყანაში. იგი მომრიგებელი მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტებს პირდაპირ უკავშირებდა სამართლიანი მართლმსაჯულების იდეების დამკვიდრებას საზოგადოებაში.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობის მისაღწევად მძიმე გზა გაიარა, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას ურყევად დაადგა. ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივი რეფორმების პროცესი კვლავაც გრძელდება და შეუქცევად ხასიათს ატარებს. ამ დიდ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა, რომელთა გათვალისწინება და მათი სამართლებრივი ინსტიტუტების საფუძვლიანი შესწავლა–დანერგვა ჩვენთან წარმოებს ადგილობრივი ტრადიციების, სამართლებრივი კულტურის და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესს თან ახლდეს დღეს მოქმედი საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ნორმების ანალიზი და პრაქტიკის განზოგადება, რათა მოსალოდნელი შეცდომები თავიდან იქნეს აცილებული (ნეილ ვიდმარი, 2005).

სწორედ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების პროცესის ერთ–ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, რომელიც უნიკალური მოვლენაა საქართველოს სამართლებრივი სისტემისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ისტორია აქვს, აღნიშნული ინსტიტუტი დღემდე უცნობი იყო ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი კულტურისა და ისტორიისათვის და მის ამოქმედებას დიდი ინტერესით ელოდა ჩვენი საზოგადოება. პირველად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტი კანონმდებელმა შემოიტანა საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის 06 თებერვლის ცვლილების შეტანის გზით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-5-ე ნაწილი ადგენს, რომ „საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.“ მას შემდეგ რაც საქართველოს კონსტიტუციამ არჩევანი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე გააკეთა ჯერი კანონმდებელზე მიდგა და სწორედ ამიტომ არაერთი არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებების აქტიური თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა ახალი მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომელიც 2009 წლის 09 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა მიღებული და 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე მოქმედებს ცვლილებებითა და დამატებებით (საქართველოს კონსტიტუცია, 2011).

სწორედ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებულია მხარეთა უფლება წარმოადგინონ შესავალი სიტყვები სასამართლოს წინაშე საქმის არსებითად განხილვისას. კერძოდ, სასამართლოს თავმჯდომარე ჯერ ბრალდების მხარეს აძლევს უფლებას წარმოადგინოს შესავალი სიტყვა, შემდეგ ბრალდებული და დამცველი სარგებლობენ იგივე უფლებით. თუ რას წარმოადგენს შესავალი სიტყვა თავისი არსით არაა განმარტებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არც ერთ ნორმაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010).

და მაინც რა არის შესავალი სიტყვა? როგორ უნდა წარმოადგინოთ ეფექტურად?

შესავალი სიტყვა წარმოადგენს საქმის არსებითი განხილვის დასაწყისს. თუ არ ჩავთვლით მსაჯულთა შერჩევის სხდომას, ესაა მხარეთა პირველი შესაძლებლობა მოუთხრონ მსაჯულებს საქმის შესახებ, თუ რა მტკიცებულებები იქნება წარმოდგენილი გამოსაკვლევად სასამართლო პროცესის მსვლელობისას და რა უნდა მოიმოქმედონ მსაჯულებმა. შესავალი სიტყვა სასამართლო პროცესის ყველაზე, მნიშვნელოვანი ნაწილია რის გამოც ზედმიწევნით უნდა დაიგეგმოს იგი და ამდაგვარად უნდა იქნეს წარმოდგენილი სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა წინაშე. შესავალი სიტყვის დროს მხარეები მიმოიხილავენ ფაქტებს და ხაზს უსვამენ იმ გარემოებებს, რასაც დაამტკიცებენ სასამართლო პროცესის მსვლელობისას და როგორ შეძლებენ ამის დამტკიცებას.

პროცესის მონაწილეები პროკურორები/ადვოკატები ხშირად აღნიშნავენ, რომ შესავალი სიტყვა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საქმის საბოლოო შედეგზე. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტები უმეტეს შემთხვევაში ეყრდნობა შესავალი სიტყვით მიღებულ შთაბეჭდილებებს და ისედაც ფსიქოლოგიურად ითვლება, რომ პირველი შთაბეჭდილება ყველაზე დიდხანს შემორჩება მეხსიერებას; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა ყურადღების მოცულობა შეზღუდულია. მათ შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა დაიმახსოვრონ ინფორმაცია. საქმის განხილვისას ისინი უზომოდ დიდი მოცულობის ინფორმაციას იღებენ საქმის შესახებ და ამიტომ ცდილობენ რომ შეამცირონ მიწოდებული ინფორმაცია და ძირითადად ყურადღებას აქცევენ ადვილად დასამახსოვრებელ ფრაზებსა და წინადადებებს. სწორედ ამიტომ შესავალი სიტყვის პირველი ორი წუთის განმავლობაში მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულებს გადავცეთ პირველი - თემა, მეორე - შესაბამისი მხარისათვის სასარგებლო ფაქტების მოკლე შინაარსი და ენთუზიაზმი საქმის მოგების კუთხით. უმჯობესია ჩვენი შესავალი სიტყვა შედგებოდეს ერთი, ორი ან არაუმეტეს სამი თემისაგან, რომელიც იქნება ადვილად დასამახსოვრებელი ფრაზებისაგან და წინადადებებისაგან შემდგარი, რათა უფრო ხანგრძლივად შემორჩეს ნაფიც მსაჯულთა მეხსიერებას.

იმისათვის, რომ შესავალი სიტყვა ეფექტურად იქნეს წარმოდგენილი ნაფიც მსაჯულთა წინაშე, ზემოაღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე იგი გააზრებულ იქნეს მისი შემადგენელი

სტრუქტურული კომპონენტების სავალდებულო გათვალისწინებით, კერძოდ, შესავალი სიტყვა შედგება დასაწყისისაგან, ძირითადი ნაწილისაგან და დასასრულისაგან.

თავის მხრივ შესავალი სიტყვის დასაწყისი მოიცავს ისტორიის კარგ მოყოლას რომელიც უნდა შედგებოდეს მოკლე, რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი თემისაგან, რომელიც ერთგვარად წააგავს რაიმე გაზეთის სტატიის დასაწყისს და იპყრობს მსაჯულთა ყურადღებას. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ნაფიც მსაჯულებს არ აქვთ მოსმენილი და გაგონილი ინფორმაცია მტკიცებულებების თაობაზე, სწორედ ამიტომაც ხდება მხარის მიერ საქმის მიმოხილვა. მსაჯულები ერთი წუთის განმავლობაში იქმნიან წარმოდგენას შესავალი სიტყვის წარმომდგენ მხარისა და მისი კლიენტის შესახებ. ამასთან პირველი შთაბეჭდილებები დიდხანს დასამახსოვრებელია. სწორედ ამიტომ სადაც საჭიროა თხრობა უნდა იყოს დრამატული და ემოციური, რაც ხელს შეუწყობს მსაჯულებს ცოცხლად წარმოიდგინონ მომხდარი და იქცნენ დატრიალებული სცენის მონაწილეებად. ამდენად, შესავალი სიტყვის დასაწყისი, რომლის თემაც ერთი-ორ წუთზე მეტი არ უნდა გაგრძელდეს, უნდა მოიცავდეს პოზიტიურ, საინტერესო, გასაგებ ენაზე წარმოდგენილ და საჭიროების შემთხვევაში ემოციურად გადმოცემულ საქმის მოკლე შინაარსს. მაგალითად: "2010 წლის 10 აგვისტოს ბრალდებული მთვრალ მდგომარეობაში გადადის წითელ შუქნიშანზე, შეეჯახება ქეთევან ბეგაშვილის მანქანას. ქალბატონი ქეთევანი და მისი ოჯახი ვერასოდეს გახდებიან ისეთები, როგორებიც უწინ იყვნენ."

შესავალი სიტყვის დასაწყისი ნაწილის კარგი თხრობა თავის მხრივ რამდენიმე კოლექტიურ ინგრედიენტს უნდა მოიცავდეს. პირველ რიგში თხრობა მიმართული უნდა იყოს ადამიანებზე და არა პრობლემებზე, ვინაიდან მსაჯულთა უმეტესობა სამყაროს ემოციური თვალებით უყურებს. მათ აინტერესებთ ადამიანები და ის მიზეზები, თუ რატომ მოიქცნენ ისინი ასე. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მხარის მიერ მოხდეს თავისი კლიენტის ან საჭიროებისამებრ თავისი მოწმის პერსონიფიცირება, რაც გულისხმობს იმას, რომ თხრობა უნდა შეეხებოდეს არა საქმის სამართლებრივ მხარეს, არამედ კლიენტს, მოწმეებს და მოვლენებს მათი მონაწილეობით. ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში სადაც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილება საქმეები, ნაფიც მსაჯულებს ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე ყოველთვის სურთ და ცდილობენ ისინი დაეხმარონ ადამიანებს, რომლებიც მათ მოსწონთ. ამდენად, თუ მხარემ შეძლო და მსაჯულებს მოაწონა თავისი კლიენტი ან მოწმე მაღალი ალბათობით შესაძლებელია ვერდიქტი მისი კლიენტის სასარგებლოდ იქნეს გამოტანილი. შემდგომ ამისა მართებულია მხარე გადავიდეს საკითხზე, თუ ვინ არის ადვოკატი /პროკურორი და რომელ მხარეს წარმოადგენს იგი. მაგალითად, "ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, ჩემი სახელია . . . მე ვარ პროკურორი (სახელმწიფო ბრალმძებელი) და წარმოგადგენთ თქვენ, ხალხს. რასაც თქვენ მოისმენთ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაამტკიცებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული . . ."

შესავალი სიტყვის შემდეგი კომპონენტი არის ფაქტების დაკონკრეტება, მიმოხილვის განვრცობა, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ფაქტის დეტალებს, რასაც მხარის მოლოდინით დაინახავენ და გაიგებენ ნაფიცი მსაჯულები წარდგენილი მტკიცებულებებიდან. შესავალი სიტყვის დროს ფაქტების დეტალების დაკონკრეტებისას თხრობა ლოგიკურად უნდა იყოს ორგანიზებული. მსაჯულთა ინტერესების გათვალისწინებით უმჯობესია თხრობა იყოს ქრონოლოგიურად ორგანიზებული ისტორიის დასაწყისიდან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით საბოლოო შედეგის ჩათვლით. მსაჯულები ყოველთვის ინტერესდებიან მთელი ისტორიის დეტალებით, ამიტომ მნიშვნელოვანია ქრონოლოგიის დაცვა იყოს მარტივი და ადვილად გასაგები, თუმცა კონკრეტული საქმის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია მხარის სურვილით თხრობის ქრონოლოგია დაწყებულ იქნეს მოსაყოლი ისტორიის ბოლო სცენიდან და შემდგომ გაგრძელდეს ისევ ადრეული მოვლენების მოყოლით, მთავარია მოვლენები ლოგიკურად გამომდინარეობდეს ერთმანეთისაგან და იყოს თანმიმდევრული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამოცემა 2010 წ.) .

შესავალი სიტყვის ბოლო და სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს დასასრული, რითაც მხარე ასრულებს თავის შესავალ სიტყვას და ნაფიც მსაჯულებს ეუბნება ყურადღებით მოუსმინონ და საბოლოოდ გამოიტანონ ის ვერდიქტი, რომელიც შეესაბამება მის პოზიციას. ამდენად, შესავალი სიტყვის დასასრული მოიცავს მხარის მოთხოვნას ვერდიქტის სახის შესახებ, ანუ თუ როგორია მხარის მოთხოვნა და როგორი სახის ვერდიქტი უნდა გამოიტანონ ნაფიცმა მსაჯულებმა საქმის არსებითად განხილვის დასასრულს.

შესავალი სიტყვის ეფექტურად წარმოდგენას განაპირობებს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელთა სავალდებულოდ დაცვა შესავალი სიტყვის წარმოთქმისას ხელს უწყობს მხარის - როგორც პროცესის მონაწილის პოზიციების გამაგრებას და შესავალ სიტყვას უფრო დამაჯერებელს ხდის მსაჯულთა თვალში. კერძოდ, ნებისმიერმა მხარემ, იქნება ეს ბრალდებისა თუ დაცვის მხარე შესავალი სიტყვის დროს არ უნდა იდავოს და არ უნდა გადმოსცეს პირადი მოსაზრებები და თავი უნდა შეიკავოს

დაკონკრეტებისაგან, ვინაიდან შესაძლებელია მოწმემ დაუშვას შეცდომა ჩვენების მიცემისას, ან დაავიწყდეს რაიმე ფაქტი, ან ინერვიულოს და ა.შ. ამიტომ წინასწარ არ უნდა შეპირდეს მსაჯულებს შესავალი სიტყვისას ისეთი საკითხების დამტკიცებას, რასაც რეალურად ვერ შეასრულებს. მითუმეტეს დაუშვებელია შესავალ სიტყვაში ფაქტების დამახინჯებით გადმოცემა, ვინაიდან ამას მსაჯულები დაიმახსოვრებენ და განაწყენდებიან და შესაძლოა ამის გამო მხარემ ნდობა დაკარგოს მსაჯულთა თვალში, ამით კი გამოაცალოს საფუძველი მისი მონათხრობის დამაჯერებლობას. მხარის ვერსია იმის შესახებ თუ რა მოხდა სინამდვილეში, უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ ფაქტებს და ასევე დასამტკიცებელი ფაქტების მხარის ინტერესების შესაბამისად განმარტებებს. სასამართლო პროცესი ხომ შეჯიბრებითობის პრინციპზეა დამყარებული და ბუნებრივია მსაჯულები ერთ-ერთი მხარის მონათხრობს აუცილებლად მიანიჭებენ უპირატესობას. შესავალი სიტყვა ესაა პირველი შესაძლებლობა ლოგიკურად და ნათლად წარმოაჩინოთ თქვენი თეორია, რათა მოწინააღმდეგე მხარის დასკვნით სიტყვაში არ გახდეთ კრიტიკის საფუძველი თეორიის არ ქონის გამო (www.Nita.org).

შესავალი სიტყვის ეფექტურად წარმოჩენისთვის აუცილებელია ასევე მიმართვების შერჩევა პირველ რიგში პროცესის მონაწილეთა მიმართ თქვენი იმიჯის შესაქმნელად, ვინაიდან მიმართვები სასამართლო ლექსიკონის ნაწილია, რომლებიც ავლენენ თქვენს დამოკიდებულებას და წარმოადგენენ გარკვეულ გზავნილებს დამსწრეთათვის. უმჯობესია სასამართლო პროცესის დაწყებამდე გადავწყვიტოთ თუ როგორ მოვიხსენიებთ საგნებს, მოვლენებს, კლიენტს, დაზარალებულს და ა.შ. მაგ: ბატონი დავითი, ჩემი კლიენტი, უბედური შემთხვევა და არა შეჯახება/დარტყმა და ა.შ.

შესაძლებელია შესავალი სიტყვის დროს გამოყენებული იქნეს ნივთმტკიცებები, რომელიც შესავალ სიტყვას უფრო ეფექტურს ხდის და მიმართულია მხარის მიერ წარმოსადგენი ფაქტების უკეთ წარმოჩენისთვის. ნივთების, დოკუმენტების, ნახაზების წარმოდგენა მეტად უფრო ამაფრებს და იპყრობს მსაჯულთა ყურადღებას და მხარის გამოსვლასაც დამაჯერებელს ხდის, ამასთან მეხსიერებასაც მეტად შემორჩება, თუმცა აღნიშნული მტკიცებულებების ხელმეორედ გამოყენება პროცესის მსვლელობისას უინტერესო იქნება.

მნიშვნელოვანია პროცესის მონაწილე მხარის ადგილის განსაზღვრა სასამართლოში, თუ სად დადგება პროკურორი/ადვოკატი შესავალი სიტყვის წარმოთქმისას. უმჯობესია თავიდანვე იქნეს შერჩეული სათანადო ადგილი მხარის მიერ და თანაც ისე, რომ ნაფიც მსაჯულებს უკეთ დაანახოთ თქვენი პოზიცია. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში მიღებულია, რომ უმჯობესია თუ მხარე შესავალი სიტყვის წარმოთქმის დროს იდგება ნაფიც მსაჯულთა წინ შუაგულში ერთი-ერთნახევარი მეტრის დაშორებით, საიდანაც შესაძლებელი იქნება მხედველობითი კონტაქტის დამყარება მსაჯულებთან. მსაჯულთა ლოყის ერთ ან მეორე კუთხეში დგომა არ იქნება მართებული და ასეთი დგომა დამსწრეებს აფიქრებინებს, რომ მსაჯულთა რომელიმე ნაწილს ანიჭებთ უპირატესობას, ხოლო სხვებს კი იგნორირებთ. არც მოშორებით დგომაა მომგებიანი, ვინაიდან ეს თქვენი იქ ყოფნის მნიშვნელობას ამცირებს, ხოლო ძალიან მიახლოებაც დისკომფორტს უქმნის მსაჯულებს მათ პირად ზონაში შეჭრის შემთხვევაში.

ა-ზე გათავებულ სახელებსა და საწყისებს შენარჩუნებული აქვთ სახელობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი: „**ენაჲ** შენი“ (29); „**ვითარცა რაჲ** ედემი ხარ“ (29); „**ძალი დამასკისაჲ**“ (29); „**მოსვლაჲ**“ (29). ო-ზე გათავებულ ფუძეებთან **ჲ** უკვე დაკარგულია: „**ღჯნო ურწყულ**“ (29); „**წყარო** ქმნილ ხარ“ (30); „**ყავ წყარო** ტკბილ“ (29). თუ შევადარებთ ამ შემთხვევას „გიორგი მთაწმინდელის ენას“, **ჲ** მკვიდრია ო-ს შემდეგ (ა. შანიძე, 1946, გვ. 72).

თანხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით დასტურდებიან: „**ტამარ ღმრთისა დამტევნელად** იქმენ **მართალ** და **ჴემმარიტ**“ (29); „**მტერისათა კარ** ექმენი“ (29); „**გუყვენ შვილ** ნათლის და თანა **ნერგ**“ (29). აღნიშნულ მოვლენას კვცად მიიჩნევს ა. შანიძე და თვლის, რომ „ეს გაგრძელებაა უფრო ადრინდელი ძეგლების ჩვენებისა“ (ა. შანიძე, 1946, გვ. 69). მთლიანად შენახულია მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი-მან: „**სიმრავლემან ტალანტამან**“ (30); „**მახკლწუდილმან** მოძღურებითა“ (30).

ემფატიკური ხმოვნის ხმარება ჩვეულებრივია მხოლოდითი რიცხვის მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით ბრუნვებში და თანაირ მრავლობითში: „**სიმაღლითა ფინიკსა ენგადისასა**“ (29); „**მიწისათა ახუალ ზეცად**“ (29); „**აღსთობილი სიმარგულისათა**“ (29); „**თავთა თანა მოწაფეთა**“ (29); „**შენ მრავალთა მტერისათა**“ (29); „**თუალთა შენთა**“ (29); სავრცობი ა გვხვდება ზმნიზედასთანაც: „**ვითარცა რაჲ ედემი ხარ**“ (29); „**რომელმანცა**“ (29). აქვე შეინიშნება მკაფიოდ გამოხატული უსავრცობო ფორმები: „**ძლიერებით აღსდექ**“ (30); „**ნეფსით თუსით მოეგებნეს**“ (29); „**ბუნებით მიწისათა**“ (29); „**მომრწყველი ხარ თარგმანებით**“ (29). უსავრცობო ფორმების არსებობას უფრო ადრინდელ მოვლენად მიიჩნევს ა. შანიძე. ეს პროცესი მიგვანიშნებს იმას, რომ „თა დაბოლოებიანი სახელი მკვეთრად ვერ გამოხატავს მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციას, ამიტომ ძველ ქართულში დაწყებული, რომ -ით დაბოლოება დართოდა მას გამოსვლითი ფუნქციის გამოსახატავად“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 40). ეს მოვლენაც ცოცხალი მეტყველების ამსახველია (ზ. სარჯველაძე, 1993, გვ. 33).

ეფრემ მცირე უფრო იყენებს **ნარ-თანაირი** მრავლობითი რიცხვის ფორმებს: „**მომეგებნეს ჭირვეულნი**“ (29); „**ჩჩვლნი ყრმანი**“ (29); „**დაამხუენი ზღუდენი**“ (30); „**ნათესავთა ყოველთაგან**“ (29); „**იქმენ ქვათა მეძიებელ**“ (29). შეინიშნება **ებიანი** მრავლობითის გამოყენების მხოლოდ ორი შემთხვევა: „**აღმამაღლე ფრთებითა განცდისათა**“ (29); „**მოწაფეთა მომრწყველი ხარ თარგმანებით**“ (29).

ეფრემ მცირე სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების ხმარებისას მისდევს ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. თუმცა, არის შემთხვევები მათი დაკლების ან ზედმეტად ხმარების. არ შეინიშნება **ხ-ჰ** პრეფიქსები ხმოვნების წინ: „**ახუალ ზეცად**“ (29); „**ინიშნე შენ პირველითგან თუთ მნათობი სახილველი**“ (29); „**გულსა ჩემსა მოეც**“ (30). დაკარგულია მეორე სუბიექტური პირის ნიშანი **ჰ**: „**ჩჩვლნი ყრმანი მოსრნე**“ (29). აკლია III სუბიექტური პირის ნიშანი **ს**: „**მადლი შენი გარე მოადგ**“ (30). სრულად არის დაცული დაცული III სუბიექტური პირის ნიშანი-ა და II ირიბობიექტური პირის ნიშანი **გ**: „**ნელსაცხებლად შევიმოსა ლიბანისა დიდებამან**“ (30). ასევე სრულად არის დაცული მრ. რიცხვში III სუბ. პირის ნიშანი **ენ** და II პირდ. ობიექტური პირის ნიშანი **გუ**: „**რომემანცა განგუათოვლენ**“ (30).

შეინიშნება ინკლუზიური ფორმები: „**გგჩუნენ ჩუნენ**“ (30).

როგორც ცნობილია, „პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ასახულია იმ შემთხვევაში, თუ ზმნა II სერიის მწკრივში დგას და მასთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტი ნ-არიან მრავლობითშია: მისი ნიშანია **ენ** ან **ნ**, მიღებული ე ხმოვნის ამოღებით“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 66). აღნიშნული მოვლენა არც ხელნაწერისათვის არის უჩვეულო: „**გუაკურთხენ ჩუნენ** სიხარულით (29); თანადგომით **დაამხუენი ზღუდენი იგ**“ (30); „**შენ წინაშე მომიათნა**“ (30). დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა არ არის ასახული ზმნის ფორმაში: „**შვილისაგან მითუალე**“ (30).

ხელნაწერში შეინიშნება ტმესის ერთი შემთხვევა, როდესაც ზმნისწინსა და ზმნას შორის ჩასმულია **და** ნაწილაკი: „**შენ მრავალთა მტერისათა კარ ექმენი და და-და-კარშ**“ (29). ტმესის შემთხვევა უპირო ფორმებთან არ შეინიშნება.

ხელნაწერში იხმარება ერთი მხრივ, ძველი ქართულის ფორმით ზმნისწინები (**გან, აღ, აღმა..**), მეორე მხრივ, ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ზმნისწინები (**გა, შე, და, მი, მო**).

ეფრემ მცირე თავისი აზრის გადმოსაცემად ხშირად იყენებს მოქმედებითი გვარის ზმნებს წყვეტილის მწკრივის ფორმით: „**გლახაკისა მითვალე და დამადეგ**“ (29); „**აღმაფრინვე, აღმამაღლე**“ (29); „**დაამხუენი**“ (29); „**მოეც**“ (29); „**დადეგ**“ (30). I თურმეობითის ფორმით იხმარება ზმნა --, „**მიმაწიე**“ (29).

-**იე** როგორც I თურმეობითის ნიშანი. მონაცვლეობას განიცდის „**ქმნა**“ ზმნა, რომელიც საარვისო ქცევით იუღლება II სერიაში, I-ში კი-სათავისოთი: „**დამტევენელად იქმენ**“ (29); „**შრომაჲ შენი სრულ-ქმენ**“ (29).

ხელნაწერში დასტურდება **ი** პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები: „**იქები** შენ ყოველთავე“ (29). **ენ** სუფიქსიანი ვნებითის ფორმები: „**შორს იქმენი**“ (29). დონიანი ვნებითი: „**ერთგულებით განძლიერდი**“ (29). I თურმეობითი ვნებითი გვარის ზმნები: „**დიდებულ ხარ**“ (29); „**მომრწყველი ხარ**“ (29).

როგორც ცნობილია, ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლის ნიმუშები X ს.-ის ძეგლებში იშვიათად გვხვდება. ეს პროცესი საყოველთაო მოვლენაა XI საუკუნეში და ეფრემ მცირესთან კიდევ უფრო მკვეთრად არის გამოხატული: „**ნათლად ჩანს, რომ დაწყებულია ზმნისწინის მიერ მოპოვებული მაპერფექტივებული ძალისა და ამ ნიადაგზე I სერიის სამი ძველი მწკრივისაგან ახალი მწკრივების გამოყოფა: ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის წრის მწკრივებად მიდის, უზმნისწინო კი აწმყოს წრისად**“ (ა. შანიძე, 1946, გვ. 75). ეს პროცესი საყოველთაო მოვლენაა XI საუკუნეში და ეფრემ მცირესთან კიდევ უფრო მკვეთრად არის გამოხატული: „**ამას მივსწერ სურვიელი შენ წინაშე ღმრთისა მნისა**“ (29); „**ეგვიპტისა ბილწსა ბნელსა განაქარვებ პირველებრვე**“ (29).

საინტერესოა ა ქცევის ნიშნით წარმოდგენილი საარვისო ქცევის ფორმები: „**თანადგომით დაამხუენი ზღუდენი იგ**“ (30); „**მადლი შენი გარე მოადგ**“ (30); „**ბნელსა განაქარვებ**“ (29). სათავისო ქცევის ი ნიშნიანი ფორმები: „**გლახაკისა შვილისაგან მითვალე**“ (30); „**იძიებდი გონებითა**“ (29). სასხვისო

ქცევის ფორმები: „ერთა თანა ნათლისათა გიგალობენ“ (29); „სისრულესა რაჲ შეუდგე“ (30); „ნელსაცხელებლად შეგიმოსა ლიბანისა დიდებამან“ (30).

ეფრემ მცირესთან არ დასტურდება შუალობითი კონტაქტის ფორმები.

საწყისის ნიშანი აწყმოს თემას დაერთვის: „**ნუგეშინის-ცემა**“ (29); „**ხილვად**“ (29); „**მიახლება**“ (29); „**მოსლვა**“ (30). აქ ვ -ავიან ზმნათა ანალოგიით უნდა იყოს გადასმული. ილ-იანი ფორმა: „**კმობილო**“ (30); სი-ულ: „**სიხარულით**“ (29).

მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმები მ-ელ პრეფიქს-სუფიქსითაა ნაწარმოები: „**დამტევენლად** იქმენ“ (29); „**იქმენ** ქვათა **მეძიებელ**“ (29); „**მომრწყველი**“ (29); „**აღმღვანებელი**“ (30). ნასწრევ-დროიანი - ულ სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღეობა: „**განსრული**“ (30). მომღვენო დროის წართქმითი და უკუთქმითი ფორმები: „**სახილველი**“ (29); „**სამგლოველი**“ (30); „**უხილავი**“ (29). საშუალი გვარის მიმღეობური ფორმა: „**მოწალე**“ (29).

სახელზმნას (საწყისსა და მიმღეობას) ზოგჯერ შენახული აქვს ზმნური ძალა პირდაპირი და ირიბი ობიექტის მოთხოვნისა: „**ორთქლი** იგი დანაწრედი **სათრობელად** მე მიწდიო“ (29); „**ექმენ** ნისლად **დამგარველად სულსა** ჩემსა“ (30). „ასეთ შემთხვევაში ხშირია პირდაპირი ობიექტის ნაცვლად უბრალო დამატების შეწყობაც ნათესაობითის ფორმით“ (ა. შანიძე, 1986, გვ.135). ზოგჯერ სახელზმნა შეიწყობს უბრალო დამატებასაც: „**ტამარ ღმრთისა დამტევენლად**“ (29); „**მიახლება ხედვად ღმრთისად**“ (30).

ზმნიზედათაგან ყურადღებას იქცევს ადგილის ზმნიზედები: „**წინა**“ (30); „**გარე**“ (30). დროის ზმნიზედები: „**აწცა**“ (29); „**აწ**“ (29); „**რაფამს**“ (30). ვითარების ზმნიზედები: „**ახლად**“ (30); „**ესრეთ**“ (30); „**ვითარცა**“ (30).

წრფელობით ბრუნვასთან ძირითადად დასტურდება -**ებრ** თანდებული: „**თრთის სული შენი წყალებრ**“ (30); „**განაქარვებ პირველებრვე**“ (29); ზოგჯერ -ებრ თანდებულის დართვით იკვეცება წინამავალი ხმოვანი: „**ოხრის გული შენი ზღუაებრ**“. **მიცემითის** ბრუნვასთან გვხვდება თანდებულები: -**ებრ, -თანა, -წინაშე**: „**აღმკედრდი შენ ეტლთა თანა ელიასებრ** სიწმიდითა“ (29); „**მის თანავე** დიდებულ ხარ“ (29); „**შენ წინაშე** ღმრთისა მნისა“ (29). **ნათესაობითი ბრუნვის** ფორმასთან დასტურდება -**გან** თანდებული: „**იუცხოთვა წარმართაგან**“ (30); „**შენი ცოდვილისა სულისაგან**“ (30); „**იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან**“ (30). **მოქმედებითი ბრუნვის** ფორმასთან დასტურდება -**გან, -ურთ** თანდებულები: „**ინიშნე შენ პირველითგან**“ (29); „**ლერწმოიანი მწყურნებითურთ** განაჰმე“ (29). **ვითარებითი ბრუნვის** ფორმასთან დასტურდება -**მდე** თანდებული: „**სულსა ჩემსა მალალთადმდე**“ (30). თანდებულთან ერთად ბრუნვის ნიშანი -**დ-ც** არის შენახული.

მაერთებელი კავშირებიდან დასტურდება და კავშირი: „**წინამძღუარი და მკედარი**“ (30); „**მახარებელ და მოწყალე**“ (30). **მაქვემდებარებელი კავშირებიდან** დასტურდება **რათა**: „**ერთგულებით განძლიერდი, რათა ჩჩკლნი ყრმანი მოსრნე**“ (29); „**ო, თრთის სული შენი წყალებრ, რათა მყუროებით იქმენ**“

ცა ნაწილაკი მნიშვნელობით უახლოვდება „**აგრეთვე**“-ს. იგი იხმარება ყოველგვარ სიტყვასთან: „**აწცა**“ (29); „**ვითარცა**“ (29). გვხვდება სხვა ნაწილაკების გამოყენების შემთხვევები: „**აჰა, ძალი დამასკისა**“ (29); „**ნუ გეშინინ**“ (29); **და** ნაწილაკი მნიშვნელობით უახლოვდება „**კიდევ**“-ს და ჩართულია ტმესად: „**და-ღა-ჰარშ**“ (29).

ძველ ქართულ ენას ახალი ქართული ენისაგან განსხვავებით მოეპოვებოდა ნაწევარი. „ნაწევრად ძველ ქართულში იხმარებოდა სამი სიტყვა, წარმოშობით სამივე ჩვენებითი ნაცვალსახელი: ესე, ეგე, იგი (ა. შანიძე, 1976, გვ. 30). ხელნაწერში დასტურდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ნაწევარი მოსდევს სახელს: „**კაცი ეგე განმღმრთობადი**“ (29); „**ორთქლი იგი დანაწრედი**“ (29); „**ქებაჲ ეგე** ნათესავთაჲ იწოდები ღმრთისა“ (30); „**დაამზუნენ ზღუდენი იგ**“ (30).

მსაზღვრელი ხშირ შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს: „**ტამარ ღმრთისა**“ (29); „**ეგვიპტისა ბილწსა ბნელსა**“ (29); „**თუალთა შენთა მდინარენი**“ (29); „**წყარო ტკბილ**“ (29). მსაზღვრელი ზოგჯერ წინაც უსწრებს საზღვრულს: „**ქრისტეს შვილი და მეუფე**“ (29); „**ჩჩკლნი ყრმანი**“ (29); „**ახალო ოქროპირო**“ (30); „**მთავრობათა ალაგებსა**“ (30). ძირითადად დასტურდება არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით და სახელზმნით გადმოცემული განსაზღვრება. არ გვხვდება რიცხვითი სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი.

ეფრემ მცირის სტილისათვის დამახასიათებელია სინონიმური გამოთქმები: „**მართალ და ჭკუმარიტ**“ (29); „**ქრისტეს შვილი და მეუფე**“ (29); „**შვილ და ნერგ**“ (29); „**აღმყვანებელ და საფუძველ**“ (30); „**მოცე და მექმენ**“ (30); „**ანგელოზად და სეგორად**“ (30); „**მიითვალე და დამადეგ**“ (30); „**ღრუბელ ნათლის და მდინარე იორდანე**“ (30). ასეთ წყვილებს შ. მიძიგურმა სინონიმური პარალელიზმები უწოდა (1941, გვ. 689), ხოლო ა. შანიძემ განსაკუთრებით დაახასიათა გ. მთაწმინდელის სტილთან დაკავშირებით (1946, გვ. 80).

ეფრემ მცირე უხვად იყენებს ბიბლიურ შედარებებს თავის მოძღვრის საქებრად: „აღესწორე სიმაღლითა ფინიქსა ენგადისასა“, „ებანი ხარ სულიერი“, „ტამარ ღმრთისა“, „თარგმანებით მორწყვე ქვეყანა“...

ეფრემ მცირის განუმეორებლობას ქმნის ძველი ქართული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმოების საინტერესო ფორმები: „ნათლიერად“, „შუენიერად“, „უმცველო“, „ბესელიელი“, „მეუფე“, „სისრულე“, „სათრობელად“, „საგლოველი“, „სურვიელი“, „დანწრედი“...

ამრიგად, ეფრემ მცირის თავისებურებათა განხილვა გვიჩვენებს, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში დაწყებულია შემობრუნება ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ: ავტორი ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-X სს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ თავს ვერ აღწევს ცოცხალი სასაუბრო ენის ძლიერ გავლენას, ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში; ერთი სიტყვით, ხელნაწერიდან ჩანს, რომ ქართული სალიტერატურო ენა შემდგარია ახალ გზაზე, მსგავსად გ. მთაწმინდელისა, შემოტანილია მიმღეობიანი გამოთქმები და მიუმართავი ფორმების ძიება. აი, ეს განსაზღვრავს ეფრემ მცირის ადგილს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში: ეფრემ მცირის ავტოგრაფიული ხელნაწერი საშუალო ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშნებს ატარებს.

ლიტერატურა:

1. ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982;
2. ი. ლოლაშვილი, მე-11 საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი. ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციიდან, მნათობი №4- №5, თბ., 1982.
3. ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.
4. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
5. ა. შანიძე, გიორგი მთაწმინდელის ენა, იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბ., 1946.
6. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
7. ა. შანიძე, ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თხზ. ტ. IX, თბ., 1986.
8. შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, №7, თბ., 1941.

THE LINGUAL FEATURES OF ONE OF THE AUTOGRAPHICAL MANUSCRIPT OF EPHRAIM THE SMALL

Mariam Koberidze, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

The lingual features of autographical manuscript of Ephraim the Small (Ephrem Mtsire) indicate the process of transformation from the Old Georgian to the Modern one. This fact is confirmed by the changes in phonetics, morphology, syntax and vocabulary of the Middle Georgian.

The author keeps the literary language standards (IX-X centuries), though at the same time he uses the Middle Georgian forms under the influence of the spoken language. The affix of the nominative case is not used with the vowel-rooted names with “ე” and “ო” while “ა” is dead with the nouns finished with “ა”. Person affixes before vowels are lost; “ხ” and “ჰ” are not used overly as person affixes. The new and old forms of adverbs are used simultaneously. An attributive word often precedes the attributed one and a substantive word follows the attributive one.

დისკურსის ინტერპრეტაციისათვის

მაია დარასელია, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: m.daraselia17@gmail.com

ისეთი ცნების განსაზღვრება, როგორცაა „დისკურსი“, უკვე გულისხმობს ზოგიერთ იდეოლოგიურ ორიენტაციას, საკუთარ შეხედულებას ენობრივი ურთიერთობის ანალიზზე. მიშელ ფუკო განიხილავს დისკურსს ყველაზე ფართო გაგებით და თვლის მას არა ლინგვისტურ, არამედ საერთო კულტურულ ცნებად. მისი აზრით, დისკურსის ერთეულს ანუ „ატომს“ წარმოადგენს გამონათქვამი. გამონათქვამების ერთობლიობა ქმნის დისკურსულ ფორმაციას. ფუკო ფორმაციას მიაკუთვნებს საზოგადოების ცხოვრების ისეთ მხარეებს, როგორებიცაა ეკონომიკა, პოლიტიკა, მედიცინა, მეცნიერება ცოცხალი არსებების შესახებ, რაც უფლებას აძლევს მას ისაუბროს, მაგალითად, კლიმატურ, ეკონომიკურ, თანამედროვე ისტორიის, ფსიქიატრიის და სხვა დისკურსებზე. ამგვარად, მისი აზრით, ადამიანური ცოდნის ყველა სფერო წარმოადგენს დისკურსის ერთობლიობას. ამასთან ფუკო აღიარებს, რომ ცნება „დისკურსის“ ამგვარი გამოყენება არაა საზოგადოდ მიღებული, ლინგვისტიკები კი მას სრულიად განსხვავებულ აზრს აძლევენ.

ლინგვისტურ კვლევებში ცნება „დისკურსი“ აიხსნება როგორც „შეერთებული ტექსტი ექსტრალინგვისტურ, პრაგმატულ, სოციოკულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში; ტექსტი, აღებული მოვლენის ასპექტში, მეტყველება, რომელიც განიხილება, როგორც მიზანმიმართული სოციალური მოქმედება, როგორც კომპონენტი, რომელიც მონაწილეობს ადამიანთა ურთიერთობაში და მათი შემეცნების მექანიზმებში“ (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990).

ი. სტეპანოვი საუკეთესოდ მიიჩნევს „დისკურსის“ ვ. დემიანკოვისეულ განმარტებას: „Discourse - დისკურსი, ტექსტის თავისუფალი ფრაგმენტი, რომელიც შედგება ერთზე მეტი წინადადებისაგან ან წინადადების დამოუკიდებელი ნაწილისაგან. ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის კონცენტრირდება ზოგიერთი საყრდენი კონცეპტის გარშემო; ქმნის საერთო კონტექსტს, რომელიც აღწერს მოქმედ პირებს, ობიექტებს, ვითარებებს, დროებს, ქმედებებს და ა.შ., განისაზღვრება არა იმდენად წინადადების თანმიმდევრობით, რამდენადაც იმ საერთოთი, რაც ქმნის დისკურსს და მისი ინტერპრეტატორი სამყაროთი, რომელიც „ვითარდება დისკურსის განვითარების პარალელურად“. ამასთან ერთად, დისკურსს გააჩნია ლოგიკური სტრუქტურა, „საწყისს სტრუქტურას დისკურსისთვის აქვს ელემენტარული პროპოზიციების თანმიმდევრულობის სახე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან კონიუნქციის, დიზიუნქციის და სხვა ლოგიკური ურთიერთობებით. დისკურსის ელემენტებია: მოვლენები, მისი მონაწილეები, პერფორმატიული ინფორმაცია და „არამოვლენები“, ანუ ა) ვითარებები; ბ) მოვლენის მონაწილეთა შეფასება; გ) ინფორმაცია, რომელიც აკავშირებს დისკურსს მოვლენებთან“. როგორც ორივე განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, დისკურსი აუცილებლად უნდა გავიგოთ როგორც ტექსტი, ან მეტყველება მოქმედებაში, ყველა ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა ერთობლიობაში.

ტ. ვან დეიკის აზრით კი დისკურსი - ესაა ენის გამოყენება, აზრებისა და მტკიცებულებების გადაცემა, მეტყველებითი ზემოქმედება. ცნება „დისკურსის“ განხილვისას, მოკლე განმარტებას მოითხოვს ცნებები „დისკურსი და „ტექსტი“ (Dijk van T.A, 1997).

ამ ორი ცნების ურთიერთობის განხილვისას, ვ. ბორბოტკო ამტკიცებს, რომ ტექსტი არის უფრო საერთო ცნება, ვიდრე დისკურსი, რადგანაც ტექსტი წარმოადგენს ერთეულების ნებისმიერ თანწყობას. დისკურსი, მეცნიერის აზრით, ასევე ტექსტია, მაგრამ ისეთი, რომელიც შედგება ენის კომუნიკაციური ერთეულებისაგან - წინადადებები და მათი გაერთიანება უფრო მსხვილ კავშირებად, რომლებიც უწყვეტ შიდა აზრობრივ კავშირში არიან, რაც საშუალებას გვაძლევს აღვიქვათ იგი როგორც მთლიანი წარმონაქმნი. დისკურსია, მაგალითად, ტექსტები, მოთხრობები, სტატიები, გამოსვლები, ლექსები (ბორბოტკო, 1981). ამასთან ერთად ბორბოტკო არ უარყოფს დისკურსის, როგორც „ენის უმაღლესი რანგის კომუნიკაციური ერთეულის“ სტატუსს (ბორბოტკო, 1981).

ზოგიერთი ლინგვისტი ცდილობს დისკურსისა და ტექსტის კატეგორიების დიფერენცირებას სიტუაციის ფაქტორის დახმარებით. დისკურსს განვვიმარტავს როგორც „ტექსტს დამატებული სიტუაცია“, ხოლო ტექსტს, შესაბამისად, „დისკურსს გამოკლებული სიტუაცია“ (ოსტმანი, ვირტანენი, 1995).

ამგვარად, მიუხედავად დისკურსისა და ტექსტის არსებითი განსხვავებისა, მათ შორის არსებობს მსგავსებაც, ტ. ვან დეიკის აზრით საკმარისია ჩავრთოთ ცნებაში „დისკურსი“ ტექსტი, როგორც დისკურსში რეალიზებული აბსტრაქტული თეორიული კონსტრუქტი, ისევე როგორც წინადადება აქტუალიზდება გამონათქვამში.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ლინგვისტიკა მდიდარია ცნება „დისკურსის“ განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომით. მოცემულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს კაპლუნენკოს შეხედულება, რომელიც სავსებით ზუსტად გამოხატავს ცნებების „დისკურსი“ და „ტექსტი“ ურთიერთობას: „დისკურსი წარმოადგენს გაცილებით ფართო და უნივერსალურ ლინგვისტურ ობიექტს, რომელიც მოიცავს მეტყველების არამარტო ენობრივ სტრუქტურას, არამედ საკომუნიკაციო სიტუაციების ტიპოლოგიურ პარამეტრებსაც, კომუნიკანტების თავისებურებებს, ურთიერთობის აგების სტრატეგიას. დისკურსისაგან განსხვავებით, ტექსტი წარმოადგენს უფრო სპეციფიკურ და ვიწრო მოვლენას, რომელიც არ გადის მეტყველების სტრუქტურულ - აზრობრივი პარამეტრების ფარგლებს გარეთ“ (კაპლუნენკო, 1991). ტ. ვან დეიკის შეხედულების თანახმად, დისკურსი ესაა რთული კომუნიკაციური მოვლენა, რომელიც ტექსტის გარდა მოიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს (ცოდნა სამყაროს შესახებ, აზრები, დადგენილებები, ადრესატის მიზნები, რომლებიც აუცილებელია ტექსტის გასაგებად). მეცნიერის მსგავსად განვიხილავთ დისკურსს მის სამ ასპექტში: 1) ენის გამოყენება; 2) იდეებისა და მტკიცებულებების გადაცემა (კომუნიკაცია); 3) სოციალურ - განპირობებულ სიტუაციებში ურთიერთქმედება.

არისტოტელეს თანახმად, არგუმენტაციის ენობრივი ფორმა უშუალოდ დამოკიდებულია მსმენელზე (არისტოტელე, 1978). ამ დამოკიდებულების ანალიზი საფუძვლად უდევს არგუმენტაციის ლინგვისტურ მიდგომებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი არგუმენტაციის პრაგმადიკალურ თეორიას უკავია; იგი შეიმუშავა ფ. ვან იემერენმა და რ. გროტენდორსტმა. მოცემული თეორიის ავტორები არგუმენტაციას განიხილავენ როგორც ვერბალური კომუნიკაციის მოვლენას, რომელიც შესწავლილი უნდა იყოს როგორც დისკურსის სპეციალური ფორმა (mode), რომელიც ხასიათდება ენობრივი საშუალებების გამოყენებით აზრთა სხვადასხვაობის პრობლემის გადაჭრაში (ვან იემერენი, 1996). მოცემული თეორიის ავტორები არგუმენტაციის პროცესში განსხვავებენ ოთხ სტადიას, რომლებიც თავის მხრივ შეესაბამება არგუმენტაციული დისკურსის ოთხ ეტაპს (ვან იემერენი, 1996).

არგუმენტაციის პროცესს იწყებს კონფრონტაციის სტადია („confrontation stage“), სადაც ოპონენტი წარმოადგენს აზრთა სხვადასხვაობას აზრსა და მის მიუღებლობას შორის. არგუმენტაციულ დისკურსში ეს სტადია შეესაბამება ეტაპს, სადაც ჩნდება აზრთა შეუთანხმებლობა, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის შეჯახება. საწყის სტადიაზე („opening stage“) ჩნდებიან ანტაგონისტი და პროტაგონისტი, განისაზღვრება მათი დავალებები არგუმენტაციის პროცესში და ბოლოს, არგუმენტაციის პროცესის გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს არგუმენტაციის სტადია („argumentation stage“), სადაც პროტაგონისტი იცავს თავის აზრს ანტაგონისტის კრიტიკული შემოტევებისაგან. დისკურსში ეს სტადია შეესაბამება ეტაპს, სადაც ერთ მხარეს მოჰყავს არგუმენტები, რათა გააქარწყლოს მოწინააღმდეგე მხარის ეჭვები, რომელიც, თავის მხრივ, შეეცდება შეეწინააღმდეგოს ამ არგუმენტებს. არგუმენტაციას ასრულებს დასკვნითი ეტაპი („concluding stage“), სადაც პროტაგონისტი და ანტაგონისტი აკეთებენ დასკვნებს, წარმატებით დაიცვა თუ არა პროტაგონისტმა თავისი აზრი ანტაგონისტის კრიტიკული არგუმენტებისაგან. არგუმენტაციულ დისკურსში ეს სტადია შეესაბამება ეტაპს, სადაც მხარეები აკეთებენ დასკვნებს მიღებულ შედეგებზე და აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრის მცდელობებზე.

კოგნიტური პარადიგმის ფარგლებში არგუმენტაციას განვსაზღვრავთ როგორც „ცოდნის დამუშავების კოგნიტური პროცედურების ვერბალურად რეალიზებულ კომპლექსს, რომელიც ცვლის მის ონტოლოგიურ სტატუსს ადრესატის სამყაროს მოდელში და ამით რეალურ ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე“ (ზარანოვი, 1990). ჩვენი აზრით, არგუმენტირების კოგნიტური მიზანი გადაეცემა ილოკუციური სამეტყველო აქტების საშუალებით და წარმოადგენს თეზისებს და არგუმენტებს. ლინგვისტური კვლევის მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს მეტყველებითი აქტების რომელი ტიპებით შეიძლება გამოვხატოთ არგუმენტაციის კოგნიტური მიზანმიმართულობა. ფ. ვან იემერენმა და რ. გროტენდორსტმა დაადგინეს, რომ არგუმენტირების პროცესში გამოიყენება სამეტყველო აქტების ხუთი ტიპი, რომელთა შორის არსებით როლს თამაშობს მეტყველების ისეთი აქტები, როგორებიცაა ასერტივები, კომისივები და დირექტივები.

წინამდებარე ნაშრომში, არგუმენტაციას, როგორც მაკრომეტყველებით აქტს, რომელსაც აქვს თავისი ილოკუციური მიზანი - ზეგავლენა მოახდინოს ადრესატის არჩევანზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გააჩნია რთული შიდასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: ა) არგუმენტაციის თეზისს (ან სხვა ტერმინით რომ ვთქვათ, აზრს), რომელიც თავისთავად წარმოადგენს სამეტყველო აქტის შესრულებას (ის

შეიცავს ერთ პროპოზიციას და ერთ ილოკუციურ ძალას); და ბ) დასკვნები თეზისის სასარგებლოდ, რაც ასევე წარმოადგენს ერთეული, ანუ მარტივი სამეტყველო აქტების შესრულებას (ისინი შეიცავენ ორ ან მეტ პროპოზიციას და ორ ან მეტ ილოკუციურ ძალას. პროპოზიციების ერთობლიობა შეადგენს არგუმენტაციის სამეტყველო აქტის რთულ ან მაკროპროპოზიციას. თავის მხრივ ილოკუციური ძალები ერთად წარმოადგენენ ერთობლივ ილოკუციურ ძალას, რომელიც შეიძლება აღვწეროთ როგორც არგუმენტაციის ილოკუციური ძალა. განვიხილოთ მაგალითი:

He's a splendid young fellow. Boxed three years for Oxford and, so I learn from a usually reliable source, went through the opposition like of salt (P. G. Wodehouse "Service with a Smile", p. 210).

ამ მაგალითში ფრაზეოლოგიური კონტექსტის ანალიზისას მეტყველებითი აქტების თეორიის ტერმინებში გვაქვს სამი მარტივი სამეტყველო აქტი და, შესაბამისად, სამი პროპოზიცია და სამი ილოკუციური ძალა, მოცემულ შემთხვევაში - ასერტიული, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულებას. ცალკე აღებული სამეტყველო აქტებიდან არც ერთს არ გააჩნია არგუმენტაციის ილოკუციური ძალა. ცალკე არც ერთი მათგანი არაა მიმართული დარწმუნების პრელოკუციური ეფექტის მიღწევაზე. თუმცა, მოცემული სამეტყველო მონაკვეთის ანალიზისას, შეგვიძლია პირველი სამეტყველო აქტი განვმარტოთ როგორც არგუმენტაციის თეზისი, რომელსაც აქვს პროპოზიციური შინაარსი "He's a splendid young fellow", ხოლო დარჩენილი ორი სამეტყველო აქტი - როგორც დასკვნები მოცემული მტკიცებულების სამართლიანობის სასარგებლოდ, რომლებსაც აქვთ პროპოზიციები, შესაბამისად "Boxed three years for Oxford", "went through the opposition like a dose of salt". მოცემული სამი სამეტყველო აქტის ერთიანი ილოკუციური ძალა წარმოადგენს არგუმენტაციის ილოკუციურ ძალას, რომლის გაძლიერებასაც ხელს უწყობს ფრაზეოლოგიური ინტენსიფიკატორი like a dose of salt. ამ მაგალითიდან ნათელი ხდება, რომ არგუმენტაციულ დისკურსში ფრაზეოლოგიური ინტენსიფიკატორი შედის არგუმენტაციის მაკროსამეტყველო აქტების შემადგენლობაში, სადაც ხელს უწყობს „არგუმენტის წამოყენების“ ილოკუციური ძალის ინტენსიფიკაციას, რაც თავის მხრივ არგუმენტს უფრო დამაჯერებელს, ხოლო მაკროსამეტყველო აქტს წარმატებულს ხდის. ამაში მდგომარეობს ფრაზეოლოგიური ინტენსიფიკატორის კომუნიკაციური დანიშნულება არგუმენტაციულ დისკურსში.

ლიტერატურა:

1. A. Baranov. Cognitive Modeling of actual Meaning in the Field of phraseology / A. Baranov, D. Dobrovolskij // Journal of Pragmatics. - №25. – P. 409-429.
2. Dijk van T.A. The Study of Discourse. Discourse as Structure and Process. Discourse studies: A Multidisciplinary Introduction / van T.A. Dijk – London - Thousand Oaks – New Delhi: SAGE Publications, 1997. Vol. 1. – 352 p.
3. Ostman J. Discourse Analysis / J. Ostman, T Virtanen // Handbook of Pragmatics, - Amsterdam, Philadelphia, 1995. – P. 239-253.
4. Wodehouse P.G. Service with a smile / P.G. Wodehouse. - New York: Simon and Schuster Co., 1961. – 219p
5. Аристотель. – Соч. В 4-х тт./ Аристотел. – М.:Мысль, 1976. Т.2. 1978. – 687 с.
6. Баранов А.Н. Аргументация как языковой и когнитивный феномен / А.Н.Баранов // Речевое воздействие в сфере массовой коммуникации. М.: Наука, 1990. – С. 40-52.
7. Борботько В.Г. Элементы теории дискурса / В.Г. Борботько. – Киев: Вища школа, 1981. – 104с.
8. Демьянков В.З. Когнитивная лингвистика как разновидность интерпретирующего подхода / В.З. Демьянков // Вопросы языкознания. – 1994. - №4. – С. 17-33.
9. Еемеерен ван Ф. Аргументация, коммуникация и ошибки / Ф. Ван Еемеерен, Р. Гроотендорст. – СПб.: «Васильевский остров», 1996, 281-283 с.
10. Каплуненко А.М. Историко-Функциональный аспект английской идиоматики: Монография / А.М. Каплуненко. – Ташкент: Изд-во Ташкент. ГПИ им. Ризами, 1991-126 с.
11. Лингвистический энциклопедический словарь, Главный редактор В. Н. Ярцева, Москва. 1990-96.
12. Степанов Ю.С. Альтернативный мир, Дискурс, факт и принцип Причинности / Ю.С. Степанов // язык и наука в конце XX века. - М.: Российский Государственный гуманитарный институт, 1995. – С. 35-73.
13. Фуко М. Археология знания / М. Фуко. – Киев: Ника – центр, 1996. – С. 207.

DISCOURSE INTERPRETATION
Maya Daraselia, Gori Teaching University, Full Professor
SUMMARY

All the approaches to discourse discussed in this paper consider both text and context as crucial to the analysis of utterances. The approaches vary, however, in their definitions of context and in their views of how text is related to context. These differences mean that although all the approaches assume an interdependency between text and context, they differ in their understanding of the processes by which speakers/hearers rely upon text and context, to construct/discover the meaning of an utterance and the coherence relations across utterances.

We noted that the context is difficult to define and suggested that one reason for this difficulty is that contextual information is always information that is identified in relation to something else that is the primary focus of our attention: the identity of that ‘‘something else’’ influences our decisions about what counts as context. That different approaches to discourse define context quite differently. One reason for this may be that each approach began by focusing on a variety of issues and questions, that then defined the sort of context likely to be of interest. Those approaches that began by focusing on the meaning of a single utterance, for example, were less likely to offer an explicit way to focus on text of background information – simply because text itself was not already included as an object of inquiry. However, if discourse analysts hope to use such perspectives to analyze utterances – whether it is the relationship between utterances, or how adjacent utterances contribute to the communicative content of one another – then the inclusion of text – as context seems unavoidable.

სიტყვა „წითელის“ სემანტიკური კომპონენტების ასოციაციური ველის საკითხისათვის

ნინო ოქროპირიძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის შინაარსობრივი სტრუქტურის საკითხი თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

სადღეისოდ ჯერ კიდევ არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული აზრი სიტყვის მნიშვნელობის რაობის შესახებ.

გარდა ენათმეცნიერებისა, სიტყვა და მისი მნიშვნელობა შეისწავლება ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის ლოგიკის და სხვ. მეცნიერებათა მიერ.

წინამდებარე შრომაში განვიხილავთ სიტყვის მნიშვნელობის ერთ სახეობას, კერძოდ, ასოციაციურ მნიშვნელობას.

სიტყვის მნიშვნელობის ასპექტთა სისტემა ფსიქოლინგვისტურ მონაცემების გათვალისწინებით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ძირითად ცენტრალურ ნაწილს შეადგენს **ცნებითი ბირთვი**. იგი არის ყველაზე თვალსაჩინო, ენობრივი კოლექტივის მიერ ყველაზე მეტად შეცნობადი ასპექტი. სწორედ რომ ცნებითი ბირთვი წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის აღქმის ფოკუსს. და ამიტომაც, როდესაც ლაპარაკობენ სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაზე, აქ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში აქვთ სიტყვის ცნებითი ბირთვი. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ, განმარტებით ლექსიკონებში ძირითადად მოცემულია მხოლოდ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ცნებითი ბირთვის ლოგიკურ-ლინგვისტური გააზრება.

მაგრამ სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ ცნებითი ბირთვით არ არის შემოფარგლული. ყოველი სიტყვის ცნებითი ბირთვი გარემოცულია გარკვეული სემანტიკური გარსით, რომლის სიმკვეთრე და სავსეობა მით უფრო მცირდება და უფერულდება, რაც უფრო დაცილებულია იგი ბირთვულ მნიშვნელობას.

ცნებით ბირთვს უშუალოდ უკავშირდება მნიშვნელობის ასპექტის ყველაზე მკვეთრად გამოხატული კონოტატური ნიშანი. ეს სიტყვის მნიშვნელობის ის მხარეა რომელიც შეიძლება დახასიათდეს შემფასებლური ნიშან-თვისებების მიხედვით.

ამიტომაც სიტყვის მთელი სემანტიკური კომპლექსი თითქოსდა ნიშანდებულია ასოციაციურ მნიშვნელობათა მკვეთრი ნაჭდევებით, რომლებიც მოცემულ სემანტიკურ კომპლექსს სხვა დანარჩენი სემანტიკურ კომპლექსებთან აკავშირებს. ლექსიკური ასოციაციები შეიძლება წარმოიქმნას სიტყვის მნიშვნელობის სხვადასხვა ასპექტით აღქმისას. სავსებით ბუნებრივია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ასოციაციები წარმოდგება სიტყვის მნიშვნელობის ცნებითი ბირთვის საფუძველზე, რომელიც ძირითადი სემანტიკური ინფორმაციის მატარებელია. მაგალითად, დედა-მამა, და-მმა, სახლი-ეზო, ნემსი- ძაფი, ძროხა-რძე, და სხვ. სიტყვის კონოტატური მნიშვნელობიდან მომდინარე ასოციაციები იქნება ქარი-სწრაფი, რძე-ჭიქა და სხვ.

ასოციაციებს, რომლებსაც იწვევს სიტყვის ნორმატული მნიშვნელობა მის უჩვეულო შეხამებისას სხვა სიტყვებთან, შ. ბალი უწოდებს „ასოციაციურ ველს“. მისი აზრით, რაც უფრო მოტივირებულია ენობრივი ნიშანი, მით უფრო მახვილდება ყურადღება მის შინაგან სტრუქტურაზე, რის გამოც მცირდება მისი გარეგანი ასოციაციები და ამდენად კლებულობს მისი ასოციაციური ველის წევრთა რაოდენობა. და პირიქით, რაც უფრო ნებისმიერია ენობრივი ნიშანი აღსანიშნის მიმართ, მით უფრო მეტია ის მიმართებანი, რომლებსაც იგი ამყარებს დანარჩენ აღმნიშვნელებთან თავისი მნიშვნელობის დაზუსტებისათვის. (Балли: 1955).

მართალია, შ. ბალის არ უცდია ასოციაციური ველის წევრთა მიმართ საერთო დიფერენციალური სემანტიკური ნიშნის პოსტულირება, მაგრამ დაუშვა ენის ლექსიკურ სისტემაში სიტყვათა შორის შორეული და უახლოესი ასოციაციური კავშირების არსებობა.

ამგვარად, სიტყვის მნიშვნელობის აღქმა დაკავშირებულია სიტყვისა და მთელ რიგ აზრობრივ კომპლექსთა ურთიერთკავშირისა და რეალიზაციასთან, რაც ხორციელდება ობიექტური სამყაროს ჭვრეტისა და წვდომის გზით. პრაქტიკული ცდისა და ენის მეშვეობით. მთლიანობაში ეს კომპლექსი შეიცავს ცნებებსა და სხვადასხვა სახის წარმოდგენებს, შთაბეჭდილებებს და ასოციაციებს, რომლებიც თან ახლავს ამ ცნებებს და ზოგჯერ მის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეინიშნება ორი, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: პიველი-აღმოაჩინოს საერთო და ზოგადი განსხვავებულ მოვლენებში. ე.ი. გამოავლინოს სხვადასხვა დონის ერთეულებში ის საერთო მიმართებანი, რაც მათ ერთმანეთთან დააკავშირებს. ეს იქნება ფაქტების ერთგვარი ინტეგრაცია.

მეორე ტენდენცია მდგომარეობს შემდგომი: რაც შეიძლება ღრმად და სრულყოფილად მოხდეს საკვლევი ობიექტის შეცნობა. ამისათვის კი აუცილებელია მისი დიფერენცირებული განხილვა. ამგვარი დიფერენციაცია როგორც შინაარსის, ასევე გამოხატულების პლანში, წარმოადგენს ცდას მოხდეს ფორმის დანაწევრება არა მხოლოდ მის შემადგენელ კომპონენტებად, არამედ წარმოდგეს შინაარსი, როგორც ელემენტარული აზრობრივი ნიშნების ერთობლიობა. (Гулыга-Шендельс: 1976).

აზრობრივი კომპეტენტური ანალიზი წარმოადგენს დიფერენციაციისა და ინტეგრაციის ურთიერთმიმართებითი პროცესის მიმდინარეობის ნიმუშს. შინაარსის უმცირესი კომპონენტების-**სემების** გამოცალკევება და სიტყვის მიჩნევა მინიმალური შინაარსობრივი ელემენტების (სემების) კომპლექსად, გამოწვეულია პირველ რიგში მნიშვნელობის დანაწევრების აუცილებლობით, მის არსში ჩაწვდომის მიზნით.

„სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობის სტრუქტურაში იგულისხმება ელემენტარულ აზრობრივ კომპონენტთა „სემების“ ერთობლიობა, რაც შეადგენს ამ ერთეულის მნიშვნელობას. ყოველი სემა წარმოადგენს ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში არსებულ იმ განსხვავებული ნიშნების ასახვას, რაც ობიექტურად არსებული დენოტატისათვის არის დამახასიათებელი, ან მიეწერება მას ენობრივი მასის მიერ და ამდენად ობიექტურად არსებული კოლექტივის თითოეული წევრისათვის“.

სიტყვის მნიშვნელობის შესახებ არსებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც სიტყვა წარმოადგენს მინიმალური შინაარსობრივი ელემენტების (სემების) კომპლექსს, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამავე დროს ბევრი მკვლევარი მიუთითებს მათი გამოვლენის სიმძლეეებზე და გარდა ინტრალინგვისტური მონაცემებისა, ხშირად ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობაზე. ამიტომაც ზოგიერთ შემთხვევაში სემური ანალიზი ინტუიციის დონეს არ სცილდება. თუმცა თანამედროვე ენათმეცნიერებში ინტუიციური მონაცემებიც ფრიად ღირებულია. თუნდაც იმიტომ, რომ ენობრივი მონაცემები ხშირად მოწმდება ინფორმანტის მიერ. (იანქოშვილი, 1972) ასოციაციური და სემანტიკური ველების კვლევის მეთოდიც ზოგჯერ სუბიექტურ მონაცემებზეა დაყრდნობილი, რომლებსაც ინფორმანტისა და ცდისპირისაგან ვღებულობთ.

მაგრამ სადღეისოდ თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებობს მთელი რიგი ობიექტივიზირებული მეთოდები, რომლებიც მკვლევართა ხელში ლექსიკის აღწერის საიმედო ხერხს წარმოადგენს. ყოველი სემასიოლოგი, რომელიც იყენებს ლექსიკურ მნიშვნელობათა კვლევის ამა თუ იმ მეთოდს (იქნება ეს კომპონენტური, დისტრიბუციული, ტრანსფორმაციული თუ კონტექსტუალური),

ადგია გარკვეულ თვალსაზრისს ენის ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის შესახებ. მათი კვლევის მეთოდები უშუალო მიმართებაშია ან დაიყვანება თეორიულ მოსაზრებებზე და მოწმობს მათ სხვადასხვა ლინგვისტური მიმდინარეობის კუთვნილებაზე. კომპონენტური ანალიზის მომხრენი ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად იცავენ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ენის ლექსიკა ენობრივ ერთეულთა უბრალო, ქაოტური თავმოყრა კი არ არის, არამედ გარკვეული წესით მოწესრიგებული მთლიანობა, რომელსაც თავისი სპეციფიკური სტრუქტურა აქვს და რომლის ელემენტები (სიტყვები და მათი ცალკეული მნიშვნელობანი) ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულ მიმართებებში იმყოფებიან. ეს კავშირი ხორციელდება გარკვეული სემანტიკური ნიშნების მიხედვით, რაც სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებში (სემანტიკურ და ასოციაციურ ველებში) გაერთიანების საფუძველია.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში სემანტიკური ველი განისაზღვრება, როგორც ერთიანობა ერთეულებისა, რომლებიც ერთი საერთო სემანტიკური ნიშნის მიხედვით ერთიანდებიან გარკვეულ სემანტიკურ ველში და მიუთითებენ აღნიშნული მოვლენების ცნებით, საგნობრივ, ან ფუნქციურ მსგავსებაზე.

სემანტიკური ველი ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: სიტყვათა და მათი ცალკეული მნიშვნელობების კავშირით, ამ კავშირების სისტემური ხასიათით, ლექსიკური ერთეულების ურთიერთგანპირობებულობით და ურთიერთგანსაზღვრულობით, ველის ავტონომიურობით, სემანტიკური ველების ურთიერთკავშირით მთელი ლექსიკის ფარგლებში (რაზეც მოწმობს ერთი და იმავე პოლისემანტური სიტყვის მონაწილეობა სხვადასხვა სემანტიკურ ველში).

სემანტიკური ველების გამოყოფის და აღწერის მეთოდების განხილვა ცხადყოფს, რომ აქ ძირითადია კომპონენტური ანალიზის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ლექსიკის ორგანიზებულ სისტემად წარმოდგენას.

ამავე დროს ამ მეთოდის გამოყენება სემანტიკური ველების კვლევისას, ყველაზე უფრო ეკონომიურია და მით უფრო გამართლებული, რამდენადაც სემანტიკური ველი გამოიყოფა ერთი რომელიმე სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე, რომელიც საერთოა ველში შემავალი ყველა წევრისათვის.

სემანტიკური ველის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ასოციაციური ველი, თუმცა მის საკვლევად ზოგჯერ ფსიქოლინგვისტურ და ფსიქოფიზიოლოგიურ მეთოდებსაც იყენებენ.

ასოციაციური ველის გამოყოფის პრინციპი შემდეგია: ველის შექმნისათვის აუცილებელია სიტყვა-სტიმულის არსებობა, რომელიც ამავე დროს ველის ბირთვს წარმოადგენს. სიტყვა-სტიმულის ირგვლივ თავს იყრის სიტყვა-ასოციატების გარკვეული რაოდენობა; მათი ერთობლიობა ქმნის ასოციაციურ ველს. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა სტიმულის მიერ მოზიდული ასოციატები სხვადასხვა ცდისპირში ვარირობს, ხოლო ველის მოცულობა მხოლოდ ცდისპირებთან ექსპერიმენტის მეშვეობით დგინდება და ამგვარად ეყრდნობა არა ტექსტს, არამედ ცდისპირის ფსიქიკას. მაინც ასოციაციურ ველში თავმოყრილ ასოციატებს სიტყვა სტიმულთან გარკვეული სემანტიკური სიახლოვე ახასიათებს. ამ მოვლენის მიზეზი კი უნდა იყოს სემანტიკურ ინდიკატორსა და ნომინანტში იმ პოტენციური სემების (კომპონენტების) ინდუცირება, რაც თავს იჩენს ასოციაციური ველის ჩამოყალიბების პროცესში.

როგორც ცნობილია, ლექსიკურ ასოციაციათა შესწავლა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მიმდინარეობს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს დაეთმო XX საუკუნის დასაწყისში საკითხს იკვლევდნენ ლინგვისტები, ფსიქოლოგები, მედიკოსები განსაკუთრებით აშშ-სა და გერმანიაში. არსებული ნაკვლევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გ. კენტისა და ა. როზანოვის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი ჩატარებული ნორმალური ფსიქიკის მქონე 1000 ინფორმანტთან.

კენტისა და როზანოვის მიერ შედგენილი სიტყვა-სტიმულების სია საფუძველად დაედო დანარჩენ მკვლევართა სიტყვა-სტიმულების სიას. ეს უკანასკნელნი მიზნად ისახავენ არა მხოლოდ ფსიქიკური ასოციაციების ბუნების გარკვევას, არამედ შეისწავლიან ლექსიკურ ასოციაციებსაც, როგორც ლინგვისტური მაჩვენებლის განვითარებას და ცდისპირში ცნებათა ფორმირების პროცესს.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ლექსიკური ასოციაციების დამოკიდებულება ისეთ გარეგან ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე, როგორცაა ცდისპირის ასაკი, სქესი, პროფესიული განათლება, ინტელექტი, გეოგრაფიული გარემო და სხვა.

ასოციაციური ველის კვლევის ძირითადი მიზანია დადგინდეს სიტყვა-სტიმულის სტრუქტურული კავშირები მის ასოციატებთან. ამგვარი კავშირების ობიექტური მაჩვენებლების აღმოჩენის ცდა იწვევს მრავალმხრივი ექსპერიმენტის ობიექტური მეთოდებით ჩატარების აუცილებლობას.

ასოციაციურ ველის წევრთა შორის სტრუქტურული კავშირების დასადგენად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სიტყვათა ასოციაციური ჯგუფების ბუნება და ხასიათი. მაგალითად, ნორმატიულ ასოციაციათა წრე, მეტაფორული ასოციაციები, ემპირიული ასოციაციები და სხვ.

ასოციაციური ველის ხასიათის მიხედვით ელემენტთა შორის მიმართებანი შეიძლება იყოს როგორც პარადიგმატული, ასევე სინტაგმატური. გარდა ამისა პარადიგმატულ მიმართულებებზე აგებული ველი ყოველთვის ერთსახოვანი არ არის. მას შეიძლება ჰქონდეს უფრო ხშირად ფუნქციური, ან სტრუქტურული ხასიათი.

ნორმატიულ ასოციაციურ ველში სიტყვა-სტიმულსა და მის ასოციატებს შორის მყარდება სემანტიკურ-ფუნქციური კავშირი საერთო ინვარიანტული ნიშნის არსებობის საფუძველზე. ინვარიანტულად მიიჩნევა არა მხოლოდ რამოდენიმე ელემენტისათვის საერთო თვისება, არამედ საერთო ფუნქციაც. ამგვარი კავშირი მყარდება სიტყვა-სტიმულსა და მის ასოციატებს შორის, რომლებიც წარმოდგებიან ცდისპირის ცნობიერებაში, როგორც რეაქცია სიტყვა-სტიმულზე. მაგალითად, სიტყვა-სტიმულის „ნემსი“ ასოციატები შეიძლება იყოს ძაფი, კერვა, მკვრატელი, ქსოვილი, კაბა და სხვ. მაგრამ ინვარიანტული მნიშვნელობის პოსტულირების საფუძველზე „ნემსი“ შედის შემდეგი სიტყვების სემანტიკურ ველში: ქინძისთავი, მახათი, ეკალი, წვეტი, ჩხვლეტა და სხვ.

ცნობილია, რომ სიტყვათა გაერთიანებას ერთ პარადიგმატულ რიგში საფუძველად უდევს არაენობრივი (ექსტრალინგვისტური) მოვლენები ე.წ. სიტყვათა დენოტატები. გამომდინარე სიტყვათა ამგვარი გაშუალებული მსგავსებიდან, უფრო სწორედ მათი ნომინაციური ფუნქციის მსგავსებიდან, ვიდრე მნიშვნელობიდან, ამ სახის პარადიგმები, ან სიტყვათა ჯგუფები შეიძლება მივიჩნიოთ დენოტატურ ასოციაციურ ლექსიკურ პარადიგმებად. ამგვარი პარადიგმებია ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი ტერმინები, ადამიანური თვისებების აღნიშნული სიტყვები, ფერთა ლექსიკა და სხვ.

ასოციაციური ველის წევრთა შორის სინტაგმატურ კავშირში იგულისხმება სიტყვის პოტენციური შესაძლებლობა დაამყაროს სინტაგმატური მიმართება სიტყვათა განსაზღვრულ წრესთან. ეს შესაძლებლობა კი, რა თქმა უნდა, სიტყვის ავტოსტრუქტურითა და მისი კომპონენტური შემადგენლობით უნდა აიხსნას.

მაგალითად, სიტყვათშეხამება „კვადრატული წრე“ სინტაქსური თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია, მაგრამ მიუღებელია სემანტიკურად, რამდენადაც „კვადრატი“ სიტყვის სემურ კონსტრუქციაში არ შედის არც ერთი სემა, რომელიც აღმოჩნდებოდა „წრე“ სიტყვის მნიშვნელობის ბირთვულ შემადგენლობაში.

ვნახოთ ასეთი მაგალითიც: თევზი-წყალი შინაარსობრივად სავსებით შეთავსებადი ცნებებია, რის გამოც სიტყვათშეხამება უზუალურია. ხოლო თევზი-ტაფა უჩვეულო სიტყვათშეხამებაა. (ოკაზიონალური), მაგრამ, ინფორმანტთან სიტყვათა ამგვარი ასოციაციური კავშირის წარმოქმნა გამართლებულია, რამდენადაც ასოციატში (ტაფა) თავი იჩინა სემამ, რომელიც შეთავსებადი აღმოჩნდა სიტყვა-სტიმულის (თევზი) ერთ-ერთ სემასთან. (თევზი-როგორც ადამიანის საკვები: ტაფა-საკვების მომზადებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი).

სიტყვათა მეტაფორული შეხამებანი ასევე ექსტრალინგვისტური ფაქტორებით არის განპირობებული. რამდენადაც დენოტატი სიტყვის მეშვეობით ხშირად სხვადასხვა ენობრივ დახასიათებას ღებულობს. სწორედ მეტაფორაში ხდება ყველაზე თვალნათლივ „ფარული“ და „დავიწყებული“ სემების აქტუალიზაცია, რის გამოც სიტყვათშეხამება განსაკუთრებულ სტილისტურ ფოკუსში ექცევა. ემოციურ-შემფასებლური დახასიათება სიტყვისა, უკვე განსაკუთრებულ სტილისტურ კონტექსტში ვლინდება. მეტაფორული ასოციაციების შემთხვევაში სიტყვა-სტიმულის თავდაპირველი მნიშვნელობა უფერულდება, ხოლო მეორე სიტყვაში კი ხდება ასოციაციური ხატის წარმოქმნა სიტყვათა უჩვეულო კავშირების სემანტიკურ-ასოციაციური ველების შემოქმედების შედეგად. (Федоров: 1969).

ამგვარად ასოციაციური ველი სქემატურად შეიძლება წარმოვადგინოთ განფენილი წრეების სახით, რომლის ცენტრში სიტყვა-სტიმულის /A / ზეგავლენით იქმნება სემანტიკური ველი, რომლის დომინანტიც არის სიტყვა-სტიმული A, ხოლო ველის წევრები კი მასთან ინვარიანტული მნიშვნელობით დაკავშირებული ელემენტები. დანარჩენ წრეებში თანმიმდევრულად განლაგდება სიტყვა-სტიმულის ასოციატები, რომელთა ერთობლიობა შექმნის A სიტყვა-სტიმულის ასოციაციურ ველებს. /AC, AC₂ AC₃/. რაც უფრო დაცილებულია წრე სემანტიკური ველისაგან, მით უფრო უფერულდება A სიტყვა-სტიმულის დომინანტური მნიშვნელობა და ამდენად AC₃...n განვიხილავთ, როგორც A სიტყვა-სტიმულის მეტაფორულ-ასოციაციურ ველებს. (იხ. ნახაზი №1, დანართი1).

ქვემოთ წარმოვადგენთ იმ ექსპერიმენტის შედეგებს, რომელიც ჩავატარეთ სიტყვათაშორის ასოციაციური კავშირების დასადგენად.

ექსპერიმენტი ჩატარდა ასოციაციური მეთოდის საფუძველზე. ცდისპირთა ჯგუფს დაურიგდა ბარათები, თითოეულ მათგანზე დაწერილი იყო ერთი სიტყვა ქართულ ენაზე. (წითელი, შავი, თეთრი, მზე, თევზი.....). ცდისპირებს ევალებოდათ ამავე ბარათზე დაეწერათ სიტყვები, რომლებიც აზრობრივად იქნებოდნენ დაკავშირებული სიტყვა-სტიმულთან. გარდა აზრობრივი კავშირისა დასაშვები იყო სხვადასხვა სახის ასოციაციების დამოწმებაც, რასაც იწვევდა მათში სიტყვა-სტიმული. ცდისპირთა

რაოდენობა-20. მშობლიური ენა-ქართული. ცდისპირებად ძირითადად შერჩეული იყვნენ ფილოლოგიურ ფაკულტეტის სტუდენტი გოგონები.

სიტყვა-სტიმულის „წითელი“ ასოციაციურმა ველმა ასოციაციათა სიხშირის მიხედვით ამგვარი სახე მიიღო: (ნახაზ. № 2, დანართი 1).

I მწკრივში განლაგდა სიტყვა-სტიმულის სემანტიკური ველის წევრები: მიხაკი, ვარდი, სისხლი, ვაშლი, დროშა, ყაყაჩო, ფანქარი, კაბა, მელანი, ცეცხლი, პომიდორი. ველის ყოველი წევრი შეიცავს წითელი ფერის სემას.

II მწკრივში წარმოდგენილია „წითელი“ სიტყვის ასოციატები: სილამაზე, ბედნიერება, გამარჯვება, ქორწილი, დღესასწაული, საჩუქარი, ცისარტყელა, კვერცი, მზე, დაბადების დღე. ლექსიკური ასოციაციები ძირითადად დადებითი და ამალღებული განწყობის გამომხატველნი არიან.


III მწკრივი შეიცავს მეტაფორულ ასოციაციებს: სიხარული, აღტაცება, სიმხიარულე, სიყვარული, სითბო, შემოდგომა, სირცხვილი, ცა, წიგნი. (ასოციატების უმრავლესობა დადებით ემოციებს გამოხატავს).

წარმოდგენილი მასალა შემდეგი დასკვნების საშუალებას იძლევა: სიტყვა-სტიმულის მეტაფორული სემანტიკის კვლევა ხელს შეუწყობს გამოიყოს მის კომპონენტებში რამდენიმე სემანტიკურად დაკავშირებული ელემენტი:


ა) სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, რომელიც გაუფერულებულია ასოციაციური ველის ზემოქმედებით.

ბ) ხატი რომელიც წარმოიქმნება სიტყვათა ასოციაციური ველის საფუძველზე.

გ) ახალი ლოგიკური შინაარსი, ახალი ნომინაცია, რაც დამყარებულია მეტაფორის ინდივიდუალურ გააზრებაზე.
დანართი 1.



A - სიტყვა-სტიმული
 A₁ - სიტყვა-სტიმულის სემანტიკური ველი
 A₂, A₃, A₄ - სიტყვა-სტიმულის ასოციაციური ველები
 A₅...n - სიტყვა-სტიმულის მეტაფორული ველები



ლიტერატურა:

- Балли Ш. Общая лингвистика и вопросы французского языка, М. 1955, 151
Гулыга Е., Шендельс Е. О компонентом анализе значимых единиц языкаю В кн. принципы и методы семантических исследований, М. 1976, 36
იანქოშვილი მ. სიტყვის მნიშვნელობის ბირთვული სტრუქტურა, „უცხოური ენები სკოლაში“ №3, 1972, 5
Федоров А. Семантическая основа образных средств языка, Новосибирск 1971, 45

FOR THE ASSOCIATION FIELD ISSUE OF SEMANTIC COMPONENTS OF THE WORD “RED”

Nino Okropiridze, Gori Teaching University, Full Professor

SUMMARY

The aim of the work is to show the existing semantic regulatory in the structure of word meaning and to establish semantic connections between the words through them.

On the base of conducted experiments it is established the circle of associates of word-stimulus “red” within the association field, in which there is presented as normative as metaphorical associates of this word-stimulus.

It is inferred that in the metaphorical word-combinations the origin meaning of word-stimulus is getting monotonously and in the second word it is becoming associative face creation as a result of influence of semantic association fields of the words uncommon connections.

დვალეთის ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის ანალიზი

ნიკოლოზ ოთინაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ქართული ენის ლექსიკა მდიდარი და ნაირფეროვანია, მათ შორის აღსანიშნავია დვალეთის ტოპონიმიკური ლექსიკა, რომელიც უძველესია და მიუხედავად მრავალი განსაცდელისა, საუკუნეების განმავლობაში დღემდე კარგად არის შემონახული. მისი ანალიზი როგორც კულტურული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა.

დვალეთი მუდამ საქართველოს შემადგენლობაში იყო საუკუნეების განმავლობაში. 1859 წელს ცარიზმის რუსეთმა ის თერგის ოლქს გადასცა. იგი მდებარეობს კავკასიონის ქედის პირიქით და პირაქეთ, რომელიც ერთმანეთს მთელი რიგი გადასასვლელებით უკავშირდება. ეს გადასასვლელებია ზეკარა, კასრისკარი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა და სხვები.

უცხოტომელების თავდასხმების შედეგად ქართული მოსახლეობა დვალეები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მშობლიური ადგილები და სხვადასხვა მხარეს ეძებნათ თავშესაფარი. ისინი გადასახლდნენ ძირითადად რაჭაში, ქართლში, ქვემო ქართლში და სხვა ადგილებში, რომელთა გამოვლენა და შესწავლა საშური საქმეა. ადგილზე დარჩენილი დვალეები ეთნიკურად შეიცვალნენ, მაგრამ თავიანთი წარმომავლობა კარგად იციან, დვალეთი შედიოდა ნიქოზის საეპისკოპოსოში.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: „არს ნიქოზის ეკლესია ღმრთაებისა დიდი გუნბათიანი, აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გუამი წმიდისა რაჟდენისა. მანვე გორგასალი ჰყო საეპისკოპოსოდ და დასუა ეპისკოპოზი. ზის დღესაც მწყემსი კავკასიონთა, დვალთა... (ვახუშტი, 1895). ვახუშტის მიხედვით „ქსნის, არაგვის, ლეხურის, ორი ლიახვის და კუდაროს მოსახლენი არიან დვალნივე, ამ დვალეთიდან გარდასულნი, რჯულითა, წესით და ზნითა ერთნი და დღესაც მონათესავენი ურთიერთა“ (ვახუშტი, 1997).

აღნიშნული სტრიქონები იმისი დასტურია, რომ დვალეები ქართველური ტომი იყო და მათ სრულიად უსაფუძვლოდ არაქართულ ტომად მიიჩნევენ. ამის დამტკიცებას განსაკუთრებით ზოგიერთი ოსი სწავლული ცდილობს, მაგრამ მათი ცდა ამაოა. ოსების შემოსვლის, ცხოვრების, ტრადიციის დამკვლევა ხელოვნურია, რადგან საქართველოში ამ ტომის ცხოვრება არც ისტორიულად და არც ტოპონიმებით არ დასტურდება. დვალეთის ტოპონიმიკური ლექსიკა ქართულია და მათი ახსნა მხოლოდ ქართული ენის საშუალებით შეიძლება და სხვა გზების ძიება ზედმეტია.

დვალეთის ტოპონიმის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ენის, ისტორიის, ეთნოგრაფიის სრულყოფილად შესაცნობად.

ზენა სოფელი, დვალეთი შედიოდა შიდა ქართლში და მას ზენა სოფელიც ეწოდებოდა. ლეონტი მროველის მიხედვით შიდა ქართლის ძველი სახელწოდება ზენა სოფელი ყოფილა. იგი წერს: „ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მცხეთოსსა მცხეთას და ეპყრა ქვეყანა არგვთაგან და ტვილისიდგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და მან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, და კასპი, არაგვთაგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკარამდე და უწოდა ამას ქუეყანასა ზენა-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვი შიდა ქართლი“ (ქართლის ცხოვრება, 1955).

ზენა სოფელი ტერიტორიულად შიდა ქართლს ემთხვეოდა, ოღონდ მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით და ეს ვრცელდებოდა საუკუნეების განმავლობაში კავკასიონამდე და იქითაც სადაც ქართველობა ცხოვრობდა.

ქართლის შიდა პროვინციებისათვის ზენა სოფლის წოდება დაუშვებელია. თუნდაც იმიტომ, რომ თვით ტერმინი ზენა – ზედას, ზემოს ნიშნავს და გახაზავს ზემო მხარის ტერიტორიების ლოკალიზაციას.

სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, იბერიის სამეფოს კულტურულ ცენტრთა გადმონაცვლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ზენა სოფლის მაგალითზე), რაც „ნათელს ჰფენს ბევრ ისტორიულსა და ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხს“ (ჯანაშია, 1952, II).

ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში“ ახასიათებს დვალეთის ერთ-ერთ ხეობას ქურთაულს, რომელსაც ტექსტში ხან ქურთათას უწოდებს. ეს ლექსიკური ერთეული ასევე დასტურდება ლიახვისა და ქსნის ხეობებში, გვხვდება მიკროტოპონიმებშიც. აღნიშნული ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიისათვის ამოსავლად მიგვაჩნია მთის დიალექტებში გავრცელებული სიტყვა **ქურთი** (წივა, გამხმარი ნაკელი), რომელსაც მთიელები ზამთარში საწვავად იყენებენ, მწყემსები კი პატარა ქოხებს აგებენ მთაში. ასეთი მასალა გამძლეა და წვიმის თქემს უძლებს. თავისუფლად შეიძლება დვალეთის ხეობას და სოფელს ქურთაული ეწოდა ზემოხსენებული სიტყვა ქურთის გამოისობით ან მცენარე „ქურთა“-ს გავრცელების გამო იყოს ტოპონიმური ლექსიკური ერთეული.

წლების წინათ, მდინარე ქსნის სათავეში, ნიჭიერმა ინფორმატორმა, მწყემსების თავგობანმა ლარგისელმა შაქრია ზარიძემ დაგვიდასტურა, რომ - ქურთი არის ცხვრის დრემლი, ნაკელი, რომელსაც მწყემსები ხმარობდნენ, იყენებდნენ მიწური სახლების გარედან შესაღესადაც. პატარა ლიახვის სათავეში სოფელ გაბილანთში ამ ოცი წლის წინათ ჯერ კიდევ გამოიყენებოდა ქურთი საწვავად, სამეურნეო ნაგებობის შესაღესად.

ქურთა, **ქურთის ხეობა** მდებარეობს მდინარე ქსნის ხეობაში, ქურთის წყალი სათავეს იღებს ჟამურის მთების სამხრეთ კალთებიდან და ქსნის მარჯვენა შენაკადია.

მსგავსად ქურთისა < ქურთა, ქუთა, ჭურთა, სოხთა, ქეშელთა, გუფთა და სხვები -თა სუფიქსი გეოგრაფიულ სახელთა გასაფორმებლად არის გამოყენებული ძველი დროიდანვე საქართველოში. როგორც ცნობილი მეცნიერი ვარლამ თოფურია აღნიშნავს: „-თა სუფიქსი ქართულ ნიადაგზე არის წარმომობილი და წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას. მას დროთა ვითარებაში ადგილის სახელის სუფიქსობის ფუნქცია დაუკავშირდა“ (ვ. თოფურია, 1924).

სიტყვის ძირი „ჭური“ ჩავარდნილ-ჩაღრმავებულ ადგილს ჰქვია მთის დიალექტებში (მ. ჩიქოვანი, 1949). ქურთის ხეობა მთებს შორისაა მოქცეული და იგი ამართლებს სიტყვა ქურთას, ჭურის მნიშვნელობას.

დიდი ლიახვი სათავეს იღებს ყელის ტბის ვულკანურ მთაინეთში, დასავლეთის მხარეს, ხოლო პატარა ლიახვი – ტბის სამხრეთის მხარეს. სახელწოდება ლიახვი პირველად მოხსენიებულია XI საუკუნეში, ისტორიკოს ლეონტი მროველთან „მდინარესა ზედა რომელსა ჰქვია ლიახვი“ წყაროებში ასევე გვხვდება ლიახუ, ლიეხუ.

ვახუშტი აღნიშნავს: „არს მდინარე ლიახვი, სარგებლიანი, მრწყელი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რიყიანი და ხმოვანი“ (ვახუშტი, 1895).

მდინარე ლიახვის სახელი რთული სიტყვაა. პირველი ნაწილი ლია ნიშნავს ლამიან ადგილს. მდინარეს ფერს აძლევს ის დამახასიათებელი გარემო, საიდანაც და სადაც მიედინება მდინარე. მდინარის სათავეს ეწოდება ლია, რომელიც მთას წარმოადგენს და მთის ბუნება, ფერი, მინარევები რეალურად ერწყმის მის შინაარსს. მეორე ნაწილის ახსნა ძველი ფორმით უნდა მოხდეს ლიახვუ, რაც ძლიერ ხმაურს ნიშნავს ძველი ქართულის მიხედვით.

ცნობილი მკვლევარი ზურაბ ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ „ლი-ლხუ და ლია-ლხუ სვანურად ყინულის დნობას, ლხობას ნიშნავს და შესაძლოა მასთან კავშირში იყოს თვით ლხობა ზმნის ძირიც (ლხუ-ებ-ა, ლლუ-ებ-ა)“ (ზ. ჭუმბურიძე, 203).

დვალეთის ჰიდრონიმების შესახებ ვახუშტი კვლავ გადმოგვცემს: „ამ მთის ადგილებთა შინა დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომდნობნი და მომნელებლნი, და სმენ მუნებურნი, უწოდებენ ვეძას“ (ვახუშტი, 123).

ვახუშტი დვალეთში აღნიშნავს მინერალური წყლების არსებობას და ამასთან დიდ ყურადღებას უთმობს სამკურნალოებს, ცივსა და თბილს, შეფასებული აქვს გამოყენებისა და დანიშნულების მიხედვით, ასეთი მაჩვენებლებით: თბილი, ცხელი, ძალიან ცხელი, წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და სხვა. დვალეთის მოსახლეობისათვის ვახუშტის დროს მეთვრამეტე საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში წყაროები ცნობილი იყო და მას მოსახლეობა ვეძას უწოდებდა, რაც ედის-ერმანის გარდა სხვა ადგილებშიც ბევრგან არის დადასტურებული. ვეძა ძველი ტერმინია და გამოიყენებოდა მინერალური წყაროების აღსანიშნავად და ხშირად საკუთარ სახელად – ტოპონიმად არის ქცეული, ხალხური ეტიმოლოგიით დღეს ნასოფლარი ედისი ვეძისიდან არის მიღებული, თუმცა ამას შემდგომი დაზუსტება სჭირდება.

დღევანდელი ყელის ტბა ვახუშტისთან დასტურდება, როგორც ქნოლოს მცირე ტბა. ძველი სახელი მიღებულია ქნოლოდან, რომელიც ცნობილი პროვინცია იყო შუა საუკუნეებში ლიახვის სათავეში და დვალთა განსახლების ადგილი იყო. შემდგომ ჰიდრონიმმა სახელი მიიღო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ყელისებური წაგრძელებულობის მიხედვით და დღევანდელი დაყოფით ახალგორის რაიონშია მოქცეული. იგი მდინარე ქსნის სათავეა.

ერწო ვრცელი მინდორია ჯავის რაიონში და ჰქვია მცირე დასახლებასაც. ეს ადგილი არის წყალგამყოფი მდინარეების – დიდი ლიახვის, ყვირილასი და ჯეჯორასი. აღმოსავლეთით კასპიის, დასავლეთით კი შავი ზღვის აუზებია. აქ რამდენიმე ნასოფლარია, რომელთაც ასევე ერწო ერქვათ. აქვეა ამავე სახელწოდების ტბა, საიდანაც სათავეს მდინარე ყვირილა იღებს. ერწოს ეტიმოლოგიას ბევრი მეცნიერი შეეხო და ისინი ძირითადად ბაცბურს უკავშირებენ და ქართულისაგან წარმოშობილად არ თვლიან. მიგვაჩნია, რომ ეტიმოლოგიურად ერწო ზმნურ ფორმას უნდა უკავშირდებოდეს და გადარწევას, გადასვლას უნდა ნიშნავდეს ერთი მხრიდან მეორე მხარეში, ამ შემთხვევაში ქართლიდან იმერეთში. მართლაც, ეს ადგილები არის ქართლის, იმერეთის, კუდაროს, რაჭის პროვინციებისაკენ მიმავალი და მომავალი გზების თავშესაყარი. აღსანიშნავია, რომ ეს სახელი ასევე დასტურდება ფრონეს ხეობაში და იქაც მაღალ ადგილებს ეწოდება.

დვალეთში მთების სახელებიდან აღსანიშნავია ხობის კავკასი, რომელზეც ვახუშტი აღნიშნავს: „მან მოიგო სახელი თვისი ხობით სვლისათვის რამეთუ ძნიად გარდვალს ცხენნი მას ზედა, გარნა მკვირცხნიდა - ჰირითა და მდებარებს მთა ესე აღმოსავლიდამ დასავლეთად“ (ვახუშტი, 1895). აქ სახელის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა და კომენტარი აღარაა საჭირო.

ბრუცსაბზელი, დვალეთში, ერთ-ერთი ვულკანური წარმონაქმნი, სახელი ორი ფუძისაგან არის წარმომდგარი. პირველი მრუდე იგივეა რაც ბრუდე, შებრუნებული, ხოლო სახურავი საბძლური ფორმიდან გამომდინარეს გამო ეწოდა საბზევე – საბზელი.

ზეკარდ, უნდა ნიშნავდეს ზემო კარს, რომელიც არის ერთ-ერთი მაღალმთიანეთი და ამავე დროს ჩრდილო კავკასიაშია გასასვლელი უღელტეხილი. სახელი დარქმეულია საუკუნეების წინათ და არაერთ წყაროშია მოხსენებული.

კასრის კარი, ვახუშტი აღწერს და აღნიშნავს, „არს კასრის ხეობა, რომელი იწოდების აწცა დვალეთად და არს ესე ხეობა კასრიკარიდამ ჩერქეზის მთამდე, შენობიან-დაბნებიანი. არს აქ კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნილი, დიდკამაროვანი მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნილი რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი და არს ესე ხეობა ფრიად მაგარი და შეუვალი“ (ვახუშტი, 1997).

კასრის კარის მოხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხეობა მართლაც კასრის ფორმისაა და დაცულია ბუნებრივი საშუალებებით – კლდეებით, რომლებიც ასევე ციხე-კომპებით არის გამაგრებული.

ძველ ქართულში კასრ-ფუძე „ციხე-კომპის“ მნიშვნელობით დასტურდება. საბას ლექსიკონში კარს ფუძისათვის ძირითადია სახლისა და ჭურჭლის მნიშვნელობები.

დვალეთის ისტორიის, ტოპონიმიკის, ლექსიკის აღდგენა, მეცნიერულ მიმოქცევაში ჩართვა ფრიად საშური საქმეა, რაც ქართული ენის ისტორიას ახალი მასალებით გაამდიდრებს. დვალეთის ლექსიკა დვალური ენის, დიალექტის ბუნების ამსახველია.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, ქართლი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ტფილისი, 1895, გვ. 130–131.
2. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, „მეცნიერება“, 1997, გვ. 116
3. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 24
4. სიმონ ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 288

5. ვ. თოფურია, ჩვენი მეცნიერება, №11-12, ტფილისი, 1924, გვ. 19
6. მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლექსიმური მასალების მიხედვით, პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბ., 1949, გვ. 47
7. ვახუშტი, იქვე, გვ. 77
8. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 203
9. ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, II, ტფ., 1895, გვ. 123
10. ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, II, ტფ., 1895, გვ. 114
11. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 115

SOME LEXICAL ANALYSES OF DVALETI

Nikoloz Otinashvili, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

Dvaleti is situated on the both slopes of the central Caucasus and was always in the Georgian territory for centuries until in 1859 Russia gave it to Tergi Region. Then the Dvaletians left their native places and settled in different parts of Georgia. Dvaleti belonged to Nikozi country in east Georgia.

Toponymic lexicology of Dvaleti is Georgian and it is possible to define its etymology only by means of the Georgian language and nothing else.

According to Leonti Mroveli – Zena sofeli (upper village) was the old title in Shida Kartli, which included the Georgian territories on the north bank of the river Mtkhvari and was spread to the Caucasian slopes though there were other our territories on the other sides of the Caucasus as well were the Georgians lived for centuries. The term zenaze means upper and refers to the territory.

Kurtauli, Kurtata is one of the gorges in Dvaleti. To resolve the problem of its etymology it is enough to present the word Kurti which is widely used in mountainous dialects even today and means fuel.

Churta, Churta gorge is situated in Ksani Gorge and the etymology of this word is connected with churi, which means a deep hole in the ground.

Liakhvi can be explained by means of the data of old Georgian and Svanuri dialect which means noise and in Svanurian it is translated as melting ice.

Veza was used to describe mineral waters in many Georgian dialects and in Dvaleti. It turned into toponymy. So can be said about many other Dvaletian words such as Khoki Caucasus, Karudlabzeli, Kasris Kari, Zekari etc.

The scientific study of such sources is of great importance because it will help to enrich the Georgian history and ethnography with new materials.

FRENCH LEXICAL TERMS IN INTERNATIONAL HOTEL INDUSTRY

Manana Shelia, Sokhumi State University, Associate Professor

Nazi (Nonna) Ushveridze, Sokhumi State University, Associate Professor

Maia Marghania, Sokhumi State University, Assistant Professor

E-mail: Maiko_margania@mail.ru

English language is included into the German group of an Indo-European family of languages. It is recognized as language of the international dialogue, much more advancing other languages on distribution in the Internet and on number of the people studying it. Even its reference to the German group is a little conditional, as, for example, a considerable part of words (is more exact, more than half) not German, but a Latin, French, Greek or unknown origin.

It is noteworthy to look back at the history of the English Language. The different people and ethnic groups have taken part in formation of English language - Celts, English-Saxons, Scandinavians, Normans ... Their languages mixed up also to it the island position of England for ever connecting various ethnic groups in this territory and compelling them to coexist, and eventually promoted and to mix up.

The Norman Conquest influenced the linguistic landscape of England decisively. As is known, at the time of Norman invasion, the vast amount of French loan words flowed into English that transformed the English language lexicon. [უშვერიძე, შელია, 2009]

Socio-historical conditions of development of the European society have developed so that from all languages the French language has given the greatest quantity of loans to other European languages. The numerous loans getting into English language during the different periods of its historical development reflect various spheres of human activity and concern almost all parties of material, political and cultural life of England.

It is obvious that the vocabulary of any language develops in two ways: by forming new words from elements existing in the language and by borrowings. The process of borrowings is mostly connected with the appearance of new notions which the loan words express. It is natural that the borrowing is seldom limited to one language. Words of identical origin that occur in several languages as a result simultaneous borrowings from one ultimate source are called international words. They play a significant part in various terminological systems. The French terms of mentioned sphere belong to all the languages in the world.

The object of our research is the use of French lexical terms in the sphere of international hotel and restaurant business.

As is known a hotel is an establishment that provides paid lodging on a short-term basis. The name 'hotel' applied since the late 17th century to an establishment supplying both food and lodging to the public. In development of the hotel industry the considerable contribution was brought by Europeans. [აბულაძე, 2008]

Development of world hotel industry is connected with tourism history. Hotel industry is perhaps one of the oldest enterprises in the world with establishment of money as a medium of exchange. In Medieval Ages people traveled more often and amount of hotels increased. Later travelers demanded a qualified service, better lodging conditions and comfort. The advent of Industrial Revolution brought progress ideas in the business of Inn keeping. The development of railways and ships made traveling more popular. The industrial Revolution also changed traveling from social to business status.

It is interesting to note that terminology of the hotel industry is in many respects obliged to Romans. Ultimately, hotel and hospital are the same word, but they have diverged widely over the centuries. Both go back to Medieval Latin **hospitāle** 'place where guests are received, hospice', but this developed in two different ways in Old French. One branch led with little change to English hospital, but a reduced form hostel also emerged (borrowed by English as hostel (13th c.)). Its modern French descendant is **hôtel**, from which English gets hotel (originally used in the sense 'large residence', as in the French **hôtel de ville** 'town hall', but since the 18th century increasingly restricted to its present-day sense). Other contributions made to English by Old French hostel are the derivatives hostelry (14th c.) and ostler (13th c.), originally (as hosteler) 'someone who receives guests' but since the 14th century used for someone who looks after horses at an inn. The French spelling, with the circumflex, was also used in English, but is now rare. The circumflex replaces **the's'** found in the earlier hostel spelling, which over time took on a new, but closely related meaning.

In the industry of hotel and tourist services the client usually addresses for system of service of hotel or restaurant. Both employees and clients cooperate with system of services that creates unique possibilities of the offer of a product of hotel business in its expanded interpretation. In the late 80s and the beginning of 90s have arisen political, economic and cultural conditions which have predetermined predisposition to loan words. Being as a part of the civilized world, desire to overcome our country tries to open orientation to the west in different areas. In this connection there are new realities, concepts transferring names from another's linguistic environment on the Georgian soil. Process of adaptation of a word speaking another language in the new environment begins with its moment of occurrences in language.

It should be noted that the large quantity of lexical units borrowed from French had difficult word-formation structure and influence of the French language affected greatly on the system of English word-formation. Ways of formation of terms are similar to derivational ways and to word-formation models on which the common-literary is formed lexicon.

The morphological way of formation of the term basically corresponds to the same way of word formation in a language: a) suffixes; b) prefixes; c) composition; d) abbreviation and etc.

The basis of terms has been considered from the point of view hotel and restaurant business. We devote special attention to the use of words with the suffix borrowed from French **-ier**. This suffix indicates occupation, from Fr., O.Fr. **-ier**, from L. **-arius** (also see **-er**. Nativized and used to form English words (hotelier, glazier, hosier, etc.; also see **-yer**). For instance, the trade **sommelier** has been confirmed in 1318 by the special decree of French king Phillip V. The origin and definitions of this word are the following: **sommelier** [sɔ̃mɛljɛ] n (Business / Commerce) a wine steward in a restaurant or hotel. Alternative title is a wine director. [Collins, 1458]

According to American Heritage dictionary the word ***sommelier** derives from middle French, dissimilated form of ***sommerier**, derivative of **sommier** one **charged with** arranging transportation, equivalent to **somme** burden (< Late Latin **sagma** horse load < Greek **sáigma** covering, pack saddle) + **-ier -ier**. This use of the term dates to a period when pack animals would be used to transport supplies. The Middle French probably finds its origin in Old Provençal where a **saumalier** was a pack animal driver. **Sauma** referred to a pack animal or the load of a pack animal. In Late Latin, **sagma** referred to a packsaddle. [The American Heritage® Dictionary, 2009]

Nearby abbreviation of a **sommelier** entries: **SOMF SOMFA SOMI SOML SOMM SOMN SOMO SOMPF SOMR SOMS**.

Synonyms: wine steward, sommelier, wine waiter, cavist. (Professional cavist possesses knowledge and level of preparation professional sommelier. A cavist is the person in charge of the cellar, in a store. The term "**cavist**" goes from the French word **cave** - "a cellar).

In rather dry definition, a sommelier is a French term (which most people could guess) and describes the individual who needs to know how to match each wine on the wine menu with the various foods the restaurant serves. Some restaurants also have the sommelier in charge of actual wine cellar stocking and replenishing.

Sommeliers are in charge of the interesting wine-serving ritual, involving the showing of the cork, the pouring of the sample, and the remaining wine pouring. Today it is impossible to present restaurant of high level without the person who chooses wine and strong alcoholic drinks, tastes them, does purchases, carrying out thus monitoring of suppliers, makes wine and cigar cards and, at last, will competently organize correct storage of wine.

The first **robot-sommelier** is designed in Japan, doing "tastes of one left", it understands wines almost as the live professional, defining mark of wine and grapes grade of which the drink is made. Thanks to scanning system infra-red radiation it can "taste" wines, cheeses and fruit. The growth of "electronic sommelier" in size with a bottle is approximately 40 centimeters. By means of left hand it manipulates and brings a glass with wine for tasting.

There are quite a wide number of different sommelier professions with regard to not only wine selection and tasting but carrying out other things. For example:

Cheese sommelier at present only serves on the ships of one of international cruise companies. The special tours for the clients are organized where they can take advices of professionals from the Austrian academy of cheese.

Tea taster (**tea sommelier**) is a specialized professional in the tea industry. The job of a tea taster is one among the most gifted careers in the world today. Tea tasting is totally an art, but needs the support of science to upgrade it to a career in the modern tea industry.

A cup taster (**coffee sommelier**) tastes and estimates different kinds of coffee.

Telephone sommeliers have appeared in Japan recently. Experts in new cellular receivers in Japan should have special licenses and constantly pass courses of improvement of qualification. They help to choose the best model of the device, proceeding from requirements and financial possibilities of the buyer. Besides, they are obliged to warn about the potential dangers connected with use of a receiver. Agency "France Press" has noticed that for today in Japan the given trade can be really claimed

Fummelier (cigar sommelier) is an expert of cigars and understands their combinations to various alcoholic drinks. This word could receive the basis, from Spanish fumar, and from French fumer - to "smoke". It is considered that the trade fummelier has appeared actually together with cigars, approximately in a XVII-th century. [Hill, 2010]

Hotels are changing and will continue to change. They have been affected by shifts in emphasis among the countries' living patterns. People and industry have moved from the so-called rust belt to the sun- belt. The hotel business has been active in reborn and reconstructed central cities all over the world. [Rutherford, O'Fallon, 2007]

Classification of hotels is based on many criteria and categories:

Apartotels: is a serviced apartment complex that uses a hotel-style booking system. It is similar to renting an apartment, but with no fixed contracts and occupants can 'check-out' whenever they wish

Motels: They are located primarily on highways, they provide lodging to highway travelers and also provide ample parking space. The length of stay is usually overnight.

Boatels: A house boat hotels is referred as boatels, houseboats which offers luxurious accommodation to travelers.

Rotels: These novel variants are hotel on wheel. They are trains providing a luxurious hotel atmosphere. Their interior is done like hotel room. They are normally used by small group of travelers.

Aquatels: The economic boats have shared dormitories and bathrooms, inexperienced (and non-English-speaking) guides, and mediocre food. There are four classes of boats: economic, tourist class, first class, and luxury. In appropriate way the equipped vessel withdrawn from operation as a vehicle and put permanently at a mooring and used as hotel.

Flotels: a portmanteau of the terms floating hotel, refers to the installation of living quarters on top of rafts or semi-submersible platforms. Flotels are used as hotels on rivers or in harbour areas, or as accommodation of working people, especially in the offshore oil industry.

Sofitels: is a luxury French hotel chain managed by Accor. It operates 192 hotels internationally, on all six inhabited continents.

Ecotels : Hotel with strict standards pertaining to preservation of the ecological system and so on.

Above- enumerated types of hotels (**apartotel, motel, boatel, rotel, aquatel, flotel, sofitel, ecotel**) noun stems of which is followed by the noun-forming suffix **-el**. The term **dead suffix** is used for suffixes disclosed by etymological analysis but having no relevance for the present state of the language. As a rule they are combined with bound stems. A few examples are: -d (deed, seed), -le/-l/ -el (bridle, sail, hovel), -lock (wedlock), -nd (friend), -red (hatred), etc. Also in verbs: -k (walk, talk), -l (kneel, whirl). These suffixes are fused with their stems. A suffix can also drop from the language altogether, like the Old English verbal suffix **-ettan** (droptettan), or be substituted by some other suffix or suffixes (OE. *stāniht* : ModE stony). [Arnold, 1973]

It should be noted that word-building processes involve not only qualitative but also quantitative changes. There is a specific group of formations connected with minor word formation processes. We have attracted special attention to blends, blendings (fusions or portmanteau) words. Blending is a process of creating a new word by combining the parts of two different words, usually the beginning of one word and the end of another. Such type of clipping are above-mentioned words: apartotel, motel, boatel, rotel, aquatel, flotel, sofitel, ecotel.

apartotel n < apartment + hotel
motel n < motor + hotel
boatel n < boat + hotel
rotel n < rotor + hotel
aquatel n < aqua + hotel
flotel n < floating + hotel
sofitel n < softie + hotel
ecotel n < ecological + hotel

As to the problem of assimilation of words, French terms were interacted with the system of the language as a whole. There are such words the pronunciation of which in the process of assimilation is phonetically incomplete. Loan words not completely assimilated graphically. These are for instant a large amount of words in which the final consonant is not pronounced: e.g. bouquet, buffet, ballet, etc. Some may keep a diacritic mark: café, cliché.

The conducted research revealed that the increasing number of terms gets into common language, and terminological problems make the increasing impact on language as a whole, therefore studying of position in area of special lexicon becomes more and more significant for language development. Undergone to the various morphological, phonetic and lexical changes, many loans have lost the French shape and aren't perceived more as foreign words. Submitting to laws of the borrowing language, some loans have developed the new values not peculiar to their primary variants. English is a living language, and it is growing all the time.

REFERENCES:

1. უშვერიძე ნ. შელაი მ. ინგლისური ენის ისტორია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009, გვ.137
2. აბულაძე კ. სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები, თბილისი 2008, გვ.17
3. Collins English Dictionary. Complete & Unabridged 10th Edition, 2009 © William Collins Sons & Co. Ltd.
4. Career Opportunities in the Food and Beverage Industry. K. Thompson Hill, 2010, p. 21.
5. Hotel Management. Denney G. Rutherford, Michael J. O'Fallon, John Wiley & Sons, INC. 2007, p. 1
6. The American Heritage® Dictionary of the English Language, Fourth Edition copyright ©2000 by Houghton Mifflin Company, 2009. Published by Houghton Mifflin Company.
7. Arnold I. V. The English Word. Moscow “V.S”., 1973, p. 57.

RESUME

We have attempted in this paper to present French Terms used in international Hotel industry. It should be noted that the large quantity of lexical units borrowed from French had difficult word-formation structure and it affected greatly of the system not only of English but other languages' word-formation.

The foreign element appeared in the English language due to economical, political, cultural and other contacts with other countries of the world. The main contacts are the result of the main historical events in the British history.

The areas of the English lexicon in which the influence of continental languages was to be felt reflect different spheres of life in which the French predominated most of all. In the late 80s and the beginning of 90s have arisen political, economic and cultural conditions which have predetermined predisposition to loan words.

The basis of terms has been considered from the point of view hotel and restaurant business. We have conducted the analyses of French terms in diachronic and synchronic plan. It should be noted that the large quantity of lexical units borrowed from French had difficult word-formation structure and influence of the French language affected greatly on the system of English word-formation. Ways of formation of terms are similar to derivational ways and to word-formation models on which the common-literary is formed lexicon.

The paper in question also touches upon the problems of minor word-formation processes, blending and assimilation of words- French terms interacted with the system of the language as a whole.

„გროტესკული რეალიზმი“ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიში“!

ქეთევან ბარბაქაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: qbarbakadze@gmail.com

2003 წელს ქართულ გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი „ლუარსაბ თათქარიძე, რომელიც მიემდგვნა XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლის, საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის (1837-1907) მოთხრობის „კაცია ადამიანიში!“ მთავარი პერსონაჟის, თავად ლუარსაბ თათქარიძის, გასტრონომიული სიამოვნების ასახვის მსგავსად, ჭამა-სმის კულტზე შექმნილ ლიტერატურული ნაწარმოებების ჯერ წარმოჩენას, შემდგომ - შეჯიბრს. ლუარსაბ თათქარიძის თუ თავად მოთხრობის შესახებ ლიტერატურათმცოდნეთა არაერთი გამოკვლევა არსებობს (გრ. კიკნაძე, გ. ჯიბლაძე, ლ. მინაშვილი და სხვ), თუმცა მათი კვლევა ძირითადად მიმართული იყო ბატონყმობის ინსტიტუტის, უვარგისი ცხოვრების წესის თუ სატირული ელემენტების ძიებისაკენ მხატვრულ ტექსტში. თავად ნაწარმოების სათაური - „კაცია-ადამიანი?!“, შემდგომ მთავარი პერსონაჟი, განსახიერებაა იმ ცხოვრების წესისა, რომლის მიხედვითაც ადამიანმა სიცოცხლე ჭამა-სმასა, ძილსა და მემკვიდრის დატოვებაზე ფიქრში უნდა გაატაროს. „ილიას მიხედვით, „ადამიანი“ საზოგადო სახელია ყველა ადამის შვილისა, დიდისაც და პატარისაც, ხოლო კაცი ნიშნავს სულიერად ზრდადასრულებულ ადამიანს, ერთი სიტყვით, ყველა ადამიანი არ არის კაცი, კაცობა სულიერი თვისებაა ადამიანისა. „კაცი“ მაღალსულიერი შინაარსის შემცველი სიტყვაა „ადამიანთან“ შედარებით. [მინაშვილი, 1995, 383]. მწერალმა ლუარსაბის სახეს ტიპური, განზოგადებული ნიშნები შემატა, მაგრამ გამოკვეთა მთავარი შტრიხი - ადამიანი, რომლის ძირითადი მიზანი გემრიელი ჭამა-სმა, ძილია ანუ ზრუნვა ხორცის აყვავებაზე, ხორცის ფუფუნებაზე, რაც ისეთი მართლმადიდებელი ოჯახის წარმომადგენლისათვის, როგორც იყო თავადი ლუარსაბ თათქარიძე, მკრეხელობაა, ქრისტეს მცნებათა დარღვევა. გურმანობა, ღორმუცელობა კი ძირითადი მახასიათებელია ლუარსაბ თათქარიძისა.

მკვლევარი გიორგი ჯიბლაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ლუარსაბ თათქარიძისათვის გათავისებულება ერთადერთი აზრი: „კაცი ძირგავარდნილი ქვევრია“, რომელსაც „ყოველ-დღე უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო“. ხსენებულ „თეორიულ“ რწმენას ლუარსაბი თვითონვე ახორციელებს „პრაქტიკაში“ [ქართული ლიტერატურის ისტორია, 1974, 86]. ამ „მრწამსიდან“ გამომდინარე, ლუარსაბის ლექსიკა, მოსაფერებელი სიტყვებიც კი დაკავშირებულია საკვებ პროდუქტთან, რაც აძლიერებს ირონიასა და სატირას მოთხრობაში: „შენ იცი ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების, აბა რა ვთქვა? - თუნდ მარილი იყოს“. ასეთი შედარება საზოგადოდ კომიკურია იმიტომ, რომ სიყვარული შედარებულია კვების საგნებთან. კერძოდ, აქ ჩვენი დაცინვის ძალა კიდევ უფრო მატულობს, რადგან თავისი ცხოველური ინტერესებით შემოფარგლულ სასაცილო ლუარსაბს გონია, რომ სულის და გულის ღირებულება ამალდებდა, თუ კი მათ წიწმატისა და ტარხუნის სახით წარმოვიდგენთ“. [კიკნაძე, 1953, 339-340]. მკვლევართა ნააზრევში განხილული მასალა ეხება ლუარსაბ თათქარიძის სულისა და ხორცის ურთიერთმიმართების საკითხებს, მაგრამ არაადამიანურ ასპექტს, არამედ თითქოსდა პირუტყვულ თვისებებს: ჭამა, სმა, ძილი, მემკვიდრეობის გაგრძელებაზე ფიქრი ყოველივე ეს გადმოცემულია სატირის თითქმის ყველა სახეობის გამოყენებით და მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა თავად საკითხი ლუარსაბის კვებისადმი დამოკიდებულებისა, განხილულია ან მხოლოდ მისი, როგორც სატირული პერსონაჟის წარმოსაჩენად, ან ავტორის იდეური ჩანაფიქრის გასახსნელად. ვფიქრობთ, აქ ძირითადი აქცენტი უნდა გადატანილიყო სწორედ ლუარსაბის იმ ძირითად რწმენაზე, რომლის მიხედვითაც კაცი, როგორც „ძირგავარდნილი ქვევრი“ ითხოვს განუწყვეტელ შეფასებას. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ, როგორ ხატავს რეალისტი მწერალი ლუარსაბს, როგორც მხოლოდ „ხორცის“ აყვავებაზე მზრუნველ კაცს, რომლის წყალობითაც „სული“ ჭკნება მის ბუნებაში. სწორედ ამ კუთხით განიხილავს მ. ბახტინიც ფრანსუა რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელს“, რომლის მიხედვითაც გროტესკული სხეული თითქოს არაფრით განსხვავდება დანარჩენი სამყაროს წარმომადგენელთაგან, მაგრამ განსხვავება მდგომარეობს სწორედ მისი ფორმირების წარმოჩინებაში (სხეულის ნაწილები, განსაკუთრებულად გამოკვეთილი მუცელი, თავი, ფეხები და სხვ). ასეთ ასახვას მ. ბახტინი უწუნებს „გროტესკულ რეალიზმს“, რაც დამახასიათებელი იყო რაბლეს, სერვანტესის, შექსპირის შემოქმედებისთვისაც, ამავდროულად, ხალხური ფოლკლორული რეალიზმისთვისაც. „გროტესკული რეალიზმის“ ნიმუშად წარმოგვიდგება სწორედ „კაცია ადამიანი“?!

„გროტესკული რეალიზმი“ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ყველა ხორციელ მახასიათებლებზე და მათი სატირის უმაღლესი წარმოჩენით, ერთდროულად, სასაცილოცაა და ჩამაფიქრებელიც. თავად ადამიანის აღნაგობა უნდა მეტყველებდეს მისი ინტერესების სფეროზე, ილია ჭავჭავაძე აქაც განსაკუთრებულ შტრიხებს მატებს თავის მთავარ პერსონაჟს: „თავად ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი - უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ - როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელი კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალეობას: თავი ისე მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგევით კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი დაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლიანებულნი, თითქოს ყელში თოკი წაუჭერიათო გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიად პატივსაცემი და პატივცემული ღიპი; კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები. დამორილი სხვილი ფეხები - ესე ყოველი ერთად და თვითეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერი სულის“ ღირსეული სამკაული.“ [ჭავჭავაძე, 1977:361]. ტექსტის ამ ნაწყვეტში სხეულის თითოეულ ნაწილს თავისი „გროტესკული“, ხორციელი დატვირთვა აქვს: თავი, მსხვილი, თითქმის კისერთან გაერთიანებული, გადმოგდებული მუცელი, რომელიც ჭამა-სმის მოყვარულობაზე მიანიშნებს მკითხველს და, ბოლოს, „ცით მონაბერი სული“, რომელიც მთლიანად გამქრალიყო ლუარსაბის სხეულში. როდის დაიწყო „ცით მონაბერი სულის“ გაქრობა ლუარსაბ თათქარიძეში? ამაზე ავტორი არაფერს გვიყვება, გარდა რამდენიმე ეპიზოდისა, რომელიც ახალგაზრდა თავადის მიერ ცოლის მოყვანას ეხება. აქ მოჩანს ლუარსაბის ერთადერთი დაინტერესება - მოიყვანოს შემღებული, მზეთუნახავი ცოლი, ბუნებრივია, იგი კარგ ჩამომავლობასაც აქცევს ყურადღებას, მაგრამ არ დაიწუნებდა თუნდაც უგვაროს, თუკი ბევრი ფული ექნებოდა. ლუარსაბისათვის ოჯახი და წარმომავლობა, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, ამ დათმობაზეც წავა. აქ უკვე მოჩანს ლუარსაბის პირველი დაინტერესების სფერო - მოიყვანოს ლამაზი, მდიდარი ცოლი, რომელიც გაუჩენს მემკვიდრეებს. რამდენადაც 20 წლის ლუარსაბის მაჰანკალთან დიალოგში მთლად ვერ იკვეთება, როგორი იყო თათქარიძეების ოჯახი, ანუ ვისი მემკვიდრეა ლუარსაბი, მხოლოდ ერთ ფრაზას შეიძლება დავჯერდეთ: „შენი გვარი დარდიმანდობასა და პურ-მარილობაში განთმულია“ - ეუბნება ყმაწვილს მაჰანკალი სუტ-კნენა - ეს კი კიდევ ერთხელ ასაბუთებს ლუარსაბ თათქარიძის ტიპურობას, რამდენადაც „კაცია ადამიანის?“ წინასიტყვაობის ერთ ვარიანტში ლუარსაბი, ანუ პერსონაჟი, რომელიც ამოჰყავს ავტორს ჭაობიდან (ცხოვრებიდან) დღის სინათლეზე გამოსაყვანად (ნაწარმოებში საჩვენებლად), გაცხარებული მიმართავს ილიას, რომ „ათასია იმისთანა“. „ცით მონაბერი სული“ დაჰკარგვია ლუარსაბს და ამაზე არც კი ჩივის, რადგან მიაჩნია, რომ ადამიანის კაცური ცხოვრება სწორედ მისეულ ცხოვრების წესშია. ამიტომ დასცინის იგი ახალგაზრდებს, რომლებსაც სწავლით ჯანსაღი ფერი აღარ ადევთ. აქ სულის განვითარებასა და სრულყოფაზე ზრუნვა მოჩანს, ლუარსაბი კი გაცხარებით ამტკიცებს, რომ „ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი“ [ჭავჭავაძე, 1977:361]. მხოლოდ ნაკითხობაა თუ არა „ცით მონაბერი სულის“ გამოხატულება, ამაზე ლუარსაბი არც კი ფიქრობს, რადგან მისთვის, როგორც ადამიანისათვის, კაცობა ძველებურად თოფით, ხანჯლით, მაგარი მკლავით, ან ახლებურად, მისებრი ცხოვრებაა.

„კაცია ადამიანამდე?!“ ლუარსაბის მსგავსი ტიპაჟი ქართულ ლიტერატურაში თითქმის უცნობია. არადა მისეული ცხოვრების წესი ყველა ეპოქაში იჩენს თავს. ყოველთვის არსებობს საზოგადოებაში უსაქმური, ჭამა-სმის გადაყოლილი, მცონარა, რომელიც ცდილობს ხაზგასმით გაამართლოს თავისი არსებობა. ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერით იწყებს ავტორი მოთხრობას და ამით აჩვენებს, როგორი შეიძლება იყოს მისი პერსონაჟის საცხოვრისი, სადაც ყველაფერს ადევს მიტოვებულობის, უყურადღებობის კვალი. ამის საპირისპიროდ მოგვიანებით შექმნილ ნაწარმოებში „ოთარაანთ ქვრივი“ ილია ხატავს გლეხი ქალის მოწესრიგებულ კარ-მიდამოს, ახასიათებს მისეულ ცხოვრების წესს და ასე მიუძღვება მკითხველს მთავარი პერსონაჟის ხასიათის გახსნისაკენ. ლუარსაბისათვის ყველაფერი ექვემდებარება კარგ პირის გემოს და ტახტზე ოცნებამიცემულ კოტრიალს ძილსა და ცხადს შორის. მწერლის მიერ დახატული პორტრეტიც პერსონაჟისა ყურადღებას ამახვილებს სწორედ მუცელზე, ღრმად-პატივცემულ და „პატივსაცემი ღიპზე“. „პატივსაცემი“ ღიპი ითხოვს მოვლას, ხორაგით ავსებას, აქედან მინიშნება გროტესკული პერსონაჟის გამალებულ სწრაფვაზე, არამცთუ დაიკმაყოფილოს დღის სხვადასხვა მონაკვეთში ჭამის მოთხოვნილება, არამედ შემდგომ იოცნებოს იმაზე, თუ რას როდის მიირთმევს, როგორ იქნება იგი შეზავებულ-შეკაზმული.

აქედან მოდის გროტესკული პერსონაჟის ყოველდღიური სუფრის მენიუც, რომლის დასახვეწად ლუარსაბი არცთუ იშვიათად მიმართავს, მისი აზრით, ფრიად საინტერესო დიალოგებს მეუღლე დარეჯანთან. რატომ მიმართავს ავტორი ამგვარ ხერხებს? მ. ბახტინი რაბლეს რომანზე „გარგანტუა და

პანტაგრული” მსჯელობისას არაერთხელ გამოკვეთს იმ ფაქტს, რამდენად საჭიროა გროტესკი და გროტესკული სახეების შესაქმნელად ჭამა-სმის რიტუალის ჰიპერბოლიზებული წარმოდგენა:

„В акте еды, как мы сказали, границы между телом и миром преодолеваются в положительном для тела смысле: оно торжествует над миром, над врагом, празднует победу над ним, растёт за его счёт. Этот момент победного торжества обязательно присущ всем пиршественным образом, ... Пир всегда торжествует победу – это принадлежит к самой природе его. Пиршественное торжество – универсально: это – торжество жизни над смертью” [ბახტინი, 1990:312].

ლუარსაბისათვის ჭამა „უძირო ქვევრის” ამოსავსებადაა საჭირო. მას ჭამა-სმის რიტუალი ავიწყებს უმემკვიდრეოდ გადაგების, სიკვდილის და მისი ქონების ძმა დავითის მიერ დასაკუთრების შიშს. ეს კარგად მოჩანს მოთხრობის რამდენიმე ეპიზოდში, როდესაც საზარელი სიზმრით გულგახეთქილი ლუარსაბი, შემდგომ, მეუღლესთან საუბარში შვილის ყოლით იმედმოცემული, მაშინვე კარგად დანაყრებასა და ჯერ დაუბადებელი შვილის ქორწილში მოლხენაზე ოცნებობს. გაითამაშებს კიდევაც დარეჯანთან ერთად სცენას შვილის ქორწილისა. ილიას ოსტატობა აქ განსაკუთრებული სახით ვლინდება, როდესაც ავტორი თავის პერსონაჟს ასაუბრებს სხვადასხვა, მისთვის ნუგზარ და სასურველ საჭმელებზე და გამოხატავს ერთდროულად ლუარსაბის პირის გემოსმოყვარეობასაც და გაუმაძღრობასაც. არის თუ არა ლუარსაბი გურმანი, პირის პატივის მოყვარული? არის თუ არა ლუარსაბი ღორმუცელი? ორივე ეპითეტი მიესადაგება ილიას პერსონაჟს. ლუარსაბს უყვარს კარგად დანაყრება: დილა, სადილი, ვახშამი, მისი კვების რიტუალისათვის აუცილებელია, თუმცა შეუძლია კარგად დანაყრებულმა კიდევ მიირთვას სასურველი კერძი. საყურადღებოა დიალოგი, რომელშიც ლუარსაბი კნენა დარეჯანთან ერთად არკვევს, რომელი კერძი უფრო გემრიელია და ნოყიერი, ჩიხრითმა თუ ბოზბაში? „-აბა რას მიედ-მოედები? - ეხლა კი გაანჩხლდა დარეჯანი, - ბოზბაში როგორა სჯობია ჩიხრითმასა, რომ როცა ჩიხრითმა მაგონდება - პირში წყალი მომდის, თუ მშიერიც ვარ - მაშინ უფრო, ბოზბაშიც კი არა. მაშ ჩიხრითმა სჯობნებია... - მაშ კარგი: შენ ხომ ჩიხრითმა მშიერს მოგვრის პირში ნერწყვსა, მე კი ბოზბაში - მამდარსაცა. აი, თუნდა ახლა: მე ხომ ამადამ შენზე მეტი მიჭამია, მაგრამ რომ მომაგონდება პირამდე პურ-ჩაყრილი, ჩაბუჭბუჭებული ბოზბაშით სავსე მათლაფა, თუ ზემოდამაც ერთი კანჭი აძევს!...რას ამბობ, დედაკაცო? მე მოგიკვდი, თუ შენ გესმოდეს რამე: ბოზბაში წვნიანების მეფეა, როგორც თართი - თევზებისა” [ჭავჭავაძე, 1967:391-392].

ორივე კერძი, რომლებზედაც „საქმიანად დაობს” ცოლ-ქმარი ქართული, კერძოდ კახური, სამზარეულოს, შემადგენელი ნაწილია და მათი მომზადების წესებიც პერიოდულად ქვეყნდებოდა კიდევ ჯერ კიდევ ჟურნალ „ცისკრის” ფურცლებზე. პირველი ქართული სამზარეულოს წიგნი „სრული სამზარეულო” 1874 წელს გამოსცა ილიას მოპაექრემ მამათა და შვილთა ბრძოლაში, მწერალმა ქალმა ბარბარა ჯორჯაძემ. ჩიხრითმა ბატკნის, ქათმის, ინდოურისა და ბატისაგან მზადდებოდა, ბოზბაში კი - ცხვრის ხორცისგან. ორივე კერძიდან ლუარსაბის ინტერესი ბოზბაშისაკენ უფრო იმიტომ იხრება, რომ ეს კერძი ძალიან მსუყე და ნოყიერია, მეტად დაანაყრებს პირისგემოს მოყვარულ თავადს. ასევე სასურველია ლუარსაბისათვის წიწმატი, ტარხუნა - ქართული სუფრის საყვარელი მწვანილი, კიტრი, სხვადასხვანაირად მომზადებული თევზი და სხვ. ასე, რომ მისი სუფრა გემრიელი, ნოყიერი საჭმლით მეტად მდიდარია და თავად ლუარსაბიც არ ჯერდება დაგემოვნებას, მისი „ხორცის ქვევრი” ავსებას ვერ ასწრებს, რომ იცლება და ახალ შევსებას საჭიროებს. აქ გროტესკი ნელდება, რამდენადაც იგი ბუნებრივი რეალობაა იმ „ათასი ტიპისათვის”, რომლის ერთ ზოგად სახეში დასახატად შეარჩია ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბ თათქარიძე. რაც შეეხება სასმელს, აქაც ლუარსაბი თავის გამოჩენას ცდილობს: „-ვენაცვალე კახეთსა! - ამბობდა მთვრალი ლუარსაბი ენადაბმით, - ვენაცვალე! ეგ რომ არა ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. მაშ მე რაღა კაცი ვიქნებოდი? ჩემს განთქმულ სახელსა მაშ ვინდა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენიება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი ამ შავი ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენს საქართველოში ორიც არ დალევეს, დიდი მსმელი ვარ”. [ჭავჭავაძე, 1977:440]. აქ ლუარსაბის გროტესკი ძლიერდება და თავად ახდენს საკუთარი შესამღებლობების ჰიპერბოლიზაციას: „...ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება, მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გავიხადე ის ფხიკიანი იმერელი, რომ სულ ჩემი მზე ვაფიცებინე. თვითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ-დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმიად ჩამჩურჩულა: სანამლეო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო” [ჭავჭავაძე, 1977:440] თუმცა ლუარსაბი არ არის ლოთი, ის უფრო გურმანია, რომელსაც ღვინო სუფრაზე საჭმელთან მისატანებლად სჭირდება. ამიტომ მისი თხრობა მხოლოდ მომავალი მემკვიდრის იმედის ჩასახვის მიზეზით ხდება, როგორც აღნიშვნა ამ ფაქტისა. მაგრამ არის თუ არა სიამოვნება ნაყროვანებით, ხორცის ფუფუნებით ხანგრძლივი? დარეჯანის გარდაცვალების შემდგომ ლუარსაბს სევდა ეუფლება: საყვარელი მეუღლე დაკარგა, მემკვიდრე აღარ დარჩა. „ორი სიამოვნებალა დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი - მადა, მეორე ისა, რომ ლამაზისეული ფეხთ უჯდა ხოლმე, როცა ძილს დააპირებდა ბატონი” [ჭავჭავაძე, 1977:442]. აქ კი

იწყება ლუარსაბის „ხორცის“ ჭკნობა, იცვლება მისი პორტრეტიც: „ფაშვი ჩამოებლერტა, წითელი ლოყები დაუყვითლდა, თვალები მიელია, დაბაზივ დაუპატარავდა. რატომ? ავტორი იქვე მიანიშნებს: მწუხარებითო. მამ ლუარსაბშიც არის მარცვალი სიყვარულისა, განუვითარებელი მარცვალი ერთგული მეუღლისადმი გრძნობისა. ამის გამოხატვას ყოველთვის ცდილობდა ლუარსაბი, მაგრამ ვერ გაერკვია მისი არსებითი მნიშვნელობა. სიკვდილიც მოახლოვდა. აქ ავტორი კიდევ ერთხელ მიმართავს გროტესკს. პერსონაჟი მწუხარებისგან მიილია, აღარც ჭამა უნელეს სევდას, აღარც – სმა. ხორცი განწირულია დაღუპვისათვის, მაგრამ რით უნდა მოხდეს მისი კვდომა? „ბოლოს, ფერიცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკურად ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა, ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონს“ [ჭავჭავაძე, 1977:442]. ლუარსაბის სიკვდილი, ერთი შეხედვით, ბუნებრივიცაა, და არაბუნებრივიც: ჭამა-სმის მოყვარულ კაცს საჭმელი მეტი მოუვიდა და გარდაიცვალა. ამაშია „გროტესკული რეალიზმის“, კიდევ ერთი თვისება: მწუხარების ნაცვლად მკითხველი ვერ ფარავს გაცემას და ისეც იცინის, ჭამას გადაჰყვავს ლუარსაბიო.

„ცით მონაბერი სული“ დაიკარგა ლუარსაბში, დაიკარგა, გაიშალა და გაქრა მის გაღვივებულ სხეულში. ამიტომ აკეთებს ავტორი ასე უცნაურ დასასრულს მოთხრობის ბოლოს: „მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავისი სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანას და არც თავისი სიკვდილით აკლებენ“. [ჭავჭავაძე, 1977:442] აქ ისევ ერთვება ავტორი და ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი თავის მიზანსწრაფვაში: გამოსწორდეს, ამ მაგალითზე დაყრდნობით დაფიქრდეს იმაზე, რა არის ადამიანის ცხოვრების მიზანი და კაცობიობის არსი. გროტესკი, ირონია, სატირთა, ჰიპერბოლა - ყველა ერთად და ცალ-ცალკე - ნაწარმოების თითოეულ ადგილას გამოკვეთს პერსონაჟს, სიცილი კი თითქოს ხალხურობასთან აახლოებს ავტორს, იგი იცინის და ტირის პერსონაჟის ქმედებაზე, ამასვე მოითხოვს მკითხველისაგან, რამდენადაც კრიტიკული რეალიზმი თავისი სენტენციურობით მიმთითებელია, გამკრიტიკებელიც და გზის მაჩვენებელიც.

ილია ჭავჭავაძის „გროტესკული რეალიზმი“ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ კულმინაციას აღწევს და მხატვრული ოსტატობის იშვიათ ნიმუშად წარმოგვიდგება. ღვთით ბოძებული ცხოველი სულის სხეულის ჭურჭელში ზომიერად შენარჩუნება და „კაცობის“ ცნების გამართლება, ამაშია ავტორის ძირითადი მიზანსწრაფვაც.

ლიტერატურა:

ზახტინი, 1990: Бахтин М М Франсуа Рабле народная культура средние вековья и Ренесанса, М Художественная литературе, 1990.

კიკნაძე, 1953: კიკნაძე გრიგოლ, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1953.

მინაშვილი, 1995: მინაშვილი ლადო, „ილია ჭავჭავაძე“, თბილისი, თსუ, გამომცემლობა, 1995.

ქართული ლიტერატურის ისტორია, 1974: ჯიბლაძე გ. ი. ჭავჭავაძე კრებულში „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. IV, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974.

ჭავჭავაძე, 1977: ჭავჭავაძე ილია, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1977.

“GROTESQUE REALISM” IN “IS A MAN A HUMAN?!” BY ILIA CHAVCHAVADZE

Ketevan Barbakadze, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

“Grotesque Realism” draws attention to delivering a human’s corporal cover by artistic colors and by this satire is more and more intensified. In the story “Is a Man a Human?!” by Ilia Chavchavadze Luarsab Tataridze is just the grotesque character in which “the soul moistened by heaven” had disappeared and the flesh requires filling up again and again like “a bottomless pitcher”. Ilia directs the readers’ attention to the simple references of Luarsab’s living rules and by means of grotesque methods wonderfully draws the character sketch of a “one of a thousand” type of a person declined to cattle for whom taking care of developing own spirit is quite strange (unknown). Losing the spirit in the wrinkles of “blossomed flesh” abolishes the human harmony and due to this the presented character looks funny.

Showing the abolishing of the harmony in the story “Is a Man a Human?!” Ilia Chavchavadze, as an outstanding representative of critical realism, significantly indicating what kind a man should be and not be like the personality of Luarsab Tataridze.

From the point of “grotesque realism” Ilia chavchavadze appears the follower of the Rabelais course in the Georgian literature.

**ორი ქრიზანთემა - დევიდ ჰერბერტ ლორენსის „ქრიზანთემების სურნელისა“
და ჯონ სტეინბეკის „ქრიზანთემების“ მიხედვით
(ლიტერატურულ-სტილისტური ანალიზი)**

**ელენე ხოჯევანიშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
მაია ბოლაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მასწავლებელი**

სათაური ნაწარმოების ორგანული, განუყოფელი ნაწილია და მრავალი ძაფითაა დაკავშირებული ტექსტის ქსოვილთან. შთამბეჭდავი პოეტური სათაურები შემთხვევით არ შეურჩევიათ თავისი საუკეთესო მოთხრობებისათვის ცნობილ მწერლებს დევიდ ლორენსს - „ქრიზანთემების სურნელი“- და ჯონ სტეინბეკს - „ქრიზანთემები.“

ქრიზანთემა ბერძნული სიტყვაა (chrysanthemon-chrysos - ოქრო, anthemion - ყვავილი) და „ოქროს ყვავილს“ ნიშნავს. ამ უძველესი ყვავილის წარმოშობის ისტორია მითებსა და ლეგენდებში იკარგება. ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მიწურულს ჩინეთიდან შეიტანეს ქრიზანთემა იაპონიაში და ლეგენდის მიხედვით სწორედ მასთანაა დაკავშირებული ამ ქვეყნის დაარსებაც, ალბათ ამიტომაც, თექვსმეტფურცლიანი ოქროს ქრიზანთემა ათასი წლის განმავლობაში იმპერატორის სიმბოლო იყო, პოეტები ხოტბას ასხამდნენ და იმართებოდა მისი სახელობის დღესასწაულები. აზიის ქვეყნებში ესოდენ პოპულარული ეს ყვავილი ევროპაში მხოლოდ XVIII საუკუნეში გამოჩნდა და აქ სრულიად განსხვავებული სიმბოლური დატვირთვა შეიძინა: მალტასა და იტალიაში ის უიღბლობის მომტანად მიიჩნევა და სახლში არ შეაქვთ, გლოვის ყვავილია იგი ინგლისში, ასევე მწუხარების დღეებთან ასოცირდება ქრიზანთემა ესპანეთში, საბერძნეთში, უნგრეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში.

„ქრიზანთემების სურნელი“ 1911 წელს დაიბეჭდა „ინგლიშ რევიუ“-ში და მის გამოცემელს ფორდ მედოქს ჰიუფერს, მოხდენილად შერჩეული სათაურით მოხიბლულს, უთქვამს: „ეს გამოწვევაცაა და ამავე დროს მინიშნებაც.“ სწორედ ქრიზანთემა და მასთან დაკავშირებული უიღბლობის, გლოვის და მწუხარების ასოციაციები გასდევს რეფრენად ორივე მოთხრობას დასაწყისიდან დასასრულამდე, რაც განსაკუთრებულ ექსპრესიას სძენს თხრობას და მკითხველზე ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენს. მოთხრობების სხვადასხვა ადგილას გვახსენებს თავს გაბურძნეული, ვარდისფერი თუ ჩამოფლეთილი... ფერწასული, ფერმკრთალი თუ მოწითალო ქრიზანთემები, სულს გვიხუთავს მისი მძაფრი, მწარე სუნი... ამიტომაც იწვევს ასოციაციათა ნაკადს მოთხრობათა სიმბოლური სათაურები.

„ქრიზანთემების სურნელში“ მისის ბეიტისათვის ქრიზანთემებს „ცივი, სიკვდილის სუნი ასდით.“ (დ. ჰ. ლორენსი, 1988). ისინი ქალს იმ ტკივილს ახსენებენ, რომელიც მისი მთვრალი ქმრის შინ პირველად მოყვანასთანაა დაკავშირებული: „ღიღილოში მოწითალო ქრიზანთემა ჰქონდა გარჭობილი, როდესაც პირველად მოიტანეს სახლში მთვრალი.“ (დ. ჰ. ლორენსი, 1988). ქრიზანთემების ლარნაკი იმსხვრევა, როცა მისტერ ვოლტერ ბეიტს სახლში გარდაცვლილს მიასვენებენ.

კრიტიკოსთა ყურადღება და აღფრთოვანება არც სტეინბეკის 1938 წელს გამოქვეყნებულ „ქრიზანთემებს“ მოჰკლებია. მას არა მხოლოდ სტეინბეკის შედევრად, სტილისტურად და თემატურად საინტერესო ოსტატობის საუცხოო ნიმუშად მიიჩნევენ, არამედ ერთ-ერთ უმშვენიერეს ამერიკულ მოთხრობადაც, რაც კი ოდესმე დაწერილა. კრიტიკოსთა ერთმა ნაწილმა მასში ლორენსის „ქრიზანთემების სურნელის“ გავლენა დაინახა. პარალელები ამ ორ მოთხრობაში მართლაც მრავლად იძებნება და იგი სათაურიდანვე საცნაური ხდება. მკითხველისათვის აქაც ნათელია სათაურის კავშირი ნაწარმოების პრობლემატიკასთან და გზას უხსნის მის წარმოსახვით ფანტაზიას: ქრიზანთემები აქ ელიზა ალენის დაუვიწყარი სახის არსებობის, მისი ცხოვრებისეული სიცარიელის და უიღბლო ქორწინების სიმბოლოდ ქცეულან.

ელიზა ისე სათუთად დასტრიალებს თავს ქრიზანთემების გამხმარ ღეროებს, ისეთ დედობრივ მზრუნველობას იჩენს მათი ნორჩი ამონაყრის მიმართ, ისე ეფერება და დაჰხარის ყვითელ და თეთრ ქრიზანთემებს და მის ახალწამოზრდილ ჩითილებს, რომ ეს ყოველივე შვილების ყოლის სურვილის და მათი არყოლით გამოწვეული ძლიერი იმედგაცრუების ნიშნად მივიჩნიეთ, რადგან როგორც მოთხრობის ფურცლებიდან ირკვევა, იგი ქალისათვის მთავარ, დედობის ფუნქციას მოკლებულია. ალბათ, ამიტომაც უკლავს მას გულს ქმრის გულგრილობა და ინდიფერენტიზმი, რომელსაც არაფრად მიაჩნია ელიზას ნასათუთარი, დიდრონი ქრიზანთემები, ხოლო როცა შემთხვევით შემხვედრი ხელოსანი მისი ქრიზანთემების ხილვით აღფრთოვანდება და მას რომანტიკულად „ფერადი კვამლის ბოლქვს“ შეადარებს, ელიზა ამას საკუთარ თავყანისცემად აღიქვამს და მასში საოცარი ქალური გრძნობები

იღვიძებს: გაბრწყინებული თვალებით და ხელის უნებლიე მოძრაობით ქმრის უსახურ, თვალებზე ჩამოფხატულ ქუდს მოიძრობს და „შავ, ლამაზ თმებს მხრებზე გადაიყრის“. (ჯ. სტეინბეკი, 1966). ამ მეტყველ სცენაში პერსონაჟის სულიერი დაძაბულობა ყველაზე ნათლად უნებლიე მოძრაობამ გამოამჟღავნა და ეს ჟესტი ექსპლიციტურად ასახავს ქალის შინაგან განცდას და მას უაღრესად ფაქიზი ბუნების, უსასოო არსებად წარმოგვიჩენს. ელიზას მიერ უცხო მამაკაცისათვის ყვავილებით სავსე ქოთნის ჩუქება საკუთარი შინაგანი მეს მიძღვნის სიმბოლური გამოხატულებაა.

ორივე მოთხრობის გულდასმით გაცნობას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მათი კონცეპტი ბოლომდე ამოუხსნელი დარჩება მანამ, ვიდრე მათში გამოყენებული სხვადასხვა სიმბოლოების და სტილისტური ხერხების ღრმა მნიშვნელობებს არ ჩავწვდებით.

ჩვენი საკვლევი ორივე მოთხრობის მთავარი გმირი ქალია: ელიზაბეთი („ქრიზანთემების სურნელი“) და ელიზა („ქრიზანთემები“). მათთვის მხოლოდ სახელები არ შეურჩევიათ ერთნაირი ავტორებს, (ელიზა ელიზაბეთის კნინობითი ფორმა) გარეგნობაშიც ბევრი აქვთ საერთო და ორივე უიღბლო ქორწინების მსგავს ხვედრს იზიარებს. ელიზაბეთ ბეიტსი „ლამაზი, მაღალი, მედიდური შესახედაობის ქალი იყო, შავ გადაკალმულ წარბებიანი. შავი გადატკეცილი თმა ზუსტად შუაზე გაეყო.“ (დ. ჰ. ლორენსი, 1988), ელიზა „ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, გამხდარი, ძლიერი სახე და ნათელი თვალები ჰქონდა.“ (ჯ. სტეინბეკი, 1966). ორივე ქალის გარეგნობა კალმის ერთი მოსმით, საკმაოდ შთამბეჭდავდაა მოცემული.

ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს მათი სახლებიც: „...გზიდან სულ რაღაც სამიოდე საფეხურის ქვევით, პატარა, დაბალი სახლი წამოსკუპებულიყო. სახლის კედელზე ასულ მსხვილფეხებიან ბებერ ვაზს კლანჭებით გაებარჯდა ლერწები, თითქოს კრამიტით გადახურულ სახურავს უნდა ჩააფრინდესო. მოკირწყლული ეზოს გარშემო ჩაყოლებულ ფურისულეებს ჭკნობა შეჰპარვოდათ“. (დ. ჰ. ლორენსი, 1988). „ელიზას ზურგსუკან წითელი ნემსიწვერებით გარშემორტყმული კოპწია, თეთრი სახლი იდგა, ნემსიწვერები სახლს თითქმის ფანჯრებამდე სწვდებოდა. გულმოდგინედ დაგვილ-დასუფთავებული და ფანჯრებდაკრიალებული პატარა სახლის კიბეზე სუფთა ჭილობი ეფინა“. (ჯ. სტეინბეკი, 1966).

ორივე ნაწარმოები ისეა აგებული, რომ თითოეულ მათგანში რამდენიმე ფსიქოლოგიურად დატვირთული სცენა მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, წლის ერთსა და იმავე დროს, ზამთრის პირზე ხდება. ქრიზანთემებიც, შემოდგომის სიმფონიის ეს უკანასკნელი აკორდიც, ორივე მოთხრობაში სახლის გარშემო გაშენებულ ბაღებშია შემორჩენილი. ნაცრისფერ ნისლშია გახვეული ორივე მოთხრობის სიუჟეტი და „დამჭკნარი ფოთლები“, „სიცივით დამზრალი“, „ტოტებჩამოყრილი ვაშლის ხე“, „მეშახტეთა ნაცრისფერი, პირქუში ლანდები“, „სახლების გრძელი შავი რიგი“, (დ. ჰ. ლორენსი, 1988). „ზამთრის მზის უსიცოცხლო სხივები“, „ქრიზანთემების გამხმარი ღერები“, „გადაყვითლებული ნაყანეები“ (ჯ. სტეინბეკი, 1966) მკითხველს სევდიანი ისტორიის მოსასმენად განაწყობს, თუმცა მოთხრობებში აღწერილი მკაცრი და უღმობელი, რუტინული ცხოვრების სავარაუდო განვითარება მასზე მოულოდნელ ეფექტს ახდენს.

შეუმჩნევლად ჩამომდგარი ნისლი და ბურუსიანი ბინდბუნდი ირგვლივ გამეფებულ რუხ, უსიცოცხლო ფერებს, უკაცრიელ და პირქუშ გარემოს, სიცივით დამზრალ ხეებს და ელიზაბეთ ბეიტსის უსასოობის ბეჭედდასმულ ბაგეებს კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. მოთხრობაში მთელი მოქმედება უკუნ სიბნელეში ხდება: „ბაღიცა და მინდვრებიც უკუნ სიბნელეს მოეცვა, სიბნელეში აჩრდილს დამსგავსებიან თეთრ ბუხართან მოფუსფუსე ლანდები.“ (დ. ჰ. ლორენსი, 1988) „ვერაფერს ვხედავ“, (ჯ. სტეინბეკი, 1966) ისმის უჩინარი ჯონის ბუზღუნის. ვფიქრობთ, არც ეს პასაჟია მოთხრობაში შემთხვევითი. ქვეტექსტი ნათელია, რამდენადაც თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ სიბნელეში ხდება ნათლის ჭვრეტა და ჭემმარიტების შეცნობა, ნაწარმოებში გამეფებული უკუნი შესაძლებელია ელიზაბეთის შინაგანი სამყაროს ტრანსფორმაციის მინიშნებად მივიჩნიოთ.

ზამთრისპირის სქლად დაფენილი ნაცრისფერი ნისლი მიჯნავს მთელი სამყაროსაგან ელიზა ალენის საცხოვრისსაც. ნისლით შებურვილი სელინის ხეობის სურათის აღწერით იწყება სტეინბეკის „ქრიზანთემები“, უთუოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს ნისლს ამ მოთხრობაშიც. იგი მოძრაობის, თვალსაწიერის შემფერხებლად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული. ასევე ელიზას ბაღზე გარშემორტყმული ღობე მხოლოდ საქონლის, ძაღლების და ქათმებისაგან კი არ იცავს მას, არამედ სიმბოლურად მკვეთრ სამანს ავლებს ქალის ცხოვრებასა და ჭუჭყითა და სიდუხჭირით სავსე უღმობელ რეალურ სამყაროს შორის, იზოლირებულ გარემოში აქცევს და სულიერად ფიტავს ქალს. იგი იძულებულია თავისი შესაძლებლობები მხოლოდ ჩაკეტილ სივრცეში გამოავლინოს, (მისი ბაღი უნიკალურია, მისი მოვლილი ქრიზანთემები - განსაკუთრებული, ყველაფერს ახარებს, რასაც ხელს მოკიდებს, „მისი გაწაფული თითები მავნებლებს გამრავლებას არ აცლიან“, (ჯ. სტეინბეკი, 1966) თუმცა შინაგანი ხმა რაღაც უფრო დიდის, მნიშვნელოვანის შექმნისკენ და რუტინული ყოფის ზღუდეების გარღვევისაკენ უბიძგებს, მაგრამ მას არ ჰყოფნის რწმენა, იგი თითქოს საკუთარ თავსაც ადანაშაულებს ჩაკეტილი საზოგადოების ვიწრო თვალსაწიერის გარღვევის მცდელობისათვის და ამიტომაც

დასამარცხებლადაა განწირული გარშემო არსებულ სიცარიელესთან ბრძოლაში. ამოდ ელოდება ის მეუღლისაგან მისი მომხიბლავობის და ქალურობის აღიარებას, რაც მას რომანტიკით ადავსებს, მაგრამ ამის სანაცვლოდ მხოლოდ ერთადერთ „კომპლიმენტს“ იღებს მისგან: „შენ ახლა ისეთი ძლიერი ჩანხარ, რომ მოინდომო, ალბათ ამ მთის დაფშვნაც არ გაგიჭირდება“. (ჯ. სტეინბეკი, 1966). მისი იმედები და მოლოდინი ძირფესვიანად იმსხვრევა... ქალი ხვდება, რომ კვლავ ძველებურად მოუწევს ცხოვრების გაგრძელება და ალბათ ამიტომაც, ქმრისგან უჩუმრად, პალტოს აწეული საყელოს მიღმა „მოხუცებული ქალივით უმწეოდ ატირდება“ (ჯ. სტეინბეკი, 1966).

მართალია, სტეინბეკი მოთხრობის დასაწყისში გვაფრთხილებს, რომ „ნისლი და წვიმა ერთად არ არის“, რაც ერთი შეხედვით სიმბოლური მინიშნებაა იმაზე, რომ ელიზას ცრემლები მინდორში ჩამოწოლილ ნისლს ვერ გაფანტავენ, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ცრემლი ზოგადად სინანულის სიმბოლოა, ხსნა კი სწორედ სინანულშია, სტეინბეკის მიერ მკითხველისათვის დატოვილი შეკითხვა ქალის მომავალი ბედის შესახებ, პასუხგაცემულად შეიძლება ჩაითვალოს!

ისევე, როგორც მოულოდნელია ელიზას ცრემლები, რომელიც თითქოს იმედიანად შეჰყურებდა ქმრის ინიციატივით მასთან ერთად საღამოს გასეირნებას, მკითხველში ერთგვარ დაბნეულობას იწვევს მეუღლის უეცარი გარდაცვალების გამო მისის ბეიტის ცრემლი და სინანული, რადგან ელიზაბეთი ქმრის საქციელით მუდამ შეურაცხყოფილი, დამცირებული და განადგურებულია. მათ შორის ჰარმონია დარღვეულია და დიდი ხანია აღარაფერი აკავშირებთ, ერთი მთლიანობის ორი აუცილებელი ნაწილი ვერ ერთიანდება და ისინი ერთმანეთისათვის სრულიად უცხონი რჩებიან, მაგრამ ქალი სწორედ ქმრის საზარელი სიკვდილის გამო განიცდის დამთრგუნველი სინდისის ქენჯნას, ხვდება და თავს უტყდება იმაში, რომ საკუთარ უბედურებაში თავადაც დამნაშავეა: „ელიზაბეთი ისევ იატაკზე დაეშვა, აკანკალებულმა და ათრთოლებულმა სახე ქმრის კისერში ჩამალა, მაგრამ ისევ უკან დაიწია.“ (დ. ჰ. ლორენსი, 1988). ელიზაბეთის ეს „გარდაქმნა“, მისი სულიერი ტკივილი, დამაბულობა, მძაფრი ემოციური განცდა მოქმედებაში ვლინდება და რაკი ცრემლი „უსისხლო მსხვერპლია,“ ცრემლის საბურველში „მსხვერპლის“ გახვევა განახლების რწმენითაა ნასულდგმულები და ცოცხალი ელიზაბეთი მისი მკვდარი მეუღლისაგან უპირველეს ყოვლისა რწმენით და თავისუფლებისაკენ სწრაფვით განსხვავდება. ამიტომ მკითხველი, ელიზას მსგავსად, ელიზაბეთის გამარჯვებად და უკეთესი მომავლის პერსპექტივის სიმბოლოდ მიიჩნევს მის ცრემლსა და სინანულს.

ორივე მწერალი არა მხოლოდ მსგავსი გარეგნული იერით, არამედ მსგავსი სულიერი განცდებით, პოზიციებისა და თვალსაზრისთა ერთნაირი შინაგანი ჭიდილის ჩვენებით ახდენს პერსონაჟ ქალთა პორტრეტის შექმნას. როგორც ლორენსი, ისე სტეინბეკი ძალიან ლამაზად ახერხებს ნაწარმოების ბოლო აბზაცი გაწამებული, დათრგუნული, გულდამძიმებული ქალის იდუმალი, მეტაფორად ქცეული პორტრეტით დაასრულოს: ელიზაბეთმა „იცოდა, რომ წამიერ მბრძანებელს - სიცოცხლეს დანებდა და ძრწოლითა და სირცხვილით იბრუნა პირი სიკვდილისაგან - უზენაესი მბრძანებლისაგან.“ (დ. ჰ. ლორენსი, 1988) „ელიზამ პალტოს საყელო წამოიწია და ჰენრიმ ვერ დაინახა, რომ ის მოხუცებული ქალივით უმწეოდ ტიროდა.“ (ჯ. სტეინბეკი, 1966).

მოთხრობათა შედარებისას, ჩვენი ყურადღება საკმაოდ ბევრი მცენარის დასახელებამაც მიიქცია: მუხა, ვაზი, ურთხელი, ლერწამი, ტირიფი, ვერხვი... აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მცენარე ბიბლიაში მოხსენიებული. ნიშანდობლივად მივიჩნიეთ ისიც, რომ ბიბლიის ენციკლოპედიის განმარტებათა მიხედვით, როცა მაცხოვარი შრომანზე ლაპარაკობს, მას პირველ ყოვლისა ის ველური ყვავილები ჰქონდა მხედველობაში, რომლითაც გაზაფხულზე გალილეის მთების ფერდობებია დაფარული: ყაყაროები, ნარგიზები და ქრიზანთემები (ბიბლიის ენციკლოპედია, 1998).

უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე ნაწარმოების მთარგმნელი („ქრიზანთემების სურნელი“ - ნ. ფორჩხიძე, „ქრიზანთემები“ - გ. კიკილაშვილი) უხვად იყენებს ქართულის ენობრივ შესაძლებლობებს და ოსტატურად ახერხებს ორიგინალში დახატული სამყაროს, რეალიების, ავტორისეული ღირებულებების შთამბეჭდავად გადმოცემას. ამის ნათელსაყოფად მოვიხმოთ მაგალითებს: „ასკილის ალისფერი ბუჩქი“, „წითელი ცეცხლის ენები ელამუნებოდა“, „ვაზის კლანჭებივით გაბარჯლული ლერწები“, „სიცივით დამზრალი“, „უსასოობის ბეჭედი“, „ტოტებგაფარჩხული ბუჩქები“, „პირქუში ლანდები“, „ღუმელის გახურებული ხახა“, „ფიქრიანი თვალეები“, „სისხლისგან დაეწრიტა“, „აზვირთებული ტალღა“, „სულისშემხუთველი სუნი“, „გულუბრყვილო სიდიადე“, („ქრიზანთემების სურნელი“). „ჭალა... ოქროსფრად ენთო“, „კუდი ამოიძუა“, „ბალანაშლილი“, „გაბზარული ხმა“, „მოკიაფე ვარსკვლავები“, „დანისლული ცის ქვეშ“, („ქრიზანთემები“). თარგმანში გამოყენებული სიტყვები თუ სიტყვათა ჯგუფები განსაკუთრებული ფსიქოლოგიური კოდების მატარებელნი არიან და მათი სათანადოდ გამოყენება დიდ ზეგავლენას ახდენენ მკითხველზე. ასეთი ემოციური სინტაგმებით გაჯერებული ეპიზოდები სამუდამოდ ამახსოვრდება და ღრმად აფიქრებს მკითხველს. დედანში გამოყენებულ ფორმებთან კარგად არის მისადაგებული არქაული ლექსიკური ერთეულები, რითიც

ხდება ორიგინალის განწყობისა და ინტონაციის შენარჩუნება, მაგ: წარავი, ცხაური, ღილკილო, წაღები, ხელანა, წირთხლი.

განხილული ორი, ერთმანეთისაგან დროსა და სივრცეში სრულიად განსხვავებული მწერლის დ. ჰ. ლორენსისა და ჯ. სტეინბეკის მოთხრობებს შორის წარმოჩენილი ლიტერატურულ-სტილისტური პარალელები და თანხვედრა ვფიქრობთ, განპირობებული უნდა იყოს დიდ მწერალთა განსაკუთრებული, თავისუფალი აზროვნებით და მათ მიერ ქალის ბედის მარადიულ პრობლემაზე ჩამოყალიბებული მსგავსი ხედვით.

ლიტერატურა:

1. რ. სირამე, „სახისმეტყველება“, თბ., 1982.
2. ზ. სარჯველაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბ., 1995.
3. გ. მურღულია, „დავითიანის“ მხატვრულ სახეთა სისტემა, თბ., 1997.
4. ბიბლიის ენციკლოპედია, თბ., 1998.
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I - VIII ტტ. 1950-1964.
6. დ. ჰ. ლორენსი, „ქრიზანთემების სურნელი“, ჟ. „საუნჯე“, 1988.
7. ჯ. სტეინბეკი, „ქრიზანთემები“, თბ., „ნაკადული“, 1966.
8. D. H. Lawrence, „Selected Short Stories,“ New York, 1993.
9. J. Steinbeck, „The Pastures of Heaven and other Stories,“ Moscow, 1984.

TWO CHRYSANTHEMUMS - ACCORDING TO D.H. LAWRENCE'S "ODOUR OF CHRYSANTHEMUMS" AND J. STEINBECK'S "CHRYSANTHEMUMS"

(LITERARY-STYLISTIC ANALYSIS)

Elene Khojevanishvili, Gori Teaching University, Full Professor

Maia Bolashvili, Gori Teaching University, Teacher

SUMMERY

The title of any fiction is tightly connected with the text itself and it cannot be separated from it. Thus, it is absolutely natural that famous writers D.H. Lawrence and J. Steinbeck selected "Odour of Chrysanthemums" and "Chrysanthemums" as the titles of their wonderful short stories. Chrysanthemums is a Greek word and means "a golden flower". It carries different symbolic meaning in different countries, e.g. it is a symbol of sorrow and unhappiness in England, Spain, Greece, Hungary, France and Germany.

"The Odour of Chrysanthemums" was first published in 1911 in "The English Review" and lots of critics got interested in it. As for "The Chrysanthemums"-the date of its publishing goes back to 1938, so they are two different short novels due to their time and place. The present study deals with the stylistic and literary analyses of these two short fictions. There is a lot of similarities between their titles, plot and the main heroines as well.

We consider that these literary-stylistic parallels and similarities are caused by great writers' specific free and just the same thinking about ever-lasting problem of a woman's fortune.

ქრისტიანული აღმსარებლობის საკითხები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში

ნელი ჭამპურიძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

E-mail: nelichampuridze@gmail.com

ქართველმა ერმა იაკობ გოგებაშვილს გამორჩეული ადგილი მიუძინა ღვაწლმოსილ ერისკაცთა შორის, სწორედ ხალხმა შეარქვა მას „განმანათლებელი“ და „დიდი იაკობი“. უფლის სიტყვისამებრ, ხე ნაყოფისგან შეიცნობა, დიდი იაკობის მსოფლმხედველობითი მრწამსის გაანალიზებას მისი შემოქმედება იძლევა, რომელშიც „მარგალიტის მძივებივითაა“ ასხმული სახარებისეული სიბრძნე. იაკობ გოგებაშვილის რელიგიური მრწამსი მართლმადიდებლური ქრისტიანობაა და ამ მსოფლმხედველობაზე დამყარებული მისი შემოქმედების მორალურ-ზნეობრივი მხარე. რელიგიური აღმსარებლობისადმი

დიდი ყურადღება ნათლად ჩანს მის მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომებში და განსაკუთრებით, რელიგიური მორალით დამოძღვრილ თხზულებებში. ავტორი გასაგები, მარტივი ენით გვაწვდის ბიბლიურ ეპიზოდებს და ცალკეული მოვლენების ახსნა-განმარტებით საფუძველს უქმნის ბიბლიურ სწავლებათა შემეცნებას. იაკობ გოგებაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გარკვეული როლი ითამაშა მისმა ბიოგრაფიამ. იგი დაიბადა სოფლის ღარიბი მღვდლის ოჯახში. ბავშვობიდან ეზიარა სახარებისეულ სიბრძნეს, ლოცვის სიწმინდესა და ჭეშმარიტებას. რვა წლის იაკობი სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა კიევის სასულიერო აკადემიაში. ლექციებს ისმენდა აგრეთვე კიევის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის დარგში. მამამისი, სიმონი კარგად იცნობდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობას და თავის ვაჟსაც გულმოდგინედ ასწავლიდა ძველ ძეგლებს. სხვათა შორის, იაკობს ისე კარგად შეუსწავლია საღვთისმეტყველო საკითხები და ისეთი ინტერესი გამოუჩენია ეკლესიისადმი, რომ მამამისის მისი ბერად აღკვეცა განუზრახავს და სამოღვაწეოდ ადგილიც კი შეურჩევია მისთვის (შომღვიმე). მთელი მისი ცხოვრება იყო ჭიდილი ნათელისა ბნელ ძალებთან. წმინდა გული, სიკეთე, სათნოება, მჭევრმეტყველება, სხვისთვის თავის გაწირვა, მომავალი ახალგაზრდობის ნათელი იდეებით აღზრდა, ბრძოლა უკეთესი მომავლისთვის - ასეთია მის მიერ განვლილი ქრისტიანული მორალით განათებული გზა ჭეშმარიტებისა. პროგრესული იდეებით შთაგონებული მწერალი სარწმუნოებას შემდეგნაირად მოიაზრებს: „სარწმუნოება, მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსობად, ან აღმერთებს გარეგანს, დროებითს ფორმებს ეკლესიისას და ივიწყებს შინაგან მხარეს, ცხოველმყოფელს ზნეობრივ პრინციპებს, დედა-აზრს სახარებისას. მეორე მხრივ, მეცნიერება, მოკლებული ჭეშმარიტს სარწმუნოებას, როდი უშლის თავისს მექონს, მესაკუთრეს, იყოს იგი იმდენადვე დიდი არამზადა, რამდენადაც იგი დიდი მეცნიერია“. (გოგებაშვილი, 1990.) რელიგიისა და ცოდნის ერთიანობის აუცილებლობა ნათლად იკითხება ქართველ განმანათლებლის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში.

აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგებაშვილი თავის ისტორიული ხასიათის ნაშრომში „რანი ვიყავით გუშინ“ გარკვეულ ადგილს უთმობს საეკლესიო ცხოვრების მიმოხილვას. იგი უდიდეს შეფასებას აძლევს სასულიერო პირთა ღვაწლს ქართველი ერის წინაშე, რომელთა მეოხეობით ისწავლებოდა ხალხში სახარება, რომელიც უნათებდა მათ გონებას და უწერგავდა პატიოსნებას. „ამისთანა მწყემსნი ღირსნი იყვნენ სიყვარულისა და ერსაც უყვარდა ისინი“. (გოგებაშვილი, 1989)

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში ზნეობას მტკიცე სარწმუნოებრივი საფუძველი აქვს. იგი ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიჩნევს „ზნეობრივი ცხოვრების საფუძველად“, ხოლო ეკლესია-მონასტრებს „ქვეყნის ფართო წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ზნეობის სათავედ“. ენისა და მამულისადმი მისი ჭეშმარიტი გრძნობა მწერალმა გამოხატა თავისი ფასდაუდებელი შემოქმედებითა და მეცნიერული მოღვაწეობით. მას ენა და სარწმუნოება „ეროვნების ბურჯად“ მიაჩნია. ამასთან, შეიმუშავა ენის სწავლების მეთოდები, განსაკუთრებული სიმძაფრით იცავდა ქართულ ენაზე სწავლებას და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვების წარმართვას. იგი ეროვნულობის დასაყრდენად რწმენის შენარჩუნებას მიიჩნევს. მამულისადმი სიყვარული გმირულ ბრძოლებთან ერთად რელიგიისა და ენის დაცვასაც მოიცავს. იაკობ გოგებაშვილის მიხედვით, ჰუმანიზმის, მორალისა და ეთიკის აღზრდა რელიგიის გარეშე შეუძლებელია. იგი გამოდიოდა ეკლესიისა და სასულიერო სწავლების ნაციონალიზაციის იდეით, რათა „სახარების შუქით“ განათებულიყო მთელი საქართველო. იგი მთელი სიმძაფრით აცხადებდა, რომ ქართულ ეკლესიაში წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე შესრულებულიყო, დაბრუნებოდა ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია. წერილში: „ზე ნაყოფით იცნობა“ მწერალი ეხება ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლებში არამშობლიურ ენაზე სწავლების დამღუპველ შედეგებს. სკოლა დედაენაზე უნდა იყოს დაფუძნებული „დედაენა სულია სკოლისა“ - აღნიშნავს დიდი პედაგოგი. განმანდგურებელი შედეგი მოუტანა ქართულ ეკლესიას არამშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებამ. კარგად ესმოდა დიდ იაკობს მშობლიური ენის მადლი. „რომ ღვიძლი სიტყვა ფრთაა ლოცვისა, ღვიძლის სიტყვით უფრო ადვილად, უფრო მსუბუქად, უფრო მეტის აღტაცებითა და მხურვალეობით აღიმართება ხოლმე კაცის გული ღმერთამდე და თვითონ ღვთის მადლით უფრო მეტის ძლიერის, მეტის სასოებით მიადღევს ხოლმე კაცის გულის სიღრმემდე“. (გოგებაშვილი, 1989) - განმარტავს დიდი პედაგოგი. მშობლიური ენის შეუცვლელობაზე გარკვევით საუბრობდნენ მისი თანამედროვე სასულიერო მოღვაწეებიც. გაზეთ „დროებაში“ 1909 წელს ეპისკოპოსი კირიონ სამაგლიშვილი წერდა: „...საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ სამშობლო ენის შესწავლა და ცოდნა დიდი განძია ყველა ერისათვის. ყველა შეგნებული ელემენტის ვალია მეცადინეობა იმისათვის, რომ ჯეროვანი ადგილი მოუპოვოთ დედა-ენას სკოლებში...“ (გაზ. დროება, 1909). სწავლებისა და საეკლესიო მსახურების მშობლიურ ენაზე წარმართვისათვის ბრძოლას ეპისკოპოსი კირიონი მთლიანად უკავშირებდა ქართველი ხალხისა და საქართველოს ეკლესიისათვის ეროვნულ-ტრადიციული სახის შენარჩუნებასა და პერსპექტივაში სახელმწიფოებრივ-ეკლესიური

დამოუკიდებლობის აღდგენას. ასეთია დიდი იაკობის თანამედროვე ერისკაცთა და პატრიოტ სასულიერო მოღვაწეთა საერთო განწყობა და სულისკვეთება. ერის აღმავლობის, ადამიანთა ჰარმონიული აღზრდისა და განვითარების ერთ-ერთ საშუალებად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია ეკლესია, რომელმაც ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი და მამაშვილური გრძნობა, შექმნა მრავალფეროვანი სასულიერო ლიტერატურა, საქართველო დაამშვენა მდიდარი ტაძრებითა და მონასტრებით, ქართველებში ერთად შეაერთა მაცხოვრისა და მამულის მხურვალე სიყვარული და წრფელად ემსახურა ერის ზნეობის საქმეს. ” მეოთხე ბურჯი ერის წარმატების არის ეკლესია”- ამბობს დიდი იაკობი და აქვე დასძენს, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. „ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული”. (გოგებაშვილი, 1954) საღვთო რჯულზე აღზრდილი თაობის აუცილებელ მოთხოვნილებად დიდ პედაგოგს მიაჩნია მოზარდებში სწავლისა და შრომის სიყვარულის გაღრმავება. მწერლის თეორიული დებულებები სწავლისა და შრომის აუცილებლობის შესახებ გამომდინარეობს მისი საკუთარი მრწამსიდან, რომელიც გაჟღერებულია ძველი და ახალი აღქმის ქადაგებებითა და იგავებით. მწერლის შემოქმედების სათანადოდ გაცნობისა და გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ იგი დაუღალავად ზრუნავდა მოსწავლეთა თეოლოგიური განათლებისთვის. წერილში - „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის”, თვალნათლივანაა წარმოდგენილი მწერლის მსოფლმხედველობითი მრწამსი. იაკობ გოგებაშვილი შენიშნავს, რომ სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა ხელს შეუწყობს რელიგიის სწავლების გაართულებას, რაც „ამ სკოლებს მართლაც გადააქცევს მატერიალისტებისათვის მოსაწონ ათეისტურ სკოლებად” (გოგებაშვილი, 1990)

იაკობმა თავის უკვდავ „დედა ენაში” მოათავსა რამდენიმე მოკლე და მარტივი ლოცვა: „უფალო შეგვიწყალო”, „მოგვმადლე უფალო”, „მამაო ჩვენო” და სხვ., რომელთა დასწავლას ყველა ქრისტიანი ბავშვისთვის სავალდებულოდ მიიჩნევდა. მისი ღრმა რწმენით, სახარებისეულ სიბრძნეს დაუფლებული ადამიანი სიკეთითა და მადლით გამოირჩევა, რომელიც თავის გარშემო დაუღალავად ჰყენს სიკეთესა და მადლს. მის საბავშვო მოთხრობებში სიკეთის აპოლოგია ღვთის მიმსგავსებულობისაკენ, ადამიანის ღვთიურობისაკენ სწრაფვას ემსახურება. მწერალი ბავშვთა ზნეობრივი მოთხოვნებით, რომლებშიც ნათლად იკითხება ქრისტეს მცნებათა დედაარსი, საფუძველს უყრის სულიერად ამაღლებული, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის ჩამოყალიბებას. იაკობ გოგებაშვილს 60-იან წლებში დაუწყო „საღვთო მოთხრობების” წერა, შემდეგ მიუტოვებია და 80-იან წლებში ისევ მიბრუნებია. მასში მოთავსებულია ძველი და ახალი აღთქმიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ისინი მწერალს ცალკეული მოთხრობების სახით წარმოუდგენია, დაწყებული მამაზეციერის მიერ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს აღდგომამდე. ამიტომ მას მეორენაირად „ბიბლიურ ისტორიასაც” უწოდებენ. სულ ცოტა, ეს ყველაფერი ორი მიზნით იყო ნაკარნახევი. ჯერ ერთი, იმდროინდელ სასწავლებლებში ყველგან ისწავლებოდა „საღვთო რჯული” და ეს მოთხრობები გაუადვილებდა ბავშვებს ”ბიბლიის” გაგებასა და ათვისებას. მეორეც, ეს იყო საშუალება ახალგაზრდობაში ჰუმანიზმის, სიკეთის რწმენისა და შეგნების დასანერგად. ამიტომ იაკობი იმ ეპიზოდებს არჩევს, რითაც მოზარდებს ზნეობრივად აამაღლებს და გააკეთილშობილებს. საყურადღებოა, რომ მწერალი საბავშვო ლიტერატურის საწყისებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ხედავს. აღნიშნულ მოთხრობებში მწერალი ბიბლიური შინაარსის გადმოცემისას ზოგჯერ ამბის საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევა. დიდი პედაგოგის მიზანია ახალგაზრდებში ზნეობრივი გრძნობების ჩამოყალიბება, განსაკუთრებით კი მათი სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით დამუხტვა. ქრისტიანულ სწავლებათა ფონზე იაკობ გოგებაშვილი ჩვენ წინ წარმოდგა, როგორც რელიგიური მსოფლმხედველობის მწერალი, რომლის ინტერესები ბიბლიისადმი მხოლოდ შემოქმედებითი მიზნით კი არ აიხსნება, არამედ - აღმსარებლობითი მრწამსით. მისი მთელი შემოქმედება ეძღვნება რწმენის და ცოდნის ერთიანობის საკითხებს. იაკობის ყველა სახელმძღვანელო თუ საკითხავი წიგნი, მის მიერ დაწერილი მოთხრობა თუ სტატია გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთ პროცესად შეერთების, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განხორციელების მიზანს ემსახურება.

ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, თხზ. ტ. II, 1990, გვ. 144
2. გოგებაშვილი იაკობ, თხზ. ტ. I, 1989, გვ. 214
3. გოგებაშვილი იაკობ, თხზ. ტ. I, 1989, გვ. 151
4. გაზ. “დროება”, 1909, №96
5. გოგებაშვილი იაკობ, თხზ. ტ. III, 1954, გვ. 249
6. გოგებაშვილი იაკობ, თხზ. ტ. II, 1990, გვ. 468

CHRISTIANITY IN IAKOB GOGEBASHVILI CREATIVE WORKS

Nelly Champuridze, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

The paper deals with the ideology of the Georgian Great Teacher and children's writer - Iakob Gogebashvili. Great Iakob's religious belief is Orthodox Christianity, and this is the basis of his works – moral and ethics. Religious faith is clearly expressed in his scientific - popular works and, especially, in the writings of religious morality. He considered that the language and religion are "nationality piers". He always defended the Georgian Language and tried the teaching and liturgy to be conducted in Georgian. He believed that the nation's sustainability was determined by keeping faith. He demanded that the praying in churches to be conducted in the native language, and the autocephalous of the Georgian Church to be re-established.

მედეას მითის ტრანსფორმაციისათვის აკაკი წერეთლის „მედიამი“

თამარ გოგოლაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

თქმულება ოქროს საწმისზე და მის მოსაპოვებლად კოლხეთში არგონავტების მოგზაურობაზე საკმაოდ პოპულარული იყო როგორც ანტიკურ ეპოქაში, ისევე შემდგომ: „არ დარჩენილა ელინური ეპოქის არა თუ მწერლობის არცერთი დარგი, რომელსაც ეს თქმულება მთლიანად, ან მისი ცალკე ეპიზოდების სახით არ დაემუშავებინოს. პირველ ცნობებს არგონავტიკის თქმულებისა და კოლხური გარემოს შესახებ ელინური პერიოდის ბერძნული მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრინდელ ძეგლებში, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ ვხვდებით“. (ურუშაძე, 1975:8)

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა თავად კოლხი მედეას სახე ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე. ამ პოპულარობას მეტად აქტუალური თემით ხსნიდნენ: „მედეას თემა დამუშავდა სწორედ მისი ანტიკური მოდელების გათვალისწინებით. დღეს მედეას ამბის მუსიკალური და დრამატული ინტერპრეტაციის ორასამდე ვარიანტი არსებობს. ევროპულ ლიტერატურაში ამ თემის ინტენსიური შესწავლა დაიწყო პიერ კორნელიდან. შემდგომ სულ ახალ-ახალი გზები დაისახა ამ თემის ინტერპრეტაციისა და აქტუალიზაციისათვის თანამედროვე ეპოქათა მოთხოვნილების შესაბამისად. მედეას თემა აირეკლა ბარონ დე ლონგეპიერის, ლესინგის, კლინგერის, რუსოს, გრილპარცერის, ანუის და სხვათა ნაწარმოებებში.

არგონავტებისა და მედეას თემა ქართულმა მწერლობამაც დაამუშავა... აკ. წერეთელმა შექმნა დრამატული პოემა „მედია“.⁴³ (გიგაური, 1985:6).

1899-1895 წლებში აკაკი წერეთელი (1840-1915) მუშაობს დრამაზე „მედია“, რომელიც თავდაპირველად პროზად ყოფილა დაწერილი, პოეტს იგი გაუღექსავს და გამოუქვეყნებია კიდეც „კვალში“ (1895წ. №23,25), შემდგომ – აკაკის თვითურ კრებულში (1897 წ. №2, განყ. I). როგორც თავად აკაკი ივანე მაჩაბლისადმი გაგზავნილ ერთ კერძო წერილში აღნიშნავს („ქართული მწერლობა, 1926, №2-3, გვ. 127): „ოთხი წელიწადი მარტო მასალების შეკრებასა და მოგროვებას მოვუწიე“ (წერეთელი, 1956:39) რა მასალას იყენებდა აკაკი დრამაზე მუშაობისას კარგად მოჩანს თვით შენიშვნებიდან, რომელიც ავტორს დაურთავს მეორე გამოცემისათვის. ესენია: პლინიუსი (29-79), პინდარი (522-442 ქრის წინეთ, აპოლონიუს როდოსელი (250-200 ქრ. წინეთ), ესხილი (525-456 ქ.წ.) არიან ნიკომიდიელი, ფსევდო-პლუტარხი, კლავდი კლავდიანი (395 ქ. შემდეგ), პოლიდორი (140 ქ.წ.) აპიანი (150 ქ.წ.) ელიანი და ნიკოლოზ დამასკელი. (წერეთელი, 1956:405-406). ზემოდასახელებულ ავტორთაგან მხოლოდ ესქილეა გამოცემული ქართულად („მიჯაჭვული პრომეთე“) ევრიპიდესთან ერთად („მედია“) და ისიც 1910 წელს. თუმცა ძველი ქართული მწერლობა კარგად იცნობდა არგონავტების თქმულებებს (ექვთიმე მთაწმინდელი „თხრობაი სასწაულთათვის მთავარანგელოზისა მიქაელისათა“, ეფრემ მცირე „ელინთა

⁴³ ტექსტში ერთმანეთის პარალელურად ვხმარობთ „მედეას“ მიღებულ ტრანსკრიფციას, ხოლო „მედიას“ - აკაკიეული ტრანსკრიფციით.

მეზღაპრობა“, ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერასამეფოსა საქართველოსა“, თეიმურაზ ბატონიშვილი „ივერიის ისტორია“, XVIII-XIX საუკუნეების მითოლოგიური კრებული და სხვა).

ამკარაა აკაკი ძირითადად ეყრდნობოდა უცხო ენებზე არსებულ წყაროებს, მაგრამ ამავდროულად, საქართველოში იაზონ-მედიასა და ამირანის შესახებ არსებულ ფოლკლორულ მასალას, თუ იმ რეგიონის ძველი ტოპონიმკას, რომელშიც უნდა „დაესახლებინა“ აკაკის მითოსური გმირები: ძველ კოლხეთს, კავკასიონის მთებს, ამირან-მთას, ფაზისს, კვიტაიას, აიას ქალაქს. სავარაუდოა, რომ ა. წერეთლისათვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე არსებულ დასახლების ტოპონომია-იანეთი. ამავდროულად აკაკის უნდა შეესწავლოს წარმართული კოლხეთის ტრადიციები, კერპთმსახურება, რათა გაცეცხლებინა ხალიბების უძველესი სახელწოდება მჭედელ ქლიბას სახელში, მამასახლისობის ინსტიტუტი კოლხეთის მამასახლის იათაში (აიეტ მეფე) და სხვა. მაგრამ რითი აიხსნება აკაკის დაინტერესება მედეას მითით? იგი ხომ პირველი ქართველი ავტორია XIX საუკუნეში, რომელმაც ხელი მოჰკიდა ქართული მითოსისათვის მეტად საჩოთირო თემას, მედეას არქეტიპის მხატვრულ წარმოსახვას – და ისიც დრამატულ ნაწარმოებში.

ამაზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა „მედიას“ დასასრული ნაწილის გამოქვეყნებისას („კრებულში“) აკაკის „შენიშვნები“.

იაზონ-მედეას მითის ბერძნულ და რომაულ მოდელებზე და მათი მხატვრული ინტერპრეტაციის შესახებ უამრავი გამოკვლევა არსებობს (ა.კ. ურუშაძე, „არგონავტების კატალოგი“, ბიზანტიოლოგიური ეტიუდებში, თბილისი, 1978, მისივე „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, თბილისი, 1964, გ. მელიქიშვილი «К истории древней Грузии», Тбилиси, 1959, ალ. გამყრელიძის, ი. გაგუას, ნ. კეჭყეძის შრომებით, ც. გიგაურის მონოგრაფიული შრომით „კოლხეთი რომაულ მწერლობაში“ და სხვა).

„ქართველ მკვლევართა ნაშრომებში რომაული ცნობები უპირატესად შესწავლილია ისტორიული თვალსაზრისით, - აღნიშნავს მკვლევარი ც. გიგაური, - თუმცა არანაკლებ საყურადღებოა რომაული წყაროები წმინდა ლიტერატურული ასპექტით. როგორც ცნობილია, არგონავტების თქმულების წყალობით მსოფლიო ლიტერატურაში დამკვიდრდა კოლხეთთან დაკავშირებული გმირთა სახეები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებდნენ მრავალი ხალხის ლიტერატურას, თუ რა კანონზომიერებით ხდებოდა ამ სახეების შემოტანა ჯერ ბერძნულ ლიტერატურაში, შემდგომ - რომაულში, ტრანსფორმაციის რა გზა განვლეს მათ, სანამ ევროპულ ლიტერატურაში დამკვიდრდებოდნენ, ასევე საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ლიტერატურის ისტორიისათვის“.

(გიგაური, 1985:5).

ამ კუთხით ა. წერეთლის „მედიას“ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ჩვენი მიზანია, ვნახოთ რა სიახლე შეიტანა აკაკიმ „იაზონ-მედეას“ არქეტიპების ჩამოყალიბებაში და რა მიზნით, რაზეც სამწუხაროდ, სათანადო ბიბლიოგრაფიას ვერ მივაკვლიეთ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა. ურუშაძის ნაშრომს „აკაკი და მემკვიდრეობა“, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1962 წ. №1).

„შენიშვნებში“ გამოიკვეთება აკაკის რამდენიმე თვალსაზრისი: „1. „ისტორიის წინასწარ თქმულობისა და მითების სამშობლოთ საზოგადოთ საბერძნეთია ცნობილი... უმეტესობა დღემდის დაჯერებულია, რომ ისინი შეჰქმნა ელინების აღტყინებულმა ფანტაზიამ და მერე გადმოსცა მთელ კაცობრიობას. მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ, პირიქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისხლხორცეს და თავისებურად გადააკეთეს და ფერ-ცვლილი უკანვე დააბრუნეს. ამას ნამდვილად გვიმტკიცებენ, სხვათა შორის, ძველის-ძველი მითები „პრომეთეოსზე“ და „იაზონ-მედიასზე“. ერთიცა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულად ელლადაში“.

(წერეთელი, 1961:287). აკაკის შეხედულებას ასე განმარტავს ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანი: „ფოლკლორული სესხება და გავლენა არ არის უარყოფითი მოვლენა. აკაკის იგი დასაშვებად მიაჩნია, თუკი მიძღები თავისებურად გარდაქმნის და საკუთარ ეროვნულ დარჯაში გაატარებს შემოსულ სიუჟეტს.“ (ჩიქოვანი, 1956:139). შემდგომ ავტორი კი გამოკვეთს იმ თვალსაზრისსაც, რომ აკაკი ნასესხობის თეორიას უჭერსო მხარს.

2. „პრომეთისა“ და „იაზონ-მედიას“ მითს აკაკი ერთიმეორისაგან მჭიდროდ დაკავშირებულად მიიჩნევს და ემყარება აპოლონიოს როდოსელის მტკიცებას, რომ „მდინარე ფაზისი ამირანტის მთიდან გადმოდისო, სადაც პრომეთეოსი იყო მიბმული. რა მთა არის ეს ამირანტი ბერძნებისაგან მოხსენიებული, რომ დღეს აღარ ვიცით? ეს ის მთა არის, რომელსაც ჩვენი ზეპირ-სიტყვაობა „ამირან-მთას“ ეძახის და სადაც ამირანი იყო მიბმული“.

(წერეთელი, 1961:288). აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ პირველად ნახსენები პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კავკასიონი „აგერ, კიდევაც გამოჩნდა შორით ის საოცნებო პონტოს ყურეცა და დათოვლილი, გადაზიდული მთები მაღალი კავკასიონის. იქ უჟანგავი სპილენძის ჯაჭვით კლდეზე დაკრული დიდი პრომეთე საკუთარი ღვიძლით კვებავდა არწივს, რაც განუწყვეტლივ მოისწავოდა, დაუკორტნიდა გულსა და ღვიძლსა და მერე ისევ გაფრინდებოდა“.

(როდოსელი, 1975:114).

აკაკი, თუმცა იშველიებს როდოსელის ინფორმაციას, თვლის, რომ ბერძნებმა პრომეთეს (კოლხურად „ამირანის“) შესახებ პირველად არგონავტების შემოსვლის შემდეგ გაიგეს, ეს მოჩანს იაზონისა და მჭედელ ქლიბას დიალოგიდან:

იაზონ:

„ვინ ამირანი?... რის პალო-ჯაჭვი?!“

ნუ გრეხ... ნუ ხლართავ სიტყვებს უბრალოს!...

მჭედელი:

გეტყობა მეტად შორეული ხარ,

რომ ამირანზე არა იცი რა.

ვაჟკაცი იყო ის უძლეველი,

ღმერთებთან თავი არ დაიმცირა!...“ (წერეთელი, 1956:192).

3. არის მეორე ცნობაც ბერძნულ წყაროებში პრომეთესის შესახებ, რომლის სისხლი სასწაულმოქმედია, ამაზე თავად აკაკიც აღნიშნავს „მენიშენებში“, იგონებს რა ფსევდო-პლუტარხის ცნობას: „კავკასიაში იზრდება პრომეთესის ბალახი, როგორც კლეანტი ამტკიცებს, მედია ამ სამკურნალო ბალახსა კრეფდა. კლავდი კლავდიანი, 395 ქ. შემდეგ. მე კარგად ვიცი ზოგიერთი ბალახისა და მცენარეების შესახებ ვენი, კავკასიაში რომ იზრდება, იმას აგროვებდნენ სასტიკი მედია და ცბიერი ცირცია“ (წერეთელი, 1961:406).

ამაზე მიგვანიშნებს ა. როდოსელიც „არგონავტიკაში“, როდესაც წერს „პრომეთეს წამალზე“, მედია რომ შეაგროვა იმ ადგილიდან, სადაც „ტიტანს კორტნიდა ხარბი არწივი, მიწას ნამავდა უკვდავი სითხე და წყრთის სიმაღლის ოროეროვანი კოხტა ყვავილი იზარდა მისგან“. (როდოსელი, 1975:140). ეს წამალი, როდოსელის ცნობითვე, უძლეველს და ხელშეუხებელს ხდის მასში განზანილ ადამიანს.

აკაკი „მედიაშიც“ იყენებს აღნიშნულ ინფორმაციას, მაგრამ არა პრომეთეს (ამირანის) სისხლიდან აღმოცენებული ყვავილისაგან დამზადებულს, არამედ სამკურნალოს, ამირანის მიერ დაღვრილი ცრემლებით ყვავილებს ნამისაგან მიღებულს:

„ის ამირანის ცრემლები არის,

მარგალიტებად ზედდათხეული...“ (წერეთელი, 1956:84)

აკაკი აქ არაფერს თხზავს, უბრალოდ ცვლის ინფორმაციას „პრომეთეს წამლის“ შესახებ და მას „ამირანის ცრემლს“ უწოდებს, ყვავილების გულში დაგუბებულს.

ამრიგად, აკაკის განსაზღვრით:

ა. ბერძნებს არაფერი სმენიათ ამირანის შესახებ, მაგრამ შემდგომ „არგონავტიკაში“ როდოსელი მას მოიხსენიებს, როგორც პრომეთეს, მიჯაჭვულს კავკასიონის მთაზე და მისი დაღვრილი სისხლისაგან აღმოცენებულ ყვავილს, რომელსაც „პრომეთეს წამალს“ უწოდებენ და არა „ამირანის ცრემლს“.

ბ. როდოსელს „არგონავტიკაში“ შემოჰყავს პრომეთეს ამბავი, რომელიც უფრო ადრე მოხდა, მაგრამ აღნიშნულ კუთხესთან (კოლხეთთანაა) დაკავშირებული (მედეა განიბანება პრომეთეს წამალში).

რომაული მოდელი „იაზონ-მედია“ მითისა განვითარდა ბერძნული მოდელისაგან, მაგრამ მასში არის განსხვავებული ეპიზოდებიც. „რომაული ლიტერატურა ერთფასოვნად უჭერს მხარს იმ ბერძენ ავტორთა ცნობებს, რომლებიც პრომეთეს მიჯაჭვის ადგილს კავკასიონის ქედს ასახელებენ. პრომეთე და არგონავტთა კოლხეთში მოსვლის ეპიზოდი განამტკიცებს მისი კულტის კავკასიურ ამირანთან მიმართების თეორიას (Irakli Schengelia “Kaukasische Parallelen Zum Prometheusmythos” კრებულში, Aischylos und Pindar, 1981) (გიგაური, 1985:63).

ოვიდიუსი პრომეთეს სახეს უკავშირებს გმირის მიერ ადამიანის შექმნას (ამაზე ბევრს წერდნენ შ. ნუცუბიძე, მ. ჩიქოვანი, ი.შენგელია).

ოვიდიუსი ახსენებს პრომეთეს სისხლით ნაკვები მარადმწვანე ყვავილისაგან დამზადებულ წამალს, როგორც აპ. როდოსელი. თუმცა ყოველივე ეს უკვე მოხსენიებულია ბერძნულ წყაროებში. ამდენად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აკაკი წერეთელი „მედიაზე“ მუშაობისას აერთებს ამირანის მითსა და „იაზონ-მედიას“ მითს და „მედიაში“ იაზონი თავის არგოთი შემოჰყავს გაზაფხულის ბუნიობის დღეს, როცა დღე და ღამე თანაბარია, როდესაც არის საფრთხე, აიშვას თავი ამირანმა და ამ ქარიშხლიან, ზმანებებით აღსავსე დროს მჭედლები თავის უროს კვლავ ურტყამდნენ პალოს და ერთ წლით ამაგრებენ გმირს ადგილზე.

„მაგრამ დღის-დღეს ჩვენ ყველა ერთად

სამჯერ ზედიზედ, უზმოდ და უბრად,

კვერს ვურტყამთ გრდელზე, რომ შერყეული

პალო ჩაერჭოს ისევე მაგრად...“ (წერეთელი, 1956:192).

დამინტრიგებელია აქ იაზონის გაცემაა გამოხატული „საკვირველია!“ - ერთი სიტყვით:

„მედიაში“ - პერსონაჟები ემსგავსებიან და განსხვავდებიან კიდევ მითოსის არქეტიპის თვისებებიდან. მედია ქალწულია, იათა მამასახლისის შვილი, ნაზია, მგრძნობიარე, სიყვარულისათვის მზადმყოფი, მაგრამ არა მოღალატე შეგნებულად: მას არ სურს მცხეთის მამასახლისის ვაჟზე გათხოვება, მანამდე ხომ მისი სულისათვის მოწოდებულ, მაგრამ მოქრისთან ჭიდაობაში დამარცხებული. ჭაბუკების თავებითაა შემორკალული იათას სასახლე. ადარ უნდა კვლავ სიკვდილი, დასჯა, მას სურს თავისუფლება, უცხოელებთან ერთად, თუმცა ეშინია მომავლისა, მაგრამ სიყვარულისათვის თავგანწირულია. თვით მისი ქმედებაც მხოლოდ შედეგის სახითაა წარმოდგენილი. ხარებს თეთრი ძროხა მიუყვანეს, ორფეოსის სიმღერამ კი „მოხიბლა, შეჰკრა მთლად მთა და ველი“, ამით ისარგებლა იაზონმა. რაც შეეხება გველეშაპს, მას იაზონმა:

„ბურთი ესროლა,
ლურსის გუდათი გამოტენილი,
და რომ ებდღვირა ძილის წამალი,
მას მოერია სამი დღის ძილი“. (წერეთელი, 1956:240).

თავად მედია, კი, იასირის მოკვლით გულგახეთქილი

„მედია ნავში იჯდა მტირალი,
თმა გაეშალა... უწუხდა გული!...“ (წერეთელი, 1961:242).

თირთა, თირთაია, ცირცეა და მისი სახე უბრალო წამლებით ავადმყოფის მკურნალის თვისებებითაა დატვირთული „მედიაში“:

„მაგრამ ვინ მომცა იმდენი ძალა,
რომ მე შევშალო წესი ბუნების.“ (წერეთელი, 1966:246).

იაზონი, პერსონაჟია, რომლის ძირითადი მიზანი – ოქროს ვერძის მოპოვება – უკანა პლანზე გადადის მედიას მიმართ აღძრული სიყვარულის გამო. თუმცა იქვე მოჩანს მისი ეშმაკური განზრახვაც, როდესაც იათა მამასახლისისაგან თანხმობის მიღების შემდეგ, მზითვეში ოქროს ვერძს მოითხოვს:

„თუ ხელქმნილია... ეგ უკეთესი!...
იმისი მსგავსი ჩამოასხით სხვა,
რომ აიცილოთ თავიდან ქვეყნის
სამდურავი და ღმერთების რისხვა!
და ეგ დიდხნის სადაო ნივთი
თან გაატანეთ თქვენ ქალს საჩუქრად
და გულნატკენი ზღაპრით ელლადა
მით გაიხადეთ ისევ მეგობრად!“ (წერეთელი, 1956:224).

აკაკის „მედიას“ მიხედვით „ვერძი“ - ვერძის თანავარსკვლავედია ზეცაში, დედამიწაზე კი მდინარეში მოპოვებული ოქროსაგან გამზადებულ ვერძის გამოსახულება - „ოქროს საწმისი“. ამიტომ აქ სტრაბონის ცნობა, უეჭველია, აკაკისთვის ცნობილი იყო.

მუხანათური გეგმა იასირის მოკვლა არგონავტების მიერ, მაგრამ აქვე ნაჩვენებია იათა მამასახლისის ტკივილი, ქალიშვილის გაქცევისა და ვაჟის დაღუპვის გამო, მისი უძლურება და შემოღობვამდე მისული ტრაგიზმი.

დრამაში იკვეთება ავტორის სურვილი, ბერძნებისათვის ახალ ამბად გამოჩნდეს ამირანის თავგადასავალი, მითი. ამას იგი „აწნავს“ „იაზონ-მედიას“ მითში და ქმნის ახალ მითს, რომლის გმირებიც თითქოს რეალური ადამიანები არიან რეალურ წარსულში, კოლხეთის წარმართულ წარსულში, რომელშიც აკაკი ურთავს ძველ ხალხურ სიმღერებს: „თინა-თინა“, „მზეშინა“, „კაბდური“, აღწერს ეპიზოდს ჭიდაობისას, საოცარი დინამიზმით და თითოეულ პერსონაჟს, საერთო ქარგის ნაწილს, დამოუკიდებელ იერს თუ ფუნქციას ანიჭებს.

აკაკის „მედია“ არაა მის მიერ გამოყენებული წყაროების მარტივი „გადამღერება“. ესაა ცდა ქართველი მწერლისა, დაუმკვიდროს ორ მითიურ გმირს, მედიასა და ამირანს, თავ-თავისი ადგილი მშობლიურ მიწაზე.

მედიას არქეტიპი აკაკი წერეთლის დრამაში სახეცვლილია, მაგრამ არა უსახო, გამოუკვეთელი პერსონაჟი. იგი იძენს ნაციონალურ თვისებებს და იმ სამყაროს ორგანული ნაწილია, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა.

ამირანი არაა „მედიას“ მოქმედი პერსონაჟი, მაგრამ იგი არსებობს პოემაში, ცოცხალია და მიჯაჭვული, სხვადასხვა თემებით მეტ-ნაკლებად დაკავშირებული „იაზონ-მედიას“ თემასთან. სავარაუდოდ, ეს ახალი მითია, რომლის მიხედვითაც ბერძენი ოქროს საწმისის მამიებელთათვის ის სრულიად უცნობია, მაგრამ იაზონი იგებს მის ისტორიას. აქედან აკაკის ჰიპოთეზაც: ამირანი საქართველოში ცხოვრობდა, მისი ისტორია კი დამკვიდრდა ახალ ბერძნულ მითში პრომეთეზე, რომელიც საწმისის მოტაცების შემდეგ მასთან ერთად წაიღეს ბერძნებმა: აქედან ქართველი ავტორის

ერთგვარი მცდელობაც ახალი მითის დამკვიდრებისათვის, რომელიც არგონავტების შემოსვლამდე კი არ დაიწყო, არამედ მათი სამშობლოში დაბრუნების შემდგომ. ჩვენი აზრით, აკაკი ცდილობს წარმოსახოს მითქმნადობის პროცესი ყველაზე პოპულარული მითების, „ამირანის“ მითისა და „იაზონ-მედიას“ მითების, ერთ სიუჟეტურ რკალში მოქცევით.

ლიტერატურა:

გიგაური, 1985: გიგაური ც. „კოლხეთი რომაულ მწერლობაში“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1985;
როდოსელი, 1975: როდოსელი, აპოლონიოს, „არგონავტიკა“, თბილისი, „მეცნიერება“, 1975;
ურუშაძე, 1975: ურუშაძე აკაკი, აპოლონიოსის „არგონავტიკის“ წყაროები, წიგნიდან „არგონავტიკა“, თბილისი, მეცნიერება, 1975;
ჩიქოვანი, 1975: ჩიქოვანი მ. „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, თბილისი, 1956;
წერეთელი, 1957: წერეთელი აკ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1956;
წერეთელი, 1961: წერეთელი აკ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1961;

TRANSFORMATION OF THE MYTHS ABOUT AMIRANI AND MEDEA IN “MEDIA” BY

A.TSERETELI

Tamar Gogoladze, Gori Teaching University, Full Professor

SUMMARY

The different variants of the myths about Medea and the Argonauts later became basis of Greek and Roman models. If in the Greek model “Iazon-Medea” the myths of Argonauts is less connected with the archetype of Prometheus, in the roman model (Val.Flakus, Vergilius, Seneka) just the transformation of the episode of Titan is presented too originally. Akaki Tsereteli, who mainly must be based on the Greek authors and Greek model (as he himself mentions Greek writers) tries to unite the myths about Prometheus, “Iazon-Medea” under one circle and creates a system of new characters according which the arrival of the Argonauts in Kolchheti coincides with the Spring equinox when stake of Amirani is strengthened by smiths.

In the dramatic poem by Akaki Tsereteli “Media” (the first part of the trilogies: “Media in Kolkhida”, “Media in Ellada”, “Media Returned in the Native Country”) new world, different from the traditional myth model is created. Media herself, the dream woman of the land, “the sweet tale” and a kind of trap for the Greek, is in the centre of it.

The plot created by Akaki Tsereteli is a kind of attempt to establish a new myth by which the poet wants to make solid the Georgian origin of the myth about Prometheus (Amirani).

ერთი ტაბუდადებული თემა XX საუკუნის ქართულ პროზაში

მარინა ცერცვაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

E-mail: marinatsertsvadze@yahoo.com

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც უნდა იბრძოლოს ადამიანის სულის გადარჩენისათვის და უჩიჩინებენ – სული არ არსებობს, ყველაფერი მატერიალურიაო?...

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც უნდა იბრძოლოს ეროვნული თავისუფლებისათვის და უჩიჩინებენ – ყველა ეროვნული პრობლემა სამუდამოდ მოგვარებულიაო?..

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც უნდა იბრძოლოს სოციალური სამართლიანობისათვის და უჩიჩინებენ – ყველა სოციალური პრობლემა სამუდამოდ მოგვარებულიაო?.

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც უნდა იმსჯელოს ფილოსოფიურ საკითხებზე და უჩიჩინებენ – ყველა ფილოსოფიური საკითხი მარქსიზმ-ლენინიზმმა გადაწყვიტაო. „უნდა იბრძოლოს, არ დამორჩილდეს, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. სხვა გზა არ არსებობს“ [ბაქრაძე, 1989].

ქართველი მწერლებიც იბრძვიან თავისი შემოქმედებით ადამიანის სულის გადარჩენისათვის, ეროვნული თავისუფლებისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის, მსჯელობენ ფილოსოფიურ საკითხებზე და მათ მიერ დასმული და გადაჭრილი პრობლემები იმდენად არის სადღეისო და აქტუალური, რომ ისინი ყველა ეპოქისათვის სადღეისო და აქტუალური პრობლემებია, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, აღელვებს და აინტერესებს თუ არა საზოგადოებას ანალოგიური საკითხები, აქაც იგივეს ვუპასუხებთ – ეს საკითხები ყველა დროისა და ქვეყნის მკითხველს აინტერესებს. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, ცხოვრების კანონზომიერების ულოგიკო დარღვევა, ადამიანის სულის კვლევა იმდენად თვალსაჩინო და მაცდუნებელი საკითხებია, რომ მას ყველა დროისა და ქვეყნის დიდმა ლიტერატურამ გაუღო ხარკი. ამ ხარკს იხდიან ქართველი მწერლებიც - მიხეილ ჯავახიშვილი, გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე რიგ მოთხრობებში, რომლებშიც კარგად ჩანს, რომ თუმცა საბჭოთა არმიაში სამსახური ტაბუდადებული თემა იყო ქართულ მწერლობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ქართველი მწერლები არ ეხებოდნენ ამ მტკივნეულ საკითხს.

ჯერ კიდევ 1926 წელს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ (4,5) ფურცლებზე გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ცოფიანი“, რომელიც მეტად აღარ დაბეჭდილა, თვით ბოლო, ყველაზე სრულ გამოცემაშიც კი.

განა რა ნოველაა ასეთი, რომ არაფრის მოქმედი ფრაგმენტების გვერდითაც ვერ მიუჩინეს ადგილი? კითხულობს კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე და თვითვე პასუხობს: „ეს რიტორიკული შეკითხვაა, რომელიც პასუხს არ საჭიროებს და მაშინვე ეს ფიქრი გამიელვებს – ეტყობა, ახალი სინამდვილის რომელიღაც მხარე ისე მწვავედ და ჭეშმარიტად ჯავახიშვილისეული სიღრმითაა მხილებული და განზოგადებული, რომ ხელისუფლებასა და ცენზურას მისი დასამარება ერჩიათ“. [ჩხეიძე,1996]

მოთხრობაში მხილებულია საბჭოთა სინამდვილის ის მხარე, რომელმაც, როგორც ჩანს, უფრო იმიტომ მიიპყრო მწერლის ყურადღება, რომ მისი მოშველიებით სააშკარაოზე გამოვიდოდა არსის შინაგანი შემზარაობა და რაც მთავარია, ის უდიდესი ხიფათი, რომლითაც ახალი წყობილება ემუქრებოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ხედავთ, ჯერ კიდევ როდის შემოჰკრეს განგაშის ზარები, მაგრამ ძლიერია რეჟიმი, მისი ცენზურა და ერთი-ორი მწერალი თუ მოახერხებს ამ თემაზე მოთხრობის „გაპარებას“.

არადა, მიხეილ ჯავახიშვილი აშკარად გვიჩვენებს, რომ ერთი ადამიანის გადაგვარებას ერის უექველი დაცემა მოჰყვება, მიაჩნია როსტომ ჩხეიძეს.

„ცოფიანი“ მამის მიერ შვილის მკვლელობის მოტივზეა აგებული. ეს თემა „არ ახალია, ძველია“. მსოფლიო ლიტერატურაში მრავლად მოეძებნება ანალოგი და მიხეილ ჯავახიშვილი ცუდუბრალოდ არ შეეხებოდა, თუ ადამიანის სულიერი გადაგვარების ახალი, უფრო მეტად შემზარავი, ფაქტებით არ გამდიდრებდა ამ, ისედაც მწვავე, პრობლემას. ამასვე გვაუწყებს ნოველის სათაურიც – „ცოფიანი“.

„ცოფიანი“ – ანუ ძალლიკა ჯიხალაური საკუთარ დას, კმარას, შეიყვარებს და ხასად გაიხდის. თუ რა მოსდის ამის გაგებაზე მის მამას, ხირჩლას, ეს ადამიანის სულის ურთულესი მოძრაობაა, რომელიც ასახავს მამის მიერ შვილის მოკვლის სურათს და როგორც აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, ეს ურთულესი მხატვრული ამოცანა არცერთ მწერალს არ დაუყენებია თავისი კალმის წინაშე. მიხეილ ჯავახიშვილმა კი სცადა შეუძლებელთან შეჭიდება და წარმატებითაც გაართვა თავი ამ ამოცანას. როცა გამწარებული მამა შვილის გადაგვარების საწყისს ჩხრეკს, მიაგნებს როდის გადაიქცა ძალლიკა მორიელად: “ნელ-ნელა, თანდათან, შეუმჩნევლად,... სამხედრო ბეგარის მოსახდელად წავიდა და როცა დაბრუნდა, მამამ თავის სახლში შვილის მაგიერ ოცფეხიანი მორიელი აღმოაჩინა.”[ჩხეიძე,1996]

სამამულო ომამდეც და ომის შემდეგაც „საბჭოთა ჯარში“ სამსახური ქართველი კაცის წმიდათაწმიდა მოვალეობად ითვლებოდა. ომის დროს დიდი გამოხმაურება ჰქონდა ირაკლი აბაშიძის ლექსს „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც ასე მთავრდება: “დავუბარებ ყველა ქართველს, მისი წმინდა ვალი არის – მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას, დერბენტი და დარიალი“. კი, შეჰკრას, მაგრამ ვისგან დაიცვას?–გერმანელებისგან. ვისთვის დაიცვას? – რუსებისთვის. თავის დროზე რომ არ გაეხსნათ ქართველებს „დერბენტი და დარიალი“ და არ მოეწვიათ „ერთმორწმუნე“ რუსები, შეიძლებოდა ამდენი უსიამოვნების თავიდან აცილება.

ქართველი მწერლები „ახერხებენ“ მოთხრობების გმირების მაგალითზე დაგვანახონ ის ზნეობრივი დეგრადაცია, რასაც ქართველი კაცი განიცდიდა იმ 2–3 წლის განმავლობაში, „საბჭოთა არმიაში სამსახური“ რომ ერქვა.

გურამ გეგეშიძე მოთხრობაში „ემშაკის მოსახვევი“ დაწვრილებით აგვიწერს ერთ მეგრულ ბიჭს – კოჩიას ჯარში წასვლამდე და მისი ჯარიდან დაბრუნების შემდეგ. სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ყავს ლამაზი შეყვარებული, ძვალში და რბილში გასჯდომია მეგრული კაცის ტრადიციისამებრ ცხენის სიყვარული, ჯარიდან ამ ყველაფრის მიმართ აბსოლუტურად გულგრილი ჩამოდის. რა მოხდა ამ სამი წლის განმავლობაში? ამას ვერავინ იგებს. ხედავენ, მხოლოდ, რომ რუსულმა

იმალა კოჩიაში. აჯიკა და ღომი ბორშჩზე გაცვალა, ცხენი მანქანაზე, ლამაზი აფხაზი გოგონა – რუსის დედაკაცზე. ყველაფერმა ამან კი ის გამოიწვია, რომ კოჩიას სოფელში აღარ ეცხოვრება, და თუ მაინც იცხოვრებს, ეს იქნება კაცი, რომელიც არც თუთუნს მოაწვევინებს ვინმეს (ეტყვის – свой надо иметь), არც ქეიფში დაპატიჟებს და არც ერთადერთ ბიძაშვილს მიუხედავს ოჯახს მოუცლელობის მიზეზით, როცა ის ციხეშია. ოჯახშიც მუდამ აყალმყალი ექნება და რძალ–მამამთილის გაშველებას მოუწოდებს. ეს კი ქართველი კაცის ცხოვრება აღარ არის, ამას სიკვდილი სჯობიაო მიიჩნევს ავტორი და სასიკვდილოდაც იმეტებს ამ ახალგაზრდა კაცს.

ვერც ხირჩლა და ვერც კოჩიას ბიძაშვილი, ასტამური, ვერ სცნობენ იმ ქართველ ჭაბუკებს, რომლებიც გაისტუმრეს სამხედრო ბეგარის მოსახდელად, რადგან მათ ამ სამ წელიწადში ფერი იცვალეს და ეს შინაგანი ფერისცვალება, პირველ რიგში, გამოიხატა იმით, რომ ძალღიკაც და კოჩიაც არაფრად აგდებენ ძველ ადათებს.

სამხედრო ბეგარამ ჩაჰკლა ამ ორ ჭაბუკში ეროვნული გრძნობები, დაუკარგა ღვთის შიში, ხევსური და მეგრული ჭაბუკი იმპერიის მონა–მორჩილ ხელქვეითად აქცია.

გურამ გეგეშიძის მოთხრობა „აპრილის“ მთავარი მოქმედი პირი კი გონებადაბინდული, უღირსებო კაცია, რომელიც სამარცხვინო აღსასრულისაკენ მიაბიჯებს.

საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელია, რომ ღირსეულად მოქმედებენ სხვები და არა საბჭოთა მოქალაქე. რატომ? კითხულობს აკაკი ბაქრაძე, რატომ გაგვეპარა ღირსებიანი ადამიანი და მისი ადგილი დავუთმეთ უღირსებო კაცს? ეს არ მომხდარა არც შემთხვევით და არც მოულოდნელად. ოფიციალური კრიტიკა ებრძოდა ღირსებიან ადამიანს მხატვრულ მწერლობაში. სწორედ უღირსებო, გონებადაბინდული კაცია გურამ გეგეშიძის მოთხრობა – „აპრილის“ მთავარი მოქმედი პირი – ჭიჭიკო, რომელიც სამარცხვინო აღსასრულისაკენ მიაბიჯებს. ის მკითხველის სულიერ სამყაროზე მოქმედებს, რაკი ადამიანური ღირსების დაცვას გვასწავლის. მოთხრობაში გადამწყვეტია მწერლის ადამიანისადმი დამოკიდებულების პრინციპი. მას აინტერესებს ადამიანი, მის ემოციურ სამყაროში შევყავართ. ეს ემოციური სამყარო კი სულს ამდიდრებს, აკეთილშობილებს. მისი წაკითხვის შემდეგ ჩვენს სულში რაღაც იცვლება, სხვანაირი ვხდებით. ამ თითქოსდა შეუმჩნეველი კვალის დატოვებაა მწერლის ერთ–ერთი ფუნქცია. ამ კვალს მხოლოდ ღირსეული ადამიანები ტოვებენ. ღირსება კი, როგორც უანგარობა, კეთილშობილება და პატიოსნება, მეტად იშვიათი ნიჭია და რადგანაც არანაირ ნიჭს ღმერთი უხვად არ არიგებს, მას გაფრთხილება უნდა, ლიტერატურაში სათუთად უნდა გადატანა.

ჯარიდან დაბრუნებული ჭიჭიკო იგებს, რომ მეზობლის გოგო, ჟუჟუნა, რომელთანაც ჯარში წასვლის წინაღამე გაათია და ვერ ივარგა, თანასოფელელ ბუჭუნას გაყოლია ცოლად, იმ ბუჭუნას, რომელიც ახლა მაგიდას მასთან ერთად უზის და ქეიფობენ. ბუჭუნია ჭიჭიკოს სრული ანტიპოდი. ის, რაც მას დააკლო ბუნებამ, ბუჭუნას სრულად აქვს – ლადია, შინაგანად თავისუფალი. მან იცის, როგორ დაუმორჩილოს თავის ნებას ჭიჭიკოსნაირები.

ნასვამი ჭიჭიკო ცდილობს ამდენი ხნის დაკავალის ერთად მიღებას, მიატოვებს თანამეინახეებს და მიდის ჟუჟუნასთან, რომელსაც არც კი ახსოვს ის ღამე, რომელმაც სამი წელია ჭიჭიკოს მოსვენება დააკარგვინა. ჟუჟუნა გაცოცხლებული ხვდება ასე უმიზეზოდ კარზე მომდგარ კაცს, რომელმაც თვითონაც არ იცის რა უნდა ქალისაგან, მხოლოდ ის იცის, რომ ეს დასასრულია და როცა მოულოდნელად გამოჩენილი ბუჭუნია ცოლის შებღალული სახელის დასაცავად აიღებს თოფს და მოსაკლავად გამოეკიდება, ჭიჭიკო ხვდება, რომ გაქცევას აზრი აღარ აქვს, რომ თურმე აქამდის უღირსად უცხოვრია და დარჩენილ რამდენიმე წაშში ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული თუ არქონებული ღირსება, კაცად მოკვდეს. მას თავისუფლად შეუძლია დააღწიოს თავი ტყვიას, მაგრამ ციდან უცხად ჩამოვარდნილი ღირსების გრძნობა არ ამღვეს გაქცევის უფლებას, ცდილობს ბუჭუნას თვალშიც ამალდეს, აღიდგინოს კაცის სახელი და ჟუჟუნასაც დაანახვოს რომ არ ყოფილა მთლად გასამეტებელი კაცი, ამიტომ გაუჩერდება თოფმოდერებულ ბუჭუნას წინ, „შემობრუნდა და სადღაც შორს, მთებს გახედა“. [გეგეშიძე, 1989]

ავტორი მეტად დამაჯერებლად ხატავს ჭიჭიკოს სულის ცვლილებებს. სიცოცხლის ბოლო წამებში ჭიჭიკო სულ სხვა პიროვნებაა, ვიდრე მას მოთხრობის დასაწყისში ვეცნობით. „სწორედ ამ მეტამორფოზის ჩვენებაა მოთხრობის ძირითადი სათქმელი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კოლიზია უცნაურ საფუძველს, არაბუნებრივ ფონს ემყარება“ [კვანტირაძე, 1991].

ჭიჭიკო, ჯარიდან დაბრუნების შემდეგ თავისთავად, მასზე ძლიერი ინერციის ზემოქმედებით, აღმოჩნდა დამნაშავეს, ბოროტმოქმედის როლში. იქნებ მხოლოდ ჩვენ ვფიქრობთ ასე? არა, მოთხრობაში სინამდვილის ილუზია იმდენად ძლიერია, რომ იფანტება ყოველგვარი ეჭვი. ჯარში სამსახურია ის „ძლიერი ინერცია“, რომელმაც ჭიჭიკოს პიროვნება მთლიანად შეცვალა. ბიჭი, რომელმაც ვერაფერი მოახერხა თავის კბილა გოგოსთან მთელი ღამის განმავლობაში და მთელი სამი წელი ამ დაუკმაყოფილებელ გრძნობაზე ფიქრობდა, იმ მონსტრად ქცეულა, რომელიც არ მოერიდება „ყოჩაღი ბიჭის“ სახელით ცნობილი ბუჭუნას ტყვიას და სხვის ცოლს ასე უცერემონიოდ ებღლარძუნება. რატომ

ადარ ემინია ტყვიის ჭიჭიკოს? იმიტომ, რომ სამხედრო სამსახურმა ჩაკლა მასში ძველი ტრადიციებისადმი ერთგულება. ჭიჭიკოს ადარ სწამს იმ რიტუალისა, რომელშიც ადგომა დღეს მონაწილეობს, ამიტომაც მკრეხელობს ფიქრებში მშობლების მიმართ, ადარ სწამს თავის სიყვარულისა, რომელიც სამი წელი მოსვენებას არ აძლევდა, არა სწამს მეტოქის კაბიჭობის და არც საკუთარი თავისა ადარა სწამს არაფერი, თორემ განა არ იცის, სხვის ცოლს ასე უმიზეზოდ სახლში რომ არ უნდა მიუვარდეს? „მაგრამ ვინ იტყვის, რომ მართო ჭიჭიკოა დამნაშავე და პასუხისმგებელიც მის მიერ ჩადენილი მორალური ქცევის გამო? რომ ის ნივთიერება, რომელშიც ურწმუნოების სკეპსისის, ეთიკური რელატივიზმის მიკრობები ხარობენ, მხოლოდ მისმა განუვითარებელმა ინტელექტმა გამოიმუშავა?“ [ბაქრაძე,1986]. მართლაც მართო ჭიჭიკო არაა დამნაშავე. მისი სულიერი დამხობა სინამდვილის ფონზე ხდება და სისტემა მთავარი დამნაშავე .

თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი არმიაში, კარგად გვიჩვენებს გურამ რჩეულიშვილი მოთხრობაში – „როგორ გამოიცვალა იგორ კობლუკოვი“. ეს ყველაფერი უცბად არ ხდება, არამედ თანდათან, თვიდან თვემდე; იგორ კობლუკოვი, რომელიც ძნელად ეგუებოდა ჯარს, სამსახურის დამთავრებისას სამაგალითო ეფრეიტორი და მოქალაქეა.

რითია იგორ კობლუკოვი წესრიგის დამრღვევი? იმით, რომ ფიქრობს, აზროვნებს, განსხვავებით სხვებისაგან, რომლებიც ორ თვეში გამომუშავებული რეფლექსით არაფერზე არ ფიქრობენ, იგორი კი ფიქრობს სრულიად უწყინარ ამბებზე – გოგონაზე, რომელსაც, ალბათ, შეიყვარებს, ახალ მეთოდზე, რომელსაც, ალბათ, დანერგავს თავის მშობლიურ ქარხანაში დაბრუნების შემდეგ; მაგრამ ფიქრი, აზროვნება ის დანაშაულია, იმ დისციპლინის დარღვევაა, რომლისთვისაც ყოველ კვირას საჯარიმო, რიგარეშე მორიგეობა უწევს. რამდენიმე თვის შემდეგ კი იგორ კობლუკოვიც ცდილობს შეასრულოს ბრძანებები უსიტყვოდ, არაფერზე არ იფიქროს: “მეტი რა ძალაა, უნდა შევასრულო, კაცმა რომ თქვას, სწორიცაა, რადგან ყველა ასე იქცევა. ვინც არა, აგერ, ბელოუსოვს ასთორმეტი დღე აქვს გატარებული ჰაუპტვახტში, ეხლა რვათვენახევარი კიდეც უნდა იმსახუროს.“ [რჩეულიშვილი,1977]

და ცხოვრებისეული დასკვნა, რომელსაც იგორ კობლუკოვი გამოიტანს ის არის, რომ “ავიტან, როგორც იქნება, ბოლოს და ბოლოს რა გახდა ეს ოცნება, სხვები ხომ იტანენ, ასე უფრო ჩქარაც გადის დრო“ [რჩეულიშვილი,1977]

დრო კი გადის, მაგრამ მის გასვლასთან ერთად ყალიბდებიან „სამაგალითო ეფრეიტორები“, რომლებიც სამუდამოდ ასამარებენ ლამაზ ოცნებებს და რეჟიმის ერთგული ჟანდარმები ხდებიან.

რამდენი ასეთი „ერთგული ჟანდარმი“ იყო მიმოფანტული საქართველოს სოფლებში 1921წლიდან მოყოლებული? ბევრი. სწორედ ეს იწვევს მიხეილ ჯავახიშვილის, გურამ გეგეშიძის, გურამ რჩეულიშვილის სასოწარკვეთას, რადგან ის გულის გატეხა და უმძაფრესი დრამატიზმი გმირების დახატვისა, მხოლოდ სასოწარკვეთილების შედეგია. უნდა მოკვდეს ცოფიანი ძაღლიკა, არ შეიძლება მისი ცოცხლად დატოვება, ამას კარგად გრძნობს მისი მამა. უნდა მოკვდეს თავმოყვარეობადაკარგული, კაცობადაკარგული კოჩია, ამას კარგად გრძნობს მისი ბიძაშვილი ასტამური, მაგრამ, ალბათ, მწერლების სასოწარკვეთას ის იწვევს, რომ უნდა მოკვდეს ისიც, ვინც მათ სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს – ხირჩლაც და ასტამურიც. მეტად მძიმე მდგომარეობაშია ორივე მწერალი, რომელიც „თავისი ანტიგმირის საქციელს კერძო პათოლოგიურ ანომალიად კი არ აღიქვამს, არამედ კარგად ესმის, რომ , ამ ორივე პიროვნების სულს დიქტატორულმა რეჟიმმა დაადო ცოდვის დადი“ [ჩხეიძე,1996].

მწერლებიც და მისი პერსონაჟებიც მკაცრი სინამდვილის წინაშე დგანან, ისეთი მკაცრის, რომლისთვისაც ადარ კმარა რომანტიული შეხედულებანი. თუ ჰაჯი–უსუბს კიდეც შეიძლება ჰქონდეს იმის იმედი, რომ მისი თვითმკვლელობა ცოდვილ გაზრდილს პატიოსანი არსებობის უკვდავ გაკვეთილს მისცემს, პირუთვნელი რეალიზმი ახალ ვითარებაში ამ იმედს ვერ გაიზიარებს. ძაღლიკა და კოჩია არ არიან ის ხალხი, ვისაც მონაწილების უნარი შესწევთ, მაგრამ ზნეობრივი პრინციპი ხომ ყოველ დროში და ვითარებში უცვლელია.

ადარც ხირჩლა და ადარც ასტამური, რომელთაც ერთმა ფიზიკურად და მეორემ სულიერად გაიმეტეს უსაყვარლესი ადამიანები, ადარ არიან სიცოცხლის ღირსნი. ეს მწვავე პრობლემაა, რომელიც დაჰბადა ახალმა სინამდვილემ. მიტევა კი უსარგებლო გამხდარა, მაგრამ დაუნდობლობასაც არაფრის შეცვლა და შველა არ შეუძლია. ამ ყოფაში გამოსავალი არსად ჩანს, რადგანაც ტოტალიტარულ სამხედრო რეჟიმს საყოველთაო ნგრევა და დაღუპვა მოაქვს, ხოლო ამ ნგრევისა და დაღუპვის თავიდან აცილება, თუ თავსმოხვეულ რეჟიმს არ დაუსხლტი, სხვა არანაირი გზით არ მოხერხდება. ამაზე მიგვანიშნებდა მიხეილ ჯავახიშვილი საუკუნის დასაწყისში, გურამ რჩეულიშვილი 50–იან წლებში და გურამ გეგეშიძე საუკუნის მიწურულს. მიხეილ ჯავახიშვილს ეს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა, ამის მიმანიშნებელია ის უკიდურესი დრამატიზმიც, რომლითაც გურამ გეგეშიძის მოთხრობა “ემშაკის მოსახვევია“ გამსჭვალული.

ქართველი მწერლები იბრძვიან ადამიანის სულის გადასარჩენად, ტოტალიტარული რეჟიმის დროს სულზე ფიქრობენ. ეს კი ხმალამოღებული ბრძოლაა, რადგან გიჩიჩინებენ სული არ არსებობს, ყველაფერი მატერიალურიაო.

Spanish novelist of post-Civil War period who, with his first and most popular novel, "The Family of Pascual Duarte" (1942) established the narrative style known as tremendismo, a tendency to emphasize violence and grotesque imagery. The Family of Pascual Duarte is a 1942 novel written by Spanish Nobel laureate Camilo José Cela. This novel contains themes of extreme realism and existentialism. The characters live in the margins of society and their lives are submersed in anguish and pain. The archetype of this theme is found in the protagonist of the novel, Pascual Duarte. He has learned that violence is the only way to solve his problems. The novel has various narrators, the main being Pascual Duarte, who recounts his history in a rural dialect. The first-person narrator-protagonist Pascual Duarte, while awaiting execution in the condemned cell, tells the story of his family life and his homicidal past, culminating in matricide. He claims, amongst other things, that Fate is controlling his life and whatever he does it will never change. By the time of his death in 2002, Cela's once-censored Family of Pascual Duarte was the second most- widely translated work in all of Spanish literature.

He was awarded the Nobel prize for literature in 1989 "for a rich and intensive prose, which with restrained compassion forms a challenging vision of man's vulnerability".

Cela died from heart disease on 17 January 2002 at the Hospital Centro in Madrid, aged 85. He was laid to rest in the parish cemetery of Santa María de Adina.

დავით ერისთავისა და გიორგი წერეთლის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხისათვის

ირმა ზაქარაია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურათაშორისი კომუნიკაციების განყოფილების მთავარი სპეციალისტი
E-mail: izaqaraia@gmail.com

მრავალმხრივი იყო დავით ერისთავის სამოქმედო ასპარეზი – დრამატურგია, თეატრი, ჟურნალისტიკა, ლიტერატურული კრიტიკა... სწორედ ლიტერატურულ კრიტიკაში მისი საქმიანობა წარმოადგენს ჩვენი შესწავლის საგანს.

როგორც ჭეშმარიტი ქართველი, დავით ერისთავი დაინტერესებული იყო თავისი სამშობლოს ბედით, ძალისხმევას არ იშურებდა მისი უკეთესი მომავლისათვის. ამ საქმეში დ. ერისთავი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს მხატვრულ ლიტერატურას ანიჭებდა, რომელიც მე-5 საუკუნიდან მოყოლებული განუხრელად ემსახურებოდა ქვეყნის, ერის ინტერესებს. ის არა მხოლოდ თვალყურს ადევნებდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებას და ეხმარებოდა ყოველგვარ სიახლეს, არამედ აქტიურადაც იყო ჩართული ლიტერატურულ პროცესებში.

სხვადასხვა დროს დ. ერისთავმა თავისი დამოკიდებულება გამოხატა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ანტ. ფურცელაძის, ნ. ნიკოლაძისა და სხვათა მიმართ. წარმოდგენილ სტატიაში გვსურს შევეხოთ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში პრესის ფურცლებზე დავით ერისთავსა და გიორგი წერეთელს შორის გამართულ პოლემიკას, რაც ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შეფასებამ გამოიწვია.

ჟურნალ „კრებულის“ 1873 წლის №1-ში სათაურით – „ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა“ დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები გაგზავნილი მაიკო ორბელიანისადმი. რედაქციამ (რედაქტორი – გიორგი წერეთელი) მათ დაურთო შემდეგი შინაარსის ტექსტი: „ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთსა და იმავე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართული ენისა და მწერლობის მოყვარემ. ვისაც ესმის, რა გვარი მნიშვნელობა აქვს ამგვარ წერილებს ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებისა და თვისების ახსნისათვის, ის ჩვენთან ერთად გულითადს მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულ გადმომცემელსა“ („კრებული“, 1873ა).

ცოტა ხანში კი დაიბეჭდა („კრებული“, 1873ბ) ასევე ოთხი წერილი, რომელთა ადრესატი გრიგოლ ორბელიანია (მათგან პირველი დათარიღებულია 1841 წ. 28 მაისით, მეორე – 1841 წ. 18 ოქტომბრით, მესამე – 1842 წ. 2 მაისით, მეოთხე – 1843 წ. 21 აგვისტოთ).

დავით ერისთავმა თავის სტატიაში, რომელშიც „კრებულსა“ და „მნათობში“ გამოქვეყნებულ მასალას განიხილავდა, სწორედ გრ. ორბელიანთან გაგზავნილ წერილებთან მიმართებაში აღნიშნა: ეს არის ჩვეულებრივი მოკვდავის ჩვეულებრივი წერილები, რომლებშიც ნ. ბარათაშვილი თავისი მეგობრის ჯანმრთელობას მოიკითხავს და აცნობებს მას ახალ ამბებს. დ. ერისთავისთვის გაუგებარია, რატომ მიიჩნია „კრებულის“ რედაქციამ ეს წერილები ღირებულად. მისი შეხედულებით, მათგან ერთის გარდა ყველა დანარჩენი აზრს მოკლებულია.

აქვე მოგვყავს, კრიტიკოსის შეფასებით, ის ერთადერთი ადგილი (დედანიც და დ. ერისთავისეული თარგმანიც, რადგან თარგმანი, სხვა საკითხებთან ერთად, პოლემიკის საგანი გახდა), რომელშიც საზოგადო ინტერესი იკითხება:

„საკვირველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვებრძებიო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხვედრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!“

«Удивительно, что у Грузина, как-бы он не возвысился и не сделался-бы могущественным, нет той дальновидности, что когда он начнёт стареть, найдти себе преемника, приготовить его, дать направление, сделать его человеком, чтоб когда сам падёт (ничто не вечно на земле) и тогда имел народ голос и могущество, благодаря этому преемнику. Я для того говорю это, что внутренний голос призывает меня к лучшей доли, и сердце мне говорит, что я не рождён для нынешнего положения. Я не дремлю, но нужно человека, который вывел-бы меня из этаго скалистаго пути, чтоб я стал на широкую дорогу. О, как свободно вздохну я тогда, и как величественно посмотрю я на свою арену!» (Эр-в, 1873ა).

ნ. ბარათაშვილის წერილების დ. ერისთავისეულმა შეფასებამ გ. წერეთლის აღშფოთება გამოიწვია. მან დ. ერისთავს „განუკითხავი მწერალი“, „გონებაგაუხსნელი ბავშვი“ უწოდა. „დროებაში“ გორისელის ფსევდონიმით დაბეჭდილ სტატიაში გ. წერეთელი წერდა: „ტფილისის მოამბეს“ სადგანდაც ერთი ახალი ბიბლიოგრაფი გამოუჩხრეკია. თქვენი მტერი, რაც იმის მსჯელობისაგან ქართული ლიტერატურის ნაწარმოებებს მოსდიოდა. ვინ არის ამისთანა განუკითხავი მწერალი, რომლის კალამსაც წრიპინ-წრიპინი გააქვს, ყურებს გვიჭექავს და გულს გვიწუხებს ასე შეუბრალებლათ. ნეტამც ან მკითხველმა საზოგადოებამ, ან ქართულმა მწერლობამ რა დაუშავა „ტფილისის მოამბეს“, რომ ჯერ გონებაგაუხსნელს ბავშვს აჩიქნინებს ჩვენი ლიტერატურის ნაწარმოებს. უნდა ვიფიქროთ, ან თვითონ „ტფილისის მოამბის“ რედაქტორმა (გაზეთის რედაქტორი იყო კ. ბებუთოვი – ი.ხ.) არა იცის რა ჩვენი მწერლობისა და ვინც რა უნდა დაწეროს, სიამოვნებით მიიღებს, ან იქნება თვითონ „ტფილისის მოამბის“ რედაქტორის ყურები იყოს მიჩვეული ამნაირს რახა-რუხს და ყოველთვის ტაშს უკრავდეს, როცა იმისგან გამოჩხრეკილი ბიბლიოგრაფი დ. ერისთავი ასე შეუბრალებლათ ჩიგნის... ქართულ თხზულებებს“ (გორისელი, 1873).

გ. წერეთელმა დ. ერისთავის მსჯელობას „უკბილო კრიტიკული მსჯელობა“, ხოლო ნ. ბარათაშვილის წერილის ჩვენ მიერ ზემომოყვანილი ნაწყვეტის დ. ერისთავისეულ თარგმანს „უაზრო“ უწოდა და აღნიშნა: „ამგვარი თარგმნისთვის თხუთმეტის წლის წინათ ჩვენს ღიმნაზიაში მეოთხე კლასის

მოწაფეს ყურებს აუწევდნენ; მაშინ ყურის აწევა ჯერ კიდევ არ იყო გადავარდნილი, შველოდა კიდევ ამისთანა შეცდომებსა; მაგრამ ახლა რა ვქნათ, რომ აღარც ყურის აწევაა მოდამი და აღარც კუთხეში დაყენება? რამ უნდა გვიხსნას უფ. დ. ერისთავის თარგმანებისაგან?... ქართული მწერლობა ასე რა დაბალი ღონე უნახავს, რომ უწყალოთ ასახიჩრებს? ან ეს დალოცვილი რედაქტორი რას აკეთებს, რომ ღრამატიკულ შეცდომებს მაინც არ უსწორებს ახალ გამოჩეკილს ბიბლიოგრაფსა?“ (გორისელი,1873).

„დროების“ კრიტიკოსმა გადაწყვიტა «Тифлисский Вестник»-ის კრიტიკოსისთვის განემარტა ნ. ბარათაშვილის წერილების მნიშვნელობა. მისი თქმით, იმ დროს, როდესაც პოეტის ეპოქაზე, მის ცხოვრებასა თუ პიროვნებაზე მწირი მასალა არსებობდა, „კრებულში“ დაბეჭდილმა წერილებმა შესაძლებელი გახადა ამ საკითხებში მეტი სიცხადის შეტანა. ნ. ბარათაშვილი წარმოსდგა ჩვენ წინაშე ახალგაზრდად, „რომელიც ებრძვის გარემოებას, ეძებს გონების წარმატებას, უნდა თავისი სამშობლო ქვეყანა და იმისი ლიტერატურა წინ წააყენოს. ამის გულისთვის თვითონაც შრომობს და თავის ნათესავებსა და მეგობრებსაც აღვიძებს, ამხნევებს. ნ. ბარათაშვილის წიგნების დაბეჭდვის შემდეგ ჩვენ დავინახეთ უფრო ნათლათ თვითონ იმის დროის ცხოვრება და დავრწმუნდით, რომ იმისი სიცოცხლე ამ ცხოვრების გაუმჯობესებისთვის ყოფილა შეწირული. ის ნამდვილის სწავლის დამკვიდრების გულისთვის სდევნის უწყალოთ და თავის მახვილ გონების მათრახს სცემს ყოველსავე, რაც არის ყრუ, მატყუარი, გარეგანი ბრწყინვალეობით შემკული, მაგრამ შიგნით გულდამპალი და უნაყოფო მეცნიერება... აი, ამდენი ახალი და ძვირფასი მასალა შესძინა ნ. ბარათაშვილის წიგნებმა ჩვენს ლიტერატურას“ (გორისელი,1873).

დ. ერისთავმა არათუ არ გაიზიარა გ. წერეთლის შენიშვნები, პირიქით, მას ბრალი დასდო ნ. ბარათაშვილის სახელის პირადი ინტერესებისათვის გამოყენებაში. გაზ. «Тифлисский Вестник»-ში გამოქვეყნებულ წერილში (Эр-в, 1873ბ) დ. ერისთავი თავის მსჯელობას ასე წარმართავს: ბოლოს და ბოლოს ატყდა მოსალოდნელი ჭექა-ქუხილი. გორისელმა პატივი დამდო თავისი ყურადღებით და სალანძღავი სიტყვებით სავსე სტატია მიძღვნა. მისი ნაწერების ჩემული შეფასებით დამწუხრებულმა ღვარძლის გადმოსანთხევად ეშმაკურ ხერხს მიმართა – აქ გარდაცვლილ პოეტს გამოეკომაგა. გორისელი იწუნებს თარგმანს – არასწორიაო. რატომ არ გაასწორა? ის მიმართავს სიტყვების რახა-რუხს მწერლის ცხოვრებაში მისი წერილების მნიშვნელობაზე. მე ხომ არ მითქვამს მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებზე, რომ მათში არა არის საზოგადო ინტერესი (აქ შევნიშნავთ, რომ დ. ერისთავმა მ. ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები „ძალიან საინტერესოდ“ მიიჩნია (Эр...ов, 1873ა) – ი.ხ.). ჩემი შეფასება ეხებოდა „კრებულის“ №3-ში დაბეჭდილ წერილებს. რა თქმა უნდა, პოეტის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას გაფრთხილება სჭირდება, მაგრამ თუ ის სადილზე მოსაწვევი ბარათია? ასეთი წერილი რა ინტერესს შეიძლება წარმოადგენდეს? ბ-ნ გორისელს ეს ყოველივე კარგად მოეხსენება, მაგრამ საქმე ბარათაშვილში არ არის. ის დიდებული პოეტის სახელს პირადი ინტერესებისათვის იყენებს.

დ. ერისთავმა გ. წერეთლის მისამართით განაცხადა, რომ ის ამხინჯებს ქართულ ენას და კომპრაჩიკოსი უწოდა.

როგორც ვხედავთ, დ. ერისთავი სათანადოდ აფასებს ნ. ბარათაშვილის პოეტურ გენიას, უწოდებს მას „დიდებულ პოეტს“; უფრო ადრე კი ნ. ბარათაშვილზე აღნიშნა, რომ ის არის ერთადერთი ქვეყნარტი პოეტი საქართველოში (Эр...ов, 1873ა). დ. ერისთავს გაცნობიერებული აქვს პირადი წერილების მნიშვნელობაც მწერლის ცხოვრების, პიროვნების უკეთ შესწავლის საქმეში, მაგრამ მან, სრულიად უმართებულოდ, ასეთი მნიშვნელობის მქონედ არ ჩათვალა გ. ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილები (გარდა ერთისა). ასეთმა დამოკიდებულებამ სამართლიანად აღაშფოთა გ. წერეთელი, რამაც გამოიწვია კიდევაც პოლემიკა პრესის ფურცლებზე.

რას გულისხმობდა დ. ერისთავი, როდესაც გ. წერეთელს ბრალს სდებდა ნ. ბარათაშვილის სახელის პირადი ინტერესებისათვის გამოყენებაში?

ჟურნ. „კრებულის“ 1872 წ. №№10,11,12-ში დაიბეჭდა გ. წერეთლის „ამ დროის ვითარება“ და ნ. სკანდელის (ნიკოლაძის) „ჩვენი მწერლობა“. როცა დ. ერისთავმა განიხილა „კრებულში“ გამოქვეყნებული მასალა, ცხადია, არ გამორჩენია აქ მითითებული წერილები.

გაანალიზა რა „ამ დროის ვითარება“, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ნახშირზე, ტყიბულის მაღაროზე, თბილისისა და ქუთაისის ბანკების შეერთების მნიშვნელობაზე, რკინიგზაზე, ქალთა განათლებაზე (წერეთელი, 1872), დ. ერისთავმა გ. წერეთლის მისამართით გამოთქვა შენიშვნები. მისი შეხედულებით, არ იყო აუცილებელი ტყიბულის მაღაროზე ასე ვრცლად საუბარი, რადგან ის ჟურნალის მკითხველისთვის საინტერესო არ არის. კრიტიკოსის შეფასებით, გ. წერეთელი ქალთა განათლების აუცილებლობას ბანალური არგუმენტებით ასაბუთებს და თან, ენაც დაუწუნა.

რაც შეეხება ნ. სკანდელის სტატიას „ჩვენი მწერლობა“, მასში, მთელ რიგ საკითხებთან ერთად, განხილულია გ. წერეთლის „ჯიბრი“. სკანდელის თქმით, „ჯიბრი“ არის შესანიშნავი თხზულება, რადგან არ ჰგავს ქართულ ლიტერატურაში არსებული კომედიების უმრავლესობას, რომლებიც არ ასახავენ

რეალურ ცხოვრებას და ხალხის მდგომარეობას და რომლებშიც ერთი და იგივე იდეაა გატარებული, ერთნაირი ინტრიგა იხლართება, მსგავსი მოქმედი პირები არიან.

ნ. სკანდელი თვლის, რომ „ჯიბრი“ ყველა ამ ნაკლისგან თავისუფალია და ის ახალი კომედიების პროტოტიპი გახდა (სკანდელი, 1872).

ამ შეფასებას არ დაეთანხმა დ. ერისთავი. მისი თქმით, უცნაურია მსჯელობა, თუ არა აბსურდული, როლის მიხედვითაც, ყველაფერი ის არის კარგი, რაც ჩვეულებრივი არ არის. დ. ერისთავის აზრით, არ შეიძლება „ჯიბრს“ ეწოდოს ახალი, თანამედროვე კომედიის პროტოტიპი. ის არის პიესა, რომელიც ყურადღებას არ იმსახურებს (Эр...ов, 1873ბ).

აი, ეს შენიშვნები გამოთქვა დავით ერისთავმა გიორგი წერეთლის ნაწერებზე 1873 წლის მაისში, სექტემბერში კი მათ შორის ზემონახსენები პოლემიკა გაიმართა. ეს პოლემიკა იმით დამთავრდა, რომ გ. წერეთელმა «Тифлисский Вестник»-ის რედაქტორს მიმართა შემდეგი განცხადებით:

„უფ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის 99 ნომერში „ტფილისის მოამბის“ ბიბლიოგრაფმა ინსინუაციები სეტყვასავით მოგვაყარა „დროებაში“ დაბეჭდილი ჩემი შენიშვნის პასუხად. მე სრულიადაც არ მსურს ამ მწერალთან ვიბჭო ჩვენი მოქმედების ხასიათზე, მაგრამ მარტო ერთ ნიმუშს გიჩვენებთ მისი ინსინუაციების საფუძვლიანობისას. ის ამტკიცებს, მაგალითად, ვითომც მე იმას ვუძღვენი სტატია, „ავსებული ყოველნაირი გინებითა“. მიათითოს აბა იმან თუნდ ერთ გინებას იმ რიცხვიდამ, რომლებით მისი სიტყვით ვითომც ავსებულია ჩემი სტატია“ („დროება“, 1873).

გაზ. «Тифлисский Вестник»-ის რედაქციის პასუხი ასეთი იყო: „შეხედულობა გამოთქმული ქართულ გამოცემების შესახებ 99 ნომერში, სტატიაში „შეურაცხყოფილი კომპრაჩიკოსი“ და სხვ. რედაქციის აზრს არათუ არ ეთანხმება, რედაქციისაგან ჭეშმარიტებაზე მოშორებულათ ითვლება. რედაქცია სწუხს, რომ ავტორი, პოლემიკით გატაცებული, ჭეშმარიტების საზღვრიდამ გამოვიდა. მაგრამ, თანახმად ერთხელ მიღებული წესისა, რედაქცია თავის მოვალეობათ სთვლის სიტყვის თავისუფლება არ შეამციროს“ („დროება“, 1873).

ამით დასრულდა დავით ერისთავსა და გიორგი წერეთელს შორის მე-19 საუკუნის 70-იან წლებში გამართული პოლემიკა, რაც ნ. ბარათაშვილის წერილების დ. ერისთავისეულმა შეფასებამ გამოიწვია. ამ შეფასებამ, როგორც ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, იმ დროს ბევრი გაანაწყენა, მაგრამ მას მხოლოდ გ. წერეთელმა უპასუხა, რომლის წერილმაც დავით ერისთავი „ძლიერ გააგულისა“ (ჭიჭინაძე, 1892). ამ საკითხზე პრესის ფურცლებზე უკვე შემდგომში პუბლიკაციები არ გვხვდება.

დავით ერისთავი არ იყო ქართული ლიტერატურული კრიტიკის ტონის მიმცემი, მაგრამ მისი შეფასებები, დასკვნები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში ხარვეზებისგან თავისუფალი არ არის, საინტერესო მასალაა როგორც საკუთრივ დავით ერისთავის მოღვაწეობის შესასწავლად, ასევე, მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის.

ლიტერატურა:

1. „კრებული“, 1873ა – ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა, ჟურნ. „კრებული“, 1873, №1, გვ. 99.
2. „კრებული“, 1873ბ – ქართული სალიტერატურო ისტორიის მასალა, ჟურნ. „კრებული“, 1873, №3, გვ. 45-60.
3. Эр-в, 1873ა – Д. Эр-в, Библиография, газ. «Тифлисский Вестник», 1873, 8 сентября, №93, стр.3.
4. გორისელი, 1873 – გ. გორისელი, ერთი უგბილიმ, გაზ. „დროება“, 1873, 14 სექტემბერი, №36, გვ.4.
5. Эр-в, 1873ბ – Д. Эр-в, Оскорбленный компрачикос грузинского языка, газ. «Тифлисский Вестник», 1873, 22 сентября, №99, стр.1-2.
6. Эр...ов, 1873ა – Д. Эр...ов, Библиография, газ. «Тифлисский Вестник», 1873, 7 августа, №82, стр.1.
7. წერეთელი, 1872 – გ. წერეთელი, ამ დროის ვითარება, ჟურნ. „კრებული“, 1872, №№10,11,12, გვ. 57-90.
8. სკანდელი, 1872 – ნ. სკანდელი, ჩვენი მწერლობა, ჟურნ. „კრებული“, 1872, №№10,11,12, გვ. 143-145.
9. Эр...ов, 1873ბ – Д. Эр...ов, Библиография, газ. «Тифлисский Вестник», 1873, 15 мая, №51, стр.2.
10. „დროება“, 1873 – გაზ. „დროება“, 1873, 28 სექტემბერი, №38, გვ.4.
11. ჭიჭინაძე, 1892 – ზ. ჭიჭინაძე, დავით ერისთავი, თბ., 1892, გვ. 23.

TOWARDS SOME ISSUES OF THE RELATIONSHIP BETWEEN DAVIT ERISTAVI AND GIORGI TSERETELI

Irma Zakaraia, Sokhumi State University, Chief Specialist of the Intercultural Communication Department
SUMMARY

Davit Eristavi's creative talent and field were diversified, covering the sphere of dramaturgy, theatre, journalism, literary criticism. Aim of the present paper is to study D. Eristavi's activity in the sphere of literary criticism.

D. Eristavi expressed his opinion and position to Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Anton Purtseladze, Niko Nikoladze etc. in different times; the present paper focuses on the polemic between D. Eristavi and G. Tsereteli appeared in the media in the 70s, XIX century, followed the assessment of Nikoloz Baratashvili's letters by D. Eristavi.

D. Eristavi considered four letters sent by N. Baratashvili to Maiko Orbeliani published in the journal "Krebuli" (1873) as too interesting, and four letters sent by N. Baratashvili to Grigol Orbeliani, from his viewpoint three of them were lack of an idea. It was the only one letter among those four where the critic caught the general interest. Such kind of assessment reasonably made G. Tsereteli angry and it caused the polemic.

Despite the fact that conclusions made by D. Eristavi are not free from defect in separate cases, they present interesting materials both for studying of D. Eristavi's creative activities and the history of literary criticism in the 70s of the XIX century.

ლიტერატურული ურთიერთობანი საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში (XIX საუკუნე)

თამარ შარაბიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
E-mail: shagno12@gmail.com

ევროპეიზაციის პროცესი საქართველოში XIX საუკუნიდან იწყება; ძირითადად ეს პროცესი გამოიხატება ქრისტიანულ სააზროვნო სივრცეში დაბრუნებით, რასაც ხელს უწყობს ის ლიტერატურული ურთიერთობანი, რომელიც ამ პერიოდში ქვეყანაში ჩამოყალიბდა. ეს იყო სწრაფვა ევროპული კულტურისაკენ რუსული კულტურის გავლით. ეს სწრაფვა ქმნის იმ იდენტობათა მაგალითებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ქართულ-რუსულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. ქართველი მწერლები განიცდიან რუსული და ევროპული მწერლობის გავლენას, მაგრამ ეს გავლენა, ძირითადად, გარეგნული მხრით და ფორმით გამოიხატება, რასაც ისინი უფარდებენ ჩვენი მწერლობის ტრადიციულ ხასიათს. ქართველი მწერლების მიზანია ქართულ ნიადაგზე გადმოიტანონ ყოველივე ის, რაც უფრო თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია ახლად გაცნობილ ევროპულსა და რუსულ ლიტერატურაში, რასაც მანამდე ადგილი არ ჰქონია მშობლიურ მწერლობაში. ეს არის მისწრაფება, გაამდიდრონ თავიანთი ქვეყანა, ლიტერატურა და არა ის, რომ გახდნენ უბრალო გადმომტანები.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მოღვაწეები რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნიან ლომონოსოვის, კარამზინის, ბესტუჟე-მარლინსკის, რილევის, ოდოევსკის, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვათა ნაწარმოებებს; მთარგმნელობით მუშაობას ეწევიან ჩვენი გამოჩენილი მწერლები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ს. რაჭმაძე, მ. თუმანიშვილი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვები. სწორედ მათი მეშვეობით ხდება იმ ლიტერატურული ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელთაც სიახლე შემოაქვს ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში.

ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძე თარგმნიდა ფრანგულიდან, რუსულიდან და სპარსულიდან. რუსეთის სამეფო კართან ახლოს მყოფი პოეტი გაეცნო ევროპულ და კერძოდ, ფრანგულ ლიტერატურას, მაგრამ არა რომანტიკულს, არამედ კლასიციტურს. იმ დროს სასახლეში და საერთოდ მაღალ წრეებში ჯერ კიდევ ფრანგული ენა, ფრანგი კლასიციტები და განმანათლებლები

იყვნენ მოდამი. ალ. ჭავჭავაძეს ფრანგულიდან უთარგმნია ლაფონტენის იგავ-არაკები, ვოლტერის – “აღსარება”, “ტაქტიკა”, ტრაგედიები – “ალზირა” და “ზაირა”; რასინის – “ესთერი”, “ფედრა”; კორნელის – “სინა”; ჰიუგოს – “მეფე რომ ვიყო”. რუსულიდან პოეტი თარგმნის პუშკინს და ოდოევსკის. ალ. ჭავჭავაძის თარგმანები ახლოსაა ორიგინალთან როგორც შინაარსით, ასევე მხატვრული ფორმებით. ავტორი ყოველთვის ახერხებს შესაბამისი ფორმის გამოძებნას. საინტერესოა ერთი მომენტიც, თარგმანზე მუშაობის პერიოდში პოეტს სურვილი უჩნდება მიბადვის და იქმნება თითქმის ორიგინალური ლექსი, რომლის სალექსო ფორმა, ზომა ან სიუჟეტია ქართული ლიტერატურისთვის ახალი და მასზე ეფუძნება პოეტის განცდები (ორიგინალური და არა ნასესხები). ცნობილია, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსი “როს ვჭვრეტ” დაწერილია ვოლტერის ლექსის – “Am _me de Boufflers” გავლენით. “მვირფასო საყვარელო” კი ჟუკოვსკის ლექსის – «Песня (с французского)» – მიბადვას. «Песня» არ არის ჟუკოვსკის ორიგინალური ლექსი. იგი პირველად დაიბეჭდა ჟურნალში «Вестник Европы» სათაურით «На голос Je t'aime tant...». პოეტს მხედველობაში ჰქონია ფრანგი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის ფილიპ-ფრანსუა-ნაზარ ფაბრ დე-ეგლანტანის ლექსი, რომელიც შემდეგ გადაუკეთებია ჟ. პ. გარას, პარიზის კონსერვატორიის პროფესორს, რომელმაც 1802 წელს იმოგზაურა პეტერბურგში და დიდი პოპულარობა მოიპოვა თავისი რომანსებით. საკუთრივ ეს რომანსი «Je t'aime tant...» თავის ალბომში ჩაუწერია პუშკინს და დიდხანს მის საკუთარ ლექსად მიაჩნდათ. იგივე რომანსი გადაუწერია რილეევსაც ჟუკოვსკის «Песня»-სთან ერთად. ჟუკოვსკის ლექსი მიჰყვება არა გარას რომანსს, რომელიც სულ 24 ტაეპია, არამედ ეგლანტანის 40-ტაეპიან ლექსს, ხოლო ალ. ჭავჭავაძის “მვირფასო საყვარელო” არის არა ჟუკოვსკისა და ეგლანტანის ლექსების თარგმანი, არამედ გარას რომანსის თარგმანი. ასე ხვდება ფრანგული სიუჟეტი, რომელიც თითქმის ანალოგიურია აღმოსავლური პოეზიის სატრფიალო სიუჟეტისა, ქართულ ლექსში და ქართველი მთარგმნელი ცდილობს რუსული თარგმანის გვერდის ავლით, მაგრამ მაინც ფრანგულ-რუსულ-ქართული ურთიერთობის გავლენით დაამკვიდროს ის ემოციები (მისთვის ნაცნობი და მისაღები) ქართულ პოეზიაში.

ფრანგულიდან არის აგრეთვე ნათარგმნი ლექსები – “შენ ნარგიზი ახალი ხარ” (“მემთვრალისადმი”), რომლის ავტორი ამჟამად უცნობია და “ანაკრეონტული”, რომელიც ბერძნული ლექსის ერთ-ერთი ფრანგული თარგმანიდან არის შესრულებული.

თემატიკის გარდა, ლექსთწყობის მხრივაც გვამღევენ მცირეოდენ სიახლეს ალ. ჭავჭავაძის თარგმანები რუსული ენიდან. პოეტმა თარგმნა ლექსი “ფერსა ბნელს, ფერსა შავს”. იგი იძულებული გამხდარა ახალი ზომა, ახალი მეტრი გამოენახა რუსული ლექსისთვის, ხოლო პუშკინის “პეტრე ბაგრატიონისათვის” და “სპილენძის მხედრის” თარგმანის დროს შემოეტანა ურითმო ლექსი, ე. წ. თეთრი ლექსი, რომელიც მიუღებელია წინა პერიოდის (აღორძინების ხანის) ქართული პოეზიისათვის.

ევროპულ-რუსულ-ქართული ურთიერთობები, რომლებიც სესხება, გადაღება, მიბადვაში გამოიხატება, დამახასიათებელია მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისთვის და არა მარტო ქართულისათვის. რუსული მწერლობა ბამავს ევროპულს, ხოლო ქართული – ორივეს. ამგვარი ურთიერთობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია გრ. ორბელიანის “სადღეგრძელო” და ვ. ჟუკოვსკის “მომღერალი რუს მეომართა ბანაკში”. დოკუმენტურადაა ცნობილი, რომ “სადღეგრძელოს” წერის პროცესში გრ. ორბელიანი დიდ ინტერესს იჩენდა ვ. ჟუკოვსკის “მომღერლისადმი”. ამჟამად უკვე ფაქტია, რომ ვ. ჟუკოვსკის “მომღერალს” გარკვეული გავლენა მოუხდენია გრ. ორბელიანის პოემაზე. ეს გავლენა არის როგორც ფორმალურ-კომპოზიციური ხასიათის, ასევე თემატურ-შინაარსობრივი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟუკოვსკის პოემაც არ არის აბსოლუტურად ორიგინალური ნაწარმოები. რუს პოეტზეც გავლენა მოუხდენია ინგლისელ მწერალ თომას გრეის ნაწარმოებს “The Bard”. ამ მსგავსებაზე ქართველ მკვლევართაგან პირველად ალ. ხახანაშვილმა მიუთითა (ხახანოვი, 1906). გავლენის აღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, როგორ გადმოდის უსიუჟეტო პოემის სტრუქტურა ევროპულიდან რუსულ ლიტერატურაში და შემდგომ ქართულში. თემატურად სამივე ნაწარმოები პატრიოტული ხასიათისაა და ერთმანეთს მისდევს, მაგრამ იმდენად თავისებურად აქვს თითოეულ პოეტს მსგავსი შინაარსისა და არქიტექტონიკის ნაწარმოებები დამუშავებული, რომ ჟუკოვსკის პოემაცა და გრ. ორბელიანის “სადღეგრძელოც” სავსებით ორიგინალურად უნდა მივიჩნიოთ. მათში მოჩანს შემოქმედნი სავსებით დამოუკიდებელი პოეტური წარმოსახვით. მათი მისწრაფება და ტკივილი ღრმადაა განცდილი და ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული. ორივე მწერალს – გრ. ორბელიანსაც და ჟუკოვსკისაც შეეფერება თვით ჟუკოვსკის ნათქვამი საკუთარ თავზე: «У меня почти все чужое, или по поводу чужого – и все, однако, моею» (ჭუმბურიძე, 2001).

აღსანიშნავია ისიც, რომ გრ. ორბელიანის ერთ-ერთი პირველი ლექსი “აღსარება”, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1832 წლის შეთქმულთა წრეში, წარმოადგენს ცნობილი დეკაბრისტი პოეტის კონდრატი რილეევის დაუმთავრებელი ნაწარმოების “ნალივაიკოს” ერთ-ერთი თავის (“ნალივაიკოს აღსარება”) მიბაძვასა და გადმოქართულებას. გრ. ორბელიანი ცვლის რილეევის ლექსის შინაარსს. “აღსარების” ლირიკული პერსონაჟი თვითონ ავტორია, ნაცვლად რილეევის პოემის გმირისა, უკრაინელ პატრიოტ ნალივაიკოსი. მოქმედების ადგილი, სადაც გმირი წარმოთქვამს თავის აღსარებას, გადატანილია ვარშავიდან მცხეთაში; ივერიელთა მტრებად კი გამოყვანილნი არიან “ლეკი, ოსმალი და სპარსი”. ლირიკულ მონოლოგში ნამდვილი მიმართებები შენიღბულია ისტორიული სახელებით. მიუხედავად ამისა, ლექსი ძალზე გამჭვირვალეა, მასში საუბარია არა წარსულზე, არამედ აწმყოზე. ამ მიბაძვაშიც, რომელშიც ფრაზეოლოგიური პარალელებიც კი დასტურდება თავის დედანთან მიმართებაში, საქმე გვაქვს არა სიუჟეტისა და შინაარსის გადმოღებასთან, არამედ ფორმის – ორივე ნაწარმოები წარმოადგენს აღსარების სახით გადმოცემულ პატრიოტი გმირის სულიერ განცდებს (“აღსარების” ლირიკული გმირის განცდები კი უშუალოდ გრ. ორბელიანის განცდებია და არა უკრაინელი ნალივაიკოსი).

ყველაზე დიდი გავლენა ევროპული ლიტერატურისა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გრ. რჩეულიშვილმა განიცადა. მასვე ეკუთვნის უდიდესი მცდელობა ახლებური, ქართული თემატიკისგან განსხვავებული სიუჟეტის, ქართულ ნიადაგზე დანერგვისა. თუ მანამდე ქართული ლიტერატურა თარგმანისა და მიბაძვების პროცესში დასავლეთ ევროპისა და რუსული ლიტერატურისაგან ითვისებდა ძირითადად ფორმებს (ურთიმო ლექსი, უსიუჟეტო პოემა, აღსარება), გრ. რჩეულიშვილმა ევროპელი მწერლებისაგან პირდაპირ სიუჟეტი აიღო და მიუსადაგა ის ქართულ გარემოსა და ყოფას. ეს სიუჟეტები განსხვავდებოდა ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული პატრიოტული შინაარსის სიუჟეტებისაგან, თუმცა არც ამ გრძნობას გამოირიცხავდა. სიახლე ხასიათის მრავალფეროვნების ჩვენებასა და გმირის განცდის ფსიქოლოგიურ ბუნებაში გამოიხატებოდა, რომელზედაც აგებული იყო მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრებისეული ინტრიგები. გრ. რჩეულიშვილის პროზას იმთავითვე ცივად შეხვდა ქართული კრიტიკა და მის ავტორს პლაგიატორის სახელი დაუმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

კრიტიკოსმა ჯუმბერ ჭუმბურიძემ გამოიკვლია, რომ მოთხრობა “ანუკა ბატონიშვილი” გრ. რჩეულიშვილს გადმოუკეთებია იტალიელი მწერლის იტალო ფიორენტინოს ისტორიული რომანიდან “იზაბელა ორსინი”. ქართველ მწერალს ამ რომანიდან არა მარტო სიუჟეტი უსესხებია, არამედ რამდენიმე პასაჟი პირდაპირ გადმოუტანია; ტექსტობრივად მსგავსია ნაწილი დიალოგებისაც. გრ. რჩეულიშვილი აღებულ სიუჟეტს, რომელიც მე-16 საუკუნის იტალიის ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა, “ქართლის ცხოვრების” ამავე პერიოდის ისტორიულ ამბებს უსადაგებდა, მაგრამ საქართველოს ისტორიული სინამდვილე არ ამლევდა საბაბს იმ გარყვნილების წარმოჩენისა, რაც დამახასიათებელი იყო ფეოდალური იტალიისთვის. რაც მთავარია, იგი ქართველ მკითხველ საზოგადოებას უწევდა ანგარიშს. მიუხედავად ამისა, მას მაინც აუშხედრდა ამ საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც უსიამოვნოდ განაცვიფრა ქართული პროზისათვის უჩვეულო პასაჟებმა. ერთი რამ კი მაინც უდავოა, მწერალმა შეძლო უცხო სიუჟეტი ქართული სინამდვილისათვის შეეფარდებინა და ქართველი მკითხველიც შეეგუებინა იმ აზრისათვის, რომ იგივე სიუჟეტის არსებობა ქართული სინამდვილისთვისაც არ შეიძლება იყოს იშვიათი გამონაკლისი.

თავისი მეორე მოთხრობის “თამარ ბატონიშვილის” სიუჟეტს გრ. რჩეულიშვილი სესხულობს ალ. დიუმა მამის რომანიდან “ორი დიანა”, თუმცა მოქმედების გარკვეული განვითარების შემდეგ ქართული სიუჟეტი სულ სხვა გზით ვითარდება. იგი ხან მწერლის ფანტაზიასა და ხან “ქართლის ცხოვრებას” მიჰყვება კვალდაკვალ. რაც შეეხება გრ. რჩეულიშვილის სხვა მოთხრობებს – “ლუნატიკი” და “შემლილი”, მათ შესახებაც აღნიშნული იყო კრიტიკულ ლიტერატურაში, რომ ისინიც გადმოკეთებულია, თუმცა მათი წყაროების გამორკვევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. გრ. რჩეულიშვილის სახელით გამოქვეყნებულ თხზულებათაგან მხოლოდ “ქვირის ლიმონები” გადაურჩა ბრალდებას და იგი თავიდანვე ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნეეს (თუმცა სიუჟეტის უჩვეულობა აქაც თვალსაჩინოა), დანარჩენი ნაწარმოებები მწერალმა თარგმანის სახით გამოაქვეყნა.

მიუხედავად გრ. რჩეულიშვილის გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმისა, რა თქმა უნდა, მას შემოქმედი უნდა ვუწოდოთ და არა პლაგიატორი. მე-19 საუკუნე (განსაკუთრებით პირველი პერიოდი) იყო ხანა, როდესაც ქართული მწერლობა ცდილობდა მკითხველისათვის რუსულ-ევროპული კულტურა გაეცნო და ამ მიზნით აწვდიდა მას ახალ საზრდოს თარგმანებისა თუ გადმოკეთებული თხზულებების სახით (უმეტესად პროზად). იგი ცდილობდა ყოველივე ეს ქართული სინამდვილისათვის შეესაბამებინა და მკითხველს განურჩევლად ამლევდა იმას, რისი

მიცემაც შეეძლო. გრ. რჩეულიშვილმა ქართველ მკითხველს მისცა ადამიანთა ის ურთიერთობანი, რომლებიც თუნდაც გრძნობის, ვნების დაუოკებლობასა და ინტრიგაზე აგებული და საინტერესოა, როგორც ყოველივე აკრძალული, მიუღებელი და თუნდაც ამორალური. ლ. მეგრონი შენიშნავდა: “რომანტიკოსისათვის სიყვარული არა მარტო გადაულახველია, ფატალურიცაა” (მეგრონი, 1914). აქედან გასაგებია, რომ ევროპულ რომანტიკულ ლიტერატურაში (ინგლისურის გარდა) გამართლებული იყო ადიულტერის თეორია, რომელიც სრულიად უცხო იყო ქართული მწერლობისათვის, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ, რომ იგი ასევე უცხო იყო ქართული ყოფისთვის. ყოველ შემთხვევაში ქართველი თავადაზნაურობის დიდ ნაწილს ასეთი სიახლე აღიზიანებდა, რადგან საკუთარი წოდებრივი ისტორიის შეურაცხყოფად მიაჩნდა. გრ. რჩეულიშვილს კი, რომელიც ეცნობოდა ევროპულსა და რუსულ ლიტერატურაში მსგავს მოვლენებს, არ ეხამუშებოდა ეს ყოველივე და ცდილობდა ანალოგიურის შექმნას ქართულ ნიადაგზე. ამ მხრივ იგი ნოვატორია (მსგავსი ნაბიჯი მან ჯერ კიდევ “მასკარადის შეცდომილების” თარგმნითა და შემდგომ “ცისკარში” დაბეჭდვით გადადგა).

გრ. რჩეულიშვილის სახელს უკავშირდება კიდევ ერთი სიახლე – “სამინელებათა რომანტიზმის” დანერგვის მცდელობა ქართულ ლიტერატურაში. ამ სახის ნაწარმოები უთუოდ საინტერესო უნდა ყოფილიყო ქართველი მკითხველისათვის, რომელიც საერთოდ არ იცნობდა რომანტიზმის გამოვლენის ამ მხარეს და როგორც დავინახეთ, ევროპული ლიტერატურის ტენდენციები მისთვის უცხო იყო. რომანტიზმის ამგვარი მიმართულება კი ფართოდ იყო გავრცელებული ევროპულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით – გერმანულში და რომელსაც შცკაუერ რომანტიკ-ს („სამინელებათა რომანტიზმს“) უწოდებდნენ. რუსეთში მან „მარლინიზმის“ სახელწოდება მიიღო. მისი ჩანასახი ჯერ კიდევ ჟან-პოლ რიხტერის რომანებში იყო მოცემული.

ამასთან დაკავშირებით, ახასიათებდა რა გერმანული რომანტიზმის გარკვეულ პერიოდს, ლა-ბარტი აღნიშნავდა: „სასწაულებრივი მოქმედებს დღისით-მზისით, იგი ყველგანაა, თვით ჩვენში და ჩვენს ირგვლივ. მაგრამ ის, ვინც ჩასწვდება ამ სასწაულებრივს, გამოდის იმ ნორმებიდან, რომელშიც მომწყვდეულნი არიან საბრალო უსინათლოები – ჩვეულებრივი, „ნორმალური“ ადამიანები. საზოგადოება თვლის ასეთ ადამიანს ახირებულად, მანიაკად, ვიზიონერად, საერთოდ არანორმალურ არსებად. აი ასეთი არანორმალური ადამიანების, მათი მოჩვენებების, მათი განცდების აღწერას დაიწყებენ რომანტიკოსები თავიანთ ფანტასტიკურ რომანებსა და ნოველებში“ (ლა-ბარტი, 1912).

მისწრაფება ასეთი „კომმარული რომანტიზმისადმი“ დამახასიათებელი იყო ფრანგი მწერლებისთვისაც. ლა-ბარტი განასხვავებს იმპრესიონიზმის ოთხ სახეს და წერის ასეთ მანერას იმპრესიონიზმის პირველ, უმარტივეს სახეს განაკუთვნებს. მისი აზრით, ეს არის მისწრაფება მწერლისა „შეაშინოს“, „შეაძრწუნოს მკითხველ“. ეს კომმარული ჟანრი კუთვნილება გახდა „რომანი-ფელეტონისა და ეჟენ სიუ, დიუმა მამა და მათი მრავალრიცხოვანი მიმდევრები აცოცხლებენ რომანში მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის მელოდრამის „სამინელებებსა“ და „ბოროტმოქმედებს“. რომანტიკოსთა მისწრაფება „შემადრწუნებელი“ სცენებისადმი ვლინდება ლამარტინისა და თვით ჰიუგოს შემოქმედებაშიც.

გრიგოლ რჩეულიშვილის შემოქმედების ანალიზი ცხადყოფს, რომ მწერალი ნაწილობრივ განიცდის ევროპული რომანტიზმის გავლენას; გრიგოლ რჩეულიშვილი პროზაში ძირითადად ფრანგული რომანტიკული სკოლის წარმომადგენლებს მიჰყვება, განსაკუთრებით ე.წ. 30-იანი წლების. ქართველი მწერლებისათვის უცხო იყო ადრეული გერმანული რომანტიზმი, მისთვის დამახასიათებელი განყენებული ესთეტიკითა და მისტიციზმით. მას გრიგოლ რჩეულიშვილზე, შეიძლება ითქვას, არავითარი გავლენა არ მოუხდენია. და საერთოდ, გრიგოლ რჩეულიშვილის ეს მოთხრობა ერთადერთია მთელ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, რომელიც „სამინელებათა რომანტიზმს“ მიეკუთვნება. მართალია, ეს ნაწარმოები მოთხრობაა, მაგრამ ძალზე წააგავს ვრცელ დეტექტიურ ნოველას. ავტორის მიზანიც მკითხველის სრული დამორჩილებაა, იმდენად სრული, რომ ძნელია ტექსტიდან მოწყვეტა. ამ ყოველივეს ქართველი ავტორი აღწევს როგორც მძაფრი ფანტაზიით, ასევე მოთხრობის კომპოზიციით, რომელიც ნოველისას ემსგავსება. ეს ჟანრი ქართულ მწერლობაში დეტექტივის საფუძველი უნდა გამხდარიყო, მაგრამ XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში იგი აღარ განვითარებულა. ის შედარებით უფრო გვიან, XX საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდა ჩვენში. ევროპულ ლიტერატურაში კი XIX საუკუნე ნოველისა და დეტექტიური ჟანრის საუკუნე იყო. ნოველა რომანტიკულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა, განვითარდა და შემდეგ სათავე დაუდო რეალისტურ ნოველასაც.

როგორც ცნობილი მაგალითებიდან დავინახეთ, მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ევროპული ან რუსული ნაწარმოების არა მხოლოდ თარგმნა, არამედ მისი გადმოქართულება, მიბაძვა. “ცისკრის” თანამშრომლების უმეტესი ნაწილი

ასეთ პრაქტიკას მისდევდა. ისინი საკუთარი სახელით აქვეყნებდნენ არა მარტო გადმოკეთებულ, არამედ თარგმნილ ნაწარმოებებსაც; მაგრამ მოვიდა რა ახალი თაობა თერგდალეულების სახით, მყისვე შენიშნა ქართველი მწერლების ერთი ნაწილის მუშაობის ეს სუსტი მხარე. თერგდალეულებმა დაანახვეს მწერალს ეროვნული ლიტერატურის ნამდვილი ინტერესები და ისიც, თუ რა უნდა მიეწოდებინათ უცხოური მწერლობიდან მკითხველისათვის საავტორო უფლებათა დაცვით. მიუხედავად ამისა, მაინც არ იქნება მართებული ყველა ქართველი მთარგმნელ-გადამოკეთებლის ერთ რიგში დაყენება. ჩვენ მიერ განხილულ მწერალთა გადმოკეთებულ ნაწარმოებებში ჩანს ის “საკუთარი”, რასაც შემოქმედება ჰქვია; მათში ისმის ქართველი მწერლის ხმა, ნიუანსებში მჟღავნდება მისი უნარი, ეს არ არის უცხოურის უბრალო გადმოღება, გადმონერგვა ქართულ ნიადაგზე; აქ მჟღავნდება დროის შესაფერისი გემოვნება, არ ჩამორჩენის სურვილი, სხვისი კარგის შეგრძნების და საკუთარ სულში გადამუშავების ნიჭი, ზოგჯერ საკუთარი დეტალის თუ ნიუანსის მიგნების და დამუშავების ისეთი უნარი, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ ოსტატებს ახასიათებს.

სიუჟეტის სესხება ხშირი მოვლენაა და თავს იჩენს თვით დიდი მწერლების შემოქმედებაშიც. სამართლიანად შენიშნავდა ვ. ჟირმუნსკი, რომ ნამდვილ მწერალთან “სესხება” ყოველთვის დაკავშირებულია “ნასესხების” შემოქმედებით გადამუშავებასთან, რომელშიც განსხვავება არანაკლებ არსებითია, ვიდრე მსგავსება” (ჟირმუნსკი, 1937).

ამჯერად ჩვენი მიზანი მიბაძვების გამართლება არ არის. ჩვენი ამოცანაა, წარმოვაჩინოთ ის ლიტერატურული ურთიერთობანი, რომელიც საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის დროს მიმდინარეობდა და გავიაზროთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ურთიერთობანი ქართული ლიტერატურის განვითარების, თემატური, ჟანრობრივი და ნაწარმოების სტრუქტურის ფორმათა გამრავალფეროვნების თვალსაზრისით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვით ლიტერატურულ მიმართულებათა დამკვიდრებაც საქართველოში ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესის შედეგია. ეს მიმართულებებიც ეროვნულ ნიადაგზე მკვიდრდება და მხოლოდ ასახვის თავისებურებით განსხვავდება წინარე ლიტერატურისგან.

ლიტერატურა:

1. ვ. ჟირმუნსკის წერილი კრებულში: А. Пушкин. Временник Пушкинской Комиссии, 3. Академия наук СССР. М.–Л., 1937.
2. ჯუმბერ ჭუმბურიძე, ქართული პროზის ისტორიიდან, თსუ, 2001.
3. Ф. де Ла-Барт, Литературное движение на западе. Москва, 1912.
4. Л. Мегрон. Романтизм и нравы, Москва, 1914.
5. А. Хаханов, Очерки, М., 1906

LITERARY RELATIONS – ONE OF THE BASES OF THE IDENTITY IN THE PROCESS OF EUROPEANIZATION OF GEORGIA (19th CENTURY)

Tamar Sharabidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

RESUME

In Georgia, the Europeanization process started from the 19th century. This process was expressed in returning to the Christian mentality, supported by the literary relations, formed in the country during this period. It was the aspiration for European culture, via Russian culture. This aspiration had created examples of those identities, which represent the basis for Georgian-Russian-European literary relations. Russian and European writers had influenced Georgian writers, but this influence was mainly expressed in the external form, which they had adjusted to the traditional character of our literature. Georgian writers were aimed at transferring what was prominent and important in newly introduced European and Russian literature to Georgia, which was unprecedented in our literature. It was striving for enriching their country and literature and not simply copying.

In the first half of the 19th century, Gr. Rcheulishvili was under the greatest influence of European literature. He had undertaken enormous attempt of transplanting new plot, different from Georgian subject-matter, into Georgian reality. His name is connected with one more novelty – an attempt of establishing “Horror Romanticism” in Georgian literature.

Our task is to reveal the literary relations, present during the process of Europeanization of Georgia and analyse how important these relations were for the development of Georgian literature, in terms of diversity of subject-matter, genres and structural forms of literary work. We should not forget that the very establishment of literary trends in Georgia is a result of Europeanization process. These trends are established on national ground and differ from literature of preceding epoch by the peculiarities of expression only.

ИЗ ИСТОРИИ СОЗДАНИЯ ПОЭМЫ «ПОСЛАНИЕ ЕВАНГЕЛИСТУ ДЕМЬЯНУ БЕДНОМУ» С. ЕСЕНИНА

Натела Хинчагашвили, профессор Горийского учебного университета
E-mail: natela.sveta@gmail.com

Елена Хирсели, докторант Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили
E-mail: elene-xirseli@mail.ru

Долгие годы не утихает спор учёных-литераторов об авторстве поэмы «Послание евангелисту Демьяну Бедному» (другие названия — «Ответ Демьяну Бедному», «Послание Демьяну Бедному»). Учёные не сошлись в едином мнении. До сих пор нет однозначного ответа на вопрос, кому принадлежит произведение: Сергею Есенину или некому Николаю Горбачёву, сотруднику «Крхстьянской газеты».

Цель нашего исследования - доказать, что поэма является нераздельной частью творчества С. Есенина, определить место и значение поэмы в процессе религиозных исканий поэта. Выдвинутая нами гипотеза о месте и времени создания произведения, является новой в богатейшем наследии исследований о поэте и даёт возможность дополнить известное число произведений, написанных им на Кавказе, восполнить картину посещения Есениным Кавказа некоторыми новыми штрихами.

«Послание Евангелисту Демьяну Бедному» является откликом на известную и довольно нашумевшую антирелигиозную поэму Демьяна Бедного «Новый завет без изъяна Евангелиста Демьяна». «Послание...» носит публицистический характер. Автор поставил цель, защитить Христа. Существует предположение о том, что события, связанные с «Новым заветом без изъяна евангелиста Демьяна» и «Посланием...» послужили толчком для написания М. А. Булгаковым романа «Мастер и Маргарита», а Демьян Бедный стал одним из прототипов Ивана Бездомного».

Накануне 1930 года по Москве прокатилась волна арестов так называемых рыцарей-тамплиеров. Практически все они или исчезли в концентрационных лагерях, или были сразу расстреляны. Интересно, что наряду с организацией заговора, тамплиеров обвинили и в хранении ответа Сергея Есенина на пасквиль Демьяна Бедного о жизни Иисуса Христа. Исследователь Валентина Пашнина считает: « Ответ Есенина Демьяну Бедному не мог остаться незамеченным и, вероятно, стоил ему жизни. Есть все основания утверждать, что именно «Послание...» ускорило гибель Есенина, стало ее непосредственной причиной». (1. «Литературная Россия»)

Поэма Д. Бедного впервые увидела свет весной 1925 года, публиковалась с 12 апреля по 23 мая в газетах «Правда», «Рабочая газета». Бедный, искажая текст священного писания, унижает образ Христа, грубо, вульгарно рассказывает о его жизни, представляя Иисуса как распутника и пьяницу.

Ответное «Послание...» распространялось нелегально, по спискам, с указанием на автора - С. Есенин. Читатели восхищались, успех был необычайным.. « Послание...» имеет множество вариантов, Произведение переписывалось от руки, поэтому со временем, текст потерпел незначительные изменения.

После смерти С. Есенина, в 1926 году, берлинские и варшавские белоэмигрантские газеты напечатали «Послание...», где безоговорочно признавалось авторство Есенина.

2 апреля 1921 года, в газете «Вечерняя Москва», сестра Есенина категорически заявила, что произведение не принадлежало её брату. Сегодня, учитывая уроки истории, нетрудно догадаться, что Екатерина была вынуждена сделать подобное заявление. Вспомним факты репрессий родственников Есенина, которые в качестве аргументов приводит Виктор Кузнецов. (2. «Независимая газета») В те годы популярность Демьяна Бедного была необычайно велика, его песни пела вся страна. Даже Есенин констатировал увлеченность «крестьянского комсомола» «агитками Бедного Демьяна». Таким образом, «Послание...» наносило оскорбление не только поэту Бедному, но и советской власти в целом, которая проводила в жизнь ленинские заветы, гласные и негласные, и продолжала беспощадную борьбу с церковью и духовенством. Самое обидное для властей: нелегальное есенинское «Послание...» уже нельзя было объяснить как пьяную выходку Есенина. Всем было ясно, что самиздатское стихотворение является осмысленным поэтическим актом, означающим несогласие с государственной политикой, а Есенин был признанным в России поэтом, всенародным любимцем.

Немедленно надо было найти другого автора, им оказался некий Горбачёв (1889-1929) - испытанный коммунист с безупречной партийной биографией. Горбачёв в 1926 году был осуждён и сослан в Сибирь, хотя очень скоро был освобождён, после чего о нём нет никаких сведений, если не считать краткую заметку в газете «Кустарь и Артель» (№ 59) от 22 августа 1929 года, сообщающую о его смерти «после продолжительной и тяжёлой болезни». По мнению Виктора Кузнецова, с целью прикрытия следов неслыханного подлога, не исключено и убийство. (3. «Независимая газета»)

С марта по май 1925 года Есенин провёл в Баку и Мардакьянах (предместье Азербайджанской столицы). Выходит, что «Послание...» он написал в Азербайджане. Как было уже отмечено, «Новый

завет без изъяна евангелиста Демьяна» начал печататься в газете «Правда» с 12 апреля 1925 года, именно в те дни, когда Есенин лежал в бакинской больнице «Водник». А через неделю, 19 апреля, в день Пасхи, поэт в письме Галине Бениславской сообщает: «Пишу большую вещь». Какую? К сожалению, сохранилась только пятая, с прощальными приветями, страница этого письма. Но известно, что произведения, равные по объёму и форме «Посланию...», Есенин причислял к поэмам. Так что вполне возможно, что речь шла именно об ответе Демьяну, и утраченные страницы содержали строки из самого стихотворения.

Вполне логично, что в первую очередь, поэт предложил бы напечатать «большую вещь» своему другу, редактору газеты «Бакинский рабочий» Чагину, секретарю ЦК КП Азербайджана. Тот, разумеется не решился бы пойти против властей. Известно, что к концу пребывания Есенина в Баку, испортились личные отношения с Чагиным- вплоть до размолвки (временно). Может быть, причиной этого и был отказ Чагина? Мы знаем, что незадолго до описываемых событий, Есенин почти 6 месяцев прожил в Грузии и приобрёл много друзей. В «Заре Востока» он пользовался особыми привилегиями. Логично предположить, что следующую попытку опубликовать «Послание...» он сделал в Тифлисе, в газете «Заря Востока». Согласно версии В. Вдовина, поэт 30 августа 1925 года приезжает на день из Мардакьян в Тифлис. (4. «Нева») Может это и было целью его визита?

В архиве Тбилисского Государственного музея им. Г. Леонидзе хранится один экземпляр «Послания...» (копия машинопечатного текста), в конце текста указан автор-Сергей Есенин. В журнале истории музейных экспонатов о данном произведении имеется лишь одно сведение-дата передачи архиву - 1944 год. Лицо, передавшее данный печатный текст, пожелало остаться неизвестным.

Что представляет собой «Послание...» с художественной точки зрения? Произведение, к сожалению, не из числа лучших образцов есенинской поэзии. Видимо, «Послание...» писалось «одним залпом». Чувствуются свежие впечатления, неостывшие первые эмоции. Поэма- протест, экспромтом вырвавшийся из глубины души Есенина.

Исследователи творчества Есенина, не признающие за ним авторства «Послания евангелисту Демьяну», утверждают, что по стилю это не есенинская поэма. Но разве все предыдущие поэмы — это привычный Есенин? Даже любимая самим поэтом поэма «Пугачев» хоть чем-то напоминает тонкого, лиричного Есенина? И разве не известен литературоведам тот факт, что и современники Есенина не всегда узнавали голос мастера? Об этом, в частности, свидетельствует письмо В. Вольпина от 18 августа 1924 года: «Случайно прочитал Вашу «Песнь о великом походе». Она меня очень порадовала несколькими своими местами, почти предельной музыкальной напевностью и общей своей постройкой. Хотя в целом, надо сказать, она не «есенинская». Вы понимаете, что я хочу сказать?» (5. «Нева»)

Вернёмся к «Посланию...» Есенина. Здесь Иисус представлен человеком (именно человеком!), борющимся со «всякой гнилью», который не проповедник смирения, а активная и действенная сила против зла. И в общем, для Есенина Христос-это человек, (не божество), с благороднейшей душой, в противовес безбожнику Демьяну, который для него всего лишь бездарный, заурядный писака.

Кстати, ещё незадолго до этого Есенин в своём творчестве не раз пренебрежительно упоминал имя пролетарского поэта.

Я поэт
И не чета каким-то там Демьянам. «Стансы» 1924 г.
(6. Есенин С.,1968)

В «Послании...» поэт не приемлет безоговорочную, слепую, без доводов и рассуждений веру в Бога; не признаёт власть священнослужителей:

Я не из тех, кто признаёт попов,
Кто безотчётно верит в Бога.
(6. Есенин С.,1968)

В 1913 году, Будучи восемнадцатилетним юнцом, Есенин в письме своему другу Грише Панфилову пишет: «Христос для меня совершенство. Но я не так верю в него, как другие. Те веруют из страха, что будет после смерти? А я - чисто и свято, как в человека, одарённого светлым умом и благородною душою, как в образец в последовании любви к ближнему.» (7. Есенин С., 1968) Как бы в подтверждении этих слов в «Ответе Демьяну Бедному» читаем:

Пусть это миф, но всё ж, когда прохожий
Спросил его: «Кто он?» - ему ответил Он:
Сын человеческий, а не сказал - Сын Божий.
(6. Есенин С.,1968)

Христос для поэта, так же как Будда, Моисей - только миф, но этот миф для него священный, и никто не имеет право разрушить его, посягнуть на него, и важно не то, реальны или нет, описанные в Евангелии события, важно то, что проповедует христианство - высокие нравственные идеалы.

Есенин надеется, что именно здесь, на земле, а не где-нибудь в загробной жизни, человек обязательно найдёт счастье:

Здесь на земле, не расставаясь с телом,
Не мы, так кто-нибудь ведь должен же дойти
Воистину к божественным пределам.

(6. Есенин С.,1968)

Таким образом, поэт против казённых представлений и образов, у него своя, «есенинская» религия- свободная, независимая. Окончивший церковно-приходскую школу, где Библией, «как кашей, кормили», Есенин признавался: «Рано посетили меня религиозные сомнения. В детстве у меня были очень резкие переходы: то полоса молитвенная, то необычайного озорства, вплоть до желания кощунствовать и богохульствовать». Тем не менее, Есенин с восхищением отзывался о Библии: «Какая прекрасная книжища, если ее глазами поэта прочесть». (8. Есенин С.,1968)

Ещё в 1913 году Есенин в одном из своих писем к Панфилову пророчески писал: « В жизни должно быть искание и стремление, без них смерть и разложение. Нельзя человеку познать Истину, не переходя в условия и не переживая некоторые ступеньки, в которых является личное, единичное сомнение...» (8. Есенин С.,1968) Есенин со своим беспокойным, мятежным внутренним миром не мог долго оставаться в одной точке, в одном измерении. Он часто переживал различные метаморфозы. Вся его жизнь-вечное искание и движение. Поэтому и неудивительно столь резкий критически отклик автора «Инонии» «пророка Есенина Сергея» «евангелисту Демьяну».

ЛИТЕРАТУРА:

1. «Литературная Россия», 2003, № 08;
2. «Независимая газета», 1994. № 35
3. там же
4. «Нева», СПб, 1999, № 10
5. там же
6. Есенин С. Собр. соч. Издательство "Художественная литература", М., т.3, 1968; с. 44
7. там же, т. 5; с. 35
8. там же, т. 5; с. 40

FROM THE HISTORY OF CREATION OF S. ESEENIN'S POEM "DELIVERY TO THE EVANGELIST DEMIAN BEDNI"

Natela Khinchagashvili, Gori Teaching University, Full Professor
Elene Khirseli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD Student

SUMMARY

The authorship of a poem "Delivery to the Evangelist Demian Bedni" is disputable. Till now there were no unambiguous answer on a question who is the author of this poem: Sergey Esenin or the correspondent of "the Country Newspaper" someone called Nikolay Gorbachev.

The purpose of our research is to prove that the poem belongs to S. Esenin; to define a place and value of a poem in the process of religious searches of the poet. The hypothesis put forward by us about a place and time of creation of work allows us to draw a conclusion that the author is Sergey Esenin, it gives us the chance to bring the contribution and corrections in learning Esenin's creative works.

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების ერთი ასპექტი – ზვიად გამსახურდია პერსონაჟი

ანა იმნაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
E-mail: ani.imnadze@yahoo.com

XX საუკუნის II ნახევარში ქართული მწერლობა ახალ საფეხურზე გადავიდა. XX საუკუნის სამოციანელთა სათავეში, უდავოდ, დგას გურამ დოჩანაშვილი. მისი შემოქმედება ახალი სიტყვაა ქართულ პროზაში. დღეს შევჩერდებით გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების ერთ ასპექტზე – ესაა მეგობარი და თანამებრძოლი პერსონაჟად. 1969 წლიდან დღემდე გურამ დოჩანაშვილი ზვიად გამსახურდიას თემას რამდენჯერმე მიუბრუნდა.

გურამ დოჩანაშვილი და ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დამეგობრდნენ, იქნენ თანამებრძოლებად და 1961 წელს შეიქმნა მოთხრობა „მხიარული ბორცვი“, შემდეგ კი, ბედისა თუ ერთმანეთის მიმართ მომეტებული მომთხოვნელობის გამო, მათი გზები გაიყარა და, სწორედ ამ დროს, 70-იან წლებში, შეიქმნა გურამ დოჩანაშვილის კიდევ ერთი შედეგური „სამოსელი პირველი“. სულ ახლახანს 2010 წელს, მას შემდეგ რაც სიყრმის მეგობარი უკვე აღარაა ამ ქვეყნად და ფასეულობებიც გადაფასდა, შეიქმნა რომანი „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“. სამივე ზემოთხსენებული ნაწარმოები ერთიანდება ერთი ძირითადი იდეის – თავისუფლების და ამ იდეის მატარებელი მთავარი პერსონაჟების გარშემო. მაგრამ დავიწყოთ თავიდან და მივუბრუნდეთ მოთხრობას „მხიარული ბორცვი“, რომელიც 1971 წ. გამოიცა გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ ამავე დასახელების კრებულში.

მოთხრობის შექმნას აქვს გარკვეული წინაპირობა. 1956 წელს გურამ დოჩანაშვილი დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩა; ვერის პარკში შელაპარაკების დროს, ვიღაცამ დაჭრა ზურგიდან და ის დღეები, რაც მისი მეგობრები საპატიმროში იყვნენ, დოჩანაშვილი საავადმყოფოში იწვა, მაგრამ განაჩენი მასაც გამოუტანეს და შემდეგი დევნა-შევიწროვებაც თანაბრად გაინაწილეს. მივუბრუნდეთ ისევ „მხიარულ ბორცვს“, სწორედ ასეთ დამაბულ და ამასთანავე სიყვარულითა და ბრძოლით აღსავსე განწყობის ფონზე იწერებოდა „მხიარული ბორცვი“, იძერწებოდა მაკმუდ ალის პერსონაჟი და სახეობა. როგორც აღვნიშნეთ, მოთხრობა 1969 წლით თარიღდება. პირველი და, საბედნიეროდ, ბოლო პატიმრობიდან 11 წელია გასული და გურამ დოჩანაშვილის არსებაშიც სამშობლო, ბრძოლა თავისუფლებისათვის და რაც მთავარია ზნეობა, რომელმაც ეს თავისუფლება უნდა დაგანახვოს და მერე მოგაპოვებინოს მთავარ და ძირითად საყრდენად ყალიბდება. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2010 წლის #21 (125) ნომერში როსტომ ჩხეიძე წერილში „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ წერს: „მაკმუდ ალად წარმოსახა „მხიარულ ბორცვში“ და სათავე დაუდო ზვიად გამსახურდიას გაპერსონაჟებას“. მაკმუდ ალი - ზვიად გამსახურდიაა 1969 წელს. განდობილთა და უბრალო თბილისელთა უმრავლესობა ამ აღწერითაც მიხვდება, ვინ ყავს პროტოტიპად ავტორს: „მე მახსოვს შენი ფერმკრთალი სახე, შენი მომწვანო-მონაცრისფრო, შუქიანი თვალები.... და ოდნავ გაკვირვებული, შეეჭვებული სახე, სუსტი ღიმილით აბჟუტებული“ (დოჩანაშვილი 1976 წ.). ვნახოთ, როგორ ხედავს ავტორი ბავშვობის მეგობარს, ვინაა ეს უცხო და უცნაური სპარსი, რომელთან შეხვედრასაც გაპერსონაჟებული სიმართლე სუნთქვამკერული ელოდა, თუმცა თვით ჭეშმარიტებასაც, დიდ მბრძანებელს, არ დაუვალვებია სიმართლისთვის მაკმუდ ალის ნახვა, მაგრამ სიმართლე სიმართლეა, ის მხოლოდ დარიგებით არ ხელმძღვანელობს, თუნდაც ჭეშმარიტების ბრძანებისა „ეს იყო სწორედ ის, ვისი შემჩნევაც მბრძანებელს ჩემთვის არ დაუვალვებია და მაინც, ვისაც აქამდე იმედგაცრუებული დავეძებდი მეჩეთებიან ქალაქში - მხიარულ ბორცვზე ამაყად შემდგარს, შენ შეგცქეროდი, მაკმუდ ალი!“ (დოჩანაშვილი 1976 წ.) ასე ჩნდება ტექსტში მთავარი პერსონაჟი - მაკმუდ ალი. ჩნდება კონტრასტის ფონზე, ისპაჰანის მეჩეთებითა და სასახლეებით მოფენილ ქალაქში, რომელიც ცრუ გმირს ხვდება. სწორედ აქ იწყება ყველაზე დიდი სიყალბე, სიმართლისა და ჭეშმარიტების სახელით ვაჭრობა, მაგრამ ავტორს არ ავიწყდება რა სივრცეში იწერება და სად ხდება მოქმედება, რომ სიმართლესაც კი, თუნდაც პერსონაჟს, არა აქვს უფლება დიდხანს დარჩეს მაკმუდ ალის გვერდით, ეს საშიშია, შეიძლება მოხდეს ის, რაც მოხდა – სიმართლეც მისწვდეს ჭეშმარიტებას. მოქმედება კი ასე ვითარდება – ავაზაკი, ყაჩაღი და უზნეო არებ ხანი გმირად გამოცხადდა, ეს ის „გმირი“ იყო ყველაზე მეტად ერთი რამ რომ სძულდა - უმიზეზო სიკეთე, და მზად იყო განრისხებულს ადგილზე აეკუწა და აელაგმა მსგავსი რამ. ქუჩაში გამოსულს ისპაჰანის მკვიდრნი ყვავილებს უფენდნენ და შემახილებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ერთგულება და სიყვარული. ეს მაშინ, როცა ისპაჰანს არ უყვარდა მაკმუდ ალი, სიმართლემ იცის ამის მიზეზი „და რა თქმა უნდა, ისიც ვიცოდი, რად არ უყვარდი ისპაჰანელებს; შენი მზერა, მოურიდებელი და დაეჭვებული, რაში უნდოდათ - თვალს გარიდებდნენ, ბრაზობდნენ, სძულდი - შენ, ახოვანი, მომლიმარე, შეეჭვებული სინდისივით დაიარებოდი მტვრიან ქალაქში, გამორჩეულო,

მაკმუდ აალი!“ (დოჩანაშვილი 1976) რა ხდება ამ ქალაქში იმისთანა, შეეჭვებული სინდისის ხილვა ასე რომ აფრთხობდა ხალხს: იქ მთელი ქალაქი ბაზრად ქცეულიყო, ყველა ერთმანეთს ატყუებდა, ან ცდილობდა მოტყუებას, და, რაც მთავარია, გულგრილი ხალხი, ვისთვისაც ყველაფერი სულერთია, ნელთბილები, რომელთა დუმილიც უნებლიე ნებართვაა ყველაზე დიდ ბოროტებისთვისაც კი. ასე, უსიტყვოთა და უმიზეზო სიკეთით უპირისპირდება მაკმუდ აალი ავაზაკსა და გარეწარ არებ ხანს, ძუნწსა და დაუნდობელ ბენ იჯნაპალს და მუყაოს თოჯინას - ნორჩის. ამ „ბრწყინვალე“ სამეულის ქალაქში სეირნობას უცნაური სპარსელის გამოჩენა არღვევს და არებ ხანი, მაკმუდ აალის შემხედვარე, რაღაცამ განსაკუთრებულად გააღიზიანა, ისევე, როგორც დანარჩენი ორი, თუმცა მათ შეჩქვიფებას თავისი სახელი ერქვა, ნორჩისთვის - მაკმუდის აშკარა უპირატესობა, ბენ იჯნაპალისათვის ეჭვი - ყველაზე დიდი განძი ხომ არ მღალატობსო, ერთი არებ ხანს გაუჭირდა საკუთარი გაღიზიანების მიზეზის გარკვევა, მაგრამ მოულოდნელად დაინახა ის, რაც ყველაზე მეტად სძულდა - უმიზეზო სიკეთე შეპყრებდა უცნაური სპარსის სახით, რომელიც უდაბნოდან მოვიდა. შეეჭვებული სინდისის უხამსობასთან პირველივე შეხება ასეთ კითხვას შეიცავდა „შაჰი თუ გიყვარს?“ რაზეც ის პასუხი მიიღო, რაც მხოლოდ „შეეჭვებულ სინდისს“ შეეძლო გაეცა: „ვერაფერს გეტყვი, არსად მინახავს“ (დოჩანაშვილი 1976 წ), ამას კი გახარებულ მედროვეთა აღლუმი მოყვა შაჰის კარზე - ვინ უფრო ადრე დაასმენდა და ამხილებდა შაჰის „მოღალატეს“ და საშიშ, უცნაურ სპარსს. შაჰის შეკითხვა და მოქნეული კვერთხიც არ იგვიანებს და, მიუხედავად გახეთქილი წარბისა, მაკმუდ აალის პასუხი უცვლელია „მანინც არ მძულხარ“.

აი, რა ნიშა დაუწესა გურამ დოჩანაშვილმა მეგობარს, მხარი არ იცვალოს, არ უარყოს მთავარი - ზნეობა და მის „შუქიან თვალებს“ სიძულვილი ან უნდობლობა არ შეეპაროს. განსაცდელში ჩავარდნილ მაკმუდს კი სიმართლეც ტოვებს, იმ მოტივით, ჩემი იქ ყოფნა უფრო გაართულებდა საქმესო. მხიარული ბორცვიდან მეჩეთებიან ქალაქში მოსული უცნაური სპარსი, „შეეჭვებული სინდისი“, „უმიზეზო სიკეთე“, სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო და ასეც მოხდა. მთავარ მოედანზე აღმართულ ჭოკზე მიაბეს მაკმუდ აალი შაჰმა და შაჰის მზაკვრული ჩანაფიქრით ყველამ, ვისაც შაჰი „უყვარდა“, ისარი სტყორცნა ჭოკზე მიკრულ მაკმუდ აალის. სიმართლეს კი ერთი ნუგეში დარჩა - „ჰაერში მოკვდა“, რასაც როსტომ ჩხეიძე ასე განმარტავს „ჰაერში - ესეც ამაღლების გამჭვირვალე მეტაფორა, ზეცისაკენ სწრაფვი ნიშანდობლივი ხატი, რომლის შემოსაჭედადაც გურამ დოჩანაშვილი წმინდა სებასტიანეს აღსასრულის სურათსაც დაესესხებოდა - აბა, პირდაპირ ხომ არ გაიმეორებდა იესოს ჯვარცმის სცენას“ („ჩვენი მწერლობა“ #20). ასე, ჯვარცმულ, დაისრულ, სიმართლისათვის და შეუპოვრობისათვის დაღუპულ გმირად დაგვიხატა დოჩანაშვილმა საკუთარი მეგობარი. მთავარ მოედანზე სამაგალითო დასჯაც წინასწარმეტყველებად გაისმა ჯერ კიდევ 1969 წელს შექმნილ მოთხრობაში. ზვიად გამსახურდია - პერსონაჟმაც აიძულა საზოგადოება დაენახა უმიზეზო სიკეთე, შეეჭვებული სინდისი და რაღაც შერხეოდა, თუნდაც ზღვარდაუდებელი ბრაზი და რისხვა მოყოლოდა ამას, მაგრამ ეს რისხვა თავად დაიტეხა და ამით მეჩეთებიანი ქალაქის გამოფხიზლება და ვარსკვლავებისათვისაც შორეული, გამოუცნობი ციაცის მიუხედავად თავისი სახელის დარქმევა გახდა შესაძლებელი. გაძევებული სიმართლე კი, ისევე ჭემმარიტების ფეხქვეშ გართხმული ითხოვს სამართლიანობის აღდგენას, იმას, რასაც წესით თვითონ უნდა ასრულებდეს, მაგრამ ძალი არ შესწევს ასეთ უხამსობას წინ აღუდგეს. პასუხად კი ჭემმარიტება მოისმინა - „საბრალო ნორჩი... ისიც იცოდე, ვინაა ბედნიერი... - ვინ? ვინც უყვართ, ვინ უყვართ? მაკმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე“ . პასუხობს ჭემმარიტება

ეს 1969 წელს, მაგრამ შემდეგ მეგობრებს შორის რაღაც ხდება, რაღაც იშლება ან იბზარება, თუმცა ამას კონკრეტული სახელი ჯერ არ ჰქვია, 1975 წლამდე მანინც, მაგრამ ბზარი არის, ჯერ ის ყბადაღებული მონანიებაც ადრეა, ამას მანინც ვერ დააბრალებს, ეს ვერ ვაპატიეო. გურამ დოჩანაშვილი უარს ამბობს ბრძოლის გაგრძელებაზე და რაღაც განზე გაიწევს, „შეეჭვებული სინდისი“ კი, როგორც თავად უწოდებს ზვიად გამსახურდიას, მეგობრისგანაც იგივე ნიშანს დაცვას მოითხოვს, რაც მას დაუწევს. 1975 წელს ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოდის იატაკქვეშა ჟურნალი „ოქროს საწმისი“, სადაც ვ. რცხილამის სტატია იბეჭდება და გურამ დოჩანაშვილმა შეფარული ფრაზების მიღმა საკუთარი თავი დაინახა. ბრალდება და ქილიკი კი მართლაც რთული მოსასმენი იყო, ის - უკეთესია დაცემულთა შორისო. სავარაუდოდ, რცხილამის ასეთი პასკვილის მიზეზი დოჩანაშვილის განზე გადგომა იყო. გურამ დოჩანაშვილმა არ აპატია მეგობარს ჟურნალში დაბეჭდილი სტატია, თუმცა მას ავტორიც ყავდა და ხელის მოწერაც ახლდა. სწორედ ეს კონფლიქტი გახდა მიზეზი იმისა, რომ ისე წავიდა ამ ქვეყნიდან „შეეჭვებული სინდისი“, რომ ერთმანეთს აღარ დალაპარაკებია, თუმც როგორც დოჩანაშვილი იხსენებს, თვითონ ერთხელ სცადა დაკავშირება და შეჩვენება - ქვეყანას ღუპავო, გამსახურდიამ კი ორჯერ სცადა გაწყვეტილის აღდგენა, ერთხელ უდიდესი ტრაგედიის - ვაჟის გარდაცვალების შემდეგ სამძიმრის თქმა უნდოდა და არ მიუშვა, მეორედ კი კულტურის მინისტრობა შესთავაზა და არც ეს არა თუ მიიღო არამედ არც კი დასცდენია, თუმცა იცოდდა, როგორ წაადგებოდა გასაჭირში მყოფ ყოფილ მეგობარს და

თანამებრძოლს ამის გახმოვანება, წერს როსტომ ჩხეიძე წერილების ციკლში „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“.

დავუბრუნდეთ ისევ ლიტერატურას, სწორედ 1966-78წწ. შეიქმნა გურამ დოჩანაშვილის საეტაპო რომანი „სამოსელი პირველი“. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომლის გამოჩენაც და შემდეგ გაუჩინარებაც ძალიან უცნაური და მოულოდნელია, არის მენდეს მასიელი. ავტორიც აღნიშნავს რომ რომანის მთავარი პერსონაჟი სწორედ ისაა „-ისაა მაინც ჩვენთვის მთავარი“ (დოჩანაშვილი 1990წ). მენდეს მასიელი, მაჰმუდ ალის მსგავსად უდაბნოდან მოდის ბაზრის ქალაქში და იქ ხვდება თავის ორეულს, გაქსუებულსა და შეგუებულს არაფრობას, არარაობას. სერტანას მკვიდრთ, დიდ ვაკეიროებს კი ახსოვდათ და მათ სიმღერებში ისმოდა აღფრთოვანება მასიელების გვართ, რომლებმაც ერთი გოჯი მიწაც კი არ დაუთმეს მოძალადე კამორელებს, ამ ბრძოლას მთელი გვარი შეეწირა, შემდეგ კი სინანულით ისმის მხიარული მწყემსის კვნესა ერთადერთი გადარჩენილი მემკვიდრის შესახებ – „მაგრამ მენდესი რომ გაიზარდა, ლაყე აღმოჩნდა“... (დოჩანაშვილი 1990წ) ასეა, საზოგადოება, ან ის ნაწილი, ვისაც ეიმედებოდათ მასიელები და მათი ბრძოლა ბოროტებასთან, შეეგუა იმ აზრს, რომ მენდეს მასიელი, დიდებულ მასიელთა ერთადერთი შთამომავალი, ბაზრობათა ქალაქის მენდესი, მართლაც ლაყე, შემინებული და რაღაცის მომლოდინეა. პარალელური სამყაროს მენდეს მასიელი კი მესიანიზმთან ძალიან ახლოსაა, ის გამოცხადდა ბოროტების ქალაქში, მოვიდა უდაბნოდან, როგორც მესია. უდაბნოდან მობერილმა სიომ და მოსულმა სულმა, მთლიანად შთანთქა ქალაქის მასიელი. სწორედ ის ორი სამყაროს დამტევი მენდის მასიელი შექმნის თავისუფალ ქალაქს კანუდოსს, თავისი სიმართლით გაუბედავს დიდ ვაკეიროს „შენ ლაჩარი ხარ, ზე,“ (დოჩანაშვილი 1990წ) და წარბსაც არ შეიხრის მოსალოდნელი საფრთხის წინაშე. შემდეგ კი პირობას მისცემს - „თავისუფლებას გაგრძნობინებთ ძმებო“ (დოჩანაშვილი 1990წ).

ამ მონაკვეთში იგრძნობა მენდეს მასიელისა და მაჰმუდ ალის ერთიანობა. გურამ დოჩანაშვილი, საკუთარი გამოცდილებითა და ქვეყანაში კიდევ უფრო დამძიმებული სიტუაციის შემყურე, როცა, „გარეთ ყველაფერი გენიალურადაა“ და შიგნით კი დიდი მარშალი ბეტანკური, პოლკოვნიკი სეზარი, ანესიტო, გრეგ რიკიო - დამორჩილებული და კიდევ უფრო დიდ სიბილწეში გამოწაფულ შემოქმედთა სახე, ბატონობს, მხოლოდ მაჰმუდ ალის უმიზეზო სიკეთით და შემდეგ ჰაერში სიკვდილით ვერ გამოფხიზლდებოდა მეჩეთებიანი და ბაზრობათა ქალაქი. აქ უკვე ბრძოლა იყო საჭირო, სწორედ მენდეს მასიელისა, რომელმაც უდაბნოდან მაჰმუდ ალის სული, უმიზეზო სიკეთე, შექვებული სინდისი მოიტანა და ქალაქელი მენდესისაგან კი შეიგრძნო და შეითვისა რეალობა. მან იცოდა, რომ მოუწევდა ბრძოლა, ეს უკვე აღარ იყო განყენებული ჭეშმარიტება, ან გამოგზავნილი სიმართლე, თუნდაც სიკეთე; ეს იყო რეალობას და სიძნელებებს შეჭიდებული ადამიანი, რომელიც ერთადერთ რამეს პირდებოდა ხალხს, არა კეთილდღეობას, არც სიმშვიდეს და როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს - არც მტერზე გამარჯვებას – „გამომყვით და დიდ ქალაქს ნახავთ... ჯერ არ არსებობს და ჩვენი ხელით უნდა აშენდეს... - ბრძოლა მოგველის... ისიც იცოდეთ, რომ დავმარცხდებით, მაგრამ სილაღეს იგრძნობთ, ძმებო - თავისუფლებას გაჩვენებთ, რა“ (დოჩანაშვილი 1990). საკმაოდ უცნაური მიმართვა და დაპირებაა, მაგრამ გულმართალ ვაკეიროებს სხვა არც არაფერი უნდოდათ. ეს ფაქტიც გვაფიქრებინებს, რომ მენდეს მასიელის პროტოტიპი სწორედ ზვიად გამსახურდიაა, რომელიც ასე ბუნებრივად ვითარდება და გამოდის მაჰმუდ ალის სახიდან და, რაც მთავარია, ეს თავები 1966-70წწ იწერებოდა, როდესაც კონფლიქტი ჯერ არ იყო მომხდარი. შემდეგ და შემდეგ კი, მოქმედება იტოტება, მენდეს მასიელი აიყოლიებს გულმართალ ვაკეიროებს და იქმნება კანუდოსი, ოცნების დიდი ქალაქი, მაგრამ როგორც კონსილიერომ იწინასწარმეტყველა, ბრძოლა გარდაუვალი აღმოჩნდა. ამ შემთხვევაშიც, როგორც „მხიარულ ბორცვში“, გურამ დოჩანაშვილმა უწინასწარმეტყველა მეგობარს, რა ელოდა როგორც ხელისუფლებისაგან, ისე, კიდევ უფრო ამაზრზენი, ხელისუფლებისაგან ხელდასხმული ინტელიგენციისაგან, გრეგ რიკიო, მარშალის დაკვეთით, მიცვალებულთა გვამებს ისე აურევს, თითქოს დიდ ტილოზე მუშაობდეს და შემდეგ ამ სადიზმს კანუდოსელებს და მენდეს მასიელს დააბრალებენ.

1975წლის გართულებული მდგომარეობის შემდეგ კი ტექსტში თავს იჩენს ერთგვარი უხერხულობა და უადგილობა მთავარი პერსონაჟისა; გადამწყვეტი ბრძოლის წინ მენდეს მასიელი სრულიად მოულოდნელად იღუპება და განსაცდელის წინ მარტო ტოვებს კანუდოსის მკვიდრთ. და კიდევ ერთი შტრიხი, რაც გვაფიქრებინებს, რომ მენდეს მასიელის პროტოტიპი სწორედ ზვიად გამსახურდიაა და ეს თავებიც „ოქროს საწმისის“ ზემოთ ხსენებული სტატიის შემდეგ დაიწერა - ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ხუთ დიდ კანუდოსელთა შორის, დიდებულ გმირების გვერდით არ მოიძებნა ადგილი იმ ადამიანისთვის ვინც ეს ქალაქი დაარსა, მასიელი - მთავარი პერსონაჟი გაუჩინარდა... ის არ გახდა ღირსი გამხდარიყო დიდი კანუდოსელი, ასე გადაწყვიტა ავტორმა.

2010 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა რომანი „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“. რომანი ავტობიოგრაფიულია და დოკუმენტური პროზის ჟანრს მიეკუთვნება. გურამ დოჩანაშვილი ისევ უბრუნდება სიყრმის მეგობარს და ბავშვობის წლებს. აქ უკვე ემოციებისგან დაცლილი, წარსულის

წყენისა და სიბრაზისაგან გათავისუფლებული ავტორის დამოკიდებულება იკითხება. ჩანს როგორ იწყებოდა მეგობრობა და თანამებრძოლობა. ზვიად გამსახურდია რომანში ჩნდება ჯერ კიდევ 14-15 წლის. გურამ დოჩანაშვილი უდიდესი სითბოთი იხსენებს სიყრმის მეგობრებს და მათ შორის თავიდანვე გამორჩეულს – ზვიად გამსახურდიას “ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს რომ უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით, მე და ეს ჯონდო-ერისთავი ჯერ გრიბოედოვის ქუჩაზე და მერე კი თვით კოლხურ კომპში უფრო ხშირად ვიძინებდით, ვიდრე ჩვენ სახლებში“ (დოჩანაშვილი 2010). ავტორი იხსენებს 1956 წლის მარტის იმ დღეებს „ზვიადი ექიმებს დასდევდა და, გარეგნულად მუდამ დიდად თავდაჭერილი იყო მაშინ კი ექიმებს დასდევდა და, როგორი გულამომჯდარი, როგორ-ძალიან იხვეწებოდა: ჩემი სისხლი გადაუსხით პატივცემულო ექიმო, ჩემი სისხლი, ძალიან გთხოვთ...“ (დოჩანაშვილი 2010 წ). ავტორი რომანს ასრულებს წინადადებით „I წიგნის დასასრული“. ვნახოთ რას შემოგვთავაზებს გურამ დოჩანაშვილი შემდეგ რომანში და როგორ დაიხატება სიყრმის მეგობრის სახება კონფლიქტის პერიოდში.

ლიტერატურა:

1. გურამ დოჩანაშვილი „მხიარული ბორცვი“ 1976 გვ. 232, 241, 248,
2. გურამ დოჩანაშვილი „სამოსელი პირველი,, 1990 გვ. 431, 412, 469
3. გურამ დოჩანაშვილი „რაც უფრო მახსოვს, და მეტად მაგონდება“ 2010 გვ 299, 190
4. „ჩვენი მწერლობა“ #19,20,21, 2010

ONE ASPECT FROM GURAM DOCHANASHVILI'S CREATIVE WORKS - PERSONAGE OF ZVIAD GAMSAKHURDIA

Ani Imnadze, Sokhumi State University, PhD student

RESUME

The work presents one aspect from the creative works by Guram Dochanashvili - Grand Master of the 2nd half of the XX century. Since 1961 till today Guram Dochanashvili returned to the topic of Zviad Gamsakhurdia several times.

Guram Dochanashvili and Zviad Gamsakhurdia were friends since school years, then they became companions and in 1961 a short story "Mkhiaruli Bortsvi" (Merry Hill) was created. Then they separated and in 70s Guram Dochanashvili created another masterpiece "Samosali Pirveli" (The First Vesture). Lately, in 2010 after overestimating and losing a friend new novel "Rats Upro Makhsovs da Metad Magondeba" (The Thing I Remember Better and Remind More) was published. All the three abovementioned works are united under the same idea of freedom and the same personage. In all the three works Zviad Gamsakhurdia is shown in different ways. The author presents his friend in particularly different ways. In a short story "Mkhiaruli Bortsvi" (Merry Hill) Mahmud Aali and in "Samosali Pirveli" (The First Vesture) Mendis Masieli first appeared as the Messiah and then disappears. In the last novel Zviad Gamsakhurdia is presented as a free, independent, a bit arrogant but devoted friend. Time after time Zviad Gamsakhurdia's personage has been changed in Guram Dochanashvili's works.

მითოლოგიური ელემენტები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

ანა დათუაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

მითი ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი სახეა, მასში ასახულია უძველეს ადამიანთა წარმოდგენები სამყაროზე, მის წარმოქმნაზე, ბუნებაზე ღმერთებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე, გმირებზე, ადამიანების ურთიერთობებზე ღმერთებთან და სხვა.

ძველ საზოგადოებაში მითოსის შინაარსი სარწმუნო იყო, მასში აისახებოდა უძველეს ადამიანთა წარმოდგენები მათთვის გაუგებარი, იდუმალებით მოცული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მრავალი მითი დადასტურდა მეცნიერული აღმოჩენებით (ტროა, მიკენი, კნოსოსის

სასახლე, კრეტის ლაბირინთი, თეზევსის მითი არგონავტების მითი და ა.შ.) სხვადასხვა ხალხის მითების სიუჟეტური სქემები და მოტივები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს და ამ საკითხებს შედარებითი მითოლოგია სწავლობს, ეს თანხვედრები შეიძლება ოთხმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობოს:

1. საერთო ძირის არსებობა
2. ნასესხობა
3. ურთიერთზეგავლენა
4. ერთნაირი ან მსგავსი ბუნებრივი და სოციო კულტურული ფონი.

მითი ისტორიული ფენომენია, იგი არც ისტორიაა, არც ზღაპარი, არც ლეგენდა, მაგრამ ყველა მათგანის ელემენტს შეიცავს. მითოლოგიური სიუჟეტების მამომრავებელ ძალას წარმოადგენს წინააღმდეგობა დაკანონებულ ვითარებასა და ადამიანის დაუდგრომელ ბუნებას შორის, რაც ვლინდება ადამიანისა და ბუნების, ადამიანისა და ღმერთების დაპირისპირებაში, არსებობს მითების რამოდენიმე ჯგუფი: ნატურალური მითები, ისტორიული მითები, საგმირო მითები, მორალური მითები, სოციალური მითები.

ყოველ ერს თავისი მითოლოგია აქვს, რაც გამოხატულია ლეგენდებში, ფოლკლორსა და იდეოლოგიაში, მაშასადამე მითები განსაკუთრებულ ფორმას იღებს იმის მიხედვით, თუ რომელ კულტურულ სივრცეში ვითარდება, ცნობილი კრიტიკოსის ნორთოპ ფრაის წიგნში „კრიტიკის ანატომია“ ავტორი მითოლოგიას ლიტერატურასთან აკავშირებს და ამტკიცებს, რომ მითი ლიტერატურული ფორმის სტრუქტურულად მათგან განსხვავებული პრინციპია, ხოლო არქეტიპი მისი ლიტერატურული გამოცდილების ელემენტი., ფრაის თქმით, მითოლოგია როგორც მთლიანობა, დიაგრამას მოგვაგონებს იმისას, რასაც ლიტერატურა, როგორც მთლიანობა გვთავაზობს. იგი ადამიანის მდგომარეობის წარმოსახვითი კვლევაა თავიდან ბოლომდე.

მითი როგორც კაცობრიობის ერთგვარი სულიერი საძირკველი, ყველა ეპოქაში წარმოადგენდა შემოქმედების უშრეტ წყაროს. მას ყველა დროსა და ეპოქაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა თეორიული და ფილოსოფიური აზროვნების სფეროში. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი მაკლომ კაული აღნიშნავდა, რომ მითოლოგიის არმქონე ერს არ შეიძლება ერი ეწოდოს, იგი მხოლოდ საერთო ტერიტორიაზე მცხოვრებ და საერთო კანონებს დამორჩილებულ ინდივიდთა ერთობას წარმოადგენს.

ცნობილია რომ თითოეული ეპოქა მითოსური სამყაროსადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ავლენდა ანტიკურ, აღორძინებისა და რომანტიზმის ეპოქებისაგან განსხვავებით მეოცე საუკუნეში მითი გამოიყენებოდა სრულიად განსხვავებული ცნებების აღსანიშნავად, ისეთების როგორცაა ილუზია, სიცრუე, პროპაგანდა, პირობითობა ჩვეულება, სოციალური ჩვევების საკრალიზებული და დოგმატური გამოსახვა, მითი გახდა უფრო პოლემიკური ტერმინი, ვიდრე ანალიტიკური, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და მითოლოგიისადმი განსხვავებული დამოკიდებულებისა, მითი გახდა ერთ-ერთი ცენტრალური ცნება XX საუკუნის სოციოლოგიასა და კულტურის თეორიაში. XX საუკუნის დასაწყისში მითს უფრო ხშირად იმ მიზნით მიმართავდნენ, რათა აესახათ კრიზისული კულტურულ-ისტორიული სიტუაცია. სოციალური გარდატეხების ჟამს დასავლეთ ევროპის ინტელექტუალურ წრეებში დამკვიდრდა მოსაზრება, რომლის თანახმად კულტურის თხელი ფენის ქვეშ მოქმედებენ მარადდამანგრეველი დემონური ძალები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ ადამიანის ბუნებიდან, ზოგადასაკაცობრიო, ფსიქოლოგიური და მეტაფიზიკური საწყისებიდან. სოციალურ-ისტორიული და დროით-სივრცული ჩარჩოებისაგან თავის დაღწევისაკენ სწრაფვა ზოგადასაკაცობრიო არსის გამოვლენის მიზნით იქცა რეალიზმიდან მოდერნიზმზე გადასვლის ერთ-ერთ მიზეზად, ამ სიტუაციაში მითოლოგია აღმოჩნდა ყველაზე მოსახერხებელი და ყველაზე მისაღები ენა მარადიული მოდელების, პირადული და საზოგადო ქცევების გადმოსაცემად. აღსანიშნავია რომ მითოლოგიზმი ყოველთვის არ უპირისპირდება ისტორიზმს, იგი ხშირად გამოდის როგორც მისი შემსვები დამატებითი საშუალება ამდენად მითოლოგიზმი უფრო ფართო მოვლენაა ვიდრე მოდერნიზმი.

XX საუკუნის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მწერლის, თანამედროვე ქართული პროზის რჩეულთა რჩეულის გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ერთმანეთზე გადაჯაჭვულია მითოლოგიური და რელიგიური საწყისები, რთულია თქვა სად მთავრდება მითოლოგია და სად იწყება რელიგია, ბიბლია და მითოლოგია ერთმანეთს რაღაცა ნაწილში ეთანხმებიან ეს არის კეთილისა და ბოროტის, კაცისა და მხეცის მარადიული ჭიდილი, ადამიანის ბრძოლა მასში ჩასახლებული დემონის წინააღმდეგ.

მეტად თავისებურია გოდერძი ჩოხელის პერსონაჟთა სამყარო, მათში მგლური ინსტიქტები დევს და მხეცური კომპლექსები იფურჩქნება, მაგრამ „ნაწილიანთა“ სულის ყვავილის სურნელიც გვაბრუნებს, ამ სამყაროში სასწაულების სჯერათ და ტოტალური ცოფის მკურნავ წამალს ეძებენ.

გოდერძი ჩოხელის მოთხრობაში „მგელი“ კარგად ჩანს ადამიანისა და ცხოველის მითოლოგიური მსგავსება, ცხოველისა და ადამიანის ერთსახოვნება, ადამიანებში მხეცის დანახვის შიში, „მგელში“, მგელქალა, რომელიც ბავშვს აწოვებს მუძუს მოგვაგონებს რომაული მითოლოგიის გმირს მგელს,

რომელიც რომაულ ვარიანტში რემუსსა და რომულუსს ზრდის. მგლის მიერ ბავშვისათვის ძუძუს წოვება სხვადასხვა ქვეყნის მითებში მიღებული ვერსიას, თუმცა ამ შემთხვევაში მგელქალა უარყოფითი პერსონაჟია, მაგრამ თევდორე რომელიც ადამიანად იქცა პირიქით, თუმცა თევდორე დაუსრულებლად ებრძვის თავისთავში ჩასახლებულ მხეცს. ამავე მოთხრობაში კიდევ ერთი არქეტეპია, როდესაც თევდორეს ძმა გადასცემს ლუკას ყვავილს, რომელმაც ადამიანები თუ ნადირები უნდა განკურნოს საყოველთაო ცოფისაგან, ყველაფრის განმკურნებელი ყვავილი არქეტეპია ცნობილი მითისა გრაალის თასის შესახებ, რომელიც გადმოცემის თანახმად მის მფლობელს არჩენდა ყველანაირი დაავადებისაგან და ანიჭებდა უკვდავებას, აქაც საყოველთაო ცოფისაგან ანუ ბოროტებისა და დემონური მიდრეკილებებისაგან განთავისუფლებით და სულში სიკეთის გამარჯვებით ადამიანის სული თავისთავად ეზიარებოდა უკვდავებას.

მითოსური წარმოდგენების არქაულ წრეში სამყარო ორ ნაწილად იყო გაყოფილი ზესკნელად და ქვესკნელად. შესაბამისად, ბუნებისა და ადამიანური არსებობის სხვადასხვა მოვლენანიც, ორ საპირისპირო სახედ იყო განსახლებული ზაფხულად და ზამთრად სიცოცხლედ და სიკვდილად, „ადამიანთა სევდაში“ სწორედ სიცოცხლისა და სიკვდილის დაპირისპირებაა განხილული. სიკვდილი, რომელსაც ადამიანის სახე აქვს ასევე არქეტეპს წარმოადგენს, რადგან ძველ ანტიკური ხანის მითოლოგიაში სიკვდილი სწორედაც რომ ადამიანის სახეს ატარებდა. გოდერძი ჩოხელის სიკვდილი ცოტათი თავისებურია ის არ ჰგავს მითოლოგიურ წინამორბედს, რომლის დანახვაც შიშის ზარს სცემდა მის მნახველს, იგი ერთი სევდიანი პერსონაჟია, რომელიც თავად განიცდის ყველაფერს რასაც სჩადის.

გოდერძი ჩოხელის პერსონაჟებს ფრენის უნარი აქვთ და იკარუსივით სულ ცისაკენ მიისწრაფვიან, მაგალითად „ცასწავალა“, „არწივთან ფრენა“, ასევე მითოლოგიური წარმოშობისაა ადამიანების ღვთისშვილებად მოხსენიება, რადგან უძველეს მითოლოგიაში მზე ღმერთია, ხოლო მზის შვილები ღვთისშვილები არიან, მზის წილის მფლობელს ნაწილიანი ეწოდებოდა ხევესურულ მითოლოგიაში. ხევესურთა ღრმა რწმენით, ნაწილი ბეჭებშუა ჰქონდა კაცს და იგი მზის ნაწილს გამოასხივებდა, ასევე ლუკასაც „მგელში“ ნაწილი აქვს, მის მამასაც ქონდა და ამიტომ ისინი ნაწილიანნი არიან და ისევ ტრადიციული მითოლოგიური წესით სწორედ მზის შვილები, იგივე ღვთისშვილები იბრძვიან ბოროტი ანუ დემონური ძალის წინააღმდეგ. „ნაწილს“ მზის ასოციაციით თვალზე ეწოდებოდა მზე და თვალი ერთი სუბსტანციის ორ პოლუსს წარმოადგენდა, რითაც მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის ურთიერთგანმსაზღვრელი ერთიანობა იყო მინიშნებული და კაცის ღმერთთან მსგავსებისა და წილნაყარობის იდეა იყო გამოხატული. ასევე მთლიანად ამ მითზეა აგებული მოთხრობა „ნაწილიანი“: მაგის ცოლი იძახის: - მარჯვენა ბეჭი, შუალამისას, ჯერ თხილის ოდენად გამოუნათდება, გაიზრდება და ვარსკვლავივით აბრჯღვინებსო. - გამტერებულა ხალხი იმის მონაყოლით. არა დაგაჯეროს რა გამჩენმა.” ამბობს ჩაჩაიზე გამიხარდაის ცოლი. თუმცა ამ მოთხრობაში „ნაწილი“ უფრო შარჟის ხასიათს ატარებს, რადგან ჩაჩაის ღვთის შვილობისა არა სცხია რა, და სიცოცხლესაც ამთავრებს მითისათვის დამახასიათებელი დეტალით, ქვესკნელამდე მოსახვედრად მდინარე უნდა გაიარო და ჩაჩაიც გაცოფებულმა წყალმა წაიღო გუდამაყრელების დარდებთან ერთად.

მითოსური სამყაროს კიდევ ერთი ნაწილია შუასკნელი სადაც ადამიანები სახლობენ, მოთხრობაში „ხილული სამზეო“ გოდერძი ჩოხელი ამბობს:

- რატომ გარტყვია წელზე ქამარ-ხანჯალი პაპავ? ეკითხებიან შვილიშვილები.
- იმად რო შუა სკნელს ვართ, - უპასუხებს მოხუცი ბალები იცინიან
- ზემო სკნელს ვინდა არი პაპავ?
- ზე სკნელს ღმერთია, - ამბობს მოხუცი და პირჯვარს იწერს
- ქვემო სკნელსა?
- ალ-ქაჯები და დევ-ემშაკები,ფუი, გასწყდა იმათი სახსენებელი.”

დევები ქართულ მითოლოგიაში ხტონურ სამყაროს წარმოადგენენ, რომელთაც გამუდმებით ებრძვიან გმირები, იმიტომ რომ ისინი მითოსური წარმოდგენით ბოროტებასთან ასოცირდებიან. ქაჯი, დევი და ვეშაპი უმრავლეს შემთხვევაში ერთი არსების სხვადასხვა სახელებია.

ხტონური სამყაროს წარმომადგენელია გველიც, რომლის სახეც ასევე შემზარავია ჩოხელის შემოქმედებაში „ახვევია წიფელზე დიდი გველი, გველი კი არა გველემაპი ყოფილა პირდაღებული ქმინავს საზარლად.“ ასეა აღწერილი გველი მოთხრობაში „ნადირობა ოზანოს მთაში.“თუმცა აქ გველი რუსებს ერჩის რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ხატის ტყის გაჩეხვა. აქ პარალელები შეიძლება გაივლოს ოქროს საწმისის მცველ გველემაპთან, რომელიც მართალია ბოროტების განსახიერებაა მაგრამ ამჯერად კეთილი მისია აკისრია, ეროვნული საუნჯის დაცვა, ასეთი მაგალითები ბევრია ქართულ მითოლოგიაში, როდესაც ბოროტი ძალა სიკეთეს ემსახურება, გაურკვეველი პატივისცემის გრძნობის გამო, რასაც იმსახურებენ კეთილშობილი ადამიანები, და რასაც ინსტიქტურად ემორჩილება ბოროტებაც, მაგალითად

მინდიას ხალხურ ვარიანტში გველის ხორცი არ კლავს მინდიას, პირიქით განსაკუთრებული ნიჭით აჯილდოვებს,

ასევე მითოლოგიური არქეტიპია ღმერთების საცხოვრებელი. ღმერთები ცხოვრობენ მთის მწვერვალზე, მაგალითად ოლიმპოს მთაზე, რომანში „ადამიანთა სევდა“ მწერალი ამბობს: „ხალხის წარმოდგენით მთის წვერზე ღვთის საბრძანისია და აღებული აქვს ნიშნი. მთის შუა ფერდზე სამანს ზემოთ ღვთის ადგილია, სამანს ქვემოთ კიდე ეშმაკებისა, რომელიც ღრმა ხევში იკარგება.“

ასევე მრავლადაა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში დევების, ქაჯების, შავი მდინარეების, ზესკნელის, ქვესკნელისა და შუასკნელის არქეტიპები, ღვთისშვილთა და ნაწილიანთა სახეები ქვესკნელის განმწმენდელი ცეცხლი და წყალი, და კიდეც უამრავი რამ, რასაც მითოლოგიასთან აქვს კავშირი, სხვანაირად წარმოუდგენელიც კია მთაში დაბადებულ მწერალს მთის ფოლკლორისა და მითოსისათვის აევლო გვერდი. მწერალი, რომელიც ფესვებიდან არ საზრდოობს უნაყოფო ხესა გავს, მაგრამ მისი მხოლოდ მითოსის ჩარჩოში მოქცევა წარმოუდგენელია, მისი შემოქმედება ჯერ კიდეც შესასწავლი და დასაფასებელია და როგორც რევაზ ინანიშვილი ამბობდა „ადრე თუ გვიან მსოფლიო დაინტერესდება ჩოხელით.... სულ მეჩვენება, რომ ყველაზე შურს იძიებს მაგიური მთიული.“

ლიტერატურა:

1. გოდერძი ჩოხელი, „თევზის წერილები“, თბილისი, 1989
2. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბილისი, 1988
3. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, თბილისი, 1991
4. თამაზ ჩხენკელი, „მშვენიერი მძლევალი“, თბილისი, 1989
5. ლიტერატურეს, თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი თბილისი, 2008
6. მ. მირესაშვილი, ნანა გაფრინდაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2008.

MYTHOLOGICAL ELEMENTS IN THE CREATIVE WORK BY GODERDZI CHOKHELI

Ana Datuashvili, Sokhumi State University, Ph.D student

RESUME

Pagan mythology and orthodoxy are organically merged to each other in the creative works by Goderdzi Chokheli, he was a true orthodox believer. It's interesting why is there an influence of pagan mythology on his works and why did he commit a suicide-unorthodox act.

The issue is actual as Goderdzi Chokheli is the writer of the II half XX century. He is a writer of our period and that's why the actuality of pagan mythology in the modern writing is interesting together with his attitude towards religion in the epoch of orthodox stirring.

The aim of our research is to show the importance of mythological elements in the creative works by Goderdzi Chokheli; its originality and uniqueness with its affinity to the roots; and how the primitiveness of the form determine greatness of the work.

In the creative works by Goderdzi Chokheli pagan mythology and religious elements are merged so perfectly to each other, that it is impossible to elucidate the bound between the beginning and ending of them. The mythological part deals with those elements which transform in biblical elements; there is a great similarity between mythological and biblical characters and they don't contravene orthodox incipient with their essence. Due to these elements which are very close to the population of the mountains even nowadays, Goderdzi Chokheli became the unique writer of the XX century and with his ordinary, simple and folk language reached to the top of the Georgian writing – Vazha Pshavela and like other great persons he remained unique for present.

His attempt to commit a suicide was not an ordinary suicide, as a person to whom even the life of an ant was important could not contravene commandment against the God.

His death was approached to the God, his attempt to commit a suicide was a part of his creative life. He worthily finished his creative life and once more showed the mission of a person.

„სიკვდილი - ადამიანად არყოფნის სევდა“

გიორგი ხორბალაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ზოგადად კაცობრიობას და შესაბამისად თითოეულ ადამიანს, არსებობის მანძილზე ხშირად უჩნდება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული ბანალური და ამოუხსნელი შეკითხვები, რომელთა პასუხების ძიება შემაწუხებლად ედულაბება გონებაში და მთელი არსებობის მანძილზე მოსვენებას არ აძლევს, რადგან, როგორც წესი, ასეთ შეკითხვებს აბსოლუტურად ჭეშმარიტი პასუხები არ გააჩნია. მათ შორის უმთავრესი კი, სიკვდილ-სიცოცხლის რაობაში გათვითცნობიერების სურვილით აღძრულ-მომალეული შეკითხვა უნდა იყოს, რომელიც ერთდროულად ყოველდღიურიცაა და მარადიულიც. ბუნებრივია, ლიტერატურაც, როგორც საზოგადოებრივი ყოფის ერთგვარი ინდიკატორი, ამ თემას გვერდს ვერ აუვლიდა და საკუთარ წიაღში თავისებურ ასახვასაც მოუძებნიდა. მსოფლიო ლიტერატურის არაერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებშია ფართოდ, თუ გარკვეული რიდით, იგი განხილული და ყველგან კვლავ ამოუწურავადვე რჩება, ვინაიდან საკითხი ერთობ მისტიური, ფართო და ღრმად ფილოსოფიური გახლავთ. ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებულად ბევრია ნაფიქრი ამ თემაზე გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში და, სწორედ ამიტომ, ჩვენც სიკვდილ-სიცოცხლის ჩოხელისეულ ფილოსოფიას შევეხებით.

გოდერძი ჩოხელი ამ მიმართულებით, გარკვეულწილად, ვაჟა-ფშაველას მემკვიდრედაც შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა მისი ინდივიდუალიზმი რომ ორიგინალურ სიტყვას ამბობს ლიტერატურულ სამყაროში, ესეც უდავოა. ის აგრძელებს თემას, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაშიც და ვაჟასთანაც კარგად არის გააზრებული: ყოველი მკვდარი, რომელმაც სახელოვნად განვლო წუთისოფელი, ცოცხალია, ჩვენს გვერდითაა და საკუთარი მაგალითით გვასწავლის სიცოცხლის არსს, რადგან, როგორც გერონტი ქიქოძე კარგად ჩამოაყალიბებს, ყველაზე შერცხვენილი მკვდარი ის არის, ვინაც სამარცხვინოდ განაგრძობს ცხოვრებას და სიკვდილიც უფრო ადვილია ადამიანისათვის, რომელსაც უკვდავება სწამს, თუნდაც ეს მხოლოდ იმ იდეის უკვდავება იყოს, რომელსაც თავს სწირავს. მარტო რუსთაველის უკვდავი აფორიზმის „სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი“ - გახსენება რად ღირს; ამ თემის კიდევ უფრო განსაზღვრებად კი, ვაჟას - „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შენობს შენითა!“ ორივე ზემოთქმული ხომ ჩვეულებრივი რეალობაა, მაგრამ რა რთულადაა გასაცნობიერებელი ხანდახან, მიუხედავად იმისა, რომ ხელისგულზე გიდევეს ჭეშმარიტება, თუმცა თვალზე ლიბრგადაკრულივით ვერ ხედავ, სანამ ამ ლიბრს არ ჩამოიმორებ, მისი ჩამოიმორება კი მხოლოდ გონების თვალს ძალუმს და ღრმა-ფიქრიანი მხედველობა სჭირდება.

გრიგოლ აბაშიძე ესსეში „სიკვდილის პოეზია“, გურამიშვილს და ვაჟა-ფშაველას ერთ კონტექსტში მოიხსენიებს და აღნიშნავს რომ მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მეტი ადგილი მათ პოეზიაში უჭირავს სიკვდილზე დაფიქრებას და გურამიშვილის სტრიქონსაც იშველიებს:

„მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერცად დაემალევი,
გავექცე, ვერცად წაუვალ, ცხენებიც მყავდეს მალევი,
შავება, ვერას დააკლებს ჩვენი თოფნი და მალევი.“

ამ მიმართულებით თითქმის ყველა მწერლის პოზიცია ერთსულოვანი და სწორხაზოვანია, სიკვდილს ვერსად გაექცევი და ვერსად დაემალევი, რადგან ის სიცოცხლის ნაწილია, მართალია დასასრული, მაგრამ აუცილებელი კომპონენტი იმისთვის, რომ სიცოცხლე საბოლოოდ შედგეს, და რაც უფრო შინაარსიანად განვლილი გზით მიხვალ ფინიშამდე, მით უფრო მეტია შანსი ფინიშის შემდგომ განზომილებაში ახლებური არსებობის განგრძობისა. ყველაზე მართებულად მავალთ კი განსაკუთრებული და უნიკალური შესაძლებლობა აქვთ, შესაძლებლობა იმისა, რომ ერთდროულად, სიკვდილის, როგორც ორგვარი არსებობის სადემარკაციო ხაზის ორივე მხარეს დამკვიდრდნენ, ვინაიდან გარდაცვალება ამ ქვეყნიდან ალაგმვას და გაქრობას არ ნიშნავს, არავითარ შემთხვევაში. ამასვე ამბობენ ზემოთ მოხმობილი ციტატები და ჩვენც, ჩვენეული პოზიციით, სრულად ვიზიარებთ ამ მოსაზრების სისწორეს; მეტიც, ვიზიარებთ და დაბეჯითებით ვამტკიცებთ კიდევ ერთი მარტივი ნაფიქრალით, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის არსზე ფიქრისას წამოტივტივდება ხოლმე უნებურად.

რამდენი მტერი ყავს კაცობრიობას, ტერორიზმით და სხვათა სიცოცხლის მოსწრაფებით გათვითმკვდარებული?! ხომ უამრავი, სამწუხაროდ! რომელი მათგანი შეიძლება იყოს უფრო ცოცხალი, ვიდრე გოდერძი ჩოხელია დღეს?! გოდერძი ჩოხელი, რომელიც უდიდეს განაცხადს აკეთებს ამ თემასთან მიმართებაში და ყველაზე უფრო შთამბეჭდავი პასუხები აქვს კითხვებზე: რა არის სიცოცხლე და რა არის

სიკვდილი. ერთიც სევდაა და მეორეც, მათ შორის სულ პატარა განსხვავებაა; პირველი - ადამიანად ყოფნით გამოწვეული სევდაა, მეორე - ადამიანად არ ყოფნით გამოწვეული, თუმცა ძირითადად ერთი და იგივეა- სევდაა...

ამ სევდას XX საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ, ერთგვარი და სოლიდური ხარკი გადაუხადა თავის წიაღში. იხილავს რა სიკვდილის თემას ვასილ ბარნოვთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან, ლეო ქიაჩელთან, დემნა შენგელიასთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, გრიგოლ რობაქიძესთან....- ინგა მილორავა წერს:

„ როგორც მოთხრობის ანალიზიდან ჩანს სიკვდილს აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება :

- ა) სიკვდილი - ტრაგიკული, მაგრამ მშვენიერი მოვლენა;
- ბ) სიკვდილი, როგორც სულთა სამუდამო კავშირის აღდგენის საშუალება;
- გ) სიკვდილი - მიღმა სამყაროში გადასვლის საშუალება;
- დ) სიკვდილი - გაუსაძლისი ცხოვრებიდან თავის დაღწევის საშუალება;” [1,134]

რომანში „ადამიანთა სევდა“ გოდერძი ჩოხელი წარმოდგენილი უბრალოებითა და ამავედროულად წარმოდგენილად ღრმა ფილოსოფიური სევდით ჭკრეტს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს და სამყაროს რაობის დონემდე ანზოგადებს: „ ახლა მგონია, რომ დედამიწა არის მზით და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი დადის. ოო, იცი, რა დიდებულია ეს წიგნი ! თვითონ მოთხრობები უდგამენ კარგ მოთხრობებს ძეგლებს, უხილავი შემოქმედის ხელით იწერება და იშლება ეს წიგნი და, ნეტა ვიცოდე, რა მემართება - წარმომიდგება, რომ დედამიწა იმ დიდი წიგნის ფურცელია, რომელსაც სამყარო ჰქვია, ნეტა მაცოდინა, სად არის ის დალოცვილი მწერალი, რომლის ხელითაც იწერება ეს დიდი წიგნი, ან დასაწყისი სად აქვს ამ წიგნს, ან დასასრული. ან იქნებ არც ერთი აქვს და არც მეორე.” [2,431]

შეუძლებელია იპოვო მსგავსად ორიგინალური მიმოხილვა, მოსაზრება იმისა, რომ დედამიწა წიგნია, რომელშიც ადამიანი მოთხრობაა და თვითონ მოთხრობები კარგ მოთხრობებს ძეგლებს უდგამენ. ყოველივეს გასააზრებლად საკმარისია ავტორის მკვეთრი და ნათელი ხედვა, მისი პოზიცია რომელიც ღრმა ანალიზის პარალელურად ვითარდება. ადამიანი არ ჩნდება და არ ქრება, იგი რჩება სამყაროს წიგნში მოთხრობასავით, რჩება და თუ კარგი მოთხრობაა, ძეგლს უდგამენ, წარუშლელს და სწორედაც რომ სამარადისოს, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი განუყოფელი ნაწილია სიცოცხლისა, განუყოფელი და გარდაუვალი. სწორედ აქ არის სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების უტყუარი არგუმენტები მინიშნებული: სიცოცხლე მოვა, განვითარდება, გაჩერდება, მაგრამ არ გაქრება, სიკვდილი კი სიცოცხლის გარეშე ვერც მოვა და ვერც იარსებებს.

„საიდან მოდის დავიწყების მდინარე, ან სად მიდის, ანდა თუ აქვს აზრი ჩვენს წასვლა-მოსვლას, თუკი ყოველივე მნიშვნელოვანს და წვრილმანს ერთიანად წაღვეკავს ეს მდინარე.

მაგრამ ალბათ აქვს აზრი, თორემ რა აყვავებდა ამ ხეებს ასე.” [2, 380]

ამკარაა, რომ ავტორი მედლის ორივე მხარეს ათვალთვლებს, ცალსახად არ აფასებს მოვლენებს და საკუთარ მრწამსსაც კი ეკამათება. სწორედ იმიტომაც იგი ამ კამათში გამარჯვებული, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების ფონზე ანვითარებს მისთვის მისაღებ ხედვას.

„ ყველა ჩემი მოთხრობა მეჩხუბება,
რაზე?

- ბოლოს რატო გვკლავო. იმიტომ ვკლავ, რომ მიყვარან. ეგენი კი არ მიჯერებენ, ვერ იტანენ სიკვდილს.

- სიკვდილს ვერავინ იტანს.

- მე ვიტან, მიყვარს, როცა მოთხრობებს სიკვდილით ვამთავრებთ, სიკვდილი ისევე ალამაზებს მოთხრობების სიცოცხლეს, როგორც მზე და მთვარე ალამაზებენ წყვილიადს”.[2,432-433]

აქ, რათქმაუნდა, მკითხველი გაიოცებს - ნუთუ შეიძლება იტანდე სიკვდილს? მაგრამ განმარტება იმდენად საინტერესო და უტყუარია, ბრმად იჯერებ, რომ საოცარი არც არაფერი გაგიგია. მწერალი ბევრს ეძიებს, დაუღალავად ფიქრობს ამოხსნას სიკვდილ-სიცოცხლის არსი, ხშირად პოზიციასაც იცვლის; თრგუნავს სიკვდილის წარმოსახვა, იქნებ აშინებს კიდევ, თუმცა იმ აზრს, იმ რწმენას, რომ ეს სრულყოფილი ციკლის ჭეშმარიტი აუცილებლობაა, ამტკიცებს და ამლიერებს ყოველივე შემდგომი ჩაფიქრებისას: მარტო სიკვდილის გაპერსონაჟება გავიხსენოთ, თუნდაც, სიკვდილის სიკვდილი ხომ მხოლოდ გულღვარძლიან კაცს გაეხარდა, რადგან ყველა მიხვდა, რომ ასე არ შეიძლებოდა, არ გამოვიდოდა; ეს სამყაროს წაღმა ბრუნვის უკუღმა გადატრიალება იქნებოდა, რომელიც, ვინ იცის, რას მოიტანდა...

ნოდარ დუმბაძე წერს „ადამიანი ფრესკა არ არის, შვილო, რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს, როგორც ქანდაკებას ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება” [3,308-309] სიკვდილის გაადამიანებასთან ერთად, სწორედ ამასაც აკეთებს გოდერძი

ჩოხელი სიკვდილის ამოუხსნელ ფენომენთან მიმართებაში. ის ჯერ გააპერსონაჟებს, გააადამიანებს მას და შემდეგ გარშემო უვლის, რათა უფრო ლამაზად სამხერი მხარეები შეურჩიოს და მკითხველსაც აჩვენოს. ცხოვრება ერთი დიდი გამოცანა და პარადოქსია, მაგრამ თუ მოახერხე და გამოიცანი, ხვდები - თურმე ჩიტი ბღღუნად არ ღირდა და თავსაც სულ ტყუილად იკლავდი, ტყუილად გემინოდა ასე სიკვდილისა; თუმცა ცხადია, ყოფიერების საიდუმლოს ბოლომდე ვერასოდეს გაშიფრავ.

„მგელის“ მთავარი პერსონაჟის - ლუკას სახით, ავტორი სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრისას ასეთ დასკვნას აკეთებს: „რა არის სიკვდილი? – ზოგისთვის წამი, ზოგისთვის მთელი ცხოვრება.“

ზოგი დაბადებიდან გრძნობს თანდაყოლილ სიკვდილს და მანამდე აწვალებს ამის შიში, მანამ სულ-ხორცი არ გაეყრება ერთიმეორეს.

სულ-ხორცის გაყრა სიკვდილია?

მაშინ სიცოცხლე რაღაა?

ალბათ, სულ-ხორცის ერთიანობა.

მაგრამ ვიღაც, თუ რაღაც ხოა, ვინც სულ-ხორცი შექმნა და დაუწერა სიკვდილ-სიცოცხლე.” [4,172-173]

და, მაინც, სიკვდილი არც ცალსახად დასასრულია და არც უცილობლად დასაწყისი, ის რაღაც განსხვავებულია ალბათ შუა ნაწილი მარადიულობის შემეცნებისა...

„იცი დასასრული სად არის?- ეკითხება გამიხარდა ქიმბარას

- დასასრული სიკვდილია.

სცდები, ტყუილია.

რატოა ტყული!

სიკვდილიც დასაწყისია, მაგრამ მთავარი არა”. [2, 447]

ჩვენი ეს მცირე ნაშრომიც დასაწყისია ამ ღრმა და უსაზღვრო თემატიკისა, რომელიც შემდგომი საფუძვლიანი კვლევის საგანია და ბუნებრივია, არაერთგზის იქნება განხილული; ამჯერად კი, ვფიქრობთ მყარი ნიადაგი მოვუმზადეთ სერიოზულ კვლევას.

ლიტერატურა:

1. მილორაგა ი. - „ლიტერატურული ძიებანი“. თბ. 2008.
2. ჩოხელი გ. - „თევზის წერილები“ თბ. 2001.
3. დუმბაძე ნ. თხზ. ტ. 2. თბ. 1983.
4. ჩოხელი გ. - „მგელი“ თბ. 1988.

DEATH - THE SORROW OF HUMAN INEXISTENCE

Giorgi Khorbaladze, Sokhumi State University, PhD student

RESUME

Literature as the indicator of public life could not avoid the theme of death and it would find some peculiar reflection in its own bosom as well. This theme is discussed in many works of the world literature but still remains as the inexhaustible subject, because this subject is so complicated, extensive and deeply philosophical. This theme is broadly thought-out in the Georgian Literature, namely in Goderdzi Chokheli's works. That's why we refer the philosophy of life and death like Chokheli.

From this point of view Goderdzi Chokheli can be considered as the successor of Vazha-Pshavela. Though it's a fact that his individualism has its own originality in the literary world.

1912 წლის ბალკანეთის პირველი ომი და გერმანიის დიპლომატია

ვაჟა ჩოჩია, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

პირველი მსოფლიო ომის წინ, მოვლენათა ისტორიულმა მსვლელობამ ბალკანეთზე თავდაყირა დააყენა გერმანიის და სხვა დიდი ევროპული სახელმწიფოების მმართველი წრეების გეგმები და ვარაუდები. ომის დაწყებას ბალკანელ მოკავშირეებსა და თურქეთს შორის ხელი ვერ შეუშალა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ერთობლივმა ნოტამაც, რომელიც დიდი სახელმწიფოების სახელით გადაეცა ბალკანეთის სახელმწიფოებს 1912 წლის 8 ოქტომბერს (8, 744).

9 ოქტომბერს დილით, ჩერნოგორიამ ომი გამოუცხადა თურქეთს და წარმატებით შეუტია თურქეთის სასაზღვრო ჯარებს. 17 ოქტომბერს სერბიამ, ბულგარეთმა და საბერძნეთმა ომი გამოუცხადეს თურქეთს და საომარი მოქმედებები წამოიწყეს. ბალკანეთის პირველი ომი დაიწყო.

ომის დაწყებამ შეაშფოთა როგორც ავსტრია-უნგრეთი, რომელსაც ემინოდა სერბიის გაფართოებისა, ისე რუსეთი, რომელიც უფრთხოდა, რომ ბულგარეთს კონსტანტინოპოლი ხელში არ ჩაეგდო (2, 188).

ბალკანელი მოკავშირეები (ბულგარეთი, სერბია, საბერძნეთი, ჩერნოგორია) ომის დასაწყისშივე ამარცხებენ თურქეთის არმიებს, რამაც მთელი მსოფლიო გააკვირვა. ბერლინსა და ვენაში შეშფოთებული იყვნენ ბალკანელი მოკავშირეების ასეთი წარმატებებით (9, №42, გვ. 12). ამ ქვეყნების ოფიციალური პრესაც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამიერიდან, შეუძლებელი იყო ადრინდელი, ომამდელი მდგომარეობის შენარჩუნება ბალკანეთზე (9, №43, გვ. 13).

იმპერატორი ვილჰელმ II გაკვირვებული იყო თურქეთის სწრაფი მარცხით. ბელგრადში გერმანიის დესპანის იულიუს ფონ გრიზინგერის 1912 წლის 25 ოქტომბრის ტელეგრამაზე ვილჰელმ II-მ შენიშვნა გააკეთა: „მაკედონია დაკარგულია, ისევე როგორც სანჯაყი. ოტომანის იმპერიის მთლიანობას ევროპაში ბოლო მოელო! სტამბოლი მუქარის ქვეშაა. თუ ბულგარელები სწრაფად დაედევნებიან თურქებს, ისინი შეძლებენ 8-10 დღის განმავლობაში სტამბოლის ახლოს ან თვითონ მასში აღმოჩნდნენ... თურქების ბატონობა ევროპაში მოსპობილია... შესაძლოა ჩვენ ვიცოცხლებთ იმ მომენტამდე, როცა ფერდინანდ I ბიზანტიის იმპერატორის გახდება? ან ბალკანეთის კავშირის უმაღლესი ხელისუფალი?“ (13, Bd.33, №12058, S.25, Anmerkung).

ვენა ეწინააღმდეგებოდა სერბიის გასვლას ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. ამასთან დაკავშირებით, ავსტრია-უნგრეთის დესპანი ბელგრადში სტეფან უგრინი სერბიის მთავრობის მეთაურთან ნიკოლა პამიჩთან საუბრისას, - საგარეო საქმეთა მინისტრის ბერხტოლდის დავალებით, - სთავაზობდა მას სერბიას ზღვაზე გასასვლელი ადრიატიკის მიმართულებით კი არ ეძებნა, არამედ ეგეოსის ზღვაზე სალონიკის მიმართულებით (13, Bd.33, №12371, S.330). ამ შეთავაზების აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ სერბია დაეპირისპირებინათ ბულგარეთთან და საბერძნეთთან. ბუნებრივია, ბერლინი მხარს უჭერდა ვენის წინადადებას, ხედავდა რა ამაში კარგ საშუალებას წაეჩხუბებინათ ბალკანელი მოკავშირენი (13, Bd.33, №12338, S.293). ამასთანავე, ბერლინში იმედი ჰქონდათ, რომ გააფუჭებდნენ სერბიისა და ბულგარეთის ურთიერთობას რუსეთთან, რომელიც დაინტერესებული იყო კონსტანტინოპოლით და სრუტეებით.

1912 წ. 7 ნოემბერს გერმანიის საგარეო საქმეთა სტატს-მდივანმა ა. კიდერლენ-ვებტერმა, ბერლინში სერბიის საქმეთა რწმუნებულთან მ. ზოგიჩევიჩთან საუბარში, პირდაპირ განაცხადა, რომ თუ სერბია ვენის გაფრთხილების მიუხედავად დაიკავებდა პორტს ადრიატიკის სანაპიროზე, ავსტრია-უნგრეთი შეიჭრებოდა სერბიაში, გერმანია კი მხარს დაუჭერდა თავის მოკავშირეს (9, №54, c.23).

ომის დაწყების შემდეგ ბერლინში იმედი ჰქონდათ, რომ თურქეთი გაიმარჯვებდა, ამიტომ არ ცდილობდნენ დაპირისპირებული მხარეების შერიგებას. ვილჰელმ II იმ აზრის იყო, რომ ეს ომი „ისტორიულ აუცილებლობას“ წარმოადგენდა (14, 225). რუსეთი მხარს უჭერდა რეაქციულ სტატუს კვოს ბალკანეთზე და ამის გამო არ აწყობდა იქ ომის გაჩაღება (8, 743). ვენა კი, ემზადებოდა სერბიასთან პრევენტიული ომის დასაწყებად, მაგრამ ომის მსვლელობამ ბალკანეთზე, დიდ სახელმწიფოებს გეგმები აურია.

ბერლინისათვის ბალკანეთის ნახევარკუნძული მნიშვნელოვანი იყო, როგორც სტრატეგიულ-გეოგრაფიული რეგიონი, რომელიც წარმოადგენდა მნიშვნელოვან სახმელეთო და საზღვაო გზების გზაჯვარედინს, ევროპიდან აზიისა და აფრიკისკენ. ბალკანეთი მდებარეობდა გერმანიის ექსპანსიის მაგისტრალურ გზაზე სამხრეთ-აღმოსავლეთში, თურქეთში, რომელიც გადაიქცა მნიშვნელოვან ობიექტად გერმანიის მსოფლიო პოლიტიკის გეგმებში XIX ს. ბოლოდან (იხ. 5, თავი 9).

ბალკანელ მოკავშირეთა გამარჯვებამ ბერლინსა და ვენაში შეშფოთება გამოიწვია. მთელი გერმანულ-ავსტრიული პოლიტიკა ბალკანეთზე ინგრეოდა და ძალთა ბალანსი აშკარად რუსეთის სასარგებლოდ იხრებოდა (7, 107).

ბალკანეთის ქვეყნების გამარჯვებამ თურქეთზე, გერმანიის გენერალური შტაბის ყურადღება მიიპყრო, პირველ რიგში, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. რამდენიმე ასეულ ათას ჯარისკაცს, რომლებიც იყვნენ ბალკანეთის კავშირის ქვეყნებში, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო სამთა კავშირის ბრძოლაში ანტანტასთან (1, 96-97, 129-132). ბალკანეთი ასევე იქცეოდა გერმანული მონოპოლიების ყურადღებას ეკონომიკური მოსაზრებით - როგორც ბაზარი სამრეწველო საქონლის გასაღების მიზნით, იაფი ნედლეულის წყარო და კაპიტალის დაბანდების სფერო.

გერმანიის დიპლომატიის საქმიანობაზე გავლენას ახდენდა ვილჰელმ II-ის პირადი და დინასტიური კავშირები, მისი სიმპათიები და ანტიპათიები. ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით გაიზარდა ახალი კანცლერის ბეტმან-ჰოლვეგის მოსვლით ხელისუფლების სათავეში 1909 წელს. ის იმპერატორის ნება-სურვილის უსიტყვო შემსრულებელი იყო. გარდა ამისა, საგარეო პოლიტიკაში მას არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა (3, 389-390). თვითონ გერმანიის მმართველ ზედაფენაში, 1912 წ. ბოლოს ბალკანეთის საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობდა. ვილჰელმ II არ იყო განწყობილი მხარი დაეჭირა ვენის პრობულგარული და ანტისერბიული კურსისათვის. მას ჰქონდა იდეა ერთდროულად ემოქმედა დიპლომატიურ სფეროში საბერძნეთთან, რუმინეთთან და სერბიასთან (12, 574). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუმინეთის მეფე კარლ I ჰოპენცოლერნების დინასტიიდან იყო, საბერძნეთის ტახტის მემკვიდრეს კონსტანტინეს კი ცოლად ჰყავდა ვილჰელმ II-ის საყვარელი და სოფია. რაც შეეხებოდა კიდერლენ-ვეხტერს, მას საკუთარი აზრი ჰქონდა მოვლენებზე და დამოუკიდებელი ხასიათით გამოიჩინებოდა. ამას ვილჰელმ II-ც აღნიშნავდა თავის მემუარებში (4, 66).

ბალკანეთის პრობლემებზე კიდერლენ-ვეხტერს საკუთარი შეხედულება გააჩნდა, რომელიც განსხვავდებოდა კანცლერისა და იმპერატორის პოზიციისგან. კონსტანტინოპოლთან ბულგარელების წარუმატებლობის შემდეგ, ვილჰელმ II თავის იმედებს ამყარებდა რუმინეთის, საბერძნეთის და ნაწილობრივ სერბიის გამოყენებაზე გერმანიის ინტერესების სასარგებლოდ ბალკანეთზე. თუმცა, ბერლინიც და ვენაც ცდილობდნენ ებიძგებინათ ბულგარეთისათვის, კვლავ გაეგრძელებინა ბრძოლა კონსტანტინოპოლის მიმართულებით, რაც მათი აზრით, აუცილებლად გამოიწვევდა რუსეთთან შეჯახებას, რის შედეგადაც ბულგარეთი იძულებული იქნებოდა მობრუნებულიყო სამხრეთ-დასავლეთით მაკედონიისკენ, რაც ასევე გამოიწვევდა კონფლიქტს სერბიასა და საბერძნეთთან (13, Bd.33, №12350, S.306). ბულგარეთს რომ კონსტანტინოპოლისკენ უბიძგებდნენ, ამით ბერლინში ფიქრობდნენ პროვოცირება მოეწყოთ რუსეთისთვის თვითონ ეაქტიურა სრუტეების რაიონში, რაც ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობებს გაამძაფრებდა (10, 121).

ბალკანეთზე კონფლიქტის დაწყებისთანავე, რუმინეთის მთავრობამ განაცხადა თავისი ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ ეს გარკვეული პირობით გააკეთა, რომ ბულგარეთს თავისი ტერიტორია არ უნდა გაეფართოვებინა ბალკანეთის ომის შედეგად (11, დოკ.№309, c.204), მაგრამ მალე, 1912 წლ ნოემბრის დასაწყისში რუმინეთი შეეცადა კომპენსაციის მიღებას ბულგარეთის მთავრობისგან (11, დოკ.№310, 315, c.205). ამ ნაბიჯმა ვითარება ბალკანეთზე კიდევ უფრო გაამწვავა. რუმინეთის მთავრობა, ფაქტიურად, ესწრაფვოდა ბულგარეთისაგან მიეღო სამხრეთ დობრუჯის მნიშვნელოვანი ნაწილი, დასახლებული ბულგარელებით. კიდერლენ-ვეხტერი მხარს უჭერდა რუმინეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს და ამით ცდილობდა მის შენარჩუნებას სამთა კავშირის გავლენის ქვეშ. ამასთანავე, მას სურდა რუმინეთი დაახლოებოდა ბულგარეთს და შეთანხმებაც კი დაედო მასთან. ეს იქნებოდა დარტყმა ანტანტისთვის, რომელიც ბულგარეთის მიმხრობას ცდილობდა და შენაძენი სამთა კავშირისათვის (13, Bd.33, №12478, S.448-449). მაგრამ, ამ სურვილებს განხორციელება არ ეწერა, რადგან ბულგარეთს არაფრის დათმობა არ სურდა რუმინეთისთვის სამხრეთ დობრუჯაში (15, Bd.4, №3540, S.184).

სამინაო-პოლიტიკური ვითარება ბალკანეთის ქვეყნებში იცვლებოდა. ვიდრე ომი მიმდინარეობდა, წინააღმდეგობანი ცალკეულ ბალკანურ ქვეყნებს შორის თავს არ იჩენდა, რადგან საჭირო იყო ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. როდესაც თურქეთზე მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს და დაიწყო მოლაპარაკებანი ზავის შესახებ, ბალკანეთის ქვეყნების მმართველ წრეებში შოვინისტური განწყობილებები და ტენდენციები კვლავ გაიზარდა.

ბალკანეთის ქვეყნების კოალიციაში პირველმა წინააღმდეგობებმა თავი იჩინა მაშინ, როცა დაიწყო მოლაპარაკებანი თურქეთთან ზავის შესახებ და ეს მაშინვე დააფიქსირა ბერლინისა და ვენის დიპლომატიამ (13, Bd.33, №12459, 12466, 12476, S.432-447; 15, Bd.5, №4647, S.16). ბალკანეთის კავშირისაგან ჩამოცილების ტენდენცია შეიმჩნეოდა ბულგარეთსა და საბერძნეთში. ეს იმ დროს, როცა სერბიის მმართველი წრეები, განიცდიდნენ რა ძლიერ ზეწოლას ბერლინისა და ვენისგან, 1912 წლის შემოდგომაზე, ძალიან საჭიროებდნენ თავისი პოლიტიკის მხარდაჭერას ბალკანეთის კავშირისაგან.

ბულგარეთის მეფე ფერდინანდმა 1912 წლის 13 ნოემბერს მიიღო თურქეთის მთავრობის თხოვნა ზავის შესახებ, მაგრამ დამალა ის, როგორც ბულგარელი ხალხის, ისე თავისი მოკავშირეებისგან (6, 75-76). თურქებმა შეძლეს ბულგარელების შეჩერება ჩატალჯის მალლობებთან და ის იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკებები ზავის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს 1912 წლის 3 დეკემბერს (13, Bd.33, №12479, S.450). მხოლოდ საბერძნეთმა თქვა უარი ზავის ხელმოწერაზე.

ბერლინში დიდი კმაყოფილებით ხვდებოდნენ სეპარატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას ბალკანელ მოკავშირეებს შორის. ამას ადასტურებდა ერთ-ერთი დიპლომატიური მოხსენების არეზე, სადაც ლაპარაკი იყო ბულგარეთსა და სერბიას შორის ურთიერთობების გაუარესებაზე, ვილჰელმ II-ის წარწერა: „ყოჩაღ!“ (13, Bd.33, №12466, S.438).

ბალკანეთის კავშირისგან ბულგარეთის ჩამოცილების მიზნით, გერმანიის დიპლომატია კიდერლენ-ვეხტერის მეთაურობით აქტიურად მუშაობდა. ამ მხრივ იმედის მომცემი ჩანდა ცნობები, რომ ბულგარეთის მთავრობას სურდა თურქეთთან სეპარატული ზავის და შეთანხმების დადება (13, Bd.33, №12459, S.432). 1912 წლის 11 დეკემბერს ბერლინში კიდერლენ-ვეხტერი შეხვდა ბულგარეთის სახალხო კრების თავმჯდომარეს ს. დანევს და საუბრისას შესთავაზა 16 დეკემბერს ლონდონში, საზავო მოლაპარაკებებზე დაემყარებინა კონტაქტი თურქეთის წარმომადგენლებთან ზავის დადების შესახებ (13, Bd.34, T. I, №12531, 12533, S.37-39). შესაბამისი საუბრები ჰქონდა გერმანიის ელჩს კონსტანტინოპოლში ბარონ ფონ ვანგენჰაიმს. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გაბრიელ ნორადუნგიანთან საუბრისას 1912 წ. 20 დეკემბერს, ის დაჟინებით ურჩევდა თურქეთის მთავრობას შეთანხმებოდა ბულგარეთს და გამოთქვამდა მოსაზრებას მომავალში თურქეთის, რუმინეთის და ბულგარეთის კავშირის შექმნის შესაძლებლობის შესახებ (13, Bd.33, №12457, S.87).

მალე გამოირკვა, რომ ბულგარეთსა და თურქეთს შორის სეპარატული შეთანხმება შეუძლებელი იყო. ლონდონში სამშვიდობო მოლაპარაკებებზე არცერთი მხარე კომპრომისზე არ წასულა - არც თურქეთი, არც ბალკანელი მოკავშირენი. ასეთ სიტუაციაში, გერმანიის დიპლომატია თურქეთში, მხარს უჭერს ოპოზიციაში მყოფ ახალგაზრდა თურქებს, რომელთაც სურდათ ომის გაგრძელება. გერმანიის ელჩის დახმარებით, რომელიც დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობდა ახალგაზრდა თურქების ორგანიზაციასთან (15, Bd.5, №5576, S.566; №5692, S.646), ახალგაზრდა თურქმა ოფიცრებმა 1913 წლის 21 იანვარს სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს. ახალმა მთავრობამ განაახლა სამხედრო მოქმედებები ბალკანელ მოკავშირეებთან. დაიწყო ბალკანეთის მეორე ომი, რომელიც რამდენიმე თვეს გაგრძელდა და ხელს უწყობდა გერმანიის დიპლომატიის ინტრიგებს.

ლიტერატურა:

1. Бернгарди Ф. Наша будущность. Пг., 1914.
2. Бриггс Э., Клэвин П. Европа нового и новейшего времени. М., 2006.
3. Бюлов Б. Воспоминания. М., 1935.
4. Вильгельм II. Мемуары. События и люди. 1878-1918. М.-Л., 1923.
5. Ерусалимский А.С. Внешняя политика и дипломатия германского империализма в конце XIX в. М., 1951.
6. Жебокрицкий В.А. Болгария в период балканских войн 1912-1913 гг. Киев, 1961.
7. Задохин А.Г., Низовский А.Ю. Пороховой погреб Европы. М., 2000.
8. История дипломатии. т. II, М., 1963.
9. «Красный архив», 1926, т. 3(16).
10. Могилевич А.А., Аирапетян М.Э. На путях к мировой войне 1914-1918 гг. М., 1940.
11. Сборник дипломатических документов касающихся события на Балканском Полуострове (август 1912 г. – июль 1913 г.). Пг., 1914.
12. Хальгартен Г. Империализм до 1914 года. Пер. с нем., М., 1961.
13. Die Grosse Politik der Europäischen Kabinette. Sammlung der diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 1-40, Berlin, 1922-1927. – Bd. 33, 34.
14. Fischer F. Krieg der Illusionen. Die Deutsche Politik von 1911 bis 1914. Düsseldorf, 1969.
15. Österreich-Ungarns Aussenpolitik von der Bosnischen Krise 1908 bis zum Kriegsausbruch 1914. Diplomatische Aktenstücke des Österreichisch-Ungarischen Ministeriums des Äussern. Bd. 4, Wien, 1930.

THE FIRST WAR OF THE BALKANS IN 1912 AND THE DIPLOMACY OF GERMANY

Vazha Chochia, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

The work represents the diplomatic activity of Germany which tried to use the existing situation for own interests after the first war in the Balkans which began October 9, 1912. The historical chronology of the facts on the Balkans made the Berlin plans upside down. The Balkan allies (Bulgaria, Serbia, Greece, Chernogory) quickly defeated Turkish armies. That was troublesome for Berlin and its ally Vienna.

The Balkan Peninsula was very important for Berlin as a strategic-geographical region, which was an important overland and naval crossroad from Europe to Asia and Africa. It situated on the South-East of the main line of Germany expansion, in Turkey, which became an important object in the plans of the world policy of Germany from the end of the XIX century.

The policy of Germany actively pushed Bulgaria to go on the fight to the direction of Constantinople. That would be a danger to the Black Sea straits and automatically Bulgaria would oppose Russia, which tried to capture the straits for a long time. At the same time, Berlin tried to provoke Russia in order to be active in the region of the straits and it would automatically oppose England. The existing situation contributed the intrigues of the policy of Germany, which played an important role in the beginning of the Balkans second war.

კაკაბეთთან (ნიახურას) ბრძოლის შეფასების საკითხისათვის

ოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
E-mail: sosoalimbarashvili@gmail.com

კაკაბეთთან ბრძოლა იმ სამწუხარო რეალობათა რიცხვს ეკუთვნის, რომლის ორივე მხარეს ქართველები იბრძოდნენ (მაგრამ არა მთავარსარდლის რანგში) და რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არცთუ იშვიათია.

ეს ბრძოლა საქართველოს ისტორიაში შეფასებულია, როგორც წარმატებული ნაბიჯი დადესტნელ ფეოდალთა თავდასხმების წინააღმდეგ, ხოლო მისი ერთ-ერთი მთავარი მონაწილე - ომარ-ხანი დახასიათებულია ფლიდ და ორპირ ადამიანად, რომელმაც თავისი გამუდმებული თავდასხმებით სისხლი გაუშრო საქართველოს.

ჩვენი აზრით, ზემოთქმული უფრო XIX-XX საუკუნეებში რუსული და საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი მიზანმიმართული მცდელობის შედეგია, რომლის მიხედვით, 1801 წლის ავადსახსენებელი მანიფესტი და ქვეყნის ანექსია დადესტნელ აბრაგთაგან ერთმორწმუნე საქართველოს დაცვით უნდა გამართლებულიყო. ჭარ-ბელაქანისა და მთიანი დადესტნის ისტორიის ცნობილი მკვლევარი - ი. პეტრუშევსკი ამ საკითხს შემდეგნაირად აფასებს: „მთელი მთიანი დადესტნის მოსახლეობის (განურჩევლად – ავარების, წახურების და სხვ.) „მონათვლა“ ლეკებად, ხოლო „ლეკის“ გაიგივება დაუნდობელ მკვლელებსა და მმარცველებთან, თვითმპყრობელი იმპერიის ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა: გაემართლებინა რუსეთის მიერ კავკასიის ანექსია და რუსეთის კულტურულ მისიას – დაეცვა ქრისტიანი საქართველო და სომხეთი „მუსულმანი ბარბაროსებისაგან“.

ამ ფონზე ძალზე მოსახერხებლად გამოიყურებოდა მთელი დადესტნელი მოსახლეობის წარმოჩენა ავაზაკებად, რომელთაგან საქართველოს დაცვა მხოლოდ რუსეთის ძლიერ ხელს შეეძლო” (Петрушевский, 1934).

მართლაც, ერეკლე-გიორგი XII-ს პოლიტიკის აქტიური მოწინააღმდეგე - ომარ-ხანი, აქტიურად უღებდა კარს, მეგობრობდა, სამხედრო ძალითაც ყოველთვის ეხმარებოდა რუსების წინააღმდეგ მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს და ამის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი არსებობს.

კაკაბეთთან ბრძოლის ერთ მხარეს იდგნენ ომარ-ხანი, ხაშშუთა და ჯონგათაი მაჰმად-ხანები, იბრეიმ-ხანი, რამდენიმე ყადი, ალექსანდრე ბატონიშვილი 1500 ერთგული მეომრით, ხოლო მეორე მხარეს - რუსი გენერლები: ლაზარევი და გულიაკოვი, ბაგრატი და იოანე ბატონიშვილები 3 ათასამდე ქართველით და 1224 რუსი ჯარისკაცით („Кавказ“, 1846).

გასათვალისწინებელია, რომ იმ დროისათვის ალექსანდრე ბატონიშვილთან მისვლას დიდი პიროვნული რისკი ახლდა და შეიძლება მოჰყოლოდა ოჯახების აწიოკება, ხოლო ლაზარევისა და გიორგი XII-ის ვაჟებისათვის მოსახლეობის იძულებით წესით გამოყვანა არანაირ სირთულეს წარმოადგენდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ ვის მხარეს იყო ქართული მოსახლეობის სიმპათია იმ დროისათვის.

როგორც ჩანს, გიორგი XII-სათვის ადრევე ცნობილი იყო ომარ-ხანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ქართლ-კახეთზე ლაშქრობის სამზადისი, ამიტომ, ჯერ ჯიდევ 1800 წლის 14 აგვისტოს, კნორინგს სთხოვდა დახმარებას: „ჩვენის სამძღვრის მთავრის წიგნი მოგვივიდა, რომ ომარ-ხან, ხაჰშუთა და ჯონგათაი მაჰმად-ხან და ორი ყადი, ესენი დადისტნის ჯარებით საქართველოზედ მომსვლელნი არიანო, ...ჩემს ძმას ალექსანდრეს და ომარ-ხანს ერთი პირი აქვსთ, აგრეთვე იბრეიმ-ხანსა და ჩვენზედ მომსვლელნი არიან.

წყალობას ვითხოვთ, რომ თქვენი მწყალობლობა, რომელიც იმისის იმპერატორობის დიდებულების წყალობა არის, ის შეგვისრულოთ, რომ არ წავხდეთ” (Акты, 1866).

გიორგის შიში იმითაც იყო განპირობებული, რომ 1800 წლის ივნისში ირანის შაჰმა - აბას-მირზამ ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და ირანისადმი ძველი მორჩილების აღდგენა მოსთხოვა, მაგრამ გიორგისაგან უარი მიიღო. ირანის მბრძანებელმა მისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებს მასთან შეერთებისაკენ მოუწოდა და თვითონაც საქართველოსაკენ დაიძრა.

თუმცა, რუსებმა თავი „მალევე დაიმშვიდეს”. 20 აგვისტოს გენ. ლაზარევი კნორინგს სწერდა, რომ „სპარსეთის ბაბა ხანი, რომელიც ერევანთან იმყოფებოდა, უკან გაბრუნდა და უკვე მდ. არაქსი გადალახა. ამ ამბის გაგების შემდეგ, არა მგონია ომარ-ხანმა საქართველოზე თავდასხმა კიდევ გაბედოსო” (Акты, 1866).

მიუხედავად ამისა, საიმპერატორო კარმა საქართველოში თავისი ძალების გაძლიერება მიზანშეწონილად ჩათვალა და „მისი უმაღლესობის” ბრძანებით 25 აგვისტოს მოზდოკიდან საქართველოსაკენ დაიძრა გენერალ-მაიორ გულიაკოვის რაზმი, რომელიც თბილისში 23 სექტემბერს ჩამოვიდა. აღფრთოვანებული გიორგი XII რუსებს თბილისიდან სამ ვერსზე დიდი ამალით მიეგება. ამის შემდეგ საქართველოში რუსის ჯარის რაოდენობამ, უკვე აქ მყოფ გენერალ ლაზარევის სამხედრო ძალასთან ერთად 2500 კაცი შეადგინა (კაკაბაძე, 2003).

ქართლ-კახეთის სამეფო კარი თავის მხრივაც შეეცადა ომარ-ხანის შესაძლო თავდასხმისათვის მზადებას და ციხეების გამაგრება და მოსახლეობის დახიზნვა დაიწყო. 1800 წლის 8 სექტემბერს ბაგრატ ბატონიშვილი სიღნაღიდან მამამისს (გიორგი XII-ს) მოსახლეობის დახიზვნის გეგმას სთავაზობდა, რომლის მიხედვით, ქიზიყი, საანდრონიკო და სავაჩნაძეო სოფლები სიღნაღის ციხეში უნდა სესულიყვნენ, ხოლო გავაზელ-კუჭატნელები - ყვარელში.

ბატონიშვილი ჩიოდა, რომ მხოლოდ მისი მონდომება ამ საქმეში არ კმაროდა და მამას სთხოვდა მისთვის დავით ბატონიშვილი მიეშველებინა.

წერილში აღნიშნული იყო, რომ ომარ-ხანის მხედრობაში მურთუზ-ალი, უკანა მხარის და გულხადარას ლეკებიც გაერთიანებულიყვნენ, რასაც მოსახლეობა პანიკაში ჩაეგდო, ამიტომ ბაგრატ ბატონიშვილი მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ მეფეს (გიორგი XII-ს) ყვარელელთათვის „იმედიანი ოქმი” ებოძებინა (Акты, 1866).

თავის მხრივ, იოანე ბატონიშვილი ქიზიყიდან 25 ოქტომბერს გამოგზავნილი წერილით ლაზარევის სთხოვდა დაეჩქარებინა შეპირებული რუსის ჯარის კახეთში გაგზავნა და სურსათით უზრუნველყოფასაც ჰპირდებოდა (Акты, 1866).

ომარ-ხანი და იბრეიმ-ხანი ლევთა 17 ათასიანი ჯარით 1800 წლის აგვისტოში მართლაც დაიძრნენ საქართველოსაკენ, მათ ოქტომბერში ყარაბაგიდან ალექსანდრე ბატონიშვილიც შეუერთდათ. მანამდე ხელისუფლებამ მოსახლეობაში ალექსანდრე ბატონიშვილის საწინააღმდეგო ხმა გაავრცელა - „ბატონიშვილს ომარ-ხანთან ერთად მოსახლეობის დარბევა და ზოგიერთის ტყვედ შეპყრობა უნდაო” (გონიკაშვილი, 2002).

როცა მოსახლეობის დარწმუნება ვერ შეძლეს, იოანე ბატონიშვილმა და გენერალმა ლაზარევიმ ომარ-ხანსა და ალექსანდრე ბატონიშვილს შორის განხეთქილების ჩამოგდება სცადეს და ამ საქმეში დარეჯან დედოფალი ჩართეს.

ლაზარევის დავალებით დარეჯან დედოფალი 1800 წლის 28 ოქტომბერს ალექსანდრეს სწერდა, რომ გაეწყვიტა ომარ-ხანთან კავშირი და არ შემოჭრილიყო საქართველოში, რადგან რუსეთის ჯარი არ აპატიებდა ამგვარ მოქმედებას და ამით რუსეთის ხელმწიფის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. დარეჯანი იმედს გამოთქვამდა, რომ შვილი დედის ხვეწნა-მუდარას შეისმენდა და ომარ-ხანთან კავშირზე ხელს აიღებდა (Акты, 1866).

დარეჯან დედოფალი შვილს „გამოსავალს სთავაზობდა“: „მე ვხედავ, რომ თქვენ მოხვდით ომარ-ხანთან, რომელსაც თითქოს თავისთან ჰყავს დიდი რაოდენობის მებრძოლები და დგას ალაზნის პირას; მე ძალიან მიკვირს, რომ თქვენი თავის შეუბრალებლად მათ (ომარ-ხანს – ს.ა.) შეუერთდით. თქვენ იცით, რომ ის თქვენი ძმის – მეფის მტერია და რომ მეფე სრულიად რუსეთის მფარველობის ქვეშაა. თუ ასეა, იცოდეთ, რომ რუსეთის ჯარი ეგეთ სისაზიზღრეს არ შეგარჩენს, გენერალ-მაიორი ლაზარევი ახლა ჯარით მანდეთ წამოვიდა, მე თქვენ, შვილო ჩემო, მრავალჯერ გარიგებდით, რომ თქვენ ახალგაზრდობის გამო ისეთ საქმეებში არ ჩარეულიყავით, რომელიც როგორც თქვენი გვარის, ისევე ჩვენი სამშობლოსათვის საწინააღმდეგოა და ახლაც ასეთივე რჩევას გაძლევთ;

ამასთანავე ერთად გენერალ-მაიორ ლაზარევისაგან მიიღებთ წერილს, რომლის რჩევა და ზემოთ დაწერილი ჩემი სიტყვა ყველა კარგად გაარჩიე, თუმცა ღმერთის იმედი მაქვს, რომ ჩვენს რჩევას მიიღებთ კეთილად;

ყველა თქვენს გულითად წუხილზე გენერალს განუცხადეთ წერილობით და ისეთ საქმეს დაადექი, რომელიც საწინააღმდეგო არ იქნება, როგორც სრულიად რუსეთის ხელმწიფისათვის, ასევე სამშობლოსა და ჩვენი სახლისათვის სამარცხვინო და საზარალო არ იყოს, რადგან თქვენთვის საკმაოდ ცნობილია, რომ სახსოვარი ნეტარი და მარადღირსეული თქვენი ხელმწიფე და მამა (ივლისხმება ერეკლე II – ს.ა.) ყოველთვის შორს იყო უსიამოვნებისაგან, რომელიც სრულიად რუსეთის ხელმწიფის უკმაყოფილებას გამოიწვევდა (**АКТЫ, 1866**).

წერილი, როგორც ვხედავთ, რუსი გენერლის აშკარა ზემოქმედებითა და იძულებითაა დაწერილი. სხვანაირად შეუძლებელია დარეჯან დედოფალს, რომელიც რუსებისა და გერისადმი (გიორგი XII-ის) სიმპათიით არ გამოირჩეოდა, პირიქით, თანაუგრძნობდა კიდევ ალექსანდრე ბატონიშვილის გიორგი XII-ის წინააღმდეგ ბრძოლას, ასეთი წერილი დაეწერა.

ლაზარევი თავის მხრივაც ურჩევდა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომ ომარ-ხანთან კავშირი გაეწყვიტა, რუსეთის იმპერატორთან შუამდგომლობას და დიდ წყალობასაც ჰპირდებოდა (**АКТЫ, 1866**), მაგრამ ალექსანდრე რუსების თვალთმაქცობას არ წამოეგო და ომარ-ხანის ძალებთან ერთად კახეთს მოადგა.

ნიახურას სისხლისმღვრელი ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა და მისი ბედი რუსების სასარგებლოდ ძირითადად არტილერიამ გადაწყვიტა, რუსებს ამ ბრძოლაში 6 ზარბაზანი ჰქონდათ, ომარ-ხანს კი არც ერთი (**კაკაბაძე, 2003**). ოფიციალური ინფორმაციით, რუსებს კაკაბეთთან ბრძოლაში წვრილკალიბრიანი იარაღიდან (თოფებიდან) – 22037 ტყვია, ხოლო მსხვილკალიბრიანიდან (სხვადასხვა სიმძლავრის ზარბაზნებიდან) 125 ყუმბარა გამოუყენებიათ (**АКТЫ, 1866**).

ნაომარი ველი მძვინვარე სასაკლავოს წარმოადგენდა. დახოცილთა შორის იყო სამი დაღესტნელი წინამძღოლი, თვით ომარ-ხანიც მძიმედ დაიჭრა და ბრძოლაში 104 – მოკლული და 30 ტყვედწაყვანილი დაკარგა (**АКТЫ, 1866**).

ბრძოლაში დაიჭრა ალექსანდრე ბატონიშვილიც, „ეს უკანასკნელი მოჰიკანი საქართველოს დამოუკიდებლობისა და დაუძინებელი მტერი რუსეთისა, რომელთანაც ვერ გაჭრა ვერც მუქარამ, ვერც დაყვავებამ“ (**ედილი, 1997**). ბრძოლის დასრულების შემდეგ იგი რამდენიმე მხლებლით მანავის ციხეში ავიდა, იქიდან კი ცივკომბორის მთებით მცხეთას გადავიდა. იქ საკუთარი და ქვეყნის ბედიტ გულდამძიმებულმა სვეტიცხოვლის წინ ბევრი იტირა (**„ივერია“, 1901**), შემდეგ მხლებლები დაითხოვა და მომავალი ბრძოლების იმედით ჯერ ყარაბაღში, ხოლო იქიდან დაღესტანში გაიქცა.

ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს – გიორგი XII-ს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია, იგი ამ დროისათვის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო და ალექსანდრე ბატონიშვილისა და ომარ-ხანის წინააღმდეგ ქართველთა მხედრობას გიორგის შვილები – ბაგრატ და იოანე მეთაურობდნენ. ამის მიუხედავად, 1800 წლის 9 ნოემბერს გორში ოთარ ამილახვართან მიწერილ წერილში მეფე საკუთარ ძმაზე გამარჯვებას აღტაცებაში მოუყვანია და ამ ფაქტს „ღვთის მოწყალეობად“ მიიჩნევდა: „...მოსწევია ჩვენი ჯარი, ...შემოჰბმინან, უსროლიათ, ორი საათი სროლა და ომი ჰქონიათ და ღვთის მოწყალეობით დაუმარცხებიათ დიდათა, ჯონგათაი მაჰმად-ხან მოუკლამსთ, რახტიანი ცხენი დარჩომია და, რაც ბაირახები ჰქონიათ, სულ დარჩომიათ, ათას ხუთასი კაცი მოუკლამსთ, დაჭრილს გარდა, - სულ კარგი კაცი დახოციათ, უფროსიერთა ჭარელნი დახოცილან, და ამ რიგად დამარცხებული და შერცხვენილნი და თავლავ დასხმულნი, დაფანტვით გაქცეულნი წასულან“ (**ბაგრატ ბატონიშვილი, 1941**).

მთავარი მიზანი მაინც მოსახლეობაში ავტორიტეტმერყეული მეფის რეაბილიტაცია და მის ძლიერებაში დარწმუნება იყო, რაც კარგად ჩანს წერილის დასკვნით ნაწილში: „ეს ბოქოულთ-ხუცესი სოლოდაშვილი იესე გამოგვიგზავნია და ეს გარჩევით გიამბობსთ ...და გორელებსაც და ყველას ასე გამოუცხადე“ (**ბაგრატ ბატონიშვილი, 1941**).

რუსებმა ნიახურასთან გამარჯვება პომპეზურად აღნიშნეს. 12 ნოემბერს თბილისში საყვირებითა და ზურნა-დაფის კვრით შემოვიდნენ, თვით გენერალი გულიაკოვი ქართველების ნაჩუქარ ცხენზე ამხედრებული მოაბიჯებდა, რომელსაც აქეთ-იქით იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები უმშვენებდნენ

გვერდს, მათ უკან ბრძოლაში ომარ-ხანისათვის წართმეული ზაირალები ტყვედ ჩავარდნილ ლეკებს მოჰქონდათ.

გამარჯვებულებს ქალაქგარეთ გიორგი XII, მარიამ დედოფალი, ანტონ კათალიკოსი და მთელი სამეფო კარი მიეგება, რომელთაც რუსი გენერლისათვის საბოძვარი არ დაუკლიათ. მეფე ცხენიდან ჩამოხტა და გამარჯვებულებს დედაქალაქში ფეხით შეუძღვა, სანაცვლოდ იოანე და ბაგრატ ბატონიშვილებმა იმპერატორისაგან „კამანდორის ჯვრები და ორდენები წმ. იოანე იერუსალიმელისა“ მიიღეს („ივერია“, 1900).

იოანე ბატონიშვილის დაჯილდოება ამით არ დასრულებულა. მამამისს მისთვის ნიახურას ველზე გამოჩენილი ერთგულებისა და მამაცობისათვის თბილისში წისქვილები უბოძებია.

კაკაბეთთან გამარჯვება უკანასკნელი აღმოჩნდა გიორგი XII-სათვის. 1800 წლის 28 დეკემბერს იგი გარდაიცვალა. რუსებმა, როგორც მოსალოდნელიც იყო, მას უკანასკნელი სურვილიც არ შეუსრულეს (რისაც, ამ დროისათვის საქართველოში და მის სამეზობლოში, გიორგისაგან განსხვავებით ცოტას თუ სჯეროდა) და ქართლ-კახეთი რუსეთის ნაწილად აქციეს, ხოლო გიორგის ოცნებაში მეფედ წარმოდგენილი – დავითი, სამუდამოდ რუსეთში გადაასახლეს.

რუსებმა კაკაბეთთან გამარჯვებაც უმალ წაგვაცედრეს. ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის ავადსახსენებელ მანიფესტში ჩაიწერა კიდეც: „შესვლამან სპათა ჩვენთა და დაწყვლამან ომან-ხან ავარიელისა დააყენეს წარწყმედა თქვენიო“ (იოსელიანი, 1978).

კაკაბეთთან გამარჯვების 100 წლისთავზე, რუსებმა გადაწყვიტეს ბრძოლის ადგილას ძველი დაედგათ და ეს ღონისძიებაც ზარ-ზეიმით აღნიშნეს. მოხდა ძველის კურთხევა და გადაიხადეს პარაკლისი იმპერატორების: ეკატერინე დიდის, ალექსანდრე I-ის, პავლე I-ის, ქართველი მეფეების – ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის სულის მოსახსენებლად. ღონისძიების დასრულებისას იმპერატორის სახელზე გაიგზავნა მისალოცი დეპეშა. საპასუხო წერილში ნიკოლოზ II მადლიერებას გამოხატავდა ჯარისკაცების ერთგულებისათვის.

ბუნებრივია, რუსული პრესა აღნიშნული ფაქტისადმი გულგრილი არ დარჩებოდა. მართლაც, 1901 წლის 19 ოქტომბერს ს. ბისტროვი გაზეთ „კავკაზში“ აქვეყნებდა სტატიას, რომელიც ისეთივე „რიხით“ იწყება: „რუსების მიერ კავკასიაში ჩატარებულ სახელოვან ბრძოლათა რიცხვს უცილობლად მიეკუთვნება 1800 წელს ჩატარებული იორის ბრძოლა. ცნობილია, რომ საქართველოში ჩასულ პირველ პოლკთაგან იყვნენ გენერალ-მაიორ ლაზარევის მე-17 ეგერთა პოლკი და გენერალ-მაიორ გულიაკოვის მუშკეტერთა პოლკი. სწორედ ამ ორ პოლკს ერგო პატივი პირველები შებრძოლებოდნენ საქართველოს მტრებს და გამოევიდნათ ის საბრძოლო თვისებები, რომლებიც ომის დროს მათ არასოდეს ღალატობდათო“ და აღნიშნავს: „სახელოვანი მეომრების ამ პირველ გამარჯვებას მთელს ამიეკავკასიაში ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, თბილისი გადარჩა ახალი მარცვა-აოხრებისაგან, ხოლო საქართველოს დაუბრუნდა რწმენა და იმედი რუსების ძლევამოსილი არმიისაო“ („Кавказ“, 1901).

მთელ წერილში იოანე და ბაგრატ ბატონიშვილის დროშის ქვეშ მებრძოლი ქართველთა საბრძოლო თვისებები მხოლოდ ერთხელ, ისიც გაკვრიტაა ნახსენები.

ნიახურას ბრძოლა ყველაზე „სახელოვანი“ ბრძოლა იყო გიორგი XII-ის ორწლიან უბადრუკ მეფობაში და მიუხედავად ნახევარძმაზე (ალექსანდრე ბატონიშვილზე) გამარჯვებით საკუთარი ძალების ხოტბადიდებისა, ამ ბრძოლამ კიდე უფრო დააჩქარა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია და ბაგრატიონთა ათასწლოვანი ტახტის გაუქმება, ასე რომ ნიახურასთან ქართლ-კახეთის მეფის გამარჯვება საქართველოს დამარცხებას ნიშნავდა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. И. Петрушевский, Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тифл., 1934, стр 9
2. „Кавказ“, Джаро-белаканцы до XIX века. № 3. 19. 01. 1846. стр. 12
3. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. I. ч. II, Тифл., 1866, стр. 137; док. №50
4. Акты... т. I. ч. II. стр. 139; док. №54
5. კაკაბაძე სარგის, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921. თბ., 2003, გვ. 55
6. Акты... т. I. ч. II. стр. 148; док. № 67
7. Акты... т. I. ч. II. стр. 161; док. № 94
8. გონიკიშვილი მ. ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 2002, გვ. 333
9. Акты... т. I. ч. II. стр. 282; док. № 312
10. Акты... т. I. ч. II. стр. 282; док. № 312
11. Акты... т. I. ч. II. стр. 284; док. № 318
12. კაკაბაძე სარგის, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921. თბ., 2003, გვ. 55
13. Акты... т. I. ч. II. стр. 175. док. #111

14. Акты... т. I. ч. II. стр. 177. док. #115
15. ედილი ზ., „საინგილო“, შეადგინა, რედაქცია, შენიშვნები, ბიბლიოგრაფია და საძიებელი დაურთო ასრათ ომარაშვილმა, თბ., 1997, გვ. 77
16. „ივერია“ 18. 12. 1901, № 274, გვ. 2
17. ზაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 74
18. იქვე, გვ. 75
19. „ივერია“, 07. 11. 1900, № 243, გვ. 3
20. ოსელიანი პლატონ, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, აკ. გაწერელის რედ. თბ., 1978, გვ. 231
21. „Кавказ“. 19. 10. 1901. # 275; стр. 3

FOR APPRAISING KAKABETI (NIAKHURA) BATTLE
Ioseb (Soso) Alimbarashvili, Sokhumi State University, Ph.D student
RESUME

The article deals with the Kakabeti battle on July 11, 1801—one of the tragic pages in the history of Georgia. It is regarded as one of the most deplorable occurrences in which the Georgians have fought against each other. Up today, this battle is estimated as a successful step against the Daghestanian feudal lords' attacks and Omar-Khan is characterized as a double-dealer who used to constantly raid and trouble Georgia.

The author argues this fact to be the result of the intentional efforts characteristics for the Russian and Soviet historiography in XIX-XX centuries. All such efforts were turned to justify the manifest in 1801 and the annexation of Georgia with the purpose of defense of the country against Daghestanian robbers and violators.

In the Kakabeti battle there were Omar-Khan, Khapshuta and Jongatai Muhammad-Khans, Ibreim-Khan, and Alexandre Bagrationi with 1500 devoted soldiers on the one opposite side and the Russian generals_Lazarev and Guliakov, Bagrat and Ioane Bagrations with about three thousand Georgian and 1224 Russian soldiers on the second side.

While the Kakabeti battle, standing by Alexandre Bagrationi was rather risky as it might be followed by terrorizing innocent families and raiding homes; besides Lazarev and the sons of George XII could forcibly call away considerable number of warriors. Despite of such influence, more than 1500 soldiers fought under the banner of Alexandre Bagrationi. This fact identifies the opinion of the public majority of that time and acknowledges their sympathy towards Alexandre Bagrationi.

The author brings the documents according which he indicates and substantiates the close and friendly relations between Omar-Khan and Alexandre Bagrationi and the constant help with military forces provided by Omar-khan, active opponent against Erekle-George XII's policy.

The defeat of Alexandre Bagrationi, who has fought vigorously for independence, accelerated the Kartl-Kakheti occupation and the millennial abolition of the Bagrations royal throne.

სინაგოგები XX საუკუნის შუახანების საქართველოში

დავით ჩოჩიშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
 E-mail: ch.davit67@gmail.com

1946 წელს დიადი საბჭოეთის ყველა რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოები, რომლებსაც რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინა ქვეყანაში არსებული რელიგიური გაერთიანებები. საქართველოშიც, ბუნებრივია, შეიქმნა ასეთი საბჭო, რომელმაც მოახდინა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია შესაბამის საკულტო შენობებთან ერთად.

საქართველოში იუდაური აღმსარებლობის საზოგადოება რიცხოვნობით ქრისტიანული და მუსლიმური აღმსარებლობის მოსახლეობის შემდეგ ყოველთვის დომინირებდა. ამას განაპირობებდა ის მრავალსაუკუნოვანი ებრაული დიასპორა, რომელიც საქართველოში იყო დამკვიდრებული და ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა. რელიგიის მიმართ ბოლშევიკების არაკეთილგანწყობის მიუხედავად, ქვეყანაში დღის წესრიგში დადგა მომხდარიყო რელიგიური თემების,

მოქმედი ტაძრებისა და მეჩეთების, სინაგოგების მკაცრი აღწერა, რათა უფრო ადვილი ყოფილიყო მათზე კონტროლის დაწესება. 1946 წელს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სავალდებულო გახადა ყველა ამ გაერთიანების რეგისტრაცია. ამ პროცესში ყურადღება ექცეოდა მრევლის რიცხოვნობას, საკულტო შენობების დაშორებას ერთმანეთისაგან იმ მოტივით, რომ ახლოს მყოფი სალოცავი სახლები შეიძლებოდა გამოეყენებინა მახლობლად მაცხოვრებელ მრევლს. ამავე დროს აღირიცხა და შეფასდა ყველა საკულტო შენობაში არსებული ქონება.

საქართველოში ებრაული სალოცავი სახლების რეგისტრაციის შედეგად 1946 წლისათვის აღირიცხა 29 სინაგოგა:

1. ახალციხელ ებრაელთა სინაგოგა, ღვინის ჩიხი #10, დაარსებულია 1885 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 817, შენობა აშენებულია რელიგიური საზოგადოების მიერ აგურისგან,
2. ცხინვალელ ებრაელთა სინაგოგა, ლესელიძის 43, დაარსებულია 1922 წ. ხახამი მოსე ჯანაშვილი, მორწმუნეთა რაოდენობა 265,
3. ევროპელ ებრაელთა სინაგოგა, მეტყავეთა შესახვევი #13, დაარსებულია 1864 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 924,
4. ირანელ ებრაელთა სინაგოგა, ღუბოვის ქ. #9, დაარსებულია 1922 წ. მლოცველთა რაოდენობა 35,
5. გორის ქართველ ებრაელთა სინაგოგა, გორი, ჩელუსკინელების ქ. #17, 1944 (?) მორწმუნეთა რაოდენობა 103,
6. სტალინირში მცხოვრებ ებრაელთა სინაგოგა დაარსებულია 125 წლის წინ, სტალინირი, შაუმიანის ქ. 21, მორწმუნეთა რაოდენობა 245,
7. ებრაელთა პირველი უბნის სინაგოგა ახალციხეში, #102, 1854 წელს დაარსებული, მორწმუნეთა რაოდენობა 145,
8. ახალციხის ებრაელთა რელიგიური საზოგადოება პირველი ებრაელთა უბანი (ესეც და 4 ნომერიც გადაშლილია წითელი ფანქრით), დაარსებულია 1884 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 123,
9. სურამში მცხოვრებ ებრაელთა სინაგოგა, ინტერნაციონალის ქ. #116, დაარსებულია 1915 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 296,
10. ქარელში მცხოვრებ ებრაელთა სინაგოგა, დაარსებულია 1899 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 93,
11. სამტრედია, სოფელი კულაში, ებრაელთა სინაგოგა სოფელი კულაში #1, დაარსებულია 1860 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 240,
12. ებრაელთა სინაგოგა #2, სოფელი კულაში, დაარსებულია 1901, მორწმუნეთა რაოდენობა 211,
13. სამტრედია, სოფელი კულაში, ებრაელთა სინაგოგა სოფელი კულაში #3, დაარსებულია 1909 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 163,
14. სამტრედია, სოფელი კულაში, ებრაელთა სინაგოგა სოფელი კულაში #4, დაარსებულია 1897 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 130 (შეცდომითაა დანომრილი როგორც მეხუთე, სინამდვილეში ალბათ მეოთხე),
15. ებრაელთა სინაგოგა საჩხერეში, ბერიას ქ. #173, დაარსების თარიღი არ ახსოვთ, მორწმუნეთა რაოდენობა 151,
16. ონში მცხოვრებ ებრაელთა სინაგოგა, თბილისის ქ., დაარსებულია 1880 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 245,
17. ვანში მცხოვრებ ებრაელთა სინაგოგა, დაარსებულია 1892, მორწმუნეთა რაოდენობა 151,
18. აბაშის რაიონი, სოფ. შუჯინის (სუჯუნა) ებრაელთა სინაგოგა, დაარსებულია 1819 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 71,
19. ცხაკაიაში (სენაკი) მცხოვრებ ებრაელთა სინაგოგა, დაარსებულია 1818 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 241,
20. გეგეჭკორის რაიონი, სოფ. ბანძა, აჯიაშვილების სინაგოგა, დაარსებულია 1912 წელს აჯიაშვილების მიერ, მორწმუნეთა რაოდენობა 133,
21. გეგეჭკორის რაიონი, სოფ. ბანძის სეფიაშვილების სინაგოგა, დაარსებულია 1908 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 96,
22. ქალაქ სოხუმის ებრაელთა სინაგოგა, გოგოლევის ქ. #59, დაარსებულია 1909 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 82,
23. ცაგერის რაიონი, ლაილაშის ებრაელთა სინაგოგა, დაარსებულია 1800 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 51,
24. ქუთაისი, ქუთაისის ებრაელთა დიდი სინაგოგა, შაუმიანის ქ. #10, დაარსებულია 1886 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 884,
25. ქუთაისი, ქუთაისის ებრაელთა პატარა სინაგოგა, შაუმიანის #10, დაარსებულია 1885 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 504,
26. ქუთაისი, ქუთაისის მწვანე ყვავილის ებრაელთა სინაგოგა, შაუმიანის ქ. #39, დაარსებულია 1860 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 663,

27. ფოთის ებრაელთა სინაგოგა, ცხაკაიას ქ. #37, დაარსებულია 1892 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 130,

28. ბათუმში ებრაელთა სინაგოგა, დაარსებულია 1889 წ. მორწმუნეთა რაოდენობა 70,

29. საჩხერე, ებრაელთა სინაგოგა, უძველესი დროიდან, მორწმუნეთა რაოდენობა 112.

აღწერის მიხედვით დადგინდა საქართველოში სინაგოგების, მორწმუნეთა ზუსტი რიცხვი და ქონების რაოდენობა. საბოლოო ჩამონათვალს ხელს აწერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოში დ. შალუტაშვილი. საქმეში ჩაკერებული თითოეული სინაგოგის სააღრიცხვო ბარათი სინაგოგის ზუსტი მისამართის, რეგისტრაციის თარიღის, შენობის მასალისა და მისი მდგომარეობის აღნიშვნით, აგრეთვე, წარმოადგენს თუ არა შენობა არქიტექტურულ-კულტურულ ძეგლს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არცერთი ამ შენობათაგან არ იმყოფებოდა კულტურულ-ისტორიული ღირებულების ძეგლთა აღრიცხვაზე.

ამრიგად, საკულტო ძეგლების აღრიცხვისა და მასთან დაკავშირებული მრევლის აღწერის შედეგად დადგინდა იმ მოქალაქეთა ზუსტი რაოდენობაც, რომლებმაც, მიუხედავად მორწმუნეების მიმართ ბოლშევიკური პოლიტიკის აგრესიისა, მაინც შეინარჩუნეს რწმენა წინაპართა სალოცავებისადმი. ბუნებრივია მიმდინარეობდა ამ მოქალაქეებზე განსაკუთრებული დაკვირვება. სპეციალური ანკეტები ივსებოდა რელიგიური თემების საბჭოებში შემავალი ადამიანების შესახებ, სადაც დეტალური ინფორმაცია თავსდება არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნების განათლების, მისი ოჯახური მდგომარეობის, არამედ მისი წარმომავლობის, ნათესავებისა და კერძო ინტერესების შესახებაც.

აღნიშნული რეგისტრაციის შედეგად საქართველოში 1946 წლისათვის იუდაური რელიგიის აშკარა აღმსარებელთა რიცხვი 7374 ადამიანს შეადგენდა. მათგან უმეტესი ნაწილი დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებელი იყო. ბუნებრივია, ებრაული მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო, მაგრამ მათი ნაწილი აღმსარებლობისა და რომელიმე რელიგიურ თემში აშკარად გაერთიანებისაგან თავს იკავებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სახელმწიფოს თითქოსდა ლიბერალური პოლიტიკისა ებრაული საკულტო შენობების ფუნქციონირების და იუდაური აღმსარებლობის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლების დასაცავად (რაც გამოიხატებოდა რელიგიური რიტუალების აღსრულებაში), ებრაულ თემებს განუწყვეტლივ უხდებოდათ საკუთარი უფლებების დაცვა ხელისუფლების უმაღლესი ემელონების დონეზე. ჩვენს ხელთაა თბილისის, ზესტაფონის, ცხინვალის, ახალციხის, გორის ებრაელობის წერილები, რომლებსაც ისინი წერენ საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს დ. შალუტაშვილს და ზემდგომ ორგანოებს. მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს, თუ როგორ ცდილობდა ებრაული თემი საკუთარი ქონების დაბრუნებას: საქმე ეხება ლესელიძის ქუჩაზე არსებული სინაგოგის შენობას (დაიხურა 14 იანვარს, 1953 წ.).

1953 წლის 18 მარტს შალუტაშვილს მიღება ჰქონდა თბილისის ებრაელთა რელიგიური საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარე პალტაგაშვილთან. პალტაგაშვილმა წამოაყენა საკითხი 1953 წელს ლესელიძის ქუჩაზე დახურული სინაგოგიდან კონფისკირებული ვერცხლეულისა და მაცას გამოსაცხობი ფქვილის დაბრუნების შესახებ. მას უპასუხეს, რომ ამ საკითხზე უნდა მიემართა პროკურატურისათვის. პალტაგაშვილის მიღებას ჰქონდა ფორმალური სახე და წარმოადგენდა ინფორმაციის მიღების წყაროს, ვინაიდან გაირკვა, რომ რელიგიურ საბჭოში ყოფილი 22 წევრის ნაცვლად, ახლა დარჩა 19 წევრი, ხოლო ღვინის ტუპიკის #10 მდებარე სინაგოგას შეუძლია დაიტოს 1000 მლოცველი და მისი ფართი წარმოადგენს 226 კვადრატულ მეტრს, რამაც იმის დასკვნის საშუალება მისცა აღნიშნულ თანამდებობის პირს, რომ საბჭოში წევრები საკუთარი სურვილით შემცირდა და მრევლი მცირერიცხოვნობის გამო შეიძლება სხვა სალოცავ შენობაში შესულიყო.

მორიგ მიღებაზე უკვე იმყოფება ღვინის ტუპიკის #10 მდებარე სინაგოგის წარმომადგენელი მორდუხაშვილი ი., რომელიც დაიბარეს კონფისკირებული ვერცხლეულის დასაბრუნებლად. მას კიროვის რაიონის პროკურატურაში აცნობეს, რომ არსებობდა განკარგულება ამ ვერცხლეულის დაბრუნების შესახებ. რელიგიური დანიშნულების ნივთები იყო 16 ცალი და მორდუხაშვილმა იკითხა, როგორ გაეფორმებინათ და როგორ გამოეყენებინათ ისინი. მას განუმარტეს, რომ გაეფორმებინა აქტი მიღება-ჩაბარებაზე და შემდეგ გამოეყენებინათ დანიშნულებისამებრ. მორდუხაშვილისგან გაიგეს (ან ათქმევინეს) აგრეთვე, რომ ლესელიძის ქუჩაზე კონფისკირებული ფქვილი ებრაელებს სრულად დაუბრუნდათ.

ამხ. დ. შალუტაშვილი, როგორც ჩანს, საკმაოდ ავიწროვებდა ებრაულ თემს და ახორციელებდა სახელმწიფოს მიერ რელიგიური თემებისა და აღმსარებლობის მოქალაქეების კანონიერი უფლებების იგნორირების პოლიტიკას, ვინაიდან ჩვენს ხელთაა ზესტაფონის, ცხინვალის და ახალციხის ებრაული თემების წერილები, სადაც აშკარად ჩანს ამ ამხანაგის დამოკიდებულება რელიგიური საკითხებისადმი.

მომდევნო აუდიენციაზე მას 1954 წლის 19 მარტს მიუღია დახურული ებრაული რელიგიური საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს ყოფილი თავმჯდომარე ჯინჯიხაშვილი ა. მ. ამ უკანასკნელს

თავისი ინიციატივით მიუმართავს პარტიული ამხანაგისთვის და დაუყენებია საკითხი შემდეგი პრობლემის შესახებ; მას აინტერესებდა თუ როდის გაიხსნება ცხინვალელი ებრაელების სინაგოგა ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე და ეს ახსნა იმ მოტივით, რომ ცხინვალის ებრაელობას არ სურს ილოცოს ახალციხელი ებრაელების სინაგოგაში. მიღებას ესწრებოდა მოადგილე გოსტევი ვ., რომელმაც დაუსვა კითხვა ჯინჯიხაშვილს, 1. არის თუ არა სხვაობა რელიგიურ აღმსარებლობაში ახალციხისა და ცხინვალის ებრაელთა შორის, 2. შეუძლია თუ არა დაიტოს ახალციხელთა სინაგოგამ (რომელიც მდებარეობდა ღვინის ტუპიკ #10) დაკეტილი სინაგოგის მრევლი, 3. მეგობრული დამოკიდებულებაა თუ არა ახალციხელ და ცხინვალელ ებრაელობას შორის.

სამივე დადებითი პასუხის მოსმენის შემდეგ, გოსტევმა განუმარტა ამხ, ჯინჯიხაშვილს, რომ ლესელიძის ქ. #43 მდებარე სინაგოგის გახსნის შესახებ არანაირი კანონიერი და მოტივირებული მოთხოვნა არ არსებობს. მაშინ ჯინჯიხაშვილმა მიმართა თხოვნით, რომ დაებრუნებინათ მაცას გამოსაცხობი კონფისკირებული 1 ტონა ფქვილი. გოსტევმა უპასუხა, რომ შალუტაშვილთან ერთად გაერკვეოდნენ აღნიშნულ საკითხში და შემდეგ უპასუხებდნენ.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, მიუხედავად სახელმწიფოს მოჩვენებითი პოლიტიკისა, რელიგიური თემების, გაერთიანებების კონსტიტუციაში განსაზღვრული უფლებების დაცვის შესახებ, ბოლშევიკური ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მათ შევიწროებას და ქონების უკანონო კონფისკაციას. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგი იყო, რომ XX საუკუნის 70-იანი წლებისათვის, სანამ დაიწყებოდა დიდი ალია, ებრაული სინაგოგები საკმაოდ შემცირდა საქართველოში.

ლიტერატურა:

1. ფ. 1880 აღწერა 1, საქმე 7
2. ფ. 1880 აღწერა 1, საქმე 8
3. გაზეთი „კომუნისტი“, #26-29, 1946 წ.
4. მამისთვალისშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995

SYNAGOGUES IN GEORGIA IN THE MIDDLE OF THE XX CENTURY

David Chochishvili, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

In the middle of the XX century all the religious monuments were registered at the whole territory of the Soviet Union. Among them were Jewish cult buildings. At this time, the Soviets of Religious Cult Affairs were established to register all the religious unions in the country.

In Georgia the Jewish society with its essence chronologically outran Christianity and Islam. It was caused by the century-old history of the Jewish Diaspora existence in Georgia. In 1946 29 Synagogues were in Georgia. None of them was registered among the cultural-historical monuments.

As a result of the abovementioned registration, in Georgia in 1946 the number of Jewish people was 7374. Most of them lived in the West Georgia.

The Bolshevik authority tried to oppress them and confiscate their property. The result of this policy was that the number of Synagogues and Jewish people was decreased in Georgia in the 70s of the XX century.

მეღვინეობა-მევენახეობის ისტორიისათვის XIX საუკუნის საქართველოში

მამუკა ჯოლბორდი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: jolbordimamuka@gmail.com

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, საქართველოში ჩამოსული ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟ. შარდენი, აღტაცებაში მოუყვანია საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობის საქმეს და თავის დღიურში შემდეგი სიტყვები ჩაუწერია: „არც იმისთანა ქვეყანა მოიპოვება, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამენ. ვაზი იქ ხეებზე ადის, როგორც კოლხიდაში. ტფილისიდან ბლომად მიაქვთ ღვინო შაჰისათვის, სომხეთში, მიდიაში, ისპაჰანში.“ (ჟ. შარდენი. მოგზაურობა საქართველოში. 1935).

XIX საუკუნის ფრანგი მევენახის ჟულიენის შეფასებით ქართული ღვინო „მაგარია, სხეულიანია და ძალიან სასიამოვნო გემოსი არის. ქუთაისთან ახლოს მოჰყავთ ძალიან მაგარი ღვინოები, რომლებიც იხმარებიან კუპაჟისათვის. მუკუზანის ღვინო კი ჰგავს მედოკის ღვინოს, ხოლო შირვანის ღვინოს აქვს თვისება და სურნელობა ბორდოს საუკეთესო ღვინოებისა.“ (ნ. ჟულიენი. საუბარი მევენახეობაზე. სახალხო გაზეთი #263, 1913).

მევენახეობა-მეღვინეობის დარგების XIX საუკუნის ცნობილი მკვლევარი, მიხაილ ბალასი, საუკეთესო შეფასებას აძლევდა კახურ ღვინოებს როცა წერდა: „დადგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, საუკეთესო ღვინოებად ითვლებიან თეთრთა შორის ღვინოები წინანდლისა, მისი მეზობელი ადგილებისა და სოფ. ახმეტისა, წითელთა შორის სოფ. ყვარლისა. სიღნაღის მაზრაში საუკეთესო ღვინოებს აყენებენ სოფ. კარდანახში, ბაკურციხეში, გურჯაანში და ველისციხეში. თუმცა ამ საქმეში უფრო შეგნებულსა და პირუთვნელ მიდგომას და ადგილებზე გაცნობას შეუძლია გვიჩვენოს, რომ წინანდლის ღვინოებს გარდა (საუფლისწულო მამული, თავდი ზ. ჭავჭავაძე და სხვ.) თეთრი ღვინოები სოფ. გურჯაანიდან (თავადების ივანე დავითისძისა და ივანე რამაზისძე ანდრონიკაშვილებისა) და სოფ. ბაკურციხიდან (მრავალწლიანი ღვინოები ზ. ანდრონიკაშვილისა) განსხვავდებიან ისეთი მაღალი ღირსებით, რომ ასეთები ამჟამად ევროპაშიც ძალიან ნაკლებად მოიპოვებიან. ხოლო წითელი ღვინოებიდან პირველხარისხოვანი ღვინოების დამსახურებული რეპუტაციით სარგებლობენ ღვინოები სოფ. ყვარლისა და სხვა ადგილებისა.“ (Балас М. Историко-статистический очерк виноделия в России-Кавказ и Крым. Сб. 1877).

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი კახეთი იყო. XIX საუკუნის 40-იან წლებში გურია-სამეგრელოც საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რაიონად იქცა. იგი წარმოადგენდა მაღლარი ვენახის ერთიან ბაღს, ამიტომ ვერ დადგინდა ვენახის საერთო ფართობი, მაგრამ ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გურია-სამეგრელოში ამ პერიოდში აყენებდნენ ჩხავერის და ოჯალეშის მაღალხარისხოვან ღვინოებს, უმეტესად გასაყიდად. საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას ხელი შეუწყო სარკინიგზო მშენებლობამ. მისი საშუალებით ხდებოდა საქართველოს დაკავშირება ევროპასთან, ამიერკავკასიასთან და რუსეთთან. ამან მეტი ღვინის გატანის შესაძლებლობა შექმნა. თბილისი, ბაქო, ბათუმი, ფოთი, რკინიგზის ხაზით დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რამაც შეცვალა რკინიგზის ხაზთან ახლოს მდებარე გორის, შორაპნის, ქუთაისის, თბილისის მაზრებში ღვინის ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობები. განსაკუთრებით დაწინაურდა შორაპნის მაზრა, საიდანაც XIX საუკუნის 80-იან წლებში სხვადასხვა ბაზრებზე რკინიგზით ყოველწლიურად 250 ათასი ვედრო ღვინო იგზავნებოდა.

ვენახის გაშენება საკმაოდ რთული იყო და დიდ ხარჯებს მოითხოვდა. 1 დესეტინა ვენახის გასაშენებლად დაახლოებით 800 მანეთი იყო საჭირო, შესაბამისად გაშენებული ვენახიც საკმაოდ ძვირად ფასობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა დამუშავებული ვენახებიდან მიღებული შემოსავალი ფარავდა მასზე გაწეულ წლიურ ხარჯებს და იძლეოდა მოგებასაც, გაწეული ხარჯების 40%-ზე მეტს.

XIX საუკუნის საქართველოში ღვინო იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასაქონლო პროდუქტად, როგორც საგარეო, ისე შიდა ვაჭრობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ღვინით ვაჭრობას. ისტორიული დოკუმენტები გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 1876-1880 წლებში ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გაუტანიათ 195 932 ფუთი ღვინო (აქედან უდიდესი წილი ქართულ ღვინოს ეჭირა), 1891-1894 წლებში კი 1 036 574 ფუთი ღვინო. XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დასავლეთ საქართველოში (ძირითადად ქუთაისსა და შორაპნის მაზრებში) უწარმოებიათ 4 800 ათასი ვედრო ღვინო, აქედან 2 362 ათასი ვედრო ბაზრებზე სარეალიზაციოდ. თავის მხრივ დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს ღვინოებისათვის გასაღების ბაზარს. 1894 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში უწარმოებიათ 5 837 445 ვედრო ღვინო, აქედან ბაზარზე სარეალიზაციოდ გასულა 3 253 797 ვედრო, ღვინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი უდრიდა 5 331 053 მან.

XIX საუკუნის 80-იან წლებში იმ მემამულეებს, რომლებიც მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას, საკუთარი სავაჭრო სახლები ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მემამულე ზ. ჯორჯაძე, ნიკოლოზ აბა-მელიქოვი, მამულოვი, ივ. მუხრან-ბატონი და ამხანაგობები დამოუკიდებლად ახერხებდნენ საკუთარი ღვინის რეალიზაციას. ისინი ყიდდნენ არა მხოლოდ საკუთარი ვენახებიდან დაყენებულ ღვინოებს. XIX საუკუნის 90-იან წლებში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა და ვახვანიშვილის ინიციატივით სააქციო საზოგადოების ფორმით დაფუძნდა ღვინით მოვაჭრე მსხვილი ფირმა – „კახეთი.“ როგორც ჩანს, საზოგადოებას ბევრი მხარდამჭერი აღმოსჩენია, რადგან იგი ზრუნავდა ქართული ღვინის ბაზრის გაფართოებაზე. დაფუძნებიდან ერთ წელიწადში იგი 164 წევრს ითვლიდა. საზოგადოებას განყოფილებები ჰქონდა მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოში, აშხაბადსა და ტაშკენტში.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლ-კახეთში არსებული ვენახების 24-26% თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. ბევრი კახელი და ქართლელი მემამულის ზვრები 40-50 დესეტინაზე იყო გადაჭიმული,

გამოიყენებოდა მოიჯარე და ვალდებული გლეხების შრომა. შედარებით მსხვილი მევენახეები დაქირავებულ მუშახელსაც იყენებდნენ. მაგალითად კახელი მემამულეები ყოველ 4 დესეტინა ვენახზე დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულ ერთ მუდმივ მუშას ქირობდნენ. „მეზვრედ“ წოდებული ამ მუშების წლიური ანაზღაურება 60-100, ხოლო ასეთ შრომაზე დამყარებულ მეურნეობებში ერთი დესეტინა ვენახის მოვლა-დამუშავება წლიურად 152 მანეთამდე აღწევდა, მიღებული შემოსავალი კი 400-500 მანეთს შეადგენდა.

XIX საუკუნის საქართველოში განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ღვინოს ამზადებდნენ ჭავჭავაძეები (წინანდალში, მუკუზანსა და ყვარელში), ანდრონიკაშვილები (გურჯაანსა და ბაკურციხეში), ამატუნი, აფხაზი და ვაჩნაძე (კარდანახში), ჯანდიერი (ვაჩნაძიანში), ვახვახიშვილები (კურდღელაურში), ჩოლოყაშვილები (ახმეტაში), შ. ერისთავი (ატენში), ყიფიანები (რაჭაში) და სხვ.

ქართული სამარკო ღვინოების ისტორიას ალ. ჭავჭავაძისა და ყიფიანების მოღვაწეობის დროიდან იწყებენ. ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო დიდად განათლებული ერისკაცი და შესანიშნავი მეურნე, რომელიც გულმოდგინედ წარმართავდა მევენახეობა-მეღვინეობას, თუთის ხეების მოშენებასა და მეაბრეშუმეობას წინანდალში, მუკუზანსა და ნაფარულში. 1832 წელს მეწარმის საერთო წლიურმა შემოსავალმა 6 000 მანეთს გადააჭარბა. მის საწარმოო სექტორში დასაქმებული იყო 600 კაცი. ალექსანდრე ჭავჭავაძე აშენებდა ვაზის ახალ ჯიშებს, სავენახე მიწის დამუშავებასა და ვაზის დარგვას ასწავლიდა გლეხობას, აძლევდა მათ თავის სანერგედან ვაზის ნერგებს. ყოველ ვენახთან ცალკე მარანი და მეზვრეებისათვის ბინები იყო აშენებული. ჭავჭავაძეების მამულებში კერძო მესაკუთრე და დროებით ვალდებული გლეხობის გარდა, 576 კომლი ხიზანი ცხოვრობდა. ყველა მათგანი დასაქმებული გახლდათ. მათ დროებით სარგებლობაში ჰქონდათ 111 დესეტინა მიწა და ა. ჭავჭავაძეს წლიური მოსავლის 1/4 ნაწილს უხდიდნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის მამულში, წინანდალში, ააგებინა ორსართულიანი 150 000 ვედროიანი ღვინის სარდაფი. ამისათვის პეტერბურგიდან მოწვეულ იქნა არქიტექტორი ვ. ნიკოლა, მშენებელი ინჟინრები გ. გერცი და შტერნი. წინანდლის სარდაფის პირველი მეღვინეები იყვნენ შვედი დიკენსონი, ხოლო 1891 წელს ქ. ბორდოდან წინანდლის სარდაფის მეღვინედ მოიწვიეს ფრანგი სპეციალისტ მერლ ანტუან მასანო. მისი როლი ფასდაუდებელია საქართველოში მეღვინეობის განვითარების საქმეში, მან პირველმა დანერგა ადგილობრივი ჯიშის ყურძნისაგან ევროპული ტიპის ღვინოების დაყენება.

1892 წელს ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენაზე გაიგზავნა წინანდალში დაყენებული სუფრის საუკეთესო ღვინოები: 1888, 1889, 1890 წლების წინანდლის საფერავი, 1886 წლის წინანდლის მწვანე, 1887 წლის „დედოფლის ზვრის“ რქაწითელი, 1889 წლის მუკუზნის ღვინო და სხვა მრავალი ნიმუში, რომლებმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს.

„კავკასიის მეღვინეობის ნარკვევებში“ აღნიშნულია: „რაჭისა და იმერეთის ღვინოები ატარებენ სახელწოდებას დაყენების ადგილის, ანდა მწარმოებლის გვარის მიხედვით. მთელს რაჭაში ყველაზე საუკეთესოა ყიფიანების წითელი ღვინო, წარმოებული თავად ყიფიანების მიერ სოფ. ტოლასა და ხვანჭკარაში. იგი დიდხანს ინახება და ადვილად არ ფუჭდება. იყიდება ქუთაისის ბაზრებზე. („კავკასიის მეღვინეობის ნარკვევები“ 1875)

XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ყიფიანების ღვინო დეგუსტაციაზე პარიზში გაუგზავნიათ, ხოლო ქაიხოსრო ყიფიანის მამულში დაწურული ღვინო კავკასიის მეფისნაცვალსაც კი დაუგემოვნებია. ჭელიშის მონასტერში ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს „ვერცხლის სანაწილე“, რომელიც 1875 წელს თავად ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანს შეუწირია. ეს სწორედ ხვანჭკარული ღვინის მოამაგე ქაიხოსროა. მის შემდეგ ადგილობრივი ღვინის დიდი ქომაგები ლუარსაბ და დიმიტრი ყიფიანები იყვნენ, რომლებიც მსხვილ მამულებს რევოლუციამდე ინარჩუნებდნენ. 1897 წელს ქუთაისში არსებობდა სავაჭრო ფირმა, რომელიც მხოლოდ ყიფიანთა მამულებში დაწურული ღვინით ვაჭრობდა. რაჭიდან ნამგზავრ ღვინოს ასვენებდნენ, ახარისხებდნენ, საჭიროების შემთხვევაში ევროპული წესით გაწმენდასაც მიმართავდნენ, შემდეგ ასხმადნენ სათანადო ეტიკეტებით გაფორმებულ ბოთლებში და ყიდდნენ. 1900 წელს ბათუმში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რაჭიდან წარდგენილ განთქმულ ალექსანდროულის ჯიშის ღვინოებს მოწონება ხვდა წილად და მიიღო ჯილდო წარწერით „სანაქებო“.

ლიტერატურა:

1. ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 43. 1935.
2. ნ. ჟულიენი, საუბარი მევენახეობაზე, „სახალხო გაზეთი“, #263, 1913.
3. Балас М., Историко-статистический очерк виноделия в России-Кавказ и Крым, Сб. Стр. 49. 1877.
4. კავკასიის მეღვინეობის ნარკვევები, 1875.
5. გუგუშვილი პ., მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ., ტ-9, 1951.

6. გუგუშვილი პ., შინამრეწველური მეღვინეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ., ტ-3, 1945.
7. ბენდიანაშვილი ა., რაჭის მაზრის სოფელი 1900-იან წლებში, თბ., 1952 (დისერტაცია).
8. თოფურია ნ., მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1953.
9. ჩაგელიშვილი, საქართველოს მევენახეობის განვითარების მოკლე ეკონომიკური მიმოხილვა, თბ., 1960.
10. ლევან ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, წიგნი-1, რაჭა, თბ., 1974.

WINE - VITICULTURE IN THE XIX CENTURY IN GEORGIA

Mamuka Jolbordi, Gori Teaching University, Full Professor

RESUME

Georgia is the oldest wine producing region of the world. The fertile valleys of the South Caucasus, which Georgia straddles, are believed by many archaeologists to be the source of the world's first cultivated grapevines and neolithic wine production, over 8,000 years ago.^{[1][2][3]} Due to the many millennia of wine in Georgian history, the traditions of its viticulture are entwined and inseparable with the country's national identity. Among the best-known regions of Georgia where wine is produced are Kakheti (further divided onto micro-regions of Telavi and Kvareli), Kartli, Imereti, Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti, and Abkhazia. In Georgia's most famous wine making region, Kakheti, there is a small place, Kindzmareuli, which the renowned Georgian wine derived its name from. Its situation at the foot of the Caucasian mountains, in the Alazani Valley determines its special natural and climatic conditions.

Kakheti is in a southeast part of Georgia in a valley of the rivers Alazani and Iori and their inflow. In Kakheti are widespread local highly rated sorts of grapes: Rkatsiteli, Saperavi, Mtsvane, Khikhvi, and also French sort Kaberne-Savinion. From the grapes of these sorts, depending on regions of their distribution, are prepared widely known high-quality Kakhetian table wines, European and Kakhetian of types; natural-half-sweet, and also strong and dessert wine. Being in a great favor are the table wines of an European type - Tsinandali, Teliani, Napareuli, Gurjaani and Mukuzani; Kakhetian type - Kakhetian and Saperavi; natural-half sweet - Kindzmarauli, Akhasheni and Akhmeta, desert - Kadanakhi and Anaga.

Imereti placed in western Georgia, in a valley of an average current r. Rioni and its inflows - Kvirila, Dzirula, Choloburi, Khanistskali, etc. A climate is humid, moderate - warm, with dominance subtropical. The local valuable grades are widespread: Tsolikauri, Tsitska, Kvishkhuri, (Goruli Mtsvane) Otskhanuri- Sapere and also Pino black, Aligore and Shardone.

In upper Imereti predominate the following sorts: Tsitska, Kvishkhuri, Aligore and Pino, giving high-quality materials for production of Champaign, in Mid - prepare qualitative restaurants wine - Tsolikauri, "Sviri", etc., in Lower - ordinary table wines and wine materials for qualitative cognacs.

სანახაობა-გასართობები სოფელ მეჯვრისხევში

ბადრი რაზმაძე, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ქართველებს ოდითგან მოსდგამთ აქტიორული ნიჭი. მთელი დღის განმავლობაში მუხლჩაუხრელად მშრომელ გლეხობას, იმისათვის, რომ ძალ-ღონე მოეკრიბათ და მეორე დღეს ახალი ენერგიით შესდგომოდნენ შრომას, დროთა განმავლობაში შეუმუშავებია შესანიშნავი სანახაობა-გასართობები. ყოველ სოფელს ამ ღონისძიებებისათვის სპეციალურად ჰქონდა გამოყოფილი ადგილი. სამწუხაროა, რომ დავიწყებას მიეცა არა ერთი სანახაობა-გასართობი, ვინაიდან თავის დროზე ისინი ეთნოგრაფიულად არავინ დააფიქსირა, ხალხის მეხსიერებამ კი ვერ შემოგვინახა.

ყურადღების ღირსია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გორელი ისტორიკოსისა და დრამატურგის ავთანდილ თუმანიშვილის მიერ დაწერილი ნაშრომი „აღწერილობა ქართული ქალაქის გორისა“, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა პეტერბურგში 1816 წელს. ნაშრომში, სხვათა შორის, ხატოვნადაა აღწერილი გორელთა გასართობები. თუმანიშვილი მოგვითხრობს, რომ „მათში დღემდეც არსებობს

ოლიმპიურ თამაშობათა მაგვარი რამ, ასეთია: ჭიდაობა, როკვა, კრივი და ჯოხებით ბრძოლა. ყოველივე ეს გართობა ხორციელდებოდა ქალაქგარეთ სააუგოზე“.

სხვადასხვა სახის სანახაობებსა და გართობებზე გვაწვდის ცნობებს, აგრეთვე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე თავის ვრცელ წერილში „გორის ციხე“. ბაქრაძის თქმით, გორელების მიერ გამართულ ნადიმზე გაისმოდა მრავალნაირი სიმღერა, რასაც მოსდევდა ცეკვა, ტანვარჯიში და ჭიდაობა.

ქალაქმა გორმა მეოცე საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა ძველი ქართული სანახაობები. ცნობები გორში გამართულ ყეენობასა და ჭიდაობა-კრივის შესახებ მრავლად გვხვდება XIX საუკუნის პრესაში. XVIII საუკუნის ბოლოს გორში იმართებოდა როგორც ბერიკაობა, ისე ყეენობა.

სოფელი მეჯვრისხევი სულ ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული ქალაქ გორს და, ბუნებრივია, მეჯვრისხეველებსაც ოდითგანვე ჰქონდათ ანალოგიური სანახაობა-გასართობები. ქვემოთ მიმოხილული იქნება სოფელ მეჯვრისხევში ათწლეულების მანძილზე მოქმედი სანახაობანი: თოჯინების თეატრი, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მეჯუდა“, აკრობატიკა, ქორეოგრაფია და დამკვრელები საჭიდაო მოედანზე.

თოჯინების თეატრი დიდი ხანია არსებობს. მეთოჯინეები სხვადასხვა ქვეყანაში პატარ-პატარა წარმოდგენებს მართავდნენ ბაზრობებსა და ქალაქის მოედნებზე და ლუკმა-პურს შოულობდნენ.

თანამედროვე მსოფლიოში თოჯინების თეატრი თითქმის ყველა ქვეყანაში არის. ამ თეატრებში მწერალთა მიერ შექმნილი პიესები და ხალხური ზღაპრები იდგმება. 1933 წელს მეჯვრისხეველმა მსახიობმა მიხეილ სარაულმა ჩამოაყალიბა თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრი. მიხეილ სარაულის რჩევით სოფელ მეჯვრისხევში თოჯინების თეატრი ჩამოაყალიბა ნიკოლოზ ბერიანიძემ.

წლების განმავლობაში თოჯინების თეატრში მოდიოდა ახალი თაობა. თავისი არსებობის ბოლო პერიოდში თოჯინებს ახმოვანებდნენ ილურიძე მარინა, ჯოხაძე ლეილა, არსენაძე თამრიკო, ზუმბულიძე მზეო, ყუჯიაშვილი თამრიკო და ჩიტიშვილი გოგი.

1972 წელს მეჯვრისხევის კულტურის სახლის დირექტორმა კობა უმეკაშვილმა, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, შეიძინა იმ დროისათვის საკმაოდ კარგი ინსტრუმენტები, რომლებიც გერმანული, ბულგარული და ჩეხური წარმოებისა იყო. ბატონმა კობამ ჩამოაყალიბა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, რომელსაც ეწოდა „მეჯუდა“. ვინაიდან იმჟამად სოფელ მეჯვრისხევში არ იყვნენ ელექტრონული გიტარისა და ელექტრონული პიანინოს (იონიკის) დამკვრელი მუსიკოსები, გარდა რეზო მექვაბიშვილისა (არა მხატვარი რეზო, არამედ ე.წ. „წვერცამეტას ბიჭი“ - ბ.რ.), რომელიც უკრავდა დასარტყმელ ინსტრუმენტებზე. კობა უმეკაშვილი იძულებული გახდა, მუსიკოსები გორიდან მოეწვია. ანსამბლი „მეჯუდა“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც გორის რაიონში, ისე ცხინვალის რეგიონში.

დროთა განმავლობაში ანსამბლმა მიიზიდა მეჯვრისხეველი ახალგაზრდები. პროფესიონალმა მუსიკოს-შემსრულებელმა მალხაზ კვერნაძემ სოფელში ჩამოაყალიბა მუსიკალური წრეები და წლების განმავლობაში ამზადებდა ელექტრო გიტარაზე, ბას-გიტარაზე, ელექტრო ორღანსა და დასარტყმელ ინსტრუმენტებზე დამკვრელებს, რის შედეგადაც უკვე 1979 წელს ანსამბლი „მეჯუდა“ მთლიანად დაკომპლექტდა მეჯვრისხეველებით.

ანსამბლი „მეჯუდა“ ფუნქციონირებდა 1970 წლიდან 1990 წლამდე და მას დიდი ამაგი დასდო ბრწყინვალე მეჯვრისხეველმა ხელოვანმა კობა უმეკაშვილმა.

საქართველოს ყველა სოფელში ცეკვა ოდითგანვეა პოპულარული და, მით უმეტეს, სოფელ მეჯვრისხევში - მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული „ცეკვის ჯადოქრის“ ილიკო სუხიშვილის მშობლიურ სოფელში.

მეჯვრისხევის კულტურის სახლის დირექტორმა კობა უმეკაშვილმა 1962 წელს ხალხური ცეკვის ანსამბლი ჩამოაყალიბა. მოცეკვავეთა ეს შესანიშნავი ანსამბლი წლების განმავლობაში იღებდა მონაწილეობას ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ ფესტივალებზე, რომლებშიც განსაკუთრებული წარმატებისათვის დაჯილდოვდა მრავალი საპატიო სიგელით. ანსამბლი, აგრეთვე, ატარებდა გასვლით კონცერტებს გორის რაიონის სოფლებში.

მაყურებლის აღტაცებას იწვევდა მოცეკვავეთა მიერ შესრულებული ცეკვები: „აჭარული“, „ხორუმი“, „ქართული“, „მოხეური“, „მთიულური“ და სხვა. ანსამბლში გაერთიანებული იყვნენ გოგონებიდან: აღდგომელაშვილი ვენერა, გრიშინი თამარი, ზუმბულიძე ნანული, თულაშვილი მაცვალა, ილურიძე მანონი, ილურიძე მერი, კველაშვილი ნანული, ლიჩელი თამარი, მელაძე ლიანა, მახათაძე ნაზი, მახათაძე მანანა, უმეკაშვილი მანანა, ვართუმაშვილი მარგო. ვაჟებიდან: აწკარუნაშვილი ვალტერი, ბეგიაშვილი მურაზი, ბიბილაშვილი ზურაბი, გურგენიძე მერაბი, ეჯოშვილი ზურაბი, ილურიძე ოთარი, მექვაბიშვილი ნუგზარი, მელაძე გურამი, მელაძე აკაკი, მახათაძე ალექსი, რთველიაშვილი კუკური, რთველიაშვილი გია, სარაული ზურაბი, ხახუტაშვილი კოლია, ჯებისაშვილი გიორგი, დარჩიაშვილი თამაზი, ბეგიაშვილი მალხაზი...

ხსენებული ანსამბლის სანიმუშო სოლისტები იყვნენ: ილურიძე მანონი, სარაული ზურაბი, მახათაძე ალექსანდრე და რთველიაშვილი კუკური.

დღეს მეჯვრისხევის სასოფლო კლუბთან მუშაობს ქორეოგრაფიული სტუდია, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქალბატონი ირინა ბალაძე-რაშვილი, ხოლო 2008 წლიდან დღემდე სტუდიას უძღვება ნიჭიერი ქორეოგრაფი ქოქალაშვილი გოჩა.

ამჟამად სტუდიაში გაერთიანებულია 72 წევრი, რომელთაგანაც 30 მოცეკვავისაგან შემდგარია ანსამბლი „მერცხალი“. ხსენებულმა ანსამბლმა და მისმა ხელმძღვანელმა ქართული ხალხური ცეკვების საუკეთესო შესრულებისათვის ჯილდოდ მიიღეს მრავალი საპატიო სიგელი და მედალი წარწერით „მომავლის ვარსკვლავები“.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ილიკო სუხიშვილის სოფელი კვლავაც დაუზრდის დედა-სამშობლოს ცეკვის ახალ ჯადოქრებს.

ქართული ტრადიციული საჭიდაო მოედანი თავისებური ძველრომაული ამფითეატრია მინიატურაში. ეს არის მასობრივი სანახაობისათვის - ჭიდაობისათვის მოწყობილი არენა ღია ცის ქვეშ. ამ ნახერხმოყრილი წრიული მოედნის გარშემო, უმეტეს შემთხვევაში, ხის ფიცრებისაგან მოწყობილია სკამები, რომელთა შორისაც, თავ-თავის ადგილზე მოწყობილია მაგიდები მსაჯებისა და მუსიკოსებისათვის.

მუსიკოსებისათვის, ანუ დამკვრელებისათვის განკუთვნილი მაგიდა იგივე სცენაა - თეატრალური ფიცარნაგი და როგორც მაყურებლები, ისე მოჭიდავეები მათ თვალნათლივ ხედავენ. თავის მხრივ „სცენიდან“ თითოეული დამკვრელი, როგორც ხელის გულზე, ისე ხედავს ჭიდაობის მსვლელობას და მის შესაბამისად განაწყობს მუსიკის ტემპს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მოჭიდავეთათვის, ასევე მაყურებლისათვის. დამკვრელები ისე კარგად ერკვევიან ჭიდაობის წესებში, რომ ზოგ შემთხვევაში, თუ მსაჯმა ცოდვა ჩაიდინა და არასწორად სჯის ჭიდაობას, ისინი პროტესტის ნიშნად უცებ შეწყვეტენ ხოლმე დაკვრას.

ვინაიდან ჩვენ მხოლოდ დამკვრელებს უნდა შევეხოთ, პირველ რიგში გავიხსენოთ ის მუსიკოსები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდნენ ჩვენი ერისათვის ერთ-ერთ უსაყვარლეს სპორტს - ჭიდაობას.

საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბატონი მიხეილ მცურავიშვილი იგონებს, რომ მეოცე საუკუნის 40-70-იან წლებში საჭიდაო მოედანზე ზურნას უკრავდა შესანიშნავი მუსიკოსი შაქრო მერებაშვილი, მეტსახელად „კირკიტას ბიჭი“. ჯერ ერთი ბატონი შაქრო ვირტუოზულად უკრავდა ზურნაზე და, ამასთანავე, ის ფლობდა არაჩვეულებრივ ხმას - ტენორს და იცოდა უამრავი ქართლ-კახური სიმღერები. მე დიდი სურვილი მქონდა ჩამეწერა მისი ფანტასტიკური ხმა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოულოდნელად გარდაიცვალა. ბატონმა მიხეილმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სიმღერაში შაქრო მერებაშვილის პარტნიორი აბრამ უმეკაშვილი იყო და მათ გვერდს თენგიზ თაყაძეც უმშვენებდა, რომელსაც კარგი პირველი ხმა ჰქონდაო. ზურნის დაკვრის ტრადიცია საჭიდაო მოედანზე შემდეგში განაგრძეს მიხეილ (მიშა) ძურძუკმა და გივი ადიბეგოვმა. აბა, რა არის ქართული ჭიდაობა დოლის გარეშე და მეჯვრისხეველთა მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვებს დოლზე საჭიდაოს დაკვრის ხელოვანებმა მამა-შვილმა ილია და სერგო შერმადინებმა, რომელთაც ხალხი მეტსახელებით უფრო იცნობდა - მამას ერქვა „კიკილო“, ხოლო შვილს „კიკილოს ბიჭი“.

ვინაიდან ჩვენი კვლევის საგანი სახიობაა, ანუ მაყურებისათვის საინტერესო და მიმზიდველი სანახაობის წარმოდგენა, ორიოდ სიტყვით შევეხოთ ცირკის ერთ-ერთ სახეობას - აკრობატულ ტანვარჯიშს.

სოფელ მეჯვრისხევეში აკრობატული ტანვარჯიშის სექცია ჩამოაყალიბა შესანიშნავმა პედაგოგმა, სპორტსმენმა და მოქალაქემ შოთა გურგენიძემ. ბატონი შოთა იყო საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. მან სოფელში ქართველ მოჭიდავეთა რამდენიმე თაობა აღზარდა. შოთა გურგენიძე ჭიდაობის პარალელურად, დიდ დროს უთმობდა აკრობატულ ტანვარჯიშს. მას, წლების განმავლობაში, მხარში ედგა საოცარი ადამიანი ნიკოლოზ მღებრიშვილი. ნიკოლოზ მღებრიშვილი იყო ექიმი, მთამსვლელი და ეკვილიბრისტი. ჩვენ მის შესახებ ვიმსჯელებთ, როგორც ეკვილიბრისტზე.

ეკვილიბრისტიკა არის საცირკო ჟანრი - აკრობატიკის ნაირსახეობა და ეკვილიბრისტს შესწევს უნარი დაიცვას სხეულის წონასწორობა განსაკუთრებით ძნელ პირობებში. ნიკოლოზ მღებრიშვილს თანდაყოლილი ჰქონდა ეს თვისება და ის ისევე თავისუფლად „დასეირნობდა“ გაჭიმულ მავთულზე, როგორც გზატკეცილზე. სწორედ ამ ორი შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცის დამსახურებაა, რომ მეჯვრისხევის აკრობატულმა სექციამ აღზარდა ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი აკრობატი - ომარ გულუაშვილი.

ბატონი ომარი მეხუთე კლასიდან იწყებს ვარჯიშს აკრობატიკაში. მისი მწვრთნელები სხვადასხვა დროს იყვნენ შოთა გურგენიძე, ნიკო მღებრიშვილი, კონსტანტინე გრომოვი და ბოლოს საბჭოთა კავშირის

ხუთგზის ჩემპიონი, საკავშირო მასშტაბის მწვრთნელი - მიხეილ ქელეხსაშვილი. 1962 წელს ომარ გულუაშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის საპატიო წოდება (მისი სამკერდე ნიშნის ნომერია 29746).

მეჯვრისხევიდან არის, აგრეთვე, პირველთანრიგოსანი აკრობატი სოფიკო მექვაბიშვილი, შიდა ქართლში ცნობილი პოეტი ქალი. გთავაზობთ სოფიკოს მოგონებას: „6 წლის ასაკში აღმომაჩნდა მიდრეკილება სპორტისადმი, თავისუფლად შემემლო ხიდისა და „შპაგატის“ გაკეთება, როდესაც სკოლაში მიმიყვანეს, ჩემი შესაძლებლობები უმაღლეს შენიშნა ფიზკულტურის მასწავლებელმა შოთა გურგენიძემ. მან დამაწყებინა ვარჯიში აკრობატიკაში და მხატვრული სასცენო ხელოვნება ჩამომიყალიბა.

მოკლე დროში დავეუფლე აკრობატიკის ბევრ და რთულ ილეთს. შოთა მასწავლებელს თავდაპირველად სოფლის კლუბში გამოვყავდი ხოლმე, შემდეგ კი მივყავდი ზონალურ დათვალეირებებზე - სასკოლო ფესტივალებზე ქალაქ გორში. მე მუდამ I ან II ადგილზე გავდიოდი. აკრობატიკაში წარმატებისათვის მრავალგზის ვარ სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული.

სკოლის დამთავრების შემდეგ, სასწავლებლად წავიდი ქ. თბილისში, სადაც ჩემმა მასწავლებელმა ზელიძემ ხატიაშვილმა მიმიყვანა სპორტულ კლუბში რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელთან მიხეილ ქელეხსაშვილთან, რომელმაც, ერთი წლის მეცადინეობის შემდეგ, გადამიყვანა ფიზკულტურის ინსტიტუტში. აქ ჩემი მწვრთნელი იყო რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი და ინსტიტუტის ლექტორი ოთარ კაკიაშვილი. ბატონმა ოთარმა მიმაღებინა მონაწილეობა აკრობატიკის შეჯიბრში, სადაც წარმატებით გამოვედი და მივიღე I თანრიგი.

ინსტიტუტში ვარჯიშის დროს გავიცანი და დავუმეგობრდი საოცარ მეჯვრისხეველ ტანმოვარჯიშეს, საკავშირო რანგის სპორტის ოსტატს ომარ გულუაშვილს. ომარ გულუაშვილთან ერთად ხშირად მიხდებოდა მეცადონეობა-ვარჯიში ინსტიტუტის დარბაზში.

მეჯვრისხევის საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში შოთა გურგენიძე ჩემთან ერთად ავარჯიშებდა აკრობატიკაში ვენერა აღდგომელაშვილს, რუსუდან ხარხელს და ციციწო გოდელაშვილს, თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ მათ ვარჯიში აღარ გაუგრძელებიათ და თანრიგი არ მიუღიათ“.

მეჯვრისხეველ აკრობატულ ტანმოვარჯიშეთა ბოლო თაობიდან უნდა დავასახელო დები მართა და ცირა შახნაზაროვები, რომლებსაც ბატონი შოთა გურგენიძე წვრთნიდა აკრობატიკაში და დაჰყავდა შეჯიბრებებზე. მათთან ერთად იყვნენ მარინე ცარიელაშვილი სოფელ ზერტიდან და ნაირა ჩიტაშვილი ფაბრიკის დასახლებიდან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი (გია) მერებაშვილი. მას აკრობატიკაში ავარჯიშებდა სპორტის ოსტატი ომარ გულუაშვილი. ბატონმა გია მერებაშვილმა მრავალგზის მოიპოვა საპრიზო ადგილები სარაიონო შეჯიბრებებში, ხოლო 1983 წელს, სამხედრო სამსახურში ყოფნისას, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ აკრობატთა შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიიღო სპეციალური სიგელი, რომელიც გიორგის სამხედრო ნაწილის უფროსმა საზეიმო ვითარებაში გადასცა.

შესანიშნავი ტანმოვარჯიშე, მოჭიდავე და ექვსი შვილის გამრჯე მამა - გია მერებაშვილი დღესაც სპორტულ ფორმაშია და მაგალითს აძლევს მეჯვრისხეველ ახალგაზრდებს.

მეჯვრისხეველები დღემდე ინახავენ ისეთ გასართობებს, როგორებიცაა: ჭიაკოკონობა, ალილო და თავგა-თავაობა, რაც შეეხება მარულას, ჯორა-ღლიტას, ლახტაობას და დანასობიას, ისინი დავიწყებას მიეცა.

ლიტერატურა:

1. საბავშვო ენციკლოპედია, ტომი 12, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1987.
2. რაზმაძე ბარდი, „სოფელი მეჯვრისხევი“, თბილისი, 2001.
3. სარაული მიხეილი, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1959.
4. მსოფლიო თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2011.
5. გელოვანი აკაკი, „სიბრძნის სიმფონია“, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1989.
6. ბუხნიკაშვილი გ., „გორის თეატრი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1965.

SHOWS AND ENTERTAINMENTS IN THE VILLAGE OF MEJVRISKHEVI

Badri Razmadze, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

In the work "Shows and Entertainments in the Village of Mejvriskhevi" the following shows are overviewed: the puppet theatre, the vocal-instrumental ensemble "Mejuda", acrobatics, choreography and players on the wrestling arena, which were acted there during the decades.

The puppet theatre has been existing for a long time. The puppet makers gave shows in the town squares and markets of different countries. The puppet theatre was established by Nikoloz Berianidze.

In 1972 Koba Umekashvili - the director of Mejvriskhevi Culture House formed an ensemble called "Mejuda". The ensemble "Mejuda" was very popular not only in Gori region but in Tskinali region as well. The ensemble "Mejuda" was functioning from 1970 till 1990.

In 1962 the folk dance ensemble was formed in the village of Mejvriskhevi. Over the years the ensemble participated in different festivals held in republic-wide. Now the ensemble "Mertskhali" is functioning with its 72 members.

In the village of Mejvriskhevi the section of acrobatic gymnastics was established by excellent pedagogue and sportsman Shota Gurgnidze.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის - ქემალ ათათურქის მთავრობას შორის

ნუგზარ ზოსიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი
E-mail: zosidze-n@mail.ru

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მარცხის შემდეგ საქართველოს სწრაფვა ევროპისაკენ არ შენელებულა. საქართველოს დელეგაცია ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა დონისა და რანგის ევროპულ პოლიტიკურ თავყრილობებზე ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა ქვეყნის დე იურედ აღიარებისათვის.

1919 წლის იანვარში სტამბოლში ანტანტის სახელმწიფოთა ჯარები განლაგდნენ. მოკავშირეთა ჩანაფიქრით ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე სხვადასხვა დიდი თუ პატარა სახელმწიფოები უნდა შექმნილიყო.

1919 წლის 30 იანვარს პარიზის საზავო კონფერენციაზე საბერძნეთის მთავრობამ წარადგინა ოსმალეთის სახელმწიფოსადმი თავისი პრეტენზიები. ცხადია, ბერძნების მოთხოვნების მოტივაცია არა მხოლოდ ისტორიულ წარსულში გადადიოდა, არამედ იმჟამინდელ რეალურ ვითარებასაც ითვალისწინებდა.

ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა ხელი შეუწყვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებას ოსმალეთში, რომელსაც 1919 წლის მაისიდან სათავეში ჩაუდგა გენერალი მუსტაფა ქემალ ფაშა. იგი 1920 წლის აპრილში თურქეთის დიდი ეროვნული კრებისა და მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ქემალ ათათურქის მთავრობამ კურსი საბჭოთა რუსეთისაკენ აიღო. 1920 წლის 26 აპრილს ვ.ი. ლენინისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „თურქეთი ვალდებულებას იღებს საბჭოთა რუსეთთან ერთად იბრძოლოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა რუსეთთან“ (თოიძე, 1991:48).

რა მდგომარეობა იყო საკუთრივ რუსეთში? რა სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორთა თანხვედრა იყო მიზეზი ამ სახელმწიფოთა დაახლოებისა? სწორედ ამ საკითხის ახსნა იძლევა პასუხს 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში დატრიალებული ეროვნული ტრაგედიის ობიექტურად შეფასებისათვის. ამ პერიოდში საბჭოთა რუსეთმა ზედიზედ დაამარცხა ანტანტის სახელმწიფოების ხელშეწყობით მეომარი თეთრგვარდიული არმიები. ბოლშევიკ რევოლუციონერთა რადიკალური ფრთა პერმანენტული რევოლუციის იდეაში ხედავდა შემდგომი საქმიანობის მთავარ მიზანს.

მაგრამ, როცა ევროპის სახელმწიფოებში რუსულმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა და რამდენიმე ქვეყანაში პროლეტარულმა რევოლუციებმა ფიასკო განიცადეს, აშკარა გახდა, რომ “მსოფლიო რევოლუციის ქრონოლოგია და გეოგრაფია აღარ ემთხვეოდა ამ იდეის ავტორთა წარმოდგენებს.” (თოიძე, 1991 : 47) იდეის რეანიმაციის საშუალებას კი იძლეოდა გამარჯვებული ანტანტის სახელმწიფოთა დამოკიდებულება ოსმალეთის იმპერიისადმი. საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის თვალსაზრისით ოსმალეთისადმი მხარდაჭერა და დახმარების გაწევა ნიშნავდა რუსეთის პოზიციების განმტკიცებას უაღრესად ხელსაყრელ რეგიონში. ამიტომაც საბჭოთა მთავრობა ყურადღებით მოეკიდა ზემოაღნიშნულ თხოვნას და აქტიურად შეუდგა დასახული გეგმის განხორციელებას. მოკლე დროში ოსმალეთში გაიგზავნა დიდი პარტია იარაღისა, რასაც თან ახლდა ფინანსური და მორალური მხარდაჭერაც. (Документы внешней политики СССР, III, 1959: 675) არც თურქულმა მხარემ დააყოვნა. 1920 წლის 12 ივლისს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილ მიმართვაში კიდევ ერთხელ დაადასტურა გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება სოციალისტური რუსეთის მიმართ (Юсупов, 1970: 117).

1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის, ხოლო 1920 წლის 2 დეკემბერს სომხეთის გასაბჭოების შედეგად დღის წესრიგში თავისთავად დაისვა საქართველოს ოკუპაციის საკითხიც, რჩებოდა მხოლოდ გარკვეულიყო აღნიშნული საკითხისადმი თურქეთის პოზიცია. ნიშანდობლივია რუსეთის მე-11 არმიის სარდალ ჰეკერის 1920 წლის 18 დეკემბრის მიმართვა სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისადმი: „თუ მეთერთმეტე არმიის სამხედრო საბჭო მიიღებს ნამდვილ გარანტიებს ქიაზიმ-ყარაბეჯირის ჯარების ჩვენადმი მეგობრული დამოკიდებულების შესახებ, მაშინ საქართველოსა და თბილისის ოკუპაციის საკითხი პირველ ყოვლისა შეიქმნება უფრო რეალური.” (ნოზაძე, 1989 : 93)

ანგორის მთავრობას კარგად ესმოდა შექმნილი ვითარების სიმწვავე, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მე-15 კორპუსის სარდლის ქიაზიმ ყარაბეჯირის ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია: მესამე კორპუსის სარდალი, რომელსაც ჰქონდა გულახდილი საუბარი ინგლისის ადგილობრივ წარმომადგენელთან ითხოვს, რომ გამოჩენილი იქნას სიმტკიცე ჩვენი აღმოსავლეთის საზღვარსა და ბათუმის საკითხის შესახებ. (Turkiye Cumhuriyeti Başbakanlık Arşivi BEO 346469:19). იგულისხმებოდა ინგლისის საოკუპაციო ჯარების ბათუმის ოლქიდან გაყვანა. აღნიშნულ ინფორმაციას დართული აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეზოლუცია, რომელიც გამოხატავდა მთავრობის პოზიციას. მასში ნათქვამია, რომ ინგლისელთა ოკუპაციის შედეგად დარჩენილი მოსახლეობის მოთხოვნა ოსმალეთის დახმარების შესახებ, არ შეიძლება გახდეს მოტივი ჩვენი მხრივ ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის ოკუპაციისა(იქვე: 18). ასეთ ვითარებაში ანგორის მთავრობა ცდილობდა ფრთხილად ემოქმედა. ამ მხრივ უდაოდ საინტერესოა მუსტაფა ქემალ ფაშას ქიაზიმ ყარაბეჯირისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი დეპეშა: „სახიფათოდ იქნა მიჩნეული ბოლშევიკებთან თანამშრომლობა მანამ, სანამ ჩვენი კავშირის პირობები მეტნაკლებად გამოიკვეთება, დადგინდება, მისი ძირითადი ხაზები... მიუხედავად იმისა, რომ წითელი არმია სომხეთისა და საქართველოს საზღვრებთან მოვიდა, მათ ჯერჯერობით დახმარების თაობაზე ჩვენთვის არ მოუმართავთ, თუმცა სავარაუდოა, რომ ამის საშუალება მათ ექნებოდათ.“ (თოიძე, 1991 : 51)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უდავოდ გასაზიარებელია ქართველი მეცნიერის ვიქტორ ნოზაძის მოსაზრება, რომ ”ერთის მხრივ, თუ მოსკოვს მალულად უნდა მოემზადებინა ოსმალეთის მხრივ მეგობრული განწყობილება საქართველოს ოკუპაციის მიმართ, მიეღო მისგან ნეიტრალიტეტის დაპირება, მეორე მხრით – ღიად და აშკარად მოსკოვი მსოფლიოს არწმუნებდა, რომ იგი საქართველოს ხელს არ ახლებს და მის დამოუკიდებლობას პატივსაცემსო” (ნოზაძე, 1989 : 93).

უფრო მეტიც, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი ჩიჩერინის 1920 წლის 19 დეკემბრის ნოტაში ანკარის დიდი ეროვნული კრების მიმართ აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა თურქეთისა და რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე სასურველად მიიჩნევდა სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას საქართველოსა და თურქეთს შორის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების საფუძველზე (იგულისხმება საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება - ნ.ზ.) (Документы внешней политики СССР, III, 1959:393).

1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისისათვის რუსეთსა და ქემალის მთავრობის ურთიერთობები გააქტიურების ახალ ფაზაში შევიდა. ამ ეტაპზე თურქეთის მხრივ საქართველოსადმი პრეტენზიების წაყენება ტერიტორიულ საკითხებში არამიზანშეწონილად ჩაითვალა. ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა თავისთავად დადგა დღის წესრიგში.

1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოში ჩამოვიდა ანკარის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი. ქართული პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მან განაცხადა,

რომ „ანგორის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ინტერესია ნახოს საქართველო დამოუკიდებელი და ძლიერი. დამოკიდებულება საქართველოსა და ანგორას მთავრობას შორის უმთავრესად ამ ძირითადი ინტერესებით განისაზღვრება” (გაზ. საქართველოს რესპუბლიკა: 1920, 29.11). საქართველოსა და თურქეთს შორის სასაზღვრო პრობლემებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ორივე ქვეყანას აქვს საერთო ინტერესები და ყველა საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკებით უნდა გადაწყდეს. “მითუმეტეს, რომ საქართველოსა და ჩვენს შორის არ არსებობს არავითარი ფრონტი, რასაც შეუძლია შექმნას გაუგებრობა და შუღლი. საქართველომ ბევრი რამით დაიმსახურა ჩვენი სიმპათია (იქვე).

ქართული საზოგადოებრიობა ოპტიმისტური განცდით შეეგება თურქეთის მხარის ინიციატივას, მაგრამ არც სიტუაციის რეალისტური განსჯის უნარი დაუკარგავს, ამ მხრივ ნიშანდობლივია საქართველოს პარლამენტის წინაშე კონსტანტინე საბახტარაშვილის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ მართალია ანგორის მთავრობის წარმომადგენელი თავის გამოსვლებში ხაზგასმით მიუთითებს მეზობელი ქვეყნის კეთილ სურვილებზე ჩვენი ქვეყნის მიმართ, მაგრამ ჩვენ მაინც არა გვაქვს გარანტია იმისა, რომ თურქები სომხებთან თავიანთი ურთიერთობების გარკვევის შემდეგ (იგულისხმება სომხეთ-თურქეთის საომარი კონფლიქტი, რომელიც სომხეთისათვის მეტად მძიმე ალექსანდროპოლის ხელშეკრულებით დასრულდა – ნ.ზ.), საქართველოს საზღვრებს არ მოადგებიან. ამიტომაც, მისი აზრით, ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველი უპირობოდ უნდა ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება იმ საზღვრებში, რომელიც 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით იყო აღიარებული. საბოლოოდ იმჟამინდელი ქართული საზოგადოების საერთო აზრი ასეთი იყო: „ანგორის დაპირებანი გვჯერა. მეგობრულად გამოწვდილი ხელი მუსტაფა ქემალ ფაშისა ჰაერში არ დაეკიდება” (გაზ. საქართველო: 1920, 24. 11).

1920 წლის 7 ნოემბერს ანკარაში გაიხსნა საბჭოთა რუსეთის საელჩო. პირველ ელჩად დანიშნულმა ცნობილმა რევოლუციონერმა შალვა ელიავამ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო თურქეთში გამგზავრება, ამიტომ დიპლომატიური მისიის შესრულება დაევალა ბუდუ მდივანს. იქნებ ამ მონაცვლობაზე ყურადღება არც კი გაგვემახვილებინა რომ არა მანამდე იშვიათი ფაქტი დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიაში - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად ანგორის მთავრობაში გაიგზავნა მისი ძმა სვიმონ მდივანი (შალიკაშვილი, 1991: 71). საქართველოს დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო (სცსსა, ფონდი 383:43).

1921 წლის 31 იანვარს საქართველოს დელეგაცია ანკარაში ჩავიდა. ერთდროულად თბილისს ეწვია თურქეთის გენერალური კონსული. 8 თებერვალს ქართველი ელჩი ოფიციალურად შეხვდა მუსტაფა ქემალ ათათურქს. შეხვედრა, რომელიც საათნახევარი გაგრძელდა უაღრესად შინაარსიანი და საინტერესო გამოდგა. მას საქართველოს წარმომადგენლობის მთელი შემადგენლობაც ესწრებოდა. სიმონ მდივნი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ „ამ ხნის განმავლობაში ოფიციალურ სიტყვებს გარდა იყო საუბარი, რომლის დროსაც მუსტაფა ქემალი შეეხო ყველა ჩვენთვის საინტერესო საკითხს და ჩემის აზრით ეს საკითხები დამაკმაყოფილებლად განმარტა.” გარკვეული უხერხულობა წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ ქართულ დელეგაციას არ ყავდა თარჯიმანი. ამის შესახებ სვიმონ მდივანი ჯერ კიდევ გზიდან ატყობინებდა თბილისს „...დაუყონებლივ ინეგოლის გზით გამოგზავნეთ ვინმე ოსმალური ენისა და წერა-კითხვის ზედმიწევნით მცოდნე; თუ ეს პირი დროზე არ მოვიდა, ჩემი მუშაობა წარმოუდგენელია და ყოველივე პასუხისმგებლობას თავიდან ვიხსნი” (სცსსა, ფონდი 386:37).

1921 წლის 8 თებერვალი არის მუსტაფა ქემალ ათათურქის მთავრობის მიერ საქართველოს დე იურედ აღიარების თარიღი. როგორ წარმოედგინათ თურქეთის რესპუბლიკის შვილებს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობა? ეს ყველაზე მკაფიოდ და ლაკონურად იმ დღეს თავის სიტყვაში ჩამოაყალიბა ანგორის მთავრობის ხელმძღვანელმა: „...ჩვენ გვაერთიანებს საქართველოსთან არამც თუ მარტო სიმპათია, არამედ მიზანთა ერთობაც. ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი. განსაკუთრებით გჭირდება ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი - ყველაზე მნიშვნელოვანი ერი, ჩვენ გჭირდება საქართველო, ძლიერი და დამოუკიდებელი....“ (შალიკაშვილი, 1991:56).

დასანანია, რომ შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთა გავლენით სულ მთლად ვერ დაადასტურა თურქეთის დიდი შვილის ეს კეთილი სურვილები. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეზობელ ქვეყანაში იმჟამადაც მოღვაწეობდნენ ქემალ ათათურქის ზემოაღნიშნული იდეის მხარდამჭერნი. (მხედველობაში გვაქვს თურქეთის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ბექირ სამის საქართველოსადმი პოზიტიური დამოკიდებულება.) (სცსსა, ფონდი 386: ფ.14).

მოლაპარაკებათა შემდეგი დღეებიც დატვირთული და შინაარსიანი იყო. მას აშკარად აჩნდა დადი იმჟამინდელი პოლიტიკური მდგომარეობისა. თანდათანობით იკვეთებოდა თუ რა სურდა თურქეთის მხარეს, რომ საქართველოსაგან მიეღო. ბოლშევიკური რუსეთის მიერ პროვოცირებული

კონფლიქტი ლორეს რაიონში, იყო დასაწყისი საქართველოს ანექსიისა რუსეთის მიერ. შესაბამისად ამ გარემოებამ თავისებური ფონი შექმნა საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში. პირველი პრეტენზიები ტერიტორიული დათმობის შესახებ თურქეთის მხარემ 1921 წლის 18 თებერვალს გააკეთა. მათ მოითხოვეს ართვინისა და არდაგანის მხარეში თავიანთი ჯარების შეყვანა. ამასთან დაკავშირებით სვიმონ მდივანმა საპროტესტო ნოტაში აღნიშნა: „...თქვენ მიერ განზრახული მოქმედება არდაგანისა და ართვინის ოლქებში შესვლისა, ჩვენთან შეუთანხმებლად, არის განმეორება იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომლითაც ძველმა ოსმალეთმა განუწყვეტელი თავდასხმით აიძულა ძველი საქართველო მოეყვანა ოსმალეთის კარზე მისი დაუძინებელი და უსასტიკესი მტერი რუსეთი და მით თავისი თავიც დაესაჯა...“ (სცსსა, ფონდი 383: ფ.65; შდრ, ნოზაძე 1989:95).

საქართველოს ნამდვილად არ შეეძლო ორ ფრონტზე ებრძოლა. ცხადია უპირატესობა მიენიჭა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას, ამიტომაც 1921 წლის 20 თებერვალს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობამ გასცა ბრძანება თავისი საჯარისო ნაწილების ართვინიდან და არდაგანიდან გაყვანის შესახებ. სამწუხაროდ თურქეთის მხარის მოთხოვნები ამით არ დასრულებულა.

შეიძლება დავასკვნათ: ქემალ ათათურქის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო რუსეთსა და ანტანტას შორის არსებული წინააღმდეგობები. ამ უკანასკნელის არასწორმა პოლიტიკურმა კურსმა თურქეთისადმი, რომლებიც ითვალისწინებდა თურქეთის სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცებას, არა მარტო ხელი შეუწყო მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაჩაღებას თურქეთის დიდი შვილის მუსტაფა ქემალ ათათურქის ხელმძღვანელობით, არამედ დააჩქარა რუსეთ-თურქეთის დაახლოებაც, რასაც თან მოჰყვა რუსეთის გააქტიურება ამიერკავკასიაში. XI არმიის თბილისისაკენ წინსვლამ მისცა თურქეთს შესაძლებლობა მოეთხოვა ართვინისა და არტაანის ოლქები, ხოლო ბათუმის ოლქში პლებისციის ჩატარება. საქართველო-თურქეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის დიპლომატიურ მოლაპარაკებებს მაშინდელი რთული საერთაშორისო ვითარების დალი აჩნდა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფაში.

წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი (შემოკლებით სცსსა), ჰარვარდის მიკროფირების ფონდი, საქ. 383; 386.
2. ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წწ., ბათ., 1995.
3. თოიძე ლ., ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.
4. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
5. სვანიძე მ., ოსმალეთი ისტორია, ტ. II, თბ., 2002.
6. სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული ტ. VII, თბ., 2000.
7. შალიკაშვილი დ., საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში, ჟურნ. „თეატრი და ხელოვნება“, №1, 1991.
8. Turkiye Cumhuriyeti Başbakanlık Arşivi BEO 346469
9. Документи внешней политики СССР Т III, М., 1959.
10. Юсупов А., Стамбул, М., 1970,
11. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, 29 ნოემბერი.
12. გაზ. „საქართველო“, 1920, 8 დეკემბერი, 24 დეკემბერი.

DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN GEORGIA AND THE GOVERNMENT OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF TURKEY - KEMAL ATATURK'S GOVERNMENT

Nugzar Zosidze, Georgian Patriarchate saint Tbel Abuseridze University, Doctor of History

RESUME

At the beginning of 1921 the political situation was tensed in Caucasus. In the process of building republic of Osmal, Russia made a coalition with a new government of Turkey, that at the same time defined the future of Georgia.

On January 31, 1921 Georgian delegation arrived in Ankara. At the same time consul-general of Turkey visited Georgia. Thus Georgia made a very useful decision as it was a government that fought for unity of Turkey.

- For the next conference were agreed to be discussed
- a) the official notification of Georgia by Osmal Republic
 - b) borders
 - c) co-operation in trade and economics

According to the letters of Svimon Mdivani we may conclude, that the main factor of Kemal Ataturk in foreign policy was the conflict between Russia and Antanta. This mistake increased Russian influence over Caucasus.

The agreement between Georgia and Russia, reached in March in 1921, was influenced by difficult international situation, that played a great role in encroachment upon Georgian sovereignty.

ორი ლექსემის ისტორიული გაგებისათვის („წაწლობა“ და „სწორფრობა“)

ინგა სანიკიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ქართული კულტურის შესწავლის პროცესში უდიდესი ღირებულება ენიჭება ნებისმიერ იმ პლასტს, რომელიც აზროვნების სხვადასხვა ასპექტს დიაქრონიაში წარმოაჩენს. ერთ-ერთ ასეთ უაღრესად საინტერესო ფენას წარმართული ყოფის ამსახველი, მის თანამედროვე იმპროვიზაციებად ქცეული რამდენიმე ნიშანი ქმნის. მათ შორის უთუოდ უნდა მოვიზიაროთ ფშავური „წაწლობისა“ და ხევსურული „სწორფრობის“ ტრადიცია.

საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, ვფიქრობთ, რომ ანალიზი ქართულ სამწერლობო ენაში შემონახული ერთი საინტერესო ცნობით უნდა დავიწყოთ. მართლაც, წარმართული ქართლის მორალური სახის ამსახველი ფრაგმენტული მასალა მოგვეპოვება ერთ-ერთ ძველ ლიტერატურულ ნაშრომში. ჩვენამდე შემონახულ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა შორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ მეორე თხზულებაა და მისი შექმნა VI ს-ის II ნახევარს, კერძოდ, დაახლოებით 70-იან წლებს უკავშირდება. „მასში აღწერილია, ევსტათი მცხეთელის წამებასთან ერთად, VI საუკ. ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა: ირანელთა მართვა-გამგეობის წესები, ურთიერთობა ქართველ მთავრებსა და ირანის ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის, სასამართლო წარმოების წესები და სხვა საკითხები“, - წერს სოლ. ყუბანიევილი (ყუბანიევილი, 1946: 44). მაშასადამე, არმაზის კერპთა მსხვერველად დაახლოებით ორი ასეული წელია გასული და „წამების“ უცნობი ავტორის ეპოქაში გაცილებით მეტი იციან ქართული წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა და კერპთაყვანისმცემლობის შესახებ, ვიდრე - გვიან. ვფიქრობთ, ამიტომაც არის განსაკუთრებით საგულისხმოდ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის მონათხრობი იმ საკითხზე, რომელიც წარმართ ქართველთა ზნეობრივ საკითხს შეეხება. რა, თქმა უნდა, მის სიტყვებში ქრისტიანი იდეოლოგის მკაცრი ხმა ისმის, რომელიც გულდაგულ იმეორებს უფლის სიტყვებს: „ნუ კაც ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ისიძავ, ნუ გული გითქუამს ცოლსა მოყუსისა შენისა...“ და სხვ. („ევსტათი მცხეთელი“, 1946: 49).

ქრისტიანობამ შემოდებისთანავე იდეოლოგიური ბრძოლა გააჩაღა წინა რელიგიის წინააღმდეგ და თავისი საკუთარი ტაძრის მშენებლობას შეუდგა; ტაძრისა, რომელსაც მხოლოდ ძველის დანგრევა არ აკმაყოფილებდა. სირთულე ის იყო, რომ წარმართული კერპთაყვანისმცემლობის, როგორც „მორალური შენობის“, დანგრევის შედეგად შთენილი ნასხლეტების გამოყენება არ უნდა დაშვებულიყო სრულიად ახალ, პროგრესულ აზროვნებაში. ის - ძველი და ამორალური - სამირკვლიანად უნდა აღმოფხვრილიყო, თუმცა მისი დანაწევრებული ნაწილების შენარჩუნების საშიშროება უთუოდ იდგებოდა ქრისტიანობის მიღებიდან გარკვეული ხანების მაინც, თუ უახლოეს დრომდე არა. ჩვენი აზრით, „ევსტათის წამების“ ავტორი კარგად შეიგრძნობს ამ საფრთხეს და ჭეშმარიტი უფლის ერთადერთობის დასაბუთებას ვრცელ მონაკვეთს უთმობს, ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს მრავალფეროვნებაზე გვესაუბრება და განაგრძობს: „...ყოველი ესე დაამორჩილა კაცსა მას, და ჩუენ ამის ყოვლისა შემოქმედი ღმერთი დაუტევოთ და ამას ღმრთისა დაბადებულსა ღმერთად ვხადოდითა? **ნუ იყოფინ ესე! მზე და მთოვარე და ვარსკულაფნი არა ღმერთ არიან**, არამედ ღმერთმან მზესა განათლებად დღისად უბრძანა და მთოვარესა და ვარსკულაფნთა განათლებად ღამისად უბრძანა, ხოლო ღმერთ არა არიან. ღმერთმან-ღა ღრუბელსა უბრძანის და მოეფინის ბრწყინვალეობად მზისად და მთოვარისად დააბნელის. მზე და მთოვარე ამისთვის არა ღმერთ არიან. მერმე კუალად ცეცხლი არა ღმერთ არს, ამით, რამეთუ ცეცხლი კაცმან ალაგზნის და კაცმანვე დაშრიტის,

რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა, ამისთვის არა ღმერთ არს ცეცხლი. თუ ვინმე განერის და წარვიდის, რასაცა მიჰმართის გინა ტყესა, გინა ველსა, გინა სახლსა, კაცი თუ დახუდის, და-ვე-წეს. ხოლო ცეცხლს-და წყალი მიახლის, ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისა და შრიტის და უჩინო იქმნის ცეცხლი იგი, ამით არა ღმერთ არს, ხოლო ჩუენ ღმრთად გუწამს“ (ევსტათი მცხეთელი, 1946: 53); - ეს ქრისტიანული ქადაგების ერთ-ერთი ადრეული და უნიკალური ნიმუშია. ჰაგიოგრაფ ავტორს ზედმიწევნითი დასაბუთება უწევს უთუმცაო სარწმუნოების ჰუმანიტეტების წარმოსაჩენად და იმ საფრთხეების შესამეცნებლად, რომლებიც ქართველთა წინაშე დგას. ნაწარმოების უცნობი ავტორი თითქოს არ სჯერდება თავისსავე ნათქვამს და მკითხველს (ქრისტიან ქართველს) უახლოესი წარსულის უზნეო ცხოვრების წესებს შეახსენებს. საქმე ის არის, რომ ტექსტის ამ მონაკვეთს ქართველთა წარმართული ყოფის ამსახველი ძალზე საინტერესო სურათი სდევს. მოვიყვანთ სრულად:

„მერმე ღმრთისა შექმნულნი კაცნი საცხოვართა პირუტყვთა მსგავს ვიყვენით, და ესრე სახედ, ვითარცა პირუტყუთა მამლობასა და დედლობასა არა იციან მშობელი, არცა შობილი მათგანი, და ეგრეთ აღრეულად გარდაიჭდიან მამლობა და დედლობა მათი და ეგრეცა ჩუენ კაცნი პირმეტყუელი მათ პირუტყუთა მსგავს ვიყვენით, რომელთა არა ვიცოდეთ მშობელი თვისი, გინა შობილი, და აღრეულად გარდავიჭადით ბუნება იგი ჩუენი. ხოლო აჲ მადლითა ღმრთისადათა, ვინადათგან იქმნა ნათლის-ღება და რჩეული ქრისტიანობითა, იციედ კაცთა, მიერთგან დაიქსნა და განქარდა უწესოდ იგი საქმე...“ [ტექსტს აკლია] (ევსტათი მცხეთელი, 1946: 53)⁴⁴.

წყაროთა სიმწირის გამო, რთულია იმის დაზუსტება, კონკრეტულად როგორი მორალური სახე იხატებოდა „გაცისა“ და „გას“ [//გაიმის] პერიოდის ქართლში და არა მარტო აქ, ქვეყნის აღმოსავლეთში, არამედ -- საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ ნაწილშიც. ვფიქრობთ, რომ ჰაგიოგრაფის ცნობა რამდენადმე დაშორებულია ობიექტურ სინამდვილეს, ცოტაოდენ, თუ ბევრად არა, გადაჭარბებულიცაა, ძველი რწმენა-წარმოდგენების უვარგისობის დამტკიცების მოტივაციისადა გამო, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე არც ასე მარტივად... ისტორიული მეხსიერების კვალი VI საუკუნეში ჯერ კიდევ სველია, ხოლო მახლობელი წარსული ელემენტების ნარჩენები -- ცოცხალი; ქრისტიანობას თავისი უპირატესობის დამტკიცება სასიცოცხლოდ სჭირდება, ამიტომ მოხვდა ყოველგვარ მორალურ და ზნეობრივ საფუძველმოკლებული წარმართთა ქცევანი „მარტილობის“ წიგნში. „ღმრთისა შექმნულნი კაცნი საცხოვართა პირუტყვთა მსგავს ვიყვენით“, -- ეს შემაჯამებელი წინადადებაა და ყველაზე მთავარი, რადგან ის იმ ზოგადისტორიულ სახეს ხატავს, რომელიც საშენ მასალად აღარ გამოდგება; ახლის ძველზე დაფუძნება წარმოუდგენელია, რწმენის მეტამორფოზა იკრძალება!

და მაინც, ნეტავ, რას მალავს ქართული ჰაგიოგრაფია (ვგულისხმობთ გადამწერებს)? რაც გვითხრა, განა იმაზე მეტი რა უნდა ეთქვა?! არ ვიცი.

ახლა ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს დავესესხოთ. სწორფრობისა და წაწლობის ინსტიტუცია გვახსენდება და ვფიქრობთ, რომ გასაღები აქ არის. ზ. კიკნაძე ტრადიციულობის საკითხის განხილვისას გვეტყვის: „რა არის ტრადიცია? ტრადიცია (გადმოცემა) ის არხია (კალაპოტი), რომელშიც თაობიდან თაობამდე მიედინება ხალხური ყოფა და, მასთან ერთად, შემოქმედება. ტრადიცია განაპირობებს ხალხის (კოლექტივის) მდგრადობას. კოლექტივის კონსერვატიზმი - ყოფითი, მსოფლმხედველობითი, კულტურული, მხატვრული - მისი ტრადიციულობის მეორე მხარეა“ (კიკნაძე, 2008: 28). ჰოდა, ინტერესმოკლებული არ იქნება, დავფიქრდეთ, სად იღებს ის „არხი“, რომელიც ფშავ-ხევსურთა სწორფრობა-წაწლობის ტრადიციითაა სახელდებული და რომლის ტოტები ახალგაზრდად ნამდვილად არ გამოიყურება.

„სქესობრივი დამოკიდებულების ძველ წესების შესწავლას უადრესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისა და მისი უძველესი სოციალური წესწყობილების გამოსაკვლევად. ამ მხრივ, ფშაური „წაწლობა“ და ხევსურული „სწორფრობა“ ფრიად საყურადღებო მასალებს წარმოადგენენ ქართველ ტომთა უძველესი საზოგადოებრივი უჯრედის - ოჯახის წარმოშობისა და მამა-დედათა შორის პირველყოფილ უფლებრივი დამოკიდებულების შესასწავლად“,- წერს სერგი მაკალათია 1924 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (მაკალათია, 1998: 50). მეცნიერი, ბუნებრივია, ტრადიციის ისტორიითაც

⁴⁴ შენიშვნა: „ევსტათი მცხეთელის მარტილობის“ ამ მონაკვეთთან დაკავშირებით სოლ. ყუბანეიშვილი აღნიშნავს, რომ „ტექსტს უნდა აკლდეს“. ამის გამო გამოცემული სამ წერტილს სვამს, ხოლო სხვაგან წერს: „თხზულებას პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. გადამწერთა დაუდევრობით თუ გადაკეთების ნიადაგზე, შემდგომ ხანებში ტექსტი დამახინჯებულია. მისი უძველესი ნუსხა მხოლოდ XI საუკუნისაა, სხვები კი XVIII-სი“; ჩვენი აზრით კი, გვიანდელი გადამწერები შეგნებულად კვეთენ ბოლო ნაწილს (ჩვენთვის უცნობს), რადგან იქ ისეთ უწესობაზე იყო საუბარი, რომლის ჩაწერაც მათ გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა.

დაინტერესებულა, ფშავლებიც გამოუკითხავს და ასეთი პასუხი მიუღია: „ეს ჩვეულება მამა-პაპურია და განწესებულია ლაშა-გიორგის მიერო, რადგანაც თამარ-მეფის დროს ლაშაში შთამომავლობის გამრავლებისთვის ლაშაჰ ქალ-ვაჟებს ერთად აწვენდნენო. წაწლობა ფშავში ლაშა-გიორგიმ განამტკიცაო და ლაშარობას ამიტომ მიღებულია საზოგადო წოლაო. მათივე შეხედულებით, ლაშარის ჯვარი ქალთან დაწოლას არ უშლის, რადგანაც თვითონაც მოქიფე და ქალების მოყვარული იყო“ (მაკალათია, 1998: 50). ს. მაკალათიას ამ მონათხრობში აშკარად იგრძნობა დროისა და სივრცის არაერთდროულობა, ისტორიული ანაქრონიზმი. ფშაველთა აზრით, მამაპაპური ტრადიცია სათავეს ლაშა-გიორგის ეპოქაში იღებს ისევე, როგორც მათი ხატის სახელი „ლაშარი“; მაგრამ წმ. გიორგი ხომ წინ უსწრებს ლაშას ეპოქას, ხოლო წარმართული ხატი მეტადრე ადრეულია. ამდენად, ფშაველთა წარმოდგენა სხვადასხვა ისტორიული ელემენტის კონპილაციაა და უეჭველი ფაქტის („ეს ჩვეულება მამა-პაპურია...“) ხალხური, ზეპირი იმპროვიზაცია, ამასთან - განსხვავებული ეპოქების ნიშანთა (როგორც ნაწილთა) ერთ მთელში მოქცევის მცდელობის უტყუარი შედეგი.

რაც შეეხება „სწორფრობის“ ხევსურულ ტრადიციას, ის „სხვადასხვა ხასიათისაა. აქედან ერთია ნამდვილი სწორფრობა - წოლა ძმობილთან [შემდეგ ჩამოთვლილია ყველა სახეობა] ... ხევსური ქალი ან ვაჟი სწორფრობას იწყებს 16-17 წლიდან. ვაჟებს წოლა-დგომის წესებს ისევე ვაჟები ასწავლიან, არიგებენ, რომ იყვნენ თავდაჭერილნი, რაც მამაკაცის აუცილებელი მოვალეობაა... ქალს კი ქალები ასწავლიან, თუ რა წესები უნდა დაიცვან ვაჟთან წოლის დროს“ (ბალიაური, 1998: 35).

რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევის მიზანი ამ შემთხვევაში ნამდვილად არ არის ის, თუ რა განასხვავებს დღეს პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთის სწორფრობას ერთმანეთისაგან, რადგან მიგვაჩნია, რომ განსხვავებულობათა ჩამოყალიბებულობა ამ შორეულწარმართული ტრადიციის უწყვეტობამ განაპირობა. საინტერესო ის ტერმინებია, რომლებიც არსებითად მსგავსი ფშავ-ხევსურული ტრადიციებისათვის უწოდებია ჩვენს უძველეს წინაპარს - წაწლობა და სწორფრობა - და საგულდაგულოდ დაუცავს საქართველოს მთაში.

ტერმინ „წაწლობის“ შესახებ ს. მაკალათია შენიშნავს: „სიტყვა „წაწალი“-ს მნიშვნელობა ადგილობრივად ვერ გამოვარკვია, მაგრამ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელია ის წარმომდგარიყოს „წაწოლისაგან“, რადგან თვით ეს წესი წოლასთან არის დაკავშირებული“-ო (მაკალათია 2008: 8). ამრიგად, მეცნიერს „წაწა“/„წოლა“ ფუძეთა მსგავსება მიუჩნევია ლექსემის შინაარსის გარკვევის საშუალებად. რაც შეეხება სწორფრობას, აქ თითქოს საფიქრალი ბევრი არაფერი რჩება, რადგან ენას ორი ფუძე „სწორი“ [„ტოლი“] და „ფერი“ („შესაფერისობის“ მნიშვნელობით) კომპოზიციურად შეუკრავს და -ობა აფიქსით განზოგადების, ცნებითი მნიშვნელობით შეუმკია. ასე რომ, სწორფრობა „ტოლთა [თანატოლთა] შესაფერისობის“ უძველესი ჩვეულებაა, რომლის დაბადების ადგილი საქართველოს მთა არ არის; ფშავ-ხევსურეთი, უბრალოდ, სიძველეთა ის სკივრი აღმოჩნდა, რომელიც ბოქლომით არც არასდროს ჩაუკეტავს ქართველ მთიელს.

საქმე ის არის, რომ ფშური „წაწლობისა“ და ხევსურული „სწორფრობის“ ტრადიციები თავიანთი წარმომობით უძველესი რელიგიური წარმოდგენებისა და ასევე ძველი კალენდრის ცოცხალი ნიმუშები უნდა იყოს და არა ოდენ მთიელთა, ლოკალურ არეალში ჩაკეტილ ქართველთა, წეს-ჩვეულებანი. ამ მხრივ, ადამიანის თვალთ დახახული მზის მოძრაობის შეფასება იქცევა ყურადღებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დროს, როცა მზის ცენტრი ეკლიპტიკის მიხედვით გადაადგილებისას ცის ეკვატორს გადაკვეთს, **ბუნიობა** ეწოდება. ეს დღე-ღამის სწორების დროა და **წელიწადში ორჯერ ხდება: ერთი გაზაფხულზე - [20]-21 მარტს**, როცა მზე სამხრეთ ნახევარსფეროდან ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გადადის, და **მეორე -- 22-[23] სექტემბერს**, როცა მზე წრეზე მოძრაობისას ჩრდილოეთ ნახევარსფეროდან განსაზღვრულ წერტილს კვეთს და სამხრეთ ნახევარსფეროში გადმოდის. ცნობილია ისიც, რომ დღე-ღამის სწორების ეს მომენტი წელიწადის დროთა ასტრონომიულ დასაწყისად არის მიჩნეული და დღესაც ევრაზიის მთელ რიგ ქვეყნებში ცოცხალი კალენდრის ფუნქცია აქვს (ირანი, ავღანეთი, ტაჯიკეთი და სხვ.). ამისდა მიხედვით აღნიშნავენ ისინი ახალი წლის, ე.წ. „ნავროზ“/„ნავროზ“-ის (ლექსემა ირანულია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ახალ დღეს“) დღესასწაულს, ანუ „ახალწლობას“.

ასე რომ, ბუნიობის შემთხვევაში დღისა და ღამის სწორების ხილულ ასტრონომიულ დაკვირვებასთან გვაქვს საქმე, რომელიც უძველესი ადამიანისათვის ისევე იყო ცნობილი, როგორც - თანამედროვე სამყაროსთვის. ნათელია, რომ სწორედ ბუნიობა წარმოადგენდა უძირითადეს სადემარკაციო ხაზს წელიწადის დროთა განსაზღვრის მომენტში. დღის, როგორც მზის სახისა, და ღამის, როგორც მთვარეობის ასტრალური წონასწორობა (ე.წ. ტოლობა) ღვთაებათა ზებუნებრივ ძალებს მიეწერებოდა და, ჩვენი აზრით, სწორედ წელიწადის ამ ორ დროს (შესაძლებელია, ერთხელაც, 21 მარტს, გაზაფხულზე) დაიშვებოდა ადამიანთაშორის „ბუნიობა“, რომელიც მზე-მთვარის ღვთაებებისადმი მიმსგავსებულობით შეიძლება, რომ აიხსნას. სამყაროს, კოსმოსის შემეცნების სურვილი ადამიანის გონის უპირველესი მოთხოვნათაგანია, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას კი იგი ყველა შესაძლო საშუალებით

ახერხებს. მთელი მისი სენსორული სისტემა ჩართულია მატერიალური სამყაროს აღსაქმელად (მაგ., ხელით სიმაგრე-სირბილეს შეიგრძნობს, ენით - სიმწარე-სიტკბოს და სხვ.), მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის! განა რა ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ოდენ ყოფიერებას, თუკი მას მთავარი, ზედნაშენური აზროვნება არ დაედება და კაცი შემეცნებულ საგანთა სისტემატიკაზიას არ მიჰყოფს ხელს; არ დააჯგუფებს მათ განსხვავებულ რგოლებად; ან უფრო მეტი, განზოგადება-აბსტრაქციებით არ იცხოვრებს, ყველაფერ ლამაზს მშვენიერებას არ უწოდებს და რწმენით არ წარმართავს საკუთარ არსობას. ჰოდა, წარმართი კაციც რწმენით ცხოვრობდა, შეიძლება მახინჯი რწმენით, მაგრამ ის შეიმეცნებდა, რომ კოსმოსის განუყოფელი ნაწილი იყო, დღე-ღამეთა სწორობის ჟამს თვითონაც აძლევდა თავს იმის უფლებას, „მიწიერი სწორობის“ დღესასწაული მოეწყო, „მამლობა-დედლობა“ (მზე-მთვარეობა) მჭიდროდ გადაეხლართა და ახალნაყოფთა ჩასახვის ადამიანური სურათი შეექმნა.

რა შეიძლება ითქვას „წაწლობის“ და „სწორფრობის“ შესახებ? რა თქმა უნდა, მისი პირველადი ფუნქცია ისტორიის მტვერმა გადაფარა... ვინ, როდის ან რატომ ჩადიოდა ამას, ყველამ დაივიწყა, მაგრამ „ტრადიციის ხემ“ მაინც იმარჯვა; მოიკვეთა, მაგრამ არ მოკვდა, გადასხვაფერდა და ფშავ-ხევსურეთის მიწას „უკანასკნელი მოჰიკანით“ შეეხიზნა.

უალრესად საინტერესო სურათია მოცემული ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ წიგნში „ძველი საქართველო“, რომელიც ქართველთა ეთნო-ისტორიული და ფილოლოგიური (ძირითადად, ლინგვისტური) ხასიათის შემცველ ბევრ იმ მნიშვნელოვან მასალას მოიცავს, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს კუთხეებში ყოფილა გავრცელებული. ყურადღება თავისუფალ სვანეთში⁴⁵ გასულ საუკუნემდე შემონახულმა ერთმა ზნე-ჩვეულებამ მიიქცია, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმართული ქართული საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებით შეპირობებულ სექსუალურ თავისუფლებაზე მიგვანიშნებს. ტექსტში ვკითხულობთ: „უპირველესი ადგილი ოჯახის ზნე-ჩვეულებაში უჭირავს სიყვარულს. სიყვარული მამაკაცთა და დედაკაცთა შორის ერთობ გავრცელებულია; მაგრამ ეს სიყვარული ქმარსა და ცოლს შუა ისრე გავრცელებული არ არის. ქალები უფრო სხვებს ეტმასნებიან და კაცებიც ამასვე სჩადიან. გასათხოვარი ქალი ძნელად შეინახავს თავის უბიწოებას გათხოვებამდის... ასაკობის დროს ერთობ განზირებულია ქალ-ვაჟთა შორის არშიყოფა. უფრო შესაფერ და თავისუფალ დროს ქალ-ვაჟნი გაზაფხულზე ან ზაფხულში პოულობენ...“ (თაყაიშვილი, 1913: 18;22). ვფიქრობთ, რომ ეს ეთნომასალა „წაწლობა“ და „სწორფრობის“ სვანურ ვარიანტს წარმოადგენს და რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით განსაზღვრული უძველესი საზოგადოების მორალური სახის აღდგენის კუთხით უნიკალურია.

ახლა ტერმინთა ენობრივ აგებულებას ხელმეორედ გადავხედოთ და უძველესი კალენდრის ამოცნობაც ვცადოთ: „წაწლობა“-ში ფუძეგაორკვეცილებული „წელ-ი“ მოჩანს, რომელიც მეორე ფუძეში რედუცირების, ანუ ხმოვნის დაკარგვის, ნიადაგზეა დავიწროებული [წლ], ხოლო პირველი ნაწილი თანხმოდანმოკვეცილი გამოიყურება. ერთი სიტყვით, ენობრივი დეფექტი სახეზეა -- ისტორიულ ვარიანტებად **წელ-წელ-ობა** → **წელ-წლ-ობა**, შემდეგ კი რეგრესული ასიმილაციის წყალობით **წა[ლ]-წლ-ობა** უნდა ვივარაუდოთ და, რა თქმა უნდა, მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის ერთი ნახევარწრის მეორე ნახევარწრესთან გატოლების ის ფაქტი ამოვიკითხოთ, რომელსაც სხვაგვარად „ბუნობა“ ეწოდება. ამასთან არ გამოვრიცხავთ, რომ **ლექსემა წელწლობა უძველესი პერიოდის ენაში „ახალწლის“ აღმნიშვნელ სიტყვათერთეულსაც წარმოადგენდა**. თითქმის ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ტერმინ „სწორფრობის“ შემთხვევაში. ჩვენი აზრით, ეს ტერმინიც ასტრალური მნიშვნელობისაა და აქაც ნაგულისხმებია, რომ ორი ტოლი ნახევარწრე ერთმანეთთან შესაბამისობაში („შესაფერისობაში“) მოდის, ანუ სწორთა თანაფარდობა ხდება - დღე ღამეს უტოლდება!

ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული მოსაზრების პირდაპირი დადასტურება ბიზანტიურ წყაროებში მოცემული ცნობა უნდა იყოს. ევსევი კესარიელი [III ს.] „ამადონების“ შესახებ შენიშნავს: „...ამადონებს კი არც ერთს ქმარი არა ჰყავს; ისინი, მსგავსად ცხოველებისა, **წელიწადში ერთხელ, გაზაფხულის ბუნობის დროს**, სტოვებენ თავიანთ საზღვრებს, და შეეუღლებიან ხოლმე მეზობლებს, რომლებიც ამას **ერთგვარ დღესასწაულად თვლიან**“ (ევსევი კესარიელი, 1961: 28); წყაროთა მონაცემზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ამადონების ტომი მხოლოდ ქალებისაგან შედგებოდა, „ეს ქალები მამაცი მეომრები იყვნენ. ისინი ცხოვრობდნენ მდ. თერმოდონტთან, შავი ზღვის სამხრეთით, აგრეთვე - იბერიელთა მეზობლად პომპეუსის ლაშქრობის დროს“ (ყაუხჩიშვილი 1959: 254). გაცილებით ადრეული წყარო, კერძოდ, არგონავტიკაც ადასტურებს ამადონელთა სახლობას მდ. თერმოდონტისა და ქართველური ტომების -- ხალიბების, ტიბარენების, მოსინიკთა და სხვათა გვერდით.

⁴⁵ შენიშვნა: თავისუფალ სვანეთაგ ე. თაყაიშვილის მითითებით 7 საზოგადოება იწოდება. ესენი არიან: უშგულის, კალის, ივარის, მულახის, მესტიის, ლენჯერისა და ლატალის (თაყაიშვილი, 1913: 2;4).

ისტორიულ ცნობას ამჟამინათ მიერ ბუნობის დღესასწაულზე მონაწილეობის შესახებ გაიმეორებს IV საუკუნის ბიზანტიელი ავტორი - კესარიოს ნაზიანზელი: „[ამჟამინები] წელიწადში ერთხელ, გაზაფხულის ბუნობის დროს, საზღვარზე გადადიან და ეულლებიან მეზობელ მამაკაცებს და ამ კავშირის დრო მიაჩნიათ რაღაც ზეიმად და დღესასწაულად“ (კესარიოს ნაზიანზელი, 1959: 36). ვინ იგულისხმებთან „მეზობელ მამაკაცებში“ და რომელ საზღვრებს გადადიან მეომარი ქალები, თუ არა იბერიისა და, ზოგადად, პონტოს სამეფოსას, რომელთა შორის უპირველესად ქართველური ტომები მოიაზრება? „ბუნობის“ საგაზაფხულო დღესასწაული, რომლის დროსაც ქალ-მამაკაცთა სქესობრივი აღრევა ხდებოდა, ჩანს, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მართლაც წარმოადგენდა წარმართული რელიგიური ყოფის შემადგენელ უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

ამრიგად, საისტორიო წყაროები ცხადყოფს, რომ უძველესი რელიგიური წარმოდგენებით, საგაზაფხულო ბუნობა იბერიისა და მის მახლობელ ტერიტორიებზე უდიდეს დღესასწაულად, „რაღაც ზეიმად“ მიიჩნეოდა; ჩვენი აზრით კი, ის სავარაუდოდ, პირდაპირ უკავშირდება ბოლო ხანებამდე საქართველოს მთაში დაცულ „წაწლობისა“ და „სწორფრობის“ ტრადიციას. ტერმინთა როგორც სემანტიკური, ისე ფორმოზრივი აგებულება [*წელ-წელ-ობა], ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ უძველესი კალენდარული სისტემის (იგულისხმება ორწევროვანი სისტემა - ზაფხული, ზამთარი) ასახვაა, ხოლო თავად ტრადიცია - საუკუნეების სიღრმიდან ამოტანილი უკვე სახეცვლილი, მნიშვნელოვნად დეფორმირებული წარმართობა.

ლიტერატურა:

1. **ბალიაური 1998:** ბალიაური ნ., სწორფრობა ხევსურეთში, წიგნში: „ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა (შეადგინეს და ლექსიკონი დაურთეს ნ. კოტეტიშვილმა და გ. ხორნაულმა), თბილისი, 1998, გამომც. „ინტელექტი“.
2. **ვესევი კესარიელი 1961:** ვესევი კესარიელი, ამჟამინები, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, კრებულში: „გეორგიკა“. ტ.1, თბილისი, 1961, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.
3. **თაყაიშვილი 1913:** თაყაიშვილი ე., ძველი საქართველო (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული), ტ. 2, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით [განყოფილება მესამე, სალექსიკონო და საისტორიო მასალანი], ტფილისი, 1913, ელექტრო მბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა.
4. **კესარიოს ნაზიანზელი 1961:** კესარიოს ნაზიანზელი, ამჟამინები, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, კრებულში: „გეორგიკა“. ტ.1, თბილისი, 1961, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.
5. **კიკნაძე 2008:** კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბილისი, 2008, თსუ გამომცემლობა.
6. **მაკალათია 1998:** მაკალათია ს., ფშავური წაწლობა, წიგნში: „ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა (შეადგინეს და ლექსიკონი დაურთეს ნ. კოტეტიშვილმა და გ. ხორნაულმა), თბილისი, 1998, გამომც. „ინტელექტი“.
7. **ყაუხჩიშვილი 1961:** ყაუხჩიშვილი ს., ლექსიკონი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. 2, თბ., 1959, გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
8. **ყუბანიშვილი 1946:** ყუბანიშვილი სოლ., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია (შედგენილი სოლ. ყუბანიშვილის მიერ), თბილისი, 1946, თსუ გამომცემლობა.

ON HISTORICAL UNDERSTANDING OF TWO LEXEMES (“TSATSLOBA” AND “STORFROBA”)

Inga Sanikidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

RESUME

In the process of study of the Georgian culture the greatest value is given to any plast which represents the various aspects of thinking in diachrony. One of such extremely interesting layers is created several marks transformed into its modern improvisations, expressing the heathen way of life. For such ones we consider a tradition of Pshavian “Tsatsloba” and Khevsurian “Sworfroba”, which by their origin should be a live pattern of the oldest religious performances and old calendar as well and not the ceremonies-habits of the Georgians, locked in local areal, of the mountaineers. In particular, we consider that the equinox – a visible astronomic observation of **equality (sworeba) of day and night** – is the basis of the terms: “tsatsloba” and “storfroba”. In the word “Tsatsloba” there is seen the double-rooted “Tsel-i” which in the second root is narrowed on the basis of reduction, e.i. losing of the vowel [tsl], and as a historical version *[tsel-tsel-oba -0] *[tsel-tsl-oba], and then thanks to regressive assimilation we should suppose the *[tsa[l] –tsl-oba]. Nearly with the same situation we deal in case of the term [storfroba]. In our opinion, this term is of astral meaning as well and here, to it is meant that two equal semicircle are in conformity to each other, e.i. there happens a correlation of equalities – the day is equal to night. Herewith we do not exclude that the lexeme *Tseltsloba in the language of the oldest period was the wordunit indicating the “New Year”.

საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან (გედევანიშვილები)

გიორგი სოსიაშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: georgisosiashvili@gmail.com

ქართულ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის გედევანიშვილთა გვარს მეტად საინტერესო ისტორია აქვს. აღნიშნული საგვარეულო ელიოზიშვილთა გვარს უკავშირდება. იოანე ბაგრატიონი ამის შესახებ წერს: „ამათნი წინაპარნი (იგულისხმება ელიოზიშვილთა გვარი – გ.ს.) არიან ურიასტანიდგან მოსრულნი და მცხეთის ქალაქსა შინა მოსახლენი. ხოლო ამა ელიოზის შვილმან მღვდელმან ურიათამან აბიათარ მიიღო მეფის ხოსროიანისა მირიანისაგან ხარისხი აზნაურობისა, ოდეს ნათელ იღეს წმიდა ნინოსაგან მეფემან და სხვათა ქართველთა წელსა ქრისტეს აქეთ 317 და მღვდელ-მანცა აბიათარ და მაშინ იწოდნენ აზნაურად ელიოზისშვილებად საზოგადოთ. ხოლო ძმათა ამათთა შვილები იწოდნენ აბიათარის შვილებად, ელიოზისშვილებად და გედეონის შვილებად და არიან მოხსენებულ ტრაქტატსა შინაცა მეფისა ირაკლისაგან“ [იოანე ბატონიშვილი, 1997]. აბიათარ მღვდელი იხსენიება ქართლის ცხოვრებაშიც [ქართლის ცხოვრება, 1955]. აბიათარმა დიდი როლი შეასრულა მცხეთაში მცხოვრები ებრაელების გაქრისტიანების საქმეში [მამისთვალიშვილი, 1995]. აღსანიშნავია, რომ გედევანიშვილთა საგვარეულოში გავრცელებული იყო საკუთარი სახელი აბიათარი. ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გედევანიშვილთა წინაპარი ელიოზი მცხეთის ჯვარის მტვირთველი ყოფილა. ელიოზის ძის გედეონის შემდგომ ელიოზის შთამომავლები გედევანიშვილებად იწერებოდნენ. გვარის ასეთი სახით ტრანსფორმირება ხშირი იყო ფეოდალურ საქართველოში [ახუაშვილი, 1991]. სავარაუდოა, რომ ელიოზიძეების გედევანიშვილებად ჩამოყალიბება გედევან ელიოზისძის შემდეგ მოხდა. 1610 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია:

„...ჩუენ ქ “კზმან ზებედე... კითხვითა და ნებითა-დართულობითა მეფეთ-მეფის ლუარსაბისათა... გიბოძეთ თქუენ კათოლიკე ეკლესიისა (მცხეთის), ჯუარის მტვირთველსა ელიოზის ძეთა გედეონის შვილთა დავითს, როსებს, ქაიხოსროს, ერედვს გილაშვილი, გ”ი, მისი მამულითა (და სხვ. გლეხები) დაიწერა ქ”კს სუც ხელითა ორდუბეგიშვილის ქრისტეფორისათა“ [ქორდანი, 1898]. აღსანიშნავია, რომ ელიოზიძეები მანამდეც მცხეთის ეკლესიის საბუთების დამწერად და ჯვარისმტვირთველად იხსენიებიან დოკუმენტებში. მაგ. 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში და 1454 წლის კულუხის გამოსაღების წიგნში იხსენიება ჯვარისმტვირთველი ელიოზ ელიოზისძე [მამისთვალიშვილი, 1995].

ისტორიკოსი ე. მამისთვალიშვილი ელიოზიძე-გედევანიშვილთა საგვარეულოების შესახებ წერს: „XVI ს. II ნახევარში ელიოზისძეთა გვარს გედევანიშვილების ცალკე შტო გამოეყო. ეს მოხდა შემდეგნაირად: ელიოზ ელიოზისძე და გედეონ გულბადიშვილი ელიოზისძე ორ სახლად გაიყარნენ. ელიოზ ელიოზის ძის შთამომავლობამ მიიღო ელიოზიშვილის გვარი, ხოლო გედეონ ელიოზისძისამ გედევანიშვილისა. ეს ორი სახლი შემდგომ საუკუნეებში დამოუკიდებელ ორ საგვარეულოდ იქცა – ელიოზიშვილებისა და გედევანიშვილების [მამისთვალიშვილი, 1995].

„ჯვარის მტვირთველობა ელიოზ ელიოზისძის შემდგომ გედევანიშვილთა ხელში გადავიდა. ელიოზის ძე – გედევანიშვილებს ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღოდათ. კათალიკოზ-პატრიარქ ზაქარიას მიერ გედევანიშვილებს: დავითს, გაბრიელს, როსებს, პეტრეს, გიორგის, აბიათარს და პაპუნას ქორდში მამულები ებოძათ. მათ შორის: “კუამლი კაცი ათი... ირემა ბექნიაშვილი, და გამიხარდა, მუჭაური, ბალულაძე დათი, არჩვაძე მამუკა... აფხაზაშვილი ნადირა, ხევსური საგინა, ჩუბინაშვილი ფრიდონა“ [ქართული სამართლის ძეგლები, 1970]. XVII საუკუნის 30-იან წლებში გედევანიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელი გაბრიელ გედევანიშვილი საკათალიკოსო ჯარის უფროსად იხსენიება.

გაბრიელ გედევანიშვილი კათალიკოზ-პატრიარქ ზებედეს წყალობის წიგნში მოხსენიებული გედეონის შვილია, სწორედ მას გადაეცა ქორდი სამეფო ხელისუფლებისაგან, რასაც ასახავს ერთ-ერთი დოკუმენტი:

„ვითარმედ წილხდომილ ვიქმენით ჩვენ ქართველნი დედოფლისა მის ღ”თის მშობლისა ჩვენ შენ მიერ მტერთა ზედა წინაღმდგომთა ძლიერმან... შანშა და შარვანშა, ყოვლისა აღმოსავლეთისა მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან პატრონმა როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან... მარიამ და პირმშომან და სასურველ-საწადელთა ძეთა ჩვენთა პატრონმან ლუარსაბ და ძეთა ჩვენთა

თანამეცხედრემან პატრონმან თამარ და ძემან მათმან პატრონმან გიორგი, შემოგწირეთ ესე შემოსაწირავი სოფელი ქორდი თქვენ სვეტიცხოველსა, კვართსა საყდარსა, მას ჟამსა ოდეს ჩვენსა მამა-პაპათა ლიახვის პირას სოფელი ქორდი შემოეწირა ყოველსა კაცისაგან მოუდევარ მოუსარჩლელო მათით ბარამდე, ასე რომ ძველთაგანაცა შემოგწირვოდა თქვენ სვეტსა ცხოველსა ღვთივ აღმასრულებელსა კვართსა საუფლოსა და მირონს ღვთივ მყოფელსა და მას ბინა საჭეთ მპყრობელსა პატრიარქს კათალიკოზსა პატრონსა ქრისტეფორე ასრე რომე ჩვენი ნებადართულობითა და ბრძანებითა დიასამიძეს კათალიკოზს გედევანიშვილს გაბრიელს და მისთა ძმისწულთა პაპუნასათვის და ქაიხოსროსათვის და შვილთა და მომავალთათვის ებოძებინა. ამაღ რომე მათის საქონელითა და საფასითა, მრავალი ეყიდათ და ჩვენისავე ბრძანებით ეს ჩვენი შეწირული სოფელი ქორდი მისდა სანაცვლოდ კათალიკოზს ებოძებინა.

აწე ავისა და ცუდის კაცისაგან სხვაგვარად გაგვესინჯა, რომე ხუთი ექუსი ადგილი შეწირული არ არისო და ტყვილად უჭირავს და ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულმოდგინეთ და ვჰქენით მოკითხული და ბატონის პაპის ჩვენისა და ბატონის ბიძის შეწირულობის წიგნიც გინახეთ და ჩვენცა ჩვენათ სადღეგრძელოთ და მეფობის, ჩვენისა წარსამართებლად და სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ ჩვენცა ხელახლა გკადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირე თქვენ ცათა მომბამავს სვეტსა ცხოველსა და მაზედან საჭეთ მპყრობელსა კათალიკოზს სოფელი ქორდი ერთობით, ასრე რომე ბადაშვილებს გარდა ის ისრევე ხელშეუხებლად და ყოვლის კაცისაგან უცილობლად დაგიმკვიდრეთ ჩვენგან შემოწირული ქორდი და გიბოძეთ თქვენ ჩვენის სასაფლაოს ჯარის უფროსს გედეონისშვილს ბატონს გაბრიელს და ძმისწულსა შენსა პაპუნასა და ქაიხოსროს და შვილთა მათთა გიორგის და დავითს და მომავალთა სახლისა შენისათა და გიბოძეთ სოფელი ქორდი, ყოვლის მისის სამართლიანითა მზღურითა, მითითა, ბართითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ჭალითა, საწყლისპიროთა, სათიბრითა და უთიბრითა, ქვევრმარნითა, სახლითა და ეკლესიითა და ყოვლის მისის სამართლიანითა მზღურითა, ზემოთ დიცურის რუმდი, იმას ჩამოსწორ ქვა-კირიას ფონამდე, ისრე ჩატანებით ტირმნისის რუმდი, თერგვისის სამძღურამდე, კიდევ მოკარგულს რუს აქეთ ჩამოტანებით ჭალითა, ველითა და წყლითა ესე ყოვლითურთ შემოგვიწირავს და შენთვი სამკვიდროდ და საბოლოოდ გვიბოძებია საფიცრითა“ [ქორდანია, 1898]. ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ როსტომ ქართლის მეფის (1632-1658) პერიოდიდან ქორდი გედევანიშვილებს სამკვიდრო მამულად ებოძათ.

როგორც ვნახეთ, დოკუმენტში გაბრიელ გედევანიშვილი ჯარის უფროსად იხსენიება, აქედან მოყოლებული საკათალიკოსო ჯარის სარდლობა გედევანიშვილებში მემკვიდრეობით გადადიოდა.

1694 წელს შედგენილ ნიკოლოზ კათალიკოზის “წყალობის წიგნში” სარდლად მოიხსენიება გიორგი გედევანიშვილი, კათალიკოზ-პატრიარქმა მას უბოძა ქორდში მცხოვრები ბადაშვილების მამული.

„ბადაშვილის მამული ამ წესით გიბოძეთ, რომ საყდრის ყმა იყო და ბევრის კაცის კვლასა და ტყვის გასყიდვაში გაერთვა და გათათრდა და ჩვენგანაცა საწყენო იყო და საყდრის შემცოდევ იყო; ასე წავიდა ის და დაიკარგა. და იმისი მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყო სულუკლებლივ თქვენ გიბოძეთ მითითა, ბართითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, საკაფითა სასხლითა და სასაფლაოთი, ქვევრითა და მარანითა, მისის სამართლიანის მძღვრითა“ [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

ქორდის გარდა, გედევანიშვილები ფლობდნენ სხვა მამულებსაც, რაც ეკლესიის წინაშე მათი დამსახურების შედეგი იყო. 1783 წ. ერთი საბუთით, რომელსაც ჰქვია არზა გედევანიშვილისა ღალის თაობაზე, ირკვევა, რომ გედევანიშვილებს ყმები ჰყავდათ სოფელ გოროვანში [ქართული სამართლის ძეგლები, 1979].

მცხეთაში გედევანიშვილების კუთვნილება იყო საფიჩხულები, რაც მათ შორის დავის საგანი ყოფილა [ქართული სამართლის ძეგლები, 1979].

1788 წლის ერთი დოკუმენტით ირკვევა, რომ გედევანიშვილები მამულებს ფლობდნენ ალაიანშიც.

ამას ასახავს ალაიანელების საჩივარი, სადაც ისინი აზნაურ გედევანიშვილების მიერ მათ შევიწროებაზე საუბრობენ [ქართული სამართლის ძეგლები, 1979].

XVIII საუკუნის II ნახევარში გედევანიშვილებს ყმები ჰყოლიათ სასხორსა და მუხათგვერდში [8; 207]. ანტონ I კათალიკოსს გაბრიელ გედევანიშვილისათვის მუხათგვერდელი ივანეს ნაცვლად მიუცია ყმა – ბადაშვილი: „თქვენი მკვიდრი ყმა ყოფილიყო ძველთაგან მუხათგვერდელი ივანე: ჩვენ ის გამოგართვით და სვეტს ცხოველს შეეწირეთ და ამის სანაცვლოდ ბადაშვილი ჩვენი ყმა მემკვიდრე გიბოძეთ“ [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

როგორც აღვნიშნეთ, გედევანიშვილები მემკვიდრეობით ფლობდნენ საკათალიკოსო ჯარის სარდლობას.

1696 წ. ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება სარდალი გიორგი გედევანიშვილი [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

1713 წ. სარდლობა გადაცემული აქვს ზაზა გედევანიშვილს [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

1764 წლის საბუთში მოიხსენიება სარდალი გოგია გედევანიშვილი [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

ერეკლე II-ის დროს სარდალად მოიხსენიება ბეცია გედევანიშვილი [ქართული სამართლის ძეგლები, 1970], რომელიც ერთი პერიოდი იასაულიც ყოფილა [ქართული სამართლის ძეგლები, 1979].

ბეცია გედევანიშვილს ერეკლე II-სგან ევალებოდა მებატონეებს შორის ყმა-მამულეებზე ატეხილ დავაში ჩარევა და გადაწყვეტილების მიღება [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

გედევანიშვილების, როგორც სვეტიცხოვლის საკათალიკოსო საყდრის ჯვარისმტვირთველთა შთამომავლების დამსახურება ეკლესიის წინაშე აღინიშნებოდა ეკლესიის მესვეურთა მხრიდან სხვადასხვა პრივილეგიის ბოძებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია შიო გედევანიშვილის მოღვაწეობა, რომელიც რუსეთში გადასახლებულ ანტონ I კათალიკოსს წლების განმავლობაში თან ახლდა, ამ დამსახურების გამო ანტონ I-მა მას მინაზისობა და მოლარეთუხუცესობა ჩააბარა [ქართული სამართლის ძეგლები, 1970]. მანამდე ამ სახელოს პაატა გედევანიშვილი ფლობდა.

ანტონ I კათალიკოსის დროს ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის გიორგი გედევანიშვილს ებოძა “ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა”.

“ესე უკუნისამდე ჟამთა და დროითა გამოსადეგი მტკიცე და უცვლელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გედეონისშვილს გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენის ეკლესიის ყმების ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა, რომელიც შეგემლოს უნდა მოუარო და ეკლესიას იმათი თავი არ დაუკარგო და რიგიანად, რომელიც იმათ გეწყობოდეს, ისე გვემსახურო. და თუ ურჩნი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი ოქმიც გებოძება. და ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენსა ერთგულებისა შინა” [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

ამ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ გიორგი გედევანიშვილს ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურება და ღვაწლი მიუძღოდა. რაც შეეხება, ცნობაში ნახსენებ ბადაანსა და ხოდელს, რადგან აქ ოსურ მოსახლეობაზეა საუბარი, შესაძლოა, ეს სოფლები იყო პატარა დასახლებანი, არ არის გამორიცხული, რომ ბადაანი უკავშირდებოდეს ბადაშვილების გვარსაც, რომელიც სოფელ ქორდაში ცხოვრობს. საინტერესოა, რომ ბადაანი, როგორც ნასოფლარი, მოიხსენიება 1687 წელს ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლისადმი შეწირულების წიგნში [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

ზემოთ წარმოდგენილ საბუთში საუბარია ბადაანში და ხოდელში მცხოვრები ოსების შენარჩუნებაზე და მათ მოსალოდნელ ურჩობაზე. ეს ცხადყოფს, რომ ჩრდილოეთიდან ახლად ჩამოსახლებულ ოსებთან ურთიერთობა, არა მარტო სამეფო ხელისუფლებას, არამედ ეკლესიასაც უჭირდა.

1783 წელს ერეკლე II პოტიომკინს წერდა:

„აქეთის მთის ოსნი ჩვენ ქვეყნებში ქურდობდნენ, კაცებს ატყვევებდნენ და ჩერქეზეთში ჰყიდდნენ“. ოსები გულგრილნი იყვნენ ეკლესიის მიმართაც, რადგან მათი ჩამოსახლება XVIII საუკუნეში ახალი დაწყებული იყო და ოსები ქრისტიანული სარწმუნოებისაგან შორს იყვნენ.

ერთ-ერთ საბუთში, რომელიც შედგენილია 1797 წელს დავით ელიოზიშვილის მიერ დარეჯან დედოფლისადმი, ჩანს, როგორ იყენებდნენ ერთიმეორის დასარბევად სათავადო სახლის წევრები ოსთა რაზმებს, რომლებიც ქართლში დათარეშობდნენ [სოსიაშვილი, 2005]. ერეკლე II ოსების მიმართ სიმკაცრეს იჩენდა: „რაც ოსები ხართ, ყველამ გაიგონეთ! თქვენი სიავკაცე ქართლში დიად გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთ...“ [კეკელია, 1991].

ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტში ნახსენები ოსური ბადაანი და ხოდელი შესაძლებელია პატარა ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილიდან ჩამოსული ოსების საცხოვრებელი იყო. XIX საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობის მთიანი ნაწილიდან ოსები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. როგორც ისტორიკოსი რ. თოფჩიშვილი მიუთითებს, პატარა ლიახველი ოსები ძირითადად განსახლდნენ შიდა ქართლის ბარის შემდეგ სოფლებში: მერეთი, ქვეში, ქსუისი, ფლავი, კარალეთი, ფლავისმანი, სამწევრისი, დიცი, კარბი, ქორდი [ოთინაშვილი, 2001].

1755 წელს ანტონ I კათალიკოზს გაბრიელ გედევანიშვილისათვის აშენდის მოურავობა უბოძებია [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

საეკლესიო სოფლების მოურავობა გედევანიშვილისათვის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. 1799 წლის ერთ-ერთ დოკუმენტით ვიგებთ, რომ გედევანიშვილები იყვნენ დისევის მოურავები, რაც ერთი პერიოდი ჩამორთმეული ჰქონდათ, თუმცა ანტონ II კათალიკოსის ისევ განუახლებია.

„ჩუენც ვისმინეთ ვედრებით თხოვნა თქვენი და აწ მეორედ განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ დისევის მოურავობა“ [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

აღსანიშნავია, რომ სოფელი დისევი ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასაწყისში შეუწირავს ქართლის მეფეს დავით X-ს სვეტიცხოვლისათვის [ბერძენიშვილი, 1953], დისევის მოურავები გედევანიშვილები ანტონ II-ის შემდეგ იყვნენ, რასაც ადასტურებს ერთ-ერთი სიგელი, რომელიც ებოძათ სარდალ იოანე გედევანიშვილს, მის ძმისწულს – ერასტის, გედეონს და მის შვილებს დავითსა და ვახტანგს [ქართული სამართლის ძეგლები, 1974].

სოფელ ქორდში დამკვიდრებული გედევანიშვილები ყმა-მამულის დასაკუთრების მიზნით ხშირად ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ, რაც საგვარეულოს წევრებს შორის ხანგრძლივი დავის საფუძველი ხდებოდა.

ამას ადასტურებს „განჩინება იოსებ და ბეცია გედევანიშვილების ყმის საქმეზე“. დოკუმენტი 1783 წელს არის შედგენილი და ჩანს, რომ იოსები და ბეცია დაობდნენ ქორდში მცხოვრები გლეხის – ბერუა ირემასშვილის დაუფლებისათვის. ეს დავა ბეცია გედევანიშვილის სასარგებლოდ გადაწყვეტილა [სოსიაშვილი, 2007].

გედევანიშვილთა დავას ასახავს აგრეთვე ერთი განჩინება, სადაც ჩანს, რომ იოანე გედევანიშვილი (სარდალი) უჩიოდა შოშიას და მის ძმას ბეციას „ქორდში ჩემ წილ ღალას ესენი იღებენ, საფიჩხულეს არ მადგმევენებენო“ [სოსიაშვილი, 2007].

ასეთი დავა ყოფილა 1786 წელს გოგია და იოსებ გედევანიშვილებს შორის, ამ დავაში პატრიარქის ნებით ბეჟან ამილახვარი ჩარეულა [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

შოშია და ბეცია გედევანიშვილებს ქორდის მამულების თაობაზე დაპირისპირება ჰქონდათ ბელოთელ გლეხებთან – გიორგი ფისაძესთან და ბერი ჩიფჩიურთან.

ამ დაპირისპირების მიზეზი ყოფილა შემდეგი გარემოება: ქორდში ვენახებს ფლობდნენ ზემოთ აღნიშნული ბელოთელი გლეხები, რომლებსაც მიწაზე ედავებოდნენ გედევანიშვილები, დავა შემდეგნაირად გადაწყდა: ფისაძესა და ჩიფჩიურს მამულები მიეცათ, ოღონდ იმ პირობით, რომ ეკლესიისათვის გადასახადი გადაეხადათ კულუხის სახით [სოსიაშვილი, 2007].

1782 წლის ერთი დოკუმენტით ვიგებთ, რომ იოსებ გედევანიშვილი უჩიოდა ბეცია გედევანიშვილს ქორდში მცხოვრებ ორ კომლ ირემასშვილზე: „იოსებ გედევანიშვილი ერეკლე II სთხოვს: „შეღონებული და შეწუხებული გახლავარ. თუ ჰქონდა საწინააღმდეგო საბუთი აქამდე რომ მოიტანდაო“ [ქართული სამართლის ძეგლები, 1979]. ერეკლე II ბრძანებს, რომ დავა იმ სადამოყვე სამართლიანად გადაეწყვიტათ.

ასეთივე ხასიათისაა არზა გედევანიშვილთა ყმების თაობაზე, რომელიც 1768 წლით თარიღდება. ამ დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ გლახა გედევანიშვილი უჩივის თავის ძმას როსტომს სამი კომლი გლეხის გამო, რომლებიც სასამართლოს მისთვის მიუკუთვნებია, თუმცა მოპირისპირე მხარე ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და ერეკლე II-მ თავის მოხელეს გოგია თუხარელს დაავალა ამ დავის მოგვარება [ქართული სამართლის ძეგლები, 1979].

1791 წელს გედევანიშვილთა შორის დავა მომხდარა „ლომაურ გოგიაზე, ბერუაზე და მის ძმებზე“.

ეს დავა, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ფიცს უნდა გადაეწყვიტა, რადგან ვერც ერთმა მხარემ (იგულისხმებიან გედევანიშვილები) კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

1783 წელს შედგენილ კათალიკოსის სახასო და სააზნაურიშვილო გლეხების დავთრის მიხედვით გედევანიშვილთა ყმებიდან ქორდში დასახელებულია:

- “გედევანიშვილის შოშიას ყმა ბურნაძე შიო,
- ამისავე მახათაძე მღვდელი იოანე,
- ამისავე ლომოური ივანე,
- ამისავე ჯალაბაძე პაპუნა;
- ამისავე ჯალაბაძე გოგილა;
- აქავ გარსიძის გლახის ყმა კახიაშვილი რევაზა;
- გედევანიშვილის იოსების ყმა არჩვაძე ზაზუნა;
- გედევანიშვილის სარდლის ბეციას ყმა მარტყოფელი სვიმონა;
- ამისივე ლომოური გლახა;
- ამისავე ლაშაძე გლახა;

ამისივე რაზმამე დავითა;

ამისივე სვიმონიკა;

ამისივე ხევსური პაპუნა” [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

გედევანიშვილები ქორდში XX საუკუნის ბოლომდე ცხოვრობდნენ. გედევანიშვილთა საგვარეულო სამკალეს წარმოადგენდა ქორდის მთავარანგელოზის ტაძარი. იგი თარიღდება XVI-XVII ს-ით. ტაძარში შერმორჩენილია გედევანიშვილთა საფლავის ქვის წარწერები [ქართული სამართლის ძეგლები, 1970].

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი იოანე, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997. გვ. 71
2. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955. გვ. 116
3. მამისთვალისძევილი ე., ქართველ-ებრაელთა ისტორია, თბ., 1995. გვ. 153, 156, 159
4. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, თბ., 1991. გვ. 52
5. ჟორდანიას თ., ქრონიკები, ტ. II, თბ., 1898. გვ. 197, 466
6. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970. გვ. 393, 604, 839, 603, 695-699, 851, 101, 790, 857, 940, 592, 839, 981, 334, 90, 53
7. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1979. გვ. 594-595, 685, 774, 179, 573, 139
8. სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005. გვ. 142
9. კეკელია მ., ერეკლე II განჩინებანი სამაჩაბლოში ბოროტმოქმედების აღსაკვეთად, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №25, 1991. გვ. 1
10. ოთინაშვილი ნ., ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2001. გვ. 169
11. ბერძენიშვილი ნ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1953. გვ. 132
12. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1974. გვ. 146
13. სოსიაშვილი გ., პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (სოფ. ქორდი), თბ., 2007. გვ. 195, 544, 220
14. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1980.
15. თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN NOBLE SURNAMES (GEDEVANISHVILI)

Giorgi Sosiashvili, Gori Teaching University, Associate Professor

RESUME

The Gedevanishvilis have a very interesting history among the Georgian feudal families. Ioane Bagrationi relates Gedevanishvilis to a Jewish priest Abiatar living in Mtskheta. According to the documentary sources their surname is related to the Eliosidzes. The Eliozishvilis were the owners of Mtskheta monastery cross. Providing for Eliosidzes' merit feudal Gedevanishvilis were in charge of commander of Mtskheta army by Katholikos-Patriarch's blessing. They had been living in one of the villages (Kordi) of the Patara Liakhvi gorge since the xvii century. They had their own family cemetery at the same place as well. This family had slaves in other villages of Kartli except Kordi.

ოდიშის სამთავროს ურთიერთობა კაზაკებთან (XVII ს. პირველ ნახევარში)

ელდარ მამისთვალიშვილი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: eldarmamistvalishvili@rambler.ru

XVII საუკუნის პირველ ნახევარში შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე სერიოზულ სამხედრო ძალას ოსმალეთისადმი დაქვემდებარებული ყირიმის სახანო წარმოადგენდა, რომელიც რუსეთის სამხრეთ რაიონებზე განუწყვეტელ თავდასხმებს აწყობდა. ოსმალეთისთვის კი ასეთივე ამოხრებელ ძალას დონისა და დნეპრის კაზაკები წარმოადგენდნენ. თუ ყირიმელი თათრები რუსეთს უქმნიდნენ პრობლემებს, ასეთნაირად მოქმედებდნენ კაზაკები ოსმალეთის მიმართ. იმავე დროს ოსმალეთსა და რუსეთს საერთო მტერი ჰყავდათ პოლონეთის სახით.

მოცემულ პერიოდში, საერთაშორისო პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, საქართველოს შავი ზღვისპირა სამთავროებს ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. მათს ამგვარ მნიშვნელობას ითვალისწინებდა შაჰის კარი. ირანი ტრაპიზონზე გამავალ ევროპასთან დამაკავშირებელ გზას მაშინ მოსწყდა, როდესაც ოსმალეთმა გაანადგურა და დაიპყრო აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს სტრატეგიული და ეკონომიკური მოკავშირე ტრაპიზონის იმპერია. თუ ირანი მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს აღმოსავლეთ საქართველოში და ურთიერთობას მოაგვარებდა ოდიშისა და გურიის სამთავროებთან, მაშინ იგი ოსმალეთის გვერდის ავლით, ევროპასთან სავაჭრო კავშირსაც განახორციელებდა. იმის გარდა, რომ ოდიშისა და გურიის სამთავროებთან კავშირში ირანი იმერეთის სამეფოს ბლოკადას ახდენდა, ისინი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობით იმ სტრატეგიულ მნიშვნელობასაც იძენდნენ, რომ პერსპექტივაში, ოსმალებთან შერკინების დროს, მათი პორტების გამოყენება შეძლებოდა.

იმდროინდელი პოლიტიკოსები და სტრატეგები ვარაუდობდნენ, რომ რეჰ პოსპოლიტასა და რუსეთს მდინარე დნეპრის და დონის არტერიების გამოყენებითა და კაზაკების დახმარებით, გურიასა და ოდიშში შესაფერისი პლაცდარმების მოწყობის შემთხვევაში, ოსმალეთზე თავდასხმა გაუადვილდებოდათ, მაგრამ ამგვარი სტრატეგიული გეგმის განხორციელება იმ შემთხვევაში შეუძლებოდა, თუ დასახელებული სახელმწიფოები ოსმალეთთან ომისათვის მზად იქნებოდნენ. მანამდე კი, კაზაკების არაორგანიზებულ თავდასხმებს ოსმალეთის ქალაქებსა და გამაგრებულ ადგილებზე, მხოლოდ პოლიტიკური გართულებები მოსდევდა. ამიტომ, რეჰ პოსპოლიტასა და რუსეთს კაზაკების შეკავება და მათი გამოყენება მიზანმიმართულად უნდოდათ, მაგრამ ისინი კონტროლს არ ექვემდებარებოდნენ. მათი მცირე, მობილური საზღვაო რაზმები შიშის ზარს სცემდნენ შავი ზღვის სანაპიროების მოსახლეობას და სავაჭრო გემებს.

ამგვარად, კაზაკობა XVI-XVII საუკუნის პირველ ნახევარში, შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ოდიშისა და გურიის სამთავროების ოსმალეთთან ურთიერთობაზე, მათ ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, საინტერესო მოსაზრებები დაგვიტოვა პიეტრო დელა ვალემ. მისი თქმით, რადგან დასახელებული სამთავროები შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობენ, მათ ყოველთვის აქვთ ოსმალეთის ფლოტის თავდასხმის საშიშროება. მათი სამთავროებიდან ექსპორტის მთავარი საგანი აბრეშუმია და დიდ შემოსავალსაც იღებენ. რათა ზარალი არ განიცადონ, ისინი თავიანთ თავს სულთნის მეგობრებად და მასზე დამოკიდებულად აცხადებენ და საჩუქრებითა და მუდმივად პატივისცემის გამოხატვით იპოვებენ მშვიდობიან და წყნარ ცხოვრებას. ისინი თავისუფლებას იმდენად უფრთხილდებიან, რომ თურქებს არასოდეს აძლევენ მათს ქვეყნებში შესვლის, არც იქ მბრძანებლობისა და არც სხვა ქვეყანაზე თავდასასხმელად თავიანთ სამთავროებში ჯარის გატარების უფლებას. პოლონელი კაზაკები, თურქების მტრები, მდ. დნეპრის შავ ზღვასთან შესართავთან ყურეში ცხოვრობენ, მათ ყოველ დღე დიდ ზარალს აყენებენ. გურულები და მეგრელები, რომლებიც არავითარ პატივს არ სცემენ თურქებს, თავიანთ ქვეყნებში კაზაკებს კეთილად მხოლოდ იმიტომ იღებენ, რომ ისინიც ქრისტიანები არიან (პიეტრო დელა ვალე 1879: #3, 56-57).

ცნობილია, გურიის მთავარმა მამია II-მ (1600-1625), ოდიშის მთავარ მანუჩარ დადიანთან (1590-1611) შეთანხმებით, ოსმალებს აჭარა წაართვა. ამის შემდეგ, როგორც პიეტრო დელა ვალე გადმოგვცემს, მათ „კაზაკებს კაცი გაუგზავნეს და თურქეთთან საომარი მიზნით თავიანთი ტერიტორია და კავშირი შესთავაზეს. აგრეთვე ოქროს პატარა ჯვრები გაუგზავნეს. კაზაკებმა დიდი კმაყოფილებით მიიღეს ეს საჩუქრები. ისინიც (კაზაკები) არა ერთხელ წასულან თავიანთი საზღვაო ფლოტით კოლხეთის

სანაპიროებისაკენ და ალერსიანი მასპინძლობა დახვედრიათ აქ. კაზაკები ამ მფლობელების სავაჭრო გემებსაც მფარველობდნენ ზღვაზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში მიმოდოდნენ. ამ პრინცმა (გურიელმა თუ დადიანმა) მისწერა კაზაკებს, თუ თვით კაზაკებმა მოიფიქრეს ამის თქმა მეძნელება, მაგრამ ის ნამდვილია, რომ კაზაკებმა სპარსელებთან შეთანხმება განიზრახეს. მათ კი ირანში მისვლა შეეძლოთ მხოლოდ ამ პრინციების სამფლობელოს მეშვეობით. ეს იცოდნენ კაზაკებმა და მათ ზღვით ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნეს. კაზაკების განზრახვა იყო დახმარება შეეთავაზებინათ ირანის მეფისათვის იმ ომში, რომელსაც ეს მეფე თურქეთის წინააღმდეგ გეგმავდა, იმ ვარაუდით, რომ ისინი მიიღებდნენ ნადავლს და უფლება ექნებოდათ გაემარცხათ ყველა ის ქალაქი, რომელსაც ისინი აიღებდნენ“ (ცინცაძე 1965: 57-58)

თუ როგორ სერიოზულად აღიქვამდნენ კაზაკების ქართველებთან მჭიდრო კავშირს ირანის შაჰის კარზე, ამის საინტერესო მაგალითს ვხვდებით ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში: იმერეთიდან გადმოსული ქართლის მეფე ლუარსაბ II შაჰ აბასთან გამოცხადდა. შაჰს იგი დიდ პატივში ჰყავდა, რაც გიორგი სააკაძეს არ მოსწონდა. „კიდევ მოვრავს ყენისათვის მოეხსენებინა, – გადმოგვცემს ფარსადან გორგიჯანიძე, – რადგან კახთ ბატონი თეიმურაზი ჩამოიყვანესო, ქართველნიც ეცდებიანო, რომ რუსები მოიყენონო და ხომალდი გამოუძახონო და მეფე ლუარსაბ ზღვით წაიყვანონო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 230). ამის შემდეგ ლუარსაბ მეფე გულაბის ციხეში გამოკეტეს. როგორც ჩანს, ქართველებსა და კაზაკებს შორის ურთიერთობა იმდენად სერიოზული იყო, რომ შაჰს შეიძლებოდა სააკაძის ნათქვამი სერიოზულად დაეჯერებინა. კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ მაშინ ირანში და, რა თქმა უნდა, საქართველოში, კაზაკებს ქართველების მოკავშირეებად იმდენად თვლიდნენ, რომ მათ ლუარსაბის დასახმარებლად ამგვარი გაბედული მოქმედების ჩადენა შეეძლოთ.

პიეტრო დელა ვალეს გვიან გაუგია: „ეს ორნი ხალხნი (გურულები და მეგრელები – ე.მ.) ერთმანეთს ემოყვრებიან; თვითონ პოლშის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, აქვს ამ მთავრებთან მიწერ-მოწერა. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში დადიან სავაჭრო ხომალდები. ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველებისათვის, რადგანაც ყაზახები დღეს შავის ზღვის ბატონები არიან და ბევრად ძლიერნი; პოლშის ხელმწიფეს შეუძლიან კიდევ ამ გზით, რომელიც ძლიერ მოკლეა, დიდად დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში, რომელსაც მათ მიაყენებენ ან სპარსელები, ან თურქები. ქართველებს თავის მხრით შეუძლიანთ მათის ნავსადგურებით და უსაშიშო თავშესაფარ ადგილებით, რომელნიც აქვსთ ზღვის ნაპირებზე, დიდად დაეხმარონ ყაზახებს მათ საქმეებში. ამით ქართველები ძლიერ გამოსადეგნი იქნებიან, თუ ჩვენ ოდესმე დიდი რამ საქმე დავიწყეთ, ზღვით ან ხმელეთით, ოსმალეთისა და განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ...“ (ტაბაღუა 1987: 126)

პიეტრო დელა ვალე, პერსპექტივაში, საქართველო-რეჟ პოსპოლიტის კავშირის განმტკიცების კვალობაზე, კაზაკებს გამორიცხავდა ამ ურთიერთობიდან. საქართველოსა და რომისათვის საინტერესო საკითხები მათი მონაწილეობის გარეშე მოგვარდებოდა. მოსალოდნელი იყო ოსმალეთისგან მკაცრად უარყოფითი რეაქცია საქართველო-რეჟ პოსპოლიტის კავშირის გამო, მაგრამ ქართველები თავს გაიმართლებდნენ იმით, რომ მათ შორის მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობა მყარდებოდა. დაიდებოდა ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც რეჟ პოსპოლიტის სავაჭრო გემებისათვის საქართველოს ნავსადგურები გაიღებოდა, ხოლო კაზაკების სამხედრო ხომალდებისათვის კი დაკეტილი იქნებოდა. ამგვარი ხელშეკრულება სულთნის კარს დაამშვიდებდა, მაგრამ იმავე დროს, გახმაურებული ხელშეკრულების თანადროულად, შეიძლებოდა დადებულყო საიდუმლო ხელშეკრულებაც, რომლის მიხედვითაც საქართველო-რეჟ პოსპოლიტის მეგობრული კავშირი გავრცელდებოდა ღია ზღვაზე და კაზაკებზეც.

ხელშეკრულების რეალურად გაფორმება-განხორციელებისათვის მისიონერებს საქართველოს მეფესთან უნდა ჰქონებოდათ ურთიერთობა, პაპთან კი დონ პიეტრო ავიტაბილეს (თამარაშვილი 1902: 148; ტაბაღუა 1987: 164-165).

ქართველების კაზაკებთან ურთიერთობის ერთი საინტერესო ცნობა დაგვიტოვა მისიონერმა ჯოვანი ჯულიანო და ლუკა. იგი, 1631 წლის ზაფხულში, სამეგრელოში იმყოფებოდა. ერთხელ, მთავარ ლევან II დადიანთან საუბრის დროს, წამოიჭრა დადიანის კაზაკებთან და ოსმალეთთან ურთიერთობის საკითხი. მთავარს მისიონერისათვის უკითხავს: როგორ მოეპყროს იმ 400 კაზაკს, რომლებიც თურქების სამხედრო გალერებიდან გაიქცნენ და მის სახელმწიფოში შეაფარეს თავი: აქციოს ისინი ტყვეებად და გაყიდოს, თუ დასაჯოს, რადგან მათ წარსულში არა ერთხელ გაუძარცვავთ მისი სამფლობელოები. გალერების თურქი კაპიტნები მოითხოვდნენ მათ დაბრუნებას.

დონ ჯოვანი ჯულიანო და ლუკა შენიშნავს, რომ მთავარს თურქებისა არ ეშინია, მაგრამ ისინი სჭირდება კომერციული მიზნებით: მათი საშუალებით იღებს მარილს, რკინას და სხვა აუცილებელ საქონელს. ამიტომ დადიანმა თურქებს მხოლოდ 48 კაზაკი დაუბრუნა (ალასანია 1978: 236; შენგელია 1979: 190-191), სხვები კი, სავარაუდოა, თავისთან დაიტოვა. დონ ჯოვანი ჯულიანო და ლუკას გადმოცემა

ოდის სამთავროში თავშეფარებული კაზაკების შესახებ, მაფიქრებინებს, რომ ლევან დადიანი კაზაკებს კვლავ იყენებდა ოსმალეთის ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზემოქმედებისათვის. დადიანს, კაზაკების საკითხზე იტალიელთან საუბრის წამოწყებით, ალბათ, იმის გაგება უნდოდა, როგორი რეაქცია ექნებოდა რომის პაპის წარმომადგენელს, პაპისა, რომელიც თავის ანტიოსმალურ ინტრიგებში კაზაკების გამოყენებასაც ცდილობდა. დიდიანმა მისიონერს ამ მაგალითით უჩვენა თავისი ძალა, რომ იგი ანგარიშს უწევდა ოსმალებს მხოლოდ კომერციული ინტრესებიდან გამომდინარე და იმავე დროს მას შეეძლო კაზაკებს მოპყრობოდა თავისი სურვილისა და სამთავროს ინტრესების მიხედვით.

ახალციხის ფაშის სტამბოლში გაგზავნილი მოხსენებით: „ჩილდირის (ახალციხის) ბეგის საფარის ცნობით, ირანი, დადიანი, გურიელი გაერთიანდნენ და 30 000-მდე ურწმუნო საქართველოს მოსახლეობა დადასტურდა, რომ დადიანისა და გურიელის მეშვეობით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპეზუნს საფრთხე ელოდებო. ამიტომ, აუცილებელია ხმელეთიდან ჯარისა და სამეფო ფლოტის გამოგზავნა, იმ მხარის დაცვა და დადიანისა და გურიის ვილაიეთების დარბევა“ (ევლია ჩელები 1973: I, 323).

კაზაკების შავ ზღვაში მოქმედებისა და მათდამი ქართველების დამოკიდებულების შესახებ საინტერესო, მაგრამ ბუნდოვანი ცნობები დაგვიტოვა თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ. მისი გადმოცემით 1647 წლის შემოდგომაზე კაზაკები მოულოდნელად თავს დაესხნენ გონიოს ციხეს და აიღეს ევლია ჩელები 1973: 323).

„მოგზაურობის წიგნის“ მთარგმნელმა და გამომცემელმა ვ. ფუთურიძემ გაიზიარა ევლია ჩელების კაზაკების მიერ გონიოს ციხის აღების თარიღი - 1647 წლის შემოდგომა (ევლია ჩელები 1973: II, 115). თარიღი დააზუსტა თ. ტივაძემ. მისი აზრით, კაზაკების მიერ გონიოს აღება, ოსმალეებისაგან მისი დაბრუნება და ამ ფაქტთან დაკავშირებული სხვა ამბები, რომლებზეც ევლია ჩელები მოგვითხრობს, მოხდა იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში (ტივაძე 1977: 77).

გონიოს ციხის ოსმალეების მიერ დაბრუნებასთან დაკავშირებულ ამბებში გასარკვევია ქართული სამეფო-სამთავროების პოზიცია და ოსმალეთთან და კაზაკებთან ურთიერთობის საკითხი.

როდესაც არზრუმის ფაშამ, სეიდი აჰმედმა, გონიოზე კაზაკების თავდასხმის შესახებ შეიტყო, სულთნის ბრძანებას არ დაელოდა და, საკუთარი ინიციატივით, გონიოსკენ გაემურა და გზადაგზა ჯარს კრებდა. „მოვიდა სამი ათასამდე ჩაცმულ-დახურული, შეიარაღებული თავითფეხებამდე ცისფერ რკინაში ჩამჯდარი, ხელშუბიანი, ქეპილანის ცხენიანი, გველუშაპივით [ვაჟკაცი] მეგრელი აზნაური, ათასამდე ქვეითი მეთოფე და ქართველი წარჩინებულები. ესენი გარეგნობით სხვადასხვა-ნაირი იყვნენ. ზოგი თმაგაწეწილი იყო, ზოგი თმახუჭუჭი. ორმოც-ორმოცდაათ წლისანებსაც კი წვერი გაპარსული ჰქონდათ და საოცარი გამო-მეტყველებისანი იყვნენ. ასე წარსდგნენ. კოჯა ყაზი სეიდის აჰმედ-ფაშამ დაუყვავა, ყოველ მათგანს აღთქმა მისცა და მიესიყვარულა (ევლია ჩელები 1973: 323)“.

ოსმალთა ჯარში სხვა ქართველებიც ყოფილან. გონიოსაკენ მიმავალ ოსმალებს „თორთუმის გზაზე“ შეხვედრილი სამეგრელოს და გურჯისტანის ქვეითი ჯარი შეუერთდა; სამეგრელოდან მეგრელოთა ერთი ნაწილი ლაზური „მენქისლა“ ნავებითაც მისულან. გონიოს ციხე უკვე აღებული იყო, როდესაც „სამხრობის ჟამს ზღვაში ორმოცი-ორმოცდაათი ლაზური „მენქისლა“ ნავი გამოჩნდა. რომ მოდიოდნენ, შიგ მყოფებმა დაინახეს, რომ ციხე მუჰამედის ხალხითაა სავსე და მის გარეთაც კარვებში ამდენი ოსმალთა მეომარია დაბანაკებული; ერთიმეორის მიყოლებით იწყეს ნავების უკან გაბრუნება. ესენი იყვნენ ურჩი აზნაურები, რომლებიც ციხეში [მყოფი] კაზაკების დასახმარებლად მოდიოდნენ... საღამომდე გაგრძელებული დიდი ბრძოლა შეიქნა. ორმოცდაშვიდი ნავი დაიპყრეს... ნავებში მყოფნი ტყედ ჩავარდნენ“. ოსმალეების დასახმარებლად მოვიდნენ ახალციხის ფაშა საფარი, იმერეთში მყოფი თეიმურაზ I-ის, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660) და ლევან II დადიანის ვაჟები 6 ათასი „გულადი ქართველი მეომრით“. ამის შემდეგ „მოსვლა იწყო სურსათმა გურჯისტანის, სამეგრელოს, ბათუმის, ლაზისტანის სანჯაყებიდან“ (ფუთურიძე 1973: I. 326-327). ვ. ფუთურიძის აზრით, დასახელებული მეფეები პირადად ეხმარებოდნენ ოსმალებს (ფუთურიძე 1975: II, 115).

გონიოში საქმეების მოგვარების შემდეგ სეიდი აჰმედ-ფაშამ თათბირი მოიწვია და განაცხადა: „ეს სამეგრელო ტრაპიზონის ვილაიეთის მბრძანებლობაშია და მაშინ, როდესაც საჭირო იყო ჩვენთვის მამველი ძალის გამოგზავნა, კაზაკებს დაუჭირეს მხარი და ფადიშაჰს განუდგნენ... ამდენი ათასი კაზაკი და მეგრელი ტყვე კი [სულთნის] ტახტს მივართვი, მაგრამ ახლა, როდესაც ეს დიდებულითა კრებული ამხედრებული ისლამის ჯარისა მზადაა, როგორ ვიძიოთ შური მეგრელ ურჯულოებზე... როგორც კი საქმის განხილვა დაიწყო, გურჯისტანის განმგებელმა საფარ-ფაშამაც მეგრელებისადმი თავისი სიძულვილის გამოსახატავად თქვა: „ისლამის ლაშქრის ქვეითი და ცხენოსანი ჯარი მეგრელებს შევუსიოთ. ჩვენი, ახალციხისა და გურჯისტანის გმირები მეგზურებად მივცეთ და საღვთო ომის ნადავლი მათაც გავუზიაროთ“ (ფუთურიძე 1973: I. 330). ამგვარად, გადაწყდა „მეგრელების“ აკლება.

როგორც ზემოთ ითქვა, ოსმალებს ოდიშის სამთავრო ჯარით ეხმარებოდა. მაშ ოსმალებს ვისზე უნდა ემიათ შური? ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ევლია ჩელები მეგრელებში გურულებს გულისხმობს (სურგულაძე 1975: 38). ვფიქრობ სრულიად სარწმუნოდ გამოიკვლია თ. ტივაძემ, რომ კაზაკებს ეხმარებოდნენ არა მეგრელები, არამედ ჭანეთ-ლაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილი (ტივაძე 1977: 77).

ციხის აღების ფაქტი გვიჩვენებს, როგორ რადიკალურად შეიცვალა ქართველი მეფე-მთავრების დამოკიდებულება კაზაკებისადმი, როგორც ანტიოსმალური ძალისადმი. მაგრამ მაინც მგონია გასარკვევია, ამ დროს რამდენად აქტიურად მონაწილეობდა ირანის მოკავშირე ოდიშის სამთავრო, ოსმალეთის სამხედრო აქციაში. ხომ არ ურევია ოდიშის მთავრის ხელი ჭანებ-ლაზეთის ანტიოსმალურ გამოსვლაში? რატომ ეძახის ევლია ჩელები ჭანებსა და ლაზებს მეგრელებს? სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხი არ არის.

XVII ს. 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც დაპირისპირებულნი იყვნენ ლევან დადიანთან, სცადეს კაზაკები გამოეყენებინათ ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ. ამის შესახებ ალექსანდრე III რუსეთის ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძეს სთხოვდა 1651 წელს (ნიკიფორე ტოლოჩანოვი 1970: 140-141).

ასეთივე თხოვნას ვნახულობთ ალექსანდრე იმერთა მეფის 1651 წლის 14 სექტემბრის იმ წერილში, რომელიც შედგენილი იყო ქართველი ელჩების მოსკოვში სახელმძღვანელოდ (Переписка, 1861: 66-67). იგივე თხოვნა გამეორებულია იმავე მეფის მიერ მოსკოვში 1656 წელს გაგზავნილ სიგელში (პაიჭაძე 1970: 460).

დამოწმებანი:

1. ალასანია გ., ქათბო ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ. 1978
2. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურაძემ, ნაკვ. I, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973
3. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურაძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973
4. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფ., 1902
5. მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპ ურბან მერვისადმი, 1627 წ. თარგმანი იტალიურიდან ი. ჭყონიასი. „ივერია“, 1879, #3
6. ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1970
7. პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.). „საისტორიო მოამბე“, 23-24, თბ., 1970
8. სურგულაძე ა., საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ისტორიიდან (კაზაკები გონიოს ციხეში). კრებულში: „Из истории украинно-грузинских связей“, III, Тб., 1975
9. ტაბაღლა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633), თბ., 1987
10. ტივაძე თ., კაზაკების მიერ გონიოს ციხის აღებისა და ქართველებთან მათი ურთიერთობის შესახებ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, #1, თბ., 1977
11. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე, წ. II, 1925
12. შენგელია ნ., მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1979
13. ცინცაძე ი., მასალები რექ პოსპოლიტიისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII სს.), თბ. 1965
14. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1677 г., СПб, 1861

RELATION BETWEEN ODISHI PRINCIPLE AND COSSACKS (1ST HALF OF THE XVII CENTURY)

Eldar Mamistvalishvili, Gori Teaching University, Full Professor
RESUME

In the 1st half of the XVII century Cossacks were strong military forces in the Black Sea coast. Three great states – Iran, Russia and Rzeczpospolita opposed to Osmalia tried to use these forces for their own interests. One of the most important political units in the west Georgia – Odishi Principle considered to be depended on Osmalia, in order to influence on its sovereign tried to manipulate with Cossacks. On the other hand, Cossacks understanding strategic importance of Odishi Principle while attacking Osmalia, tried to have a positive relation with its sovereign.

The article deals with the criticism and analysis of new facts showing the relation between Odishi Principle and Cossacks.

IX-X საუკუნეების ლაპიდარული წარწერები ქსნის ხეობაში

დავით ახლოური, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

ახალგორის რაიონში, ისტორიული ქსნის საერისთავოს ტერიტორიაზე ადამიანი ნეოლითის ხანიდან მოყოლებული თითქმის უწყვეტად სახლობდა და თავისი წვლილი შეჰქონდა ქართული კულტურის განვითარებისა და აღმავლობის საქმეში. ამის დამადასტურებლად ადრეანტიკური ხანის უნიკალური ნიმუში, ახალგორის განძი, ყანჩაეთისა და ალევის სამაროვანზე აღმოჩენილი სხვადასხვა ხარისხისა და დანიშნულების ნივთებიც იკმარებდა (2:145).

ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარე 350 არქიტექტურული ძეგლიდან 8 მსოფლიო, ხოლო 45 რესპუბლიკური მნიშვნელობისაა (2:78).

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ახალგორის რაიონში მდებარე არმაზის, ცხვატისა და წირქოლის ეკლესიების უძველეს IX-X საუკუნეებით დათარიღებულ ლაპიდარულ წარწერებზე.

სოფელი არმაზი მდებარეობს მდინარე ლეხურას ხეობაში, სოფელ ყანჩაეთთან ახლოს, ახალგორიდან 14 კმ-ის დაშორებით (6:201). ქსნისა და ლეხურას ხეობებს ერთმანეთთან აერთებს უმოკლესი გზა, რომელიც სოფელ ყანჩაეთისა და არმაზის გავლით ზაყორში ჩადის (5:7).

არმაზის მახლობლად, ლეხურას სათავეში დგას ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალი ხანის (VII ს. II ნახევარი – X ს. I ნახევარი) ღირსშესანიშნავი ძეგლი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც თავისი უჩვეულო კომპოზიციით გამოირჩევა, გუმბათს ყელი არა აქვს და ტრომპების მეშვეობით გუმბათქვეშა კვადრატზეა დაყრდნობილი (10:201).

ეკლესიის სამხრეთის ფასადზე შემორჩენილია 864 წლის ახლო პერიოდით დათარიღებული ასომთავრული წარწერა, რომელსაც 1935 წლის ზაფხულში გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილმა ექსპედიციამ მიაკვლია ქსნის ხეობაში სადაზვერვო სამუშაოების შესრულების დროს.

არმაზელი მამასახლისის ოთხსტრიქონიანი რელიეფური სამშენებლო წარწერა ფასადის ცენტრში, კარნიზის ქვეშ ყვითელი ფერის ფორებიან ფილებზეა ამოტვიფრული და თითქმის მთლიანად ავსებს მათ ფართობს. ფილებს შემოვლებული აქვს რელიეფური ჩარჩო, საერთო ზომა – 135X42. გრაფემების სიმალლე 7-8 (8:167). „ტექსტი იკითხება ჯერ ერთ ფილაზე, შემდეგ – მეორეზე. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებული არაა. ქარაგმების ნიშნები არ ჩანს (შესაძლოა მოტეხილია)“ (8:167).

წარწერაში კვითხულობთ: +ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრ) თისათა, მე, გ(იორგ)ი არმაზ(ელ)მა მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ის)მან დ(ა)ვ(ი)წყე წ(მიდა)ი ევ(ლე)ს(ია)ი ქრ(ონი)კ(ონ)სა პდ, ხ(ე)ლმწ(ი)ფ(ოზა)სა გ(იორგ)ი(ს)ა (8:168).

წარწერაში მითითებულია ეკლესიის მშენებლობის დაწყების თარიღი 3დ (864). „ესაა უძველესი ქართული ნაგებობა, რომელსაც თარიღი უზის“ (4:637). აქედან გამომდინარე, ძეგლის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარები გ. ჩუბინაშვილი (17:9) რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე (16:17-20), ნ. შოშიაშვილი (8:167-168) არმაზელი მამასახლისის გიორგის სამშენებლო წარწერას 864 წლის ახლო პერიოდით ათარიღებენ.

არმაზელი მამასახლისის გიორგის გვერდით ძეგლში ნახსენებია მეორე გიორგიც, რომლის ხელმწიფობის დროსაც დაწყებულა ტაძრის მშენებლობა.

როგორც ცნობილია, IX-X საუკუნეებში ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის პირველობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ისტორიული ცენტრის – ქართლის დაკავებას... ხელიდან ხელში გადადიოდა ქსნის ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორია.

სავარაუდოდ, ძეგლში ნახსენები გიორგი, აფხაზთა (დასავლეთ საქართველო) მეფე გიორგი I აღწეველი (861-868) უნდა იყოს. აფხაზთა მეფეები აქტიურად ცდილობდნენ ქართლში გაბატონებას. გიორგი აღწეველიც მათ პოლიტიკას განაგრძობდა. მან შეძლო კიდევ მცირე ხნით ქართლის დაუფლება და იქ თავისი ძმიშვილის, დემეტრე II-ის ვაჟის გაერისთავება (1:159).

გიორგის მეფობის წლები ემთხვევა ტაძრის მშენებლობის დასრულებისა და წარწერის ამოკვეთის სავარაუდო თარიღს (864 წლის ახლო პერიოდი)...

X საუკუნით თარიღდება ცხავატის მაცხოვრის ეკლესიის ხელოსნის სულის მოსახსენებელი წარწერა.

სოფელი ცხავატი ახალგორის რაიონში, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს მდებარეობს, ახალგორიდან 20 კმ-ს დაშორებით, ლარგვისთან ახლოს (13:247). ცხავატი რამდენიმე უბნადაა დაყოფილი (იხ. 9:75). მაცხოვრის სახელობის ეკლესია ჩუმანთუბნის ჩრდილოეთ მხარეს აუგიათ.

ხელოსან ინა კალატოზის მოსახსენიებული წარწერა ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ქვის ფილაზეა ამოტვიფრული. ფილის ზომა – 93X31, წარწერის – 52X21. გრაფემების სიმადლე – 3-4. სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებული არაა, ქარაგმების ნიშნად გამოყენებულია განივი სწორი ხაზი, ზემოთ ახრილი ბოლოებით (8:191).

წარწერაში ვკითხულობთ: ქ. ხატო ღ(ვ)თ(ი)ს(ა)ო ა(დი)დ(ე)ნ ერი ცხავატი და ინა კალატ(ო)ზი ა(მი)ნ. შ(ე)იწყალ(ე) ნაფენაი (6:37-38). ნ. შოშიაშვილი სიტყვა „ღვთისაო“-ს ნაცვლად მიგვანიშნებს სიტყვას – „ღვთაებისაო“, ხოლო „ამინ“-ის ნაცვლად „ამენ“-ს (8:192). შედარებით განსხვავებული ვარიანტი შემოგვთავაზა ე. თაყაიშვილმა: „ქ. ხატო ღ-სთ ად-ნე (ე)რი ცხოვატილ... აი... დადვა“. (15:104).

ცხავატის მაცხოვრის ეკლესია ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი ხარჯებით, შემოწირულობებით აუგია, ცხრაზმის ერისთავისაგან დამოუკიდებლად, რაც ცხავატელთა ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებაზე მიგვანიშნებს (11:23).

957-967 წლებითაა დათარიღებული წირქოლის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამშენებლო წარწერა. სოფელი წირქოლი ახალგორის რაიონში, ხარულის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, ახალგორიდან 6 კმ-ის დაშორებით. იგი ერთ-ერთი უძველესი სოფელია შიდა ქართლში. ადამიანის ცხოვრების კვალი ქვედა პალეოლითიდან დასტურდება (14:332). ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი მას დაბის სახელწოდებით მოიხსენიებს. „ქსნის დასავლეთ კიდეა ზედა არს ციხე დაბასა წირქვას (3:359). „სოფელ წირქოლსა და მის მიდამოებში დღეს ისტორიისა და კულტურის 7 არქიტექტურული ძეგლია დაფიქსირებული (11:115). ვახუშტის მიერ ნახსენები წირქვალის ციხის მახლობლად დგას წირქვალის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალ ხანას (VII ს. II ნახევარი – X ს. I ნახევარი) მიეკუთვნება. გ. ჩუბინაშვილმა წირქოლის ეკლესია VIII საუკუნის მსოფლიო მნიშვნელობის ბრწყინვალე არქიტექტურულ ძეგლად მიიჩნია და შეადარა სირიულ ტაძარს, რომლის მსგავსი იმ პერიოდის რუსეთში არ მოიპოვებოდა, დასავლეთ ევროპაში კი შეიძლება ორი ან სამი ყოფილიყო (12:2-3). ეკლესიის ფასადები, თაღები, ბოძები და სვეტის თავები ტუფის ქვითაა აგებული, ხოლო კედელ-კამარები და გუმბათი – რიყის ქვით. ასეთი შეხამების შემთხვევები ხშირია გარდამავალ ხანაში (4:637).

არმაზის წმინდა გიორგის ეკლესიის მსგავსად წირქოლის ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათიც, სხვა ქართული გუმბათებისაგან განსხვავებით, უყელოა და ტრომპების საშუალებით გუმბათქვეშა კვადრატებზეა დაყრდნობილი (14:322). თუმცა ამ შემთხვევაშიცაა განსხვავება: არმაზის გუმბათი სვეტებზეა დაბჯენილი, წირქოლისა კი უშუალოდ კედელს ეყრდნობა (4:637).

წირქოლის ღვთისმშობლის ეკლესიის სამშენებლო წარწერა დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ექსპოზიცია წარმოდგენილია ეკლესიის რელიეფების სამი ფრაგმენტით.

თითოეულის ზომა – 23X25. ფრაგმენტები შეადგენს ორ კომპოზიციას. ზემოთა კომპოზიცია შესრულებულია ორ ქვაზე და მესამე ქვის ზემოთა მეოთხედზე. მასზე გამოსახულია დანიელი ლომების ორმშო ხელაპყრობილი. ლომები დანიელის მკლავებს პირით ეხებიან. მათ თავს ზემოთ თითო მფრინავი ჩიტა გამოსახული. ქვემოთა კომპოზიციის ფრაგმენტი კი წარმოდგენილია რელიეფებით მეფის (ალბათ ქტიტორის) და ანგელოზის გამოსახულებით (12:207-208).

„ზემოთ კომპოზიციაზე, დანიელის ორივე მხარეზე, ხოლო ქვემო კომპოზიციაზე – მეფესა და ანგელოზს შორის ამოღარულია ნუსხურნარევი ასომთავრული, კიდურწარსრული წარწერა. სიტყვები ერთმანეთისაგან არაა დაცილებული; ქარაგმის ნიშანი – გრძელი, კიდურწერტილოვანი, სწორი, განივი ხაზი (შემოგვრჩა მხოლოდ ერთი სიტყვის თავზე)... მეფისა და ანგელოზის კომპოზიციას აკლია ნაწილი და, როგორც ჩანს წარწერის დასაწყისიც“. (8:221).

წარწერაში ვკითხულობთ: „დანიელი იტყვის, მიხსენ მე უ(ფალ)ო პირის(ა)გ(ა)ნ ლომთაისა. იხსენ სასჯელისაგან გ(ა)ბრ(ი)ელ მთ(ა)ვ(ა)რ ანგ(ე)ლ(ო)ზი ლ(ე)ონ მეფეი (8:221).

ძეგლის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ვინაა წარწერაში მოხსენიებული მეფე.

თუ გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას გავიზიარებთ და წირქოლის ეკლესიას VIII საუკუნით დავათარიღებთ, მაშინ წარწერაში მოხსენიებული და კომპოზიციაში წარმოდგენილი მეფე – ქტიტორი ლეონ II უნდა იყოს, „აფხაზთა სამეფოს“ პირველი მეფე, VIII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე.

ნ. შოშიაშვილი წარწერას ლეონ III-ის მეფობის წლებით ათარიღებს, თუმცა აღნიშნულ პერიოდს რატომღაც ლეონ II-ის სახელთან აკავშირებს (8:221). მკვლევარი წარწერის დათარიღების საფუძვლად, შინაარსში ლეონ აფხაზთა მეფის მოხსენიების გარდა პალეოგრაფიულ ნიშნებს მიიჩნევს – ასომთავრულში ნუსხურის შერევა (8:221), რაც, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია. აქედან გამომდინარე, უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ძეგლის დათარიღების ნ. შოშიაშვილისეული ვერსია. ამ დროისათვის შიდა ქართლი ეგრის-აფხაზეთის მეფეებს ეკუთვნოდათ, ხოლო ლეონ III აფხაზეთში გამეფებამდე ქართლის ერისთავი იყო.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ახალგორის რაიონი მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით. მიეცით რომელ უწარსულო ერსაც გნებავთ ახალგორის განძი და ამ ერს ისტორია ექნებაო – ბრძანებდა ნიკო კეცხოველი. ალბათ ამიტომაც ცდილობდნენ ამ მდიდარი ისტორიის მქონე კუთხის დაუფლებას უწარსულო თუ წარსულის მქონე ერები. სამწუხაროდ, დღეს ახალგორის რაიონი უცხო ძალის მიერაა ოკუპირებული. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მაცნე მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს კი განადგურების საფრთხე ემუქრებათ.

ლიტერატურა:

1. ანჩაბაძე ზ., გიორგი I აღწეფელი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, 1978.
2. ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006.
3. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.
4. ბერიძე ვ., ადრეფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
5. გაგომიძე ი., ადრენატიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
6. გვასალია ჯ., არმაზი, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, 1997.
7. გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967.
8. ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
9. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, 1968.
10. მეფისაშვილი რ., ცინცაძე ვ., არმაზი ქსნისა, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, 1997.
11. ლუნაშვილი ვ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, პუბლიკაციები, 1997.
12. ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936.
13. ცხავათი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, 1987.
14. წირქოლი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, 1987.
15. Такайшвили Э. С. „Археологические путешествия, разыскания и заметки, выпуск IV, 1915.
16. Мерисашвили Р., Цинцадзе В, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии - Шида Картли, 1975.
17. Чубинашвили Г. Н., Архитектурные памятники VIII и IX века в ксанского ущельи, qarTuli xelovneba, 1942.

IX-X CC LAPIDARY INSCRIPTIONS FROM KSANI GORGE

David Akhlouri, Gori Teaching University, Specialist by contract

RESUME

Ksani Gorge is rich with its architectural monuments. The greater part of them has an epoch-making and republic importance.

The work focuses on the lapidary inscriptions of Armazi, Tskhavati and Tsirkoli churches situated in the territory of historical Ksani Saeristavo. According to the researchers they are attributed to the IX-X cc.

Number of scientists has paid a great attention to those inscriptions. We have studied the existing information of each monument; have realized the origin and current situation of both architectural and epigraphic monuments and offer our notes and opinions about them to those who are interested in it.

Unfortunately, today the greater part of Historical Ksani Saeristavo is occupied by Russia and the oldest universal epigraphic monuments are in danger of destruction.

ფოტოგალერეა კონფერენციიდან
Photo Gallery from the Conference











გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge